ვიქტორ რცხილაძე

ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში

თბილისი
2006

რედაქტორი:

ემზარ კვიტაიშვილი

© ვ. რცხილაძე, 2006

რედაქტორის წინათქმა

იშვიათად შემხვედრია პიროვნება, რომ ცხოვრებასა და შემოქმედებაში ვიქტორ რცხილაძესავით მონოლითური, მთლიანი ყოფილიყო. ამ კაცის კოლოსალურ ერუდიციაზე არაერთხელ თქმულა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს – საიმისოდ არასოდეს გარჯილა, მრავალი დარგის ულრმესი ცოდნის დემონსტრირება მოეხდინა; მისი მთავარი საზრუნავი ჭეშმარიტების შეცნობაა და მუდამ ცდილობს, საგანი, რაზედაც წერს, მთელი სისრულით წარმოაჩინოს. ძვირფასი ვიქტორის პროზაულ ქმნილებებზე კი გამომიქვეყნებია ჩემი შთაბეჭდილებები, მაგრამ მისი მოღვაწეობის არანაკლებ არსებითი მხარის შეფასებისას, ჩემს თავს ვერ ვენდობი და მინდა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, პატივცემულ სერგი ავალიანის რამდენიმე გამონათქვამი მოვიშველიო:

“ბატონ ვიქტორ რცხილაძის თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომები... სრულიად ახალ სიტყვას წარმოადგენს თანამედროვე ქართულ თეოლოგიურსა და ფილოსოფიურ ლიტერატურაში. დიდია მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებისათვის... მე არ მეგულება მკვლევარი XX საუკუნის ქართულ აზროვნებაში, რომელიც ისე ზედმიწევნით იცნობდეს თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურას, ისე ღრმად ერკვეოდეს რელიგიურ მოძღვრებებში, როგორც ჩვენი ავტორი. ზოგჯერ განცვიფრებას იწვევს მისი რელიგიურ-ფილოსოფიური მედიტაციების სიღრმე, ამ დარგში მისი განსწავლულობა, რომელსაც ვერც ერთი ჩვენი ფილოსოფოსი ამ მიმართულებით ვერ გაუტოლდება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ჩვენში რელიგიის ფილოსოფიის არა მარტო პირველხარისხოვანი მკვლევარია, არამედ აგრეთვე მისი ფაქტიური ფუძემდებელიც“...

ვიქტორ რცხილაძის დაუცხრომელი, ბრძოლებით აღსავსე ცხოვრება, ფიქრი და ქმედება მუდამ საქართველოს სასიკეთოდ იყო მიმართული და მამულის სადარაჯოზე ფხიზლად მდგარს, გარეშე თუ შინაური მტრებისათვის არაფერი დაუთმია. წინამდებარე, მრავალსაზოვანი და უაღრესად საინტერესო,

სულიერად გამამდიდრებელი, თვალმოუშორებლად საკითხავი წიგნიც სამშობლოსადმი თავგანწირულმა მსახურებამ დააწერინა. ცალკეულ პუბლიცისტურ წერილებში, ჩვენს წარსულსა და აწმყოზე ნათქვამია უმკაცრესი, დაუნდობელი სიმართლე და. ამ მხრივ, იგი ილია ჭავჭავაძის ღირსეულ მემკვიდრედ გვევლინება. ესოდენ საჭირო გონით ჭვრეტას ბუნებრივად ენაცვლება შეუმცდარი ინტუიცია და მოვლენებისადმი ხშირად ამჟღავნებს პიროვნულ, ემოციურ დამოკიდებულებას, რითაც მისი ნააზრევი სინედლეს, მოქნილობას იძენს. უზარმაზარი, ძნელად თავმოსაყრელი მასალა ისე აქვს დამორჩილებული, ნაძალადეობის, ხელოვნურობის კვალი არსად ჩანს, ყველაფერი ერთ კალაპოტში მიედინება, საჭირო მოსაზრებას მუდამ თავის ადგილას, გამიზნულად იმოწმებს და, ზოგიერთებივით, ციტატების სიუხვით არ კეკლუცობს, თვით ურთულეს პრობლემებზე მსჯელობის დროსაც კეთილშობილური სისადავის მომხრეა, რაც ისევ მის შინაგან კულტურაზე, დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს.

ვიქტორ რცხილაძე, საქართველოში გამომავალი მეტად მნიშვნელოვანი ჟურნალის – "რელიგიის" – რედაქტორი, მართლმადიდებლური ქრისტიანობის ერთგული მიმდევარია, მაგრამ არასოდეს მოქცეულა დოგმატური აზროვნების ჩარჩოებში, ბუნებით ლაღია; მშვენიერების მოტრფიალეს, უსაზღვროდ უყვარს ხელოვნება, ძირფესვიანად აქვს შეთვისებული მსოფლიო ხელოვნებათმცოდნეობის უთვალსაჩინოესი მიღწევები, რის დასტურადაც ახალ წიგნში შეტანილი რამდენიმე საუცხოო ესეც იკმარებს.

პოლემიკის დროს (ეს კი მისი სტიქიაა!) ვიქტორ რცხილაძე, ზოგჯერ, მეტისმეტად მძაფრია, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი იმასაც ადვილად შეამჩნევს, რომ საკუთარი სიმართლისა მტკიცედ სჯერა, ჯიქურ უპირისპირდება მისთვის მიუღებელ, მცდარ მოსაზრებებსა თუ ტენდენციებს და არასდროს პირადი ღვარძლი, მტროება არ ალაპარაკებს.

30.06.2006

ფილოსოფიურ–თეოლოგიური ხასიათის წერილები

ახალი დროის ცნობილ ათეისტთა კრიტიკა თანამედროვე ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა მიერ

შესავალი

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილ ანარქისტს და ბუნტარს, მიხეილ ბაკუნინს ეკუთვნის ფრაზა: ვოლტერმა თქვა - ღმერთი რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა გამოგვეგონა. მე კი ვამბობ: რომ ყოფილიყო ღმერთი, იგი აუცილებლად უნდა გაგვენადგურებინა (იხ. მისი წიგნი "ღმერთი და სახელმწიფო"). მაგრამ იმავე საუკუნიდან გვეხმიანება, აგრეთვე, სხვა ხმაც. ინგლისელი ფილოსოფოსი და მწერალი თომას კარლაილი თავის "საფრანგეთის რევოლუციაში" წერს შემდეგს: "ეკლესია! რამდენს შეიცავს ეს სიტყვა ყველაზე უძვირფასეს, რაც გაცილებით ძვირფასია გოლკონდაზე, მსოფლიოს ყველა საგანძურზე! დგას სადღაც შორს მთებში პატარა ეკლესია, ხოლო მის გარშემო საფლავის ქვების ქვეშ განისვენებენ მიცვალებულნი და ელოდებიან თავიანთ "ნეტარ აღდგომას". ო მკითხველო! არასოდეს დავიჯერებ, რომ შენ თითქოს ისეთი გონებაჩლუნგი ხარ, რომ არც ერთხელ შენი ცხოვრების მანძილზე (თუნდაც შუაღამისას, როდესაც ყოველი არსი ჩაძირულია წყვდიადში და უეცრად შენს წარმოსახვაში დაინახავ აი ასეთ ეკლესიას) არ მიგიმართავს მისადმი და არ მიგიღია მისგან პასუხი, რომელიც შეუძლებელია გამოიხატოს სიტყვებით, რომელიც აღწევს შენი სულის იდუმალ სიღრმეს. რა ძალას აძლევს ის ადამიანს, როდესაც იგი მას ეყრდნობა! არ ეშინია მაშინ მას არც უსაზღვრობის, არც მარადიულობის მდინარების; გაბედულად შეჰყურებს იგი თვალებში ღმერთს და ადამიანებს, და იდუმალი, უსაზღვრო სამყარო იქცევა ნაცნობ ქალაქად ან სახლად, რომელშიაც იგი ცხოვრობს. აი, რა ძალას ანიჭებს რწმენა, აი, რა ბევრს შეიცავს ერთი წრფელად ნათქვამი სიტყვა: მწამს. და გასაკვირი არ არის, რომ ადამიანები დიდებით შემოსავდნენ თავიანთ რწმენას, აღმართავდნენ მის პატივსაცემად დიდებულ ტაძრებს, ქმნიდნენ დიდად პატივსაცემ იერარქიებს და აძლევდნენ მას თავიანთი ქონებიდან მეათედს. მის გამო ღირდა სიცოცხლე, მის გამო შეიძლებოდა თაყვანწირვა".

სხვათა შორის, მართლმადიდებლური ტაძრის მისტიკურ განწყობაზე საუბრობს მეოცე საუკუნის ფილოსოფოსი, სერგეი ბულგაკოვი თავის წიგნში "მართლმადიდებლობა": "მსგავსი გრძნობა, თუმცა სხვა ტონებში, განიცდება ასევე ძველ კათოლიკურ, რომანულ და გოტიკურ ტაძრებში". ამ განცდაზე საუბრობს, აგრეთვე, ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ჟიულ მიშლე, როდესაც იგი წერს: "ცრემლი, ერთი, ერთადერთი ცრემლი, დაცემული გოტიკური ტაძრის იატაკზე, ღირსი არის მოხსენიებისა" (ციტირებული მაქვს წიგნიდან - ჟაკ ლე გოფ, "წმ. ლუდოვიკო IX").

და აი, მეოცე საუკუნის მიწურულს და ოცდაშვიდე საუკუნის დასაწყისში ცნობილი "გრეტხენის კითხვა" ("როგორია შენი დამოკიდებულება რელი-

გიასთან?")[1] დასავლური პრესის საქორწინო განცხადებებში შემდეგნაირად ჟღერს: რელიგიური ვარ, მაგრამ მომთმენი. ესე იგი რელიგია უკვე საფრთხობელად იქცა და რელიგიური ფუნდამენტალიზმი რომ არ დასწამონ, საქორწინო განცხადებაში იგი თან ურთავს - ტოლერანტ!

ახლა მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი. სახელი "ღმერთი" ენაში ფილოსოფიას არ დაუმკვიდრებია, როგორც, მაგალითად, "ზეერთი", "სიკეთე" ან "აბსოლუტი". ეს სახელი ფილოსოფიას უკვე დახვდა, როდესაც იგი აღმოცენდა ბერძნულ კოლონიებში მე-6 და მე-5 საუკუნეებში ქრისტეს შობამდე. დღესაც ეს სახელი, რომელიც მომცველია თეისტური წარმოდგენებისა და ცნებებისა, ფილოსოფიას ეძლევა მსოფლიო რელიგიებისაგან. ასევე დახვდა ფილოსოფიას სხვა სახელები, მაგ., "ბუნება", "ადამიანი", "თავისუფლება", "ენა", "სახელმწიფო", "ხელოვნება" და სხვა, მაგრამ "ღმერთი" ასახელებს იმ გამოცდილების შინაარსს, რომელიც ყველა დანარჩენი შესაძლო გამოცდილებებისაგან იმით განსხვავდება, რომ მხოლოდ გამოცდილების რეალობაა თავმდები მისი შინაარსის რეალობისა.[2] ეს შინაარსი ცნებისეულად არ შეიძლება მოპოვებული იყოს ინდუქციის ან დედუქციის ან რედუქციის მეშვეობით; იგი თვით ამ ცდის მიღმაც კი არ შეიძლება იქნას წარმოდგენილი. ეს გამოცდილება სხვა გამოცდილებებისაგან გამოირჩევა კიდევ სხვა თავისებური წინააღმდეგობებითაც. მასში ადამიანი რეალიზებას ახდენს თავის მიღმა ტრანსცენდენტურისას, როგორც გონიერი არსებისას; და სწორედ ეს საკუთარი თავის მიღმა ტრანსცენდენტი ახასიათებს მას როგორც გონიერ არსებას (იხ. ამის თაობაზე დეკარტის "მეტაფიზიკური განაზრებების" III მედიტაცია).

ამ დროს ფილოსოფიის ისტორიაში სახელ "ღმერთში" ათავსებდნენ თუმცა ძალზე განსხვავებულ, მაგრამ არა სავსებით დისპარატულ, არამედ მაინც რაღაც მონათესავე შინაარსს. ფილოსოფოსი ვ. ვაიშედელი წერს: "ადრეულ ბერძენ მოაზროვნეთა ღვთაება, სამყაროში თავის უშუალო თანდასწრებით, იგივე არ არის ქრისტიანულად განსაზღვრული, ფილოსოფიური თეოლოგიის შექმნის ღმერთისა. ღმერთი, როგორც საბოლოო მიზანი სინამდვილეში არსებული ყოველგვარი ლტოლვისა, როგორადაც მას არისტოტელე აყალიბებს, განსხვავდება ზნეობის კანონისა და ბედნიერების გარანტიის მომცემ კანტის ღმერთისაგან. გონებაში საწვდომი ღმერთი თომა აკვინელისა ან ჰეგელისა განსხვავდება გამოუთქმელში გაუჩინარებულ დიონისე არეოპაგელის ან ნიკოლოზ კუზანელის ღმერთისაგან. და აგრეთვე მორალური ღმერთი, რომელსაც ნიცშე ებრძვის, არ წარმოადგენს სინამდვილის მატარებელ უმაღლეს ყოფიერებას, როგორც იგი ესმის ჰაიდეგერს მეტაფიზიკის ღმერთში. და მაინც, ყოველთვის და ყველგან, სახელ "ღმერთში" რაღაც მონათესავე გაიაზრება: ის, რაც ყოველ სინამდვილეს განსაზღვრავს, როგორც მისი მბრძანებელი ან აღმატებული პრინციპი.[3]

---

1. "Wie hast du's mit der Religion?" (Faust I, In Marthens Garten, v. 3415).
2. Hermann Krings, Gott, HdphG, Bd. II, s. 615, München 1973.
3. W.Weischedel, aa O Bd. II, s. 494 f.

ახლა განვიხილოთ ის გაოცების გამომწვევი ფაქტი, რაზედაც მოგვითხრობს ცნობილი ფილოსოფოსი იოზეფ მარია ბოხენსკი: "...ღვთის არსებობა არც ერთ დიდ მოაზროვნეს სერიოზულად ეჭვქვეშ არ დაუყენებია. ეს შეიძლება უცნაურად ჟერდეს, თუკი გავიხსენებთ მრავალრიცხოვან ეგრეთ წოდებულ ათეისტებს. მაგრამ საქმეს უფრო ახლოდან თუ შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ დიდი ფილოსოფიური დავა სრულიად არ ეხება აბსოლუტის, უსასრულოს არსებობას, ასეთი რომ არსებობს, ამას ერთნაირი დარწმუნებულობით ამტკიცებენ პლატონი, არისტოტელე, პლოტინი, თომა აკვინელი, დეკარტი, სპინოზა, ლაიბნიცი, კანტი, ჰეგელი, უაიტჰედი - და აგრეთვე, თუ შეიძლება პატარა მოაზროვნეების დიდებთან შედარება, დღევანდელი დიალექტიკური მატერიალისტები, კომუნიზმის ოფიციალური პარტიული ფილოსოფოსები. საქმე ისაა, რომ როდესაც ისინი ქრისტიანული ღმერთის არსებობას დიდი სიმძაფრით უარყოფენ, მათ ჩვევად აქვთ იმავე დროს ამტკიცონ, რომ სამყარო არის უსასრულო, მარადიული, უზღვრო, აბსოლუტი, და რაც კიდევ უფრო მეტია: მათი განწყობა, როგორც ამას ადვილად დაადგენს ყოველი, ხშირ შემთხვევაში არის ტიპურად რელიგიური. მაშასადამე, საკითხი არ ისმის - არსებობს თუ არა ღმერთი, არამედ: არის თუ არა იგი პიროვნება, სული. ეს შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ასეა. შესაძლოა აქა-იქ მართლაც არსებობდნენ აბსოლუტის ნამდვილი უარმყოფელნი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ძალზე იშვიათად და მათ არ გააჩნიათ დიდი მნიშვნელობა. საკამათო საკითხი ის კი არ არის, ვიმეორებ, არსებობს თუ არა ღმერთი, არამედ როგორ უნდა გავიაზროთ იგი".[4]

სწორედ ამ მხრივ დიდად საინტერესოა საუბარი ორ გამოჩენილ ფიზიკოსს შორის. ვოფლგანგ პაულის კითხვაზე "გწამს თუ არა პიროვნული ღმერთი", ვერნერ ჰაიზენბერგი პასუხობს: "ნებას მომცემ ეგ კითხვა სხვაგვარად დავსვა? მაშინ იგი ასეთ ფორმას მიიღებდა: შეგიძლია თუ არა შენ, ან შეიძლება თუ არა, საერთოდ, საგანთა ან მოვლენათა ცენტრალურ წესრიგს, რისი არსებობაც ეჭვს არ იწვევს, ისე უშუალოდ დაუკავშირდე, როგორც ეს სხვა ადამიანის სულთანაა შესაძლებელი? მე განზრახ გამოვიყენე ძნელად განსამარტავი სიტყვა "სული", რათა მცდარად არ გამიგო. თუ ასე მკითხავდი, მე გიპასუხებდი, დიახ.

- მაშასადამე, შენ მიგაჩნია, რომ ცენტრალური წესრიგი ისეთივე ინტენსიურობით შეიძლება არსებობდეს ჩვენს გვერდით, როგორც სხვა ადამიანის სული?

- ალბათ.

- რატომ იხმარე სიტყვა "სული" და არა უბრალოდ სხვა ადამიანი?

- რადგან სწორედ სიტყვა "სული" გამოხატავს აქ იმ არსების ცენტრალურ წესრიგს, შუაგულს, რომლის გარეგნული გამოვლენის ფორმები შეიძლება უსაზღვრო და მეტად მრავალფეროვანი იყოს".[5]

---

4. Ioseph M. Bochenski, Wege zum philosophischen Denken, Freiburg 1991. s. 115.
5. ვ. ჰაიზენბერგი, ნაწილი და მთელი, თბ. 1983, გვ. 272-273.

სხვათა შორის, ეს სავსებით ეთანხმება ღვთის თეისტურ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც "ღმერთი არის სული" (იოანე, 4,24).

ცნობილი ფიზიკოსი და ფილოსოფოსი კარლ ფრიდრიხ ფონ ვაიცზეკერი ასე მიმართავს თეოლოგებს: "ერთი რამ მსურს ვუთხრა თეოლოგებს, რაც მათ იციან და სხვებმაც უნდა უწყოდნენ: ისინი ინახავენ ერთადერთ ჭეშმარიტებას, რომელიც უფრო ღრმა არის, ვიდრე მეცნიერების ჭეშმარიტება, რომელზედაც ძევს ატომის ხანა. ისინი ინახავენ ცოდნას ადამიანის არსის შესახებ, რომელსაც უფრო ღრმადა აქვს ფესვები გადგმული, ვიდრე ახალი დროის რაციონალურობას. გარდაუვალად გვიახლოვდება წამი, რომელშიაც, თუკი გეგმის დასახვა გვიმტყუნებს, აუცილებლად ამ ჭეშმარიტების შესახებ იკითხავენ ამჟამადაც და მომავალშიც! დღევანდელი სამოქალაქო ადგილსამყოფელი ეკლესიისა არ წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ ადამიანები ნამდვილად ეძებენ ქრისტიანულ ჭეშმარიტებას. ეს ჭეშმარიტება მაშინ შეიძენს დამარწმუნებელ ძალას, თუკი მისით იცხოვრებენ".[6]

რაც შეეხება ათეიზმის შეიარაღებაში მყოფ მატერიალიზმის ისეთ "მიგნებას", რომ "სული", "ფსიქიკური", საერთოდ მეორადია და იგი ექვემდებარება მატერიას, ამაზე კარგ პასუხს იძლევა ფილოსოფოსი ს. ფრანკი: "დავუშვათ, რომ მატერია ნამდვილად ქმნის ფსიქიკურს, შობს მას საკუთარი წიაღიდან, ან - როგორც ამას კიდევ სხვაგვარად აფორმულირებენ ფსიქიკური არის მხოლოდ "თვისება" ან "ფუნქცია" მატერიალურისა. მაშინ მატერიალიზმი თავის თავს უარყოფს. რადგან: რაღაა ის "მატერია", რომელსაც სულ თავიდანვე გააჩნია უნარი ფსიქიკურის წარმოქმნისა ანდა რომელსაც ერთ-ერთ ძირითად თვისებად ან ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად განეკუთვნება "ფსიქიკური"? აქ უკვე მთავრდება ცნებათა ყოველგვარი განსაზღვრულობა. მატერია მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი გაგებით მატერია, თუკი ჩვენ მას ვანსხვავებთ ფსიქიკურიდან და ვუპირისპირებთ მას. ხოლო თუკი მატერია თავის ძირითად თვისებებში, თავის საკუთარ სიღრმეებში ფსიქიკურსაც შეიცავს, მაშინ ეს უკვე "მატერია" აღარაა ჩვეულებრივი გაგებით, არამედ რაღაც უფრო ღრმა და იდუმალი, რომელიც მოიცავს ყოფიერების ორივე მხარეს - როგორც მატერიალურს, ასევე ფსიქიკურს. როგორც ვხედავთ - მატერიალიზმი რამდენადმე უფრო ზუსტად გამოთქმული იმ აზრამდე უნდა მივიდეს, რომ იგი სულაც არ არის მატერიალიზმი, რომ სუბსტანცია ან საფუძველი სამყაროს ყოფიერებისა არის რაღაც უფრო რთული და ღრმა, ვიდრე მხოლოდ მკვდარი, ბრმა, უცხო ყოველგვარი ფსიქიკურისადმი "მატერია" ამ სიტყვის მკაცრი გაგებით".[7]

ამიტომაა, რომ ფილოსოფოსთა წრეში კარგა ხანია დამკვიდრებულია ის აზრი, რომ "ფიზიკალური კვლევით" ვერასოდეს აიხსნება თუ რა არის ცნო-

---

6. C.F. von Weizsgcker, Die Verantwortung der Wissenschaft im Atomzeitalter, Gottingen 1957, s. 11 f.

7. Проф. С.Л. Франк, Материализм как мировоззрение, Париж 1928.

ბიერება, ისევე როგორც "თავისუფლება."[8] და ეს გარემოება ჯეროვნად "არ ფასდება, როდესაც ადამიანს, როგორც მთლიანობას, ბუნებისმეტყველება განვითარების საფეხურზე აყენებს".[9]

რასაკვირველია, მთელი ეს მოსაზრებები სხვებთან ერთად ფილოსოფიის ისტორიის ხანგრძლივი მსვლელობისას გადმოცემულია სხვადასხვა ხარისხითა და სხვადასხვა ვარიაციით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ "ღვთის არსებობის მტკიცებათა" განხილვასა და გადმოცემას ჩვენ არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ "გამოჩენილ" მტკიცებათა გარდა იყო კიდევ უამრავი "მტკიცება", რომელთა არსებობასაც ჰეგელი შემდეგნაირად ამართლებს: "რამდენადაც დიდი და მნიშვნელოვანია ფაქტი, იმდენად მრავალ ურთიერთობაში იმყოფება იგი. რამდენადაც სხვადასხვაგვარია კავშირი, იმდენად უფრო მეტად აღიქმება ფაქტის აუცილებლობა. ამრიგად, თითოეული ფაქტის დროს საჭიროა, რომ მის ირგვლივ არსებობდეს მრავალი აზრი... მრავალი აზრი არღვევს სუბიექტურობას, შეცდომის შესაძლებლობას. თუ ჩვენ აქედან ღმერთზე გადავალთ, აბსოლუტურ საგანზე, გამოირკვევა, რომ ღმერთთან მტკიცებათა ეს სიმრავლე უსასრულობამდე უნდა გაგრძელდეს, რადგანაც ღმერთი აღემატება ყველა საგანს... შესაძლებლობა შეცდომისა შეიძლება აცილებულ იქნეს მტკიცებათა სიმრავლით".[10]

თუკი ათეიზმზე სერიოზულად ვისაუბრებთ, ურიგო არ იქნება ფილოსოფოს ჰანს კიუნგის აზრის გათვალისწინება. იგი წერს: "ფასი, რასაც ათეიზმი თავისი არასათვის იხდის, საყოველთაოდ ცნობილია. იგი ექვემდებარება საშიშროებას თავისი საბოლოო უსაფუძვლობის, დასაყრდენის არ ქონის, მიზნის გარეშე ყოფნის გამო. სინამდვილის შესაძლო უაზრობა, ღირებულების არქონა, არარაობა განსაზღვრავენ მას. ათეისტი, თუკი იგი ამას აცნობიერებს, პიროვნულად სახიფათო მდგომარეობაში ვარდება საბოლოო მიტოვებულობის, მუქარის, მიგდებულობის გამო, რისი შედეგებიც გახლავთ ეჭვი, შიში, და თავად სასოწარკვეთილება. ეს ბუნებრივია მხოლოდ მაშინ, თუკი ათეიზმის სერიოზულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და არა ინტელექტუალურ პოზიორობასთან, სნობისტურ კოკეტურობასთან და უაზრო ზედაპირულობასთან."[11]

---

8. Hans - Dieter Klein, Vernunft und Wirklichkeit, Bd. 1, München 1973, s. 14.

9. Grison, Geheimnis der Schopfgung, München 1960, s. 166-67.

10. G.W.F. Hegel, Vorlesungen über die Beweis vom Dasein Gottes, herausg. von Georg Lasson, Hamburg 1966, s. 67-68. რაც შეეხება "ღვთის არსებობის მტკიცებათა" ისტორიას, იგი მკითხველმა შეიძლება ჰპოვოს გერმანელი ფილოსოფოსის ჭეორინ ჰაუნდერის ამავე დასახელების წიგნში, რომლის თარგმანი გამოქვეყნდა ჟურნ. "რელიგიაში" №10, 11,12, 1992 წ. "სული-სხეულის" დამოკიდებულებაზე იხ. ჩემი წიგნი "სულთა გამოცხადებანი" და სპირიტიზმი", თბ. 1992 წ., თავი I.

11. H. Küng, Christ sein, München 2000. s. 67.

დავიდ ფრიდრიხ შტრაუსის "იესოს ცხოვრება" და მისი კრიტიკა

ახლა უნდა აღინიშნოს, რომ თუ ჩვენ გვინდა ათეიზმის კრიტიკა ჯეროვნად წარიმართოს, პირველ ყოვლისა, განხილულ უნდა იქნან ის მოაზროვნენი, რომელნიც ათეიზმის ბურჯებად გვევლინებიან ახალ დროში. ამ მხრივ განხილვას ჯერ ლუდვიგ ფოიერბახი (1804-1872) იმსახურებს. მაგრამ სანამ ლუდვიგ ფოიერბახის შეხედულებებს და მის წიგნს "ქრისტიანობის არსს" შევეხებოდეთ, უნდა დავასახელოთ დავიდ ფრიდრიხ შტრაუსი, (1808-1874), რომელმაც ათეიზმის გარკვეული წინამორბედის როლი ითამაშა გერმანიაში.[12] შტრაუსმა თავის წიგნში "იესოს ცხოვრება", რომელიც ასევე ეყრდნობოდა ეკზეგეტ ფ. ბაურს, სახარების განხილვის დროს მკაცრად დაიცვა ისტორიული მეთოდი და მოგვცა შემდგომი თეზის ფორმულირება: თეზა ძირფესვიანი დიფერენცირებისა ისტორიულ იესოს ("ისტორიული ინდივიდუუმი") და რწმენის (საეკლესიო) ქრისტეს ("ღმერთკაცის იდეა") შორის.

ჰეგელის ფილოსოფიის ზეგავლენით შტრაუსი დარწმუნებული იყო, რომ ბიბლიური წარმოდგენები ეს იგივე მითიური წარმოდგენებია, რომ ბიბლიური გამოთქმები წარმოგვიდგებიან მითების შესამოსლებით, ხოლო მათი შინაარსი არსებითად ფილოსოფიურია. ის, რასაც ჰეგელი არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა ქრისტიანული რწმენისათვის, იყო იმ აზრის გაზიარება, რომ თავდაპირველი საზოგადოების სულიერებით აღსავსე ცნობიერებაში პოეტური გენია წარმოქმნიდა მითებს თხრობითი და ისტორიული ხასიათისას, რომლებიც ქრისტიანული იდეების მატარებელნი ხდებოდნენ. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ შტრაუსს ბიბლიური ტექსტების დაუნდობელი ფილოლოგიური კრიტიკის დროს მიზნად არ ჰქონდა ქრისტიანული რწმენის არსებითის მოსპობა, არამედ მას სურდა მათი ჭეშმარიტი, არამითოლოგიური, ანუ, მისი აზრით ფილოსოფიური ჭეშმარიტების წარმოჩენა. ჰეგელის სპეკულატიური ქრისტოლოგიის ("იდეა ღმერთკაცზე") მყარ საფუძველზე დაყრდნობით მას მიაჩნდა, რომ შეეძლო უკიდეგანო ისტორიული კრიტიკის განხორციელება: რადიკალური დემითოლოგიზირება იესოს მთლიანი ცხოვრებისა, როგორც მისი საუბრებისა, ასევე სასწაულებისა. ამის შედეგი გახლდათ იესოს ცხოვრების ისტორიის კრიტიკული დესტრუქცია მისი ზებუნებრივი ჩასახვიდან და დაბადებიდან მოყოლებული მისი აღდგომითა და ამაღლებით დამთავრებული. ამოსული სწორედ ჰეგელის იდეიდან ღმერთკაცზე, შტრაუსი სკეპტიკური ხდება: შესაძლებელია განა ამ იდეამ ერთადერთ ადამიანში სრულყოფილად ჰპოვოს

---

12. ისტორიული ქრონოლოგიის დაცვით აქ და შემდეგ ფართოდ არის გამოყენებული ტექსტიდან ამოკრეფილი თარგმანებით გერმანელი ფილოსოფოსის, ჰანს კუნგის ნაშრომი "Existiert Gott?", München 1978. ასევე: T. Ziegler, die geistigen und sozialen Strömungen des 19. Jh., 1921..

რეალიზება? ვის უნდა მიეკუთვნოს ის ნიშნები, რაც ცალკეულ ინდივიდუუმს არ გააჩნია და რომელსაც ქრისტიანული რწმენა ყოვლად დაუსაბუთებლად ერთადერთ ღმერთკაცს ქრისტეს მიაწერს, თუ არა კაცობრიობას როგორც მთლიანობას? ვისი მისამართით შეიძლება ითქვას, რომ მასში გაერთიანებულია ღვთაებრივი და ადამიანური ბუნება, რომელზედაც ჰეგელი ასე ემპათიკურად საუბრობდა, თუ არა თავად კაცობრიობაზე, ადამიანურ გვარზე! შტრაუსი ეთანხმება სპეკულატიურ ქრისტოლოგიას ღმერთკაცის შესახებ, მაგრამ ერთი ძირგამომთხრელი შესწორებით, რომელსაც იგი "მთელი ქრისტოლოგიის გასაღებს" უწოდებს და რომელსაც ფოიერბახის მიერ ქრისტიანობის ინტერპრეტაციაში მართლაც უნდა შეესრულებინა ამ გასაღების როლი: "კაცობრიობა წარმოადგენს ორივე ბუნების გაერთიანებას: განკაცებულ ღმერთს, უსასრულობაზე უარის მთქმელ სასრულობას და თავისი უსასრულობის გამხსენებელ სასრულ სულს..."[13] ამგვარად, შტრაუსის აზრით, იესოს სიკვდილის მერე მოხდა მისი მითოლოგიზირება ქრისტიანული საზოგადოების მიერ: "როგორც პლატონის ღმერთი იდეების შემყურე სამყაროს ქმნიდა, ასევე საზოგადოებამ, იესოს პიროვნებისა და ბედის შემყურემ, შექმნა სურათი თავისი ქრისტესი, შეუცნობლად თვალწინ ედგა რა მას კაცობრიობის იდეა ღვთაებასთან მიმართებაში".[14]

ამრიგად, უკვე შტრაუსი ახდენს - რომელსაც ბიძგი ჰეგელმა მისცა თავისი იდეით საყოველთაო ღმერთკაცობისა - ქრისტოლოგიის (მოძღვრება ღმერთკაც იესო ქრისტეზე) ანთროპოლოგიაში (მოძღვრება კაცობრიობის ღვთაებრიობაზე) გარდაქმნას. უკვე შტრაუსთან არის გამოკვეთილი ის ტენდენცია, რაც თავს იჩენს და შემდგომ დაგვირგვინდება ფოიერბახთან და განსაკუთრებით მარქსთან: ადამიანური გვარი, კაცობრიობა, ადამიანური საზოგადოება ღვთის ადგილს დაიკავებს.

როგორც თეობალდ ციგლერი აღნიშნავს (იხ. ზემოთ სქოლიოში დასახელებული ნაშრომი), უკვე იმჟამად ჩანდა შტრაუსის სისუსტე წყაროების კვლევის მხრივ და ამავე დროს, იმდროინდელი საზოგადოება ვერ ეგუებოდა შტრაუსის მიერ ისტორიული იესოს ჩვეულებრივ ადამიანად გამოცხადებას, რომელიც ხალხს მხოლოდ ზნეობაზე და რელიგიაზე მოძღვრავდა. შელინგმა თავის "გამოცხადების ფილოსოფიაში" სავსებით უგულვებელჰყო შტრაუსის მიერ ქრისტეს ცხოვრების მითოლოგიური ახსნა. როგორც კუნო ფიშერი გვამცნობს თავის გამოკვლევაში "შელინგზე" (1894 წ.), შელინგმა არ დაასახელა შტრაუსის სახელი და ისე აიგდო აბუჩად სახარების მითოლოგიური ახსნა-განმარტებები. შელინგმა მათში დაინახა მხოლოდ "უმწიფარი მტკიცებები მოცემული ფილოსოფიისა (მას მხედველობაში, ჰქონდა ჰეგელის ფილოსოფია), რომელნიც სავსებით უკუგდებული არიან გამოცხადების ფილოსოფიის მიერ და რომელნიც სავსებით ვერ მოიცავენ მის

13. D. Fr. Strauss, Das Leben Iesu, kritisch bearbeitet. Darmstadt 1969, დ. II. 732-38.

14. იქვე, II, 734.

ჭეშმარიტებებს. ასეთი ფილოსოფიის ცნებათა მარაგი, შელინგის აზრით, შეიცავს გაგების მხოლოდ ისეთ საშუალებებს, რომელნიც შესაძლებლობას აძლევს მას გამოცხადების ფილოსოფიის ჭეშმარიტებანი შეაფასოს უფერული, ფილისტერული გონების პოზიციებიდან".

მაგრამ მოვუსმინოთ თავად შელინგს: "საკითხი გამოცხადების მნიშვნელობასა და რეალობაზე დამოკიდებულია თავად ფილოსოფიის კრიზისზე, რომელიც უნდა დაწყებულიყო და დაიწყო კიდეც. ამიტომ მანამ, სანამ ისინი ირწმუნებიან, რომ ფილოსოფიაში, როგორც ამაზე ანდაზა მეტყველებს, ყველა დღე საღამოსა ჰგავს და საკეთებელი მეტი არაფერია, შეიძლება დამშვიდებით ვუმზიროთ იმ გმირობებს, რასაც ისინი ახდენენ ღვთისმეტყველებაში. მათი უუნარობა, ჩაწვდნენ დამოკიდებულებათა თავისებურებას, რომელიც ქრისტიანობაში ვლინდება და ასევე მათი ფილოსოფიის უსუსურობა, რომელსაც ასევე არ ძალუძს ამის გაკეთება, არ წარმოადგენს საიმისო მიზეზს, რომ მცოდნე პირებმა ამის გამო პოლემიკა გააჩაღონ; მათთვის ყველაფერი ეს ისედაც კარგად არის ცნობილი".[15]

ამ "მცოდნე პირებში" შელინგი აშკარად იმ მოაზროვნეებს გულისხმობს, რომელთაც შერწყმული ჰქონდათ რელიგიური გამოცდილება (ამ "გამოცდილებაზე" ქვემოთ) ღრმა განსჯის უნართან. მაგრამ ასეთი გამოცდილება ნამდვილად არ გააჩნდათ არც დ. შტრაუსს და არც ფ. ბაურს, რომელთა მისამართით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ "რადიკალური ისტორიული სკეპტიციზმი აღმოცენდა არა თავად კრიტიკული მეთოდების გამოყენებიდან, არამედ ამ მეთოდთა შეთავსებიდან არაკრიტიკულ და შეუცნობლად აღქმული პოზიტივიზმის პოსტულატებთან."[16] ქრისტეს აღდგომა არ შეიძლება მომხდარიყო, რადგან ეს სასწაულია, ამტკიცებდნენ ისინი, ხოლო სასწაული ბუნების კანონების დარღვევას ნიშნავს. ამიტომ ეს არის მითი. მართალია, დ. შტრაუსის მრავალი დასკვნა მოძველდა ან ცვლილება განიცადა, მაგრამ მსჯელობათა ჩონჩხი დარჩა, რასაც ეყრდნობა ე.წ. "სამეცნიერო ღვთისმეტყველება"[17] და პოზიტივისტური კრიტიკა სახარებისა, მაგ., რ. ბულტმანის მიერ მისი "დემითოლოგიზირება".

რას პასუხობს თანამედროვე თეოლოგია ყოველივე ზემოთქმულს, ანუ, შელინგის გამოთქმას თუ ვიხმართ, რა კონტრარგუმენტი გააჩნიათ "მცოდნე პირებს" სახარების პოზიტივისტური დესტრუქციის საწინააღმდეგოდ? საქმე ისაა, რომ "მცოდნეთა" მხრიდან საკითხი სულ სხვა სიბრტყეზე განიხილება და ამ პირთა რელიგიური გამოცდილება მიუღწეველია პოზიტივიზმის ნებისმიერი პოსტულატისთვის. თეოლოგი ჰანს კესლერი ქრისტეს აღდგომის ფაქტს შემდეგნაირად განიხილავს.[18] იგი ამბობს, რომ ჯვარცმულის აღდგომა არის სინამდვილე, რომელსაც ეწინააღმდეგებიან, რადგან იგი არსე-

15. Fr. W.I. Schelling, Philosophie der Offenbarung, Bd. 2, XXXIII.

16. Р.Дж. Коллингвуд, Идея Истории, М. 1980, стр. 131.

17. იხ. თ. ცოგლერის ზემოთ დასახელებული ნაშრომი; აგრეთვე, ამ საკითხის ირგვლივ ინტერესმოკლებული არ არის - А. Лосев, Диалектика мифа, М7 2001.

18. NHdth G, Bd. 1, München 1984, s. 94-95.

ბულ სამყაროს ეწინააღმდეგება. იგი ისტორიულად არ შეიძლება ობიექტურად ვერიფიცირებული იყოს, რადგან მის მიერ სასრული ისტორია ფეთქდება და მისი კონსტანტა, სიკვდილი, გარღვეულია. ამიტომ, სიკვდილის სინამდვილეზე მისი მტკიცება შეუძლებელია. პირიქით, იგი წარმოადგენს შეტევას სიკვდილისა და მოსპობის წარმომშვებ არსებულ სამყაროზე ისე, რომ იგი მათ კრიტერიუმებს არ ემორჩილება და სიკვდილის მიერ განსაზღვრულ სინამდვილეს არ შეესატყვისება (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მას მხოლოდ უნდა დაემტკიცებინა); მაგრამ ქრისტეს აღდგომის შეუთავსებლობა არსებულ სამყაროსთან ამავე დროს აღმნიშვნელია მისი დიდი მნიშვნელობისა ამ უკანასკნელისთვის. აღდგომის რწმენა თავის თავში შეიცავს ძალას სიცოცხლისა და სამყაროს გარდაქმნისათვის.

თეოლოგი ლუის მონდენი თავის წერილში "ქრისტეს სასწაულები" მის აპოლოგიას მიმართავს.[19] იგი, ნეტარი ავგუსტინეს ტრადიციის მიხედვით (Tract. Io. Ev. 24,I) სასწაულს განიხილავს, როგორც ნიშანს და შემდეგ ამტკიცებს, რომ თვით ქრისტეს მოწინააღმდეგეთა შორის არ იყვნენ ისეთნი, რომელნიც მისი სასწაულების ფაქტობრიობას უარყოფდნენ: ვერც ევანგელეთა გადმოცემისას და ვერც პირველი საუკუნეების იუდაურ-რაბინისტულ პოლემიკაში ვერ აღმოვაჩენთ ამგვარ უარყოფას. სახარებებში არცერთი სასწაული არ არის არასაჭირო, უმნიშვნელო, საეჭვო, როგორც ეს ხშირად ხდება მითოლოგიურ სასწაულებში. არ არის აგრეთვე დასჯითი სასწაული. იქ ვერ აღმოაჩენთ აღვირახსნილ სურვილს სასწაულისას. სასწაული არ ხდება არც მისი ბავშვობის და არც მისი წამების დროს. ისეთ მძლავრ ფიგურას სახარებისას, როგორიცაა იოანე ნათლისმცემელი, არცერთი სასწაული არ მიეწერება... სასწაულ შემთხვევათა გადმოცემისას მრავალი დეტალი არატენდენციურია, ისე, რომ მათ ვერ დასწამებ გამოგონილობას და მეორე მხრივ, ისინი ისეთი ტიპიური და ადამიანური არიან, რომ ამჟღავნებენ თვითმხილველის ყოფნას.

რიგი თანამედროვე ფილოსოფოსები და თეოლოგები ინარჩუნებენ პასკალის ტრადიციას (B. Pascal, Pensees, Fragm. 553), რომლის მიხედვითაც ამაღლებული ჯვარცმული ისტორიის დასასრულამდე "აგონიაში" რჩება დრამატულ ბრძოლაში სიკვდილთან და ამ ქვეყნად სიკვდილის მომტან თავადებთან. ამ მხრივ საყურადღებოა გამოჩენილი ფილოსოფოსისა და თეოლოგის კარლ რანერის წერილი: "აღდგომის რწმენის სპირიტუალობის შესახებ".,[20] სადაც იგი მაცხოვრის "სპირიტუალიზმს" ორად ყოფს: "ისტორიულად" და "აწმყო-მარადიულად", მაგრამ შემდგომ თავადვე აღნიშნავს, რომ ეს ორი გაგება "ერთადაა" და ქრისტეს რეალობა მუდმივ განიცდება მორწმუნესათვის. შესაძლოა, ამით აიხსნება ერთი უცნაური ფაქტი ჯვაროსნული ომების ისტორიიდან: როდესაც ჯვაროსნებმა 1099 წელს იერუსალიმი

19. Herders Theologisches Taschenlexikon, Bd. 8, herausg. von K. Rahner, Freiburg 1973.

20. Karl Rahner, Schriften zur Theologie (Theologie aus Erfahrung des Geistes), Bd. XIIm Zürich-Köln 1975.

აიღეს და მუსლიმთა ჟლეტას მიჰყვეს ხელი, ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სჯიდნენ უშუალოდ მათ, ვინც ქრისტეს ჯვარცმაში მიიღო მონაწილეობა.[21] რასაკვირველია, ჩვენს სეკულარიზებულ[22] საუკუნეში ამისი გამგები სულ ცოტა რჩება.

თანამედროვე თეოლოგია ითვალისწინებს კიდევ იმ ფაქტს, რომ ცალკეული ხდომილებანი ისტორიაში, თუკი ისინი ღვთის ქმედებებად იქნებიან მიჩნეულნი, ღვთის არსს მხოლოდ ნაწილობრივ აშუქებენ. ღვთის სრული გამოცხადება თავისი ბრწყინვალებით მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი ისტორია გაგებულ იქნება როგორც მთლიანი და მხოლდ ამის შემდეგ იქნება იგი გაგებული გამოცხადებად. მაშასადამე, ისტორია, როგორც მთლიანი, არის გამოცხადება ღვთისა. რადგან იგი ჯერ ბოლომდე არ არის მისული, ის მხოლო დასასრულიდან შეიმეცნება როგორც ღვთის გამოცხადება.[23] "ბერძნულ და რომაულ მითოლოგიებსა და გენეალოგიებში წარსული წარმოიდგინება როგორც მარად უწყვეტი საწყისი; ისტორიაზე ებრაული და ქრისტიანული შეხედულებების მიხედვით კი წარსული არის აღთქმა მომავლისა. ამრიგად, წარსულის ინტერპრეტაცია წარმოადგენს უკან მიმართულ წინასწარმეტყველებას".[24] "არც ისტორია შთანთქავს ესქატოლოგიას (ალბერტ შვაიცერი) და არც ესქატოლოგია - ისტორიას (რუდოლფ ბულტმანი). ლოგოსი ესქატონიდან არის დაპირება იმისა, რაც ჯერ კიდევ არ არის და ამიტომაც იგი შეიქმს ისტორიას. აღთქმა, რომელსაც ესქატონი აცხადებს და რომელშიაც ესქატონი ცხადდება, არის მოტორი, წარმართველი და ტანჯვა ისტორიისა."[25]

XX საუკუნის დასაწყისში გამოიცა ცნობილი გერმანელი თეოლოგისა და ისტორიკოსის ადოლფ ფონ ჰარნაკის წიგნი, მისი ლექციები - "ქრისტიანობის არსი" (1900 წ.).

ჰარნაკის წიგნი იმხანად რუსეთში გააკრიტიკა ფილოსოფოსმა ვლადი-

---

21. ამ საკითხს საგანგებო გამოკვლევა უძღვნა - P. Rousset. La conception de l'histoire a e'epoque feodale-Melanges d'histoire du Moyen Age dedies a la memoire de Louis Halpen. P., 1951. p. 623-33.

22. "სეკულარიზაცია" გაგებული როგორც თავდაპირველი ქრისტიანული იდეების, შემეცნებების და გამოცდილებების გარდაქმნა საყოველთაო-ადამიანურ გონებაში. სულიერი მოვლენები, იდეები და შემეცნებები, რომლებიც მანამდე ღვთის გამოცხადებებად, უშუალო ზემოქმედებებად და ამიტომ მხოლოდ რწმენისათვის იყვნენ განკუთვნილნი, მათი სეკულარიზების შედეგად ყოველგვარი რწმენის გარეშე ხდებიან ხელმისაწვდომნი გონებისათვის (იხ. Fr. Gogarten, Verhängnis und Hoffnung der Neuzeit - Die Säkularisierung als theologisches Problem. München 1963, s. 7.

ტ.ს. ელიოტი წერდა: "ავადმყოფობა, რითაც დაავადებულია თანამედროვე ეპოქა, მდგომარეობს არა მხოლოდ უუნარობაში, რწმენით მიიღოს ესა თუ ის წარმოდგენა ღმერთზე ან ადამიანზე, რაც ჩვენს წინაპრებს ასაზრდოებდა, არამედ უუნარობაში, განიცადოს ღვთისა და ადამიანის მიმართ ისეთი გრძნობა, რომელსაც განიცდიდნენ ისინი". ციტირებულია წიგნიდან: Э. Паунд, С.-П. 2003, стр. 46.

23. Jurgen Moltmann, Theologie der Hoffnung, 1997, s. 68.

24. K. Löwith, Weltgeschichte und Heilsgeschehen, 2. Aufl. 1953, 15.

25. J. Moltmann, Ebd. 150.

მერ ერნმა, რადგან ჰარნაკს ორჭოფული პოზიცია ეკავა სასწაულის საკითხში.[25] ერნის აზრით, ისტორიულ კვლევა-ძიებას საზღვარი აქვს და სიტყვა "არსი" მეტაფიზიკური ბუნების ცნებას წარმოადგენს. ამიტომ "არსი", როგორც ასეთი, არც ერთი მეცნიერების კომპეტენცია არაა; რაიმე საგნის არსი რომ გავარკვიოთ, ამ საგანზე უნდა გამოვთქვათ რამდენადმე აბსოლუტური მსჯელობა, ხოლო ასეთი მსჯელობა ისტორიას, როგორც მეცნიერებას, თავისი სპეციფიკის წყალობით ყველაზე ნაკლებად ძალუძს. ჰარნაკის წიგნის წარმატების საწინდარია, ვლ. ერნის აზრით, ის გარემოება, რომ თვითონ ჰარნაკი დიდი რელიგიური ინდივიდუალობაა და ამიტომ სადაც კი იგი ავითარებს რამდენიმე აბსოლუტურ მსჯელობას, რომლებიც დიდი სიღრმითა და მოქნილობით გამოირჩევიან, ამას ახერხებს თავისი რელიგიური განცდის და არა მშრალი მეცნიერების საფუძველზე.

ჰარნაკის ლექციებამდე ცოტა ხნით ადრე, 1892 წელს, გერმანიაში გამოვიდა პროფესორ მარტინ კელერის (M. Kähler) პატარა წიგნი სათაურით: "ეგრეთწოდებული ისტორიული იესო და გადმოცემის ბიბლიური ქრისტე" (Der sogennante historische Jesus und der geschichtliche biblische Christus). კელერი ამ წიგნში ამტკიცებდა, რომ ყოველგვარი ცდა ისტორიული იესოს სურათის კონსტრუირებისა იმთავითვე განწირულია. ასეთი სურათი სინამდვილის გაყალბება იქნებოდა, რადგან არსებული წყაროები, და ეს პირველ რიგში სახარებას ეხება, არ წარმოადგენენ იესოს ბიოგრაფიას თანამედროვე გაგებით: მათი მიზანი პიროვნების ცხოვრების მეცნიერული აღწერა კი არა, არამედ ეკლესიის დამფუძნებელი და რწმენის შემქმნელი ქადაგებაა. ქრისტე, რომელსაც რწმენა მოიცავს, იდენტურია "გადმოცემის" ("geschichtliche") ქრისტესი, რომელსაც მთელი ბიბლია ადასტურებს. "ისტორიული", კელერის აზრით, ისაა, რაც მოპოვებულ იქნა ისტორიული კვლევის საშუალებებით, უბრალო ფაქტები, რომლებიც შეიძლება დავურთოთ "გადმოცემის" ქრისტეს სურათს. ხოლო რწმენა აქ ეხება არა ისტორიულ ქრისტეს, არამედ "ზეისტორიულს", მარადიულს, რომელიც მაინც ისტორიულ ჟამთასვლაში იქნა გამოცხადებული. მაშასადამე, ცნება "ზეისტორიული" არ უარყოფს ქრისტეს ისტორიულობას.

რაც შეეხება "ისტორიული" იესოს სურათს, იგი კელერის აზრით, წარმოადგენს ბოლოდროინდელ კონსტრუქციას, რომელიც გაყალბებაა ევანგელეთა. ნამდვილი, ბიბლიური ქრისტე არის ნაქადაგები, ცოცხალი მეუფე, რომელიც ყოველ წამს იმყოფება ქრისტიანულ საზოგადოებაში. ეს ერთი და იგივე ქრისტეა, რომელსაც ადასტურებს სახარება და რომელიც სწამთ ქრისტიანებს. ტექსტთა ისტორიული კრიტიკით, კელერის აზრით, ჩვენ მაქსიმალურად მხოლოდ იმას მივაღწევთ, რომ შევეხებით თავდაპირველი რწმენის მოწმობებს, ნაწილს იმ ქადაგებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა უძველეს ქრისტიანულ საზოგადოებებში. რაც შეეხება სახარების ე.წ.

25ა. Методы исторического исследования и книга Гарнака "Сущность христианства". წიგნში: Владимир Эрн. Борьба за Логос. СПБ.

"წინააღმდეგობებს", ისინი მხოლოდ მოჩვენებითია. სინამდვილეში ეს სხვადასხვანაირი გადმოცემა ქმნის იესოს ერთიან სურათს, ხოლო ეს ერთიანობა, თავის მხრივ, მეტყველებს მის გამოუგონარ ხასიათზე. აი, როგორ მსჯელობს ამაზე თვით მ. კელერი (დასახ. ნაშრომი, გვ. 88): "ამ ფრაგმენტული გადმოცემებიდან, ამ გაუგებარი გახსენებებიდან, ამ აღწერილობებიდან, რომლებიც შეფერადებულია ავტორის თავისებურებისდა მიხედვით, ამ გულიდან ამოფრქვეული აღსარებებიდან და ამ ქადაგებებიდან, რომლებიც ქადაგებენ მის მაცხოვრისეულ მნიშვნელობაზე, შემოგვყურებს სიცოცხლით აღსავსე, თავის თავში ჰარმონიული, მარად საცნობი ადამიანის სურათი. ასე რომ, შესაძლებელი ხდება დასკვნის გაკეთება: აქ ადამიანმა თავისი შეუდარებელი და მძლავრი პიროვნებით, თავისი მოქმედებითა და უმაგალითო განცდით, თავისი მკვდრეთით აღდგომის დადასტურებით ისეთი მკვეთრი, ისეთი ღრმად შთაბეჭდავი ნიშნებით შთაბეჭდა თავისი ხატება ახლობლების გრძნობასა და მეხსიერებაში, რომ იგი არ ქრება და არც სახეს იცვლის".

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი რამ უდავოა, კერძოდ ის, რომ იესო ქრისტეს კაცთა შორის გამოცხადების ისტორია ბურუსითაა მოცული, რიგი თეოლოგების აზრით, ეს არცაა გასაკვირი, რადგან ღვთის განკაცება მოხდა სივრცისა და დროის ერთ განუმეორებელ წერტილში, იგი იმოსება ბურუსით, და ეს განგებ ხდება: ადამიანებმა უნდა "იწამონ" ეს, რის შემდეგ ხდება ღვთის "გულში" დამკვიდრება. მეორე მხრივ, თუკი სახარება "წარმოადგენდა უჭველო, უმაგალითო ენერგიისა და დაძაბულობის ისტორიულ ძალას, ეს იმიტომ, რომ იგი გამოვიდა ისტორიიდან, დაიბადა ცოცხალი ხალხის წიაღში, იყო ცოცხალი მომენტი ცოცხალი შემოქმედებისა, იგი იყო არა გამოგონილი აზრი, არამედ ორგანული განცდა, იგი იყო ხალხური რელიგიური ცნობიერების გარდაქმნა პირად რელიგიურ თვითშემეცნებად."[25ბ] ამგვარად, ერთი მხრივ, ქრისტიანული რელიგიის დამაარსებლის პიროვნების ისტორია ბურუსითაა მოცული, ხოლო, მეორე მხრივ, მისი გამოვლენა ისტორიაში დღევანდელობის ჩათვლით საოცარ რეალურ ძალას ინარჩუნებს მილიონობით მორწმუნეში.

იესო ქრისტე არსებობდა არა მარტო გამოცხადებამდე, არამედ დროთა შექმნამდე. იოანეს სახარებაში იგი ამბობს: "უწინარეს აბრაამისა მე ვიყავი"; "მე და მამა ვართ ერთი". იგი იყო და არის სამპიროვნული ღმერთის ერთი ჰიპოსტაზი. ესაა წმ. სამების დიდი საიდუმლო. ადამიანის წრფელი მიმართვა ქრისტესადმი უპასუხოდ არ რჩება. რელიგიური ცდა ქრისტეს განცდისა, მისი სუფევა სულში უნივერსალური სიყვარულია, რომელსაც თან მოაქვს უნივერსალური შემეცნებითი მნიშვნელობა, ერთი მხრივ, ქვეყნისა და ადამიანთა, მეორე მხრივ კი თვით ღვთის შემეცნება, უსასრულო მისტიკური ზეაღსვლა, თეოგნოსია... ცდა ამისა ყველა ქრისტიანის ვალია, თორემ წარმართნი მაინც გრძნობენ ქრისტეს, როგორც ბრმა გრძნობს მზეს (შელინგი). ამგვარად, ისტორიული ქრისტე მკვდრეთით აღდგომის შემდეგ

25ბ. Проф. М. Тарсев. Основы Христианства, СПБ., стр. 39.

ხდება ზედროული ქრისტე, რომელიც აწმყოში გვეცხადება. ასე შეიძლება მივუსადაგოთ ქრისტეს გერმანელი ფილოსოფოსის თეოდორ ლიტის სიტყვები: "ისტორიულად გაიგება არა მხოლოდ აწმყო წარსულისაგან, არამედ აგრეთვე წარსული აწმყოსაგან: რაც გასაგები უნდა გახდეს, პრინციპულად, არც ერთია და არც მეორე, არამედ არის ის შინაგანი, რაც ორივე მოვლენაში ხდება."[25გ]

ქრისტიანული ღვთისმეტყველება მატერია-სულის დუალიზმთან ერთად აღიარებს სხვაგვარ დუალიზმს; ესაა გარჩევა, რომელიც შეუქმნელ ყოფიერებას, ღმერთს უპირისპირებს ქმნილ ყოფიერებას. ნუთუ ღმერთი მხოლოდ სულთა ღმერთია და იგი ასევე არაა "ღმერთი ყოველთა სხეულთა"?[25დ] ამიტომაც გვპირდება უფალი თავის მეორედ მოსვლას, ადამიანთა სხეულებრივ აღდგომას და მათ საბოლოო განსჯას.

ამგვარად, ქრისტე იყო წარსულში, არის აწმყოში და იქნება მომავალში: "იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე" (ებრაელთა მიმართ 13,8). იგი დროთა მიღმა დგას. მასთან კავშირის დამყარებით ჩვენ მარადიულობას ვეზიარებით.

25გ. Th Litt. Geschichte und Leben, Leipzig, 1918, s.9.
25დ. ვლ. ლოსკის გამოთქმაა.

ლუდვიგ ფოიერბახის მიერ რელიგიის კრიტიკა და მისი ანტიკრიტიკა

ფოიერბახის შემოქმედებით აშკარად დასტურდება, თუ რაოდენ საშიში იყო ღვთის რწმენისა და ქრისტიანობისათვის ჰეგელის მიერ სასრული და უსასრულო ცნობიერების იდენტიფიკაცია, იდენტიფიკაცია ადამიანისა და ღმერთისა.[26] საკმარისია პოზიციის შეცვლა, რომ ყველაფერი უკუღმა გამოჩნდეს: სახელდობრ, სასრული ცნობიერება მაშინ არა უსასრულოში და ადამიანური სული არა აბსოლუტურ სულში "გაუქმდება", არამედ, პირიქით, უსასრულო ცნობიერება - სასრულში, აბსოლუტური სული - ადამიანურ სულში! და სწორედ ასე იქცევა ფოიერბახი: "ღვთის ცნობიერება ადამიანის თვითცნობიერებაა, შემეცნება ღვთისა ადამიანის თვითშემეცნებაა".[27] აქედან გამომდინარე, ფოიერბახი აცხადებს, რომ "თეოლოგიის საიდუმლოება ანთროპოლოგიაა". ამგვარად, ყოველგვარი ეთიკური იდეალიზმის მიუხედავად, ფოიერბახი დგას სენსუალისტური "მატერიალიზმის" პოზიციებზე,[28] რომელიც იმავე დროს ძალზე განსხვავდება ლამეტრის ან ჰოლბახის მექანისტური მატერიალიზმისაგან. ფოიერბახის მატერიალიზმი წარმოადგენს არამექანისტურ, ანთროპოლოგიურ მატერიალიზმს, რომელიც სამყაროსა და ადამიანს მხოლოდ თავისი თავიდან და მხოლოდ თავისივე თავის მეშვეობით ხსნის. აქ საინტერესოა თუ რას აცხადებს ფრ. ენგელსი, რომელიც 1886 წელს მოგვითხრობს ჰეგელიანური სკოლის რიგ წარმომადგენელთა მიერ, ცხადია მარქსთან ერთად ათეიზმისაკენ მკვეთრ გადახრაზე, რომლის მთავარი მასულდგმულებელი ფოიერბახის "ქრისტიანობის არსის" გამოჩენა იყო.[29] ხოლო საერთოდ იმდროინდელ სიტუაციას ლენინი შემდეგნაირად აფასებს: "ჰეგელის მოძღვრება რევოლუციური იყო. ჰეგელის რწმენამ ადამიანური გონებისადმი და მისი უფლებებისადმი და მისი ფილოსოფიის ძირითადმა დებულებამ, რომ მსოფლიოში ხდება მუდმივი პროცესი ცვლილებებისა და განვითარებისა, ბერლინელი ფილოსოფოსის ის მოწაფეები, რომელთაც არ სურდათ შერიგებოდნენ არსებულ სინამდვილეს, იმ აზრამდე მიიყვანა, რომ ბრძოლა სინამდვილის, არსებული უსამართლობისა და გამეფებული ბოროტების წინააღმდეგ დაფუძნებულია მარადიული განვითარების მსოფლიო კანონზე. თუკი ყველაფერი ვითარდება, თუკი რიგი დაწესებულებებისა სხვებით იცვლება, მაშინ რატომღა უნდა გაგრძელდეს მარადიულად თვითმპყრობელობა პრუსიის მეფისა ან რუსეთის იმპერატორისა, გამდიდრე-

---

26. H. Küng, Ebd. 231.

27. ფოიერბახის ციტატებს ჩვენ ვიღებთ პირველ რიგში მისი "ქრისტიანობის არსიდან" და აგრეთვე სხვა ოპუსებიდან - Sämtliche Werke, hrsg. von Bolin und Jodl, 10 Bde. 1959.

28. როგორც ვინდელბანდი წერდა "უბრალო და უხეში სენსუალიზმის" პოზიციებზე - Geschichte der neueren Philosophie, Bd. II, 1992.

29. F. Engels, Ludwig Feuerbach und der Ausgang der Klassischen Deutschen Philosophie (Stuttgart 1888), in: Marx-Engels-Werke Bd.21 (Berlin 1962).

ბა უმნიშვნელო უმცირესობისა უზარმაზარი უმრავლესობის ხარჯზე, ხალხზე ბატონობა ბურჟუაზიისა? ჰეგელის ფილოსოფია საუბრობდა სულისა და იდეის განვითარების შესახებ, იგი იდეალისტური იყო. სულის განვითარებიდან მას გამოყავდა ბუნების, ადამიანისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება. მარქსმა და ენგელსმა, შეინარჩუნეს რა ჰეგელის აზრი განვითარების მარადიული პროცესის შესახებ, უკუაგდეს წინასწარაკვიატებული იდეალისტური შეხედულება; მიტრიალდნენ რა ცხოვრებისაკენ, მათ დაინახეს, რომ სულის განვითარება კი არ განმარტავს ბუნების განვითარებას, არამედ პირიქით - სული უნდა განიმარტოს ბუნებიდან, მატერიიდან..." [30]

ამრიგად, ფოიერბახი ამტკიცებს, რომ "უსასრულოს ცნობიერება სხვა არა არის რა, თუ არა ცნობიერება ცნობიერების უსასრულობისა". ეს ნიშნავს: "უსასრულოს ცნობიერებაში ცნობიერების საგანი ხდება საკუთარი არსების უსასრულობა". ამდაგვარი გზით აღმოცენდება ღვთის ცნება, რაც ძალზე გასაგებია: ადამიანი თავის ადამიანურ არსებას თავის მიღმა აყენებს, იგი მას განიხილავს, როგორც მის გარეთ არსებულს, მისგან დაშორებულს; იგი პროეცირებას ახდენს ამ დამოუკიდებელი არსებისას ზეცაში, უწოდებს მას ღმერთს და ლოცულობს მასზე. მოკლედ, ღვთის ცნება წარმოადგენს სხვას არაფერს, თუ არა ადამიანის პროექციას: "აბსოლუტური არსება, ღმერთი ადამიანისა არის მისი საკუთარი არსება". ღვთაებრივი არის მიღმურში პროეცირებული საყოველთაო-ადამიანური. რას წარმოადგენენ ღვთაებრივი არსების თვისებანი: სიყვარული, სიბრძნე, სამართლიანობა...? ისინი სინამდვილეში ადამიანის თვისებებია, ადამიანური გვარისა. Homo homini deus est, ადამიანი არის ღმერთი ადამიანისა: ეს გახლავთ მთელი საიდუმლო რელიგიისა! ამგვარად, ბიბლიური "ღმერთმა შექმნა ადამიანი მსგავსად თავისი ხატისა" შეიცვალა საპირისპიროთი: ადამიანმა შექმნა ღმერთი თავისი ხატის მსგავსად. აი, ეს არის გასაღები, რომელიც ხსნის ღვთის მთელ საიდუმლოს ერთხელ და სამუდამოდ!

რას წარმოადგენს ინკარნაციის, ღვთის განკაცების საიდუმლო? განკაცებული ღმერთი არის მხოლოდ მოვლენა ღმერთად ქცეული ადამიანისა. იდუმალება ადამიანის მიმართ ღვთის სიყვარულისა არის სხვა არარა, თუ არა ადამიანის სიყვარული საკუთარი თავის მიმართ. რა არის ვნების, ღვთის წამების საიდუმლო? ეს არის იდუმალება ადამიანური გრძნობისა: ადამიანის ტანჯვა სხვისათვის. რა არის საიდუმლო სამებისა? ესაა საიდუმლო საზოგადოებრივი ცხოვრებისა: ღვთაებრივ სამებაში აისახება ადამიანური საზოგადოება "მესი", "შენის" და ერთიანობისა სულში. რას წარმოადგენს საიდუმლო ქრისტეს აღდგომისა? ეს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის სურვილის დაკმაყოფილება, რითაც იგი რწმუნდება, რომ მას პიროვნული უკვდავება გააჩნია და ა.შ.

---

30. В.И. Ленин, Соч., т. 2, 1941. стр. 7.

ამგვარად, განმანათლებლობის ეპოქისაგან განსხვავებით, როდესაც რელიგია მიაჩნდათ სიცრუედ და მის შექმნაში მღვდელთა შეთქმულებას სდებდნენ ბრალს, ფოიერბახი თითქოს ასე. ზედაპირული აღარ არის, რადგან, მისი აზრით, იგი რელიგიას უფრო ღრმად განიხილავს. ფოიერბახი, თავის "ქრისტიანობის არსში" წერს შემდეგს: "რელიგია არის უსასრულოს ცნობიერება; იგი ამგვარად არის და სხვაგვარად ყოფნაც არ ძალუძს, ადამიანის ცნობიერება თავისი, და სახელდობრ არა სასრული, შემოსაზღვრული, არამედ უსასრულო არსების შესახებ". მაგრამ დავსვათ ასეთი კითხვა: ამბობს კი ზემოთქმული რაიმე ისეთს, რაც გადაგვაწყვეტინებდა უარი გვეთქვა ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ უსასრულობაზე? ფოიერბახი თუმცა ამას გამუდმებთი ირწმუნებოდა, მაგრამ ამას მტკიცება არ ახლდა. ადამიანური არსების, გნებავთ ადამიანური გვარის უსასრულობა ასე უპირობოდ მიუღებელია, მითუმეტეს, რომ ფოიერბახი ყოველთვის ხაზს უსვამს მგრძნობელობას და ამით სინამდვილის სასრულობას. ფოიერბახს არასოდეს დაუსაბუთებია უსასრულობა ადამიანურ ძალთა, ადამიანური არსებისა ანდა გვარისა ან ბუნებისა, რომელთაც არ გააჩნიათ ზღვრები სივრცესა და დროში, არა აქვთ საწყისი და დასასრული. ეს მან მხოლოდ იგულისხმა და ამიტომ არის იგი მხოლოდ პოსტულატი. ახლა ვიკითხოთ: არის თუ არა ფოიერბახი თავად უკრიტიკო თავისი საკუთარი მონახაზების, პროექციების მიმართ? არის თუ არა ნამდვილი ადამიანი ცალკეული ადამიანი: ეს ხშირად შეზღუდული და სრულიადაც არა კარგი, და როგორც ამას ფოიერბახიც ხაზს უსვამს მოკვდავი და მაშასადამე სასრული ადამიანი? წარმოადგენს თუ არა "საყოველთაო ადამიანის არსება" აბსტრაქციას? ხომ არ ახდენს თავად ფოიერბახი აქ რაღაცის პროეცირებას თავისი თავიდან, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს? ხომ არ არის სწორედ ეს "საყოველთაო ადამიანი", ეს "საყოველთაო ადამიანური არსება" წმინდა წყლის პროექცია, რომელსაც ფოიერბახის მიერ საგნობრიობა და დამოუკიდებლობა ენიჭება?

საინტერესოა, რომ ამ მხრივ ფოიერბახს თვით მემარცხენე ჰეგელიანელების მხრიდან დაუპირისპირდა მაქს შტირნერი,[31] რომელმაც მისი "საყოველთაო ადამიანი" უარყო. ამასთან დაკავშირებით, მრავლისმეტყველია ფრიდრიხ ენგელსის წერილი კარლ მარქსისადმი, რომელიც 1844 წლის 19 ნოემბრითაა დათარიღებული: "შტირნერი მართალია, როდესაც იგი ფოიერბახის "ადამიანს", ყოველ შემთხვევაში "ქრისტიანობის არსისას" უარყოფს; ფოიერბახისეული "ადამიანი" ღმერთისაგანაა ნაწარმოები... "ადამიანი" ყოველთვის მოჩვენებაა, თუკი მას ბაზისი არა აქვს ემპირიულ ადამიანში".

ამის წაკითხვისას ძალაუნებურად გახსენდება, რომ ათეიზმის ყოველი ფორმა ირწმუნება, თითქოს წინამავალი ათეიზმისაგან განსხვავებით მან "ნამდვილად მიაგნო იმ შეცდომას", შეცდომის იმ ნამდვილ საფუძველს, რო-

31. M. stirner, Der Einzige und sein Eigentum (leipzig 1845).

მელსაც ემყარება ადამიანის ლტოლვა ტრანსცენდენტურისაკენ და რომელსაც ეფუძნება ყოველი რელიგია. გამოდის, რომ ყოველი ათეისტი მისი მომდევნო ათეისტისაგან გაკრიტიკებული ხდება, რაც ძალაუნებურად გვახსენებს ჰეგელის დიალექტიკურ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ახალი დროის ათეიზმი დანახულია როგორც მომენტი ღვთის განვითარების ისტორიაში, რომელშიაც ღმერთი თავისი თავის უარყოფ. ს გზით უკიდურეს გაუცხოებას ღებულობს თავისივე თავში და გადალახავს კიდევაც მას.

რაც შეეხება იდეალისტურ ბანაკს, ფოიერბახმა მკაცრი შეფასება დაიმსახურა ფილოსოფიის ისეთი ავტორიტეტისაგან, როგორიც ვილჰელმ ვინდელბანდია. ეს უკანასკნელი თავისი ფილოსოფიის ისტორიის მეორე ტომში (1880 წ.) წერს: "სული, გაგებული ჰეგელის მიერ, როგორც აუცილებელი თვითგაყოფა, ფოიერბახთან მხოლოდ ბუნებრივი ადამიანის გაორებად აღმოჩნდება თავისივე თავში. განვითარებას ღებულობს რა ამ მხრივ, მისი მოძღვრება იქცევა სულის თვითმკვლელობად, რომელიც ვარდება თეორიათა მორევში. ფოიერბახს კიდევაც უნდა დაესრულებინა იმით, რის განცხადებასაც აკეთებს თავისი თხზულებათა კრებულის წინასიტყვაობაში: "ჩემი ფილოსოფია მდგომარეობს მასში, რომ არ გამაჩნია არავითარი ფილოსოფია". ეს უკვე ჩავარდნაა უძირო უფსკრულში. ფოიერბახი - გზადაბნეული შვილია გერმანული იდეალიზმისა, რომელმაც უნდა დაამთავროს უკიდურესი გრძნობითი მატერიალიზმით... საწყისი ამ ტრაგედიისა ძევს დიალექტიკურ აგებულებათა უკმარისობაში... ამ უარყოფილი დიალექტიკის კვალი ჩანს იქ, სადაც ფოიერბახი განიხილავს "სულს", როგორც მატერიის უარყოფას, როგორც თავის თავში გაორებულ ბუნებას და სწორედ ამ მიზეზის გამო ებრძვის მას თეორიასა და პრაქტიკაში..."

ფოიერბახმა თავისი ათეიზმი, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიურად დაუფუძნა: ღვთის ცნება ფსიქოლოგიური პროდუქტია ადამიანისა. ფოიერბახის მიხედვით, რელიგია ეყრდნობა პირველ რიგში დამოკიდებულების გრძნობას, მაგრამ ეს გრძნობა წარმოადგენს შიდა სამყაროულ და ადამიანურ რეალობას (ბუნებაზე დამოკიდებულებას); იგი ეფუძნება საკუთარ ადამიანურ სურვილებს და მოთხოვნილებებს, საბოლოოდ, ყოვლისმომცველი ბედნიერებისაკენ ლტოლვას ადამიანში: "რადაც ადამიანი ისურვებდა გახდომას, სწორედ მას შეიქმს იგი თავის ღმერთად!" მაგრამ ისმის კითხვა: იმ ფაქტის აღიარებით, რომ ფსიქოლოგიური ფაქტორები ღვთის რწმენაში უმნიშვნელო როლს არ თამაშობენ, არის თუ არა გამორიცხული, რომ ეს ფსიქოლოგიური ფაქტორები რეალურ ობიექტს, რაიმე სინამდვილეს შეესაბამებოდნენ? უფრო კონკრეტულად თუ ვიკითხავთ: თუკი მე, ისევე, როგორც ყოველი შემეცნებისას და ასევე ღვთის შემეცნების დროს, ძალზე ბევრ საკუთარს საგანში ვდებ ანუ მასში გადამაქვს, მასში პროეცირებას ვახდენ, განა ამით უკვე დამტკიცებულია, რომ ეს საგანი მხოლოდ ჩემი პროექციაა: მხოლოდ ჩემი წარმოსახვაა და სხვა არაფერი? თუკი ღმერთზე მე ადამიანურად ვსაუბრობ, ადამიანური შესაძლებლობით, ამით რა, ღმერთი გაადამიანდა, ანუ, ადამიანად იქცა? "თუკი ღმერთები სასურველი არსებანი არიან, ამის-

აგან მათი არსებობის ან არარსებობის მხრივ არაფერი გამომდინარეობს" - აცხადებს ფილოსოფოსი ედუარდ ფონ ჰარტმანი და განაგრძობს: "სავსებით სწორია, რომ რაიმე ჯერ კიდევ არ არსებობს, რაკი იგი სასურველია; მაგრამ არასწორია, რომ მან იმიტომ არ უნდა იარსებოს, რაკი იგი სასურველია. ფოიერბახის მიერ რელიგიის მთელი კრიტიკა და ათეიზმის მთელი დასაბუთება ეფუძნება ამ ერთადერთ დასკვნას, ე.ი. მცდარ ლოგიკურ დასკვნას.[32]

მე ასევე შემიძლია სამყაროსეული ჩემი გამოცდილება ფსიქოლოგიურად ვაწარმოო, მაგრამ ეს არ მეტყველებს ჩემგან დამოუკიდებელი სამყაროს არსებობის საწინააღმდეგოდ. ასევე შემიძლია ღვთის გამოცდილების ფსიქოლოგიურად წარმოება, მაგრამ იგი არაფერს ამბობს ჩემგან დამოუკიდებელი ღმერთის არსებობის წინააღმდეგ. მოკლედ: ჩემს ფსიქოლოგიურ გამოცდილებას სინამდვილეში შეიძლება რაღაც სინამდვილე შეესაბამოს; ღვთის სურვილს შესაძლოა სავსებით ჭეშმარიტი ღმერთი შეესაბამოს.

აქ აღიძვრის საპირისპირო კითხვა: ხომ არ შეიძლეობდა, რომ ფოიერბახის მიერ ათეიზმის მიმართ დიდი ინტერესის გამო მისი სურვილი ყოფილიყო ასეთი აზრების აღმცენების მიზეზი? თავად ათეიზმი ხომ არ არის პროექცია ადამიანისა? პროექციის გამკრიტიკებელი თავად ხომ არ მოექცა ეჭვქვეშ, როგორც პროექციის აღმომცენებელი?

XX საუკუნის თეოლოგსა და ფილოსოფოსს პაულ ალტჰაუსს მოჰყავს რა ფოიერბახის ფრაზები, რომ "ღვთაებრივი არსება სხვა არაფერია, თუ არა თვით ადამიანური არსება" და "თეოლოგიის საიდუმლოება ანთროპოლოგიაა", იქვე აღეძვრება ეჭვი: მაგრამ აქ თავისთავად გასაგებად იგულისხმება ის, რაც ადამიანის გამოცანასა და სასწაულს წარმოადგენს: რომ იგი თავისი ემპირიული ყოფიერებისაგან საერთოდ ასხვავებს თავის იდეალურ არსებას და მათ ურთიერთდამოკიდებულებათა კონფლიქტებს განიცდის. ამიტომ, პ. ალტჰაუსი პირუკუ ატრიალებს ამ თეზას და ამტკიცებს: "ანთროპოლოგიის საიდუმლოება თეოლოგიაა".[33]

ასევე საინტერესოა XX საუკუნის თეოლოგის კარლ ბართის აზრი: "ნამდვილი ადამიანი უნდა ყოფილიყო, თუკი სავსებით ექსისტენციალურად უნდა გავიაზროთ იგი, ცალკეული ადამიანი. ფოიერბახი თავისი დროის თეოლოგიასთან ერთად ოპერირებდა საყოველთაო ადამიანით და მით, რომ მას ღვთაებრიობა მიაწერა, მას ნამდვილ ადამიანზე ფაქტობრივად არაფერი უთქვამს. და რაკი იგი ამ ორს ერთმანეთში ურევდა და მაშასადამე ცალკეულ ადამიანზე საუბრობდა, თითქოს იგი ის საყოველთაო ადამიანი ყოფილიყოს, და ამ ცალკეულ ადამიანს ღვთაებრიობას მიაწერდა, დამოკიდებული იყო იმაზე, რომ მან როგორც ცალკეული ადამიანის ბოროტებაზე, ასევე იმის შესახებ, რომ ეს ცალკეული უნდა მოკვდეს, როგორც ჩანს, სერიოზულად და ნამდვილად არაფერი უწყოდა. ეს რომ მას სცოდნოდა,

---

32. E. von Hartmann, Geschichte der Metaphysik, Bd. II, Darmstadt 1969, 444.
33. P. Althaus, Grundriss der Dogmatik, 1952.

მაშინ შესაძლოა ფაქტიური ხასიათი იმ საყოველთაო ადამიანისა დაენახა და აღარ მოეხდინა იდენტიფიცირება ღვთისა ადამიანთან, რომელსაც ის აბსტრაქცია ექნებოდა ჩამოშორებული, ე.ი. ნამდვილ ადამიანთან. მაგრამ რაც შეეხება მისი დროის თეოლოგიას, მანაც არ უწყოდა ასე მტკიცედ არც ცალკეულის, არც ბოროტების და არც სიკვდილის შესახებ, რომ ამ მიმართულებით ფოიერბახი დაემოძღვრა."[34]

საინტერესოა, როგორც გერმანელი ფილოსოფოსი კარლ ლოვითი აღნიშნავს, ფოიერბახის მიერ ფილოსოფიის "გარელიგიურებამ" გამოიწვია ბოლოს მისი პოლიტიკით შეცვლა, ე.ი. პოლიტიკა იკავებს რელიგიის ადგილს და ეს ხდება ათეიზმის შედეგად![35]

34. K. Barth, Die protestantische Theologie im 19. Iahrhundert, s. 489.
35. Karl Löwith. von Hegel zu Nietzsche, Stuttgart 1958, s. 94-95.

კარლ მარქსის მიერ რელიგიის კრიტიკა და მისი ანტიკრიტიკა

შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ფოიერბახის ან მარქსის კრიტიკა, აღარას ვამბობ ფროიდსა და ნიცშეზე, როგორც ათეიზმის წყაროებზე, მათი ისტორიული სიშორის გამო უკვე მოძველებულია. არ არის ეს სწორი. დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ დღევანდელი ათეიზმი, როგორც ვამპირი, კვლავ მათ ღრღნის და მათი აზრების ვარიერებით კვლავ მათი სისხლით იკვებება.

თუ ლუდვიგ ფოიერბახმა ზუსტად არ იცოდა რად ახდენს ადამიანი თავისი გაიდეალებული არსის, როგორც "ღმერთის", პროეცირებას, ეს "იცის" კარლ მარქსმა, როდესაც ადგენს საფუძველს ამ პროეცირებისას: სოციალ-ეკონომიკური ვითარება, რომლის დროსაც ხდება ადამიანის გაუცხოება და მისი ექსპლუატაცია, ძალაუნებურად აღძრავს სურვილს, რომ ადამიანმა ნუგეში რელიგიაში ჰპოვოს. მაგრამ კაცმა რომ თქვას, თუ ზემოთქმული მოსაზრება სწორია, მაშინ შეძლებულ კლასებში სრულიად უნდა აღმოფხვრილიყო რელიგიურობა, რაც ფაქტობრივად ასე არ არის და სინამდვილეს არ შეეფერება.

მარქსის აზრით, არასწორი, უსამართლო, არაადამიანური საზოგადოება წარმოშობს ასეთსავე არასწორ რელიგიურ ცნობიერებას ადამიანში. რელიგიური გაუცხოება საჭიროებს, მაშასადამე, არა მხოლოდ საყოველთაო განმანათლებლურ კრიტიკას, არამედ პრაქტიკულ კრიტიკას უსამართლო და არაადამიანური საზოგადოებრივი დამოკიდებულებებისას, რომელნიც რელიგიას წარმოშობენ და რომელიც თავის მხრივ მას სანქციონირებას უკეთებს, მხარს უმაგრებს, ამართლებს და ნუგეშისცემის მეშვეობით სიცოცხლეს უხანგრძლივებს: "რელიგია არის ამ ქვეყნის საყოველთაო თეორია..., მისი მორალური სანქცია, მისი საზეიმო გაგრძელება, მისი საყოველთაო ნუგეში და გამართლების საფუძველი. იგი არის ფანტასტიური განსხეულება ადამიანური არსებისა, რადგან ადამიანურ არსებას არ გააჩნია ჭეშმარიტი სინამდვილე. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა ამრიგად, არის არა უშუალო ბრძოლა იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომლის სულიერ კეთილსურნელებასაც რელიგია წარმოადგენს."[36] საბოლოოდ, რელიგია არის დამამშვიდებელი და გამაბრუებელი საშუალება, რომელიც ნაცვლად ჭეშმარიტი ბედნიერებისა, ილუზორულ ბედნიერებას ქმნის: "იგი არის ხალხის ოპიუმი."[37] მარქსს სჯეროდა, რომ როგორც კი ეკონომიკურ-საზოგადოებრივი მდგომარეობა გამოსწორდებოდა, რელიგიაც, რომელიც ანარეკლი იყო ამ ვითარებისა, როგორც ილუზია, გაქრებოდა. ამიტ-

---

36. K. Marx, Kritik der Hegelschen Rechtsphilosophie, in: Werke I, 488 [K. Marx, Werke - Schriften - Briefe, hrsg. von H: I. Lieber und P. Furth, Bd. I-VII, Darmstadt 1962]

37. Ebd და არა "ოპიუმი ხალხისათვის, რომელსაც მას გაბატონებული კლასი აწვდის". ანტირელიგიური ბრძოლის გასამძაფრებლად ასე გადაასხვაფერა ლენინმა მარქსის გამოთქმა თავის წერილებში რელიგიაზე.

ომ, მისი აზრით, რელიგია არ საჭიროებს ძალისმიერ ამოძირკვას. უბრალოდ, მაშინ მისი არავითარი საჭიროება აღარ იქნება. რელიგიური ცნობიერება თავისით მოკვდება, როგორც კი ახალი კომუნისტური საზოგადოებრივი წყობა დამყარდება - ჭეშმარიტი ადამიანის განსხეულება თავისუფლების სამყაროში.

მარქსის უდავო დამსახურებაა იმის დადგენა, თუ ეკონომიკური ცვლილებები რა მძლავრი მამოძრავებელია მსოფლიოსათვის; თუ რა ძლიერ ზემოქმედებს ადამიანის ნამდვილ გაუცხოებაზე ტექნოლოგიის განვითარება და ახალი საშუალებები პროდუქციის მისაღებად; რა დიდია საერთოდ ეკონომიკის ზეგავლენა იდეათა ისტორიაზე და აგრეთვე რელიგიის ისტორიაზე. მაგრამ ფოიერბახთან კავშირში აშკარად გამოჩნდა: რელიგიაზე და ღვთის ცნებაზე ფსიქოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების მიუხედავად, არაფრის თქმა არ შეიძლება თვით ღვთის არსებობისა თუ არარსებობის შესახებ! ასევე მარქსთან: რელიგიაზე და ღვთის ცნებაზე ეკონომიკურ-საზოგადოებრივი ფაქტორების უცილობელი ზემოქმედების მიუხედავად, არავითარ შემთხვევაში არ მიიღება დადებითი ან უარყოფითი პასუხი ღვთის არსებობისა თუ არარსებობის თაობაზე!

განვიხილოთ ფრაზა: "ადამიანი შეიქმს რელიგიას". მარქსს არასოდეს მოუხდენია თავისი ცნების დეფინიცია რელიგიის შესახებ. დავუშვათ, ზემომოყვანილი ფრაზა სწორია, თუკი "რელიგიაში" რელიგიური წარმოდგენები, ცხოვრების ფორმები, მაშასადამე ადამიანური მოძღვრებანი, დოგმები, ლოცვები და სიმღერები, რიტუალები და წესები იგულისხმება. მაგრამ: მართალია იგი მაშინაც, თუკი "რელიგიაში" ცენტრალური შინაარსი, საკუთრივ არსი რელიგიისა, ანუ თვით ღმერთი იგულისხმება? ადამიანი შეიქმს თავის წარმოდგენებს ღმერთზე (და სამყაროზე), მაგრამ ამით იგი ქმნის თვით ღმერთს (და სამყაროს)?

ცხადია, ადამიანი იაზრებს ღმერთს, ქმნის მასზე წარმოდგენებს, ხატებს, ცნებებს. მაგრამ ამით სრულიადაც არ არის დამტკიცებული, რომ ღმერთი მხოლოდ პროდუქტია ადამიანური აზროვნებისა და წარმოდგენისა. დავუშვათ: წარმოდგენები ღმერთზე ადამიანის ქმნილებებია. მაგრამ ამით არ მტკიცდება, რომ თვით ღმერთი ადამიანის ქმნილებაა. ამრიგად, მარქსის ათეიზმი წარმოადგენს წმინდა წყლის ჰიპოთეზას, დოგმატური პრეტენზიის მქონე დაუმტკიცებელ პოსტულატს. რაც შეეხება საბოლოო კითხვებს, სიკვდილისა და გარდაცვალების საზრისის შესახებ, მარქსიზმ-ლენინიზმი უსუსურია ცალკეულ ადამიანს რაიმე ახსნა მოუძებნოს წინააღმდეგობათა გარეშე. კომუნისტური საზოგადოების საყოველთაო პათოსი (წინსვლა, სოციალიზება, ჰუმანიზირება, უკლასო საზოგადოება) არაფრის მთქმელია ამ საბოლოო კითხვებზე.[38]

---

38. როგორც გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსი ნიკოლაი ლოსკი წერს: "მატერიალიზმი უფრო მჭიდროდ და უშუალოდაა დაკავშირებული ათეიზმთან, ვიდრე ნებისმიერი სხვა თეორია". რადგან მარქსიზმ-ლენინიზმის მთავარი იარაღი ე.წ. "დიალექტიკური მატერიალიზმი" იყო და მას ქრისტიანობის წინააღმდეგაც იყენებდნენ, სასურველი იქნება თუკი მკითხველი გაეცნობა "დიამატის" კრიტიკას იმავე ნ. ლოსკის მიერ ჟურნ. "რელიგიაში" №5, 1992. გერმანული ენის მცოდნეთათვის კი საჭიროდ მიგვაჩნია რათა გაეცნონ I.M. Bochenski, Marxismus-Leninismus, München 1973.

ფროიდის მიერ რელიგიის კრიტიკა და მისი ანტიკრიტიკა

საკითხი სხვადასხვა რელიგიათა აღმოცენების შესახებ, განსხვავებით ქრისტიანი და იუდაისტური თეოლოგებისაგან, რომელნიც მას ოდითგანვე დოგმატურ საკითხად განიხილავდნენ, ფროიდისათვის, როგორც თავისთავად ცხადი, ფსიქოლოგიური საკითხია.[39] რელიგიის ფსიქიკური წარმომავლობა განმარტავს მის არსს. სიზმრებისა და ნევროზული სიმპტომების მეშვეობით აღმოჩენილ მოდელს, რომელიც სურვილთა აღსრულებას ემსახურება, ფროიდი რელიგიის ფენომენისთვის იყენებს. მისი აზრით, რელიგიური წარმოდგენები შეუცნობელში რაიმე გამოცდილების დანალექი ან აზროვნების შედეგი კი არ არის, არამედ ილუზიები, კაცობრიობის სურვილთა უძველესი, უმძლავრესი, გადაუდებელი აღსრულებაა; იდუმალება მათი ძალისა ამ სურვილთა ძლიერებაში მდგომარეობს". "ბუნდოვანი შინაგანი აღქმა საკუთარი ფსიქიკური აპარატისა აღძრავს აზრობრივ ილუზიებს, რომელთა პროეცირება, ბუნებრივია, ხდება გარეთ, მომავალში ან მიღმურში. უკვდავება, სამაგიეროს მიზღვა, მთლიანად იმქვეყნიური - ჩვენი შინაგანი ფსიქიკურის ასეთ გამოსახვებს წარმოადგენენ... ფსიქომითოლოგია". როგორც ვხედავთ, აქ ფროიდი საუბრობს ისევ პროექციებზე და მისი დამოკიდებულება ფოიერბახზე აშკარაა.

მაგრამ ყველა ეს სურვილები ინფანტილური სურვილებია, რომლებიც მომდინარეობენ "ბოლომდე ვერ გადალახულ ბავშვობის კონფლიქტებისა მამობის კომპლექსიდან". ბავშვობის კონფლიქტები ორმაგი აზრით: ბავშვობა ადამიანური ინდივიდუმისა და ბავშვობა ადამიანური გვარისა. კონფლიქტები, არსებული, მაშასადამე, კაცობრიობის უკვე ადრეული ხანიდან; რადგან ცალკეულის ბავშვობა ანარეკლია კაცობრიობის ბავშვობისა, ონტოგენეზი ადამიანური ინდივიდუუმისა ანარეკლია ადამიანური გვარის ფილოგენეზისა! ორივე შემთხვევაში მამის მონატრება საფუძველია რელიგიური მოთხოვნილებისა, ორივე შემთხვევაში ოიდიპოსის კომპლექსი ცენტრალურ როლს თამაშობს.

როგორც ვხედავთ, აქ აქცენტი კეთდება ადამიანისა და კაცობრიობის ბავშვურ უმწეობაზე უზარმაზარ საშიშროებათა წინაშე გარედან და საკუთარი შიდა ბუნებიდან. რა კავშირშია ეს უმწეობა რელიგიასთან? კულტურა გახლავთ ის, რაც ცალკეულს რელიგიურ წარმოდგენებს უქმნის და შეუქმნის. კულტურის სხვა მიღწევებთან ერთად, რელიგია აღმოცენდება იმ აუცილებლობიდან, რათა თავი დაიცვან ბუნების ზემძლავრ ძალთაგან, ბედის-

---

39. ფროიდის რელიგიასთან მიმართების საკითხში ჩვენ არა მარტო მის "ერთი ილუზიის მომავალს" ვეყრდნობით, არამედ სხვა შრომებსაც - S. Freud, Gesammelte Werke. Chronologisch geordnet, Bd. I-XVIII, Frankfurt 1960-68. ასევე ვგულისხმობთ, რომ მკითხველს გააჩნია ელემენტარული წარმოდგენები, თუ რა არის "ფსიქოანალიზი", "ლიბიდო", "ოიდიპოსის კომპლექსი" და სხვ.

აგან. როგორ ხდება ეს თავის დაცვა? იმით, რომ უძლური ადამიანი ამ ზემძლავრ ძალებთან კავშირს ამყარებს და მათზე ზემოქმედებას ცდილობს, ეროკლედ, გულუბრყვილო ბავშვობით მათ გაადამიანურებას, მათ პერსონიფიცირებას ლამობს. მაგრამ ვინაიდან ამ საშიშ ძალებთან მას არ შეუძლია ურთიერთობა, როგორც თანასწორთან, ისინი ღებულობენ მამის სახეს. მფარველობის საჭიროება და მამის მონატრება, ამგვარად, იდენტური აღმოჩნდება. ეს ნიშნავს: უძლური ადამიანი ქმნის ღმერთებს, ერთდროულად საშიშსა და შემბრალებლებს, ბუნების ამბივალენტურ ღვთაებებს შიშისა და ნუგეშისცემისას. თვით ადამიანის მიერ ბუნების კანონებისა და მოვლენების თანდათანობით განჭვრეტის მერეც არ კარგავენ ეს ღვთაებები თავიანთ ფუნქციას, რადგან "უმწეობა ადამიანისა რჩება და ამით - მისი მოთხოვნილება მამისა და ღმერთებისა". ღმერთებს გააჩნიათ სამგვარი ამოცანა: მათ უნდა განდევნონ ბუნების საშინელებანი, ადამიანი უნდა შეარიგონ ბედთან და სიკვდილთან. ბუნების კანონების ცოდნის ზრდასთან ერთად ადამიანი თავისი რელიგიური წარმოდგენების კონცენტრირებას ახდენს ღმერთების მესამე, მორალურ ფუნქციაზე: ღმერთებმა ადამიანს უნდა შესთავაზონ სიცოცხლის უფრო ამაღლებული მიზანი, ზესამყაროსეული ინტელექტი ანუ განგება, ზნეობრივი კანონების სანქციონირება, სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. ამგვარად, ადამიანისათვის ნათელი ხდება ღმერთის სიბრძნე, მისი ყოვლისმომცველი სიკეთე და სამართლიანობა, ხოლო - ებრაელთათვის - მისი არსების ერთადერთობაც. მხოლოდ ახლა, ერთადერთი ღმერთის წინაშე, შეიძლება აღმოცენდეს ნამდვილი მამა-შვილის ურთიერთობა.

ასე და ამგვარად წარმოიშვა რელიგია კაცობრიობის უძველეს, უმძლავრეს და გადაუდებელ სურვილთაგან. რელიგია არის სურვილით მოაზრებული, იგი - ილუზიაა! ილუზია ნიშნავს: რელიგია, ყოველ შემთხვევაში, არ წარმოადგენს ტყუილს მორალური გაგებით და აგრეთვე - ფროიდი ამას ხაზს უსვამს - არც შეცდომას შემეცნების თეორიისეული გაგებით; რელიგია არ არის აუცილებლობით ილუზორული არარეალისტური გაგებით ან რეალობასთან წინააღმდეგობის გაგებით. ილუზია, რაც მისთვის დამახასიათებელია, მოტივირებულია სურვილის აღსრულების საჭიროებით, მაშასადამე, წარმოადგენს გრძნობად-ინსტინქტურის პროდუქტს, რომლის გაშიფვრა საჭიროებს გამოყენებითი ფსიქოლოგიის განმარტების ტექნიკას.

ფროიდისათვის ყველა რელიგიური მოძღვრება დაუმტკიცებადი ილუზიაა და ამიტომ არავინ არ უნდა იყოს იძულებული, ისინი ირწმუნოს. თუმცა, ამავე დროს, მათი უკუგდება შეუძლებელია. ამიტომ ისინი კარგა ხანია, რაც რწმენას არ იმსახურებენ. ზოგიერთი მათგანი, ფსიქოლოგიურად თუ განვიხილავთ, იმდენად დაუჯერებელია, რომ ბოდვით იდეებს ემსგავსება (ესაა ფროიდის ძველი იდეა, რომელიც რიტუალებს განიხილავს, როგორც აკვიატებულ ქმედობებს და რომელიც მან განაკრცო რელიგიურ დოქტრინებზე).

აქ უნდა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ფროიდი დაკავებულია რელიგიური წარმოდგენების (როგორც ილუზიების) ფსიქოლოგიური ბუნებით და არა მათი ჭეშმარიტების შინაარსით (როგორც სინამდვილით). იგი წერს:

"ამ გამოკვლევას მიზნად არ ჰქონია რელიგიური მოძღვრებების ჭეშმარიტებათა ღირებულების მხრივ რაიმე აზრის გამოხატვა. ჩვენთვის საკმარისია, რომ ისინი, მათ ფსიქოლოგიურ ბუნებაში, როგორც ილუზიები შევიცანით".

ახლა კრიტიკის სახით უნდა განვაცხადოთ, რომ ფროიდის მიერ ღვთის რწმენის ახსნა მისი ფსიქოლოგიური წარმომავლობით თავად ღვთის რწმენას ვერ უარყოფს. წარმოადგენს თუ არა ფსიქიკური რელიგიას, როგორც მთლიანობას? მივაქციოთ ყურადღება: ფროიდმა რელიგიური წარმოდგენების ვერც საფუძვლიანი დესტრუირება და ვერც მათი უარყოფა მოახდინა. მხოლოდ ფსიქოლოგიურ განმარტებას, თავისი არსიდან გამომდინარეს, არ ძალუძს საბოლოო ან თავდაპირველ სინამდვილესთან მიღწევა: იგი მათ მიმართ სავსებით ნეიტრალურია. ამიტომ ფროიდის ათეიზმიც, რომელიც მისთვის, პირველ ყოვლისა, ფსიქოანალიტიკურ აღმოჩენებში მდგომარეობდა, თავს ამეღავნებს, როგორც წმინდა ჰიპოთეზა, როგორც დაუმტკიცებელი პოსტულატი, როგორც დოგმატიკური პრეტენზია.[40]

ფროიდის კიდევ ერთი შეტევა რელიგიაზე: "თუკი რელიგიურ მოძღვრებათა ჭეშმარიტება დამოკიდებულია შინაგან განცდაზე, რაც ამ ჭეშმარიტებას ადასტურებს, რა ვუყოთ მაშინ მრავალ ადამიანს, რომელთაც ასეთი იშვიათი განცდა არ გააჩნიათ? შესაძლოა ყველა ადამიანს მოვთხოვოთ, რომ მათ თავიანთი გონების უნარი, რისი მფლობელებიც არიან, გამოიყენონ, მაგრამ შეუძლებელია ყველა დავავალდებულოთ იმ საფუძველს დაეყრდნონ, რომელიც მათ არა აქვთ და მხოლოდ მცირეოდენს თუ მოეპოვება".

---

40. H. Küng, Ebd. მართლაც საინტერესოა საკითხი: წარმოადგენს თუ არა ფსიქიკური რელიგიას, როგორც მთლიანობას?

აქ თავისთავად მივადექით სასწაულის საკითხს და იმას, რომ რელიგია მარტო ფსიქიურში არ იკვეტება. ნეტარი ავგუსტინეს აზრით, ბუნებაში და ადამიანთა სამყაროში ყველა ხდომილება "სასწაულია", რადგანაც მათ ღვთის სიდიდისა და სიკეთის გამოცხადება ძალუძთ. მაგრამ ამთგან განსაკუთრებული "სასწაულები" შეიძლება იქნან გამორჩეულნი, ვინაიდან თავიანთი იშვიათობით და უჩვეულობით ისინი უფრო მეტად ატარებენ მინიშნების ხასიათს. ისინი საჭირონი გახდნენ, რადგანაც "სასწაულები" რომელთა მეშვეობითაც ღმერთი მთელ სამყაროსა და კრძილებას განაგებს, ჩვენთვის, ყოველდღიურობის გამო, ისე გაიცვითნენ, რომ თითქმის არავინ თვლის ყურადღების ღირსად, რომ ყოველ თავთავის მარცვალში ღვთის სასწაულებრივი და განსაცვიფრებელი კრძილება დაინახოს". სახარებისეული ისტორია პურთა გამრავლებისა იმ სასწაულს წარმოადგენს, რომელიც ადამიანებს ეჩვენა არა იმის გამო, რომ "იგი უფრო დიდია, არამედ იმიტომ, რომ იგი უფრო იშვიათი სასწაულია..." სასწაული, რომელიც რწმენას აღვიძებს.

ვერაგობაა "ფსიქოლოგიური" ფაქტორით ვერ ახსნით, თუ რატომ არ ფუჭდება ნაკურთხი წყალი. ცნობილი მეცნიერი კონსტანტინე ასე პასუხობს ერთ-ერთ სკეპტიკოსს ამის თაობაზე ("რელიგია", №4, 1992): "წყალში ვერცხლის ჯვრის ამოვლება აქ არაფერ შუაშია, შეიძლება ჯვარი დამზადებული იყოს სულ სხვა მასალისაგან (ტენებით, ლითონის, ქვის, ხის). ამაც დროს მტკიცედ უნდა განვაცხადოთ, რომ ვერცხლის ამოვლება ხანგრძლივად ვერ დაიცავს წყალს გაფუჭებისაგან, თანაც რელიგიის მსახურს საშუალება არა აქვს ყველგან გამოიყენოს ვერცხლის ჯვარი. სახლისკურთხევის დღეს ეკლესიაში მრავალად მოაქვთ ეპიროფილაქტიკური ჭერქვლით წყალი საკურთხევლად, რომელშიც ვერცხლის ჯვრის ჩაგდება შეუძლებელია. წყალს აკურთხებენ ორკანონად და არა მღვდელი, რელიგიის მსახურმა გაეცნოს

აქ ფროიდი უკვე ცდილობს, გზა გადაუკეტოს ადამიანში ყოველგვარ მისტიკურ წიაღსვლას, ცხადია, თუ "შინაგან განცდას" დავარქმევთ იმ ამაღლებას, იმ ჭვრეტის უნარს, რომელიც ლოცვით დაწყებული ღმერთს მიგვაახლებს, რომლის დროსაც ადამიანი ენით გამოუთქმელ ნეტარებას განიცდის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, ეს ხდება, ასე ვთქვათ, თვით ღვთის ნება-სურვილით, ინიციატივითა და მისი განსაკუთრებული მადლით. ღვთის შემეცნების ამ გზაზე ქვემოთ ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით, ხოლო ახლა კი ვიკითხავთ: ვთქვათ ადამიანს არა აქვს განვითარებული მუსიკის აღქმის უნარი - რა, ეს იმას ნიშნავს, რომ, მუსიკა, როგორც მოვლენა არ არსებობს?! ეს მაგალითი ზოგს შეიძლება უხეშ შედარებად მოეჩვენოს და შესაძლოა ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ ის შემთხვევით არ შეგვირჩევია: ცნობილია, რომ ფროიდი ვერ იტანდა მუსიკას.[41] ფროიდის და მის მოწაფეთა რიგ შეცდომებზე საუბრობს "თანამედროვე რელიგიურობის" შემსწავლელი ფსიქოლოგი ვერნერ გრიუნი თავის სოლიდურ გამოკვლევაში.[42] ასევე ისტორიკოსი არონ გურევიჩი დაუშვებლად მიიჩნევს ფროიდის სქემების გამოყენებას შუა საუკუნეების ადამიანზე.[43]

ცნობილი გერმანელი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ზემოხსენებული პაულ ალტჰაუსი, საკითხის თავდაყირა დაყენებად მიიჩნევს, როდესაც ღვთის რწმენას ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზი ხსნის "იდეალიზებული მამობის კომპლექსით". აქ, რაც თითქოს თავისთავად გასაგებია, "მამობის იდეალი" და ის, რაზედაც, როგორც წმინდა იმანენტურზე, სურთ დაიყვანონ ღვთის ცნება, თვითონ მოითხოვს ახსნას. მართლაც, როდესაც ყოველ მიწიერ

წყალსადენი მილი და შიგ გერცხლის ჯვარი მოათავსოს. ყველა წყალს, სხვადასხვა პირობებში ნაკურთხს, ერთნაირი, უცვლელი თვისება აქვს: უხრწნელობა, ყოველთვის, სულერთია ჭურჭელი ღია თუ დახურული (ოღონდ უნდა იყოს სუფთა, წაუბილწავი), წყალი მუდამ ინარჩუნებს წმინდა თვისებას". ჩვენ შეგვეძლო განგვეგრძო მიტროპოლიტის მონათხრობი "ლიტანიის კვერცხზე", რომელიც ასეთივე ბუნებისაა და სხვა დადასტურებულ სასწაულებზე, რომლებიც ნამდვილად მეტყველებენ იმის თაობაზე, რომ რელიგია არ ისაზღვრება მხოლოდ ფსიქიკურით.

კიდევ ერთი მაგალითი სასწაულისა, რომელსაც განსხვავებულად (ნეტ. ავგუსტინესაგან) უყურებს დიდი გერმანელი პოეტი კლემენს ბრენტანო. ცნობილია, თუ ძალზე აღელვა ცნობამ იმის შესახებ, რომ მონაზონ ანა-კატარინე ემერიკს ტანზე სტიგმატები გაეხსნა. ბრენტანოს გერმანული გამოცემის წინასიტყვაობაში ს. ავერინცევი ამის თაობაზე გვაუწყებს: "თანამოსაუბრემ ირონიზირება დაიწყო ბრენტანოს აღელვებაზე: რა საჭიროა ასეთი სასწაულები, თუკი ჩვენს ირგვლივ არაფერია ისეთი, რაც სასწაულს არ წარმოადგენს (ბრენტანომ დაუყოვნებლივ გამოაჯავრა ეს პასუხი. ეპიგრამაში, როგორც მოსაწყენი და პრიზაული რეზონიორობა. რა არის ასეთი პოეტისათვის, როგორიც ბრენტანოა, მტკიცება "ყოველივეს" სასწაულებრიობისა? ყოველივე - ეს ძალზე ფართო, განყენებული ცნებაა ფერისა და სუნის გარეშე; მაგრამ ჭრილობა, ერთდროულად ოდუმალი და ახსნილველი, - ეს ხატია, ერთ-ერთი ის ხატი, რითაც ცოცხლობს მისი პოეზია".

41. E. Iones. The Life and Work of Sigmund Freud, London 1954.

42. Werner Gruehn. Die Fömmigkeit der Gegenwart (Grundtatsachen der empirischen Psychologie). Münster 1956. s. 33-39; 80-81.

43. А. Гуревич. Индивид и социум на средневековом Западе, М. 2005, стр. 290.

მამობაზე მაღლა ჩვენ ვქმნით მამის იდეალს, ამით ვადასტურებთ რაღაც კანონს, რომელიც განმსჭვალავს ყოველ მიწიერ მამობას, უდგენს მას ნორმას და განსჯის, მაგრამ ეს ნორმა უკვე აღარაა რაღაც იმანენტური, არამედ ტრანსცენდენტის შემოსვლაა ჩვენს ცხოვრებაში.

თავად ფსიქოანალიტიკოსის კომპეტენცია არ სცილდება ფსიქიკურ რეალობას. ფსიქოანალიზს არ შეუძლია საყოველთაო სინამდვილის რედუცირება ფსიქიკურ სფეროზე, თუ არ სურს იმ საშიშროებაში აღმოჩნდეს, რასაც "რელუქციონისტური ჰერმენევტიკა" ჰქვია.[44] მართალია, ფსიქოანალიზს ძალუძს ნევროზული წარმომავლობის დანაშაულის გრძნობათა განდევნა, მაგრამ, მას არ შეუძლია რეალური დანაშაულისაგან განთავისუფლება. ასევე იგი მკურნალობს ფსიქოსომატურ დაავადებებს, მაგრამ არ ძალუძს პასუხის გაცემა საბოლოო კითხვებზე: არსებობის აზრსა და უაზრობაზე, სიცოცხლესა და სიკვდილზე. მისი მიზანია გაცნობიერება და არა - შენდობა, განკურნება და არა - ხსნა.

ათეისტები ხშირად საყვედურობენ რელიგიას, რომ იგი წარმოადგენს იმ აზროვნების შედეგს, რომელიც მხოლოდ სასურველს მოიაზრებს. მაგრამ პირიქით რომ დავსვათ კითხვა: ხომ არ წარმოადგენს თავად ათეიზმი სასურველის მოაზრებას, პროექციას? საკუთრივ ფროიდთან ეს პრობლემა აღიძვრის: მის მკაცრ ათეიზმში ხომ არ იმალება ქვეცნობიერში რელიგიურობის განდევნის ფენომენი?

რამდენიმე სიტყვა დავუთმოთ ასევე ცნობილ ფსიქოლოგებს. მაგალითად, გვიანდელი იუნგის აზრით ფსიქოლოგიური გამოკვლევა სულაც არ ნიშნავს "ფსიქოლოგიზირებას, ე.ი. მისტერიუმის მოსპობას": "იმით, რომ ეგრეთწოდებული მეტაფიზიკური გამოთქმა განიხილება როგორც ფსიქიკური პროცესი, სულაც არაა ნათქვამი, რომ იგი "მხოლოდ ფსიქიკურია", როგორც ამას ჩემი კრიტიკოსები ახმოვანებენ. თითქოს "ფსიქიკურით" რაღაც საყოველთაოდ ცნობილია დადგენილი! ნუთუ აზრად ჯერ არავის მოსვლია, რომ, თუკი ჩვენ "ფსიქეს" ვამბობთ, ამით სიმბოლურად მინიშნებას ვაკეთებთ უწყვდიადეს სიბნელეზე, რომლის გააზრებაც კი შეუძლებელია. მკვლევარის ზნეობას განეკუთვნება ის, რომ მან უნდა აღიაროს, თუ სად მთავრდება მისი ცოდნა. ეს დასასრული არის საწყისი უმაღლესი შემეცნებისა.[45] მაგრამ, მართალია ფილოსოფოსი ჰანს კიუნგი, როდესაც სვამს კითხვას დასახელებულ ნაშრომში: "გაურკვეველი რჩება: არის ღმერთი ნაწილი ადამიანური ფსიქესი, თუ მისგან განსხვავებულია?" თავად იუნგს კი სურდა მარად ქრისტიანად დარჩენილიყო, როგორც იგი ადასტურებს ამას ბელგიელი თეოლოგისადმი მიწერილ წერილში.[46]

---

44. P. Ricoeur. Der atheismus der Psychoanalyse Freuds, s. 430.

45. C.G. Jung, Das Wandlungssymbol in der Messe, in: Psychologic und Religion, 1971, s. 267.

46. C.G. Iung. Briefe. Hrsg. V.A. Iaffe, Olten-Freiburg 1973. Bd. III, s. 322.

ფროიდისათვის რელიგიას გააჩნდა "უნივერსალური არანებისმიერი ნევროზის" ფუნქცია. კარლ გუსტავ იუნგისთვის კი პირიქით, სწორედ რელიგიის, ცოცხალი რელიგიის ნაკლებობაა მიზეზი მრავალრიცხოვან ნევროზთა აღმოცენებისა. გადასაწყვეტია არა მხოლოდ ინსტინქტთა ორგანიზება, არამედ აგრეთვე საკითხი ცხოვრების აზრის შესახებ: იუნგი ფსიქონევროზში საბოლოოდ ხედავს "სულის ტანჯვას, რომელმაც თავისი აზრი ვერ ჰპოვა".[47] ცენტრალური მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ ადამიანმა თავისი თავის მიღება უნდა ისწავლოს: თავისი ჩრდილოვანი მხარით, თავისი უგონობით, უაზრობით, ბოროტებით! მაგრამ აქ სწორედ საკმარისი არ არის ის, რომ ეს ჩრდილოვანი მხარე და ბოროტება გააცნობიერო, როგორც ამას ფროიდი აკეთებს ფსიქოანალიზში. "ფროიდს სამწუხაროდ სავსებით გამორჩა, რომ ადამიანი არასდროს ყოფილა შემძლე მარტოკა გასწორებოდა ქვესკნელის, ესე იგი, შეუცნობელის ძალებს. იგი მუდმივ განიცდიდა სულიერი დახმარების საჭიროებას, რომელსაც მას ანიჭებდა მისთვის შესაბამისი რელიგია... ტანჯულ ადამიანს არასოდეს დაეხმარება ის, რაც თავად მან გამოიგონა, არამედ მხოლოდ ზეადამიანური, გამოცხადებული ჭეშმარიტება, რომელიც მას ტანჯვისაგან განარიდებს."[48]

კ.გ. იუნგის შემდეგ საინტერესოა ფსიქოლოგ ვიქტორ ფრანკლის შეხედულებანი. მისი მიხედვით, ადამიანს განაგებს არა მხოლოდ შეუცნობელ-ინსტინქტური (ფროიდი) ან შეუცნობელ-ფსიქიკური (იუნგი), არამედ იგი იმართება ასევე შეუცნობელ-სულიერიდან ან შეუცნობელი სულიერებიდან. ფრანკლი გვაუწყებს, რომ ფსიქოთერაპევტი თავის ყოველდღიურ პრაქტიკაში გამუდმებით კონფრონტაციაში იმყოფება მსოფლმხედველობრივ, სულიერ საკითხებთან, რომელნიც, როგორც ასეთნი, სერიოზულად უნდა განიხილებოდნენ. ისინი არ შეიძლება წინასწარვე ამხილო, როგორც ლიბიდოს სუბლიმირება (ფროიდი) ან ინტერპრეტირება გაუკეთო მათ, როგორც უპიროვნო გამოხატულებას კოლექტიური შეუცნობელის - არქეტიპებისა (იუნგი). ეს საკითხები კონცენტრირებას განიცდიან ადამიანის ცხოვრების აზრის გარშემო, რაც სავსებით უგულვებელყოფილი იყო ფროიდის მიერ, ხოლო ადლერისა და იუნგის მიერ ნაჩქარევად იქნა ფსიქოლოგიზირებული. არა სამშვინველიდან (Seele), არა "ფსიქედან", არამედ მხოლოდ სულიდან (Geist), ლოგოსიდან არის ხსნა მოსალოდნელი. სწორედ ამიტომ არ უნდა განიდევნოს რელიგიურობა. ამიტომ ითხოვს ფრანკლი სულიერზე ორიენტირებულ ფსიქოთერაპიას. ფსიქოანალიზი ექსისტენციალური ანალიზისაკენ, ფსიქოთერაპია ლოგოთერაპიისკენ უნდა განვითარდეს. მაგრამ მოვუსმინოთ თვით ფრანკლს: "მიზანი ფსიქოთერაპიისა სულის განკურნებაში მდგომარეობს, ხოლო რელიგიის მიზანი - სულის ხსნაში. მაგრამ თუკი რელიგიას, თანახმად მისი ამოსავალი წერტილისა, ნაკლებ აღელვებს ისეთი

47. C.G. Iung, Uber die Beziehung der Psychotherapie zur Seelsorge, in: Psychologie und Religion, Olten 1971, s. 134.

48. AaoS. 148.

რამ, რასაც გამოუკვლეველობა და ავადმყოფობის თავიდან არიდება ჰქვია, თავისი შედეგებით, ყოველგვარი განზრახვის გარეშე, იგი ფსიქოჰიგიენურ და ფსიქოთერაპიულ ზეგავლენას ახდენს. ეს იმის წყალობით ხდება, რომ რელიგია ადამიანს უპრეცენდენტო შესაძლებლობას ანიჭებს, რასაც იგი ვერსად ვერ ჰპოვებს: შესაძლებლობას გამაგრებისას, დამკვიდრებისას ტრანსცენდენტურში, აბსოლუტში... ფსიქოთერაპიის დროს პაციენტი უბრუნდება თავის დიდი ხნის წინათ დაკარგულ წყაროებს თავდაპირველი, ქვეცნობიერი, განდევნილი რელიგიურობისას".[49]

ამგვარად, თანამედროვე დასავლელი ადამიანის წინაშე კანონიერად ისმის კითხვა: განა არ შეტრიალდა ვითარება და სექსუალობის ნაცვლად სულიერება არ იდევნება ქვეცნობიერში? უკვე სექსუალობისა და დანაშაულის განდევნა კი არ არის ჩვენი დროის დამახასიათებელი ნევროზი, არამედ ორიენტირის არარსებობა, მნიშვნელობის დაკარგვა, უაზრობა, სიცარიელე, და ამით მორალისა და რელიგიის განდევნა: სულ უფრო და უფრო მეტი სხვადასხვაგვარი მიმართულების ფსიქოთერაპევტი ჩივის დღეს იმის თაობაზე, რომ "წარმოუდგენლად გაიზარდა სიამოვნების პრინციპი სულიერი და რელიგიური პრინციპების ხარჯზე მათი განდევნით".[50]

---

49. V.E. Frankl, Der unbewssute Gott. Psychotherapie und Religion, München 1974, s. 48-50.

50. E. Wiesenhutter, kritik an Freud; Therapie der Person, Stuttgart 1969.

რაც შეეხება "სექსუალობის სუბლიმაციას", ფროიდის აზრით ყოველი მორალი სუბლიმირებული სექსუალობაა. მეორე მხრივ, სექსუალობის სუბლიმაცია ისე ვერ განხორციელდება, თუ არ არსებობს მორალი, რომელიც თავისი აკრძალვებით განდევნის ამ სექსუალობას და წარმართავს მას "უმაღლესი" მიზნებისაკენ. ამ მანკიერი წრის შესახებ იხ. Max Scheler, Wesen und Formen der Sympathie, Bonn 1923, s. 226-243.

როგორც რუსი მკვლევარი ს. პალცევა აღნიშნავს, კეებერთელა "კონტრკულტურად" და ქრისტიანობისადმი დაპირისპირებად იქცა ფროიდისტული შხამი იმ აზრთა დანერგვისა, რომ ბუნებრივი, ბიოლოგიური იმპულსები თუკი ითრგუნებიან, ეს ადამიანისათვის დამღუპველია, ხოლო ასეთ "დამთრგუნველად" მორალი გვევლინება, რომელიც შორს უნდა მოვისროლოთ, თუკი გვინდა ლოგიკური ვიყოთ და ვისწრაფოდ ადამიანები. ამას მოჰყვა თითქმის ყველაფერზე ნებისდართველი სისტემა პერმისიული აღზრდისა.

ნიცშეს თავდასხმები ქრისტიანობაზე და მისი მოგერიება

ნიცშეს "მხიარული მეცნიერების" მეხუთე თავს სათაურით, "ჩვენ, უშიშარნი", წამძღვარებული აქვს ფრანგი მხედართმთავრის ტურენეს გამაფრთხილებელი სიტყვები: "ჩონჩხო, შენ თრთი? შენ უფრო მეტად აცახცახდებოდი, რომ იცოდე, თუ სათ მიმყავხარ". დიდი ფიქრი არ არის საჭირო, თუ რატომ აფრთხილებს ნიცშე მკითხველს, რადგან დასაწყისშივე იგი აცხადებს: "უდიდესი უახლესი მოვლენა - რომ "ღმერთი მოკვდა", რომ რწმენა ქრისტიანული ღმერთისადმი არადამაჯერებელი გახდა - უკვე იწყებს თავის პირველ ჩრდილთა დაცემას ევროპაზე". Requiem aeternam deo: ღმერთი მოკვდა! ღმერთი არ აღსდგება! და იგი ჩვენ მოვკალით!"[51]

მაგრამ დაასაბუთა ნიცშემ თავისი ათეიზმი? არა! ღვთის არარსობა მას არ დაუმტკიცებია, მან ის, როგორც მოცემული, მხოლოდ ივარაუდა. "ადამიანებმა შექმნეს ღმერთი";[52] "ხალხი... პროეცირებას ახდენს თავისი სურვილისას თავისთავად, თავისი ძალაუფლების გრძნობისას იმ არსებაში, რომელსაც ამის გამო მადლობა უნდა აღუვლინონ".[53] აქ აშკარად გვევლინება ნიცშე ფოიერბახის მოწაფედ. ქრისტიანობა? ქრისტიანობა წარმოადგენს წმინდა წყლის ფიქტიურ სამყაროს. იგი "მისდა საზიანოდ, იმით განსხვავდება სიზმრეული სამყაროსაგან, რომ ეს უკანასკნელი სინამდვილეს აირეკლავს, მაშინ როდესაც ქრისტიანობა ამ სინამდვილეს აყალბებს, აუფასურებს, უარყოფს".[54] აქ ფილოსოფოსი წინ უსწრებს იმას, რასაც შემდგომ ფსიქოანალიტიკოსი ზედმიწევნით გამოიკვლევს. აქაც ფრ. ნიცშე არაფერს ასაბუთებს, არამედ იგი ამას უბრალოდ ასე მიიჩნევს. როგორც ჩანს, ნიცშე ათეიზმის დასაბუთებით არ იყო დაინტერესებული. იგი ღვთის არარსებობის მტკიცებას კი არ ეძებდა, არამედ ღვთის რწმენის ისტორიულ უარყოფას. რადგან მისთვის პასუხი კითხვაზე "საიდან მომდინარეობს ღვთის რწმენა?" - ისევე, როგორც ფოიერბახისათვის, მარქსისა და ფროიდისთვის - უკვე პასუხი იყო ამ რწმენის უარსაყოფად. "ადრე ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, რომ არავითარი ღმერთი არ არსებობს - დღეს კი იმაზე მიუთითებენ, რომ რწმენა ღმერთის არსებობაზე როგორ უნდა აღმოცენებულიყო და როგორ უნდა მიეღო მას თავისი დამაჯერებლობა და მნიშვნელობა: ამით საპირისპირო მტკიცება - ღმერთი არ არსებობს, ზედმეტი ხდება". ამრიგად, საიდან მომდინარეობს ღვთის რწმენა ნიცშეს მიხედვით? "საწყისი რელიგიისა ძევს ძალაუფლების უკიდურეს გრძნობებში, რომლებიც, როგორც უცხო, ადამიანს ანცვიფრებენ... რელიგია არის... გარკვეული სახის შიშისა

---

51. F. Nietzsche, Die fröhliche Wissenschaft (1882) in: Werke II.
52. Nietzsches Werke Bd. XII, Leipzig 1091, s. 169.
53. Werke II, 1176.
54. Werke II, 1175.

და ძრწოლის განცდა საკუთარი თავის წინაშე... მაგრამ ასევე- განსაკუთრებული ბედნიერებისა და ამაღლების გრძნობა.[55]

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნიცშეს ბრძოლა ქრისტიანობის წინააღმდეგ, რადგანაც იგი, მისი აზრით, უარყოფს სიცოცხლისადმი სწრაფვის ნებას, წინ ელობება სიცოცხლისადმი ხალისით შეპყრობილ, ყოველივე სიკეთისა და ბოროტების მიღმა მდგომ "ზეკაცის" იდეალს. დიდი ცოდვა აწევს კისერზე ქრისტიანობას, სხვა რელიგიებთან შედარებით, მორალის საკითხში: ქრისტიანობის მორალი სიცოცხლის მიმართ ვეებერთელა დანაშაულია, სადაც თავად ღმერთი გადაგვარდა სიცოცხლის მოწინააღმდეგედ.[56] რამდენადაც ქრისტიანობა სავსებით მიმართულია სიცოცხლისადმი მტრულ, არანამდვილ ფასეულობებზე, ქრისტიანობა წარმოადგენს "ნიჰილისტურ რელიგიას".[57] "ღმერთში არარაობა არის გაღმერთებული, ნება არარასადმი წმიდად არის აღიარებული".[58] მაგრამ ნიცშესეული პარადოქსი არის ის, რომ ებრძვის რა "ნიჰილისტურ რელიგიას", იგი თავად გვევლინება ნიჰილიზმის აღმომცენებლად. თუმცა, თავად ნიცშე ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. მისი აზრით, ნიჰილიზმი მოდის ისტორიული აუცილებლობით. "რატომ გახდა მისი მოსვლა აუცილებელი? რადგან ჩვენი აქამდელი ფასეულობები თავად არიან ისინი, რომლებიც მასში თავიანთ საბოლოო შედეგს იმკიან; რადგან ნიჰილიზმი არის ბოლომდე გააზრებული ლოგიკა ჩვენი დიდი ფასეულობებისა და იდეალებისა."[59] ამ ნიჰილიზმის მოსვლას ნიცშე ხედავს მე-20-ე და 21-ე საუკუნეში. "რასაც მე ვყვები, ისტორია გახლავთ ორი უახლესი საუკუნისა. მე აღვწერ იმას, რაც მოდის, რომელსაც არ ძალუძს სხვაგვარად მოსვლა: ეს აღმოსვლაა ნიჰილიზმისა."[60]

აქ ნიცშეს ვიზიონერული ხილვები ძალზე გვაგონებს ვლადიმირ სოლოვიოვის ხილვებს მის "ანტიქრისტეში", იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელისთვის ნიჰილიზმი ქრისტიანული ფასეულობების განვითარების შედეგი კი არ არის, არამედ პირიქით, მათი დაცემის შედეგია. მიღმური სამყაროს დამსხვრევის შემდეგ ათეისტურმა ექსისტენციალიზმმა შექმნა იდეა "აბსურდული ადამიანისა", რომელსაც იმედის ნაცვლად მხოლოდ სასოწარკვეთა დარჩენია და რომლის ამქვეყნიური ამოცანა კამიუსთან სიზიფეს შრომის სახეს ღებულობს - ოღონდ არადამაჯერებელია ის გარემოება, რომ კამიუმ, ნიცშეს ზეგავლენით, თავის სიზიფეს ცხოვრების უაზრობასთან ერთად სიხარულიც რომ მიაწერა (ი. რატცინგერი).

რაც შეეხება ნიცშეს, იგი მის სიცოცხლეშივე გააკრიტიკა ვლადიმირ სოლოვიოვმა - "ნიცშეს შესაბრალისი თავდასხმები ქრისტიანობაზე"... სოლოვიოვი წერს: "სიცოცხლის აზრი ძალასა და მშვენიერებაშია, - დაე, ასე

---

55. F. Nietzsche, Nachlass, in: Werke III, 747 f.
56. Ebd. 826
57. Ebd. Werke III, 638.
58. F. Nietzsche, in: Werke II, 1178
59. Werke III, 635.
60. Ebd., 634.

იყოს; მაგრამ როგორადაც არ უნდა ვეთაყვანოთ ამ ესთეტიკურ კულტს, ჩვენ არათუ ვპოვებთ მასში რაიმე დაცვას, არამედ მასში არ იქნება მინიშნებაც კი რაიმე დაცვაზე იმ საყოველთაო და აუცილებელი ფაქტისაგან, რომელიც შინაგანად აუქმებს ძალისა და მშვენიერების ამ მოჩვენებით ღვთაებრიობას, მათ ყალბ დამოუკიდებლობასა და აუცილებლობას - ეგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ ამქვეყნიური ყოველი ძალის დასასრული უძლურებაა, ხოლო ამქვეყნიური მშვენიერების ბოლო - სიგონჯე... განა ძალა უძლური სიკვდილის წინაშე მართლაც ძალაა? განა გახრწნილი გვამი - მშვენიერებაა?"

ეკამათება რა ნიცშეს, რომელიც ქრისტიანობას მხოლოდ დაბალი კლასების რელიგიად მიიჩნევს, სოლოვიოვი განაგრძობს: "რას ნიშნავს სოციალური კლასები, როდესაც საქმე ეხება სიკვდილსა და აღდგომას? განა "ბატონები" არ კვდებიან? განა რომაელი არისტოკრატი და დიქტატორი სულა, სირიელთა მეფე ანტიოქე და იუდეველთა ჰეროდე მატლებმა არ შეჭამეს? ხსნის რელიგია არ შეიძლება იყოს მარტოოდენ მონათა რელიგია, იგი საყოველთაო რელიგიაა, რადგან ხსნას ყველა საჭიროებს. სანამ ასეთი გააფთრებით ვიქადაგებდით თანასწორობის წინააღმდეგ, საჭირო იყო გაგვეუქმებინა მთავარი გამთანაბრებელი - სიკვდილი..."

შემდეგ სოლოვიოვი აღნიშნავს, რომ ბუნებრივ ძალასა და მშვენიერებას ქრისტიანობა არ უპირისპირდება - "არავინ არ ეთაყვანება უძლურებასა და სიგონჯეს, მაგრამ ერთნი აღიარებენ ძალასა და მშვენიერებას სიკეთისაგან განპირობებულთ, რომელნიც მარად არსობენ და ნამდვილად ათავისუფლებენ თავიანთ მატარებლებს და თაყვანისმცემლებს სიკვდილისა და ხრწნის ძალაუფლებისაგან, ხოლო მეორენი ადიდებენ ძალასა და მშვენიერებას, განყენებულად აღებულთ და მოჩვენებითებს. თუკი პირველი მოძღვრება თავის საბოლოო გამარჯვებას ელის მხოლოდ მომავალში, მეორეს ამის გამო საქმე არ უადვილდება: იგი უკვე დამარცხებულია - დამარცხებულია ყოველთვის - იგი კვდება ყოველ გარდაცვლილთან ერთად და დამარხულია ყველა სასაფლაოზე".[61]

სოლოვიოვ-ნიცშეს მსგავსი პოლემიკა XX საუკუნის დასაწყისში უკვე რუსული სიტყვის ორ მეტრს - ვასილი როზანოვსა და ნიკოლაი ბერდიაევს შორის გაიმართა. როზანოვმა, ამ "გენიალურმა ობივატელმა", წამოაყენა დილემა: "ქრისტე ან ქვეყანა". ქრისტე დაუნდობელია ამ ქვეყნის მიმართ, იგი უარყოფს ყოველივე ამქვეყნიურს, მაშინ როცა როზანოვს სურს ოჯახური ბედნიერება, წყნარი, ბედნიერი ცხოვრება, "მურაბის ჭამა თავის ოჯახში". და ეს მაშინ, როცა ქრისტე ითხოვს ყოველივე ამის უარყოფას. როზანოვი მზადაა მიიღოს ქრისტიანობა, როგორც ისტორიული სინამდვილე თავისი ცოლ-ქმრის დაშორებით, თეატრებით, მურაბით. მაგრამ თვინიერ ქრისტესი. ვისთვისაც ქრისტე ტკბილია, მისთვის ეს ქვეყანა ხდება მწარე, რადგან

---

61. Вл. Соловьев, Оправдание добра, (собр. соч. т. VII, с.-П. 1909).

ქრისტეს რელიგიის მიხედვით, მხოლოდ ერთი რამაა მშვენიერი - გარდაცვალება და სიკვდილი, მწუხარება და ტანჯვა.

ბერდიაევი ამბობს, რომ როზანოვი მაშინ იქნებოდა მართალი, თუ "ქვეყანა" არის მხოლოდ ის, რადაც როზანოვი მას სახავს: ყოფიერების დადებითი სისავსე და უცილობელი სიკეთე. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. "ქვეყანა" არის შენარევი სიკეთისა ბოროტებასთან, სინამდვილისა მოჩვენებითობასთან, ყოფიერებისა არყოფნასთან, მარადიულობისა ხრწნასთან. საიდან შემოვიდა სიკვდილი ამ ქვეყნად? არა ქრისტესგან! ქრისტე მოვიდა სწორედ იმიტომ, რომ "ქვეყანა" იხსნას სიკვდილისაგან და არა მის წარსაწყმედად. ეს ქვეყანა ბოროტებაში ძევს, მაგრამ მას მაინც დარჩა კავშირი ღმერთთან და ეს კავშირი არის ძე ღვთისა, ღმერთკაცი, ისტორიაში განსხეულებული ქრისტეს პიროვნება.[62]

მე-20 საუკუნეში ნიცშეს ანტიქრისტიანულ გამოხდომებს წარმატებით უკუაგდებს ფრანგი ფილოსოფოსი ემანუელ მუნიე.[63]

ნიცშე: "ეკლესია იმარჯვებს ენებებზე იმით, რომ მათ სპობს. იგი ჰკურნავს დაწჭურისებით. და არასოდეს არ ფიქრობს იმის შესახებ, როგორ გაასულიეროს, აღამაღლოს, განაღმრთოს ადამიანური გრძნობები. სიცოცხლე მთავრდება იქ, სადაც იწყება "სამეფო ღვთისა".

მუნიე: "ნიცშეს ისევე ღრმად რომ სცოდნოდა და ყვარებოდა შუა საუკუნეები, როგორც ბერძნული სიძველე, იგი არასდროს დაეშვებოდა ასეთ უხეშობამდე. ის მისაზიდი საუკუნეები, როდესაც ჩუმ ლოცვებს გადაფარავდა ლაღი გალური სიცილი, რომელიც გაისმოდა საეკლესიო კაპიტელების სიმაღლეებიდან; როდესაც სენიორები ომში და ნადირობისას ცხენებს ქანცგაწყვეტამდე აჭენებდნენ; როდესაც ბერები მარდად ხმარობდნენ საჭეს გრიგალის დროს და ცულს ტყეში; როდესაც ადამიანები, თუკი სცოდავდნენ, სცოდავდნენ ღრმად, და თუკი უყვარდათ, უყვარდათ ბოლომდე, - ეს საუკუნეები, როგორც ჩანს, ბოლომდე იცავენ ქრისტიანულ უნარს, დაუპირისპირდეს ათეულ წლებს რელიგიური ფარისეველობისას. უშფოთველი ძალა წმიდა ლუდოვიკოსი, რომელმაც მთელი სამეფო ძალმოსილება დაუმორჩილა რელიგიურ მსახურებას; რაინდობა, საბრძოლო განმძვინვარებით მისწრაფებული სუსტთა დასაცავად; მეამბოხე სული ფეოდალური აღთქმებისა; ჯვაროსნული მსვლელობები, რომელთაც გარდაქმნეს მომხვეჭელური და სათავგადასავლო ენება ერთსულოვან რელიგიურ აღმაფრენად; თანდათანობით, მაგრამ ურყევი განწმენდა თავად ეკლესიისა, რომელიც აცხრობდა სულიერ ამბოხებას და საეკლესიო ძალაუფლების სიყვარულს. შემდგომი მოძრაობები, რომელთა შედეგად ბურჟუაზიულმა უხეშობამ აღმოაცენა ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ პასკალი, სენ-სირანი ანდა რასინი; მისტიკური ხატები ქალწულობისა, ცოლ-ქმრული ერთგულებისა და სასიყვარულო ენებისა, რომელთაც გარდაქმნეს და გაასულიერეს ყველაზე დაუოკებე-

62. Н. Бердяев, Духовный кризис интеллигенции, СПБ, 1910.
63. Emmanuel Mounier, L'Affrontement Chretien, Paris 1960.

ლი ინსტინქტთა შორის, - განა ყოველივე ეს დამახასიათებელია რელიგიისათვის, რომელიც "არასოდეს ფიქრობს იმის შესახებ, როგორ გაასულიეროს, აღამაღლოს, განაღმრთოს ადამიანური გრძნობები?"

"ქრისტიანობა ინსტინქტთან დაპირისპირებაში" - განაგრძობს მუნიე - "წინააღმდეგობა იწყება მაშინ, როდესაც პავლე მოციქულთან ცდილობენ "ხორცის" გადაჭრით დაგმობის პოვნას. მაგრამ "ხორცი" მოციქულთან - ეს სულაც არ არის სხეული, რომელიც სულს უპირისპირდება, როგორც ეს არის პლატონიკოსთა მოძღვრებაში ანდა მისტერიათა ტრადიციაში. ასეთი ღრმა დუალიზმი მხარდაჭერას ვერ ჰპოვებდა ებრაელი სავლეს თანმიმდევრულ მკაცრ მონოთეიზმში. "ხორცი", წმ. მოციქული პავლეს მოძღვრებით, ეს არის ცოდვისაკენ მიდრეკილება ჩვენი გაორებული, ინტელექტუალურ-გრძნობითი ბუნებისა. მას მიაჩნდა, რომ როგორც გრძნობათა გატაცება, ასევე მიდრეკილება "ამაოდ გალაღებულს თავისი ხორციელი გონებით" (კოლოსელთა მიმართ, 2,18). ხელს უშლიან ჩვენში სული წმიდის ქმედობას. მაგრამ თუკი შთამომავლობათა გრძელ რიგში ხორცი ჩვენი სხეულისა საბოლოოდ გახდა ბიწიერი, როგორ გაბედავდა იგი ქრისტეს ხორცისთვის წმიდა ეწოდებინა, ხოლო ჩვენი სხეული მოეხსენებია სული წმიდის ტაძრად?"

მაგრამ გადმოდის რა ჩვენს ეპოქაზე მუნიეს კრიტიკა უკვე თავად ნიცშეს კრიტიკას მოგვაგონებს: "მას შემდეგ, რაც გამეფდა დაკნინება და დაცემა, ხიფათი უკვე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ქრისტიანობა აღაგზნებს ძალზე მხურვალეთ, არამედ მასში, რომ მორჩილებასა და თავმდაბლობას ამოფარებული, იგი ასწავლის ადვილად პატიებას ადამიანური სულმდაბლობისას". ნამდვილი ქრისტიანობა ასეთი არ უნდა იყოს. მუნიე წერს: "მოარული მორალი ცოდვად მიიჩნევს მხოლოდ სიამაყესა და მგრძნობელობას. მაგრამ ეს ცოტაა. იმ ჭრილობათა შორის, რომლისგანაც იტანჯება არსება ქმნილი ღვთის მსგავსად და მოწოდებული დაემსგავსოს მას, ყველაზე მძიმეა - საკუთარ ღირსებაზე უარის თქმა".

საოცარია, მაგრამ ნიცშესთან შეპირისპირებით მუნიე ახდენს ქრისტიანული ზნეობის გაწმენდას და ისტორიული წარსულიდან შესაბამისი მაგალითების მოხმობას. ამის პარალელურად ხდება ცოდვის უფრო ფართო სპექტრით უფრო დახვეწილი განხილვა. იგი წერს: "უსუსური პიროვნება, ტანჯვის დროს, თავისკენ იპყრობს ყურადღებას და მით ანიჭებს საეკუთარ თავს ღირებულებას. დაღვრემილი და გულგატეხილი ადამიანი პასიურად ტკბება უბედურებით, რათა არ ებრძოლოს მათ... ამიტომ ქრისტიანობა - ტანჯვის კულტი არ გახლავთ. ქრისტიანობა ტანჯვაში ყოველგვარ ტკბობას უარყოფს, ისევე, როგორც საკუთარი ცოდვის ტრფიალს". შემდგომ მუნიე აღწერს იმ ფარისეველთ, რომელნიც მოყვასის სიყვარულის მომიზეზებით პირდაპირ "სისხლს წოვენ მას" და დასძენს: "თქვენი სიყვარული მოყვასისადმი - ეს თქვენი უკუღმართი სიყვარულია საკუთარი თავისა". "სიყვარულისა და გულმოწყალების საბაბით ადამიანები არ კამათობენ, რომ მათ არ ეკამათონ, სხვას არ ტანჯავენ, რომ თვითონ არ დაიტანჯონ, არ

უხეშობენ, რომ მათ არ უუხეშონ, და ეს მოთხოვნილება, ნელა მოქმედი შხამის მსგავსად, წვეთ-წვეთობით კლავს სიმამაცეს ადამიანთა გულებში. ადამიანებს აღარ ძალუძთ აღარაფრის დაცვა და კარგავენ უნარს, მოვლენებს პირდაპირ შეხედონ...“ შემდეგ: “ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ მტრები არ უნდა ვიყოლიოთ. მაგრამ მცირეოდენი ურყევობის შედეგად როგორ შეიძლება მათი მთელი გუნდი არ შეიძინონ? როგორ შეიძლება მათ დარტყმებს გადაურჩე და ისინი არ შეიძულო? დიახ, ჩვენ ანდერძად გვაქვს მათი სიყვარული. მაგრამ ეს ჩემთვის ნიშნავს, რომ მტრობით არ შეიძლება ქრისტეს სხეულის ხლეჩა, არ შეიძლება სიძულვილის გამო მტრის განწირვა სრულ სასოწარკვეთამდე... მაგრამ ბოროტება, ან ცდომილება, ან უბრალო ზედმეტი მზრუნველობა საკუთარ თავზე, და მით უფრო - განყენებული ბოროტება, ესე იგი კონკრეტული არსი ქმედობებისა, რომლებზედაც ადამიანი პასუხისმგებელია და რომლებიც განუშორებელია მისი პიროვნებისაგან, მე შემიძლია და უნდა მძულდეს უფრო მაღალი სიყვარულის გაგებით. თუკი ჩვენ უარს ვიტყვით ქრისტიანული გრძნობების ამ რთულ დიალექტიკაზე მოსახერხებელი სენტიმენტალობის გამო - მაშინ უარს ვიტყვით მთლიანად ქრისტიანობაზეც“. შემდეგ მუნიეს მოჰყავს ტენის შეფასება ლუდოვიკო XVI-ის: “ქრისტიანმა გამოდევნა მმართველი და მეფეს დაავიწყდა, რომ მისი ვალია მეომრად ყოფნა; დაავიწყდა, რომ, დანებებისას იგი სახელმწიფოს აბარებს და დამორჩილდა რა, როგორც ცხვარი სასაკლაოზე, თან გაიყოლა ყველა პატიოსანი ადამიანი“. და კიდევ: “რაც უფრო ძლიერ არის გამოხატული პიროვნება ცხოვრებაში, მით უფრო ნაკლებ ეშინია მას სიკვდილის და მით უფრო ნაკლებ ფიქრობს მასზე; რაც უფრო მეტად ზრუნავს ინდივიდუმი საკუთარ თავზე, მით უფრო მეტად აშინებს მას თავისი ემპირიული “მეს“ გაქრობა. და თუკი არსებობს სულიერი მდგომარეობა, რომელიც სიცოცხლის სისავსის მიუხედავად უგულვებელყოფს სიკვდილს, ეს სწორედ ქრისტიანობაა, რომელიც თავისი წმინდანების სიკვდილის დღეს მათ დაბადების დღეს უწოდებს. ჩვენ ფსიქოლოგიურად ვერ გავუგებთ ინკვიზიციას, თუ ანგარიშს არ გავუწევთ იმას, რომ XIII საუკუნეში წრფელ ადამიანებს დიდ წყალობად მიაჩნდათ სინათლის სამეფოში მათი გასტუმრება, ვისაც დაეინებით სურდა ბნელეთში ცხოვრება. რასაკვირველია, ასეთი თვალსაზრისი სცოდავს პიროვნების ჭეშმარიტი გაგების მხრივ, მაგრამ რაღაც გაგებით გვახსენებს ღირებულებათა იერარქიას. თანამედროვე მიდრეკილებამ ინდივიდუალური ცხოვრებისადმი, რომელიც მეტად და მეტად ფასეული ხდება კომფორტის წყალობით, შობადობის დაქვეითებით და რწმენის შესუსტებით, დაჩრდილა ქრისტიანულ მსოფლგაგებაში ყოფილი სიხარული სიცოცხლისა და სიკვდილის უგულვებელყოფისა. როგორც ყველას, ქრისტიანსაც სურს, რადაც უნდა დაუჯდეს - გადარჩეს. როგორც ყველამ, მან უკვე აღარ იცის, თუ რა უნდა დააყენოს სიცოცხლეზე მაღლა... შიში უკიდურესობის წინაშე მხოლოდ ნაირსახეობაა სიკვდილის შიშისა. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ უკიდურესობა თავისთავად კარგი რამ არის...“

ემანუელ მუნიე ყოველივე ამას ფრანგი საზოგადოებისათვის წერდა და ნიცშეს საპირისპიროდ ამტკიცებდა, რომ ქრისტიანობა არ წარმოადგენს მონების მორალს. მუნიეს ციტირებამ იმდენად გამიტაცა, რომ აშკარად შევნიშნე, თუ ჩვენს, ქართულ საზოგადოებას რა ზომამდის ჭირდება ზემოთქმული შეგონებანი. მაგრამ დავუბრუნდეთ ნიცშეს. მე-20 საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი კარლ იასპერსი წერს: "ვინც ცდუნებას ვერ გაუძლებს, ვინც ნებას მისცემს ნიცშეს, რათა მან იგი მოხიბლოს თავისი დახლართულ-ცარიელი სოფიზმებით, ჭეშმარიტებათა მოჩვენებითი უდავობით, თვითნებური აღტყინების სპონტანურობით, უკიდურესობათა გამაბრუებელი აღტაცებით, იგი უკვე აშკარად დაწყევლილია".

მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას ნიცშეს სასარგებლოდ - მას გარკვეული მოწიწება გააჩნია... იესო ნაზარეველის წინაშე! რასაკვირველია, საბოლოოდ იგი, როგორც "decadent"-ი უარყოფილია ნიცშეს მიერ, მაგრამ ყოველგვარი ზიზღისა და სიძულვილის ტირადების გარეშე, როგორც ეს მისთვის ჩვეულებრივი რამ არის ქრისტიანობის მიმართ. ის, რაც ნიცშეს იესოს მისამართით აინტერესებს, არის "მხსნელის ფსიქოლოგიის პრობლემა". ცნებები, როგორიცაა "გმირი" ან "გენიოსი" მის მიმართ გამოუსადეგარია. სამაგიეროდ, სულ "სხვა სიტყვა ესადაგება მას - იდიოტი!" აქ საცარი შესაბამისობაა დოსტოევსკის მიერ ქრისტეს ინტერპრეტაციასა და ნიცშეს დასახელებას შორის, თუმცა, ნიცშეს არ ჰქონდა წაკითხული დოსტოევსკის რომანი "იდიოტი". ნიცშესთან "იდიოტი" ნიშნავს "ინსტიქტურ სიძულვილს" ყოველგვარი რეალობის, დაწესებულების, ზნეობის, ეკლესიის და ა.შ. წინააღმდეგ. ნიცშეს აზრით "ევანგელიე ჯვარზე გარდაიცვალა".[64]

სანამ მორიგ ქვეთავზე გადავიდოდეთ, "ღმერთი მოკვდა"-ს სხვა ვერსიებს მოკლედ მაინც განვიხილავთ, რადგან XX საუკუნის სამოციან წლებიდან მოყოლებული აშშ-სა და გერმანიაში გამოჩნდნენ თეოლოგები, ე.წ. "ღმერთი-მოკვდა-თეოლოგები",[65] რომლებსაც თურმე "ღმერთი სწამთ ათეისტურად". რასაკვირველია, ძირითად დასაყრდენს ისინი ნიცშეზე აკეთებენ, მაგრამ ახსენებენ ჰეგელსაც, მაგალითად დოროთეა ზიოლე.[66] ჯერ კიდევ ადრეული რომანტიზმის წარმომადგენელმა, მწერალმა ჟან პაულმა თავის საზარელ ხილვაში "მკვდარი ქრისტეს სიტყვა სამყაროს სფეროებიდან, რომ ღმერთი არ არის", ეს გამოთქმა, რომ ღმერთი არ არის, თავად ქრისტეს ათქმევინა. თვითონ ჟან პაულს მხოლოდ იმ გრძნობაზე სურდა წარმოდგენა შეექმნა, თუკი ათეიზმი მართალი აღმოჩნდებოდა. ისე კი მან, როგორც არავინ, ისეთი ზემოქმედება იქონია ახალი დროის რომანტიულ ნიჰილიზმზე. ადალბერტ შტიფტერთან, გოტფრიდ კელერთან, დოსტოევსკისა და ნიცშესთან შეიძლება მისი კვალის პოვნა. "ათეიზმის ბერები" (ჰ. ჰაინე), "არარას დიქტატურის" წამებულნი (ფრ. შლეგელი), ისევე როგორც დოს-

64. F. Nietzsche, Werke II, s. 1189-92.
65. H. Küng, Ebd.; Kardinal Ioseph Siri, Gethsemane, Chicago 1981.
66. D. Sölle, Atheistisch an Gott glauben, s. 54.

ტოევსკის "დემონები" მის ზეგავლენას განიცდიან.[67] ჟან პაულის ზემოხსენებულ ხილვაში მეორედ მოსვლის ჟამია. ქრისტე, რომელსაც მიცვალებულნი ელოდებიან, მოდის და აცხადებს: ღმერთი არ არის. მე ვცდებოდი. ირგვლივ მხოლოდ უხმო, გაყინული არარაობაა უსასრულობისა. მარადიულობა ქაოსზე ძევს, ღრღნის და ხლეჩს მას...

რაც შეეხება ჰეგელს, მან ჯერ კიდევ თითქმის საუკუნით ადრე ნიცშემდე, 1802 წელს, "ღმერთი მკვდა" დაახასიათა, როგორც ახალი დროის რელიგიის ძირითადი გრძნობა და მასში დაინახა ახალი განმარტება დიდი პარასკევისა.[68] ჰეგელი ამით გულისხმობდა, რომ მისი თანამედროვე ათეიზმი და ნიჰილიზმი, რომელიც ყველა დოგმატურ ფილოსოფიასა და ბუნებრივ რელიგიებს სპობს, შეიძლება გაგებული იქნეს როგორც ღვთის მიერ იესოს დატოვების ისტორიული დიდი პარასკევის უნივერსალიზაცია და მისი გადაქცევა ყოველი არსებულის დატოვების სპეკულატიურ დიდ პარასკევად. მხოლოდ მაშინ მოდის აღდგომა, როგორც აღდგომა ყოფიერების ტოტალურობისა არარაობიდან, მხოლოდ მაშინ მოდის შობა თავისუფლებისა და მხიარულებისა უსასრულო ტკივილისაგან. ექცევა რა თანამედროვე ათეისტური სამყარო დიდი პარასკევის ჩრდილქვეშ და გაიგება რა ეს წამების პარასკევი მის მიერ როგორც არარაობის უფსკრული, რომელშიც მთელი ყოფიერება ინთქმება, მეორე მხრივ, ამის საპირისპიროდ, არსებობს შესაძლებლობა, ეს ჩაძირული სამყარო თეოლოგიურად გაგებულ იქნეს იმ პროცესის მომენტად, რომლის დროსაც ხდება მსოფლიო ისტორიულ-უნივერსალური ღვთის ჯვარზე გამოცხადება და მისი აღდგომა. ამ სამყაროს მანკიერება ძევს არა მის გულქვა უღმერთობაში, არამედ ეს მანკიერება მაშინ იჩენს თავს, როდესაც იგი ღვთის სიკვდილისა და გასვლის პროცესის მომენტს ღვთის დიალექტიკური პროცესიდან აბსტრაჰირებას უკეთებს და მასზე ახდენს ფიქსირებას. რომანტიული ნიჰილიზმი "ღვთის სიკვდილისა", ისევე როგორც მეცნიერულ-მეთოდური ათეიზმი დიალექტიკიდან ამოგლეჯილია, რაც ხელს უშლის მას თავის პროცესუალურ მსვლელობაში გაგებული იყოს როგორც პროცესის მომენტი. სხვა სიტყვებით, ახალი დროის ათეიზმი დანახულია, როგორც მომენტი ღვთის განვითარებისა, რომელშიც ღმერთი თავისი თავის უარყოფის გზით უკიდურეს გაუცხოებას ღებულობს თავისივე თავში და გადალახავს კიდევაც მას. ამგვარად, "ღმერთის სიკვდილი" დასასრული არ არის: ჰეგელი ქადაგებს არა "ქრისტიანული ათეიზმის სახარებას" არამედ, სწორედ საპირისპიროს - "ათეიზმის ქრისტიანულ გაუქმებას". არა "ათეისტური ღვთის რწმენა", არამედ "პოსტათეისტური რწმენა ღვთისა!" რადგან ეს ღვთის სიკვდილია, დიდ პარასკევს მოყვება აღდგომა. რადგან ეს წამების დღე თავად ღმერთის წამე-

---

67. I. Moltmann, Theologie der Hoffnung, Bonn 1977, s. 152.

68. G.W. F. Hegel, Glauben und Wissen oder die Reflexionsphilosophie der Subjektivitat, in der Vollsttändigkeit ihrer Formen, als Kantische, Iacobische und Fichtesche Philosophie (1802), in: Werke I, 223-234.

ბის დღეა, ეს უსასრულო ტკივილი უნდა გავიგოთ "როგორც მომენტი და მხოლოდ როგორც მომენტი უმაღლესი იდეისა".[69]

რაც შეეხება ჟან პაულის საზარელ ხილვას და იმას, რომ უღმრთო სამყაროში სუფევს მხოლოდ "უხმო, გაყინული არარაობა უსასრულობისა" და რომ "მარადიულობა ქაოსზე ძევს", მაძლობა ღმერთს, ამის საპირისპიროდ არსებობენ უფრო ღრმა მოსაზრებანი. ამ თოთხმეტიოდე წლის წინ ჩვენს საერთო "სამშობლო - სსრკ-ში" ისე იყო დაბშული თავისუფალი აზრი, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, ცნობილი აკადემიკოსი ვ.ვ. სტრუმინსკი[70] ასეთ ინტერვიუს თუ მისცემდა პოპულარულ ჟურნალ "ნაუკა ი რელიგიას" (№10, 1992) საბჭოეთის დაშლის შემდეგ. კორესპონდენტის კითხვაზე - ბოლო საუკუნეების მეცნიერული კვლევები უპირისპირდებიან თუ არა სამყაროს მატერიალისტურ გაგებას, სტრუმინსკი პასუხობს: "დიახ, მე ამაში დარწმუნებული ვარ. მაგალითად, ავსტრიელმა სწავლულმა ლ. ბოლცმანმა ააგო გაზების, სითხეების და მყარი სხეულების კინეტიკური თეორია და პირველმა აჩვენა, რომ სამყაროს დახშულ სისტემებში მოქმედებს ენტროპიის ზრდის კანონი. ეს ნიშნავს - მკვდარი მატერია ელტვის ქაოსს, სითბო განიბნევა, ვარსკვლავები ცივდება - მაშასადამე, დგება სითბური სიკვდილი. ბოლო წლებში მე მოვახერხე მიმეღო რიგი ფუნდამენტური შედეგები სტატისტიკური ფიზიკის სფეროში, რომელთაც ხელი შეუწყვეს ამ მეცნიერების ზოგიერთი პრობლემის ბოლომდე გადაჭრას და იმის ჩვენებას, რომ რთული მოლეკულური სისტემები უფრო ინტენსიურად ელტვიან ქაოსს, სითბურ სიკვდილს, ვიდრე უფრო მარტივნი. ახლა კი წარმოიდგინეთ, რამდენად უფრო რთული არიან ცოცხალი სისტემები. დასაველელმა ბიოფიზიკოსებმა მოახერხეს ცოცხალი მატერიის მოლეკულური სტრუქტურის ელემენტთა განსაზღვრა, რომლებიც აღმოჩნდნენ ისე რთულად ორგანიზებულნი, რომ ისინი კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით უნდა ესწრაფვოდნენ ქაოსს. მაგრამ ფაქტიურად ყველაფერი სხვაგვარად ხდება. გასულიერებული ცოცხალი სამყარო უპირისპირდება ენტროპიის ზრდას და ეს ხდება მხოლოდ სულიერი სუბსტანციის წყალობით. სულის გარეშე დარჩენილი ბიოლოგიური სისტემა იქცე იქცევა ქიმიური ელემენტების უბრალო კრებადობად და იღუპება. აქ უფლებებში შედის ენტროპიის ზრდის კანონი".

კორესპონდენტის შემდგომ კითხვაზე - გამოდის, რომ სწორედ ცოცხალი მატერია უკავშირდება სულიერ სამყაროს - სტრუმინსკი დადებითად პასუხობს. იგი აგრძელებს: "თავად სიცოცხლის არსებობა ცალსახად მეტყველებს სულიერი სამყაროს მყოფობაზეც. როგორ წარმოიშვა სიცოცხლე? კაცობრიობის მიერ ბოლო საუკუნეებში გამოითქვა რიგი უსაფუძვლო ჰიპოთეზებისა ამის გამო. მატერიალისტებს და დარვინისტებს მიაჩნდათ, რომ სიცოცხლე აღმოცენდა თავის თავად მკვდარი მატერიის მოძრაობის პრო-

---

69. Ebd.

70. იხ. მის შესახებ "დიდი საბჭოთა ენციკლოპედია", რუს. ენაზე მე-3 გამოცემა, მოსკოვი 1976 წ.

ცესში. ზოგიერთი ბიოქიმიკოსი ამტკიცებდა, რომ დედამიწის გაცივების დროს სიცოცხლე წარმოიშვა მზის გამოსხივების ზემოქმედებით და ელვის განმუხტვის შედეგად. გამოჩენილ ფიზიკოსებს, კვანტური თეორიის ფუძემდებლებს, რომელთაც სიცოცხლის კანონებიც ახსნეს, მიაჩნდათ, რომ ამდაგვარივე გზით შეძლებდნენ თვით სიცოცხლის წარმოშობის ახსნასაც. მაგალითად, შრედინგერი 1947 წელს შეეცადა თვალსაჩინოდ განემარტა ბიოფიზიკოსებისათვის სიცოცხლის აღმოცენების პრობლემათა სირთულეები, გაწონასწორებული თერმოდინამიკის თვალსაზრისიდან. მაგრამ სიცოცხლე არ ეტევა თერმოდინამიკის ჩარჩოებში. რთული, ცოცხალი სტრუქტურები შესაძლოა აღმოცენებული ყოფილიყვნენ მხოლოდ სულიერი მატერიის დახმარებით, რომელთაც თავი გამოავლინეს ყოფიერების ფორმაში მკვდარი მატერიის საპირისპიროდ. 3-4 მილიარდი წლის წინ, მატერიკების, ოკეანეებისა და ატმოსფეროს გაჩენისთანავე მოხდა შერწყმა მკვდარი მატერიისა სულიერ სამყაროსთან და დედამიწა გახდა დასახლებული".

დიმიტრი უზნაძის "განწყობის" კონცეფცია და რელიგია

ვინაიდან აღნიშნულ კონცეფციას ხშირად უპირისპირებენ რელიგიას, გამართლებულად მიმაჩნია მისი მოკლე განხილვა.

"უზნაძისეული კონცეფციის თანახმად, სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა - განწყობა - იქმნება ორი ფაქტორის ერთდროული მოცემულობის პირობებში, სუბიექტის მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისი გარემოს (სიტუაციის) მოცემულობის პირობებში. თუ ერთ-ერთი ამ ფაქტორთაგანი არ არის მოცემული, განწყობაც არ აღმოცენდება. სუბიექტი განწყობა გარკვეული სიტუაციის შესატყვისი მოქმედების შესასრულებლად მხოლოდ სათანადო მოთხოვნილების საფუძველზე, მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე მოთხოვნილება ვერ განაწყობს მას შესატყვისი სიტუაციის გარეშე... გარკვეულ პირობებში ხდება განწყობის ისეთი განმტკიცება, ისეთი ფიქსაცია, რომ ახალ სიტუაციაშიც მოქმედებს ისევ წინათ შექმნილი ფიქსირებული განწყობა, რის გამოც ადამიანის ქცევა ამ ახალი (შეცვლილი) სიტუაციის შესატყვისი აღარ არის. ამ სახის განწყობის, ე.ი. ფიქსირებული განწყობის გამოვლენას წარმოადგენს აღქმის განწყობისეული ილუზიები. ტყეში ბუჩქს ადამიანი იმიტომ კი არ აღიქვამს მგლად, რომ მგლის წარმოდგენა თავისთავად დაუკავშირდება აღქმას, არამედ იმიტომ, რომ მგლის შეხვედრის შიშის გამო თვითონ ადამიანია განწყობილი მგლის დასანახავად და ამ განწყობის საფუძველზე კერძოდ მისი ფანტაზიაც სათანადო მიმართულებით ამოქმედებული, აღქმის პროცესში ამ განწყობის შესატყვისი ხატის შექმნაში მონაწილეობს."[71]

აი, ამ კონცეფციას უპირისპირებენ, როგორც ვთქვით, რელიგიურ გამოცდილებას. კერძოდ, სუბიექტის მოთხოვნილება (ღმერთთან ურთიერთობის დამყარება) + შესატყვისი გარემო (ვთქვათ, ეკლესიის გარემოცვა) ქმნის განწყობას რელიგიური განცდისას, რომელიც შემდეგ იწვევს აღქმის ილუზიას (ღვთის ან ანგელოზის ხილვასა და სხვა).

გონების დიდი დაძაბვა არაა საჭირო, რათა უკუვაგდოთ ეს კონცეფცია და მისი გამოყენება რელიგიურ გამოცდილებასთან კავშირში. როდესაც ადამიანი შიშის გამო განწყობილია ტყეში ბუჩქის ნაცვლად მგელი დაინახოს, მას მგელზე უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა. რელიგიურ გამოცდილებაში კი საქმე გვაქვს თვისობრივად სრულიად ახალ შინაარსთან, რომელსაც არ მოეძებნება ანალოგი ხილულ ბუნებაში. იგი არც მგელია და არც ექსპერიმენტატორის ბურთი ფსიქოლოგიის კაბინეტში. როგორც უნდა განწყოს დაბადებით ბრმა, იგი ვერ აღიქვამს ვერც ერთ ფერს, რადგანაც მათზე წარმოდგენა არ გააჩნია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფერები არ არსებობენ მხედველთათვის. მართალია, რელიგიური განცდა არ არის დაზღვეული

71. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1956.

ილუზიისაგან, მაგრამ აქ, შელერისა არ იყოს, რაც უფრო მაღალია სულიერი აქტის სახეობა, მით უფრო მეტია შეცდომის საშიშროება (მორწმუნის ენით თუ ვიტყვით, რელიგიურ გამოცდილებაში ხშირად უარყოფითი ძალაც იჭრება, რომელიც შეგნებულად წარმართავს მას შეცდომისაკენ). რომელ განწყობისეულ აღქმის ილუზიაზე შეიძლება აქ ლაპარაკი, როდესაც ფაქტობრივად უსწავლელი წმინდანის ხილვებიდან იგება მთელი რიგი სისტემა მისტიკური ღვთისმეტყველებისა? ამასთან დაკავშირებით, მაგალითად, მოვუსმინოთ ცნობილ ისტორიკოსსა და ფილოსოფოსს ლევ კარსავინს. ახასიათებს რა ნეტარი ანჯელას გამოცხადებებს, იგი ამბობს: "ბევრი რამ ბოლომდე ართქმულია, შეუცნობელია ანჯელას ამ გამოცხადებაში. და მისი სიტყვები გვამცნობენ ნაკლებს, ვიდრე ის გრძნობდა, არ გადმოსცემენ მთელ უჩვეულო სიმდიდრეს მისი მისტიკური ცდისას. ბევრი რამ მხოლოდ მინიშნებულია მის მიერ და შემდეგ გახსნილია გვიანდელ მისტიკოსთაგან, ბევრი რამ მხოლოდ წინასწარ გვაგრძნობინებს გონებაჭვრეტით ფილოსოფიას მაისტერ ეკჰარტისა და იაკობ ბიომესი. მაგრამ მისი მისტიკის საფუძვლების გამეორებას ჩვენ ვპოვებთ გვიან, როდესაც იგი სხვებსაც გამოეცხადა, და ძალზე მცირედნი მიაღწევენ ყველაფრის ერთიანობისა და შეკავშირების ესოდენ ცოცხალ შეგრძნებას, მოგვცემენ ასეთ "ცოცხალ" სისტემას მისტიკური ღვთისმეტყველებისა, როგორც ამას იძლევა მორჩილი და უსწავლელი დედა ანჯელა.[72]

72. Откровение Бл. Анджелы, пер. Л. Карсавина, М. 1918.

ნეგატიური და დიალექტიკური თეოლოგია

ახლა მოკლედ შევეხოთ ღვთის შემეცნების იმ გზას, რომელიც ცნობილია ღვთის შემეცნების "ნეგატიურ გზად" ანუ "ნეგატიურ თეოლოგიას". საწყისები ნეგატიური თეოლოგიისა ჯერ კიდევ პლატონთან მოიძებნება. ასეთად მიჩნეულია პლატონის გამონათქვამი ყოფიერების მიღმა სიკეთის ღვთაებრივი იდეისა და ამის გამო მისი გამოუთქმელობის შესახებ (Pol. 509 B). ეს აზრი შემდგომ ვითარდება ნეოპლატონიზმში და პლოტინე უკვე ხაზს უსვამს ღვთის სრულ ტრანსცენდენტურობას ჩვენი რაციონალური შემეცნებისათვის. ღმერთი ყველა აზრობრივ წარმოდგენაზე მაღლა იმყოფება. რაც უფრო წინ მიიწევს სული მის აღსაქმელად, "იგი უფრო მეტად შორდება მას და უნდა ეშინოდეს, რათა არარაობის წინაშე არ აღმოჩნდეს". ტყუილუბრალოდ შევეცდებით მისი არსების სისავსის პოზიტიური ცნებების აღქმას. ჩვენში ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებათა გარკვეული პოპულარობის გამო ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით. რაც შეეხება თანამედროვე "დიალექტიკურ თეოლოგიას", იგი ამ ტრადიციას მიჰყვება, რამდენადაც "კრიტიკულ ნეგაციას" ღმერთზე ყოველგვარ საუბარსა და ადამიანურ ცოდნაზე მაღლა აყენებს (კ. კიენცლერი). დიალექტიკური თეოლოგიის წარმომადგენლები კარლ ბართი (1886-1986) და სხვები შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ღვთის გამოცხადების ქრისტიანულ განუმეორებლობას ცნება "რელიგიურში" გაქრობა ემუქრება და აპროტესტებდნენ იმას, თუკი ვინმე ქრისტიანობას "ერთ-ერთ" რელიგიად მოიხსენიებდა. ყოველივე ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ ისინი გამოცხადების ღმერთს რადიკალურად ანსხვავებდნენ ღვთის ყოველ სხვა წარმოდგენათაგან და მკვეთრად ემიჯნებოდნენ ღვთის შემეცნების ბუნებრივ გზას, ე.წ. "ბუნებრივ თეოლოგიას". ამიტომ, მათი წარმოდგენით, ქრისტიანობა ნამდვილი გაგებით, სულაც არ არის რელიგია. პირიქით: ქრისტიანული რწმენა თავისი თავიდან გამომდინარე, რელიგიისადმი კრიტიკულად არის განწყობილი. კარლ ბართი [73] უპირისპირდება გონებისა და რწმენის შერიგების იდეას, ფაქტობრივად იმას, რასაც უპირისპირდება ათეიზმი. მაგრამ ამით ბართს იმისი თქმა სურს, რომ თეიზმის უარმყოფელი ათეიზმი მასში არსებითად იმას უარყოფს, რაც ქრისტიანულ ღვთის რწმენაში სავსებით არ იგულისხმება (ჰ. როლფესი).[74] რწმენით მოცემული ღვთის შემეცნება თავად რწმენითვე აღიქმება და იგი ემიჯნება ყოველგვარ მეტაფიზიკურ-თეისტურ წარმოდგენას. ამიტომ ქრისტიანული ღვთის რწმენა ათეიზმის კრიტიკისათვის მიუწვდომელია. ასეთი რწმენა დგას ათეიზმისა და თეიზმის მიღმა (ჰ. როლფესი). ათეიზმს ასეთი რწმენის მიმართ მომსახურის ფუნქციაც კი ენიჭება, რამდენადაც იგი რელიგიაში გამოთქმულ ან ფილოსოფიურად დასაბუთებულ თეიზმს უარყოფს და შლის და ამით ქრისტიანული თეოლოგიის ერთ-ერთ

73. K. Barth, Romerbrief, Zürich 1919.
74. H. Rolfes, Atheismus.Theismus, NHThG, München 1984.

მნიშვნელოვან ელემენტად იქცევა, რომელიც ასეთ ათეიზმს თავის თავში შეიცავს.[75] ამგვარად, დიალექტიკური თეოლოგიიდან გამომდინარე, ღმერთზე საუბარი შეიძლება მხოლოდ როგორც გამოცხადების ქრისტეზე. ამგვარად ღებულობს ქრისტოლოგია გადამწყვეტ როლს ათეიზმის გაგებაში. იესოს ჯვარცმით სიკვდილში, ჯვარცმის დროს მისი ღვთისაგან მიტოვებულობაში, რომელიც ძნელად გასაგებია რელიგიურ-თეისტური ხედვისათვის, ადგილი აქვს ღვთის სიკვდილის იმ გამოცდილებას, რაც უნივერსალური გახდა იმდენად, რომ ახალი დროის ათეიზმს ასევე მოეპოვება გამოცდილება იმისა, რომ "ღმერთი მოკვდა" და სამყარო ღვთისაგანაა მიტოვებული. მაგრამ, ამავე დროს, ჯვარცმაში მოჩანს თეოლოგიურად გზა იმ ათეიზმის დასაძლევად, რომელიც თავის დამკვიდრებისათვის ბიძგს ღებულობს იმ ფაქტიდან, რომ სამყაროში არსებობს ტანჯვა და სიკვდილი, და რომელიც შეუთავსებელია "კეთილი ღმერთის" არსებობასთან. მაგრამ იესო ქრისტეს ჯვარცმაში გასაგები ხდება, რომ თვით ღვთისათვის უცხო არ არის ტანჯვა და სიკვდილი და იგი ამით უარყოფს ათეიზმს, რომელიც ტანჯვასა და ღმერთს დაპირისპირებულ, ურთიერთშეუთავსებელ სინამდვილეებად განიხილავს.

აქ ძალაუნებურად მივადექით "თეოდიცეას", ანუ "ღვთის გამართლების" საკითხს. თუკი სამყაროში არსებობს ტელეოლოგია, იმავდრუოლად მასში არსებობს დისტელეოლოგიაც, კაცობრიობის მოდგმაში უხვად არის განთესილი ბოროტების თესლი და ა.შ., რაც ისევ და ისევ ყოვლისშემძლე და კეთილი ღმერთის არსებობას უარყოფს. მაგრამ რადიკალურად დასმულ კითხვაზე: "თუკი ღმერთი არსებობს, საიდან არის ბოროტება?" შეიძლება დიალექტიკური შეპასუხება: "მაგრამ საიდან არის სიკეთე, თუკი ღმერთი არ არსებობს?" საერთოდ ამ პრობლემაზე, ისევე როგორც სხვა საკითხებზე, მრავალმხრივ პასუხებს იძლევა ბიბლია. იქიდან ვგებულობთ, რომ არსებობს პირველცოდვა, რომელსაც მოჰყვა ბოროტების დამკვიდრება ამქვეყნად და განა სახარება მთლიანად ადამიანის ხსნაზე არ მეტყველებს? ერთი მაგალითი. ჩვენ ვიცით, რომ სტიქიური უბედურების დროს იღუპება ცოდვილიც და ნაკლებ ცოდვილი. ბიბლიაში არის ამაზე მინიშნება. ლუკას სახარებაში (13,4-5) ვკითხულობთ: "იქნებ გგონიათ, რომ ის თვრამეტი კაცი, რომელსაც დაეცა სილოამის გოდოლი და გასრისა ისინი, უფრო მეტად ბრალეულნი იყვნენ, ვიდრე იერუსალიმის ყველა მკვიდრი? არა, გეუბნებით თქვენ, მაგრამ თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავით დაიღუპებით". რასაკვირველია, მაცხოვარმა ძალზე კარგად უწყის, თუ რა კავშირი არსებობს ადამიანის ტანჯვასა და მის ცოდვას შორის, მაგრამ იგი ამით მიგვანიშნებს, რომ ყველა ცალკეულ შემთხვევაში ამის გაგება ადამიანს არ ძალუძს, იგი მისი გონებისათვის მიუწვდომელია (ბიბლიის ეგზეგეზა). გარდა ამისა, და რაც მთავარია, ამქვეყნიური ტანჯვა და სიკვდილი ქრისტიანობისათვის უმთავრესი არ არის. მაცხოვარი გეუბნება: "ნუ გეშინიათ იმათი,

---

75. გავიხსენოთ ზემოთ გადმოცემული ჰეგელის აზრები("ღმერთი მოკვდა") "დიდ პარასკევზე".

რომელნიც ჰკლავენ ხორცს, მაგრამ სხვას ვეღარას გავნებენ თქვენ, არამედ გიჩვენებთ, ვისი გეშინოდეთ: გეშინოდეთ იმისა, ვისაც, თქვენი მოკვლის შემდეგ, შეუძლია ჩაგაგდოთ გეენას" (სახარება ლუკასი, 12, 4-5).

ამ ბობოლა ათეისტების განხილვის შემდეგ უდავოდ ერთი რამის დაფიქსირება შეიძლება. ეს გახლავთ თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს თანდათანობითი ჩაძირვა ნიჰილიზმისა და ათეიზმის მორევში. როგორ არ გაგვახსენდეს აქ ნიცშეს წინასწარმეტყველება მე-20 და 21-ე საუკუნეების მიმართ გამოთქმული?! მაგრამ ქრისტიანები არ ვივიწყებთ არც იოანე ოქროპირის ძვირფასს სიტყვებს: "იმდენად ცოდვა კი არ გვაგდებს უბედურებაში, რამდენადაც სასოწარკვეთილება". ამიტომ მიჩნევდა მთელი შუა საუკუნეები სასოწარკვეთილებას, ანუ acedia-ს, ან tristitia-ს ცოდვად სული წმიდის წინააღმდეგ, ე.ი. სიკვდილისმიერ, უდიდეს ცოდვად. ამიტომ არის ესქატოლოგია ქრისტიანობისათვის არა თანდართული, ბოლო ნაწილი, დამატება, არამედ იგი მთლიანად მოიცავს მას, რადგან მკვდრეთით აღმდგარი ქრისტესაგან კაცობრიობა ხსნას ელის, იგი არის იმედი, რომელიც ჩვენი რწმენის განმსაზღვრელია. ქრისტეს ყოველი განსაზღვრება გვამცნობს არა მხოლოდ იმას, თუ ვინ იყო იგი, არამედ ისინი შეიცავენ აგრეთვე უწყებას, თუ ვინ იქნება იგი და მისგან რა არის მოსალოდნელი. ყოველი მათგანი ღაღადებს: "ჩვენ ხსნილნი ვართ იმედით; ხოლო ხილული იმედი არ არის იმედი: ვინაიდან რა იმედი უნდა გქონდეს იმისა, რასაცა ხედავ? ხოლო იმის მიმართ ვართ იმედით მოსილნი, რასაც ვერ ვხედავთ, მოთმინებით მოველით მას". (რომაელთა მიმართ, VIII-24, 25).[76]

---

76. აქ საჭიროდ მივიჩნიეთ მკითხველისათვის მიგვეწოდებინა მსჯელობა წმ. სამების შესახებ, რადგან ათეისტებისათვის იგი პირველი სამიზნეა, როგორც ქრისტიანობის "წინააღმდეგობრივობისა". მაგრამ ეს მსჯელობა კიდევ უფრო გაზრდიდა ამ თავის მოცულობას, რომელიც, ჩანაფიქრის საწინააღმდეგოდ, ისედაც დიდი გამოვიდა. ამიტომ სამერთიანობის ცნების ლოგიკური არაწინააღმდეგობრივობის შესახებ იხ. აკადემიკოს ბ. რაუშენბახის წერილები: "Логика троичности" (წიგნში: Пристрастие, М., 2002; "Письмо в редакцию" ("Вопр. Философии, #3, 1992, აგრეთვე ჰანს ურს ფონ ბალთაზარის პოლემიკური წიაღსვლები ჰეგელის მიერ სამების გაბრაზებისა (Hans Urs von Balthasar, Theodramatik III, s. 302); Hans-Eduard Hengstenberg, Sein und Ursprünglichleit, München 1958.

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია აგრეთვე მოიპოვოს გერმანელი ფილოსოფოსის ჭ. ჰუონდერის წიგნი "ღვთის არსებობის მტკიცებების ისტორია" XX საუკუნის ჩათვლით, რომელიც ჯოარგმნე და გამოაქვეყნე ჟურნალ "რელიგიაში" გაგრძელებებით (№10,11,12, 1992 წ.).

ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება ხაჭართველოში

შინაარსი:

შესავალი

ბოროტება ძველ აღთქმაში

ბოროტება ახალ აღთქმაში

ბერძნული ფილოსოფია

აღმოსავლური რელიგია

ადრეული ქრისტიანობა

ნეტარი ავგუსტინეს კლასიკური თეორია

ლაიბნიცის თეოდიცეა

შელინგის შეხედულება ბოროტების წარმომავლობაზე

კირკეგორის მიერ დემონურის განმარტება როგორც ძრწოლისა სიკეთის წინაშე

კირკეგორის მცდარი შეფასება ექსისტენციალისტების მიერ და ჰაიდეგერის ფილოსოფია

მეოცე საუკუნის მოაზროვნეები და მათი შეხედულება ბოროტებაზე

ცოდვა

ცოდვის გაგება ძველ აღთქმაში

ქრისტიანობა და ცოდვა

იოანე ოქროპირის მოძღვრება ცოდვაზე დეკანოზ

იოანე მეიენდორფის მიხედვით

თანამედროვე ღვთისმეტყველთა შეხედულებები ცოდვასა და მადლზე

ბოროტება პოლიტიკაში და საზოგადოებაში

ბოროტება და პოლიტიკური ეთიკა

ბოროტება ლიტერატურასა და ხელოვნებაში

შესავალი

ამ რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ ჩემს წერილს ასეთი ფრაზა წავუმძღვარე: ძნელია წერდე საქართველოზე და ბოროტებაზე არ დაფიქრდე. დღეს ეს ფიქრი "შავად მღელვარე", ძალუმად იპყრობს ჩვენში ყველა პატიოსან და ოდნავ მოაზროვნე ადამიანს. "დამოუკიდებლობის" წლების მიერ მოტანილი გულაცრუება, სკეპსისი, გაუტანლობა და ჩონჩხის ხითხითი არის ის ფონი, რომელიც ახლავს მარად ძველ და მარად ახალ კითხვას: რა არის ბოროტება? პასუხი, ცხადია, დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ სცემს მას - ათეისტი-აგნოსტიკოსი, თუ მორწმუნე ადამიანი. უკვე ისეთი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ კანტი, მარქსი და ფროიდი, ბოროტებას განმარტავდნენ ყოველგვარი ებრაულ-ქრისტიანული "შექმნისა" და "ხსნის" მოძღვრებისაგან დამოუკიდებლად. მათთვის ბოროტება არის ადამიანის თავისუფლებიდან გამომდინარე, თვით ადამიანის მიერვე ჩადენილი ადამიანურობის უარყოფა. ამგვარად, კითხვა "რატომ არის ბოროტება?" ბიოლოგისა და ფსიქოლოგისათვის, როგორც მეთოდური, ათეისტისა და აგნოსტიკოსისათვის, როგორც ფილოსოფიური, უაზრო გახდა. მაგრამ მოახდინეს რა პრობლემის რაციონალიზება და მოწყვიტეს რა იგი მეტაფიზიკურ საწყისებს, კითხვა კითხვად დარჩა, რის მიხედვითაც იგივე კანტი, თავისი ჰიპოთეზებით, ვერ პოულობდა "გასაგებ საფუძველს" ადამიანის არაადამიანური საქციელისათვის და მის მიერ თავისუფლების ასე ბოროტად გამოყენებისათვის. კანტისათვის მორალური ბოროტება აუხსნელი დარჩა: "ჩვენთვის არ არსებობს არავითარი გასაგები საფუძველი,თუ საიდან უნდა აღმოცენებულიყო ჩვენში მორალური ბოროტება".[1] კანტი გაოცებით აფიქსირებს ლორდ ჩესტერფილდის სიტყვებს: "ჩვენი საუკეთესო მეგობრების უბედურებაში არის რაღაც ისეთი, რაც უსიამოვნო არ არის ჩვენთვის". ქვეთავში, რომელსაც ჰორაციუსის სიტყვები აქვს წამძღვარებული "მანკის გარეშე ვინ იბადება" კანტი ამტკიცებს, რომ "ადამიანი ბუნებით ბოროტია". იგი წერს: "ეს შესაძლებელია დავუშვათ ყოველ, თუნდაც საუკეთესო ადამიანში, როგორც სუბიექტურად აუცილებელი... ამიტომ ჩვენ ამ ბუნებრივ მიდრეკილებას ბოროტებისაკენ... შეიძლება ვუწოდოთ რადიკალური, თანშობილი ბოროტება ადამიანის ბუნებაში". ეს ძალაუნებურად გვახსენებს ჩვენში გავრცელებულ სტროფს: "კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა"...

ამასთან დაკავშირებით კათოლიკე ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი იუზეფ ტიშნერი აღნიშნავს: "თეოლოგიის უარყოფით ჩვენ უარვყავით, აგრეთვე, რწმენა დემონური ბოროტების რეალობის შესახებ... მაგრამ დარჩა

---

1. კანტის შეხედულება ადამიანის ბუნებაში რადიკალური ბოროტების შესახებ იხ. წიგნში: ი. კანტი, რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში, თბ., 1989.

დემონიზმის იდეა, რ ცორც ზღვრული იდეა, რომელიც გამოყენებული იქნება შეფარდების წერტილად ჩვეულებრივ ადამიანურ ბოროტებასთან. დემონიზმი იქნებოდა თანმიმდევრული ბოროტი ნება - ისეთი, რომელსაც ბოროტება სურს თავად ბოროტების გამო... კანტი ამტკიცებს: ადამიანში არ არის თანმიმდევრული ბოროტი ნება. ადამიანი არ არის დემონი, თუმცა კი ესმის თუ რა არის დემონიზმი. მაშინ რა არის ადამიანში? არის რაღაც "უზნეობა". და თუმცა მთლიანობაში კანტის კონცეპცია - არარელიგიური კონცეპცია გახლავთ, იგი ატარებს პირველცოდვის ღვთისმეტყველების ნიშნებს. კანტი იმეორებს იმას, რასაც ამტკიცებს კათოლიკური ღვთისმეტყველება: ადამიანი თავისი ბუნებით არ წარმოადგენს ბოროტებას, იგი მხოლოდ "გაფუჭებულია" ბოროტებისაკენ რაღაცა "მიდრეკილებით". ეს გაფუჭებულობა კანტთან გამოხატულია სავსებით ცალსახად: ადამიანი თუმცა კი "აცნობიერებს მორალურ კანონს, მაგრამ თავის მაქსიმაში ღებულობს მისგან განდგომას." ი. ტიშნერი აგრძელებს: რუსოს მიხედვით "ბუნება - ბუნებრივი მდგომარეობა", ესაა ადამიანი, მოცილებული ცივილიზაციის დამღუპველ ზეგავლენებს. ასეთი ადამიანი, რუსოს აზრით, ბუნებით კეთილია. კანტი არ იზიარებს ასეთ ოპტიმიზმს. იგი ამტკიცებს, რომ ადამიანური ბუნება ისეთია, რომ ხალისით მიმართავს არსებულ წესებში გამონაკლისებს. მაგრამ მას ეს არ უნდა დაეშვა. ამ პრობლემის თვალსაზრისით ადამიანი თავისუფალია. და, მაშასადამე, დამნაშავეა... მაგრამ აქ მთავრდება მსგავსება გაფუჭებულობის ღვთისმეტყველურ თეორიასთან. პირველცოდვის შედეგად გაფუჭებულობა არ იქცა ადამიანის პიროვნულ დანაშაულად, რადგან მომდინარეობდა წინაპრებიდან." [2]

ამრიგად, გამოცდილება უარყოფს აბსტრაქტული განმანათლებლების ოპტიმიზმს, რომელთაც სჯეროდათ, რომ უტოპიური ბუნებისა და საზოგადოების მდგომარეობის სახელით პრინციპულად ძალუძთ ადამიანის არაადამიანურობისა და დანაშაულის ცნობიერების, როგორც ყალბი ცნობიერების, უარყოფა. კანტი ეწინააღმდეგება იმ "ჰეროიკულ შეხედულებას, რომელმაც ადგილი ჰპოვა მხოლოდ ფილოსოფოსებსა და ჩვენ დროში უპირატესად პედაგოგებში: რომ სამყარო... განუწყვეტლივ ცუდიდან კარგისკენ (თუმცა ოდნავ შესამჩნევად) მიემართება, ყოველ შემთხვევაში, საამისო უნარი ადამიანის ბუნებაში მოიპოვება", რადგან, სამწუხაროდ, "ისტორია ყველა დროისა ძალზე კატეგორიულად უარყოფს ამას".

იმავე ი. ტიშნერს მოჰყავს მე-20 ს-ის ფრანგი მოაზროვნის, ჟან ნაბერტის პოლემიკა კანტთან: კანტს და განმანათლებლობას მიაჩნდა (ამ უკანასკნელს უღუთოდ), რომ მთავარია გონების გაწმენდა ცრურწმენათაგან. აქ ძალაუნებურად გვახსენდება დეკარტე: რომ გავანთავისუფლოთ გრძნობანი ცდომილებათაგან, ჩვენ მივმართავთ გონებას. მაგრამ თუკი გონებაშიც იჭრება "დეზინფორმაცია", მაშინ რაღა ძალას მივმართოთ? დეკარტეს მიაჩნია, რომ

---

2 აქ და შემდეგ ი. ტიშნერის ციტატები მოგვყავს შემდეგი გამოცემიდან: Ю. Тишнер, Избранное: Философия драмы, т. II, М. 2005. стр. 223-265.

საჭირო არ არის გონებაზე უარის თქმა. გონებას ძალუძს თავისი თავის გაწმენდა ყოველგვარი ცრურწმენებისაგან. დეკარტეს პასუხმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავიდანვე იქცა კრიტიკის ობიექტად, უხვი მოსავალი მოიყვანა განმანათლებლობის ეპოქაში. გონების რეფორმა, ხოლო შემდგომ მსოფლიოს რეფორმა გონების მეშვეობით საფუძვლად დაედო განმანათლებლობის იდეოლოგიას. ამიტომაცაა განმანათლებლობის ლოზუნგი: ბრძოლა ცრურწმენებთან! მაგრამ ჭეშმარიტი ღვთის იდეა, განაგრძობს ტიშნერი, დეკარტესთან გვევლინება ჩვენი შემეცნების გარანტად. ხოლო ძირითადი მიმდინარეობა განმანათლებლობისა იოლად გადის ფონს საერთოდ ღვთის გარეშე; წამყვანი იდეა ხდება "გონების ავტონომია"... ბოროტების განმანათლებლური კონცეფცია უარყოფს არა მარტო ბოროტების მეტაფიზიკას, არამედ რელიგიასაც. რაც შეეხება კანტს, იგი, მართალია, ღვთის არსებობას არ უარყოფს, მაგრამ მასაც მთავარ ამოცანად მიაჩნია გონების გაწმენდა ცრურწმენათაგან. და აი, ჟან ნაბერტის თქმით, მე-20 საუკუნემ მოგვიტანა ძალზე რაციონალური (გონისმიერი) სისტემა საკონცენტრაციო ბანაკებისა, რომელიც კანტის განსაზღვრით ზნეობრივ მაქსიმათა გადალახვა კი არაა, არამედ გამოკვეთილი დემონიზმი. მაშასადამე, დემონიზმს შეუძლია განხორციელდეს რაციოს სიკაშკაშეში (და, პირიქით, სიკეთეს ძალუძს ბნელეთის განათება!). ის, რომ ხსენებული "სიკვდილის ბანაკები" ნამდვილი დემონიზმია, ამას ადასტურებს ისეთი მრავალტანჯული ცნობილი მწერალი, როგორიც არის ვარლამ შალამოვი. ჩვიდმეტი წელი გაატარა მან სტალინის ბანაკებში და აი, რას წერს იგი: "ბანაკი - სიცოცხლის უარყოფითი სკოლაა მთლიანად და სავსებით. არავითარ სასარგებლოს, საჭიროს, არავინ არ გამოიტანს იქედან... იქ ბევრი რამ არის ისეთი, რაც ადამიანმა არ უნდა იცოდეს, არ უნდა ნახოს, და თუკი იხილა - სჯობს, რომ მოკვდეს".[3] იგივე ი.ტიშნერი კი ასე მსჯელობს "სიკვდილის ბანაკებზე". პირველ ყოვლისა, ამბობს იგი, საუბარია იმაზე, რომ ამ ბანაკებმა გამომაქცევნეს შესაძლებლობა თავდაპირველი მანიქეველობისა. სიკეთის არსებობა სამყაროში მხოლოდ იმდენადაა დასაშვები, რამდენადაც სიკეთე სამყაროში აუცილებელია ბოროტების საბოლოო გამარჯვებისათვის. ციხის ცხოვრება გვევლინება ფასეულობად მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ციხეს მუშაობა შეუძლია, მაგრამ მუშაობს რა, იგი მუშაობს თავისი მტრების სასარგებლოდ. სიკვდილის ბანაკი ადამიანურ ერთობას ისეთ სტრუქტურას ანიჭებს, რომელშიაც ადამიანის კეთილი ქმედებანი უნდა მოტრიალდეს ადამიანისავე საწინააღმდეგოდ: ციხე მუშაობს თავისივე თავის დასაღუპად. ამიტომაა, რომ შალამოვი შემდეგნაირად წერს: "ბანაკში პატიოსანი შრომისაკენ მხოლოდ არამზადები მოუწოდებენ... მათთვის არის სასარგებლო - ეს "პატიოსანი" შრომა. მისი შესაძლებლობისა მათ უფრო ნაკლებად სწამთ, ვიდრე ჩვენ". თუკი ალექსანდრე სოლჟენიცინისათვის ბოროტების მანიფესტაცია ძირითადად სტალინის (თავდაპირველად ლენინის) სახ-

3. Варлам Шаламов, Колымские рассказы, М. 1991, стр. 141.

ელმწიფოა, რომელმაც ასეთი ბანაკების სისტემა შექმნა, შალამოვი ძირითად აქცენტს თავად ადამიანებზე და მათ ურთიერთობაზე აკეთებს, საიდანაც აღმოცენდება ხოლმე ბოროტება. იგი ბანაკში ასეთ აღმოჩენას ახდენს: "იგი ადამიანებს ბრალს არ დებდა გულგრილობაში. მან დიდი ხნის წინ გაიგო, თუ საიდანაა ასეთი სულიერი სიჩლუნგე, სულიერი სიცივე. ყინვამ, სწორედ მან, რომელიც ჰაერშივე აქცევდა ფურთხს ყინულად, ადამიანის სულსაც მიაღწია. თუკი შესაძლო იყო რომ ძვლები გაყინულიყო, შესაძლო იყო ტვინის გაყინვაც და სიჩლუნგეც, შესაძლო იყო სულის გამყინვარებაც."

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ი. ტიშნერს, რომელიც წერს: "საქმე ისაა, ვუჩვენოთ მცირე ბოროტების დიდში დაფუძნება, ხოლო დიდისა - კიდევ უფრო დიდში. სხვა სიტყვებით: საუბარია იმაზე, რათა ვუჩვენოთ, რომ მცირე ბოროტება გამოვლინებაა კიდევ უფრო დიდი ბოროტებისა. გამოვლინების ლოგიკა გულისხმობს: "ცუდ ადამიანში" დემონი მოქმედებს". და კიდევ: "სიკეთე ბოროტებისათვის წარმოადგენს იმას, რაც უნდა განადგურდეს. მაგრამ რატომ უნდა განადგურდეს სიკეთე? ეს ბოროტებამ არ იცის." ი. ტიშნერისათვის კაპიტალიზმის ბოროტების სიმბოლოა ბავშვთა მონური შრომა (გავიხსენოთ ბავშვთა შრომის ექსპლუატაციის აღწერა ინგლისურ მანუფაქტურებში მარქსის მიერ "კაპიტალში"), ხოლო კომუნიზმისა - კოლიმა ("სასიკვდილო ბანაკები"). მაგრამ აქ ტიშნერი აკეთებს მრავლისმეტყველ დასკვნას: "მიზანი ამდაგვარი აღწერილობებისა - ადამიანში გამონთავისუფლდეს ორი ძალა: თანაგრძნობა და უნარი სისასტიკისა."

ბანაკებზე საუბრისას იკვეთება ერთი საინტერესო თემა. შალამოვი წერს: "დოსტოევსკი "ბარათებში მკვდარი სახლიდან" გულაჩუყებული აღნიშნავს უბედურთა საქციელს, რომლებიც ისე იქცევიან, როგორც დიდი ბავშვები, გატაცებული არიან თეატრით, ბავშვურად, რისხვის გარეშე ჩხუბობენ ერთმანეთში. დოსტოევსკი არ შეხვედრია და არ იცნობდა ადამიანებს ნამდვილი ქურდული სამყაროდან. დოსტოევსკი თავს ნებას არ მისცემდა ამ სამყაროსადმი გამოეთქვა რაიმე თანაგრძნობა". და შემდეგ შალამოვი აცხადებს: "ქურდები ხომ ადამიანები არ არიან". ესე იგი არა ჩეკისტები, არა ზედამხედველები, არა სისტემა, ბელადი და ჯალათები, არამედ პირველ რიგში არაადამიანებად ქურდები არიან გამოცხადებული. ეს სწორედ ისაა, რაც ზემოთ ვახსენეთ. კერძოდ: სოლჟენიცინისათვის ძირითადი ბოროტება "გულაგის" სისტემა და მათი შემქმნელებია. შალამოვი კი ბოროტების ფესვს ადამიანურ ურთიერთობებში ხედავს, სადაც პატიმრის პირველ მტანჯველად და ჯალათად ისევ პატიმარი - ქურდი მოიაზრება. ასეთი დასკვნა ერთობ პარადოქსულად ჟღერს, რადგან ყოფილი საბჭოთა პატიმრის პირადი დაკვირვებით (1960-იან წლებში პირველად მოხვდი მოსკოვის "ბუტირკის" ციხეში, ხოლო 70-იანი წლების ბოლოს თბილისის "სუკ"-ისა და ორთაჭალის ციხეშიც, შემდგომი გადასახლებით) ქურდებს გააჩნდათ გარკვეული ზნეობის წესები (თუმცა, ძალზე პრიმიტიული, მკაცრი, და დაბალ საფეხურზე მდგომი), რაც მათ "არაადამიანად" შერაცხვას ეწინააღმდეგება. მეორე მხრივ, გამორიცხულია, რომ შალამოვი დეზინფორ-

მაციას გვაწვდიდეს. მაშ რაშია საქმე? მე გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას, ჰიპოთეზას, ვარაუდს, რომლის უარყოფა უფრო დაკვირვებულ და საქმეში ჩახედულ მკითხველს იქნებ შესაძლებლად მიაჩნდეს. პირველი რაც განასხვავებს სტალინის დროინდელ "ბლატარებს" დღევანდელი ქურდული სამყაროსაგან, ეს გახლავთ ხრუშჩოვის მიერ და მის მოძღვრო ეპოქაში არნახული შემსუბუქება უსასტიკესი ბანაკის რეჟიმისა. ეს რეჟიმი დაუნდობელი ჯუნგლის კანონიდან, რომელიც ადამიანს მხეცად აქცევდა, გარდაქმნა მკაცრ ადამიანურ ურთიერთობებად, ე.ი. უმკაცრეს, მაგრამ მაინც ადამიანურ ურთიერთობებად. მეორე განსხვავება უფრო ნიშანდობლივია. აქ დახმარებას გაგვიწევს გერმანელი ფსიქოლოგის ვერნერ გრიუნის ვრცელი გამოკვლევა "თანამედროვე მორწმუნეობა (ღვთისმოსაობა) - ემპირიული ფსიქოლოგიის ძირითადი ფაქტები".[4] აქ ვკითხულობთ: "ჩვენ ვუწოდებთ სულიერ მდგომარეობას მორწმუნეობრივს (რელიგიურს), თუკი იგი ღმერთზეა ორიენტირებული. ასეთები იყვნენ არა მარტო წმინდანები, სასულიერო პირები და ა.შ., არამედ, აგრეთვე, ბავშვებს, მოხუცს, სულით ავადმყოფს, არაკაცს შეუძლიათ მორწმუნენი (რელიგიურნი) იყვნენ, თუკი მათ სიცოცხლეში ღმერთზე აზრი აკიაფდება". რა კავშირშია ეს ზემოთქმულთან? საქმე ისაა, რომ რევოლუციამდელ რუსეთის იმპერიაში "ღმერთზე ორიენტირება" მოსახლეობის დაბალ ფენებს, მათ შორის პატიმრებს ("არაკაცებს"), არ აკლდათ. ასევე იყო დასავლეთშიც. იმავე გრიუნს მაგალითად მოჰყავს ერთი საშინელი დამნაშავის სიტყვები, რომელმაც შეკითხვაზე, ლოცულობს თუ არა იგი, უპასუხა: არა, არ ვლოცულობ, რადგან ჩემს ლოცვას ღმერთი არ შეისმენს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მე ფარისეველი არ ვარ! და გრიუნი იქვე დასძენს: მსგავსი აღწერები მოიპოვება, აგრეთვე, დიდ რუს მწერალ ლ.ნ. ტოლსტოისთან, მაგ. რომან "აღდგომაში" მძიმე დამნაშავე ("ღვთის წინაშე ცოდვილი") ქალი, კორაბლიოვა, ამოოხვრით აღიარებს: "ღვთის წინააღმდეგ შენ არაფრის გაკეთება არ შეგიძლია..." ასევე შეადარეთ ამას, ამბობს გრიუნი, დოსტოევსკი, თვით გორკი თავის საუკეთესო თხზულებებში.

ყოველივე ზემოთქმული მაფიქრებინებს, რომ რევოლუციამდელ რუსეთის ქურდებში რაღაცა სახით "რელიგიურობა" - "მორწმუნეობა" არსებობდა, რაც მათ სულიერ განწყობაზე დადებითად მოქმედებდა და სისასტიკეს ახშობდა. ამიტომ იყო, რომ მათი თვითმხილველი, დოსტოევსკი მათ თანაგრძნობას უცხადებდა. მაგრამ, აი, მოვიდა რევოლუცია და, ვასილი როზანოვის თქმით, "ჩვენმა გლეხობამ (მუშებზე უკვე აღარ არის საუბარი) ქრისტიანობა, როგორც აბანოში ჭუჭყი, ისე ჩამოიცილა". სახელმწიფო იდეოლოგიამ, მებრძოლმა ათეიზმმა, ციხეშიც შეაღწია და ქურდული სამყარო მხეცებს დაამსგავსა (მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, რომ იძროხინდელი ქურდებიც გულზე ჯვარს ატარებდნენ). ვიმეორებ: ყოველივე ეს ვარაუდია

---

4. Werner Gruehn. Die Frömmigkeit der Gegenuwart (Grundtatsachen der empirischen Psychologie), Munchen, 1956.

და სანამ უკეთეს ახსნას არ შემოგვთავაზებენ, იგი არსებობის უფლებას ინარჩუნებს. მაშასადამე, აბსოლუტურად უღმერთო "ბლატარებში" (სტალინის დროს) სატანიზმი სუფევდა და ამაში დიდი იყო სახელმწიფოს ხელშემწყობი როლი.

"ქურდული" თემა რომ ამოვწურო, აქ ერთი ეგზალტირებული ავტორი უნდა ვახსენო, რომელმაც თავდასხმა მოახდინა... არსენა ოძელაშვილზე![5] თავისი წერილის შესავალში (ხოლო ამ "შესავალის" წაკითხვის მერე თავად წერილის გაცნობის სურვილიც დამეკარგა) იგი წერს: "ეს არსენა, მგონი, ჩვეულებრივი კრიმინალი იყო, კომუნისტების დროს დაპიარებული, ათეისტი კაცი. თვითონ ხომ ღვინით ტყვრებოდა წითელ პარასკევს, ნათელმირონი გიორგი კუჭატნელის შეცდენაც მოინდომა". ამის წამკითხველი პირდაპირ სახტად დავრჩი - ნუთუ ასე ძნელია არსენას პირველწყაროს - "არსენას ლექსის" გაგება?! ჯერ ერთი, სად ამოიკითხა ავტორმა, რომ კუჭატნელი არსენას "ნათელმირონია"? და უმთავრესი: როგორ გონია ჩვენს "თეისტ" ავტორს, რომელი უფრო დიდი ცოდვაა - "წითელ პარასკევს" ღვინის სმა, თუ კაცის კვლა? აკი ამბობს კიდევაც არსენა, რომელიც ხანჯლით მიწვდა კუჭატნელს: "ვერ გაგიმეტე, გიორგი, ვაი დედიჩემის ღმერთსა!" ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მთელი "არსენას ლექსი" არსენას რელიგიურობის უტყუარი საბუთია. "მე მღალატობ, ნათლიმამავ", - მიმართავს არსენა ფარსადანს (და არა კუჭატნელს!) - "იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთსა? ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთისმშობელი გაგიჩენსა!" ანდა: "მესამე დილა გათენდა, მაშინ პირჯვარს დაიწერსა: თხუთმეტ წელს ყაჩაღათა ვარ, კაცის ცოდვა არ მაძევსა, ეხლა მოვკლა ნათლიმამა, ბოლოს სული წამიწყდესა!" ან კიდევ: "ვაპატივებ ნათლიმამას, ჯერ მირონს და მერე ღმერთსა". მსგავსი გამონათქვამები კიდევ არის ამ ლექსში და ამიტომ იყო, რომ მცხეთელებმა დიდი პატივი მიაგეს არსენას, რომლის საფლავის ქვაზეც ასეთი წარწერა გაუკეთეს: "აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!" რაც შეეხება "წითელ პარასკევს" ღვინის სმას, ვისაც ეს დანაშაული ამ დღეს კაცის კვლაზე მეტი ჰგონია - აშკარად ფარისევლობის გზას ადგას.

თუმცა დავუბრუნდეთ ჩვენს თემას, კერძოდ, ბოროტების გაგების მცდელობას ყოველგვარი ღვთისმეტყველების გარეშე. ბოროტებაზე "საერო" ფილოსოფოსთაგან არაერთ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს შოპენჰაუერი. იხსენებს რა კოშკში ჩაკეტილ უგოლინოს, რომელსაც შიმშილით კლავენ, შოპენჰაუერი სვამს კითხვას: "მასალა თავისი ჯოჯოხეთისათვის დანტემ განა ამქვეყნიური სინამდვილიდან არ აიღო?" შოპენჰაუერს არ გამორჩა არც ის ერთადერთი ბოროტების გამოვლინება, რომელიც ყველაფერზე მეტად საპატიოა და ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს ლუკრეციუსის სტროფი, რომელსაც იგი "მშვენიერსა" და "წრფელს" უწოდებს: "სასი-

---

5. გაზ. "24 საათი", 20 იანვარი, 2006 წელი - მ. ხერხეულიძე "ვირის ამბავი".

ამოვნოა, როდესაც მღელვარე ზღვაზე ნაპირიდან შენ აკვირდები ხიფათში ჩავარდნილ სხვას". მაგრამ შოპენჰაუერი არ ივიწყებს არც "ნამდვილ ბოროტებას", როდესაც მას სჩადიან არა რაიმე ეგოისტური მოსაზრებით და არა რაიმე სარგებელის გამო, არამედ - ბოროტებას ბოროტებისთვის! ესე იგი, სხვას რომ უმიზეზოდ და უმიზნოდ ბოროტება დამართო, აი, ეს იწვევს სიხარულსა და თრობას ბოროტისმქმნელში.[6] ასეთი ბოროტება უკვე მეფისტოფელური ბოროტებაა, რომელსაც უხარია საერთოდ ბოროტება და სხვათა ტანჯვა. ასეთი ბოროტების დამცველად ნიცშე გვევლინება. იგი წერს: "უმანკო - ბოროტებაში. ბოროტება მიზნად ისახავს არა ტანჯვას სხვა ადამიანისას თავისთავად, არამედ ჩვენს საკუთარ ტკბობას, მაგალითად, ტკბობას შურისძიების გრძნობით გამოწვეულს ან მძაფრი ნერვული აღგზნებისაგან.[7] "შურისძიების გრძნობით გამოწვეულს" - ძალზე ახლოს დგას იმ ღვთის საწინააღმდეგო ლოცვებთან ("უზნეო ლოცვებთან"), რომელსაც ისევ რელიგიური სულისკვეთების კვლევის ემპირიული ფსიქოლოგიის მასალები გვამცნობენ. ზემოხსენებულ ვ. გრიუნს მოჰყავს ე.წ. "სიკვდილის ლოცვები", რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არასასურველ პიროვნებას სიკვდილს უსურვებენ და ღმერთს შესთხოვენ ამას. ვ. გრიუნი მათ აზრსაწინააღმდეგო, მიუღებელ ლოცვებს უწოდებს, განსაკუთრებით "ქრისტიანული ღვთის წარმოდგენათა ნიადაგზე". ასეთი ლოცვებიო, ამბობს იგი, უფრო მკვლელთა კასტას შეეფერება ინდოეთში, რომლებიც თავიანთ საშინელ ღვთაებას, ქალღმერთ კალის შესთხოვენო ამას. თუმცა, დასძენს იგი, თვით ფსალმუნშიც ვაწყდებით ჩვენ ე.წ. "შურისძიების ფსალმუნთ", მაგრამ სახარებაში საქმე უკვე სხვაგვარადაა. როდესაც ქრისტეს მოწაფენი შესთხოვენ მაცხოვარს, რათა ურწმუნო სამარიტელებზე "ცეცხლი გარდამოხდეს ზეცით და აღხოცნეს იგინი, ვითარცა ელია ყო? მიექცა იესო და შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: არა იცით, რომლისა სულისანი ხართ თქუენ" (ლუკა 9, 54-55).

რელიგიისაგან შორს მდგომი ფილოსოფოსი, ნიკოლაი ჰარტმანი, თავის "ეთიკაში" ამბობს: "არავინ სჩადის ბოროტებას ბოროტების გამო, ამას ყოველთვის აკეთებენ, როდესაც მიზნად აქვთ დასახული რაღაც პოზიტიური ფასეულობით აღსავსე". მაგრამ ხომ არსებობს "იდეა სატანისა", როგორც "არსებისა", რომელიც ანტიფასეულობას ელტვის საკუთრივ მის გამო."[8]

როგორც ვხედავთ, "საერო" ბრძენთაგან ბოროტებას ერთადერთი "ახსნა" აქვს, როდესაც მის წარმოქმნელობას ადამიანის ნების თავისუფლებიდან განმარტავენ, მაგრამ, თუ რატომ ირჩევს ადამიანი ბოროტებას, ამაზე პასუხი საერთოდ არ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს პასუხი, "ადვილი გამოსავალი", რომელიც სტენდალის ცნობილი ფრაზით ხმიანდება: "ერთადერთი პატიება ღვთისა არის ის, რომ იგი არ არსებობს".

---

6. Artur Schopenhauer, Die Welt als Wille und Vorstellung, 4 Buch. 58, 59, 61.
7. Fr. Nietzsche, Menschliches, Allzumenschliches, I, Nr. 103.
8. Nicolai Hartmann, Ethik 1949 (1926), 39 Kap.e.

არის კიდევ ერთი შვეიცარიელი ფილოსოფოსი, პაულ ჰებერლინი (1878-1960), რომელიც ბოროტებას "უღვთოდ" განიხილავს, ე.ი. ყოველგვარი თეოლოგიის გარეშე.[9] იგი ახდენს საინტერესო ანალიტიკურ შესავალს თავად ბოროტების ცნების დასადგენად: "პირველ რიგში უბრალოდ გვმართებს დავადგინოთ, თუ რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ "ბოროტება" ("Böse"). ეს უკეთესად გამოჩნდება, თუკი შევუდარებთ მას ცნება "უკეთურებას" (das Übel). თუმცა, ჩვეულებრივი მეტყველება ორივეს ათანაბრებს. როდესაც ვსაუბრობთ ბოროტ ან უკეთურ ამინდზე, ჩვენ ვგულისხმობთ, როგორც ჩანს, ერთსა და იმავეს. მაცხოვრის ლოცვის ბოლოს მათეს სახარებაში არის ვედრება იმისაგან ხსნისა, რასაც ბერძნულად "to poneron" ეწოდება; თუკი ლუთერი მას სიტყვა "უკეთურით", ხოლო ახალ თარგმანში მას "ბოროტით" თარგმნიან, ორივე თარგმანი, როგორც ჩანს, ფაქტობრივად ერთსა და იმავეს გულისხმობს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სინამდვილეში საქმე ეხება ორ განსხვავებულ ცნებას. თავიდანვე რომ ვთქვათ: უკეთურებაში ჩვენ გვესმის რაღაც, რაც ვინმეს შეემთხვევა, ამის საპირისპიროდ ბოროტში კი ის, რაც ისურვეს ან გააკეთეს. უკეთური არის ატრიბუტი ჩვენი შემხვედრისა; იგია "ობიექტი", რომელზედაც დამოკიდებულია უკეთურების არსებობა. ბოროტება კი საქმე არის სუბიექტისა, მომქმედისა; თუკი ბოროტება ხდება, ეს მისი ბრალია. გამოთქმაში "ბოროტი ამინდი" ხდება ამინდის პერსონიფიცირება, ე.ი. მას ეპყრობიან, როგორც სუბიექტს, დაახლოებით ისე, როდესაც ბავშვი სკამს დაეჯახება და რაიმეს იტკენს, იგი მას "ბოროტ სკამს" უწოდებს. რაც შეეხება ატრიბუტ "უკეთურს", იგი მსგავსი "ინსინუაციის" გარეშე უბრალოდ გულისხმობს ობიექტ "ამინდის" ჩვენთვის არასასიამოვნო თვისებას."

მსგავსი მსჯელობებით პ. ჰებერლინი წინ მიიწევს ბოროტების წარმომავლობისა და მნიშვნელობის დასადგენად, მაგრამ ამავე დროს იგი ემიჯნება ყოველგვარ საღვთისმეტყველო განმარტებას. "სამყაროს დემონიზირება", - ამბობს იგი - "აღმნიშვნელია არა მხოლოდ სასჯელის შიშნარევი მოლოდინისა, - იგი მიგვიყვანდა მხოლოდ ფანტაზიასთან, რომ არსებობს სახიფათო ძალა; პირიქით, მისი მნიშვნელობა ისაა, რომ ბოროტებაზე პასუხისმგებლობას მას აკისრებენ. "დემონურის" წარმოშობა ამის მეშვეობით გასაგები ხდება. იგი პირდაპირ მომდინარეობს სურვილისაგან, რათა ბოროტების პასუხისმგებლობიდან განვთავისუფლდეთ, არაპირდაპირ კი - იმ შიშისაგან, რომელსაც იწვევს სასჯელის მოლოდინი სწორედ იმ ბოროტებისათვის. სინამდვილეში, ამ შიშის გარეშე არ იარსებებდა დემონები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ (ჩვენი) ბოროტების გარეშე სამყაროში არ არსებობს არავითარი დემონიზმი."

როგორც ვხედავთ, პ. ჰებერლინი იზიარებს მთელ იმ სირთულეებს, რომელსაც აწყდებიან "საერო" ფილოსოფოსები ბოროტების განმარტებისას. ამიტომ ჩვენ ვეთანხმებით ცნობილი მოაზროვნის, დეკანოზ გიორგი

---

9. Paul Häberlin, Das Böse (Ursprung und Bedeutung), Bern 1960.

ფლოროვსკის შეგონებას, რომ "ბოროტების პრობლემა მთლიანად მჟღავნდება მხოლოდ რელიგიურ პლანში". შემდგომ თავსაც ამის მიხედვით გადმოვცემთ.

ერთ-ერთი მთავარი თემა, რომლის გაშუქებასაც ასევე შეეცდებით, გახლავთ ის ფაქტი, რომ მორალური ბოროტების საგანგებო გავრცელების სფეროა პოლიტიკა. ამისი მაგალითების მაინცდამაინც სხვაგან ძებნა არ დაგეჭირდება - საქართველო უხვად არის დამძიმებული მათგან. სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა პოეტ ნიკოლოზ მიწიშვილს ჯერ კიდევ ოციან წლებში, რომ საქართველოს ენერგია მას "გაჭყლეტილი ჭიის ენერგიას" აგონებს. ამაზე მას პასუხი გასცა გრიგოლ რობაქიძემ: "საქართველოს ხერხემალი არ გადატყდება", მაგრამ თავად ბოროტების პარპაშის ახსნას საქართველოში პასუხი ვერ გაეცა. ეს ბოროტება არ გახლავთ მარტოოდენ დამპყრობელი უხეში ძალის მიერ აღმოცენებული. თითქოს ბოლო წლების ჩვენს სინამდვილეს აღწერსო, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი რომანო გუარდინი თავის ოპუსში "ახალი დროის დასასრული" (1950 წ.), შეშფოთებული შემდეგს გვამცნობს: "ხელისუფლება განიცდის დემონიზრებას... მას რაღაც ანონიმური ეუფლება... საშინელი ბოროტქმედებანი..." მაგრამ საუკუნეზე მეტი ხნით ადრე იმავეს წერდა შელინგი "გამოცხადების ფილოსოფიაში". იგი მიიჩნევდა, რომ ახალ დროში მსოფლიო პოლიტიკურ მოღვაწეობას სატანა ხელმძღვანელობს, რაც გამოიხატება "ახალი ისტორიის სისხლით მორწყულ არენაში". როგორც ჩანს, მაინც რაღაც ბოროტების თესლი ძევს საკუთრივ პოლიტიკაში. ცნობილი მოაზროვნე და პოლიტოლოგი კარლ შმიტტი თავის "პოლიტიკურის ცნებაში" (1932 წ.) განმარტავს: "რაც მორალურად ბოროტი, ესთეტიკურად მახინჯი და ეკონომიკურად მავნეა, სულაც არ საჭიროებს, რომ იგი მტერი იყოს; რაც მორალურად კეთილი, ესთეტიკურად მშვენიერი და ეკონომიკურად სასარგებლოა, ამით იგი არ იქცევა მეგობრად სპეციფიკური, ე.ი. სიტყვის პოლიტიკური გაგებით". მაგრამ ამავე მოაზროვნის შემდეგი აბზაცის მოყვანისას ჩვენ უკვე გვერდს ვერ ავუვლით "პირველცოდვის" თეოლოგიურ ცნებას, რომელიც ადამიანში ჩაბუდებულ ირაციონალურ ბოროტებაზე მეტყველებს: "ყველა ჭეშმარიტი პოლიტიკური თეორია ადამიანს ბოროტად" მიიჩნევს, ე.ი. მას არავითარ შემთხვევაში არ განიხილავს, როგორც უპრობლემოს, არამედ როგორც "საშიშსა" და დინამიურ არსებას. რა განსხვავებულნიც არ უნდა იყვნენ მოაზროვნენი თავიანთი რანგით, ხასიათით და ისტორიული მნიშვნელობით, ადამიანური პრობლემური ბუნების აღქმაში ისინი ურთიერთს ეთანხმებიან იმ ზომით, რამდენადაც ისინი თავს ავლენენ, როგორც სპეციფიკურად პოლიტიკურად მოაზროვნენი. საკმარისია აქ დავასახელოთ მაკიაველი, ჰობსი, ბოსიუე, ფიხტე (როგორც კი იგი ივიწყებს თავის ჰუმანიტარულ იდეალიზმს), დე მესტრი, დონოზო კორტესი, ი. ტენი; აგრეთვე ჰეგელი, რომელიც იქ დროდადრო თავის ორმაგ სახეს ავლენს". და შემდეგ: "კავშირი პოლიტიკურ თეორიებსა და ცოდვის შესახებ თეოლოგიურ დოგმებს შორის, რაც ბოსიუესთან, მესტრთან, ბონალდთან, დონოზო კორტესთან

და ფ.ი. შტაალთან განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება, ასევე სხვა მრავალ დანარჩენებთან, ინტენსიურად ქმედითია და აიხსნება აზროვნების აუცილებელ წინაპირობათა ნათესაობით. ძირითად თეოლოგიურ დოგმას სამყაროსა და ადამიანის ცოდვიანობაზე მივყავართ, ისევე, როგორც განსხვავებას მტერსა და მეგობარს შორის, ადამიანთა დაყოფისაკენ, "დისტანცირებისაკენ", რომელიც შეუძლებელს ხდის იმ ყოვლისმომცველ ოპტიმიზმს, რაც ჩადებულია მთლიანად ადამიანის ცნებაში".[10]

2003 წელს გერმანიაში ვიმყოფებოდი ქალაქ კობლენცის უნივერსიტეტის მიწვევით. ეს ისტორიული ქალაქი რაინისა და მოზელის შესაყართან მდებარეობს და მეორე მსოფლიო ომის დროს პირწმინდად აღგვილი იყო მიწისაგან. მაგრამ გერმანულმა გენიამ იგი ფენიქსივით კვლავ წამოჭიმა იმავე ადგილზე თავისი უნივერსიტეტით, რომლის განახლებულ ბიბლიოთეკასაც მსოფლიოს ყველა ხალხის ენაზე "ბიბლიოთეკა" აწერია, მათ შორის ქართულადაც. დიახ, აქ ესტუმრობდი და გაჩერებული ვიყავი პროფ. ფოგელზანგის ვილაში ქალაქგარეთ, დიბლიხში. ის მაღალ ბორცვზეა აშენებული, წინ დიდი მდინარე მოზელი ჩაუდის, რომელზედაც გემები მიმოდიან. მდინარის გაღმა, მთაზე, უცნაური ფორმის ეკლესია ჩანდა - გერმანიაში ვეებერთელა გოტიკური სტილის ტაძრების მნახველს, იგი ძალზე პატარა მეჩვენებოდა და, რაც მთავარია, მთაში აშკარად ჩანდა გზა მისკენ მიმავალი, სადაც ყოველ მოსახვევში ჯვარი იყო აღმართული. ეს არის ქრისტეს ტანჯვისა და გლოვის გზა, Via Dolorosa, ამიხსნა პროფესორის მშვენიერმა მეუღლემ ჰილდეგარდმა, და ჩვენ, კათოლიკენი, წელიწადში ერთხელ, დიდ პარასკევს, ჯვრებით ხელში ავდივართ ხოლმე იქო. რა თქმა უნდა, მასპინძლებთან ერთად მოვინახულე ის მთა და ის ეკლესია. მთის წვერზე, სანამ ეკლესიაში შევიდოდით, შორიახლოს დაშლილი სახით კლდეში ჩაჭედილი ქრისტეს სკულპტურა - ჯვარცმა ვიხილე. ჩემი გაოცებული მზერის საპასუხოდ მასპინძლებმა ამიხსნეს, რომ გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ჯვარცმა გვიან ღამით ქვებით დალეწეს იქ საგანგებოდ ასულმა ხულიგნებმა და არც თავად ეკლესიას დადგომია კარგი დღე. ამის მერე მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ ყოველ დღე-ღამეს იქ მორიგეობა დაწესებულიყო ურჯულოების მოსაგერიებლად და მათ სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ეს დღემდე გრძელდება. ასე განსაჯეთ, რაც ჩვენთან ხდებოდა ოციან წლებში, იქ, გერმანიაში, სამოცდაათიან წლებში მომხდარა. თავად ეკლესია ფრიად და ფრიად საინტერესო აღმოჩნდა. ის ჯვაროსნობის ეპოქიდან ყოფილა შემორჩენილი და მავრიტანული სტილით ნაგებს ჰგავდა. ეკლესიის შიგნით თვალი წარმტაცა ხშირმა შავმა სვეტებმა, ოაზისის პალმებს რომ ჰგავდნენ, ხოლო თაღები მოხატული იყო ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებით, ორნამენტებით, არაბესკებით. ამ ეკლესიაში წელიწადში ერთხელ სწირავს, თურმე, იქ ასული მღვდელი - დიდი პარასკე-

10. Carl Schmitt, Der Begriff des Politischen, Berlin 1963 (1932), s. 27-28, 61, 64.

ვიდან აღდგომის ჩათვლით. ვიდექი ეკლესიაში და მესმოდა ჭეშმარიტი ჯვაროსნის სულისთქმა, ბოროტთან მებრძოლის და ხელთ, თითქოს, ვადაჯერიანი "ფრანგული" მეპყრო. გონებით ისევ დავუბრუნდი საქართველოს, ჩვენს პოლიტიკაში ეშმაკის ჯადოსნური წრის არსებობას, ბოროტების ზეობას საქართველოში. უფროსი თაობიდან მსმენია, თუ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში და თვით სოფლად რა შედეგი მოჰყოლია რევოლუციის მიერ მოტანილ შეგონებას: ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია! ღმერთი არ არის, ყველაფერი დასაშვებია, ყველაფერი ნებადართულია და ადიოდნენ ტრამვაიში დედიშობილა ქალები და მამაკაცები... თვით თბილისშიც უნახავთ მსგავსი რამ. ზოგმა სოფლის "განათლება" გადაწყვიტა... ყირიმში, ვთქვათ, არ გამოუვიდათ - ყირიმელმა თათრებმა ჩაკლეს... და შემდეგ აიკრძალა ეს.

დოსტოევსკი, დიმიტრი კარამაზოვის პირით ამბობს: თუკი ღმერთი არ არის, მაშინ არც არაფერი არის. იგივეს ამბობს ფრიდრიხ ნიცშე თავის "ზარათუსტრაში": "არაფერი არის ჭეშმარიტი, ყველაფერი ნებადართულია". ამას ნიცშე ათქმევინებს ზარათუსტრას ჩრდილს - ეს არის ჩრდილი სკეპტიციზმისა და ნიჰილიზმისა, რომელიც დასდევს ზარათუსტრას, რომელთანაც იგი გარკვეულად დაკავშირებულია და მაინც სურს მისგან თავის დაღწევა ("ასე ამბობდა ზარათუსტრა", ნაწილი IV, ჩრდილი). ჩემთვის ძვირფასია ძალზე საინტერესო ფილოსოფოსის, ფრანც ბაადერის დასკვნა, რომელიც მან კანტის საწინააღმდეგოდ გამოიტანა.* კანტისაგან განსხვავებით, იგი პრაქტიკულ გონებასა და სინდისში უფრო ღრმა რაღაცას ჭვრეტს, კერძოდ, მას მიაჩნია ისინი ღვთის შემეცნების ორგანოდ. კანტის მიერ რელიგიის გათქვეფას ეთიკაში, ლოცვის უარყოფას იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მისი აზრით, რომელიც ჩვენთვის უდავოდ მისაღებია, არ არსებობს ჭეშმარიტი მორალი რელიგიური ფუნდამენტის გარეშე. მორალი, რომელიც მხოლოდ ზნეობის კანონზე იქნება დაფუძნებული, წარმოადგენს ეშმაკის მორალს. ამასაც ბაადერი მოგვახსენებს. ფაქტობრივად ამასვე ამტკიცებს მეოცე საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი დიტრიხ ფონ ჰილდებრანდი თავის "ეთიკაში". "ზნეობრივ ღირებულებათა, ზნეობრივი ვალდებულების, ბუნებრივი ზნეობრივი კანონის გასაგებად ცოდნა ღვთის შესახებ არ არის სავალდებულო. თუმცა, ობიექტურად, ეს მონაცემები გულისხმობენ ღმერთს."

ახლა დაპირებისამებრ განვიხილოთ ბოროტება ღვთისმეტყველურ პლანში და ისტორიული თანმიმდევრობით მის აღმოცენებასა და მნიშვნელობაზე სიტყვა დავუთმოთ რამდენიმე აღიარებულ მოაზროვნეს და, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ბიბლიას.

---

* **Franz von Baader, Über Kants Deduktion der praktischen Vernunft und die absolute Blindheit der letzteren (1796).**

თავი პირველი[11]

1. ბოროტება ძველ აღთქმაში

ძველ აღთქმას ბოროტება ესმის, როგორც მორალური ბოროტება, ასევე, როგორც ცუდი, მავნებელი, უბედურება, ავადობა, ე.ი. ბოროტება ნებისმიერ ფორმაში. ძვ. აღთქმის გაგებით, და თავისდათავად, ბოროტება განეკუთვნება შექმნას (ფსალმ. 90, 10; იობ. 7,1 და ა.შ.). "ბოროტება სამყაროში" დაფუძნებულია არა კოსმოლოგიურად, რამდენადაც იგი თავდაპირველად შექმნას განეკუთვნებოდა, არამედ ისტორიულად. თავად ღვთის გადაწყვეტილებით, სამყარო შექმნისას იყო ძალზე კარგი (დაბ. 1, 31). ადამიანი განპირობებული იყო სამოთხეში საცხოვრებლად (დაბ. 2,8). ღვთისაგან კაცობრიობის ჩამოშორებაში ძევს მიზეზთამიზეზი ყოველგვარი ბოროტებისა; ცოდვის შემდეგ სამყაროში გაჩნდა ტანჯვა შობის დროს, ტანჯვა საზრდოს მოპოვებისას, ავადმყოფობა და სიკვდილი (დაბ. 16-19). აქ წარმოჩენილი ცალკეული ბოროტებანი მაგალითისათვის არიან გამოყოფილნი სამყაროში მთელი ბოროტების აღსანიშნავად. ღვთისაგან ჩამოშორებული და საკუთარი გულის ვნებებს აყოლილი ადამიანი იქცევა წყაროდ რიგი ბოროტებისა (იერ. 7, 24; 9,13 და შ.), ხოლო როდესაც ეს ვნებები საქმედ იქცევა, მაშინ ადამიანი ბოროტმოქმედი ხდება (ეს. 55,7). ასე აღმოჩნდებიან ადამიანები დამნაშავენი ცუდი ქმედებების გამო (დაბ. 39,9; იავ. 4,16), "ბოროტად" ეპყრობიან ერთმანეთს (გოდ. 1,3). მიუხედავად ასეთი ფაქტობრივი ვითარებისა, მაინც ძალაშია: "ნათლის გამომსახველი და ბნელის შემქმნელი, მშვიდობისმყოფელი და ჭირის შემქმნელი. მე ვარ უფალი, ამის ყოველის შემოქმედი". (ეს. 45,7; შდრ. იობ. 2,10; გოდ. 3,37 და შ.; 2 მეფ. 6,33; ამოს. 3,6; იგავ. 16,4). თუკი ადამიანებს სხვის თავზე უბედურება მოაქვთ, ისინი მოქმედებენ ღმერთის დავალებით ისე, რომ ამის შესახებ არც კი უწყიან (ეს. 7,18; 10,5 და შ.; დაბ. 45,7; 50,20;2 მეფ. 16,11 და შ.). ღმერთი ბოროტებას მოავლენს ხშირად როგორც სასჯელს, უმეტესწილად მისი სიტყვების უგულებელყოფისა და კერპთაყვანისცემის გამო (იერ. 6,19; 10,10; 16,10 და შ.). ღვთის მიერ მოწეული ეს სასჯელი - ბოროტება წარმოადგენს უმეტესწილად პოლიტიკურ კატასტროფებს, თუმცა, შესაძლოა, რომ იგი ცალკეულ პიროვნებასაც შეეხოს (დან. 4,30 და ა.შ.). მაგრამ,

---

11. ამ თავში გამოყენებულია: LThK. Bd. 10, Freiburg 1986; Neues Handbuch theologischer Grundbegriffe, Bd. 1, München 1984; Herbert Haag, Bibel-Lexikon, Leipzig 1969.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეფასებისას საჭიროა სიფრთხილე - აქვს თუ არა ბოროტებას დასჯითი ხასიათი. არა ყოველი ბოროტება არის სასჯელი. ღმერთი აგზავნის ამდაგვარს აგრეთვე გამოსაცდელად (ფსალმ. 66, 10 და შ.; იობ. 1-2), განსაწმენდად და გადასარჩენად, გასაფრთხილებლად და მონანიებისადმი მოსაწოდებლად (იერ. 25, 22 და შ.; 26, 13. 19; 27, 22). როგორადაც ღმერთი ბოროტებას ქმნის და ნებისმიერს თავს ატეხს, იმავდროულად იგია ის ძალა, რომელიც ადამიანს ბოროტებას აშორებს და მისგან იფარავს; თუკი მან თავის მიზანს მიაღწია, მაშინ იმის თქმაც შეიძლება, რომ ღმერთი ბოროტების გამო სინანულმა შეიპყრო (გამ. 32, 14; იერ. 26, 19; იონ. 4,2). იგია ის, რომელიც ბოროტებისაგან გვიცავს და გვიფარავს (ფსალმ. 91, 10; 121, 7; იობ. 5,19; იგავ. 19,23) და ყველა შემთხვევაში მისგან დროულად გვიხსნის (დან. 48, 16). ამის გარდა ძველი აღთქმა ადასტურებს, რომ ღმერთი არის მზად, ბოროტება წყალობად გარდაქმნას. ჯერ იმ სფეროში, სადაც მოქმედებს ისრაელთან დადებული აღთქმა (დან. 12, 1-3; რჯლ. 33,26 და შ.), საბოლოოდ კი მთელ სამყაროშიც იგი აღკვეთავს ბოროტებას.

2. ბოროტება ახალ აღთქმაში

ბოროტებაში თუკი "ნეიტრალური" გაგებით გვესმის ცუდი, შესაზიზღი, მავნე, რაც იწვევს ტანჯვას, ავადმყოფობას და სხვას, მისი წარმოშობისა და სახის მიუხედავად, მაშინ ახალი აღთქმა ასეთ ცნებას მხოლოდ გაკვრით იცნობს. საჭიროა ახალი აღთქმისათვის მხოლოდ თვალის გადავლება, რომ გავიგოთ: ყველა ამ ბერძნულ ცნებას, გადამწყვეტ ადგილზე, სადაც კი ისინი ამოტივტივდებიან, სულ სხვა აზრი გააჩნიათ, ვიდრე ბოროტებას იმ "ნეიტრალურ" ასპექტში, როგორც ჩვენ იგი გვესმის. ის, რაც ბოროტებაში გვესმის- იქნება ეს ყოფიერების მთლიანი ფენომენი, თუ უკეთურობის ცალკე შემთხვევები და მდგომარეობები - ახალ აღთქმაში ან კონკრეტული სახელით იწოდება (მაგ., ტანჯვა, გაჭირვება, დევნა, ავადმყოფობა), შდრ. რომ. 8,20 და შ.; 1 კორ. 15,25 და შ., 42 შ., 53 შ.; გალ. 4,13 და სხვა, ან იგი იმ "ბოროტის" თვალსაზრისით განიხილება, როგორც, მაგალითად, შემოსული "ბოროტი" ეონი, რომელიც, ბუნებრივია, აგრეთვე არის ის, რაც საერთოა ბოროტებით. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ აინტერესებთ არა ბოროტება, არამედ სწორედ "ბოროტება", რომელიც ღვთის ნების წინააღმდეგ არის მიმართული. ჯამში იგი აღიქმება აგრეთვე ბოროტის (მამრ. სქესი), მაშასადამე, ღვთის სატანური მოწინააღმდეგის კატეგორიით. ბოროტისაგან ხსნა, ალბათ, ამ აზრით უნდა გავიგოთ: მათ. 6, 13, ხოლო მისგან დაცვა - იოან. 17, 15-ით (შდრ. 1 იოან. 5,18 და შ.; 2 თეს. 3,3. "ბოროტი" - მათ. 13, 19, 38; ეფეს. 6,16; 1 იოან. 2,13 და შ., 3,12). უნდა გვახსოვდეს, რომ სახარებისეული ხედვით ბოროტების გამოვლინებანი დროთა აღსასრულის ფენომენებია და, ამგვარად, ბოროტების გაგება უკავშირდება ესქატოლოგიურ წარმოდგენებს.

3. ბერძნული ფილოსოფია

ადრეული ანტიკური ხანა მდიდარია ბოროტების ახსნის დაპირისპირებული მომენტებით; პლატონი მათ აგროვებს ინტეგრირების გარეშე; სტოა და ნეოპლატონიზმი კი მას უანდერძებენ ქრისტიანულ აზროვნებას. ბოროტების წყარო არის ნაწილობრივ სამყაროს მეტაფიზიკური პრინციპი: უფორმო "აპეირონი" (პითაგორეელები) ან დიალექტიკურად - აუცილებელი დაპირისპირება სიკეთისადმი (ჰერაკლიტე); ნაწილობრივ ადამიანი, წინა ცხოვრების დანაშაულით (ორფიკები, ემპედოკლე) ან ადამიანი, თავისი მიწას მიჯაჭვული უცოდინარობით (დემოკრიტე, სოკრატე). პლატონი ღებულობს რა ამ ელემენტებს, აქცენტს აკეთებს მატერიაზე, როგორც ბოროტების თავდაპირველ კოსმიურ ძალაზე, რომელიც ადამიანის ვნებებში ვლინდება - იგი უნდა ილტვოდეს მისი შესუსტებისაკენ, ამ აფექტების დეპოტენცირებისაკენ. ღმერთი, ყველა შემთხვევაში, არის მიზეზი მხოლოდ სიკეთისა და არა ბოროტებისა. ამასვე ადასტურებს სტოა. ბოროტება მომდინარეობს ადამიანის თავისუფლებიდან (კლეანტე) - მაგრამ პრინციპში მონისტურ სისტემებში მას ადგილი არ გააჩნია. მხოლოდ ფილონმა შეძლო ებრაული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, რელიგიურ-ეთიკური კატეგორიულობით, ბოროტება დაეკავშირებინა ცოდვასთან. დანარჩენ ელინისტურ აზროვნებას მორალური ინტერპრეტაცია დაჰყავს კოსმიურ პრინციპზე. პლოტინე აყალიბებს ყოვლისმომცველ თეორიას: საგნები არიან ცუდი იმდენად, რამდენადაც შორდებიან სიკეთის წყაროს, რომლის უმდაბლესი საფეხური მატერია გახლავთ. უდიდესი გავრცელება ჰპოვა შეხედულებამ, რომლის მიხედვითაც მთელი ბოროტება წარმოადგენს მხოლოდ ნაკლს და სისუსტეს და იგი ემსახურება მთლიანად სამყაროს ჰარმონიას.

4. აღმოსავლური რელიგია

აღმოსავლური რელიგია ექსტრემულად გამოხატავს მთელ ბერძნულ აზროვნებაში გამეფებულ (ლატენტურად აგრეთვე მონისტურ-ნეოპლატონურში) დუალიზმს. ზარათუსტრას პარსიზმისათვის კეთილი და ბოროტი წარმოადგენენ ღმერთებად აღქმულ ნებისეულ ძალებს, რომლებიც გამარჯვებისთვის იბრძვიან სამყაროში და ადამიანზე ძალაუფლების მოსაპოვებლად. ამან ზეგავლენა მოახდინა ელინისტურ-ქრისტიანულ გნოსტიციზმზე. ეს უკანასკნელი, ცნობილი მარკიონის, და ასევე მე-3 საუკუნეში აღმოცენებული მანიქეველობის - ადრეული ქრისტიანული თეოდიცეის - ამ ნამდვილი მოწინააღმდეგის - პირით ყოველგვარ მიწიერს აუფასურებს და მიიჩნევს მას კეთილი სულისა და ბოროტი მატერიის ცუდ ნაზავად.

5. ადრეული ქრისტიანობა

ადრეული ქრისტიანობა რელიგიის დუალისტური არსის გამო ხშირად დამდგარა მძაფრი საკამათო საკითხის წინაშე: საიდან და რატომ არსებობს ბოროტება, თუკი ღმერთი კეთილია და მხოლოდ სიკეთეს ქმნის? ლაკტანციუსი თეოდიცეის პრობლემის ფორმულას შემდეგნაირად ხსნის: რომ ღმერთს ბოროტების არდაშვება ან (1) სურს, მაგრამ არ ძალუძს (რაც მის ყოვლადძლიერებას გააუქმებდა), ან (2) შეუძლია, მაგრამ არ სურს (რაც მის სიკეთეს ეწინააღმდეგება), ან (3) არც შეუძლია და არცა სურს, ან (4) შეუძლია და სურს (მაგრამ ეს ბოროტების სინამდვილის არსებობით უარიყოფა). პასუხის გაცემის ცდები მე-2 პუნქტის მიმართ ხშირად ბერძნული ფილოსოფიის აზროვნების კონტექსტიდან აღებული არადამაკმაყოფილებელი ახსნებია; პირველ ყოვლისა, ბოროტების ინტერპრეტაცია, როგორც ნაკლისა და უარყოფისა. კვლავ წინ წამოწეულია თავისუფლება და მასთან ერთად მოცემულია ცოდვის შესაძლებლობა, რომელშიაც ღმერთმა უნდა შექმნას ადამიანი (მაგ., ირენეოსი, ტერტულიანე); მაგრამ ამით განმარტებას მაინც არ ექვემდებარება, თუ რატომ დაუშვა ღმერთმა თავისუფლების ბოროტად გამოყენება.

6. ნეტარი ავგუსტინეს კლასიკური თეორია[12]

ადრეული პატრისტიკის ცდების შემდგომ, რომ გადაეწყვიტათ გნოზისისა და მანიქეველობის მიერ დასმული თეოდიცეის პრობლემა, ყველაზე უფრო სრულყოფილად, მის გადასაწყვეტად, ავგუსტინეს კლასიკური თეორია გამოდის. ავგუსტინეს ჭაბუკობიდანვე აღელვებდა ის გარემოება, თუ როგორ შეიძლება იმის ურთიერთშეთანხმება, რომ ღმერთი განაგებს ადამიანთა ბედს და ამავე დროს ადამიანში გაფუჭებულობა სუფევს. პასუხი განისაზღვრა მანიქეველობასთან პოლემიკით, რომლის მიმდევარი იგი ცხრა წლის განმავლობაში იყო. ავგუსტინე ამტკიცებს, რომ ბოროტებას არ გააჩნია საკუთარი ყოფიერება: "ყოველივე, რაც არის, არის კეთილი. მაშასადამე, ბოროტება, რომლის საფუძველსაც ვეძებ, არ წარმოადგენს სუბსტანციას." საბოლოოდ ავგუსტინე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბოროტება წარმოადგენს ბუნების საწინააღმდეგო მოვლენას, რადგან მთლიანი ბუნება, როგორც ასეთი, სიკეთეა. ბოროტება წარმოადგენს მისი არსიდან მოწყვეტას, მოწყვეტას მისი ზომის, სახისა და წესრიგისაგან; იგი ილტვის არარსობისაკენ; იგი არის კლება, ტაცება, დაღუპვა. ამით მიიღწევა ავგუსტინეს ძირითადი "პოზიტიური" დასკვნა ბოროტების (არ-) არსზე. ამიტომ ძალუძს ბოროტებას

---

12. მსგავს აზრებს ბოროტებაზე ანვითარებდნენ აღმოსავლეთის ეკლესიის მამები ჯერ კიდევ II ს-ში - კლიმენტ ალექსანდრიელი და ორიგენე, IV ს-ში წმ. ათანასე დიდი, ბასილი დიდი და გრიგოლ ნოსელი.

მხოლოდ სიკეთეზე განხორციელდეს: საკმარისია სიკეთის სუბსტანციალობა სავსებით განადგურდეს, რომ ბოროტება თავისივე თავს მოსპობს და არარაში გაუჩინარდება. სახელი "ბოროტება" ამავე დროს ორგვარი გაგებით იხმარება: ერთი მხრივ იმისათვის, რასაც ადამიანი სჩადის და მეორე მხრივ საიმისოდ, რითაც ადამიანი იტანჯება. პირველი არის ცოდვა, მეორე კი ცოდვის გამო მოვლენილი სასჯელი. ამასთანავე მორალური ბოროტება - ესაა ბოროტება საერთოდ, ნამდვილი ბოროტება, ხოლო ფიზიკური ბოროტება, როგორც სასჯელი ცოდვისათვის, არის სამართლიანი და კარგი - იგი მოგვევლინება ხოლმე "გამაფრთხილებელი ღვთისმოწყალებიდან". ავგუსტინე გვერდს არ უვლის უდანაშაულო ადამიანთა ტანჯვის პრობლემას: ისინი ემსახურებიან მათ გაწმენდასა და გამოცდას და ამავე დროს წარმოადგენენ მტკიცებულებას, რომ ადამიანთა ბედზე ზემოქმედებს პირველცოდვა. ფიზიკური ბოროტების მიმართ, განსაკუთრებით არასულიერ სფეროში, იგი ბუნებრივ ახსნას ეძებს "დაბალ ქმნილებათა შეზღუდულობაში": აუცილებელ საფეხურისებურ წყობაში ცალკეული უნდა ემსახურებოდეს დანაწევრებული მთლიანობის სრულყოფილებას, რომლის მშვენიერება დაპირისპირებულობისაგან მიიღწევა და ა.შ. მორალურ ბოროტებასთან ღმერთს არაფერი ესაქმება; მისი ერთადერთი მიზეზია "უცვლელი სიკეთისაგან განდგომილი და ცვლად სიკეთისაკენ მიქცეული ჯერ ანგელოზის ნება და შემდეგ ადამიანისა". ცოდვის შესაძლებლობა მოცემულია სასრული სულის არარასგან შექმნიდან, რომლის ნების თავისუფლება მისი არსის უპირატესობას შეადგენს: "ადამიანი, რომელიც ნების თავისუფლებიდან გამომდინარე სიკეთეს იქმს, უკეთესია, ვიდრე იგი, ვინც აუცილებლობის გამოა კეთილი." დაბოლოს, უკიდურესი გამახვილება ლოგიკური დასკვნისა: "კარგია, როდესაც არა მარტო სიკეთე, არამედ ბოროტებაც რომ არსებობს"! სხვაგვარად ღმერთი ბოროტებას არ დაუშვებდა; თუმცა იგი ღვთის ნების საწინააღმდეგოა, ბოროტება ამ ნებიდან საბოლოოდ არ არის ამოვარდნილი, მას, ბოროტებას, ღვთის არაპირდაპირი ნება მოიცავს იმით, რომ იგი დაშვებულია." ხერხს, რომლის მეშვეობითაც ღმერთი ბოროტებიდან უფრო დიდ სიკეთეს შეიქმს, ავგუსტინე ასე განმარტავს: მათ, რომელთაც ღმერთი უყვართ, აგრეთვე მცდარი გზა, მაგალითად, პეტრეს მიერ მაცხოვრის უარყოფა, დაეხმარება შემეცნების წინსვლაში და თავმდაბლობის მოპოვებაში.

სანამ სხვა მოაზროვნეებს განვიხილავ, მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო ავგუსტინეს ზოგიერთ გამონათქვამს მისი "ღვთის ქალაქიდან", რომელიც ზემოხსენებულ საკითხებს ეხმიანება. ავგუსტინე კითხულობს, თუ რატომ ისჯებიან თანაბრად კეთილები და ბოროტები? მისი აზრით, ეს ხდება იმიტომ, რომ ქრისტიანებიც მათი სწორი ცხოვრების მიუხედავად, ზოგჯერ სცოდავენ (მსუბუქად) და ამიტომ ისჯებიან ამქვეყნად (მაგრამ არა იმქვეყნად) და მეორეც, ამ ქრისტიანების ცოდვა იზრდება, თუ ისინი გამოსასწორებლად არ მოუწოდებენ ცოდვილთ: ზოგი შიშის გამო ამ ცოდვილ წარმართთა წინაშე (გავიხსენოთ: იაკობ ხუცესი ვერ უძლებს ვარსქენის გამოხედვას და

თავს ხრის), ზოგიც მათგან მოსალოდნელი შეეიწროების გამო და ა.შ. არის კიდევ ერთი მიზეზი, განაგრძობს ავგუსტინე, რის გამოც კეთილსაც დროებითი ტანჯვანი იპყრობს - ეს არის იობი: ადამიანის სული განიცდება, რათა მას ღმერთი საზღაურის გარეშე უყვარდეს.

აღსანიშნავია, თუ როგორ გმობს ავგუსტინე წარმართულ რწმენას "ყოველივეს მარადიული კვლავდაბრუნების" შესახებ. გამორიცხულია ასეთი რამ, ამბობს იგი, რადგან ქრისტე მხოლოდ ერთხელ მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის (შემდეგ ეს "თეორია" კვლავ აღორძინდება ახალ დროში ნიცშეს სახით და თ. მანის შემოქმედებაში, რასაც ქვემოთ შევეხებით).

შემდეგ ავგუსტინე პავლე მოციქულზე დაყრდნობით (I კორ. XV, 56; რომ. VII, 12,13) აცხადებს, რომ ბოროტება იყენებს კანონს (რომელიც თავისთავად წმიდაა!) იმით, რომ აღძრავს დიდ ნდომას. მისი გადალახვისას, ე.ი. ეს კეთილი (კანონი) ამ შემთხვევაში ბოროტებას ემსახურება ისევე, როგორც სიკვდილი (რომელიც თავისთავად ბოროტებაა) სიკეთის სამსახურში დგება, რადგან მის შედეგად მოწამეებს ვღებულობთ.

რას ნიშნავს, ამბობს ავგუსტინე, "კვდომა", და "სიკვდილი"? ასეთი სიკვდილი, განაგრძობს იგი, ყველა ბოროტებაზე უბოროტესია, რადგან მასში სული და სხეული კი არ შორდება ერთურთს, არამედ - პირიქით, ისინი ერთიანდებიან მარადიული ტანჯვისათვის. მაშინ ადამიანები სიკვდილამდე და მის შემდეგ კი აღარ იმყოფებიან - არამედ გამუდმებით იმყოფებიან სიკვდილში, მაშასადამე, არც ცოცხალნი და აღარც მკვდარნი, არამედ უსასრულო კვდომაში. რადგან არ არსებობს ადამიანისათვის იმაზე უფრო ცუდი სიკვდილი, როდესაც თავად სიკვდილი აღარასოდეს კვდება.

ამ დუხჭირ ცხოვრებაში ვერავინ ჰპოვებს უმაღლეს სიკეთეს, ამტკიცებს ავგუსტინე, თვით ძალზე კეთილი ადამიანიც. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ მარადიული სიცოცხლე უმაღლესი სიკეთეა, ხოლო მარადიული სიკვდილი - უდიდესი ბოროტება. ეს უმაღლესი სიკეთე ჩვენთვის უხილავია, ამიტომ მას რწმენით უნდა ველტვოდეთ. მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს საკუთარი ძალით სწორად ცხოვრება, თუ ჩვენს რწმენასა და ლოცვას ის რომ არ უმაგრებდეს ზურგს, ვინც ეს რწმენა ჩაგვინერგა. ავგუსტინე თავის თეოდიცეას პავლე მოციქულის სიტყვებით ამტკიცებს: იმედის მეშვეობით ჩვენ ხსნილნი ვართ. მაგრამ იმედი თუკი ვიხილეთ, მაშინ ეს აღარაა იმედი. მაგრამ თუკი ჩვენ იმედით შევყურებთ იმას, რასაც ვერ ვხედავთ, მაშინ მას მოთმინებით ველით.

ავგუსტინეს შემდეგ უმნიშვნელოვანესი ფიგურა ქრისტიანული თეოდიცეისა გახლავთ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, რომელმაც ავგუსტინეს მსოფლგაგების ნეოპლატონური ელემენტები კიდევ უფრო გააძლიერა. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ამ მხრივ ყველა მოაზროვნის განხილვას და ამიტომ პირდაპირ ლაიბნიცზე გადავალთ.

თავი მეორე

1) ლაიბნიცის თეოდიცეა[13]

ლაიბნიცი თავის "თეოდიცეაში" ამტკიცებს, რომ "ბუნებრივი სიბოროტე ადამიანის გულისა ჩვეულებისამებრ თავდასხმას უფრო სასიამოვნოდ ხდის მისთვის, ვიდრე თავდაცვას". მაშ როგორღა ამართლებს ლაიბნიცი ღმერთს, რომელმაც ადამიანის ასეთ გულთან ერთად ასეთი სამყაროც შექმნა? იგი ამტკიცებს, რომ ღვთაებრივ იდეალურ სამყაროში უსასრულოდ მრავალი სამყარო არსებობს. რაში მდგომარეობს საკმაო საფუძველი იმისა, რომ სწორედ ეს არსებული სამყარო შეიქმნა და არა სხვა? ეს საფუძველი მხოლოდ განსხვავებულად გააზრებულ სამყაროთა სრულყოფილების ხარისხში უნდა მდგომარეობდეს. ყოველი შესაძლებელი სამყარო, თავისი სრულყოფილების შესაბამისად, არსებობისაკენ ილტვის. შესაძლო სამყაროთა უსასრულო რიცხვიდან ღმერთმა თავისი სიბრძნით საუკეთესო ამოარჩია და განასახიერა. ეს მტკიცება შეიცავს ლაიბნიცის ოპტიმიზმს. იგი აპრიორულად განპირობებულია. ეს სამყარო საუკეთესო რომ არ ყოფილიყო სხვა სამყაროთა შორის, მაშინ ის ფაქტი, რაკი ღმერთი მარტოდენ საკმაო საფუძველით მოქმედებს, დიდ პროტესტს აღძრავდა ღმერთის შემეცნებისა, ნებისა და შესაძლებლობის მიმართ. ხოლო მტკიცების წინააღმდეგ, რომ არსებული სამყარო საუკეთესოა ყველა შესაძლებელთა შორის, პრეტენზიას გამოთქვამს უხეში სინამდვილე თავისი უკეთურებისა და არასრულყოფილების სიმრავლით. საჭირო არ იყო შოპენჰაუერის დალოდება, აცხადებს ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარი ჰანს მაიერი, რომელიც ერთად შეკრებილი ფაქტების მთელი სიმძიმით და მხატვრული სიტყვის ძალით დაგვარწმუნებდა, რომ მან ყოველგვარი ოპტიმიზმი გააცამტვერა. უკვე ლაიბნიცის დროშივე მის წინააღმდეგ საკმაო შეპასუხება გაისმოდა. როგორც ცნობილია, ლაიბნიცის "თეოდიცეა" აღმოცენდა სკეპტიკოსი ბეილის საწინააღმდეგო არგუმენტების საპასუხოდ და ასევე დედოფალ სოფია შარლოტასთან საუბრების შედეგად. ლაიბნიცი შორს იყო იმ აზრიდან, რომ მსგავსად შეფსტბერისა, ბოროტება "მოჩვენებით" რეალობად გამოეცხადებინა. იგი მთელი სერიოზულობით განიხილავდა იმას, თუ როგორ უნდა შეუთანხმდეს ასეთი სამყაროს არსებობა ღვთის სიბრძნესა და სიკეთეს. მისი ახსნა შემდგომში მდგომარეობს: შექმნის ცნებასთან ერთად, შემოქმედისა და ქმნილის განსხვავების მიზნით, არასრულყოფილების ცნება თავისთავადაა მოცემული. აქედან გამომდინარე, ბოროტების სამი სახე უნდა განვასხვავოთ: მეტაფიზიკური, ფიზიკური და მორალური. მეტაფიზიკური ბოროტება, უბრალოდ არას-

---

13. გარდა ლაიბნიცის აღნიშნული მთავარი თხზულებისა გამოყენებულია: H. Meyer, Abendländische Weltanschaung Bd. IV, Paderborn - Würzburg, 1950; W. Rod, der Weg der Philosophie, Bd II, München 1996.

რულყოფილი, ქმნილის სასრულობითაა მოცემული. არასრულყოფილების გარეშე არ არსებობს შექმნა. ქმნილებათა სასრულობასა და შეზღუდულობასთანაც ღვთის ყოვლადძლიერებაა დაკავშირებული. ამასთანავე, მონადების საფეხურისებური სამეფოს შესაბამისად, არასრულყოფილების ხარისხი არათანაბრად უნდა იყოს განაწილებული სამყაროში. ქმნილებათა ნაკლი შეესაბამება მათ ბუნებას. ავგუსტინესა და სქოლასტიკასთან ერთად ლაიბნიცი ბოროტებაში ხედავს არა რაიმე პოზიტიურს, არამედ მხოლოდ პოზიტიურის კლება-ძარცვას (privatio) ე.ი. იმ სიკეთის ნაკლებობას, რომელიც უნდა ყოფილიყო. მეტაფიზიკური ბოროტებიდან აღმოცენდება მორალური ბოროტება. ზნეობრივი დანაშაული, ცოდვა გახლავთ შედეგი თავისუფლებისა, პიროვნული თვითგანსაზღვრისა. ეს უკანასკნელი ისეთი დიდი სიკეთეა, რომ იგი არ უნდა აკლდეს საუკეთესო სამყაროს. აღრეული წარმოსახვიდან კი გამომდინარეობს ცუდი მოქმედება. მაგრამ ღვთაებრივმა განგებამ უწყის, თუ როგორ გარდაქმნას ზნეობრივი ცდომილებანი და თვით დანაშაული - უდიდეს სიკეთედ, დაბოლოს კაცობრიობის მხსნელი ღმერთკაცის მოვლინებით. ფიზიკური ბოროტება, ტანჯვა ასევე არ უნდა აკლდეს საუკეთესო სამყაროს. ტანჯვის უნარი სასრულობასთან ერთადაა მოცემული, ტკივილის შეგრძნებანი ბიოლოგიური აუცილებლობაა. ლაიბნიცი გაბედულად ამტკიცებს, რომ ადამიანში ტანჯვას სიხარული და ბედნიერება სჭარბობს. ამავე დროს ეს ტანჯვები უმაღლესი ფასეულობების განხორციელებას ემსახურება. რამდენადაც ისინი ცოდვის შედეგს წარმოადგენენ, უნდა აღიქმებოდნენ სამართლიან სასჯელად. რწმენის წარმოდგენების დაცვისას ლაიბნიცი არ ერიდება იმას, რომ მიღმური ბოროტება, თვით ჯოჯოხეთის სასჯელთა მარადიულობა დაიცვას საყოველთაო ჰარმონიის აზრით. ღმერთს ბოროტება არ სურს, მაგრამ იგი მას უშვებს. ასე ერთვის ბოროტება ყოველი სახით ღვთაებრივი შექმნის მიზანს, იგი მოითხოვება პრესტაბილური ჰარმონიიდან გამომდინარე და ემსახურება სიკეთის მატებას. ყველა ცალკეული თავის აზრს ღებულობს სამყაროს მთლიანობიდან, რაც საყოველთაობის სრულყოფილებაში მდგომარეობს. ცალკეულის ღირებულება განიზომება მისი მნიშვნელობით მთლიანის ღირებულებისადმი, ასე რომ, ცალკეულში დეფექტი ტოლია მთლიანის მატებისა. "ის, რაც ხშირად ღვთის ქმნილების მიმართ საძრახისად გვეჩვენება, უნდა დავასკვნათ, რომ იგი ჩვენთვის საკმარისად ცნობილი არ არის". შექმნის ქმნილება არ წარმოადგენს სრულყოფილ მანქანას, როგორადაც იგი დეკარტს მიაჩნდა, რომელშიაც ბოროტებათ, როგორც გვერდით მოვლენებს, თავიანთი ადგილი გააჩნიათ; შექმნა არის ხელოვნების ქმნილება, რომლის სრულყოფილებისთვისაც ნათელი და ბნელი ფერები აუცილებელია. ლაიბნიცი გვაფრთხილებს სტოიკოსთა მეთოდის გამოყენების წინააღმდეგ, რომლებიც ცალკეულში ეძებდნენ ბოროტების სარგებლიანობის წარმოჩენას. უსასრულო დეტალები საყოველთაო ჰარმონიისა ჩვენთვის ცხრაკლიტულის მიღმაა, ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ დიდი მონახაზებით. "საკმარისია გვქონდეს ღვთისადმი ნდობა, რომ იგი ყოველივეს საუკეთესოსკენ წარ-

მართავს და ცუდი არაფერი დაემართებათ მათ, რომელთაც იგი უყვართ. მაგრამ განსაკუთრებით იმ მიზეზთა გამოკვლევა, რომელთაც იგი განაწყვეს, სამყაროს სწორედ ეს წესრიგი რომ აერჩია, რომ ცოდვები მოეთმინა, ხსნის წყალობის აქტები გარკვეული წესით გაენაწილებინა, ყოველივე ეს სცილდება სასრული გონების ძალებს, სანამ იგი არ მიაღწევს ღვთის ჭვრეტით ტკბობას".

ადამიანის ცოდვის განკითხვას მაშინ აქვს აზრი, თუკი ადამიანი თავისუფალია. თუკი ყველაფერი ის, რასაც იგი სჩადის, აუცილებლობითაა გამოწვეული, ზნეობრივ შეფასებებს ყოველგვარი აზრი ეკარგება. ფილოსოფოსი ვოლფგანგ რიოდი თავის "ფილოსოფიის ისტორიაში" ამტკიცებს, რომ ლაიბნიცი სწორედ ამ უკანასკნელ მოსაზრებას იზიარებს და მოჰყავს მისი ცნობილი ფრაზა: "საყოველთაო ჰარმონიის ჩემს სისტემაში ერთერთი კანონი იმაზე მეტყველებს, რომ აწმყო მომავლითაა ფეხმძიმე და რომ ყოვლისმხილველი მასში, რაც არის, ხედავს აგრეთვე იმას, რაც (მომავალში) უნდა იყოს... ამგვარად, არ შეიძლება ეჭვის შეტანა, რომ შედეგები, გარკვეული გზით, მათი მიზეზებიდან გამომდინარეობენ..." [14] რაც შეეხება თავისუფლებას, აგრძელებს ვ. რიოდი, ლაიბნიცს მასზე რომ ესაუბრა, მან აუცილებლობა შემოფარგლა შექმნილ სამყაროში მიმდინარე ხდომილებაზე; სამაგიეროდ, თავად სამყაროს არსებობას იგი განიხილავდა, როგორც არააუცილებელს და დაჰყავდა მისი აღმოცენება ღვთის თავისუფალ არჩევანზე.[15] მაშასადამე, ადამიანური ნება განსაზღვრულ სიტუაციაში გარემოებებით აშკარად არის განპირობებული; მაგრამ . ეს გარემოებები აუცილებელნი არ არიან, რადგან ღმერთს ძალუძდა სხვა შესაძლო სამყარო განესახიერებინა, სადაც ისინი უვარგისნი იქნებოდნენ. ლაიბნიცმა აშკარად შეცვალა საკითხი ნებისა და მოქმედების აუცილებლობისა სამყაროს არსებობის აუცილებლობის საკითხზე. მაგრამ ეს კი არ არის გამართლებული, აკრიტიკებს რიოდი ლაიბნიცს, რადგან თუნდაც სამყარო სხვაგვარი ყოფილიყო, ვიდრე იგი ფაქტობრივად არის, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ გარემოებებში სხვა ნებისეული აქტები განხორციელდებოდნენ, მაგრამ არა ის, რომ ისინი თავისუფალი აქტები იქნებოდნენ. აკრიტიკებს რა სხვა პუნქტებს ლაიბნიცის ტრაქტატისას, რიოდი იზიარებს გარკვეული წრეების შეხედულებას, რომ ლაიბნიცის ეკზოტერული ფილოსოფიიდან მისი ეზოტერული შინაარსი უნდა განვასხვავოთ. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, როგორც მას სხვანი ახასიათებენ, ლაიბნიცი გახლავთ მეტაფიზიკურ-რელიგიური ბუნების მქონე დიდი მოაზროვნე, რომელსაც მიაჩნია, რომ რაკი ყოველი ჭეშმარიტება ღვთაებრივ სულშია დაფუძნებული, ამიტომ ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია. ურიგო არ იქნება, თუკი უფრო ახლოს გავეცნობით მისი ტრაქტატის ზოგიერთ დებულებას, ბოროტების თემატიკას რომ ეხება.

---

14. Theodizee, 360; Phil. Schriften, Bd. VI, S. 329.
15. Leibniz an Coste, 19. XII. 1707; Phil. Schriften, Bd. III, 400.

ღმერთი განაგებს მთელ სამყაროს, ამბობს ლაიბნიცი, და არსებობს მრავალრიცხოვანი გარემოებანი, რომელთა ერთობლიობას შესაძლოა მიეყვანა იგი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ საჭირო არ იყო არდაშვება იმისა, რათა აღმოცენებულიყო ზოგიერთი ბოროტება.

ბოროტება ხშირად მიზეზი ხდება სიკეთისა, რომელიც ვერ განხორციელდებოდა ამ ბოროტების გარეშე. ხშირად ორმაგი ბოროტება ყოჯიერებას ანიჭებს ერთ დიდ სიკეთეს (ადამის ცოდვა ქრისტეს სიკვდილით გადაილახაო, ბედნიერო დანაშაულო, რომ ღირსი გახდი ასე დიდი მხსნელისა!).

თუკი ღმერთი არსებობს, საიდანაა ბოროტება? თუკი იგი არ არის, საიდანაა სიკეთე? (Si Deus est, unde malum? si non est, unde bonum?).

წმ. ავგუსტინე, პირველცოდვიდან გამომდინარე, მარადიულ ცეცხლს უსჯის ბავშვებს, რომელნიც უმანკონი გარდაიცვალნენ, მაგრამ მონათვლა ვერ მოასწრეს. უნდა ვაღიაროთ, ამბობს ლაიბნიცი, რომ ამ მოძღვრებას არ გააჩნია საკმაო საფუძველი არც გონებაში, არც წმ. წერილში, და რომ იგი გამოირჩევა ძალზე უსიამოვნო სისასტიკით.

როგორც ჩანს, ბ-ნი ბეილი ითხოვს ძალზე ბევრს; იგი ითხოვს იმის ნათლად ჩვენებას, თუ როგორ და რა გზით უკავშირდება ბოროტება უნივერსუმის საუკეთესო ჩანაფიქრს, რაც უკვე სრული ახსნა იქნებოდა ყველა მოვლენისა; მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვიტყვირთოთ ამდაგვარი ახსნა და არცა ვართ ვალდებულნი, შევასრულოთ ამდაგვარი მოთხოვნა.

ბ-ნი ბეილი დაჟინებით ამტკიცებს, რომ "ადამიანი ბოროტია და უბედური... ყველგან ციხეები და საავადმყოფოებია... ისტორია, ესაა მხოლოდ დანაშაულთა და ადამის ძეთა უბედურების აღწერა". მე ვთვლი, ამბობს ლაიბნიცი, რომ ყოველივე ამაში ჩანს გადაჭარბება; ადამიანთა ცხოვრებაში შეუდარებლად მეტია სიკეთე, ვიდრე ბოროტება, როგორც შეუდარებლად მეტია სახლები, ვიდრე ციხეები. სიკეთისა და მანკის მხრივ სუფევს გარკვეული საშუალება. უკვე მაკიაველმა აღნიშნა, რომ ცოტა არის ძაზე ცუდი ან ძალზე კეთილი ადამიანები და ამიტომ იგრძნობა დიდ საქმეთა ნაკლებობა. მე ვფიქრობ, განაგრძობს ლაიბნიცი, ისტორიკოსთა შეცდომად უნდა მივიჩნიოთ, როდესაც ისინი მეტ ყურადღებას აქცევენ ბოროტებას, ვიდრე - სიკეთეს. მთავარი დანიშნულება ისტორიისა, ისევე როგორც პოეზისა, მდგომარეობს იმაში, რომ მაგალითების მეშვეობით ვასწავლოთ კეთილგონიერება და ზნეობრიობა და, განსაკუთრებით, გამოვსახოთ ბიწიერება ისეთი სახით, რომ იგი იწვევდეს ზიზღს და გვეხმარებოდეს მისგან თავის დაღწევაში.

შემდეგ ვაწყდებით ლაიბნიცის ძალზე დამაფიქრებელ ფრაზას: უნივერსუმში ჩვენ აღმოვაჩენთ საგნებს, რომლებიც არ მოგვწონს; მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ იგი შექმნილია არა მარტო ჩვენთვის.

ლაიბნიცი ისევ ავგუსტინეს უპირისპირდება და მიაჩნია, რომ წარმართთა ყველა სიკეთე ყალბი არ იყო, ხოლო მათი ქმედება ცოდვილი... ასევე არ ეთანხმება იმაში, რომ ყველაფერი, რაც არ მომდინარეობს რწმენიდან - ცოდვაა...

ღმერთი არასოდეს დატოვებს მას, თუ იგი თვითონ არ მიატოვებს მას, როგორც ამას თავად ავგუსტინე აღნიშნავს უფრო ძველ მოძღვართა კვალდაკვალ...

2) შელინგის შეხედულება ბოროტების წარმოშობაზე[16]

ლაიბნიცისაგან განსხვავებით, რომელიც ბოროტების რელატივირებას ცდილობს იმით, რომ იგი მას განიხილავს არა როგორც რაიმე პოზიტიურს, რეალურს, არამედ პოზიტიურის, სიკეთის ნაკლებობას (მსგავსად ავგუსტინესი და სქოლასტიკოსებისა), შელინგი ბოროტებას მიიჩნევს სავსებით რეალურად. მისი აზრით მოძღვრება თავისუფლებაზე ბოროტების პრობლემასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული. ბოროტება არ შეიძლება წარმოადგენდეს თავდაპირველ პრინციპს ღვთის გვერდით, არამედ იგი აღმოცენებულია ღვთისაგან განდგომით, მისგან ჩამოცილების გზით. აქ ვღებულობთ დილემას: თავისუფლება ღმერთში, მაგრამ ბოროტება ღვთის გარეთ. ამ დილემის გადასაწყვეტად შელინგი უარყოფს აბსოლუტის სიმარტივეს და მასში მიიჩნევს ორი პრინციპის არსებობას: სინათლისა და წყვდიადისას, ლოგოსისა და ირაციონალური საფუძვლისას, რომელშიაც ბოროტებაა ფესვგამდგარი და რომელიც მდგომარეობს არა მხოლოდ სიკეთის ნაკლებობაში, როგორც ამას ქრისტიანული ტრადიცია ასწავლიდა, არამედ იგი ისეთივე რეალურია, როგორც თავად სიკეთე. ბიომესა და სხვა მისტიკოსებთან ერთად შელინგი (ასევე ბაადერი) მიიჩნევს, რომ ღმერთში არსებობს "ბუნება" და ამით "სწრაფვა და მიდრეკილება". შენარჩუნებულია უკვე "ბუნების ფილოსოფიაში" აღიარებული, დაპირისპირებულობის პრინციპიდან გამომდინარე შეხედულება, რომ ბუნებაში ყოველგვარი ქმედების საფუძველი წინააღმდეგობრიობაში მდგომარეობს. ფიხტესაგან განსხვავებით, შელინგი ღმერთში ხედავს უფრო მეტ რეალობას, ვიდრე ესაა მარტოდენ სამყაროს მორალური წესრიგი. "ბუნება ღმერთში" მას სურს აქციოს თეიზმის განვითარების საფუძვლად. თუმცა კი, ამბობს ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარი ჰ. მაიერი, ეს თეიზმი თავისებურად გამოიყურება. ბუნება ღმერთში არის ის, "რაც თვითონ ღმერთში თავად იგი არ არის", რაღაც მოუსვენრად დემონური, რაღაც პოტენცია, ძალა, მიმართული როგორც სიკეთისაკენ, ასევე - ბოროტებისაკენ. როგორც თავდაპირველი ერთიანობა, ღმერთი აღსავსეა დაპირისპირებულობის დაძაბულობით, არის "ერთიანობა ორადობაში" და

---

16 იხ. №13 სქოლიოში მოყვანილი ლიტერატურა და შელინგის თხზულებები, საიდანაც შესაბამისი ადგილები ვთარგმნეთ - Das Wesen der menschlichen Freiheit; Sämtliche Werke, Bd. VII. Philosophie der Religion; Bd. VI. Philosophie der Offenbarung, XI-XIV. იხ. აგრეთვე K. Leese, Vom Jakob Böhme zu Schelling, 1027.

"ორადობა ერთიანობაში"; წინააღმდეგობრიობა სიცოცხლის სწრაფვის ქმნილებაა. ამიტომ შეუძლია შელინგს ღმერთის მოხსენიება, როგორც "ნამდვილი გაგებით საშინელის, შესაზარის" და როგორც საშინელი, იგი ყოველი სიცოცხლისა და ყოფიერების ჭეშმარიტ ძირითად მატერიას წარმოადგენს. ასევე, ყოველი შობა გამოცხადებულია სიბნელიდან სინათლეზე შობად. ამავე დროს შელინგი იხრება ვოლუნტარიზმისაკენ. ამ უკანასკნელში არ არსებობს სხვა ყოფიერება, გარდა ნება-სურვილისა. ნება-სურვილი არის თავდაპირველი ყოფიერება. ბუნება, თავდაპირველი მიზეზი ან მიზეზთ-მიზეზი (უბნელესი უფსკრული) ღმერთში არის ნება, რომელიც თვით-გამოცხადებისაკენ ილტვის. როდესაც თავდაპირველი მიზეზის სიბნელიდან სინათლე, ხოლო არაცნობიერიდან ცნობიერი წარმოდგენა, შინაგანი ლოგოსი გამოანათებს, მაშინ იბადება გონება. გონებისა და ბნელი ნებისეული ძალის დაპირისპირებიდან აღმოცენდება სამყარო, რომელშიც ორივე ფაქტორი სამყაროს საპირისპირო სახეს ქმნის: გონება - მშვენიერს, ურთიერთშეთანხმებულსა და მოწესრიგებულს, ხოლო ბნელი ჟინი - ნდომას, ტკივილსა და სამყაროს გოდებას. ადამიანში ამ ორი პრინციპის გაერთიანების შედეგად სუფევს შესაძლებლობა ცოდვისა. თავისუფლებიდან გამომდინარე ქმედება წარმოადგენს ინტელიგებლური ხასიათის, პასუხისმგებლობით აღსავსე ქმედებას.

შელინგის მოძღვრება ბოროტებაზე, როგორც აღნიშნავენ ფილოსოფიის ისტორიკოსები, საკმაოდ ბუნდოვანია. მიუხედავად ამისა, აღნიშნავს ვ. რიოდი, შელინგის მოძღვრება ბნელ საფუძველზე თავისი ზემოქმედებით მნიშვნელოვანია, რადგან იქ ხდება უარის თქმა რაციონალური მეტაფიზიკის ყველა ფორმაზე: სინამდვილის საფუძველს უკვე უმაღლეს გონებაში კი არ ხედავენ, არამედ უგონო ლტოლვაში, რომლიდანაც ღვთაებრივი გონება, შესაბამისად, ღმერთი, როგორც სული, აღმოცენდება.

მაგრამ მოვუსმინოთ თავად შელინგს. "ბოროტების ასახსნელად ჩვენ არაფერი მოგვეპოვება, გარდა ორივე საწყისისა ღმერთში". შემდეგ: "საიდან არის ბუნებაში... უტყუარი ნიშნები ბოროტებისა, თუკი მისი ძალაუფლება მხოლოდ ადამიანის მიერაა გაღვიძებული? საიდან აღძრავენ მოვლენები, რომლებიც, დამოუკიდებლად იმისგან, რომ სახიფათონი არიან ადამიანისათვის, საყოველთაო ზიზღს? რასაკვირველია, შემთხვევით არ არის, რომ ყველა ხალხის წარმოსახვაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ლეგენდებსა და რელიგიებში, ბოროტება ძალზე არის გადაჯაჭვული გველთან". "თუნდაც მხოლოდ ის, - ამტკიცებს შელინგი - რომ ბოროტება ძალუძს მარტოდენ ადამიანს - უსრულყოფილეს არსებას ყველა ხილულ არსებათა შორის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბუთად, რომ ბოროტების საფუძველი არ შეიძლება მდგომარეობდეს უკმარობაში და კლებაში. ეშმაკი, ქრისტიანული შეხედულების მიხედვით, იყო არა ყველაზე უფრო შეზღუდული, არამედ, პირიქით, ყველაზე უფრო შეუზღუდველი ყველა ქმნილებათა შორის. არასრულყოფილება, საერთო მეტაფიზიკური გაგებით, არ წარმოადგენს ბოროტების ჩვეულებრივ თვისებას იმიტომ, რომ იგი ხშირად გამოდის

ცალკეულ ძალთა ისეთ სრულყოფილებასთან შერწყმული, რომელიც გაცილებით იშვიათად ერთვის სიკეთეს. მაშასადამე, ბოროტების საფუძველი უნდა იმყოფებოდეს არა მარტო რაღაც დადებითში საერთოდ, არამედ უფრო მეტად უმაღლეს დადებითში, რასაც შეიცავს ბუნება, რაც შეესაბამება ჩვენს შეხედულებას, რადგან ეს საფუძველი ძევს ცენტრში ან თავდაპირველ ნებაში პირველი საფუძვლისა".

შემდეგ შელინგი ამბობს, რომ ცხოველშიც მოქმედებს ბნელი საწყისი, ისევე, როგორც ბუნების ყველა ბინადარში, მაგრამ ის ვერ მაღლდება, როგორც ეს ხდება ადამიანში, სულამდე და გონებამდე (Verstand), არამედ წარმოადგენს ბრმა ლტოლვასა და ნდომას. "ცხოველს არასოდეს ძალუძს დატოვოს ერთიანობა, მაშინ, როდესაც ადამიანს თვითნებურად შეუძლია გაწყვიტოს ძალთა მარადიული კავშირი. ამიტომ სწორად შენიშნავს ბაადერი: სასურველი იქნებოდა, რომ ადამიანის გაფუჭებულობა არ გასცილდეს ცხოველთან მის დამსგავსებას; მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანს შეუძლია მარტო ან ცხოველზე დაბლა, ან მასზე მაღლა ყოფნა". "ყოველი ბოროტება ილტვის დაუბრუნდეს ქაოსს". "როგორც არსებობს სიკეთის ენთუზიაზმი, ასევე არსებობს ბოროტებით აღფრთოვანება". "როგორიც არ უნდა იყოს ადამიანი", - გვარწმუნებს შელინგი, - "მოქმედებს არა თვით იგი, არამედ კეთილი ან ბოროტი სული მასში და, მიუხედავად ამისა, ეს არავითარ შემთხვევაში არ ამცრობს მის თავისუფლებას". "პიროვნულის განკურნება ძალუძს მხოლოდ პიროვნულს და ღმერთი უნდა გახდეს ადამიანი, რათა ადამიანი დაუბრუნდეს ღმერთს".

თავის "გამოცხადების ფილოსოფიაში" შელინგი ხაზს უსვამს, რომ სატანა განეკუთვნება ღვთის მიერ ჩაფიქრებულ სამყაროს აგებულებას და წარმოადგენს მის ხელში იარაღს, რაზედაც მეტყველებს თავი იობზე ბიბლიაში. მხოლოდ იმ დროს, რომელზედაც აპოკალიპსისი გვამცნობს, მოხდება ქრისტეს მიერ სატანის ძალმოსილების მოსპობა. მანამ კი მას გააჩნია "რაღაც ღვთაებრივი დიდებულება". იოანეს გამოცხადებაში, ამბობს შელინგი, სატანა მოიხსენიება, როგორც "გუელი დასაბამისაი" (12, 9), რადგან "გველი ისე ჩუმად, ადამიანისათვის შეუმჩნევლად მოძრაობს, უახლოვდება მას და სასიკვდილო ჭრილობას აყენებს, ასევე მოძრაობს მისი მაცდუნებელი საწყისი, როდესაც იგი, სიღრმეებიდან აღმოცენებული აღიმართება მის წინაშე... ასურათხატებს რა ადამიანის მაცდუნებელ საწყისს სწორედ როგორც გველს (მითოლოგიურად), ეს მონათხრობი უღრმესად წვდება მის ბუნებას..." აგრძელებს რა სატანაზე საუბარს, შელინგი დაასკვნის: "მას არ ძალუძს გამაგრდეს ჭეშმარიტებაში, რადგან მასში არ არის ჭეშმარიტება... მისი ბუნება ხომ იმაში მდგომარეობს, რომ იყოს არარსებული. მასში მხოლოდ ერთი ჭეშმარიტებაა - არყოფნა... მაშასადამე, როდესაც იგი არის, მაშინ იგი ჭეშმარიტების გარეშეა. მისი ბუნება მხოლოდ ისაა, რომ წარმოადგენდეს მარტოდენ სიცრუეს და (როგორც მაცდუნებელი საწყისი) წარმოთქვამდეს ტყუილს... ადამიანთან მიმართებაში კი ტყუილი აღმნიშვნელია იმისა, რომ ეს საწყისი იმის მიღწევას ცდილობს, რათა ადამი-

ანი დაეხმაროს მას ყოფიერების მოპოვებაში. გარკვეული სახით, იგი აღიარებს თავის დამოკიდებულებას ადამიანის ნებაზე და ამით ჩააგონებს ადამიანს, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია გახდეს მბრძანებელი ამ საწყისისა, თუკი იგი მას დაეხმარება ყოფიერების მოპოვებაში, მაშინ, როდესაც სინამდვილეში ხდება სწორედ საწინააღმდეგო და ადამიანი ხდება მისი მონა, მისი ტყვე". მიუხედავად ამისა, შელინგის აზრით, "ეს სული წარმოადგენს განუწყვეტელ სტიმულს და ადამიანური სიცოცხლის მამოძრავებელს, იმ საწყისს, ურომლისოდაც სამყაროს დაეძინებოდა გამყინვარებაში. ასეთი გახლავთ ჭეშმარიტი ფილოსოფიური იდეა სატანისა".

თავი მესამე

1) კირკეგორის მიერ დემონურის განმარტება როგორც ძრწოლისა სიკეთის წინაშე

კირკეგორი წერს: "დემონური აშკარად ვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ეხება სიკეთე, რომელიც, ამგვარად, გარედან უახლოვდება მის საზღვარს. ღირსაღსანიშნავია ამის გამო ის გარემოება, რომ ახალ აღთქმაში დემონური პირველად მაშინ გვევლინება, როდესაც მას ქრისტე უახლოვდება. და დაე რიცხვი ამ დემონებისა ლეგიონი იყოს (შდრ. მათე, 8.27, 34; მარკოზი, 5.1-20; ლუკა, 8.26-39), ანდა ეს დემონი მუნჯია (შდრ. ლუკა, 11,14), თვით მოვლენა აქ ერთი და იგივეა - ესაა ძრწოლა სიკეთის წინაშე; რადგან ძრწოლა ისეთივე წარმატებით შეიძლება გამოიხატოს როგორც დადუმებაში, ასევე - ყვირილში."[17] შემდეგ: "დემონური - ესაა დახურული და არანებაყოფლობით გაღებადი... დახურული ხომ სწორედ რაღაც მუნჯია და თუკი მან თავისი თავი უნდა გამოხატოს, ეს ხდება მისი ნების საწინააღმდეგოდ, რადგან თავისუფლება, რომელიც საფუძვლად უდევს არათავისუფლებას, ჯანყდება იმის გამო, რომ იგი ურთიერთობას იწყებს გარეთ მყოფ თავისუფლებასთან და გასთქვამს თავის არათავისუფლებას ზუსტად იმდაგვარად, როგორადაც ინდივიდი, რომელიც თავისი ნების საწინააღმდეგოდ ძრწოლის დროს თავის თავს ამყლავნებს...დემონური - ეს არის რაღაც უშინაარსო, მოსაწყენი..."

მაგრამ ბოროტება და დემონური მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ცოდვასთან. ვიგილიუს ჰაუფნიენზისი (კირკეგორის ფსევდონიმი) თავს არ იწუხებს, რათა ცოდვა თავად განმარტოს. გველთან დაკავშირებულ ისტორიაზე იგი პირდაპირ აცხადებს: "ცოდვა სამყაროში ცოდვის მეშვეობით მოვიდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ცოდვა მოვიდოდა როგორც რაღაც შემთხვევითი და ამის ახსნას, ჯობს, მოვერიდოთ... ამგვარად, ცოდვა შემოდის როგორც რაღაც უეცარი, ე.ი. ნახტომის მეშვეობით... ეს გონებისათვის სისულელეა". ვიგილიუს ჰაუფნიენზისი, ბიბლიის "დაბადებასთან" სრულ თანხმობაში, უდანაშაულობას განსაზღვრავს როგორც უცოდინარობას. მაშასადამე, ეს არის ნეგატიური განსაზღვრება, რითაც ვ.ჰ. ძრწოლის ანალიზს იწყებს. ეს სწორედ ცოდნის არ არსებობაა, რომელსაც უდანაშაულობის არცოდნაში ძრწოლის წარმოშობა ძალუძს ყრუ გრძნობისა, რომ სწორედ იქ, სადაც არარა სუფევს, შესაძლოა რაიმე იყოს. ძრწოლას იწვევს არა განსაზღვრული, რაიმე მყოფი - განსაზღვრულის, მყოფის მუქარა უკიდურეს შემთხვევაში შიშს აღძრავს, არამედ არმყოფი, განუსაზღვრელი, სიცარიელე. სწორედ როგორც განუსაზღვრელის გამოხატულება, ძრწოლა წარმოადგენს

17. Sören Kierkegaard, Der Begriff Angst, Leck/schleswig 1969. С/рен Кьеркегор, Понятие Страха, в книге: С. Кьеркегор, Страх и Трепет, М. 1993.

თავად განუსაზღვრელს, რადგან ძრწოლა აღძრული უდანაშაულობის არცოდნიდან მდგომარეობს სწორედ მასში, რომ მან იგრძნოს თავისი არცოდნა და არა ის, რომ მან იცოდეს, რაც მან არ იცის... "ძრწოლას აკრძალვა იწვევს (ადამში), რადგან აკრძალვა თავისუფლების შესაძლებლობას აღვიძებს მასში. ის, რაც ჩვეულისას უდანაშაულობას შეეხო, როგორც ძრწოლის არარა, ახლა შედის თავად მასში, და აქ იგი კვლავ წარმოადგენს არარას, ძრწოლის მომგვრელ შესაძლებლობას შეძლებისას. თუ რას წარმოადგენს ის, რისი შეძლებაც მას ძალუძს, ამაზე მას არავითარი წარმოდგენა არ გააჩნია." აქ კავშირი სულსა და ძრწოლას შორის ერთ გადამწყვეტ ცნებამდეა მიყვანილი: თავისუფლება. აკრძალვა არ აღძრავს მისი გადალახვის სურვილს, როგორც ეს ტრივიალურ ფსიქოლოგიას მიაჩნია, არამედ აკრძალვა არის სიგნალიზება ჯერ კიდევ აბსტრაქტულ შესაძლებლობაზე, რომ საერთოდ არსებობს უნარი რაიმეს შეძლებისა.[18]

კირკეგორის მსჯელობა რაღაც ყრუ ეკოს მსგავსია მკვეთრი კალვინისტური აზრისა, რომ "ღმერთმა არა მხოლოდ წინასწარგანჭვრიტა პირველი ადამიანის დაცემა და მასში დაღუპვა მთელი მისი შთამომავლობისა, არამედ მას სურდა ეს. რადგან მსგავსად იმისა, როგორადაც მისი სიბრძნე შეიცავს წინასწარ ცოდნას ყველა მომავლის საქმეთა, ასევე მისი ძლიერება გულისხმობს, რომ მისი ხელი წარმართავს ყველა საქმესა და საგანს. წმ. ავგუსტინე კარგად წყვეტს ამ საკითხს, ისევე, როგორც ბევრი სხვაც: "...ღმერთმა უწყის, რომ ბოროტება სიკეთისაგან წარმოიშობა, მან აგრეთვე უწყის, რომ მისი ყოვლისშემძლე მოწყალება ბოროტებას სიკეთედ აქცევს, ნაცვლად იმისა, რომ არ დაეშვა რაიმენაირი სახის ბოროტების გაჩენა, მან განსაზღვრა ანგელოზთა და ადამიანთა სიცოცხლე იმდაგვარად, რომ ჯერ ეჩვენებინა, რის შემძლეა თავისუფალი ნება, ხოლო შემდეგ - რა ძალუძს მისი მადლის ქმედებას და მის სამართლიან სასამართლოს." [19]

მაგრამ დავუბრუნდეთ კირკეგორს. შეიძლება იმის თქმა, რომ ძრწოლა ერთადერთი ფორმაა, რომელშიაც თავისუფლება, როგორც თავისუფლება, ფაქტობრივად განიცდება. ვ.ჰ. შთამბეჭდავი სურათით ადარებს ამ ძრწოლას თავბრუდახვევას: "ის, ვინც შემთხვევით ჩაიხედავს პირდაღებულ უფსკრულში, იგრძნობს თავბრუდახვევას. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი მდგომარეობს ისევ მის მზერაში, როგორც თავად უფსკრულში... ზუსტად ასევე ძრწოლა თავბრუსხვევაა თავისუფლებისა, რომელიც აღმოცენდება, როდესაც სულს სურს სინთეზის დამკვიდრება, ხოლო თავისუფლება ჩაჰყურებს თავის საკუთარ შესაძლებლობას, ჩაჭიდებულია რა სასრულზე, რათა თავი შეიმაგროს. ამ თავბრუხვევაში იმსხვრევა თავისუფლება".

ამით აღწევს ფსიქოლოგიური დაკვირვების მეთოდი მის უკიდურეს ზღვარს: "ამგვარად, უდანაშაულობა მიიყვანება უკიდურესობამდე. ძრწო-

---

18. K.P. Liessmann, Sören Kierkeglard, Hamburg, 1993.

19. Жан Кальвин, Наставление в христианской Вере, т. II, книга III, гл. XXIII, M. 1998.

ლასთან ერთად იგი ურთიერთობას ამყარებს აკრძალულთან და სასჯელთან. იგი უდანაშაულოა, მიუხედავად ამისა, იქცევა ძრწოლა, თითქოს იგი უკვე დაკარგულია". თავად პირველცოდვის ახსნა, პროცესისა, რომელიც შესაძლებლობების ამ ჯაჭვიდან რეალობას ქმნის, ფსიქოლოგიას არ ძალუძს. რადგან პირველცოდვა, ვ.ჰ.-ს მიხედვით, წარმოადგენს "თვისობრივ ნახტომს", რომელიც განიხილება ცენტრალურ ცნებად. ეს ნახტომი, რომელი მიმართულებითაც არ უნდა იყოს იგი - სხვა ფსევდონიმები და თავად კირკეგორი იცნობენ აგრეთვე მხსნელ ნახტომს რწმენაში, - გონებისათვის ვერც ასახსნელია და ვერც დამტკიცებადი. იგი არ ექვემდებარება არავითარ მეცნიერულ ახსნას და სწორედ ამიტომ უმძაფრესი გამოხატულებაა თავისუფლებისა. შედეგი ამ პირველცოდვისა ვ.ჰ-სთვის ღებულობს ორმაგ სახეს: "რომ ცოდვა შემოვიდა სამყაროში და სქესი (სექსუალობა) იქვე აღმოცენდა, და ერთი მეორესაგან დაუცილებადია... ცოდვიანობა - ეს არ არის ვნებიანობა, არავითარ შემთხვევაში, მაგრამ ცოდვის გარეშე არ არსებობს არავითარი სქესობრივობა და სქესობრივობის გარეშე - არავითარი ცოდვა". ხოლო ეს კი ნიშნავს: "ცოდვიანობასთან ერთად სქესობრივობაც აღმოცენდა და იმწამსვე იწყება ისტორია ადამიანის მოდგმისა". მჭიდრო გადახლართვა ცოდვიანობისა, მაშასადამე, ინდივიდუაციისა და თავისუფლებისა, სქესობრივობასა და ისტორიასთან, რომელიც გამოხატულებას ძრწოლაში პოულობს, ვ.ჰ-სთვის წარმოადგენს უთუო აუცილებლობას. ძრწოლის სიტკბოება მიგვითითებს წინააღმდეგობაზე სულსა და მგრძნობელობას, ინდივიდუალობასა და ისტორიას შორის - ის არის აგრეთვე სიტკბოებით აღსავსე ძრწოლა სულის თვითგაუქმების შესაძლებლობის წინაშე, მისი განქარვება მგრძნობელობაში, ესაა ინდივიდუუმის ვნებით აღვსილი ძრწოლა მისი სქესსა და ისტორიაში გათქვეფის წინაშე. ეროტიკა ძრწოლის გარეშე.[20] ვ.ჰ-მ უწყის, ეს - უბრალოდ - შეუძლებელი იქნებოდა, წინააღმდეგობა იქნებოდა თავისივე თავში. ძრწოლას ადგილი აქვს "ყოველ ეროტიკულ ტკბობაში, არა იმიტომ, რომ იგი ცოდვილიანი იქნებოდა... მაშასადამე, სული ეროტიკულზე რეაგირებს გარკვეული სპეციფიკური ძრწოლით, რომელიც იმ წინათგრძნობიდან მომდინარეობს, რომ ეროტიკულს განსაზღვრულ სიტუაციებში ძალუძს სულის მასინთეზირებელ ძალას წინააღუდგეს, რომელიც სულს გარკვეულწილად აქრობს". ამგვარად, თავისუფლებიდან ადამიანურობის გაგებისას იძულებით მიიღება ორი რამ: ძრწოლა და პრინციპული პასუხგაუცემლობა კითხვაზე: "დამნაშავეა? - უდანაშაულოა?"[21]

კირკეგორი სანამ "ძრწოლის ცნებას" დაწერდა, იგი უკვე ცდილობდა თავის ადრეულ ნაწარმოებებში და დღიურებში ძრწოლის, ამ თავდაპირველი ფენომენის განხილვას. თავის დღიურებში[22] ძრწოლის ცნებას იგი აღიქვამს,

---

20. შდრ. Л. Липавский - Исследование ужаса ("Логос". 1993 | 4): "В человеческом теле эротично то, что страшно."

21. K. Liessmana, Sören Kierkegaard Hamburg 1993.

როგორც მომავლის წინათგრძნობას, გარკვეული სახის ძრწოლა-პრედესტინაციას: "ხშირად გეუფლება წინათგრძნობა ყოველივეს მიმართ, რაც მოსახდენია; მაგრამ რა შემაშინებელიც არ უნდა იყოს მისი ზემოქმედება, ასევე შესაძლოა ის მისაზიდიც იყოს, თუკი ადამიანში ის აზრი იღვიძებს, რომ იგი გარკვეულწილად პრედესტინირებულია... ამიტომ ბავშვებთან სიფრთხილეა საჭირო, არასოდეს უნდა ვირწმუნოთ უცუდესი, არასოდეს უადგილო ეჭვით, დაუფიქრებელი შენიშვნით (ჯოჯოხეთური ხანძარი, რომელიც დენთის აფეთქებას მოჰყვება ხოლმე და რომელიც ყოველ სულში იმყოფება) ძრწოლით მოსილი ცნობიერება არ უნდა გავაღვიძოთ, რომლითაც უდანაშაულო, მაგრამ სუსტი სულების ადვილად ცთუნებაა შესაძლებელი, რათა მათ თავი დამნაშავედ ჩათვალონ, სასოწარკვეთილებას მიეცნენ და ამით პირველი ნაბიჯი გადადგან იმ მიზნისაკენ, რომელსაც ძრწოლით აღვსილი წინათგრძნობა გვამცნობდა- გამოთქმა, რომლის მეშვეობით ბოროტების სამეფოს შესაძლებლობა ეძლევა გველისმიერი შიშისმგვრელი მზერით ადამიანში გარკვეული სახის სულიერი დაბნელა გამოიწვიოს". აქ კირკეგორი ძალზე ახლოსაა ადამიანის თავბრუდამხვევ ძრწოლასთან, ცთუნების საშინელებაში თავისუფლების ცნობამიხდილობასთან და აშკარად საუბრობს თავისი გამოცდილებიდან. დღიურების სხვა გვერდებზეც საუბრობს იგი ძრწოლის შესახებ, როგორც ბოროტ წინათგრძნობებზე, ძრწოლის წინასწარგანჭვრეტაზე, რომელიც ბოროტისაკენ იზიდავს და აცთუნებს. ერთ შენიშვნაში იგი ამბობს: "ყველა ცოდვა იწყება შიშთან ერთად (ისევე, როგორც შიში ავადმყოფობის წინაშე მისადმი დისპოზიციას წარმოადგენს); მაგრამ, პირველმა ადამიანმა ამით არ დაიწყო, მას არ აცდუნებდა პირველცოდვა". აქ უკვე ვხედავთ კავშირს ძრწოლასა და პირველცოდვას შორის და ადამის მკაფიო განსხვავებას სხვა ადამიანებისაგან: ადამი და ევა სცოდავდნენ არა პირველცოდვის ძრწოლაში, რასაც ყველა შემდგომი ადამიანები სჩადიოდნენ. კირკეგორის ტანჯვით აღსავსე გამოცდილება იჩენს თავს, როდესაც თავის "ან-ან"-ში იგი აანალიზებს მოცარტის "დონ ჟუანს" და იქ მჭიდრო კავშირს პოულობს მუსიკას, ძრწოლასა და ავხორცობას შორის. იქ იგი წერს "დემონური ძალის მრავალ შესაზარ მტკიცებულებაზე, რითაც მუსიკას ინდივიდის დაპყრობა ძალუძს და მას კი - მასისა, განსაკუთრებით ქალებისა, რომელთაც იგი იჭერს ძრწოლის მაცდუნებელ მარყუჟში, ავხორცობის მთელი აღგზნებადი ძალით". მპყრობელი ძრწოლა, როგორც ძალა, დონ ჟუანში წარმოადგენს აშკარა სიმბოლოს ეროტიკისა და ძრწოლის მჭიდრო დაკავშირებისათვის. "ან-ან"-ში ასევე აღწერილია ძრწოლის მოვლინება გრძნობადი სფეროს მიღმა - ესაა ანტიგონეს ტრაგიკული ძრწოლა და უბედური მასების ეპოქაში ნერონის, ტირანის, ფსიქოპათური შიში ძალაუფლების აკუმულაციის დროს. ყველაფერი ეს წინა სტადიებია იმ კულმინაციის წერტილამდე, რასაც ჰქვია "ძრწოლა არარას წინაშე", შიშ-

22. დღიურები და მომდევნო ტექსტი თარგმნილია ს. კირკეგორის დასახელებული გერმანული გამოცემის ლ. რიხტერის კომენტარებიდან.

ველი ძრწოლა, მეტაფიზიკური ძრწოლა, რომელიც გვეელინება კლასიკურ აღმოჩენად და რომლის ზემოქმედება გაგრძელდა მეოცე საუკუნეში - ძრწოლის ექსისტენციალური ანალიზი ჰაიდეგერისა, ასევე იასპერსის, სარტრისა და კამიუსი.

მჭიდრო დაკავშირება ძრწოლასა და პირველცოდვას შორის საჭიროებს გარკვეულ შესავალს იმ განსაკუთრებული თეოლოგიური აზრთა მდინარებისათვის, რომელიც პრობლემათა ამ კომპლექსს განიხილავს. საიდან ამოდის კირკეგორის ფსევდონიმი, ვიგილიუს ჰაუფნიენზისი, "კოპენჰაგენელი გუშაგი" და რას "გუშაგობს" იგი? რა ხიფათი გვემუქრება და რისაგან გვაფრთხილებს ის? პასუხი ასეთია: იგი გვაფრთხილებს იმის შესახებ, რომ დაიკარგა შეგნება იმ კავშირისა, რომელიც არსებობს პიროვნულ დანაშაულსა და ძრწოლას შორის, რაც ჩვენმა ახალმა ეპოქამ მოიტანა და რომელსაც წინ უძღოდა ჰეგელის სპეკულაციის დამაშოშმინებელი ცდები და ჰარმონიზირებისადმი ლტოლვანი. ამ პროცესებს თანამედროვე ტექნიკურ ეპოქაში მოაქვს ექსისტენციალური სუბსტანციის დაკარგვა, შინაგანი გამოფიტვა და სულიერი გაურანება. ამიტომ ადარებს თავს კირკეგორი "პოლიციის ჯაშუშს" ან "კლოუნს", რომელიც სცენიდან ყვირის: "თეატრი იწვის!", მაგრამ ყველა იცინის და არავინ არ ღებულობს მას სერიოზულად, სანამ ყველა არ დაიწვება.

მივყვეთ კირკეგორის აზრთამდინარებას. ერთი მხრივ, იგი მკაცრად მიყვება ორთოდოქსულ მოძღვრებას პირველცოდვაზე, რომელმაც თავისი გადამწყვეტი გამოხატულება ჰპოვა ავგუსტინესთან. იგი ეპაექრებოდა პელაგიუსს, რომელიც უარყოფდა პირველცოდვის რეალობას და ზედმეტად ხაზს უსვამდა ნებისყოფის თავისუფლებას. მეორე მხრივ, კირკეგორი ხედავდა იმის აუცილებლობას, რათა წინ აღდგომოდა პირველცოდვის იმდაგვარად გაგებას, რომელიც ცალკეულ ადამიანს ყოველგვარ პასუხისმგებლობას უხსნიდა მის მიერ ჩადენილ ცოდვაზე. დანაშაული არ უნდა გადავაბრალოთ ადამს, არამედ თითოეული წევრი ადამის მოდგმისა ხელახლა ხდება დამნაშავე, თავისი ცოდვით ხელახლა ახდენს ამბოხებას ღვთის წინააღმდეგ. კირკეგორი გვიჩვენებს, თუ ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის მეშვეობით როგორ ისპობა ცოდვის ცნების დანაშაულებრივი ხასიათი როგორც, ეგრეთწოდებული, "აუცილებელი ნეგატიური" და რომელსაც, როგორც "შუაწევრს", მიეყავართ შერიგებისაკენ. დაკავშირებამ "ნეგატიურისა" ლოგიკური და "ბოროტის" ეთიკური გაგებით სრული არევ-დარევა გამოიწვია სპეკულაციასა და ეთიკას შორის, გამოიწვია ცნებათა "გაუჩინარება". კირკეგორის "ოპერაცია" მდგომარეობს მასში, რათა ადამიანს დაუბრუნდეს ცნება "ცოდვა" მისი ექსისტენციალური მნიშვნელობით. ეს შესაძლოა მხოლოდ მაშინ, თუკი სერიოზულად მოვეკიდებით ბიბლიის გადმოცემას პირველცოდვაზე და მას საკუთარი ყოფიერების მიმართ გავიაზრებთ, ასევე იმ განმარტებებს დავუბრუნდებით, რომლითაც დოგმატიკა განმარტავს ამ მოვლენებს. "ყოველი ცნების შესახებ საუბარი უნდა წარიმართოს იმ მეცნიერების მხრიდან, რომელსაც იგი განეკუთვნება." ხოლო ცოდვის ცნება განეკუთვნება ბიბ-

ლიას და დოგმატიკას, ისევე, როგორც მათთან დაკავშირებული ძრწოლის ცნება. ერთადერთი (მაშინ კიდევ ფილოსოფიური) მეცნიერება, რომელიც დოგმატიკის გარდა ცოდვითა და ძრწოლით იყო დაკავებული, გაბლდათ ფსიქოლოგია. მისი დახმარებით შესაძლოა დადგინდეს, რომ ფუნდამენტური ძრწოლა ადამიანში წინაპირობაა პირველცოდვისა, და არა მხოლოდ უპირველესი ცოდვისა სამოთხეში, არამედ აგრეთვე ადამისა და ევას ყველა ცალკეულ შთამომავალში ანუ შთამომავლობათა ჯაჭვში ადამიანის მოდგმისა. მაგრამ ფსიქოლოგიას ძალუძს ფენომენის განსაზღვრა მხოლოდ ექსპერიმენტულად, ხოლო მისი განმარტება მარტოოდენ დოგმატიკას შეუძლია. კირკეგორის დღიურები შემდეგ გვამცნობენ, რომ ფსიქოლოგიის ხედვით, ეს ძრწოლა არ წარმოადგენს შიშს, რომელიც აღიძვრება გარკვეული ობიექტის მიმართ, არამედ არის "ძრწოლა არარას წინაშე". ეს დასტურია იმისა, რომ მარადიული, სულიერი "მე" ადამიანში იღვიძებს. პირველცოდვაში ადამიანი თავის თავს ხედავს როგორც "მშვინისა და სხეულის სინთეზს"; ადამიანი თუმცა კი ცოდვილია ღვთის წინაშე, მაგრამ მხოლოდ განცდაში ამ სინთეზისა - სხეულისა და მშვინისა - ძალუძს მას საკუთარი თავის გაგება როგორც სულისა (რომელიც მესამეა. მასში სხეული და მშვინია გაერთიანებული). კირკეგორი აქ აზროვნებს და საუბრობს ნაწილობრივ ჯერ კიდევ ჰეგელის სამტაქტიანი დიალექტიკის მიხედვით, მაგრამ იგი მას სხვა, რეალისტურ-ექსისტენციალური აზრით ავსებს და ამით კიდევაც ანგრევს. ამ ნგრევის განცდას წარმოადგენს სწორედ მისი, ჰეგელის სპეკულაციისადმი დაპირისპირებული "ძრწოლის ცნება". ეს, ცოდვის ძრწოლაში თავისი თავის განცდა როგორც სულისა, იმავე დროს წარმოადგენს ღმერთთან ადამიანის კავშირის საწინდარს. ქრისტიანულ გამოცხადებამდე ეს ძრწოლა ბერძნებს ევლინებოდა, როგორც ბედისწერისადმი რწმენა, ხოლო ებრაელებს - როგორც დანაშაული მორალური კანონის წინააღმდეგ. შემდგომ კირკეგორი საუბრობს ცოდვის, ძრწოლისა და თავისუფლების კავშირზე. ზუსტი დაკვირვებით იგი აღწერს, რომ ინდივიდმა ძრწოლაში თავისუფლების შესაძლებლობა აღმოაჩინა. თავისუფლება რწმენაში მონანიებით მიიღწევა. თავისუფლება ნიშნავს საკითხის ღვთის სასარგებლოდ გადაწყვეტის უნარს, პოზიტიური, ღვთივგანსაზღვრული ცხოვრების საფუძვლის არჩევას. თუკი ცოდვილს არ სურს ცოდვის აღიარება, მაშინ ცოდვა მასში იკეტება; იგი ჩაკეტილია ან "დემონურია" "სიკეთის წინაშე ძრწოლის გამო", სიკეთისა, ანუ, თავისუფლებაში ღვთის არჩევანისა. ამგვარად, ძრწოლა ხსნის საშუალებას წარმოადგენს. ძრწოლის მეშვეობით ცოდვილი აღმოაჩენს ყველაზე უსაშინელესს: ცოდვას, რომელიც მან შეძლებისდაგვარად უკვე ჩაიდინა ან უნდა ჩაიდინოს.

ამგვარად, ძრწოლის დროს არ არსებობს გარკვეული ობიექტი, რის წინაშეც განიცდიან ძრწოლას, განსხვავებით შიშისაგან, რომლის დროსაც ზუსტად იციან, თუ რისი ეშინიათ (მაგ. მხეცის, სასჯელის და ა.შ.). იგი თითქოს უსაფუძვლოა, მაგრამ ადამიანს სრულად მოიცავს; რადგან, რასაც აქ ემუქრებიან, არის არა ერთი მხარე ადამიანისა ან გარკვეული დამოკიდე-

ბულება სამყაროსთვის, არამედ ადამიანის ყოფიერება მთელი მისი დამოკიდებულებებით სამყაროს მიმართ, რაც კითხვის ნიშნის ქვეშაა დაყენებული. ადამიანი კარგავს ყოველგვარ დასაყრდენს, ყოველი რაციონალური ცოდნა და რწმენა იმსხვრევა და იგი რჩება აბსოლუტურ მარტოობაში და უიმედობაში. სწორედ ამ სიტუაციაში ადამიანი იძულებული ხდება, მიიღოს გადაწყვეტილება: გაბედავს თუ არა, რომ ძრწოლას გაუძლოს და ამით თავისი ყოფიერების საკუთრივობას მიაღწიოს, თუ მის წინაშე ფარ-ხმალი დაყაროს და სამყაროს ხმაურიან საქმიანობაში ჩაიძიროს, რათა ძრწოლა ჩაახშოს. ამიტომ უწოდებს კირკეგორი ძრწოლას "თავისუფლების ორომტრიალს". ამავე მიმართულებით მოქმედებს, თუმცა, ნაკლებ რადიკალურად, მოწყენა, რადგან იგიც ყოველივეს ძირავს სრულ გულგრილობაში. თუკი ადამიანი ძრწოლისა და მოწყენის წინაშე მორჩილებისა გამო თავშესაფარს გართობაში ეძებს, მაგრამ ამავე დროს გამოცდილება მას კარნახობს, რომ ეს გაქცევა უპერსპექტივოა, მაშინ მას ეუფლება მელანქოლია. ფარული ცოდნა იმის შესახებ, რომ მას არ ძალუძს საკუთრივ თავის თავად ყოფნა, მძიმე ტვირთად აწევს ადამიანს. თუკი უეცრად ამოხეთქავს ადრე ჩახშობილი ძრწოლა ადამიანში, მაშინ მისი მელანქოლია უმაღლეს წერტილს აღწევს და სასოწარკვეთილებად გარდაიქმნება. მაგრამ იმავდროულად მასში ხდება საკუთრივი ყოფიერების განხორციელება, რადგან ვინც სასოწარკვეთილებას სრულად ეძლევა, მან მოიპოვა საკუთრივი თავად ყოფნა. მაგრამ ექსისტენციალური პრობლემატიკის საბოლოო გადაწყვეტა სასრულობას არ შეუძლია; აბსოლუტის გარეშე საკუთრივ მყოფ ადამიანს ყოფნა არ ძალუძს. ამიტომაა კირკეგორის საბოლოო გადაწყვეტილება ნახტომი ქრისტიანობაში, მაგრამ არა რაციონალური მტკიცებების გზით, რომელთაც თანდათანობით მივყავართ რწმენამდე, არამედ ბრმა ნახტომით ღვთაებაში. ეჭვი სინამდვილის მიმართ და მისი ვერ გაგება ამით არ იხსნება, პირიქით, ქრისტიანობა რჩება იმ "აბსურდად", რომელსაც უსასრულო გამძაფრებით ვეჭიდებით.

2) კირკეგორის მცდარი შეფასება ექსისტენციალ ისტების მიერ და ჰაიდეგერის ფილოსოფია

მეოცე საუკუნის ექსისტენციალიზმში ხდება კირკეგორის სეკულარიზება. ბირთვი მისი ანალიზისა, რელიგიური ამოსავალი წერტილი, ფილოსოფიისათვის მიუღებელი ხდება. ამიტომ უწოდებს მას ჰაიდეგერი "რელიგიურ მწერალს". ასევე უარყოფს კირკეგორის ქრისტიანულ საწყისებს იასპერსი, რადგან მას ისინი ესახება "აბსურდულად, პარადოქსულად, გონების დამმონებლად". როგორც იგი თავის "ფილოსოფიურ რწმენაში" დაწვრილებით ასაბუთებს, ქრისტე მისთვის არ წარმოადგენს ღმერთკაცს. აქედან გამოსული იგი სერიოზულად არ ღებულობს კირკეგორის თეოლოგიურ თხზულებებს და ყოველივეს განიხილავს ურწმუნობის წმინდა ნეგატიურობაში.

თუნდაც ის რად ღირს, რომ კირკეგორის გვერდით იგი ნიცშეს აყენებს. მხოლოდ არარა არის მისთვის მისაღები. იასპერსის მსგავსად, იგივე შეიძლება ითქვას სარტრზე და კამიუზე, როგორც კირკეგორის კომენტატორი ლ. რიხტერი წერს, ექსისტენციალისტები კირკეგორს სამი მიმართულებით გებულობენ ყალბად: ა) იმით, რომ ისინი მის ცნებებს "საეროდ", რწმენის ყოველგვარი შინაარსისაგან დაცლილად ღებულობენ, ბ) იმით, რომ კირკეგორს, როგორც ამას ჰაიდეგერი აკეთებს, ფილოსოფოსის თვისებას აცლიან და მას "ქრისტიანული მოაზროვნის" დამღას ადებენ და მას გ) ნაწილობრივ ფილოსოფოსად, ნაწილობრივ რელიგიურ ფანატიკოსად განიხილავენ და დაუშვებლად მიაჩნიათ მას ვინმე რომ გაჰყვეს, ხოლო მის რელიგიურ გამონათქვამებს "ჰუმანისტური" აზრით უკეთებენ ინტერპრეტირებას, როგორც ამას იასპერსი აკეთებს. მაგრამ ყოველივე ეს კირკეგორის გაგებას, როგორც ქრისტიანი ფილოსოფოსისას, მსგავსად ავგუსტინესი, არათუ ხელს უწყობს, არამედ უსასრულოდ შორდება.

განგაშით შეპყრობილი, თავშეუსაფარი, გაუცხოების აბსურდის წინაშე მდგომი (კამიუ) არის ერთადერთი ასპექტი დღევანდელი ურწმუნო ადამიანისა, ზუსტად ისე, როგორც კირკეგორი ამბობს: "მაგრამ მარადიულობის სერიოზული გააზრება არ სურთ, შიში გააჩნიათ მის წინაშე, ხოლო შიში ათასგვარ თავის დასაძვრენს ეძებს. სწორედ ეს გახლავთ დემონური." როგორც იგივე რიხტერი იუწყება, კირკეგორის "ძრწოლის" ცნებას არსებითად განეკუთვნება ის, რომ მასთან, ისევე როგორც მის ქრისტიან წინამორბედებთან - პავლესთან, ავგუსტინესთან, ლუთერთან, პასკალთან - ძრწოლა წარმოადგენს არა მხოლოდ არარასთან, არამედ აგრეთვე ღვთის აბსოლუტურ წმინდა ყოფიერებასთან შეხვედრას, შეხვედრას ენით აუწერელ სიხარულთან მადლის განცდის ჟამს "რწმენით ნახტომში". ყოველივე ეს ექსისტენციალისტებს, რასაკვირველია, ხელს უშლის, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელია კირკეგორის პესიმისტური პროგნოზების სისწორისა "თუკი დრო ასე გაგრძელდა".

კირკეგორის ეპოქისაგან განსხვავებით, მეოცე საუკუნის (ვნებავთ ოცდამეერთის დასაწყისის) დასავლელი განათლებული, ირელიგიური ადამიანისათვის, ჰაიდეგერის ფილოსოფია, რომელსაც მიღმურისაკენ ყველა ხიდი გაუქმებული აქვს, მისაღები ხდება. თავისი ზემოქმედების წყალობით, იგი ცენტრალურ ადგილს იკავებს ექსისტენციალურ ფილოსოფიაში. ჰ. შმიდტის გერმანული ფილოსოფიური ცნობარისა არ იყოს (შტუტგარტი, 1969), "ყოველი ფილოსოფოსი, პოეტი და მწერალიც, რომელსაც რაიმე აქვს სათქმელი ქვეყნისათვის, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ჰაიდეგერთან აწარმოებს დისკუსიას." ის დიდი მელანქოლია, რომლითაც გაჟღენთილია ჩვენი ეპოქის ინტელექტუალთა სულიერი სამყარო და რაც თავისთავად ბოროტებაა, ბევრ ახსნას სწორედ ჰაიდეგერის ფილოსოფიაში პოულობს. რაკი შემდგომ თავებში საუბარი გვექნება დასავლელი ადამიანის სულიერ კრიზისზე და ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი ექსისტენციალური ფილო-

სოფიაა, შეეცდები მოკლედ წარმოვაჩინო იგი მისი "მამათავრის", ჰაიდეგერის ფილოსოფიის განხილვით.[23]

კირკეგორისაგან განსხვავებით, ჰაიდეგერისათვის აბსოლუტისაკენ, სამყაროს მიღმური ცენტრისაკენ გზა არ არსებობს, რადგან მან აღიარა ძირითადი მოსაზრება იმ ფილოსოფოსისა, რომელიც მისთვის გადამწყვეტ როლს ასრულებს. ვ. შტეგმიულერის თქმით, ეს ფილოსოფოსი გახლავთ დილთაი. ჰაიდეგერმა მისგან აიღო არა მხოლოდ ის მოსაზრება, რომ ადამიანი ისტორიული არსებაა, არამედ აგრეთვე ჰერმენევტული მეთოდი, რაც გულისხმობდა სამყაროს საზრისის დადგენას იმანენტურად, ყოველგვარი ტრანსცენდენტების დაშვების გარეშე. ცოცხალი ადამიანის გაგება მისივე თავიდან - ასეთი იყო დილთაის სურვილი. ამდაგვარი განმარტების შესაძლებლობას იგი ხედავდა ადამიანის ისეთ აღქმაში, რომელიც მას განიხილავდა ისტორიულ-საზოგადოებრივი სამყაროს წევრად, მის ჩართვას ისტორიული მდინარების ქმნად და ქმედით კავშირებში, რაც დაკავშირებული იყო სამყაროს აღქმის ისტორიულ რელატივიზირებასთან. წარსულის შემეცნებადროინდელი განცდა შთაგრძნობის მეშვეობით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. ეს ის პირობაა, რისი საშუალებითაც ადამიანი არსებული ჰორიზონტის სიჭროვისაგან უნდა განთავისუფლებულიყო, რათა თავისი თავი შეეცნო თავისავე ისტორიულობაში. მაგრამ დილთაი არ იცნობდა ექსისტენც-ფილოსოფიური გუნებგანწყობის სიმკაცრეს და მის პრობლემატიკას. როგორც ვ. შტეგმიულერი წერს, იგი იყო რბილი, ქალურ-შთამგრძნობი ბუნებისა, რომელიც ისტორიულ ანალიზში ესთეტიკურ დაკმაყოფილებას, შესაძლოა აგრეთვე რელიგიურ სუროგატს პოულობდა. ჰაიდეგერის ექსისტენციალონტოლოგიისათვის კი დილთაის კონცეფციის გაზიარება წარმოადგენდა მისი პრობლემატიკის გამძაფრებას; სასრული ადამიანური ყოფიერების ტოტალური გამოუვალობის გარდა აღარაფერი რჩებოდა. ასეთი მდგომარეობა მას აკავშირებს რილკესთან, რომელიც მოურიდებელი სიმკვეთრით გამოხატავს სამყაროს უსაზღვრო უცხოობასა და გაუგებრობას, სრულ თავშეუსაფრობას ადამიანური ყოფიერებისას, მაგრამ აგრეთვე ადამიანის ჩაფვლას ფერისა და ექსისტენციისაგან დაცლილი მასის ყოფიერებაში. ის, რაც ადამიანში სიცოცხლის გაცხოველებას იწვევს და რაც მას აზრს ანიჭებს, ესაა სიკვდილი რილკეს გაგებით: არა "მცირე სიკვდილი", მასაში გათქვეფილი, როდესაც ამბობენ "კვდებიან", რომელიც დიდ ქალაქებში "ფაბრიკული წესით" მიიღწევა, არამედ "დიდი სიკვდილი", რომელსაც ადამიანი თავის შეუცვლელ ინდივიდუალობაში საკუთარი მიღწევით ასრულებს და "გამოიმუშავებს". ადამიანისათვის სიკვდილის მუდმივ საფრთხეს რილკეს გვიანდელ ლექსებში სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

---

23. აქ და შემდეგ, ჰაიდეგერის დასახასიათებლად გარკვეული ნაწილი ვთარგმნეთ. იხ. W. Stegmuller, Hauptströmungen der Gegenwartsphilosophie, Stuttgart 1969; თავად ჰაიდეგერის მთავარი შრომა "ყოფიერება და დრო" თარგმნილია გ. თევზაძის მიერ (თბ. 1989). იხ. აგრეთვე ჩემს მიერ თარგმნილი ჰაიდეგერის "რა არის ეს - ფილოსოფია?" ("მიმოხილვა" №6-9, თბ. 1972).

მაგრამ მაშინ, როდესაც რილკესთან აგრეთვე მეტაფიზიკური აზრები გარკვეულ როლს თამაშობენ, ჰაიდეგერთან სიკვდილი იმანენტური აზრის შესაბამისად განიმარტება მხოლოდ თავისი ფუნქციით თავად სიცოცხლეში (მაშასადამე, თავისი როლით ადამიანური ყოფიერების ცნობიერებისათვის, რომელმაც მის შესახებ უწყის და მასზე ფიქრობს). იგი, ერთი მხრივ, ემსახურება, როგორც საფუძველი, საკუთრივი ექსისტენციის ცხების მოპოვებას, მეორე მხრივ კი ექსისტენციალონტოლოგიური ცნების სასრულობის გამომუშაკებას. ადამიანური ექსისტენციის სასრულობა ტოტალურად სხვა არის, ვიდრე - საგნისა. ეს უკანასკნელი არის სასრული, რადგან ის სხვა საგნებითაა გარშემორტყმული და მათ მიმართ იგი შემოსაზღვრულია; მაშასადამე, მას საზღვრები "გააჩნია" და ისინი განსაზღვრავენ მის სასრულობას. ამის საპირისპიროდ ექსისტენცი არის მისი საზღვარი, ყოფიერება საზღვრისა განმსჭვალავს მას თავად მის სიცოცხლეში და ხელშესახებად არ გვეკლინება მისი დაბოლოებანი. სიკვდილი არ წარმოადგენს სიცოცხლის ზღვარს იმდაგვარად, როგორც ეს გზას ეღება ზღვარი ხოლმე იქ, სადაც იგი წყდება. არამედ სიკვდილი ძევს თავად ადამიანის ყოფიერებაში, რომელიც მასთან აწარმოებს მუდმივ დიალოგს გამოკვეთილად თუ ფარულად, წარმოადგენს განუწყვეტელ მისკენ მიმართებას - ესაა "ყოფნა სიკვდილისაკენ", როგორც ამას გამოთქვამს ჰაიდეგერი - და ამით თან განსაზღვრავს ადამიანურ ყოფიერებას თავის ექსისტენციალურ ხასიათში. სასრული ცნობიერებისათვის, ამგვარად, სიკვდილის ცნობიერება ფუძემდებლურია; რადგან სხვა არაფერი ამოაგდებს ადამიანს თავისი ყოველდღიურობიდან და არაფერი აიძულებს თავისი ზღვარდადებულობის შესაგნებად ისე, როგორც სიკვდილი, მაგრამ ასევე არაფერს ძალუძს მისი ცოდნა ექსისტენციალური თავგანწირვის აუცილებლობის შესახებ რომ განაძლიეროს, თუ არა ისევე სიკვდილს.

თუკი ეს ყველაფერი თვალსაჩინოებას საჭიროებს, მაშინ შევადგინოთ აზრობრივი მოდელი, რომ ადამიანი აღარასოდეს კვდება. ეჭვგარეშეა, რომ მაშინ ყოველივე ძველებურად არ დარჩება, რომ სიცოცხლე ძველებურად გაგრძელდება მხოლოდ მისი დასასრულის უკუგდებით, არამედ მთელი სიცოცხლე სხვა ხასიათს მიიღებს: ესაა მტკიცებულება იმისა, რომ სიკვდილი მთელი სიცოცხლის მანძილზე მაფორმირებელ ძალას წარმოადგენს, უფრო მეტიც - ჰაიდეგერის მიხედვით, სიკვდილის გარეშე არ არსებობს საკუთრივი ექსისტენცია, რადგანაც იგი მდგომარეობს მხოლოდ სიკვდილის განუსაზღვრელი შესაძლებლობის ატანაში. ძირითადი აქცენტი აქ კეთდება განუსაზღვრელობაზე. რადგან იგი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანმა თავისთვის გეგმა შეადგინოს, მის მიხედვით იმოღვაწოს და დასასრულს განაცხადოს: "მე ჩემი ვალი მოვიხადე, ჩემი ცხოვრების მიზანი განხორციელდა, ახლა შეუძლია სიკვდილს, რომ მოვიდეს". საქმე ისაა, რომ სიკვდილს ძალუძს ყოველწამს მოვლინება და ადამიანის მიერ დასახული მიზნების გაცამტვერება. საკუთრივი ექსისტენციის დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ ამიტომ ისეთი უნდა იყოს, რომ იგი ყოველთვის ითვალისწინებდეს მისი განუსაზღვრელი შესაძლებლობის ხასიათს.

სიკვდილთან მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანური ექსისტენციის ფუძემდებლური ყოფიერების განსაზღვრულობა, რომელიც ჰაიდეგერთან საბოლოოდ ცენტრალურ ადგილს იკავებს: დროითობა. უკვე სიკვდილის ცნებასთან კავშირში კითხვა უნდა გაჩენილიყო, თუ როგორ უნდა მოვიყვანოთ ჰარმონიაში იგი დროის არსთან, როდესაც სიკვდილი უკვე აწმყოში თავის როლს თამაშობს. სიკვდილის მოვლინებას ხომ ფაქტიურად მხოლოდ მომავალში აქვს ადგილი. მაშასადამე, თავად დროის არსში უნდა მდგომარეობდეს მომავლის უკუმიმართება აწმყოზე. მეორე მხრივ, ადამიანის ისტორიულობის განმარტებისას აქტუალური ხდება საკითხი აწმყოში წარსულის ჩართვისა. საპირისპიროდ მოსაზრებისა, რომლის მიხედვითაც არსებობს მხოლოდ უწყვეტად მიმდინარე, გაზომვას დაქვემდებარებული, ობიექტური სამყაროს დრო, სიცოცხლის ფილოსოფიამ წამოაყენა "სუბიექტური დრო", ე.ი. ფაქტობრივად განცდილი დრო, რომელიც, განცდის სახეობის შესაბამისად, ხან ნელა მიზოზინებს, ხან კი უსწრაფესად მიჰქრის. მაგრამ ამ სუბიექტურ ფაქტს განიხილავდნენ მხოლოდ მის საფუძველში მდებარე ობიექტური დროის ასპექტში. ექსისტენციალურ ფილოსოფიაში კი სუბიექტური დრო, როგორც ადამიანის გაგების შესაძლებლობის მედიუმი, უმთავრეს ადგილს იკავებს. ჰაიდეგერთან თვით ობიექტური დრო მისგანაა ნაწარმოები. ექსისტენციალონტოლოგიაში დროის "სამგანზომილებიანობა" ემსახურება ადამიანური ყოფიერების არსის დახასიათებას. არსებულის წამიერი ყოფიერება ეს არის გადაჭიმულობა დროის სამი მიმართულებით. ამასთან დრო კვლავ სიკვდილისა და სასრულობის ცნებასთან ერთად გაიაზრება. ჰაიდეგერის მიხედვით დროითობა ხომ ადამიანის უშინაგანეს ბირთვს წარმოადგენს, იმას, რაც სასრულობას, როგორც სასრულს, განსაზღვრავს. აქაც გადამწყვეტია ექსისტენციალური უმთავრესი გუნებგანწყობის დაუნდობელი სიმკაცრე: აწმყოს სიტუაცია ადამიანის არსებობისათვის მუქარით აღსავსე გარემოცვას წარმოადგენს, რომელიც მას გადაწყვეტილების მისაღებად აიძულებს ან უბიძგებს შესაძლო სიმაღლიდან "მეს" დაკარგული დაცემისაკენ, რაც არის მარტოდენ მასაში გათქვეფილი არასაკუთრივი ყოფიერება. აქ წარსული, ნაცვლად მისი მატარებელი ფუნდამენტის როლისა, გადაიქცევა ადამიანის მაიძულებელ, აწმყოს სიტუაციაში ხელმკვრელ ძალად და ამით მისი ყოფიერების შესაძლებლობათა შემზღუდველად. მომავალი წარმოადგენს ხელჩასაჭიდ შესაძლებლობებს, რომელსაც მუდმივ ახლავს ფონი უკიდურესი და განუსაზღვრელი სიკვდილის შესაძლებლობისა.

ჰაიდეგერი ხმარობს ისეთ ცნებებს, რომელთაც თეოლოგიაში დიდი დატვირთვა გააჩნიათ. მაგრამ ეს ცნებები ყოველთვის მოგლეჯილია მათი თავდაპირველი მეტაფიზიკური ფესვებიდან და წმინდა იმანენტურ განმარტებას ექვემდებარებიან დილთაის გაგებით: ზრუნვა სულის სიმრთელისათვის გადაქცეულია ზრუნვად, რომელიც წარმოგვიდგება შემაჯამებელ დახასიათებად ადამიანური ექსისტენციის არსისა; დანაშაულისაგან (შესაბამისად, პირველცოდვისაგან), როგორც განუმეორებელი ისტორიული შემთხვევისა-

გან, აღმოცენდება დამნაშავედყოფნა, როგორც ადამიანის ექსისტენციალური აპრიორი: სინდისისაგან, როგორც ღვთის მოწოდებისაგან, იქმნება მოწოდება ექსისტენცისა საკუთარი თავის მიმართ.

ჩვენ შეგვიძლია მოკლედ შევაჯამოთ ის არსებითი ძირითადი განსაზღვრებები, რომელთა მეშვეობით ჰაიდეგერის ექსისტენციალონტოლოგია ადამიანს განიხილავს. გადაგდებულობა აღმნიშველი. იმისა, რომ მე დაუკითხავად და ჩემი სურვილის გარეშე ამ სხეულში, ამ ხასიათით, ამ ისტორიულ მომენტში და სამყაროს ამ ადგილზე ვარ ჩაყენებული და საკუთარ თავს მინდობილი. ტერმინ სამყაროთი ხაზი ესმება იმას, რომ არსებულს თავისი თავის განხორციელება ძალუძს მხოლოდ სხვასთან მიმართებაში, თუნდაც იგი გაუგებარ და შემზღუდველ ძალად აღიქმებოდეს. ტრანსცენდენტი გამოხატავს ექსისტენცის დაუსრულებლობას, დაუმთავრებლობას, რომელსაც ძალუძს ყოფნა მხოლოდ მუდმივ საკუთარი თავის გადალახვაში. ჩავარდნა მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი უმრავლეს შემთხვევაში თავის თავს ჭეშმარიტად არ წარმოადგენს, არამედ არასაკუთრივ მოდუსში არსებობს, რომლის საპირისპიროდ მას თავისი შესაძლო საკუთრივობა არა თანდათანობითი გადასვლის მეშვეობით, არამედ მხოლოდ რადიკალური მობრუნებით და ნახტომით შეუძლია მოიპოვოს. თავდაპირველი ხერხი, რისი მეშვეობითაც სამყარო ადამიანის გაგებას ეხსნება, არის არა თეორიული გაგება, არამედ - გუნება. ამასთანავე ძრწოლას გააჩნია ცენტრალური ადგილი იმდენად, რამდენადაც მასში აშკარავდება სამყაროს ჭეშმარიტი ხასიათი - შემზარავობა, რომლის საპირისპიროდ ყოველდღიური გარკვეულობა მხოლოდ სამყაროს ნამდვილი სახის პირბადეს წარმოადგენს. სიკვდილსა და დანაშაულში ამოხეთქავს ექსისტენცის სასრულობა. სინდისის ძახილით ადამიანის ცნობიერებაში აღწევს არასაკუთრივობა მისი ნორმალური ყოველდღიური ყოფიერებისა და აგრეთვე ამოცანა, რათა იგი გადაილახოს, რომ საკუთრივ თავის თავად გახდეს. დროითობა წარმოადგენს სასრულობის შემაჯამებელ დახასიათებას და ამავე დროს ხაზგასმას ექსისტენცის ერთდროულ გახსნილობაზე წარსულში მომხდარ, აწმყოში შემხვედრ და მომავლის შესაძლებლობებზე. აქვე გავამახვილებთ ყურადღებას ცნება "არარაზე". რაიმეს ასე და ამნაირ განსაზღვრულად აღქმა რომ შეგვეძლოს, საჭიროა მისი სხვათაგან გამოყოფა. წითელი ფერის აღქმა მისი თავისებურებით ჩვენ ძალგვიძს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ფერებსაც ვიცნობთ. დაბადებიდან ყოველივეს წითელ ფერში რომ ეხედავდეთ, მაშინ არ გვეცოდინებოდა, თუ წითელი რას აღნიშნავს. ამის გათვალისწინებით, საერთოდ, როგორ მივდივართ მყოფის ცნებასთან? რა არის ის სხვა, რისგანაც ყოფიერებას გამოვყოფთ? როგორც ჩანს, აქ სხვა აღარაფერი რჩება, თუ არა - არარა". მაგრამ, მისი გააზრება შეუძლებელია; რადგან აზროვნებას ყოველთვის სჭირდება ობიექტი, რომლისკენაც იგი მიემართება. მაშასადამე, იგი სხვა გზით უნდა იყოს მოცემული. ჰაიდეგერთან ეს გახლავთ ძრწოლის გუნება. მასში ხორციელდება ყოფიერებისაგან

დაცლა. თუკი ჩვენ, მას მერე რაც ძრწოლამ გაგვიარა, ვიტყვით: პრინციპში არაფერი იყო - ეს სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით იქნება გაგებული. ძრწოლაში ადამიანისათვის ცხადდება მისი ყოფიერება, როგორც არარაში შეტანილად. ამის გათვალისწინებით, ჰაიდეგერის "ნიჰილიზმი" მკვეთრად ემიჯნება შოპენჰაუერისას. ამ უკანასკნელთან "არარა" წარმოადგენს უკანასკნელ თავშესაფარს, რომელიც სიცოცხლეს იხსნის უაზრო სამყაროსაგან ყოფიერებისადმი ნების თანდათანობითი მოსპობის გზით, ხოლო ჰაიდეგერთან "არარა" არის ის, რაც ადამიანს კვლავ სამყაროსაკენ უბიძგებს და მისგან აქტიურ თავდადებას ითხოვს. ამიტომაც მას არავითარი მიმართულება არა აქვს სიკვდილის რომანტიკის რომელიმე სახეობასთან. ამავე არგუმენტის გათვალისწინებით, ექსისტენციალურ ფილოსოფიას არავითარი საერთო არა აქვს მისტიკის ისეთ ფორმასთან, რომელშიაც გამეფებულია პასიური ჩაღრმავება საკუთარ თავში, სულის შერწყმა ღმერთთან, მაშასადამე, სადაც ექსისტენციალური ფილოსოფიის გუნებგანწყობის საპირისპირო, აბსოლუტური სიმშვიდის გრძნობაა გაბატონებული. განიხილა რა ჰაიდეგერის ფილოსოფია, ვ. შტეგმიულერი დაასკვნის, რომ ექსისტენციფილოსოფიის საერთო ხედვით ადამიანის სურათი წარმოგვიდგება, როგორც მისდა უკითხავად სამყაროში ჩაგდებულ, სასრულ, დაბადებასა და სიკვდილის ბნელ პოლუსებს შორის იძულებით მოქცეულ, გამოუვალ სიტუაციებში მოხვედრილ, უკიდურეს სიღრმეებამდე ძრწოლით მოცულ, უმნიშვნელო ქმნილებად, რომელიც ზრუნვითაა შეპყრობილი გარესამყაროს, სხვა ადამიანისა და თავისი თავის მიმართ, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მასაში ჩაკარგულია (საერთოს ზურგს ამოფარებულია) და რომელიც სინდისის მიერ მოწოდებულია საკუთარი სიკვდილის ატანით ბრალეულადყოფნა იტვირთოს და მომხდარის განმეორებითი გათავისებით საკუთარ ისტორიულობას ჩასჭიდოს ხელი. ხოლო ადამიანის უშინაგანეს ბირთვს, რომელიც ყველა ამ სტრუქტურული მომენტის ერთიანობაში ხედვას შეგვაძლებინებს, დროითობა წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ექსისტენციალური ფილოსოფიის მამამთავრის მხრიდან საკმაოდ უნუგეშო სურათი დაიხატა ადამიანისა. მაგრამ სამართლიანობა ითხოვს იმის აღნიშვნას, რაც სიცოცხლის ბოლოს განაცხადა მარტინ ჰაიდეგერმა: "მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩვენი გადარჩენა... თუკი ღმერთი, როგორც ზეგრძნობადი საფუძველი და მიზანი ყოველივე სინამდვილისა, მკვდარია..., მაშინ არაფერი რჩება, რაზედაც ადამიანს შეუძლია დაყრდნობა და რისი მიმართულებითაც შეეძლება სვლა. ნიჰილიზმი, ყველაზე საშინელი ყველა სტუმართა შორის, კარზე არის მომდგარი."[24] ასევე საინტერესოა, რომ სწორედ ნეომარქსისტული ფრანკფურტული სკოლის დამაარსებელი მაქს ჰორკჰაიმერი, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გმობს 1968 წლის ახალ-

24. Péter Hahne, Schluss mit lustig! Das Ende der Spassgesellschaft, johannis 2005, s. 79.

გაზრდულ მოძრაობას და თავის თავზარდაცემულ მოწაფეებს უცხადებს: "პოლიტიკა თეოლოგიის გარეშე აბსურდია. ყოველივე, რაც მორალსა და ადამიანურობას უკავშირდება, ბიბლიიდან მომდინარეობს. ახალგაზრდობის აჯანყება გაუცნობიერებელ სასოწარკვეთილებას წარმოადგენს, რომლის მიღმა დაუკმაყოფილებელი რელიგიური სურვილი იმალება."[23]

თავი მეოთხე

მეოცე საუკუნის მოაზროვნეები და მათი შეხედულება ბოროტებაზე

რასაკვირველია, აქ საუბარი არ გვექნება ახალი დროის ყველა მოაზროვნეზე, არამედ რამდენიმე მნიშვნელოვან და განსაკუთრებით თეისტურ პოზიციაზე მდგომზე. შევეცდებით ისინი წარვუდგინოთ მკითხველს თავად მათივე სიტყვით, მათივე ტექსტებით, რომლებიც გარკვეული თავისთავადობით გამოირჩევიან.

1) ს. ფრანკი

ეს გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსი იმ ტრაგიკულის განცდიდან ამოდის, რაზედაც თვითონ წერს: "ადამიანის ტრაგიკული სიცოცხლის შეგრძნება შეადგენს თემას მე-19 საუკუნის დასაწყისის "მსოფლიო სევდისას", იგი ჟღერს ბეთჰოვენის მუსიკაში და თავის გენიალურ გამოხატულებას პოულობს კირკეგორის მარტოულ ბრძოლაში ჰეგელის მეტაფიზიკური ოპტიმიზმის წინააღმდეგ."[26]

ს. ფრანკი დარწმუნებულია, რომ შემდეგი დასკვნები მხოლოდ "ყმაწვილს" შეეფერება: 1) რახან ბოროტება არსებობს - ღმერთი არ არის; 2) რაკი ღმერთი არსებობს, მაშინ ბოროტება სინამდვილეში არ არის, იგი მოჩვენებითია.[27] ფრანკი განმარტავს, რომ "შინაგანი კავშირი ღმერთსა და "ცუდ" ემპირიულ სამყაროს შორის წარმოადგენს სწორედ ანტინომისტურ-ტრანსრაციონალურ კავშირს და აშკარაა მხოლოდ მის ამ მიუწვდომლობაში... თეოდიცეის პრობლემა რაციონალურად უთუოდ ვერგადასაწყვეტია. ბოროტების "ახსნა" ტოლფასი იქნებოდა მისი "დასაბუთებისა" და ამით - მისი "გამართლებისა". მაგრამ ეს უპირისპირდება თავად ბოროტების არსს, რაც არამართლზომიერია, რაც არ უნდა არსებობდეს... ბოროტების ფაქტი, გარკვეული აზრით, აბსოლუტური ზღვარია ყოველი ფილოსოფიისა... ყველაფერი ცუდი და ბოროტი კარგია და არის სიკეთე, რამდენადაც იგი არის (თანახმად მთელი რიგი მამათა და ეკლესიის მოძღვართა აზრისა - დაწყებული მაკარი დიდიდან თომა აკვინელამდე - თვით ეშმაკიც კარგია, სწორედ იმიტომ, რაკი იგი არსებობს). მაგრამ ბოროტება, როგორც ასეთი, არის არარსობა, რეალობა, როგორც ყოფიერებისაგან განდგომა. და ჩვენი პრობლემა თავს იყრის კითხვაში: როგორ გავიაზროთ რაღაც არსებული, ე.ი. ყოფიერების სიღრმეებში ფესვგამდგარი ისე, რომ მისი შინაარსი, ის, რაც იგი

---

26. С.Л. Франк, Реальность и человек, Париж 1956, стр. 371.

27. С.Л. Франк, Непостижимое, М. 1990. стр. 529. ტექსტში მოყვანილი შემდეგი ციტატებიც ამ წიგნიდანაა.

არის, - წარმოადგენდეს საფუძვლის არმქონეს და არარსობას? პასუხი ამ კითხვაზე - პასუხი, რომელიც არ წარმოადგენს საიდუმლოს ახსნას, არამედ აღწერაა მხოლოდ თვით საიდუმლოს აზრისა, თავად პრობლემურობისა, - მდგომარეობს, როგორც ჩანს, იმაში, რომ ყოფიერების შემადგენლობაში ხდება რაღაც გაფუჭება, რაღაც დამახინჯება, რომლის მეშვეობით დადებითი, ე.ი. არსებული, ღებულობს უარყოფით შინაარსს, არაბუნებრივად და საპირისპიროდ ხდება ძალისა და არარსობის პოტენციის მატარებელი". ს. ფრანკს მიაჩნია, რომ ახსნა სრულიად ყალბია, როდესაც "ჩვეულებრივი უბრალო ხერხი ბოროტების აღმოცენებისა "ახსნილი" უნდა იყოს ადამიანური "თავისუფლებიდან", ადამიანისათვის მინიჭებული უნარიდან - "ამოირჩიოს" სიკეთე ან ბოროტება. პირველ ყოვლისა, თვით ბოროტების არსებობა, როგორც ასეთისა, რომელიც ამით უნდა იყოს "ახსნილი", უკვე უსიტყვოდ იგულისხმება. შემდეგ, ამ ახსნით მახინჯდება ფაქტიური შემადგენლობა ცდისა "ბოროტებაში შთავარდნა": ბოროტება არასოდეს "ირჩევა" თავისუფლად, - პირიქით, ჩვენ უნებლიეთ გვიზიდავს, მიგვდრეკს ან გვერეკება მისკენ; ...ჭეშმარიტად "თავისუფლად" ჩვენ ვილტვით მხოლოდ სიკეთისაკენ. ამგვარად, ბოროტებისათვის თვით ჩემს "პასუხისმგებლობასა" და ჩემზე ზემომქმედ თავად ბოროტების ძალებს შორის არის გარკვეული ანტინომია. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, როგორი "გადასაწყვეტია" საერთოდ ანტინომიები - საბედნიეროდ, არა მათი მოცილებით ახალ რაციონალურ ცნებებში, არამედ მხოლოდ გაბედულად მათი ტრანსრაციონალურში მიღებით". ს. ფრანკის აზრით, "ყველა ჩივილი ბოროტების ყოვლადძლიერებაზე, მის სიკეთეზე გამარჯვებაზე - რამდენ სიმართლესაც არ უნდა შეიცავდნენ ისინი ემპირიასთან მიმართებაში, ე.ი. ყოფიერების ზედაპირთან მიმართებაში, შეიცავენ თავიანთ თავში აშკარა შინაგან წინააღმდეგობას: ბოროტების დამანგრეველი ძალის მიმართ რომ არ ყოფილიყო აღმართული აბსოლუტურად გადაულახავი ჯებირი, ყველაფერი დიდი ხნის წინ იქნებოდა მომსპარი და აღარავინ იქნებოდა, ვინც ბოროტებაზე დაიწყებდა ჩივილს. ჩვენ ვუბრუნდებით ისევ იმ აშკარა დებულებას, მიუხედავად მისი პარადოქსულობისა, რომ ბოროტება, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს რაღაც არსს. არსებობს, ჭეშმარიტად არის მხოლოდ "რაღაც ბოროტი" ან "ცუდი", მაგრამ იგი სიკეთეა იმდენად, რამდენადაც იგი არის - თუნდაც იგი თვით ეშმაკი იყოს. მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არ არის. რამდენადაც ბოროტება მაინც რეალობას წარმოადგენს და არის რაღაც კოსმიური ძალა, იგი მაინც უკიდეგანოდ ვერ მძლავრობს... ბოროტება ამავე დროს არის თვითშთანთქმა და თვითდაგლეჯა; ბოროტება ყოველთვის უკავშირდება ტანჯვას და არა მარტო მსხვერპლის დაღუპვას, არამედ იმის დაღუპვასაც, ვინც თავად ბოროტების მატარებელია... ამიტომ დააქვს ბოროტებას თავისივე თავში იმანენტური სასჯელი; ეს სასჯელი არის, როგორც ამბობს იაკობ ბიომე, "ღვთის რისხვა", როგორც ღვთაებრივი სიყვარულის მოვლენა ბოროტების უფსკრულში, როგორც დამწველი, შთანთქმელი ალი, რომელშიაც გარდაიქმნება ღვთის ნათელი შეჭრილი არარ-

სობის სტიქიაში. და ვინც "ბოროტებაში შთავარდება", ამით იგი ვარდება "ცოცხალი ღმერთის ხელთ". ღმერთი გარედან კი არ ესხმის თავს ბოროტებას და სძლევს მას: იგი აიძულებს მას შიგნიდან დაიღუპოს, მოახდინოს თვითგანადგურება. ბოროტების მიჩნევა აბსოლუტურად პირველად, აუცილებლად დამოუკიდებელ და თვითაღმოცენებად ძალად, რეალობად, რომელიც თვით ონტოლოგიური ძირებით უპირისპირდება სიკეთეს - ამ ბეც რაციონალისტურ დუალიზმზე ბოროტებასთან ბრძოლის დაფუძნების სურვილი ნიშნავს იმას, რომ დავუბრუნდეთ ექიმბაშობას და ჩავვარდეთ სულიერ უმეცრებაში. ნათქვამი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს თეოდიცეის პრობლემის "გადაწყვეტას". პირიქით, მას მივყავართ ყველაზე უფრო შემზარავ. რაც კი ადამიანს გაუაზრებია და თანაც - ყველაზე უფრო სულიერად გაბედულ პირღვნებებს, კერძოდ, იმის დაშვებასთან, რომ რაღაც უკანასკნელ, თვითონ ღმერთის ჩვენთვის მიუწვდომელ სიღრმეებში, თუ არა თავად ბოროტება მთელი მისი ბოროტების მოვლინებით, მისი რაღაც პირველწყარო მაინც არის დამალული. ეს მოტივი ჟღერს იაკობ ბიომესა და შელინგის ღრმა გონებაჭვრეტებში ბოროტებაზე". და კიდევ: "ბოროტება აღმოცენდება უზომო უფსკრულიდან, რომელიც ძევს სწორედ ზღურბლზე ღმერთსა და "არა-ღმერთს" შორის."

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ს. ფრანკზე ი. ბიომესა და შელინგის ზეგავლენა აშკარაა.

2) ნ. ლოსკი[28]

ნიკოლაი ლოსკი განმარტავს, რომ როდესაც საქმე გვაქვს "ცხოვრების რთულ შინაარსთან, ადვილია შეცდომის დაშვება და ბოროტების ვერ შენიშვნა, რომელიც შენიღბულია მასთან სიკეთის შენარევით, ან სიკეთის არდაფასება, რომელიც ამქვეყნიურ ყოფიერებაში თავისუფალი არ არის ნაკლოვანებათაგან. ამიტომ საჭიროა პოვნა პირველადი აბსოლუტურად სრულყოფილი და ყოვლისმომცველი სიკეთისა, რომელიც გამოგვადგებოდა მასშტაბად და ყველა დანარჩენი შეფასებების საფუძვლად. ასეთი უმაღლესი სიკეთე არის ღმერთი. მცირეოდენი შეერთება ღმერთთან წარმოგვიჩენს მას, როგორც თავად სიკეთეს და, სახელდობრ, როგორც ყოფიერების აბსოლუტურ სისავსეს, რომელსაც თავისივე თავში გააჩნია აზრი, რომელიც ამართლებს, ხდის მას მოწონების საგნად, რაც ანიჭებს უცილობელ უფლებას იყოს ყოველივეზე უფრო დაფასებული... მაგრამ აბსოლუტური სიკეთისაგან განსხვავებით ბოროტება არც პირველადია და არც დამოუკიდებელი. პირველ ყოვლისა, იგი არსებობს მხოლოდ ქმნილ სამყაროში და არა ისიც მის პირველქმნილ არსში, არამედ თავდაპირველად როგორც სუბსტან-

28. Н. Лосский, Бог и мировое зло, М. 1994.

ციურ მოღვაწეთა.[29] ნების თავისუფალი აქტი, და წარმოებული, როგორც შედეგი ამ აქტისა. მეორეც, ნების ბოროტი აქტები სრულდება სიკეთის საბაბით, რადგან ყოველთვის მიმართულნი არიან ჭეშმარიტ დადებით ღირებულებაზე, თუმცა ისეთ შეფარდებაში სხვა ღირებულებებთან და მის მისაღწევ ისეთ საშუალებებთან, რომ სიკეთეს (მოტყუებით) ენაცვლება ბოროტება: მაგალითად, იყო ღმერთი, წარმოადგენს უმაღლეს დადებით ღირებულებას, მაგრამ ქმნილების მიერ თვითნებური მითვისება ამ ღირსებისა არის უდიდესი ბოროტება. მესამეც, უარყოფითი ღირებულების განხორციელება შესაძლოა არა სხვაგვარად, თუ არ სიკეთის ძალთა გამოყენებით. ეს დამოუკიდებლობის უქონლობა და უარყოფით ღირებულებათა წინააღმდეგობრივობა განსაკუთრებით შესამჩნევია სატანური ბოროტების სფეროში."

ძალზე საინტერესოა ნ. ლოსკის მიერ ბუდიზმის შეფასება. იგი წერს: "ბუდიზმის ფილოსოფია, რომელიც ინდივიდუალურ პიროვნულ ყოფიერებას მიიჩნევს ბოროტებად, წარმოადგენს უდიდეს შეცდომას; ბუდიზმს მხედველობაში აქვს არა თავად იდეა პიროვნული ინდივიდუალური ყოფიერებისა, არამედ მხოლოდ პიროვნება ცოდვილ, დაცემულ მდგომარეობაში. ამიტომ ბუდიზმის რელიგია მიზნად ისახავს არსებათა არა მარადიულ პიროვნულ სიცოცხლეს, გამსჭვალულთ ურთიერთ მიმართ და ღვთისადმი სიყვარულით, არამედ პიროვნების მოსპობას და სამყაროს გაქრობას."

ს. ფრანკის მსგავსად ნ. ლოსკიც უახლოვდება შელინგის მოძღვრებას ბოროტებაზე. იგი ამბობს: "არსებობენ მოძღვრებანი, რომელთა თანახმად ბოროტება არ წარმოადგენს ყოფიერების განსაკუთრებულ სახეს, არ გააჩნია თავისი გარკვეული შინაარსი და არის მხოლოდ სიკეთის ნაკლებობა; ეს კიდევ არაფერი, ზოგჯერ ამბობენ, რომ ბოროტება არის არყოფნა; შემდგომი ნაბიჯი არის მტკიცება, რომ თუკი ბოროტება არყოფნაა, მაშინ, მკაცრად თუ ვიტყვით, ბოროტება საერთოდ არ არსებობს. შეუძლებელია, დაეთანხმო ამგვარ თეორიებს. თქმა იმისა, რომ სიძულვილი წარმოადგენს სიყვარულის ნაკლებობას, - ეს ისეთივე დამახინჯებაა ჭეშმარიტებისა, როგორც მტკიცება, რომ კბილის ტკივილი არის მხოლოდ დაუმთავრებელი სიამოვნება." შემდეგ განაგრძობს: "...ბოროტება... გამოიყენება განგების მიერ სიკეთის მიზნებისათვის. ამგვარად, სიკეთისაგან განსხვავებით ბოროტება არასოდესაა აბსოლუტური: მასში ყოველთვის იმყოფება სიკეთის რაღაც ასპექტი, და მის შედეგებში აგრეთვე ყოველთვის, ადრე თუ გვიან, ჩნდება რაღაც სიკეთე. პოულობენ რა ბოროტებაში სიკეთის ასპექტს და კეთილ ყოფიერებას, ბევრი ფილოსოფოსი მიდის მცდარ აზრამდე, თითქოს ბოროტება წარმოადგენს მხოლოდ სიკეთის ნაკლებობას."

შემდეგი აზრები ნიკოლაი ლოსკისა განეკუთვნება ბოროტების როლს ადამიანის სოციალურ ცხოვრებაში. იგი დარწმუნებულია, რომ "რამდენადაც

---

29. ნ. ლოსკის მიხედვით ღმერთი არის შემქმნელი მრავალი სუბსტანციისა, რომლებიც არიან სულიერი არსებანი, ზესიერცული და ზედროული "კონკრეტულ-იდეალური საწყისნი" ანუ სუბსტანციური მოღვაწენი.

ბოროტება ადამიანურ ცხოვრებაში განპირობებულია პიროვნების უღრმესი თვისებებით, იგი არ შეიძლება მოცილებულ იქნას საზოგადოებრივი წყობილების არავითარი ცვლილებებით. აქედან, თუმცა, სულაც არ გამომდინარეობს, თითქოს არა ღირს ბრძოლა სოციალური სამართლიანობისათვის და არა ღირს მოცილება ბოროტების იმ სპეციალური სახეობებისა, რომელთაც ფესვი აქეთ გადგმული ამ საზოგადოებრივ წყობაში. საჭიროა მხოლოდ გვახსოვდეს, რომ აბსოლუტური სიკეთის იდეალი ამქვეყნიურ პირობებში მიუღწევადია და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმები, რომელთა გამომუშავებასაც მოახერხებენ მომავალი თაობები, განახორციელებენ მხოლოდ ნაწილობრივ გაუმჯობესებებს არსებობის ზოგიერთი მხარისას, და, შესაძლოა მასთან ერთად წარმოშობენ ბოროტების რაღაც ახალ გამოვლინებებს."

რაკი თავისუფლებამ უბიძგა ადამიანს ბოროტი არჩევანისაკენ, ამიტომ ბევრი იყვირებს: "არ გვინდა თავისუფლება! უკეთესია ღმერთმა შექმნას სამყარო, რომელიც შედგება არათავისუფალი არსებებისაგან, რომელნიც აუცილებლობით განახორციელებდნენ სიკეთეს." საკმარისია ამ აზრის გამოთქმისას მხოლოდ ჩავუფიქრდეთ მის შინაარსს, რომ გასაგები გახდება - იგი შეიცავს უარის თქმას აბსოლუტურ სიკეთეზე, რომელიც შედგება ინდივიდუალური შემოქმედებისაგან და ღვთისადმი უანგარო სიყვარულისაგან, ისევე როგორც სიყვარულისაგან მის მიერ შექმნილი ყველა არსებისადმი: ასეთ ადამიანს სურს იყოს არა შემომქმედი, არამედ რაღაც სიკეთის ავტომატი... ივანე კარამაზოვი გამოსახავს ინკვიზიტორს, როგორც პიროვნებას, რომელიც თვლის, რომ ადამიანს არ გააჩნია უნარი თავისუფლებისა..." ნ. ლოსკი განაგრძობს: "სამოქმედო მიზნის დასახვა და მისი მიღწევა თავისუფალი ქმნილებაა პიროვნებისა. ამიტომ ასეთი რიგები მიზეზობრივი კავშირებისა, რომელთა გამოხატვა შეიძლება ფორმულით"A არის მიზეზი B-სი, B არის მიზეზი C-სი, მაშასადამე, A არის მიზეზი C-სი" სამყაროს შიგნით არ არსებობს: თუკი A არის B-ს მიზეზი, მაშინ ეს აღმნიშვნელია იმისა, რომ A არის პიროვნება, ხოლო B არის მის მიერ წარმოებული მოვლენა, მაგრამ მოვლენას თავისთავად არ ძალუძს შექმნა არავითარი შემდგომი მოვლენებისა იმიტომ, რომ მოვლენებს არ გააჩნიათ შემოქმედებითი ძალები, ისინი პიროვნებებს არ წარმოადგენენ. რაც შეეხება ღმერთის დამოკიდებულებას მის მიერ შექმნილ პიროვნებასთან, მაგალითად იმასთან, ვინც თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე გახდა ნერონი, რომლის ბრძანებითაც ცენტურიონმა მოკლა დედამისი აგრიპინა, მაშინ აქაც აზრი არა აქვს ასეთ განსჯას: ღმერთი - მიზეზია, რომელმაც წარმოქმნა ნერონი, ნერონი მიზეზია ბრძანებისა ცენტურიონის მიერ აგრიპინას მოკვლისა, ბრძანება, რომელიც მიიღო ცენტურიონმა, მიზეზია მის მიერ განხორციელებული აგრიპინას მკვლელობისა, მაშასადამე, საბოლოო ჯამში ღმერთი არის მიზეზი აგრიპინას მკვლელობისა. ღმერთმა შექმნა არა ნერონი, არამედ პიროვნება, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ზეხარისხობრივი შემოქმედებითი ძალა, რომელიც საერთოდ წინასწარ არ განსაზღვრავდა გამოემუშავებინა თა-

ვისთვის ნერონის ხასიათი და მოეხდინა მკელელობა საკუთარი დედისა. ღმერთსა და ნერონის თავისუფალ ქმედებებს შორის ძევს ონტოლოგიური უფსკრული, ყოფიერებითი გახლეჩა, რომელიც ნებას არ გვაძლევს დავამკვიდროთ რიგი "A არის მიზეზი B-სი, B არის მიზეზი C-სი, ამგვარად, A წარმოადგენს C-ს მიზეზს."

მაშასადამე, არავისზე არ ძალგვიძს ბოროტების გადაბრალება: ჩვენ თავად, ბოროტად ვიყენებთ რა ჩვენს თავისუფალ შემოქმედებით ძალას, ვქმნით ყოფიერების სამეფოს, სადაც ამდენი ბოროტებაა. ყოველივე პირველქმნილი, ღვთის მიერ შექმნილი, არის სიკეთე; ბოროტება არის მეორადი ზედნაშენი სიკეთეზე, რომელსაც თავად ჩვენ ვქმნით".

გასული, მეოცე საუკუნის ფილოსოფოსები, ნაბერტი და რიკიორიდან დაწყებული და გათავებული ჰერინგით, ჰემერლეთი, სპლეტით და სხვებით ახალს ვერაფერს იუწყებიან ბოროტების აღმოცენებაზე. უკეთეს შემთხვევებში არის ასეთი დასკვნები: "ამით ბოროტება არ არის ახსნილი; ამით არის მხოლოდ ნათქვამი, რომ იმედის კარი ღია რჩება ბოროტების ჯინზე".[30] ან ასე: "ბოროტების არსებობა არის პარადოქსი და იდუმალება".[31]

მთავარი ცნება, რითაც ბოროტება ფეხს იკიდებს საერთოდ სამყაროში, არის ცოდვა. რაკი ეს უკანასკნელი ღვთისმეტყველური განმარტების სფეროში რჩება, სწორედ აქედან განვიხილავთ მას.

---

30. I.P. Iossua, Discours chretiens et scandale du mal. Paris 1979.

31. გიორგი ფლოროვსკი თავის ინგლისურენოვან სტატიაში სათაურით "Tenebrae Noctum".

თავი მეხუთე

ნდობა ადამიანისადმი უფრო მეტს ითხოვს, ვიდრე ადამიანს მისი შესრულება შეუძლია. ნდობა მისი უღრმესი გაგებით ყოველი ადამიანის მიმართ გულაცრუებული რჩება, რადგან ყოველი ბოროტებასთანაა გადაჯაჭვული და სიკვდილს ექვემდებარება. ღმერთი ის უცილობელი დამსწრეა, რომელსაც ყოველ მიწიერ დამსწრეში ვეძებთ და ვგულისხმობთ.

ჰ. ალტჰუსი

ცოდვა

ახალ დროში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, მისი სისხლიანი მოვლენის შეფასებისას, არაერთ გამჭრიახ გონებას მთელი სიგრძე-სიგანით წარმოუდგა ცოდვის გააზრების საჭიროება. დიდმა კატაკლიზმმა განმანათლებლობის მიერ დათრგუნული ქრისტიანული ცნობიერება კვლავ გაალვიძა და ცოდვაზე მიანიშნა. ერთ-ერთი ასეთი მოაზროვნე გახლდათ გრაფი დე მესტრი: "ყოველი უკეთურობა, ან, უფრო ნათლად რომ გამოვხატო ჩემი აზრი, ყოველი ტკივილი არის სასჯელი... რომელიმე, ნამდვილი ან პირველცოდვის გამო".[32]

რა არის ცოდვა? ის, რაც ცოდვას ცოდვად ხდის, არის დანაშაული. დანაშაული კი მდგომარეობს თავისუფალ არჩევანში ბოროტების სასარგებლოდ, სახელდობრ: ბოროტება ღვთისა და ადამიანის წინააღმდეგ. რასაკვირველია, ბოროტება კაცობრიობის ისტორიის რომელიმე ეტაპზე არ წარმოშობილა, არამედ იგი უდიდესი წარსულის მქონეა, როდესაც კაცთა მოდგმას ჯერ ფეხი არ დაედგა დედამიწაზე და როდესაც ზე სფეროებიდან განდევნილ იქნა ეშმაკად ქცეული ამაყი ანგელოზი.[33] რაც შეეხება ადამიანებს, აქ ცოდვას თავისი ისტორია გააჩნია, რომლის დასაბამს წმ. წერილი, ბიბლია გვამცნობს.

განვიხილოთ ეს ცოდვა-ბრალი ჯერ ძველ აღთქმაში. ცხადია, მის გარჩევას მოკლედ შევეხებით, რადგან, ქრისტეს მოსვლის შემდგომ მთავარ ინტერესს წარმოადგენს სწორედ ქრისტიანის დამოკიდებულება ცოდვასთან.

I. ცოდვის გაგება ძველ აღთქმაში

როდესაც ძვ. აღთქმა ცოდვაზე საუბრობს, წინა პლანზე გამოდის მისი აქტუალობა და არა საკითხი მისი საწყისის შესახებ.[34] მაგრამ იქ მაინც

---

32. J.de Maistre, Abendstunden in St. Petersburg. 3. Gespräch. Bd. I, 179.

33. იხ. ჩემი "ლექციების კურსი ღვთისმეტყველების ისტორიაში", ჟურნ. "რელიგია", №8, 1992.

34. F. Dingermann, Sünde im AT., in: LTHK, Bd. 9, Freiburg, 1986

ნათლად არის დადასტურებული, რომ თავდაპირველად ცოდვა არ არსებობდა. ადამიანი არის კეთილი და სრულყოფილად შექმნილი. ცოდვა მოხდა მხოლოდ ერთხელ და იგი ატარებს დანაშაულის ხასიათს. დაბადებაში (თავი 3) მოთხრობილია "პირველცოდვის" შესახებ, რომელიც გვეულინება ათვლის წერტილად კაცობრიობის ისტორიისა, როგორც ცოდვის ისტორიისა. ამდაგვარად ალიძრა ცოდვა, რომელიც იქცა ადამიანის მუდმივ შენაძენად და დამკვიდრდა ადამიანურ სამყაროში. შემდგომი თავები დაბადებისა (ისტორიები კაენისა, ლამექისა, ღვთისშვილთა ქორწინებისა, გოდოლის შენებისა) მოგვითხრობენ ცოდვათა მოზღვავების შესახებ, რომელიც ზვავივით იზრდება და რაც უფრო მატულობს, მით უფრო აშორებს ადამიანებს ღვთისაგან. ასე, რომ საკმარისია წარსულს გადახედოს კაცმა, იგი ყველგან იხილავს ცოდვას (დაბადება 6,5; ესაია 43, 27). არც ერთი ადამიანი უცოდველი რომ არ არის, ეს მრავალგზისაა ნათქვამი (პირველი მეფეთა 8, 46; ფსალმუნნი 14,3; 143,2; იერემია 25,4 და შემდეგ), თვით ბუმბერაზი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ დავითი, მოსე და პატრიარქები დახასიათებულნი არიან თავიანთ ადამიანურ გაორებაში. ღვთისაგან მოწოდების ჟამს ესაია წინასწარმეტყველი ალიარებს, რომ იგი ცოდვილია ყველა ცალკეული არსების მსგავსად, და ასევე, ცოდვილია, როგორც წევრი ცოდვილი ხალხისა (6,5). ცოდვის ასეთი გააზრება, როგორც "კოლექტიური ცოდვისა", ძვ. აღთქმისთვის ძალზე დამახასიათებელია (მეორე რჯული 21; ამოს წინასწარმეტყველი 9, 8; იერემია 4, 22 და სხვ.). ამგვარად, ისტორია ამ რჩეული ხალხისა იქცევა ისტორიად მისი დაცემისა და კვლავ ამაღლებისა, რაც, მეორე მხრივ, არ გამორიცხავს ცალკეული პიროვნების პასუხისმგებლობას ღვთის წინაშე, რომელიც ასევე ხაზგასმულია ბიბლიაში (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 18). მიუხედავად შეხედულებისა ცოდვის ყველგან სუფევაზე, მაინც გაბატონებულია მხიარული ოპტიმიზმი იმის თაობაზე, რომ ადამიანს ძალუძს მცნების აღსრულება (მეორე რჯული 30, 11.14; იობ. 1.1; ფსალმ. 1.1).

სადაც კი აღმოცენდება ცოდვა, როგორც ღვთის საწინააღმდეგო ქმედება, იქვე იწყება დანაშაული, როგორც ღვთის საწინააღმდეგო მდგომარეობა, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ცოდვილ ადამიანს და დროდადრო იგი გადადის მის ოჯახზე და მთელ ხალხზეც (გამოსვლა 20,4; რიცხ. 14,18; 2 მეფ. 24, 12-17). ისე, ხშირად გვსმენია ხოლმე ძვ. აღთქმის ღმერთის სისასტიკის აღსანიშნავად, რომ იგი სდევნის დამნაშავეს მესამე და მეოთხე თაობამდეო, მაგრამ ივიწყებენ, ან არ იციან, რომ უფალი ასევე ამბობს თავის მოწყალებაზე, რომელიც ათას თაობას გადაწვდება (გამოსვლა 34,7). ძველმა აღთქმამ უწყის დამნაშავის ღრმა სუბიექტური ცნობიერება, რომელიც მოვლენილი სასჯელისაგან დამოუკიდებლად ყალიბდება ღვთის პიროვნული ქმედების ცოცხალი გამოცდილებიდან (ფსალმ. 31, 1-7; 38, 3; 51. 4 და შ; ეს 1,16; ეზეკ. 18,31; ოს. 6,1; იოვ. 2,12;). რადგან ძვ. აღთქმის აზროვნებისათვის ცოდვა არა მხოლოდ ზნეობრივ, არამედ რელიგიურ ცნებასაც წარმოადგენს, იგი თავიდანვე მიმართულია ღვთის საწინააღდეგოდ და ამიტომაც ყოველთვის სასჯელს იმსახურებს. განსაკუთრებულ ყურადღებას

ძვ. ალთქმაში იმსახურებს კავშირი ცოდვასა და სასჯელს შორის, ისე, რომ მიზეზობრივი ახსნა ადამიანის ბედისა, ცოდვიდან გამომდინარე, მას უძნელესი პრობლემის წინაშე აყენებს (იობ., ფსალმ. 73). სასჯელი მიეწერება ღვთის პიროვნულ ჩარევას, "ღვთის რისხვას" (გამოსვლ. 4,14), რომელიც ადამიანთა განცდაში, ტანჯვასა და სიკვდილში ვლინდება (გამოსვ. 15,7; 22,23; რიცხვ. 11,1). ცოდვის გამო ამქვეყნიურ სასჯელზე უფრო მძიმეა სასჯელი ღმერთთან ურთიერთობის შეწყვეტისა (ეს. 59, 2).

II. ქრისტიანობა და ცოდვა

ზემოაღნიშნული საკითხის სიდიდის გამო მას ვერ განვიხილავთ "თეოლოგიის ისტორიის" სრული კურსის თანმიმდევრობით, რაც მკითხველს, თუ იგი საგანგებოდ არ არის ღვთისმეტყველებაში განსწავლული, უფრო დააბნევს და ცოდვაზე დაფიქრების კონცენტრაციაში ხელს შეუშლის. ამიტომ ჩვენ მივმართავთ რამდენიმე მნიშვნელოვან მოაზროვნეს, რომელნიც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნიან ამ პრობლემაზე.

I. ნეტარი ავგუსტინეს მოძღვრება ცოდვაზე და მადლზე[35]

ავგუსტინეს მოძღვრება ცოდვაზე, მადლსა და თავისუფლებაზე, ძირითადად, ასახულია პელაგიუსის წინააღმდეგ მიმართულ თხზულებებში "De spiritu et littera" (412), "De natura et gratia" (415) და "Contra Julianum" (421). სანამ ავგუსტინეს შეხედულებებს შევეხებოდეთ, საჭიროა გავეცნოთ იმას, თუ რას ქადაგებდა პელაგიუსი. პელაგიუსი, წარმოშობით ირლანდიელი, რომში გამოჩნდა დაახლოებით 400 წლამდე. იგი ხალხს მოუწოდებდა მკაცრი მონანიებისაკენ. შეიძინა რა მომხრეები, ამ მიმართულებამ ფართო გავრცელება ჰპოვა "პელაგიანობის" სახელწოდებით და, როგორც უკვე ვთქვით, მას მძაფრად დაუპირისპირდა ნეტარი ავგუსტინე. ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე 431 წელს, როდესაც დაიგმო ნესტორიანობა, პელაგიანობაც მწვალებლობად იქნა მიჩნეული.

პელაგიუსი თავის ქადაგებებში, პირველ ყოვლისა, მიმართავს ადამიანის თავისუფალ ნებას. მას თავიდანვე მიაჩნია, რომ ყოველ ადამიანს აქვს უნარი არჩევანი მოახდინოს ბოროტსა და კეთილს შორის. რადგან - ასე ფიქრობს პელაგიუსი - თუკი ადამიანი იმ წარმოდგენით არ ცხოვრობს, რომლითაც ძალუძს ღმერთის ბრძანების შესრულება, იგი ვერც ვერასოდეს

35. ეს თავი შედიოდა ჩემს ნაშრომში "ლექციების კურსი ღვთისმეტყველების ისტორიაში" ("რელიგია", №8, 1992), რომელიც იმჟამად ვერ დაბეჭდა მასალის სიდიდის გამო. იხ. იქ "შესავალი", სადაც საუბარია ბენგტ ჰეგლუნდზე, შვედ თეოლოგზე, რომლის გერმანულენოვანი ნაშრომი და არქიტექტონიკა გამოყენებულია ძველი ღვთისმეტყველების გადმოცემის დროს.

შეასრულებს მას და ვერც გაუმჯობესდება. მაშინ აზრს კარგავს ის, რომ ადამიანს რაიმესაკენ მოვუწოდოთ, თუკი მას ეს მოწოდება შეუძლებლად მიაჩნია.

უნდა ითქვას, რომ ნების თავისუფლების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებში პელაგიუსი არ არის პირველი. ეს მოსაზრებები ძველი ეკლესიის ღვთისმეტყველებაში საყოველთაოდ იყო წინასწარ ნავარაუდები: როგორც ბერძნულში, ასევე - დასავლურში. თავისუფლება არჩევანის შესაძლებლობისა წინაპირობაა მცნებათა ქადაგებისათვის და ასევე ადამიანის აღზრდისა და განახლებისათვის. რადგან ამ თავისუფლების გარეშე შეუძლებელია ადამიანს დაელაპარაკო და მისი ქმედებებისათვის პასუხისმგებელი გახადო ან დანაშაულში ამხილო.

პელაგიუსისა და ავგუსტინეს კამათში ნების თავისუფლების შესახებ ეს პრობლემა ახალ ეტაპს აღწევს, იგი ხდება მთავარი პუნქტი ხსნის საკითხში, სახელდობრ, ცოდვისა და მადლის საკითხში. პელაგიუსისათვის ნების თავისუფლება არა მხოლოდ ადამიანის უნარში მდგომარეობს, რათა თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილება და იმოქმედოს (გვიანდელი ტერმინოლოგიის მიხედვით "ფორმალური" ან "ფსიქოლოგიური თავისუფლება"), არამედ აგრეთვე მასშიც, რაც ადამიანს ნამდვილად ახასიათებს: მოახდინოს არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის და სხვადასხვაგვარ ქმედებათა შესაძლებლობებიდან როგორც კეთილი, ასევე ბოროტი ქმედებები განახორციელოს. ეს პრობლემა პელაგიუსთან უფრო შორსგამიზნულ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ადრეულ ტრადიციაში. ამგვარად, რამდენადაც ადამიანს შესაძლებლობა და თავისუფლება გააჩნია კეთილის არჩევისა, ცოდვა, პელაგიუსის მიხედვით, მდგომარეობს მხოლოდ ნების ცალკეულ აქტებში. თუკი ადამიანი ირჩევს ბოროტს, მაშინ იგი ცოდვას სჩადის. მაგრამ მას არაფერი უშლის, რომ კეთილი აირჩიოს და ცოდვას განერიდოს. პელაგიუსი კატეგორიულად უარყოფს იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ცოდვა ადამიანის არსში ან მის ბუნებაშია მოთავსებული. იგი არის "non naturae delictum sed voluntatis" (იგი არის არა ბუნების შეცდომა, არამედ - ნებისა). აქედან გამომდინარეობს, რომ პელაგიუსი აზრს პირველცოდვის შესახებაც უკუაგდებს. ცოდვა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რასაც ადამიანი აკეთებს; იგი არ შეიძლება მემკვიდრეობით გადაეცეს ანდა მისი ბუნებიდან გამომდინარეობდეს. ამით პელაგიუსს სწამს, რომ ადამიანის პასუხისმგებლობას ხაზს უსვამს და ამ პასუხისმგებლობის მოსპობას ხელს უშლის. მხოლოდ ამის გათვალისწინებითაა შესაძლებელი ადამიანის გაუმჯობესება. მისი შეხედულებით პატარა ბავშვები, რომელთაც გაცნობიერებულად ბოროტების არჩევანი არ მოუხდენიათ, თავისუფალნი არიან ცოდვისაგან. ასე რომ, პელაგიუსის მიხედვით, ნათლობა არ წარმოადგენს ცოდვისაგან განთავისუფლებას. პელაგიუსი იზიარებს აგრეთვე იმ შეხედულებას, რომ ადამიანს საერთოდ ძალუძს ცოდვისაგან განთავისუფლებას მიაღწიოს. ადამიანს, მაშასადამე, სულ უფრო და უფრო მაღალ ხარისხში შეუძლია ბოროტს განერიდოს და კეთილი აირჩიოს. მაშინ როგორ ახსნა-განმარტებას აძლევს პელაგიუსი

ცოდვის არსებობის ფაქტს? როგორ არის შესაძლებელი, რომ ადამიანი მიუხედავად თავისი თავისუფლებისა, მაინც ასე ხშირად ირჩევს ბოროტებას?" "შესავალში" ჩვენ ვახსენეთ კანტი, შოპენჰაუერი და სხვები, რომელნიც ღაღადებენ ადამიანში ჩაბუდებული "რადიკალური ბოროტების" შესახებ. ჯერ კიდევ რომაელი პოეტი ოვიდიუსი წერდა, - მე ვხედავ, თუ რა არის კარგი და მას ვემხრობი, მაგრამ მერე მაინც სხვა რამეს ჩავდივარო. მაგრამ ოვიდიუსი წარმართია, ხოლო ყველა ქრისტიანისთვის მისაღები და სათაყვანო პავლე მოციქული ბრძანებს: "ვინაიდან არ მესმის რას ვაკეთებ: იმიტომ, რომ იმას კი არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ იმას, რაც მძულს... და აწ უკვე მე კი არ ვაკეთებ მას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში. რადგანაც ვიცი, რომ არ მკვიდრობს ჩემში, ესე იგი, ჩემს ხორცში, კეთილი; ვინაიდან არის ჩემში კეთილის ნდომა, მაგრამ არ ვიცი, როგორ აღვასრულო იგი. რადგანაც კეთილს კი არ ვაკეთებ, რომელიც მსურს, არამედ ბოროტს, რომელიც არ მსურს. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არა მსურს, მე კი არ ვაკეთებ მას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში... კეთილის ქმნა მსურს, მაგრამ ბოროტი კი მიძევს წინ... ჩემს ასოებში სხვა რჯულსა ვხედავ, რომელიც ეურჩება ჩემი გონების რჯულს, და იმ ცოდვიანი რჯულის ტყვედ მაქცევს, რომელიც არის ჩემს ასოებში... ამრიგად მე, ერთი და იგივე კაცი, გონებით ღმრთის რჯულს ვმონებ, ხორცით კი ცოდვის რჯულს." (რომაელთა მიმართ, 7).

აქ ძალაუნებურად გვახსენდება ჰეგელის "უბედური ცნობიერების" ანალიზი მისი "სულის ფენომენოლოგიიდან". დაპირისპირებამ ბატონსა და მონას შორის ინდივიდუუმში გადაინაცვლა, ე.ი. გადაინაცვლა მის ცნობიერებაში, მოხდა ცნობიერების გაორება თავისსავე თავში. ამგვარად, იგი აღარ წარმოადგენს ერთიანობას, არამედ არის უბედური ცნობიერება, ესე იგი ცნობიერება თავისივე თავის შესახებ, როგორც გაორებული და წინააღმდეგობრივი არსებისა. ახასიათებს რა ამ სიტუაციას, კუნო ფიშერი ამბობს, რომ ისტორიულად ასეთი განწყობილება წამოვიდა განმანათლებლობის ეპოქიდან და წინ უსწრებდა რევოლუციის მსოფლიო ეპოქას, ისევე, როგორც სტოიციზმი და სკეპტიციზმი წინ უსწრებდნენ ქრისტიანობას. ამ განწყობილებას ასახავს გოეთეს ფაუსტი: ორი სული სუფევს ჩემს მკერდში, ერთი ზეცისაკენ მიმაქანებს, მეორე კი დაბლა მეზიდება მიწაზე და ამქვეყნიურ სიამეთაკენ... მაგრამ ფილოსოფოსის თანამედროვეებს ისე მოჰქონდათ თავი ამ ცნობიერებით, ისე პოზიორობდნენ, რომ ეს ცნობიერება სიტყვა "უბედურს" უკვე აღარ იმსახურებდა. ამიტომ მართალი იყო ჰეგელი, რომ მხოლოდ მკვეთრი დაპირისპირება, გამოუვალი სიტუაცია (გადაულახავი დუალიზმი) ამ ორ ცნობიერებას შორის ხდის ამ ცნობიერებას უბედურად.[36]

მაგრამ დავუბრუნდეთ პელაგიუსს. როგორ ხსნის პელაგიუსი ცოდვას? ამ კითხვის საპასუხოდ პელაგიუსი იყენებს ახსნის იმავე ანთროპოლოგიურ

---

36. ჰეგელის დასახელებულ ნაშრომთან ერთად იხ. ანალიზი კუნო ფიშერისა მის გამოკვლევაში "ჰეგელზე" (ტ.1).

მეთოდს, ოღონდ ბუნებრივია, პირუკუ. იგი მიუთითებს ცოდვის ჩადენის დიდი ხნის ჩვეულებაზე (longa consuetudo vitiorum) და ნების განმეორებულ აქტებში ხედავს ადამიანის მიდრეკილების გაძლიერებას ბოროტებისადმი.

მაგრამ ახლა ისმის კითხვა: სჭირდება კი ადამიანს, რომელსაც, პელაგიუსის მიხედვით, საკუთარი შესაძლებლობით კეთილის არჩევა ძალუძს, საერთოდ ღვთის მადლი?

პელაგიუსიც საუბრობს მადლზე, მაგრამ სხვაგვარად, ვიდრე ავგუსტინე. მაშინ, როდესაც ავგუსტინესათვის მადლი ადამიანის ნებას ცვლის, მას ღვთისადმი სიყვარულით აღავსებს და ამით მთელ მის ნებისეულ მიმართულებას სხვარიგად წარმართავს, პელაგიუსისათვის ღვთის მადლი აღმნიშვნელია ადამიანის თავიდანვე ისეთი ნებით აღჭურვისა, რომელიც თავისუფალია სიკეთისათვის. მადლის ქმნილება არის "bonum naturae" (ბუნების სიკეთე). ღვთის მადლმა შემდგომში ადამიანს არჩევანის გაკეთება გაუადვილა და მას საშველად ხელი გაუწოდა სიკეთის მისაღწევად. ეს შველა მოიდინარეობს მცნებათა ქადაგებებიდან და ქრისტეს მაგალითიდან, ასევე ცოდვათა მიტევებიდან, რაც ადამიანს თავისი მგზავრობის განგრძობას შეაძლებინებს ისე, რომ არ იყოს წარსულით დამძიმებული. თუკი ადამიანს შერჩენილი აქვს უნარი სიკეთის თავად არჩევისა, მაშინ, პელაგიუსის მიხედვით, ამ ნებას საჭიროა დამხმარედ მადლი მოევლინოს.

პელაგიუსის მოძღვრებას მკვეთრად უპირისპირდება, როგორც ვთქვით, ავგუსტინეს მოძღვრება თავისუფლებაზე, ცოდვასა და მადლზე. კონტროვერსი ძირითადად ეხება შემდეგ საკითხებს: ნების თავისუფლება, პირველცოდვა, ხსნის მიღება, მადლი და პრედესტინაციო.[37] ეს თემა ავგუსტინეს ღვთისმეტყველებაში ფართოვდება ადამიანზე მოძღვრებით საერთოდ და ღმერთთან მისი დამოკიდებულებით. მისი თეოლოგიური ანთროპოლოგია იმავდროულად ჩართულია მისავე მოძღვრებაში ხსნის მოწყობის თაობაზე. პირველ ყოვლისა, განიხილება ღვთის ქმედებები ადამიანებთან და ამ უკანასკნელთა სხვადასხვაგვარი ქცევა სამყაროს ხსნის ღვთაებრივ გეგმაში. გამონათქვამები ნების თავისუფლებაზე და მადლის ქმნილებაზე მუდამ სხვადასხვაგვარ სტადიებზეა დამოკიდებული, რომლებზედაც ადამიანი იმყოფება თავისი განვითარების განმავლობაში დაბადებიდან სრულყოფამდე. ავგუსტინე განასხვავებს ოთხ ასეთ სტადიას: "დაცემამდე", "დაცემის შემდეგ", "მოქცევის შემდეგ" და "სრულყოფაში".

ეგრეთ წოდებულ თავდაპირველ მდგომარეობაში ანუ პირველი ადამიანების შექმნის დროს, ადამიანს თავისუფლება გააჩნდა მთელი სისავსით.

---

37. **Pradestination (praedestinare)** - ღვთაებრივი წინასწარგანსაზღვრულობა, განსაკუთრებით ადამიანის წინასწარ განსაზღვრა ან ნეტარებისათვის, ანდა დაღუპვისათვის ღვთის არჩევანის მიხედვით. ავგუსტინეს ამ მოძღვრებამ განსაკუთრებით მკაცრი ფორმები მიიღო კალვინთან და უფრო მეტად ისლამში. ვიქტორ ნოზაძე "პრედესტინაციოს" მაგივრად ხმარობს სიტყვა "წინარგანჩინებას", რასაც შემდგომ ჩვენც გამოვიყენებთ. იხ. ამ ცნების ფართო ანალიზი ვ. ნოზაძის "ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველებაში", პარიზი, 1963. გვ. 420 და შემდეგ.

მისი ნება იყო თავისუფალი არა მარტო მის ქმედებებში, არამედ შეეძლო სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანი მოეხდინა. მას გააჩნდა, როგორც ფორმალური თავისუფლება, ასევე - უნარიც სიკეთის არჩევისა. ეს თავისუფლება შეიცავდა შესაბამისად "posse non peccare"-ს (შესაძლებლობა, რათა არ სცოდოს). ადამიანს იგი გააჩნდა არა ბუნებრივად, არამედ - მხოლოდ მადლის დახმარებით: მხოლოდ "prima gratia"-თი (პირველი მადლი) აღწევდა იგი თავისუფლებას სიკეთისაკენ.

მაგრამ თავისუფლებაში ძევს აგრეთვე შესაძლებლობა დაცემისა; პირველცოდვას ამიტომ გააჩნდა თავისი მიზეზი თავისუფალ ნებაში. დაცემისას ადამიანი "superbia"-ს გამო (ქედმაღლობა) ზურგს აქცევს ღმერთს და წარემართება ბოროტისაკენ. მისი caritas-ი (სიყვარული) იცვლება cupiditas-ით (ვნებიანობა-ჟინი). იგი კარგავს მადლის საჩუქარს და ამით თავისუფლებას - აირჩიოს სიკეთე. მადლის დაკარგვით ადამიანის ბუნებაში აღმოცენდება "თავდაყირა" წყობა. ნება და გონება აღარ მბრძანებლობენ სულის უმდაბლეს ძალებზე, პირიქით, ეს უკანასკნელნი განაგებენ პირველთ; ადამიანი ვნების ბადეშია გახლართული და მას წარმართავს ხორციელი ნდომა. ეს არის ის მდგომარეობა, რომლის შეცვლაც მას თავისი ძალებით არ ძალუძს. თუმცა ნებას ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ნდომის გადალახვა, მაგრამ ნების ძირითადი მიმართულება უცვლელი რჩება. ადამიანი თავს ვერ აღწევს ნდომის გაკვლევის სფეროს, რადგან იგი ამ მდგომარეობაში თავისი ნებისათვის საბოლოო მიზნად სახავს არა ღმერთს და მისკენ ლტოლვას, არამედ მიწიერსა და ამქვეყნიურს.

ამგვარად, დაცემა ნიშნავს იმას, რომ ადამიანი კარგავს თავისუფლებას სიკეთისაკენ. ნაცვლად ამისა, მყარდება "necessitas peccandi" (აუცილებლობა ცოდვის ჩადენისა). მისი "posse non peccare" (შესაძლებლობა, რათა არ სცოდოს) გარდაიქმნება "non posse non peccare"-ში (შეუძლებლობად, რომ არა სცოდოს). აქ აშკარად ჩანს დაპირისპირება პელაგიუსთან. ავგუსტინე უარყოფს, რომ ადამიანს დაცემის შემდეგ გააჩნია თავისუფალი ნება ნამდვილი გაგებით, ე.ი. თავისუფლება სიკეთისაკენ. იგი იძულებულია, სცოდოს, რაც ნიშნავს ისეთ ქმედებებს, რომელთაც ადამიანი საბოლოოდ დაღუპვისაკენ მიჰყავთ. ცალკეული კეთილი საქმეების შესრულება, თუმცა, მას ძალუძს, მაგრამ თავისი ბოროტი ნების მიმართულების შეცვლა კი არ შეუძლია. მაგრამ ამით ავგუსტინე არ უარყოფს ფორმალურ თავისუფლებას. მისი შეხედულება ამგვარად არ არის დეტერმინისტური. ადამიანი არის თავისუფალი; მაგრამ დაცემის მდგომარეობაში მას თავისუფლება გააჩნია მარტოოდენ ცოდვის საქმელად, ე.ი. მკაცრად განსაზღვრული ან გაუკუღმართებული თავისუფლება. მისი ბოროტი ნების მიმართულება განსაზღვრავს მის ქმედებას და ხელს უშლის, რათა სიკეთე განახორციელოს. თუმცა ადამიანი თავისი პიროვნული ნებისეული აქტის მიმართ თავისუფალია, მაგრამ ნებით განსაზღვრული მთლიანი განწყობის შეცვლა მას არ ძალუძს და ამიტომ იგი არ არის თავისუფალი.

ბოროტი ნება თავს იჩენს ნდომაში. მაგრამ იმავდროულად პირველცოდვა არის ბრალი, რომელიც დანაშაულს შეიცავს ღვთის წინაშე. ამიტომ არის

პირველცოდვა დანაშაულის წარუვალი მდგომარეობა. ეს დანაშაული წარმოადგენს ცოდვის არსს, მის "ფორმალობას", ესე იგი იმას, რაც მას ცოდვად ხდის. ნათლობის დროს მემკვიდრეობით მიღებული დანაშაული ჩამოიცილება ისე, რომ პირველცოდვა ნათლულს უკვე აღარ ეთვლება ცოდვად. მიუხედავად ამისა, ნათლობის მერე რჩება კონკრეტული მდგომარეობა პირველცოდვისა - ხორციელი ნდომა (concupiscentia), რომელსაც თან მოაქვს დაღუპვა და რისი მიზეზითაც ადამიანური ბუნება დაზიანებულია (natura vitiata peccato).

ამგვარად, ცოდვა შედგება არა მხოლოდ ნებისეული ცალკეული აქტებისაგან ან ქმედებებისაგან, არამედ იგი ძევს უკვე ბუნების რეალურ გაფუჭებაში, რომელიც მომდინარეობს იქედან, რომ შინაგანი ნებისეული მიმართულება პირველცოდვის გამო გაუკუღმართებულია. მაშასადამე, ავგუსტინემ ცოდვა აღწერა, როგორც გაუკუღმართებული შინაგანი ნებისეული მიმართულება. სწორედ აქა ძევს ულრმესი დაპირისპირება მასსა და პელაგიუსს შორის.

ის, რომ ცოდვა ადამიანის ბუნებას განეკუთვნება, გამოხატულებას პოულობს იმ წარმოდგენაში, რომ გაფუჭება მემკვიდრეობითია. პირველი მცდარი ნაბიჯი ადამიანს თავისუფალმა ნებამ გადაადგმევინა. ადამის დაცემაში კი მთელი კაცობრიობაა ჩათრეული, რადგან ბიბლიური ადამი ზოგადად "ადამიანს" წარმოადგენს. მასში ყველა ერთად არის მოცული. ასე რომ, მთელი თაობა, ყოველი მისი შთამომავალი მასში ერთიანობას წარმოქმნის. ამიტომ მონაწილეობს ყველა ადამის დანაშაულში, თუმცა, პირველცოდვა არ ეყრდნობა ცალკეული ადამიანის ნებისეულ გადაწყვეტილებას, არამედ იგი წინ უსწრებს ყოველ ნებისეულ ქმედებას. დანაშაულის მდგომარეობა მემკვიდრეობითია; მხოლოდ ნათლობის შედეგად თავისუფლდება მისგან ცალკეული ადამიანი. მაგრამ აგრეთვე გაფუჭება, რომელიც შედეგია ადამის დაუმორჩილებლობისა, რეალური გზით თაობიდან თაობაზე გადადის. ავგუსტინე იმ აზრისაა, რომ ბუნებრივი გამრავლების შედეგად აგრეთვე ნდომა გადაეცემა ახალ თაობას. აქედან იქცევა მთელი კაცობრიობა "massa perditionis" (გაფუჭებულ მასად), რომელიც ჩავარდნილია ვნების მდგომარეობაში და მისგან გამომდინარე ბილწობითაა დაღდასმული.

რაკი მემკვიდრეობით მიღებული ცოდვის მდგომარეობა, ავგუსტინეს მიხედვით, იმავდროულად დანაშაულის აღმნიშვნელია, ადამიანი იმსახურებს ღვთისაგან განდევნას. აქედან შემდგომ გაკეთდა დასკვნა, რომ მოუნათლავი ბავშვები დასაღუპად არიან განწირულნი. მაგრამ ავგუსტინე ოდნავ არბილებს ასეთ დასკვნას. მას მიაჩნია - გარკვეულ შემთხვევებში ახლობლების ლოცვას ნათლობის ძალა ექნება.

წარმოდგენას ცოდვის მდგომარეობის მემკვიდრეობით მიღებაზე ხშირად გაუგებრობა გამოუწვევია. იგი, ბუნებრივია, არ გულისხმობს იმას, რომ ბავშვთა უმანკოება, წმინდა ადამიანური გაგებით, უარყოფილია. მაგრამ აქ საქმე არ ეხება გარეგან ცოდვებს, პირიქით, აქ ისეთი მდგომარეობაა დახასიათებული, რომელშიც ადამიანი აღმოჩნდა თავისი ბოროტი ნების მიმარ-

თულების გამო. შემდგომ, მოძღვრება პირველცოდვაზე წინდაწინვე გულისხმობს კაცობრიობის მოდგმათა ერთიანობას ადამში. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ უნდა დაადანაშაულო ადამიანი ან პასუხისმგებელი გახადო იმაზე, რაც მას თავად არ ჩაუდენია? ავგუსტინური აზროვნება პრინციპში ერთსა და იმავე დაბრკოლებას აწყდება, ეხება იგი მოზრდილსა თუ ბავშვს. ორივე შემთხვევაში თანაბრად რთულია პირველცოდვის, როგორც დანაშაულის, გათვალისწინება. ამ პუნქტში უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველცოდვა ემპირიული ცოდნის მიღმა წარმოიდგინება; მისი განსჯა შეუძლებელია ცდისაგან, რომელსაც გონება განაგებს.

პირველცოდვის მოძღვრების საფუძველზე ავგუსტინემ ცოდვა ისეთ მდგომარეობად დაახასიათა, რომელიც მთლიან ადამიანს და არა მხოლოდ მის ცალკეულ ქმედებებს ეხება. ცოდვა არის ღვთისაგან ნების ზურგშექცევა (perversitas voluntatis a summa substantia). ამით ის არის მინიშნებული, რომ ბოროტება თავდაპირველად რაღაც ნეგატიურია, სუბსტანციის არმქონე, რომელსაც არა აქვს ღმერთთან ურთიერთობა; იმავდროულად იგი არის რაღაც, რაც დანაშაულს ნიშნავს და კონკრეტული გაფუჭების გამომწვევია.

ცოდვის ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანური ნება დაცემის შემდეგ უუნაროდ მიიჩნევა, რათა მან სიკეთე აირჩიოს. ადამიანს, თუმცა, შეუძლია რაღაცის კეთება, რაც დროებითად კარგია, კეთება საგნებისა, რაც ამქვეყნად კეთილი და სასარგებლოა. მაგრამ რადგან ბოროტი ნების მიმართულება შემდგომაც არსებობს, აქ საქმე არ ეხება ნამდვილ სიკეთეს, რაც ნიშნავს: თვითონ ადამიანი ბოროტი რჩება და მისი ქმედებები იქითკენ არის მიმართული, რასაც დაღუპვა მოაქვს. ეს მოძღვრება არათავისუფალი ნების შესახებ - რომელიც არ უნდა ავურიოთ დეტერმინიზმში - აღმნიშვნელია იმისა, რომ ადამიანს თავის ხსნაში არ ძალუძს მონაწილეობის მიღება.

ღვთის მადლი ამიტომ წარმოადგენს ერთადერთ საფუძველს ადამიანის ხსნისათვის, რომელიც ქრისტეს ქმედებაში გაცხადებულა. იგი არის ჩვენი ცოდვების შემწყნარებელი და მისდამი რწმენით ადამიანი მადლის თანაზიარი ხდება. ეს არის ერთადერთი გზა კეთილი ქმედებისაკენ: "quod lex imperat, fides imperat" (რასაც კანონი ბრძანებს, რწმენა აღასრულებს - De spir. et litt. 13, 22). ამგვარად, მადლის ქმედება მდგომარეობს როგორც ცოდვათა მიტევებაში, ასევე ადამიანის განახლებაში.

ქრისტეს, როგორც მხსნელის, მეშვეობით დარღვეული კავშირი ღმერთთან აღდგენილია. დანაშაული მოხსნილია ცოდვათა მიტევების წყალობით და ადამიანი უბრუნდება სულიერ ცხოვრებას, რაც დაცემის შედეგად დაკარგული იყო. ამგვარად, ხსნა ავგუსტინესათვის ნამდვილად ხორციელდება ცოდვათა მიტევებით; მადლი არის ღვთის სიყვარულის ნება, რომელიც ამ მიტევებას ახორციელებს. მაგრამ მადლი არა მხოლოდ ცოდვებს აცილებს, არამედ მას თან მოაქვს ადამიანის განახლება, რადგან მადლის მეშვეობით განიკურნება გაფუჭებული ბუნება. რამდენადაც ღმერთთან ურთიერთობა კვლავ აღდგენილია, სიცოცხლეც უბრუნდება ადამიანს. იგივე პროცესი შეიძლება

აგრეთვე ისე აღიწეროს, რომ მადლი "infusio caritatis"-ის (სიყვარულის გადასხმის) მეშვეობით ადამიანში ახალ ნებას ქმნის. ამ ქვეყანაზე მიმართული ბოროტი ნება caritas-ის საშუალებით კეთილ ნებაზე იცვლება. ამდაგვარი გზით ადამიანს ძალუძს ღვთის მცნებების შესრულება, რომელთა აღსრულებაც ადრე მისთვის შეუძლებელი იყო. მისი თავისუფლება, რაც ნიშნავს უნარს სიკეთისაკენ, კვლავ აღდგენილია (libertas restituta). სანამ მიწიერი ცხოვრება გრძელდება, ეს თავისუფლება საწყის სტადიაში იმყოფება, რადგან აქ ადამიანი მუდმივ ბრძოლაშია ვნების წინააღმდეგ და მხოლოდ თანდათან განიცდის განახლებას. ხაზგასმით საუბრობს ავგუსტინე, რომ მარტოოდენ სიყვარულს, ახალ ნებას ძალუძს სიკეთის გამოწვევა ადამიანში. მადლის დახმარების გარეშე მას არაფრის აღსრულება არ შეუძლია, რაც თავის თავში კეთილს წარმოადგენს. ამიტომ კანონის აღსრულება, რასაც ღმერთი ითხოვს, მხოლოდ იმითაა შესაძლებელი, რომ ღმერთი საამისოდ ძალას ანიჭებს: "Da quod iubes, et iube quod vis" ("მიბოძე, რასაც მიბრძანებ და მიბრძანე, რაცა გსურს" - Conf.X, 29). ეს სიყვარული რწმენას განეკუთვნება. გწამდეს ღმერთი, იმავდროულად ნიშნავს მის სიყვარულს და იმ იმედს, რომ მას ერთხელ იხილავ. რწმენა, იმედი და სიყვარული ურთიერთს განეკუთვნება; ისინი ქრისტიანული ცხოვრებისათვის არსებითნი არიან.

ხსნა მომდინარეობს ცოდვათა მიტევებისგან რწმენის მეშვეობით და ამიტომ - ყოველგვარი ჩვენი დამსახურების გარეშე და აგრეთვე იმის გარეშეც, თითქოს, ადამიანს უნარი გააჩნია ამ ხსნაში მონაწილეობა მიიღოს. ამ ძირითად მოსაზრებაში, რომელსაც პელაგიუსის წინააღმდეგ წარმართავს ავგუსტინე, მიჰყვება იგი პავლე მოციქულს, რომლის მოძღვრება რწმენით გამართლების შესახებ მისთვის გადამწყვეტი გახდა. რამდენადაც ადამიანური ნება სიკეთის მიმართ უუნაროა, ხსნა ღმერთის საკუთარი ქმნილება უნდა იყოს. მაგრამ მადლი იმავდროულად ავგუსტინესათვის აღმნიშვნელია ადამიანის განახლებისა. მისი ნება გარდაიქმნება, მას სიყვარული გადაუსხეს, ასე რომ, მას ნამდვილად ძალუძს სიკეთის განხორციელება და ღმერთთან ერთად რწმენაში თანამშრომლობა. და სწორედ ეს განახლებაა ის მიზანი, რასაც ავგუსტინე ისახავს. ეს ის ღვთის სიყვარულია (caritas), რომელიც წინაპირობაა ხსნისა. სიყვარულიდან მომდინარე ქმედება განიხილება დამსახურებად, რომელიც ოდესმე დაჯილდოვდება. ამავე დროს ხაზგასმულია, რომ ამგვარი დამსახურებანი მხოლოდ მადლის მეშვეობით ხორციელდება: "თუკი ღმერთი ჩვენს დამსახურებებს აგვირგვინებს, იგი აგვირგვინებს სხვას არაფერს, თუ არა მხოლოდ საკუთარ დამსახურებებს" (Epist. 194.19).

ავგუსტინესათვის არა მარტო მიმტევებლური ღვთაებრივი მადლი, არამედ აგრეთვე "გადასხმული სიყვარული" წარმოადგენს მიზეზსა და წინაპირობას ხსნისათვის. ამით ფაქტობრივად მხოლოდ მადლი და არა თავისუფალი ნება არის ის, რაც საფუძველს ქმნის ხსნისათვის; რასაც ყურადღება ექცევა მადლის ქმნილებაში, არის ის გარდაქმნა, რაც ახალშობილ ადამიანში შედეგად მოჰყვება ხოლმე სიყვარულის გადასხმას.

ყველაზე მძაფრ გამოხატულებას პელაგიანობასთან დაპირისპირებაში ღებულობს ავგუსტინეს მოძღვრება წინარგანჩინებაზე: მადლი, რომელიც ერთადერთია, რომელიც ადამიანს ხსნას უვლენს, არის ღმერთის სიყვარულის ნება; იგი ამიტომ იმავდროულად ყოვლისშემძლეა. მადლის ეს ყოვლისშემძლეობა ნიშნავს იმას, რომ მარტოოდენ ღვთის ნებასა და გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, თუკი ვინმე ნეტარი გახდება. ღმერთმა დასაბამიდან მოყოლებული გარკვეული ადამიანები საიმისოდ აირჩია, რათა ისინი ამოეგლიჯა "გაფუჭებული მასიდან" და მათთვის ხსნა მოევლინა. მადლის ქმნილება ხსნის მიზნით ხორციელდება. იგი სრულდება ისე, როგორც ღვთის მარადიულ და ფარულ გადაწყვეტილებაში ძევს. ავგუსტინე უერთდება რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეს (8,30): "რომელნიც წინასწარ აირჩია, იგივენი იხმო, და რომელნიც იხმო, იგივენი გაამართლა, და რომელნიც გაამართლა, იგივენი განადიდა".

ადამიანი ნეტარი რომ ხდება, თავის საბოლოო საფუძველი ღვთის ნებაში გააჩნია და არა თავად ადამიანში - არც დამსახურებებში და არც თავისუფალ ნებაში. ავგუსტინესათვის ეს ნიშნავს, რომ რჩეული ოდესმე ნეტარიც გახდება, რადგან მას მადლი ანიჭებს არა მხოლოდ რწმენას, არამედ კიდეც შეაძლებინებს მის შენარჩუნებას . ამიტომ წარმოუდგენელია, ადამიანი რწმენას კვლავ მოწყდეს, თუკი ერთხელ მაინც მას მიაღწია. აზრთა ეს წყობა დახასიათებულია, როგორც gratia irresistibilis (მოუგერიებელი მადლი) - თუმცა, თავად ეს გამოთქმა გაცილებით გვიან დამკვიდრდა. ავგუსტინე ამით მხედველობაში ღებულობს, რომ ეკლესიის გარეთაც შეიძლება არსებობდნენ წინარგანჩინებულნი, რომელნიც - მადლის ყოვლისშემძლეობის წყალობით - ჩვეულ საშუალებათა გარეშე, ხსნილნი იქნებიან. მაშასადამე, დასაშვებია, რომ ღმერთი ირჩევს ეკლესიის გარეთ მყოფთ და ისეთ ადამიანებს, რომელთაც წმ. საიდუმლონი არ გაუზიარებიათ. მაგალითად მოყვანილია იობი, რომელიც არ იყო ისრაელელი, და ასევე ჯვარზე გაკრული, მონანიებით აღსავსე ავაზაკი. აგრეთვე არა ყველა ის ადამიანი, ვინც ამჟამად ჩათვლილია წმინდანთა საკრებულოში, აუცილებლად განეკუთვნება რჩეულთ. დასაშვებია, რამდენიმე მათგანი მომავალში მათ ჩამოშორდეს, ვინაიდან არ გააჩნიათ გაძლების უნარი. მხოლოდ ისინი არიან რჩეულნი, რომლებიც მადლს ეზიარნენ და ბოლომდე ინარჩუნებდნენ რწმენას. არც ერთ მოკვდავს რომ არ ძალუძს იმისი დანახვა ან განსჯა, თუ რომელი ადამიანი განეკუთვნება წინარგანჩინებულთა საკრებულოს, თავად საქმის ბუნებიდან გამომდინარეობს.

კიდევ ერთი დასკვნა გამოაქვს ავგუსტინეს წინარგანჩინების მოძღვრებიდან: თუკი ვინმე არ იქნება ხსნილი, ეს ეფუძნება ასევე ღვთის ნებასა და გადაწყვეტილებას - იმ აზრით, რომ ეს ღმერთმა არ ისურვა ან არ გადაწყვიტა, რადგან ღვთის ნებისა და ყოვლისშემძლეობის გარეშე არაფერი ხდება. თუ როგორ თანხმობაშია ეს აზრი ღვთის სიყვარულთან, მიუწვდომელ სფეროს განეკუთვნება. სახარებისეული: "ღმერთს სურს, რომ ყველა კაცი ცხონდეს" (I.ტიმოთ. 2,4) ხდება შებრკოლების ქვად ყველა მათთვის,

ვინც ორმაგი წინარგანჩინების[38] მოძღვრებას ქადაგებს. რაც შეეხება ავგუსტინეს, იგი მოციქულის ამ სიტყვებს განმარტავს იმდაგვარად, რომ იქ საუბარია ადამიანთა ყველა კლასზე და სახეზე.

თავისი წინარგანჩინების მოძღვრების მეშვეობით ავგუსტინემ უკიდურესი დასკვნები გამოიტანა მადლის მოძღვრებიდან, როგორც ხსნის ერთადერთ საფუძველზე.[39]

ახლა გვსურს მკითხველს ძალზე მოკლედ წარეუდგინოთ ის ძვირფასი აზრები, რომელიც გამოთქმული აქვს ნეტარ ავგუსტინეს ცოდვასა და მადლზე თავის თხზულებაში "ღვთის ქალაქი".[40]

1.8. - კეთილი და ბოროტი თანაბარ პირობებში არათანაბარნი არიან. როგორც ცეცხლში ხარშვის დროს ოქრო ბრწყინავს, ხოლო სხვა რამ ცუდ ფერს ღებულობს, ასევე თანაბარი განსაცდელის ჟამს კეთილი ღმერთს მიმართავს, ხოლო ბოროტი მას წყევლის.

1.9. - მიზეზნი იმისა, თუ რატომ უნდა იტანჯებოდნენ კეთილი და ბოროტი თანაბრად. პირველი, რაც უნდა ითქვას, არის ის, რომ ქრისტიანებიც, მიუხედავად მათი სწორი ცხოვრებისა, ზოგჯერ სცოდავენ (მსუბუქად) და ამიტომ ისჯებიან ამქვეყნად (მაგრამ არა იმქვეყნად) და მეორეც, ამ ქრისტიანების ცოდვა იზრდება, თუ ისინი გამოსასწორებლად არ მოუწოდებენ ცოდვილთ: ზოგი - შიშის გამო ამ ცოდვილ წარმართთა წინაშე (გავიხსენოთ "შუშანიკის წამება": იაკობ ხუცესი ვერ უძლებს ვარსქენის მხეცურ გამოხედვას და თავს ხრის), ზოგიც - მათგან მოსალოდნელი შევიწროების გამო და ა.შ. არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც კეთილი ადამიანი დროებითი ტანჯვებითაა შეპყრობილი. მაგალითი ამისა არის იობი: ადამიანური სული გამოიცდება, რათა მას ყოველგვარი საბოძვარის გარეშე უყვარდეს ღმერთი.

1.11 - რა მნიშვნელობა აქვს იმას, სიცოცხლე გრძელია თუ მოკლე? სიცოცხლის აღსასრული გრძელსა და მოკლე ცხოვრებას ათანაბრებს... სიკვდილი მხოლოდ მას შემდეგ ხდება ცუდი, თუ ცუდი რამ იქნება სიკვდილის შემდეგ.

1.16-28 - აფხაზეთის ომის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელია ქართველ ქალთა გაუპატიურება მოძალადეთა მიერ. არსებობს ქართველი ჟურნალისტის, გოგიტა მელიქიძის მცირე ზომის წიგნი ("დაცემა", თბილისი, 1994), სადაც ეს საშინელი ფაქტებია მოთხრობილი. ერთი ასეთი გაუპატიურებული ქალის განაცხადი: "თავი მეზიზღება, რომ იმ დროს სიამოვნება განვიცადე..."

ნეტარი ავგუსტინე გარდასული საუკუნეებიდან ეხმიანება ასეთ სიტუაციას. სიკეთე, რომელიც ჩვენ გვეხმარება, - ამბობს ავგუსტინე - სულში ზის,

---

38. ეფ. წინარგანჩინება როგორც ნეტარებისკენ, ასევე დალუპვისკენ.

39 საინტერესოა ვლადიმერ სოლოვიოვის აზრების გაცნობა ზემომყვანილთან დაკავშირებით, რომელსაც მკითხველი ჰპოვებს მის სტატიაში "პელიგიანობაზე", იხ. ცნობილი ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედია ან Христианство, М. 1992, т. 2.

40. Aurelius Augustinus, Vom Gottesstaat - De civitate dei, München, 1955.

სულშია. ვთქვათ, მოძალადეს შეუძლია ჩვენს სხეულს ტკივილი და ტანჯვა მიაყენოს, მაგრამ მას შეუძლია ასევე სიამოვნების მიყენება. ამის რცხვენიათ ხოლმე მსხვერპლთ, მაგრამ ეს არ მომხდარა მათი ნებით, ხოლო სიამოვნება ხორციელი იყო. თითქოს როგორ შეიძლება ისეთ ქალებს არ შევუნდოთ, რომელნიც გაუპატიურებისაგან თავის დასაღწევად თავს იკლავენ? მაგრამ თუკი იგი დამნაშავეა, ვინც უკანონოდ კაცს კლავს, მაშინ თვითმკვლელობაც დანაშაულია, რათა ამით გადარჩეს მოძალადე (ანუ, გაუპატიურება რომ არ ჩაიდინოს და ღვთის რისხვას გადაურჩეს). იუდამ თვითმკვლელობით ორმაგი დანაშაული ჩაიდინა, რადგან მონანიებისაკენ გზა მოისპო.

სულის სიწმინდეს სხეულის სიწმინდესთან ერთად მოძალადე ვერ წარიტაცებს, თუკი მსხვერპლი შემდგომში სხეულით აღარ იცოდვილებს. (როგორ არ გაგვახსენდეს აქ ალბერტო მორავიას "ჩოჩარა"?).

ლუკრეცია, რომელიც გააუპატიურა მეფე ტარკვინიუსის შვილმა, ამ ამბავს თავის ქმარს და ნათესავს ამცნობს, ხოლო თვითონ თავს იკლავს. რომაელები მას განადიდებენ - "იყვნენ ორნი, მაგრამ სიძვა ერთმა ჩაიდინა". მაგრამ თუკი ლუკრეცია უდანაშაულო იყო, თავი არ უნდა მოეკლა, რადგან ეს უფრო დიდი ცოდვაა; შეიძლება, მას ის ძალადობა გაუტკბა და ამიტომ სირცხვილის გრძნობის გამო მოიკლა თავი? მაგრამ თუკი მან ქმარს უღალატა, რატომ განადიდებენ მას, ხოლო თუკი იგი უმანკო იყო, რატომ მოიკლა თავი? ქრისტიანი ქალები სხვაგვარად მოიქცნენ. მათაც იგივე განიცადეს, რაც ლუკრეციამ, მაგრამ ისინი ცხოვრებას აგრძელებენ და სხვის დანაშაულს საკუთარი თავის დასჯით არ ზღავენ. შინაგანად მათ გააჩნიათ დიდება უბიწოებისა, რომელიც, რაც მთავარია, ღმერთისათვის დამალული არ რჩება და სხვა არაფერი ადარდებთ მათ.

ქრისტიანისათვის მიუღებელი სისუსტეა, როდესაც ვინმე თავს იკლავს თავისი სხეულის აუტანელი მონობისათვის ან თუ ბრბო რას იტყვის პიროვნების მიერ ნამდვილად ან მოგონილი ჩადენილი ცოდვის გამო. თეომბროტუსმა თავი მოიკლა პლატონის კითხვის შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ იმქვეყნად არის უკეთესი სიცოცხლე. ეს ნამდვილად სულის სიდიდეზე მეტყველებს და არა სიკეთეზე, რაგან ეს რომ სიკეთე ყოფილიყო, მაშინ პლატონი თავად მოიკლავდა თავს.

თუნდაც ტყვეობაში აღიძრას ხორცისეული ნდომა დამტყვეებლისადმი, მაინც არ ღირს თავის მოკვლა, რადგან სიცოცხლეში კიდევ შეგეძლება ზემოთქმულის მონანიება, მაგრამ სიკვდილის მერე - აღარ. თუკი ასეთი ხორცისეული ნდომა აღიძვრის მოკვდავ სხეულში ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ, ეს მსგავსია ძილში ცოდვისა, ანუ, ვრჩებით უცოდველი.

თვითმკვლელობა უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე ამ გზით გაუპატიურებისაგან გადარჩენა. მაშინ, მართებული იქნებოდა ნათლობის მერე თავის მოკვლა, რათა შემდგომ, ცხოვრებაში, ცოდვები არ ჩაგვედინა. მაგრამ ასე არ ხდება: მცირე ცოდვების გამო უფრო დიდ ცოდვას (თვითმკვლელობას) არ სჩადიან.

"გონებამიუწვდომელნი არიან მისი მსჯავრნი და გამოუკვლეველნი მისი გზანი!" (რომ., XI, 33). ავგუსტინე მიმართავს გაუპატიურებულ ქალებს და სთხოვს თავიანთ გულს გაესაუბრონ: ხომ არ განუდიდებიათ თავი თავიანთი ქალწულობით? თუ არა, ალბათ, ღვთის თვალში, ისინი ამას იზამდნენ და ამიტომ დაამდაბლა ღმერთმა მათი სიამაყე. მაგრამ უბიწოება ნუ ჰგონიათ სხეულის კუთვნილება: სხეულებრივი და სულიერი სიწმინდე ეფუძნება ღვთისაგან ბოძებულ და მისგან მხარდაჭერილ ნებისყოფის ძალას და უბიწოება ისეთი სიკეთეა, რომელსაც სულს ვერ წაართმევენ მისი დასტურის გარეშე.

ღმერთი ბოროტებას დაუსჯელს არ ტოვებს, თუ ამჟამად არ სჯის, იდუმალი გზით იგი ამას მეორედ მოსვლის ჟამს იზამს. რაც შეეხება იმას, რომ უცოდველი ისჯება (აუპატიურებენ), ეს შეიძლება მასში იყოს იდუმალი (სისუსტე, ჯერ არგამოვლენილი, არგამჟღავნებული) ცოდვა; ამიტომ ზოგს "სიკვდილი წარიტაცებს, რათა მისი გონება ბოროტებას არ შეეცვალა ან მზაკვრობას არ შეეცდინა მისი სული" (სიბრძ. IV-II), ხოლო ესენი კი სიამაყის დათრგუნვით ისჯებიან.

1,35 - მომავალი ქრისტიანები არიან წარმართებშიც. ასევე, ვინც ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს, შერეულნი არიან ქრისტიანებშიც. რადგან ეს ორი ქალაქი, ღვთიური და მიწიერი, ამ სამყაროსეულ დროში ურთიერთშეჭრილი და აღრეულნი არიან, ეს გაგრძელდება მანამ, სანამ მეორედ მოსვლა არ იქნება და საშინელი სამსჯავრო (ის, რომ ქრისტიანები წარმართებშიც იქნებიან და პირიქით, მოჩვენებითი ქრისტიანები ღვთის სასუფეველს რომ ვერ იხილავენ, ეს აზრი ძალზე გვაგონებს კარლ რანერის ცნებას - "ანონიმური ქრისტიანი").

XIV, 2-4 - რას ნიშნავს "ხორცის მიხედვით ცხოვრება"? ასეთი ცხოვრება პავლეს მიხედვით (გალ. V, 19-21) ნიშნავს როგორც ხორცისეულ ცოდვებს: სიძვა, მრუშობა, ნაყროვნება... ასევე სულიერ ცოდვებს: მრისხანება, ეჭვი, შური... ვერგილიუსისაგან განსხვავებით, ავგუსტინე ამტკიცებს, რომ სხეულის წარმავლობა, რომელიც სულს ამძიმებს, არ უნდა იყოს პირველცოდვის მიზეზი. წარმავალმა ხორცმა კი არ გახადა სული ცოდვილი, არამედ ცოდვილმა სულმა აქცია ხორცი წარმავლად... მაგრამ თავი და თავი ამ ბოროტებისა არის სიამაყე, რომელიც ხორცის გარეშე ეშმაკში მბრძანებლობს... არა იმიტომ, რომ ადამიანი ხორცის მქონეა, რომელიც ეშმაკს არ გააჩნია, არამედ იმიტომ, რომ იგი თავისი თავის მიხედვით, ანუ ადამიანის მიხედვით ცხოვრობდა, დაემსგავსა იგი ეშმაკს. მასაც, ეშმაკსაც სურდა თავისი თავის მიხედვით ცხოვრება, როდესაც იგი "ჭეშმარიტებაში არ იმყოფებოდა" და არ სურდა ცხოვრება იმის მიხედვით "რაც ღვთისაა"... თუ ადამიანი არ ცხოვრობს ღვთის, ჭეშმარიტების მიხედვით, იგი ეშმაკს ემსგავსება... გავიხსენოთ სატანა დოსტოევსკის "ძმები კარამაზოვებიდან". იგი ირონიულად, ლათინურ ენაზე, ასე მიმართავს ივანე კარამაზოვს: "მე ვარ სატანა და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის".

XIV, 27 - ღმერთი ხედავდა (წინასწარ) ადამიანის დაცემას, მაგრამ იგი იმასაც ხედავდა, რომ დაცემის შემდეგ, მისივე მადლის წყალობით, ადამიანებში ეშმაკის მძლეველი წმინდანები დაიბადებოდნენ.

XV, 22 - ლამაზი სხეული ბოროტსაც ეძლევა, რადგან ეს ქვედა საფეხურზე მყოფი სიკეთე დიდ სიკეთედ არ მივიჩნიოთ.

როდესაც ღმერთი ნამდვილად უყვართ და არა რაღაცის, ე.ი. სხვის გამო, მაშინ ეს სიყვარული არ არის ბოროტი სიყვარული.

2. იოანე ოქროპირის მოძღვრება ცოდვაზე დეკანოზ იოანე მეინდორფის მიხედვით[41]

განიხილავს რა პრობლემას პირველცოდვის შესახებ, გამოჩენილი ღვთისმეტყველი ი. მეინდორფი, პირველ ყოვლისა, სახარების ბერძნული ტექსტის გარჩევით იწყებს. მას მიაჩნია, რომ პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ (5,12) საკმაოდ ბუნდოვანია, არადა, მის მიხედვით, "მთელ ახალ აღთქმაში იგი არის ერთადერთი ფორმულირება ადამის პირველცოდვასთან მიმართებაში". მოვიყვანოთ ამ ადგილის ქართული თარგმანი: "ვინაიდან როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამქვეყნად, და ცოდვის მიერ - სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში მის მიერ, ვისთვისაც ყველამ სცოდა" (ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი 1989).

ი. მეინდორფი ჩერდება თარგმანის შემდეგ ვარიანტზე: "...სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, რადგან მის გამო (სიკვდილის გამო) ყველამ სცოდა". ასეთი თარგმანი გულისხმობს, რომ ადამის სიკვდილი, რაც მის ცოდვას მოჰყვა, გახდა მოკვდაობის მიზეზი მთელი მისი შთამომავლობისათვის. მოსემდე კანონი არ არსებობდა, ამიტომ არც ცოდვა იყო, მაგრამ ადამიანები მაინც კვდებოდნენ (შდრ. რომ. 5,14). სიკვდილი, შემოსული ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში ადამის პირველცოდვასთან ერთად, მოციქულის მიერ გაგებულია, როგორც პიროვნული კოსმიური რეალობა, რომელიც იგივდება თვით სატანასთან - "კაცისმკვლელთან დასაბამიდან". ბერძენ მამათა უმრავლესობას ეს ტექსტი სწორედ ზემოთ გადმოცემული აზრით ესმოდა. მეათე საუბარში რომ. 5,12-ზე ოქროპირი განმარტავს პავლე მოციქულის აზრის თავისეულ გაგებას: "რადგან მასში (სიკვდილი) ყველამ სცოდა" ნიშნავს, რომ სიკვდილი, შემოვიდა რა ადამიანთა ცხოვრებაში ერთი ადამიანის - ადამის ცოდვის გამო, გავრცელდა ყველა ადამიანზე, რომელთაც, თუმცა, არ სცოდეს, მაგრამ ადამისაგან მემკვიდრეობით მიიღეს მოკვდაობა. ეს უკანასკნელი თავისებური ავადმყოფობაა, შობს შიშს, რომელიც, თავის

41. Протоиерей Иоанн Мейндорфф, Введение в святоотеческое богословие, Клин, 2001 (Нью-Йорк, 1985).

მხრივ, არსებობისათვის ბრძოლის მიზეზი ხდება. ამ ბრძოლაში ყოველი ცდილობს გამარჯვებას თავისი მოყვასის ხარჯზე: სწორედ ამაშია არსი ცოდვისა, რომელიც საპირისპიროა სიყვარულის, ესე იგი მოყვასისადმი ყოველივეს გაცემისა. საინტერესოა, რომ ამდაგვარი ახსნა, საყოველთაოდ მიღებული ეკლესიის აღმოსავლელ მამებთან, არ უკავშირდება, როგორც ეს ნეტარ ავგუსტინესთანაა, მემკვიდრეობით მიღებული ბრალის იდეას და სქესობრივ ურთიერთობათა ცოდვიანობას. თანმიმდევრული ქრისტიანული ქცევა, შინაგანი გამარჯვება სიკვდილის შიშზე აღწერილია ნეტარების მცნებებით: ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ ხვალინდელ დღეზე, უნდა დავთმოთ ყველაფერი და საბოლოო ჯამში - თავად სიცოცხლე. ამაშია სიყვარული და ჭეშმარიტი ცხოვრება. ამგვარად, მღვდელმთავარ იოანე ოქროპირის მოძღვრებაში შედეგი პირველცოდვისა არის მემკვიდრეობითი მოკვდაობა, რომელიც თავის მხრიდან წარმოშობს ცოდვას. ცოდვა და სიკვდილი შობენ რა ერთმანეთს, წარმოქმნიან მანკიერ წრეს, რომელშიც ადამიანი მოქცეული იყო ქრისტეს მოსვლამდე. მაცხოვრის სიკვდილმა და აღდგომამ გაარღვია ეს წრე და ქვეყანას მოუტანა ხსნა, რისი წყალობითაც, ღვთის შეწევნით, ქრისტიანებს ძალუძთ ამჟამად ცოდვისა და სიკვდილისადმი მონობის გარეშე ცხოვრება. ღვთის წყალობით - ნიშნავს ქრისტეში, მის მადლში, რითაც ვიმოსებით ნათლობის ჟამს, ვკვდებით და აღვდგებით მასთან ერთად, და ეკლესიაში, რომელიც არის "წამალი უკვდაებისა" (წმ. ირინეუს ლიონელი). სიკვდილზე გამარჯვების შედეგად მივიღეთ ცოდვათა მიტევება; ბავშვებს ვნათლავთ არა იმიტომ, რომ ისინი ცოდვილნი არიან, არამედ იმიტომ, რომ ისინი მოკვდავნი არიან. თავად ნათლობის წესში ერთი სიტყვაც არ არის ცოდვაზე, იქ საუბარია მხოლოდ სიკვდილზე და მარადიულ სიცოცხლეზე."

3. თანამედროვე ღვთისმეტყველთა შეხედულებები ცოდვასა და მადლზე

ა) პირველცოდვა და ცნობიერების მემკვიდრეობითი გადაცემა

აქაც არ შეუძლებელია ამ პრობლემის განხილვას მრავალი აზრის წარმოჩენით, რამაც შეიძლება მკითხველში გარკვეული დაბნეულობა გამოიწვიოს და ამიტომ მივმართავთ მხოლოდ ზოგიერთ ღვთისმეტყველს, რომელიც აღნიშნულ საკითხს სხვადასხვა კუთხით ეხება. ჩემზე, თავის დროზე, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ანრი ბერგსონის თხზულებათა კითხვამ და წინამდებარე თემასთან დაკავშირებით გამოვყოფდი მის ნარკვევს "ცნობიერების უშუალო მონაცემების შესახებ". რატომ ავირჩიე მაინცდამაინც ეს ნაშრომი? საქმე ისაა, რომ აქ ბერგსონი დაასკვნის: ცნობიერებაში წარსული არ ეთიშება აწმყოს, ისინი ურთიერთს გამსჭვალავენ და ამრიგად, წარსული

აწმყოშია მოცემული. ამავე დროს, ეს "მოცემულობა" ხდება გაუაზრებლად, ირაციონალური გზით, რომელიც დალექილია ქვეცნობიერში, მაგრამ იგი "სიცოცხლეს" განაგრძობს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი მისი "კარნახით" ქმედებებს აღასრულებს. აქედან უკვე ერთი ნაბიჯია იქამდე, რომ ზემოხსენებულ "მოცემულობაში" "პირველცოდვა" ჩავსვათ, როგორც პირველ რიგში, სულიერი ცოდვა, რომელიც სულს, ცნობიერებას, იპყრობს და მემკვიდრეობით გადადის.

რასაკვირველია, ბერგსონის ნაშრომში არავითარ "პირველცოდვაზე" და ა.შ. არ არის საუბარი, მაგრამ ამ მხრივ მიმზიდველია მისი დასკვნა - "ცნობიერებაში წარსული არ ეთიშება აწმყოს" და, ბუნებრივია, როგორც ნებისმიერი ცოდვა, ასევე კეთილი საქმე, თავის გაგრძელებას პოულობს "ცნობიერების მემკვიდრეობაში".

სწორედ პირველცოდვის ასეთ გააზრებაზეა საუბარი ჩვენს მიერ, რომელიც იბუდებს ცნობიერებაში და თაობიდან თაობას გადაეცემა. როდესაც ვამბობთ - "თაობიდან თაობას გადაეცემა", ეს ფაქტობრივად გულისხმობს ფსიქეს ფსიქეზე გადაცემას ანუ სულიდან სულის შობას, რაც, ცხადია, ჰიპოთეზაა და დამტკიცებას მოითხოვს. მაგრამ სხვაგვარად წარმოუდგენელია, ჩემი აზრით, თუ არ გადავალთ სავსებით ირაციონალურის სფეროში, მაგალითად, სისხლის (რომელიც ასევე "სულის შემცველია") მემკვიდრობით გადაცემაზე, რომ გავიაზროთ პირველცოდვის მემკვიდრეობითობა.[42] ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება: ადამიანში ჩაბუდებულია ბოროტება, რომელიც ყველა თაობაში იჩენს თავს. ამ დროს აქ ხაზგასასმელია, რომ ეს ეხება როგორც პიროვნულ ცნობიერებას, ასევე მთელი ერის ცნობიერებას, რომელიც შეიძლება ისეთივე ცოდვილი აღმოჩნდეს, როგორც ცალკეული ადამიანი. აქ საუბარი აღარ არის ისეთ დიდ ერებზე, როგორც, მაგალითად, გერმანელი ერია, რომლის ცოდვაზე საუბრობს კარდინალი რატცინგერი,[43] არამედ თვით ისეთ პატარა ერზეც, როგორიც ფინელი ერია, რომლის ცოდვას ამხელს მისი ერთგული შვილი, მხედართმთავარი კარლ

---

42. საინტერესოა ამ საკითხზე გამოთქმული ლაიბნიცის აზრები, რომელიც მან გამოაქვეყნა თავის "თეოდიცეაში" (1, №86): "პირველი სიძნელე მდგომარეობს შემდგომში: როგორ უნდა გადაედოს სულს პირველცოდვა, რომელიც საფუძველია პიროვნული ცოდვებისა უიმისოდ, რომ ღმერთი, რომელიც ამას უვლენს, არ იყოს უსამართლო? ეს სიძნელე წარმოშობს სამ მოსაზრებას თავად სულის წარმოშობის შესახებ. პირველი - მოსაზრება ადამიანთა სულების წინარარსებობაზე სხვა სამყაროში, ან სხვა ცხოვრებაში, სადაც მათ სცოდეს, რის გამოც დამწყვდეულნი იქნენ ისინი ადამიანის სხეულის საპყრობილეში; ასეთია პლატონის მიმდევართა მოსაზრება, რომელიც მიეწერება ორიგენეს და რომელსაც დღესაც ჰყავს მოშრეები. ზოგიერთი, ვინც აღიარებს სულთა წინარარსებობას, დაეშვა თვით მეტემპსიქოზამდე. მეორე მოსაზრება - ესაა ტრადუქციონიზმი, რაც ნიშნავს, რომ ბავშვის სული იშვის (per Traducem) იმის ან იმათ სულთაგან, ვინც შვეს სხეული. წმ. ავგუსტინე ამ აზრამდე მივიდა, რათა უკეთ შეენახა მოძღვრება პირველცოდვის შესახებ. ამაზე მოძღვრებას იზიარებენ დიდი ნაწილი თეოლოგებისა აუგსბურგელი აღმსარებლობისა. მესამე მოსაზრება, ამჟამად ყველაზე უფრო გავრცელებული, მდგომარეობს შექმნაში; იგი იქადაგება ქრისტიანული სკოლების უმეტეს ნაწილში, მაგრამ აწყდება დიდ სიძნელეებს პირველცოდვასთან დაკავშირებით."

43. Joseph Kardinal Ratzinger. Gott und die Welt. München 2000. s. 102.

მანერჰეიმი[44] (იგულისხმება 1918 წელს ამ ერის მნიშვნელოვანი ნაწილის კომუნისტებისადმი მიმხრობა და ქვეყანაში დაუნდობელი სამოქალაქო ომის გაჩაღება). ამ მხრივ მათთან სრულ დისონანსს წარმოადგენს ნემო ბურჭულაძის (რომელიც სავსებით ამართლებს თავის ლათინურ სახელს) განცხადებები გაზ. "საქართველოს რესპუბლიკის" (7.11.2004) ფურცლებზე, სადაც იგი ძველებურად უტევს მერაბ მამარდაშვილს, რომელმაც გაბედა და თქვა, რომ თუ ზ. გამსახურდიას აირჩევს ჩემი ხალხი, მაშინ მე ამ ხალხის წინააღმდეგ წავალო, ხოლო პატ. ნემო მ. მამარდაშვილს საიქიოში მოძღვრავს: ერი არ ცდება, ხალხი არ ცდება! (ხანდახან ცდება ხოლმე, პატ. ნემო, და თანაც როგორ!).

მომდევნო თავებში ჩვენ საგანგებოდ შევეხებით ჩვენი ისტორიის იმ კრიზისულ მომენტებს, რაც გამოწვეული იყო ერის ცნობიერებაში ჩაბუდებული ბოროტებით, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

ბ. პაულ ალტჰაუსის შეხედულება ცოდვასა და დანაშაულზე[45]

ძალზე მნიშვნელოვანია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მეოცე საუკუნის გერმანელი თეოლოგისა და ფილოსოფოსის პაულ ალტჰაუსის შეხედულებები, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ჩახედული მკითხველი ადვილად შეამჩნევს მის რეფორმატორულ პოზიციას და მის კონტროვერსს კათოლიციზმთან. მაგრამ საკითხის სიმძიმე და მკითხველისათვის დანაპირები მისი სხვადასხვა კუთხით გაშუქება, ჩვენი აზრით, ნამდვილად ამართლებს ამ არჩევანს.

ჩვენ ცოდვილად ვგრძნობთ თავს,- ამბობს პაულ ალტჰაუსი - გარკვეულ ცალკეულ ნებისეულ აქტებში, "ქმნილებებში", სიტყვებში, აზრებში. მაგრამ გარკვეულ ცალკეულ აქტებში ცოდვილია მაინც "გული", ე.ი. ადამიანის შინაგანი ცოდვილი განწყობა. ადამიანი იმიტომ კი არ არის ცოდვილი, რომ იგი ცოდვებს სჩადის, რომლის გვერდით მას სიკეთის გაკეთებაც ძალუძს, არამედ იგი სჩადის ცოდვებს, რადგან იგი არსებითად, თავის შინაგან განწყობაში ცოდვილია. "ქმნილებები" ცოდვილია, რადგან პიროვნებაა ცოდვილი, ე.ი. მის აქტებში, როგორც ბოროტში, ისე კეთილში. პირველ მცნებას თუ არ გავიხსენებდით, რომ უპირველესია ღვთის შიში, ღვთის სიყვარული და ღვთის ნდობა, მაშინ ადამიანისათვის რეფორმატორული მსჯავრის დადება გადამეტებულად მოგვეჩვენებოდა, რომელიც თვალს ხუჭავს ადამიანში ბოროტებისა და სიკეთის შერევაზე და ცოდვის საფეხურების არსებობაზე. ასე ჟღერს რეფორმატორთა მისამართით კრიტიკა კათოლიკური მხრიდან, ა. რიტშლთან და ნაწილობრივ ა. შლატერთან. ეს კრიტიკა სავსებით გამართლებული იქნებოდა, რომ საბოლოოდ საქმე გვქონდეს ადამიანის

---

44. К.Г. Маннергейм, Мемуары, М., 2000, стр. 503.
45. Paul Althaus, Grundriss der Dogmatik, Berlin, 1952.

ცალკეულ აქტებთან, ქმედებებთან და შეცდომებთან მის ქმნილებებში, სიტყვებში, აზრებში და საქმე რომ ეხებოდეს მათ ეთიკურ თვისებას. ადამიანის ეთიკური სინამდვილე, ასე აღებული, ფაქტობრივად შენარევია კეთილისა ბოროტთან, შედგება საფეხურებისაგან, ღიაა აღზრდისათვის. რეფორმატორული თეოლოგია სავსებით აღიარებს ეთოსის მთელ ამ სამყაროს და არ უარყოფს, რომ მასში ბოროტების გვერდით მორალური სამართლიანობა სუფევს. მაგრამ როდესაც საუბარია ღვთის მცნებაზე და ადამიანის ცოდვაზე, მაშინ ეს კრიტიკა და მისი შესაბამისი ზნეობრივი სამყაროს ფენომენოლოგია არ არის საკმარისი. "ეთიკურად" დანახული ადამიანი შეიძლება იყოს ბოროტი და კეთილი - ღმერთთან მიმართებაში კი სავსებით ბოროტია, რადგან იგი თავის შინაგან განწყობაში ღმერთს არ მიაგებს მის კუთვნილ პატივს, შიშს, სიყვარულს, ნდობას; და სწორედ თავისი კეთილი, თავისი ეთიკური სამართლიანობა იქცევა საშუალებად იცოცხლოს მხოლოდ თავისი თავიდან და არა ღვთისაგან, ან, ყოველ შემთხვევაში საშუალებად, რათა თავისი მუდმივი თავდაპირველი ცოდვა ღვთის წინაშე დამალოს. ამგვარად, ადამიანი არის ცოდვილი, როგორც თავის ბოროტებაში, ასევე - თავის სიკეთეში. რა დიდიც არ უნდა იყოს ეთიკური განსხვავებები ადამიანთა შორის ან ყოველი ადამიანის ცხოვრებაში - უარის თქმა ღვთაებრივ პატივზე ღვთის მიმართ (მის ყოველგვარ მრავალსახეობაზე, მცნებების გადალახვაზე და ზნეობრივი სამართლიანობის სიმაღლეზე), წარმოადგენს ერთსა და იმავე ტოტალურ, უცილობელ აქტს, რომლის წინაშე სხვა დროს მნიშვნელოვანი ეთიკური წინააღმდეგობანი კეთილ და ბოროტ აქტებს შორის და საფეხურისებური სხვაობანი კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას.

ადამიანი, როგორც ცოდვილი, მაინც რჩება ღვთის ქმნილებად. მისი ქმნილებისეულობა მუდმივ დასტურდება მის ცოდვაში: რადგან მას ძალუძს ცოდვის ჩადენა მხოლოდ როგორც ღვთის მიერ ასეთად შექმნილს. ღმერთმა შექმნა ადამიანი, რათა მან თავისუფლების მეშვეობით საკუთარი უცილობელი ცხოვრება იქონიოს ღმერთთან ურთიერთობაში; ადამიანი კი ილტვის თავისი შესაძლებლობა საკუთარი უცილობელი ცხოვრებისა განახორციელოს ღმერთთან ურთიერთობის გარეშე, მაშასადამე, ღვთის წინააღმდეგ. თავისუფლებას ღვთისაკენ და ღმერთში, ადამიანი აქცევს ღმერთთან ზურგშექცევის თავისუფლებად.

რამდენადაც ჩვენ თავს ცოდვილად შევიცნობთ, ამით უკვე ვიცით, რომ ყველა ადამიანი ცოდვილია, რადგან ჩვენს ცოდვაში ვხედავთ ქმედებას ადამიანობის გარდაუვალი და ზეინდივიდუალური განსაზღვრულობისას. ამგვარად, ცოდვილმა იცის: ა) ჩემი ცოდვა არის ამჟამად მომხდარი ქმედება წამიერებისა, მაგრამ არა ცალკეული და არა შემთხვევითი, არამედ აუცილებელი გამოხატულება ნების უცილობელი განსაზღვრულობისა. ბ) ჩემი ცოდვა არის ჩემი პიროვნული ქმედება, მაგრამ სიღრმისეულად არა ინდივიდუალური, არამედ იმაში დაფუძნებული, რაც მე ყველასთან, როგორც ადამიანურ არსებასთან, საერთო მაქვს ("ხორცი", "ქვეყანა").

ჩემი ნება არის ჩემი არსი, მაგრამ ჩემი არსი აგრეთვე ყოველთვის ჩემი ნებაა, ე.ი. მე ვარ, რასაც მე ვაკეთებ, აუცილებლად და გარდაუვალად, მაგრამ რაც მე ვარ, სწორედ მას ვაკეთებ, ე.ი. მე ვარ ნებასა და ქმედებაში. მე არასოდეს ძალმიძს ღვთის წინაშე ჩემს არსს დავშორდე და იგი განვიხილო როგორც ბედი, როგორც "ბუნება", რომელიც ჩემს ნებას აიძულებს და უპასუხისმგებლოს ხდის. პირიქით, მე ყოველთვის ჩემი საკუთარი ქმედება ვარ. ზეინდივიდუალურ ნებას სურს ჩემში, მაგრამ ისე, რომ მე მსურს. აუცილებლობა და თავისუფლება, გადაწყვეტილება (წარსული) და გადაწყვეტა (აწმყო), ზოგადი ნება და ცალკეული ნება, მაშასადამე, ცალ-ცალკე კი არ სუფევენ, არამედ - ერთმანეთში. არ შეიძლება ერთი დავიყვანოთ მეორეზე ან მისით განვსაზღვროთ. ამ წინადადებებით ჩვენ გამოვთქვით აზრი რეფორმატორული მოძღვრებისა პირველცოდვაზე. მაგრამ, ამავე დროს, ეს თეორია დიდ ეჭვებს აღძრავს: კაცობრიობის ქმედებისა და ინდივიდუალური ქმედების შენარევისაგან იგი ქმნის კაუზალურ დამოკიდებულებას (ყოველი პიროვნული ცოდვა შედეგია თავდაპირველი - ცოდვისა); ამავე დროს, მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული ცოდვიანობის დანაშაულად ჩათვლა გაუგებარი ხდება.

ახალ თეოლოგიაში მოძღვრება ცოდვის სამეფოზე (რიტშლი და მისი სკოლა) აცხადებს პრეტენზიას, რომ ძველი პროტესტანტული თეორია შეიცვალოს ჭეშმარიტად ისტორიული, ე.ი. ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური შეხედულებით. ცოდვის "სამეფო" წარმოადგენს ურთიერთგაცვლას და ცალკეული ცოდვილი ნებელობების, უფრო ზუსტად, ცალკეული ნებისეული აქტების საერთო ზემოქმედებას. მათგან, როგორც საბოლოო ერთეულებისაგან, წარმოსდგება "სამყარო" ფსიქოლოგიის კანონების მიხედვით (რაიმე მიდრეკილების აღმოცენება განმეორებითი აქტების მეშვეობით; კანონები ჩვევისა და მატებისა) და სოციოლოგიის კანონების მიხედვით (ზემოქმედება მემკვიდრეობისა, მაგალითისა, აღზრდისა, ცდუნებისა, ცალკეულთა ცოდვის მეშვეობით შექმნილი ჩვეულებანი, წესები, საზოგადო სული). ყოველი ცალკეული ამ "სამყაროში" ერთდროულად არის ობიექტიც და სუბიექტიც ურთიერთზემოქმედებისა. რამდენადაც იგი ობიექტია, მისი ცოდვა, როგორც შედეგი იმ კანონებისა, სავსებით გარდაუვალია; მაგრამ რამდენადაც იგი სუბიექტია, მისი ცოდვა გადასალახავია, თავისუფალი ქმედებაა და ამდენად - დანაშაულია.

შეხედულება "ცოდვის სამეფოზე" აღწერს აშკარა სინამდვილეს: ცოდვის ისტორიას ცალკეულ და საყოველთაო ცხოვრებაში. ამით მნიშვნელოვანმა ბიბლიურმა აზრებმა (მაგ., "საცდური", მათე 18), რომლებსაც ძველმა პროტესტანტულმა დოგმატიკამ გვერდი აუარა, კვლავ დაიბრუნეს თავიანთი ღირებულება. განსაკუთრებით საგულისხმოა მითითება პასუხისმგებლობაზე ყველასი ყველას მიმართ, დანაშაულის თანაზიარობაზე ყველასი ყველასთან თვალუწვდენელ ურთიერთზემოქმედებაში. ამ მხრივ მოძღვრება ცოდვის სამეფოზე, რომელსაც ცოდვის ისტორიის თეორია სურდა ყოფილიყო, აღემატება მოძღვრებას პირველცოდვაზე თავისი შეხედულების ჭეშმარიტებითა

და მრავალფეროვნებით: ცოდვა არ წარმოიშობა მხოლოდ მემკვიდრეობით. მაგრამ ცოდვის სამეფოზე მოძღვრების ყალბ გამოყენებასთან გვექნებოდა საქმე, თუკი იგი შეეცდებოდა უღრმესად გაგებულ პირველცოდვაზე მოძღვრების სავსებით შეცვლას და მის განდევნას. მოძღვრება ცოდვის სამეფოზე გვიჩვენებს, რომ ცოდვას ისტორია გააჩნია. მაგრამ იმით, რომ ცოდვას ისტორია აქვს, თავდაპირველი ერთიანობა და "ერთდროულობა" კაცობრიობისა მის ცოდვაში არ არის გაუქმებული. ამიტომ, მითითებას ცოდვის სამეფოზე შეუძლია პირველცოდვაზე მოძღვრების განურცობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - მისი შეცვლა. მხოლოდ მოძღვრება პირველცოდვაზე, როგორც კაცობრიობის ცოდვაზე, როგორადაც მას რწმენა შეიმეცნებს და დანაშაულის ცნობიერებაში განსჯის, შეესაბამება სინამდვილეს, მაშინ, როცა მოძღვრება ცოდვის სამეფოზე ფაქტობრიობას და მის განსჯას დანაშაულის ცნობიერების მეშვეობით ასუსტებს და სხვარიგად ხსნის.

ჩვენი უღრმესი ნებისეული მიმართება, რომლის დროსაც ღმერთს, როგორც ღმერთს, პატივს არ მივაგებთ, არ უნდა იყოს აღქმული, როგორც "მიდრეკილება", რომელიც განმეორებითი ნებისეული ქმედებებით ხორციელდება. ის მიმართება არსებობს "უწინ" და ყველა ნებისეულ აქტში. იგი, რასაკვირველია, ნებისეულ აქტებს წინ უსწრებს არა ისტორიული გაგებით, როგორც მდგომარეობა, არც მათგან წარმოიშვება, არამედ - ეს მიმართება არის მათში.

ასევე ნაკლებად არის შესაძლებელი, კაცობრიობის შემეცნება, როგორც თავდაპირველი ერთიანობისა, რომ შევცვალოთ კაცობრიობის, როგორც ყველა ცალკეულის ერთობლიობის შეხედულებაზე, რომლის დროსაც ცოდვას, როგორც "კაცობრიობის ქმედებას", შემდგომ არა საყოველთაო ნების თავდაპირველი ქმედების მნიშვნელობა ეჭნებოდა, არამედ ისტორიულად მხოლოდ ყველა ცალკეულის ქმნადი ურთიერთზემოქმედებისა. რამდენადაც მნიშვნელოვანია ცოდვის საშინელი ისტორიული კანონების შემეცნება, იგი მაინც ვერ მოიცავს წმ. წერილში დადასტურებული უბედურების მთელ სიღრმეს, რომ ყველა სცოდავს - ამის არც დასაბუთება და არც დამტკიცება მას არ ძალუძს. აბსოლუტური დაცემიდან იგი ყოველთვის ქმნის რელატიურს, რადგან ქმნადობას იგი ურთავს სიკეთის ისტორიას.

შეუძლებელია, რომ კაცობრიობის ცოდვა, რომელიც ცალკეულზე, როგორც ბედისწერა, გადმოდის და ცალკეულის საკუთარი "თავისუფალი" ქმედებები, რომლითაც იგი საყოველთაო ცოდვის თანაზიარი ხდება და მას ამრავლებს, დავყოთ ორ სფეროდ ან ფაქტორად ცალკეულის ცოდვაში და მხოლოდ თავისუფალი ქმედებები მივიჩნიოთ დანაშაულად. ეს შეხედულება გულისხმობს თავისუფლებისა და აუცილებლობის ყალბ გაგებას, რომ თითქოს ორივე ურთიერთს გამორიცხავს და გამიჯნავს. ღვთის სიტყვის მიერ გაღვიძებული დანაშაულის ცნობიერება დანაშაულის მიკუთვნებაში ამ განსხვავებას არ აკეთებს - ყოველ შემთხვევაში, არ აკეთებს ამას იგი გადამწყვეტ - ცოდვის უშინაგანეს, ყველა ცოდვათა შორის ცოდვის მიმართ, რომელშიც ყველა ერთმანეთს ვგავართ. მის მიმართ ძალაშია შემდეგი:

ყოველი ჩემი ცოდვა არის "პირველცოდვა", ე.ი. ზეინდივიდუალური კაცობრიობის ქმედება, და ყოველი ჩემი ცოდვა არის პიროვნული ქმედება. ცნებები "პირველცოდვა" და "თავისუფალი" დანაშაულებრივი ქმედება აღნიშნავენ ამგვარად არა ორ სფეროს ან ფაქტორს ჩვენი ცოდვისას, არამედ გამოხატავენ ერთ, თავის თავში განუსხვავებელი ცოდვის სინამდვილეს, რომელიც პარადოქსულად ორივე მხარეს მოიცავს.

ყოველივე ზემოთქმულით საკითხი ცოდვის წარმოშობის შესახებ გადაწყვეტილია.

ცოდვის არსიდან გამომდინარე, როგორც ეს ღვთის მიერ გაღვიძებულ სინდისში ცხადდება, ცოდვის ახსნა შეუძლებელია. ცდები, რომ ცოდვა გავიგოთ ა) როგორც ემპირიულად გარდაუვალი (პიროვნების სასრული არსიდან ან სამყაროს სტრუქტურიდან ბუნებაში და ისტორიაში) ან ბ) როგორც ტელეოლოგიურად აუცილებელი (სიკეთის, თავისუფლების, ისტორიის არსიდან, ღმერთთან პიროვნული ურთიერთობიდან, ე.ი. მისი სიკეთისა და სამართლიანობის გამოცხადებიდან), აღმოცენდება სულის ერთიანობის მოთხოვნილებიდან, რომელიც ვერ იტანს ბოროტი ნების ირაციონალურ ფაქტს და ამით - მოცემულ დუალიზმს ღვთის სამყაროში.

ცდა, რომ ცოდვა დავიყვანოთ ერთ-ერთ მის აღმომცენებელ მიზეზზე ემპირიული ფაქტობრიობიდან, აუქმებს ადამიანის თვითშემეცნებას, როგორც ნებისა და პიროვნებისა. ნება, მაშასადამე, აგრეთვე ცოდვა, როგორც ნებისეული აქტი, ცნებისეულად იმას წარმოადგენს, რისი აღმოცენებაც (სხვა რეალობიდან) შეუძლებელია. სხვა მხრივ ყველა თეორია ცოდვის არასაკმაო ცნებას გულისხმობს, რომელთაც ცოდვის ახსნა სურთ სულისა და მატერიის დუალიზმიდან (პლატონიზმი, ნეოპლატონიზმი, ცვინგლი) ან "ცოდნისა და ნებისყოფის ძალის არათანაბარი განვითარებიდან" (შლაიერმახერი). ცოდვის სულიერება უარყოფილია. ადამიანის თეოლოგიურ შემეცნებაში აღქმული წინააღმდეგობა "სულსა" და "ხორცს" შორის უმართებულოდ გათანაბრებულია ემპირიულ-ანთროპოლოგიურ დუალიზმთან გონებასა და მგრძნობელობას შორის.

ახსნა-განმარტება ცოდვის გაგების ტელეოლოგიური მცდელობებისა მხოლოდ ისე უნდა წარიმართოს, რომ უნდა გვახსოვდეს ჩვენი ყოფიერების თავდაპირველი ანტინომია, როგორც სიცოცხლე ღვთის მეშვეობით ღვთის წინაშე. ღვთის ყოვლისქმედებას შეესაბამება, რომ მის გეგმას კაცობრიობასთან ქმედებისას ცოდვა მივაკუთვნოთ. ღვთის ხელში ცოდვა ნაყოფიერია, რათა მან წარმართოს თავისი აზრები შემოქმედებისა და ხსნისათვის. მაგრამ ღვთის ხელში ცოდვის ნაყოფიერების შეშეცნება ადამიანს არ ათავისუფლებს იმისაგან, რომ ღვთის წინაშე აღიაროს თავისი ცოდვა, როგორც დანაშაულებრივი ქმედება, რომელსაც ღმერთი სასტიკად განიკითხავს. თუკი ადამიანს სურს ღვთის ყოვლისქმედებაზე და ღვთის ხელში ცოდვის ნაყოფიერებაზე მითითებით საკუთარი ცოდვის გაგება და პატიება, მაშინ იგი უარყოფს თავისი ყოფიერების ჭეშმარიტებას, როგორც სიცოცხლეს ღვთის წინაშე და მით უფრო ხდება დამნაშავე (რომ. 3,5;

9,19). ცოდვაში ღვთაებრივი ტელეოლოგიის შემეცნება ვერ შეცვლის ჩვენს, ცოდვილთა, უცილობელი პასუხისმგებლობის შემეცნებას ღვთის წინაშე - იგი მას მხოლოდ განავრცობს.

გაუგებარია ცოდვა და მისი გაგება მხოლოდ ღვთის არსებობიდანაა შესაძლებელი. ჩვენ ვაღიარებთ ცოდვის გაუგებრობას იმით, რომ მის წარმოშობას გაუგებარ ქმედებაში ალმოვაჩენთ. ამიტომ იქმნება აუცილებლობა - ჩამოვაყალიბოთ აზრი თავდაპირველი მდგომარეობის შესახებ. მას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ღვთის ქმნილება და ცოდვის წარმოშობა მკაცრად განასხვავოს ერთმანეთისაგან და ცოდვის ხასიათი, როგორც ადამიანის განსაზღვრულობის გაუკუღმართება, ადამიანური არსის დაშლა, ღვთის სამყაროს რღვევა - ნათლად გამოხატოს. თეოლოგიისათვის საზღვრისეული ცნება - აუცილებელი აზრი თავდაპირველი მდგომარეობისა არ გულისხმობს კაცობრიობის ისტორიულ საწყისზე რაიმეს თქმას; იგი გულისხმობს არა რაიმე მოაზრებად ან წარმოსადგენ კაცობრიობის ისტორიულ წარსულს, არამედ აწმყოს სინამდვილეს ჩვენი ქმნილებისეული ურთიერთობისას ღმერთთან, რომელ სინამდვილესაც ჩვენ, ისევე როგორც მთელი კაცობრიობა, ცოდვაში ყოველ წამს ზურგს ვაქცევთ. "გახსენება" თავდაპირველი მდგომარეობისა, რომელსაც ყოველი ადამიანი თავის თავში ატარებს, არის არა ისტორიული, არამედ არსებითი სახისა, ე.ი. დანაშაულებრივი ცნობიერებით მოცემული.

ცოდვის არსიდან გამომდინარე მიიღება, როგორც კაცობრიობისა და ინდივიდუალური ქმედებისა ერთობლივად, რომ თავდაპირველი-ქმედება, რომელიც თავდაპირველ მდგომარეობას ანადგურებს, მოიაზრება, როგორც ერთდროულად ზეინდივიდუალური და ინდივიდუალური, ერთდროულად როგორც წარსული და აწმყო. ამიტომ არ არის დამაკმაყოფილებელი ძველი პროტესტანტული მოძღვრება (ცოდვის წარმოშობა ადამის დაცემის შედეგად) და იულიუს მიულერის თეორია (ცალკეულთა შეცოდება მათ წინარარსებობაში); პირველი გამოხატავს მხოლოდ წარსულს და არა აგრეთვე აწმყოსაც, მეორე - მარტოოდენ ინდივიდუალურს და არა აგრეთვე ზეინდივიდუალურს, საკაცობრიობო ხასიათს თავდაპირველი ქმედებისა. სინამდვილეში განმარტებული პარადოქსული ფაქტობრიობა კრძალავს ყველა თეორიას თავდაპირველი დაცემის შესახებ, როგორც ისტორიულ ან ისტორიის მიღმა მომხდარ შემთხვევას. იგი წარმოადგენს, რაკი ამჟამად მასში ვიმყოფებით, საგნობრივი დაკვირვებისათვის მიუწვდომელ ფაქტს.

ადამიანი ერთდროულად არის ქმნილება და ცოდვილი. ამ ორმაგი სახით იგი ქრისტეს მოლოდინშია. ქრისტეში, როგორც ცოდვილი, იგი ელის შერიგებასა და ხსნას. ქრისტეში, როგორც ღვთის ქმნილება, იგი ელის აღსრულებასა და სრულყოფას თავისი ქმნილებისეული ყოფიერებისას; იხ. I კორინთ. 15, 45 და შემდეგ "პირველ" და "მეორე ადამიანზე": პავლესათვის ადამიანის შექმნამ ადამში, თავიდანვე მიუთითა მის მიღმა "მეორე ადამიანის" შექმნაზე - ქრისტეზე. ქრისტე მოვლენილ იქნა არა მხოლოდ დაცემული კაცობრიობის მაცხოვრად, არამედ ღვთის მიერ ნასურვები კაცობრიობის

პირველსახედ და თავად. გამოცხადებას ქრისტეში მივყავართ თავდაპირველი გამოცხადებისაკენ არა მხოლოდ უკან, არამედ, როგორც აღსრულებასა და სრულყოფას, მათ მიღმა.

ცოდვის სინამდვილე მხოლოდ მაშინ იქნება სავსებით აღქმული, თუკი მასში დავინახავთ ბოროტი სულის ზეადამიანური პიროვნული ძალის სინამდვილეს, მაშასადამე, სინამდვილეს სატანისა და მისი "სამეფოსი". აზრი სატანასა და მის სამეფოზე წარმოიშობა უპირველესად არა იმ მოთხოვნილებით და არა იმ მიზნით, რომ ადამიანის ცოდვა, ან, ყოველ შემთხვევაში, მისი გულის ცოდვილი ზრახვანი ახსნილი იყოს და ნაპატიები. სინამდვილეში ეს აზრი აღმოცენდება იმის შემეცნებით, რომ ჩვენ, ადამიანები, ჩვენს ცოდვაში (ისევე, როგორც სიკეთეში) მინდობილნი ვართ და არა შემოქმედებითად წარმომშობნი. არა მარტოოდენ სიკეთე, არამედ აგრეთვე ბოროტება არის მორჩილება იმ ძალისადმი, რომელიც ნების წამღებია და მისი დამმონებელი (რომ. 6,16). ცოდვის "პერსონიფიცირება", მაგ., პავლესთან უფრო მეტია, ვიდრე თვალსაჩინო სურათი, იგი არის ერთგული და აუცილებელი გამოხატულება ყოველი ადამიანური ცოდვისა. იმავე მიმართულებით მივყავართ იმის შემეცნებას, რომ ჩვენ, ჩვენი ქმედებით, გამოყენებულნი ვართ მიზანდასახულად ღვთის საწინააღმდეგო აჯანყებისათვის და მისი შემოქმედების მოსპობისათვის, რომელსაც ცალკეულნი და კაცობრიობა ვერ ვიმეცნებთ და არც გვსურს მისი შეცნობა, ასე რომ, "არ ვუწყით, თუ რას ჩავდივართ" (ლუკა 23, 34). საერთოდ, არა მხოლოდ ადამიანები, არამედ მათზე ზემძლავრი "იდეები" მატარებელნი ხდებიან ისტორიული სიცოცხლისა - ასე ემსახურება ადამიანები, ხალხები, კაცობრიობა იდეებს, ტენდენციებს, მოძრაობებს, სისტემებს, ღვთის წინააღმდეგ მოჯანყე "სულებს" და ღვთის ქმნილების მოსპობას; ეს ბნელი სულები, საკუთარი კანონებითა და ნებით აღჭურვილნი, ვრცელდებიან ბოროტების ადამიანურ მატარებლებზე, მაშასადამე, ყოველ ცალკეულ ნებაზე, მაგრამ აგრეთვე ყოველ ემპირიულ საყოველთაო ნებაზე. თეოლოგიურ აზროვნებას არ ძალუძს სატანისა და მისი სამეფოს სინამდვილის უარყოფა და სატანაზე აზრის მხოლოდ "ღვთისმოსავთა უშუალო წარმოდგენის სამყაროსათვის დატოვება", რომლიდანაც იგი არ ქრება წმ. წერილის გამო (ი. კაფტანი). რადგან მხოლოდ მას შემდეგ, რაც შევიმეცნებთ კაცობრიობის მომცველ ზეადამიანური ბოროტების სინამდვილეს, სრულად ვიგებთ ცოდვის მიერ ჩვენი დამონების სიმძიმესა და მასშტაბს და ხსნის სიდიადეს ქრისტეს მეშვეობით.

აზრი სატანაზე მკვეთრი გამოხატულებაა ქრისტიანული დუალიზმისა. იგი თეოლოგიურ აზროვნებას არ უმზადებს უფრო დიდ სიძნელეებს, ვიდრე ის ფაქტი, რომ ღმერთის სამყაროში საერთოდ ღვთის საწინააღმდეგო ნებელობები არსებობს. დუალიზმი ყოველ წამს იმით გადაილახება, რომ სატანას განვიხილავთ ღვთის ხელში, როგორც იარაღს მისი მბრძანებლობისა, განსაკუთრებით, მისი მრისხანებისა. რადგან სატანას ღვთის საწინააღმდეგო სურს, ღვთის მბრძანებლობის დამყარება ჯერ კიდევ მომავალშია. რადგან

სატანა ღვთის ნებას უნდა ემსახუროს, ღვთის მბრძანებლობა ყოველ წამს სრულყოფილია. პირველი მოგვიწოდებს საბრძოლველად, მეორე გვანიჭებს სიმშვიდეს ბრძოლის დროს.

მიუხედავად ფართო ციტირებისა, ეს მაინც მცირე ნაწილია პ. ალტჰაუსის შეხედულებებისა ცოდვასა და დანაშაულზე, რომლის სრული გადმოცემა ჩვენი ნაშრომის არქიტექტონიკას დაარღვევდა.

გ). ე. დრევერმანი და მისი "ნევროზის მოდელი და სასოწარკვეთა"[46]

ქრისტიანულ მაღლზე მოძღვრების პარადოქსი რომ გავიგოთ, უნდა მივყვეთ კირკეგორის ინტუიციას, რომელმაც ჯერ კიდევ 1840 წელს წინასწარ განჭვრიტა უღრმესი აღმოჩენები ფსიქოანალიზისა და ექსისტენციალური ფილოსოფიისა. კირკეგორის გენიას მიეწერება ის, რომ მან ცოდვის ფენომენი შიშის განცდიდან ახსნა და წამოაყენა თეზა: ადამიანს შიში გააჩნია არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი დამნაშავეა (დაბ., 2, 7-8), არამედ პირიქით: იგი დამნაშავე ხდება შიშისაგან. მართლაც, ფსიქოანალიზმა დაადგინა, რომ ყველა მძიმე სულიერ დარღვევებს ნევროზში თავისი სათავე შეუცნობელ შიშებში გააჩნიათ. ნევროზი არ წარმოადგენს უბრალოდ მარტოოდენ "ავადმყოფობას", იგი არის საბედისწერო სტრუქტურა, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. ყოველი ნევროზი წარმოადგენს სასოწარკვეთილ ცდას, ყველაფერი, ვითომ "არა ღირებული", ჩამოიშოროს და საბოლოოდ ფიქტიურ "ღვთისმსგავსებას" მიაღწიოს (ადლერი). ნევროზი თავისი ტრაგიკულობით და უმწეობით, თავისი განწირულობითა და არათავისუფლებით, წარმოადგენს ნამდვილ ემპირიულ მოდელს იმ სულიერი მდგომარეობისა, რომლის დროსაც ადამიანი იღვწის სიცოცხლის მოსაპოვებლად, საბოლოო ჯამში კი კარგავს მას. თუკი ცოდვა, პირველ ყოვლისა, პაულე მოციქულის ღვთისმეტყველური მემკვიდრეობის მიხედვით, აღწერილ იქნა, როგორც ტყუილუბრალო თვითგადარჩენის ცდა, მაშინ ამ ნევროზული მისწრაფების მსხვრევა ნათლად გვიჩვენებს, თუ რას ნიშნავს ემპირიულად მაღლს მოცილებულ და შიშის სამყაროში არსებობა.

რასაკვირველია, სიღრმისეული ფსიქოლოგიის ნევროზზე მოძღვრებაში "შიში" წარმოადგენს მხოლოდ ემპირიულ, ადამიანთა მიერ გარკვეულ სიტუაციაში წარმოშობილ, არაარსებით ფენომენს ადამიანური ყოფიერებისა. მაგრამ შესაძლებლობის პირობა, შიშის ნიადაგზე ფუნდამენტურად ავად რომ გავხდეთ და შემდეგ ყოველი ფსიქიკური ენერგია შიშის უცილობელ circulus vitiosus-ში რომ გავაბნიოთ, უნდა იყოს თვით ადამიანური ყოფიერების სტრუქტურებში დაფუძნებული და სწორედ ამაში მდგომარეობდა

---

46. Eugen Drewermann - Sünde/Schuld, in: NHBTHG, Bd.4, München 1985.

მთავარი აზრი კირკეგორისა - შიშის ულრმესი საფუძველი არა გარეშე მიზეზებში, არამედ ადამიანური სულის თავისუფლებაში უნდა დავინახოთ.

სწორედ ამიტომ არ საუბრობდა კირკეგორი "ნევროზზე", როგორც წმინდა ფსიქიკურ ფენომენზე, არამედ მან აირჩია ექსისტენციალურად უფრო მძაფრი და თეოლოგიური ინტერპრეტაციისათვის უფრო გასაგები გამოთქმა: სასოწარკვეთილება. მასში დაინახა მან შიშის გამყინვარებული მდგომარეობა და არსებითი განსხეულება ცოდვისა.

კირკეგორის მიხედვით, ადამიანი სასოწარკვეთილია მაშინ, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ შიშის გამო საკუთარ თავთან დისჰარმონიაში იმყოფება, როდესაც მას არ სურს იმად ყოფნა, რასაც იგი წარმოადგენს, ანუ იმად ყოფნა სურს, რაც იგი არ არის. ხოლო შიში, რომელსაც ამ დისჰარმონიისკენ მივყავართ, განეკუთვნება სულიერებასა და თავისუფლებას, მაშასადამე, თავად ადამიანის არსს... ხოლო სასოწარკვეთილება ღვთის წინაშე განხილული, უკვე ცოდვას წარმოადგენს და შიშის უსასრულობაში ადამიანი თავისივე თავში ნადგურდება. საპირისპირო ცნება ცოდვის მიმართ ამიტომ არის არა ზნეობა, არამედ - რწმენა; რადგან არა მორალის დებულებებში, ქმედების სწორ განსაზღვრებებში შეგვაცნობინებს თავს ყოფიერების თავდაპირველი დანაშაული - შესაძლოა სწორედ პირიქით, იმ შემთხვევას ჰქონდეს ადგილი, როდესაც ადამიანი, მეშჩანური გაგებით, თავისი თავის მიმართ დანაშაულად არაფერს მიითვლის, მაშინ როდესაც სწორედ მისი ფარისეველური ზნეობრიობა მით უფრო თვალსაჩინოს ხდის, რასაც იგი თითოეულ აქტში გაურბის: შიში მარტოდმარტო ყოფნისა და თავისი საკუთარი თავისუფლებით არსებობისა რწმენის ძალით რომ იტვირთოს; ყოფიერების დანაშაული ისაა, რომ ყოველი ქმედობის უწინარეს ყოფიერების სასრულობას უსასრულობისაგან არ ვღებულობთ, არამედ პირიქით, ყოფიერების უსასრულო განსაზღვრულობა შიშის გამო იმ მხრივ იქნება ყალბად გაგებული, თუკი იწამებენ, რომ ყოფიერების სასრულობას ფიქტიური, როგორც - ღმერთად-ყოფნის-სურვილით უსასრულოდ აქცევენ. ამიტომ სწორედ როგორც - ღმერთად-ყოფნის-სურვილი თეოლოგიური განსაზღვრით წარმოადგენს ადამიანურ დანაშაულს. ყველა სახეობა სულიერი დაავადებისა მდგომარეობს სწორედ ამ სასოწარკვეთილ ლტოლვაში, რომ გახდნენ ღვთის მსგავსნი შიშის გამო; მაგრამ მხოლოდ რწმენა, რომელიც არსებობის საფუძველშივე ამშვიდებს შიშს, აშკარავებს, როგორც ასეთი, ყოფიერების სასოწარკვეთას, და რამდენადაც მას დანაშაულად აღიარებს, ხდება იგი მისი მსაჯული და მისი შესაძლო შემწყალებელი. მხოლოდ მაშინ, როდესაც "სიკვდილი" (უსიცოცხლოდ ყოფიერებაში იძულებით არსობა ღვთის გარეშე) "განქარდება" (შდრ. I კორინთ. 15, 22 და ა.შ.), ღებულობს ყოფიერება თავის თავისუფლებას, რომლისთვისაც მას შიშის გამო უნდა ეღალატა, როგორც ხელახლა ნაჩუქარ შესაძლებლობას, რათა კვლავ სხვაგვარი გახდეს, ვიდრე საფუძველშივე დამნაშავე. შიშისა და სასოწარკვეთილების ამ ექსისტენციალურ დიალექტიკაში, რომელიც დაკიდებულია არარსობის უფსკრულზე, ქრისტიანული თეოლოგია შეიმეცნებს ადამიანის ყოფიერების უბედურების ულრმეს საფუძველს, რომელსაც თავად

საკუთარი დანაშაულის შეცნობა ძალუძს მხოლოდ უცილობელი მადლის წყალობით, რომელიც ადამიანს მისი არსობის საფუძველში ამაგრებს, მიუხედავად შიშისაგან გამოწვეული, უღმერთო და არაადამიანური ყოფიერების უარყოფისა.

დ). კარლ რანერი, პიტ შოონენბერგი, ჰანს ურს ფონ ბალთაზარი და სხვები პირველცოდვასა და ერების ცოდვებზე

კარლ რანერი[47] დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის თავისუფალ ნებას, მაგრამ მიაჩნია, რომ თავშივე წარმოშობილი ადამის ცოდვა შემდეგ სიტუაციებს ქმნის, რის გამოც ადამიანი თავისი თავისუფალი ნებით მაინც ცოდვის ბადეში იხლართება, თუმცა კი, როგორც თავისუფალი ნების მქონეს, პიროვნული პასუხისმგებლობაც ეკისრება... ამ ცოდვის ბადეში მოხვედრას რანერი, როგორც თვითონ ამბობს, ერთი "ბანალური მაგალითით" აღწერს. როდესაც ჩვენ ბანანს ვყიდულობთ, ამბობს იგი, არ ვუფიქრდებით იმას, რომ მისი ფასი ბევრ წინაპირობებზე არის დამოკიდებული. ამას განეკუთვნება მათხოვრული საფასური ბანანის მკრეფავისა, რომელიც თავის მხრივ, განპირობებულია სოციალური უსამართლობით, ყვლეფით ან საუკუნეებით დაკანონებული სავაჭრო პოლიტიკით. ამ დანაშაულებრივ სიტუაციაში მონაწილეობას ვღებულობთ საკუთარი სარგებლის გამო. სად მთავრდება პიროვნული პასუხისმგებლობა ამგვარი დანაშაულებრივი სიტუაციის გამოყენებისათვის, ან სად იწყება იგი? ეს მძიმე და ბნელით მოცული კითხვებია, დასძენს რანერი.

რაც შეეხება პიტ შოონენბერგს, რომლის წერილი მოთავსებულია "ჰერდერის თეოლოგიური ლექსიკონის" მე-7 ტომში (ფრაიბურგი 1973), იგი ყურადღებას იპყრობს თავისი ნაშრომის იმ ნაკვეთით, რომელიც დასათაურებულია იოანეს სიტყვებით (1,29): "ქვეყნის ცოდვები". წმ. წერილში, ამბობს იგი, ხშირად მთელი ხალხი ისრაელისა ცოდვის სუბიექტია და ღმერთი სამაგიეროს უხდის (სჯის) მამათა ცოდვებს მესამე ან მეოთხე თაობამდე (გამოსვ. 20,5). აგრეთვე მას შემდეგ, რაც ეზეკიელმა (18) ღვთის წინაშე ყოველი ცალკეულის პასუხისმგებლობა აღიარა და ახალმა აღთქმამ ამას ხაზი გაუსვა, მაინც რჩება კავშირი მამათა და შვილთა შორის ხელუხლებლად, ცოდვა რჩება ქვეყანაში ძალად და პირიქით, "ქვეყანა" რჩება საზოგადოებად ცოდვაში. ამას შეესაბამება ჩვენი გამოცდილება ბოროტების "გადაცემის" უნარის შესახებ და საყოველთაოდ ზნეობრივი ქმედების "გადამდებობაზე". შესაძლებელია ხალხის ან რომელიმე კულტურული ეპოქის ცოდვებზე (ალბათ აგრეთვე სიკეთეებზე) საუბარი.

ყოველ შემთხვევაში, დანაშაული, სწორედ იმიტომ, რომ იგი ყოველი ცალკეულის პიროვნული თავისუფლებიდან აღმოცენდება, არ გადადის ერთიდან მეორეზე, იგი არ არის საზოგადოებრივი. ამიტომ შეცდომაში შემყვანია კოლექტიურ დანაშაულზე საუბარი, რითაც ცალკეული პიროვ-

47. Karl Rahner, Grundkurs des Glaubens (1976).

ნების მიმართ უსამართლობას ჩავდივართ. მიუხედავად იმისა, უდავოა ერთი თავისუფალი პიროვნების მეორეზე ზეგავლენა. ფორმალურად ამ ზეგავლენის აღწერა შეიძლება "სიტუაციის" ცნების დახმარებით. მე, როგორც თავისუფალი პიროვნება, შეუძლებელია, რომ სხვისი თავისუფალი გადაწყვეტილებით ჩემს თავისუფლებას ჩამოვცილდე, მაგრამ მისი მეშვეობით შესაძლოა ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდე, რომელიც თავად ჩემს თავისუფლებაში შინაგანად განმსაზღვრავს. სხვას ძალუძს რაიმე ღირებულება დამანახოს, რომელიც ჩემი თავისუფლების მიმართ მოწოდებად იქცევა და ამავე დროს ამ სხვას თავისი საკუთარი მაგალითით ან ცხოვრებით შეუძლია ამ მოწოდების გაძლიერება. ცუდი მაგალითის წყალობით კი ასეთი მოწოდება ძალას კარგავს, ღირებულებას ეჭვისა და უარყოფის ბადეში ხლართავს და მახალისებს გაუკულმართებული გზით ვიარო. ესაა შინაარსი ბიბლიური ცნების - განცდისა ან საცდურისა, სიტყვასიტყვით მარყუჟისა ან ქვისა, რომელთაც ვინმეს გზაზე უდებენ, რომ მის დაცემას მიაღწიონ. სოციალური ზეწოლის გამო ამგვარი საცდური შესაძლოა ჩემს ძალას აღემატებოდეს. უფროსთა ცუდი ზემოქმედების შედეგად შესაძლოა ბავშვები და მთელი თაობებიც რომელიმე ღირებულების მიმართ "ბრმადშობილნი" იყვნენ, ე.ი. შობილნი იყვნენ ისეთ გარემოში, სადაც ღირებულება სიბნელითაა მოცული ან სავსებით არ არსებობს. ამის შედეგად აღმოცენდებიან ცოდვები ხალხისა ან კულტურისა, რომელნიც უმეტეს ნაწილად ინდივიდუალური პიროვნებების, რომელნიც გარკვეული ღირებულების მიმართ "ბრმად შობილნი" არიან, წმინდა მატერიალური ცოდვებისაგან შედგებიან.

პ. შოონენბერგის ციტირების მერე კლასიკური მაგალითი ხალხის ცოდვისა არის ისრაელის ერი სახარების მიხედვით: "და მიუგო ყოველმან ერმან და ჰრქუეს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა" (მათე 27, 25). საინტერესოა ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანი მოაზროვნისა და ღვთისმეტყველისა ჰანს ურს ფონ ბალთაზარის შეხედულება თანამედროვე ისრაელზე ეკლესიის ისტორიის თვალთახედვიდან: "ჭეშმარიტი დრამა საეკლესიო დროისა თამაშდება არა "ეკლესიასა" და "მსოფლიოს" შორის (რადგან მსოფლიო ხალხები გადაცემულია ეკლესიისათვის, როგორც სარბიელი მისი მისიისათვის და მას შეუძლია გამუდმებით განამრავლოს მასში თავისი წარმატებანი), არამედ ისრაელსა და ეკლესიას შორის: სადაც იესო და მისი ჯვარი, როგორც ჩანს, დამარცხდნენ... ამ დროს ნიშანდობლივია, რომ ეკუმენიკური მოძრაობა ან სავსებით უგულებელყოფს ისრაელს ან (რაც არა ნაკლები შეცდომაა) განიხილავს მას, როგორც ერთ-ერთ სექტას, რომელიც მოსაქცევია. ისრაელის პრინციპული ურჩობა მოქცევის საწინააღმდეგოდ, რომელსაც ქრისტეს მოციქულნი უხალისოდ შენიშნავდნენ, წარმოგვიდგენს ისრაელს, როგორც ღვთის წინაშე გაჯიქებულ კაცობრიობას, რაც ფუჭპატივმოყვარე ჯვრის დამღას ადებს - ისტორიის შიგნით - მთელ მისიონერულ და ეკუმენიკურ მოღვაწეობას მის მიმართ.[48]

48. Hans Urs von Balthasar, Das Ganze im Fragment, Freiburg 1990.

გაცილებით უფრო მშვიდი ტონი აქვს ისრაელის მიმართ მომავალ პაპს, კარდინალ რატცინგერს,[49] რომელიც აცხადებს: "ჩვენ ველით იმ წამს, როდესაც აგრეთვე ისრაელი ქრისტეს მიმართ "ჰოს" იტყვის, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ მას ისტორიის ჟამში სწორედ ამ ზღურბლთან შეჩერებით განსაკუთრებული მისია აკისრია, რომელიც მსოფლიოსათვის მნიშვნელოვანია". შემდეგ რატცინგერი შეგვახსენებს პავლე მოციქულის ეპისტოლეს რომაელთა მიმართ (11, 25-28), რომლის აქ მოყვანა სასურველი იქნებოდა: "ვინაიდან არა მსურს, ძმანო, არ იცოდეთ ეს საიდუმლო (რათა თქვენსავე განსჯას არ დაეყრდნოთ), რომ ისრაელის სიბრმავე ნაწილობრივია, დროებითი, ვიდრე არ შემოვა წარმართთა მთელი სიმრავლე. და ასე მთელი ისრაელი ცხონდება, როგორც დაწერა: მოვა სიონით მხსნელი, და მიაქცევს უღმერთოებას იაკობისგან. და ეს არის ჩემმიერი აღთქმა მათ მიმართ, როდესაც წარვხოც მათ ცოდვებს. სახარების მიხედვით, ისინი მტრები არიან თქვენს გამო, ხოლო არჩევის მიხედვით, საყვარელნი მამათა გამო".

მე შემხვდა ერთი მწერალი ქალი, რომელიც ამტკიცებდა ებრაელების დაუნდობლობას ძველ აღთქმაზე დაყრდნობით. გამოირკვა, რომ იგი ეყრდნობოდა ცნობილი ანტისემიტის, დუგლას რიდის აზრებს, რომელიც ძვ. აღთქმის მოხმობით ებრაელებს ადანაშაულებს რასიზმში და სხვა ერების ამოწყვეტაში. "ეს ხმები, - წერს დ. რიდი - ახლაც მოუწოდებენ ღრმა წარსულიდან..."[50]

რაც შეეხება ძველ აღთქმას, ამის საპასუხოდ არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი ციტატა დიდებული ქრისტიანი მწერლის, ჩესტერტონის ესსედან "წიგნი იობისა": "ვინც ჩივის ისრაელის შავკულთა და წინასწარმეტყველთა სისასტიკესა და ცბიერებაზე, იმ აზრს მიჰყვება, რომელსაც საქმესთან კავშირი არ გააჩნია. ისინი არიან ქრისტიანები და წინა ქრისტიანულ ეპოქაში გადააქცეთ აშკარად ქრისტიანული წარმოდგენა სიწმინდეზე, ანუ იმის შესახებ, რომ ღვთის იარაღად, ჩვეულებისამებრ, ძალზე კარგი ადამიანები გამოიყენება. ეს წარმოდგენა უფრო ღრმა არის, უფრო გაბედული და მშვენიერი, ვიდრე ძველი აღთქმისა: მაშასადამე, უმანკოება იმდენად ძლიერია, რომ საბოლოოდ სწორედ იგი განაგებს ქვეყანას. სამაგიეროდ, ძველი აღთქმისეული აზრი უფრო უბრალოა, უფრო გასაგები, უფრო ახლოსაა ჯანსაღ აზრთან: ძალა - ეს ძალაა, ცბიერება - ცბიერებაა, ამქვეყნიური წარმატება-ამქვეყნიური წარმატებაა და ღმერთი იყენებს მათ თავისი მიზნებისათვის, როგორც იყენებს ბუნების ძალებს".

განსაკუთრებით გამოსარჩევია გერმანელი თეოლოგის, იურგენ მოლტმანის შეხედულება "სასოწარკვეთილების ცოდვაზე".[51] იგი წერს, რომ თუკი რწმენა ასე გადაბმულია იმედზე, მაშინ ურწმუნოება ტოლფასია უიმედობისა. ჩვეულებისამებრ გავრცელებულია აზრი, რომ ცოდვა თავის საფუძველში

---

49. Joseph Kardinal Ratzinger, Gott und die Welt, 2002, s. 162.
50. Д. Рид, Спор о Сионе, М., 1998, стр.13.
51. J. Moltmann, Theologie der Hoffnung, Bonn 1997.

წარმოადგენს ადამიანის სურვილს, რათა იყოს იგი ვითარცა ღმერთი. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა ცოდვისა. მეორე მხარე ასეთი სიამაყისა არის უიმედობა, გულაცრუება, ინერტულობა და მწუხარება. იოანეს გამოცხადებაში (21,8) ცოდვილთა შორის, რომელთაც მარადიული ტანჯვა ემუქრებათ, "მხდალებიც" არიან დასახელებულნი. საცდური მდგომარეობს არა იმდენად იმაში, სურვილი გაგვიჩნდეს ვიყოთ ტიტანისებურნი, ვითარცა ღმერთი, არამედ იმ სისუსტეში, სულმოკლეობაში, გადაღლაში, რათა იმად ყოფნა არ ვისურვოთ, რისი უნარის მქონედ ღმერთს მიაჩნია, რომ ვართ.

უიმედობას ორი ფორმის მიღება შეუძლია: იგი შეიძლება იყოს თავხედობა (praesumptio) ან სასოწარკვეთილება (desperatio). ცოდვის ეს ორივე ფორმა იმედის საწინააღმდეგოა. თავხედობა წარმოადგენს უდროო, თვითნებურ წინასწარ აღსრულებას იმისა, რასაც ღვთისაგან ველოდით. სასოწარკვეთილება არის უდროო, თვითნებური, წინასწარგანჭვრეტა ღვთის დანაპირების არაღსრულებისა. ორივე ფორმა უარყოფს იმედს. ისინი ჯანყდებიან იმედის მოთმინების წინააღმდეგ, რომელიც ელის ღვთის დანაპირებს. მათ მოუთმენლად სურთ "უკვე ახლა" აღსრულება ან "საერთოდ არქონა" იმედისა. აქ ძალაუნებურად გვახსენდება ა. კამიუ: "ნათლად ვიაზროვნოთ და აღარ ვიქონიოთ იმედი"; ასეთ რეალობას რ. მუზილმა status quo-ს უტოპია უწოდა. ამავე რიგშია განსახილველი თეოდორ ფონტანეს რომანი "ჩამკვდარი იმედები", სადაც ნათქვამია: "სიცოცხლე ნიშნავს იმედის დამარხვას". სასოწარკვეთილება იმედის მიმართ ყოველთვის როდია სასოწარკვეთილი სახის ჩვენება, მას შეუძლია მოცინარი ნიღბის ტარებაც. მე-19 საუკუნის დამდეგს, გერმანულ იდეალიზმში, მრავალ ადგილას შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ფორმა თავხედობისა. გოეთესათვის, შილერისათვის, რანკესათვის, კარლ მარქსისა და მრავალ სხვათათვის პრომეთე გახდა ახალი დროის წმინდანი. ქრისტეს ადგილს პრომეთე იკავებდა. მასთან მრავალმხრივ დაკავშირებული იყო ფილოსოფიური, რევოლუციური ჰილიაზმი, რომელმაც საბოლოოდ იწყო თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების სამეფოს შენება, რასაც ტყუილუბრალოდ ელოდნენ ღვთისაგან.[52]

მეოცე საუკუნის შუა ხანებში იმედისაგან მოწყვეტილ სხვა ფიგურას ვაწყდებით ექსისტენციალურ ბელეტრისტიკაში - წმინდა პრომეთე სიზიფედ

---

52. აღსანიშნავია, რომ ჩვენთან, საქართველოში, პრომეთეს როლს ასრულებდა ამირანი, რომელშიც ნატიონალური იდეა ჩადის, მაგრამ ხრულად დაიკარგება მისი ის მხარე, სადაც იგი ღმერთთან შებრძოლად გვევლინება. რაც შეეხება გოეთესა და ხვედრის ალეგორიულობას პრომეთეში, ამან ძალზე ნიშანდობლივი გამოხმაურება ჰპოვა XX საუკუნეში, როდესაც რახმანინმა და გერმანელი ფაშიზმის წამყვანმა იდეოლოგმა ალფრედ როზენბერგმა თავის წიგნში "მე-20 საუკუნის მითოსი" რომის ეკლესია და თეზუიტთა ორდენი გააფრთხილა, რათა მათ შეეწყვიტათ "დიდი გერმანელების ძაგება, რაც უკვე დიდი ხანია იქცა თეზუიტთა და მათი ხელისშემწყობთა ლიტერატურულ საქმიანობად. ისინი ეწევიან გოეთეს, შილერის, კანტისა და სხვათა შეურაცხყოფას" (Alfred Rosenberg, Der Mythos des 20. Jahrhunderts, 1930). კაცმა რომ თქვას, ორდენი, რომელიც თვით სახელს ატარებს, რატომ არ უნდა აკრიტიკებდეს, თუნდაც გენიოსთა წარმართულ მიდრეკილებას?

იქცა, რომელმაც გზაც უწყის, ბრძოლაც და გადაწყვეტილების მიღებაც, გააჩნია მუშაობის მოთმინება, მაგრამ არა აქვს აღსრულების იმედი. აღარ არსებობს არავითარი იმედი და აღარც ღმერთი არსებობს. არსებობს მხოლოდ "ნათლად ვიაზროვნოთ და იმედი არ ვიქონიოთ" და ასევე წრფელი სიყვარული. მაგრამ კამიუს ავიწყდება, რომ ადამიანი ვერ მოიპოვებს "ნათელ აზროვნებას" იმედის გარეშე, რასაც შეყვარებული ელის. არც თავხედობაში და არც სასოწარკვეთილებაში არ ძევს ძალა სიცოცხლის განახლებისა, არამედ მარტოოდენ იმედში. ასეთ იმედს და მის შესაბამის აზროვნებას უტოპიაში ვერ დავადანაშაულებთ, რადგან ისინი ელტვიან არა იმას, რომელსაც "ადგილი არ გააჩნია", არამედ იმას, რასაც "ჯერ კიდევ არ გააჩნია ადგილი", მაგრამ მისი მოპოვება ძალუძთ.

ახლა მცირეოდენი ციტირება მსურს მოვახდინო დიდი ინგლისურენოვანი პოეტის ესსეების კრებულიდან, რომელსაც პირობითად "ცოდვის ლაბირინთებს" დავარქმევდი. საუბარია უისტენ ჰიუ ოდენზე,[53] რომელიც თავად ერთ-ერთი მომაკვდინებელი ცოდვით იყო შეპყრობილი.

ერთ მის წერილს ამ კრებულში ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს კარდინალ ნიუმენის სიტყვები: გონება ისევე ექვემდებარება ცოდვას, როგორც გრძნობები. ოდენი წერს: "ჩვენ ვაღიარებთ, რომ თუმცა კვება და სექსი თავისთავად მავნე არ არის, მაგრამ ზედმეტ გატაცებას როგორც ერთით, ისე მეორეთი, კარგი რამისაკენ არ მივყავართ, მაგრამ რატომღაც ძნელია იმას დაეთანხმო, რომ მოუსვენრობა გონებისა - იმავე რიგის მოვლენაა და გაიგო ის, რომ ცოდნა და ჭეშმარიტება ერთი და იგივე არ არის.

პიესა - მისტერიებში ბოროტ პერსონაჟებს, ისეთებს, როგორებიც არიან ეშმაკი ან მეფე ჰეროდე, პუბლიკაში უნდა გამოეწვიათ სიცილი, მაგრამ მოზეიმე ბოროტებას ღიმილის გამოწვევა არ ძალუძს იმიტომ, რომ ტანჯვა, რომელიც მას მოაქვს, სავსებით რეალურია". (აქ ძალაუნებურად მახსენდება "კგბ"-ს ციხე და დაკითხვები: უნდა ვაღიარო, რომ ნებისმიერი გამომძიებელი - და ასეთების მთელი ბრიგადა იყო - ჩემს გულში ხარხარს იწვევდა, მაგრამ გაღიმება იშვიათად შემეძლო, რადგან ტანჯვა რეალური იყო: მთელი წელი კუბოსავით ვიწრო კამერაში ყოფნა, ოცდაოთხი საათი ელექტრონის შუქზე, გაურკვეველობა, პარტნიორის მდგრადობის მიმართ სრული ხელჩაქნევა და ა.შ.). კვლავ ოდენის ჩანაწერი: "ყოველ ხუმარაში რაღაც ბოროტისეულია, და დაე მისი ოინები იყოს სავსებით უდანაშაულო და თავშესაქცევი, ისინი ამჟღავნებენ მის ფარულ სურვილს, ყველასათვის შეუმჩნეველად იკისროს როლი უფალი ღმერთისა".

ოდენს მოჰყავს პოლ ვალერის ლექსი "გველის კვალი", და ამტკიცებს, რომ იგი ესადაგება შექსპირის იაგოს. ვალერის ლექსში გველი სისინებს: "მე ვარ ოსტატი გარდაქმნისა", ხოლო იაგოს მოეთხოვება სწრაფი გარდაქმნის უნარი, რადგან "წრფელი იაგოები" იმდენივეა, რამდენიც მას თანამოსაუბრე გააჩნია, რომელთაც ყველას თავისი იაგო ჰყავს, როდრიგოს,

---

53. У.Х. Оден. Эссе о литературе, 1998.

კასიოს, ოტელოს და დეზდემონას. რამდენადაც იაგო ელტვის არყოფნას, მან უნდა გაანადგუროს არა მხოლოდ სხვანი, არამედ საკუთარი თავიც. როდესაც ოტელო და დეზდემონა კვდებიან, მისი საქმე უკვე გაკეთებულია. მან სამსახური "დაამთავრა".

ოდენთან ერთად მინდა დავასახელო მეორე დიდი ინგლისელი პოეტი-თომას სტერნს ელიოტი და მისი ტრაგედია "მკვლელობა ტაძარში". ელიოტი დიდი გამჭრიახობით ავლენს კიდევ ერთ ცოდვას, რომლის სათავე კვლავ სიამაყეა. პიესაში თომას ბეკეტი ადვილად იგერიებს სამ მაცდურს, რომლებიც მას ამქვეყნიური ძალაუფლებით აცდუნებდნენ; მაგრამ გამოჩნდება მეოთხე, მოულოდნელი მაცდური, რომელიც მას პირდება წამებულის გვირგვინის მოპოვებას და ბეკეტი ხვდება, რომ იგი ამ ცდუნებას ელტვის სიამაყის გამო საკუთარი თავის განსადიდებლად. მაგრამ ამის შემეცნება ბეკეტს უკვე ათავისუფლებს...

დაბოლოს, ეს თავი ცოდვის შესახებ, მინდა დავასრულო თეოლოგ მაცეინას სიტყვებით: ადამიანმა თუკი იცის, რომ ღმერთი არსებობს, მაშინ მიმხრობა ეშმაკისადმი მისთვის აუტანელი ხდება. ამიტომ იგი ნიჰილისტი უნდა გახდეს, ყოველივეს უარმყოფელი. ანტიქრისტიანული საწყისი ყოველთვის ვლინდებოდა ისტორიაში ნიჰილიზმის სახით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ზემოხსენებული როზენბერგი, რომელსაც სამართლიანად მოიხსენიებდნენ, როგორც თვითონ გვამცნობს, "მკრეხელად", "ათეისტად", "სატანისტად", "ვოტანისტად", თავის ოპუსში წერდა, რომ 1914 წლის შემდეგ "დაიმსხვრა სოციალური, რელიგიური, მსოფლმხედველობრივი ცნობიერება და ღირებულებები. აღარ არსებობს არცერთი უმაღლესი პრინციპი, აღარც ერთი უმაღლესი იდეა, რომლებიც უცილობლად დაეუფლებოდნენ ხალხთა ცხოვრებას".

ამგვარად, როზენბერგისა და მისნაირთათვის გაზის კამერების შენებას წინ აღარაფერი ელობებოდა. მაგრამ ამითვეა ნათქვამი, რომ ასეთივე Jmanenz-ური იდეოლოგია (კ. რანერის კლასიფიკაციის მიხედვით), კერძოდ, ლენინურ-სტალინური ბოლშევიკური კომუნიზმი, არანაკლები სატანისტური გამოვლინება იყო "ხალხთა ცხოვრებაში" თავისი "გულაგებითა" და ჩეკისტი ჯალათებით.[54]

---

54. კარგა ხნის წინ გარდაცვლილი ჩემი უფროსი მეგობარი, გერმანიაში განსწავლული და შემდეგ მთელი ოცი წლის მანძილზე ციმბირის ლაგერებში ნაწამები, რაფო ბესარიონის ძე ნიფარაძე მიამბობდა: რუსებს არ ჰქონდათ და არც უნდოდათ გაზის კამერების შენება უსახსრობის გამო. სამაგიეროდ, ჩემი თვალით ვიხილე პატიმრები გარდაცვლილი ამხანაგის გვამს რომ გლეჯდნენ ხორცს და ჭამდნენ—

თავი მეექვსე

ბოროტება პოლიტიკაში და საზოგადოებაში

თქვა არამზადამ თავის გულში: "არ არის ღმერთი". გაირყვნენ და ჩაიდინეს სისაძაგლე; აღარ არსებობს სიკეთის მქნელი.

ფსალმუნნი (52,2)

2002 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა მეტად საგულისხმო და იმავდროულად ფრიად შემაშფოთებელი წიგნი სათაურით: "დასავლეთის სიკვდილი". მისი ავტორი გახლავთ პატრიკ ჯ. ბიუკენენი, პრეზიდენტ ნიქსონისა და რეიგანის მრჩეველი, კანდიდატი რესპუბლიკური პარტიისა 1992 და 1996 წლების არჩევნებზე. რას გვაუწყებს ავტორი, რის გამო ტეხს განგაშს? არადა, საგანგაშო ბევრი რამ არის, რასაც მოკლედ ჩამოვთვლით. ამერიკაში და, განსაკუთრებით, ევროპაში მოსახლეობის მკვეთრი კლება. 2050 წლისათვის ისინი თითქმის განახევრდებიან, ხოლო აზია, აფრიკა და სამხრ. ამერიკა - პირიქით! ერთ-ერთი მიზეზი ამისა, რასაც ბიუკენენი ხაზგასმით აღნიშნავს - სოციალიზმია: "ათავისუფლებდა რა ქმრებს, ცოლებს და ბავშვებს ოჯახური ვალდებულებებიდან, ევროპელმა სოციალისტებმა აღმოფხვრეს საზოგადოებრივი მოთხოვნილება ოჯახისადმი. შედეგად ამისა ოჯახურმა ინსტიტუტმა იწყო კვდომა. ხოლო ამ ინსტიტუტთან ერთად კვდომა იწყო ევროპამაც". ბიუკენენი აგრძელებს: "იძირებოდა რა სექსში, ნარკოტიკებში, როკ-ენ-როლსა და ბუნტში... კულტურულმა რევოლუციამ... ქვეყნის მესამედ ტერიტორიაზე ახალგაზრდობა მოწყვიტა იუდაისტურ-ქრისტიანულ მორალს". ჩვენ გვაქვს ორი ამერიკა, აცხადებს იგი, მლოცველი და აღვირახსნილი მორალის. "მასობრივი კულტურა თავის ღირებულებათა იერარქიაში სექსის სიხარულს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე - დედობის ბედნიერებას". არნახული მომძლავრება ჰომოსექსუალიზმისა, რისი დადასტურებაცაა, რომ ჰილარი კლინტონმა, აშშ-ს პრეზიდენტების მეუღლეებიდან პირველმა, მონაწილეობა მიიღო ჰომოსექსუალთა პარადში მაშინ, როდესაც მან უარი განაცხადა წმ. პატრიკის დღეს პარადზე გამოსულიყო ნიუ-იორკში.

აქვე მახსენდება აწ უკვე გარდაცვლილი, ვენერიულ სნეულებათა მკურნალი დოქტორი ბადრი ჩლაიძე. მან დანანებით გამანდო, რომ თბილისში ასეულობით ჰომოსექსუალისტია, რომლებიც ჩვენს კლინიკაში ესინჯებიანო, მაგრამ საგანგაშო ის არის, რომ ერთი-ორი თუ მოდის ჩვენთან დამორცხვებით, უმრავლესობა კი - უტიფრად და ამაყადო.

პ. ბიუკენენს მოჰყავს ციტატა ენგელსის წიგნიდან "ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა": "პირველი პირობა ქალის განთავისუფლებისა - ყველა ქალის მიზიდვა საზოგადოებრივ საქმიანობასთან... აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა მონოგამური ოჯახის მოცილე-

ბისა, როგორც საზოგადოების ეკონომიკური უკრედისა". ამის მერე რაღა მოეთხოვებათ სოციალისტებსო, ამბობს ბიუკენენი. "ახალი კათეხიზისის მიხედვით, - განაგრძობს იგი - სკოლების გამოყენება ბავშვებისათვის იუდაისტურ-ქრისტიანულ რწმენათა დანერგვისათვის კატეგორიულად იკრძალება. პირიქით, სკოლები მოწოდებულია ბავშვებს ჩაუნერგონ მოთმინება, ტოლერანტობა სიცოცხლის ყველა არსებულ ფორმათა მიმართ, აღზარდონ მათში პატივისცემა ყველა კულტურისადმი, იქადაგონ "რეპროდუქციული თავისუფლება" და სასურველობა რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური დივერსიფიკაციისა".

მაგრამ ასეთი აღზრდა საბოლოოდ მოსწავლეთა უპრინციპობასა და დემორალიზაციას რომ იწვევს, ამაზე თავად მე ვისაუბრე გასულ წელს - იხ. ჩემი წერილი "სახელმწიფო სკოლაში რელიგიური განათლების პერსპექტივაზე".

სინამდვილეში, აგრძელებს ბიუკენენი, "კულტურული რევოლუცია" სულაც არ იღვწის, რათა შექმნას თანაბარი პირობები ყველა რწმენისა და რელიგიისათვის; იგი ილტვის ახალი ეთიკური ჰეგემონიის დამყარებისაკენ. სკოლიდან განდევნილია ბიბლია, წმ. მამების წიგნები, რელიგიური სიმბოლოები, რელიგიური სურათები, აკრძალულია საეკლესიო დღესასწაულები...

შემდეგ ავტორი აღნიშნავს, თუ როგორ ანტიქრისტიანულ მოწოდებებს ისროდა მომღერალი ჯონ ლენონი და საერთოდ როგორ ებრძვიან თეთრ რასას - "კაცობრიობის კიბოს".

ბიუკენენი დაჟინებით ხაზს უსვამს მარქსისტების დანაშაულს. იგი წერს, რომ კომინტერნის აგენტები- დიერდ ლუკაჩი და ანტონიო გრამში ითხოვდნენ სკოლებში "სექსუალური აღზრდის" შემოღებას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ბავშვებს ასწავლიდნენ თავისუფალ სიყვარულს და სექსუალურ ყველაფერზე ნებადართულობას. ჯამში კი ვღებულობდით დექრისტიანიზაციას. შემდეგ ავტორი ახსენებს ე.წ. "ფრანკფურტის სკოლას" (ე. ფრომი, ვ. რაიხი, ადორნო), რომელიც მომხრე იყო "კულტურული დეტერმინიზმისა". ჰორკჰაიმერის კითხვაზე, თუ ვინ შეასრულებს პროლეტარიატის როლს მომავლის კულტურულ რევოლუციაში? ცნობილი ჰერბერტ მარკუზე პასუხობს: "რადიკალური ახალგაზრდული დაჯგუფებები, ფემინისტები, შავკანიანები, ჰომოსექსუალები, მარგინალები, რევოლუციონერები მესამე სამყაროს ქვეყნებიდან და დასავლეთის სხვა "მსხვერპლნი". ასეთი არის ახალი პროლეტარიატი, რომელიც მოწოდებულია დასავლური კულტურის დასამხობად. მარკუზეს თქმით: სექსი და ნარკოტიკები დაგვეხმარება ჩვენ. იგივე მარკუზე ავრცელებს ცნობილ მოწოდებას: "მისდიე სიყვარულს და არა ომს". 60-იან წლებში მკერდზე ატარებდნენ ნიშანს წარწერით: "Make love not war" - "მისდიეთ სიყვარულს და არა ომს", ასევე: ნუ გვიშლით ხელს, რომ სექსით ვიყოთ დაკავებული! ერიხ ფრომი ამტკიცებდა, რომ განსხვავება სქესთა შორის არ არის ჩადებული ადამიანურ ბუნებაში, ისინი მხოლოდ ფიქციებია, რაც დამახასიათებელია დასავლეთის კულტურისათვის. ვილჰელმ რაიხი: ავტორიტარული ოჯახი ავტო-

რიტარული სახელმწიფოა მინიატურაში... ოჯახური იმპერიალიზმი თავის თავს იმორებს სახელმწიფოებრივ იმპერიალიზმში. ადორნოსათვის პატრიარქალური ოჯახი ფაშიზმის აკვანია. 1973 წელს, - განაგრძობს ბიუკენენი - ამერიკულ ფსიქიატრიულ ასოციაციას ბრალი დასდეს სექსუალურ უმცირესობათა დისკრიმინაციაში, რამდენადაც მან ჰომოსექსუალიზმი შეიტანა დაავადებათა სიაში. ხოლო ღღეს, აღნიშნავს ისევ ავტორი, ვინც დაიწყებს ამდაგვარის მტკიცებას, ეშუქრება დიაგნოზი "ჰომოფობია". გადავშალოთ "ჰუმანიტარული მანიფესტი" 1973 წლისა - აცხადებს ბიუკენენი - იქ შესულია ყველა ის დებულება, რომლებითაც ღღეს ჩვენს ბავშვებს სკოლებში ტვინს უჭყლეტენ: "რწმენა ღვთისა, რომელიც ჩვენს ლოცვებს ყურად იღებს... არის რწმენა დაუმტკიცებელისა, წარსულის გადმონაშთი... ტრადიციულმა ეთიკამ ვერ შეძლო თანამედროვე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება... მრავალი სხვადასხვაობა სექსუალური ქცევისა არ შეიძლება ჩაითვალოს ცუდ ქცევად".

ბიუკენენი აღშფოთებით განაგრძობს: "სეკულარული ჰუმანიზმი" თავისთავად რელიგიას წარმოადგენს, ამერიკული ელიტის რელიგიას, რომელსაც საზოგადოებაში ნერგავს უმაღლესი სასამართლო... ქრისტიანები დაამარცხა მებრძოლმა უმცირესობამ, რომელთა რწმენები უცხოა ამერიკული ერუ პროვინციებისათვის, მაგრამ რომელმაც მოახერხა შეღწევა უმაღლეს სასამართლოში და მისი მეშვეობით საკუთარი ნება-სურვილის კარნახი.

შემდეგ ბიუკენენი ჩამოთვლის მრავალ მაგალითს, თუ ჰომოსექსუალისტები როგორ შეურაცხყოფენ ქრისტიანულ სიწმინდეებს... ხდება შავკანიანების, ინდიელების ყოველმხრივი გამართლება, ეს მაშინ, როცა დანაშაულის 90% შავკანიანებზე მოდის! ქრისტეს გინება შეიძლება, ოღონდ მარტინ ლუთერ კინგს არ უნდა აგინო! ასევე ლანძღავენ კოლუმბსა და ესპანელ კონკისტადორებს ინდიელთა მიმართ ულმობელი დამოკიდებულების გამო, მაშინ, როცა იმდროინდელი ინდიელები კანიბალები იყვნენ... და სხვ. და სხვ.

ეს გახლავთ მხოლოდ მცირე ამონაკრები, რასაც გვაუწყებს ბიუკენენის წიგნი. მაგრამ თავად ამ წიგნის არსებობით ერთი არსებითი რამ ცნაურდება, კერძოდ, არსებობს ორი ამერიკა, ე.ი. არსებობენ ისინი, ვინც ამ ვებერთელა ქვეყნის დექრისტიანიზაციას შეძლებისდაგვარად ხელს უშლიან და ებრძვიან. ამიტომ არ შეიძლება ყველას ერთ ქვაბში ჩაყრა და ჩვენში გავრცელებული გამოთქმის ხმარება, რომ "ამერიკა დალპა" და ა.შ. მაგრამ ასეთი განგაშის ამტეხი მარტო ბიუკენენის წიგნი როდი გახლავთ. მაგალითად, ასეთივე განგაშის ამტეხია ს. ჰანტინგტონი, რომელიც ისლამის საშიშროებაზე მიგვითითებს და დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა დაჯახების გარდაუვალად მიიჩნევს. აქვე შეიძლება დავასახელოთ ცნობილი ავტორები: ფუკუიამა, ი. ვალერსტაინი, მ. მიეგელი, პ. ჰანე და სხვები. ეს უკანასკნელი გერმანული სამყაროსათვის იმავე საშიშროებაზე საუბრობს, რაზედაც საუბრობს ბიუკენენი, მაგრამ ამას ემატება ის ჩივილი, რომ გერმანელი ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გერმანულადაც ვეღარ მეტყველებს და მათი ენა რაღაც საზიზღარი შენარევებისაგან

შედგება. შემდეგ პ. ჰანე კითხულობს: "რომელი ღირებულებების დაცვა გვსურს ჩვენ? როდესაც ბუნდესვერის ნაწილები ანტიტერორისტული მიზნით ავღანეთში გაუშვეს, ეს კითხვა მაშინ დაისვა. უმრავლეს მოქალაქეთათვის ნათელია, რისი წინააღმდეგი ვართ და რას ვებრძვით: ფუნდამენტალიზმს, ისლამიზმს, ტერორიზმს, ფანატიზმს. მაგრამ ახლა რომ ვიკითხოთ, თუ საკუთრივ ჩვენ რას ვიცავთ და რომელი ღირებულებებია ისინი, რომელთა გამო თავი უნდა დავდოთ... აი, აქ კი ისადგურებს დიდი სიჩუმე. ჩვენ ვუწყით, რის წინააღმდეგ, მაგრამ არ ვიცით - რისთვის". რაც შეეხება დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ კურსს, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ არც ის ვუწყით "რის წინააღმდეგ" და არც - "რისთვის".

ცნობილია ქრისტეს დამცინავი პრიმიტიული გამოსახულება პალატინზე მე-3 საუკუნისა, რომელიც მას წარმოგვიდგენს ვირის თავით, ხოლო მის ქვემოთ მინაწერი გვამცნობს: "ალექსამენოსი თაყვანს სცემს თავის ღმერთს". და აი, 2005 წლის 20 აგვისტოს ქ. კიოლნში ჩასული ბენედიქტე XVI-ს წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციაზე ერთ-ერთი დემონსტრანტი თავზე ჩამოცმული ვირის თავით მოაბიჯებდა და მაისურზე ეწერა -" მორწმუნე"! სხვა დემონსტრანტები ეშმაკის რქებითა და პედერასტული მანჭვა-გრეხვით მოდიოდნენ...

სხვებზე არ ვიცი, მაგრამ პირადად ჩემზე ამის ხილვამ აღძრა იმის შეგნება, რომ წარმართული სული არათუ მოკვდა, არამედ აღზევებული კვლავ უტევს ქრისტიანობას. ამან კიდევ გამახსენა მერეჟკოვსკის შესანიშნავი რომანი "ლეონარდო და ვინჩი", სადაც აღწერილია, რომ რენესანსული სულისკვეთების გაჩენას და ბორჯიების გაბატონებას წინ როგორ უსწრებდა ანტიკური სკულპტურების პოვნა რომის შემოგარენში და მათი არქეოლოგიური მოპოვება.

საინტერესოა, როგორი ხედვა გააჩნია ეკლესიას ამ კრიზისის მიმართ, რომელშიაც ვიმყოფებით და იმ მოსალოდნელ კატასტროფაზე, რომელიც გველოდება. შეიძლება ითქვას, რომ ხედვა ადეკვატურია და ასევე - დასახული ხსნის გზაც. სიტყვა დავუთმოთ ათონის მთის ვატოპედის მონასტრის ბერს, იოსებ ვატოპედელს (დაიბ. 1921 წ.): "...წინათგრძნობა დალუპვისა, რომელიც სულ უფრო ძლიერ იპყრობს მსოფლიოს, და სასოწარკვეთილების ის კივილი, რომელიც ყველგან ისმის. დალუპვა, რისკენაც უცილობლად ისწრაფვის ადამიანი, აიხსნება, უდავოდ, მისი დამახინჯებული აზროვნების წესით, რომლიდანაც მოდინარეობს მისი ქმედებების დამახინჯებული წესი - ხოლო ეს წარმოადგენს ადამიანური ცხოვრების რეალურ გამოცდილებას. სახარებაში ნათქვამია: რასაც ადამიანი დასთესს, იმასვე მოიმკის (გალ. 6,7)... და რა გაფუჭებული და გარყვნილიც არ უნდა გვეჩვენებოდეს პიროვნება დაცემის მერე, ჯერ კიდევ არ არის დაკარგული თავად საფუძველი მისი ძალისა - ნება. და მართლაც, როგორც ბატონი საკუთარი ნებისა, ადამიანს აქვს უფლება არჩევანისა საკუთარ განსჯათა შორის".[55]

---

55 Старец Иосиф Ватопедский, Аскеза - Матерь Осаящения, М. 2005.

დასავლური ეკლესიის წარმომადგენელთაგან იმაზე უკეთესი ვერ შეეარჩიე, ვიდრე დღევანდელი რომის პაპი, ბენედიქტე XVI, რომელიც ჯერ კიდევ კარდინალად მყოფი რიგ საგანგაშო განცხადებებს აკეთებდა. კერძოდ, მას ის თავისუფლება მიაჩნდა დასაგმობად, რომელიც სხვათა სიწმინდეს აბუჩად იგდებს. მხედველობაში აქვს, რომ დასავლეთში იკრძალება იუდაიზმისა და ისლამის კრიტიკა, მაგრამ დასაშვებია ქრისტიანობის აბუჩად აგდება. რატცინგერი აღნიშნავს აგრეთვე ოჯახების რღვევის მომრავლებას და ჰომოსექსუალიზმის მომძლავრებას. იგი ასახელებს ახალი დროის მთავარ "მიღწევას", რის შედეგადაც ჭეშმარიტების ცნება პრაქტიკულად გვერდით მოსროლილია და მის ადგილს პროგრესი იკავებს. ამგვარად, პროგრესი თავად "ხდება" ჭეშმარიტება. მაგრამ ამ მოჩვენებითი ამაღლებით იგი მიმართულების გარეშე რჩება და თავის თავს აუქმებს. თუკი მიმართულება არ არსებობს, ყოველივე შეიძლება იყოს როგორც პროგრესი, ასევე რეგრესი.[56] აუცილებელი პროგრესი მასონური დოგმაა, ისევე, როგორც ანთროპოლოგიური ოპტიმიზმი, ინდივიდუუმის გაღმერთება და პიროვნების დავიწყება. დაბოლოს, რატცინგერი ირონიულად აცხადებს, რომ "ადამიანი გრძნობს თავს სრულიად თავისუფლად, თუკი იგი ღმერთს მოიშორებს. ასე ეგონა ადამს: იგი ღმერთს კონკურენტად მიიჩნევდა და სურდა თავისი ცხოვრება თავად წარემართა... ასევე განაცხადა სარტრმა, რომ ღმერთი უნდა უარვყოთ, თუნდაც იგი არსებობდეს, რადგან ღმერთის ცნება ადამიანის თავისუფლებასა და სიდიდეს ეწინააღმდეგება. მაგრამ გახდა კი ქვეყანა, - კითხულობს რატცინგერი, დღევანდელი პაპი ბენედიქტე XVI,- უფრო ნათელი, მხიარული, თავისუფალი მას მერე, რაც მან ღმერთი მოიცილა?"

ახლა სხვა კითხვა დავსვათ. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისამდე, სანამ ბიუკენენი და სხვანი განგაშის ზარს შემოჰკრავდნენ, განა არ არსებობდა გამაფრთხილებელი მოწოდებები? საქმეც ის არის - არსებობდა და თანაც - არაერთი. მაგალითად, ავიღოთ გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი ოტმარ შპანი, რომლის "ისტორიის ფილოსოფია" 1932 წელს გამოიცა. რას გვაუწყებს ავტორი? იმჟამინდელ ეპოქაზე, თითქმის, იმასვე, რასაც ბიუკენენი. მაგრამ, მისგან განსხვავებით, შპანი მეტაფიზიკური ძირების ძიებაშია. მას მიაჩნია, რომ "ისტორიაში ცოტა იყო ეპოქა, რომელშიაც ბოროტება ისე იყო ფესვგამდგარი, როგორც დღესაა". ამას ხელს უწყობს პრესა, რადიო, კინო, ოპერეტა, სხვადასხვა სახის რევიუ და სხვა (იმჟამად ტელევიზია არ არსებობდა). ასეთი ატმოსფეროს შექმნისათვის შპანი ადანაშაულებს მატერიალიზმს, ემპირიზმს, "სხვადასხვა სახის პოზიტივიზმს". "სავსებით ბუნებრივად გამოიყურება ის გარემოება," - ამბობს ო. შპანი - "რომ თავად ამ

---

56 Joseph Kardinal Ratzinger, Werte in Zeiten des Umbruchs, Freiburg - Wien, 2005. შემდეგი ციტატებიც ამ წიგნიდანაა.

მიმართულებებს, რომლებიც არაორაზროვნად აპელირებენ სულიერ ფსკერს, ჰყავთ თავიანთი "ჰენიოსები", რომელთა ჰენიოსობაც მდგომარეობს უნარში-ეპირფერონ ხალხს. ადრე ეს იყო რუსო ("ადამიანი კარგია, ხოლო კულტურა, რომლის ჩარჩოშიც მიმდინარეობს სულის აღზრდა - ცუდი"), რობესპიერი, სენ-ჟიუსტი, დანტონი, მარატი, პრუდონი ("ღმერთი ბოროტებაა", "საკუთრება - ეს ქურდობაა"), ლოკი, იუმი, ადამ სმიტი, რიკარდო; შემდეგ - მარქსი, ბიუხნერი, მოლეშოტი, დარვინი, ჰეკელი, ჯონ სტიუარტ მილი და ათასი სხვა მორალური მკვლელები და დამნაშავენი, რომელთაც სასიკვდილო ბრძოლა გაუმართეს იდეალიზმსა და რომანტიზმს. ისინი ცდილობდნენ მეცნიერებით შენიღბვას, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლითა და სამართლიანობისადმი სწრაფვით. დღეს მათი მემკვიდრენი, თითქმის, აშკარა შეტევაზე გადაიდნენ, ბოროტების ძალნი, რომელთა შორის პირველ ვიოლინოზე უკრავენ სიხარბე და სექსი, ისეთი ადამიანებით სათავეში, როგორიცაა ფროიდი, ცდილობენ მსოფლიოზე ძალაუფლების მოპოვებას (სად მივა ფროიდთან სექსუალური მოჯანყე რუსო!). დღეს ეს ძალები, თითქმის, აღარ ინიღბებიან "მეცნიერული გამოკვლევებით". დღეს ჯოჯოხეთის დემონები, დაუფარავი ბოროტება, უკვე აშკარად და დაუსჯელად გამოაჯავრებენ ხოლმე შემოქმედებით სულს". ო. შპანი არ ივიწყებს ისეთ სავალალო მოვლენასაც, როგორიც არის სქესთა აღრევა. იგი წერს: "მამაკაცთა ფემინიზაცია და ქალთა ამაზონიზაცია თანაბრად დამღუპველია. ჩვენ ამაში შეგვიძლია დავრწმუნდეთ, თუკი განვიხილავთ ნებისმიერ ისტორიულ პერიოდს, რომელსაც დარწმუნებით შეიძლება ვუწოდოთ დაცემის პერიოდი."

ო. შპანი თავად გამოყოფს ცალკე შემდეგს: "ბოროტების ძალები როგორც ისტორიულ დაძაბულობათა მატარებელნი (დაძაბულობები როგორც ნიშანი ისტორიისათვის დამახასიათებელი არასრულყოფილებისა)". ამ თავში ისტორიული მაგალითების მოხმობით შპანი მიუთითებს "დაძაბულობის სხვადასხვა წყაროებზე, რომელთა მიზეზად გვევლინებიან ბოროტების ძალები." სამწუხაროდ, აქ ვერ განვიხილავთ თავისთავად ძალზე საინტერესო ისტორიულ მოვლენებს, რომლებსაც თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებს შპანი, მაგრამ საქართველოს უახლესი ისტორიის "დაძაბულ" და ტრაგიკულ მომენტებს კი მოკლედ უსათუოდ შევეხებით. მანამდე კი - ისევ მოზრდილი ციტატა შპანის წიგნიდან. იგი წერს: "ჩვენ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ ხელოვნების ამჟამინდელი გადაგვარება: განზრახული პრიმიტივიზმი, დადაიზმი, კუბიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ატონალური მუსიკა და სხვა მრავალი; არ გავიხსენოთ დამახინჯებები მეცნიერებაში: ათეისტური მეცნიერება, რომელიც უგულებელყოფს ირაციონალურს და წმიდას (ინტელექტუალიზმი, ზიზღი ზნეობრივი სიდიდის უბრალოებისადმი, ე.ი. ყოფიერებისადმი, აზროვნებისაგან განსხვავებით); გადაგვარება საზოგადოებრივი ზნეობისა... სხვა დამახინჯებებს, რომელნიც გამოწვეულნი არიან ბოროტების ძალებით, მივყავართ ისტორიულ დაძაბულობებისაკენ, ასეთებია: ნაცვლად ბუნების ჯანმრთელი გრძნობისა და მასთან შინაგანი კავშირისა - დეიზმი, ბუნების მექანისტური გაგება, წმინდა მათემატიკური ფიზიკა,

დარვინიზმი, მატერიალიზმი; ნაცვლად საკუთარი ხალხის გრძნობისა და საკუთარი სამშობლოსი - შოვინიზმი, პრიმიტიული ნაციონალიზმი; ნაცვლად პრაქტიკული აზრიანობისა - უტილიტარიზმი, სიხარბე, სიძუნწე ან, პირიქით, გამომწვევი ფუფუნება. თვით კომფორტს, რამდენადაც იგი ხელს უწყობს სულიერ სიზარმაცეს, გააჩნია დემონური ზემოქმედება. ხოლო აქედან უნდა გაკეთდეს დასკვნა ახალი დროის მთელი ტექნიკის დემონურ ხასიათზე. კეთილშობილი ადამიანურობისა და ძმური სიყვარულის შეცვლა ჰუმანისტურ მგრძნობელობაზე და პაციფიზმზე, სამართლიანობისა და ორგანული თავისუფლებისა - ლიბერალიზმზე, დემოკრატიაზე, პარლამენტარიზმზე და კომუნიზმზე - ყოველივე ეს ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ ისტორიაში მყოფ ბოროტების ძალთა გამოვლინების ქმედებებს. დაძაბულობები, რომელთა მატარებელნი ისტორიაში მყოფი ბოროტების ძალებია, უთვალავზე უთვალავია... განიხილავენ რა შეფარდებას ბნელი და ნათელი მხარეებისას, ადამიანებს უკვირთ ის სასწაული, რომ დაცემამ და გახრწნამ ჯერ ყოველივე კიდევ არ მოიცვა, რომ ჯერ კიდევ არ გაანადგურა ყოველივე არსებული. სასწაული ის კი არ არის, რომ გახრწნამ ჯერ კიდევ რაღაც არ მოიცვა, არამედ, ისტორია რომ საერთოდ კიდევ გრძელდება."

ასეთი იყო ამ ორიგინალური და ღრმა მოაზროვნის შეფასება იმდროინდელი ეპოქისა. მაგრამ ოტმარ შპანს კიდევ უფრო ადრე ოსვალდ შპენგლერი უსწრებდა, რომლის ორტომიანი "დასავლეთის დამხობა" (პირველი ტომი გამოიცა 1918 წელს, მეორე - 1922), სათაურის მიხედვით, უკვე მის შინაარსზე მეტყველებს და რომლის დახასიათებასაც გვერდს ავუვლით, რადგან თავის პოპულარობის წყალობით მისი ხილვა ნებისმიერ ფილოსოფიურ ცნობარში შეიძლება.

მაგრამ პრინციპულად თუ ვილაპარაკებთ, მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში დიდი ლაიბნიცი გვაფრთხილებდა. თავის "ახალ ცდებში..." იგი წერს, რომ ეპიკურეს და სპინოზას მოწაფეებმა "დაკარგეს რა შიში ფხიზელი განგებისა და მრისხანე მომავლის წინაშე, ნებაზე მიუშვეს თავიანთი უხეში ვნებები და წარმართავენ თავიანთ ზრახვებს იმისაკენ, რათა აცდუნონ და გარყვნან სხვა ადამიანები. ხოლო თუკი ისინი პატივმოყვარენი არიან და ბუნებით რამდენადმე სასტიკნი, მაშინ მათ უნარი შესწევთ თავიანთი კმაყოფილების ან სარგებელის გამო დაანთონ მსოფლიო ხანძარი. მე ვიცნობდი ასეთი ბუნების ადამიანებს, რომლებიც უკვე იმქვეყნად არიან. მე იმასაც ვფიქრობ, რომ ამდაგვარი შეხედულებები, თანდათანობით იპყრობენ რა ამა ქვეყნის ძლიერთა გონებას, რომლებიც სხვა ადამიანებს მართავენ და რომლებზედაც დამოკიდებულია საქმის ბედი და შეაღწიეს რა მათ მოდურ წიგნებში, ამზადებენ ყველაფერს საყოველთაო რევოლუციისათვის, რომელიც ემუქრება ევროპას... სამშობლოს სიყვარულს აბუჩად იგდებენ; ადამიანებს, რომლებიც ზრუნავენ საზოგადოებრივ სიკეთეზე, დასცინიან, და როდესაც ვინმე კეთილგონიერი ადამიანი ეუბნება მათ იმის თაობაზე, თუ რა დაემართება შთამომავლობას, ასე პასუხობენ: "იყოს, რაც იქნება". მაგრამ შეიძლება ისე

მოხდეს, რომ ეს ბატონები თვითონ იწვნევენ უბედურებებს, რომლებსაც სხვისთვის განკუთვნილად მიიჩნევენ. თუკი კიდევ მოხერხდება განკურნება სულის ამ ეპიდემიური ავადმყოფობისა, რომლის დამლუპველი შედეგები აშკარა ხდება, მაშინ, შესაძლოა, ამ უბედურებათა თავიდან აცილება. მაგრამ, თუკი იგი პროგრესირებას განიცდის, მაშინ განგება ადამიანებს გამოასწორებს სწორედ იმ რევოლუციის დახმარებით, რომელიც ყოველივე ამას უნდა წარმოეშვა.“ [57]

ზუსტად აღსრულდება ლაიბნიცის წინასწარმეტყველება და იმავე საუკუნის ბოლოს საფრანგეთის დიდი რევოლუცია ევროპას სისხლის მორევში გადაისერის. მოკლედ დავახასიათოთ ეს რევოლუცია, რომელსაც მისი მკვლევარი, ინგლისელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, კ. ჰ. დოუსონი მიიჩნევდა რუსეთის რევოლუციაზე უფრო აღმატებულად, რადგან “იდეათა მოძრაობა საფრანგეთში იყო უფრო ფართო და ღრმა, ვიდრე რუსეთში და მოვლენებზე უფრო დიდი ზემოქმედება იქონია.“ [58] ამ რევოლუციის დახასიათებისას ჩვენ მივმართავთ ჰეგელის “სულის ფენომენოლოგიას“, კუნო ფიშერის შესაბამის ტომს ჰეგელზე და მეოცე საუკუნის ფრანგულენოვანი მემარცხენე ჰეგელიანელის, ალექსანდრე კოჟევის ლექციებს ჰეგელზე.

ჰეგელის მიხედვით, მთავარი დოგმატი განმანათლებლობისა, როგორც წინაპირობა რევოლუციისა ანუ მისი იდეური დასაყრდენი, არის ის, რომ ცალკეული ადამიანი, როგორც ბუნების შვილი, თუკი იგი არ არის დამახინჯებული აღზრდითა და განათლებით, არის კეთილი. მას ეთანხმება განმანათლებლობისადმი მეგობრულად განწყობილი რწმენა ანუ რელიგიური, დეისტური განმანათლებლობა. აქ, კუნო ფიშერის თქმით, ჰეგელი გულისხმობს რუსოს, თუმცა, მას არ ასახელებს. ბუნებრივი ადამიანის სიკეთის რწმენიდან აღმოცენდება ის დაჯერებულობა, რომ უსამართლოა ინდივიდუუმთა ყოველი დიფერენცირება შედეგად განვითარებისა, განათლებისა, სოციალური მდგომარეობისა, წოდებათა განსხვავებისა და ა.შ. ასე, რომ ყველა ადამიანი ბუნების მიხედვით თანაბარია და ყველა უთანასწორობა სახელმწიფოში არის ბოროტება. თავისუფლებას ემატება თანასწორობა. ეს ცნებები ერთმანეთის მიმართ ისეთ დამოკიდებულებაში არიან, როგორც საფუძველი და შედეგი. აბსოლუტური თავისუფლება მდგომარეობს გათანაბრებაში, განსხვავებათა მოსპობაში, სინამდვილის ჭეშმარიტ გარდაქმნაში, ე.ი. რევოლუციაში. აბსოლუტური თავისუფლება განეკუთვნება ცალკეულ ბუნებრივ ადამიანს. სწორედ ამ პუნქტს, რისკენაც მივყავართ განმანათლებლობას, არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. კუნო ფიშერის თქმით, შედეგი, რომელზედაც ზუსტად მიუთითებს ჰეგელი, აშკარაა: “მაშასადამე, საყოველთაო თავისუფლებას არ ძალუძს აწარმოოს არავითარი დადებითი საქმე ან

---

57 Г.В.Лейбниц. Новые опыты о человеческом разумении автора системы предустановленной гармонии. Книга 4. гл. XVI. 4.

58. К.Г. Доусон. Боги революции. С.П. 2002. стр. 144.

აქტი; იგი მზადაა მხოლოდ უარყოფითი ქმედებისათვის: იგი არის მარტოდენ ფურია გაქრობისა". მაგრამ სახელმწიფოს ძალაუფლება არ შეიძლება ეკუთვნოდეს ყველა პიროვნებას განურჩევლად. ის რამდენიმე პირის ხელთ უნდა იყოს. ამიტომ კვლავ იწყება განსხვავება მმართველსა და მართულს შორის და უთანასწორობა, რაც, აბსოლუტური თავისუფლების მიხედვით, უსამართლობაა და ამიტომ კვლავ უნდა დაემხოს მმართველი პარტია. ამგვარად, აქ არ არის პარტიები, რომლებიც გაერთიანებული იქნებიან საერთო პატრიოტული ინტერესებით, არამედ არიან პოლიტიკური სექტები. ასე რომ, რევოლუციური სახელმწიფო ნიადაგ გადატრიალებებით ცხოვრობს (მკითხველს დღევანდელი საქართველოს ყოფა ხომ არ ახსენდება?!). გამარჯვებულთა ნება გამოიხატება მოწინააღმდეგის განადგურებაში. სწორედ ეს არის ჰეგელის მიხედვით "ფურია გაქრობისა". გამარჯვებული პარტია დამნაშავეა, რადგან იგი მართავს და ამგვარად დანაშაულს სჩადის საყოველთაო თანასწორობის მიმართ, რომელიც აბსოლუტურ თავისუფლებას ეფუძნება. მისი მოწინააღმდეგენიც დამნაშავენი არიან, რადგან აღძრავენ ეჭვს სახელმწიფოსადმი მტრული აზრების გამოხატვის გამო და რომელნიც ჯანყდებიან გამარჯვებული სექტის წინააღმდეგ. ვინც ეჭვს აღძრავს, უკვე დამნაშავეა და უნდა მოისპოს. ამაში მდგომარეობს საშინელებისა და ტერორის ბატონობა. ძირითადი დოგმატი განმანათლებლობისა, განაგრძობს კუნო ფიშერი ჰეგელის გადმოცემას, რომლის მიხედვითაც ადამიანები ბუნების მიხედვით თანასწორნი არიან, ხოლო უთანასწორობას ქმნის კულტურა - არსებითად მცდარია: ადამიანები ბუნების მიხედვით არ არიან თანასწორნი... ამიტომ ისინი თანასწორნი რომ გავხადოთ, მათ თავები უნდა დავაყრევინოთ, როგორც ამას საფრანგეთის რევოლუციის დროს სჩადიოდნენ და ამით ცდილობდნენ, სიკვდილის საშინელებით აღმოეფხვრათ უთანასწორო აზრების ქონა. "აბსოლუტური" თავისუფლება, აღნიშნავს კოჟევი, ეს რაღაც არარსებულია: იგი არ არის, აი, ამიტომაც მისი "განსხეულება" ან გამომჟღავნება იქნებიან მხოლოდ სიკვდილი და არარა. რევოლუციური მმართველობა - ეს გამარჯვებული პარტიაა, და მისი დამარცხება ისევე აუცილებელია, როგორც სხვა პარტიათა დამარცხება. რადგან პოსტ-რევოლუციური მმართველობა არ იქნება პარტიული მმართველობა მთელის რაღაც ნაწილისა: იგი ან თვით გაუქმდება, ან მას გააუქმებენ. მაგრამ რამდენადაც იგი რევოლუციურია, იგი უნდა იყოს პარტიული მმართველობა, და, მაშასადამე, უნდა მართოს ტერორის (საშინელების) დახმარებით. მაგრამ მოვუსმინოთ თავად ჰეგელს: "ამიტომ ერთადერთი ქმნილება და აქტი საყოველთაო თავისუფლებისა არის სიკვდილი და ამავე დროს სიკვდილი, რომელსაც არ გააჩნია არავითარი შინაგანი მოცულობა და დასრულება, რადგან ის, რაც უარიყოფა, არის მიუღწეველი არსებობა აბსოლუტურად თავისუფალი თავისთავადობისა".

წარმოადგენს რა აბსოლუტურ თავისუფლებასა და ტერორს, როგორც განმანათლებლობის შედეგებს - აღნიშნავს კუნო ფიშერი - ჰეგელს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს საფრანგეთის რევოლუცია, რუსო, რობესპიერი,

1793 წელი, არ ასახელებს რა მათ სახელებს და ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება ის, რომ ფენომენოლოგიაში იგი ინტერესდებოდა არა ცნობიერების თვალსაზრისთა კავშირით ისტორიასთან, არამედ მათი აღმოჩენით და გამოსახვით.

საინტერესოა, რომ განმანათლებლური ბოროტების აღწერის შემდეგ ჰეგელის "ფენომენოლოგიაში" კუნო ფიშერი, რომელიც გარდაიცვალა 1907 წელს, ნათელმხილველივით კითხულობს: "ვის შეუძლია წინაღუდგეს იმას, რომ ცრურწმენა ადამიანთა ბუნებრივი თანასწორობის შესახებ არ დაბრუნდეს ფანატიკური აგზნებულობით კლასობრივი სიძულვილისა და მასთან ერთად შეშლილი მეთოდი ეგალიტარიზირებისა, ამ ნგრევის ფურიისა?

რაც შეეხება ა. კოჟევს, იგი გამოყოფს: "Das Böse (ბოროტება) - რევოლუციას და მას, ვინც ის განახორციელა; Verzeihung (პატიება) - ჰეგელის მიერ რევოლუციისა და ნაპოლეონის გამართლებას "ფენომენოლოგიაში" და "ფენომენოლოგიის" მეშვეობით". მაგრამ კოჟევი უფრო შორს მიდის. მისი აზრით, ისტორიას ამთავრებს სტალინი: "უბრალოდ ჰეგელი ორმოცდაათი წლით შეცდა. ისტორიის დასასრული არა ნაპოლეონია, არამედ - სტალინი, და მე უნდა გამომეცხადებინა ამის თაობაზე..." (1930-იანი წლების ბოლომდე კოჟევი თავის თავს "ურყევ სტალინისტს" უწოდებდა).[59]

იყო კიდევ ერთი ხმა, რომელიც წინასწარმეტყველებდა ქრისტიანული ევროპის დაღუპვას და სთავაზობდა მას ხსნის გზას მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში. ეს გახლდათ, კარლ შმიტტის დახასიათებით, "პირქუში ფილოსოფოსი ავტორიტარული დიქტატურისა, ესპანელი დიპლომატი დონოზო კორტესი". მისი ნაშრომები, კერძოდ,[60] საკუთრივ, "ესე კათოლიციზმზე, ლიბერალიზმზე და სოციალიზმზე" წარმოადგენს პოლემიკას ლიბერალიზმისა და ათეისტური სოციალიზმის წინააღმდეგ მიმართულს. მისი მიხედვით ისტორიაში დიდ როლს ასრულებს სამი დიდი თემა - სუვერენიტეტი, თავისუფლება და სოლიდარობა. ისინი ღვთისაგან მომდინარეობენ და ხორციელდებიან კათოლიციზმში. დონოზოს გამოცდილებას, როგორც რეალპოლიტიკოსისას და დიპლომატისას, ეფუძნება მისი ჭვრეტა ევროპის მომავლისა, რომელსაც რევოლუციათა, გათანაბრებისა და დემოკრატიზაციის შედეგად სრული დაღუპვისაკენ მიაქანებენ.[61]

ახლა კი გადავხედოთ საქართველოს და ოტმარ შპანის ტერმინოლოგიით გამოვყოთ ის "დაძაბულობების" მომენტები, რითაც აღსავსეა მისი ისტორია. ამ მხრივ, ბუნებრივია, უნდა განვიხილოთ ჩვენთან ახლო მდგომი

---

59. Новейший Философский Словарь, Минск 1999, стр. 319.

60. Essay über den katholizismus, den Liberalismus und den Sozialismus; Rede über die Diktatur - Hauptwerke der politischen Theorie, Stuttgart 1997.

61. აქაც ზედმეტად ვთვლით დონოზო კორტესის შემოქმედების ფართოდ განხილვას, რადგან იგი ჩინებულად წარმოაჩინა ცნობილმა ფილოსოფოსმა კარლ შმიტტმა და რაც მთავარია, არსებობს მისი შრომის რუსული თარგმანი, რაც ხელმისაწვდომი იქნება ჩვენი მკითხველისათვის - К. Шмитт, Политическая Теология. М. 2000.

და ბევრით ჩვენი დღევანდელობის განმსაზღვრელი მეოცე საუკუნე. რაკი კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ საქართველო ამ იმპერიის პროვინციად იქცა, ცხადია, ის სულიერი განწყობილება, რომელიც რუსეთის მასებში და მის ინტელიგენციაში სუფევდა, საქართველოშიც გავრცელდებოდა. როგორი იყო ეს განწყობილება? ამაზე პასუხის გასაცემად მივმართოთ ცნობილ რუს ფილოსოფოს სემიონ ფრანკს, რომელიც გვაუწყებს: "არსებული პოლიტიკური ფორმა ჩვენ გვეჩვენებოდა ერთადერთ წყაროდ მთელი ბოროტებისა. საკმარისი იყო ამ ფორმის მოსპობა და ხელისუფლებიდან იმ ხალხის ჩამოშორება, რომელნიც მას განასახიერებდნენ და მისი სულისკვეთებით იყვნენ გაჟღენთილნი, რომ ბოროტება გაქრებოდა და შეიცვლებოდა სიკეთით და დამყარდებოდა ოქროს ხანა საყოველთაო ბედნიერებისა და ძმობისა. კეთილი და ბოროტი იგივდებოდა მემარცხენე და მემარჯვენე, რევოლუციურ-განმანთავისუფლებელ და კონსერვატიულ-რეაქციულ პოლიტიკურ მიმდინარეობებთან. მაგრამ არა მხოლოდ სიკეთე და ზნეობრივი იდეალი ემთხვეოდა პოლიტიკური თავისუფლების იდეალს: მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია, კერძო ცხოვრება - ყველაფერი ემორჩილებოდა მასვე. საუკეთესო პოეტებად ითვლებოდნენ პოეტები, რომლებიც უმღერდნენ ხალხის გაჭირვებას და ვინც მოუწოდებდა ცხოვრების განახლებისაკენ, რომელშიც, რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა რევოლუცია. არა მხოლოდ 60-იანი წლების ნიჰილისტები, არამედ ადამიანები 90-იანი წლებისა ნეკრასოვის პოეზიას გაცილებით უკეთ შეიგრძნობდნენ, ვიდრე პუშკინის პოეზიას, რომელსაც ვერ პატიობდნენ მის კამერ-იუნკერობას და ვერც თვითკმარი ხელოვნებისადმი რწმენას; გატაცებით ტკბებოდნენ ნადსონის უნიჭო წუწუნით, რადგან იქ გაზვდებოდა სიტყვები "ტანჯულ ძმაზე" და "ბაალის" მომავალ დაღუპვაზე. ეჭვის შეტანა ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის გონების სიძლიერესა და სულიერ სიმართლეში ტოლფასი ხდებოდა სული წმიდის გმობისა: 90-იან წლებში ლიტერატურის კრიტიკოსი ვოლინსკი, რომელმაც გაბედა კრიტიკულად მოპყრობოდა ამ მიუკარებ სიწმინდეებს, გახდა სასტიკი ლიტერატურული გაროზგვის ობიექტი და საზოგადოებრივი აზრის ბოიკოტით განდევნილ იქნა ლიტერატურიდან".

ს. ფრანკი განაგრძობს: "მეცნიერული თეორიები ფასდებოდა არა მათი შინაგანი მეცნიერული მნიშვნელობით, არამედ იმისდა მიხედვით, იხრებიან თუ არა ისინი იმ აზრთა წყობის გასამართლებლად, რაც დაკავშირებული იყო რევოლუციასთან, ან, პირიქით, "რეაქციასა" და კონსერვატიზმთან. ეჭვის შეტანა დარვინიზმის, ან მატერიალიზმის, ან სოციალიზმის სიმართლეში ნიშნავდა ხალხისადმი ღალატს და გამცემლობის ჩადენას. არათუ რელიგია, არამედ ყოველი არამატერიალისტური და არაპოზიტივისტური ფილოსოფია თავიდანვე იყვნენ საეჭვონი და თვით თავიდანვე იქნენ ყალბად მიჩნეულნი იმიტომ, რომ მათში იგრძნობოდა სულიერი ნათესაობა "ძველ რეჟიმთან", მათი სტილი არ ეთანხმებოდა მიღებულ სტილს პროგრესულ-რევოლუციური მსოფლმხედველობისას. თუმცა, გამონაკლისებსაც უშვებდნენ, ან, უკიდურეს შემთხვევაში ითმენდნენ: ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ,

ერეტიკული იდეის ავტორს ემტკიცებინა, რომ ეს იდეა შესათანხმებელია რევოლუციურ რწმენასთან და თვით აუცილებელიც კი არის მისთვის, ან რომ იგი საერთოდ პოლიტიკურად კეთილგანწყობილია (ანუ მისდევდა "შემარცხენე" აზრებს) და - კიდევ უკეთესი - რომ იგი ხელისუფლების მიერ არის დაჩაგრული. მაგალითად, ვლადიმირ სოლოვიოვს ითმენდნენ და თვით ცოტა პატივსაც სცემდნენ მისი სიტყვის გამო, რომელიც მან წარმოთქვა ტერორისტების შეწყალებისათვის, მისი სტატიების გამო ნაციონალიზმზე და მისი თანამშრომლობისათვის "ვესტნიკ ევროპაში". ამისათვის მას პატიობდნენ, როგორც უცნაურ პირად ახირებას, გულუბრყვილო და მავნე რწმენას ღვთისა და ეკლესიისადმი."[62]

ვისაც წაკითხული აქვს გენ. ა. დენიკინის მემუარები, მან იცის, რომ "თეთრი მოძრაობა" საბოლოოდ დამარცხდა იმის გამო, რომ მასები თანაუგრძნობდნენ სოციალისტებს და არ სურდათ ძველი რეჟიმის აღდგენა. "ხალხოსანთა" მიერ მასებში სოციალისტური იდეების ინფილტრაციის შედეგი იყო ის, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც, რაზედაც წერდა ვასილი როზანოვი: ჩვენმა გლეხობამ რევოლუციის მერე, როგორც აბანოში ჭუჭყი, ისე ჩამოიცილა ქრისტიანობა!

ამ იდეების გავრცელების შედეგი იყო ისიც, რომ 1905 წელს გურიაში აჯანყება მოხდა სოციალური მოთხოვნებით და როდესაც ლევ ტოლსტოიმ მათ დასაშოშმინებლად წერილი მისწერა "ძვირფას გურულებს", მწერალმა, ალბათ, არც კი იცოდა, რომ ისინი ქართველები იყვნენ.

ამ იდეების სავალალო შედეგი იყო, რომ საქართველოში გაჩნდნენ ქართველი "მარქსისტები", რომელთა გაზეთები სისტემატურად გესლავდნენ ილია ჭავჭავაძეს, სანამ მათმა რადიკალურმა ფრთამ, "ბოლშევიკებმა", მისი მკვლელობა არ განახორციელეს. ილიას მოკვლით მათ სურდათ მისი მოწოდების "მამული, ენა, სარწმუნოების" გაცამტვერება. მართალია, ილიას მოკვლამ დიდად აღაშფოთა ქართველი საზოგადოება, მის დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო, მაგრამ სოციალისტ-კომუნისტთა ალაგმვა ამას არ მოჰყოლია: ვგულისხმობ მათი გაზეთების დარბევას, საპასუხო ტერორს და ა.შ. ასე, რომ საქართველოს ხელით განგმირული ილია სამარცხვინო ლაქად დარჩება ჩვენს ისტორიაში. სამაგიეროდ, დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921) საქართველოს მართავდა "მენშევიკი" ნოე ჟორდანია, სოც. დემოკრატიული პარტიის ლიდერი. "ყველაზე ძლიერი საქართველოში იყო სოც. დემოკრატიული პარტია. ისინი დიდხანს არ სცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას და მას ებრძოდნენ კიდეც" (იხ. ალ. მანველიშვილი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო 1984, გვ. 122). ბუნებრივია, რომ ჟორდანია არ ენდობოდა ქართველ ოფიცრობას, რომლებიც I მსოფლიო ომიდან სამშობლოში ბრუნდებოდნენ, რადგან ისინი "კლასობრივად" უცხონი იყვნენ ამ ხელისუფლებისათვის. მათ საპირისპიროდ

62. С.Л. Франк, Крушение кумиров, М. 1990.

დააარსეს რევოლუციური "სახალხო გვარდია". მხოლოდ როდესაც საბჭოთა რუსეთის აგრესია უკვე აშკარა იყო, მაშინ შეცვალა ჟორდანიამ თავისი ლოზუნგი "რუსეთის პროლეტარიატი არ უნდა დავკარგოთ" უფრო პატრიოტულზე, მაგრამ ველარაფერი გააწყო და ქვეყანა დამპყრობელს დაუტოვა.

საბჭოთა რეჟიმის აღწერას აზრი არა აქვს - იგი, თავისი ბოროტებით და ბოროტებაში შერეული სიკეთით (რაც უარყოფითი ძალის ცბიერებას განეკუთვნება), ყველას აქვს განცდილი და ყველას ახსოვს. ამიტომ პირდაპირ გამსახურდიას მმართველობაზე გადავალ. მის არჩევას წინ უძღოდა ხალხის ის განწყობა, რაც რუსულ ემიგრაციაში გამეფდა რევოლუციის შემდეგ. იმავე ს. ფრანკის თქმით: "ამჟამად ბევრისათვის სიკეთე იგივდება მემარჯვენეობასთან, ხოლო ბოროტება - მემარცხენეობასთან". ზუსტად ასევე, სოციალისტურმა იდეებმა მასებში კრახი განიცადა და ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გამსახურდიას, როგორც დიდ "მემარჯვენეს" და "ანტისაბჭოელს" დიდი ენთუზიაზმით მიესალმა და იგიც, როგორც ჟორდანია, სრულიად კანონიერად იქნა არჩეული პრეზიდენტის პოსტზე.[63] მაგრამ გავიდა პატარა ხანი და მისმა მმართველობამ მანიაკური (გამოთქმა ნ. ნათაძის გახლავთ) ხასიათი მიიღო, როგორც მისმა თანამებრძოლმა და მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, თენგიზ სიგუამ განაცხადა, მიუთითა რა პრეზიდენტს რაღაც უკანონობაზე, ზ. გამსახურდიამ ასე უპასუხა: კანონი მე თვითონ ვარ! ცხადია, ასეთი პრეზიდენტის ხელში ქვეყანა დასაღუპად იყო განწირული. თუნდაც ის რად ღირს, რომ მისი პარლამენტის ტაშის გრიალში, ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" ჯერ რუს გენერალს საბჭოთა ჯარი შეაყვანინეს, შემდეგ თავად მოკურცხლეს იქიდან და ქართველი მოსახლეობაც იმ ჯარის "საპატრონოდ" დატოვეს. თავად მისი გაპრეზიდენტება ძალზე სათუო იყო, თუნდაც, მისი პოლიტიკური რეპუტაციის გამო, რომ მან საკავშირო ტელევიზიის ეკრანზე გამოსვლით და შემდეგ მოსკოვში გამართულ სასამართლოზე მთლიანად გაიზიარა საბჭოთა პოლიტიკის კურსი და ჯერ დააბეზღა და შემდეგ დაგმო ამერიკელი კორესპონდენტები, რომელთაც სასწრაფოდ დაატოვებინეს საბჭოთა კავშირი. მაგრამ გამსახურდია იხსნა მერაბ კოსტავამ, რომელმაც მისი "გამამართლებელი" ბარათი დაწერა (გამსახურდიას დაჟინებით) და ზ. გამსახურდიამაც იგი ააფრიალა. ცხადია, კეთილშობილმა მ. კოსტავამ, რომელიც 1989 წელს დაიღუპა, არ უწყოდა, რომ გამსახურდია გაპრეზიდენტდებოდა და ამიტომ ასიამოვნა მეგობარს ამ ტყუილით. სამწუხაროდ, ჩვენი სამშობლო ყრუ პროვინცია იყო, განსაკუთრებით იმ დროს და ტყუილმაც გაჭრა. გამსახურდიას მმართველობას მოჰყვა დემოკრატიის შეზღუდვა (ჩვენი ოპოზიცია ტელეეკრანიდან ახლა რომ საათობით ლაპარაკობს, მაშინ ხუთი წუთიც არ დაუ-

63. გამსახურდიას მმართველობის ხანას მე ჯუბღვენი საგანგებო წერილს "გამსახურდიას მოვლენა"; ჩემი ავტობიოგრაფიის წყალობით, მას ჩემზე უკეთ არავინ იცნობდა და ამიტომ აქ ძალზე მოკლედ შემოვიფარგლები.

თმეს მას), სახალხო გამოსვლები, სროლა, დარბევა და, რაც მთავარია, რუსეთის "გკჩპ"-ს მოთხოვნით არმიის გადაკეთება მილიციის შენაერთად. მაგრამ ეს არ დასცალდა. შეიარაღებული ძალები ორად გაიხლიჩა და ერთი ნაწილი ხალხს მიემხრო პრეზიდენტის საწინააღმდეგოდ. პრეზიდენტმაც თავისი სიჯიუტით - "არ გადავდგები" - სამოქალაქო ომი გამოიწვია საქართველოში. გაიქცა საქართველოდან. შემდეგ, საქართველოს გაჭირვების ჟამს, როდესაც იგი ომობდა აფხაზეთში, შემოიჭრა სამეგრელოში კავკასიელი "კონფედერატების" დახმარებით, სწორედ იმათი, ვინც ქართველ მამაკაცებს თავებს ჭრიდა და ქალებს აუპატიურებდა. მათი დახმარებით მოაღწია სამტრედიამდე,[64] მაგრამ შემდეგ უკუიქცა და თავის მომხრეთა გარემოცვაში ჰპოვა ტრაგიკული აღსასრული.

ვინც დღეს გამსახურდიას მიერ კონფედერატების შემოყვანას უპირისპირებს (ან სულაც უარყოფს უსინდისოდ ამ ფაქტს) შევარდნაძის მიერ ბალტინის მეზღვაურების გადმოსხმას ფოთში, სულ ცოტა, რბილად რომ ვთქვა, ერთ რამეში ვერ გარკვეულა: ბალტინის შემოსვლას წინ უძღოდა აფხაზ-ჩეჩნების შემოყვანა სამეგრელოში და კიდევ ის, რომ ბალტინის შემოსვლა იმ შემთხვევაში იქნებოდა ბოროტება, თუკი იგი დღესაც იქ იქნებოდა, ანუ იგი ფოთს თუ მიიტაცებდა. მაგრამ ასე არ მოხდა და ეს ის გამონაკლისია (სასიკეთო), რაც რუსეთს იშვიათად გამოსვლია საქართველოს მიმართ. ყოველ შემთხვევაში, ის ვინც ლაპარაკობს შევარდნაძეზე, როგორც უარყოფით მოვლენაზე, უნდა ახსოვდეს, რომ არ ყოფილიყო გამსახურდია და მის ნაცვლად გონიერი და პატიოსანი კაცი აგვერჩია, საჭირო არ გახდებოდა შევარდნაძის ჩამოყვანა. ხოლო შევარდნაძე რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა სააკაშვილიც.

როგორი იყო შევარდნაძის მმართველობა? თავიდან ხალხი, თითქოს, ელირსა ნანატრ სტაბილურობას, მაგრამ შემდეგ რეჟიმი დალპა, ჩაიძირა კორუფციაში და საქმე საქმეზე რომ მიდგა, შევარდნაძეს ასლან აბაშიძის გარდა კაციშვილი აღარ დაეხმარა არც გარედან და არც შინაურებიდან. ეს იყო მისი "ბრძნული" და უპრინციპო პოლიტიკის შედეგი (ე.ი. ხან რუსეთი, ხან აშშ, უნიჭო "ბალანსირება" მათ შორის). სააკაშვილის დღევანდელი ხელისუფლება მას, თითქოს, ყველაფერზე ედავება, გარდა უმთავრესისა. სახელდობრ: თუკი შესაძლებელი ყოფილა რუსეთთან დათმობაზე წასვლა, როდესაც მის პრეზიდენტის სავარძელს აშკარა საფრთხე დაემუქრა ზვიადისტების მხრიდან და ამის გამო სასწრაფოდ "სნგ"-ში შესვლა (ისე, როცა ზ. გამსახურდიას გაუჭირდა, ისიც გაჰყვიროდა ბუნკერიდან "სნგ"-ში შესვლაზე!) და ბალტინის მოხმობა (ახლა ამტკიცებს შევარდნაძე, რომ ეს კუჩმას ვთხოვე და არა ელცინსო, მაგრამ ამით საქმე არ იცვლება, ფლოტი რუსული იყო), რატომ არ შეიძლეობდა იგივე სოხუმის მიმართ განხორციელებულიყო და იქ გრაჩოვის დაპირებული დივიზიები შესულიყვნენ?! დღეს ხომ ქართველს სოხუმში ჩაესვლებოდა?! როგორც ჩანს, შევარდნაძემ მაშინ ხარკი

---

64. მთელი ფაქტობრივი მასალები წყაროებზე მითითებით იხ. ჩემს წერილში "გამსახურდიას მოვლენა".

გაულო ჩვენს ურა-პატრიოტებს (რა გვაკავშირებს გრაჩოვთან!) საწყალი სოხუმის ხარჯზე, ხოლო, ვიმეორებ, როდესაც პირადად მას დაემუქრა განსაცდელი, მაშინ აღარაფერს მოერიდა (ისე, თბილისელებიც გადავრჩით ამით გამსახურდია-კონფედერატების შურისძიებისაგან!).

როგორიღაა დღევანდელი ხელისუფალი, მ. სააკაშვილი?! მართალი მოგახსენოთ, მისი მოღვაწეობა მრავალმხრივ ბადებს ეჭვს: მისი წარსული სამსახური საბჭოთა სასაზღვრო ძალებში, მისი ჩეკისტი ბიძა, რომელზედაც ასე ხმამაღლა გაჰყვირის ოპოზიცია, მისი, თითქოს, თავდადება "ვარდების რევოლუციის" დროს, მაგრამ პარლამენტის დარბაზში შეჭრისას კარებთან მისი შეყოვნება, მოტრიალება, ოპოზიციონერთა მოხმობა და მხოლოდ მათი რიცხოვნების გაზრდის შემდეგ ყვირილი "გადადექი" და რაც მთავარია, დარბაზში მაშინ არ იმყოფებოდა (და უნდა ყოფილიყვნენ!) არც ერთი სახელმწიფოს ელჩი და არც ჩვენი პატრიარქი. ხომ არ იყვნენ ისინი წინასწარ გაფრთხილებულნი? მაშინ ამ "თავდადებასაც" ფასი ეკარგება, რადგან ყველაფერი წინასწარ ყოფილა დაგეგმილი. შემდეგ: აჭარის "შემოერთების" უდავოდ დადებითი უსისხლო "ოპერაცია", მაგრამ აქაც, თითქოს, ყველაფერი იგორ ივანოვის ზედამხედველობით და მასთან შეთანხმებით ხდებოდა. შემდეგ სამარცხვინო კრახი ცხინვალთან მიმართებაში, ჩვენი ჯარისკაცების დაღუპვა, უკუსვლა, და ქართველი ჯარისკაცების იქ დაჩოქება... და რაც მთავარია, ამ უბედურებაზე კაცისშვილმა პასუხი არ აგო, არ აგებინეს... ახლა, როდესაც ამ სიტყვებს ვწერ, ორთაჭალის ციხეში ჩახოცეს პატიმრები, როგორც მათ ბრალებენ "ბუნტის" მოწყობის გამო. მაგრამ საბჭოთა დროს, თუკი ამდაგვარი რამ მოხდებოდა იქ, ე.წ. მე-8 პოლკს მიუშვებდნენ ხოლმე ხელკეტებით და ყველაფერი წყნარდებოდა. დავიჯერო, რომ მხოლოდ ავტომატის ცეცხლია ამ ხელისუფლების ხელში "დასაწყნარებელი საშუალება"?!

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ხანმოკლე ისტორიის მანძილზე ბოროტება უხვად მომძლავრებულა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს შელინგის აზრს იმის თაობაზე, რომ "სატანა ხელმძღვანელობს მსოფლიო პოლიტიკურ მოღვაწეობას, ჩვენს დროს იხსნება სისხლით მორწყული არენა ახალი ისტორიისა". კაცმა რომ თქვას, არაფერი ახალი, რაც არ მომხდარა მსოფლიო ისტორიაში, ჩვენთან არ ხდება. ეს ეხება აგრეთვე ქართველთა გათიშულობას. აბა, მოვუსმინოთ იოაჰიმ ფონ რიბენტროპს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰიტლერის დროს, თუ რას წერს იგი თავის "მემუარებში": "...დაქუცმაცებულობა და ყოველგვარი ერთიანობის არქონა - ეს, როგორც ჩანს, წარმოადგენს მოუსპობ, სპეციფიკურ გერმანულ მემკვიდრეობით ბოროტებას." ხოლო მისი რუსი კომენტატორის სიტყვები, თითქოს, ჩვენს დღევანდელ ყოფას ითვალისწინებს: "...გაგება თავისებურებებისა, რაც ახასიათებს ტოტალიტარულ სახელმწიფოებს, სადაც პროფესიონალიზმი, საქმიანობის ხარისხი უფრო ნაკლებად ფასობს, ვიდრე პარტიული და პირადი ერთგულება..." [65]

---

65. Иоахим фон Риббентроп, Мемуары, Смоленск 1998, стр. 433.

არსებობს გერმანელი პოლიტოლოგის, დოლფ შტერნბერგერის საინტერესო წიგნი სათაურით "პოლიტიკის სამი ფესვი",[66] სადაც ავტორი პოლიტიკას განიხილავს სამ განზომილებაში - "პოლიტოლოგიკურად", "დემონოლოგიკურად" და "ესქატოლოგიკურად". ეს სამი ლოგიკა მკვეთრად განსხვავდება ურთიერთისაგან. პირველს მიზნად აქვს დასახული ზრუნვა საზოგადო კეთილდღეობისათვის სახელმწიფოში. ამის თავკაცად ავტორი არისტოტელეს მიიჩნევს. მეორე, დემონოლოგიკა, მიზნად ისახავს საკუთარი თავის დამკვიდრებას (დემონის პოზიცია), ბრძოლას მოწინააღმდეგეებთან და მათ დაქვემდებარებას, რაც საბოლოო ჯამში მის გაბატონებას ემსახურება. აქ ავტორი მაკიაველის ეყრდნობა. მესამე, ესქატოლოგიკა, რომლის მამამთავრად ავგუსტინეა მიჩნეული, მიზნად ისახავს წმინდანთა შეკრებას, რომლებიც სრულიად განსხვავებული, იმქვეყნიური, ჰარმონიული სამყაროსაკენ ილტვიან.

დიდად სამწუხაროდ, საქართველოს სამივე პრეზიდენტი მეტ-ნაკლებად, ვიმეორებ, მეტ-ნაკლებად, დემონოლოგიკას განასახიერებენ.

ახლა დავსვათ კითხვა, თუ რამდენად სამართლიანია ბრძოლა ტირანიის, ან ტირანის წინააღმდეგ აჯანყების გზით. კიდევ უფრო მკაფიო გავხადოთ შეკითხვა: თუნდაც ხელისუფალი ტირანს არ წარმოადგენდეს, მაგრამ ყველა ჭკუადამჯდარი კაცისთვის აშკარა იყოს, რომ იგი ტირანიისაკენ მიისწრაფვის, რამდენად გამართლებული იქნება რევოლუციის მოწყობა?! აღსანიშნავია, რომ დასავლეთის, თითქმის, ყველა ქვეყანაში რევოლუცია მოხდა. თვით აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაშიც განმეორდა ის. ამის შედეგად ერები დადგინდნენ და ის სახე მიიღეს, რაც მათ განგებამ დაუწესა (დროებით?).

ზემოთ ჩვენ ნაწილობრივ გავაშუქეთ, თუ რა უარყოფითი შედეგები ჰქონდა საფრანგეთის დიდ რევოლუციას, რუსეთისაზე რომ არაფერი ვთქვათ (თუმცა, რუსეთის რევოლუციამ საქართველო იხსნა იმ გაგებით, რომ რევოლუციამდე საქართველოში უცხო ერის კაპიტალი ბატონობდა, თბილისში ქართველობა უმცირესობას წარმოადგენდნენ, თავად-აზნაურთა მამულები უცხოებზე იყიდებოდა და ამას ყოველივეს ილია შეებრძოლა, მაგრამ ილია მოკლეს).

ნაცისტების მოსვლა გერმანიაში ხელისუფლების სათავეში, შეფასებულ იქნა "ნაციონალურ რევოლუციად" და მისი შედეგებიც ცნობილია. მაგრამ არცერთი ეს რევოლუცია ტირანიის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, პირიქით, თავად დაამკვიდრეს ტირანული ბატონობა. ჰოფმანსტალის მიხედვით, ნაციონალისტური, ფაშისტური და ბოლშევიკური რევოლუციები "ნიჰილიზმის რევოლუციებია" და მომდინარეობენ სწორედ დიდი საფრანგეთის რევოლუციიდან. ახლა ისიც ვიკითხოთ, ასეთი რევოლუციის შედეგე-

66. Dolf Sternberger, Drei Wurzeln der Politik, Frankfurt a. M., 1978.

ბის წინააღმდეგ ბრძოლა ანუ კონტრრევოლუცია, არის თუ არა დასაშვები?! მაგალითად, ცნობილია, რომ 1919 წლის 13 აპრილს მიუნხენში, ხელისუფლების სათავეში, კომუნისტები მოვიდნენ, რომელთაც შექმნეს "ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა". მაგრამ მან ერთ თვესაც ვერ იარსება, რადგან ამ ბოროტების წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო გერმანელი ერის ჯანსაღმა ნაწილმა - ჯარისკაცებმა, ოფიცრობამ, სტუდენტებმა. გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლები მიუნხენის ქუჩებში და აჯანყებულებმა გაიმარჯვეს. სხვათა შორის, იცით, ვინ ღებულობდა ამ ბრძოლებში მონაწილეობას კომუნისტების წინააღმდეგ?! ვინა და სტუდენტი ვერნერ ჰაიზენბერგი, მომავალი ნობელის პრემიის ლაურეატი და დიდი ჰუმანისტი, რომელიც შემდგომშიც გამართლებულად მიიჩნევდა თავის მონაწილეობას ამ ბრძოლებში. თომა აკვინელიდან მოყოლებული მილტონის ჩათვლით და ბენედიქტე XVI გათავებული, ყველა ასეთ რევოლუციებს გამართლებულად მიიჩნევენ. ესე იგი, რევოლუციაც არის და რევოლუციაც! შელინგი, მაგალითად, ქრისტიანობის გამარჯვებას წარმართობაზე უწოდებს "რევოლუციათა შორის უდიდეს".

დაბოლოს, ნუ დავივიწყებთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომლის პრეამბულის მე-3 პუნქტში ვკითხულობთ: "ვინაიდან აუცილებელია უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს, მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ".

საქართველოსთან მიმართებაში, სამწუხაროდ, გამსახურდიასა და შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციებს თავიანთი გამართლება გააჩნიათ, რადგან, თუნდაც, ადმირალი კანარისის აზრით, მანკიერი რეჟიმი რაც უფრო დიდხანს დარჩება ხელისუფლებაში, მით უფრო იზრდება საშიშროება წესიერი ელემენტების დემორალიზებისა და თანდათანობით ხალხის გახრწნისა. რეჟიმი უნდა დაემხოს, თუკი გსურს შენი ხალხი უდიდეს ზიანს აარიდო.[67] ასეთი არის ის ბოროტება, რომელსაც უნებურად უნდა მიმართო, რომ სიკეთე დაამკვიდრო.

---

67. К.Х. Абшаген, Адмирал Канарис, Ростов, 1998.

თავი მეშვიდე

ბოროტება და პოლიტიკური ეთიკა

საგანგაშოა ის გარემოება, როდესაც ცნობილი მწერალი ფრანსუა მორიაკი ასეთ განცხადებას აკეთებს: დღეს უკვე იმას კი არ ვჩივით, რომ ათეიზმი მძლავრობს, რადგან ეს მე-19 საუკუნეშიც ასე იყო, არამედ იმას, რომ სიკეთის ცნება მოიშალა და ადამიანი ინდიფერენტული გახდა მის მიმართ. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ ის, რომ რევოლუციამდელი რუსეთის იმპერიაში, რომლის შემადგენლობაში ჩვენი პატარა სამშობლოც შედიოდა, ასევე ევროპასა და დასავლურ სამყაროში "მატერიალიზმი" და "მატერიალისტი" საგინებელი სიტყვა გახლდათ." მატერიალისტს" უწოდებდნენ ისეთ ადამიანს, რომელიც მხოლოდ თავისი მუცლისა თუ ქვენა გრძნობების დაკმაყოფილებას ესწრაფვოდა და მამონას მსახური იყო.

ამის საპირისპიროდ "იდეალისტი" ისეთ ადამიანს წარმოადგენდა, რომლის ცხოვრებაც უმაღლესი ღირებულებებით იყო განპირობებული და რომელიც ამაღლებული იდეებისათვის უანგარო თავდადებით გამოირჩეოდა.

რევოლუციის მერე როგორც რუსეთში, ისევე კომუნისტურ აღმოსავლეთში ვითარება შეიცვალა და მეცნიერს, თვით რიგით მოქალაქესაც კი, დიდი უსიამოვნება ელოდა, თუკი მას "იდეალისტობას" დასწამებდნენ.

კომუნისტურ ქვეყნებში მატერიალიზმის სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში აყვანით, რელიგიათა დევნითა და ამოძირკვით მორწმუნე ქრისტიანისათვის თითქოს ცხადზე უცხადესი უნდა ყოფილიყო, თუ ვის მხარეს უნდა დამდგარიყო იგი მატერიალიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელნიც მის წმინდათა წმინდა საგანძურს ემუქრებოდნენ.

დღეს, როდესაც კომუნისტური რუსული იმპერია დაიშალა და საქართველომ, თუმცა კი ტრაგიკული კოლიზიების გავლით და მისი კუთვნილი ისტორიული ტერიტორიების დაკარგვით (?), მაგრამ მაინც, მიაღწია ნანატრ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, თითქოს, სულიერი ორიენტირი დასავლური "იდეალიზმისაკენ" უნდა აიღოს და თითქოს ცდილობს კიდეც დასავლურ ფასეულობათა ათვისებას, მაგრამ უბედურებაც ის გახლავთ, რომ თვით დასავლეთში მატერიალიზმი არათუ დაძლეულია, არამედ მძლავრად არის ფესვგადგმული. ყოველ შემთხვევაში, სიტყვა "მატერიალიზმის" განსხვავებულმა ხმარებამ დასავლეთსა და კომუნისტურ აღმოსავლეთში არ უნდა დაგვაბნიოს, მათი უფრო ახლო გადამოწმება ავლენს მათ საოცარ დამთხვევებს. ფრიდრიხ ენგელსი წერდა: "ფილისტერს მატერიალიზმში ესმის ხეთქვა, სიმთვრალე. გარყვნილება, აეხორცობა და ამპარტავნება, ანგარება, სიხარბე, სიძუნწე, მონაგრება და ბირჟის მაქინაციები, მოკლედ, ყველა ის საზიზღარი მანკი, რომელთაც იგი ჩუმად ხარკს უხდის, ხოლო იდეალიზმს იგი განიხილავს როგორც რწმენას სიკეთისადმი, საყოველთაო კაცთმოყვარეობას და, საერთოდ, როგორც უკეთეს სამყაროს, რითაც იგი სხვათა წინაშე ტრაბახობს". ამგვარად, ენგელსი, ისევე, როგორც ჩვენ, მატერიალიზმს განიხილავს ნეგატიურ ასპექტში.

ასევე უარყოფდა როგორც "შეუწყნარებელ მატერიალიზმს" კარლ მარქსი. თუკი ვინმე - როგორც ეს მან თავის მასწავლებელ ჰეგელს უსაყვედურა - არსებული პირობების, მთელი მათი აარადამიანურობით, დაცვასა და გამართლებას დაიწყებდა. ამიტომ იყო, რომ იგი მძაფრად აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომლის გადალახვასაც ლამობდა მისი "უზნეო მატერიალიზმის" გამო, რაც ნიშნავდა ფულის ბატონობას და ადამიანის გადაქცევას გასაყიდ საქონლად.

სწორედ კაპიტალისტური სამყაროს მატერიალიზმის გამო უარყო იგი მარქსმა, ასე რომ, ამ კუთხით მას შეიძლება ანტიმატერიალისტი ეწოდოს.

ასევე შეიძლება ანტიმატერიალიზმზე საუბარი, როდესაც საბჭოთა სკოლა, განსაკუთრებით სტალინის ეპოქაში, ახალგაზრდებს გარკვეული იდეალიზმისაკენ მოუწოდებდა, ე.ი. მათი გაგებით, უმაღლესი ღირებულებებისათვის თავგანწირვას მოითხოვდა მათგან.

ერთი თეოლოგის თქმით, კომუნიზმის შეცდომა ის კი არ არის, რომ იგი მატერიალისტურია, ბიბლია უფრო მატერიალისტურია, ვიდრე იგი, არამედ სწორედ ის, რომ იგი იდეალისტურია. მას იმისი თქმა სურდა, რომ კომუნიზმი საუბრობს და მოქმედებს "ახალი ადამიანის" იდეალიდან ამოსული, რომელსაც არავითარი ცოდვა არ გააჩნია და ყოველი მანკი და შეცდომა, რაც აქამდე კაცობრიობას ახასიათებდა, მისთვის აღარ არსებობს. ამ "ახალი ადამიანის" ცხოვრებაში დამკვიდრებას იგი ძალმომრეობით ცდილობდა, რამაც, როგორც ცნობილია, უდიდესი უბედურება მოუტანა კაცობრიობას.

თუნდაც აქედან შეიძლება იმის დანახვა, რომ იდეალიზმი თავისთავად არავითარ სიკეთეს არ წარმოადგენს და თავის იდეალებზე შეყვარებულმა ადამიანებმა არანაკლები განსაცდელი მოუტანეს კაცობრიობას, ვიდრე მატერიალისტებმა. იდეალისტი ხშირად მოვლენების შეფასებაში ცდება. მაგალითად, ისეთი იდეალისტი, როგორიც იყო ფილოსოფოსი ჰეგელი, თავის ისტორიის ფილოსოფიაში ჯვაროსნების დამცირების მიზნით და მათი მატერიალისტური ბუნების წარმოსაჩენად (რაც სხვა შემთხვევებში შეიძლება მართალიც გახლდათ) ამბობდა, რომ ისინი ეძებდნენ მხოლოდ საფლავს, კუბოს და არა ცოცხალ ქრისტეს.

ახლა ისმის კითხვა, თუ რატომ უწოდეს მარქსმა და მისმა მიმდევრებმა თავიანთ მსოფლმხედველობას "მატერიალიზმი?" ძირითადი მიზეზი ამისა გახლდათ ის, რომ მარქსიზმმა შეაჯამა მე-18 საუკუნის განმანათლებლობისა და მე-19 საუკუნის ბუნებისმეცნიერებების მიღწევათა შედეგები და აქედან დაასკვნა, რომ სული პროდუქტია მატერიისა, რომ ადამიანი წარმოადგენს მაღალგანვითარებულ ცხოველს, რომ სამყარო მარადიულია და მასში ყველაფრის ახსნა შეიძლება კაუზალობის კანონზე დაყრდნობით და ა.შ. მარქსიზმის "შეცნიერებისადმი რწმენის" პათოსი მთლიანად მე-19 საუკუნეს განეკუთვნება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მარქსიზმმა თეორიული მატერიალიზმის მეშვეობით კარი გაუღო იმ პრაქტიკულ, ეგოისტურ მატერიალიზმს, რომლის გამოც იგი ბურჟუაზიულ საზოგადოებას აკრიტიკებდა.

სხვაგვარად არც იქნებოდა. როდესაც ადამიანს დაარწმუნებენ, რომ მისი სიცოცხლე მოქცეულია მხოლოდ დაბადებასა და სიკვდილს შორის და ცხოვრების აზრი მდგომარეობს მხოლოდ ამქვეყნიურ ბედნიერებაში, მაშინ იგი ყოველივეს მოხვეჭას ლამობს, რაც წარმავალია. ამით აიხსნებოდა საბჭოთა სისტემაში გამეფებული ის კორუფცია და დანაშაულობანი, რომლებმაც ვეებერთელა წვლილი შეიტანეს ამ სისტემის რღვევაში.

ქრისტიანული რწმენა არავითარ "იზმს" არ წარმოადგენს. იგი არ არის იდეალისტური, როგორც ეს კომუნისტებს ეგონათ და არც მატერიალისტური.

იგი არ არის იდეალისტური, რადგან საკმაოდ ფხიზლად უყურებს ადამიანის ბუნებას და სწამს: ადამიანს თავისი თავის ხსნა რომ შეძლებოდა, მის დასახსნელად არ განკაცდებოდა იესო ქრისტე. იგი კიდევ იმიტომ არ არის იდეალისტური, რომ უწყის: მატერია, ბუნება და სხეული ბოროტებას არ წარმოადგენს, არამედ ღვთის კეთილი ქმნილებებია.

ქრისტიანული რწმენა არც მატერიალისტურია, რადგან მან ასევე უწყის, რომ სამყარო არ არის მარადიული და ადამიანი ამ სამყაროში მარტოდ არ არის შთაგდებული, რომ ადამიანის ცხოვრების აზრი არაამქვეყნიურია და მას უფრო მაღალი დანიშნულება აქვს მინიჭებული ღვთის მიერ.

ახლა ვიკითხოთ, არის კი თანამედროვე დასავლეთი ქრისტიანული? სამწუხაროდ, უბედურებაც ის გახლავთ, რომ თანამედროვე დასავლეთში ყველა ის მანკიერება, რასაც ზემოთ ენგელსი ჩამოთვლის და რომელთაც იმ დროს ფილისტერი "ჩუმად ხარკს უხდიდა", დღეს სააშკარაოზეა გამოტანილი და მას დღისით-მზისით ხარკს უხდიან.

ეს განსაკუთრებით ითქმის თავისუფალი სიყვარულისა და სექსუალური დამახინჯებების დაკანონებაზე, პრესითა და კინო-ტელევიზიით მათ პროპაგანდაზე. ამიტომ არის, რომ დღეს ისლამი მძლავრად აკრიტიკებს დასავლეთს და მის "სულიერ ღირებულებებს".

ძალაუნებურად გახსენდება ცნობილი რუსი ფილოსოფოსის ვლადიმერ სოლოვიოვის სიტყვები, რომლებიც მან დაწერა გასულ საუკუნეში: "მუსლიმანებს, ამგვარად, ჩვენს წინაშე აქვთ ის უპირატესობა, რომ მათი ცხოვრება ეთანხმება მათ რწმენას, რომ ისინი ცხოვრობენ თავიანთი რელიგიის კანონის მიხედვით, ასე, რომ, თუმცა მათი რწმენა არაჭეშმარიტია, მაგრამ მათი ცხოვრება ყალბი არაა, რადგან მისი კანონი ერთია და თავის თავთან შეთანხმებული, მათ არა აქვთ ცხოვრების სხვა წესი, გარდა იმისა, რასაც იძლევა მათი რელიგია. მაშინ, როდესაც ჩვენ ვალიარებთ რწმენის მიხედვით ქრისტიანულ კანონს, ჩვენს ნამდვილ ცხოვრებას ვაწყობთ სულ სხვა კანონის მიხედვით, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ წინაქრისტიანულ დროთაგან".

დღეს რომ სოლოვიოვს ეცხოვრა, ამ ფრაზას კუბში აიყვანდა. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ რუსეთის ამასწინანდელ არჩევნებში სამღვდელოების გარკვეულმა ნაწილმა კომუნისტებს დაუჭირა მხარი, რადგან მათ დროს ნამდვილად არ იყო სულის გამხრწნელი და გამრყვნელი გადაცე-

მები, რომლებსაც დღეს გადმოსცემს რუსეთის ტელევიზია. მაშინ ტელევიზია უმთავრესად მოსაწყენი იყო და ვინ გაბედავდა პორნოგრაფიული ფილმების ჩვენებას, რომელნიც დღეს ასევე მოსაწყენ ჩვეულებრიობად იქცა. ახლა რაც შეეხება პოლიტიკას.

ჩვენში გავრცელებულია შეხედულება, რომ არსებულ პარტიათაგან არც ერთი არ ასახავს მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს, სამთავრობო პარტიის ჩათვლით. მაგრამ აქედან კეთდება მცდარი დასკვნა, რომ ასეთი პარტიების არსებობა შემთხვევითია, რომ მათ არსებობას არავითარი გამართლება არა აქვს და მათ აღმოცენებას ვერავითარი ახსნა ვერ მოეძებნება. მაგრამ ამ საკითხის მიმართ სხვა აზრისაა სოციალისტური მოძრაობის ისეთი ტრიბუნი, როგორიც ჟან ჟორესი იყო: "ისტორიაში არსებობს არა მხოლოდ კლასთა ბრძოლა, არამედ პარტიათა ბრძოლაც. მხედველობაში მაქვს, რომ ეკონომიკურ მიზიდულობასა და განზიდულობასთან ერთად ყალიბდებიან ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ვნებებით, პატივმოყვარეობით, გამარჯვების სურვილით, რომლებიც ინაწილებენ რა ისტორიის არენას სამოქმედოდ, არცთუ იშვიათად დიდ რყევებს იწვევენ" ["საფრანგეთის რევოლუციის ისტორია", IV, გვ. 158]. როდესაც ინტერესთა ასეთი სიმრავლეა, უნდა გვახსოვდეს, თუ რა სავალალო ისტორიის, წარსულის (თუნდაც უახლესი) მჭონენი ვართ ჩვენ. რას არ იხილავთ აქ: საკუთარ თვისტომთა ურჯულოებზე მონებად გაყიდვას და მით გამდიდრებას, ასევე, უფრო ახლო წარსულიდან, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში დამკვიდრებულ და ახლაც გავრცელებულ კერპთაყვანისმცემლობას. და ყოველივე ამას მე ვუწოდე "წარსულის მძლავრობა აწმყოზე", აწმყოში მისი შემოჭრა. ესე იგი, ერთხელ ჩადენილ ბოროტებას აქვს ერთი შეხედვით აუხსნელი ძალა გაკერპებისა და ერის ფსიქიკაში ["ქვეცნობიერში"] ფეხმოკიდებისა, რომლის აღმოფხვრასაც თაობათა მსხვერპლშეწირვით თავდადება სჭირდება. მე ვწერდი: როდესაც ვსაუბრობთ ისტორიის მსვლელობასა და ეროვნულ ცნობიერებაზე ამ მსვლელობის ზემოქმედების შესახებ, უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ცნობიერებისათვის ისტორიული წარსული არ არის მკვდარი წარსული, არამედ იგი წარმოადგენს ცოცხალ ძალას, რომელიც ზემოქმედებს აწმყოზე და განსაზღვრავს მომავალს. ბერგსონის მიხედვით, ისტორია მსგავსია თოვლის ზვავისა, რომელიც მოგორავს და სულ უფრო და უფრო იზრდება და ინარჩუნებს თავის თავში ყოველივე გზად შეძენილს. ამიტომ არის, რომ მრავალი მოაზროვნე განიხილავს რა ერის სულს ან სულაც კაცობრიობის მეხსიერებას, ბერგსონის გამოთქმით, "კოსმიურ მეხსიერებას", იმ დასკვნამდე მიდის, რომ "წარსული შენარჩუნებულია აწმყოში" [ს. ფრანკი "ნათელი ბნელში"]. ამავე ფილოსოფოსს ხსენებულ წიგნში მრავალი მაგალითი მოჰყავს იმისა, თუ როგორ შეუმჩნეველად ზემოქმედებენ ჩვენზე აწ გაქრალი ისტორიული კულტურები. მათი კვალი, ამბობს ს. ფრანკი, შეუცნობლად მოქმედებს შთამომავალთა სისხლსა და სულზე.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული მაინც ვერ ხსნის ბოროტების იდუმალებას, რადგან მაშინვე გაისმის კითხვა ბოროტების საწყისის შესახებ: სად

ვეძიოთ სათავე ბოროტებისა? ან, განა მარტო საქართველოში ტრიალებს იგი, მიუხედავად მისი გამოვლენის ქუფრი ფერისა?! ამ ბოლო კითხვაზე პასუხი, ცხადია, უარყოფითია. პრეტენზია, პირველ ყოვლისა, მიმართულია ე.წ. "ქრისტიანული დასავლეთის" მიმართ და, ს. ავერინცევის გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, იქ ქრისტიანული მხოლოდ ოაზისებია წარმართული უდაბნოს გარემოცვაში. მიუხედავად ამისა, იქ არსებული პოლიტიკური სპექტრი შეუდარებლად უფრო ზნეობრივად გამოიყურება, ვიდრე ეს ჩვენთანაა და ნაწილობრივ ეს აიხსნება ნაკლები ფარისეველობით - ვგულისხმობ ჩვენში გავრცელებულ მოდას პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკური მოღვაწისა - ატაროს "ქრისტიანული" ნიღაბი. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ დასავლეთს და ქრისტიანული ზნეობრიობის საკითხს. მაგალითად მოვიყვან ევროპის შუაგულს, გერმანიას, რომელიც ძალზე განიცდის ამერიკანიზაციის ზემოქმედებას სულიერ პლანში, ამასთან, საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 1911 წელს, გერმანიის იმპერიის აღზევების ჟამს, ცნობილი ფილოსოფოსი იოანეს ფოლკელტი თავის წიგნში "ხელოვნება და ხალხის აღზრდა" [მიუნხენი 1911] დანანებით და გაოცებით აღნიშნავდა, რომ ნიცშეს მრავალრიცხოვან ეპიგონთა მიერ არა მხოლოდ ქრისტიანული ეთიკაა ფეხქვეშ გათელილი, არამედ საერთოდ ყველაფერი, რაც კი სიკეთესთანაა წილნაყარი. მისივე შეხედულებით, თუკი ხელოვნების ქმნილება ზნეობრივი გაგებით შეურაცხმყოფელია, შეუძლებელია, რომ იგი ამავე დროს არ სცოდავდეს ესთეტიკური ნორმების საწინააღმდეგოდ. ამავე დროს, ფოლკელტი აღიარებს, რომ სერიოზული დამკვირვებლისათვის ცხადზე უცხადესია: ადამიანურ სიცოცხლეს ასევე ზნეობა - "ზნეობრივად საშიში" განეკუთვნება, რომ ზნეობრივ-პესიმისტური დასასრული ასევე შეიქმს ცხოვრების სრულყოფილ სურათს. თუკი უზნეო ხასიათის აღწერა შემოქმედის მიერ ხდება ღრმა გააზრების და დაკვირვების შედეგად, მაშინ იგი არ ტოვებს აღმქმელში შემაშფოთებელ კვალს და არ ახდენს მასზე დამთრგუნველ ზეგავლენას. ამ დროს ჩვენი სულის სიღრმიდან ზნეობრივი აღმაფრენა გვეუფლება. იდეალი ალბათ პლატონისა და ადრეული რომანტიკოსების შეხედულებაა ფარულ, მშვენიერებასა და სიკეთეს შორის მისტიკურ კავშირზე. მაგრამ როდესაც ბრძოლას უცხადებენ ნებისმიერ სირცხვილის გრძნობას, როდესაც ეროტიკას ეძალება ავადმყოფური განწყობილება, მაშინ ხდება მკითხველისა და მაყურებლის ფანტაზიის დანაგვიანება, რომელიც წლების მანძილზე აღძრავს მასში ქვენა გრძნობებს, რაც ჯერ კიდევ ჟან ჟაკ რუსოს აღწერა თავის "ემილში".

მაგრამ დღეს ლიტერატურა უკვე აღარ შეედრება გარყვნილების იმ მოძალებას, რაც ტელე-კინოდან იღვრება. თავისი მასშტაბურობით იგი განუმეორებელია. ამ დროს არ უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთს არ ჰყავს ან იქ არ გაისმის ავტორიტეტული ხმა ამ სიბილწის საწინააღმდეგოდ. საკმარისია ვახსენოთ დიდი გერმანელი ფილოსოფოსი დიტრიხ ფონ ჰილდებრანდი (1889-1977), რომელიც თავისი "ეთიკის" (1973 წ.) ქვეთავში, რომლის სათაურია "ზნეობრივი ბოროტების ფესვები", შემდეგს წერს: "შებღალ-

ვა სქესობრივი სფეროს იდუმალებისა, მისი ღვთიებოძებული ღირებულებისა და აზრისა, არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც გარყვნილება წარმოადგენს ზნეობრივ უღირსობას. გარყვნილების ყველა სახეს გაცილებით მეტი ზნეობრივი ნაკლი აქვს და სულს სვრის შეუდარებლად უფრო ღრმად და იდუმალებით აღსავსედ, ვიდრე მგრძნობელობის სხვა მრავალი გამოვლინება, მაგალითად, ნაყროვანება, სიმთვრალე, სიზარმაცე. ეს ხდება იმიტომ, რომ გარყვნილება ბილწავს ძალზე მაღალ ღირებულებას".

დიახ, ასეთი ხმები გაისმის დასავლეთში, გაისმის ეკლესიის წარმომადგენელთაგანაც, მაგრამ მსმენელი ცოტაა - მომხვეჭელური სულისკვეთება, ინდიფერენტიზმი, სკეპსისი, ცინიზმი, მე აღარას ვამბობ, სულიწმიდის უარმყოფელ სექტებზე, აი ის უდაბნო, სადაც იკარგება ყოველი მაცოცხლებელი სიტყვა.

მაგრამ შეგნება იმისა, რომ ყოველივე ამ უბედურებასა და ბოროტებას თავისი სათავე აქვს, რომ იგი შორს სცილდება ჩვენს რეალობას და ფაქტობრივად მიღმურია, დიახ, ამის შეგნება თვით ძალზე ფხიზელ და რეალისტურად მოაზროვნე, მაგრამ ამავე დროს ხელოვანის მძაფრი ინტუიციის მქონე პიროვნებებს ეუფლებათ. ამის მაგალითად გამოდგება ბრწყინვალე ოფიცერი და მწერალი ერნსტ იუნგერი, რომელმაც პირველ მსოფლიო ომში მიიღო უმაღლესი ჯილდო, ჯერ კიდევ ფრიდრიხ II-ს დროს დაარსებული ორდენი "მამაცობისათვის" [სულ 14 კაცს ჰქონდა ეს ჯილდო მიღებული იმ ომში], რომელმაც შემდეგ მეორე მსოფლიო ომშიც მიიღო მონაწილეობა და რომელმაც ნაციონალიზმი ლამის რელიგიის დონეზე აიყვანა [ცხადია, ყალბი რელიგიის დონეზე!], დიახ, იმავე ერნსტ იუნგერმა მეორე მსოფლიო ომის დროს თავის დღიურებში შემდეგი რამ აღნიშნა: "მთელი ეს ხუთი წელიწადი, რაც მიწა, რომელზედაც ცოცხლობს ადამიანი, ჩვენს ფერხთქვეშ გაიპო და ირღვევა, იღვიძებს იმის შეგნება, რომ ჩვენ გავხდით ობიექტები ისეთ ენერგიათა თამაშებისა, რომელნიც მილიონჯერ აღემატებიან ჩვენი ინდივიდუალური თავისუფლების შესაძლებლობებს. დიდი რეალისტებისათვის სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ ამჟამინდელი კრიზისი შორს სცილდება ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ზღვრებს, თითქოს რითაც უნდა ყოფილიყო იგი გამოწვეული..."

* * *

მეორე მსოფლიო ომამდე და გერმანიაში ფაშიზმის ხელისუფლებაში მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, 1932 წელს, გერმანიაში გამოიცა მნიშვნელოვანი მოაზროვნის, ფრიდრიხ გოგარტენის, შეიძლება ითქვას, წინასწარმეტყველური წიგნი "პოლიტიკური ეთიკა". შევეცდებით მოკლედ წარმოვაჩინოთ პრინციპები ამ შრომისა.

გოგარტენი თავიდანვე აღნიშნავს, რომ დაიმსხვრა რწმენა "ჰარმონიული ჰუმანიტარული თვითკმაყოფილებისა" [ამას გოგარტენი ამბობს მხოლოდ I მსოფლიო ომის საშინელებათა განცდის შემდგომ!], გაქრა სიზმარი იმის

თაობაზე, რომ ადამიანს ბოძებული აქვს სიცოცხლე, რომლის სუვერენული წარმართვა და ჩამოყალიბება ძალუძს, სიზმარი იმის შესახებ რომ ადამიანს აქვს სულიერი სისტემა უნარების, შესაძლებლობებისა და ნიჭისა, რომელთა განვითარებაც ღირდა და რომლითაც იგი გახდებოდა სუვერენი, ბატონი თავისი თავისა და სამყაროსი. 1902 წელს ერნსტ ტროელტჩს კიდევ შეეძლო დაეწერა, რომ ეთიკა არის ყველაზე მაღლა მდგომი და უპრინციპულესი მეცნიერება, რომლის ჩარჩოებშიც შეიძლება ადგილი დაიკავოს რელიგიის მეცნიერებამ. მას შემდგომ ვითარება შეიცვალა: ქრისტიანული წარმოდგენები ცოდვაზე, შეწყალებაზე, მეორედ მოსვლაზე, ღვთაებრივ მრისხანებაზე უკვე ლახავენ და აზრს უკარგავენ ყოველგვარ "ჰარმონიულ ჰუმანიტარულ თვითკმაყოფილებას". ეთიკა, როგორც იგი დღევანდლამდე გვესმოდა, გულისხმობს ადამიანის თვითდამკვიდრებას, გულისხმობს ადამიანს, რომელსაც აბსოლუტურად თავისუფლად ძალუძს საკუთარი თავის განკარგვა. რასაკვირველია, არა თვითნებობით და არა შემთხვევითი შთაგონებებით, არამედ იგი ექვემდებარება მარადიულ ჭეშმარიტებებსა და იდეალებს. მაგრამ ეს ის ჭეშმარიტებებია, რომლებიც ჰუმანიტარულს განეკუთვნებიან და, მათი ჰარმონიული თვითკმაყოფილების მიუხედავად, გარკვეულ გარემოებებში ჰუმანიტარულის აგრეთვე დისჰარმონიულ, დიალექტიკურ ერთიანობას ქმნიან.

რელიგია კი [ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანული რწმენა] არ გულისხმობს ადამიანის დამოუკიდებლობას და საკუთარი თავის განკარგვას, არამედ მას აბსოლუტურად განკარგავენ; იგი გულისხმობს, რომ ძალა რომლის ძალაუფლების ქვეშაც ადამიანი იმყოფება, ღვთის ქმნილებებში ვლინდება და ადამიანის შესაძლებლობებს სცილდება. ერთი მხრივ, ცოდვათა დანახვა, რწმენით გამართლება, საშინელი სამსჯავრო, და, მეორე მხრივ, ეთიკა, რომელიც ადამიანის თვითდამკვიდრებას [თვითმბრძანებლობას] გულისხმობს, გამორიცხავენ ურთიერთს, საესებით და აბსოლუტურად.

ძალა, რომელიც ადამიანზე მაღლა დგას და რომელსაც იგი მორჩილებს - ღმერთია. მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ, რომ ეს ძალა სწორედ ღვთისაა? ამავე დროს ეს ძალა უნდა იმორჩილებდეს არა მხოლოდ ქრისტიანებს, არამედ ყველას. როგორ უნდა იმორჩილებდეს იგი ადამიანს? გოგარტენის თქმით, თუნდაც ადამიანმა იცოდეს სხვა გზებით (მაგ. რწმენით), რომ ეს ძალა ღმერთია, მაინც, მისი აზრით, ამ ძალის გამოცდილებიდან იგი ვერ დაასკვნის, რომ ეს ძალა ღვთაებისაა. იმისათვის, რომ ეს გავიგოთ, საჭიროა მთელი სერიოზულობით განვიხილოთ საკუთარი თავი, ვინაიდან ძალა, რომელზედაც ვსაუბრობთ, იმორჩილებს ადამიანის უშინაგანეს "მეს", უფრო სწორად, ამ ძალის მეშვეობით ხდება ადამიანის იდენტიფიცირება საკუთარ თავთან.

რაც აქ იგულისხმება, წარმოადგენს ეთიკური ფენომენის გულისგულს. იგი ისევე იფარება იმით, რასაც ჩვენ ჩვეულებისამებრ ეთიკურს ვუწოდებთ, როგორადაც, სხვა მხრივ, ეთიკურს თავისი მნიშვნელობა, სერიოზულობა, ძალაუფლება ამ ფენომენიდან აქვს, იგი მის საფუძველში ძევს. გოგარტენი

ეთიკური ფენომენის ამ გულს უწოდებს მოთხოვნას - "შენ უნდა"! იგი ასხვავებს მისგან ეთიკურ მოთხოვნას - "აკეთებენ ამას და ამას". ასხვავებს იმის გამო, რომ პირველი მოთხოვნა უშუალოდ მიმართავს ადამიანს - "შენ"! ამით ადამიანს მიმართავენ ხაზგასმულად, როგორც მარტოდმარტოს, მხოლოდ მას და არა როგორც მდგომს სხვა ადამიანთა საკრებულოში, მიუხედავად მათი ჩვეულებებისა და ადათ-წესებისა. რასაკვირველია, ამით ის კი არაა ნათქვამი, რომ ეს მოთხოვნა აუცილებლად უპირისპირდება ამ ადათ-წესებს, არამედ იგი ამ მიმართვით - "შენ უნდა" მოცილებულია დამცველ წრეს ზნეობრივი ჩვევებისას და მათ ცხადზე უცხადესობას, რის გამოც იგი მარტოდმარტოა. მისდამი მოთხოვნა მთელი აუცილებლობითაა წამოყენებული. ეს რომ კარგად გავიგოთ, უნდა ითქვას, რასაც ჩვეულებრივად ეთიკაში ვგულისხმობთ, აქვს არა ეს აზრი - "შენ უნდა", არამედ - "აკეთებენ ამას და ამას". რადგან, ჩვეულებისამებრ, როდესაც სხვას ვუყენებთ მოთხოვნებს ან სხვისგან გვესმის იგი, ჩვენ ვამბობთ (ან ვითხოვთ) არა "შენ უნდა"-ს, არამედ "აკეთებენ ამას და ამას". მეტი სიცხადისათვის გავიხსენოთ, მაგალითად, ფრაზა: "ამბობენ ჭეშმარიტებას". ეს მოთხოვნა მიმართულია არა უშუალოდ პირდაპირ და აუცილებელი წესით ვინმესადმი, არამედ იგი ყოველთვის შეიცავს "თუკი"-ს: თუ გსურს ადამიანთა ამ წრეს განეკუთვნებოდე, მაშინ უნდა იცოდე, რომ უნდა აკეთებდე ამას და ამას და, შესაბამისად, ამას და ამას არ სჩადიოდე. წრე, სადაც ეს მოთხოვნები გათვალისწინებულია, შეიძლება იყოს ფართო ან ვიწრო. შესაძლოა იგი ისე ფართო იყოს, რომ ყველა ადამიანი მას ეკუთვნოდეს, რადგან სწორედ ასეთი ეთიკური მოთხოვნის სახე - "აკეთებენ ამას და ამას" - შეიძლება იყოს იმ თვისების მატარებელი, რომ იგი ყველასათვის ძალაშია. მაგრამ ეს არაფერს ცვლის მისი განპირობებულობის მხრივ: იგი ყველასათვის მისაღებია, ყველას ეხება, თუკი ღირებულება, კანონი, იდეალი ყველასათვის ძალაშია, რომელთა მიხედვითაც წამოყენებულია ეს მოთხოვნები.

ამის საპირისპიროდ ეთიკური მოთხოვნა "შენ უნდა" უცილობლად განუპირობებელია, უპირობოდ შესასრულებელია, იგი თავის თავში არ შეიცავს არავითარ "თუკი"-ს. იგი გულისხმობს ადამიანს, რომლისადმიცაა ის მიმართული და რომელიც მას უპირობოდ შეისმენს.

ეთიკური მომთხოვნელობის აზრით, "აკეთებენ ამას და ამას" ადამიანისადმი, რომლის მიმართაც იგი გამოითქმის, უკვე წინასწარ იგულისხმება. მან უკვე იცის, რომ აკეთებენ ამას და ამას და მანაც უნდა აღასრულოს ეს; მას თავადვე შეუძლია იმის თქმა, რასაც მას ეუბნებიან. მას მხოლოდ შეახსენებენ, რომ მან ესა და ეს უნდა აკეთოს, ე.ი. ნაკლებ ინფორმირებულს ამ მხრივ უკეთ ინფორმირებული მოუწოდებს ამის საკეთებლად. ფაქტობრივად ეს უკანასკნელი პირველს სოლიდარობას უცხადებს, როდესაც მას არკვევს რაიმე ეთიკურ დაბნეულობასა თუ ბუნდოვანებაში.

რაც შეეხება "შენ უნდა"-ს მოთხოვნას, ზემოთ მოყვანილი მაგალითის საპირისპიროდ, იგი მიმართულია მიმართვის ობიექტის საწინააღმდეგოდ.

რასაც მას ამ მოთხოვნით უცხადებენ, არავითარ შემთხვევაში თავად მას ამის თქმა არ ძალუძს, და, სახელდობრ, იმიტომ, რომ რადგან ეს მოთხოვნა არ შეესაბამება იმ კანონს, რომელსაც იგი თავისუფალი გადაწყვეტილებით საკუთარ კანონად აქცევდა. სინამდვილეში ეს მოთხოვნა შეესაბამება კანონს, რომელიც მას, სურს თუ არა სურს, ყოველგვარი კითხვის გარეშე უღელივით ედგმება.

წინასწარი სიცხადისათვის შეიძლება ითქვას, რომ ეთიკური მოთხოვნა "აკეთებენ ამას და ამას" მიმართავს იმ ადამიანს, რომელიც ნამდვილად კეთილია, რომელსაც აქვს შესაძლებლობა იმის კეთებისა, რასაც მისგან ითხოვენ. ამის საპირისპიროდ, "შენ უნდა" მოთხოვნა მიმართულია ადამიანისადმი, რომელიც არ არის კეთილი და რომელსაც არცა აქვს შესაძლებლობა ამ მოთხოვნის შესრულებისა.

ყოველივე ეს მკითხველისათვის გასაგები ხდება, როდესაც გოგარტენი მიმართავს ძველი აღთქმის ათ მცნებას და მაცხოვრის მიერ მათ განმარტებას მთის ქადაგებაში, რასაც იესო ქრისტე თავისიანებს მოუწოდებს, ესაა სწორედ ის დაპირისპირება "აკეთებენ ამას და ამას" და "შენ უნდა"-ს შორის. წინაპრებს უთქვამთ: "არა ჰკლა", "არ იმრუშო", როგორადაც ქრისტეს დროის ებრაელებს ეს მოთხოვნები ესმით, ისინი საკმაოდ შესრულებადია. როგორც სამოქალაქო კანონები ებრაელი ხალხისა, ისინი ისეთს არაფერს ითხოვენ, რაც ადამიანის შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება. მაგრამ ისე, როგორადაც მათ იესო ქრისტე განმარტავს, შეუძლებელია, რომ ისინი ადამიანმა არ დაარღვიოს: "ვინც ეტყვის თავის ძმას - შლეგო, იგი ცეცხლის გეენაში უნდა ჩავარდეს". ან თქვენ გსმენიათ წინაპართა მიმართ თქმული: არა იმრუშო. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ყველამ, ვინც ნდომით შეხედა ქალს, უკვე იმრუშა მასთან საკუთარ გულში". ყოველი, ვისაც ასე მიმართავენ, ჩათვლილია მკვლელად და მრუშად. ეთიკური მოთხოვნა "აკეთებენ ამას და ამას" შეიძლება მოისმინო და მისი აღსრულების შედგომ მასთან არავითარი საქმე აღარ გქონდეს. მაგრამ მოთხოვნა "შენ უნდა" სხვაგვარად არ შეიძლება მოისმინო - იგი მარად და უშუალოდ გეხება, თან ისე, რომ მას ვერ ასრულებ.

ესაა ის ეთიკური ფენომენი, რომელიც დაფარულად [მაგრამ არასოდეს დახშულად] ყოველი ეთიკური მოთხოვნის საფუძველში ძევს. და ეს ეთიკური ფენომენი მდგომარეობს მასში, რისი თქმაც ამჯერად შეგვიძლია: ადამიანის უცილობელ ბოროტებას ფარდა ეხდება და აშკარავდება. სწორედ იმიტომ, რომ ადამიანი უცილობლად ბოროტია და ამავე დროს ბოროტებაში გამყინვარება არ ძალუძს, სწორედ ამიტომ არსებობს ეთიკის პრობლემა, რომელიც სწორედ ამ კუთხიდან უნდა იყოს დანახული.

აქ შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ფრ. გოგარტენი, როგორც ლუთერანელი-პროტესტანტი, სრულიად არ ითვალისწინებს ბერული მიღწევების გზას, ანუ წმინდანის საფეხურს, სადაც ქრისტეს მოთხოვნები კმაყოფილდება. მაგრამ რაც შეეხება ზოგადად ადამიანს და მასში ბოროტების არსებობას, რომელსაც ქრისტეს მოთხოვნები ავლენს [და ეს ხდება მიზან-

დასახულად, რათა ადამიანმა შეიგნოს, რომ დადგა ჟამი მონანიებისა], აქ იგი უტყუარია. გავიხსენოთ პავლე მოციქული [7,19-20]: "რადგანაც კეთილს კი არ ვაკეთებ, რომელიც მსურს, არამედ ბოროტს, რომელიც არა მსურს. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არა მსურს, მე კი არ ვაკეთებ მას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში". ან გავიხსენოთ ჩვენი ყოველდღიური მართლმადიდებლური ლოცვა: "...ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის... რამეთუ ესერა უსჯულოებათა შინა მიუდგა, და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან..." [ფსალმუნი 50,7].

გოგარტენის მიხედვით, ეთიკური პრობლემა შეიძლება განხილულ იქნეს ორგვარად: ადამიანის მიმართებით ბუნებისადმი ან ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებით.

პირველ შემთხვევას გამოხატავს გერმანელი ფილოსოფოსის ვილჰელმ ჰერმანის ["ეთიკა", ტიუბინგენი, 1909] სიტყვები, რომელსაც ზნეობრიობაში ესმის ისეთი ქცევა, რითაც ადამიანი გადალახავს ბუნებისაგან განპირობებულ სახეს და უფრო მაღალ საფეხურს იმკვიდრებს ცხოვრებაში. ეთიკური პრობლემა, ამის მიხედვით, წარმოადგენს ადამიანური სიცოცხლის თვითდამკვიდრებას ბუნების წინაშე, სახელდობრ, იმ აზრით, რომ ხდება ბუნებრივ ნდომათა და ვნებათა გადალახვა და შინაგანი დამოუკიდებლობის დამკვიდრება, ადამიანურ-სულიერი ცხოვრების თავისუფლება. ამ შეხედულებით, ზნეობრივ "მე"-ს აყალიბებს ბუნებისაგან მისი დამოუკიდებლობა. მას აზრი აქვს და მას სახეს ანიჭებს მისი დაპირისპირება ბუნებისადმი. ბუნება აქ გაიგება, როგორც ეთიკური "მე"-სადმი დაპირისპირება, მისი მეტოქეობა, რომელიც თავად სხვისგან არის განსაზღვრული. იგი არ არის დამოუკიდებელი. ამის საპირისპიროდ, "მე", რომელიც ბუნებისადმი წინააღმდეგობაშია, და რომელსაც აზრი ენიჭება ამ დაპირისპირებით, არის ის, რომელიც არა სხვისგან, არამედ მხოლოდ საკუთარი თავისაგან არის.

ეს წარმოდგენა ეთიკურის შესახებ, როგორც თვითდამკვიდრება ადამიანური სიცოცხლის ბუნების საპირისპიროდ, არის სწორედ ის, რაც თეორიაში ეთიკურის შესახებ, ისევე, როგორც დასავლურ ისტორიაში, ყველაზე მეტად დამუშავებულია და დიდ ადგილს იკავებს. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინდივიდუალიზმთან, რომელიც მრავალ ეთიკურ თეორიაში არის გაბატონებული და საწყისი ბერძნულ ფილოსოფიაში აქვს, პირველ ყოვლისა, განვითარება მან სოკრატეს შემდეგ ჰპოვა.

მაგრამ, ამ შეხედულების მიხედვით, ეთიკური პრობლემა, როგორც ის ადამიანთა შორის დამოკიდებულებაში იკვეთება, მხედველობის მიღმა რჩებათ! ამ გზით იგი არც შეიძლება, რომ მხედველობის არეში დარჩეს, რადგან იგი არ შეიძლება, დაყვანილ იქნეს ადამიანის ბუნების მიმართ დამოკიდებულებამდე. ამ შეხედულების თანახმად, ადამიანთა შორის დამოკიდებულებები შეიძლება, აღვიქვათ მხოლოდ როგორც არაპირდაპირი და არაუშუალო.

"ბუნებრივის დათრგუნვა ადამიანში" - ეთიკურის ეს შეხედულება ბოროტებას სერიოზულად ვერ ითვალისწინებს. ზნეობრივი სიკეთე მისთვის

წარმოადგენს ადამიანად ყოფნას, ხოლო ზნეობრივად ბოროტი მისთვის არის ჯერ კიდევ-არა-საკმარისად-ადამიანი. ხოლო ადამიანად ყოფნა ნიშნავს: ბუნებას, რომელსაც იგი წარმოადგენს, აღვირი ამოსდოს და მასზე გაბატონდეს. ადამიანი, როგორც ასეთი, ამ შეხედულებით არასოდეს არის ჭეშმარიტად ბოროტი, არამედ მას მხოლოდ საქმე აქვს ბოროტებასთან. თუკი ბოროტება მასში იმძლავრებს, მაშინ იგი უკვე აღარ არის ადამიანი. იგი ხდება რაღაც ბუნებრივი არსება, რომელსაც აღარ გააჩნია რაიმე ზნეობრივი პასუხისმგებლობის უნარი. ამ შეხედულებით, ადამიანი, როგორც ასეთი, პრინციპულად კეთილია.

მაგრამ ადამიანი, სწორედ როგორც ადამიანი, რამდენადაც იგი სულია, რომ თავად ადამიანი, თავის ადამიანობაში, ბოროტია, ეს აზრი, ან როგორც სრულიად უშინაარსო, გვერდითაა მოსროლილი, ან, თუკი მას აღიარებენ, ეს შეუძლებელი ხდება, თუ ეთიკურის ამ შეხედულებას გავიზიარებთ. ასე, რომ ვილჰელმ ჰერმანს შეუძლია, მაგალითად, თქვას, რომ ძირითადი ფორმა ბოროტებისა არის ტკბობა და ლტოლვა ბუნებრივისადმი. მაგრამ მაშინ ადამიანი სწორედაც რომ არ ყოფილა ბოროტი, სახელდობრ, თავისი ამაღლებით ბუნებრივზე. იგი მხოლოდ მაშინ ყოფილა ბოროტი, რამდენადაც იგი არა სავსებით და ჯერ კიდევ არ არის ადამიანი. მაგრამ, გოგარტენის მიხედვით, ეთიკას აზრი აქვს მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანი არ არის კეთილი.

* * *

სახელმწიფოს თავისი ღრმა დასაბუთება სწორედ იმის შეგნებიდან აქვს, რომ ადამიანი ბოროტია. პოლისი, ანუ სახელმწიფო მოწოდებულია ადამიანი იხსნას იმ ბოროტებისა და ქაოსისაგან, რაც, პირველ რიგში, ადამიანის საკუთარი არსიდან მომდინარეობს.

ყოველი ინდივიდუალისტური და, ეს სხვაგვარად ნიშნავს, ყოველი არაპოლიტიკური ეთიკა ამოდის იმ წინაპირობიდან, რომ ადამიანი პრინციპულად კეთილია. ეს ინდივიდუალისტური სრულყოფილების ეთიკა სახელმწიფოს თავის მოთხოვნებს უყენებს, რომლებიც მან უნდა აღასრულოს, თუკი სურს, ნამდვილ სახელმწიფოდ აღიარონ. ეს პრეტენზიები იქითკენაა მიმართული, რომ სახელმწიფომ ინდივიდუუმის თავისუფლება არ შეზღუდოს და რომ იგი ამ თავისუფლების გარანტად იქცეს. ამრიგად, აქ ბატონობს არა სახელმწიფო, არამედ ინდივიდუუმი, რათა თავისი ზნეობრივი უნარის საფუძველზე დაყრდნობით თავისუფლად განაგებდეს საკუთარ თავს.

კლასიკური გამოხატულება სახელმწიფოს ასეთი გაგებისა არის ამერიკის მიერ ადამიანის უფლებათა გამოცხადება, რომელმაც საფრანგეთის რევოლუციის წყალობით მსოფლიო მნიშვნელობა შეიძინა და თანამედროვე სახელმწიფოს გაგების ქვაკუთხედად იქცა. ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ საფრანგეთის რევოლუციის მეტაპოლიტიკურ და მეტაფიზიკურ მნიშვნელობას ჯერ კიდევ მისი თანამედროვენი გრძნობდნენ. აი, რას წერს ცნობილი

ინგლისელი ფილოსოფოსი ედმუნდ ბიორკი [Burke] თავის "განაზრებებში საფრანგეთის რევოლუციაზე", რომელიც 1790 წელს გამოიცა: "საფრანგეთმა რაღაც უზარმაზარი დანაშაულის გამო თავის თავზე იწვნია ღვთაებრივი შურისძიება და, რაღაც დიდი სასჯელის შედეგად იგი მორჩილებს გათახსირებულ და დამამცირებელ ხელისუფლებას".

ამრიგად, თანამედროვე ადამიანი საშინელი დესპოტიზმის ქვეშ გმინავს. და ეს არის მისი საკუთარი ქმედება, რომელიც მას მონად აქცევს. იგი ტყვეობაშია საკუთარი თავისუფლების სიგიჟისა. ის უსახელო, ფარული შიში, რომელმაც მას ამ ტყვეობისაკენ უბიძგა და შეშლილის რწმენა, რომ არსებობს საკუთარი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელშიც იგი მშვიდ თავშესაფარს ეძებს ამა ქვეყნის სასტიკ დაუცველობაში, სწორედ ისინი ამყოფებენ მას მონად დაუნდობელი დესპოტისა.

სახელმწიფო არსებობს ბოროტების გამო, რათა აშკარა, გარეშე უსამართლობა მოიგერიოს. იმით, რომ სახელმწიფოს სასჯელით დამუქრება ძალუძს, იგი ღვთის მსახურია, შურისმაძიებელი სასჯელი იმის მიმართ, ვინც ბოროტებას სჩადის [რომ., 13,4]. სადაც არ არსებობს ცოდნა ბოროტების შესახებ, სახელდობრ, ცოდნა ბოროტებისა, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ძირფესვიანად ემუქრება, მაშინ არ არსებობს ცოდნა სახელმწიფოს შესახებ, იქ აღარ არსებობს ნამდვილი სახელმწიფო ძალაუფლება და მაშინ ცდილობენ ადამიანის სიცოცხლეზე ძალაუფლების მოპოვებას საკუთრივ ადამიანის შესაძლებლობიდან, მისი თავისუფლებიდან. მაშინ სახელმწიფოს დანიშნულებას იმაში კი არ ხედავენ, რომ იგი გარანტი იყოს მორჩილებისა, არამედ იმაში, რომ იგი გარანტი იყოს თავისუფლებისა, სახელდობრ თავისუფლებისა ინდივიდუუმის სუვერენობის გაგებით. ტრაგიკული, უფრო სწორედ სატანური, აქ არის ის, რომ ამ გზით სახელმწიფო და სახელმწიფო ძალაუფლება ემხობა და ადამიანები აღმოჩნდებიან საშინელი დესპოტიზმის ქვეშ. ნაცვლად იმისა, რომ ეს ადამიანები პასუხისმგებლობის დომინირებით ურთიერთდაკავშირებულნი იყვნენ, ისინი იქცევიან საგანთა მონებად და, ამგვარად, იძულებითი წესით, ერთმანეთის მიმართ უპასუხისმგებლონი ხდებიან. ადამიანური თავისუფლება არასოდეს მდგარა ისეთი საშიშროების წინაშე, როგორც დღეს, როდესაც ინდივიდუუმის თავისუფლება სახელმწიფოსათვის ალფა და ომეგა გამხდარა.

სახელმწიფო ყოველთვის უნდა გადაგვარდეს, როდესაც მის სუვერენიტეტს ხელყოფენ. მაგრამ ეს ხდება აუცილებლობით, თუკი იგი სწორი წესით არ არის დაფუძნებული. სახელმწიფოს გააჩნია თავისი სუვერენობა და უზენაესობა. იქიდან, რომ იგი დემონურ, ადამიანის არსებობისათვის საშიშ ძალას თრგუნავს, მხოლოდ აქედან და მხოლოდ აქედან აქვს მას სუვერენული ძალა ადამიანის არსებობაზე. სწორედ აქედან უნდა ხდებოდეს მისი დაფუძნება. იმ ფაქტით, რომ იგი ადამიანს არსებობის შესაძლებლობას აძლევს და იმ გზით, რომლითაც იგი ამას აკეთებს, მოცემულია საფუძველი და საზომი მისი სუვერენული ძალაუფლებისა. სადაც არაფერი უწყიან ამ საშიშ ძალაზე, ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ბოროტებაზე, იქ შეუძლებელია

სახელმწიფოს სწორი დაფუძნების შესახებ სწორი ცოდნა ჰქონდეთ. მაშინ არ სურთ სახელმწიფოს შესახებ რაიმეს ცოდნა ან იგი შეგნებულად სულაც აღარ სურთ, როდესაც აღარ სურთ სუვერენული სახელმწიფო ძალაუფლება. იმათ, რომელთაც ეს არ უწყიან, უნდა ეძებონ სახელმწიფოსა და მისი უზენაესობის სხვა გზით დაფუძნება.

დღეს ჰგონიათ, რომ ეს გზა ნაპოვნი აქვთ, როდესაც სახელმწიფოს აფუძნებენ ნაციონალურობაზე. სახელმწიფოს ეს განაციონალისტურება ხდება, ჩვეულებისამებრ, როგორც რეაქცია იმის საპასუხოდ, როდესაც სახელმწიფო იქცევა ხოლმე მარტოოდენ საზოგადოებად თავისი "ადამიანის უფლებებით" და მასთან დაკავშირებული ინტერნაციონალიზებით. [ადამიანის, ინდივიდუუმის უფლებები კი, როგორც გვახსოვს, დაკავშირებულია იმ შეხედულებასთან, რომ ადამიანი კეთილია, ხოლო ეს გოგარტენის მტკიცებით ან ქრისტიანული რწმენით - მცდარია!].

ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციონალურ მომენტს სახელმწიფოსათვის. მაგრამ სწორედ ამ დიდი მნიშვნელობის გამო, რაც ნაციონალურს აქვს, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება გაგებული ურთიერთობა სახელმწიფოსა და ნაციონალურს შორის. არის თუ არა სახელმწიფო ნაციონალურზე დაფუძნებული და იგი თავის უფლებას იქიდან ღებულობს, რომ იგი ნაციონალურს ემსახურება, თუ, პირიქით, ნაციონალური თავისი არსებობის აზრს სახელმწიფოდან ღებულობს.

თუ პირველ აზრს გავიზიარებთ, ე.ი. რომ სახელმწიფო ნაციონალურს ეფუძნება, მაშინ სახელმწიფო ნასესხებ უზენაესობას ღებულობს. სახელდობრ იმით, რომ ნაციონალურს უნდა ემსახუროს, რომ ნაციონალური მისი უმაღლესი მიზანია. მაგრამ ამის ატანა სახელმწიფოს არ შეუძლია ისე, რომ დიდი ზიანი არ განიცადოს. სახელმწიფოს აქვს თავისი საკუთარი, სავსებით არა სხვისაგან წარმოებული უზენაესობა და საპირისპირო შემთხვევაში იგი საერთოდ წყვეტს არსებობას. მაგრამ, ხაზგასასმელია, რომ თავად ნაციონალურიც ფუჭდება, თუკი მას სახელმწიფოზე მაღლა დააყენებენ. აქ ხდება ცოცხალი კონკრეტულობიდან, სახელდობრ ხალხის ღირსების დამცველი და მისი მასაზრდოებელი ადათ-წესიდან მკვდარი აბსტრაქციის შექმნა - მეტად თუ ნაკლებად, თვითნებურად გამოტანილი იდეა ხალხის განსაკუთრებულ თვისებაზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანზე დამკვიდრდა "ოპტიმისტური" შეხედულება, მას მერე, რაც ადამიანი გაიგება, როგორც აბსოლუტურად ავტონომიური და საკუთარი თავის გამგებელი არსება, ხდება სწორედ ამის გამო ბოროტის შემეცნების, ნამდვილი ეთიკური ფენომენის დაკარგვა და ადამიანის არსებობისათვის საშიში ბოროტების ძალის შესახებ უკვე აღარაფერი უწყიან. ახ, მხოლოდ მას შემდეგ გახდა სახელმწიფოს ეს ნაციონალიზება შესაძლებელი. სახელმწიფოს ნაციონალისტური აღქმა მომდინარეობს იმავე თეორიიდან, რომელიც ინდივიდუუმს სახელმწიფოს მიმართ სუვერენულად აცხადებს: საფრანგეთის რევოლუციიდან. ასეთი აღქმის

შედეგად დაიკარგა შესაძლებლობა სახელმწიფოს ნამდვილი დასაბუთებისა და თუ არ გვინდა ნაცვლად სახელმწიფოსი მარტოოდენ საზოგადოება შეგვრჩეს, ეს დასაბუთება სხვაგან უნდა ვეძებოთ. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ნაციონალისტური აღქმა ყველაზე მეტად ესადაგება სახელმწიფოს არსს. მაგრამ იმაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, რომ სახელმწიფოს ნაციონალისტური გაგებით ვუკავშირდებით ისეთ აღქმას, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოს უზენაესობას. ნაციონალური ის რომ ყოფილიყო, რომელიც სახელმწიფოს აფუძნებს და რომლის სამსახურისა და შენარჩუნებისათვის სახელმწიფო არსებობს, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა სახელმწიფოს უზენაესობა ნამდვილი გაგებით, რომელიც ბოროტების იმ დემონურ ძალას თრგუნავს და ამდენად ადამიანის არსებობას შესაძლებელს ხდის. მაშინ ადამიანს თავისი არსებობა ექნებოდა ნაციონალურიდან, როგორც თავისი უმაღლესი ღირებულებიდან. ფაქტობრივად ასეთია ნაციონალიზმის შეხედულება. აქედან აფუძნებენ ნაციონალისტები თავიანთ უფლებას, რათა ხელთ იგდონ სახელმწიფო ძალაუფლება და გამოიყენონ თავიანთი იდეებისა და მიზნების განსახორციელებლად. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნაციონალურს, რომელიც თურმე სახელმწიფოს აფუძნებს და, მაშასადამე, სახელმწიფოზე მაღლა იმყოფება, უმაღლეს რელიგიურ ღირსებას მივაკუთვნებთ. ამგვარად იკავებს ნაციონალური ღმერთის ადგილს. იგი გაღმერთებულია, იგი გაღმერთებული უნდა იყოს. ამგვარად იქცევა სახელმწიფო, რამდენადაც მას სურთ მიანიჭონ უმაღლესი ძალაუფლება და მნიშვნელობა, მისთვის უცხო საქმის მსახურად.

ისევ მივუბრუნდეთ საფრანგეთის დიდ რევოლუციას. ცნობილია, რომ ამ რევოლუციის დროს დიდი სიმძაფრით განხორციელდა ე.წ. "დექრისტიანიზაცია": კათოლიკური ტაძრების გაუქმება, მღვდლების გილიოტინირება, მათგან სუსტების გადასვლა რევოლუციის მხარეს და ა.შ., მაგრამ რუსეთის რევოლუციისაგან განსხვავებით, რომელიც ტოტალურმა ათეიზმმა მოიცვა, საფრანგეთში დამყარდა დეიზმის პირმშოს კულტი - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ჩატარდა რიტუალი ჯერ "გონების კულტისა" და შემდეგ, რობესპიერის ჩარევით, რომელმაც ათეიზმის ეს გამოვლენა მოსპო, დამკვიდრდა "უმაღლესი არსების კულტი". საფრანგეთის პატრიოტი ისტორიკოსები, ცნობილი ჟიულ მიშლე და შემდეგ ალფონს ოლარი, ამ აქტს აღფრთოვანებით აფასებდნენ, რადგან მასში ხედავდნენ ქრისტიანობის შეცვლას წმინდა პატრიოტიზმით, ნაციონალიზმით, რაც, მათი აზრით, საფრანგეთს ასე სჭირდებოდა. მაგრამ თუ რა მოუტანა ამ კულტმა საფრანგეთის რევოლუციას ან ნაციზმმა - ჰიტლერულ გერმანიას, ეს საყოველთაოდ ცნობილია.

ზემომოყვანილი მსჯელობიდან აღიძვრის საინტერესო კითხვა: ნუთუ ეკლესიამ უნდა დააფუძნოს სახელმწიფო ან მასზე რაიმე ძალაუფლება უნდა ჰქონდეს? პასუხი უარყოფითია. სახელმწიფოს უზენაესობას არ სჭირდება ეკლესიისაგან სანქციონირება. მაგრამ სახელმწიფოს უზენაესობა რომ გამოჩნდეს და აღიარებულ იქნას მისი ძალა ბოროტების

დამთრგუნველისა, ამისათვის, რასაკვირველია, მას სჭირდება ეკლესია. ხოლო ეს ძალა ბოროტების დამთრგუნველისა მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუკი ბოროტების შეცნობის გზა არსებობს. ეს გზა კი ეკლესიაა, რომელიც ბოროტებას შეგვაცნობინებს და ამავე დროს აღვიძებს ჩვენში რწმენას და მისკენ მოგვიწოდებს. ეკლესიაც თრგუნავს ბოროტებას და გვამცნობს მასზე საბოლოო გამარჯვების შესახებ.

იფარავს რა სახელმწიფო ადამიანს, მის მოქალაქეობრივ არსებობას ბოროტების გამანადგურებელი ძალის წინაშე, ეკლესიაც ასევე იფარავს მას და იღვწის მისი მარადიული სიმრთელის გადასარჩენად. ისევე, როგორც სახელმწიფო კარგავს თავის უზენაესობას და წყვეტს არსებობას, როგორც სახელმწიფო, თუკი იგი სხვა რამეზეა დაფუძნებული, გარდა იმისა, რომ მან ბოროტების ძალაუფლება პოლიტიკურად უნდა დათრუგნოს, ასევე კარგავს ეკლესია თავის უზენაესობას და წყვეტს არსებობას, თუკი იგი არ განავრცობს ზეციური მამის სახარებას და არ ამხელს ცოდვის წარმომავლობას ადამიანში.

ხსნა არის მხოლოდ გამმართლებელ რწმენაში: ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ იგი ბოროტია ღვთის წინაშე, ხოლო ღმერთი კეთილია ბოროტი ადამიანის მიმართ. ღვთის ეს სიკეთეა ერთადერთი, რითაც ადამიანი წილნაყარი ხდება სიკეთესთან.

პირველცოდვის გამო ადამიანს სურს სამართლიანობის მიღწევა მხოლოდ საკუთარი ქმნილებებით და საქმეებით. ეს არის სწორედ ცოდვის წყევლა, რომ ადამიანს სხვარიგად არც ძალუძს. განახლებული ადამიანი არ არის ზნეობრივი გაგებით სრულყოფილი ადამიანი.

რასაკვირველია, ძველი და განახლებული ადამიანი ერთურთისაგან არ იხლიჩება, იგი ერთია. მაგრამ მხოლოდ რწმენა იესო ქრისტესადმი დაანახებს მას საკუთარ ცოდვას და ხსნის გზას.

ფრიდრიხ გოგარტენის წიგნს ეხმიანება ცნობილი ამერიკელი თეოლოგის, რაინჰოლდ ნიბურის ნაშრომი "რატომ არ არის ქრისტიანული ეკლესია პაციფისტური" რომელიც დაიბეჭდა 1940 წელს, ე.ი. გოგარტენის თხზულების გამოქვეყნებიდან 8 წლის მერე. აქ იგი პირდაპირ აცხადებს, რომ "ადამიანური ეგოიზმი შეუძლებელს ხდის საზოგადოების ყველა წევრის თანამშრომლობას ნებაყოფლობით საფუძველზე. ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს იძულება". თუმცა იგი იქვე დასძენს, რომ ამ იძულებაში არის ბოროტების ელემენტი, ანუ, ავგუსტინეს სიტყვებით, ის ერთდროულად არის ცოდვის შედეგი და საშუალება მის წინააღმდეგ. შემდეგ ნიბური განაგრძობს: "იმის გამო, რომ სამართლიანობა არ არის თავისუფალი შურისძიების ელემენტისაგან, პაციფისტები ასკვნიან, რომ არასოდეს არ არის საჭირო მტერთან ბრძოლა. ამ დროს ისინი არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ კაპიტულაციამ ადვილად შეიძლება მტრის უფრო უარესი შურისძიების ობიექტად გვაქციოს".

თავი მერვე

ბოროტება ლიტერატურასა და ხელოვნებაში

მაშ რა არის ბოროტება? ზოგიერთი სასულიერო მწერალი თვით ამ საკითხში ზედმეტად ხელის რევას სახიფათოდ მიიჩნევს, მსგავსად ტიუტჩევისა:

ო, ჩაძინებულ გრიგალებს ნუ განაღვიძებ:
მათ ქვეშ ქაოსი იძვრის.

მაგრამ იგივე ტიუტჩევი, ბერდიაევის თქმით "დიდი პოეტი ღამეული სტიქიისა", ასე ეტრფიალება რომის შემოგარენის მოწამლულ ჰაერს:

მიყვარს ღვთის ეს რისხვა! მიყვარს ეს, უხილავად
ყველაფერზე დაღვრილი, იდუმალი ბოროტება -
ყვავილებზე, შუშასავით გამჭვირვალე წყაროზე
და ფერად-ფერად სხივებზე, და თავად რომის ცაზე!

პოეტი დიდებულად ჩამოთვლის რომის შემოგარენის თვალწარმტაც სილამაზეს და ამოოხვრით დასძენს: ...და ყოველივე ეს - არის სიკვდილი!

როგორც ვხედავთ, აქ ბოროტება მშვენიერების ნიღბით გვევლინება, მაგრამ საოცარი ის არის, რომ იგი პოეტის სულში გამოძახილს პოულობს - "მიყვარს",- ამბობს იგი - "მიყვარს ეს იდუმალი ბოროტება!" ნეტარი ავგუსტინე ასე გვმოძღვრავს თავის "ღვთის ქალაქში":[68] "აგრეთვე სიყვარული უყვართ... რასაკვირველია, არსებობს სიყვარული, რომელსაც უყვარს, რაც ღირსი არ არის სიყვარულისა და ამ სიყვარულს თავის სიღრმეში სძულს ის, ვისაც უყვარს, რაც ჭეშმარიტად იმსახურებს სიყვარულს. რადგან ორივე სახის სიყვარულს ძალუძს ერთ ადამიანში ყოფნა". აქ უნებურად გვახსენდება ფაუსტი: "ორი სული სუფევს ჩემს მკერდში..." გვახსენდება იგი და არცთუ შემთხვევით: ტიუტჩევიც იმ საუკუნის შვილია, რომლის დროსაც მძლავრად შემოდის დემონურ-ფაუსტური იმპულსები დასავლეთში, ეს ის დროა, როდესაც შოპენჰაუერის პესიმისტური ფილოსოფია დაუბრკოლებლივ ფეხს იკიდებს ინტელექტუალთა ცნობიერებაში. საინტერესოა, ეშმაკზე წარმოდგენები თუ როგორც ცვლილებებს განიცდიდა დროთა განმავლობაში. თუკი დანტე დედამიწის სიღრმეში ათავსებს ლუციფერს, რომელიც უძრავად იქ იმყოფება, უკვე მილტონი, ერთი იტალიელი ლიტერატორის თქმით ("ლიტერატურულ გმირთა დიდი ენციკლოპედია", ტ.2, გ. 2001), მასში ხედავს "მაგალითს გმირული ენერგიისას", რასაც მოჰყვა უილიამ ბლეიკის მტკიცება თავის "სამოთხისა და ჯოჯოხეთის ქორწინებაში", რომ მილტონი - სატანისტია, ისე, რომ თავად არ იცოდა ამის შესახებ. რაც შეეხება გოეთეს, მისი მეფისტოფელი ("ფაუსტი" - "პროლოგი ცაში") ბიბლიური "იობის წიგნის" მსგავსად, მხოლოდ იარაღია ღვთის

68. Aurelius Augustinus, Vom Gottesstaat - De civitate dei, München 1991 (1955)

ხელში, რომელსაც "მარად ბოროტი სურს, მაგრამ მუდმივ სიკეთეს ქმნის". მაგრამ უკვე ბაირონის "კაენში" სატანა გვევლინება როგორც დამარცხებული ტირანი, რომელშიც ცოცხლობს პრომეთეს სული". საერთოდ, პრომეთესადმი სიმპათიებს დაბეჯითებით გამოთქვამდნენ რიგი პოეტები და მოაზროვნენი (გოეთე, შელი და სხვ.). გამონაკლისია ჰოფმანი, ბოროტების ბუნების გენიალური განმჭვრეტი ("სატანის ელიქსირი"), რომელიც პრომეთეს "სატანად" მოიხსენიებს ("ზახარიას ვერნერი"). საინტერესოა ალფრედ დე ვინის დახასიათება დემონისა პოემაში "ელოა". იქ ლუციფერის შესახებ ანგელოზები ამბობენ: "ის სიხარულსაც კი ვერ პოულობს იმ უბედურებაში, რომელსაც თვითონ ქმნის". ამასვე იმეორებს ლერმონტოვი თავის პოემაში "დემონი": "ბოროტებას იგი თესავდა სიამოვნების გარეშე, და ეს ბოროტებაც მობეზრდა მას". (იხ. ს. დანელია, ლიტერატურული და ფილოსოფიური წერილები, თბ. 1941). ზემოხსენებულ ლიტ. ენციკლოპედიაში კი ბაირონის "კაენზე" ვკითხულობთ: "პოეტი სიკეთისა და ბოროტების ცნებების შეფარდებითობას აცხადებს (მისი აზრით, სიკეთე პრივილეგიაა გამარჯვებულისა, ხოლო ბოროტება - დამარცხებულის ხვედრია). ხშირად ბაირონის თხზულებებში ლუციფერი წარმოდგენილია როგორც მსხვერპლი თანაგრძნობისა, რომელსაც იგი განიცდის ადამიანის მიმართ. ამავე დროს, ამ თანაგრძნობას არავითარი საერთო არ გააჩნია სიბრალულთან, ლუციფერისათვის შესაზიზღ გრძნობასთან. ეს კონცეფცია ეხმაურება ბოდლერის პოზიციას, რომელიც მიმართავს სატანას, როგორც უდიდესსა და უმშვენიერეს დაცემულ ანგელოზთა შორის, რომელიც განგმირა ღვთაებრივმა შურმა "პოეტის დიდი მწუხარების" მიმართ გამჟღავნებული სიბრალულის გამო. ბოდლერის ხედვით მხოლოდ დამარცხებულ სატანას ძალუძს თანაგრძნობის განცდა მეორე დამარცხებულის მიმართ - ადამიანისადმი, მაშინ, როდესაც, ღმერთი, განამტკიცებს რა თავის გამარჯვებას, რჩება გულგრილი".

"ბოროტების ყვავილებისა" და "სატანისადმი ლიტანიების" ავტორი თავის ერთ-ერთ წერილში შემდეგს გვაუწყებს: "მე ყოველთვის მიზიდავდა შეუძლებლობა, აგვეხსნა ზოგიერთი უეცარი ადამიანური ქმედება ან აზრი ისე, რომ არ მოგვეხმო ამასთანავე ჰიპოთეზა ადამიანის მიღმა არსებული ბოროტების ძალებისა... როდესაც თქვენ გესმით ქება განათლების პროგრესისა, ნურასოდეს დაიჯერებთ, რომ ყველაზე უცბიერესი ეშმაკეული ხრიკებიდან არის ის, რათა თქვენ დაგარწმუნოთ, რომ იგი არ არსებობს."

მაგრამ ბოდლერის დახასიათებისას უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეიქმნით, თუკი მივმართავთ ელიოტის გამორჩეულ წერილს ბოდლერზე.[69] ახასიათებს რა ბოდლერის "დღიურებს", ელიოტი წერს: "სატანიზმი თავისთავად, თუკი იგი უბრალო თვალთმაქცობა არ არის, წარმოადგენდა სხვას არაფერს, თუ არა ცდას ქრისტიანობაში შეეღწიათ უკანა შესასვლელიდან.

69. Томас Элиот, Избранное, т. I-II, М. 2004.

ნამდვილი ღვთის ,ქმობა, სულისმიერად ნამდვილი და არა მარტოოდენ სიტყვიერი, - შედეგია ნაზეარრწმენისა, და იგი შეუძლებელია როგორც სრული ათეისტისათვის, ასევე სამაგალითო ქრისტიანისათვის. ეს ერთ-ერთი ხერხია რწმენის დამტკიცებისა". შემდეგ: "იგი იყო ერთი იმათთაგანი, ვისაც გააჩნდა უდიდესი ძალა, მაგრამ ძალა მარტოოდენ ტანჯვისა. მას არ შეეძლო გაქცეოდა ტანჯვას და არ შეეძლო მისი დაძლევა, ამგვარად, იგი თავისაკენ იზიდავდა ტკივილს. მაგრამ რაც მას ნამდვილად შეეძლო (მთელი მისი უზარმაზარი პასიური ძალითა და მგრძნობელობით - მათი შესუსტება არ შეეძლო არავითარ ტკივილს) - ეს იყო თავისი ტანჯვათა გამოკვლევა. და ამით იგი სავსებით არ ჰგავს დანტეს და თვით არცერთ პერსონაჟს მისი "ჯოჯოხეთიდან". მეორე მხრივ, ტანჯვა, მსგავსი ბოდლერის ტანჯვისა, გულისხმობს შესაძლებლობას ნეტარების მოპოვებისას. მართლაც, მასში, თუ როგორ იტანჯება იგი, უკვე იგრძნობა ზებუნებრივისა და ზეადამიანურის თავისებური თანდასწრება." ელიოტს მოჰყავს ერთი აფორიზმი ბოდლერის "დღიურებიდან": "უნიკალური და უმაღლესი ტკბობა სიყვარულისა მდგომარეობს მტკიცე რწმენაში, რომ ახორციელებ ბოროტებას". ელიოტი შემდეგნაირად მსჯელობს ამ აფორიზმზე: "მან შეძლო იმის გაგება, რომ სექსუალური აქტი წარმოადგენს რა ბოროტებას, მიუხედავად ამისა უფრო ღირსეულია და არა ისე მოსაწყენი, როგორც ბუნებრივი, "სიცოცხლის შემომქმედი", ხალისიანი ავტომატიზმი თანამედროვე მსოფლიოსი. ყოველ შემთხვევაში, ბოდლერისათვის სექსუალური აქტი ანალოგიური არ არის სასაქმებელი მარილის მიღებისა... რა პარადოქსალურიც არ უნდა იყოს, სჯობს ბოროტების ჩადენა, ვიდრე - არაფრის კეთება: უკიდურეს შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვარსებობთ...უცუდესი, რისი თქმაც შეიძლება ჩვენს დამნაშავეთა უმრავლესობაზე - პოლიტიკოსებიდან დაწყებული ქურდბაცაცებამდე: ისინი სრულად არ არიან ადამიანები, რათა დასჯილ იქნან სამუდამო სატანჯველით." საინტერესოა ბოდლერის შეფასება კათოლიკეთა მხრიდან. როგორც მისი კათოლიკე მკვლევარი ვ. როსი წერს, მიუხედავად იმისა, რომ პოეტის "ბოროტების ყვავილები" ყველა ნიშანს ატარებს სატანიზმისას, დენდიზმისას, მახინჯი და მკრეხელური ეროტიკისას, ნარკომანიისას - მისი მნიშვნელობა მაინც სხვაგან სუფევს. კერძოდ, იგი სცილდება დეკადენტიზმის მოდურ თემებს, სხვათა დასანახად ნატარებ ბოჰემურ იმორალიზმს და ცინიკური გულგრილობის მიღმა ამჟღავნებს ჭეშმარიტ სასოწარკვეთილებას, ადამიანურ თანაგრძნობას. "ცუდი ბერის" პოზის მიღმა აშკარად იგრძნობა დაფარული რელიგიურობა. ამიტომ ლაპარაკობდნენ ბოდლერის ქრისტიანობაზე, ამიტომ ადარებდნენ "Ennui"-ს (ადამიანის ექსისტენციალური დაუკმაყოფილებლობა ბუნებრივი სფეროს ფარგლებში) მისეულ გაგებას პასკალის მსგავს განაზრებებს და სიკვდილისა და ლპობის პროცესებით მისეულ მოხიბვლას ბაროკოს ხანის კათოლიციზმის ნიშნებს.

მაგრამ სრულიად განსხვავებულ შეფასებას იმსახურებს ლოტრეამონი.

სატანიზმის ინგლისელი მკვლევარი ჯეფრი ბარტონ რასელი ("ბნელეთის თავადი", ლონდონი 1992) გვამცნობს, რომ ბოდლერთან და

სხვა დეკადენტებთან შედარებით ლოტრეამონი ნამდვილი სატანისტი იყო: "ლოტრეამონი ეთანხმებოდა ბოდლერს იმაში, რომ საჭიროა პირისპირ შეხვედრა ბოროტებასთან, მთელ მის ინტენსიურ და საზიზღარ ფორმებთან, მაგრამ იგი უფრო შორს მიდიოდა და არა მხოლოდ ეჩეხებოდა ბოროტებას, არამედ იძირებოდა მასში... მალდორორი,[70] მისი საზიზღარი შედევრის "მალდორორის სიმღერების" გმირი, გახდა კომბინაცია სადისა, სატანისა და თავად ლოტრეამონისა... მაგალითად, მალდორორი ხედავს პარკში სკამზე მჯდომ გოგონას და იქვე წარმოიდგენს, თუ მის გენიტალიებს როგორ ღრღნის დაკოდილი ტახი, სულ უფრო ღრმავდება რა მის სხეულში. იგი ოცნებობს იმაზე, თუ როგორ აწამებს იგი პატარა ბიჭუნებს, როგორ დალეჭს მათ სისხლსა და ცრემლებს. კოცნის რა ყრმას, იგი თავისთვის წარმოიდგენს, თუ როგორ სერავს მის ლოყებს სამართებლით. ვამპირიზმი, ნეკროფილია, ღვთის გმობა, პირუტყვთმავლობა, სისხლის აღრევა, მონობა, მამათმავლობა, დამახინჯება, მკვლელობა და კანიბალიზმი იპყრობს მას".

ჰ.ქ. ანდერსენის ერთი კომენტატორის თქმით, როდესაც 1835 წელს გამოიცა ანდერსენის რომანი "იმპროვიზატორი", იგი ადალბერტ შამისომ ფრიად აქო "ღრმა რელიგიური გრძნობით გამსჭვალული ქალწულებრივი სიწმინდის" გამო და ამავე დროს დაუპირისპირა ისეთ დეკადენტურ ნაწარმოებებს თანამედროვე ლიტერატურისას, როგორებიც იყვნენ "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" და "შაგრენის ტყავი". და აი, გადის რამდენიმე ათეული წელი და გამოიცემა "მალდორორის სიმღერები", რომლითაც მოგვიანებით ფრიად ინტერესდებიან სიურრეალისტები და წინა პლანზე წევენ მას (როგორც ქვემოთ დავინახავთ, არცთუ შემთხვევით). ერთი სიტყვით მეცხრამეტე საუკუნე სრული დეკადანსისაკენ მიექანებოდა. გავიხსენოთ ოსკარ უაილდის ცხოვრება და შეგონებანი: "არ არსებობს ზნეობრიები ან უზნეო წიგნები"...

მაგრამ საინტერესოა, ეს სულიერი დეკადანსი, ლიტერატურისა და რელიგიის ურთიერთგაუცხოება, მართლაც მეცხრამეტე საუკუნიდან დაიწყო? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მკითხველს მინდა შევახსენო რამდენიმე ქრესტომათიული ფაქტი რელიგიისა და ლიტერატურის ურთიერთგაუცხოების ისტორიიდან. როგორც ცნობილია, თავდაპირველად ლიტერატურა და რელიგია დაუცილებად ერთიანობას წარმოადგენდნენ. ანტიკური კულტი, შემდგომში კი ქრისტიანული ლიტურგია გახლდათ ლიტერატურული შემოქმედების აღმძვრელი საბაბი და ის სარბიელი, სადაც იგი გამოიყენებოდა. ეს მოსაზრება განეკუთვნება როგორც დრამას (ანტიკური ტრაგედია, შუა საუკუნეების "სასულიერო დრამა"), ასევე ლირიკას (ფსალმუნნი, ჰიმნები) და ეპოსს (მითოლოგია, წმ. ისტორია), ქრისტიანული რელიგია ლიტერატურას აწვდიდა დიდ "მასალას", ლიტერატურა კი რელიგიას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანიჭებდა ფორმასა და ენას. თანამედროვე

---

70. ესპანურად mal doror - ბოროტი სევდა.

მკვლევრის,კარლ-იოზეფ კუშელის სიტყვებით თუ ვიტყვით, ერთიანი რელიგიურ-ლიტერატურული კოსმოსი თავიდანვე იყო მოცემული. მისივე განცხადებით, ეს ერთიანობა ირღვევა მე-17 საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც ხდება დიფერენცირება და ფუნქციათა განაწილება, ერთი მხრივ, რელიგიასა და, მეორე მხრივ, სამართალს, ეკონომიკას, მეცნიერებასა და კულტურას შორის. ესე იგი, საზოგადოების ყველა სასიცოცხლო სფეროს განმსჭვალავი, მისთვის აზრის მომნიჭებელი მაკროსტრუქტურიდან რელიგია აღმოჩნდა ერთ-ერთი ქვესისტემის ადგილას, რომელსაც ზემოაღნიშნული ქვესისტემები დაუპირისპირდა. ქრისტიანობისა და კულტურის ერთიანობის რღვევა ლიტერატურის სფეროშიც აისახა. ვთქვათ, ბაროკოს ხანის მწერლები ა. გრიფიუსი, კალდერონი და მილტონი წერდნენ როგორც ქრისტიანი მწერლები, რელიგიისა და ლიტერატურის ერთიანობიდან ამოსულნი. მაგრამ შემდეგ და შემდეგ მწერლები შორდებიან რელიგიურ საწყისს და თვით რწმენის საკითხი და ეკლესიისადმი კუთვნილება ბევრისათვის პრობლემური ხდება. თავის აპოგეას ამ პროცესმა XX საუკუნეში მიაღწია. გერმანელი მწერალი, სხვათა შორის, მღვდლის შვილი, გოტფრიდ ბენი წერდა: ღმერთი წარმოადგენს სტილის ცუდ პრინციპს. მისი აზრით, თუკი მწერალი რელიგიურია, თუკი იგი თავის ლიტერატურულ ტექსტებში ღმერთზე როგორც მორწმუნე მსჯელობს, იგი სერიოზულ ხელოვანთა რიგებიდან გამოსარიცხია. რელიგიური რწმენა და ესთეტიკური სინდისი, ბენის განცხადებით, ურთიერთშეუთანხმებელია. რასაკვირველია, განაგრძობს იგი, რელიგიური ტრადიციები შეიძლება აისახოს ლიტერატურულ ნაწარმოებებში, როგორც მოტივები, ფიგურები, სიმბოლოები და თემები, მაგრამ მათ უნდა მიიღონ ავტორის ფილოსოფიურ-ესთეტიკური პოზიციიდან თავისებური გარდატეხა, ისინი სულაც უნდა გავაკრიტიკოთ და ბევრი რამ უარვყოთ. რელიგია დადებითი გაგებით, დასძენს ბენი, ხელოვნებისათვის რაღაც უცხოს წარმოადგენს.

"სიმბოლიზმისა და მოდერნის" ავტორებს (ვენა, 1977) მოჰყავთ ჯერ კიდევ 1886 წლის 10 აპრილს პარიზში გამოქვეყნებულ ჟურნალ "დეკადენტიდან" მკითხველისადმი პროგრამულად ჩამოყალიბებული ფორმულირებანი: "უაზრობა იქნებოდა, არ გვეღიარებინა დეკადანსის მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ. რელიგია, მორალი და სამართალი დაცემის გზაზეა... დახვეწილობა და სინატიფე მოთხოვნილებისა, გრძნობისა, გემოსი, ფუფუნება, გართობანი - ნევროზები, ისტერია, ჰიპნოტიზმი, მორფინიზმი, მეცნიერული შარლატანობა, უკიდურესი შოპენჰაუერიზმი, ყოველივე ეს წარმოადგენს სოციალური გადატრიალების სიმპტომებს". შემდეგ იგივე ავტორები, მალი და დიტფრიდ გერჰარდუსები, განაგრძობენ: "სიმბოლიზმის სულიერ-ლიტერატურულ მოძრაობას - გავიხსენოთ ბოდლერი, მალარმე, მაგრამ ასევე გეორგე, მეტერლინკი, უაილდი, იეტსი და პოლონელი პრჩიჟევსკი - არა მარტო საშკარაოზე გამოაქვს ეს კრიზისული ცნობიერება, ცნობიერება დეკადანსისა, რომელიც ცხოვრობს კულტურის ჩასვენების სიტუაციაში; იგი აიტაცებს ამ ცნობიერებას და ხელს უწყობს, რომ თანდათანობით მთელი

ცხოვრების განმსაზღვრელ პოზიციად იქცეს, რომელიც მასაზრდოებელ ნიადაგად იქცევა მისტიციზმისათვის, ირაციონალიზმისა და სპირიტიზმისათვის, ისევე, როგორც ირონიისა და მელანქოლიისთვის".

საგულისხმოა, რომ ცნობილმა ფრანგმა კათოლიკე პოეტმა და თავისი ქვეყნის დიდმა პატრიოტმა შარლ პეგიმ, რომელიც ბრძოლის ველზე დაეცა 1914 წელს, თავის "ორკვირიან რვეულებში" (IV, 5) ასეთი რამ დაწერა: "რაც ცხოვრების სინამდვილეში ძრწოლის მომგვრელია, ეს იმდენად ხანიერი გვერდიგვერდ ყოფნა კი არ არის სიკეთისა და ბოროტებისა, არამედ მათი ურთიერთგადახლართვა, მათი ურთიერთგამსჭვალვა და ზოგჯერ მათი იშვიათი, საიდუმლოებით აღსავსე ნათესაობა".

რაც შეეხება სიორენ კირკეგორს, იგი საერთოდ აკრიტიკებს ხელოვნებას. მისი აზრით, ხელოვნება არის არასაჭიროებულო თამაში ექსისტენციალური სერიოზულობის გარეშე, ესთეტიზმი ეთოსის გარეშე, ფიქცია ჭეშმარიტების ფლობის ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე. აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს კირკეგორის მიერ გადმოცემულია სწორედ დიდი ხელოვნების მეშვეობით, არტისტულ-რიტორიკული ხერხების ბრწყინვალე გამოყენებით. მაგრამ კრიტიკა კრიტიკად რჩება: ქრისტიანისათვის, ქრისტეს მიმბაძველობით, ხელოვნება რაღაც უცხოს წარმოადგენს.

კარდინალ შარლ ჟურნეს სიტყვებით თუ ვიტყვით ("შენიშვნები ტრაგიკულის შესახებ", 1945), ნიცშეს გამოჩენასთან ერთად ასპარეზზე მთელი სისავსით გამოვიდა ცინიზმით აღსავსე ტრაგიკული ყველაზე საშინელი, დამანგრეველი თვისებისა - ტრაგიკული ათეიზმისა: თავის "მხიარულ მეცნიერებაში" ნიცშე კითხულობს: "საით წავიდა ღმერთი? გიპასუხებთ. ჩვენ მოვკალით იგი. თქვენ და მე!.. განა არა ვგრძნობთ ღვთაებრივის გახრწნის სუნს? ღმერთებიც ხომ ლპებიან! ღმერთი სიკვდილი არს".კარდინალ ჟურნეს მოსწრებული თქმით, სურდათ ღმერთის მოკვლა, შედეგად კი მიიღეს მკვლელობა ადამიანისა. როგორც ცნობილია, ნიცშემ თავისი სიცოცხლე სიგიჟით დაამთავრა. ჟაკ მარიტენი, ქრისტიანი ფილოსოფოსი, ამაზე დასძენს: მისი სიგიჟე ჩვენთვის იმდენად წარმოადგენს ინტერესს, რამდენადაც იგი ლოგიკური შედეგია მისი სისტემისა.

როდესაც ვსაუბრობთ მეცხრამეტე საუკუნის ანტიქრისტიანობაზე ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ცხადია, ჩვენ არ გვაინტერესებს ისეთი ქრისტიანი კლასიკოსები, როგორებიც იყვნენ დოსტოევსკი, მანძონი, ანდერსენი, სტივენსონი და სხვები. მაგრამ, სამწუხაროდ, სასწორი სულ უფრო და უფრო მხატვრული შემოქმედებისა და რელიგიის გაუცხოებისაკენ იხრებოდა, ისე, რომ მეოცე საუკუნეში, ფრ. მორიაკის თქმით, უკვე არათუ რწმენა, არამედ სიკეთესა და ბოროტებას შორის წაიშალა ზღვარი.

ნიცშეს გარდაცვალებიდან 18 წლის შემდეგ და თავის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, 1918 წელს მიუნხენის უნივერსიტეტში მაქს ვებერი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: "მეცნიერება როგორც მოწოდება და პროფესია". სამწუხაროდ, გამოჩენილი სოციოლოგი თავის მოხსენებაში ნიცშეს ტრადიციას გააგრძელებს და ღმერთს სიკვდილის განაჩენს გამოუტანს,

დაშლის რა მას მრავალ ღმერთად და ურთიერთშეუთავსებელ ღირებულებებად. იგი წერს: "დღეს კარგად ვიცით, რომ წმიდა შესაძლოა არ იყოს მშვენიერი, უფრო მეტიც - იგი წმიდაა სწორედ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც არაა მშვენიერი. ამის მაგალითებს ვპოვებთ ესაიას 53-ე თავში და 21-ე ფსალმუნში. ჩვენ ისიც ვუწყით, რომ მშვენიერი შესაძლოა არ იყოს კეთილი და რომ იგი სწორედ იმიტომაა მშვენიერი, რომ არ წარმოადგენს სიკეთეს, - ეს ცნობილია ჩვენთვის ნიცშეს დროიდან მოყოლებული და უფრო ადრე მას ვპოვებთ "ბოროტების ყვავილებში" - ასე უწოდა ბოდლერმა თავისი ლექსების კრებულს. ხოლო უკვე გავრცელებულ სიბრძნეს წარმოადგენს ის, რომ ჭეშმარიტი შესაძლოა არ იყოს მშვენიერი და რაიმე ჭეშმარიტია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი არ არის მშვენიერი, არ არის წმიდა და სიკეთე. მაგრამ ეს სავსებით ელემენტარული შემთხვევებია ღმერთთა ბრძოლისა, ღირებულებათა შეუთავსებლობისა".

მე არ ვიცი, იცოდა თუ არა მაქს ვებერმა ბიბლიის ეგზეგეტების აზრი, ძველთაგანვე დამკვიდრებული ზემოხსენებულ ტექსტებზე, სადაც ისინი ამტკიცებენ, რომ იქ იგულისხმება თავად მესია, რომლის პირისახეს არნახული სულიერი მშვენიერება აღბეჭდოდა, ხოლო ესაია წინასწარმეტყველმა განგებ დახატა მისი სხეული უსახურად, რათა ხაზი გაესვა იმ გარემოებისაჟვის, თუ რა მსხვერპლზე წავიდა მაცხოვარი კაცობრიობის სახსნელად თავისი განკაცებით, განსხეულებით; ასევე, ფსალმუნის შესაბამის ადგილას საუბარია მშვენიერ მეფე დავითზე, რომელმაც მრავალი ტანჯვა განიცადა. დიახ, ღვთისმეტყველი იქ სხვა ჭეშმარიტებასა და სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ერთი რამ უდავოა, კერძოდ ის, რომ ხშირად ხელოვნების გზით, "ბოროტების ყვავილებით", ქრისტიანს დიდი ცთუნება ეუფლება და განსაცდელის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე.

აზრის ნათელსაყოფად ურიგო არ იქნება, თუ მივმართავთ ჟაკ მარიტენის ინგლისურენოვან წიგნს "ხელოვანის პასუხისმგებლობა" (1960), სადაც ფილოსოფოსი ამზეურებს იმ "ფაქტს", რომ თავიანთი ბუნების მიხედვით, ხელოვნება და მორალი ცალ-ცალკე სამყაროს წარმოადგენენ და ურთიერთის მიმართ არ გააჩნიათ უშუალო და შინაგანი სუბორდინაცია, ხოლო თუკი ასეთი რამ არსებობს, იგი მხოლოდ გარეგანი და ირიბი ხასიათისაა. ამის მერე ჟ. მარიტენს ზემონახსენები აზრის გასაძლიერებლად მოჰყავს გამონათქვამები, დაწყებული თომა აკვინელიდან და უოლტერ პეიტერითა და ოსკარ უაილდით დამთავრებული. მარიტენი ყოველივე ამას "წმიდა არტისტული მორალის ცთუნებად" მოიხსენიებს. იგი წერს: "პოეზია თავისი ჯადოს შემწეობით უმანკოებას შესძენს სწორედ იმ საგნებს, რომლებიც ღვთის მიერ აკრძალულნი არიან. ეს, თუ გნებავთ, წარმოადგენს ხელოვნების დაქვემდებარებას მორალისადმი, მაგრამ ისეთი მორალისადმი, რომელზედაც ხელოვნებამ მოახდინა ძალმომრეობა". შემდეგ იგი განაგრძობს: "პოეზიას აქვს თავისი სულიერი საიდუმლო, რის გამოც თავის თავზე ატარებს ანარეკლს უსაზომო იდუმალებისას, რომელსაც ანიჭებს სახეს და ახდენს მის სიმბოლიზებას, ამასთანავე, სახეს აძლევს და სიმბოლიზებას უკეთებს

მადლის ნაბოძებს, - თუმცა ამით პოეზია ჯერ კიდევ ვერ აღწევს მათ სფეროს. პოეზიის სულიერი იდუმალება ღია არის როგორც ზეცისათვის, ასევე - ჯოჯოხეთისათვის. პოეტური ცდა არის სულის თავმოყრა მის შუაგულში, სადაც სამყარო და სუბიექტურობა, ერთიანობაში, რაღაც ფარული, არაცნებისეული გზით შეიმეცნებიან. ეს ცდა არ წარმოადგენს მისტიკურ ცდას. იგი დაკავებულია შექმნილი სამყაროთი და ქმნილ არსთა უცნაური ურთიერთდამოკიდებულებით და არა საწყისით ყოველივე არსებულისა მის ზესამყაროსეულ ერთიანობაში. ფარული ცოდნა, რომელიც აქვს პოეტურ ცდას, მოიპოვება ემოციური განცდის მეშვეობით და არა თანამგრძნობი სიყვარულის წყალობით. პოეტური ცდა არის საწყისი, რომელიც მოწოდებულია, ყოველივეს მიანიჭოს გამოხატულება და იგი სრულდება წარმოთქმული სიტყვით ან შექმნილი ნაწარმოებით; მისტიკური ცდა განწყობილია სიჩუმისათვის, და მას აბოლოებს ნეტარი შერწყმა აბსოლუტთან.

მაგრამ როგორი განსხვავებაც არ უნდა აშორებდეთ მათ თავიანთი ბუნების მიხედვით, - განაგრძობს მარიტენი, - პოეტური და მისტიკური ცდა იშვებიან ერთურთის გვერდით და მათ შორის არსებობს გარკვეული სახის სიმპათია. ფუძემდებელი არჩევანის წყალობით, რომელიც განხორციელდა ადამიანის გულში, პოეტურ ცდას ნამდვილად ძალუძს მიბაძოს ამ მისტიკურ ცდას, იყოს მოწოდება მისკენ. მას ძალუძს მიაბრუნოს პოეტი სიცარიელისა და არარაობის ექსტაზისა და მაგიის ცთუნებისაკენ, რომლის გამოცდილებაც ჰქონდათ მალარმესა და რამდენიმე სხვა პოეტს, ხოლო ყველაზე მეტად - სიურრეალისტებს; მაგრამ მასვე შეუძლია წარმართოს პოეტი მისტიკური ცდისაკენ, ე.ი. ღვთიური მადლისაკენ. ამ ჭეშმარიტი სულიერი ჭვრეტისადმი თანდათან, ბუნებრივად და სპონტანურად განაწყობს სწორედაც პოეტური ცდა, მაგრამ განაწყობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პოეტი, როგორც ადამიანი, საკუთარ თავში არ გაიხლიჩა, და თუკი ეს ცდა არა დაამახინჯა თავის ეგოიზმით, ძალაუფლების მოპოვების სურვილით შეპყრობილმა".

მარიტენის ამ მსჯელობაში ნათლად ჩანს ამბივალენტური ხასიათი ხელოვნებისა, რომლის უღვთო მხარე გამხრწნელ, დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე. მარიტენი განაგრძობს: "ჩავუფიქრდეთ რომანისტის კონკრეტულ პოზიციას საკუთარი ქმნილების მიმართ. იგი ღვთის მსგავსად გვევლინება, რომელიც გახვეულია ადამიანურ სისუსტეებში. მას საქმე აქვს პერსონაჟთა სამყაროსთან, რომელთაც ის ქმნის, მაგრამ რომელნიც ხშირად მასზე ძლიერნი აღმოჩნდებიან და რომელთაც იგი მხოლოდ საკუთარი თავის მეშვეობით იცნობს; მაგრამ მათი თავისუფლება მოჩვენებითი თავისუფლებაა: ღვთისაგან სრული განსხვავებით, რომანისტი თავად გვევლინება ბოროტების ავტორად, რომელსაც მისი ქმნილებები სჩადიან. და ეს წარმოსახვითი ბოროტება, რომელშიც "ძევს" რომანი (ისევე, როგორც წმიდა მოციქულ იოანეს სიტყვებით, ჩვენი სამყარო "ბოროტებაში ძევს"), იმყოფება რაღაც უცნაურ სიახლოვეს ჩვენი რეალური სამყაროს რეალურ ბოროტებასთან -

იგი არის სახე და ნიშანი ამ რეალური ბოროტებისა, მაგრამ ნიშანი, რომელიც აღძრავს ქმედებას, შემძლე, თუკი ამისი შემთხვევა იქნება, გადაინაცვლოს ნამდვილად არსებული იმ საგნების მიმართულებით, რომელთაც იგი აღნიშნავს".

თუ რა საშიშროებაზეა საუბარი ზემომოყვანილ ტექსტში, ამას ადასტურებს იმავე მარიტენის მიერ ნაუწყები ფაქტი, რომელიც მწერალ ბერნანოსს ეხება. მარიტენი გვაუწყებს: "ბერნანოსს არ შეეძლო არ ელოცა თავის პერსონაჟებისათვის". ლოცულობდა იმიტომ, რომ ბოროტებისაგან დაეცვა ისინი.

მარიტენის შეხედულებას ხელოვნებაზე გვინდა დავუმატოთ ვლადიმირ ვეიდლეს აზრი იმავე თემაზე, რომელიც მან გამოთქვა თავის პარიზში გამოცემულ წიგნში "ხელოვნების კვდომა" (1937 წ.). ვეიდლე ფიქრობს, რომ მეოცე საუკუნის მხატვრულმა შემოქმედებამ დაკარგა ცოცხალი კავშირი ყოფიერებასთან,რის გამოც იგი დაცემის გზაზეა, ხოლო მიზეზი ამისა გახლავთ ის, რომ ხელოვნებისა და მწერლობის წარმომადგენლებმა დაკარგეს რწმენა "სასწაულისა". ასეთი რწმენის დასაბრუნებლად საჭიროა რელიგიისაკენ მიქცევა, რომელიც "ასაზრდოებს მხატვრულ შემოქმედებას, ანიჭებს რა მას სულიერ ერთიანობასა და აზრს. ევროპული კულტურისათვის ასეთი რელიგია შეიძლება იყოს მხოლოდ ქრისტიანობა". რელიგია, ამბობს ვეიდლე, არ წარმოადგენს კულტურის ნაწილს, არამედ მის წყაროს - "კულტურა - რელიგიის გამოსხივებაა". კულტურა ხშირად უპირისპირდება რელიგიას, რამდენადაც კულტურული ფასეულობანი არ არიან რელიგიურის იგივეობრივნი.[71]

მეოცე საუკუნეში ლიტერატურის კრიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ზემოთ ნახსენებ წერილში ელიოტი ამბობს: "ლიტერატურულ კრიტიკას აუცილებელია დაერთოს კრიტიკა გარკვეული ეთიკური და ღვთისმეტყველური პოზიციიდან. რამდენადაც ყველა ეპოქა აღწევს გარკვეულ საყოველთაო შეთანხმებას ეთიკური და რელიგიური პრობლემების მხრივ, იმდენადვე ლიტერატურულ კრიტიკას შეუძლია, ისე, რომ მათ არ შეეხოს, დამოუკიდებლად არსებობა. ეპოქებში, მსგავსად ჩვენისა, როდესაც ასეთი საყოველთაო შეთანხმება არ არსებობს, მკითხველ-ქრისტიანებს მით უფრო აუცილებლად სჭირდებათ თავიანთი კითხვა, და განსაკუთრებით კითხვა მხატვრული ლიტერატურისა, ნათელი ეთიკური და რელიგიური კრიტერიუმების გამოყენებით შეამოწმონ. "სიდიდე" ლიტერატურისა არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული კრიტერიუმებით..."

ქრისტიანობისა და კაცობრიობის ბედზე საგანგაშო წიგნს აქვეყნებს უკვე 1950 წელს, ესე იგი, ორი მსოფლიო ომის საშინელებათა შემდგომ, გერმანელი თეოლოგი, ფილოსოფოსი და მწერალი რომანო გუარდინი. თავის

---

71. Православная Энциклопедия, т. VII, стр. 373.

"ახალი დროის დასასრულში" იგი წერს: "ყალბი ბურჟუაზიული რწმენა პროცესის შინაგანი საიმედოობისა შერყეულია. მრავალნი უკვე ხვდებიან, რომ "კულტურა" - ის არ არის,რასაც გულისხმობდა ახალი დრო: არა კეთილ-მშვენიერი უშიშროება, არამედ დაუნდობელი ბრძოლა და არავინ უწყის, თუ რით დამთავრდება იგი... სუსტდება რელიგიური აღმქმელობა. მასში ჩვენ არ ვგულისხმობთ რწმენას ქრისტიანული გამოცხადებისადმი ანდა გამბედაობას, რომ მის მიხედვით წარვმართოთ ცხოვრება, არამედ უშუალო კონტაქტს საგანთა რელიგიურ შინაარსთან, როდესაც ადამიანს აიტაცებს იდუმალი სამყაროსეული მდინარება, - უნარს, რომელიც არსებობდა ყველა დროში და ყველა ხალხთან. ხოლო ეს კი ნიშნავს, რომ ახალი დროის ადამიანი არა მარტო კარგავს რწმენას ქრისტიანული გამოცხადებისადმი; მასში ატროფირებას განიცდის ბუნებრივი რელიგიური ორგანო და სამყარო მის წინაშე წარმოსდგება, როგორც საკრალურისაგან დაცლილი სინამდვილე". რომანო გუარდინის აზრით, მას ვერ უშველის ძველი მითოლოგიების ხელახალი აღორძინება ანდა "ახალი მითოლოგიის შექმნა ქრისტიანულ იდეათა და მითითებათა სეკულარიზაციის გზით - რაღაც ამის მსგავსს წარმოადგენს პოეზია გვიანდელი რილკესი. უტყუარი მასში მხოლოდ ერთი რამ არის - ლტოლვა, გადახაზოს გამოცხადების მიღმურობა და შემოსაზღეროს ადამიანური ყოფიერება მხოლოდ და მხოლოდ ამქვეყნიურით".

რომანო გუარდინი რილკეს დუინური ელეგიების კომენტარებში (1953), კერძოდ, მეათე ელეგიაზე გვაუწყებს, რომ რილკემ თავისი მოძღვრება სიკვდილსა და სიყვარულზე ელეგიათა მთავარ თემად დასახა. აღნიშნულის მიმართ თავისი მიდგომით "იგი ახალ დროსთანაა დაკავშირებული, რამდენადაც იგი უარყოფს როგორც ქრისტიანულ პროტესტს სიკვდილის წინააღმდეგ, ასევე მის აღიარებას, როგორც პირველცოდვისათვის გამოსასყიდ სასჯელს და შემოჰყავს იგი როგორც აუცილებელი მომენტი ყოფიერების მთლიანობაში. მაგრამ იგი ახალი დროის შეხედულებებსაც სცილდება, რამდენადაც გარდაცვლილებს და მათ სამეუფოს სინამდვილედ და სამყაროსათვის არსებითად მიიჩნევს, ანიჭებს რა მათ მთელ სამყაროსთან კავშირში განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მის წარმოდგენას მკვდართა არსებობის შესახებ ახასიათებს თავისებური ინტენსივობა, რომელიც მითური რელიგიურობის წარმოდგენებს უკავშირდება, მაგრამ აშკარად, აგრეთვე, ოკულტურ გამოცდილებათაგანაც არის განპირობებული. მის მოძღვრებათა შორის სიკვდილსა და სიყვარულზე არსებობს მჭიდრო კავშირი: ორივე მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუკი პიროვნება გაქრება". ხოლო პიროვნება, გუარდინის აზრით, უმთავრესია ქრისტიანისათვის და, ასევე, გაუგებარია ის სიყვარული, რომელიც არავისკენ მიემართება და არც არავინ იქნება მისი მზიდველი. რილკეს ცდა, რომ თავის "დუინურ ელეგიებში" სიმბოლური ენის დახმარებით, ერთი მხრივ, რელიგიური ტრადიციების მემკვიდრე გამხდარიყო და, მეორე მხრივ, ისინი ესთეტიკურად გადაეწყვიტა, ისევე როგორც შტეფან გეორგეს ცდა, ხელოვნებისათვის მიენიჭებინა

"ღვთაებრივი მოწოდების" ფუნქცია, ხოლო პოეტი გამხდარიყო წინასწარმეტყველი და ქურუმი, შეიძლება ითქვას, წარუმატებლად დამთავრდა. რილკესთან იგი გადაიქცა რაღაც არასავალდებულო "კერძო", "საკუთარ" რელიგიად, და სწორედ მისი "დუინური ელეგიებიდან" მეშვიდე ამქვეყნიერებას უგალობს. ამიტომ იყო, რომ ცნობილი გერმანელი თეოლოგი კარლ ბართი რილკეს ლიტერატურულ ქმნილებებს "ღვთისმოსავ უსირცხვილობად" განიხილავდა. ასეთი შეფასება თითქოს მით უფრო უცნაურია, თუკი გავიხსენებთ რილკეს შედევრს, ლექსების ციკლს, რომელნიც "ჟამნის" სახელწოდებით არიან გაერთიანებულნი და ეს სახელწოდება მას უკარნახა რუსეთში მოგზაურობამ და მისმა გაცნობამ მართლმადიდებლური ეკლესიის სულისკვეთებასთან, რადგან "ჟამნი" სინამდვილეში აღმნიშვნელია ყოველდღიური საეკლესიო ღვთისმსახურებისათვის ლიტურგიკული კრებულის სახელწოდებისა. მაგრამ საკითხი რილკეს რელიგიურობის შესახებ, ანუ პირდაპირი კითხვა, თუ რა სწამდა მას - არაორაზროვან პასუხს ითხოვს. როგორც რილკეს მკვლევარი და მისი ბიოგრაფი ჰანს ეგონ ჰოლტჰაუზენი გვაუწყებს, რილკეს "ჟამნი" და საერთოდ მისი შემოქმედება ეფუძნება არსებითად გნოსტიკურ წარმოდგენებს და გარკვეულ მისტიკურ ლიტერატურასთან ნათესაობას ამჟღავნებს: ღმერთი არის ქმნადი, ე.ი. იგი იქმნება,მისი არსებობა ეფუძნება ზოგიერთი ადამიანის მგრძნობიარე და მოპასუხე გულებს. რილკეს ერთი წერილიდან ირკვევა, თუ როგორ ესმის მას ეს "ქმნადი ღმერთი": მთელი რიგი უკმარისობებისა და ვაებათა გამო, რომელნიც სამყაროში სუფევენ, ღმერთი უნდა განვითარდეს ისე, რომ ისინი აღარ არსებობდნენ. ხოლო ადამიანმა მოიგონა ღმერთი დასრულებული სახით, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. რილკეს ანტიპათია იესო ქრისტეს მიმართ უკვე ადრიდანვე მჟღავნდება. იმავე წერილში იგი აღნიშნავს, რომ ქრისტე ახალგაზრდებისათვის "დიდ საშიშროებას" წარმოადგენს, რადგან იგი "ელობება" ღვთის ჭეშმარიტ გაგებას, რადგანაც მისი სახით (ე.ი. ქრისტეს სახით) ახალგაზრდები უფრო "ადამიანურს" ელტვიან. 1912 წლის 17 დეკემბრით დათარიღებულ ერთ წერილში რილკე თავს პირდაპირ "ანტიქრისტიანად" აცხადებს და აშკარად ამჯობინებს ისლამს ქრისტიანობას, რადგანაც მუჰამედი მხოლოდ ერთ ღმერთს აღიარებს და მას "არ სჭირდება ღმერთთან დაკავშირება "ქრისტეს" ტელეფონით". შემდგომში რილკე სავსებით უარყოფს ქრისტიანული წარმოდგენის საიქიოს, ქრისტიანულ სპირიტუალიზმს, ასევე ქრისტიანულ მორალს, რომელსაც არაბუნებრივს უწოდებს. ამიტომ გასაკვირი აღარ არის, რომ ფროიდის გაცნობის შემდეგ, 1915 წელსვე, იგი ადამიანის ფალოსის გამამტერებელ შვიდ ლექსს წერს და მათი სკანდალური შინაარსის გამო ისინი ვერ იბეჭდება (მხოლოდ 1956 წელს, რილკეს სრული თხზულებების გამოცემის გამო შეიტანეს ისინი იქ).

ზემოხსენებული რილკეს მკვლევარი ჰოლტჰაუზენი ამბობს, რომ ვინც პოეზიას განიხილავს როგორც პოეზიას და პოეტს მიიჩნევს არა ახალი ევანგელიის შემქმნელად, ანუ ახალი რელიგიის დამაარსებლად, არამედ აღიარებს მას მხოლოდ და მხოლოდ როგორც მხატვარ-შემოქმედს, სწორედ

იგი შეაფასებს ჯეროვნად რილკეს პოეზიას. არ არის საჭირო რილკეს არც გაღმერთება (როგორც ამას მრავალი ავტორი აკეთებს) და არც მისი ერეტიკოსად გამოცხადება (როგორც ეს ბოლო ათწლეულში ხდება). მე მაინც მგონია, რომ "ჟამნის" ავტორი, თავისი ტრაგიკული ცხოვრების დასასრულს, კვლავ ქრისტეს ელტვის, რაც აისახა მის ანდერძში, როდესაც მან თავისი საფლავი ეკლესიასთან ახლო მდებარე სასაფლაოზე აირჩია, იქვე, "ძველ ეკლესიასთან, რაროგონთან..."

XX საუკუნის გერმანული ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა პროფ. ვილჰელმ გრენცმანის წიგნი "პოეზია და რწმენა", ბონი 1964 (1950). იგი სრულად აკმაყოფილებს ელიოტის მოთხოვნას - ლიტერატურის განხილვა ხდება არა მარტოდენ ლიტერატურულ ღირსებათა ჩამოთვლით, არამედ ქრისტიანული პოზიციებიდანაც. გრენცმანი პირდაპირ ყოფს ახალ გერმანულ ლიტერატურას ორ ბანაკად - "კრიზისის ლიტერატურა" და "ლიტერატურა რწმენიდან". პირველ, "კრიზისულ" ბანაკში იმყოფებიან თ. მანი, გ. ბენი, ჰ. კაზაკი, ე. ვიჰერტი, ჰ.ჰესსე, ჰ. ბროხი, ფრ. კაფკა, ე. იუნგერი, ფრ. გ. იუნგერი, ჰ. კაროსსა. "ლიტერატურას რწმენიდან" წარმოადგენენ ისეთი მწერლები, როგორებიც არიან ვ. ბერგენგრუენი, ე. ლანგგესსერი, შ. ანდრესი, ფრ. ვერფელი, რ.ა. შრიოდერი, გ. ფონ ლე ფორტი, ე. შაპერი, რ. შნაიდერი.

როგორ ესმის გრენცმანს "რწმენა" და "ურწმუნოება"?. "რწმენა", აღნიშნავს გრენცმანი, ესაა ზერაციონალურში ფესვგამდგარი სამყაროს მთლიანობის ჭვრეტისადმი რწმენა. ამის საპირისპიროდ "ურწმუნოება" პირველის უარმყოფელია, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც რწმენის სხვა ფორმას წარმოადგენს. "რწმენა" ამასთანავე გამოხატულებაა არა იმდენად რაიმე ინტელექტუალური მოკრძალებისა, რომ საქმე ეხებოდეს, ვითომც, რაღაც უკონტროლო ან სულაც ფანტასტიკურ დაშვებას,არამედ უმაღლეს პრეტენზიას, რომ ყველა რაციონალურ და ემპირიულ შემეცნებათა გადამლახველი ჭვრეტით იხილონ სამყარო, როგორც მთლიანობა. ქრისტიანულ სფეროში იგი ასახავს თეოლოგიური რწმენის მსოფლმხედველობას, რომლის მიხედვითაც იგი პასუხს სცემს პიროვნული ღმერთის მოწოდებას.

პირველი "ბანაკის" მწერლების საერთო დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ისინი ადამიანს განიხილავენ, როგორც სამყაროში ჩავარდნილ, დაუცველ არსებას. ადამიანი ყოველდღე გარემოცულია მის მიერ ვერმისაწვდომი ძალებით. იგი გრძნობს თავს ალყაში მოქცეულად და იმყოფება მარად საშიშროებაში. შიში და ზრუნვა სულში ღრმად გამჯდარი მოვლენებია. მათი შემწეობით იგი ყოველთვის მზად არის, რომ ბნელ რეალობათა შემოტევა მოიგერიოს. ასეთია ადამიანის ძირითადი სიტუაცია, რომელიც შობს შავ, პესიმისტურ ნაკადს ჩვენი ეპოქის პოეზიაში, ობიექტურობა ჩვენს წინაშე მდგომი უცნობისა და მისი ხელმიუწვდომლობა ხდება მოტივი მრავალი შემომქმედის თხზულებებში როგორც გერმანიაში, ასევე მის გარეთ.

თანამედროვე ადამიანისათვის ხილული გახდა სინამდვილის ახალი უფსკრულები და შესაძლებელი მათი გამოხატვა. როგორადაც არ უნდა ვუწოდოთ მას, იგი გვეელინება მრავალნაირი ფორმით და ექვემდებარება მრავალმხრივ ახსნას. თუკი იგი განიცდება როგორც არარა, მაშინ იგი პარადოქსულად წარმოადგენს ძალას, რომელიც გამომწვევია.[72] მაგრამ მას, როგორც წესი, გააჩნია სხვა სახელები - ქაოსი ან ბოროტება. იგი ადამიანს მოიცავს ავადმყოფობასა და სიკვდილში. იგი თავს ამჟღავნებს ბუნების კატასტროფებში, უსაზომო სიკვდილიანობაში, შავ ბედისწერაში და შიშისმომგვრელ ადამიანურ სისასტიკეში. პოეზია ხშირად გადაშლის ბოროტების პანორამას.

რაც შეეხება "ლიტერატურას რწმენიდან", ეს დასახელება განეკუთვნება პოეზიას, რომელიც მომდინარეობს ქრისტიანული რწმენის სამყაროდან. თუმცა ყოველი დიდი პოეზია რწმენას ეფუძნება და განმსჭვალულია რელიგიური მოუსვენრობით; მისი ყოფნა და მისი სიცოცხლე ამაზეა დამოკიდებული. გოეთეს ეკუთვნის ფრაზა: "ადამიანები მხოლოდ მანამდე არიან შემოქმედებითნი პოეზიასა და სახვით ხელოვნებაში, სანამ ისინი ჯერ კიდევ რელიგიურნი არიან". რასაკვირველია, პოეზიის რანგი არ განიზომება რწმენისა და შეხედულებათა მიხედვით, არამედ - მხატვრული ხორცშესხმის შესაბამისად. მაგრამ გასაგებია, აქ, როგორც ყველგან, ესთეტიკურ დაკვირვებას გადავყავართ პოეზიის სიცოცხლისეული მთლიანობის აღქმაში, რომელშიაც "როგორ" დაკავშირებულია "რასთან". ამგვარად, "პოეზია რწმენიდან" დაფუძნებულია ქრისტიანულ სინამდვილეზე. თეოლოგიურად აზროვნება კი იმას ნიშნავს, რომ სამყაროში ღვთის თვალებით ჩავიხედოთ. თავისი საგნის მიხედვით ქრისტიანულ პოეზიას, რაკი იგი ადამიანური სიბრძნიდან არ მომდინარეობს, ისეთი სიგრძე და სიღრმე გააჩნია, რომელიც განუზომელია. რწმენა სამპიროვნული ღმერთისა ცენტრალურია ქრისტიანულ პოეზიაში. იგი სამყაროს განიხილავს როგორც ღვთის მიერ დასახული ხსნის გეგმას, რომელიც, როგორც ცალკეულის ყოფიერებას, ასევე ისტორიის მსვლელობას წარმართავს, და, მაშასადამე, ცოცხლობს იმ კატეგორიებით, რომლებიც რაციონალური აზროვნებისათვის უცხო და ხშირად მიუღებელიც არის. მისთვის ღვთის მოვლინება, ისევე როგორც მისი შემდგომი სიცოცხლე ადამიანთა შორის, ისეთივე რეალობაა, როგორც მისი მონასტრები, ეკლესიები და საიდუმლოებანი. ბოროტება მისთვის ისევე საშიშია, როგორც სხვა მოაზროვნეებისა და პოეტებისათვის. მან უწყის ადამიანის დაცემულობის შესახებ. იგი არავითარ შემთხვევაში არ საუბრობს მხოლოდ მარადისობაზე, არამედ - დროზე, რომელშიაც მხოლოდ კონკრეტული ამოცანები დაისმის და

---

72. არარა გარკვეული ასპექტით გამოხატავს ყოფიერებას, კერძოდ, როგორც არსებითად განსხვავებულს ყოველგვარი ყოფიერებისაგან, ე.ი. იმისაგან, რაზედაც უფლებიანად დაისმის კითხვა - რა არის ეს? ნაშრომში - "რა არის მეტაფიზიკა?" ჰაიდეგერი წერდა: "არარა, როგორც სხვა, ყოფიერებასთან მიმართებაში, არის ყოფიერების პირპაღე". - იხ. მ. ჰაიდეგერი, "ყოფიერება და დრო", თბ. 1989.

სრულდება. სიკვდილსა და უკვდავებას ქრისტიანულ ხედვაში საკუთარი დამახასიათებელი ნიშანი გააჩნიათ. ბუნებრივი ხდომილების მიზეზობრივ ჯაჭვს არავითარი აბსოლუტური უფლება არა აქვს; პოეზია აუქმებს მას მადლისა და სასწაულის შემოყვანით. ობიექტურობა ღვთის მიერ შექმნილი წესრიგისა ქრისტიანულ პოეზიაში ამგვარად პირველ ადგილზე დგას. მაგრამ ქრისტიანული სინამდვილე ადამიანის წინაშე აღმართულა არა მხოლოდ როგორც ყოფიერება, არამედ - როგორც მოთხოვნა. ქრისტიანი ყოველთვის გზაზე იმყოფება. იგი არის სუსტი არსება, ღვთისაკენ მოწოდებული და ბოროტის მიერ განცდილი. მან უნდა გააკეთოს არჩევანი მათ შორის. ამგვარად, რწმენიდან მომდინარე პოეზია მარტო ქებათაქებას არ წარმოადგენს. იგი გვამცნობს ღმერთისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებას, მათ სიდიდესა და მათ სიმძიმეს. ამით იგი ობიექტურისა და სუბიექტურის ურთიერთმიმართების დაძაბულობაზე მეტყველებს. რასაც კაცობრიობა ხედება და სხვა პოეზია მხოლოდ ყოყმანით მიანიშნებს, ქრისტიანი პოეტი ბედავს მის პირდაპირ დასახელებას: რომ ჩვენ მონაწილენი ვართ იმ ბრძოლისა, რომელსაც ზებუნებრივი ძალნი წარმართავენ და რომელნიც ჩვენს ძალასა და ნებას იყენებენ.

ახლა მოვიყვანოთ ორიოდ მაგალითი, თუ როგორ განიხილავს ვ. გრენცმანი ორივე ბანაკის შემომქმედთ. "კრიზისული ლიტერატურის" სიაში თომას მანი პირველ ადგილზეა. მიაგებს რა მას ჯეროვანს და აქებს რა მის მხატვრულ ოსტატობას, ვ. გრენცმანი არც მის კრიტიკას ერიდება. განიხილავს რა თ. მანის გვიანდელ რომანს "იოსები და ძმანი მისნი". ვ. გრენცმანი წერს: ბიბლიური ხდომილების მითურში გარდაქმნა ისტორიის შემქმნელ ძალებს აიძულებს ცვლილებისაკენ, რომელიც ბიბლიურ ისტორიას სავსებით უცვლის სახეს. რასაც რომანი წარმოგვიდგენს, ეს არ არის ძველი აღთქმის სამყარო, არამედ ეს არის სახეცვლილება, რომელიც ისტორიებიდან სრულიად სხვას, საბოლოოდ საპირისპიროს ქმნის, იმის მეშვეობით, რომ აზრს იგი სულ სხვა მიმართულებით წარმართავს. მითურში ტრანსპოზიციას წინაპირობად გააჩნია არა მხოლოდ ის, რომ ბიბლიური გმირების თავდაპირველი თეოლოგიური სახე უარყოფილია, არამედ მისი შედეგია, რომ მითური აზრი ყველა საგნის კვლავდაბრუნებისა ჩახლართულია ამ მოთხრობებში. მაგრამ რაც ყველა მითური რელიგიისათვის ძალაშია, სწორედ ეს არის მიუღებელი იუდაისტურისთვის. "იუდაიზმის გარდა" - ასე წერს რელიგიათა ცნობილი მკვლევარი მირჩა ელიადე - "არც ერთ წინაქრისტიანულ რელიგიას ისტორია არ შეუფასებია სამყაროში ღვთის უშუალო გამოცხადებად და რწმენა - ხსნის მოპოვების საშუალებად. ისინი მხოლოდ ისტორიული ხდომილების კვლავდაბრუნებაზე საუბრობდნენ."[73] იუდაიზმი და ქრისტიანობა საუბრობენ არა მითებზე, არამედ - ისტორიულ მოვლენათა განუმეორებლობაზე. თომას მანი, სარგებლობს რა გნოსტიკურ-მანიქეველური წყაროებით, ამდაგვარ დამოკიდებულებებს სრულიად სხვა

73. M. Eliade, Mythen, Träume und Mysterien, Salzburg 1961, s. 28.

სახეს ანიჭებს. ასევე შეიძლება თ. მანთან შოპენჰაუერის ზეგავლენაზე საუბარი, ირონიაზე, იუმორისტულ ნაკადზე და ა.შ.

აანალიზებს რა თომას მანის გვიანდელ რომანს "დოქტორი ფაუსტუსი", ვ. გრენცმანი აცხადებს, რომ აქ საქმე მხოლოდ მხატვრულ მიღწევსთან როდი გვაქვს, არამედ მთელ მსოფლგაგებასთან. ჩვენ ვდგავართ ვეებერთელა ქსოვილის წინაშე და კიდევაც რომ ეცადო მასში მხოლოდ ორიოდე მონახაზის შემეცნებას და მის თვალსაჩინოდ გახდომას, მაინც დარჩებიან ბნელით შემოსილი წინააღმდეგობები. პრობლემები იწყება მუსიკის როლთან დაკავშირებით. არის თუ არა ჭეშმარიტი, რომ მუსიკა სიღრმეების გამოცხადებაა, რომელიც ადამიანს სულისგან, ნებელობისგან და ცნობიერებისგან ათავისუფლებს და ქაოსის ბნელ ფსკერზე ითრევს? თომას მანს ამის გამო ჯერ კიდევ ამერიკაში მოუწია გერმანელი მუსიკოსებისაგან თავდაცვა; მან დიდი ეჭვები გამოიწვია, აგრეთვე, ევროპის კონტინენტზე. განა მუსიკა სწორედ იმის საპირისპირო არ არის, რასაც თ. მანი მის შესახებ ამტკიცებს? კერძოდ: სულიერი წესრიგის ასხავა, კანონიერების თვითწარმოჩენა (როგორც ეს ჰერმან ჰესეს ესმის), ნათლად, ფხიზლად, წმინდად და განმწმენდავად? თამაში, რომელშიაც ადამიანი მაღლდება? თუკი გვსურს გავიგოთ, როგორ ესმის თომას მანს სამყარო, რომელშიაც თავად იგი, გერმანელი ხალხი, ყოველი არსებული არის მოქცეული, მაშინ პასუხი თვით რომანისაგან უნდა მივიღოთ. ავტორი დაეჭვებულებს მიუთითებს: სამყაროს გული ბნელით მოსილი და ნათლის გარეშეა. ქმნილების ცენტრში დგას ეშმაკი, არა პრინციპი ბოროტებისა და არა ღვთის მეტოქე, ყველაზე ნაკლებად მეფისტოფელური სკეპტიკოსი და უარმყოფელი, როგორადაც იგი გოეთეს ესმოდა, არამედ, პარადოქსული გზით, ხილულად გამხდარი არარა. მაგრამ ეს არარა დიალექტურად სიცოცხლესთან ერთად არის მოცემული, იგი თავის თამაშს იწყებს არა ესმერალდათი, არავითარ შემთხვევაში ეშმაკის მოჩვენებით - იგი თავიდანვე არის აქ, ჩვენ განვიცდით მას განვითარების ყველა ფაზაში, მამის სიცოცხლეში, თეოლოგთა შორის "მთავარ სევდაში", რომელსაც ადრიანი ადრიდანვე ატარებს. და ამით იქცევა იგი იმად, რაც ძალთა ბრძოლად მოჩანს ადამიანის ხელში ჩასაგდებად, სინამდვილეში კი იგი წარმოადგენს სამყაროს შიდა სივრცის პროცესს; ღმერთი და ეშმაკი "სეკულარიზებას" განიცდის და ძალზე მჭიდროდ უკავშირდებიან ერთურთს. "რა არის კეთილი, რა არის ბოროტი?? რა არის ჯანმრთელი და რა - ავადმყოფი? რა არის უმანკოება, თუკი სიწმინდე, სული დამნაშავე ხდება? საიდან გვევლინება წესი? ყველაფერ ამაში ასე ადვილად გარკვევა უკვე აღარ შეიძლება. ცნებებმა, ღირებულებებმა უკვე დაკარგეს თავიანთი იმუნიტეტი, ისინი სრულად ერთმანეთისაგან არიან ინფიცირებულნი. ის, რაც უშინაგანესში თავს იჩენს, არის "სიცოცხლის ორაზროვნება", ცოცხალის პარადოქსი. ეშმაკი ზის ღმერთში, ღმერთი ზის ეშმაკში".[74]

---

74. E. Kähler, Die Säkularisierung des Teufels, Frankfurt 1949.

ასე იქცევა თომას მანის თხზულება გოდებად, გოდებად ყველა ხდომილებათა გარდაუვალ მსვლელობაზე, დეტერმინირებაზე, რომელსაც ყველა ეკემორჩილებით, დაღუპვაზე, რომლისკენაც ყველა მიეილტვით. იგრძნობა შინაგანი მღელვარება, სხვა შემთხვევებში ძალზე გრილი მწერლისა, თავისი გმირის ბედზე, თავის თავზე, ყველა ადამიანზე. აქ უკვე არავითარი პერსპექტივა და ძალა აღარ ჩანს, რომელიც გამოგვიყვანს ამ თავის თავში ჩაკეტილი წრიდან.

იქნებ მალავს ის პატარა ადგილი იმედს ყველა იმედის საწინააღმდეგოდ, სადაც საუბარია "ნათელი ღამეში"? რომ ღმერთი, რომლისაც არ სწამთ, არ იცნობენ, თაყვანს არ სცემენ, ამ თავის თავში გახლართულ სამყაროს, მის საცოდაობაში, შემწყალედ და მხსნელად მოევლინება?

მწერლის გოდება ჩვენთვის გასაგებია, მაგრამ გაუგებარია მისი ბრალდება. ჩვენ ვიცით: თომას მანი სიტყვებს არ ზოგავს, არ ზოგავს სიტყვებს ამ დიდ რომანშიც, როდესაც მას ყურადღება გადაქვს ლევერკიუნის ტრაგედიიდან სიკვდილთან მებრძოლი გერმანელი ხალხის ბედზე, რომელშიაც გოდებასთან ერთად ბრალდებაც გაისმის. მაგრამ რა უფლება აქვს, განაგრძობს ვ. გრენცმანი, რომ ამ რომანის შემდეგ, ბრალი დასდოს მან გერმანელ ხალხს? რა განახლების საშუალებებს სთავაზობს თავის ხალხს, მაშინ, როდესაც ამ ქმნილებით სასოწარკვეთილების ქურუმად გვევლინება? რომელ მსოფლგაგებას ახვევს თავს თავის ერს, რომელსაც განახლება სწყურია? წინაპირობად ასეთი განახლებისა ხომ ის არის, რომ გწამდეს აზრისა და წესრიგისა სამყაროში. ურჩი, რომელიც არსებულ წესრიგებს არღვევს, ბოროტმოქმედი, რომელიც ღვთაებრივ უდიდებულესობას გამოიწვევს და შეურაცხყოფს, შესაძლოა გამოსწორდნენ, მაგრამ არა - ყოფიერებისადმი ურწმუნო. განა ამგვარ გარემოებებში ყოველი სიტყვა ამაო არ არის? დოქტორი ფაუსტუსი, მოუხედავად ამისა, არ გახლავთ აბსოლუტური დასასრული, იგი დასასრულია მხოლოდ ეპოქისა, რომელსაც ამ ნაწარმოებში თავის თავზე განაჩენი გამოაქვს და უმოწყალო დასკვნებს აკეთებს. ნაწარმოები აყალენს სიღრმეებს, თომას მანის სხვა თხზულებებთან შეუდარებელს, მაგრამ იგი არ შეიცავს არც მონანიებას და, ბუნებრივია, არც მონანიების შემდგომდროინდელ მოტრიალებას, განახლებას.

თომას მანის მაგალითზე (რომლის სხვა ნაწარმოებები ასევე დაუნდობელ კრიტიკას განიცდის) გასაგები ხდება ვ. გრენცმანის მიდგომა უკვე სხვა "კრიზისული ბანაკის" მწერლებისადმი, რომელთა მხატვრულ ოსტატობას იგი წინა პლანზე წამოწევს, მაგრამ ამავე დროს, გვერდს არ უვლის მათ პესიმიზმს, სკეპტიციზმს და საბოლოო ჯამში - დემონიზმს. აქედანვე გასაგები უნდა იყოს გრენცმანისეული შეფასებები მეორე ბანაკის მწერლებისა, ე.წ. "ლიტერატურისა რწმენიდან".

ფრანგულენოვან ლიტერატურას თუ გადავხედავთ, აქ გრენცმანის როლს ფრანსუა მორიაკი ასრულებს.[75] იგი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ისეთი დრო

---

75. Самосознание культуры и исскуства XX века, М. 2000. стр. 463-484.

დადგა, როდესაც რასინის "ფედრა" ტრაგედიად არ აღიქმება. ერთი ახალგაზრდა ქალი ეუბნებოდა, თურმე, მორიაკს, რომ ვერაფერი გაიგო რასინის "ფედრაში", მთელი ეს მოთქმა, სინდისის ქენჯნა, შფოთვა - "განა ღირს ამის გამო ხმაურის ატეხა! განა რა არის აქ განსაკუთრებული, თუკი გერს შეიყვარებ?!" ის, რასაც ადრე სიყვარულს ვეძახდით, აზრი დაკარგა ახალგაზრდებში: "ღალატი ხომ უკვე ღალატი აღარაა და ერთგულებამაც აზრი დაკარგა, რადგან სიყვარული უკვე აღარ გულისხმობს მუდმივობას... რწმენა ღვთისა ბევრისთვის უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ ღირებულებები, რასაც იგი ამტკიცებდა, ძალაში იყო. სჯეროდათ სიკეთისა და ბოროტებისა. სიკეთე არ იყო ბოროტება, და ბოროტება - სიკეთე. რომანის სამყაროს მსხვრევა შედეგია ამ ფუნდამენტის მოშლისა, შედეგია სიკეთისა და ბოროტების ცნობიერების მოშლისა..." წერს რა მარსელ პრუსტზე, მორიაკი ამბობს: "ღმერთს ვერ იპოვით მ.პრუსტის თხზულებებში. ჩვენ არ ვეკუთვნით იმათ რიცხვს, რომლებიც უსაყვედურებენ მას იმის გამო, რომ მან შეაღწია სოდომისა და გომორას ცეცხლოვან გრიგალებში, მაგრამ სინანულს გამოვთქვამთ, რომ მან გაბედა იქ წასვლა ალმასის ჯავშნის გარეშე. მათში არ არსებობს ადამიანური სინდისი.არც ერთ ქმნილებას, რომელიც სახლობს მის წიგნებში, არ გააჩნია არც ზნეობრივი წუხილი, არც ეჭვები, არც დანანებანი, არც სინდისის ქენჯნანი, არც სრულყოფილებისადმი წყურვილი. მათ შორის, თითქმის, არავინ არის, ვისაც ეცოდინებოდა, თუ რა არის სიწმინდე; ხოლო უმანკო სულები, ისეთები, როგორებიც გმირის დედა და ბებია, იმდენად არიან უბრალონი თავიანთ უმანკოებაში, როგორც სხვა პერსონაჟები უბრალონი არიან თავიანთ ბიწიერებაში".

ასეთივე გარჩევები აქვს სხვა ფრანგ კრიტიკოსს, რიგ მწერალთა და ფილოსოფოსთა მიმართ.[76] განიხილავს რა ლიტერატურულ ნაწარმოებებს ისეთი მწერლებისას, როგორებიც იყვნენ ანდრე მალრო, სარტრი და კამიუ, იგი აღნიშნავს მთელ იმ უხამსობას, ცინიზმს, პათოლოგიურ აგრესიულობას, ნიჰილიზმს, რითაც აღსავსეა მათი თხზულებები. აქაა მალროს "პოსტულატორული ათეიზმი" და კამიუს "ტრანსცენდენტალური ნერონიზმი" მისი ნიჰილისტური პერიოდიდან. ყოველივე ეს გვახსენებს მაქს შელერის მოსაზრებას, რომელიც აფიქსირებს თავდაყირა მდგომ თეოლოგიას მის თანამედროვე ავტორებში. კერძოდ, იგი ამბობს, რომ ნიცშემდე ნებისმიერი ათეიზმი (მატერიალისტური, პოზიტივისტური და სხვ.) ღვთის არსებობას სასურველად მიიჩნევდა, მაგრამ შეუძლებლად. ესენი კი ღმერთის არსებობას დაუშვებლად მიიჩნევენ, რათა ადამიანი თავისუფალი, პასუხისმგებელი, ზნეობრივი არსება იყოს.[77]

---

76. Andre Espiau de la Maëstre - A. Malraux, A. Camus, J.P. Starte. P. Claudel. Ch. Peguy..., Salzburg 1961.

77. Max Scheller, Mensch und Geschichte, Bonn 1929, s. 43-44.

ყოველივე ზემოთქმულის მერე ორიოდ სიტყვა ქართულ ლიტერატურაზე. დიდად სამწუხაროდ, ილიას, აკაკის და ვაჟას შემდეგ, განსაკურებით საბჭოთა ეპოქაში, ღმერთის ხსენება აღარ იყო. ვითარებას არ ცვლიდა გალაკტიონის დიდ შემოქმედებაში ადრეული ორი-სამი ლექსი მაცხოვრისადმი და ღვთისმშობლისადმი აღვლენილი. ამის ნაწილობრივი ახსნა შეიძლება იმ დროს მძლავრი "მებრძოლი ათეიზმის" შიშით. მაგრამ რა ახსნა მოეძებნება გრიგოლ რობაქიძის ცნობილ სტრიქონს: "არ გვინდა დედაო სხვა ჯვარი ბერწების" ან იმას, რომ მიხეილ ჯავახიშვილი, მოსე წინასწარმეტყველის მიბაძვით, "ათ მცნებას" უწესებს თავის ქალიშვილს და სადაც ღმერთის ადგილს "სამშობლო" იკავებს? ამისი შეფასება სხვარიგ არ შეიძლება, თუ არ ვიხმართ სიტყვა "მკრეხელურს" მორწმუნეთა გასაგონად და "ათეისტური გონების ნაყოფს" - ლიტერატურის ისტორიკოსთათვის. განსაკუთრებით ამ მხრივ სცოდავს კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც თავის ადრეულ რომანში, "დიონისეს ღიმილი", რომანის მთავარ გმირს მთელ ტირადებს წარმოათქმევინებს მაცხოვრის წინააღმდეგ. ან ავიღოთ მისი ისტორიული რომანი "დიდოსტატის მარჯვენა" - აქაც ათეისტური ხედვაა გაბატონებული. გიორგი მეფე მეთერთმეტე საუკუნეში, აკვირდება რა ბერების პროცესიას, გუნებაში ფიქრობს: აფსუს, ესენი რომ ჯარში მყვანდნენ... ან, იგივე მეფე, "მესიის მახვილი", პოლიტიკური მიზნებისათვის ბღალავს სასწაულმოქმედ ჯვარცმას. რასაკვირველია, მკრეხელობები შუა საუკუნეებშიაც ხდებოდა, მაგრამ ისინი არატიპური მოვლენა იყო იმ ეპოქისათვის და თუ ისტორიულ წყაროში პირდაპირი მითითება არ გაგვაჩნია ამა თუ იმ პიროვნების მკრეხელობაზე, მაშინ მწერლის ეს გამონაგონი გმირის სულის აშკარა გაყალბებაზე მეტყველებს.[78]

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ეპოქაში მოუხდათ ცხოვრება ტერენტი გრანელს, ნიკო სამადაშვილს და რამდენიმე სხვა ქრისტიან მწერალს, მაგრამ მათ შემოქმედებას, ობიექტური მიზეზების გამო, ფართო გასაქანი არ მიეცა.

მე შეგნებულად არ ვეხები დღევანდელ, ცოცხალ მწერლებს, მათი მრავალრიცხოვნობის გამო. არ მინდა ვინმე გამომრჩეს და საშვილიშვილო წყენა დავიმსახურო. გამოვყოფ მხოლოდ ერთს, ნიჭიერად აღიარებულ მწერალ აკა მორჩილაძეს და მის თხზულებას "გადაფრენა მადათოზე და უკან". ამ მართლაც ნიჭიერად დაწერილ წიგნს საშიში ტენდენცია გააჩნია: აქ, ქართულ ლიტერატურაში მგონი პირველად, მამათმავლობის თემაა წინწამოწეული. იგი ჩვენს ცნობისმოყვარე მკითხველს იპყრობს თავისი "მამათმავლური ეკზოტიკით": გარდაცვლილი მამათმავლის კუბოზე მისი ამფსონები მათებურ რიტუალს ატარებენ და კუბოს თავიანთ უკანალს შეახებენ, აბანოში ერთმანეთთან სქესობრივ კავშირს ამყარებენ "ჯაჭვურად", ე.ი.

---

78. უფრო ფართოდ ამის თაობაზე იხ. ჩემს წერილში "რელიგია და ისტორიული კლება". - ჟურნ. "რელიგია" №7, 1992.

მატარებლის გადაძული ვაგონების მსგავსად და სხვა. იმედს გამოვთქვამ, რომ ამგვარ ფანტაზიებს მომავალში ავტორი დასთმობს და უფრო დიდ, თუნდაც, ტრაგიკულ თემებს შეეჭიდება.[79]

ახლა მოკლედ შევეხოთ ბოროტების გამოვლინებას ხელოვნებაში. მუსიკაში, პირველყოვლისა, ეს გახლავთ სხვადასხვა როკ-ჯგუფები და მეტალოჯაზი. მხატვრობაში ბოროტების გამოვლინებად სიურრეალიზმია მიჩნეული. ამის თაობაზე არსებობს ბრწყინვალე წერილები გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნისა და მოაზროვნის, ჰანს ზედლმაირისა (“ხელოვნების ისტორია როგორც სულის ისტორია“; “ჭეშმარიტების პრობლემა“ და სხვ.). ინტერესმოკლებული არ არის ამ მხრივ სერგეი ავერინცევის პოზიციაც. კლემენს ბრენტანოს ლექსთა კრებულს წამძღვარებულ მის წინასიტყვაობაში ამის თაობაზე ვკითხულობთ: “სიურრეალისტები თავიანთ წარმოსახვას აბსოლუტურად ყველაფრის ნებას აძლევდნენ - და აღმოჩნდნენ სიცარიელის წინაშე; ყველაზე საშინელი სამაგიეროს გადახდა ამდაგვარი თამაშებისათვის თვით არა სიგიჟე, არამედ, ყველაფრის ნებადართულობისაგან გამოწვეული მოწყენილობაა, როდესაც უკვე აღარაფრის გეშინია და არაფერი გაკვირვებს, როდესაც ყველაფერი შეიძლება და სწორედ ამიტომ არაფერი არ არის საჭირო“. შემდეგ ავერინცევი გვამცნობს, რომ კლემენს ბრენტანოს, ამ დიდ პოეტს, ძალზე ეშინოდა თავისი წარმოსახვისა. როგორც ავერინცევი თავადვე განმარტავს, “ასკეტიკის კანონების მიხედვით ნება არ ეძლევა წარმოსახვას ჰქონდეს ასეთი უფლებები სულის სფეროში“. იმასვე გვამცნობს თავის “ეკლესიის ისტორიაში“ დეკანოზი იოანე მეიენდორფი: “ყველაზე სახიფათო მტერი ღმერთთან შეერთებისა არის წარმოსახვა მისი ნებისმიერი სახითა და ფორმით... ამ აღმოსავლურ მოძღვრებას მოულოდნელი მსგავსება გააჩნია იმასთან, თუ როგორ ესმის წარმოსახვა სიმონა ვეილს (ებრაული წარმოშობის ფრანგი ქრისტიანი ფილოსოფოსი ქალი, ვ.რ.)): “იგი ავსებს იმ ნაპრალებს, რომლებიდანაც შესაძლო იქნებოდა, მადლს შემოეღწია“.

---

79. რამდენადაც ვიცი, მას სხვა თხზულებებიც აქვს, რომელთაც, სამწუხაროდ, არ ვიცნობ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ჩვენს ახალგაზრდა მწერლებში მოდად იქცა ბილწსიტყვაობა. თუ ისინი ქრისტიანები არიან, შემიძლია დავარწმუნო, რომ ამით ხარკს უხდიან ეშმაკს. მაგრამ რა უნდა ველაპარაკოთ ახალგაზრდებს, როდესაც მოხუცი ტ. ჭანტურია ბილწსიტყვაობის ჩემპიონია, რაც ასე ნათლად დაგვანახა კრიტიკოსმა თ. დოიაშვილმა. მით უფრო სამწუხაროა, რომ ასეთი კაცი “რუსთაველის სახელობის პრემიებს“ არიგებს...

მართლმადიდებელ ქრისტიანს საკითხავის არჩევისას დიდი სიფრთხილე მართებს და იგი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს წმ. მამათა შეგონებას. აბა მოვუსმინოთ რას ამბობს ამის თაობაზე წმ. თეოფანე დაყუდებული: “...მეკითხებით, შეიძლება თუ არა წიგნების კითხვა, გარდა სასულიეროსი? კბილებიდან გამოცრი და ისე გეტყვით, ოღონდ გასაგონად: მგონი, შეიძლება, მხოლოდ ცოტა და არა არჩევის გარეშე. როგორც წესი, დაუკვირდით ხოლმე ერთ რამეს: მაშინ, როდესაც იმყოფებით კეთილ გუნებაგანწყობაზე და იწყებთ კითხვას წიგნებისას ადამიანური სიბრძნის შემცველთ და თუკი ეს კეთილი გუნებაგანწყობა თანდათან დაგტოვებთ, მაშინ გადაგდეთ წიგნი. ეს არის საერთო კანონი თქვენთვის.“ **Св. Феофан Затворник, Советы православному христианину, М. 1994. стр. 128.**

წარმოსახვის გარდა არსებობს კიდევ სხვა საშიშროება, რომელზედაც წარმოდგენა შეგვექმნება, თუ ისევ მივმართავთ ფსიქოლოგ გრიუნს.[80] ქვეთავში, რომელსაც ჰქვია "მეს ცვლილება და განწყობა" ვ. გრიუნი შემდეგს გვაუწყებს: "თუკი ჩემი "მე" სავსებით აღივსება დიდი აზრით (ღმერთზე აზრით), მაშინ იგი ჩემი პიროვნული საკუთრება ხდება, ნაწილი ჩემი "მესი". აქ ხორციელდება, მაშასადამე, თავისებური ცვლილება არა მხოლოდ ჩემი აზრთა სამყაროსი, არამედ ჩემი შინაგანი ცხოვრებისაც. ახალ ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით, ამ ფაქტის მიმართ ეჭვი არ აღიძვრის. "მე" მდიდრდება არა მხოლოდ ახალი შინაარსებით (რასაც აგრეთვე ჩვეულებრივი აზრიც შეასრულებდა), არამედ ამ შინაარსთა ღირებულებათა სიმდიდრე გადადის "მე"-ზე, დიახ, იგი ხდება არსებითი და მოქმედი ფაქტორი მთლიანი "მეს"-ი. ეს "მე", შესაბამისად ათვისებული ღირებულებებისა, გარდაიქმნება."

დიახ, "მე" გარდაიქმნება აგრეთვე უარყოფითი "ღირებულებების" ათვისებით - იქნება ეს გარყვნილი ლიტერატურის ათვისება თუ უარყოფითი "გმირის" ზეგავლენის ქვეშ მოქცევა, ან "როლში შესვლა" და მიბაძვა სრულიად ამორალური კინო თუ ესტრადის "ვარსკვლავებისა" და ა.შ. განსაკუთრებით საშიშია ეს, რასაც ვ. გრიუნიც აღნიშნავს, ბავშვებისა და მოზარდებისთვის. ცალკე საკითხია სამსახიობო სამყარო, რომელიც, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, დაუცველია მორალური თვალსაზრისით (იგულისხმება "როლში შესვლა" და სცენის გარეთ სიყვარულის გაგრძელება. ამიტომაც ასე ხშირია მათ წრეში ცოლ-ქმრული ღალატი). თუ რამდენად იმძლავრა დღევანდელი მსოფლიოს არტისტულ სამყაროში წარმართული თეატრის ტრადიციებმა, ან რამდენად უწყობს მას ხელს სხვადასხვა ესთეტიკური თეორიები, ცხადია, ეს ცალკე საკვლევი თემაა.

ამავე დროს დიდი სიფრთხილე გვმართებს სიმბოლოების გამოყენების დროს. არსებობენ პირდაპირ "ანტიქრისტიანული სიმბოლოები. მუშტი, აღმართული ცისკენ, - ეს სიმბოლოა ღვთისადმი მტრობისა, ბრძოლისა მის წინააღმდეგ".[81] ამით სცოდავდნენ არა მარტო გერმანელი მემარცხენე სოციალ-დემოკრატები, ე.წ. "სპარტაკის კავშირის" წევრები გასული საუკუნის ათიანი წლების ბოლოს, არამედ ქართველი ზვიადისტებიც თავიანთი პრეზიდენტის ჩათვლით. მახსოვს, 1990 წელს ჩვენი ტელევიზიითაც გამოვედი ამ საზიზღრობის წინააღმდეგ, მაგრამ ვინ გისმინა... მალე საქართველო სისხლის მორევში ჩაიხრჩო.[82] მით უფრო დასანანია, რომ მხატვარმა გ.

---

80. მისი "თანამედროვე მორწმუნეობა (ღვთისმოსაობა) - ემპირიული ფსიქოლოგიის ძირითადი ფაქტები", მიუნხენი 1956.

81. Христианское восприятие и истолкование музыкальных произведений, Лествица, М. 2000. стр. 6.

82. სხვათა შორის, იგიეს იმერებს (მუშტის აღმართვას!) გაშახურდას შვილი. გაზ. "24 საათის" 2006 წლის 16 მარტის ნომერში გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებულია ფოტო, სადაც პიტინგზე გამოსულ სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიათა შორის უმცროსი გაშახურდაც იმყოფება მომღიმარი სახით და მხოლოდ მას აქვს მუშტი აღმართული.

ბულაძემ რაღაც სულ ელური ფრესკა შექმნა ზ. გამსახურდიასი, რაღაც წიგნი დააკავებინა ხელთ და, თუ არ ვცდები, ასეთი წარწერა გაუკეთა: "ზვიად-მწიგნობარი".[83] არის კიდევ ანტიქრისტიანული გამოხდომები ხელოვნებაში, რაც აშკარად ქრისტიანული ნაწარმოებების დამახინჯებაში ვლინდება. მაგალითად, ყველას მოეხსენება რიხარდ ვაგნერის "პარსიფალი", თუ შეიძლება ასე ითქვას უმაღლესი ქრისტიანული ოპერა, თავად ვაგნერის თქმით "საღვთასწაულო სცენიური მისტერია" და, საკითხავია, ვისი ბოროტი ნებით უნდა გადასხვაფერდეს ქრისტიანობის ეს ტრიუმფი ავტორის ჩანაფიქრის საწინააღმდეგოდ?! ასეთი რამ მოხდა პეტერბურგის საოპერო სცენაზე. "პარსიფალის" დამდგმელებმა, გვიამბობს თვითმხილველი, შეარიგეს მოწინააღმდეგეები. კლინგზორი აღარ ესვრის შუბს პარსიფალს, არამედ მშვიდობიანად გადასცემს მას, როგორც გადასცემს ესტაფეტას სპორტსმენი სპორტსმენს. საინტერესოა, როგორი ესტაფეტის გადაცემა შეუძლია ანტიქრისტეს ქრისტიანისათვის? პარსიფალი კი, მშვიდად იღებს შუბს და წყნარად შორდება იქაურობას, იეიწყებს რა ვაგნერის მკაცრ მითითებას, შუბით გამოსახოს ჯვარი და ამით დაანგრიოს კლინგზორის სამეფო. ორკესტრი, მართალია, ასრულებს თემას კლინგზორის სამეფოს დამსხვრევისას, მაგრამ არც კლინგზორი და არც მისი სამეფო სცენაზე ჯოჯოხეთში არ ინთქმება. კლინგზორი მშვიდობიანად ტოვებს სცენას. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მისი სასახლე დეკორაციებში უბრალოდ არ არსებობდა და ამიტომ არც არაფერი დაინთქმებოდა. არავითარი სასწაული სცენაზე წმიდა შუბით არ მომხდარა და არც ქრისტიანობის გამარჯვება მოხდა ანტიქრისტეზე. რაღაც მსგავსი ხდება აგრეთვე მესამე მოქმედების ბოლოს. როგორ აღიქვამდა ამას გამოუცდელი მაყურებელი? ალბათ, იგი დაჰყრობილი იყო რ. ვაგნერის მუსიკით, მაგრამ საეჭვოა გაეგო, თუ რა ხდებოდა სცენაზე."[84]

ფრანგული ტელეპროგრამა Mezzo-ს წყალობით "პარსიფალის" დამახინჯება სცენაზე ჩვენც ვიხილეთ. ამჯერად დამდგმელი რეჟისორი ალა-პარაკეს, რომელმაც უცერემონიოდ (თითქოს თავად მეორე ვაგნერი იყო!) განაცხადა, რომ მთელი ეს "არაფრისმთქმელი" რელიგიური რიტუალები ამოვიღეო. ამიტომ გაუგებარი რჩება, რაღას აკეთებენ იქ გრაალის რაინდები. ამ "ბრძენი" რეჟისორის წყალობით კლინგზორი შუბს კი არ ისვრის, არამედ პარსიფალს ახლოს მიეჭრება და მუცელში სურს რომ ატაკოს. პარსიფალიც, კარგი მოჭიდავე - კარატისტივით, ფანდის გამოყენე-

---

83. მართალია, ეს მხატვარი დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. რეჟისორმა გ. შენგელაიამ სატელევიზიო გამოსვლაში მას "ხალტურის" მკეთებელი უწოდა, ხოლო მანანისტ-ზვიადისტი გ. შარაძე ტელეეკრანიდან დაემუქრა მას - შენს ნაჩუქარ სურათებს თავზე გადა-გაგიხვევო! ეს ასეთ ფონს და მხოლოდ მთავრობისაგან მხარდაჭერას.

84. Христианское восприятие и истолкование музыкальных произведений, Лествица, М. 2000. стр. 179.

ბით კლინგზორს შუბს კი წაართმევს, მაგრამ ნაცვლად ჯერის გამოსახვისა მას მიწაში ჩაასობს (მართალია, კლინგზორი ამის გამო კვდება და იქით გულწასული კუნდრი გდია). ასე, რომ მისტერია - დრამის ნაცვლად რაღაც გულისამრევი ფარსი მივიღეთ და სანუგეშოდ შებერებული ვალტგრაუდ მაერის ხილვა და მოსმენაღა დაგვრჩა. მაგრამ არა მარტო ვაგნერის მიმართ ხდება ასეთი რამ. გამონაკლისი არც ბეთჰოვენის ნაწარმოებებია, კერძოდ, მისი IX სიმფონია. როგორც ცნობილია, ბეთჰოვენმა შილერის ოდა "სიხარულისადმი" თავისებურად შეცვალა და თეისტური მიმართულება შესძინა[85] და აი, გუნდისათვის დაწერილ ამ ტექსტში, სეკულარიზაციის მიზნით, დანაშაულებრივი ცვლილებები შეაქვთ რიგ შემსრულებელთ და სხვა.

ამგვარად, პირდაპირ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მიმდინარეობს დექრისტიანიზაცია ანუ ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა.

ფილოსოფოს ს. მალცევას აზრით, ვებერთელა "კონტრკულტურად" და ქრისტიანობისადმი დაპირისპირებად იქცა ფროიდისტული შხამი იმ აზრთა დანერგვისა, რომ ბუნებრივი, ბიოლოგიური იმპულსები თუკი ითრგუნებიან, ეს ადამიანისათვის დამღუპველია. ხოლო ასეთ "დამთრგუნველად" მორალი გვევლინება, რომელიც შორს უნდა მოვისროლოთ, თუკი გვინდა ლოგიკურნი ვიყოთ და ვიხსნათ ადამიანები. ამას მოჰყვა, თითქმის, ყველაფერზე ნებადაბრთველი სისტემა პერმისიული აღზრდისა. თუ რას მოიმოქმედებდნენ ასე აღზრდილნი, უკვე ძნელი მისახვედრი აღარ უნდა იყოს.

სხვა ცთუნება, განსაკუთრებით მეომარი სულისკვეთების მქონე ვაჟკაცებისათვის, წარმოგვიდგება ომის საკრალიზაციის სახით. აქ სხვა ავტორთა შორის გამოირჩევა მწერალი და რაინდი, თოთხმეტ გამორჩეულთა შორის ერთ-ერთი, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის დროს მიიღო გერმანიის უმაღლესი ჯილდო "მამაცობისათვის". ჯერ კიდევ ფრიდრიხ II დაარსებული, - ერნსტ იუნგერი. იგი თავის ძირითად ნაშრომში ("მუშა", "მბრძანებლობა და გეშტალტი". 1932) გვაუწყებს შემდეგს: "ბიურგერისათვის ცნობილია მხოლოდ თავდაცვითი ომი, და, მაშასადამე, ომი მისთვის საერთოდ უცნობია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი თავისი არსით არ არის ზიარებული სამხედრო სტიქიებს... საშიშროებას არა მარტო სურს, რომ იყოს თანაზიარი ნებისმიერი წესრიგისა, არამედ იგი გვევლინება მშობელად იმ უმაღლესი უშიშროებისა, რომელიც არასოდეს იქნება ბიურგერის ხვედრი... ადამიანი სტიქიურად ცხოვრობს კიდევ იმიტომ, რომ იგი თანაბრად არის როგორც ბუნებრივი, ასევე დემონური არსება. არც ერთ გონიერ დასკვნას არ ძალუძს შეცვალოს გულისცემა ან თირკმლის მოქმედება და არ არსებობს ისეთი სიდიდე, თვით გონების ჩათვლით, რომელიც დროდადრო დამოკიდებული არ გამხდარიყოს ქვენა ან ამაყ ცხოვრებისეულ ენებებზე. არსებობს სტიქიურობის ორგვარი წყარო. პირველ ყოვლისა, ის ბუდობს სამყაროში, რომელიც

---

85. იქვე, გვ. 53-54.

ყოველთვის სახიფათოა, მსგავსად იმისა, როგორც ზღვა მალავს თავის თავში ხიფათს, თვით წყნარი ამინდის დროს. მეორე მხრივ, იგი ადამიანის გულში დაბუდებულა, რომელსაც ენატრება თამაშობები და თავგადასავლები, სიყვარული და სიძულვილი, ტრიუმფები და დაცემა, რომელიც განიცდის მოთხოვნილებას საშიშროებისადმი იმდენადვე, რამდენადაც უსაფრთხოებისადმი, და რომელსაც საფუძვლიანად უზრუნველყოფილი უსაფრთხოების მდგომარეობა სამართლიანად ეჩვენება არასრულყოფილ მდგომარეობად". მაგრამ უსამართლობა იქნებოდა ყველაფერი "ცთუნებად" მოგვენათლა ერნსტ იუნგერის ნაშრომში. ეს განსაკუთრებით ეხება მის მიერ დამკვიდრებულ ცნებას "ჰეროიკული რეალიზმის" შესახებ, რომელსაც ძნელია არ დაეთანხმო. ერნსტ იუნგერი წერს: "არსებობენ საგნები უფრო მნიშვნელოვანნი და უფრო ახლობელნი, ვიდრე დასაბამი და დასასრული, სიცოცხლე და სიკვდილი. როდესაც ბრძოლაში მთელ ძალებს ჩააბამ, ყოველთვის შეიძლება მიაღწიო უმაღლეს მიზანს; მაგალითად გამოდგებიან მსოფლიო ომში დაღუპულნი, რომელთა მნიშვნელობა ოდნავადაც არ მცირდება იმის გამო, რომ დაეცნენ სწორედ ამ, და არა სხვა რომელიმე დროს. ისინი იღუპებოდნენ მომავლისათვის იმდენადვე, რამდენადაც ტრადიციის სულისათვის. გარდასახვის მომენტში, სიკვდილის გავლით ეს განსხვავება ქრება შენადნობში, რომელსაც უფრო მაღალი მნიშვნელობა აქვს. ამ სულისკვეთებით უნდა აღიზარდოს ახალგაზრდობა". როდესაც ერნსტ იუნგერი წერს: "არსებობს რამდენიმე დიდი და უცვლელი კრიტერიუმი, რომელიც ააშკარავებენ ადამიანის მნიშვნელობას. მათ განეკუთვნება ტკივილი". მას იქვე ეპიგრაფად მოჰყავს იაპონელი დედის დატუქსვა მტირალა ბიჭუნასადმი: "რა სულმოკლეობაა ტირილი რაღაც უბრალო ტკივილის გამო! მაშინ რას გააკეთებდი, ბრძოლაში ხელი რომ მოგკვეთონ? ან რომ მოგიხდეს ჰარაკირის გაკეთება?"

რა კონტრასტია ამასთან შედარებით, როდესაც თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსის ვიტორიო ჰიოზლეს 1200 გვერდიან წიგნში ("მორალი და პოლიტიკა - პოლიტიკური ეთიკის საფუძვლები 21-ე საუკუნისათვის", მიუნხენი, 1997) კაცი იმასაც ამოიკითხავს, რომ "თუკი მორალურად ლეგიტიმური სქესობრივი ურთიერთობა მხოლოდ სიყვარულთანაა დაკავშირებული, მაშინ შესაძლოა მორალურად ასევე პატივსაცემი იყოს სექსუალური კავშირები ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებთან". უფრო უარესი მაგალითი. "აიეტის" წყალობით, "ტვც"-ს არხზე მოვუსმინე რუს პროფესორს, რომელიც ჩამთვლიდა მაიმუნისა და ქალის სქესობრივი კავშირების შემთხვევებს აფრიკაში. ჩვენ რომ რუსეთში მაიმუნები არა გვყავსო? - მაცდური ღიმილით დაუსვა მას შეკითხვა ჟურნალისტმა ქალმა. სამაგიეროდ, უპასუხა პროფესორმა, ჩვენ ძაღლები გვყავსო! და ამის შემდეგ დაიწყო დასაბუთება იმისა, თუ რა ცუდია სიმარტოვე ქალისათვის. თუ ძაღლი როგორი ფაქიზია - "ხაზეიკას" სახის გამომეტყველებაზე ატყობს, სურს მას სექსუალური ურთიერთობა, თუ არაო, სხვათა შორის, მამაკაცისაგან

განსხვავებითო, და ა.შ. საკითხავია, არის თუ არა ეს სატანიზმის ერთ-ერთი გამოვლინება?! ამიტომ საუბრობს სერგეი ავერინცევი ევროპაში შემორჩენილ ქრისტიანულ ოაზისებზე და მხოლოდ ოაზისებზე: "ოაზისები, მხოლოდ ოაზისები ფართოდ გადაჭიმულ უდაბნოში; და "უდაბნო იზრდება", როგორც თავის დროზე იწინასწარმეტყველა ნიცშემ". ავერინცევის აზრით, როგორც ზემოთ იყო უკვე ნახსენები, სახიფათო უკვე ათეიზმი კი არ არის ქრისტიანობისათვის, არამედ ის, რომ "რადიკალური რელატივიზმი და პრაგმატიზმი ცხოვრების მოდური სახეობის პრაქტიკასთან შეთავსებით აღმოაცენებს სულის ძალზე სპეციფიკურ მდგომარეობას, რომლის დროსაც საკითხი ღვთის არსებობის შესახებ არ ღებულობს რა უარყოფით პასუხს, კარგავს - ყველა სხვა "საბოლოო" საკითხთან ერთად - ყოველგვარ სერიოზულობას. ადამიანური ტიპების ფენომენოლოგიის პერსპექტივაში ეს გაცილებით უფრო საშინელია, ვიდრე ათეიზმი". ს. ავერინცევს მოჰყავს კარდინალ ჰ. პუაპარის სიტყვები, რომელთა მიხედვითაც "ეს "დროის სული" თავს ამყღავნებს, როგორც აბსოლუტური რელატივიზმი, რომელიც მზად არის ყველა და ყველაფერი აღიაროს, გარდა აბსოლუტური ჭეშმარიტებისა. ერთ-ერთი მისი გამოხატულებაა ე.წ. სექსუალური რევოლუცია, რომელიც უკვე დიდი ხანია მოქმედებს არა მხოლოდ "პერმისიულად", არამედ აგრესიულადაც, აჩაღებს რა მორალურ ტერორს". საკუთრივ რუსეთის შესახებ ავერინცევი ამბობს: "დევნის დროს ჩაიარა და ახლა გვემუქრება უფრო საპირისპირო საშიშროება რაღაც უგერგილო პაროდიისა მართლმადიდებლურ ისტებლიშმენტზე გვიან ცარისტული გემოვნებით... პოლიტიკური კონფორიზმი მხოლოდ ერთი სახეობაა ბოროტებისა, გარკვეულ დროს და გარკვეულ პირობებში გაცილებით უფრო სახიფათოა კონფორიზმი ცხოვრების სტილისა, კონფორიზმი მოდისა, დროის სულის კონფორიზმი". ქრისტიანის ვალია "წინააღმდეგობა გაუწიოს "დროის სულს", ე.ი. იმ იდეოლოგიურ ფანტომებს, რომლებიც პარაზიტირებენ ამ სინამდვილეზე". ასეთ ფანტომად და ქრისტიანობისათვის უცხო მიზნად ავერინცევი სახავს ნაციონალიზმს. მართალია, ამბობს იგი, ექს-კომუნისტურ ქვეყნებში წარმოებს "კატასტროფული აფეთქება ნაციონალიზმისა" მისი გაფურჩქვნა-ზეაღმავლობის გაგებით, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, განაგრძობს ავერინცევი, რომ "ეს აფეთქება - რომელიც აშკარად წარმოშობილია სწრაფწარმავალი სიტუაციით ეგრეთ წოდებული "იდეოლოგიური ვაკუუმისა" და არმქონე უფრო ღრმა საფუძვლისა - აღმოჩნდება დღემოკლე. ხოლო ამას მოჰყვება უცილობელი რეაქცია. ყველაფერი, რაც დღეს თავის კომპრომეტირებას ახდენს ნაციონალისტურ ისტერიასთან კავშირში. თავის თავზევე განიცდის მთელ სიმძიმეს იმავე სიძულვილისას, რომელიც დღეს ატყდება იმას, ვინც თავი შეირცხვინა მლიქვნელობით ტოტალიტარიზმის წინაშე გუშინდელ დღეს.. და უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მომავალი თაობები იკითხავენ არა "ნაციონალური" (ან, პირიქით, "ლიბერალური") ქრისტიანობის შესახებ, არამედ ქრისტიანულ ქრისტიანობაზე.

ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი დაუწყებენ ძიებას უფრო ქრისტეს ეკლესიას, წმიდასა და ერთიანს, ვიდრე "კონფესიონალურ იდენტურობას", როგორც ასეთს". ავერინცევი აუცილებლად მიიჩნევს ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. იგი ამბობს: "ძალზე დასანანი იქნებოდა, რომ წინააღმდეგობის ეთიკა, ერთდროულად მშვიდობიანი და შეურიგებელი, გამომუშავებული ტოტალიტარული რეჟიმებისადმი წინააღმდეგობისას, დაკარგული ყოფილიყო ხვალინდელი დღის ქრისტიანობისათვის. რადგან წინააღმდეგობა ყველანაირ პირობებში რჩება ქრისტიანულ იმპერატივად, ქრისტიანული ცხოვრების ნორმად: წინააღმდეგობა ამა ქვეყნის თავადისათვის - მაშინაც, როდესაც იგი მხოლო ირიბად ან სულაც არ განეკუთვნება პოლიტიკის სფეროს. "ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამას" - გვმოძღვრავდა ჩვენ პავლე მოციქული (რომ. 12,2): სამშვინველი ჩვენი, სული ჩვენი მლიქვნელურად ხმას არ უნდა უწყობდეს დროის სულს, არსებულს - და წარმავალს - მსოფლიოს მდგომარეობას". შემდეგ ს. ავერინცევი აღიარებს, რაც პირადად მე სადავოდ მიმაჩნია, რომ ის, რაც "სულიერად" ყოფს მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს, იმდენად საღვთისმეტყველო საკითხებში დაპირისპირება კი არ არის, არამედ - იგი აქ პ. ფლორენსკის ესესხება გამოთქმას: "გემოვნებაა", "მართლმადიდებლური გემოვნება". მაგრამ ის, რაც მე სავსებით გამართლებულად მეჩვენება, არის ს. ავერინცევის დიდი სურვილი, რომ დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანობას შორის მოხდეს "სინთეზი". იგი წერს: "სინთეზის ამოცანა ფრიად და ფრიად ძნელია; არ შეიძლება, კეთილგონიერ ქრისტიანს არ აშინებდეს საყოველთაო ეკლექტიკურ-სინკრეტული არეულ-დარეულობა, რომელიც იმუქრება, რომ ბოლოს მოუღებს სულიერი სტილისა და გემოვნების ისედაც შერყეულ გრძნობას. სამაგიეროდ, ამ ამოცანის გადაწყვეტა გვპირდება, რომ განუზომლად შეგვიმსუბუქდება ბრძოლა მსოფლიო ქრისტიანობის სხვა ცხოვრებისეულ პრობლემებთან. ქრისტიანულ დასავლეთს მწვავედ სჭირდება დღეს მართლმადიდებლური გრძნობა საიდუმლოსი, "ღვთის შიში", ონტოლოგიური დისტანცია შემოქმედსა და ქმნილებას შორის, მართლმადიდებლური დახმარება ცოდვის გრძნობის ეროზიის საწინააღმდეგოდ; სხვაგვარად, დასავლეთის იმ ძეთა და ქალიშვილთაგან, რომლებიც არ დაიღლებიან რელიგიის, რომელიც ამ სახელს იმსახურებს, ძიებით, სულ უფრო ხშირად დაიწყებენ სვლას არაქრისტიანული აღმოსავლეთისაკენ - მაგალითად, ისლამისაკენ. მაგრამ არც ქრისტიანულ აღმოსავლეთს ძალუძს იოლად წასვლა დასავლური გამოცდილების გარეშე, რომელიც ორ საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის ცოცხალი რწმენისას, მას შემდეგ, რაც მან მიიღო გამოწვევა განმანათლებლობისა, დიახ, ყოველივე იმის გარეშე, რაც აღმოჩნდა "გამომუშავებული" დასავლური რეფლექსიის მიერ მორალის ღვთისმეტყველების პრობლემებზე და მასთან დაკავშირებულ სამართლის ღვთისმეტყველებაზე, დასავლური გემოვნების გარეშე მოთმინებით განასხვავოს ნიუანსები, ინტელექტუალური პატიოსნების იმპერა-

ტივის გარეშე; დასავლურ ქრისტიანობას სამართლიანად შეუძლია ხშირად შეგვახსენოს: "ძმანო! ნუ ყრმა იქმნებით გონებითა" (I კორ. 14,20). ჩვენ კი ზოგჯერ საფუძველი გვაქვს შევახსენოთ ჩვენს დასავლელ ძმებს: "დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა" (იგავთა, 1,7). ძალზე დასანანი იქნებოდა, რომ ბოროტების ამ საბედისწერო მოზღვავებას, არ დაუპირისპირდეს ერთიანი ქრისტიანობის მახვილი.*

* ამ თავის ("ბოროტება ლიტერატურასა და ხელოვნებაში") შემდეგ სასურველია მკითხველმა წაიკითხოს ჯორჯ ორუელის წერილი "სულიერ მოძღვართა პრივილეგია".

რელიგიური გამოცდილების ფენომენი[1]

ისეთ ფილოსოფოსს, როგორიც მარტინ ჰაიდეგერია, რომლისთვისაც არსებულ ყოფიერებას გამსჭვალავს სიკვდილი, როგორც ზღვარი, და მასთან გაშუქმებით მიმართებას, თუნდაც "შეუცნობლად", იგი "სიკვდილისაკენ ყოფნას" უწოდებს, მაინც მიაჩნია, რომ "არსებობს განსაკუთრებული ადგილი, სადაც სიტყვა "ღმერთი" თავის ადგილზე იმყოფება და ეს არის არა მეტაფიზიკური თეორია, არამედ წმიდას გამოცდილება".[2] მისი დროის სიტუაციას ჰაიდეგერი ღვთაებისაგან თანდათანობით უფრო დაცლილად განიხილავს, რის გამოც იზრდება უუნარობა წმიდას გამოცდილებისა. თავად მას არ შეუძლია დაადასტუროს კონკრეტული გამოცდილება წმიდასი.[3] მაგრამ მოვუსმინოთ თავად ჰაიდეგერს: "მხოლოდ ყოფიერების ჭეშმარიტებიდანაა შესაძლებელი წმიდას არსის გააზრება. მხოლოდ წმიდას არსიდანაა შესაძლებელი ღვთაების არსის გააზრება. მხოლოდ ღვთაების არსის შუქშია შესაძლო გააზრება და თქმა იმისა, თუ რას გვამცნობს სიტყვა "ღმერთი".[4]

ახლა ავიღოთ ჰაიდეგერისაგან ისეთი განსხვავებული ფილოსოფოსი, როგორიც ფრანგი პოლ რიკიორია. მისი რუსი მთარგმნელი წინასიტყვაობაში მასზე ასე წერს:" ჰეგელის აბსოლუტური ცოდნის ადგილზე, რომელიც გამოდის როგორც მიზანი საკუთარი თავის განმავითარებელი ცნობიერების წინაშე, იგი აყენებს წმიდას, რომელიც გვევლინება, მისი სიტყვებით, აბსოლუტად, როგორც ცნობიერებისათვის, ასევე არსებობისათვის და რომელსაც ესქატოლოგიური მნიშვნელობა გააჩნია."[5]

ახლა ისმის კითხვა, თუ რა არის ეს "წმიდა", რა შინაარსის მომცველია იგი? ამ კითხვით უნდა მივმართოთ ავტორს, რომელმაც ფილოსოფიურ ლიტერატურაში ამ ცნების დანერგვით ზეგავლენა მოახდინა ისეთ განსხვავებულ მოაზროვნეებზე, როგორებიც არიან მ. შელერი, კ. გ. იუნგი, მ. ელიადე, ფრ. მენშინგი, ივ. ვახი, პ. ბერგერი და თავად მ. ჰაიდეგერი.[6] სისტემატური თეოლოგიის პროფესორმა მარბურგში, რუდოლფ ოტტომ (1869-1937) 1917 წელს გამოსცა თავისი მთავარი ნაშრომი "წმიდა",[7] რომელ-

---

1. "რელიგიური გამოცდილების ფენომენი" თეოდე მისტიკური გამოცდილების ფენომენია. წინასაუკუნეების მისტიკას რაც შეეხება, იხ. ჩვენი პუბლიკაციები: "აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანული მისტიკა; "ათონის მთის ბერთა მისტიკური ღვთისმეტყველების შესახებ" (ჟურნ. "რუსთველი" №3,4, 1992 წ.).

2. ამ გვაუწყებს ამას G. Haeffner-ი ჰაიდეგერზე მიძღვნილ სტატიაში. იხ. Gott-Denker von der Antike bis zur Gegenwart, Freiburg 1987, s. 149 f.

3. Ebd.

4. M. Hiedegger, Platons Lehre von der Wahrheit, Bern, z Aufl. s. 102. ციტირებულია წიგნიდან: Q. Huonder, Die Gottesbeweise, Stuttgart 1968, s. 162.

5. П. Рикёр, Конфликт Интерпретаций, М. 2002. стр. 15.

6. Gott-Denker von der Antike biszur Gegenwart, Freiburg 1987, s. 269.

7 R. Otto, Das Heilige (1917), Munchen 1947.

საც სათაურის ქვემოთ ასეთი განმარტება მისცა: "ირაციონალურის შესახებ ღვთაებრივის იდეაში და მისი დამოკიდებულება რაციონალურთან". მივყვეთ რ. ოტტოს მსჯელობას და ჯერ გავარკვიოთ, თუ როგორ ესმის მას "რაციონალური და ირაციონალური".

ყოველი თეისტური ღვთის იდეისათვის საერთოდ, წერს ოტტო - და განსაკუთრებით ქრისტიანულისთვის, ძალზე არსებითია, რომ ღვთაება მკაფიო განსაზღვრულობით აღიქმებოდეს და აღინიშნებოდეს ისეთი პრედიკატებით, როგორიცაა სული, გონება, ნება, მიზანდამსახველი ნება, კეთილი ნება, ყოვლადძლიერი, არსის ერთიანობა და ა.შ. და რომ იგი ამავდროულად, გააზრებული იქნეს, როგორც პიროვნულ-გონიერი, რასაც ადამიანი თავისივე თავში აღმოაჩენს გარკვეული შეზღუდული ფორმით (ღვთაებრივის ყველა ეს პრედიკატი გაიაზრება როგორც "აბსოლუტური", ანუ "სრულყოფილი"). ყოველი ეს პრედიკატი წარმოადგენს მკაფიო და გარკვეულ ცნებას, რომელიც ექვემდებარება აზრობრივ დაყოფას, დეფინიციას. თუ საგანს, რომელსაც ცნებისეულად ასე ნათელი გააზრების უნარი შესწევს, რაციონალურს ვუწოდებთ, მაშინ ამ პრედიკატებით აღწერილი ღვთაების არსი აღინიშნება როგორც რაციონალური, და რელიგია, რომელიც მას აღიარებს და აფუძნებს, არის რაციონალური რელიგია. საპირისპიროდ მარტოოდენ "გრძნობისა", ასეთი რელიგიის მეშვეობით "რწმენა" ანუ რაიმეში დარწმუნება გამოკვეთილი ცნებებითაა შესაძლებელი. ყოველ შემთხვევაში, აგრძელებს ოტტო, ქრისტიანობის მიმართ ფაუსტის სიტყვა არ არის მართალი: "ყოველივე არის გრძნობა, სახელი მარტოოდენ ბგერა და კვამლია". "სახელი" ფაუსტის ამ სიტყვაში აღნიშნავს იმასვე, რასაც ცნება. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია რელიგიის უმაღლესი ხარისხისა და უპირატესობის ნიშნად ის, რომ იგი აგრეთვე ფლობს "ცნებებსა" და შემეცნებებს (სახელდობრ რწმენის შემეცნებებს) ზეგრძნობადისა... ქრისტიანობას რომ ცნებები გააჩნია და ეს ცნებები რომ უპირატესი სინათლით, გამოკვეთილობითა და რიცხვთა სისრულით გამოიჩრევა, არის თუმცა არა ერთადერთი, და არც მთავარი, მაგრამ ძალზე არსებითი ნიშანი მისი უპირატესობისა სხვა რელიგიათა საფეხურებთან და ფორმებთან შედარებით.

თავდაპირველად ამას უნდა გაესვას მკვეთრად ხაზი. მაგრამ ამავე დროს გაფრთხილება გვმართებს, განაგრძობს ოტტო, ერთი გაუგებრობის წინაშე, რომელიც მიგვიყვანდა შეცდომებით აღსავსე ცალმხრივობასთან, სახელდობრ იმ შეხედულებასთან, რომ რაციონალური პრედიკატები, როგორც დასახელებულნი, ასევე მათი მსგავსნი და მათზე დამატებულნი, შემძლენი არიან ღვთაების არსის ამოწურვისა. აქ უკვე ჩვენ ვაწყდებით წინააღმდეგობას რაციონალიზმსა და უფრო ღრმა რელიგიას შორის... ხშირად მოცემული განსხვავება, რომ რაციონალიზმი "სასწაულის" უარყოფაა, ხოლო მისი საპირისპირო კი - სასწაულის დადასტურება, აშკარად ყალბია ან უკიდურეს შემთხვევაში - ზედაპირული. რადგან მოარული თეორია სასწაულისა, როგორც დროდადრო განმრღვევი ბუნებრივ მიზეზთა ჯაჭვისა არსების მიერ, რომელმაც თავად დააწესა იგი, რომელიც, მაშასადამე, მბრძანებელი უნდა ყოფილიყო მისი, თავად

იმდენადვეა "რაციონალური", რამდენადაც შესაძლებელია. რაციონალისტები ძალზე ხშირად უშვებენ ამ აზრით გაგებული "სასწაულის შესაძლებლობას" ან თავად ახდენენ მის კონსტრუირებას a priori. რადიკალური ირაციონალისტები კი "სასწაულის საკითხის" მიმართ ძალზე ხშირად გულგრილნი დარჩენილან. რაციონალიზმსა და მის საპირისპიროსთან საქმე ეხება თავისებურ ხარისხობრივ განსხვავებას თავად ღვთისმსახვის განწყობაში და გრძნობის - შინაარსში. და ეს არსებითად იმითაა განპირობებული რომ ღვთის იდეაში რაციონალური ირაციონალურს გადასწონის ან სავსებით წაშლის ანდა ჰირიქით. ხშირად გაგონილი მტკიცება, რომ ორთოდოქსია თავად არის მშობელი რაციონალიზმისა, სინამდვილეში ნაწილობრივ არის სწორი. ეს ხდებოდა უბრალოდ არა იმიტომ, რომ ორთოდოქსია მოძღვრებასა და სისტემებს აყალიბებდა. ამას თვით მგზნებარე მისტიკოსებიც აკეთებდნენ. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მან თავისი მოძღვრების ჩამოყალიბებაში საშუალება ვერ გამონახა, რათა თავისი საგნის ირაციონალური მხარისათვის კუთვნილი მიეზღო და თვით იგი ღვთისმსახურ განცდაში ცოცხლად შეენახა. მან, პირიქით, მისი აშკარა უარყოფით ღვთის იდეა ცალმხრივად გაარაციონალურა... რელიგია არ ითმენს მის რაციონალურ გამოთქმებში...

სხვა ადგილას ოტტო ამბობს: ჩვენ ვგულისხმობთ "ირაციონალურში" არა ყრუსა და ბნელს, რომელიც ჯერ კიდევ არ ექვემდებარება რაციოს და საკუთარი ინსტინქტური ცხოვრებით, ამქვეყნიური ორომტრიალის ამაოებაში ქმნის რაციონალიზირების დამაბრკოლებელ საპირისპიროს. ჩვენ ვუკავშირდებით ჩვეულ გამოთქმას, როდესაც მაგ., იშვიათ, გაუგებარ, ახსნისათვის ვერ მისაწვდომ (მისი სიღრმის გამო) ხდომილებებზე ამბობენ: "ამაში რაღაც ირაციონალურია". ჩვენ ვგულისხმობთ ღვთაებრიობის იდეის "რაციონალურში" იმას, რაც მისგან მომდინარეობს ჩვენი გამგები უნარისათვის ნათლად აღსაქმელად, ნაცნობ და დეფინიციებს დაქვემდებარებულ ცნებათა სფეროსათვის. ამის მერე ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამ ცნებისეული ნათელი სფეროს ირგვლივ სუფევს იდუმალებით აღსავსე და ბნელი შრე, რომელიც მიუწვდომელია არა ჩვენი გრძნობისათვის, არამედ ჩვენი ცნებისეული აზროვნებისათვის და რომელსაც ამდენად "ირაციონალურს" ვუწოდებთ. გადადის რა "წმიდას" განსაზღვრაზე, რ. ოტტო წერს: რაიმე როგორც "წმიდა" რომ შევიმეცნოთ და ვაღიაროთ, ეს ის თავისებური შეფასებაა, რომელიც მხოლოდ რელიგიურ სფეროში გვხვდება. იგი ხშირად გადაწვდება ხოლმე სხვას, მაგ., ეთიკას, მაგრამ მას მხოლოდ თავისი საკუთარი წყარო აქვს აღმოცენებისა. მას, როგორც ასეთს, სახის განსხვავებული მომენტი გააჩნია თავის თავში, რომელიც რაციონალურს ზემოხსენებული გაგებით გაურბის და წარმოადგენს arreton-ს (გამოუთქმელს, რომელსაც ვერც ერთი სიტყვა ვერ მოიცავს, განუსაზღვრელს), ineffabile-ს (ასევე გამოუთქმელს, რომლის მკაცრად აღნიშვნა შეუძლებელია), რადგან ცნებისეულად მისი აღქმა სავსებით მიუწვდომელია.

ეს მტკიცება თავიდანვე ყალბი იქნებოდა, განაგრძობს ოტტო, რომ "წმიდა" ყოფილიყო ის, როგორც მას ახსენებენ ჩვეულ გამოთქმებში,

ფილოსოფიაში ან თეოლოგიაში. ჩვენ მივეჩვიეთ "წმიდას" იმ აზრით გამოყენებას, რომელსაც მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობა აქვს და არა თავდაპირველი. ჩვენ ჩვეულებრივად მასში გვესმის აბსოლუტურად ზნეობრივი პრედიკატი, როგორც დასრულებული სიკეთე. ასე უწოდებს კანტი წმიდა ნებას, როგორც ნებას, მოვალეობიდან აღძრულს და რომელიც მერყეობის გარეშე მორალურ კანონს ემორჩილება; მაგრამ ეს იქნებოდა უბრალოდ სრულყოფილი მორალური ნება. ასევე საუბრობენ მოვალეობის სიწმინდეზე ან კანონის წმიდათაწმიდაზე, როდესაც სხვას არაფერს გულისხმობენ, თუ არა სწორედ პრაქტიკულ აუცილებლობას, მის საყოველთაო ვალდებულებას. მაგრამ სიტყვა "წმიდას" ამდაგვარი გამოყენება არ არის მკაცრი. "წმიდა" თუმცა მოიცავს ყოველივე ამას, მაგრამ ამავე დროს, აგრეთვე ჩვენი გრძნობისათვის, იგი შეიცავს აშკარა სიჭარბეს, რომლის გამოყოფა აქ პირველ რიგში გვმართებს. დიახ, საქმე სწორედ იმგვარადაა, რომ სიტყვა "წმიდა" და მისი ენობრივი შესატყვისები სემიტურში, ლათინურში, ბერძნულში და სხვა ძველ ენებში პირველ ყოვლისა და განსაკუთრებით მხოლოდ ამ სიჭარბეს აღნიშნავდნენ და მორალურის მომენტზე საერთოდ არ, ან არა თავიდანვე, ანდა არასდროს არ ჩერდებოდნენ... წმიდა - მინუს მისი ზნეობრივი მომენტი, მინუს მისი რაციონალური მომენტი... მხოლოლდ გვიან შევნიშნე, დასძენს რუდოლფ ოტტო, რომ აქ პრეტენზია არ უნდა მქონდეს "აღმომჩენზე". ცინცენდორფი, როგორც sensus numinis-ის აღმომჩენი. და უკვე კალვინი..." მაგრამ ასე რომ მივდიოთ, აქ, უკვე ჩვენი მხრიდან დავამატებდით, ისტორიულად უფრო შორს წავალთ და ამაზე ქვემოთ.

საბოლოოდ ყოველგვარი რაციონალური და მორალური შენარევებისაგან გაწმენდილი "წმიდას" საფუძველზე რუდოლფ ოტტო აყალიბებს ნუმინოზურის (ღვთაებრივის) ცნებას. ნუმინოზურს ორი სახე გააჩნია - Mysterium tremendum (საშინელი, ზარდამცემი) და Mysterium fascinosum (მიმზიდველი, ნეტარების მომგვრელი). ეს ორი მხარე ნუმინოზურში შეიქმს თავისებურ კონტრასტულ ჰარმონიას, რასაც ოტტო რელიგიის ისტორიიდან მრავალი მაგალითით წარმოაჩენს. მესამე მნიშვნელოვანი მომენტი ნუმინოზურში არის Augustum, ამაღლებული, რომლის წინაშეც ადამიანი, საკუთარი თავის არაფასეულობის განცდით ("ქმნილებისეული გრძნობით"), მორჩილად ქედს იხრის.

ახლა, წმიდასა და ნუმინოზურის რ. ოტტოსეული განმარტების შემდეგ, შეგვიძლია უფრო ფართოდ გავშალოთ მსჯელობა და ვთქვათ, რომ საუკუნეთა მანძილზე ღვთის შემეცნების ფილოსოფიური, მეტაფიზიკურ-რაციონალური (მაქს შელერი) გზის გარდა, რომელიც იფარგლებოდა მცირერიცხოვან მოაზროვნეთა წრით, არსებობდა კიდევ ღვთის შემეცნების უშუალო - ინტუიციური წვდომის გზა, ე.წ. რელიგიური გამოცდილება, რომელიც მილიონობით მორწმუნეში ხორციელდებოდა (და ხორციელდება), მართალია, სხვადასხვა ხარისხით. ამ მხრივ, საგულისხმოა წმ. თომა აკვინელის სიტყვები: "ღვთის შემეცნებისაკენ მხოლოდ გონების გზა რომ მიემართებოდეს,

მაშინ ადამიანთა მოდგმა უდიდესი უმეცრების წყვდიადში დარჩებოდა. ამ შემთხვევაში ღვთის შემეცნება, რომელიც ადამიანებს უმაღლეს სრულყოფილებასა და სიკეთეს აძლევს, ელირსებოდა მხოლოდ რამდენიმეს და ისიც დიდი ხნის შემდეგ.“.

XX საუკუნის დასაწყისში გამოვიდა ამერიკელი ფილოსოფოსისა და ფსიქოლოგის უილიამ ჯემსის კლასიკური ნაშრომი “მრავალსახეობა რელიგიური გამოცდილებისა“. აქ რელიგიის ფსიქოლოგიის ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ხაზგასმით იქნა დადასტურებული ის ფაქტი, რომ “ბევრ ადამიანს მათი რწმენის საგანი ევლინება არა განყენებული ცნების ფორმით, რომელსაც გონება თვლის ჭეშმარიტად, არამედ რეალობის ფორმით, რომელსაც წვდებიან უშუალოდ თითქმის გრძნობად აღქმაში... უშუალო, ინტუიციური დარწმუნებულობა იმალება ჩვენი სულის სიღრმეში, ხოლო ლოგიკური არგუმენტები მის მხოლოდ ზედაპირულ გამოვლინებებს წარმოადგენენ. ინსტინქტი მბრძანებლობს და წარმართავს, გონება მორჩილად მიჰყვება მას. თუ ვინმე ამდაგვარად შეიგრძნობს ცოცხალი ღმერთის მყოფობას, მაშინ ვერავითარი კრიტიკული განაზრებანი ვერ შესძლებენ მისი რწმენის შერყევას... ადამიანი, რომელიც ამ გრძნობის (რელიგიურის) მიღმა დგას, ვერასოდეს ვერ შესძლებს იმ ღვთაებრივი მდგომარეობის გაგებას, რომელიც მყარდება სულში ამ იდუმალი მადლის მყოფობით. ყველაფერი, რაც შორიდან ასე გაუგებრად და ბნელით მოცულად მოჩანს, ხდება უბრალო და ნათელი იმ შუქში, რომელიც სულში დანთებული ცეცხლიდან იფრქვევა...“

რელიგიის ემპირიულმა კვლევამ ჯემსის შემდგომ უხვ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ბრწყინვალე შედეგები მოგვცა რელიგიურობის ანალიზში, ისე, რომ, გაკეთდა ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა: “თანამედროვე რელიგიურობის (ღვთისმოსაობის) გაფართოებული ცოდნიდან აგრეთვე წარსული, ისტორიის მნიშვნელოვანი საბუთები, უფრო ღრმა გაგებას დაექვემდებარება“; (ვ. გრიუნი).[8] მაინც რა არის ეს ე.წ. “რელიგიური გამოცდილება“ და რას წარმოადგენს მისი “არსი?“ “მთელ შექსპირში არ მოიპოვება სიტყვები საკმაო რაოდენობით, რათა გამოიხატოს ადამიანის გამოცდილების ერთი საათის მცირე ნაწილიც კი - ასე წერია ფრანგ-ამერიკელი რომანისტის ჯულიან გრინის დღიურში. რა ჭეშმარიტია ეს, განსაკუთრებით რელიგიური გამოცდილების მიმართ!“ - ეს ციტატა რელიგიის ცნობილი მკვლევრის, იოაჰიმ ვახის წიგნიდან ნათლად მიგვანიშნებს თუ რა რთულ მოვლენასთან გვაქვს საქმე რელიგიური გამოცდილების არსის დადგენისას. “თავდაპირველად - ამბობს ი. ვახი, - სიტყვა “გამოცდილება“ თითქოს მიანიშნებს ადამიანურ და არა ღვთაებრივ აქტივობაზე. მისი მიზანია ყურადღების კონცენტრირება თავად გამოცდილებაზე, და არა გამოცდილების ობიექტზე. და მიუხედავად ამისა, იგი მაინც მიანიშნებს გამოცდილების საგნის დამოუკიდებელ არსებობაზე და ამგვარად ხდება სუბიექტივიზმის

---

8. Werner Gruehn. Die Frömmigkeit der Gegenwart (Grundtatsachen der empirischen Psychologie), München 1956.

თავიდან აცილება... პირველი კრიტერიუმი რელიგიური გამოცდილებისა მდგომარეობს ამთვისებლობაში იმისადმი, რაც განიცდება როგორც "საბოლოო რეალობა". რელიგიურ გამოცდილებას ჩვენ განვსაზღვრავთ როგორც პასუხს და ამიტომ არ არის იგი მარტოოდენ სუბიექტური: ჩვენ ვპასუხობთ არსებულს... რელიგიური გამოცდილება ყოველთვის გვაძლევს სუბიექტსა და ობიექტს ორივეს ერთად ან არც ერთ მათგანს... პასუხი აღიქმება, - განაგრძობს ი. ვახი, - როგორც ნაწილი შეხვედრისა... ნამდვილი რელიგიური გამოცდილება წილად ერგო ყველა ასაკისა და მსოფლიოს ყველა ნაწილის homines religiosi-ის და როგორც ასეთი, აღწერეს კირკეგორმა, ებნერმა, შელერმა, ბუბერმა, ბრუნერმა, ბაილმა, მარსელმა (თავის კატეგორიებით "დაძახება" და "პასუხი") და სხვა მრავალმა..."

რელიგიური გამოცდილება, "განცდა" უმაღლესი რეალობისა, თავის თავში შეიცავს დინამიკურ დამოკიდებულებას განმცდელსა და განცდის ობიექტს შორის. "ეს ურთიერთობა, - ამბობს ასევე ცნობილი მკვლევარი რელიგიისა ფრიდრიხ ჰაილერი, - წარმოადგენს რელიგიური ადამიანისათვის არა ადამიანურ გამონაგონს, იქნება ეს გონების თუ გულის კარნახი; იგი ეფუძნება არა ადამიანურ, არამედ ღვთაებრივ ინიციატივას. რელიგიაში ადამიანი კი არ მიდის ღმერთთან, არამედ, პირიქით- ღმერთი ადამიანთან... თუმცა რელიგია ქმედობაა, იგი საბოლოო ჯამში არის არა მიღწევა, არამედ მადლი". ამგვარად - რელიგიის არსი წარმოადგენს ღვთაებრივი მადლის გამოცდილებიდან მომდინარე ადამიანის ერთობას ტრანსცენდენტურ სინამდვილესთან". ის ფაქტი, რომ გამოცდილება უნდა წარმოადგენდეს ტოტალურ პასუხს მთელი არსებისას საბოლოო რეალობის მიმართ, ნიშნავს, - ამბობს ი. ვახი, - რომ მთლიანი პიროვნება და არა მხოლოდ გონება, გრძნობა ან ნებისყოფა მონაწილეობს მასში. რელიგიური გამოცდილება მთლიან ადამიანს მოიცავს, განსხვავებით, ვთქვათ, ფილოსოფიური კვლევისაგან, რომელიც პირველ რიგში მის გონებას ეხება, ან ესთეტიკისაგან, რომელიც მისი გრძნობების საქმეა..." ამავე დროს იმავე ვახის აზრით, რელიგიური გამოცდილების ინდივიდუალური ხასიათი არ გამორიცხავს მის კორპორაციულ ბუნებას: "კორპორაციული და ინდივიდუალური რელიგიები ერთმანეთს არ გამორიცხავენ. ფსალმუნნი გვიჩვენებენ, თუ როგორ განმსჭვალავენ ისინი ერთმანეთს".[9] მეორე მხრივ, "ყოველი რიტუალი, ყოველი მითოსი, რწმენის ყოველი წარმოდგენა ან ღვთაებრივი ფორმა ასახავს წმიდას გამოცდილებას და, ამრიგად, თავის თავში შეიცავს აგრეთვე ყოფიერების, მნიშვნელობის, ჭეშმარიტების ცნებებს. შემეცნება ნამდვილი და აზრიანი სამყაროსი მჭიდროდაა დაკავშირებული წმიდას აღმოჩენასთან, რადგან წმიდას გამოცდილების მეშვეობით შეიცნო ადამიანურმა გონებამ განსხვავება იმისი, რაც როგორც ნამდვილი, ძლიერი, მნიშვნელოვანი და აზრიანი ამჟღავნებს თავს და მისი საპირისპიროსი - საგანთა ქაოსური და საშიშროებით აღსავსე დენისა, მისი შემთხვევითი, უაზრო აღმოცენება და მოსპობა" (მირჩა ელი-

9. I. Wach, Vergleichende Religionsforschung, Stuttgart 1962, s. 54.

ადე). ხოლო მას, რასაც ცვლილება შემოაქვს რეალურ სფეროში, თავადაც უნდა მოეპოვებოდეს რეალობა (უილიამ ჯემსი).

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ჯემსის წიგნს "მრავალსახეობა რელიგიური გამოცდილებისას" საუკუნის წინ ჰყავდა დიდი წინამორბედი, გერმანელი ფილოსოფოსი და თეოლოგი ფრიდრიხ დანიელ შლაიერმახერი. შლაიერმახერის წიგნის წინასიტყვაობაში, ფილოსოფოსი ს. ფრანკი შემდეგს გვაუწყებს: ჯემსის წიგნის "ძირითადი იდეები თითქმის სავსებით ემთხვევა შლაიერმახერის იდეებს, და შეიძლება, ისე რომ არ დავამციროთ ამ წიგნის ღირსებები, მთელი უფლებით ვამტკიცოთ - ჯემსმა ხელახლა ჰპოვა თავისი თანამედროვეებისათვის ის ამერიკა, რომელიც 100 წლის წინ აღმოაჩინა და გარკვეულ შემთხვევებში უფრო ზუსტად აღწერა შლაიერმახერმა".[10]

როგორც ვთქვი, ზღვა ლიტერატურა არსებობს მისტიკოსების შესახებ: როგორც თავად მათი ნაწერები, ასევე მათი ხილვების ჩანაწერები. მაგრამ როდესაც "რელიგიურ გამოცდილებაზე" ვსაუბრობთ, კარგი იქნებოდა ამის საილუსტრაციოდ ჩვენი დროის ავტორიტეტი მოგვეხმო საკითხის უფრო ნათლად წარმოსაჩენად. ასეთ ავტორიტეტად მიჩნეულია რომანო გუარდინი (1885-1968), რომლის ტექსტებში მლოცველი ადამიანი უმალ აღმოაჩენს იმ ძვირფასს და საერთოს, რაც აკავშირებს ყველა ღვთისმოსავსა და მისტიკოსს ისტორიის მანძილზე. მისი სტატია "რელიგიური გამოცდილების ფენომენი", რომლის დასახელება ჩვენს წერილს წარუმძღვარეთ, დაწერილია 1961 წელს.[11] შევეცდებით მოკლედ გავაცნოთ მკითხველს მისი შინაარსი.

პირველ ყოლისა გუარდინი აცხადებს, რომ რაც მის წერილშია წარმოდგენილი, ფილოსოფიური ინტერესის მქონეა: მან უნდა აჩვენოს, თუ რას

---

10. Фр. Шлейермахер, Речи о религии, С.П. 1994. стр. 11. მაგრამ ქრისტიანმა ერთი რამ უნდა უწყოდეს შლაიერმახერის თაობაზე. მოვიყვანოთ რამდენიმე ციტატა: "რელიგია არის ჭვრეტა უსასრულოსი", "...ყოველი ცალკეულის მიღება მთლიანის ნაწილად, ყოველი განსაზღვრულის უსასრულოს გამოვლინებად - სწორედ ეს არის რელიგია". იგი გვეცხადება რელიგიურ გრძნობებში, რომელსაც რელიგიური ადამიანი განიცდის როგორც "სამყაროს უშუალო ზემოქმედებად". ამ აზრით, მაგრამ მხოლოდ ამ აზრით, რელიგია დაფუძნებულია გამოცხადებაში. "რას წარმოადგენს გამოცხადება?" - კითხულობს შლაიერმახერი და პასუხობს: "ყოველი თავდაპირველი და ახალი ჭვრეტა სამყაროსი - გამოცხადებაა". ამის მერე კი შლაიერმახერი ქრისტიანობას უპირისპირდება. იგი წერს: წიგნად ქცეული გამოცხადებები სინამდვილეში გამოხადებებს არარ წარმოადგენენ. "ყოველი წმიდა წერილი არის მხოლოდ მცნობელეობი, ძეგლი, რომელიც გვაუწყებს, რომ აქ იმყოფებოდა ამაღლებული სული, მაგრამ ახლა აღარ არის_ მას კი არ გააჩნია რელიგია, რომელსაც სწამს წმიდა წერილისა, არამედ რომელსაც იგი არ სჭირდება და რომლის შექმნასაც თავადაც შეძლებდა". რელიგია ნიშნავს ინსპირაციას, მაგრამ არა წმიდა წერილისაგან, არამედ უნივერსუმისაგან გამოწვეულ "ზებუნებრივ" რელიგიურ გრძნობებს. ციტირებას ვახდენ შემდეგი წიგნიდან: "Uber die Religion. Reden an die Gebildeten unter ihren Verächtern." Stutgart 1969. რაც შეეხება ჰეგელის მიერ შლაიერმახერის ცნობილ კრიტიკას, ამას აქ აღარ განვიხილავთ, რადგან ყველა სოლიდურ ფილოსოფიის ისტორიის კურსში მკითხველს შეუძლია მისი პოვნა.

11. აღნიშნული წერილი მოთავსებულია წიგნში: Romano Guardini. Wurzeln eines grossen Lebenswerks. Bd. 4. Mainz 2003. s. 368-384.

ებება რელიგიის ფილოსოფია, როდესაც იგი არა სპეკულატიურად მოპოვებული ცნებებიდან, როგორიცაა უმაღლესი არსება, არამედ სპეციფიკური გამოცდილებიდან ამოდის. გუარდინის მოჰყავს მაგალითი რელიგიური გამოცდილებისა, რომლის დროს ადამიანი გრძნობს შენობაში მის ირგვლივ, ან გვერდით, ან თავად მასში რაღაცას, ძალას, არსებას, რომლის დეფინირებას ცნებისეულად იგი ვერასდროს ვერ შეძლებდა, მაგრამ რომლის სინამდვილე და თავისთავადობა მას სულის სიღრმემდე ძრავს. მას ფასეულობის ხასიათი აქვს: სულ სხვა სახის, ვიდრე ეს უშუალო ყოფიერებას გააჩნია და უმაღლესი ხარისხის. ამის განმცდელისათვის ცხადზე ცხადია, რომ ეს არ არის ფანტაზია და ა.შ. და რომ ეს ფასეულობა პირადად მას ეხება; რომ იგი მისი არსებობის აზრს ეხება. მას წმიდას მნიშვნელობა აქვს. ნუმინოზური არის ყოველთვის "სხვა", ამბობს გუარდინი, მაგრამ "სხვა" შესაბამისად "ამისგან": ამ ვარსკვლავიანი ციდან, ამ ხიდან, ამ ისტორიული ხდომილებიდან, ამ არსებულის საზღვრიდან და სხვა. ეს "სხვა" "მიმართული სხვაა". ღვთაებაზე სხვადასხვაგვარი წარმოდგენები ამ მრავალსახეობიდან ამოდის.

გუარდინი სვამს კითხვას - არსებობენ თუ არა ადამიანები, რომლებსაც საკუთარი ინიციატივით უნდა მყარდებოდეს და არა იძულებით. ამისათვის საჭიროა მისდამი მზადება, რელიგიურ მოძღვრებაში ჩაღრმავება და ვარჯიშები (ლოცვები) და როდესაც იგი აღმოცენდება - მისი მოვლა და გაღრმავება. მაგრამ აქ გუარდინი ახალს არაფერს ამბობს, რადგან საუკუნეებით ადრე ეს დააფიქსირა დიდმა პასკალმა თავის "აზრებში": "მე ისე ვარ შექმნილი, რომ არ შემიძლია მწამდეს... რა ვიღონო, რა გზას დავადგე?

- ... ეცადეთ იწამოთ, მაგრამ არა ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი ახალ-ახალი საბუთების მოხმობით, არამედ თქვენივე ენებების დაურვებით. თქვენ გსურთ იწამოთ, მაგრამ არ იცით, როგორ იწამოთ; თქვენ გსურთ განიკურნოთ ურწმუნოებისაგან და წამალს ეძებთ... მოიქეცით ისე, თითქოს უკვე იწამეთ, ისხურეთ აიაზმა, აწირვინეთ და ა.შ. მარტო ესეც იკმარებს იმისათვის, რომ იწამოთ... ამნაირი ქცევის სისწორეში რომ დაგარწმუნოთ, გეტყვით, რომ ეს დაგაურვებინებთ ენებას - ყველაზე დიდ დაბრკოლებას რწმენისაკენ მიმავალ გზაზე".[12]

სხვა წერილში[13] გუარდინი ამტკიცებს, რომ არ უნდა მოხდეს "რელიგიურისა" და "ქრისტიანულის" გაიგივება. სიცოცხლის მომცემი, ქრისტიან-

---

9. I. Wach, Vergleichende Religionsforschung, Stuttgart 1962, s. 54.
12. ბ. პასკალი, აზრები, თბ. 1981.
13. R.Guardini, Unterscheidung des Christlichen, Bd. 1, Paderborn 1994.

ული, დამოუკიდებელია ბუნებრივ - რელიგიურისაგან და ასევე მისი ფსიქოლოგიური გამოვლენის ფორმებისაგან. ქრისტიანობა - ეს არის დამოკიდებულება მორწმუნე პიროვნებებსა და რწმენის სამპიროვნულ ღმერთს შორის. ხოლო წერილში "უსასრულო - აბსოლუტი და რელიგიურ-ქრისტიანული", რომელიც მითითებულ ტომშია მოთავსებული, ამტკიცებს, რომ "პარმენიდეს "ყოფიერება", პლოტინეს "ზე-ერთი", იდეალიზმის "სამყაროს სული" შესაძლებელია აბსოლუტურობის კატეგორიით გავიაზროთ, მაგრამ გამოცხადების ცოცხალი ღმერთი კი - არა. მისი გააზრება მხოლოდ ისე არის შესაძლებელი, როგორადაც ამას წმ. წერილი ამბობს, სახელდობრ - ეს იქნება არა ანტროპომორფული გააზრება, არამედ - ისტორიული. უფრო ზუსტად: რომ ჩვენ ღვთის გადაწყვეტილებაზე, მის მოსვლაზე და ქმედობაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ამავე დროს მის აბსოლუტურობას არ ეკარგავთ". შემდეგ: "მარტოოდენ-აბსოლუტური ღმერთი ფილოსოფიისა არ არსებობს. ეს - აბსტრაქციაა. ჭეშმარიტი ღმერთი არის ისეთი, როგორც მან თავი გამოცხადებაში გამოავლინა". ამის მერე გუარდინი საუბრობს "ტერტულიანეს ასე ხშირად სულელურად ციტირებულ შეგონებაზე: credo quia absurdum (მწამს, რადგან აზრსაწინააღმდეგოა). ტერტულიანე ამას ამბობს არა იმიტომ, რომ რწმენა უაზროა და გონების ჩამკვლელი მორჩილებით მიიღება იგი; ეს დაუშვებელია და არ უნდა მოხდეს. ტერტულიანე გულისხმობს პირიქით: რომ განმცდელი, ღვთის გამოცხადების სასრულისაგან დაუცილებადობას, აღიქვამს როგორც "აზრით აღსავსე უ-აზრობას", უფრო სწორად, როგორც "ზე-აზრს"...

მაგრამ ყველაზე კარგად გუარდინის პოზიცია ჩანს "ღვთაებრივი კომედიის" მოკლე გარჩევაში, რომელიც მის წერილს ერთვის. გუარდინი ამბობს, რომ დანტეს მოგზაურობის დროს იგი ცნობისმოყვარე მოგზაური კი არაა და ყველა შემხვედრს იგი დაინტერესებული თვალებით კი არ უმზერს, არამედ "კონტემპლირებს", რაც იმას ნიშნავს, რომ იგი, რასაც უმზერს, მასთან ერთად ცხოვრობს და მასვე განიცდის. გუარდინის ეს აზრი მკვეთრად უპირისპირდება ზოგიერთი თეოლოგის აზრს - ვითომ დანტემ გულგრილად ჩაიარა ჯოჯოხეთში ტანჯულთა გვერდით.[14] გუარდინი წერს, რომ დანტე ამ "კონტემპლირებით" იწმინდება და სულ უფრო და უფრო დიდ სინათლეს

---

14. ასეთი არის ცნობილი ჰანს ურს ფონ ბალთაზარის აზრი (Schleifung, s. 52 f.). მისი აზრით დანტემ "გაქვავებული გულით" ჩაიარა მისი ერთმორწმუნეთა ტანჯვით "ყველაზე უფრო შთამბეჭდავი საკონცენტრაციო ბანაკი". მაგრამ ამას ბალთაზარი წერს იმიტომ, რომ თანამედროვე ქრისტიანთაგან მეტს მოითხოვს: "რაც ადრე ქრისტიანს ეპატიებოდა, დღეს მას თვი ადარ ეპატიება, თუ არ უნდა, რომ თავისი თავი არაქრისტიანად გამოცხადებულიყოს. შუა საუკუნეების ციხე-დარბაზებში, ზეიმის დროს ქეიფობდნენ და ცეკვავდნენ იმ ჯურღმულების თავზე, სადაც პატიმრები იტანჯებოდნენ. ასეთი ციხე-სიმაგრეები დაინგრა და ხელშეორედ ადარ აშენდება. დღეს არცერთ ქრისტიანს ალარ სურს ცეკვა, სანამ ერთი მისი ძმათაგანიც კი ტანჯვას განიცდის". ჩვენი მხრიდან დავამატებდით: ციხიდან არცთუ შორს არის რესტორანი, სადაც პროკურორ-მოსამართლე-პოლიციელები ქეიფობენ. ან არ არიან ისინი ქრისტიანები, ან დასჯის სისტემა უნდა შეიცვალოს? საკითხი პრობლემატურია, ისევე, როგორც ხიკვდილით დასჯა.

აღწევს, სანამ იგი ყოფიერების აზრის საბოლოო გაგებას არ ჰპოვებს: დანტე მოიპოვებს ნებას ღვთის ხედვისა. იგი სჭვრეტს ღვთის არსს და მასში ერთდროულად აზრსა და არსს ყველა ქმნილებისა. იგი ხედავს ღმერთს მის უსასრულობაში და მისი სიცოცხლის ერთიანობაში; ამავე დროს ჭვრეტს იმ იდუმალებას, რომელიც ამცნობს მის სამპიროვნულობას: მამა და ძე ცოცხლობს სული წმიდის ერთიანობაში. ამ უკანასკნელ რეალობას იგი ხედავს მსგავსების სახით: სინათლის სამი წრე, ერთნაირი მოცულობისა და ბრწყინვალებისა, მაგრამ განსხვავებული ფერებისა ერთმანეთში ირწევიან.

თითქოს ყველაფერი აღსრულებულია, მაგრამ დანტემ უწყის, რომ ამ ხილვას ბოლო პასუხი ჯერ არ მოუცია. უეცრად მეორე, ძის წრეში, რომელიც ლოგოსის აღმნიშვნელია, გამოჩნდება იესოს პირისახე, და წაგვრის მას ადამიანად შექმნის საიდუმლოს წინაშე. იგი მასში შეღწევას ცდილობს, მაგრამ ამის ძალა არ ყოფნის. რისთვისაც იგი იღვწის, გამოხატულია კითხვაში: "მსურდა განმეჭვრიტა, თუ როგორ უკავშირდება სახე წრეს და როგორ შეეწყობა მას", რაც ნიშნავს: როგორ ძალუძთ ღმერთსა და ადამიანურ არსებას ერთსა და იმავე არსებობის ერთიანობაში ყოფნა. ხატოვანი ფორმით ეს ის პრობლემაა, რითაც დაკავებულნი ვართ. მისი სული შეუცნობელს ერკინება, და მის სიღრმეს მათემატიკური შედარებით გამოხატავს ("წრის კვადრატურა"). შემდეგ იგი აგრძელებს: "საკუთარმა ძალამ აქ მიმტყუნა. მაგრამ სული ჩემი ელვამ გაანათა, რომელშიც სურვილმა აღსრულება ჰპოვა". (სამოთხე, 33, 141). თუმცა მან ეს არა ინტელექტის მეშვეობით გაიგო, რადგან ეს შეუძლებელი იყო. არც გულის გრძნობით - არც ამის შემძლე იყო. მან იხილა ეს ღვთის ნათელში. ამ მომენტზეა მთელი ეს პოეზია აგებული. ამასთან ერთად ყველაფერი მთავრდება. მოგზაური უდიდესი დაძაბულობისაგან თავისუფლდება და თანხმობებში იმყოფება მთელ სამყაროსთან: "უკვე წარმართავდა ჩემს სურვილსა და ნებას ის სიყვარული, რაც ატრიალებს მზესა და მნათობებს" (სამოთხე 33, 133-145). აქ ჩვენი მხრიდან მოვიყვანდით "ღვთაებრივი კომედიის" გერმანელი კომენტატორის G. Ledig - ის სიტყვებს: "საბოლოო შემეცნება კომედიისა ამგვარად ფსიქიურის შერთვაა კოსმიურში".

გუარდინი განაგრძობს: ამგვარად, ყოფიერების ყოველმა კითხვამ თავისი სანიმუშო პასუხი ჰპოვა. მაგრამ რისი მეშვეობით? სადა ძევს ყველა პრობლემის გადაწყვეტა, მითითება, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ? ქრისტეს ღმერთკაცობის შემეცნებაში! ესაა პასუხი აგრეთვე კითხვაზე უსასრულო ღმერთის დამოკიდებულებისა სასრულ ქმნილებასთან: ღმერთი მის მიმართ დგას ისე - უფრო სწორედ: ღმერთმა იგი თავის თავთან მიმართებაში დაიყენა ისე, რომ მასში შეეძლო მას კაცად განსხეულება და სამუდამოდ ადამიანად დარჩენა. მარტოოდენ - ღვთაებრივი ღმერთი განკაცების მერე "აღარ" არსებობს (აგრეთვე ეს "აღარ" ააშკარავებს აპორიას სასრულის მოსაზღვრეობისას უსასრულოსთან, ანუ დროსთან, შესაბამისად, ისტორიასთან მიმართებაში. გამოთქმა თავის თავად უაზროა; მაგრამ მისი გეერდის აცლა, მითუმეტეს ფართო მსჯელობისას, შეუძლებელია). ვინც არსებობს, ის

განკაცებულია... ქრისტიანად ყოფნა ნიშნავს, ხაზს უსვამს გუარდინი, რომ აქ "ჰო" უნდა ითქვას. მაგრამ ახლა დავსვათ კითხვა, როგორ გავხდეთ რელიგიურნი, ანუ, პასკალის ფრაზით - როგორ ვიწამოთ ღმერთი? თუ რა არის რელიგიური გამოცდილება, ჩვენ აღვნიშნეთ, როდესაც საუბარი იყო უ. ჯემსზე, რუდოლფ ოტტოზე, რომანო გუარდინიზე და სხვებზე. ახლა უფრო დავუახლოვდეთ ამ საკითხს და გავიზიაროთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების დღევანდელი გამოცდილება. რაც შეეხება დასავლეთს, აქ, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგ გრიუნის აზრია გასათვალისწინებელი, რომელიც ამბობს, რომ რელიგიური განცდა "ღმერთზე მოცემული აზრიდან აღიძვრება". იგი განაგრძობს: "რელიგიური განცდა ყოველთვის გვიჩვენებს პიროვნულ და აზრობრივ მხარეს, იგი წარმოადგენს იდუმალებით აღსავსე შეკავშირებას "მეს" ფუნქციისა და აზრისა. რელიგიური განცდის ორივე მხარე (კომპონენტები) არსებითია, რათა ცოცხალი ღვთისმოსაობა იყოს მოცემული. ღმერთზე აზრის გარეშე "მეს" განცდა შინაარსისაგან დაცლილია ან სულაც არ ხორციელდება. "მე" ფუნქციის გარეშე კი არ იქნებოდა რელიგიური განცდა, არავითარი ცოცხალი ღვთისმოსაობა. თუმცა შესაძლოა რელიგიური აზრების ქონა "მეს" მონაწილეობის გარეშე, შესაძლებელია თეოლოგიზება, ქადაგება, მაგრამ ამ პროცესებს აკლიათ ცოცხალი ნაპერწკალი, სინამდვილე ჭეშმარიტი ღვთისმოსაობისა".[15]

როდესაც დასავლეთის ღვთისმოსაობაზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ საკმაო აქტიურობით გამოირჩევა იეზუიტთა ორდენი. ვგულისხმობთ გვიანდელი მისტიკის ძეგლის, "წმ. იგნაციო ლოიოლას" წიგნის "სულიერი ვარჯიშების" გავრცელებასა და პროპაგანდას. მაგალითად, ამ წიგნის გერმანულ გამოცემაზე,[16] მის გარე ყდაზე აწერია, თუ მსოფლიოს რომელ კუთხეში და რომელ მისამართზე უნდა მიმართოს დაინტერესებულმა მკითხველმა "სულიერ მამას", თუკი მას სურს ამ "ვარჯიშებში" ჩაღრმავება და შემდგომი წინსვლა. ამ დროს ის წინასწარ აკვიატებული უარყოფითი აზრი იეზუიტებზე უკვე უარყოფილია ("1922 წლის 15 იელისს პაპმა პიუს XI წმ. იგნაციუსი სულიერი ვარჯიშებისა და მასთან დაკავშირებულ ყველა დაწესებულებისა და სავანეთა ზეციურ მფარველად გამოაცხადა"). ეს ჩანს თუნდაც იქიდან, თუ ელიოტი როგორ ახასიათებს მათ თავის წერილში "პასკალის აზრები": "უსამართლობა იქნებოდა გვემტკიცებინა, თითქოს "წერილებში პროვინციალისადმი" პასკალი თავს ესხმის საკუთრივ იესოს საზოგადოებას. იგი უმალ თავს ესხმოდა გარკვეულ მიმდინარეობას კაზუისტიკაში, რომელიც ასუსტებდა მოთხოვნილებებს, რომლებიც აღსარების მიმართ იყვნენ წაყენებულნი, - მიმდინარეობას, რომელიც მართლაც ფართოდ იყო გავრცელებული იმ დროის იესოს საზოგადოებაში".

---

15. W. Gruehn, Die Frömmigkeit der Gegenwart (Grundtatsachen der empirischen Psychologie) Münster Westfalen 1956, s. 37.

16. Ignatius von Loyola, Geistliche Übungen (Nach dem spanischen Urtext übersetzt von Peter Knauer), Würzburg 1999.

"სულიერი ვარჯიშების" გერმანული გამოცემის "შესავალში" მთარგმნელი გვაუწყებს, რომ ეს "ვარჯიშები" კვლავ აქტუალურია და "უამრავი ადამიანი" მიჰყავს ქრისტიანულ რწმენასთან, რომ იგი ადამიანის ყველა შრეს ეხება სიღრმისეულად. ამას თან ერთვის იეზუიტების დღევანდელი გენერლის სიტყვები: "სულიერმა ვარჯიშებმა" მრავალთა ჯული მოინადირა და მრავალთა ცხოვრება შემოატრიალა უკეთესისაკენ...

როგორია "სულიერი ვაიჯიშების" აგებულება და შინაარსი? მოკლედ და გაუბრალოებულად იგი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ. ისინი შედგება 4 კვირისაგან, შესაბამისად, ოთხი სავარჯიშო ფაზისაგან ყოველდღიური მედიტაციური ვარჯიშებით. პირველ კვირას ხდება ქრისტიანული ცხოვრების აზრისა და მიზნის გარკვევა, სინდისის გაღვიძება და ცოდვათა მიმართ ზურგის შექცევა. მეორე კვირა ეთმობა იესოს ცხოვრებას, გადაწყვეტილების მიღებას, რათა "ცხოვრების არჩევანი" დაეთმოს იესოს მიმბაძველობას; მესამე კვირა ეთმობა დაკვირვებებს ქრისტეს ვნებებზე და მეოთხე - მის აღდგომაზე.

2002 წელს ვიურცბურგში ორდენმა გამოსცა დიდი კრებული, სახელწოდებით "სპირიტუალობა გარდაქმნის პროცესში", სადაც მისი გამოჩენილი წევრები მონაწილეობენ. ყველა მათგანი ამოდის ლოიოლას მემკვიდრეობიდან. მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. პ.ჰ. კოლვენბახს მიაჩნია, რომ ადამიანის არსებობის გაგება მისტიკის მხრიდან დღეს გარკვეული მხრივ უფრო ადვილია, ვიდრე უწინ, რადგან ფაქტიურად ყველა დიდმა იდეოლოგიამ კრახი განიცადა და ადამიანი სულ უფრო მეტად აღმოჩნდა დაპირისპირებული თავად მისგან წარმოქმნილ აპორიებთან. ამ დროს "ღვთის სიშორის" განმარტება, მაშასადამე, ღმერთზე ტრადიციული წარმოდგენების მსხვრევა "უიმედობის" (ბნელი ღამე) სულიერი მოძღვრების შუქზე ნამდვილად წარმოადგენს დიდ დახმარებას, რათა დღევანდელ ადამიანს რწმენა კვლავ შეაძლებინოს (ავტორი მიუთითებს "სულიერი ვარჯიშების" №322-ზე - "სამი მთავარი მიზეზი, თუ რატომ ვართ ჩვენ უიმედოდ"). ყოველ შემთხვევაში, განაგრძობს ავტორი, ჩვენ იმ საშიშროებას თავი უნდა დავაღწიოთ, რომ მისტიკა და სპირიტუალობა საეკლესიო საზოგადოებისაგან მოწყვეტილად არ მივიჩნიოთ.

კრებულში შემდეგ იბეჭდება კარლ რანერის მიერ ჯერ კიდევ 1966 წელს დაწერილი სტატია "ღვთისმოსაობა დღეს და ხვალ", სადაც ძალზე საგულისხმო რამ არის ნაწინასწარმეტყველები. კერძოდ, რანერს მიაჩნია, რომ "პირველი და უმთავრესი, რამაც ხვალინდელი ღვთისმოსაობა უნდა განსაზღვროს, გახლავთ პიროვნული, უშუალო დამოკიდებულება ღმერთთან. ეს თითქოს ყბადაღებული ჭეშმარიტებაა, რადგან იგი მხოლოდ იმას ამბობს, რაც ქრისტიანული ღვთისმოსაობის მარადიულ არსს შეადგენს. მაგრამ დღეს იგი უკვე აღარ წარმოადგენს ასე თავისთავად ცხად რამეს..." და მერე რანერი ამბობს ფრაზას, რომელსაც ხშირად იმეორებენ თეოლოგიურ ლიტერატურაში: "...ხვალინდელი ღვთისმოსავი იქნება "მისტიკოსი", რომელმაც რაღაც "გამოსცადა", ან იგი საერთოდ აღარ იქნება..."

ე. კუნცს მიაჩნია, რომ "ტიპიური სიტუაცია, რომელიც ბიბლიის მიხედვით ჭეშმარიტი ღვთის ყოფნას შეგვამეცნებინებს, არის ადამიანური სიცოცხლის კრიზისი და რყევა და გამოცდილება უღვთოობისა, მაშასადამე სიტუაცია, რომელშიაც ადამიანი მანამდე არსებულ საყრდენებს კარგავს. შესანიშნავი ადგილი, სადაც ღმერთი, როგორც თანადამსწრე განიცდება, ძველი აღთქმის მიხედვით არის უდაბნო, ახალი აღთქმის მიხედვით კი - ჯვარი, მაშასადამე, ორივეჯერ გამოცდილება გულგატეხილობისა, სისუსტისა და გამოუვალი მდგომარეობისა. მხოლოდ მაშინ, როდესაც პოზიტიური გამოცდილებანი და იმედები იმსხვრევა და ნეგატიური (მუქარა, დანაშაული) მკაფიოდ იმკვიდრებს ადგილს ცნობიერებაში, მხოლოდ მაშინ იქმნება წინაპირობა იმისა, ჭეშმარიტ ღმერთს რომ შევხვდეთ".

ვ. სატურას, რომელიც თავად ხელმძღვანელობს "მედიტაციის კურსებს" მიაჩნია, რომ "კლასიკური გაგებით მისტიკოსისათვის პირველ ადგილზე არის შინაგანი განწმენდა (via purgativa) და შემდეგ განათლება (via illuminativa) და ღმერთთან შეერთება (Via unitiva)". სატურა განაგრძობს: "ვიმეორებ: ხელმძღვანელმა მედიტაციის შემსრულებელნი სიღრმეში არ უნდა წაიყვანოს, თუ წინასწარ მათში არ აღძრავს ჭეშმარიტი შინაგანი კათარზისის მოთხოვნილებას".

სხვათა შორის, ამასვე ქადაგებს ათონის მთის დიდი ბერი პაისი მთაწმინდელი, რომელიც თვით იმ პირისაგან, რომლის თავზეც უნდა წაიკითხონ ეშმაკის განდევნის ლოცვები, მისგან ჯერ მონანიებას ითხოვს, თორემ არავითარ ლოცვას მასზე აზრი არ ექნებაო.

შემდეგი ავტორი იეზუიტთა კრებულიდან გახლავთ პ.მ. ცულენერი, რომლის წერილის სათაურია "მისტიკა და პოლიტიკა". ეს სტატია ჩვენთვისაც მრავალმხრივ საგულისხმოა. "დიდ ქრისტიანულ ეკლესიებში" - ამბობს პ. ცულენერი - "ამჟამად მათი წევრების ორი სახეობა შეინიშნება: არაპოლიტიკურნი ღვთისმოსავნი და არაღვთისმოსავი პოლიტიკურნი... ამ ორ მიმდინარეობას არათუ ცოტა რამ აქვთ საერთო, არამედ ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებენ და ჭეშმარიტ ქრისტიანებად არ თვლიან". და აქ ცულენერი ფრიად ნიშანდობლივ დასკვნას აკეთებს: ადამიანი "რამდენადაც მისტიკურია, იმდენადვეა პოლიტიკური!" ანუ: არსებობს "ბრძანების მორალი" - რაც უფრო ღრმად რელიგიურია პიროვნება, მით უფრო ემორჩილება უფლის ბრძანებას, რომ სიკეთისა და სამართლიანობის მხარეს იყოს. ეს გადატანილი სოციალურ სფეროში ითხოვს არჩევანის (კატეგორიულად) გაკეთებას და ამდენად პოლიტიკაში ჩართვას.

რასაკვირველია, აქ წარმოდგენილი მასალა დასავლური რელიგიურობის, ღვთის შეცნობის დასავლური გზის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს და ნუ დაგვავიწყდება, რომ ავგუსტინეს შვიდ საფეხურს ღვთის შეცნობისას სხვა კათოლიკური ორდენებიც იყენებენ.

რაც შეეხება აღმოსავლურ, მართლმადიდებლურ ქრისტიანობას და ღვთის შემცნების მისეულ გზას - იგი ვეებერთელა ტრადიციის მქონეა. აქ ბოლო დროს გამოცემულ ნაშრომთაგან პირველ ყოვლისა მკითხველს

ვისაც ხშირად გამოჩენილი ღვთისმეტყველის. მამა იოანე მეიენდორფის თხზულებებს, რომელსაც უფლო ხელმისაწვდომი არიან.[17] მაგრამ აღმოსავლურ-ქრისტიანული ღვთისმოსაობის თანამედროვე მაგალითს, ცხადია, ურყევი ტრადიციის გაჯრძელებით, წარმოადგენს 1994 წელს გარდაცვლილი, პაისი მთაწმინდელის შეგონებანი.[18] რას გვასწავლის მამა პაისი? მაგალითად, მას, ვისაც რწმენის მოპოვება სურს, იგი ურჩევს ჯერ პრაქტიკული წიგნების (ცხადია, სულიერ სფეროში) კითხვას და შემდეგ - თეორიულისას. რწმენის მოსაპოვებლად (იგი ხმარობს სიტყვა "გულს", ანუ გულის დასაბრუნებლად) გასწყრა უნდა დადუმდეს. იგი რომ დადუმდეს, ეუბნება მ. პაისი მსმენელს, დაიწყე იმით, რომ ფეხშიშველმა გაიარე პროტესტის მარშით სალონიკის ქუჩა, დაე ეგონოთ, რომ შენ ჭკუიდან გადადექი!

"თუკი გონებრივობა ერევა, მაშინ ადამიანს არ ესმის არც სახარება და არც წმიდა მამები. მახინჯდება სულიერი გრძნობის ორგანო და ადამიანი, აუფასურებს რა თავისი გონებრივობით სახარებასაც და წმიდა მამებსაც, დადის იქამდის, რომ ამბობს: "რამდენი წელია რაც ადამიანები ტყუილუბრალოდ თავს იტანჯავენ ასკეტიზმითა და სხვა გაჭირვებით". მაგრამ ასე საუბარი - გმობაა".

"თუკი ადამიანმა ბავშვობიდანვე მიიღო სულიერი დახმარება, კვლავ დაუბრუნდება თავის თავს, თუნდაც შემდეგ გზას ასცდეს იგი. თუკი ხე გაჟღენთილია ოლიფათი, ის არ ლპება. თუკი მცირეოდენ "გავჟღინთავთ" ბავშვებს ღვთისმოსაობით, ღვთის შიშით, ეს დაეხმარება მათ მთელი ცხოვრების მანძილზე".

"არქონა პატივისცემისა ადამიანთა მიმართ - ყველაზე დიდი ჯებირია საიმისოდ, რათა ადამიანს მიუახლოვდეს ღვთაებრივი მადლი".

"ქრისტიანი არ უნდა იყოს "ფანატიკოსი, მას უნდა გააჩნდეს სიყვარული ყველა ადამიანის მიმართ".

"ადამიანის გაჭირვების არ მოსმენა და მომიზეზება, რომ "მეჩქარება" - სატანიზმია".

- გერონდა, - ეკითხებიან მამა პაისის - როგორ ძლიერდება რწმენა? პასუხი: რწმენა ძლიერდება ლოცვით.

"ერთხელ ლოცვის დროს სიხარული განვიცადე... მთელი ის დრო, როდესაც ვლოცულობდი, ვგრძნობდი რაღაც ტკბილ მოსვენებას, რაღაცას სიტყვებით გადმოუცემელს".

"ლოცვა უნდა იყოს გულისმიერი და ტკივილიდან მომდინარეობდეს. ღვთისათვის ღირებულია არა იმდენად რაოდენობა, არამედ ლოცვის ხარისხი".

უნდა გაგვაჩნდეს მოთმინება, - ამბობს მამა პაისი - როდესაც ვიღაც მოდის, მას ხომ პირველ დაკაკუნებაზევე კარს არ ვუღებთ? ე.ი. რამდენჯერმე უნდა დააკაკუნოს - ასევეა ღმერთთანაც!

---

17. იხ. თუნდაც Прот. И.Мейендорф, Введение в святоотеческое Богословие, Клин 2001.

18. Блаженный Старец Паисий Святогорец, Слова, т. I-III, Москва 2004.

- მღელვარება მიპყრობს და შიში იმის გამო, რაც ჩვენ გველოდება! მ. პაისის პასუხი: ეს შიში გვეხმარება, რათა ხელი ჩავჭიდოთ ქრისტეს...

მ. პაისის მიაჩნია, რომ არსებობენ ისეთნი, რომლებიც ხშირად დადიან ეკლესიაში და ყველა რიტუალს ასრულებენ, მაგრამ ღმერთი მათთან ვერ ისადგურებს, რადგან მათ არა აქვთ სული დამდაბლებული, სული სიკეთისა და ნამდვილი მონანიებისა! და პირიქით: არიან ისეთნი, რომლებიც იშვიათად დადიან ეკლესიაში და ღმერთი სწორედ მათთან ისადგურებს, რადგან მათ ასეთი სული გააჩნიათ.

ყოველივე ეს ჩვენ მოგვყავს არა იმის გამო, რომ მ. პაისიზე უფრო დიდი მამები არ იყვნენ მართლმადიდებლობაში, არამედ იმიტომ, რომ იგი მეოცე საუკუნის შვილია და დროში ჩვენთან ახლო მდგომი.

არის კიდევ ერთი ცნება მართლმადიდებლურ ბერულ პრაქტიკაში, რომელსაც "წმინდა თვალთმაქცობა" ჰქვია, თვალთმაქცობა ქრისტეს სიყვარულის გამო. ვისაც ჰეგელის "ესთეტიკა"[19] გადაუშლია, მის პირველ ტომში აღმოაჩენდა ლეგენდას წმ. ბერზე, რომელმაც დატოვა საყვარელი ცოლ-შვილი და ბევრი თავგადასავლის შემდეგ შინ ბრუნდება, როგორც გლახა-მათხოვარი, ოღონდ თავის თავს არ ამჟღავნებს და ასე ცხოვრობს ოცი წლის მანძილზე საკუთარი სახლის კიბის ქვეშ და საყვარელი შინაურების შემყურე. მხოლოდ სიკვდილის წინ განაცხადებს იგი, თუ სინამდვილეში ვინ არის. ჰეგელი ამას ფანატიზმის საზიზღარ გამოვლინებად მიიჩნევს, რომელსაც თურმე როგორც სიწმინდეს თაყვანს უნდა ვცემდეთ. მაგრამ მართლმადიდებლობაში ამას სხვაგვარი შეფასება ეძლევა. მ. პაისი ამბობს: "ძველ დროს იყვნენ ბერები, რომლებიც თავს აჩვენებდნენ თვით ეშმაკეულად, სურდათ რა ამით დაეფარათ თავიანთი სიკეთე და სხვებში გაექარწყლებინათ საკუთარ თავზე კარგი წარმოდგენა".

XIX ს-ის შუა ხანებში ათონი მოინახულა და აღწერა რუსმა ეპისკოპოსმა პორფირი უსპენსკიმ.[20] ათონის ივერთა მონასტერში მან იხილა ისიხასტთა მოძღვრების სქემა, რომელიც გამოაქვეყნა კიდეც თავის ნაშრომში.[21] მან, როგორც "მართლმადიდებლური თვალის" მქონემ - ჰეგელისაგან განსხვავებით, ამ ასკეტთა მოძღვრებაში ისეთი რამ იხილა, რამაც მას ასეთი მინაწერი გააკეთებინა: "აი, რა მაღლა დანავარდობენ არწივნი ღვთისა! ჩვენ კი ნეტავ მიწაზე მაინც ვიდოდეთ მონანიებით, რწმენით, სიყვარულითა და იმედით".

სანამ შემდეგ საკითხზე გადავალ, მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება, რომ "რელიგიურ ცდაზე" არსებობს კიდევ ერთი შეხედულება, მე ვიტყოდი იმდენადვე ორიგინალური, რამდენადაც მცდარი. აქ საუბარი ცნობილ ამერიკელ ფილოსოფოს ჯონ დევზეა, რომელმაც წერილში სათაურით "რელიგიურობა ცდაში" შეეცადა განევითარებინა რელიგიური გამოც-

---

19. G.W. Fr. Hegel, Asthetik, Bd. 1, Berlin u. Weimar 1965, s. 526-527.
20. ეп. Порфирий Успенский. "История Афона". м. III, отд. II, СПБ. 1892.
21. თარგმანი გამოქვეყნებულია ჟურნ. "რელიგიაში", №4, 1992.

დილების ბუნების ისეთი კონცეფცია, რომელიც "მოკვეთს მას ზებუნებრივისაგან და ყოველივე იმისაგან, რაც მასთან რამენაირად არის დაკავშირებული". ვინაიდან აღნიშნული წერილის განხილვა ჩვენი თხრობის ჩარჩოებს საგრძნობლად გასცილდებოდა და წარმოუდგენელად დიდ ადგილს დაიკავებდა, ამიტომ მას აღარ შევეხებით. დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია გაეცნოს მას და ჩვენს წერილს შეუდაროს.[22]

არის კიდევ ერთი შეპასუხება რელიგიური გამოცდილების წინააღმდეგ, როდესაც მისი გაგება სურთ როგორც გამოცხადებისა. ამჯერად ამ შეპასუხების ავტორი კათოლიკური ეკლესია გახლავთ. რას გულისხმობს იგი? როდესაც თავად რელიგიური გრძნობა გამოცხადებად საღდება, მაშინ ზებუნებრივი დაიყვანება ინდივიდუალურ "გულის ინტუიციაზე". ეს ინტუიცია კი გონებით გაანალიზებული შეიძლება დაუპირისპირდეს საეკლესიო მოძღვრებას ან მისი რელატივირება მოახდინოს. როდესაც ამოდიან იქიდან, რომ "გულის ინტუიცია" რელიგიურ ჭეშმარიტებას უშუალოდ შეიცავს თავის თავში, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამდაგვარი გამოცდილებები ნებისმიერ რელიგიაში არსებობს, საიდანაც უკვე კეთდება დასკვნა, რომ ყველა რელიგია ჭეშმარიტია. კათოლიკური ეკლესიის ამ განაცხადზე მე მგონი სწორ პასუხს იძლევა ფილოსოფოსი ლევ კარსავინი. იგი წერს: "რელიგიურ გრძნობას, რისი მეშვეობითაც ადამიანი აბსოლუტს ეხება, არ შეუძლია ჩვენი მოტყუება. შეიძლება ამ გრძნობის არასწორი ახსნა, შეიძლება მისი მეტ ან ნაკლებ ხარისხში ფლობა, მაგრამ რამდენადაც შევიგრძნობ ღვთაებრივს, მე არ ვცდები. ყველა რელიგიაში არის ჭეშმარიტება ღვთისა. წარმართი თაყვანს სცემს ღმერთებს, რომლებიც შექმნილია ადამიანის ან ღვთის ხელით: იგი ცდება, როდესაც ღებულობს ქმნილებას ღმერთად და თავის გრძნობას წარმართავს მასზე, მაგრამ იგი არ ცდება თვით ამ გრძნობაში... შეუძლებელია აუცილებელი ჭეშმარიტებანი დავუმტკიცოთ მას, ვისაც არ შეუძლია ან არ სურს მათი დანახვა. რელიგიური ჭეშმარიტებანი განსაკუთრებული, შინაგანი ცდის სფეროა: ისინი აღიქმება არა სხეულებრივი თვალით, არამედ "ჭვრეტის თვალით". ზუსტად ასევე უნაყოფოა ვუმტკიცოთ ბუდისტს ან მაჰმადიანს, სანამ თვით არ ისურვებს თავისი შინაგანი თვალის გახელას, ის, რომ ქრისტიანობაში უფრო სავსედ და უფრო წმინდადაა გამოხატული მაჰმადიანობაშიც და ბუდიზმშიც არეკლილი ჭეშმარიტება.[23]

რელიგიური გამოცდილება. როგორც "გულის ინტუიცია", მიზეზი ხდება კიდევ მრავალი დაპირისპირებისა სულიერ სფეროში. იგივე ლევ კარსავინი, გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსი, რომელსაც საბჭოთა "გულაგში" ამოხდა სული, თავის "შესავალს" ნეტარი ანჯელას გამოცხადების თარგმანისას ასე ამთავრებს: Sancta Angela, ora pro nobis! (წმ. ანჯელა, ევედრე, -

22. იხ. Дьюи Д., Религиозность в опыте, "Метафизические исследования", С.П. 1999, №10, стр. 151-166.

23. Л.П. Карсавин, Католичество, Петроград 1918. стр. 78.

ღმერთსა - ჩვენთვის!). მაგრამ მეორე - ასევე აღიარებული რუსი ფილოსოფოსი და ყოფილი პოლიტპატიმარი ალექსეი ლოსევი ასე ახასიათებს ნეჭარ ახულელას: ესაა საკუთარი - прелесть! "შეხედეთ რა ხდება კათოლიციზმში. ხორციო მოსიყვარულის და ცოდვისგან იმისაკენ მიიწევს, რომ სული წმიდა ევლინება სეჭარ ახულელას და ეჩურჩულება მას ასეთი საიდუმლო სიტყვებით: "ქალიშვილო ჩემო, უტკბილესო ჩემთვის. ჩემო ქალიშვილო, ტკბარო ჩემო, ქალიშვილო ჩემო, ტკბობაო ჩემო, გიყვარდე მე, რადგან ძალზე მიყვარხარ. უფრო მეტად, ვიდრე შენ გიყვარვარ". რამდენიმე მსგავსი ციტატის მოყვანის შემდეგ ნეტ. ასჯელას ხილვებიდან ლოსევი დაასკვნის: "ეს, რასაკვირველია, ლოცვა არ არის და ღმერთთან ურთიერთობა. ეს - ძალზე მძაფრი ჰალუცინაციებია ისტერიის ნიადაგზე აღმოცენებული, ე.ი. საცთური (прелесть)". შემდეგ ლოსევი ამას განაზოგადებს და მთელ კათოლიციზმს უტევს. იგი წერს: "ყველა ამ ისტერიულ მამაკაცს, რომელსაც ევლინება ღვთისმშობელი და კვებავს თავისი ძუძუებით; ყველა ამ ისტერიულ დედაკაცს, რომელსაც ქრისტეს მოვლინებისას ტკბილი ცეცხლი გადაუვლის მთელ სხეულზე და - სხვათა შორის, ეკუმშებათ საშვილოსნო მუსკულატურა; მთელი ეს ბედლამი ეროტომანიისა, ეშმაკეული სიამაყისა და სატანიზმის - შესაძლოა მხოლოდ ანათემას გადავცეთ, Filioque-სთან ერთად, რომელიც კათოლიკებს ყოველი დოგმატის საფუძვლად უდევთ და ასევე მათ შიდა წყობას და სალოცავ პრაქტიკას. ლოცვაში ცლისეულად იგრძნობა მთელი უმართლობა კათოლიციზმისა"[24] და ა.შ. და ა.შ.

მსგავსი და უფრო მკაცრი შეფასებები აქვს კათოლიციზმისა XIX საუკუნის ეპისკოპოსს და ასკეტს იგ. ბრიანჩანინოვს. ამ ავტორიტეტებზე დაყრდნობით რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია უკვე წერილფეხა სასულიერო პირთა მეშვეობით ბროშურების სახით ავრცელებს დასავლელ წმინდანებზე, ფრანცისკო ასიზელიდან მოყოლებული დედა ტერეზას ჩათვლით, "გამაშავებელ" ნაშრომებს XIX საუკუნიდან დღემდე.

რასაკვირველია, მე როგორ გავკადნიერდები და პოლემიკაში როგორ ჩავებმები იქ, სადაც თავის სულიერ გამოცდილებაზე დაყრდნობით აზრს გამოთქვამს ეპისკოპოსი და ასკეტი. მაგრამ სურვილი ჩემი ისეთივეა, როგორც ეს ჩამოაყალიბა ცნობილმა რუსმა ფილოსოფოსმა ვლადიმერ სოლოვიოვმა ივანე აკსაკოვისადმი მიწერილ წერილში 1883 წელს: "ჩემს ძალაუფლებას აღემატება განკურნება გაყოფილ ეკლესიათა, მაგრამ ჩემს ძალასა და მოვალეობაშია, არ დავშხამო მათი ჭრილობები პოლემიკით, არამედ შევარბილო ისინი სამართლიანობისა და შემრიგებლური სიტყვით..."

მახსოვს, ამ ათი-თორმეტი წლის წინ ჟურნალ "რელიგიის" რედაქციაში შეწვივნენ ქართველი ევანგელისტები ბ-ნი გომელაურის წინამძღოლობით. შეხვედრა იყო ქრისტიანული და ურთიერთგაგების სურვილით ნაკარნახევი. წასვლისას მათ თავიანთი რწმენის მქადაგებელი ბუკლეტი გადმომცეს.

---

24. А.Ф. Лосев, Очерки античного символизма и мифологии, М. 1993. стр. 884-885.

შემდეგ, როდესაც მას გავეცანი, იქ მაცხოვრის დიდებასთან ერთად აღმოჩნდა მართლმადიდებლური ეკლესიის ძაგება. როდესაც იგივენი მეორედ მეწვივნენ, უკვე საუბარი ისე წარიმართა, რომ, იმედია წრფელად, მათ ბოდიში მომიხადეს, მაგრამ მტრად არ დავშორებივართ. ამით იმის თქმა მსურს მხოლოდ, რომ საჭიროა ღვარძლისა და მტრობის გარეშე სულიერი ზემოქმედების გზის გამონახვა.

ახლა ორიოდ სიტყვა ლოსევის მოსაზრებებზე. სიტყვა, რელიგიურ ტექსტში, შეიძლება შეიმოსოს ალეგორიის მნიშვნელობით. აბა მოვუსმინოთ თავად ბიბლიას და მის მშვენიერ თავს "ქებათა-ქებას სოლომონისა": "ორი ძუძუ შენი ორი თიკანია ნიამორისა, მარჩხივი, მძოვარი შროშანთა შორის... რაოდენ საამოა შენი ალერსი, სძალო, დაო ჩემო! რაოდენ ტკბილია შენი ალერსი, ღვინის უმჯობესი!"

ყოველ შემთხვევაში, ეროტომანიის ბრალდებას მაინც ვერ მოაშორებდა ამ ტექსტს ა. ლოსევი. სინამდვილეში რა ხდება? ჯერ კიდევ ძველ ისრაელში ეს ტექსტი განიხილებოდა ალეგორიად და მიაჩნდათ, რომ ღვთის მიერ დაწესებულ ურთიერთობას მამაკაცსა და ქალს შორის თავისი შესაბამისობა გააჩნია სულიერ სამყაროში და ეს დამოკიდებულებაა ღვთისა ისრაელის ხალხთან. შემდეგ, ქრისტიანულ ეპოქაში, იგი განიმარტა როგორც ქრისტეს დამოკიდებულება თავის საზოგადოებასთან.[25]

ზემოხსენებულ სიტუაციას რამდენადმე განმარტავს ლოსევის აზროვნების დახასიათება სერგეი ავერინცევის მიერ: "ლოსევის აზრი, სწორედ როგორც აზრი, ყოველგვარი საგარეო გარემოებების გარეშე, შეპყრობილი იყო უმკაცრესი, დაუნდობელი ერთიანობის იმპერატივით, რომლის კანონის მიხედვით უმცირესი ნაკვეთები "ერთიანი სახისა" და "მსოფლმხედველობრივი სტილისა" დიალექტიკურად უნდა იქნან გამოყვანილნი რაღაც საწყისი პრინციპიდან; გამოყვანილნი იმ ზომის აუცილებლობით, იძულებით, რომელიც ნორმალურია ევკლიდეს გეომეტრიაში... ადრეული ლოსევი განსაკუთრებული ვნებით, დაჟინებით მოითხოვდა იმის აღიარებას, რომ პლატონიზმი "დიალექტიკურად ითხოვს" მონათმფლობელობას, ხოლო მართლმადიდებლობა, რომელიც ჭეშმარიტია იმდენად, რამდენადაც იგი ატარებს შუა საუკუნეებრივ ხასიათს, "დიალექტიკურად ითხოვს" შუა საუკუნეებისვე

---

25. Фр. Ринекер. Г. Майер. Библейская Энциклопедия Брокгауза. 1999. Wörterbuch des Christentums. Zürich, 1988. Bibel-Lexikon, Hrsg. von Prof. Dr. H. Haag, Tübingen 1968. წმ. ანჯელას ამ ხილვებზე უინტერესო არ არის ცნობილი რუსი მედიევისტის, პ. ბიცილის აზრი: "აუცილებელია ყოველნაირად მოვერიდოთ თვითნებურ ვარაუდებს მისტიკურ განცდათა არსის შესახებ, როდესაც მსჯელობენ მათზე მხოლოდ და მხოლოდ მათი სიტყვიერი გადმოცემის მიხედვით... უნდა გვახსოვდეს, რომ მისტიკური ღვთისმეტყველების თეორეტიკოსები და მისტიკოს-წმინდანთა ცხოვრების ავტორები საჭიროებისას მიმართავენ პირობით ენას, და თუნდაც მარტოოდენ ის, რომ ყველა ისინი სარგებლობენ ერთი და იმავე სიმბოლოებით, ამ პირობითობას განსაკუთრებით ესმება ხაზი. ამასთანავე, არაფერი ისე ადვილი არ არის, რომ ფსიქოპათოლოგიის ფაქტებზე დაყრდნობით, შევაკუთვნოთ მისტიკური ლტოლვანი და ექსტაზები "ისტერიის", "სქესობრივი ფსიქოპათიის" და ა.შ. გამოვლინებებს". (იხ. П.М. Бицилли, Элементы средневековой культуры, С-П., 1995).

სოციალურ დამოკიდებულებებს. საკმარისია ამ ფორმულათა ლოგიკური შეტრიალება, ადგილების შეცვლა "დიალექტიკური საჭიროებისა" "დიალექტიკურ მოთხოვნილებაზე", - და ჩვენ ვღებულობთ "მარქსიზმს" გვიანდელი ლოსევისას, ე.ი. შესაბამისად "მონათმფლობელურ იდეოლოგიას" და "ფეოდალურ იდეოლოგიას"... ტოტალიტარიზმი არა მარტო აფრთხობდა, აშინებდა ან მოისყიდდა: ტოტალიტარიზმი იყო ნამდვილი ინტელექტუალური ცთუნება, რომელიც შეამზადა არა უბრალოდ საზოგადოების დასნეულებამ, არამედ კულტურის მდგომარეობამ".[26] მაგრამ არის ერთი სფერო, რომელიც განსხვავებით რელიგიურ-მისტიკური გამოცდილებისაგან, მეტნაკლებად ყველასათვის მისაწვდომია და მისი სახელია - ხელოვნება. სწორედ ამ სფეროშიც ხდება თავდასხმა კათოლიციზმზე რუს ავტორთა მიერ. და რაც საგულისხმოა: ეს თავდასხმა ხორციელდება არა მარტო ხატებისა და ფერწერული ტილოების ურთიერთისაგან გამიჯვნით, რაც სავსებით სამართლიანია, არამედ რელიგიურ თემატიკაზე შექმნილი მთელი მხატვრობის უარყოფით, როგორც ყალბი სულიერებისა. მაგალითად მოვიყვან მღვდლის, ვინმე ა. სალტიკოვის თავდასხმას ისეთ მისტიკურ მხატვარზე, როგორიც ელ-გრეკოა (იხ. "ნაუკა ი რელიგია", №9, 1991). სალტიკოვი განიხილავს ერმიტაჟში გამოფენილ ელ-გრეკოს შედევრს "პეტრე და პავლე მოციქულებს" და ყველა უბედურებას აღმოაჩენს მასში: ქედმაღალი არისტოკრატიზმი, რაც ქრისტიანისათვის მიუღებელია; სიმდიდრე და ძალა, რომელიც ჭეშმარიტებას უპირისპირდება; სულიერებასთან სრული შეუთავსებლობა, სამაგიეროდ ცთუნება და სატანური სიამაყე...

ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა თავის დროზე ბედნიერება ლენინგრადში ეხილა აღნიშნული შედევრი და სულ საპირისპირო შთაბეჭდილებით გამდიდრებულიყო, ვიდრე ამას აღწერს სალტიკოვი. პირიქით: მისტიკური სხივებით ნათელმოსილი ფიგურები მოციქულებისა; სათნო და მორჩილი წმ. პეტრე და ტრაგიკულ-ამაღლებული წმ. პავლე და რაც მთავარია, ორივე ისეთ ზემოქმედებას ახდენენ, რომ ნამდვილი მფლობელნი არიან წმიდა და მხსნელი იდუმალი ჭეშმარიტებისა, რაც თვალში ცრემლსა გგვრის...

აღსანიშნავია, რომ თვით მოსკოვში გამოცემულ "მართლმადიდებლური ხატის ენციკლოპედიაში"[27] შავით თეთრზე სწერია: "ფერწერას, განსაკუთრებით ფერწერას რელიგიურ სიუჟეტებზე, ისევე ძალუძს ადამიანური სულის გარდაქმნა, როგორც ხატს". აქ კვლავ უნდა დავესესხოთ სერგეი ავერინცევს, რომელიც გვამცნობს: "დიახ, ხატი - "გონებითი ჭვრეტაა საღებავებით", იგი მართლაც ქადაგებს მართლმადიდებლობის სიბრძნეს; და ამას აკეთებს იგი ისეთნაირად, რომ მისი მეშვეობით მართლმადიდებლობა წარდგება არა "საპირისპიროსაგან", არა როგორც განზრახული და აპრიორული

---

26. С.С. Аверинцев, "Мировоззренческий стиль": Подступы к явлению Лосева - С.С. Аверинцев, София-Логос, Киев 2000.

27. С. Алексеев, Зримая Истина (Энциклопедия православной иконы), М. 2003, стр. 77.

უარყოფა დასავლური და საერთოდ უცხო ქრისტიანული ტრადიციებისა (რაც საეჭვოა ეთანხმებოდეს წმ. პავლე მოციქულის ანდერძს "ყოველივე გამოიცადეთ და უკეთესი იგი შეიკრძალეთ", I თესალონიკელთა მიმართ 5, 21), - არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც პოზიტიური მტკიცება თავისი საკუთარი სულიერი ჭეშმარიტებისა, მშვიდობიანად და მყარად შეთავაზებული მსოფლიოს ყველა ხალხებისადმი."[28]

რაც შეეხება ფერწერულ ტილოს და მის ზემოქმედებას, გავიხსენოთ რაფაელის "სიკსტის მადონა", რომელიც ვაზარის გადმოცემით მხატვარმა პიაჩენცეს ეკლესიის მთავარი საკურთხევლისათვის შექმნა და შემდეგ საქსონიის მეფე ავგუსტ III-ის წყალობით დრეზდენში დამკვიდრდა. არსებობს ფრ. შლეგელის ჩანაწერი 1799 წლისა ჟურნალ "ატენეუმში", თუ რა არევდარევა და დაბნეულობა გამოიწვია ამ სურათის გამოფენამ პროტესტანტებში, რომელთაგან არა ერთმა, სურათის ხილვის მერე, მათ შორის ფრ. შლეგელმა, კათოლიკობა მიიღო. სწორედ ამ სურათზე ამბობს გერმანელი ხელოვნებათმცოდნე ჰანს ბელტინგი: "ხილვადობა არის სიმბოლო უხილავი მშვენიერებისა".[29]

28. Архимандрит Зинон (Теодор), Беседы иконописца; предисловие С.С. Аверинцева, Москва 2003.

29. Hans Belting, Bild und Kult, München 1991.

რელიგიური გამოცდილება და ისტორიული კვლევა

ახლა გადავიდეთ შემდეგ საკითხზე, კერძოდ, თუ რა მნიშვნელობას იძენს რელიგიური გამოცდილება ისტორიული კვლევისათვის, ანუ, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად ისტორიკოსის რელიგიურობას, მის "რელიგიურ მუსიკალობას" (მაქს ვებერი) როგორც საკუთრივ რელიგიის ისტორიის, ასევე იმ ისტორიული ეპოქის კვლევისა და შეფასებისათვის, რომლის აზროვნების მთავარ წარმმართველ ძალას რელიგია წარმოადგენდა (მაგ., შუა საუკუნეები). თუ გავიზიარებთ ვილჰელმ დილთაის ფუნდამენტურ აზრს, რომ ისტორიული შემეცნება წარმოადგენს ობიექტის შინაგან განცდას ისტორიკოსის მიერ, რომელიც ცოცხლობს თავის ობიექტში, უფრო სწორად, რომელიც აიძულებს ობიექტს, რომ ამ უკანასკნელმა იცოცხლოს მასში, მაშინ უფრო მკვეთრად წარმოგვიდგება იმ ისტორიკოსთა შეზღუდულობა, რომელნიც რელიგიური ფენომენისადმი რჩებიან ყრუდ, ხშირად ხელოვნური, ინტელექტუალური მიზეზების გამო, როგორიცაა მაგ., მატერიალისტური მსოფლმხედველობა. რელიგიისადმი ასეთი მიდგომა ისტორიკოსს არასწორ წარმოდგენას შეუქმნის ისტორიის მთელ პერიოდებზე, რადგან "ვერ შეძლებს თავის თავში ამ ეპოქათა ცხოვრების რეკონსტრუირებას საკუთარი ცდის თავისებურებისა და იმ დროის თავისებურების გამო, რომელშიაც ცხოვრობს თვითონ."[30] იგი აღმოჩნდება იმ ყალბ მდგომარეობაში, როგორც ერთ დროს "განმანათლებლური რაციონალიზმი, რომელიც ხშირად თავის დროის ვიწრო გონებას გულუბრყვილო გზით საერთოდ ადამიანურ გონებად მიიჩნევდა და იმისაკენ იხრებოდა, რომ ყოველივე მარტოოდენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ შეცდომად განეხილა".[31] რა ზიანის მოტანა შეუძლია ასეთ ან უფერულ პოზიტივისტურ მიდგომას ჩვენს კვლევაში, ამას რამდენიმე მაგალითით ნათელვყოფთ, რაც დაგვანახვებს, რომ ყალბი მეთოდოლოგიური პოზიციიდან ამოსული თვით ცნობილი ისტორიკოსები და ეთნოგრაფები ხშირად კურიოზულ შეცდომებს უშვებენ.

ცნობილმა ლუის ჰ. მორგანმა, ავტორმა წიგნისა "ძველი საზოგადოება"[32], იროკეზული კულტურის რელიგიური ასპექტის შეფასებისას სენეკას ტომის ინდიელების წარმომადგენელთა კრტიკა დაიმსახურა: "რასაც იგი ამბობს, ყალბი არაფერია, მაგრამ მასში არ არის არც ჭეშმარიტება. მას უბრალოდ არ ესმის, რაზე საუბრობს".[33] პოზიტივისტური კვლევის შედგებს ამყლავნებს აგრეთვე ცნობილი ლევი-ბრიული პირველყოფილი აზროვნების შეფასებისას.[34] ჩვენი აზრით, იგი სამართლიანად გააკრიტიკა რუსმა

30. Р. Дж. Коллингвуд. Идея Истории, М. 1980. стр. 313.
31. A. Brunner, Die Grundfragen der Philosophie, Freiburg 1956, s. 102.
32. Льюис. Г. Морган. Древнее общество, Л., 1934.
33. В. Тернер. Символ и ритуал, М., 1983. стр. 106.
34. Л. Левы-Брюль, Первобытное мышление. М. 1930.

ფილოსოფოსმა ნიკოლაი ლოსკიმ:[35] "აზრი საგანთა ერთიმეორეში თანამონაწილეობისა და მათი იგივეობისაც, ლევი-ბრიულის შეხედულებით, - ამბობს ნ. ლოსკი, - ვარაუდობს უყურადღებობას წინააღმდეგობის კანონისადმი; ამიტომ ახასიათებს იგი პირველყოფილი ადამიანის გონებას, როგორც წინალოგიკურს, prelogique, არა იმ აზრით, რომ ეს გონება ანტილოგიკურია ან ალოგიკური, არამედ მხოლოდ იმ გაგებით, რომ იგი არაიშვიათად არღვევს წინააღმდეგობის კანონს, ეკვემდებარება რა უპირატესად თანამონაწილეობის კანონს".

"ლევი-ბრიულის მიერ მოცემული პირველყოფილი ხალხების ინტელექტის დახასიათება, - განაგრძობს ნ. ლოსკი, - გარდა ემპირიული განზოგადებებისა, რომელნიც დაფუძნებულნი არიან უდავოდ დადასტურებულ ფაქტებზე, თავის თავში შეიცავს აგრეთვე სადავო, შესაძლოა, მცდარ ახსნა-განმარტებებს, რომელნიც განსაზღვრულნი არიან ევროპელის გონება-განწყობილებით (mentalite) მიდრეკილით პოზიტივიზმისაკენ". ლევი-ბრიულის ეს "მცდარი ახსნა-განმარტებები", ლოსკის აზრით, ვლინდება იქ, სადაც იგი პირველყოფილი ინტელექტის მიერ განჭვრეტილ "საგანთა ერთიმეორეში თანამონაწილეობას" ლოგიკური წინააღმდეგობის კანონის დარღვევად აცხადებს. ლოსკის აზრით, "ზუსტად ასევე წარმოუდგენია ქრისტიანს ღვთის სამეუფო, როგორც სრული ერთსულოვნება ყველა არსებისა, რომელნიც ღმერთში არიან გაერთიანებულნი მისდამი და ურთიერთ სიყვარულით. მას წარმოუდგენია, რომ ისინი ქმნიან "ერთ სხეულსა და ერთ სულს", თუმცა თითოეული სული ინარჩუნებს თავის ინდივიდუალურ სახეს და პირველადაც ამდაგვარ საჯარო ქმედობაში ავლენს თავს უკიდურესი სისავსით. გონება, სტილიზებული პოზიტიური მეცნიერულობის სულისკვეთებით, არ გებულობს და არ უშვებს ყოფიერების ამდაგვარ აგებულებას. ყოველივე თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ეს უარყოფა აღმოცენდება ამ ინტელექტის არა დიდი სრულყოფილების შედეგად, არამედ მისი გაღარიბების გამო "[36]

ირელიგიურობის გამო მკვლევრის მიერ ისტორიული სიტუაციის ყალბი გაგების შემდგომ მაგალითად მოვიყვანთ ცნობილი თეოლოგისა და რელიგიის ისტორიკოსის ვლადიმერ ლოსკის გამონათქვამს ისეთ აღიარებულ ისტორიკოსზე, როგორიც შარლ დილია (Ch. Diehl, Byzance Grandeur et decadence). აი, რას ამბობს ვლ. ლოსკი: "ფერისცვალება უფლისა ცენტრალურ ადგილს იკავებს წმ. გრიგოლ პალამას აზროვნებაში. თითქმის მთელი კამათი ვარლაამთან და აკინდინთან გაიმართა იმ საკითხის გამო, რომ ქმნილია თუ შეუქმნელი ფერისცვალების ნათელი, - საკითხი, რომელიც იმ

---

35. ნ. ლოსკი, პირველყოფილი ადამიანისა და განათლებული ევროპელის ინტელექტი, ჟურნ. Современные записки, XXVIII, Париж, 1926: შემდეგი ციტატებიც ამ სტატიიდანაა.

36. როგორც ცნობილია, ლევი-ბრიულმა შემდეგ უარყო პირველყოფილი აზროვნების ეს თავისი წინალოგიკურ-ლოგიკურამდელი თეორია. იხ. А.Лосев, Мифология, "Философская энциклопедия", I, З. М., 1964. стр. 463. ლევი-ბრიულის კრიტიკა ა. ბერგსონისა და ჟ. მარიტენის მიერ მკითხველმა შეიძლება იხილოს წიგნში - Ж. Маритен, От Бергсона к Фоме Аквинскому, М. 2006.

ადამიანებს (იგულისხმება შ. დილი, ვ.რ.), რომელთათვისაც უცხოა რელიგიური ცხოვრება, შესაძლოა მოეჩვენოთ სქოლასტიკურ ხრიკად, "ბიზანტინიზმად".[37]

ერთი მაგალითი ქართული ისტორიოგრაფიიდან. თავის დროზე პოზიტივისტური პოზიციებიდან ამოსულმა ივ. ჯავახიშვილმა ცნობა წმ. ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნის შესახებ ლეგენდად გამოაცხადა. იგი ამის გამო გააკრიტიკა მამა მიხეილ თამარაშვილმა. მსოფლმხედველობრივმა პოზიციამ ისტორიკოსს ხელი შეუშალა სწორად შეეფასებინა ისტორიული სიტუაცია. მ. მიხეილ თამარაშვილი წერს: "ძნელია დავიჯეროთ, როგორც იმაში ჯავახოვი გვარწმუნებს, თითქოს ლეგენდა წმინდა ანდრიას მოციქულობაზე უცბათ გავრცელებულიყოს საქართველოში IX საუკუნეში. ეს იმის ნიშანი იქნებოდა დაგვეშვა, რომ წმინდა მამები ყოფილან დიდი თაღლითები და ქართველები კი გულუბრყვილო ერი. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ასეთ შეფასებას იმსახურებენ ან ერთნი, ან მეორენი".[38] მაგალითად, როდესაც რელიგიის ისტორიისა და მისტიკის მკვლევარი გუნდოლფ გიერათი მე-14 საუკუნის გერმანელ მონაზონ ქალთა მისტიკურ ფენომენებზე მსჯელობს, დაასკვნის, რომ წინასწარგანზრახულ ტყუილზე ან შეგნებულ გადაჭარბებაზე მონაზვნებთან არ შეიძლება ლაპარაკი. იქამდე არ დაეშვეოდნენ ელზბეტ შტაგელი, კატარინა გებვაილერი ან ქრისტინა ებნერი. რომ ღმერთს ამდაგვარი ნუგეშისცემათა მინიჭება ძალუძს, რომ იგი მათ დროდადრო ანიჭებს კიდეც, ეს ყველა კათოლიკესათვის ეჭვგარეშეა".[39] დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას ზემოხსენებულ მკვლევარს ანიჭებს მისი უტყუარი რელიგიური გამოცდილება, ან ანალოგიის მეთოდით წარსულის პიროვნებათა სულში შთაგრძნობის უნარი.

მრავლად შეიძლება ასეთი და მსგავსი მაგალითების მოყვანა. მაგრამ ჩამოთვლილებიც უკვე საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რამდენად სჭირდება ისტორიკოსს რელიგიური გამოცდილება, რათა ამ გამოცდილებასთან ანალოგიის გზით სწორი დასკვნები გამოიტანოს წარსულის მოვლენაზე. "ზოგიერთი ისტორიკოსი, - ამბობს რ. კოლინგვუდი, - ზოგჯერ მთელი მათი თაობები, ვერ პოულობენ ისტორიის ამა თუ იმ პერიოდში ვერაფერ გონივრულს და უწოდებენ მათ ბნელ საუკუნეებს, მაგრამ ასეთი დახასიათებანი არაფერს გვეუბნებიან თვით ამ საუკუნეების შესახებ, თუმცა კი საკმაოდ ბევრს გვეუბნებიან იმ ადამიანთა შესახებ, რომელნიც მიმართავენ ასეთ განსაზღვრებებს, სახელდობრ, გვიჩვენებენ, რომ ამ ადამიანებს არ შესწევთ ძალა აღადგინონ აზრები, რომელნიც საფუძვლად ედო ცხოვრებას იმ ეპოქებში".[40] მართალია, ზემომოყვანილი მაგალითების მიხედვით, ზოგიერთი

37. ჟ.მ.პ. 1968. №3,4.
38. "საღვთ. კრ., №12, თბ. 1983.
39. "საღვთ. კრ"., №13, თბ., 1983, გვ.93.
40. Р. Дж. Коллингвуд, Идея истории. М., 1980, стр. 208.

მკვლევარი უფრო ცუდ პირობებში იმყოფება სხვასთან შედარებით. მხედველობაში გვაქვს ის სიძნელე, რასაც აწყდება მკვლევარი, ვთქვათ, პირველყოფილი ადამიანის ფსიქიკის გაგებისას. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ბახოფენი წერდა მორგანს: "გერმანელი სწავლულნი წარსულის ახსნას გვთავაზობენ ახლანდელ დროში გავრცელებულ იდეათაგან გამომდინარე, მაგრამ წარსულის აღდგენაში ისინი მხოლოდ თავიანთ თავს ხედავენ, ჩვენგან განსხვავებული აზროვნების სტრუქტურაში შეღწევა უმძიმესი ამოცანაა".[41] ხოლო რაც შეეხება ჩვენს რელიგიურ გამოცდილებას, რომელიც ქრისტიანული რელიგიის გამოცდილებაა, იგი გასაღებს მოგვცემს ქრისტიანული წარსულის გასაგებად. ამიტომაა, მაგალითად, რომ "თუმცა ჩვენს განკარგულებაში ბევრი ცნობაა რომის რელიგიის შესახებ, მაგრამ ჩვენი საკუთარი რელიგიური გამოცდილება ისეთი არ არის, რომ შეგვეძლოს საკუთარ გონებაში რეკონსტრუირება იმისა, რას წარმოადგენდა რელიგია რომაელთათვის".[42] მაგრამ აქვე დავძენთ, რომ ირელიგიური ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ქრისტიანული რელიგიური გამოცდილების მქონე ისტორიკოსი, ამოსული რელიგიის ზოგადი არსიდან, უფრო გაუგებდა რომაულ რელიგიას, ვიდრე პირველი.

ჩვენი წერილის დასაწყისში მოვიყვანეთ დილთაის აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიული შემეცნება წარმოადგენს ისტორიკოსის მიერ საკუთარი საგნის შინაგან განცდას, "მაგრამ პრობლემა ისტორიული ცოდნისა მაინც კიდევ არ არის გადაწყვეტილი, რადგან სიცოცხლე დილთაისათვის წარმოადგენს უშუალო ცდას, რომელიც განსხვავდება რეფლექსიისაგან ან ცოდნისაგან; ისტორიკოსისათვის საკმარისი არ არის, რომ იგი იყოს იულიუს კეისარი ან ნაპოლეონი", ამას ისევე ვერ მივყავართ იულიუს კეისრის ან ნაპოლეონის შეცნობისაკენ, როგორც იმ აშკარა ფაქტს, რომ საკუთარი "მეს" არსებობის ცოდნას "ვერ მივყავართ საკუთარი თავის შეცნობისაკენ".[43]

მოჰყავს რა ცნობილი აღწერა სერაფიმ საროველისა მოტოვილოვის მიერ, როდესაც ეს უკანასკნელი შეხვდა წმინდანს და განიცადა შეუქმნელი სინათლის გარდამოსვლა მასზე, ვლადიმერ ლოსკი ასეთ დასკვნას აკეთებს:

"დაუჯერებელი იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ წმინდა სერაფიმ საროველი იყო დიდი მცოდნე წმ. გრიგოლ პალამას საღვთისმეტყველო მოძღვრებისა შეუქმნელი სინათლის ბუნების შესახებ, მაგრამ აი, ხუთასი წლის შემდეგ "პალამიტური კრებების" მერე, პირობებში, რომელნიც სავსებით განსხვავდებოდნენ ბიზანტიის იმპერიაში არსებული პირობებისაგან, XIX საუკუნის დასაწყისის რუსული პროვინციის მივარდნილ მხარეს ჩვენ ვხვდებით იმასვე, სულიერი გამოცდილებიდან შობილს "სინათლის ღვთისმეტყველებას."[44] როგორც ვხედავთ, რელიგიური გამოცდილება საუკუნეების

---

41. В. Тэрнер, Символ и ритуал, М., 1983, стр. 105.
42. Р. Дж. Коллингвуд, Идея истории, М. 1980. стр. 315.
43. Р. ... Коллингвуд... стр. 165.
44. ЖМП №4, 1968, стр. 57-58.

მანძილზე ინარჩუნ;ას ადეკვატურ სახეს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ მისტიკური გამოცდილების ერთ-ერთ მწვერვალთან გვქონდა საქმე. ჩვეულებისამებრ, რელიგიურ გამოცდილებას (ლოცვა, მედიტაცია) გრადაცია ახასიათებს. გარკვეულ საფეხურზე ლოცვის დროს განიცდება არაამქვეყნიური ნეტარება, შემდეგ ცოცხალი შეგრძნება რეალურად არსებულის თანადასწრებისა, რომელიც ამ ნეტარებასთან ერთად შემოდის სულში. შემდეგ სულს ეუფლება გრძნობა მანამდის უცნობ ჭეშმარიტებათა შემეცნებისა და ა.შ. აღმავალ ხარისხში. ყოველივე ამას თან ახლავს სიყვაურლის განცდა, რომელიც უდიდესი საშუალება ხდება სხვათა გაგებისა.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ზემოთ აღწერილი რელიგიური გამოცდილება ქრისტიანული წარმომავლობისაა. დღევანდელი რელიგიის ფსიქოლოგიას უკვე შესწევს ფაქიზი ანალიზის უნარი სხვადასხვა რელიგიურ გამოცდილებას შორის განსხვავების დასადგენად. მაგალითად, განასხვავა რა ქრისტიანული მისტიკა ბუდისტურისაგან, რელიგიის ცნობილი ფსიქოლოგი ვერნერ გრიუნი დასძენს: "ეჭვგარეშეა, რომ თანამედროვე რელიგიურ-ფსიქოლოგიური ანალიზი უფრო ფაქიზი განსხვავების შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე ეს შესაძლებელია ისტორიკოსის ხშირად უხეშ განმარტებაში, რომელიც ფიქრობს, რომ შეუძლია მუშაობა რელიგიური სულის ცოდნის გარეშე".[45] ხოლო ის ისტორიკოსი, რომელიც თავად ზიარებულია მისტიკურ გამოცდილებას, უფრო მეტი ცოდნით ადგენს ამ განსხვავებებს. მაგ., გუნდოლფ გიერათი განმარტავს: "შესაძლოა მისტიკის ამოსავალი წერტილი ყველგან ერთი და იგივეა, შესაძლოა თვით გზა მედიტაციებზე ანუ ჩაძირვებზე, ასკეტობაზე, მარტოობასა და ამდაგვარებზე დიდ მანძილზე ერთი და იგივე იყოს, მიზანი კი ძალზე განსხვავებულია, იმისდა მიხედვით, რა შეხედულებისაა მისტიკოსი სამყაროზე და სამყაროს მიზეზზე, ღმერთსა და ადამიანებზე. ტოტაპური, რამაკრიშნას გვიანდელი მასწავლებელი, დასცინოდა თავისი მოწაფის "გულუბრყვილო" შეხედულებას და ფიქრობდა, რომ იგი კვლავ მოიქცეოდა პიროვნული ღმერთის ცრურწმენისაგან, რაც მოწაფემ მართლაც აღასრულა თავისი მასწავლებლის დაუნდობელი, ჩაგონებითი ზემოქმედების წყალობით, რასაც წინ უძღოდა მძიმე ბრძოლა საკუთარ სინდისთან. მაგრამ ქრისტიან მისტიკოსს მიზნად ესახება უშუალო კონტაქტი არა პანთეისტურად გააზრებულ ღმერთთან, არამედ გამოცხადების პიროვნული ღმერთის "შენთან", რომელიც მისთვის მამა, ძმა და მეგობარია. ამაში ძევს ფუნდამენტური სხვაობა ქრისტიანულ მისტიკასა და ყველა სხვა დანარჩენ არაქრისტიანულ მისტიკას შორის"[46] თანამედროვე რელიგიის ფსიქოლოგიამ შეიმუშავა რელიგიურ ცხოვრებაში მისტიკურ მომენტთა ადგილის გარკვეული სქემაც: "რაციონალურ ღვთისმოსაობაში (ა) ჭარბობს აზრობრივი შინაარსი, პიროვნული მიმართება მინიმალურია, იგი თითქმის არაარსებითად იქცა; უბრალო, ნორმალურ ღვთისმოსაობაში (ბ) აზრობრივი

45. W. Gruehn, Die Frömmigkeit der Gegenwart, Westfallen, 1956, 133.
46. Deutsche Mystiker, Köln, 1997.

და ფუნქციონალური შინაარსი წონასწორობაში იმყოფებიან, ზენორმალურ, მისტიკურ ღვთისმოსაობაში (გ) ცოცხალი "მეს" მონაწილეობა სავსებით სჭარბობს აზრობრივ შინაარსს."[47] მისტიკურ გამოცდილებაში ხშირად ადგილი აქვს უჩვეულო მოვლენებს, რომელნიც ძალზე მრავალფეროვანნი არიან. მიუხედავად ამისა, მისტიკური გამოცდილების არსი მათი მიხედვით არ დახასიათდება. "ექსტაზების გათვალისწინება შეიძლება არა როგორც წინაპირობისა, არამედ როგორც გვერდითი მოვლენებისა ან როგორც შედეგებისა, რადგან სული მისტიკური მიმადლებისას იმდენად არის უმაღლესი ჭეშმარიტებით დაკავებული, რომ გრძნობანი წყვეტენ ყოველგვარ ქმედებას და ხშირად სხეული მიწაზე განრთხმულია, როგორც უსიცოცხლო; ასევე არ შეიძლება წინაპირობად მივიჩნიოთ ხილვა, რითაც ახალი ჭეშმარიტებანი უმეტესად განსაკუთრებული შემეცნებისეული ხატების მეშვეობით მიენიჭებათ. ამისი მონათესავეა მომავლის ჭვრეტა, გულის საიდუმლოთა წვდომა, ჭეშმარიტ და ყალბ რელიკვიათა განსხვავების უნარი და ცოდნა გარდაცვლილთა ვითარების შესახებ. შესაძლოა აგრეთვე სასწაულებრივ მომენტთა დადგომა, როგორიცაა ჰაერში გაჩერება ანდა ბუნებრივად შეუძლებელ პოზაში გახევება, რადგან ამ მოვლენებს ადგილი აქვთ უმრავლეს მისტიკოსებთან, ისინი ჩვეულებრივ მისტიკურად აღინიშნებიან. მაგრამ არც წინაპირობებში, არც ამ გვერდით მოვლენებში და არც შედეგებში არ ძევს არსი მისტიკური გამოცდილებისა. ისინი უფრო მოჩუქურთმებულ ორნამენტს განეკუთვნებიან".[48]

მართალია, ამ "მოჩუქურთმებულ ორნამენტს" ჰქონდა თავისი აზრი და დანიშნულება, როგორც ამას წმ. თომა აკვინელის ბიოგრაფი ადასტურებს, როდესაც ბერებმა სალერნოს მონასტერში თავად იხილეს საკურთხევლის წინ მლოცველი წმ. თომა აკვინელი, როგორ შესამჩნევად ასცდა მიწას და ლოცვის დროს ჰაერში იყო გახევებული. "შესაბამისი იყო ეს სწორედ", - ამბობს წმ. თომა აკვინელის მე-13 ს-ის ბიოგრაფი - "რომ სხეული მის სულს, რომელიც არ იყო დაზიანებული არავითარ ვნებათაგან, მორჩილად მიჰყვებოდა, რადგან მან მისი მიდრეკილებანი აღკვეთა."[49] მაგრამ, მიუხედავად ამისა, უ. ჯემსის სიტყვებით თუ ვიტყვით, თავისი მნიშვნელობის მხრივ მისტიკურ გამოცდილებაში გაცილებით უფრო საყურადღებოა თეოლოგიური და მეტაფიზიკური ხასიათის გამოცხადებანი.

იეზუიტების ორდენის დამაარსებელი წმ. იგნაციო ლოიოლა "ერთხელ გამოუტყდა მამა ლაინეცს, რომ ლოცვითი ჭვრეტის ერთმა საათმა, მის მიერ განცდილმა მანრეზში, უფრო მეტი ჭეშმარიტება გაუმხილა ზეციური საგნების შესახებ, ვიდრე სწავლული დოქტორების ყველა მოძღვრებამ ერთად აღებულმა... ერთხელ, როდესაც დომინიკანური ეკლესიის პატრონიკეს კიბე-

---

47. ვ. გრიუნი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 132.
48. გერმანელი მისტიკოსები_ გვ. 93-94.
49. Das Leben des heiligen Thomas von Aquino erzählt von Wilhelm von Tocco und andere Zeugnisse zu seinem Leben, Leipzig, 1967, s. 130.

ებზე ლოცულობდა. იგი ნათლად ჩასწვდა ღვთაებრივი ჩანაფიქრის მთელ სიბრძნეს, გამოვლენილს სამყაროს შექმნაში. მეორეჯერ, ერთ-ერთი საეკლესიო პროცესის დროს, სული მისი აღაფრთოვანა ღმერთმა და მას ეღირსა ეხილა ხატში, დედამიწაზე მცხოვრები სუსტი გაგებისათვის ხელმისაწვდომად, უღრმესი საიდუმლო წმინდა სამების არსისა: ამ ხილვამ მისი გული ისეთი ნეტარებით აღავსო, რომ შემდგომში მხოლოდ მისი გახსენება აიძულებდა მრავლად ეღვარა ცრემლი."[30] ასეთივე ღრმა ხილვები და გამოცხადებანი ჰქონდა სამყაროს გაჩენის შესახებ გერმანელ მისტიკოსსა და ფილოსოფოსს იაკობ ბიომეს, ხოლო წმ. სამების საიდუმლოს მისტიკური წვდომის მინიშნების შესახებ დანტეს "ღვთაებრივი კომედიის" უკანასკნელი სიმღერის გახსენებაც კმარა. მისტიკური გამოცდილების მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება თვით გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან, რომ არაფერი ვთქვათ თანამედროვე რელიგიის ფსიქოლოგიის მონაცემებზე. არის ერთი გერმანელი ლიტერატურათმცოდნე ერიხ აუერბახი (Э. Ауербах, Мимесис. М.: 1976), რომელმაც ზორაიდა, სერვანტესის "ტყვედნამყოფის თავგადასავლიდან", მამისადმი ამორალურ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა, რადგანაც ზორაიდამ მუსულმანი მამა დასთმო და ქრისტიანებს გაჰყვა ესპანეთში. მაგრამ ზორაიდას ბავშვობიდანვე ზრდიდა ქრისტიანი მონა ქალი, რომელმაც მას ასწავლა ქრისტიანული ლოცვები, შთაუნერგა სიყვარული ღვთისმშობლისადმი ("ლელა-მარიამ") და ფაქტობრივად ღვთისმშობლის გამოცხადებამ და მოწოდებამ გადაწყვიტა ზორაიდას ბედი. გერმანელი ლიტერატორი, რომელიც შორს დგას ყოველგვარი რელიგიური გამოცდილებიდან, აშკარად ვერ გებულობს მისტიკურ ფენომენს და მას განიხილავს ბიურგერული მორალის საზომით. მისგან განსხვავებით ეს კარგად ესმოდა გენიალურ სერვანტესს, რომელიც ცხოვრების ბოლოს ფრანცისკანული ორდენის წევრი ხდება.

რელიგიური გამოცდილება არ იფარგლება მარტო თეოლოგებით და მისტიკოსებით. რელიგიური გამოცდილების ცეცხლი ღვივის მუსიკაში, მხატვრობასა და ლიტერატურაში.[31] ცნობილი გვარების უზარმაზარი სია რომ არ შევადგინოთ, ზემოთქმულის საილუსტრაციოდ რამდენიმე მკაფიო მაგალითიც კმარა - მუსიკაში: პალესტრინა, ბახი, ბრუკნერი; მხატვრობაში: რემბრანდტი და ელ-გრეკო; ლიტერატურაში: მილტონი, დოსტოევსკი, მელვილი, რილკე. ცალკე თემაა ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა განხილვა ამ მხრივ.

რელიგიური გამოცდილება გამოხატულებას პოულობს აზროვნებაში, ქმედებასა და საზოგადოებაში. "მითოსი და მოძღვრება შეიცავენ აზრობრივ ფორმულირებას იმისას, რაც გამოცდილ იქნა საბოლოო რეალობასთან შეხვედრისას. კულტი არის ქმედება, გამომდინარე ამ შეხვედრიდან, იგი წარ-

---

[30] de Sant Ignace de Loyola
[31] იხ. ბ. 60.

მოადგენს თაყვანისცემასა და მსახურებას. ორივეს კი მივყავართ საზოგადოებისაკენ და მის სულსა და გულს წარმოადგენენ".[52]

ჩვენი მიზნებისათვის აქ მნიშვნელოვანია დასკვნა, რომ "თანამედროვე რელიგიურობის გაფართოებული ცოდნიდან აგრეთვე წარსული, ისტორიის მნიშვნელოვანი საბუთები, უფრო ღრმა გაგებას დაექვემდებარება. პრინციპულად ეს ნიშნავს: რელიგიის ფსიქოლოგია კი არ უნდა დაეყრდნოს რელიგიის ისტორიას, არამედ პირიქით: ეს უკანასკნელი უნდა იყოს პირველის დასკვნებზე დამოკიდებული".[53]

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენი წერილის დასაწყისში წამოჭრილ პრობლემას ისტორიული ცოდნის შესახებ. იქ გამოითქვა მოსაზრება, რომ ასეთი ცოდნის მისაღწევად საკმარისი არ არის ისტორიკოსმა თავისი საგანი შინაგანად განიცადოს, თავის ცნობიერებაში აღიდგინოს, ვთქვათ, იულიუს კეისრის განცდები. ამას ისევე ვერ მივყავართ იულიუს კეისრის შეცნობისაკენ, როგორც საკუთარი განცდების შეცნობის ფაქტს - საკუთარი თავის შეცნობისაკენ.[54] ასეთი ცოდნის მისაღწევად, ამბობს ვ. დილთაის მოწაფე ედ. შპრანგერი, საჭიროა საგნის შინაგან განცდას დაემატოს ცოდნა "ზეინდივიდუალური, სულიერი კავშირებისა". ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ერთ შპრანგერისეულ მაგალითს: "ფსიქოლოგიას მხოლოდ ის ამოცანა რომ ჰქონოდა - აღეწერა, რაც თვით ინდივიდუალურ ცნობიერებაში განიცდება, მაშინ პასუხი - კითხვაზე: "რატომ თამაშობს ბავშვი?" უბრალოდ ასეთი იქნებოდა: "იმიტომ, რომ მას ეს სიხარულს ანიჭებს". რადგან ამით ამოიწურება წმინდა სუბიექტური (განცდილი) აზრი თამაშისა. მაგრამ როგორც კი ვიტყვით, ბავშვი თამაშობს იმიტომ, რათა მომავალში სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ქმედებათა აღსრულებისათვის გაიწაფოს, მაშინ შორს ვცილდებით იმას, რაც თამაშის დროს ნამდვილად განიცდება. ეს "იმიტომ - რათა" ბავშვის სულში ჯერ არ ცნაურდება. ეს ახსნა მას ემატება ზეინდივიდუალური, სულიერი კავშირების ცოდნიდან".

"ინდივიდუუმი, - განაგრძობს ედ. შპრანგერი, - თავისი "სუბიექტური სულით" მხოლოდ მცირე ნაწილია, განპირობებული წევრია ობიექტური სულისა. თუ რატომ ვაზროვნებთ ჩვენ ისე, როგორც ვაზროვნებთ, რატომ ვაფასებთ, როგორც ვაფასებთ, რატომ ვმოქმედებთ, როგორც ვმოქმედებთ - ამას, ყველა ვითარებაში, მხოლოდ ჩვენი ინდივიდუუმიდან ვერ გამოვიყვანთ. ჩვენ უაღრესად ვართ განპირობებული და ჩამოყალიბებული არსებულ ზეინდივიდუალურ სულიერ ფორმაციათაგან."[55]

ახლა გვინდა შევეხოთ ორ ასეთ "ზეინდივიდუალურ სულიერ ფორმაციას", რომელთაგანაც პიროვნება უაღრესად არის განპირობებული და

---

52. ი. ვახი, დასახ. ნაშრ. გვ. 128.

53. Werner Grnehn, Die Frömmigkeit der Gegenwart (Grundtatsachen der empirischen Psychologie), Münster 1956, s. 29-30.

54. Р.Дж. Коллингвуд. Идея истории. М., 1980. стр. 165.

55. E. Spranger, Psychologie des Jugendalters, Leipzig, 1928, s. 8.

რომელთა გათვალისწინება ისტორიკოსისათვის აუცილებელია. პირველი, ეს არის საერთოდ ე.წ. "დროის სული" (Zeitgeist) და მეორე - "ეროვნული სული". რასაკვირველია, ობიექტური სულის ეს გამოვლინებანი მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და ერთურთზე ზემოქმედებენ, რასაც უფრო ვრცლად შევეხებით ქვემოთ, "ეროვნული სულის" განხილვისას. ახლა კი გვინდა შევჩერდეთ "დროის სულზე" როგორც ეპოქის სულიერ გამოვლინებაზე, მის "მენტალურობაზე" და იმაზე, რა მნიშვნელობა ენიჭება მის გათვალისწინებას ისტორიული კვლევისას. ავიღოთ შუა საუკუნეები, ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი ჩვენი ისტორიისა. რამდენადაც საქართველო ქრისტიანულ სამყაროს განეკუთვნება და მისი წარსულიც ამ სამყაროს ნიშან-თვისებებით ხასიათდება, ურიგო არ იქნება თუ გავითვალისწინებთ ცნობილი ფილოსოფოსისა და მედიევისტის ლევ კარსავინის სიტყვებს ამ ეპოქაზე: "შუა საუკუნეების სქოლასტიკოსთა და მისტიკოსთა უგულებელყოფით ჩვენ ვავიწროებთ ჩვენს გაგებას მარადიულისას... რელიგიურ-მეტაფიზიკური გაგება უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან და უფრო ნაყოფიერია შუა საუკუნეებთან მიმართებაში, ეპოქასთან, რომელიც უპირატესად რელიგიურია - ამას თვით საქმის არსი მოითხოვს".[56]

როდესაც ამ მოთხოვნას ისტორიკოსი ვერ დაიცავს, განსაკუთრებით აღნიშნული ეპოქის აღწერისას ან ისტორიულად დადასტურებული ღრმა რელიგიურობის მქონე პიროვნების დახასიათებისას, იგი კურიოზულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ათეისტური აზროვნების ასეთი ნიმუშია ერთი ჩვენი პატივცემული მკვლევრის მტკიცება: "რა არის ქეთევან დედოფლის საქციელი - მართლმორწმუნე ქრისტიანის ფანატიზმი, თუ ერის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება? პასუხი ერთია. ერის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება"[57] ზემო წინადადებაში სიტყვა "ფანატიზმი" მისი უარყოფითი მნიშვნელობითაა ნახმარი, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, საკითხავია: განა "ერის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნებას" მართლმორწმუნე ქრისტიანის რელიგიური გზნება გამორიცხავს? განა ჩვენი ისტორია, ჩვენი ყოფა ნათელი დადასტურება არაა იმისა, რომ იქ, სადაც რწმენა შეირყევა, ყოველგვარი "პასუხისმგებლობის შეგნებაც" ქარწყლდება? განა რელიგია და პატრიოტიზმი ერთმანეთის გამომრიცხავი ცნებებია, განსაკუთრებით მტრული მსოფლმხედველურ-რელიგიური დაპირისპირების დროს?

ამგვარად, როგორც ვხედავთ, რელიგიურობა ისტორიკოსისათვის ის გასაღებია, რომლის შემწეობითაც მის წინაშე ფარდა ეხდება წარსულის იმ მოვლენებს, იმ გარდასულ ეპოქებს, რომელნიც უპირატესად რელიგიური ნიშნით ხასიათდებიან. რელიგიურობის მქონე ისტორიკოსისათვის ასეთი წარსული ცოცხალი წარსულია, რადგან, კოლინგვუდის სიტყვებით, "ისტორიული ცოდნა - ესაა ცოდნა წარსულისა აწმყოში, ისტორიკოსის მიერ

---

56. Л.П. Карсавин. Культура средних веков, Петроград, 1918. стр. 2-3.

57. აკაკი ბაქრაძე, ზნეობრივი გმირისათვის, წიგნში: კრიტიკული გულანი, თბ., 1977, გვ. 133.

საკუთარი სულის თვითშემეცნება, რომელიც აცოცხლებს და კვლავ განიცდის წარსულის გამოცდილებას აწმყოში".[58]

რელიგიურობა არც მწერალს აწყენს, რომლის ისტორიულ რომანებს პრეტენზია აქვთ გარდასულ ეპოქათა და გმირთა რეალური სურათის აღდგენისა. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავს ჩვენში ისედაც აღიარებული მწერალი, როგორიც კონსტანტინე გამსახურდიაა. მის "დიდოსტატის მარჯვენაში" მთავარ პერსონაჟთაგან, თუ არ ვცდები, მხოლოდ კათალიკოსს სწამს ბოლომდე ღმერთი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუა საუკუნეების ეპოქა (IV-XII ს.ს.)[59] ძირითადად რელიგიური ეპოქაა. მის აზროვნებას ძირითადად თეოლოგია წარმართავდა;[60] ხოლო შუა საუკუნეების ადამიანი უმთავრესად პირად ხსნაზე ფიქრობდა ქრისტიანული რელიგიის გაგებით.[61] ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენდა გამონაკლისს. რასაკვირველია, მკრეხელობის ფაქტებს შუა საუკუნეებშიც ვხვდებოდით, მაგრამ ხშირ შემთხვევებში მათ მონანიებაც თუ არ ახლდა, მაშინ მათი ჩამდენთა მხრიდან შეგნებულ სატანიზმს ჰქონდა ადგილი, რომელიც იგივე რელიგიაა უარყოფითი ნიშნით. ამგვარად, მკრეხელობა არატიპური მოვლენა იყო ამ ეპოქისათვის და კონკრეტული ისტორიული პიროვნების მიმართ ამდაგვარზე საუბარი, თუ არა გვაქვს ამაზე პირდაპირი მითითება ისტორიულ წყაროებში, მისი სულისკვეთების გაყალბებაზე მეტყველებს. ის, რომ მე-11 საუკუნის დასაწყისში ქრისტიანი გვირგვინოსანი გიორგი I, "მესიის მახვილი", პოლიტიკური მიზნებისათვის ბღალავს სასწაულმოქმედ ჯვარცმას - ეს დღევანდელი ათეისტური გონების ფანტაზიის ნაყოფია. ჯვარი - რელიგიური ადამიანისათვის, მით უმეტეს, შუა საუკუნეების ხანის რელიგიური ადამიანისათვის და, მით უმეტეს, სასწაულმოქმედი ჯვარი - არ წარმოადგენს უბრალო საგანს. იგი ტრანსცენდენტური რეალობის გამომხატავ სხვა საკრალურ საგნებთან ერთად წარმოადგენს სიმბოლოს საბოლოო რეალობისას და, ამგვარად, თავად შემოსაზღვრული უსაზღვროზე მიანიშნებს. მის მიმართ მორწმუნე, ისევე, როგორც საბოლოო რეალობასთან შეხვედრისას, ერთდროულად განიცდის წმინდა შიშს (tremendum) და მიზიდულობასაც (fascinosum).[62] მორწმუნეში მისი ხილვა ხშირად ექსტაზს აღძრავს.[63] მისი არა თუ შებღალვა, უბრალო გამოსახვაც "დასათრგუნველ ადგილთა ზედა" შერისხული იყო. ამას გვამცნობს სწორედ მეათე საუკუნის ბოლოს ექვთიმე მთაწმინდელის მიერ შედგენილი "მცირე სჯულის კანონი", სადაც ვკითხულობთ: "ცხოველმყოფელისა ჯუარისაგან იქმნა ცხორებაი ჩუენი ქრისტეს მიერ, რომელი მას ზედა ჯუარს ეცუა სახსრად ჩუენდა. ამისთვისცა ყოვლითა

58. კლინგენდერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.
59. პერიოდიზაცია ლევ კარსავინისა. იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 1.
60. Р. Дж. Коллингвуд, Идея истории. М., 1980, стр. 8.
61. Л.П. Карсавин. Культура средних веков, Петроград, 1918. стр. 217.
62. Rudolf Otto, Das Heilige, München 1963, s. 13-28.
63. Fr. Heiler, Erscheinungsformen und Wesen der Religion, Stuttgart, 1961, s. 23.

მოსწრაფებითა გვიღირს პატივი და დიდებაი საზისა მის წმიდისა ჯუარისაი, რომლისა მიერ ვიხსნენით ძუელისა მისგან დაცემისა. აწ უკუე ვამცნებთ, რაითა არავის ხელ-ეწიფებოდის ადგილსა დასათრგუნველსა ჯუარისა სახესა გამოსახვად გინათუ ქუეყანასა ზედა, ანუ ავჟანდებსა ზედა, ანუ თუ შატროვანთა ზედა. და ძოლოთა ჯუარის გამოსახვაი არა ჯერ-არს, რაითა არა დათრგუნვითა მათ ადგილთათითა ძლევისა ჩუენისა სახე შეურაცხ-იქმნას, რომელთაც უკვე სახე ჯუარისა ადგილსა ფერხითა დასათრგუნველსა ჰქმნან, დიდისა ბრალისა თანამდებ ყოფენ თავთა თვისთა".[64] ამგვარად, ვიმეორებთ, თუ ისტორიულ წყაროში პირდაპირი მითითება არა გვაქვს იმის შესახებ, რომ გიორგი I ათეისტი ან "ეშმაკეული" იყო (საბედნიეროდ, ასეთი მითითება მართლაც არ არსებობს), მაშინ მწერლის ეს გამონაგონი გმირის სულის აშკარა გაყალბებაზე მეტყველებს. შემდგომ იმავე რომანში, მწერლის ფანტაზიის წყალობით, გიორგი I-ის მოწინააღმდეგენი იმავე ჯვარცმას ძაღლს აალოკინებენ, რათა დარწმუნდნენ, მართლა მოწამლულია თუ არა. ასევე ათეისტური ნააზრევი უდევს საფუძვლად მწერლის იმ ცდას, რომ აღნიშნულ რომანში ხუროთმოძღვარი თავისი ქმნილებით ღმერთს დაუპირისპიროს, გახადოს იგი " ღმერთთან მებრძოლი იაკობი" და სხვა. ცნობისათვის: იაკობი ტიტანი არაა და მისი ბრძოლა ღმერთთან ღვთის დამამხობელ, ტიტანურ ბრძოლას არ წარმოადგენს. მართლმადიდებლური, პროტესტანტული და კათოლიკური რწმენის ტრადიციათა მიხედვით, იაკობის შერკინება ღმერთთან განიხილება როგორც იაკობის განწმენდა, როგორც ლოცვის გზით იაკობის ნების ღვთიურ ნებასთან გაერთიანება და ამით ღვთიური მადლისა და მისი კურთხეული ძალის თავისაკენ მიზიდვა და სხვა.[65]

ზემოთ ვახსენეთ დროისა და ერის სული, მათი ურთიერთმიმართება. ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს საკითხი.

ამ მიზნით საჭირო იქნება მოკლედ დავახასიათოთ როგორი წარმოდგენა გვაქვს ჩვენ ერზე, ანუ რა გვესმის ეროვნებაში.

ამ მხრივ ჩვენ დავეყრდნობით ისეთ მოაზროვნეებს, როგორიც იყვნენ ს. ბულგაკოვი, ო. შპენგლერი და სხვები, რომლებიც ამოდიოდნენ ერის როგორც "სულიერი ორგანიზმის" გაგებიდან. ერთი გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, ეროვნება წარმოგვიდგება როგორც ნაციონალური ცხოვრების ცალკეული ფაქტების ერთობლიობა, აღებული მისი ყოფიდან, იქნება

---

64. მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბ., 1972, გვ. 61.

65. Филарет - Записки, руководствующия к основательному разумению книги Бытия, Москва, 1867, ч. III. стр. 66-69, Иисус Христос, Сын Божий, Спаситель Мира, СПБ, стр. 97-100.

F.W. Weber, Kurzggefasste Einleitung in die heiligen Schriften Alten und Neuen Testamentes, Munchen, 1911, s. 48.

ამ თავში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები ცენზურამ არ დაბეჭდა 1984 წლის №4 "ალვითსმეტყველო კრებულში"

ეს ეთნოგრაფიული მასალა თუ ენობრივი მომენტი, რომლის დროსაც ხდება ამ ფაქტებიდან აბსტრაჰირება და ისეთი კრებსითი ცნების ჩამოყალიბება, როგორც, მაგალითად, იტყვიან ხოლმე ტყეზე, რომ ის არის მრავალი ცალკეული ხის ერთობლიობა. მაგრამ არსებობს მეორე აზრიც ეროვნებაზე, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ, და რომლის მიხედვით, ეროვნება არა მხოლოდ თავისი სხვადასხვა გამოვლინების ერთობლიობაა, რომელთაც აღრიცხავს და სწავლობს მეცნიერება, არამედ, პირველ ყოვლისა, იგი არის რაღაც იდუმალი, სუბსტანციური საწყისი, რომელიც არც კოლექტიური ცნებაა და არც ლოგიკური აბსტრაქცია, არამედ წარმოადგენს შემოქმედებით ცოცხალ საწყისს, სულიერ ორგანიზმს, რომლის წევრები მასთან იმყოფებიან ცოცხალ შინაგან კავშირში. ამგვარად, ამ მეორე თვალსაზრისის მიხედვით, ეროვნებები არც ენობრივი, არც პოლიტიკური და არც ზოოლოგიური კავშირებია, არამედ ისინი წარმოადგენენ სულიერ ერთობლიობებს. ერთი მხრივ, უკვე ყოველი "მეს" დაბადება, მისი ცნობიერება, უკავშირდება ოჯახის ცნობიერებას, სადაც იგი დაიბადა, ე.ი. ემპირიული "მე"-ს ცნობიერება უკავშირდება ოჯახის "ჩვენ"-ს, ხოლო ეს უკანასკნელი ფართოვდება საზოგადოების "ჩვენამდე". მეორე მხრივ, ჩვენი ემპირიული "მეთი" ჩვენს უშუალო განცდაში ინტუიციურად აღვიქვამთ ეროვნებას როგორც სულიერ ორგანიზმს. "ჩვენ ვაღიარებთ ჩვენს თავს ნაციის წევრებად იმიტომ, - ამბობს ფილოსოფოსი სერგეი ბულგაკოვი, - რომ ჩვენ რეალურად ვეკუთვნით მას, როგორც ცოცხალ სულიერ ორგანიზმს. ეს ჩვენი წევრობა სრულიად არაა დამოკიდებული ჩვენს ცნობიერებაზე; იგი არსებობს მანამდე და მის გარეშე და თვით მისი სურვილის საწინააღმდეგოდაც. იგი არა მარტო არ წარმოადგენს ჩვენი ცნობიერებისა და ჩვენი ნება-სურვილის ნაყოფს, არამედ, პირიქით, თვით ეს ცნობიერება ნაციონალობისა და მისი სურვება მისივე ნაყოფია იმ გაგებით, რომ საერთოდ ცნობიერი და ნებისეული სიცოცხლე თავისი არსებობისათვის უკვე გულისხმობს პიროვნების რაღაც ყოფიერებით ბირთვს, როგორც მასაზრდოებელ, ორგანულ გარემოს, რომელშიაც ისინი აღმოცენდებიან და ვითარდებიან, რასაკვირველია, იძენენ რა შემდეგ უნარს თვით პიროვნებაზე ზემოქმედებისა". ამგვარად, ეროვნება ამ გაგებით წარმოადგენს სულიერ ერთობლიობას, ცოცხალ სულიერ ორგანიზმს, იმ ობიექტურ სულს, რომლის მცირე ნაწილს წარმოადგენს ინდივიდუუმი თავისი "სუბიექტური სულით". რატომ ვაზროვნებთ ჩვენ ასე, როგორც ვაზროვნებთ, რატომ ვაფასებთ, როგორც ვაფასებთ, რატომ ვმოქმედებთ, როგორც ვმოქმედებთ - ამას, ყველა ვითარებაში, მარტო ჩვენი ინდივიდუუმიდან ვერ გამოვიყვანთ. ჩვენ უაღრესად ვართ განპირობებული და ჩამოყალიბებული არსებული ზეინდივიდუალური სულიერი ერთობლიობიდან, რომელსაც ცოცხალ სულიერ ორგანიზმს, ერის სულს ვუწოდებთ. ამავე დროს, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ეროვნული სული იბადება, რომ ე.ი. იბადებიან ერები, რომ გარკვეული ისტორიული მიჯნის შემდგომ ჭრელი ეთნოგრაფიული შენარევი გარდაიქმნება ხოლმე ერად, თავისი განსაკუთრებული ყოფით, თვითცნობიერებით, ინსტინქტებით. დღევანდელმა

ბიოლოგიამ ნათლად წარმოაჩინა დარვინისტული ევოლუციონიზმის უსაფუძვლობა. ერის ორგანული გაგება ასევე უარყოფს ამ თეორიას. როგორც ადამიანთა დაბადება, რომლის შედეგადაც უეცრივ მიიღება ახალი ინდივიდუალობა, ახალი ადამიანი, ასევე იშვება ის ზეინდივიდუალური სულიერი ერთობლიობა, რომელსაც ჩვენ ერის სულს, ეროვნებას ვუწოდებთ. მაგრამ ეს სულიერი ფორმაცია, დღიდან მისი მოვლენისა კონკრეტულ რეალობაში, ემორჩილება ისტორიის მსვლელობას. ნაციის ისტორიულ ზრდასთან ერთად იზრდება მისი ეროვნული თვითშეგნება პიროვნული თვითშეგნების ზრდის მსგავსად. ამრიგად, ისტორიის მსვლელობაში ნაციონალური ცნობიერება და გრძნობა შეიძლება აღიზარდოს, მაგრამ იმავე პრინციპის წყალობით იგი შეიძლება კიდეც გაირყვნას. აქ ერთი გარემოებაა ხაზგასასმელი, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ისტორიის მსვლელობაზე და ამ მსვლელობის ეროვნულ ცნობიერებაზე ზემოქმედებაზე, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ცნობიერებისათვის ისტორიული წარსული არ არის მკვდარი წარსული, არამედ იგი წარმოადგენს ცოცხალ ძალას, რომელიც ზემოქმედებს აწმყოზე და განსაზღვრავს მომავალს, აქ გამოთქმული აზრის ნათელსაყოფად ჩვენ მივმართავთ ანრი ბერგსონს და იმ მაგალითს, თუ როგორ ესმის მას ისტორია (თვით მაგალითი აღებული მაქვს ნიკოლაი ლოსკის წიგნიდან ბერგსონზე). დავუშვათ, ახალგაზრდა მამაკაცი N N შეხვდა მომხიბვლელ ქალიშვილ X-ს. N N-ში მალე თავს იჩენს გრძნობა ამ ქალიშვილისადმი, რომელიც ადვილად შეიძლება გადაიზარდოს სერიოზულ სიყვარულში. მაგრამ ერთხელ იგი შემთხვევით ხდება მოწმე იმისა, როგორ უხეშად ექცევა X თავის მოსამსახურე ქალს, თითქოს ეს უკანასკნელი უსულო საგანი იყოს. ამის შემდგომ X-თან ყოველი ახალი შეხვედრისას N N-ის მეხსიერებაში კვლავ ცოცხლდება წარსულის ეს უსიამოვნო სურათი, რომელიც იჭრება მის დამოკიდებულებაში X-ადმი, ქმნის მასში სულ უფრო და უფრო მომეტებულ გაუცხოებას ქალიშვილისადმი, რაც, საბოლოოდ, მათ შორის ურთიერთობის სრული გაწყვეტით მთავრდება. ბერგსონის მიხედვით, მხოლოდ ასეთ სისტემაზე შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს ისტორია. იგი მსგავსია თოვლის ზვავისა, რომელიც მოგორავს და სულ უფრო და უფრო იზრდება და ინარჩუნებს თავის თავში ყოველივე გზად შეძენილს. ჭეშმარიტად, ამბობს ნ. ლოსკი, წარსული უნდა იმყოფებოდეს აწმყოში, მაგრამ რომ განხორციელდეს ისტორიულ პროცესთა ერთიანი ნაკადი თვისებრივი ცვლილებებით და არ მოხდეს ამ ცვლილებათა შეჩერება-გამყინვარება, მათ საფუძველში უნდა იმყოფებოდეს სუბსტანცია, ჩვენს შემთხვევაში ის სუბსტანციური საწყისი, სულიერი ორგანიზმი, რომელსაც ერის სულს ვუწოდებთ. მართლაც, განაგრძობს ნ. ლოსკი ამ მსჯელობას თავის წიგნში "სამყარო როგორც ორგანული მთლიანობა", აზრობრივად მოვახდინოთ ჭრილი abcdefgh ნაკადში e და f წერტილთა შორის. მას, რაც უშუალოდ წინ უძღვის e-ს ჭრილს - abcd-ს, არ შეუძლია თავის თავში მოეპოვებოდეს საკმაო საფუძველი ყველა შემდგომი უსასრულო ნაკადის ცვლილებათათვის;

ასეთი საფუძველი არის ნაკადის მთელ წარსულში, მაგრამ როგორ შეუძლია წარსულს, მაგ., ab-ს თვითონ, e-სთან ერთად, შექმნას fgh? რასაკვირველია, ასეთ წარსულს შეეძლო რეალურად გაეგრძელებინა თავისი ყოფიერება მაშინაც კი, როდესაც ნაკადი გარდაიქმნებოდა c-d, შემდეგ d-d, e-d და ა.შ. მაგრამ ამ შემთხვევაში ნაკადი, იმის მაგივრად, რომ გამხდარიყო ნიმუში ცვალებადობისა, ხდება დამძიმებული და გაყინული წარსულის უძრავი სხივებისაგან. ნაკადმა რომ განიცადოს შემოქმედებითი ცვალებადობა, საჭიროა, რომ მას საფუძვლად ედოს ასეთივე შემოქმედებითი სუბსტანცია. მაშინ საფუძველი მომავალი fgh-თვის არის სუბსტანციაში და მის მიერ განხორციელებულ პროცეს abcde-ში; ამ abcde-მ უკვე წარსულის სფეროში გადაინაცვლა, რეალურად იგი უკვე აღარ არსებობს, მაგრამ რაკი მას სუბსტანცია ითვალისწინებს (დედანში), ქმნის რა შემდგომ fgh-ს, მაშინ წარსული იდეალურად ზემოქმედებს მომავალზე და, ამასთანავე, ზემოქმედებს თვითონ და არა მხოლოდ თავისი შედეგების მეშვეობით.

ამიტომ არის, რომ მრავალი მოაზროვნე, განიხილავს რა ერის სულს ან სულაც კაცობრიობის მეხსიერებას, ბერგსონის გამოთქმით, "კოსმიურ მეხსიერებას", მიდის იმ დასკვნამდე, რომ "წარსული შენარჩუნებულია აწმყოში" (ს. ფრანკი - "ნათელი ბნელში"). იმავე ფილოსოფოსს ხსენებულ წიგნში მრავალი მაგალითი მოჰყავს იმისა, აწ გამქრალი ისტორიული კულტურები ხშირად, როგორ შეუმჩნეველად ზემოქმედებენ ჩვენზე. მათი კვალი, ამბობს ს. ფრანკი, შეუცნობლად მოქმედებს შთამომავალთა სისხლსა და სულში.

ახლა ისმის კითხვა: რა მიმართებაშია ამ გაგებით რელიგია ეროვნულ სულთან?

ისტორია გვიჩვენებს, რამდენადაც ეროვნული სული განწყობილია ზეეროვნული იდეის მისაღებად, რამდენადაც იგი გახდება მატარებელი ზეეროვნული მისიისა, ჩვენს შემთხვევაში მატარებელი იმისა, რასაც ერს აკისრებს ქრისტიანული რელიგია, იმდენადვე უფრო დაიწმინდება მისი ეროვნული ცნობიერება, იმდენადვე უფრო მაღალ საფეხურს დაიკავებს იგი ღირებულებათა სფეროში და იმდენადვე უფრო შენარჩუნებული იქნება მისი ეროვნულობა. უფრო სწორად, გარკვეული რელიგიის მიღება ეროვნულ სულს შესაბამის დამღას ადებს, აყალიბებს მას. ამის მიხედვით, ანიჭებს მას განუმეორებელ ხასიათს. მეორე მხრივ, რელიგიის მიმღები ეროვნული სული თავისებურად იღებს, თავისებურად ხარშავს მას, თავის შესაძლებლობისა და უნარის მიხედვით იღვწის მასში. ამგვარად, ერვონული სულის უნარი, რამდენად გახსნილია იგი რელიგიური შინაარსის მისაღებად, შემდეგ, ამ შინაარსის ათვისების უნარი, მისი ინტენსივობა, მისდამი ერთგულება - ეროვნების იდეალური ღირებულების დასადგენი ეტალონი ხდება, რომელიც მისივე მხსნელ შუქურად იქცევა ხოლმე მისი ძნელბედობის ჟამს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიული წარსული ეროვნული ცნობიერებისათვის (ასევე პიროვნული ცნობიერებისათვის) არ არის მკვდარი წარსული, არამედ წარმოადგენს ცოცხალ ძალას, რომელიც ზემოქმედებს აწმყ-

ოზე და განსაზღვრავს მომავალს. დიახ, წარსული უნდა იმყოფებოდეს აწმყოში, მაგრამ რომ განხორციელდეს ისტორიულ პროცესთან ერთიანი ნაკადი თვისებრივი ცვლილებებით და არ მოხდეს ამ ცვლილებათა შეჩერება-გამყინვარება, მათ საფუძველში უნდა იმყოფებოდეს შემოქმედებითი სუბსტანცია. როგორც ნიკოლაი ლოსკი ამბობს თავის "ნების თავისუფლებაში", თავისუფლება გულისხმობს აგრეთვე წარსულისგანაც თავისუფლებას. ნების თავისუფლება გასაგებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი "მე" არ იმყოფება წარსულის მბრძანებლობაში. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი "მე" არის ზედროული არსება.

სწორედ ზედროული სუბსტანციის დროულ პროცესთან შეთავსებით შესაძლებელი ხდება რეალური ყოფიერებისათვის, ერთი მხრივ განუწყვეტელი განახლების შესაძლებლობა, მეორე მხრივ კი წარსულთან კავშირი. რომ არ ყოფილიყო ზედროული "მე", მაშინ წარსული მუდმივ სახეზე იქნებოდა აწმყოში და განუწყვეტლივ მასზე იმოქმედებდა, რაც აწმყოს განახლების შესაძლებლობას არ მისცემდა. ამ დროს კი არსებობს უცილობელი ფაქტი დავიწყებისა და მისი საპირისპიროსი - გახსენებისა. ორივე ეს ხორციელდება "მეს"- მიზანშეწონილი აქტების მეშვეობით, რომელიც ცნობიერებაში წარსულის ზოგიერთ ელემენტს წინ წამოწევს, სხვებს კი უკუაგდებს. ყველაზე მეტად დროულ პროცესზე "მეს" მბრძანებლობა ცხადდება მონანიების აქტში, რომელიც სულის განმწმენდელია და წარსულს მოიკვეთს ისე, რომ არათუ განცდილი მოვლენები, არამედ სულს დაუფლებული ვნებებიც უეცრად ინთქმებიან დროის მორევში და ხდებიან დაკვირვების უშფოთველი საგანი, რომელნიც თავიანთ თავში აღარ შეიცავენ არავითარ ცდუნებას.[66]

66. Н.О. Лосский. Избранное, М. 1991, стр. 550-552.

რელიგიური გამოცდილება და პედაგოგიკა

საუბარია სკოლაში ჰაგიოგრაფიის სწავლის თაობაზე (განათლების მინისტრს უთქვამს - "ჰაგიოგრაფია მკვდარი ტექსტიაო", მერე მისივე ნათქვამი უარუყია და ა.შ.).

რა დანიშნულება აქვს ჰაგიოგრაფიას? საკმარისია გადავშალოთ თეოლოგიური ლექსიკონები და იქ ამაზე მკაცრად განსაზღვრულ პასუხს მივიღებთ. რომის კათოლიკური ენციკლოპედია (ფრაიბურგი, 1986): პირველ ყოვლისა ჰაგიოგრაფია წმინდანთა თაყვანისცემას გულისხმობს და ისწრაფვის ღვთის მადლი აღიქვას ადამიანში და ამიტომ წარმოადგენს იგი თეოლოგიურ დისციპლინას. ჰაგიოგრაფია არ კმაყოფილდება ფაქტების მშრალი აღწერით, არამედ იგი მოწოდებულია მკითხველში მიმბაძველობა გამოიწვიოს და მას სიმხნევე და იმედი ჩაუსახოს.

მართლმადიდებლური ცნობარები რუსულ ენაზე (ს. პეტერბურგი, 1914; მოსკოვი, 1993): 1) შეიცავს მოწოდებას მიმბაძველობისადმი და მოღვაწეობისადმი და 2) ააშკარავებს ღვთის ძალას გმირობებსა და ზეციურ სასწაულებში; 3) უძველესი დროიდან იწყეს წმინდანთა ცხოვრების აღწერილობათა შეგროვება დარიგების, პატივისცემისა და ხსოვნის მიზნით. მაგრამ ჰაგიოგრაფიის ყველაზე უფრო ნიშანდობლივ განმარტებას იძლევა მეოცე საუკუნის აწ უკვე გარდაცვლილი ნეტარი ბერი პაისი მთაწმინდელი: "წმინდანთა ცხოვრება: ეს არის ნაკურთხი ისტორია და ამიტომ ისინი ძალზე ეხმარება, განსაკუთრებით ბავშვებს. მაგრამ მათ ისე არ უნდა წავუკითხოთ ისინი, როგორც ზღაპრები... იკითხეთ წმინდანთა ცხოვრებანი, ისინი სულს ძალზე ეხმარებიან, იმიტომ, რომ მისი კითხვისას ადამიანი უკავშირდება წმინდანებს, და მასში აღინთება ღვთისმოსაობა და სამსხვერპლო განწყობა".

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ჰაგიოგრაფიის კითხვა და მისით ტკბობა მხოლოდ მას ძალუძს სრულფასოვნად, ვინც უკვე ზიარებულია (მათ შორის ბავშვიც) ე.წ. რელიგიურ გამოცდილებას, რაც უმთავრესად ლოცვის დროს მიიღწევა. ესე იგი როგორც მუსიკით ტკბობა (თუკი ასეთი შედარება შეიძლება) ელემენტარული მუსიკალური უნარის ქონას გულისხმობს, რომელიც ადამიანში (ბავშვში) უნდა გავაღვიძოთ, იგივე ხდება ეს რელიგიურ-სულიერი გამოღვიძების ჟამს. აქედან გასაგებია მთელი ის სიძნელე და დავიდარაბა, რაც ათეისტურ საზოგადოებაში საწყალ ბავშვებს ატყდებოდა თავს ჰაგიოგრაფიის სწავლებისას (თუკი ბავშვი, გნებავთ მინისტრი, რელიგიური არ არის, მაშინ საზიზღარ და გადაულახველ ჯებირად აღიმართება "ძველი ქართული" და მაშინ ასეთნაირებისთვის იგი მართლაც "მკვდარი ტექსტია").

[illegible] საჭიროა თავად მასწავლებელი იყოს რელი[illegible] (არ [illegible] ცისა და ლიტერატურის), თავად იყოს [illegible] ივი და მერე "მკვდარი ტექსტების" [illegible] ბავშვი რელიგიური ოჯახიდანაა,

მაშინ პრობლემა მოხსნილია, იგი "თვალხილული" მიდის სკოლაში). ამდენად, საჭირო არ არის მაინცდამაინც სასულიერო პირმა ასწავლოს სკოლაში "საღვთო სჯული". კარლ რანერი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს, რომ ისეთ სკოლებში, სადაც "საღვთო სჯული" სავალდებულოა, ბავშვები დიდი რელიგიურობით არ გამოირჩევიან. მასწავლებლისათვის ბავშვის ჩამოყალიბება იგივეა, რაც ხელოვანისათვის მასალისაგან ნაწარმოების შექმნა. ჩემი აზრი უფრო ნათელი რომ გავხადო, ანალოგიას გავავლებ მასწავლებელსა და ხელოვანს შორის. ამისათვის მივმართავ ჟაკ მარიტენის შესანიშნავ წერილს "ქრისტიანული ხელოვნება".[67]

"თუ თქვენ გინდათ შექმნათ ქრისტიანული ნაწარმოები", - ამბობს მარიტენი - "ნუ ეცდებით "გახადოთ" იგი ქრისტიანული, არამედ თავად იყავით ქრისტიანი, შეეცადეთ თქვენი ნაწარმოები იყოს მშვენიერი და მასში გამოხატოთ თქვენი სული". რასაკვირველია, ეს მხოლოდ მინიშნებაა, ხოლო ელიოტი პირდაპირ ამბობს, რომ "ქრისტიანულ საზოგადოებაში განათლება უნდა იყოს რელიგიური, - არა იმ აზრით, რომ მას განახორციელებენ ეკლესიის წარმომადგენლები და მით უფრო არა იმ გაგებით, რომ გამოყენებული იქნება ზეწოლა ანდა შეეცდებიან თითოეულს შეასწავლონ ღვთისმეტყველება, არამედ იმ აზრით, რომ მისი მიზნები განსაზღვრული იქნება სიცოცხლის ქრისტიანული ფილოსოფიით."[68]

67. Ж. Маритен, Избранное, М. 2004.
68. Т.Элиот, Избранное, М. 2004.

რელიგიური გამოცდილება და რომანტიკულის გრძნობა

გამოთქმულია მოსაზრება, რომ რომანტიზმი სათავეს მისტიკასა და პიეტიზმში იღებს,[69] ხოლო ეს უკანასკნელნი რელიგიური გამოცდილების გარეშე წარმოუდგენელია. რას წარმოადგენს რომანტიზმი? ჩვენ შევეხებით უმრავლესისათვის ნაცნობ ყმაწვილურ განცდებს, სადაც პირველად იჩენს თავს მძლავრად გრძნობა რომანტიკულისა. ამ მიზნით მივმართავთ ყმაწვილის ფსიქოლოგიის დიდ მცოდნეს ედუარდ შპრანგერს.[70]

"ყმაწვილისათვის რაღაცაა გაწყვეტილი, რაც მანამდე მას და სამყაროს ცხოვრებისეულ ერთიანობაში ამყოფებდა. აქ დიდი ნაპრალი აღმოცენდა, თითქოს ყველაფერი უცხო და მიუღწეველი გახდა. ამიტომ თავდასაცავი აღჭურვილობაა უხეშობა. მე არ ვიცი, ვახასიათებ ახლა მხოლოდ გერმანელ ყმაწვილს, თუ არა. მაგრამ საყვედური ეს არაა, რადგან მის მიღმა სუფევს სევდა, ნატვრა, არ არსებობს ადამიანი, რომელიც ისე სევდიანად იმზირებოდეს თავისი საპყრობილიდან, როგორც ყმაწვილი. არ არსებობს არავინ, ვისაც თავის დიდ სიმარტოვეში ასე სწყუროდეს კონტაქტი და გაგება, როგორც ყმაწვილს, მაგრამ აქ საჭიროა სწორი გაგება: არავითარ შემთხვევაში ეს არ არის სევდა მხოლოდ ადამიანისადმი; ეს არის მეტაფიზიკური საყოველთაო სევდა".

"მაგრამ ამ სევდისაგან, - განაგრძობს ედ. შპრანგერი, - იზრდება ძალა, რომელიც ნაპრალის ამოსავსებად ისწრაფვის. იგი სტყორცნის ხიდებს ყველა წარტაცებული საგნისა და ადამიანისაკენ და კვლავ მოიზიდავს მათ პირად ცხოვრებაში. ეს ძალა არის ფანტაზია". ამასთან, ბავშვის გულუბრყვილო ფანტაზიისაგან განსხვავებით, ყმაწვილის ფანტაზია ყოველთვის ატარებს ხასიათს "სევდიანი ძებნისა" და "კვლავმოპოვებისა". "მე არ ვიცნობ არც ერთ ბავშვს, - ამბობს ედ. შპრანგერი, - რომელიც "სევდას" გრძნობს, მაგრამ ყმაწვილის წარმოდგენა სევდის გარეშე მე არ ძალმიძს, მაშინ მას არ ექნებოდა შინაგანი ცხოვრება. ამ სევდიანი ფანტაზიით ყველაფერი შეიმოსება, რაც საკუთარი ცხოვრებისათვის როგორღაც მნიშვნელოვანია: ბუნება, ირგვლივ მყოფი ადამიანები და არა უკანასკნელ რიგში საკუთარი მე. ამ ორგანოთი "მე" კვლავ მიიღტვის იმისაკენ, რისგანაც იგი ჩამოცილებულია, მაშასადამე, "არა-მესკენ", სხვათაკენ და "თავისთავად-მეს" აზრისაკენ. სევდიანად შთამგრძნობი ფანტაზია წარმოადგენს საშუალებას სულის გაფართოებისათვის. ამგვარად, ამ ახალი ორგანოთი, რომელიც ამოიზარდა როგორც ახალი ძალა ყმაწვილის სევდიდან, ამ "სევდიანი შთამგრძნობი ფანტაზიით" ხდება ახლებური განცდა ისეთი მოვლენებისა, როგორიცაა: "მთვარით განათებული ჯადოსნური ღამე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, სიჩუმე ტყეში, მდუმარე ტბა, ჩანჩქერი, ზღვა, ტყით დაფარული მთები, გრიგალი, ჭექა-ქუხილი, საღამოს განწყობილება. ხშირად ყოველივე ამას აძლიერებს ისტორიული

---

69. Gero von Wilpert, Sachwörterbuch der Literatur, Stuttgart 1969, s. 659.
70. E. Spranger, Psychologie des Jugendalters, Leipzig, 1928.

ასოციაციები: ნანგრევები, ძველი ქალაქები, ძეგლები" და სხვ. მუსიკაში უპირატესობა ენიჭებათ შუბერტსა და შოპენს. ეს განწყობილება თითქმის ყოველთვის გამსჭვალულია "სევდიანი ოცნებებით": იდუმალი ლტოლვით, დაკარგული სამყარო კვლავ თავის თავში რომ მოიზიდოს". ამ ასაკის ძირითადი გრძნობაა "სევდა არარეალურისადმი". და რომანტიზმმა, განაგრძობს შპრანგერი, "ყოველივე ამისათვის ერთი სიმბოლო შექმნა: ცისფერი ყვავილი."[71] ამგვარად, ის ახალი ძალა, ის ახალი ორგანო, რომელიც ყმაწვილში ამოიზარდა, ყოფილა გრძნობა რომანტიკულისა. ხოლო ყმაწვილობაში გაჩენილ ამ გრძნობას ზოგიერთი თან ატარებს წლების მანძილზე, რასაც უნდა ვუმადლოდეთ ვერტერისა და რომანტიკული პოეზიის გაჩენას.

რომანტიკულის ეს გრძნობა, რომელიც ხასიათდება მიღმურისადმი სევდით, ჩვენ გვსურდა მკითხველის მეხსიერებაში გაგვეღვივებინა ყმაწვილობის ასაკიდან. მაგრამ ახლა შევეცდებით უფრო ახლოს დავუხასიათოთ მას ეს გრძნობა, განსაკუთრებით მამაკაც მკითხველებს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ციტატას გერმანელი ფილოსოფოსის ლუდვიგ კლაგესის ბრწყინვალე ეტიუდიდან "სექსისა და ეროსის შესახებ".

"ჩვენ ვირჩევთ ერთ მაგალითს, - ამბობს კლაგესი, - რომელიც, ყოველ შემთხვევაში, მამაკაც მკითხველთან საკმაო გამოძახილს პოვებს, რათა შეაძლებინოს ორივე გრძნობის გამოყოფის არე ნათლად გამიჯნოს ერთურთისაგან. წარმოიდგინეთ სევდანარევი გაბრუება აღტაცებისა, რომელსაც გვგვრის დროდადრო ადრეულ გაზაფხულზე პირველი მოქროლვა იათა სურნელისა და ამის შემდეგ შემაშფოთებელი და აღმგზნები ცდუნებანი, რომელნიც გამოდიან მომხიბვლელი შანსონეტის გამომწვევ მზერათაგან, ჟესტებისაგან, პოზათაგან, და თუმცა ორივე მდგომარეობას შორის უფრო მეტ მსგავსებას ვპოვებთ, ვიდრე თითოეული მათგანისას ვისიმე გარდაცვალების შესახებ ცნობის მიღების ზემოქმედებასთან, მაგრამ, ამავე დროს, ერთ წამსაც არ დავაყოვნებთ, მათი დიდი სხვაობა რომ ვაღიაროთ. სავსებით ამქვეყნიურია ორივე და მათში ნაჩქარევად ღირებულებათა შეტანას მოვერიდებით, მაგრამ ამას კი ვხედავთ: პირველ გრძნობაში, რომელსაც ჩვენ საცდელად ეროტიკულს ვუწოდებთ, ძევს ძლიერი, მაგრამ განუსაზღვრელი მისწრაფება, წინათგრძნობით აღსავსე სევდა; მეორეში, რომლის სექსუალურ ხასიათში ეჭვს არავინ შეიტანს, არანაკლებ ძლიერი, მაგრამ განსაზღვრული სურვილი, მრავლისაღმთქმელი ნდომა".[72]

ამის შემდეგ ფილოსოფოსი სვამს კითხვას: 1. ამოდის ეროსი სექსიდან თუ პირიქით? 2. მომდინარეობენ ორივენი საერთო სათავიდან? 3. თუ თავიანთი სახითა და წარმოშობით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არიან? ფილოსოფოსი ასკვნის მესამე მოსაზრების სასარგებლოდ და სექს-

---

71. E. Spranger, Psychologie des Jugendalters, Leipzig, 1928, s. 53-60. 1928, 5-53-60. ციტატები შემოკლებულია.

72. Lodwig Klages, Über Sexus und Eros, in Gesammelte Abhandlungen, Stuttgart, 1973, s. 124-125.
R. Huch, Die Romantok, Leipzig, 1931, s. 243.

სა და ეროსს არსით განსხვავებულს უწოდებს. კლაგესისაგან განსხვავებით (რომელიც ამქვეყნიურს უწოდებს პირველ გრძნობას) და პლატონთან თანხმოვანებაში ჩვენ ვსვამთ კითხვას: რა არის ეს ეროსი - სევდა, თუ არა სევდა დაკარგულ მიღმურზე? XIX საუკუნის დასაწყისში ულანდი წერდა: "ეს მისტიკური გამოვლინება ჩვენი უღრმესი სულისა ხატში, სამყაროს სულის ეს შემოჭრა, ღვთაებრივის ეს გაადამიანურება, ერთი სიტყვით: ეს წინათგრძნობა უსასრულოსი ხილულსა და წარმოსახვითში - რომანტიკულს წარმოადგენს".[73] გრძნობა რომანტიკულისა რელიგიასთან იმითაც პოულობს ანალოგიას, რომ იგი ხშირად პოლიტიკურ ფაქტორადაც იქცევა.[74] ამრიგად, როგორც ვნახეთ, ჩვენთვის ნაცნობი გრძნობა რომანტიკულისა ხასიათდება როგორც "სევდა მიღმურისადმი", როგორც "უსასრულოს წინათგრძნობა ხილულში". რა ანალოგია გაივლება აქ რელიგიურ გამოცდილებასთან? პასუხი ასეთია: თუ რომანტიკული მხოლოდ მიგვანიშნებს მიღმურის არსებობას და აღძრავს მხოლოდ წინათგრძნობას უსასრულოსას, რელიგიურ გამოცდილებაში ეს მინიშნებული მიღმური და უსასრულო იღებს ემპირიული რეალობის სახეს, განიცდება როგორც ცოცხალი თანადასწრება, რომელთანაც ვაწარმოებთ დიალოგს.

---

73. Лит. Манифесты Зап. Европейских романтиков, М., 1980. стр. 160.

74. უნდა ითქვას, ჩვენი აზრით, რომ ქართველის ბუნებაშიც ძალუმად სუფევს გრძნობა "რომანტიკულისა", რამაც გადაგვაწყვეტინა ამ ქვეთავის ჩართვა ჩვენს წერილში. მაგრამ ყველანი როდი ემდღიერებოდნენ რომანტიზმს. მაგ. "პოლონელი ხალხის უბედურებაში დამნაშავეა რომანტიზმი, როგორც მოვლენა არა მარტო ლიტერატურული, არამედ საზოგადოებრივიც. იგი განაწყობდა გონებებს გარკვეულ ყაიდაზე, ამზადებდა ახალ აჯანყებას - და მოიტანა მხოლოდ სასტიკი იმედგაცრუება" - А.И. Яцимирский, Новейшая польская литература от восстания 1863 года до наших дней, т. 1. С. Петербург, 1908, стр. 4; ასევე არ ემხლიერებიან რომანტიზმს ფუტურისტები: "ვენეციელებო! როდესაც გაგყვიროდით: მოკლათ მთვარის შუქი! ჟიჭრობდით თქვენზე, ვენეციელები, ჟიჭრობდით შენზე, ვენეცია, დამპალო რომანტიზმისაგან!" - Маринетти, Футуризм, С.Петербург 1914 г., стр. 42; გუსტავ ფლობერის მოშხიბველ ეშაში ("მადამ ბოვარი") რომანტიკული ელემენტების სიჭარბემ და მათმა კონფლიქტმა ცხოვრების ბანალურ სინამდვილესთან განაპირობეს მისი ზნეობრივი დაცემა. შდრ. Lexikon der Welt-literatur, Bd. II. Stuttg. 1968, s. 667.

ბერნარდ შოუს "წმინდა იოანაში" არის შემზარავი სცენა, როდესაც კოცონზე წვავენ ჟანა დ არკს. კაპელანი, რომელიც ყველაზე მკაცრად მოითხოვდა მის დასჯას, ამის შემყურე ძირს დაემხობა და ატირებული გაიძახის: მე ეს ასე არ წარმომედგინა... კაპელანის ფანატიზმის რომანტიკა სინამდვილემ მკაცრად დასაჯა: საკმარისი არა რომანტიკულად აგრძნობინა მას ადამიანის დამწვარი ხორცის სუნი.

გერმანელი პუბლიცისტი პაულ ფეხტერი წერს: რომანტიკა კვდება არა 1840 წელს, როდესაც მან შეწყვიტა არსებობა ფრანგულ თეატრში, პირიქით- მხოლოდ ახლა ღებულობს იგი საშიშ სახეს, როდესაც ლიტერატურიდან სინამდვილეში გადაბიჯებს, ხდება რა მწერლობის, პოეზიისა და მხატვრობის რომანტიკიდან "ხდომილებითი"... სოციალიზმის მოჩვენებით მეცნიერულ რაციოს და მისდამი რწმენას საერთო არაფერი გააჩნია ნამდვილ გონებასთან: მასში და მისდამი რწმენაში ცოცხლობს იგივე უკიდეგანო რომანტიკა, როგორც იმ მოვლენებში, რომელთაგან შემდგომ განვითარდა მთელი ტრაგედია აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპისა, სადაც აღმოცენდა ფაშიზმი ნებისმიერ ვარიანტებში, საბჭოურიდან დაწყებული და გერმანულით დამთავრებული, იხ. Denker und Deuter im heutigen Europa, Hamburg 1954, s. 25. ცხადია, ეს არის ე.წ. "შავი რომანტიზმი", რომელიც მხოლოდ ამქვეყნიურსა და მიწიერს ელტვის, განსხვავებით, ვთქვათ ულანდის რომანტიზმისაგან, რომელიც მთლიანად მიღმურზეა

რელიგი'ური გამოცდილება და რელიგიის ფილოსოფია

საკითხის მნიშვნელოვნების გამო მოვიყვანთ შედარებით ვრცელ ამონაწერს ცნობილი თეოლოგისა და ფილოსოფოსის პაულ ტილიხის წიგნიდან: "საგანი რელიგიის ფილოსოფიისა არის რელიგია. მაგრამ უკვე ეს უბრალო ახსნა შეიცავს პრობლემას, საერთოდ ძირითად პრობლემას რელიგიის ფილოსოფიისა: რელიგიის სახით ფილოსოფიას უპირისპირდება ობიექტი, რომელიც ეწინააღმდეგება იმას, რომ გახდეს ფილოსოფიის ობიექტი. რელიგია რაც უფრო ძლიერია, თავდაპირველი და წმინდა, მით უფრო დიდი დაჟინებით აცხადებს პრეტენზიას იმის წინააღმდეგ, რომ განზოგადებულ ცნებათა წარმოქმნას დაემორჩილოს. ცნებები, როგორიცაა "გამოცხადება" და "ხსნა", აშკარა წინააღმდეგობაში იმყოფებიან რელიგიის ცნებასთან. ისინი გამოხატავენ ერთადერთ, ტრანსცენდენტიდან მომდინარე, სინამდვილის გარდამქმნელ ქმედობებს, მაშინ როდესაც "რელიგია" რიგ სულიერ აქტებსა და კულტურულ ქმნილებათ ზოგად ცნებას უქვემდებარებს. "გამოცხადება" გვესაუბრება ღვთაებრივი ქმედობის შესახებ, "რელიგია" - ადამიანურისაზე, პირველი გვესაუბრება ერთადერთ, თავის თავში ჩაკეტილ, აბსოლუტურ ხდომილებაზე, მეორე - მარად კვლავდაბრუნებად, არასოდეს დამთავრებულ, მხოლოდ რელატიურ პროცესთა შესახებ; "გამოცხადება" ლაპარაკობს ახალი სინამდვილის შემოსვლაზე ცხოვრებასა და სულში, "რელიგია "- მოცემული ცხოვრების სინამდვილესა და სულის აუცილებელ ფუნქციაზე; "რელიგია" საუბრობს კულტურის შესახებ, "გამოცხადება" - რაც კულტურის მიღმა იმყოფება. ამიტომ განიცდის რელიგია თავის უშინაგანეს არსზე თავდასხმას, როდესაც მას რელიგიას უწოდებენ. ამიტომ იკეტება იგი რელიგიის ფილოსოფიის წინაშე და უკიდურეს შემთხვევაში ეხსნება თეოლოგიას, რამდენადაც სხვა არა არის რა, თუ არა მეცნიერება გამოცხადების შესახებ. ამგვარად, რელიგიის ფილოსოფია რელიგიის წინაშე უცნაურ მდგომარეობაში იმყოფება: ობიექტი, რომლის აღქმაც მას სურს, ან უნდა დაშალოს, ან თავისი თავი გააუქმოს მის წინაშე. თუ იგი ყურადღებას არ მიაქცევს რელიგიის პრეტენზიას "გამოცხადებაზე", მაშინ ასცდება თავის ობიექტს და არანამდვილ რელიგიაზე ისაუბრებს, თუ აღიარებს "გამოცხადებაზე" პრეტენზიას - თეოლოგიად იქცევა.

რელიგიის ფილოსოფიისათვის ორივე გზა მიუღებელია. საბოლოოდ ტილიხი ამ საკითხის სინთეზური გადაწყვეტისაკენ იხრება.[75]

რაც შეეხება რელიგიის ფილოსოფიის მიმართებას რელიგიურ გამოცდილებასთან, აქ უთუოდ ყურადსაღებია ვლ. სოლოვიოვის აზრი, "რელიგიური გამოცდილების მონაცემები მათი ობიექტური მნიშვნელობის რწმენის დროსაც გვეხმარებიან თავისთავად როგორც მხოლოდ ცალკეული ცნობანი

---

75. Paul Tillich, Religionsphilosophie, Stuttgart 1962, s. 7-8-10

ღვთაებრივ საგანთა შესახებ და არა როგორც სრული ცოდნა მათ შესახებ. ასეთი ცოდნა მიიღწევა რელიგიური გამოცდილების ორგანიზაციით ერთიან, ლოგიკურად დაკავშირებულ სისტემაში. ამგვარად, გარდა რელიგიური რწმენისა და რელიგიური გამოცდილებისა, საჭიროა კიდევ რელიგიური აზროვნება, რომლის რეზულტატსაც რელიგიის ფილოსოფია წარმოადგენს."[76]

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რაც ისტორიკოსისათვის (და არა მარტო მისთვის) ძალზე მნიშვნელოვანია. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ რელიგიის ობიექტურ გამოვლინებას ეკლესიის დაფუძნებითა და მისი დოგმატებით საფუძვლად უდევს ისევ და ისევ რელიგიური გამოცდილება. ამ ფაქტს აღნიშნავდა ნიკოლაი ბერდიაევი, როდესაც უ. ჯემსის მისამართით ამბობდა: "ეგრეთწოდებული ქრისტიანული დოგმატიკა - ცდისეული წარმომავლობისაა; ჭეშმარიტად მორწმუნეთათვის და რელიგიური ცხოვრებით მცხოვრებთათვის დოგმატები წარმოადგენენ ფაქტებს მისტიკური ხასიათისას, ხილვებს..."[77] სწორედ დოგმატების მისტიკური ხასიათის წარმომავლობას ეფუძნებოდა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გავრცელებული მოძღვრება დოგმატთა განვითარების შესახებ. რუსეთში ამ თვალსაზრისს ემხრობოდა ვლადიმერ სოლოვიოვი, რომელიც უშვებდა "დოგმატის ობიექტურ განვითარებას, ე.ი. განვითარებას დოგმატისას როგორც დოგმატისას, რომელსაც ახდენდა თვით ეკლესია საეკლესიო კრებებზე მადლის განსაკუთრებული ზეშთაგონების ხელმძღვანელობით."[78] ამავე დროს დოგმატთა განვითარების შესაძლებლობა ზეშთაგონების წყალობით არ უარყოფს რელიგიური განცდის, რელიგიური ობიექტის ზემოქმედების უცცელელობას. ეს კარგად უნდა ახსოვდეს ისტორიკოსს, რადგან დღევანდელი რელიგიური მისტიკური გამოცდილების დამყარებით ფარდა ეხდება წარსულში ამდაგვარ გამოცდილებათა აღწერასაც.

---

76. Вл. С. Соловьев, Чтения о Богочеловечестве, Собр. соч. т. III (1877-1884), С. Петербург, стр. 32.

77. Николай Бердяев. О расширении опыта, "Вопросы философии и психологии". III, М., 1910. стр. 383.

78. Энц. словарь (Брокгауз) СПБ, 1898. т. XXIV - "Православие".

რამდენად წარმოადგენს ქრისტიანობა იდეოლოგიას?

თავის დროზე ანტილექტუალთა წრეში დიდი მხიარულება გამოიწვია ელცინის ბრძანებულებამ - "იპოვონ რუსეთისათვის "ნაციონალური იდეა", ამავდროულად სასწრაფოდ, ერთი წლის განმავლობაში–" (ვადიმ ბელოცერკოვსკი, "იდიოტიზმის ეპიდემია", "ნეზავისიმაია გაზეტა", 11.09.97).

იდეოლოგიას თუ გავიგებთ ისე, რომ იგი წარმოადგენს ლირებულებათა განუწყვეტელ ძებნას და ამავე დროს გავიხსენებთ ფ. ბეკონის მოძღვრებას კერპების (Idole) შესახებ, რითაც იგი აკრიტიკებდა ყალბ, საზოგადოებრივ ცრურწმენათა მეშვეობით შეცდომაში შეყვანილ ცნობიერებას, მაშინ ამოცანა იკვეთება ისე, თუ რომელი იდეოლოგიაა უფრო მართალი, რომელი იდეოლოგიაა უფრო მეტად ჭეშმარიტებას ზიარებული და ლირებულების მქონე. მაგრამ მეორე მხრივ, რაც შეეხება "ნაციონალურ იდეას", კერძოდ რუსეთისათვის, თითქოს ასეთი "იდეა" რუსეთს დიდი ხნის წინ უნდა ჰქონოდა მოპოვებული, რის შესახებაც დოსტოევსკი თავის "დღიურებში" წერდა: "მე ვამტკიცებ, რომ ჩვენი ერი დიდი ხანია, რაც განათლდა, მთელი რა თავის არსში ქრისტე და მისი მოძღვრება. მე შეტყვიან: მან ქრისტეს მოძღვრება არ იცის და მას ქადაგებებსაც არ უკითხავენ,- მაგრამ ეს შეპასუხება ყალბია: ყველაფერი იცის, ყველაფერი ის, რაც სწორედ საჭიროა, რომ იცოდეს, თუმცა კატეხიზმის კი ვერ ჩაგაბარებთ. ხომ ისწავლა ტყვრებში, სადაც ხუკუნეთა მანძილზე ესმოდა ლოცვები და ჰიმნები, რომლებიც ქადაგებებზე უკეთესია. იმეორებდა და თვით გალობდა ამ ლოცვებს ვერ კიდევ ტყეში, რიდესაც თავს იხსნიდა თვისთა მტერთაგან– რადგან ქრისტეს გარდა მაშინ მას არაფერი რჩებოდა".

მკითხველი უკვე თავად შეამჩნევს, თუ რა პარალელი იკვეთება აქ ჩვენს ისტორიასთან. რუსეთმა ახლახან იზეიმა თავისი გაქრისტიანების ათასი წლისთავი. ჩვენ, ქართველებს, ამ მხრივ ათას შვიდას წელზე შეგვეძლია ვილაპარაკოთ. ამრიგად, თითქოს ცნაურდება, რომ ქართველ ხალხს ნამდვილი აქვს თავისი იდეოლოგია, თუკი ასეთად რელიგიას ჩავთვლით. მაგრამ საქმე ისაა, რომ სწორედ აქ ადგება კითხვა. გერმანელი ფილოსოფოსი კერტ ჰიუბნერი თავის "მითოსის ჭეშმარიტებაში" გვაუწყებს შემდეგს: "რელიგიური მორწმუნესათვის მისი რწმენა მოცემულია ღვთაების წყალობით; იდეოლოგიური მორწმუნესათვის, პირიქით, - მისი რწმენა დაფუძნებულია მხოლოდ ადამიანში და მის ისტორიაში. იდეოლოგიური რწმენა გაიგება ამიტომ როგორც სეკულარიზირებული, პროფანური რწმენა– თუკი, მაგალითად, რელიგიას მიმწვენ მხოლოდ იდეოლოგიად სხვა დანარჩენებთან ერთად, მაშინ, მასში ხშირად ხედავენ მხოლოდ იარაღს– სწორედ ამიტომ, რომ სიტყვა "იდეოლოგიასთან" დღეს ასოცირდება სეკულარიზირებული რწმენა ან ფარული ინტერესი, თუ, როგორც წესი, გამოიყენება ნეგატიური გაგებით". ამიტომ არის დღეს გავრცელებული ისეთი გამოთქმები, რომ "იდეოლოგია" ეს "ფსევდომეცნიერებაა", ან, რომ იგი "რელიგიურ სუროგატს"

წარმოადგენს. ამ საკითხის უფრო ფართო განხილვისათვის მივმართოთ XX საუკუნის გამოჩენილ ფილოსოფოსსა და თეოლოგს, კარლ რანერის წერილს "იდეოლოგია და ქრისტიანობა".[1]

პირველ ყოვლისა, აღნიშნავს რანერი, იდეოლოგიაში ჩვენ გვესმის მცდარი, ყალბი, სინამდვილის სწორი ინტერპრეტაციის პოზიციიდან უარსაყოფი სისტემა. ამგვარად ხდება მისი ბუნებისათვის ნეგატიური შეფასება. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, განაგრძობს რანერი, ეს ყალბი "სისტემა" თეორიული რეფლექსიით "კონსტრუირდება, თუ იგი დაუფიქრებელ პოზიციას, მერტალიზმს და თვითნებურ ვოლუნტარისტულ განწყობას წარმოადგენს. მაგრამ საკითხი, ცხადია, ამნაირ თხრივ: ხომ უნდა ვეპოვოთ ამდაგვარად გაგებული იდეოლოგია კონკრეტულად, მაგალითად, ყოველი მეტაფიზიკა ზემოთ ნაგულისხმევ იდეოლოგიად მიჩნეული იქნება თუ არა. იდეოლოგიის არსს განეკუთვნება დასრულების ნებისყოფა მოშენტა, რომლის მეშვეობით მას თავისი თავი ესმის, როგორც ტოტალური სისტემა. რამდენადაც ამის შესრულება ხდება იდეოლოგიის საფუძვლიანი ჩაკეტვა "მთლიანი" სინამდვილის წინაშე. ხდება ამ სინამდვილის ცალკეული ასპექტის გაბსოლუტურება. იდეოლოგიის არსის ამ აბსტრაქტული აღწერის განხილვა შეიძლება იმ მიმართულებით, რომ თვი, როგორც გაბსოლუტურება სინამდვილის ცალკეული ასპექტისა, როგორც მთლიანობა, ადამიანებისაგან აღიარებას მოითხოვს მათი პრაქტიკული საქმიანობის გაგებით, მაშასადამე, თვი მოცემულია, როგორც ძირითადად განმსაზღვრელი პოლიტიკური ქმედებისა და საბოლოო მიზნად ისახავს საზოგადოების საყოველთაო ცხოვრების ნორმირებას. უკვე აქედან შეიძლება იდეოლოგიის განსაზღვრა, როგორც სინამდვილის ცრუმეცნიერული ინტერპრეტაცია საზოგადოებრივ-პრაქტიკული მიზანდასახულობის სამსახურში, რომელმაც უკვე თავისი მხრიდან, ანუ პირველ, უნდა მოახდინოს მისი ლეგიტიმაცია. იდეოლოგიის არსის ამ ფორმალური განსაზღვრებიდან, როგორც მთელი სინამდვილის ცალკეული ასპექტის დასრულებული გაბსოლუტურებიდან, დასაშვებია იდეოლოგიის საგანი ფორმის არსებობის შესაძლებლობა. ამით, რასაკვირველია, არაა ნათქვამი რომ ეს სამი ფორმა განხვავებულია ოღონდ წმინდად და ხრეშლად ურთიერთისაგან დაცილებით. იდეოლოგიის ამ სამ ფორმას რანერი ასეთ სახელწოდებებს უძებნის: იდეოლოგია Transmanenz-ისა, Imanenz-ისა და Transzendenz-ისა.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი. Imanenz - ის იდეოლოგია აბსოლუტურობას უკეთებს ჩვენი ცხოვრების საგარეო ცალკეულ ხედვებს და მათ სტრუქტურებს აქცევს სინამდვილის საერთო კანონად. ეს კატეგორია მოიცავს უდიდეს ნაწილს იმისა, რასაც ჩვენ, ჩვეულებისამებრ, იდეოლოგიად მოვიხსენიებთ: ნაციონალიზმი, "სისხლი და მიწა", რასისტული იდეოლოგია, ამერიკანიზმი, ტექნიციზმი, სოციალიზმი და ბუნებრივია ის მატერიალიზ-

---

1. Karl Rahner, Ideologie und Christentum, in: Schriften zur Theologie, Bd. VI, Köln 1968.

.მი, რომლისთვისაც ღმერთი, სული, თავისუფლება, პერსონა მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი, ფუჭი სიტყვებია.

ამის საპირისპირო იდეოლოგიაა, რასაც ხშირად ვერ ჭვრეტენ, იდეოლოგია Transmanenz - ისა: სუპრანატურალიზმი, ქუეტიზმი, უტოპიის გარკვეული ფორმები, ჰილიაზმი, მოლაყბე "ძმობა" და სხვა. იდეოლოგიის ამ სახეში ხდება საბოლოოს, უსასრულოს, სინამდვილის ყველა სფეროს განმსჭვალავის იმ აზრით გააბსოლუტურება (ან უფრო უკეთ: ტოტალიტარიზება), რომ უკანასკნელის წინა სასრული, უშუალოდ ცდაში ყოველთვის მოცემული და მიღებული, თავისი რელატიური უფლების მხრივ გვატყუებს, მას სცილდება და ელტვის იმ საბოლოოსაგან კონსტიტუირებას და მანიპულირებას: ტიპიური საშიშროება ფილოსოფოსისა და რელიგიური ადამიანისათვის.

მესამე ფორმას რანერი უწოდებს Transzedenz-ის იდეოლოგიას. მისი სურვილია წინა ორი იდეოლოგიის გადალახვა და თავისი მხრიდან ჰიპოსტაზირება ამ ცარიელი, ფორმალური გადალახვისა, როგორც ერთადერთი სინამდვილისა. აქ უშუალოდ ცდაში მოცემული - ისტორიზმში, რელატივიზმში და ა.შ. ნეგატიურად ფასდება, საკუთრივ ტრანსცენდენტური შეიგრძნობა მხოლოდ როგორც თავის თავზე უარის მთქმელი და გამოუთქმელი. აქედან მომდინარეობს შემდეგ იდეოლოგიური "დაპროგრამება" ზღვარდაუდებელი ე.წ. "ღიაობისა" ყველაფრისა და ყველას მიმართ, რასაც თან ახლავს შიშნარევი გვერდის ავლა აშკარა ვალდებულებისა რაიმე განსაზღვრულის მიმართ. ამით აიხსნება დასავლეთის ფლირტი კომუნიზმთან და სხვა დანარჩენ უბედურებასთან.

ქრისტიანობასაც საყვედურობენ, განაგრძობს რანერი, რომ იგი თავად არის ასე ნეგატიურად გაგებული იდეოლოგია. სანამ ჩვენ იმის დამტკიცებას შევეცდებით, თუ რამდენად უსამართლოა ეს საყვედური, საჭიროა გაარკვევა იმ დასაბუთებისა, რომლებიც ვითომც ამართლებენ ქრისტიანობის ინტერპრეტაციას, როგორც იდეოლოგიისა.

ა) პირველ ყოვლისა, ეს საყვედური სამართლიანად მოჩანს გაუაზრებელი დამოკიდებულებიდან ან საყოველთაო სკეპტიციზმისა და რელატივიზმის კატეგორიული პოზიციიდან. იქ, სადაც თავიდანვე ცდა და სინამდვილე, სულერთია, თუ რა საფუძველზე დაყრდნობით -. პიროვნული ან ზოგადიდან გამომდინარე, იდენტიფიცირებას ახდენს საბუნებისმეტყველო ან ტექნიკური სახის ცდასა და სინამდვილესთან, იქ, სადაც სხვა სინამდვილე და ცდა განიცდება და თეორიულად უფასურდება, როგორც ნებისმიერად შესაცვლელი იდეოლოგიური ზედნაშენი ჭეშმარიტ სინამდვილეზე ეგრეთ წოდებული ზუსტი ცდისეული მეცნიერებისა, იქ, სადაც მეტაფიზიკა, რაკი ვერ ასაბუთებს თავის საგნებს ვიწრო არტახებში საბუნებისმეტყველო ცდისა, უფასურდება, როგორც ერთ-ერთი ნებისმიერი შეხედულება და საკუთრივ თავისუფალი ცნებების ფანტაზია, ბუნებრივია, ქრისტიანობა წინდაწინვე შეიგრძნობა, როგორც იდეოლოგია, რის დროსაც საბოლოოდ უკვე სულერთია, თუ რა საფუძვლებს ემყარება ამ იდეოლოგიის აღმოცენების ახსნა: არის ეს ოპიუ-

მი ხალხისათვის, თუ იგი პროდუქტია გარკვეული საზოგადოებრივი სულიერი განწყობისა, როგორც გადამეტებული უტოპიური ამაღლება ადამიანური ყოფიერებისა, როგორც დაუცხრომელი ეფექტი მხოლოდ იდეოლოგიათა წარმომშობი სურვილისა ყოფიერების აზრის უფრო ფართო ახსნისათვის.

ბ) შემდგომი საფუძველი ქრისტიანობის, როგორც იდეოლოგიის ინტერპრეტაციისათვის, მოცემულია ისტორიულ ფაქტში, რომ ქრისტიანობა ფაქტობრივად ხშირად ბოროტად იქნა გამოყენებული ზოგჯერ რევოლუციური, უმეტესად კი კონსერვატიული და რეაქციული გზით იმ საზოგადოებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერული მდგომარეობის გასამართლებლად, რომელსაც არ შეეძლო პრეტენზია განეცხადებინა წარუვალ კანონიერებაზე. სადაც კი ასეთი ბოროტად გამოყენება ხდება ქრისტიანობისა, ცხადია, ამას ძნელად თუ ავუვლით გვერდს და იგი თანდათანობით, ისტორიული პროცესით უნდა დაიძლიოს, დიახ. ასე ბოროტად გამოყენებული ქრისტიანობა გადაიქცევა ხოლმე იდეოლოგიად, და არც თუ იშვიათად ასეთ კონსერვატულ იდეოლოგიას ქრიატიანობის სახელით სამართლიანად როგორც იდეოლოგიას ებრძვიან. თუკი თავად ნამდვილი ქრისტიანობა ამ ბრძოლაში დანაკარგს განიცდის, მაშინ ეს არის დანაშაული ან ტრაგიკული უბედურება, რომელიც გამოიწვიეს ქრისტიანობისა და ეკლესიის წარმომადგენლებმა, რადგან მათ თავად მისცეს საბაბი, რომ ქრისტიანობა ყალბად ყოფილიყო გაგებული როგორც გადასალახავი იდეოლოგია.

გ) კიდევ უფრო დიდი და ვერაგული საშიშროება მდგომარეობს, რომ ქრისტიანობა ყალბად იქნას გაგებული როგორც იდეოლოგია, როდესაც აუცილებელი ხდება ქრისტიანობის საკუთრივ არსს, ზესამყაროული ღმერთისა და მისი სიკეთის მიუწვდომელ საიდუმლოს, აბსოლუტურს, მის მიერ ნაბოძევ საკუთარი თავის გამოცხადებას, კატეგორიულს, ისტორიულს, ინსტიტუციურს, საკრამენტალურს ობიექტივაცია ვუყოთ გამოცხადების ადამიანურ სიტყვაში, საკრამენტალურ ნიშნებში, მორწმუნის საზოგადოებრივ სულიერ განწყობაში. ასეთი კატეგორიალური ობიექტივაცია საკუთრივ ღმერთის ღვთაებრივი თვითგამოცხადებისა, რომელიც ადამიანს თავისი ტრანსცენდენტალური საწყისიდან მოიცავს, აუცილებელია, რადგან ადამიანი თავის თავდაპირველ არსს და თავის მარადიულ განსაზღვრულობას აუცილებლად როგორც ისტორიული არსება ისტორიაში, სივრცესა და დროში, წარმართავს და უნდა წარმართოს და საკუთარი არსის პოვნა მას არ ძალუძს მარტოოდენ შინაგან სამყაროში, მისტიკაში, თავისი ისტორიული ყოფიერებისადმი ზურგშექცევაში. ეს ობიექტივაციები აუცილებელია, წარმოადგენენ სხეულს, რომელშიც სული თავის თავს პოულობს და განახორციელებს, მაგრამ ამავე დროს ისინი მალავენ საკუთრივ იმას, რასაც ქრისტიანობა გულისხმობს, აქცევენ მას ორაზროვნად, ხდიან მას ვიწროდ და ბოროტად გამოსაყენებლად და ახდენენ მის Imannenz-ურ იდეოლოგიზირებას, რაც თავის მხრივ ქრისტიანებში იწვევს ცთუნებას და საბაბს როგორც Transmanenz-ური, ისე Transzendent-ური იდეოლოგიზირებისათვის, რაც საბოლოოდ ახდენს ქრის-

ტიანობის არსის შეცვლას და მის დადანაშაულებას, რომ იგი წარმოადგენს მარტოოდენ იდეოლოგიას.

დ) შემდგომი საფუძველი საშიშროებისა, რომ ქრისტიანობა განვიხილოთ, როგორც იდეოლოგია, მდგომარეობს დღევანდელ მსოფლმხედველურ პლურალიზმში. იგი, თავის მხრივ, ხდება ნიადაგი იმ სკეპტიკური რეალიტივიზმის აღმოცენებისა, რომელიც დავასახელეთ პირველმიზეზად ქრისტიანობის იდეოლოგიად შეცვლისა. თუკი დღევანდელი ადამიანი საბუნებისმეტყველო მეცნიერების პოზიციიდან ნამდვილი ჭეშმარიტების საყოველთაო კანონიერებას ყველა ადამიანისათვის იდეალად და ნორმად მიიჩნევს როგორც თავისთავად ცხადს, თუკი იგი თავისი დემოკრატიული ძირითადი განწყობით მომხრეა, ყველა ადამიანში დაინახოს ინტელიგენტურობა და კეთილი ნება, როგორც საკუთარ თავში, მაშინ მას აუცილებლად გაოცება და შეშფოთება შეიპყრობს იმის გამო, რომ ადამიანები, მსოფლმხედველობის მხრივ, ყოფიერების აზრის საკითხში ასე დაპირისპირებულნი არიან. მაშინ იგი აღმოჩნდება იმ საშიშროების წინაშე, რომ ამ ფაქტიდან მოკლე დასკვნა გააკეთოს: ყოველი შემეცნება, რომელიც საბუნებისმეტყველო - ზუსტ, საყოველთაოდ აღიარებული შემეცნებების სფეროს სცილდება, წარმოადგენს არასავალდებულო აზრთა ქიმერას, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში სუბიექტური მნიშვნელობა ენიჭება და ამის გამო იგი შეეცდება, რომ ასევე ქრისტიანობა, რომელიც მისთვის ასევე შეუთავსებელია, სუბიექტურ მსოფლმხედველობრივ ფანტაზიათა რიგში ჩარიცხოს და ერთ-ერთ იდეოლოგიად განიხილოს.

ყოველივე ზემოთქმულით, ძალზე უხეშ მონახაზებში, მოცემულია საფუძვლები თუ რატომ ფასდება ქრისტიანობა იდეოლოგიად. ახლა კი, განაგრძობს რანერი, მივუახლოვდით ჩვენი განსჯის ცენტრალურ საკითხს, თუ რატომ არ არის ქრისტიანობა იდეოლოგია. ადეკვატური პასუხის გაცემა ამ კითხვაზე დაკავშირებულია იმის ჩვენებასთან, თუ რატომ აცხადებს ქრისტიანობა სამართლიანად პრეტენზიას, რომ იგი ფლობს ჭეშმარიტებას მთელ სინამდვილეზე, რომ იგი არის აბსოლუტური რელიგია ან (თუკი აქ სიტყვა რელიგიას ვერიდებით) იგი აღასრულებს იმას, რასაც ადამიანური რელიგია ტყუილუბრალოდ ცდილობს. თავისთავად ცხადია, ამ მცირე წერილში ამის დემონსტრირება შეუძლებელია. აქ უნდა გამართულიყო საუბარი იმაზე, თუ ამასთან დაკავშირებით საერთოდ რას წარმოადგენს ჭეშმარიტება და აბსოლუტური სინამდვილე; აქ უნდა დასმულიყო შეკითხვა, როგორ პოულობს ადამიანი ღმერთთან და მისი გამოცხადების სიტყვასთან მისასვლელს, როგორ იჩენს თავს ქრისტიანული სახარება, როგორც ღვთის ქმედითი სიტყვა ადამიანის ჭეშმარიტებასა და სინდისის წინაშე, რა არის საკუთრივ ამ სახარებაში გამოთქმული ნამდვილად და რა არა, რა არის აქ წარმოდგენა, სიმბოლო და შიფრი, რა შინაარსი, სინამდვილე და ჭეშმარიტებაა აქ ნაგულისხმევი. ნათელია, ეს და სხვა უცილობელი კითხვები აქ არ შეიძლება დაისვას და პასუხი გაეცეს. აქ საქმე მხოლოდ იმას უნდა ეხებოდეს, რომ რამდენიმე მომენტი ქრისტიანობაში, შესაბამისად, იდეოლოგიებში წინ

წამოვწიოთ, რათა განვასხვავოთ ქრისტიანობა იმ მცდარი სისტემისაგან, რაც სიტყვა "იდეოლოგიით" აღინიშნება. ყველა ქვემორე მსჯელობა მხოლოდ ამ ნიშნით წარიმართება.

ა) პირველ ყოვლისა, ქრისტიანობა უკვე იმიტომ არ შეიძლება იდეოლოგიად მოვნათლოთ, რადგან იგი აბსოლუტური სახის განაცხადებს აკეთებს ჭეშმარიტებაზე პრეტენზიით, ამ სიტყვის ძალზე მოკრძალებული და უბრალო გაგებით, ე.ი. იგი აკეთებს განცხადებას, რომელნიც "მეტაფიზიკურად" შეიძლება ჩაითვალონ, ვინაიდან ისინი, ერთი მხრივ გამოითქმებიან აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიით, მეორე მხრივ კი მათი დადასტურება უშუალოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერების ცდის სფეროში შეუძლებელია. ვინც ყველა "მეტაფიზიკას" ყალბად ან დაუსაბუთებლად მიიჩნევს, ის, რასაკვირველია, აუთენტიკურ ქრისტიანობას, როგორადაც მას თავისი თავი ესმის, მხოლოდ იდეოლოგიად ჩათვლის და შესაძლებელია შემდგომ, დამატებით, ექსისტენციალურ ირაციონალიზმში იმაზე დაიწყებს ფიქრს, თუ რატომ უნდა ჰქონდეს და აქვს ამ ქრისტიანობას ასეთი არსებითი მნიშვნელობა მისი ცხოვრებისათვის, რის დროსაც, ცხადია, გამორჩებათ, რომ ამდაგვარი რეფლექსია ცხოვრების ირაციონალიზირებაზე და იდეოლოგიზირებაზე კვლავ მეტაფიზიკას შეიცავს, თუმცა კი ცუდს. ამით, რასაკვირველია, არ იგულისხმება, რომ რწმენის შემეცნება და ფილოსოფიური მეტაფიზიკა თავიანთ ძირითად სტრუქტურებში ერთი და იგივენი არიან და მხოლოდ გამოთქმული საგნების მიმართ განსხვავდებიან. მაგრამ აქ დასახელებული თავისებურების მიმართ, რაც ეხება ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას, ქრისტიანული რწმენის აღიარებები და მეტაფიზიკა თანხმდებიან, ისე, რომ სადაც მეტაფიზიკური გამოთქმის შესაძლებლობა ძირში და თავიდანვე უარიყოფა, მაშინ ქრისტიანობაც შესაძლოა მოექცეს სუბიექტური იდეოლოგიის რანგში, რადგანაც ასეთი სუბიექტი, რომელსაც მიაკუთვნებენ აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზიას, საერთოდ არ არსებობს, არამედ არსებობენ მხოლო ცალკეული ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ყოფიერება უფრო ასატანი და ამაღლებული რომ გახადონ, მიმართავენ ცნებებით ფანტაზიას. ამიტომ არის აქ საჭირო იმ საყვედურის მოსაგერიებლად, თითქოს ქრისტიანობა მარტოოდენ იდეოლოგიას წარმოადგენს, ჯერ იმის ჩვენება, რომ მეტაფიზიკა არც თავიდანვე და არც ნებისმიერ შემთხვევაში იდეოლოგია არ გახლავთ. ეს უკვე იმით ჩანს, რომ ფრაზა - ყოველი მეტაფიზიკა საბოლოო ჯამში არასავალდებულო იდეოლოგიაა, თავად წარმოადგენს მეტაფიზიკურ დებულებას, მიუხედავად იმისა, წარმოითქმის იგი როგორც გააზრებული თეორიულ საყოველთაო-ვალდებულებით, თუ მას ის ცდა შეიცავს, რომელიც ცდილობს ცხოვრება გაუხადოთ თავისუფალი მეტაფიზიკისაგან (აბსოლუტურად სკეპტიკურ ეპოქაში, სადაც დომინირებს უშუალო, უხეში ცხოვრებისეული გამოცდილება და საბუნებისმეტყველო შემეცნება). რელატივიზმი და სკეპტიციზმი წარმოადგენენ მეტაფიზიკურ გადაწყვეტილებას მიუხედავად იმისა, მათ თეორიული ფორმულირება მიეცემათ, თუ ყოველგვარი თეორიის გარეშე ცხოვრებაში შეეცდებიან მათ გატარებას.

მეტაფიზიკა გარდაუვალად ადამიანის ყოფიერებასთან ერთადაა მოცემული. იგი ინტერპრეტაციას უკეთებს თავის გამოცდილებას ყოველთვის მასზე წინმავალი, მისი მომცველი ჰორიზონტის აპრიორული წინასწარგადაწყვეტილებებიდან. ნამდვილი და ჭეშმარიტი მეტაფიზიკა წარმოადგენს რეფლექსიას იმ ტრანსცენდენტალურ, აუცილობლად მოცემულ, თავისი სინათლისა და დამაჯერებლობის თავისთავში მატარებელ იმპლიკაციებზე, რომელნიც ყოფიერების ყოველ სულიერ და თავისუფალ განხორციელებას აუცილებლად თან ერთვის. რამდენადაც მეტაფიზიკა, როგორც რეფლექსიური შემეცნება, ამ იმპლიკაციებს არ ქმნის, არამედ მარად მოცემულზე მხოლოდ რეფლექსიას წარმართავს და მის თემატიზირებას ახდენს, მაშასადამე, ტრანსცენდენტალური გამოცდილების თემატიზირებას წარმოადგენს, რომელიც, როგორც არათემატური საფუძველი ყოველ ემპირიულ ცდასა და ჭეშმარიტების შემეცნებას გაგებითა და საიმედობით აღემატება, სწორედ ამ მეტაფიზიკას შეუძლია აღიარება თავისი რეფლექსიის დაუსრულებადობისა და იმისი აუცილებლობისა, რომ იგი კვლავ ხელახლა დაიწყოს; ასევე შეუძლია აღიარება თავისი არასრულყოფილებისა და მიუხედავად ამისა, დარწმუნებით იმის თქმაც შეუძლია, რომ მის მიერ ნაგულისხმევი, თავად ტრანსცენდენტალური გამოცდილება, საზოგადო მონაპოვარია ჭეშმარიტებისათვის გახსნილი ადამიანებისთვის და, როგორც ასეთი, ადგილს იკავებს მეტაფიზიკური სისტემების პლურალიზმში, სადაც ეს სისტემები ადამიანის ზედაპირული ხედვისთვის და აგრეთვე ცუდი სახის ფილოსოფიის ისტორიკოსისათვის მხოლოდ როგორც წინააღმდეგობრივნი წარმოჩნდებიან და ამით ახდენენ შთაბეჭდილებას მარტოოდენ ცნებათა ფანტაზიისა და სუბიექტური თვითნებობისა. მხოლოდ მას, რომელსაც საერთოდ დუმილი და რაიმე შემეცნებისაგან თავის შეკავება ძალუძს, ე.ი. მხოლოდ ცხოველური უშუალობით თავისი ბიოლოგიური ყოფიერებით შეეძლებოდა ცხოვრება და არასოდეს ეცოდინებოდა ამ თავისი მეტაფიზიკური თავშეკავების შესახებ, მაშინ იგი ნამდვილად იქნებოდა მეტაფიზიკისაგან თავისუფალი, არ ექნებოდა პრეტენზია, რომ ყოფილიყო არსება აბსოლუტური ჭეშმარიტებისა. მაგრამ თუკი პრინციპულად შეიძლება მეტაფიზიკის არსებობა, რომლის წინდაწინე ჩამოშორება შეუძლებელია, როგორც იდეოლოგიისა, მაშინ ქრისტიანობა უბრალოდ არ შეიძლება უარყოფილ იქნას, როგორც იდეოლოგია მხოლოდ იმის გამო, რომ მისი რწმენის გამონათქვამები არ ემთხვევა პრიმიტიულ, საგნობრივ ყოველდღიურ გამოცდილებას და ემპირიულ ბუნებისმეტყველებას. ფაქტი მსოფლმხედველობრივი პლურალიზმისა არ წარმოადგენს ლეგიტიმურ საფუძველს საიმისოდ, რომ ყოველი მსოფლმხედველობა (რამდენადაც ამ სიტყვაში მეტაფიზიკა და ქრისტიანული რწმენის მოძღვრება სურთ ერთმანეთს დაუქვემდებარონ), როგორც იდეოლოგია, უარყოფილ იქნას. სწორი დამოკიდებულება მსოფლმხედველობრივი და მეტაფიზიკური პლურალიზმის მიმართ არ შეიძლება მდგომარეობდეს იმ ტოტალურ დაეჭვებაში, რომ ყოველი მსოფლმხედველობრივი - მითოლოგიას წარმოადგენს, არამედ მხოლოდ იმ პოზიციაში, რომელიც ერთი მხრივ ფრთხილად და კრიტიკუ-

ლად ამოწმებს, შემდგომი შემეცნებისა და მისი მოდიფიკაციის მიმართ მზადყოფნას ამჟღავნებს, მოკრძალებულია, ყველა მოცემულ "სისტემებში" საყოველთაო ტრანსცენდენტალური გამოცდილების აღმოჩენას ლამობს, მაგრამ ამავე დროს სიმამაცე გააჩნია, რათა გადაწყვიტოს, რათა აღიაროს მშვიდი დარწმუნებულობით, რომ აგრეთვე ისტორიულად განპირობებული, სასრული, არასრულყოფილი, ღია გამოთქმით მიიღწევა აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომელიც საბოლოოდ იმ გამოუთქმელ, წმიდა საიდუმლოდ რჩება, რომლის განთავსებაც შეუძლებელია მასზე არარსებულ აღმატებულ ან ჩვენს მიერ განკარგულ სისტემაში. ამ მსოფლმხედველობრივი პლურალიზმით სინამდვილეში მხოლოდ ყალბი მეტაფიზიკის რაციონალური ქედმაღლობაა მოსპობილი, რომელშიც ადამიანი მოიცავს სინამდვილის მთელ ტოტალობას და განაგებს მას საკუთარ სისტემაში, ნაცვლად იმისა, რომ პირიქით: მოცული იყოს იგი სინამდვილის მთლიანობის საფუძვლიდან.

ბ) აქედან უკვე სხვა ასპექტით ჩნდება, რომ ქრისტიანობა იდეოლოგიას არ წარმოადგენს. ჩვენ უკვე ვთქვით - ყველა მეტაფიზიკურად მოქმედი ჭეშმარიტების შემეცნების საფუძველი არის ტრანსცენდენტალური გამოცდილება, რომლის მეშვეობითაც ადამიანი უკვე წინდაწინვე წარმართულია საგნობრივი ცალკეული ცდით სინამდვილის უკიდეგანო სისავსეზე და თვით მის საფუძველზე: იმ ყოველთვის არსებულ წმიდა საიდუმლოზე, რომელსაც ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ და რომელიც ადამიანს ავლენს მის სასრულობაში და დანაშაულში. შემეცნებაში და პასუხსაგებ თავისუფლებაში მოცემულია ეს ტრანსცენდენტალური გამოცდილება, რომელიც არათემატურად აგრეთვე საფუძველი, შესაძლებლობის პირობა და ყოველდღიური გამოცდილების ჰორიზონტია, წარმოადგენს ნამდვილ და პირველ "ადგილს" ქრისტიანობის სინამდვილისათვის, ყოველგვარი დანაკლისის გარეშე მისი ისტორიულობისა და ისტორიისათვის. აღნიშნული ტრანსცენდენტალური გამოცდილება გადამყვანია აბსოლუტურ წმიდა საიდუმლოში, რომელიც ჩვენგან უკვე აღარ მოიცვება, არამედ ის თავად მოგვიცავს, და ამიტომ იგი ტრანსცენდენტალური აუცილებლობით ყოველთვის ტრანსცენდენტურია იდეოლოგიის მიმართ, რამდენადაც იდეოლოგია შიდა სამყაროსეული გამოცდილების განსაზღვრული რეგიონის გააბსოლუტურებაა, ხოლო რაკი ქრისტიანობა ამ ტრანსცენდენტალურ გამოცდილებას ნიშნავს და თავის მოძღვრებაში ამ ტრანსცენდენტალური გამოცდილების სწორ ინტერპრეტაციას წარმოადგენს, რამდენადაც იგი ნამდვილად მისი საკუთარი, დაუმცირებადი არსებით აღსრულდება, სწორედ ამიტომ არ შეიძლება ქრისტიანობა იყოს იდეოლოგია. თუკი ქრისტიანობის სინამდვილეს წარმოადგენს ის, რასაც ქრისტიანულად მადლი ეწოდება, თუკი მადლი ღვთის თვითგამოცხადებაა სასრული ქმნილების მიმართ, უშუალობაა ღვთის მიმართ, დინამიკაა ღვთის სიცოცხლის თანამონაწილეობაზე, როგორც ყველა სასრულ და მოკვდავ ქმნილებაზე ამაღლებულისა, თუკი მადლი აღმნიშვნელია, რომ ადამიანი მიუხედავად სასრულობისა და დანაშაულისა, ყოველ სამყაროსეულ ძალასა და სიძლიერეზე თვით იქაც კი არის ამაღლებული, სადაც იგი მას განიცდის

და გამოსცდის, თუკი ეს მაღლი ღვთის საყოველთაო წმიდა ნებით ყოველ ადამიანს მიერთმევა და ყველაში მოქმედია, თვით იქაც, სადაც ადამიანი თავისუფალ დანაშაულში მას გაურბის, მაშინ ეს ყოველივე ერთად აღნიშნელია იმისა, რომ ადამიანი თავისი პიროვნული არსების ძირში თავად ღვთისაგანაა ნატარები და მის მიერაა ღვთის უშუალობისაკენ წარმართული. სხვა სიტყვებით: რასაც ჩვენ მაღლს ვუწოდებთ, საკუთრივ ჰეშმარიტებას და ღვთისაგან თავისუფლად ბოძებულ ტრანსცენდენტალური გამოცდილების უშუალობას, წარმოადგენს პერსონალური სულის ღვთის მიმართ ღიაობას. თუკი ქრისტიანობა თავის ნამდვილ არსში მაღლია, ხოლო მაღლი კი არის უშინაგანესი შესაძლებლობა და სინამდვილე ღვთის თვითგამოცხადების მიღებისა ყოფიერების საფუძველში, მაშინ ქრისტიანობა სხვა არა არის რა, თუ არა ნამდვილი ტრანსცენდენტალური გამოცდილება, გამოცდილება ღვთის აბსოლუტური და შემნდობი სიახლოვისა, როგორც ყველა შიდა სამყაროსეული სინამდვილისაგან განსხვავებული, მასზე ამაღლებული, და სწორედ ასეთი (აგრეთვე ამ აბსოლუტურ სიახლოვისას) წმიდა, სალოცავი იდუმალება. მაგრამ თუ ეს არის ნამდვილი არსი ქრისტიანობისა, მაშინ ყოველგვარი იდეოლოგია უკვე გადალახულია. რადგან ყოველ იდეოლოგიას სურს საქმე ჰქონდეს შიდასამყაროსეულ გამოცდილების მოცემულობასთან, არის ეს მოცემულობა "სისხლი და მიწა", საზოგადოებრიობა, რაციონალური ტექნიზირება და მანიპულირება, სიცოცხლით ტკბობა და საკუთარი სიცარიელისა და აბსურდულობის გამოცდილება და ამის მსგავსნი, რასაც საფუძვლად უდებს, როგორც ძირითად განსაზღვრულობას, ადამიანურ ყოფიერებას. ქრისტიანობა ამ ძალებსა და ძლიერებათ, ბატონებს დაუხსნელი ყოფიერებისას, განმარტავს არა მხოლოდ თეორიულად, როგორც არარაობისეულ კერპებს, რომელთაც ნება არა აქვთ ჩვენზე ბატონობისა, არამედ განმარტავს, რომ ადამიანმა თავისი ყოფიერების ძირშივე ეს ძალები მაღლის მეშვეობით უკვე გადალახა და ახლა საქმე მხოლოდ ისაა, მან ეს თავისი ტრანსცენდენტალური ღიაობა მარადიული სიცოცხლის ღვთის უშუალობისათვის მაღლის მეშვეობით თავის თავისუფალ ქმედობაში უნდა დაადასტუროს, რომელიც კიდევ ერთხელ თავად ამ მაღლის ძალისაგან მომდინარეობს. ამგვარად, რადგან ქრისტიანობის აღსრულება ადამიანის ტრანსცენდენტალურობისაგან იწყება, რომელიც შიდასამყაროსეულ იდეოლოგიას ყოველთვის გადალახავს, რადგანაც და სწორედ იმიტომ, რომ მისი ტრანსცენდენტურობა მიმართულია ღვთის აბსოლუტურ საიდუმლოზე, როგორც აბსოლუტურ და შემნდობ სიახლოვეზე, ქრისტიანობა თავიდანვე უკვე აღარ წარმოადგენს იდეოლოგიას. ყოველ შემთხვევაში არა Imanenz-ურ იდეოლოგიას.

გ) მაგრამ ქრისტიანობა იმავდროულად არსებითად ისტორიაა, ადამიანის მიმართება სივრცე - დროში ფიქსირებულ ხდომილებებზე, როგორც კაცობრიობის ისტორიის ხსნის ხდომილებებზე, იესო ქრისტეს მოვლენის აბსოლუტური ხსნის ხდომილებაზე. ეს ისტორია თუ განეკუთვნება ქრისტიანობის არსს, მაშინ ქრისტიანობა მკაფიო უარის თქმაა ყოველგვარი

Transmanenz-ური და Transzendent-ური იდეოლოგიის მიმართ (ყალბად რომ არ იყოს გაგებული: ტრანსცენდენტურის არა გაუქმება, არამედ ტრანსცენდენტურის იდეოლოგიზირების გაუქმება, როგორც ნამდვილი ტრანსცენდენტურის მარტოოდენ მშრალი ფორმალიზებისა). ამგვარად, ნაჩვენები უნდა იქნას, რომ ნამდვილი ტრანსცენდენტალურობა და ნამდვილი ისტორიულობა ერთმანეთს უნდა განაპირობებდნენ და რომ ადამიანი მისი ტრანსცენდენტალურობის მეშვეობით ნამდვილ ისტორიაზე არის მიჩენილი, რომლის გაუქმება, აპრიორული რეფლექსიით, მას არ ძალუძს.

ამის შემდეგ რანერი კიდევ ერთ განსხვავებას უსვამს ხაზს იდეოლოგიასა და ქრისტიანობას შორის. მაშინ, როცა იდეოლოგიები ურთიერთ მიმართ მტრულად არიან განწყობილნი და ერთმანეთს გამოთიშავენ, ქრისტიანობა "ანონიმური ქრისტიანის" ცნებით, შემხდობი და განმლრთობი მადლის მეშვეობით, ყველას მოიცავს და მას არ ჰყავს მოწინააღმდეგე (გარდა უარყოფითი სულიერი ძალისა სუპრანატურალური გაგებით), როგორც ეს ხდება იდეოლოგიათა დაპირისპირების დროს. იმიტომ, რომ არ მოხდეს ქრისტიანობისა და საეკლესიო მოძღვრების იდეოლოგიზირება, რანერი ბევრს საუბრობს ტოლერანტულობის ვალდებულებაზე, როგორც ეკლესიის შიგნით, ასევე სხვა რელიგიებთან მიმართებაში, მისიონერობაზე და არა დასჯაზე და ისევ იმ უნივერსალური მადლის იმედი აქვს, რომელიც ყოველი იდეოლოგიზირებისაგან დაგვიცავს.

დამატების, საკითხი: იდეოლოგია თუ რელიგია – ჩვენი თავისუფალი არჩევანის გადასაწყვეტია. ერთ მხარეს დგას იდეოლოგია როგორც "დღევანდელი მითი", რომელიც ესხაურება ამა თუ იმ სოციალურ ინტერესს, როგორც მითოსური აგებულება (რ. ბართი), იდეოლოგია, როგორც "ტოტალური იდეოლოგია", რომლისთვისაც არსებობენ მხოლოდ მისი მოშხრენი და მისი მტერნი, და რომლისთვისაც მიზნის მისაღწევად ბოროტი და კეთილი საშუალებების გარჩევა არ არსებობს (რ. შვაგერი).[2] მეორე მხარეს კი აღმართულა მარად მწვანე მცენარე ქრისტიანობისა, რომელიც საზოგადოებასაც და პიროვნებასაც ხსნას ჰპირდება. იგი განსაკუთრებით სანატრელია ჩვენთვის, კრიზისული ხანის შვილებისათვის. წერილს კი დავასრულებთ ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებით: "მოუსვენრად არის გული ჩვენი, სანამ ხიმშვიდეს არ პოვებს შენში".

ლექციების კურსი ღვთისმეტყველების ისტორიაში

წინასიტყვაობა

წინამდებარე ლექციები წაკითხულ იქნა 1991 წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტში ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებთან. ვაქვეყნებ ამ ლექციების მოკლე კურსს.

ნაწილი პირველი
ქრისტიანობის გარიჟრაჟზე. სამოციქულო მამები

ღვთისმეტყველების ისტორიის პერიოდს მისი აღმოცენებიდან გნოსტიკოსებამდე ძირითადად განვიხილავთ თანამედროვე შვედ თეოლოგ ბენგტ ჰეგლუნდზე დაყრდნობით, რომლის გადმოცემის მანერა და არქიტექტონიკა შესაშურ მაგალითს იძლევა ესოდენ რთული მასალის მოწოდებისათვის.

"სამოციქულო მამებს" (patres apostolici, ე.ი. მამები, რომელნიც უშუალო მოწაფეები იყვნენ მოციქულებისა) უწოდებენ საეკლესიო ავტორთა გარკვეულ რიცხვს, რომელთა ნაწერები შემორჩენილია პირველი საუკუნის დამლევიდან და მეორეს დამდეგიდან ქრისტეს შემდეგ. უმეტეს შემთხვევაში, გარკვეული საბაბის გამო შექმნილი ეს ნაწერები (წერილები, ჰომილიები) - ჩვენთვის განსაკუთრებულ ღირებულების მქონენი არიან, რადგან ქრისტიანული რწმენის უძველესი მოწმობებია ახალ აღთქმასთან ერთად, მაგრამ ისინი, ვიწრო გაგებით, თვით მოძღვრების გადმოცემას არ წარმოადგენენ, რის გამოც მათგან არ უნდა მოველოდეთ რწმენის სურათის სრულყოფილ წარმოსახვას. ამიტომაც მათ შედარებით მცირე როლი შეასრულეს საღვთისმეტყველო მოძღვრების განვითარებაში. მაგრამ, თავისთავად, ისინი ბევრს მეტყველებენ, საკუთრივ იმ რწმენასა და საეკლესიო წესჩვეულებებზე, უძველეს საზოგადოებას რომ ჰქონდა. ამ წერილთაგან უმნიშვნელოვანესია:

კლიმენტ რომაელის პირველი წერილი, დაიწერა 95 წელს ქ. რომში; იგნაციუს ანტიოქელის წერილები, შვიდი წერილი სხვადასხვა ადრესატისადმი, დაიწერა 115 წელს ქ.შ. რომისაკენ მგზავრობისას, სადაც ავტორს მოწამებრივი სიკვდილი ელოდა; პოლიკარპე სმირნელის წერილი, დაიწერა 110 წელს ქ.შ. სმირნაში; ბარნაბას წერილი, შეიქმნა დაახლოებით 130 წელს ქ.შ., შესაძლებელია ეგვიპტეში; კლიმენტის მეორე წერილი, დაიწერა რომში ან კორინთოში 140 წელს ქ.შ., ჰერმას "მწყემსი", შეიქმნა რომში 150 წ. ქ.შ., პაპიას ფრაგმენტები, დაიწერა 150 წელს ქ.შ., ფრიგიაში, ჰიერაპოლისში,

სხვათა შორის, შემონახულია ირენეუსისა და ევსებიუსის თხზულებებში; თორმეტ მოციქულთა მოძღვრება (დიდახე) მეორე საუკუნის პირველი ნახევრიდან, სავარაუდოა, რომ შეიქმნა სირიაში.

ზოგადი დახასიათება

სამოციქულო მამათა წერილები, მათი შექმნის დროის მიხედვით, თუმცა ახლოს დგანან მოციქულებთან და ახალ აღთქმასთან, მაგრამ ფორმისა და შინაარსის მხრივ სხვაობა მათ შორის საგრძნობლად დიდია. ამ წერილთაგან რამდენიმე ისეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ ახალი აღთქმის კანონში მიიღეს, თუმცა, მოგვიანებით ისინი საგანგებოდ კვლავ ამოიღეს იქიდან, რადგან მრავალ ადგილას აშკარა იყო განსხვავება ახალი აღთქმის კანონიკურ წერილებსა და სამოციქულო მამებს შორის. მკვლევარები სამოციქულო მამათა წერილებში ცდილობდნენ სხვადასხვა მოციქულის - პეტრეს ან პავლეს - გავლენის აღმოჩენას და იმაზე კამათობდნენ, თუ ვის ზეგავლენას განიცდიდნენ შესაბამისი ავტორები. მაგრამ შემდეგ საკითხის ასე დაყენება ზედმეტი აღმოჩნდა, რადგან სამოციქულო მამათა ღვთისმეტყველება დამოკიდებულია არა რომელიმე ერთ მოციქულზე, არამედ იძლევა რწმენის ზოგად სურათს პირველ თემებში, პირველ საზოგადოებებში. მათი დამთხვევა ახალი აღთქმის ავტორებთან აუცილებელი არაა იქიდან მომდინარეობდეს, თითქოს მათ პირდაპირ რაიმე გადმოიღეს ახალი აღთქმიდან. ეს უფრო მეტად იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ერთსა და იმავე საქმეზე ლაპარაკობენ და ერთსა და იმავე რწმენას აღიარებენ.

განსხვავება ახალ აღთქმასთან თავს იჩენს განსაკუთრებით იმ დამახასიათებელ ნიშანში, რასაც საერთოდ სამოციქულო მამათა მორალიზმს უწოდებენ (ა. ნიგრენი თავის წიგნში "ეროსი და აგაპე" ამისათვის ხმარობს გამოთქმას "ნომიზმი"). ის გარემოება, რომ კანონის ქადაგებას ამ წერილებში დიდი ადგილი ეთმობა, ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ისინი თავიანთი ხასიათით პარენეტულნი (გამაფრთხილებელ-მოწოდებითი) არიან და მიმართულნი იყვნენ ახალი წარმართულ-ქრისტიანული საზოგადოებებისადმი, რათა მათ თავიანთი ძველი წეს-ჩვეულებანი ქრისტიანული ზნეობითა და წესით შეეცვალათ. ამ საზოგადოებებში, მიუხედავად არსებული დაპირისპირებისა იუდაიზმთან და მოსეისტურ ცერემონიალურ კანონთან, ნაწილობრივ კვლავ უბრუნდებოდნენ იუდაისტური კანონის ქადაგებას და საზოგადოების იუდაისტურ წესრიგს. ამიტომ ახლა სამოციქულო მამები სახარებას წარმოადგენენ, როგორც "ახალ კანონს", რომელიც ქრისტემ იქადაგა და რომლითაც მან ხსნის გზა დაისახა. ამგვარად, თუ ძველი კანონი უკუგდებულია, მოძველებულია, მაშინ ქრისტეს მოძღვრებასა და მაგალითში ძევს ახალი კანონი. შესაბამისად, ქრისტიანული ცხოვრება უმთავრესად განიხილება, როგორც მორჩილება ამ კანონისადმი.

მორალიზმი ძევს თავისთავად არა კანონის ქადაგებაში, არამედ იმ სახესა და წესში, როგორადაც იგი სრულდება. სამოციქულო მამებში ვლინდე-

ბა ძლიერი ტენდენცია, რათა ქრისტიანობის ძირითად ნიშნად და ხსნის გზად წარმოაჩინონ კანონისადმი მორჩილება და ქრისტესადმი მიმბაძველობა. ხსნის პირობა არის ქრისტეს სიკვდილი და მისი აღდგომა. ამით გვენიჭება ცოდვათა მიტევება, სიცოცხლე, უკვდავება და განთავისუფლება დამღუპველ ძალთაგან. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება ადამიანის ხსნას, მამები ძლიერ აქცენტს აკეთებენ კანონზე და ცხოვრების ახალ წესზე. ამ გარემოებას უფრო კარგად განმარტავს ხშირად ხმარებულ ძირითად ცნებათა ანალიზი.

სამართლიანობა, როგორც წესი, განიმარტება არა როგორც ღვთისაგან მონიჭებული საბოძვარი რწმენაში (შედ. რომაელთა მიმართ 3,21 და ა.შ.), არამედ, უფრო მეტად, როგორც ნამდვილი ქრისტიანული სახეცვლილება, თუმცა ხშირად ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ სწორედ ქრისტე იძლევა ძალას სიკეთისათვის და მას აღმოაცენებს კიდეც, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეული ცალმხრივობით ახალი მორჩილება ცხადდება წინაპირობად ცოდვათა მიტევებისა და ხსნისათვის. ეს უკანასკნელი განიხილება არა როგორც საბოძვარი მარტოოდენ მადლისაგან მიღებული, რომელიც უკვე აქ და ამჟამად რწმენაშია მოცემული, არამედ როგორც რაიმე, რომელიც თავს იჩენს მხოლოდ ცხოვრების დასასრულს, როგორც საჩუქარი მორჩილებისა და ქრისტეს მიმბაძველობისათვის. კლიმენტის I წერილის ზოგიერთი ადგილის გამონაკლისის გარდა ამ წერილებს აშკარად მცირე შეხების წერტილი აქვთ პავლე მოციქულთან და მის მოძღვრებასთან, რომელიც ქადაგებს ღვთის წინაშე ადამიანის რწმენით გამართლებას. მთავარია არა დაუმსახურებელი მადლი, არამედ ახალი ცხოვრება, რომელსაც ქრისტე გვასწავლის და რომლისთვისაც იგი ძალას გვანიჭებს. მაგრამ ყოველივე ეს მაინც დაკავშირებულია ამ წერილების ხასიათთან და მიზანთან და აგრეთვე იმ ფაქტთან, რომ ყველა მათგანი შექმნილია განსაკუთრებული საბაბის გამო; ისინი არ აცხადებენ პრეტენზიას იმაზე, რომ წარმოადგინონ და განმარტონ რწმენა მთელი თავისი განზომილებით, არამედ წარმოაჩენენ ქრისტიანობის ცალკეულ მხარეებს, საჭიროებისდა მიხედვით.

ხსნა გაგებულია უფრო მეტად, როგორც უკვდავება და წარუვალობა და არა როგორც ცოდვათა მიტევება. მეორე მხრივ, რასაც ხაზი განსაკუთრებით ესმება, არის შემეცნება. ქრისტემ მოიტანა ჭეშმარიტების შემეცნება. იგი არის ღვთისაგან მოვლინებული განმცხადებელი, რომელიც ჩვენ ჭეშმარიტი ღმერთის შემეცნებას გვასწავლის და ამით კერპთმსახურების წყვდიადისაგან და ყალბი ძკელი კავშირისაგან გვათავისუფლებს. მაგრამ ქრისტე არა მხოლოდ მოძღვარია, არამედ იგი არის თვით ღმერთი და ამავე დროს ის, ვინც თავისი სიკვდილითა და აღდგომით ჩვენ უკვდავებას გვანიჭებს.

ცოდვა აღწერილია, როგორც დაღუპვა, როგორც ბოროტი ენებების ქონა და სიკვდილის ტყვეობაში ყოფნა. ამგვარად, იგი განიხილება, როგორც შეცდომა და უმეცრება, ხოლო აზრი დანაშაულის შესახებ ნაკლებად ფიგურირებს. აქ დგინდება შესატყვისობა იმასთან, რაც ითქვა ხსნაზე, კერძოდ,

რომ იგი უნდა გავიგოთ, როგორც უკეთავება ან ჭეშმარიტების მიერ განათლება. ხსნის გაგება როგორც ცოდვათა მიტევებისა ან ღმერთთან შერიგებისა ასევე იჩენს თავს განსაკუთრებით ბარნაბასთან, მაგრამ ამას მასთან ისეთი ადგილი არ უკავია, როგორც ეს ხდება პავლე მოციქულთან ანდა პროტესტანტულ ტრადიციაში.ხსნას უკავშირებენ ფიზიკურ სიცოცხლეს, როგორც სიკვდილსა და წარმავლობისგან განთავისუფლებას. სიცოცხლე უკავშირდება კანონს: გზა მორჩილებისა არის გზა მარადიული ცხოვრებისაკენ.

სამოციქულო მამათა მორალისტური ტენდენცია ყველაზე მკაფიოდ თავს იჩენს მათ მიერ მადლის (gratia, charis) აღქმაში. მადლი ახალ აღთქმაში არის ქრისტეში განცხადებული ღვთის სიყვარული და მისი კეთილგანწყობილება. იგი განეკუთვნება ამგვარად თავად ღმერთს და ქრისტეში აღსრულებულ ხსნის ქმედებას. ადამიანი მართლდება მადლის მეშვეობით და არა საკუთარ ქმნილებათა წყალობით. მადლის ეს ცნება სამოციქულო მამებთან სხვა ცნებით იცვლება, რომელშიაც მადლი განიხილება, როგორც საბოძვარი, რომელსაც ღმერთი ანიჭებს ადამიანებს ქრისტეს მეშვეობით. ეს საბოძვარი, რომელიც დროდადრო ქრისტეს მიერ ნაბოძებ შემეცნებას (gnosis) უთანაბრდება, გაიაზრება როგორც სულთან დაკავშირებული შინაგანი ძალა (dinamis), რომლის მეშვეობით ადამიანს ძალუძს სამართლიანობისაკენ სწრაფვა და ახალ მორჩილებაში სვლა. ამგვარად, მადლი თუმცა წარმოადგენს წინაპირობას ხსნისათვის, მაგრამ არა იმ აზრით, როგორც ეს ახალ აღთქმაშია, სადაც სამართლიანობა ღვთის საბოძვარია, რომელიც გვენიჭება ქრისტესადმი რწმენის გამო, არამედ უფრო მეტად ისე, რომ მადლი გვანიჭებს ძალას, რომლითაც ადამიანს სამართლიანობისა და ხსნის მოპოვება ძალუძს.

წმ. წერილის გაგება

ისევე როგორც ახალ აღთქმაში, სამოციქულო მამებიც უცილობელ ავტორიტეტად აღიარებენ ძველი აღთქმის წიგნებს. მათი ფართო გამოყენება მით უფრო თვალში საცემია, რომ სამოციქულო მამათა წერილები უმეტესად წარმართი ქრისტიანებისადმია მიმართული. სამოციქულო მამები ეკლესიას უყურებდნენ, როგორც ახალ ისრაელს, როგორც ძველი აღთქმის წერილების ნამდვილ მემკვიდრეს. მათ მიაჩნდათ, რომ კანონისა და წინასწარმეტყველთა ჭეშმარიტი აზრი სულიერი იყო, რომელიც ქრისტეს სიტყვითა და საქმით განცხადდა. ბარნაბას წერილი, რომელიც საგანგებოდ ამ საკითხს ეხება, შეიცავს ნიშნებს, რომლებსაც შემდგომ ტიპოლოგიურ კომენტარს ვუწოდებთ. ამავე დროს იგი შეიცავს თავისუფალ ალეგორიულ განმარტებასაც. მოსეს კანონის შესახებ გავრცელებული იყო შეხედულება, რომ იგი უკვე დასაწყისიდანვე უფრო ღრმა აზრის მატარებელი იყო. მაგალითად, როდესაც მოსეს კანონი კრძალავს უწმინდურ ცხოველთა ჭამას, ამით იგულისხმება ცოდვათა აკრძალვა, რომელთა სიმბოლოებსაც ეს ცხოველები

წარმოადგენდნენ. ი.ვით უმნიშვნელო დეტალშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ ქრისტესა და ახალ აღთქმაზე მინიშნება (მაგ. ბარნაბას წერილი, IX, 8). ყოველივე ამის მიღმა სუფევს რწმენა, რომ წმ. წერილის თითოეული სიტყვა სულიწმიდის მიერ არის შთაგონებული; ასევე, ამავე რწმენის თანახმად, თვით გარეგნული, მატერიალური საგნების დასახელების მიღმა იმალება სულიერი სიბრძნე, რომელიც მიუღწეველია ებრაელთათვის, მათ მიერ წმ. წერილის პირდაპირი კომენტირების გამო.

სამოციქულო მამები იძლევიან ასევე მრავალ მაგალითს იმისა, რომ ოთხი სახარება და მოციქულთა წერილები, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ ერთმანეთისაგან გამიჯნულნი, წმინდა წერილებად ითვლებოდნენ და იმავე ავტორიტეტით სარგებლობდნენ, როგორც ძველი აღთქმის წიგნები. თითქმის ყველა წერილი ჩვენი ახალი აღთქმისა ციტირებული ან მინიშნებულია სამოციქულო მამათა მიერ. მოციქულთაგან მომდინარე ზეპირი ტრადიცია რწმენისა და საზოგადოებათა ცხოვრების წესისა ასევე უმაღლეს ავტორიტეტადაა მიჩნეული. წმ. იგნაციუსის მიხედვით, ავტორიტეტული ტრადიციის მატარებელი არის ეპისკოპოსი.

ღვთისმეტყველება და ქრისტოლოგია

სამოციქულო მამათა აზრი ღმერთზე ბიბლიურია, და იგი ახალი აღთქმის ღვთის ცნებას ეფუძნება. ღმერთი არის ყოვლადძლიერი, რომელმაც შექმნა სამყარო და ადამიანს აუწყა თავისი ნება, თავისი სამართლიანობა და თავისი მადლი. "პირველ ყოვლისა: გწამდეს, რომ არსებობს ერთი ღმერთი, რომელმაც ყოველივე შექმნა და დაასრულა და ყოფიერება არარაობიდან გამოიხმო", - ვკითხულობთ ჰერმას "მწყემსში" (II, I მცნება). რწმენა ერთი ჭეშმარიტი ღვთისა, მკაცრადაა დაცული. მოძღვრება სამებაზე, გვიანდელი გაგებით, ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული, მაგრამ ტრინიტარული ფორმულა უკვე გვხვდება, მაგალითად, ნათლობის დროს: რწმენა სამების მიმართ, ბუნებრივია, არსებობს. მაგრამ განვითარებული წარმოდგენა, თუ როგორ ურთიერთმიმართებაში იმყოფება სამების თითოეული წევრი ერთმანეთთან, უფრო გვიანდელ დროს განეკუთვნება.

სამოციქულო მამები ქრისტეს ღვთაებრიობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ქრისტიანები "ჰიმნების მონაცვლეობით უმღერიან ქრისტეს, როგორც ღმერთს", გვამცნობს პლინიუს უმცროსის ცნობილი გამოთქმა მის წერილში იმპერატორ ტრაიანესადმი (ეპ.X, 96). ქრისტე არის დაბადებამდე არსებული ღვთის ძე, რომელიც მონაწილეობდა შექმნაში; იგი არის დაფარულად მბრძანებელი ზეციური უფალი, რომელიც მოგვევლინება როგორც მსაჯული ცოცხალთა და მკვდართა. სახელწოდება "ღმერთი" უშუალოდ ქრისტეს მიმართ იხმარება, განსაკუთრებით წმ. იგნაციუსის წერილებში. "ღმერთი ჩვენი, იესო ქრისტე, ღვთაებრივი გადაწყვეტილებით მარიამმა მიიღო, თუმცა დავითის თესლიდან, მაგრამ სულიწმიდისგან" (ეფესელთა მიმართ XVIII, 2).

ქრისტე იმყოფება საზოგადოებაში, როგორც მათი უფალი, ქრისტიანები

მასთან არიან გაერთიანებულნი და მონაწილეობას იღებენ, როგორც მის სიკვდილში, ასევე მის აღდგომაში. ქრისტესთან ამ ერთიანობას იგნაციუსი მკვეთრად უსვამს ხაზს. სმირნაში მყოფ ქრისტიანებს იგი სწერს: "მე გავიგე, რომ თქვენ ურყევი რწმენით ხართ გამხნევებულნი, ხორცითა და სულით მტკიცედ ეყრდნობით უფალ იესო ქრისტეს, თითქოს მის ჯვარსა ხართ მიჭედილნი და განმტკიცებულნი სიყვარულში ქრისტეს სისხლის მეშვეობით, სავსებით დარწმუნებულნი ჩვენს უფალში, რომ იგი ჭეშმარიტად ხორცი-ხორცთაგანია დავითის შთამომავლობიდან და ღვთის შვილია ღვთის ნებითა და ძალით" (სმირნელთა მიმართ, I).

წმ. იგნაციუსის მრავალი გამოთქმა იუდაურ-ქრისტიანულ გნოსტიკოსთა წინააღმდეგ არის მიმართული ანდა ისინი ამის გამო არიან შექმნილნი. ამ გამოთქმებში ხაზი ესმება ქრისტეს ჭეშმარიტ ადამიანურობას. იესოს ჭეშმარიტი ამქვეყნიური მყოფობა დაცულია იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც იმ აზრისანი არიან, რომ ქრისტემ მხოლოდ მოჩვენებითად მიიღო ადამიანური ფორმა, მხოლოდ მოჩვენებითად ეწამა და აღდგომის შემდეგ დაუბრუნდა უსხეულო სულიერი არსების მდგომარეობას. ამ შეხედულებას დოკეტიზმი ეწოდება (dokein)-დან, მაგალითად: "არ ამტკიცებენ, როგორც ზოგიერთი ურწმუნო, რომ იგი მხოლოდ მოჩვენებითად ეწამა", - წმ. იგნაციუსი (სმირნელების მიმართ, II). მასთან ბრძოლა უმნიშვნელოვანესი მხარეა თავდაპირველი ქრისტიანული თეოლოგიისა, რადგან ეს შეხედულება სწორედ იმას უარყოფს, რაც სამოციქულო ქადაგების საფუძველს წარმოადგენს: რომ ქრისტე ჭეშმარიტად მოკვდა და აღსდგა.

ხსნა მტკიცედაა ისტორიულად დაკავშირებული მომხდარ ამბებთან, რომელთა ცოცხალი მოწმეც მოციქულები იყვნენ. თუკი დოკეტიზმს არ სურს აღიაროს სიკვდილი და აღდგომა, მაშინ ეს იმით აიხსნება, რომ ხსნას უკავშირებენ აბსტრაქტულ მოძღვრებას და არა ღვთის მოქმედებას ქრისტეში. დოკეტიზმს აქვს მრავალი ფორმა: იგი ან საკმებით უარყოფს ქრისტეს ჭეშმარიტ ადამიანობას "მოჩვენებითი სხეულის" თეორიის დახმარებით, ან არჩევს გარკვეულ ასპექტებს იესოს მიწიერი ცხოვრებიდან. როგორც მისაღებ ფაქტებს, მაშინ როცა სახარების სხვა ცნობებს უარყოფს. გნოსტიკოსი კერინთი, რომელიც მცირე აზიაში მოღვაწეობდა, იცავდა, მაგალითად, იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ქრისტემ მიწიერი იესო ჯვარცმით სიკვდილის წინ დატოვა. მათ შეუსაბამოდ მიაჩნდათ ქრისტეს ღვთაებრიობასთან მისი წამებისა და სიკვდილის ფაქტი. მეორე დოკეტური თეორია (ბაზილიდე) იქიდან ამოდის, რომ მოხდა შენაცვლება, კერძოდ: ქრისტეს ნაცვლად ჯვარცმულ იქნა სიმონი კირენიდან, ხოლო იესოს არ მიუღია ჯვარცმულის სიკვდილი.

წმ. ირინეუსის მიხედვით, იოანეს სახარების მიზანი, სხვათა შორის, იმაშიც უნდა მდგომარეობდეს, რომ მან ზემოხსენებული კერინთის მოძღვრება უნდა უკუაგდოს. ამ უკანასკნელის შეხედულების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი მკაცრად ასხვავებს ერთურთისაგან ადამიან იესოს და ზეციურ სულიერ არსებას ქრისტეს, რომელსაც მხოლოდ დროებით შეეძლო

დაედო ბინა იესოში, ამის საპირისპიროდ იოანეს სახარება გვასწავლის, რომ "სიტყუაი იგი ხორციელ იქნა" (იოანე, 1,14). ასევე, იოანეს I ეპისტოლეს მიხედვით იესო იდენტურია ქრისტესი, რომელიც "ხორციელადაა მოსრული" (2.22; 4,2 და ა.შ.).

წმ. ირენეუსი აგრძელებს დოკეტიზმთან ბრძოლას. იმ აზრის საწინააღმდეგოდ, რომ ქრისტე მხოლოდ მოჩვენებითად ეწამა, იგი ამტკიცებს, რომ ქრისტე ჭეშმარიტად იშვა მარიამისაგან, ჭეშმარიტად ჯვარს ეცვა და თავადვე ჭეშმარიტად აღსდგა. აღდგომის შემდეგაც ქრისტე "ხორციელადაა" და არა "უსხეულო სულია" (სმირნელთა მიმართ I-III, პოლიკარპეს მიმართ III,2; ეფესელთა მიმართ VII, 2).

ეკლესიის გაგება

სამოციქულო მამათა წერილებში ჩანს იმდროინდელი საეკლესიო წესრიგის განმტკიცება. ჩნდება ეპისკოპოსის ხარისხი (თანამდებობა), როგორც განსაკუთრებული, უხუცესთა (პრესვიტერთა) საბჭოსაგან დაცილებული თანამდებობა. იგნაციუსის მიხედვით, ეპისკოპოსი არის სიმბოლო ეკლესიის ერთიანობისა და სამოციქულო ტრადიციის მატარებელი. ამიტომაც საზოგადოებას მოუწოდებენ მტკიცედ დაირაზმონ ეპისკოპოსის ირგვლივ და მას დაემორჩილონ. ერთიანობას პირველ რიგში საფუძვლად უდევს საერთო მოძღვრება და, როგორც წარმომადგენელი ჭეშმარიტი მოძღვრებისა, ეპისკოპოსი მბრძანებელ ადგილს იმკვიდრებს საზოგადოებაში. ეპისკოპოსთა ირგვლივ ეს დარაზმვა განიხილება როგორც თავდასაცავი საშუალება ერესების (მწვალებლობათა) წინააღმდეგ, რომლებიც ეკლესიის ერთიანობის ხელყოფით იმუქრებიან. რაც შეეხება ერესებს, აი, რას ამბობს მათზე ჩვენი საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი ლევ კარსავინი: გამოვყოფთ რა ეკლესიურ ჭეშმარიტებას, იგი უნდა განვიხილოთ "გარემომცველთან" კავშირში. ჩვენი ყურადღების ცენტრში აუცილებლად უნდა ჩავრთოთ ისიც, რაც თავის თავს ქრისტიანულს უწოდებს, რადგან მასშიც შეიძლება ღვივდებოდეს მარცვალი ჭეშმარიტებისა, და თვით ერეტიკულიც, რადგან ერესშიც შეიძლება აღმოცენდეს კითხვები, რომელნიც ეკლესიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა შეიძლება იყვნენ და რომელნიც ელოდებიან ან ღებულობენ მისგან პასუხს. პავლე მოციქული ამბობს: "უნდა იყოს ერესებიც" (ე.ი. უნდა იყოს ინდივიდუალური კვლევა და არჩევანი: სიტყვა "ჰაირესის" ნიშნავს "არჩევანს"), "რათა გამომზეურდნენ თქვენში ყველაზე გამოცდილნი (1 კორინთელთა მიმართ XI, 19) - "რამეთუ წვალებანიცა ყოფად არიან თქვენ შორის, რაითა რჩეულნი იგი თქვენ შორის გამოჩნდნენ".

თავდაპირველად ეპისკოპოსი და პრესვიტერი (უხუცესი) ერთი და იგივე იყო, მაგრამ ახლა ეპისკოპოსი იმკვიდრებს განსაკუთრებულ ადგილს პრესვიტერთა საბჭოს ზემოთ. ეს ეგრეთ წოდებული მონარქისტული ეპისკოპოსობა პირველად ჩნდება მცირე აზიაში და ნათლად დასტურდება იგნაციუსის წერილებში, მაშინ როდესაც რომში დაწერილ კლიმენტის I

წერილსა და ჰერმას "მწყემსში" ასეთ პრესვიტერთა ზემდგომ ინსტანციას ჯერ არ ითვალისწინებენ. მაგრამ აგრეთვე კლიმენტის I წერილი მკვეთრად ხაზს უსვამს ხარისხის მნიშვნელობას და ხარისხის მატარებელს მიიჩნევს მოციქულთა მემკვიდრედ. აზრი სამოციქულო სუქცესიისა ვითარდება იუდაური მაგალითის მიხედვით. იგი შეიძლება ორ რამეს გულისხმობდეს:

1. ხარისხის მატარებლებმა სწორი მოძღვრების ტრადიცია მოციქულთაგან გადმოიღეს, როგორც წინასწარმეტყველება მოსესაგან (მოძღვრების სუქცესია).

2. ისინი უწყვეტი თანმიმდევრობით მოციქულთა და მათი მემკვიდრეთაგან არიან ხელდასხმულნი, ისევე, როგორც აარონის ოჯახს ჰქონდა ერთპიროვნული უფლება ისრაელში მღვდელთა ხელდასხმისა (ხელდასხმის სუქცესია).

ასე აღმოცენდება და სულ უფრო და უფრო მტკიცდება საზოგადოების წესრიგი საეკლესიო იურისდიქციით ადრეულ ქრისტიანულ საზოგადოებაში. ამ განვითარებაზე სხვადასხვაგვარი აზრი გამოითქვა. სამართლის ცნობილი ისტორიკოსი რუდოლფ ზომი აყენებს თეზას, რომლის მიხედვითაც ეკლესიის ნებისმიერი უფლება-კანონი ეწინააღმდეგება ეკლესიის არსს: მხოლოდ სულიწმიდა უნდა მბრძანებლობდეს ეკლესიაში, რის გამოც აღმოცენებული კონსტიტუციები თავდაპირველი ქრისტიანობისაგან განდგომის აღმნიშვნელია (საეკლესიო სამართალი 1, 1892). ამის საპასუხოდ ითქვა, რომ წესრიგი აუცილებლობაა. ის არ არის გვიანი დანამატი, არამედ იგი სათავეს იღებს მოციქულთა დროიდან; რაც ხდება, წარმოადგენს წესრიგის განვითარებას უფრო მტკიცე და ახალი ფორმების შესაძენად (ზეებერგი). ამასთან კავშირში სამართლიანად მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ სული და თანამდებობა ურთიერთდაპირისპირებულობას კი არ წარმოადგენს, არამედ ერთურთს განეკუთვნებიან. ის ფაქტი, რომ ეკლესია სულის ქმნილებაა, არ გამორიცხავს წესრიგის, თანამდებობისა და ტრადიციის აღმოცენებას; შესაბამისად სულის ქმნილებებს განეკუთვნებიან აგრეთვე მსახურებანი და თანამდებობანი (ხარისხნი) (ლინტონი, "უძველესი ეკლესიის პრობლემა ახალ კვლევაში", 1932).

ესქატოლოგია (ბერძნ. eschatos - უკანასკნელი, logos - მოძღვრება, მოძღვრება სამყაროსა და ადამიანის საბოლოო ბედზე).

სამოციქულო მამების ესქატოლოგია შეიცავს მოსაზრებას, რომ მოახლოებულია დროთა აღსასრული, ხოლო ზოგიერთ ავტორთან (პაპია, ბარნაბა) ესაა წარმოდგენა ათასწლოვან ამქვეყნიურ სასუფეველზე. ბარნაბა, იუდაური მაგალითის მიხედვით, სამყაროს მსვლელობას იაზრებს ექვსი ათასი წლით, შექმნის ექვის დღის ანალოგიით. ამას მოჰყვება მეშვიდე ათასწლეული, როდესაც ქრისტე თავის მორწმუნეებთან ერთად ამქვეყნად ხილულად იწყებს მბრძანებლობას (გამოცხ. 20). მხოლოდ ამის შემდეგ დგება მერვე დღე, მარადიულობა, რომლის ანარეკლი კვირა დღეა, ასევე აღიარებს ბარნაბა მოძღვრებას ამქვეყნიურ ათასწლოვან სასუფეველზე - მილენიუმი (ლათ. mile - ათასი, annus - წელიწადი; შდრ. ქილიაზმი - ბერძნ. chiliasmos-chilias - ათასი) და აღწერს იმ ბედნიერ მდგომარეობას, რომელიც მა-

შინ დამკვიდრდება. შემდგომში ამ შეხედულებას ჩვეულებისამებრ უარყოფენ. ასე, მაგალითად, ამას უკვე უარყოფს ევსებიოსი თავის გადმოცემაში პაპიას შესახებ.

აპოლოგეტები

აპოლოგეტებს ზოგადად უწოდებენ მე-2 საუკუნის ავტორებს, რომელთა ნაწერების მთავარი მიზანია დაიცვან ქრისტიანობა ბერძენთა და ებრაელთა მხრიდან გავრცელებული ბრალდებებისაგან. ისინი ქრისტიანობას აღიარებენ ჭეშმარიტ ფილოსოფიად, ბერძნული ფილოსოფიისა და ებრაული რელიგიის სრულყოფილ შემცვლელად, რომელნიც ჭეშმარიტების მაძებარ ადამიანს არადამაკმაყოფილებელ პასუხებს აძლევენ. პირველ ადგილზე აპოლგეტთა შორის დგას იუსტინე წამებულად წოდებული, რომლის ორივე აპოლოგია შეიქმნა მე-2 საუკუნის 50-იან წლებში. მისი "დიალოგი ებრაელ ტრიფონთან" დაახლოებით იმავე დროს მიეკუთვნება. აპოლოგეტებს შორის ყველაზე მეტად გამოირჩევიან შემდეგნი:

არისტიდე, რომლის "აპოლოგია" უძველესია დღეს შემორჩენილთაგან; ტატიანე, რომელმაც შექმნა პამფლეტი ბერძენთა ცხოვრების კულტურის წინააღმდეგ (დაიწერა 165 წელს ქ.შ.) და ათენაგორა, ორი აპოლოგეტური ხასიათის წერილით (ორივე დაიწერა 170 წელს ქ.შ.). ამავე ჯგუფს შეიძლება, მივაკუთვნოთ, აგრეთვე თეოფილე ანტიოქიელი და დიოგნეტის წერილი.

აქვე დავასახელებთ წმ. მელიტონ სარდელს. მელიტონი, ეპისკოპოსი ქ. სარდისა (ქალაქი ლიდიაში, მცირე აზიაში), გახლავთ სახელგანთქმული მოძღვარი, მწერალი და მქადაგებელი. იგი მიეკუთვნება მე-2 საუკუნის ბერძენ აპოლოგეტებს. 1972 წელს ბელგიელმა ორიენტალისტმა, იეზუიტმა მამა მიშელ ვან ესბროკმა თბილისში ქართულ ხელნაწერებში (A-144) აღმოაჩინა მელიტონის ქადაგების ("სულისა, სხეულისა და უფლის ენებათა შესახებ") უძველესი ქართული თარგმანი, რომელიც შეიცავს 12 სვეტს (ფრაგმენტს) და რომლის ბერძნული ორიგინალი დაკარგულად ითვლება (არსებობს მხოლოდ ქართულთან შედარებით უფრო გვიანდელი სირიული თარგმანი). აღნიშნული ფრაგმენტი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ლიტურგისტებისათვის, რადგან მელიტონის ქადაგების შედარება დიდი პარასკევის ცისკრის ანტიფონებთან, შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ მელიტონის ქადაგებანი წარმოადგენდნენ ერთ-ერთ წყაროს ღვთისმსახურების შექმნისას ვნების შვიდეულში.

რაც შეეხება აპოლოგეტთა მიერ შექმნილ რიგ სხვა წერილებს, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ისინი ჩვენთვის დაკარგულად ითვლებიან და მხოლოდ მათი სახელწოდებებია ცნობილი.

აპოლოგეტების ზოგადი დახასიათება

თეოლოგიის ისტორიის განვითარებაში აპოლოგეტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იმით, რომ, ერთი მხრივ, ისინი ქრისტიანობას მიიჩნევენ

ჭეშმარიტ ფილოსოფიად, მეორე მხრივ კი ცდილობენ თეოლოგიური დებულებების ახსნას მათი თანამედროვე ფილოსოფიურ ცნებათა დახმარებით (მაგალითად, ეგრეთ წოდებულ ლოგოს - ქრისტოლოგიაში). ამგვარად, აქ ჩნდება პირველი მცდელობა ქრისტიანული რწმენის ცნებისეულად დაფიქსირებისა, პირველი კავშირები თეოლოგიასა და მეცნიერებას, ქრისტიანობასა და ბერძნულ ფილოსოფიას შორის.

აპოლოგეტები უკუაგდებენ ქრისტიანთა წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებებს; ათენაგორას მიხედვით, ეს ბრალდებები, პირველ ყოვლისა, არის: ულმერთობა, არაბუნებრივი ბიწიერება და სახელმწიფოს მტრობა. ამასთანავე, ისინი დროდადრო ბერძნული კულტურის მძაფრ კრიტიკას ეწევიან (ტატიანე, თეოფილე). მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, დოგმატთა ისტორიის მხრივ, მათ მიერ ქრისტიანობის პოზიტიური წარმოსახვა, როგორც ჭეშმარიტი ფილოსოფიისა.

ქრისტიანობა და ფილოსოფია

იუსტინეს ავტობიოგრაფიული ნაწარმოები "დიალოგი ებრაელ ტრიფონთან" გვიჩვენებს თუ როგორ იაზრებდნენ ურთიერთობას ქრისტიანობასა და ფილოსოფიას შორის. იუსტინე ამ დიალოგში თავის თავს წარმოადგენს იმად, ვინც ფილოსოფიას ძლიერ აფასებს და სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემებში თანამიმდევრობით დასმულ კითხვებზე პასუხს ეძებს. აზრი და მიზანი ფილოსოფიისა მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოს ღმერთისა და სინამდვილის სწორ შემეცნებას და ამ შემეცნებით ბედნიერება გვიბოძოს. მიზანი ფილოსოფიისა არის ღმერთთან ადამიანის შეერთება. იუსტინე ეწვევა სტოიკოსებს, პერიპატეტიკელებს და პითაგორელებს, მაგრამ ისინი მასზე ზეგავლენას ვერ ახდენენ. საბოლოოდ იგი პლატონიზმზე ჩერდება და სწამს, რომ იქ იპოვის ჭეშმარიტებას. ამ დროს იგი შეხვდება ერთ უცნობ მოხუც მამაკაცს, რომელიც მას მიუთითებს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებზე, რომელთაც ერთადერთებმა შეიმეცნეს ჭეშმარიტება და იქადაგეს იგი. "ისინი მხოლოდ იმას ასწავლიდნენ, რაც მათ, სულიწმიდისაგან განმსჭვალულთ, ისმინეს და იხილეს". მოხუცის მსჯელობა იუსტინეს არწმუნებს ქრისტიანობის ჭეშმარიტებაში. "სული ჩემი იმწამსვე აღინთო და სიყვარულით აღივსო წინასწარმეტყველთა და იმათ მიმართ, ვინც ქრისტეს შეგობრები არიან. მე ვფიქრობდი ქრისტეს მოძღვრებებზე და ვპოვე მათში ერთადერთი საიმედო და საჭირო ფილოსოფია, ესაა გზა და ესენია მიზეზნი, რამაც მე ფილოსოფოსად გამხადა" (VII-VIII).

ქრისტიანობა რომ ჭეშმარიტი ფილოსოფიაა, ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მას ძალუძს ერთადერთი სწორი პასუხი მიაგოს ფილოსოფიის მიერ დასმულ კითხვებს. ფილოსოფია აქ მოიცავს, აგრეთვე, რელიგიურ საკითხს ღვთის ჭეშმარიტი შემეცნებისა. მარტოოდენ ქრისტიანობას ძალუძს იმის მოცემა, რასაც ფილოსოფოსები ეძიებენ და ვერ პოულობენ. მაგრამ თავისთავად ეს აზრი იმას არ ნიშნავს, რასაც ზოგჯერ გულისხ-

მობენ, რომ ქრისტიანობა ფილოსოფიაზეა დამოკიდებული და მას ექვემდებარება.

ქრისტიანობა ეფუძნება გამოცხადებას და აპოლოგეტები იმ აზრის არიან, რომ გამოცხადება რაციონალური განაზრებებით არ შეიძლება შეიცვალოს. ამ მხრივ ქრისტიანობა უპირისპირდება ყოველგვარ ფილოსოფიას. მისი ჭეშმარიტება ეფუძნება არა გონებას, არამედ იგი ღვთაებრივი წარმოშობისაა. "...არავის ძალუძს ღმერთზე და ჭეშმარიტ რელიგიაზე მოძღვრება, გარდა წინასწარმეტყველებისა, რომელნიც თქვენ გმოძღვრავენ ღვთაებრივი ინსპირაციის საფუძველზე".

ამის საპირისპიროდ აპოლოგეტების ძირითად განაზრებებში ის ტენდენცია შეინიშნება, რომელიც ქრისტიანობის შინაარსის ინტელექტუალიზებას ახდენს. გონება (ლოგოს) არის ამ დროს წინაპლანზე მდგომი ცნება და აქ აქცენტს აკეთებენ ჭეშმარიტების გადმოცემაზე.

აპოლოგეტთა მიერ ფილოსოფიის შეფასება შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. ზოგიერთი მათგანი ბერძნული ფილოსოფიის მიმართ განსაკუთრებით კრიტიკულადაა განწყობილი. მათი აზრით, ყოველი წარმართული სიბრძნე გამოცხადებამ უნდა შეცვალოს. სხვა აპოლოგეტები ფილოსოფიაზე უფრო პოზიტიურად მსჯელობენ, მაგალითად, იგივე იუსტინე, მაგრამ აქაც იმ აზრისანი არიან, რომ ჭეშმარიტებანი, რომლებიც მოიპოვება ფილოსოფოსებთან, მაგალითად, ჰომეროსთან, სოკრატესთან, პლატონთან, ძირითადად გამოცხადებისაგან წარმოსდგებიან. ამის დამადასტურებლად ერთი მხარე მიიჩნევს, რომ ზოგიერთმა ბერძენმა ბრძენმა ეგვიპტე მოინახულა და იქ ცოდნა მოიპოვა ისრაელის წინასწარმეტყველური გამოცხადებისაგან, მეორე კი თვლის, რომ წარმართი ფილოსოფოსები თანამოზიარენი იყვნენ ყველა ადამიანში შთანერგილი "ლოგოს სპერმატიკოს"-ისა, ჩანასახისებრი გონებისა. ამიტომ ადამიანური სიბრძნე წარმოსდგება გამოცხადებისაგან, როგორც ღვთაებრივი გონების გაბნეული სხივები, რომელთაც მთელი სიცხადით ქრისტეში გამოანათეს. მაშინ როდესაც ფილოსოფოსები ფლობენ ჭეშმარიტების ნამსხვრევებს, ქრისტესთან იგი მთელი სისავსით მოიპოვება. იგი თავად ღვთის გონებაა, კაცად ქცეული ლოგოსი.

ლოგოს-ქრისტოლოგია

იმ საკითხის გასარკვევად, თუ რა დამოკიდებულებაშია ქრისტე მამა ღმერთთან, აპოლოგეტები თავიანთ ქრისტოლოგიაში იყენებენ ლოგოსის იდეას, რომელიც გადმოიღეს მათი თანამედროვე ფილოსოფიისაგან და განსაკუთრებით სტოიციზმისაგან, სამყაროს გონების შესახებ მისი მოძღვრებისაგან. ყველა ადამიანში მოიპოვება რაღაც ლოგოსისეული. ყველა ადამიანში არის შთანერგილი ჩანასახისებრი გონება (logos spermatikos). მაგრამ ეს გონება აპოლოგეტთათვის არ წარმოადგენს საყოველთაო, პანთეისტურად გააზრებულ სამყაროს გონებას, როგორც ამას ისტორიკოსებთან ვხვდებით. ისინი ლოგოსს ქრისტესთან აიგივებენ. ამიტომაც შეუძლიათ მათ

თქვან, რომ სოკრატე და პლატონი ქრისტიანები იყვნენ იმდენად, რამდენადაც ისინი გონებას ანიჭებენ უპირატესობას. მათ მოიპოვეს ჭეშმარიტება ქრისტესაგან წინასწარმეტყველთა ან საყოველთაო გამოცხადების მეშვეობით.

ლოგოსი ნიშნავს "როგორც "გონებას", ასევე "სიტყვას". მარადისობიდანვე იმყოფებოდა ლოგოსი ღმერთთან, როგორც ღვთის საკუთარი გონება. შემდეგ ეს გონება ღვთის საკუთარი გადაწყვეტილებით გამოვიდა ღვთის არსიდან როგორც "სიტყვა". ეს მოხდა სამყაროს შექმნისას. ღმერთმა შექმნა სამყარო თავისი გონების მიხედვით და "სიტყვის" მეშვეობით, რომელიც მისგან გამოვიდა. ამ გზით ქრისტე სამყაროს შექმნაში მონაწილეობს, იგია "სიტყვა", რომელიც მამისაგან იშვა და რომლის მეშვეობით განხორციელდა ყოველივე, რაც კი არსებობს. შემდეგ ამავე ღვთაებრივმა გონებამ, როცა კი ჟამი აღსრულდა, ხორციელი ფორმა მიიღო და კაცად იქცა.

ლოგოსის იდეის გამოყენებით შესაძლებელი ხდება, რომ უკვე ცნობილი ფილოსოფიური ცნებების მეშვეობით აღწერონ, ღვთაებრივ არსში როგორ დამოკიდებულებაში იმყოფება ძე მამასთან. ქრისტე არის ჭეშმარიტად ღმერთი და მიუხედავად ამისა, ღმერთი არის დანაწევრებული, როგორც სიტყვა გამოდის გონებიდან ან, სხვა სურათის მიხედვით, როგორც სხივი სინათლის წყაროდან გამოსხივდება, ასევე გამოდის ძე მამისაგან, როგორც "მხოლოდშობილი", რის შემდეგაც ღმერთი ისევ ერთი რჩება და ამავე დროს არ მცირდება. ლოგოს-ქრისტოლოგია იყო ცდა ქრისტიანობის უძნელესი საკითხი იმ დროის ენაზე გამოეხატათ. სწორედ იმდროინდელი ფილოსოფიიდან აღებულ იქნა ცნება და მისი მეშვეობით აღწერილ იქნა ბერძნული აზროვნებისათვის აბსურდული რამ, კერძოდ ის, რომ ქრისტე ღმერთი იყო და ამავე დროს ღვთის ერთიანობა ამით არ იყო უარყოფილი.

მოყვანილ მსჯელობაში ძევს ის, რომ ლოგოსი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მარადისობიდანვე ღვთაების არსში იმყოფებოდა, როგორც მისთვის დამახასიათებელი გონება, პირველად მხოლოდ სამყაროს გაჩენისას გამოვიდა ღვთაებრივი არსიდან. ამგვარად, ქრისტე დროში ან დროის დასაწყისში დაბადებულა. ამ ფილოსოფიურ მოძღვრებას ლოგოსზე აგრეთვე ის დასკვნა უნდა ჰქონოდა, რომ ქრისტე გაიაზრება დაქვემდებარებულად მამასთან მიმართებაში. ამიტომ აპოლოგეტთა ქრისტოლოგიას ხშირად "სუბორდინაციულს" უწოდებენ (ძე დაქვემდებარებულია მამისადმი). შესაძლოა, აპოლოგეტთა ქრისტოლოგია ასეთად მხოლოდ შემდგომი დროის თვალთახედვიდან გამოიყურება. მაგალითად, მოგვიანებით ეკამათებოდნენ იმ აზრს, რომლის თანახმადაც ძე დროში იშვება (ორიგენე), ასევე ილაშქრებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ ფილოსოფიური მოძღვრება ლოგოსზე გამოყენებული ყოფილიყო ქრისტოლოგიაში (ირენეუსი). მაგრამ აქ, ერთი მხრივ, ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ აპოლოგეტები არაორაზროვნად ლოგოსის პრეექსისტენციას (ე.ი. ღმერთში მის თავიდანვე არსობას) გულისხმობდნენ, თუნდაც ისინი მის გამოჩენას, როგორც "ძისას" მხოლოდ სამყაროს შექმნისას იაზრებდნენ და, მეორე მხრივ, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მაშინ

ჯერ კიდევ არ გააჩნდათ სრულყოფილი ტერმინოლოგია, რითაც შესაძლებელი იქნებოდა გამოეხატათ განსხვავება სამების "პიროვნებებს" შორის. ამიტომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს მათ გამონათქვამებში ამოვიკითხოთ ნამდვილი სუბორდინაცია ძისა მამისადმი.

თუკი ქრისტე, როგორც ლოგოსი განიხილებოდა ღვთაებრივ გონებად, მაშინ ბუნებრივია, რომ მის ქმედებებსაც ძირითადად აღიქვამდნენ, როგორც მოძღვრებებს. ქრისტე ასწავლიდა ღვთის სწორ შემეცნებას და ახალ კანონს, რომელიც გზა იყო სიცოცხლისაკენ, ხსნა აპოლოგეტთა მიერ ინტერპრეტირებულია ინტელექტუალური და მორალური კატეგორიების მეშვეობით. ცოდვა არის უცოდინარობა. ადამიანს აქვს თავისუფლება, აირჩიოს სიკეთე, მაგრამ იგი მხოლოდ ქრისტესგან იღებს სამართლიანობისა და სიცოცხლის გზის სწორ შემეცნებას. აუცილებლობა, რომ კანონის მიხედვით იცხოვრონ, ხაზგასმულია და ამ მხრივ აპოლოგეტთა თვალსაზრისი თანხვდება სამოციქულო მამებისას.

დოგმატთა ისტორიულ განვითარებაში აპოლოგეტთა მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ქრისტიანობის ბერძნულ განათლებასთან შერწყმის ცდა, რამაც თავისი ძირითადი გამოხატულება ჰპოვა მათ მოძღვრებაში ლოგოსზე და აგრეთვე იმაში, თუ როგორ იყენებდნენ მას ქრისტოლოგიაში.

დასასრულ, მინდა მოვიყვანო ნაწყვეტი ზემოხსენებულ მელიტონ სარდელის ქადაგებიდან ქართული ხელნაწერის მიხედვით: "რაი არს ახალი საიდუმლოი? ანუ რაისათვის ზეცით ქუეყნად გარდამოჰხედ? ანუ კაცთათვის რაიმეთუ ყოველსა ქუეყანისა განფენილ არს კეთილი ხატი შენი, არამედ სიტყუაი ხოლომცა უბრძანე და ყოველნიმცა ხორცნი წამოდგეს შენს წინაშე. ხოლო შენ ხუედ ქუეყანად და მოიძიენ წარწყმედულნი, რომელნი იგი შექმნულნი შენნი, და უკუმოიგე ადამი ვითარცა სამეუფოი ნამარხევი და ყოველი იგი ნათესავი კაცთაი ქრისტესაგან ცხონდა, ერთი იგი დაისაჯა და ბევრი იხსნეს, ერთი დაეფლა და ბევრნი აღდგეს, უფალი მოკუდა ყოველთათვის და აღდგა ყოველთა თანა და შეიმოსა კაცებაი, ამაღლდა მაღალთა ცად და შეწირა ძღუენი, არა თუ ოქროი არცა ქვანი პატიოსანნი, არამედ კაცი რომელ ქმნა ხატად თვისადა მსგავსად შექმნა. ხოლო ესე მამამან აღამაღლა და მარჯუენით საყდართა თვისთა დასუა მაღალთა და აღმატებულთა და ყო იგი მსაჯული ერისა და წინამძღუარ ანგელოზთა და მთავარ ქერობინთა, ხუროთ მოძღუარ იერუსალემისა..."

იუდაური ქრისტიანობა

ტერმინი "იუდაური ქრისტიანობა" მრავალმნიშვნელოვანია და მკვლევართა მიერ იგი სხვადასხვა აზრით გამოიყენება. პირველ ყოვლისა, ამ ტერმინით შეიძლება აღინიშნოს პალესტინური ქრისტიანობის თავდაპირველი ქრისტიანული ხანა, ე.ი. ხანა ებრაული წარმოშობის ქრისტიანებისა, რომელნიც პალესტინაში ცხოვრობდნენ და ცენტრი იერუსალიმის თემში ჰქონდათ (მათი საპირისპირო არიან წარმართული წარმოშობის ქრისტიანები). მაგრამ

უპირატესად ეს გამოთქმა იხმარება - და ჩვენც მას ასევე ვხმარობთ - იერუსალიმის თემიდან მომდინარე გარკვეული სექტანტური მიმართულებების აღსანიშნავად. ეს სექტები, როგორც განცალკევებული ჯგუფები, ჩნდება მას მერე, რაც იერუსალიმელი ქრისტიანები 66 წელს გარეკეს იორდანიის აღმოსავლეთში. ამ ერეტიკული იუდაური ქრისტიანობისათვის, რომელსაც აგრეთვე "ებიონიზმს" უწოდებენ (ძველი აღთქმისეული სიტყვაა ebjonim - "ღარიბნი"), რომელიც თავდაპირველად საპატიო სახელი იყო ქრისტიანებისათვის იერუსალიმში, დამახასიათებელია ებრაულ და ქრისტიანულ იდეათა ერთმანეთში აღრევა. იუდაურ-ქრისტიანებმა, როგორც ვარაუდობენ, ესენელთა სამონასტრო ორდენის ასიმილაცია მოახდინეს, რაც ჩვენს დროს, პირველ ყოვლისა, ეგრეთ წოდებული ქუმრანის მონაპოვრით გახდა ცნობილი. ებიონიზმის ისტორია, ძირითადად, ბნელით არის მოცული. არც შემორჩენილი წერილობითი ფრაგმენტები და არც საეკლესიო მამათა შენიშვნები არ იძლევიან დეტალურ სურათს ამ ჯგუფთა აზროვნების წესისა და ჩვევათა შესახებ. მაგრამ მათი რამდენიმე ძირითადი მიმართულება შეიძლება რეკონსტრუირებული იქნას.

ებიონიტები მკაცრად იცავდნენ მოსეს კანონს, მათი გარკვეული ნაწილი ამას სავალდებულოდ მხოლოდ თავისთვის მიიჩნევდა, უფრო მკაცრი მიმართულების მიმდევარნი კი ამას წარმართ-ქრისტიანებისთვისაც მიიჩნევდნენ სავალდებულოდ. ებიონიზმისათვის სხვა დამახასიათებელი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ელოდებოდნენ მესიის მიერ ეროვნული სახელმწიფოს დამკვიდრებას ქალაქ იერუსალიმის ცენტრში. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს იუდაიზმისა და ქრისტიანობის იდენტიფიკაციასთან.

საყოველთაო ეკლესია თავის თავს თუმცა ძველი აღთქმის საზოგადოების, ჭეშმარიტი ისრაელის გაგრძელებად მიიჩნევდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, რათა გადაჭრით უარეყო იუდაური არსი და კანონის იუდაური გაგება. მაგალითად, პაულე ებრძოდა იმათ, ვისაც წინადაცვეთის კვლავ შემოღება სურდა (გალატელთა მიმართ 5) და ამტკიცებდა, რომ ქრისტეში თავისუფლება გამორიცხავს კანონის დაცვის გზით სიარულს. რაც შეეხება ებიონისტებს, ისინი იცავდნენ იუდაურ წესებს და საზოგადოებისათვის მათ სავალდებულოდ მიიჩნევდნენ. ამიტომ მათ უარყვეს კანონის პავლესეული განმარტება და მისი ეპისტოლენი არ მიიღეს.

იუდაურ-ქრისტიანულ ნაწერებში, რომელთაგან უმნიშვნელოვანესნი არიან ეგრეთ წოდებული ფსევდოკლიმენტიოსები, და რომელნიც, სხვათა შორის, შეიცავენ "პეტრეს ქადაგებას" სხვა რამდენიმე აპოკრიფულ სახარებასთან ერთად, ქრისტე გათანაბრებულია ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებთან. მათი აზრით, ქრისტეში გამოცხადდა "ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი", რომელიც მასზე ადრე გამოცხადებული იყო ადამში და სხვა წინასწარმეტყველებში. აზრი იმის შესახებ, რომ ქრისტე ახალი მოსეა, ადასტურებს იუდაიზმისა და ქრისტიანობის ერთიანობას, რაც ებიონიზმისათვის დამახასიათებელია. ქრისტე გაგებულ იქნა, როგორც "ადამიანი, ადამიანთაგან შობილი" (იუსტინე, დიალოგი ტრიფონთან, 48) ან, როგორც ამას შემდგომში

ხშირად გამოთქვამდნენ, "მხოლოდ როგორც ადამიანი" (psilos anthropos). ებიონიტები, ამგვარად, უარყოფდნენ ქრისტეს არსებობას მის დაბადებამდე (მის პრეექსისტენციას). ხოლო ებიონიტთა გარკვეული მიმართულებანი უარყოფდნენ აგრეთვე მის განსხეულებას, განკაცებას და მის შობას ქალწულისაგან. მათ მიაჩნდათ, რომ ქრისტემ მონათვლის დროს მიიღო სულიწმიდა და ამის მეშვეობით იგი არჩეულ იქნა მესიად და ღვთის ძედ. ადამიანთა ხსნა, მათი აზრით, არ იყო დაკავშირებული ქრისტეს სიკვდილთან და აღდგომასთან, არამედ მხოლოდ მის მეორედ მოსვლასთან, რადგანაც ებიონიტები, ამქვეყნიური ათასწლოვანი სასუფეველის დამკვიდრებას ელოდნენ.

ასეთი აზრების გამო ებიონიზმი უკვე საეკლესიო მამებთან მიჩნეული იყო ისეთი ქრისტოლოგიის პროტოტიპად, რომელიც ქრისტეს აღიქვამს და იღებს, მხოლოდ როგორც ადამიანს. რაც შეეხება მის ღვთის ძედ მიჩნევას, ეს ხდება უშუალოდ მისი ნათლობისა და აღდგომის დროს (ადოპტიანური ქრისტოლოგია). ამასთანავე, ამ ქრისტეს ყველა ღვთაებრივი ატრიბუტი უარყოფილია.

საკითხს ისტორიულად თუ განვიხილავთ, იუდაურ ქრისტიანობას ქრისტიანული თეოლოგიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია. იგი სხვადასხვა ჯგუფად დაიყო და შედარებით მალე შეწყვიტა არსებობა. როგორც ვარაუდობენ, მისმა არსებობამ დიდი-დიდი 350 წელს გასტანა. სამაგიეროდ, გარკვეული შუამავალი რგოლების მეშვეობით მან დიდი ზეგავლენა მოახდინა ისლამზე, სადაც მისთვის ნიშანდობლივი შეხედულებანი კვლავ დაბრუნდნენ, მაგალითად, აზრი ჭეშმარიტი წინასწარმეტყველის შესახებ და პარალელიზმი მოსესა და ქრისტეს შორის.

იუდაური ქრისტიანობა თუკი იუდაისტურ და ქრისტიანულ იდეათა შენარევს წარმოადგენს, გნოსტიციზმი არის ელინისტური რელიგიისა და ქრისტიანობის გაერთიანება. სწორედ ამის გამო, ებიონიზმი მკვეთრად უპირისპირდება გნოსტიციზმს, განსაკუთრებით მარკიონს, რომელიც მოსეს კანონს უარყოფდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მიმართულებაში ადგილი აქვს გნოსტიკურ და იუდაურ-ქრისტიანულ იდეათა კომბინირებას, მაგალითად, ელკესაიტებთან, რომელთა სახელი, როგორც ჩანს, პიროვნება ელკესაიდან მომდინარეობს, რომელიც შესაძლოა, ავტორია ამავე სახელწოდების ერთი ხელნაწერისა. მეორე მაგალითი ზემოთქმულის საილუსტრაციოდ არის კოლასელთა მიმართ (2) პავლეს ეპისტოლეში დასახელებული მეტოქეები, რომლებიც ასევე შენარევი გნოსტიკური და იუდაურ-ქრისტიანული ნიშნების მატარებელნი არიან. ამავე დროს მცდარი იქნებოდა ისეთი დასკვნის გაკეთება, რომელიც იუდაურ-ქრისტიანობის მთავარ მიმართულებებს თავისი სახეობისა და წარმოშობის მხრივ გნოსტიკურად მიიჩნევდა.

ნაწილი მეორე

აღმოსავლური (მართლმადიდებლური) ეკლესიის მოძღვრება ღმერთზე, ადამიანსა და სულიერ სამყაროზე

ღმერთი ძველი და ახალი აღთქმის მიხედვით

ძველ აღთქმაში ღვთის თვითგამოცხადების დამახასიათებელი არსებითი ნიშანია, უპირველეს ყოვლისა, მისი ერთადერთობა (მონოთეიზმი). ამის დამადასტურებელი ადგილები მრავლადაა ძვ. აღთქმაში, რომლიდანაც ჩვენ ერთ-ერთს მოვიყვანთ: "გესმოდენ ისრაელისა: უფალი ღმერთი შენი მხოლოი არს" (წიგნი მეორე სჯულისა, 6,4). ღვთის ამ ერთადერთობას ხაზს უსვამს, აგრეთვე, ახალი აღთქმა: "პირველი ყოველთა მცნებათაი ესე არს: ისმინე, ისრაელ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს" (მარკოზ 12, 29).

ღვთის შემდეგი არსებითი ნიშანია მისი ტრანსცენდენტურობა ყოფიერების მიმართ. ფორმალური მონოთეიზმი მოიპოვება, აგრეთვე, ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ეგვიპტეში ფარაონ ეხნატონის მიერ (1350 წ. ქ. შ-მდე) მზის ღმერთის თაყვანისცემისას. მაგრამ აქ ღვთაების არსება საესებით "სამყაროში მყოფია", მისი იმანენტურია. ესაა დამახასიათებელი ნიშანი ყველა ძველი აღმოსავლური რელიგიისა ისრაელის გარშემო.ძვ. აღთქმაში კი ღმერთი ქმედით მიმართებაშია სამყაროსა და ადამიანთან (დინამიკური იმანენტურობა). მაგრამ იგი თავისი ყოფიერებით და არსით ყოველივე სამყაროსეულს გადალახავს და მის მიღმა იმყოფება, მაშასადამე, ტრანსცენდენტურია. ღვთის ეს უმაღლესი ძლიერება და მისი ზე-სამყაროულობა ძვ. აღთქმის მრავალ ადგილას დასტურდება. "უკეთუ ცანი ცათანი ვერ შემძლებელ არიან შენდა, აწ ვითარმე სახლი ესე რომელ აღვაშენე სახელისა შენისა, იყოს საყოფელა შენდა? (III მეფეთა, 8,27). "აღთუ-ვჰხდე ცად, შენ მუნ ხარ, შთა-თუ-ვხდე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ" (დავით 138,8). ღმერთი არის შემქმნელი და აბსოლუტური მბრძანებელი კოსმოსისა, რის გამოც მათი არსი ურთიერთისგან განსხვავებულია. ყველაფერი, რაც არის, წარმოდგება ღვთის თავდაპირველი სიტყვისაგან და მისი თავისუფალი, პიროვნული ჩარევისაგან. "დასაბამად ქმნა ღმეთმან ცაი და ქუეყანაი. და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი" (დაბადება, 1, 1-3).

ღვთის სივრცის მიღმურობას ანალოგია მის ზედროულობაში აქვს. მაშინ როდესაც ძველი სამყაროს მითებში სამყაროს გაჩენის შესახებ თეოგონია (ე.ი. ღმერთთა ჩასახვისა და გაჩენის აღწერა) მათ არსებით ელემენტს წარმოადგენს, ღმერთი, ძვ. აღთქმის მიხედვით, ყოველივე დროულობას ჩამოშორებულია. იგი ვლინდება მხოლოდ თავისი გამაწმიდანებელი ქმედობებით და არასოდეს - თავისი არსით. თაობები იცვლებიან, მაგრამ ღმერთი მამათა იგივეა, იდენტურია. "მე ვარ ღმერთი, რომელი ვარ" (გამოს-

ვლათა 3,4); "ვინ იმოქმედნა და ყვნა ესენი, უწოდა მას მწოდებელმან მისმან დასაბამითგან ნათესავთათ: მე ღმერთი პირველი და მომავალთა შინა მევე ვარ" (წინასწარმეტყველება ესაიასი 41,4). ღმერთი საერთოდ მაღლდება დროზე, იგი მისი მიღმურია. "პირველ მთათა დაბადებამდე და შექმნად ქუეყანისა და სოფლისა და საუკუნითგან და უკუნისამდე შენ ხარ" (დავით 89, 2). ასევე აბსოლუტურად განსხვავდება ღმერთი ყოველგვარი სამყაროსეულისაგან. ამიტომ ადამიანისაგან ყოველგვარი აღრევა ღვთისა სამყაროსთან ღვთის წყრომას იმსახურებს. ეს ვითარება მკვეთრ გამოვლინებას პოულობს სიტყვა "წმიდაში". თავდაპირველად ეს ცნება ადგილთანაა დაკავშირებული. "და ვითარცა განიღვიძა იაკობ ძილისა მისგან, თქუა, რამეთუ: არს უფალი ადგილსა ამას და მე არა ვიცოდე, და შეეშინა და თქუა: ვითარ საშინელ არს ადგილი ესე. არა არს სხუაი ესე, გარდა სახლი ღმრთისაი და ესე ბჭე ზეცისაი" (დაბადება 28, 16-17). "ხოლო უფალმან თქუა: ნუ მოეახლები აქა! წარიხადენ ხამლნი ფერხთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა სდგა შენ, ქუეყანა წმიდა არს" (გამოსვლათა 3,5). მაგრამ ამ ცნების მიღმა უკვე არსებობს გამოცდილება ღვთის შიშის განცდისა, ე.წ. mysterium tremendum-ი, გამოცდილება ღვთის ონტიური (ყოფიერების მიხედვით, ყოფიერებითი) და ეთიკური სიწმინდისა, რომელიც ყოველგვარ არაწმინდას უარყოფს. "რამეთუ მე ვარ უფალი თქუენი და არა შეაგინნეთ სულნი თქუენნი ყოველთა მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი. და განიწმიდენით და იყვენით წმიდაი, რამეთუ წმიდაი ვარ მე უფალი და არა შეაგინნეთ სულნი თქუენნი ყოველთა ამათგან ქუეწარმავალთა, რომელნი იბრძვიან ქუეყანასა ზედა" (ლევიტელთა, 11, 44-45).

უკვე ძველ აღთქმაშივე ასევე ნათლად გამოსჭვივის ღვთის პიროვნული ბუნება, პერსონალურობა, როგორც ღვთის სულის ყოფიერების უშინაგანესი არსი. ღმერთი ისრაელს ეცხადება მოსესა და წინასწარმეტყველთა მეშვეობით, როგორც მეტყველი და საკუთარი თავის აბსოლუტურად განმგებელი პიროვნება, რომელსაც უზენაეს ხარისხში ახასიათებს ნებელობა და თავისუფლება, შემეცნება და სიბრძნე. "მე"-ს ფორმით ღვთის გამოცხადების დადასტურება უხვად მოიპოვება ძვ. აღთქმაში (შდრ. გამოსვლათა 3, 14 და სხვა). ასევე, უკვე ძვ. აღთქმაშივე, ღვთის ზეაღმატებულ პიროვნულ სულიერ ყოფიერებაზე მეტყველებენ პერსონიფიცირებული გამოცხადებანი ღვთიური სიბრძნისა (შდრ. იგავთა 8 და სხვა), სიტყვისა (შდრ. დავითი 118,9 და სხვა) და სულისა (შდრ. წინასწარმეტყველება ესაიასი 63, 10) და სხვა), რომელნიც, რა თქმა უნდა, ახალ აღთქმაში უფრო ნათლად ვლინდებიან.

ფუნდამენტური დაფუძნება ახალი აღთქმისა ძვ. აღთქმაზე უშუალოდ ვლინდება ერთი და იმავე ღმერთის იდენტურობის გამოვლენით. გნოსტიკოსთა მიერ მტკიცება იმისა, რომ ძველსა და ახალ აღთქმას შორის არსებობს წინააღმდეგობა, უარიყოფა სახარების ყოველი გვერდით. ასევე ფართოდ გავრცელებული ფორმულირება, რომ, ძვ. აღთქმა ღაღადებს სამართლიანობის ღმერთზე, ხოლო ახალი აღთქმა - სიყვარულისაზე, წარ-

მოადგენს ფაქტობრივი მხარის დამახინჯებულ გაუბრალოებას, რომელიც ჯეროვნად ვერ ასახავს ვერც ძვ. აღთქმასა და ვერც ახალს. სინამდვილეში ახალი აღთქმა მთელი თავისი შრეთა სიგრძე-სიგანით იღებს ძვ. აღთქმის ღვთის გამოცხადებას, განავითარებს მას და მიჰყავს კულმინაციამდე. "მრავლით კერძო და მრავლით სახით მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინასწარმეტყველთა მიერ, ხოლო უკანასკნელთა ამათდღეთა მეტყოდა ჩუენ ძისა მიერ თვისისა" (ებრაელთა მიმართ, 1,1 და შდრ. საქმე 3, 13-26).

წმ. სამება მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრების მიხედვით

მართლმადიდებლური რწმენის შეხედულებას წმ. სამებაზე მოკლედ დავახასიათებთ კაპადოკიელი წმ. მამების მიხედვით - ბასილ დიდი (+379 წ.), გრიგოლ ნოსელი (+394), გრიგოლ ნაზიანზელი (+390).

აქ, პირველ რიგში, საქმე ეხება წმ. სამების წევრების ურთიერთმიმართებას. ამ მიზნით ანსხვავებენ ცნებებს ousia-სა და hipostasis-ს. თუკი პირველი აღნიშნავს ღვთაების მთლიან არსს, მეორე დამოუკიდებელი არსებობის აღმნიშვნელია და მას უთანადებენ სიტყვა prosopon-ს, პერსონას, პიროვნებას. წმ. ბასილ დიდი ამ ცნებათა მნიშვნელობას უფრო ახლო განმარტავს: ცნება ადამიანისა აღნიშნავს საყოველთაოს, რაც ყველა ადამიანისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ცალკეული ადამიანი, მაგალითად პავლე ან ივანე, გარკვეული ნიშნების მქონეა, რაც მას სხვა ინდივიდუუმებისაგან განასხვავებს. პავლეს და ივანეს დამოუკიდებელი მყოფობა ახასიათებთ, მაგრამ ამავე დროს აქვთ რაღაც საერთო, სახელდობრ ის, რომ ისინი ადამიანები არიან და საყოველთაო ცნება ადამიანს განეკუთვნებიან. ამით მათი საერთო არსი (ousia) მოცემულია: მაგრამ ცალ-ცალკე, თავისთავად, ისინი პიროვნებები არიან და აქვთ დამოუკიდებელი არსებობა (hipostasis). ჰიპოსტაზი, მაშასადამე, წარმოადგენენ არსებობის განსაკუთრებულ ფორმას, განსაკუთრებულ ნიშანს, სადაც საყოველთაო თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს. ეს არის ის, რაც თავის თავში და არა რაიმე სხვაში არსებობს.

თუკი ცნება "ჰიპოსტაზი" წმ. სამების შესახებ მოძღვრებაში გამოიყენება, მაშინ ამით აღნიშნავენ იმას, რომ სამ პიროვნებას განსაკუთრებული თვისებები და ნიშნები ახასიათებთ, რომელთა მეშვეობითაც ისინი ერთურთისაგან განსხვავდებიან და თავიანთი განსაკუთრებული არსებობის ფორმით ვლინდებიან. ერთდროულად ისინი წარმოადგენენ ერთ ღვთაებრივ არსებას. წმ. სამების შესახებ მოძღვრების ასეთ ჩამოყალიბებას, ჩვეულებისამებრ, შემდეგ ფორმულაში აჯამებენ: mia ousia treis hiypostasis ("ერთი არსი, სამი პიროვნება"). საკითხს ჰიპოსტაზთა ნიშნების შესახებ კაპადოკიელები პასუხობენ მათი ურთიერთმიმართებიდან. მამა არის agennetos-ი ("არდაბადებული"), ძე - მამისაგანაა შობილი, სულიწმიდა გადმოდის მამისაგან ძეში და მისგან ვლინდება. რაც წმ. სამების პიროვნებებს ურთიერთმიმართებაში

ახასიათებთ, იგივე ვლინდება ღვთაებრივი ქმედობის აღწერისას: მამა არის ამ ქმედობის პრინციპი, ძე - შემსრულებელი, სულიწმიდა - ქმნილების დამაგვირგვინებელი.

რასაკვირველია, ყოველივე ზემომომყვანილი წარმოადგენს ფილოსოფიური ტერმინოლოგიის მოშველიებით ფორმალურ განსხვავებებს იმისა, რაც მოცემულია რწმენის შინაარსში ღვთაებრივი ბუნებისა და სამპიროვნულობის შესახებ. რაც შეეხება მათ უფრო ახლო და ღრმა განსაზღვრას, ეს როგორც ამას ხაზს უსვამენ წმ. მამები, წარმოადგენს უდიდეს საიდუმლოს წმ. სამებისა (mysterium trinitatis), რაც ჩვენი შემეცნების ზღვარს სცილდება.

ღვთისა და სამყაროს ურთიერთდამოკიდებულება. სამყაროს გაჩენა

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი) გადაჭრით უარყოფს მატერიის (ნივთიერი სამყაროს) უსაწყისობას. ყველაფრის დასაბამი ღმერთია და ყოველივეს იგი ქმნის. ხოლო რასაც დასაბამი გააჩნია, ბუნებრივია, იგი დასასრულსაც პოვებს. ღმერთი არა მარტო მატერიის შემქმნელია, არამედ მისი ფორმისაც, რადგან წარმოუდგენელია მატერია უფორმოდ და ფორმა უმატერიოდ. ამგვარად, მოკვდავი ხელოვანი თავის ქმნილებას მხოლოდ ფორმას ანიჭებს, იყენებს რა მზა მატერიას. ღმერთი კი უმაღლესი გაგებითაა ხელოვანი: იგი ორივეს ქმნის. ყოველი ხილული და უხილავი სამყაროს მიღმა დგას ღმერთი, როგორც მისი შემოქმედი. თავად ღმერთი კი პიროვნული და უსაწყისო არსებაა.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ გამოავლინა ღმერთმა თავისი შემოქმედებითი ყოვლადძლიერება და რატომ შექმნა სამყარო, ამაზე, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი იუწყება, რომ ღმერთი არა მარტო ყოვლადძლიერი არსებაა, არამედ- ყოვლადკეთილიც, და რომ მას თავისი ყოვლადძლიერებით ყოველთვის შეეძლო და თავისი უსასრულო სიკეთით ყოველთვის სურდა შეექმნა სამყარო არსებათა, რომელთაც შეეძლებოდათ დამტკბარიყვნენ მისი სიკეთის მადლით. რადგან, განაგრძობს იგი, სიკეთისათვის არაა საკმარისი მხოლოდ საკუთარი თავის ჭვრეტა, არამედ საჭიროა, რომ ის განუწყვეტლივ ვითარდებოდეს, რათა მისგან კეთილყოფილ არსებათა რიცხვმა იმატოს. ამიტომ ღმერთი ჯერ ანგელოზურ და ზეციურ ძალებს იაზრებს, რადგან ყოვლადძლიერი არსებისათვის საკმარისია რაიმეს მარტოოდენ გააზრება, რომ იგი სინამდვილედ იქცეს.

შექმნა დაიწყო შემდეგი თანამიმდევრობით. პირველად შეიქმნა მეორადი სინათლენი, რომელნიც წარმოადგენენ პირველი, უმაღლესი სინათლის ანარეკლს. ესენი არიან ის გონიერი სულნი, რომელნიც ღვთის ირგვლივ იმყოფებიან - ანგელოზთა იერარქია. პირველი, რაც შექმნა შემოქმედმა ხილულ სამყაროში, ეს იყო სინათლე, რომელმაც მოსპო მანამდე არსებული წყვდიადი და ქაოსი. მაგრამ ეს სინათლე არ წარმოადგენს მზის სინათლეს,

იგი არ არის მოთავსებული რაიმე სხეულში, არამედ შემდეგ ენიჭებათ სხეულებს. ყოველივე იქმნებოდა თანდათანობით, ზებუნებრივი კანონებით, ხოლო ბოლოს შეიქმნა ადამიანი. ეს ფაქტი - ადამიანის ბოლო რიგში შექმნისა, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, გასაკვირი არ არის, რადგან ადამიანი აღიარებულია ხილული სამყაროს მეფედ, ხოლო მეფის მობრძანებისათვის ჯერ საჭიროა მომზადდეს მისი საბრძანებელი და შემდეგ მოვიდეს იგი სხვა ქმნილებათა თანხლებით.

ახლა საკითხავია: თუკი ღმერთი უკეთილესი და უსრულყოფილესი არსებაა და მან ეს სამყარო ასევე უსრულყოფილესად შექმნა, მაშინ საიდან აღმოცენდა ბოროტება სამყაროში? სად უნდა ვეძებოთ მიზეზი ბოროტებისა, რომელსაც ესოდენი არევ-დარევა შემოაქვს სამყაროს წესრიგში? ამის საპასუხოდ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი აცხადებს, რომ ბოროტების შემქმნელი არავითარ შემთხვევაში ღმერთი არაა და რომ მან სამყარო უსრულყოფილესად შექმნა, თავად ბოროტებას არ გააჩნია არც განსაკუთრებული არსი და არც სამეუფო, იგი არ არის არც უსაწყისო და არც თავისთავადი. ბოროტება, ამბობს იგი, ჩვენვე წარმოვქმნით ჩვენივე დაუდევრობით და მისი აღმძვრელი სატანაა. მაშასადამე, ბოროტება, როგორც ასეთი, არ იქმნება ღვთისაგან, არამედ იგი გამომდინარეობს ქმნილებათაგან (ე.ი. სატანაც ქმნილებაა). მაგრამ საკითხავია: თუკი ქმნილებანი ღმერთმა სრულყოფილად შექმნა, მაშინ როგორღა გახდნენ ისინი მიზეზი სამყაროში არსებული ბოროტებისა? ამის პასუხს იძლევა ქმნილებათა ბუნების განხილვა. დაბალ საფეხურზე მდგომ ქმნილებებს, რომელნიც არიან უგუნურნი და სხეულის მქონენი, ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ამიტომ განსახილველია მხოლოდ გონიერ არსებათა ბუნება - სულთა და ადამიანისა, რომელნიც ღვთის მთავარ ქმნილებებს წარმოადგენენ.

მოძღვრება სულთა შესახებ

პირველი სინათლე, - ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი), - უმაღლესი, მიუდგომელი, გამოუთქმელი, გონებით მიუწვდომელი, სიტყვით გამოუხატავი, რომელიც ანათლებს ყოველ გონიერ ქმნილებას - არის ღმერთი. მეორე სინათლენი - პირველი, სრულყოფილი სინათლის ანარეკლნი - წარმოადგენენ ძალებს, რომელნიც ღვთის ირგვლივ იმყოფებიან. ესენი არიან მომსახურე სულები. თავიანთი ბუნებით ეს სინათლენი გონიერი სულები არიან. ისინი მარტივ-სულიერი აგებულებისანი არიან, სინათლით არიან განმსჭვალულნი და წარმოადგენენ თითქოს უსხეულო და არამატერიალურ ცეცხლს, რომელთაც არ გააჩნიათ ხორციელი საწყისი და არც შედიან სხეულში, არამედ რჩებიან ისეთნი, როგორადაც შექმნეს. ანგელოზური ბუნება, - ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, - სულად და ცეცხლად იწოდება. სულად - როგორც ზეგრძნობადი, ცეცხლად - როგორც განმწმენდელი, რადგან უმაღლესი არსებაც იმავე სახელებს ატარებს. არიან რა უხორცონი, მათ გონება აქვთ მიმადლებული, მაგრამ არა აბსოლუტური და

განუსაზღვრელი გაგებით - ისე, რომ თავიანთი ბუნებით შეეძლოთ სრული ჭეშმარიტების ცოდნა, არამედ - შეზღუდული გაგებით, რადგან ისინი პირველი სინათლიდან ნათლდებიან.

უმაღლესი სულები ანუ ანგელოსები თავიანთი გამუდმებით და უშუალო ურთიერთობით სიკეთისა და სიწმინდის წყაროსთან - ღმერთთან კეთილი და წმინდა არიან, მაგრამ არა უცვლელად ან რაიმე ბუნებრივი აუცილებლობის გამო: მიუხედავად იმისა, რომ დიდად არიან მიდრეკილნი სიკეთისაკენ, ისინი თავიანთ თავში შეიცავენ აგრეთვე ბოროტების უნარსაც, ე.ი. ცოდვის ჩადენა მათთვის შეუძლებელი არ არის, თუმცა კი ბოროტებისაკენ მიდრეკილება მათში გაცილებით სუსტია, ვიდრე სიკეთისაკენ ლტოლვა. ისინი ამიტომ უახლოვდებიან სრულყოფილ, და მაშასადამე, უცოდველ მდგომარეობას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი არ შეიძლება ჩაითვალონ ბოროტების ვერ-შემძლებლად და ამ მხრივ უუნაროდ. ამიტომ არ უწოდებს მათ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ბოროტების მიმართულებით უძრავ, არამედ - ბოროტების მიმართულებით ძნელად აღსაძვრელთ. სხვაგვარად, ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, შეუძლებელი იქნებოდა დაცემა ერთ-ერთი უმაღლესი სულისა და მისი გარდაქმნა ეშმაკად.

რაც შეეხება უმაღლესი სიკეთისა და სიწმინდის უნარს, ეს, წმ. გრ. ღვთისმეტყველის მიხედვით, სულებმა (ისევე, როგორც სხვა ქმნილმა არსებებმა) სულიწმიდისაგან მიიღეს.

საკითხს, რაში მდგომარეობს სულთა ქმედება, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი შემდეგნაირად პასუხობს: ისინი ემსახურებიან ღვთაებრივ ნებას. თითოეული სული მიჩენილია შემოქმედისაგან სამყაროს გარკვეულ ნაწილზე, როგორც მბრძანებელი. ისინი მეთვალყურეობენ ადამიანებს, ქალაქებსა და მთელ ერებს. ანგელოზები წარმოადგენენ არსებებს, რომელნიც შუამავალნი არიან ღმერთსა და ადამიანებს შორის: ემსახურებიან რა ღმერთს, ისინი, იმავე დროს, ადამიანთა მსახურნი არიან და ეხმარებიან მათ მორალურ სრულყოფასა და მარადიული ნეტარების მოპოვებაში.

როგორც დავინახეთ, სულებში მოცემულია იდეა სხვადასხვაგვარ ცვლილებათა შესაძლებლობისა და ის გარემოება, რომ ისინი სავსებით თავისუფალნი არიან, განაპირობებს მათ უნარს, როგორც თავიანთი სრულყოფისაკენ, ასევე - დაცემისაკენ. სწორედ ამ უნარის არსებობამ და თავისუფალმა არჩევანმა განაპირობეს ერთ დროს ამაღლებული სულის სიამაყე და შური, რომელმაც მოინდომა თავისი თავის ღმერთად აღიარება, რასაც შედეგად მოჰყვა მისი დაცემა და მისი სინათლის წყვდიადად გადაქცევა. აჯანყდა რა ღვთის წინააღმდეგ, მან გამოიწვია შფოთი აგრეთვე თავის მსგავს არსებათა შორის, გადასდრიკა ღალატისაკენ ზეციური მხედრობის ნაწილი და თან გაიყოლა ისინი. ამის შემდგომ მოგვევლინა "სიმრავლე ზეციური ბოროტებისა, დემონებისა და ბოროტი მეფის მიმდევართა". აღმოცენდა რა ერთხელ თავისუფალ სულთა სამეუფოში, ბოროტება, ბუნებრივია, არ შეიძლებოდა დარჩენილიყო თავდაპირველ მდგომარეობაში, არამედ უნდა განვითარებულიყო და გამოვლენილიყო სხვადასხვა სახით. რამდენადაც

ანგელოზები სრულ მორჩილებაში და თანხმოვნებაში არიან ღმერთთან, ამდენადვე ეშმაკი უპირისპირდება მას; რამდენადაც ანგელოზთა შორის სრული მშვიდობა და უშფოთველობა სუფევს, იმდენად ეშმაკი შინაგან ბრძოლასა და თავის თავთან დაპირისპირებას განიცდის, რამდენადაც ანგელოზნი მოსწრაფენი არიან სიკეთის სათესად და მის ხელშემწყობად, იმდენად ეშმაკი ილტვის სიკეთის აღმოფხვრისა და ბოროტების გავრცელებისაკენ. ამიტომ დაცემული სულნი განუწყვეტელი შურით შეჰყურებენ ანგელოზებს და განუწყვეტლივ მიმდინარეობს ბრძოლა მათ შორის. მაგრამ რადგან ანგელოზთა იერარქია საკმაოდ ძლიერია და ბოროტთა ხრიკებს წარმატებით უკუაგდებს, ამიტომ ბოროტი მთელ თავის მაცდუნებელ და გამხრწნელ ქმედებას შედარებით დაბლა მდგომ საფეხურზე მყოფ გონიერ არსებებზე - ადამიანებზე წარმართავს, ხოლო ამ უკანასკნელთა მეშვეობით ბოროტება ვრცელდება მთელ ხილულ სამყაროში. მაგრამ რომ გავიგოთ ბოროტი სულის ზემოქმედება ადამიანზე, ამისათვის საჭიროა ამ უკანასკნელის ბუნების გაცნობა.

მოძღვრება ადამიანზე

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) მიხედვით, მას მერე, რაც ღმერთმა შექმნა მეორე სინათლენი - უმაღლესი, გონიერი სულნი და ხილული მატერიალური სამყარო, მან მოისურვა ისეთი არსების შექმნა, რომელშიც შერწყმული იქნებოდა ორი შექმნილი დაპირისპირებულობა- ხილული და უხილავი - სული და მატერია. ასეთი არსება იყო ადამიანი. ამ მიზნით ღმერთმა აიღო უკვე შექმნილი ნივთიერებისაგან სხეული და "შთაბერა მას სული თვისი" (რაც წარმოადგენდა გონიერ სულს და ხატს ღვთისას). ამგვარად, ღმერთმა თითქოს მეორე სამყარო შექმნა - უდიდესი უმცირესში, მიწაზე დაუშვა მეორე ანგელოზი - ადამიანი, თავისი თაყვანისმცემელი, რომელიც შედგება სხვადასხვა ბუნებისაგან, მიწიერისა და ზეციურისაგან, მოკვდავისა და უკვდავისაგან, და რომელსაც უკავია შუა ადგილი დიდებასა და არარაობას შორის, და რომელიც ერთსა და იმავე დროს ხორციცაა და სულიც. ამგვარად, ადამიანი ყველა სხვა ქმნილებათა მერე შექმნილია და შეიცავს თავის თავში ორ ბუნებას - სულიერსა და გრძნობადს; იგი წარმოადგენს რაღაც საშუალოს - უმაღლეს, სულიერ-გონიერ არსებათა და უმდაბლეს, მატერიალურ სამყაროს შორის. ენათესავება რა თავისი გონიერი სულით, რომელიც ღმერთმა შთაბერა, უხილავ, სულთა სამეუფოს, ადამიანი, თავისი გრძნობადი ბუნებით იმავე დროს დგას მატერიალურ-უგუნურ ნივთიერ სამყაროში. თუ რას წარმოადგენს ხილული, სხეულებრივი ბუნება ადამიანისა, ეს ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია. ახლა შევეხოთ მის სულიერ ბუნებას.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, პირველ ყოვლისა, უარყოფს პითაგორისეულ მოძღვრებას სულის შესახებ - მეტემპსიქოზს. შემდეგ კი ორიგენისას - სულთა სხეულში შესვლამდე არსებობის შესახებ. მისი აზრით,

სხეულის გაჩენისას სული იდუმალი გზით ერთიანდება მასთან, ხოლო მეტის თქმა ამ საკითხზე მას მიაჩნია ადამიანის ძალებზე ზეაღმატებულად. წმ. წერილის თანახმად, სული წარმოადგენს "ხატს ღვთისას", როგორც ასეთს, ადამიანის სულს, ცხადია, არა აბსოლუტური გაგებით, უნდა ჰქონდეს ღვთაების თვისებანი: თუკი ღმერთი არის უსასრულო სული, მაშინ ადამიანის სულიც არამატერიალური არსებაა; თუკი ღმერთი არის უწმინდესი გონება, მაშინ ადამიანის სულიც გონიერია; თუკი ღმერთი თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებაა, მაშინ ადამიანის სულიც თავისუფალი უნდა იყოს; დასასრულ, თუკი ადამიანის სული "უკვდავების ხატია", მაშინ იგი არ შეიძლება იყოს მოკვდავი. რაც შეეხება სხეულს, იგი - ზოგიერთი აღმოსავლური შეხედულებისა და ნაწილობრივ, ბერძნული ფილოსოფიის წარმოდგენის საპირისპიროდ, რომელნიც აღიარებდნენ მას, როგორც ბოროტ საწყისს - მიჩნეულია ღვთის მიერ ბრძნულად შექმნილი სულის ორგანიზმად, რომლის შეზღუდვა, ამავე დროს, აუცილებელია, რადგან იგი ხშირ შემთხვევაში უპირისპირდება სულს და აბრკოლებს მის ზეაღსვლას. მაგრამ სად უნდა ვეძებოთ მიზეზი ამ შინაგანი ბრძოლისა სულსა და სხეულს შორის? რამ გამოიწვია ეს დისჰარმონია ადამიანის არსში? წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ამაზე პასუხობს მოძღვრებით პირველ ადამიანთა შეცოდების შესახებ, რამაც მათში დაამახინჯა "ხატი ღვთისა", დაარღვია თავდაპირველი ჰარმონია "მიწიერისა" და "ზეციერისა" და გამოიწვია შინაგანი განხეთქილება, როგორც მათ საკუთარ არსებაში, ასევე მთელ მათ შთამომავლობასა და ხილულ ბუნებაში.

მოძღვრება ადამიანის შეცოდებაზე და მის შედეგებზე

ღვთაებრივი განგება

ბოროტება, რომელიც დაიწყო უმაღლეს სფეროში გონიერ-თავისუფალ არსებათა შორის, გავრცელდა ადამიანზეც. როგორც იქ, ისე ამ უკანასკნელთან ეს მოხდა არა ყოვლადკეთილი შემოქმედის ნება-სურვილით, არამედ, ამის მიზეზი იყო თვით შექმნილი არსებანი, მათი თავისუფლებიდან ამოსული წინააღმდეგობა ღვთისადმი. ასე რომ, ადამიანის შეცოდებაში ბრალი თვით ადამიანსვე მიუძღოდა. ამ დროს კი ღმერთმა ადამიანი შექმნა უსრულყოფილესად, ე.ი. მასში არ იყო ბოროტება. როგორც ხატი ღვთისა, იგი ენათესავებოდა და ახლო მყოფი იყო ღმერთთან, ატარებდა რა თავის უკვდავ სულში გონებასა და თავისუფალ ნებას - რასაკვირველია, არა აბსოლუტური სრულყოფილების გაგებით, როგორც სხეულის მქონე. ხოლო ეს უკანასკნელი მას შესძინა ყოვლად ბრძენმა შემოქმედმა, რათა ადამიანს არ შეეცოდა სატანის მსგავსად, თუკი იგი მარტოოდენ სულიერ არსებად დარჩებოდა. ამიტომ შემოქმედმა ადამიანის სულიერი ბუნება გააერთიანა ნივთიერთან, ხოლო ეს უკანასკნელი - შეზღუდული ბუნებისაა, რისი წყალობითაც ადამიანი უსასრულოდ შორდება ღმერთს. თავდაპირველად სრული ჰარმონია სუფევდა ადამიანის ქვე და ზე

ბუნებას - ნივთიერსა და სულიერს შორის. ეს ჰარმონია შენარჩუნებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი უცვლელი დარჩებოდა თავის ზნეობრივკეთილ ქმედებაში. მაგრამ ის ფაქტი, რომ იგი იყო შექმნილი არა აბსოლუტური გაგებით გონიერ-თავისუფალ არსებად, განსაზღვრავდა იმას, რომ ადამიანი თავისთავში შეიცავდა უნარს, როგორც სიკეთის კეთებისა, ასევე - ბოროტებისა. არჩევანი მის თავისუფალ ნებაზე იყო დამოკიდებული.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ბიბლიის მოთხრობას ჩვენი წინაპრების შეცოდებაზე განიხილავს, როგორც ისტორიული, ასევე ალეგორიულ-იდუმალი გაგებით. შექმნა რა ადამიანი თავისი ხატისა და მსგავსების მიხედვით, ამბობს იგი, ღმერთმა მოათავსა ის სამოთხეში და დაავალა უკვდავი მცენარეების დამუშავება. ეს მცენარეები, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიხედვით, ღვთაებრივი აზრები იყვნენ, როგორც მარტივნი, ასევე უფრო სრულყოფილნი. მოათავსა რა სამოთხეში "შიშველი", როგორც მართებდა პირველშექმნილს, ღმერთმა ადამიანს მისცა კანონი, რათა მასზე გამოეცადა თავისი თავისუფლება. ეს კანონი კი იყო "მორჩილების მცნება", რომელიც უდგენდა ადამიანს რომელი მცენარეებით ესარგებლა და რომლით - არა. ეს უკანასკნელი იყო "ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა". წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიხედვით, ეს ხე ნიშნავდა ჭვრეტას, რომლის გამოყენება გამოუცდელისათვის ისეთივე საშიში იყო, როგორც ძუძუმწოვარასათვის მაგარი საკვების მიღება. ამგვარად, თუკი მცენარენი ღვთაებრივ აზრებს წარმოადგენდნენ, რომელთა ჭვრეტაც ნებადართული იყო შემოქმედის მიერ და ღვთის მცნება ადამიანს უკრძალავდა ჭვრეტით მხოლოდ გარკვეული ღვთაებრივი საგნის შეხებას, მაშინ გასაგები ხდება, თუ რაში უნდა ყოფილიყო შეცოდება პირველი ადამიანისა. ეს მდგომარეობდა ადამიანის გონების თვითდაჯერებულ აღმაფრენაში, განზრახვაში, ღვთის მცნების საწინააღმდეგოდ, ჩაწვდომოდა იმას, რაც ჯერ მისთვის მიუწვდომელი იყო და ამით ქცეულიყო უმაღლეს გონებად, ღმერთად, რომელმაც უწყის ყოველი კეთილი და ბოროტი. ასე რომ, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიხედვით, ჩვენი წინაპრის ცოდვა არსებითად იგივეა, რაც დაცემულ ანგელოზთა. როგორც აქ, ასევე იქაც - სიამაყე და დაუმოჩრილებლობაა ყოვლად ძლიერი შემოქმედის ნებისადმი. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ადამიანმა თვით კი არ გამოიგონა ცოდვა, არამედ იგი აცდუნა უკვე დაცემულმა გონიერმა ძალამ, რომელიც, ამასთანავე, მასზე მაღალი იყო. ადამიანმა დაივიწყა ღვთის მცნება, ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, და დაჰყვა ცდუნებას მოშურნე ეშმაკისა და ცოლისა, რომელიც პირველად აცდუნეს, როგორც უფრო სუსტი. ჩვენი წინაპრის შეცოდებას მოჰყვა ორგვარი შედეგი. პირველ ყოვლისა, მან დაკარგა (და შთამომავლობას დაუკარგა) ის სიკეთენი, რითაც ნეტარებდა სამოთხეში. ამის წილ მას ერგო ცხოვრება მძიმეზე უმძიმესი. მან დაკარგა უკვდავება და უახლოესი ურთიერთობა ღმერთთან. მეორე მხრივ, მან დაზიანა თვით ადამიანის ბუნება, პირველ ყოვლისა კი - გონება, რომელიც იყო ხატი ღვთისა. გონების დაზიანებასთან ერთად პირველყოფილმა შეცოდებამ გამოიწვია სხეულის დაზიანებაც. ადამიანის სხეული - სულის საცხოვრებელი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიხედვით, ჭვრეტაში სულის სრულყოფასთან

ერთად თანდათანობით უნდა დახვეწილიყო. ხოლო ადამიანის დაცემამ გამოიწვია ამ სხეულის გაუხეშება, რომელმაც გადასძალა ადამიანის სულიერ ნაწილს, გახადა რა იგი უფრო მიდრეკილი მიწიერი და გრძნობადი საგნებისადმი. ამგვარად, დაირღვა ის შინაგანი ჰარმონია, რომელიც სუფევდა ადამიანში და რომლის დროსაც ღვთაებრივი, ანუ სულიერი საწყისი ბატონობდა მატერიალურზე. პირველყოფილ შეცოდებას მოჰყვა აგრეთვე სხვადასხვაგვარ დაავადებათა აღმოცენება და სხეულის სიკვდილი. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, პირველყოფილი შეცოდების ბრალია ასევე ადამიანის გონების დაბნელება, როდესაც იგი მხოლოდ ხილულ ბუნებას სცნობს და არახილულს უარყოფს, რის შედეგადაც სხვადასხვაგვარი კერპთაყვანისმცემლობა აღმოცენდება. ასევე ამ შეცოდების ბრალია ადამიანთა ერთი ნაწილის გაბატონება მეორეზე.

მაგრამ ყოვლად კეთილ შემოქმედს არ შეეძლო ადამიანის ასე დატოვება. ადამიანი ისე ღრმად არ დაეცა, როგორც სატანა. მართალია, თავისი დაცემით ადამიანმა დაამახინჯა თავის თაუში ხატი ღვთისა, მაგრამ არ მოსპო იგი. დააბნელა გონება თვისი, მაგრამ არ აღუკვეთა ღვთაებრივი სინათლის გაგება. თვით დაცემულ მდგომარეობაში, ადამიანის გონება ილტვის ზესფეროსაკენ; მას სწყურია იგი და ეძებს ღვთაებრივ ნათელს. ადამიანმა დაამახინჯა თავისი ნება, მაგრამ არ მოსპო მასში უნარი სიკეთისა - მიუხედავად თავისი დაცემისა, მასში სიკეთის სურვილის უნარი არ მოსპობილა. ამიტომ მას შეუძლია მოახდინოს არჩევანი სიკეთის სასარგებლოდ. ამავე დროს, მართალია, ადამიანმა თვითვე დაარღვია ღვთის მცნება, მაგრამ ეს მოხდა, როგორც ვთქვით, ეშმაკის ცდუნებით და ადამიანური ბუნების სისუსტის გამო, ამიტომ, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, ადამიანში თუმცა ცოდვაა ჩაბუდებული, მაგრამ იგი "განუკურნავი" არაა. ამიტომ ყოვლად კეთილი შემოქმედი არ მიატოვებს თავის ქმნილებას, იგი თვითვე ილტვის ადამიანისაკენ, სურს აღადგინოს ის და დაუბრუნოს თავდაპირველ ნეტარ მდგომარეობას. ყოველივე ამაში ჩანს განგება ღვთისა. ის ფაქტი, რომ ღმერთი ადამიანს ყოფიერებას უნარჩუნებს და არ სპობს, რომ ყოველნაირად წარმართავს მას კეთილი მიზნებისაკენ და მისგან აღძრულ ბოროტებას კეთილი შედეგით აგვირგვინებს, სწორედ ამაზე მეტყველებს. არათუ რაიმე ქმედება, არამედ სულ მცირე აზრიც კი არ რჩება შეუმჩნეველი ღმერთს სულიერ სამყაროში. ამიტომ ღვთის შექმნილ სამყაროში შემთხვევითი არაფერია, ყველაფერი მის განგებას ემორჩილება. ხოლო ჩვენთვის, კაცთათვის, ღვთის საქმეთა გაგება, მთელი მათი სიღრმით, მიუწვდომელია. ამიტომ, ადამიანის ვალია რწმენით შეხედოს მაცხოვრის სიტყვებს, რომელნიც ღვთის განგებაზე მეტყველებენ.

• "რაითა იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაისა; რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა" (მათე 5, 45).

• "მიჰხედეთ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამაი თქუენი ზეცათაი ზრდის მათ, არამედ თქუენ უფროის უმჯობეს ხართა მფრინველთა?" (მათე, 6,26).

• "და სამოსლისათვის რაისა ჰზრუნავთ? განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ იგი აღორძინდეს! არა შურებინ არცა სთავენ, ხოლო გეტყვი თქუენ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი. უკეთუ თივაი იგი ველისაი, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნის, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არამე უფროის თქუენ, მცირედ მორწმუნენო! ნუ ჰზრუნავთ და იტყვით: რაი ვჭამოთ, ანუ რა ვსვათ, ან რაი შევიმოსოთ? რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ; რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რა გიხმს ამათ ყოველთაგანი. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ" (მათე, 6, 28-33).

• "ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდების? და ერთიცა მათგანი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თვინიერ მამისა თქუენისა. ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან. ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ". (მათე, 10, 29-31).

• "და აჰა ეს რა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ამინ" (მათე, 28, 20, შდრ. იოანე, 1, 9-13).

ადამიანის დაცემის შედეგად აღმოცენებული ცოდვების აღსაკვეთად, ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, უბრძნესმა ღვთაებრივმა განგებამ მრავალ საშუალებას მიმართა. იგი შთააგონებდა ადამიანს: სიტყვით, კანონით, წინასწარმეტყველთა მეოხებით, წყალობით, მუქარით, სასჯელით, წყალდიდობებით, ხანძრებით, ომებით, გამარჯვებებით, დამარცხებებით, ზეციური სასწაულებით, სასწაულებით ჰაერში, მიწაზე, ზღვაზე, ადამიანთა ბედის უეცარი მობრუნებით. მთელი ქალაქების, ერების ბედის ასეთივე უეცარი მობრუნებით, "ანუ იგი რომელ ათვრამეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა და მოწყდნა იგინი, ჰგონებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანა-მდებ იყვნეს უფროის ყოველთა კაცთა, რომელნი მკვდარ არიან იერუსალემს? გეტყვ თქუენ: არა, არამედ უკეთუ არა შეინანოთ, ყოველივე აგრეთ წარსწყმდეთ". (ლუკა, 13, 4-5). მაგრამ განსაკუთრებულ საშუალებად ადამიანთა მოქცევისათვის წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი მიიჩნევს ღვთის ბოძებულ კანონს. ეს კანონი, ცნობილი "ძველი აღთქმის" სახელწოდებით, ჯერ მიენიჭათ ებრაელებს, როგორც ღვთის პირველ თაყვანისმცემლებს, ხოლო შემდეგ სხვა დანარჩენ ხალხებს. მაგრამ ეს კანონი არ აღმოჩნდა საკმარისი, ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, ადამიანთა ცოდვებმა იმრავლა და ამ კანონმა ვერ შეძლო ადამიანის შეკავშირება ღმერთთან. როდესაც ადამიანურმა ცოდვებმა და ავადობამ თავის ზღვარს მიაღწია, მაშინ საჭირო გახდა თვით "ღვთის სიტყვის განკაცება", რათა ხსნილიყო ადამიანთა მოდგმა. ცხადია, ადამიანთა ხსნის დიადი საქმე ხდება არა მარტო სიტყვისაგან, ძისაგან, არამედ წმიდა სამების ყველა წევრთაგან.

ღვთაებრივი მადლის შესახებ

პირველყოფილი შეცოდების გამო ადამიანის დაცემის შემდეგ, მას, ადამიანს, აუცილებლად სჭირდება ღვთისაგან ხელშეწყობა თავისი სულის

სრულყოფისათვის. ეს ხდება ღვთის განსაკუთრებული მადლის წყალობით, რომელიც მას ანათლებს. "დაადგერით თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ თანა, ვითარცა - იგი ნასხლევსა ვერ ხელეწიფების ნაყოფისა გამოდებად თვით თვისით, უკუეთუ არა ეგოს ვენახსა ზედა, ეგრეთვე არცა თქუენ, უკუეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა. მე ვარ ვენახი და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი; რამეთუ თვინიერ ჩემსა არარაი ძალგიც ყოფად არცა ერთი. უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდეს გარე ვითარცა ნასხლევი და განხმეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან და დაიწუას" (იოანე, 15, 4-6). "ვერვის ხელეწიფების მოსვლად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა" (იოანე, 6, 44).

ღვთის ეს განსაკუთრებული მადლი ხორციელდება სულიწმიდის მეშვეობით. უმისოდ, მის დაუხმარებლად, ადამიანი ვერ შეძლებდა თავისი სულიერი მოვალეობის აღსრულებას. "არავის - ამბობს პავლე მოციქული, - ხელეწიფების თქუმად უფალი იესო, გარნა სულითა წმიდითა" (I კორინთელთა მიმართ, 12, 3). მაგრამ სულიწმიდის ეს ზემოქმედება, ადამიანზე ღვთაებრივი მადლის ეს გარდამოსვლა, არ ხდება რაიმე აუცილებლობის გამო, სხვა სიტყვებით - ჩვენი ხსნისათვის ღვთის ეს წყალობა არ ხდება ჩვენი დამსახურების მიხედვით, ვინაიდან დაცემულ ადამიანს ასეთი რამ არ გააჩნია, არამედ - მხოლოდ და მხოლოდ მისი კეთილი ნების გამო (ფილიპელთა მიმართ, 2, 13; ეფესელთა მიმართ, 1,5). ასე რომ, ღვთის ნება ადამიანის ხსნას ახორციელებს მხოლოდ იმიტომ, რომ სწყალობს მას, ე.ი. მას აქვს სიყვარული ტანჯული ადამიანისადმი. მეორე მხრივ, არავის აქვს უფლება მოითხოვოს თავისთვის ნეტარება, რადგან სულიწმიდის ჩაურევლად, ყოველგვარი დამსახურების მიუხედავად, ადამიანის ხსნა არ განხორციელდება, ვინაიდან იგი - არარაობაა. სწორედ ამას გვამცნობს ერთი იგავი სახარებიდან: "რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაი კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენახსა თვისსა. და აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულსა დრაჰკანი დღესა შინა და წარავლინნა იგინი ვენახსა თვისსა. და განვიდა იგი მესამესა ჟამსა და პოვნა სხუანი, მდგომარენი უბანთა ზედა უქმად, და ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენახსა ჩემსა და რაი იგი იყოს სამართალი, მიგცე თქუენ. ხოლო იგინი წარვიდეს და მერმე განვიდ მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა და ყო ეგრეთვე. ხოლო მეათერთმეტესა ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რაისა სდეგით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად? ხოლო მათ ჰრქუეს მას, ვითარმედ: არავინ დამიდგინნა ჩუენ. ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენახსა ჩემსა და რაი-იგი იყოს სამართალი, მიიღოთ. და ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა უფალმან საენახისამან ეზოის მოძღუარსა თვისსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც მათ სასყიდელი; იწყე უკანაისკნელითგან ვიდრე პირველთამდე. მოვიდეს მეათერთმეტისა ჟამისანი იგი და მიიღეს თითოი დრაჰკანი. მოვიდეს პირველისანიცა იგი და ჰგონებდეს, ვითარმედ უფროისა მიიღონ; და მიიღეს მათცა თითოი დრაჰკანი, ხოო მი-რაი-იღეს,

დრტვინვიდეს სახლისა უფლისა მისთვის და იტყოდეს, ვითარმედ: უკუანა-ისკნელთა მათ ერთი ხოლო ჟამი დაყვეს და სწორ ჩუენდა ჰყუენ იგინი, რომელთა ვიტვირთეთ სიმძიმე დღისაი და სიცხე. ხოლო მან მიუგო ერთსა მათგანსა და ჰრქუა: მოყუასო, არარას გავნებ შენ; ანუ არა ერთი დრაჰკანი აღგითქუ შენ? მიიღე შენი და ვიდოდე; ხოლო მე მნებავს უკანაისკნელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ. ანუ არა ჯერარსა ჩემდა, რაიცა მინდეს ყოფად ჩემსა ზედა? არამედ თუალი შენი ვიდრემდე ბოროტ არს, ხოლო მე სახიერი ვარ. ესრეთ იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (მათე, 20, 1-16). გარდა ზემოთქმულისა, ამ იგავიდან გამომდინარეობს ის, რომ სასუფეველი ცისა არ შეიძლება მოვიპოვოთ რაიმე წინასწარი გაანგარიშებით, კეთილ საქმეთა რაოდენობით, თუ მათ თან არ ახლავს შინაგანი გრძნობა სიყვარულისა, რომელიც ღმერთს შეუმჩნეველი არ რჩება. ამიტომ, მცირედი რამ, სიყვარულით ქმნილი, უფრო მეტად ფასდება უფლის მიერ, ვიდრე ბევრი და უსიყვარულოდ. ამიტომაა, რომ ყოვლისმცოდნე და ყოვლისგანმჭვრეტელ უფალთან ყოველგვარი ვაჭრობა ზედმეტია ზეციური სასუფევლის მოპოვების შესახებ. ღვთის სიბრძნემ უწყის, კაცთა შორის ვინ იქნებიან “რჩეულ“. ამიტომ არ არის სამოთხეში არც შური, არც დრტვინვა, არც დამამცირებელი ჯიბრი და დავა, ვისა აქვს უფრო მეტი “დამსახურება“ და ვის მცირე.

ღვთაებრივი მადლის შემცირება ადამიანში ხდება მაშინ, თუ იგი ბოროტად იყენებს ღვთისაგან ბოძებულ თავისუფალ ნებას, ხოლო ეს მადლი მატულობს, თუკი ადამიანი ღვთის სასურველ საქმეებს ახორციელებს. ამ პირობებიდან არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს, რომ ღვთაებრივი მადლი როგორღაც ზღუდავს ადამიანის თავისუფალ ნებას, რადგან მადლი ადამიანზე არა აუცილებლად ზემოქმედებს. “ხოლო მადლითა ღმრთისაითა ვარ, რაი-იგი ვარ და მადლი იგი მისი, რომელი ჩემდა მომართ იყო, არა ცუდად რაი იყო, არამედ უმეტეს მათ ყოველთასა დავშუერ; არა მე, არამედ, მადლი იგი ღმრთისაი, რომელი იყო ჩემ თანა“ (I კორინთელთა მიმართ, 15, 10). მოციქულის ამ სიტყვებში გამოთქმულია ის ჭეშმარიტება, რომ მადლი აუცილებელი იყო მისთვის ღვთის მსახურების საქმეში, მაგრამ ამავე დროს ნათელია, რომ მადლის მეშვეობით მისი თავისუფლება არ ისპობოდა და არც იზღუდებოდა, არამედ იგი მოქმედებდა თავისი სურვილისამებრ. საერთოდ, ღვთაებრივ მადლში სახარება გულისხმობს ყოველივე იმას, რასაც ღმერთი სწყალობს თავის ქმნილებებს ამ უკანასკნელთა მხრიდან ყოველგვარ დამსახურებათა გარეშე (რომაელთა მიმართ, 11, 6; წმ. მოციქული პეტრესი, პირველი, 5,10); ამიტომ ღვთაებრივ მადლს ყოფენ ორად: ბუნებრივ და ზებუნებრივ მადლად. ბუნებრივ მადლს განეკუთვნება ღვთის ყველა ის წყალობა ქმნილებებისადმი, რომელნიც ბუნებრივი ხასიათისა არიან, როგორიცაა, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, გონება, თავისუფლება, გარეგანი კეთილდღეობა და სხვა. ზებუნებრივ მადლს განეკუთვნება ყველა ის წყალობა, რაც ემატება ბუნებრივი ხასიათის წყალობებს ღვთის უშუალო თვითჩარევის შედეგად, როდესაც, მაგალითად, იგი თვით გაანათლებს ხოლმე

გონიერ არსებებს თავისი ჭეშმარიტების სინათლით ან ამაგრებს მათ ნებისყოფას თავისი ნებით კეთილ საქმეებში. ზებუნებრივი მადლი, თავის მხრივ, ორ სახედ იყოფა: ღმერთი შემოქმედის მადლად, რომელსაც იგი ანიჭებს, თავის ქმნილებებს და რომელნიც აღსავსენი არიან ზნეობით, იმყოფებიან რა უცოდველ მდგომარეობაში. ამდაგვარ მადლს ღმერთი ანიჭებდა ადამიანს მის შეცოდებამდე, ხოლო კეთილ ანგელოზებს დღესაც ანიჭებს. მეორე სახეობა მადლისა არის ის მადლი, რომელსაც ღმერთი-მაცხოვარი - იესო ქრისტე ანიჭებს დაცემულ ადამიანს. "ხოლო რაჟამს სიტკბოებაი და კაცთმოყუარებაი გამოჩნდა მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისაი, არა საქმითა სამართლისათა, რომელნი - იგი ვქმენით ჩუენ, არამედ წყალობითა თვისითა მიხსნნა ჩუენ, ბინითა მით მეორედ შობისაითა, განახლებითა სულისა წმიდისაითა, რომელი - იგი მოჰფინა ჩუენ ზედა მდიდრად იესო ქრისტეს მიერ მაცხოვრისა ჩუენისა. რაითა განვმართლდეთ მადლითა მით მისითა და მკვიდრ ვიქმნეთ სასოებისაებრ ცხოვრებისა საუკუნოისა", (ტიტეს მიმართ, 3, 4-7). ასე რომ, ჩვენთვის, კაცთათვის, მადლის ეს მეორე სახეობაა გადამწყვეტი მნიშვნელობისა და ვმსჯელობთ რა საერთოდ მადლის შესახებ, სწორედ მადლის ამ მეორე სახეობას ვგულისხმობთ. არა მარტო ჩვენი უნარნი და შესაძლებლობანი მომდინარეობენ ამ მადლიდან, არამედ, თვით ჩვენი რწმენა, რწმენა ღვთისა, წარმოადგენს სულიწმიდის წყალობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მორწმუნე ქრისტიანმა კარგად უნდა უწყოდეს, რომ განკითხვის ჟამს ღმერთი ადამიანის ცხოვრების შედეგების მიხედვით კი არ განიკითხავს ადამიანს, არა მისი კეთილ საქმეთა რაოდენობით, არამედ იმ შინაგანი გრძნობის მიხედვით (მორჩილებით, სიყვარულით), რომელიც ეუფლებოდა ადამიანს კეთილ საქმეთა აღსრულებისას.

როდესაც ვამბობთ, რომ ადამიანს არ ძალუძს კეთილ საქმეთა აღსრულება ღვთის მადლის დაუხმარებლად, აქ ცხადია, იგულისხმება, რომ ეს კეთილი საქმენი სულიერი, შინაგანი სიკეთენია, რომელსაც მოითხოვს ევანგელური მცნება, ხდის რა ადამიანს სულიერად და ამზადებს რა მას მარადი ხსნისათვის. მაგრამ ამ სიტყვებით ეკლესია არ უარყოფს იმას, რომ ადამიანს, როგორც ქრისტეს მცნებაზე მოქცეულს, ისე მის მოქცევამდე, შეეძლო კეთილ საქმეთა აღსრულება, რომელიც იქნებოდა სიკეთე ბუნებრივი (რომაელთა მიმართ, 2, 14-15). ხოლო ჩადენილი სიკეთე, სიკეთე როგორც ასეთი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ცოდვად; მაგრამ თუკი ეს სიკეთე რწმენის გარეშე იქნება ჩადენილი, იგი ადამიანს ვერ მოუტანს ხსნას, ვინაიდან ადამიანში, მისი შეცოდების შემდეგ, სავსებით არ ყოფილა მოსპობილი სიკეთის თესლი, წარმართთაც შეეძლოთ სიკეთის ქმნა; მაგრამ ასეთი სიკეთე ადამიანს შეიქმს მხოლოდ მშვინიერად და არა - სულიერად, რადგან მხოლოდ საქმენი რწმენისა, რომელნიც სრულდებიან ზებუნებრივი მადლის წყალობით, იწოდებიან სულიერად. რაც შეეხება ჩადენილ სიკეთეს, როგორც ასეთს, იგი, როგორც აღვნიშნეთ, არასოდეს შეიძლება გახდეს მიზეზი ბოროტებისა.

ღმერთი, თავისი ყოვლისმცოდნეობით, მხოლოდ ისეთ განსაცდელს მოუვლენს კაცს, რომლის დაძლევაც მას შეუძლია. თავად განსაცდელი კი ემსახ-

ურება მისი ხსნის საქმეს. მეორე მხრივ, ღმერთმა წინასწარვე უწყის, როგორ შეასრულებს ადამიანი მასზე დაკისრებულ ცხოვრებისეულ ამოცანას, თვით მაშინაც კი, როდესაც ადამიანის ქმედება არავისგან და არაფრისაგან არაა შეზღუდული. მხოლოდ ამ აზრით უნდა გავიგოთ სიტყვები "ადამიანის წინასწარგანსაზღვრულობისა ღვთის მიერ" მარადიული დიდებისა ან მარადიული გაკიცხვისათვის, მაგალითად: "რამეთუ რომელნი-იგი წინაისწარ იცნნა, წინაისწარცა განაჩინნა თანამსგავსად ხატისა მის ძისა თჳისისა, რაითა იყოს იგი პირმშო მრავალთა შორის ძმათა". (რომაელთა მიმართ, 8, 29). ან: "რამეთუ შემო-ვინმე-ვიდეს კაცნი, რომელნი პირველვე წერილ იყვნენ ამას სასჯელსა, ულმრთონი, რომელნი მადლსა ღმრთისა ჩუენისასა გარდააქცევენ არაწმიდებად" (წმ. მოციქულისა იუდაისი, 1,4), ეს და მსგავსი შეგონებანი ბიბლიიდან სრულიადაც არ ნიშნავს იმას რომ ღმერთს არა სურს ყველა ადამიანის ხსნა, რომ იგი ყველას არ ანიჭებს თავის მადლს და ამიტომ ზოგიერთნი, თავიანთი მხრიდან ყოველგვარი საბაბის მიუცემლად, განწირულნი არიან სამარადისო სატანჯველად მარტოოდენ ღვთის ნების გამო. პირიქით - ღმერთი ყველა ადამიანს აძლევს ხსნის თანაბარ შესაძლებლობას, მაგრამ მან, როგორც ყოვლისმცოდნემ, უკვე დასაბამიდანვე უწყის, რომელი ადამიანი მოისურვებს, და რომელი - არა, მისი მადლის მიღებას. ამიტომ, ამის შესაბამისად, იგი წინასწარვე განსაზღვრავს, რომელი მათგანი უნდა დაიხსნას და რომელი დაიღუპოს, რასაკვირველია, ღმერთს შეეძლო ყველა ადამიანის ქცევის თავის სურვილისამებრ წარმართვა და მათი ხსნა, მაგრამ, როგორც ვთქვით, მას არ სურს ადამიანის თავისუფალი ნების მოსპობა, რომელიც საბოლოო ჯამში, თვითვე ხდება ადამიანის მსაჯული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუმცა თვით რწმენა იესო ქრისტესადმი ჩვენში იმავე ღვთაებრივი მადლით აღიძვრება, მაგრამ ამ რწმენას რომ გავყვეთ და მისით ვიცხოვროთ, ეს მხოლოდ ჩვენს თავისუფალ ნებაზეა სავსებით მონდობილი. ამასთანავე, აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანისათვის მარტოოდენ რწმენა არაა საკმარისი. ნათლისღებაში შეძენილი განწმენდა და ამ ცოდვათაგან განთავისუფლება რომ შეინარჩუნოს, მან, ქრისტიანმა, რწმენის გარდა, კეთილი საქმენი უნდა აღასრულოს, ე.ი. ისეთი საქმენი, სადაც გამოვლენილი იქნება (და არ დარჩება ოდენ მის სულში) იმედი და სიყვარული, და ამით აღსრულდება ნება ღვთისა, რომელიც ჩვენგან "კეთილ ნაყოფებს" მოითხოვს. სხვანაირად, ღვთის რწმენა ეშმაკებსა და დემონებსაც აქვთ: "შენ გრწამს, ეითარმედ ერთ არს ღმერთი, კეთილ იქმ, და ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან. გნებავსა ცნობად, ჰეი კაცო ამაო, რამეთუ სარწმუნოებაი თჳინიერ საქმეთა მკუდარ არს?" (იაკობ, 2, 19-20).

ადამიანის აგებულება

მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრების თანახმად ადამიანი შედგება ორი საუსებით განსხვავებული ელემენტისაგან - არამატერიალური, გონიერი სულისა და მატერიალური სხეულისაგან. თავისი არამატერიალური

გონიერი სულით ადამიანი სამოთხის ნეტარ მკვიდრთ - ანგელოზებს უახლოვდება, ხოლო თავისი ნივთიერი სხეულით - ხილულ მატერიალურ სამყაროს. ამასთანავე, თავისი სხეულის ორგანიზაციით იგი მსგავსებას ამჟღავნებს არაგონიერ ქმნილებებთან, ე.ი. ცხოველებთან, რომელთაც, ბიბლიის მიხედვით (იხ. ლევიტ. 17, 10-40), ასევე განეკუთვნებათ სამშვინველი, რომელიც უფრო უხეშია, ვიდრე ადამიანისა. თავის მხრივ, ადამიანის არამატერიალური და გონიერი ნაწილიც ორად იყოფა, სამშვინველად და სულად. სამშვინველი, როგორც ვთქვით, ცხოველებსაც აქვთ და იგი წარმოადგენს ქვენა, სხეულებრივი ნდომიდან ამოსულ გრძნობათა და აზრთა ორგანოს. ამიტომ, მხოლოდ სამშვინველი მოეპოვებათ აგრეთვე დაცემულ სულებს - ეშმაკებსა და დემონებს და ამდაგვარად ქცეულ უცოდვილეს ადამიანებს. რაც შეეხება სულს - იგი ამაღლებული ნაწილია ადამიანის არამატერიალური, გონიერი ნაწილისა, რომელზედაც და რომლის მეშვეობითაც მასზე მოქმედებს სულიწმიდის მადლი. ადამიანის არამატერიალური ნაწილის სამშვინველად და სულად დაყოფას ბიბლიის მრავალი ადგილი ადასტურებს, მაგ., "რამეთუ ცხოველ არს სიტყუაი ღმრთისაი და ძლიერ, და უმკუეთელეს უფროის ყოვლისა მახვილისა ორპირისა: და მისწუთების იგივე განსაყოფელადმდე სამშვინველისა და სულისა" (ებრაელთა მიმართ, 4, 12). არსებობს კიდევ მეოთხე ელემენტი ადამიანის შემადგენელ ნაწილთა შორის. იგი წარმოადგენს ორგანულ ანუ სიცოცხლისეულ საწყისს, რომელიც ვლინდება ადამიანის სხეულში სავსებით დამოუკიდებლად სამშვინველ-სულისაგან. ადამიანის არამატერიალური ნაწილი მარტივი, თავისუფალი და უკვდავია. ამიტომ ამბობს მაცხოვარი: "ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყვდნენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელ-ეწიფების მოკვლად. არამედ გეშინოდეს მისა უფროის, რომელ შემძლებელ არს სულისა და ხორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა" (მათე, 20, 28). ადამიანის მიზანს უნდა შეადგენდეს სამშვინველის გაწმენდა და მასზე სულის გაბატონება, რათა ამ უკანასკნელში დამკვიდრდეს სულიწმიდის მადლი და უკვე ამქვეყნად ამაღლდეს ადამიანი (თავისი წმინდანობით) ანგელოზთა იერარქიამდე. ეს უკანასკნელნი კი წარმოადგენენ კეთილ, გონიერ სულებს, რომელნიც ერთურთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ დაბალ საფეხურზე მყოფნი ნათლდებიან მათზე მაღლა მდგომთაგან.

ადამიანის სხეულებრივი სიკვდილი

მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრების მიხედვით, "სიკვდილი წარმოადგენს სულის დაშორებას სხეულისაგან", რის მერეც სული აგრძელებს სიცოცხლეს, ხოლო სხეული იშლება და იხრწნება. ამქვეყნად ადამიანის ბოლო სიკვდილია და ბიბლიის თანახმად - "მიიქცეს მიწა ქუეყანასა შინა ვითარცა იყო და სული მიიქცეს ღვთისა მიმართ, რომელმან მისცა იგი" (ეკლესიასტე, 12, 7). უფრო ზუსტი გაგებით, სხეულისაგან სულის დაშორება სიკვდილს არ წარმოადგენს - ეს მხოლოდ სიკვდილის შედეგია. ნამდვილ

სიკვდილად მართლმადიდებლური რწმენა მიიჩნევს სულის დაშორებას ღვთისაგან. ასე, რომ ამქვეყნიურ სიცოცხლეშივე ღვთისაგან დაშორებული ადამიანი მკვდრად შეიძლება ჩაითვალოს. ამას გულისხმობს სიტყვები მაცხოვრისა, რომელიც თავის მოწაფეს მიმართავს: "აცადენ მკუდარნი დაფლვად თვისთა მკუდართა" (ლუკა 9, 60). ასევე "ჩუენ უწყით, რამეთუ მივიცვალენით სიკუდილისაგან ცხოვრებად, რამეთუ გვიყუარან ძმანი, რომელსა არა უყუარდეს ძმაი, სიკუდილსა შინა დადგრომილ არს" (I იოანე, 3, 14).

მართლმადიდებლური რწმენით, სიკვდილის მერე, მკვდრად შეიძლება ჩაითვალოს მომსახურე ნაწილი ადამიანისა - მისი სხეული, რაც შეეხება სულს - იგი ცოცხალია და აგრძელებს სიცოცხლეს იმ ქვეყნად. ამას ადასტურებს თვით იესო ქრისტე, როდესაც ამბობს, რომ იგი არ არის ღმერთი მკუდართა, არამედ ცოცხალთა. ძველი აღთქმიდანვე ღმერთი თვით უცხადებს ადამიანებს, რომ იგი არის "ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა", ხოლო ასეთი განცხადება არარაობა იქნებოდა თუ იგულისხმებდა აბრაამის, ისააკისა და იაკობის მხოლოდ ფერფლსა და ნეშტს. "არა არს ღმერთი მკუდართაი, არამედ ღმერთი ცხოველთაი, ხოლო თქუენ ფრიად სცდებით" (მარკოზ 12, 27). იმქვეყნიური სიცოცხლე წარმოადგენს ამქვეყნიურის გაგრძელებას, მაგრამ ახალ პირობებში. იმქვეყნიური ცხოვრება არის შემდგომი განგრძობა ადამიანის ზნეობრივი განვითარებისა, რომელიც ამქვეყნად იწყება. უკვე ამქვეყნად თუ დაშორდა ადამიანი ღმერთს, იგი იმ ქვეყნად ამის გამო მარადიულ ჯოჯოხეთურ სატანჯველს განიცდის. ხოლო განწმენდილი სული, პირიქით - მარადიულ სამოთხისეულ ნეტარებას. ამგვარად სული უკვდავია, იგი ინარჩუნებს თავის ცნობიერებასა და პიროვნულობას. რაც შეეხება მარადისობას, ეს - დროის სივრცეა, რომელსაც არ გააჩნია არც დასაბამი და არც დასასრული, მას არა აქვს არც წარსული და არც მომავალი, არამედ, იგი-ოდენ აწმყოა, უცვლელი ახლანდელი დრო.

იდუმალება სიკვდილისა

იესო ქრისტეს სიკვდილმა სიკვდილს დააკარგვინა ძველი ძალა: მან ადამიანებს გარდაცვალების შემდეგ მოუპოვა მარადიული ნეტარი სიცოცხლე ღმერთთან შერიგების გზით. მაგრამ სიკვდილი მაინც საშინელია, რადგან იგი დასჯაა. ამიტომ თვით მაცხოვარი ასე ევედრებოდა მამა ღმერთს: "მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ" (მათე, 26, 39).

როდესაც სული შორდება სხეულს, ამ დროს მომაკვდავთან ყოველთვის მოგროვდებიან, ერთი მხრივ, კეთილი ანგელოზები, მეორე მხრივ - დემონები, იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა სული განწმენდილი ცოდვათაგან, ან კეთილი ანგელოზები წარიტაცებენ მას ზე სფეროთაკენ, ან ბოროტი ანგელოზები დაეუფლებიან. თვით სიკვდილის ჟამს სული იგებს ახლობელთა მოთქმასა და ქვითინს, მაგრამ თვით მას რაიმეს გამოხატვა არ ძალუძს. იგი ამავე დროს შეძრულია ბოროტი სულების ხილვით და ჯერ

არ უწყის, თუ როგორ გადაწყდება მისი საიქიო სამსჯავრო. თუკი სული ამქვეყნად ყოველნაირად მიდრეკილი იყო ქვენა გრძნობებისაკენ და მათით ხელმძღვანელობდა თავის მიწიერ ცხოვრებაში, იგი გარდაცვალების შემდეგაც ამავე გრძნობათა მონა ხდება და, ამგვარად, საკუთარი სინდისი თვითონვეა მსაჯული სულისა, სანამ საშინელ სამსჯავროში თვით მაცხოვარი იტყოდეს მასზე საბოლოო სიტყვას. ამასთანავე, საიქიოს სული გამჭვირვალე ხდება ზნეობრივ პლანში სხვა სულთათვის და ყოველი ცოდვა (ან ამქვეყნიური დამალული აზრი) მასზე ნათლად მოჩანს. ამგვარად, ხდება ერთგვარი სირცხვილისეული წვა სულისა სხვა სულთა წინაშე. ამიტომ უკვე ამქვეყნად, სიკვდილზე ფიქრი და მისდამი მზადება ცოდვათა განწმენდით - უდიდესი სიბრძნეა. "ყოველთა შინა სიტყვათა შენთა მოიხსენებდი უკანასკნელთა შენსა და უკუნისამდე არა სცოდო" (წიგნი ისო ზირაქისა, 7, 39). ღმერთს სიკვდილი არ შეუქმნია (წიგნი სიბრძნისა სოლომონისა, 1, 13). ადამიანმა თვით განუმზადა თავის თავს იგი და ამიტომ ვალდებულია, რომ თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით მისი კვალი წაშალოს. სხეულის სიკვდილი, როგორც ვთქვით, არ წარმოადგენს ყოფიერების არც მოსპობას და არც დროებით შეწყვეტას. სულმა გამოიცვალა (გარდაიცვალა) მხოლოდ თავისი მდგომარეობა და ადგილსამყოფელი, მან შეინარჩუნა თავისი თვისებები და ცნობიერება. განსხვავება ისაა, რომ გარდაცვალების მერე სული კარგავს თავის თვითნებურ და დამოუკიდებელ არსობას. იგი იქ იმკის იმას, რაც დათესა სააქაო ცხოვრებაში. "ნუ სცდებით, ღმერთი არა შეურაცხ იქმნების, რამეთუ რაიცა-იგი თესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს. რამეთუ რომელმან თესოს ხორცთა შინა თვისთა, ხორცთა მიერ თვისთა მოიმკოს ხრწნილებაი; ხოლო რომელმან თესოს სულსა თვისსა, სულისაგან თვისისა მოიმკოს ცხოვრებაი საუკუნოი" (გალატელთა მიმართ, 6, 7-8).

ჯოჯოხეთი

სული, როდესაც მოშორდება სხეულს, დასახლდება იმ არსებათა სამეუფოში, რომელნიც მისი მსგავსნი არიან. ასე რომ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში თუ სული იძენდა კეთილ თვისებებს, იგი კეთილ არსებათა სამეუფოში დასახლდება, ხოლო თუ მასში ბოროტი თვისებები ჭარბობს - ბოროტ არსებათა სამეუფოში. ამქვეყნიურ ცხოვრებაში სულს ძალუძდა თავის ქმედებათა ხასიათის შეცვლა: ბოროტისა - კეთილით და პირიქით. გარდაცვალების შემდგომ სულს აღარ ექნება ამის შესაძლებლობა: იქ მოხდება მხოლოდ განვითარება და გაღვივება იმ თვისებებისა, რომელნიც სულმა შეიძინა ამქვეყნად. კეთილი თვისებები თავის მაქსიმუმს მიაღწევენ, ხოლო ბოროტი - სულ უფრო და უფრო გაღვივდება და გაფართოვდება და მონანიებაც აღარ იქნება, რომელიც ამქვეყნად სულს ათავისუფლებდა ცოდვათაგან. როგორც ვთქვით, გარდაცვალების მერე სულს ეცხადება კეთილ და ბოროტ არსებათა გუნდები. კეთილი ანგელოზები სულის ხსნას ცდილობენ და მის ამაღლებას თავიანთ სამეუფოში. მაგრამ ამ სულში თუ სჭარბობენ

ბოროტი თვისებანი, მაშინ ეს უკანასკნელნი დამაბრკოლებელ ჯებირებად აღიმართებიან და ამდაგვარი სულის სამოთხისაკენ ზეაღსვლას აბრკოლებენ. თითოეული ცოდვა სულისა თავის მტანჯველს პოულობს ბოროტი დემონის სახით. სულის ეს ტანჯვანი სხვა არაფერია, თუ არა კერძო სამსჯავრო სულზე მეორედ მოსვლის უდიდესი სამსჯავროს წინ. როდესაც საბოლოოდ დადგინდება, რომ ახლად გარდაცვალებულის სულში სიბოროტე ჭარბობს, მაშინ ასეთ სულს მოესმის საშინელი ხმა: "მოისპენ უღმრთო, რათა არა იხილონ დიდება უფლისა" (წინასწარმეტყველება ესაიასი, 26, 10).

ამქვეყნად ყოფნისას ადამიანის სული განიცდის როგორც კეთილ (მფარველი ანგელოზის), ისევე ბოროტ სულთა ზემოქმედებას. ამ უკანასკნელთ ადამიანის სულზე არავითარი ძალა არ გააჩნიათ, გარდა იმისა, რომ მათ შეუძლიათ შთააგონონ მას ბოროტი აზრები. მაგრამ აქ ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, აჰყვება იგი მათ თუ არა. მთელი ძალა ბოროტ სულთა ადამიანზე ზემოქმედებისა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პოულობენ ადამიანის სულში მსგავს იდეებსა და აზრებს, ყოველნაირად აღვიძებენ მათ და ხარობენ ადამიანის დაცემით. თვით ბოროტ სულთა ქმედება ეწინააღმდეგება ღვთის ნებას. მათი ქმედება აღსავსეა ღვთისა და ყოველი ადამიანისადმი სიძულვილითა და ღვარძლით. მათი უდიდესი სურვილია, რომ დაცემული ადამიანი თავიანთ განწირულ ბედს აზიარონ, მაგრამ, როგორც ვთქვით, ისინი ამას ახერხებენ მხოლოდ მაშინ, თუ თვით ადამიანი ისურვებს და განეწყობა ცოდვის მისაღებად. ამიტომ, "ნუვინ განცდილთაგანი იტყვიან, ვითარმედ ღმრთისა მიერ განვიცადები, რამეთუ ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი. არამედ კაცად-კაცადი განიცადების თვისისაგან გულის თქუმისა, მიიზიდვის და სცთების" (იაკობ, 1, 13-14). ბოროტ ადამიანს ბოროტი სულები დასტრიალებს თავს - "სადაცა ხორცი, მუნცა ორბები შეკრბეს" (ლუკა, 17, 37).

რაც შეეხება თვით ბოროტ სულთა ბუნებას, ისინი, მოციქულის თქმით, "უხორცონი" არიან (ეფესელთა მიმართ, 6, 12), მაგრამ აქვთ ყველა ის გრძნობა, რომლებიც ადამიანს აქვს (ხოლო თვით ადამიანში ეს გრძნობები ბუდობენ მის სულში და არა სხეულში. ამიტომაა, რომ სიკვდილის მერე ადამიანის სულს ეს გრძნობები თან გადააქვს, საიქიოს). ბოროტ სულთა ადგილსამყოფელი, ჩვეულებრივ, ჰაერია - "მთავრისა მისებრ ხელმწიფებისა ჰაერისა" (ეფესელთა მიმართ 2,2). ბოროტ სულთა ძალა ღვთის მიერ რომ არ იზღუდებოდეს, სულ წალეკავდა ყველაფერს. მაგრამ, ამავე დროს, ღვთის ნებადართვის გარეშე ისინი არათუ ადამიანს, არამედ ცხოველსაც ვერას ავნებენ. ამას ამტკიცებს მათი ვედრება იესო ქრისტესადმი, როდესაც ისინი ითხოვდნენ შეპყრობილთაგან ღორის ჯოგში გადასვლას, რაც მათ მხოლოდ ღვთის ნებადართვის შემდეგ შეძლეს (მათე 6, 31-32). ასევე, ბოროტ სულთა ბედი ჯერ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი, ისინი ჯერ კიდევ ელოდებიან თავიანთ სამსჯავროს. ამას მოწმობს რიგი ადგილები სახარებიდან. ასე შეჰყვირეს ეშმაკებმა იესო ქრისტეს: "მოხუედ აქა უწინარეს ჟამისა ტანჯ-

ვად ჩუენდა" (მათე, 8, 29). სხვა ადგილას ნათქვამია, რომ ეშმაკთა ლეგიონი "ევედრებოდეს მას, რაითა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასვლაი" (ლუკა, 8, 31). ღმერთზე ყოველი გაფიქრებისას ეშმაკნი შიშისაგან ძრწიან მომავალი სასჯელის გამო (იაკობ, 2, 19). მეორე მხრივ, ღვთის უსასრულო სიკეთე გულისხმობს იმას, რომ ღმერთი ამ ბოროტ სულებსაც აძლევს შესაძლებლობას გამოსწორებისათვის. მაგრამ მათში იმდენადაა გამჯდარი ეს მარად ჯიუტი ბოროტება, რომ ისინი არ ისურვებენ გამოსწორებას და არ მოინანიებენ.

იესო ქრისტეს ჯვარცმამდე და მკვდრეთით აღდგომამდე ყოველი ადამიანის სული, ადამის შეცოდების გამო, გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთში ისადგურებდა. ეს ეხებოდა როგორც ცოდვილ, ასევე მართალ ადამიანთა სულებს, "დაიპო იაკობ სამოსელი თვისი და შეიმოსა ძაძა წელთა მისთა და ეგლოვდა ძესა თვისსა დღეთა მრავალთა. შეკრბეს ყოველნი ძენი მისნი და ასულნი და მოვიდეს ნუგეშინისცემად მისა. და არა უნდა ნუგეშინისცემად მისა და თქვა, ვითარმედ: შთავიდე ძისა ჩემისა თანა გლოვით ჯოჯოხეთად" (დაბადება, 37, 34-35). მაგრამ მაცხოვარმა იესო ქრისტემ შეარიგა ღმერთი ადამიანებთან, ზეცა მიწასთან და თავისი სიკვდილის შემდეგ შთავიდა ჯოჯოხეთში და იხსნა იქიდან ძველი აღთქმის წმიდანები. ზეცად თავისი ამაღლების მერე კი მაცხოვარმა ყველა ადამიანს მისცა შესაძლებლობა ზეციურ სასუფეველში დამკვიდრებისა. "მე წარვიდე, - თქვა მან, - და განგიმზადო თქუენ ადგილი და უკუეთუ წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი, კუალად მოვიდე და წარგიყვანნე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რაითა, სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ და ვიდრე - იგი მე მივალ, უწყით და გზაიცა იგი იცით" (იოანე, 14, 2-4). სხვა ადგილას: "არამედ მე ჭეშმარიტსა გეტყვი თქუენ: უმჯობეს არს თქუენ-და, რაითა მე წარვიდე, უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინისმცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა: უკუეთუ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქუენდა. და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათვის და სიმართლისათვის და სასჯელისათვის, ცოდვისათვის ესრეთ, რამეთუ არა ჰრწმენა ჩემდა მომართ; ხოლო სიმართლისათვის, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ, და არღარა მხედვიდეთ მე. ხოლო სასჯელისათვის, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ, და არღარა მხედვიდეთ მე. ხოლო სასჯელისათვის, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაი დასჯილ არს" (იოანე, 16, 7-11). რაც შეეხება ახალი აღთქმის დროინდელ ცოდვილთა სულებს, მათი არსებობა ორ, არსებითად სხვადასხვა პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი მათი სიკვდილის შემდეგდროინდელი სიცოცხლისა არის პერიოდი იესო ქრისტეს აღდგომიდან მის მეორედ მოსვლამდე. ეს სწორედ ის პერიოდია, რომელშიც ამჟამად ვცხოვრობთ. მეორე პერიოდი სულთა იმ ქვეყნად ცხოვრებისა დაიწყება ქრისტეს მეორედ მოსვლის, საშინელი სამსჯავროს შემდეგ. პირველი პერიოდი სულთა იმ ქვეყნად ყოფნისა ჯერ კიდევ არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს, ჯერ კიდევ ძალუძთ მათ მოქცევა ტანჯვათა გავლის შემდგომ. ხოლო საშინელი სამსჯავროს შემდეგ ჯოჯოხეთში მყოფ სულებს იმედიც დაეკარგებათ თავიანთი ხსნისა. ეკლე-

სიის მოძღვრების თანახმად, საშინელი სამსჯავროს დადგომამდე ჯოჯოხეთში მყოფ სულებს შვებას მიანიჭებს თვით ეკლესიისა და გარდაცვლილთა ახლობლების ლოცვა. რადგან ყოველი თხოვნა ღვთისადმი, რომელიც რწმენით იქნება მისდამი აღვლენილი, დაკმაყოფილდება. "უკუეთუ ძალგიც რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა" (მარკოზ, 9, 23), ხოლო თვით მორწმუნენი ყოველგვარ სასჯელს ასცდებიან და ხსნას მოიპოვებენ. "ამინ, ამინ გეტყვით თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმუნეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნოი, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხოვრებად" (იოანე, 5, 24). ამავე დროს, თვით სასჯელი ცოდვათა სიმძიმის მიხედვით ნაწილდება. "ხოლო მონამან რომელმან იცის ნებაი უფლისაი თვისისაი და არა განემზადოს ნებისსაებრ მისისა, იტანჯოს იგი ფრიად. ხოლო რომელმან არ იცის და ქმნეს რაიმე ღირსი ტანჯვისაი, იგუემოს მცირედ, რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა მიელოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად, უმეტესი მოჰხადონ მას" (ლუკა, 12, 47-48).

ჯოჯოხეთში ორგვარი სასჯელია განკუთვნილი ცოდვილ სულთათვის - გარეგანი და შინაგანი ტანჯვა. გარეგან ტანჯვას გამოხატავს ცოდვილი სულის მოთქმა ჯოჯოხეთში: "ვიტანჯები მე ალითა ამით ცეცხლისაითა" (ლუკა 16, 24). შინაგან ტანჯვას ის სატანჯველი განეკუთვნება, რომელიც სულის ვნებებთანაა დაკავშირებული: ის, რაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანს ჰქონდა ამ ვნებების დასაკმაყოფილებლად - ადამიანის სხეული - იმ ცხოვრებაში მას უკვე აღარა აქვს და რჩება შიშველი ნდომა-ვნებანი, რომელთა დაუკმაყოფილებლობა სულს სასოწარკვეთილებაში აგდებს. ამქვეყნად ამ ვნებათა ჩამოშორება შეიძლება ნათლისღებით, ზიარებით, ლოცვით, მარხვით, თავშეკავებით და სხვა. მაგრამ იქ, იმ ქვეყნად, ეს უკვე აღარ შეიძლება და რადგან იქ ყველაფერი ვითარდება, როგორც სულის კეთილი, ზნეობრივი თვისებანი, ასევე მისი ვნებანი, მაშინ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სულის ტანჯვა სულ უფრო და უფრო იზრდება, ისე, რომ მას უკვე თავისი არსობის მოსპობა სურს და რადგან ეს აღარ შეუძლია, ბოროტდება და აახლოებს მას ბოროტ სულებთან. ამიტომ ადამიანი ყოველნაირად უნდა ცდილობდეს, რომ უკვე აქ, ამქვეყნად, მან აღხოცოს თავისი ცოდვები პირისაგან მიწისა. "ნეტარ არიან, რომელთა მიეტევენ უსჯულოებანი და რომელთა დაეფარენ ცოდვანი" (რომაელთა მიმართ, 4, 7).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველივე ამის შემდგომ უნდა მოხდეს ქრისტეს მეორედ მოსვლა, საშინელი სამსჯავრო, სადაც საბოლოოდ იქნებიან განსჯილნი ზნეობრივი უნარის მქონე არსებანი. მაგრამ როდის მოხდება ეს, არავინ უწყის. "ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან ჩემმან მხოლომან" (მათე, 24, 36). ამიტომ "იხილეთ და მღვიძარე იყვენით, და ილოცევდით, რამეთუ არა იცით, ოდეს იყოს ჟამი იგი ნუუკუე მოვიდას მეყსეულად და გპოვნეს თქუენ მძინარენი" (მარკოზ, 13, 33-36).

ადამიანის დაცემის შემდეგ დაირღვა აგრეთვე ის ჰარმონია, რომელიც სუფევდა მანამდე მასა და ბუნებას შორის. ამიტომ ეს ხილული ბუნებაც განწირულია: "დასაბამსა შენ, უფალო, ქუეყანა დააფუძნე, და ქმნილნი ხელთა შენთანი ცანი არიან. იგინი წარხდებიან. ხოლო შენ ჰგიე" (დავითი, 101, 26-27); იგი შეიცვლება ახალ ბუნებად, "და ვიხილე ცაი ახალი და ქუეყანაი ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაი და პირველი ქუეყანაი წარხდეს, და ზღუაი არღარა არს" (გამოცხ. იოანესი, 21,1).

ამის შემდეგ განწმენდილი სულები სამარადისო სამოთხეს მოიპოვებენ, ხოლო ცოდვილნი - სამუდამო სატანჯველს. დოგმატი მუდმივი სატანჯველის შესახებ ყველა საეკლესიო კრებაზე ერთხმად იყო მიღებული და ამას ადასტურებს მრავალი ადგილი ბიბლიიდან: (მარკოზი, 16, 16), (ლუკა, 16, 26), (იოანე, 3, 36), (დავითი, 9, 17), (გამოსვ. 33, 14).

"მაშინღა აღსასრული, რაჟამს მოსცეს სუფევაი ღმერთსა და მამასა, რაჟამს განაქარვნეს ყოველნი მთავრობანი და ყოველნი ხელმწიფებანი და ძალნი, რამეთუ ჯერ არს მისა სუფევაი, ვიდრემდის დაისხნეს ყოველი მტერნი მისნი ქუეშე, ფერხთა მისთა. უკუნაისკნელი მტერი იგი განქარდეს - სიკუდილი (I კორინთელთა მიმართ, 15, 24-26).

სამოთხე

პირველ ყოვლისა, ორიოდ სიტყვა მფარველ ანგელოზთა შესახებ. ყველა ადამიანს ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზი უხილავ სამყაროში. "არა ყოველნივე არიანა მოხარკე სულებ, მსახურად მოვლინებულ მათთვის, რომელთაი იგი დამკვიდრებად არს ცხოვრებაი?" (ებრაელთა მიმართ, 1, 14). ისინი ერთ წამს არ ტოვებენ ადამიანს უმეთვალყურეოდ და ესწრებიან მის სიკვდილს და მისი სულის გადასვლას საიქიო ცხოვრებაში. მფარველი ანგელოზი ყოველნაირად მონაწილეობს ადამიანის კეთილ განვითარებაში და ნიადაგ შთააგონებს მას კეთილ აზრებს. და თუკი ადამიანი მაინც ბოროტი სულის შთაგონებას მიუგდებს ყურს და მისი გავლენის ქვეშ ექცევა, ეს მფარველი ანგელოზის ბრალი არაა, რადგან ადამიანი იშვა თავისუფლად და მისი ნება და არჩევანი არაა შეზღუდული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მფარველი ანგელოზი არა მარტო ადამიანებს ჰყავთ, არამედ სახელმწიფოებსაც, ოლქებს, ქალაქებს, მონასტრებს, ეკლესიებს და განაგებენ დედამიწის ოთხივე მხარეს (2 სჯული 32, 8), (გამოცხ. იოანესი, 7,1); კეთილ ანგელოზთა გამოცხადებათა შესახებ მრავლადაა მოთხრობილი ბიბლიაში. როგორც წესი, ადამიანებს ისინი ეცხადებიან ადამიანის სახით. ამიტომ, მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე წმ. მამებმა დაადგინეს, რომ მათი გამოსახვა ხატებზე შეიძლება. ისინი იქ წარმოგვიდგებიან ულამაზეს, კეთილშობილ არსებებად.

მაგრამ ყველა ადამიანს ერთნაირად არ ეკიდებიან ანგელოზები. ეს უკანასკნელნი ხშირად ღვთაებრივი მართლმსაჯულების იარაღად გვევლინებიან ცოდვილთა დასასჯელად. ამ დროს ისინი არა მარტო ცალკეულ ცოდვი-

ლებს სჯიან (საქმე 12, 23). არამედ მთელ ქალაქებსა და ერებსაც (11 მეფეთა 14, 15-17) და სხვა.

განწმენდილ სულთა სამოთხეში ყოფნას, სამოთხისა და სამოთხისეული ნეტარების აღწერას - ჩვენი, მიწიერი ენით, ვერ გადმოვცემთ. ამის გაგება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ამქვეყნად უკვე მიაღწია წმინდანობის გარკვეულ საფეხურს, ვინც სიკეთის გზით სულიერ სამყაროსთან დაამყარა ურთიერთობა და ვინც გამოსცადა იგი. "სასუფეველი ღმრთისაი შორის თქუენსა არს" (ლუკა 17, 21). ამიტომ სამოთხისეულ ყოველ გარეგნულ წარმოდგენას უნდა ვერიდოთ, რადგან ამას ხშირად იყენებენ დაცემული სულები ადამიანის საცდუნებლად. წმ. მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრების თანახმად სამოთხეში ნეტართა სულები ორგვარ ნეტარებას განიცდიან: შინაგანსა და გარეგანს. შინაგანი ნეტარება შედგება: ა) სულის ღმერთთან დამოკიდებულებისა და ბ) თავის თავთან ურთიერთობისაგან. გარეგანი ნეტარებაა: ა) სულის დამოკიდებულება სხვა სულიერ-ზნეობრივ არსებებთან, მის ირგვლივ მყოფ წმიდა და ნეტარ სულებთან და ბ) მისი დამოკიდებულება და ზემოქმედება ყოველივე ღვთის მიერ შექმნილთან. ამასთანავე არსებობს ნეტარების სხვადასხვა ხარისხი, ხოლო ის სიხარული და სიკეთე, რომელიც სულს ეუფლება სამოთხეში ყოფნისას, განვითარდება და გაგრძელდება უსასრულოდ.

ჟურნ. "რწმენა", №8, 1992 წ.

შიშის პრობლემის დაკლების ცდები პლატონიზმსა და ქრისტიანობაში[1]

(მოკლე მიმოხილვა)

მძლავრად და ფართოდ მოიცავს კაცობრიობის ისტორიას შიშის გრძნობა. ტალღასავით მიჰყვება იგი თაობებს, აქვს განსაკუთრებით დრამატული ეპოქები, ზოგჯერ თითქოს გარედან ეუფლება იგი მათ, ხან კოსმიური და ხან პოლიტიკური გარემოებებიდან მომდინარე, ზოგჯერ კი, მეტაფიზიკური სიღრმეებიდან მოვარდნილი, სულის სიღრმიდან მოცოცავს და იპყრობს მათ, ხან ხელშეუხებლად საყოველთაო, ხან კი კონკრეტული ფორმითა და სხეულებით ფიქსირებული. "როგორც იდუმალი მელოდია, არა ყველასათვის გასაგები, განმსჭვალავს შიში ხელოვნების ყველა ჭეშმარიტი ქმნილების ფორმათა ენას, ყოველ შინაგანად განცდილ ფილოსოფიას, ყოველ მნიშვნელოვან ქმედებას"...[2]

ამ წერილის მიზანი არ გახლავთ შიშის ფენომენის მეთოდური აღწერა და მისი შესაბამისი დეფინიცია. მაგრამ აზრთა სიცხადისათვის შევეცდებით აღნიშნული ცნების მოკლე განსაზღვრებას. შიში არის სასრულობის გრძნობა. იგი ეუფლება ადამიანს დრამატულ გამოცდილებაში საკუთარი თავის წარმავლობისა და შემთხვევითობის გამო, რომლის წინაშე ყოველივე - სამყარო, ბუნება, კოსმოსი - აღმართულა ცივად და ინდიფერენტულად. ვისაც შიში ეუფლება, იგი გრძნობს განსაცდელს, რომელიც ან თავად მისგან მომდინარეობს, ან სამყაროდან და მის სიცოცხლეს არა ნაწილობრივ, არა ცალკეულ ინტერესებში, არამედ მთლიანად და ტოტალურად ემუქრება. საშიშროება, რომელიც ადამიანს მოიცავს, მიმართულია თავად მისი არსებობისაკენ. იგი გრძნობს, რომ საწყისშივე მისი არსეობა განწირულია არარსობისათვის, რომელიც, ეს არარა, თუმცა თავად ხელშეუხები და ვერ წარმოსადგენია, მაგრამ ყველა განცდებში გამოსჭვივის და ყოველი არსებობის უსაფუძვლობას აცხადებს. ამიტომ არის შიში, რომელი საგნითაც არ უნდა იყოს იგი გამოწვეული ან რომელ საგანზედაც არ უნდა იყოს იგი მიჯაჭვული, ყოველთვის ყოვლისმომცველი და ყოვლისმპყრობელი ძალა.

ყველა რელიგიას თავისი მიდგომა აქვს ამ პრობლემის მიმართ, რადგან არ არსებობს ხსნა შიშისაგან ხსნის გარეშე.[3] ქართულ სამყაროში გვახსენდება საბას ლექსიკონი, სადაც იგი შიშის ექვს სახეს არჩევს იოანე დამას-

---

1. დასავლურ თეოლოგიაში ფრიად აქტუალურია შიშის პრობლემის განხილვა. მისი გაცნობის მიზნით წინამდებარე წერილში მკითხველს მივაწვდით პირველ ყოვლისა გ. ბახლისა და ი. ჰესენის მოსაზრებებს. რაც შეეხება თავად წერილის მიზანს, იგი მოცემულია სათაურში და ემსახურება ხსენებული პრობლემისადმი მიდგომათა გამოკვეთას სულიერი მიმდინარეობების განსხვავებულ სფეროებში.

2. ოსვალდ შპენგლერი, ევროპის დამხობა, მოუნხენი 1963, ტ. I, გვ. 108. (გერმ. ენაზე).

3. გ. ბახლი, შიში ქრისტიანული იმედის შუქზე, ლინცი 1983, გვ. 204-205 (გერმ. ენაზე.).

კელის მიხედვით (ასევე საყურადღებოა მისი "სწავლანი" - "საუკუნესა ზედა შიშისა", "სიკვდილის დღისათვის" და სხვ.). რაც შეეხება შიშის ფილოსოფიურ ცნებას, იგი მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან იძენს თავის მნიშვნელობას და დღეს წარმოადგენს ძირითად ცნებას ყოფიერების ანალიზისა და ფილოსოფიური ანთროპოლოგიისათვის. აქ უნდა ითქვას, რომ ფილოსოფიას მაინც საქმე აქვს თავდაპირველ ქრისტიანულ გამოცდილებასთან, მაგრამ იმ ფორმით, რომელიც მას რენესანსულმა აზროვნებამ შესძინა: ადამიანს საფრთხე ემუქრება იმ სამყაროში, რომელიც მკაცრ მექანისტურ კანონებს ექვემდებარება და რომელშიც იგი თავისი არსებობისა და წამიერებისათვის ვერ პოულობს ვერავითარ საფუძველსა და საყრდენ წერტილს. აქედან მოყოლებული, შიში დასავლური კულტურისათვის წარუვალ პრობლემას წარმოადგენს (გავიხსენოთ შიშის მოტივის მრავალი ვარიაცია გოიას გრაფიკაში). იგი ძირითადი ცნებაა ექსისტენციალისტური ფილოსოფიისათვის კირკეგორიდან მოყოლებული, ჰაიდეგერისა და სარტრის ჩათვლით.

* * *

სათაურში ატანილი გამოკვნისათვის თავიდანვე უნდა ითქვას, რომ, რასაკვირველია, არსებობენ დიდი ავტორიტეტის მქონე ქრისტიანი ფილოსოფოსები და ღვთისმეტყველნი, რომლებიც პლატონიზმიდან და ნეოპლატონიზმიდან ამოდიან, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ როგორც აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისას, ასევე ზოგადად პლატონიზმისა და ქრისტიანობის მიდგომა რიგი საკითხებისადმი რადიკალურად განსხვავდება ერთურთისაგან. ამის საილუსტრაციოდ მოგვიწევს მცირე ექსკურსის გაკეთება და გერმანელი ფილოსოფოსის, იოჰანეს ჰესენის (1889-1971) ცნობილი ნაშრომის[4] ძირითადი მოსაზრებების გაცნობა.

ჰესენი ყოფიერებაში ფართო გაგებით ორ მხარეს, ანუ ორ მომენტს ასხვავებს: არსსა და არსებობას, essentia-სა და exsistentia-ს. ნებისმიერ არსებულზე შესაძლებელია ყოფიერების ორმაგი ასპექტი ნათელვყოთ. ავიღოთ, მაგალითად, აღსაქმელი საგანი - წითელი ფურცელი. ამ დროს მე ძალმიძს საგნის მიმართ ისე განვეწყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ სიწითლე აღვიქვა და შევეცადო მის ზუსტ განსაზღვრას მისსავე ნიუანსებში. აქ მე სრულიად უყურადღებოდ ვტოვებ იმ ფაქტს, რომ ეს სიწითლე არა მარტო ჩემს ფანტაზიაში, არამედ სინამდვილეშიც, სახელდობრ, სივრცის განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრულ დროში არსებობს. ჩემი დაკვირვება წარმოადგენს, მაშასადამე, წმინდა არსისეულ დაკვირვებას. იგი გადაეა არსებობისეულ დაკვირვებაში, თუკი საგნის ზემოთ ჩამოთვლილ მხარეს გავითვალისწინებ.

მეორე მაგალითად მოვიყვანოთ აზროვნების საგანი - ადამიანის ნების თავისუფლება. მისი აღქმა გრძნობებით მე არ შემიძლია, მას მხოლოდ ჩემი

4. ი. ჰესენი, პლატონიზმი და წინასწარმეტყველება (ანტიკური და ბიბლიური სულიერი სამყარო სტრუქტურულ-შედარებით განხილვაში), მიუნხენი 1994 (გერმ. ენაზე).

გონებით აღვიქვამ. ეს იმიტომ ხდება, რომ ეს საგანი ან საქმის ვითარება ყოფიერების უფრო ღრმა შრეს განეკუთვნება, ანუ იგი მეტაფიზიკური ბუნებისაა. მაგრამ მე აღვიქვამ მას გონებით, აზროვნებაში, როდესაც აბსტრაქტულ ცნებას, ე.ი. თავისუფლებას, ვაყალიბებ, ანუ მას ვუყენებ. მასში გამოვხატავ არსს საქმის იმ ვითარებისას, რომელსაც ჩვენ "თავისუფლებას" ვუწოდებთ. მე შემიძლია თავისუფლების ამ essentia-ში ჩაღრმავება, რათა იგი ყოველმხრივ უფრო ზუსტად აღვიქვა. ჩემი დაკვირვება მაშინ წარმოადგენს წმინდა არსისეულ დაკვირვებას. მაგრამ თუკი ვიტყვი: ადამიანური ნებისყოფა არის თავისუფალი, არსისეული დაკვირვებიდან გადავალ არსებისეულ დაკვირვებაზე. მაშინ მე ვამტკიცებ, რომ იმ essentia-ს აგრეთვე exsistentia-ც მოეპოვება, რომ ის არსი განხორციელებულია არსებულის სამყაროში, ე.ი. საგანთა რეალურ წყობაში.

ამ ცნებისეულმა განსხვავებებმა, ამბობს ჰესენი, ჩვენ ისეთი შეხედულება არ უნდა შეგვიქმნას, თითქოს ცნებისეული შინაარსები არა მხოლოდ ლოგიკურად განსხვავებულნი, არამედ ონტოლოგიურადაც ურთიერთდაცილებულნი არიან. სინამდვილეში არსი და არსებობა - essentia და existentia ერთმანეთს არ არის დაცილებული, არამედ ყოველთვის ურთიერთშეკავშირებულია. ისინი არ არიან განსხვავებული საგნები, არამედ ერთსა და იმავე საგანს წარმოადგენენ, ოღონდ სხვადასხვა კუთხიდან არიან განხილულნი. ამგვარად, ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სადმე არსებობს წმინდა არსი და მას დროის გარკვეულ მონაკვეთში უკავშირდება არსებობა, არამედ არის მხოლოდ არსისეული არსებობა და არსებობისეული არსი. ორივე ცნება მიმართულია გარკვეული რეალობისადმი, მაგრამ ისინი წარმოაჩენენ მის განსხვავებულ მხარეებს ანუ ასპექტებს. ეს არის განსხვავება, რომელსაც ჩვენი აზროვნება ახორციელებს; მაგრამ იგი არ არის თვითნებური, იგი თვით საგანშია დაფუძნებული.

ჰესენი ამ გამოკვლევების ბოლოს წამოაყენებს თეზისს: პლატონიზმი (Platonismus) და წინასწარმეტყველობა (Prophetismus) როგორც სულიერი წყობა სიღრმისეულად მხოლოდ მაშინ იქნებიან გასაგებნი, თუკი გავიგებთ მათ ონტოლოგიურ დაფუძნებას, ე.ი. თუ გავიგებთ მათ მიმართებას ყოფიერების ამ ორ ყოვლისმომცველ მომენტზე. პლატონიზმი ნიშნავს სულის მიმართებას არსზე, essentia-ზე, ხოლო წინასწარმეტყველობა - არსებობაზე, existentia-ზე. თუ რა არის ამით ნათქვამი, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუკი ყოფიერების ორივე ასპექტს უფრო ზუსტად დავაკვირდებით.

არსი წარმოადგენს საგნის იდეურ, ანუ იდეალურ მხარეს. მას აქვს იდეური, აზრობრივი ხასიათი. იგი არის ყოფიერების მომენტი, რომელსაც ჩემი აზროვნებით აღვიქვამ, რომლის შესახებ შემიძლია ჩამოვაყალიბო ცნება და რომელმაც სწორედ კვლავ საგნის არსი უნდა გადმოსცეს. ვუდარებ რა არსის ამ ცნებას სხვა მის მონათესავე ცნებებს და ვალაგებ რა ამ ცნებებს ლოგიკურად, ე.ი. აქ მათი შინაარსის დიდი და მცირე საყოველთაობის მიხედვით, მე ვაღწევ ცნებათა ისეთი სისტემის შედგენას, რომელიც გადმოსცემს ყოფიერების მთელი მხარის არსის სტრუქტურებს. ყოფიერების სფეროს იდეალური შინაარსი ამდაგვარ ლოგიკურ სისტემაში დაჭერილია როგორც სარკეში.

ამის საპირისპიროდ არსებობა ყოფიერების რეალურ მომენტს წარმოადგენს. იგი სულ სხვა ბუნებისაა, ვიდრე იდეალური. იგი არ იძლევა შესაძლებლობას მისი ცნებისეული აღქმისა. არსებობის შესახებ არ არსებობს ნამდვილი დეფინიცია. იგი წარმოადგენს მოცემულობას, ფაქტობრიობას, რომელიც პირდაპირ უნდა იყოს მიღებული. მე ძალმიძს რომელიმე საგნის არსი ნათელვყო. გავაანალიზო და მასში მყოფი ცალკეული მომენტები დავადგინო, რათა ისინი შემდგომ სინთეზურად შევაჯამო ცნებაში, მაგრამ ეს არსი რომ hic et nunc, სივრცის ამ განსაზღვრულ ადგილზე და დროის ამ განსაზღვრულ მომენტში არსებობს, წარმოადგენს უკვე ლოგიკურად ვერასახსნელ მოცემულობას, არის ყოფიერების "სასწაული". თუკი შევეცდები მას კაუზალური ახსნა მოვუძებნო, ამით საკითხს მაინც ვერ გადავწყვეტ, არამედ მას უკან გადავანაცვლებ. რადგან მიზეზი, რომლის მეშვეობითაც ვცდილობ აღნიშნული მოცემულობის გაგებას, თავად არის რეალური, რაც ჩემი გონებისათვის საბოლოოდ იმავე "სასწაულს" წარმოადგენს.

იდეალურ არსისეულ მომენტს, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჰესენის თქმით, შეიძლება საგნის რაციონალური მხარე დავარქვათ. ამ ასპექტით საგანი თითქოს ჩემი რაციოსაკენ არის მომართული. ამის საპირისპიროდ არსებობისეული მომენტი საგნის ირაციონალურ მხარეს წარმოადგენს. იგი ხელიდან უსხლტება ყოველგვარ განსჯით ჩარევას. ადამიანი მხოლოდ რაციოს რომ წარმოადგენდეს, წმინდა ინტელექტს, იგი ყოფიერების ამ მხარეს სრულიად ვერ აღიქვამდა.

რისი აღქმაც ძალმიძს რაციოთი, რისი აღწერაც შემიძლია არსისეული ცნებით, ყოველთვის არის საყოველთაო. ამიტომ essentia არის რაღაც ზოგადი. ცალკეულ საგნებს ან არსებებს ძალუძთ მას ეზიარონ. იგივე სიწითლე მე შემიძლია უამრავ საგანზე აღმოვაჩინო. არსი ამით წარმოადგენს ზოგადს ან ზეინდივიდუალურს. სხვაგვარია არსებობა. იგი ზოგადიდან ქმნის ინდივიდუალურს, საყოველთაოდან - განსაკუთრებულსა და ერთეულს. არსებობა არსს აყალიბებს კონკრეტულად: სახეობა დაკონკრეტდება ინდივიდუუმად. ყველა არსებული არის ინდივიდუალური. არსებობს მხოლოდ განუმეორებელი. საყოველთაობა, როგორც ასეთი, არ არსებობს: იგი არსებობს ერთეულზე ან ერთეულთან. მაგრამ ეს ერთეულია თავისი რეალური არსებობით. მასში ძევს პრინციპი ინდივიდუალობისა.

საყოველთაო არის უდროო. რადგან არსი საყოველთაოს წარმოადგენს, მას უდროობა ესადაგება. სად და როდის არსებობს - არსისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. მაგრამ სხვაგვარადაა საქმე არსებულთან. იგი სწორედ დროში დაფუძნებული მომენტია ყოფიერებისა. როგორც კი არსი არსებული ხდება, იგი შედის დროისმიერ წყობაში. ჰესენი ხაზს უსვამს, რომ ეს რეალურ პროცესს არ წარმოადგენს და მხოლოდ აზრის ნათელსაყოფად გამოთქვამს ამას ხატოვნად. აჯამებს რა ყოველივე ზემოთქმულს, იგი დაასკვნის: ყოფიერებაზე დაკვირვებას, რომელიც არსზეა მიმართული, აუცილებლად იდეალიზმისაკენ მივყავართ, რადგან არსი იდეის შესაბამისი მხარე არის ყოფიერებისა. შემდგომ ის განაპირობებს გარკვეულ რაციონალიზმს, რამდენადაც essentia რაციონალური მომენტია ყოფიერებისა. იგი შეიცავს ცნების რეალიზმს (ლოგიზმს)

და მისგან მიიღება ონტოლოგიზმი, რადგან მას სინამდვილის ქვაკუთხედად მიაჩნია უდროო, მარადიული, უცვლელი ყოფიერება. ამ აზრთაწყობას, მეორე მხრივ უპირისპირდება: რეალიზმი, რომლის საყოველთაო აზრი რეალურის იდეალურთან პრიმატობაში ძევს: ირაციონალიზმი, რომელიც ყოფიერების "სასწაულს" ღრმად განიცდის; ნომინალიზმი, რომელიც მხოლოდ ცალკეულ და არა საყოველთაო ყოფიერებას იცნობს, და, საბოლოოდ აქტუალიზმი, რომელიც ყოფიერებას არა სტატიკურად, არამედ დინამიკურად აღიქვამს. საბოლოოდ ჰესენი ამბობს რომ პლატონიზმი თავის თავში შეიცავს იდეალიზმსა და რაციონალიზმს, ლოგიზმს (ცნების რეალიზმს) და ონტოლოგიზმს, ხოლო წინასწარმეტყველობა, ამის საპირისპიროდ, შეიცავს რეალიზმსა და ირაციონალიზმს, ნომინალიზმსა და აქტუალიზმს.

მაგრამ, აგრძელებს ჰესენი, დაპირისპირება ამ ორ სულიერ მიმართულებას შორის არა მარტო ონტოლოგიურად, არამედ ანთროპოლოგიურადაც არის განპირობებული. იგი არა მხოლოდ ყოფიერების სტრუქტურაში, არამედ ასევე ამ ყოფიერების შემმეცნებელ სულშია დაფუძნებული. მაშასადამე, მისი გაგება და ნათელყოფა შესაძლებელია არა მხოლოდ ობიექტიდან (სამყარო), არამედ სუბიექტიდანაც (მე).

ადამიანი საგნებისადმი ან დამკვირვებლის როლშია, ანდა ქმედებით არის მათკენ მიმართული. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვმსჯელობთ სულის კონტემპლატიურ (ფართო გაგებით) მიმართებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში - აქტიურზე. პირველი არის ან ინტელექტუალური, ან ესთეტიკური. იგი ეყრდნობა წმინდა განსჯით შემეცნებას. მეორე კი გრძნობადი მომენტებითაა განმსჭვალული და ეყრდნობა საგნების ცოცხალი ჭვრეტით აღმქმელ შემეცნებას. ყოველ შემთხვევაში, კონტემპლატიურ მიმართებაში ვლინდება ადამიანის შემეცნებითი ფუნქცია. ამის საპირისპიროდ, აქტიური მიმართება აღმნიშვნელია ნებელობის ფუნქციის ქმედობისა. მას საგნების ჭვრეტა და შემეცნება კი არ სურს, არამედ მათზე ზემოქმედება. იგი არ განისაზღვრება მათგან - ყოველი შემეცნება ცნობიერების განსაზღვრულობას ნიშნავს საგნებისა და მათი სტრუქტურებისაგან - არამედ იგი განსაზღვრავს მათ, მათ ფორმასა და მსვლელობას. ამგვარად, თეორიულის საპირისპიროდ, იგი თავს იჩენს, როგორც პრაქტიკული მიმართება. პირველად ჩვენ შეიძლება ობიექტის პრიმატზე ვილაპარაკოთ, მეორესთან კი - სუბიექტის პრიმატზე. არა ობიექტი განსაზღვრავს აქ სუბიექტს, არამედ, პირიქით, სუბიექტი - ობიექტს. რადგან სუბიექტის ყოფიერების ფორმა პერსონალურია, მისი პრიმატი წინ სწევს პერსონალურის მნიშვნელობას. სამაგიეროდ, ეს მომენტი მეორე შემთხვევაში სავსებით უკან იხევს, რადგან ობიექტები, როგორც ასეთნი, რაღაც იმპერსონალურს წარმოადგენენ. საბოლოო შედარებისას ირკვევა, რომ პლატონიზმი და წინასწარმეტყველობა, ანუ ანტიკური და ბიბლიური სულიერი სამყარო, როგორც ორი მსოფლმხედველობა, ერთმანეთს უპირისპირდება. პლატონიზმთან, ონტოლოგიური მნიშვნელობით, არსთან კავშირში მიიღება: იდეალიზმი, რაციონალიზმი, ლოგიზმი, ონტოლოგიზმი. წინასწარმეტყველებთან, არსებობასთან კავშირში: რეალიზმი, ირაციონალიზმი, ნომინალიზმი, აქტუალიზმი. ანთროპოლოგიური ხედვით, პლატონიზმთან, შემეც-

ნებისეული თვალსაზრისით, მიიღება: ინტელექტუალიზმი, ესთეტიზმი, ობიექტივიზმი, იმპერსონალიზმი. წინასწარმეტყველებთან, ნებისყოფისეული თვალსაზრისით: აქტივიზმი, ვოლუნტარიზმი, სუბიექტივიზმი, პერსონალიზმი.

* * *

ამ შესავლის შემდეგ დავუბრუნდეთ განსახილველ პრობლემას. როგორია შიშისაგან თავის დაღწევის ანტიკური გზა? ჰესენი თავის "პლატონიზმში" გულისხმობს არა მხოლოდ პლატონსა და მის მიმდევრებს, არამედ არისტოტელესაც თავის მოწაფეებთან ერთად - ანტიკურ სულიერ სამყაროს.[5] ვინაიდან მოცემული ჩარჩოები ნებას არ გვაძლევს საკითხი უფრო ფართოდ განვიხილოთ, ასევე აზრის მეტი სიცხადისათვის, ყურადღება შევაჩერეთ სტოიციზმზე, რომელიც აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისას მკვეთრად განსხვავდება ქრისტიანული სიბრძნისაგან. სტოიციზმი, რომელიც "შეიქმნა და დამუშავდა ათენში ანტიკური ფილოსოფიის ძირითადი აზრებისაგან" და თავის "მეორე პერიოდში ძალზე უახლოვდება პერიპატეტიკულ და პლატონურ მოძღვრებას",[6] შიშს ყველა ფორმაში ღირებულებებისაგან აბსოლუტურად დაცლილად განიხილავს და მისგან განთავისუფლებას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ აფექტთა სრული გათიშვის შემთხვევაში. გრძნობა და ვნება მისთვის უარყოფაა ლოგიკის ჭეშმარიტი არსისა, მრთელი, ყოვლისგანმსაზღვრელი გონებისა, მთლიანის ნათელი კანონებისა. გრძნობები, მათ შორის შიში, აღიძვრებიან ლოგოსის სისუსტის გამო ადამიანში, რომელიც გარეშე საგნების ზეგავლენის მსხვერპლია და თავის თვით და არსისეულ დანიშნულებაზე უარს ამბობს, ისე რომ, სულის შინაგანი ჰარმონია, რომელიც მხოლოდ მისი მტკიცე წინამძღოლობით არის წარმოდგენილი, ასევე შეუძლებელი ხდება.[7] სტოიკურმა ანთროპოლოგიამ ოთხი მთავარი აფექტის (კმაყოფილება, სიხარული, ტკივილი, სურვილი, იმედი, შიში, ძრწოლა) დეფინირება მოახდინა და სულიერ ავადმყოფობათა ამ კანონზე შიშისაგან დაცლილი თავისუფლების იდეალი აღწერა.[8] ამ მოძღვრების ძალისხმევა ჭეშმარიტი ცხოვრების მისაღწევად მიზნად ისახავს სინამდვილეში იმ ამოსავალი წერტილის პოვნას, რომელზე დაყრდნობითაც ადამიანს შეეძლება დაუბრკოლებლად, ყოველგვარი დამთრგუნველი პირობების გარეშე, შინაგანად სრულ სიმშვიდეში იყოს და იმოქმედოს. ბრძენი, რომელიც ამას მიაღწევს (რადგან სულელებისა და მშიშრებისაგან შემდგარი მასა ყოველთვის ჩამორჩება ბრძენს), აღწევს ხელშეუხებლობის ისეთ განზომილებას, იმდენად შევა თავისი თავის საგანძურში, რომ მშფოთვარე ცხოვრების საბედისწერო დარტყმა მას აღარ ეხება, არავითარი მუქარა მას აღარ აშინებს, არავითარ განადგურებას უკვე მისი მიღწევა აღარ ძალუძს. იდეალური ადამიანი,

---

5. ი.ჰესენი, დასახ. ნაშრომი. გვ. 11.

6. ვინდელბანდი, ძველი ფილოსოფიის ისტორია. სპბ. 1908 (რუსულ ენაზე).

7. მ. პოლენცი, სტოიციზმი. ისტორია ერთი სულიერი მოძრაობისა, გიოტინგენი, 1970, გვ.150 (გერმ. ენაზე).

8. იქვე, დასახ. ნაშრ. გვ. 141-158.

პირველ ყოვლისა, იღვწის იმის გასაგებად, თუ რა პირობებში აღმოცენდება და ძალას იკრებს შიში. ადამიანის ის მხარე, სადაც აფექტები ქმედობენ, სტოიკური შეხედულებისამებრ, მოსაკვეთი და მოსასპობია. გრძნობათა სტრუქტურაში ადამიანი შორდება, როგორც საკუთარ თავს, ასევე მთლიანობის სინამდვილეს. გრძნობები მისთვის მხოლოდ მოჩვენებითობისა და არაჭეშმარიტების მომტანია. მატყუარა საშინელების დროს, რომელიც მომდინარეობს თითქოს ბედისწერისაგან, სიკვდილისაგან, ღმერთებისაგან, საიქიოდან, ადამიანი მონა ხდება ილუზორული ძალებისა. მაგრამ ჭეშმარიტება განაპობს ამ ღრუბელს და აღმოაჩენს ნამდვილ საფუძველს, რომელზედაც ადამიანს ძალუძს დაყრდნობა, უშფოთველად ყოფნა, იგი აღარ ემორჩილება არც ბედისწერას და არც პირობათა ცვალებადობას. ადამიანს, რომელიც ასეთ კეთილგონიერებას მოიპოვებს, უკვე ძალუძს ისეთ სიმაღლეზე ასვლა, სადაც მას არავითარი საფრთხე აღარ ემუქრება. მან უკვე მიაღწია მარადიულ ჰარმონიას სულის მცირე სამყაროსა და უდიდეს კოსმოსს შორის. გამაერთიანებელი მედიუმი იმ მცირესი, რითაც ადამიანი არის შემოსაზღვრული და იმ დიდისა, რომელიც სამყაროს განეკუთვნება, არის ლოგოსი, რომელიც განმსჭვალავს და აკავშირებს სულსა და სამყაროს. ამის შემეცნებით ბრძენი იგებს სად სუფევს მისი ჭეშმარიტი იდენტურობა. მან იგი უნდა ჰპოვოს მატყუარა და არასანდო მოძრავ აფექტთა სამყაროს მიღმა. იქ უნდა შეაღწიოს, თუკი სურს თავი დაიხსნას შიშისაგან, რომელიც მას თავისუფლებასა და ღირსებას ართმევს. "როგორც კი ავმაღლდებით ჭაობიდან იმ დიდებულ, წმინდა სულიერ სიმაღლეზე, მაშინვე გველოდება სულიერი სიხარული და - ყოველივე ცდომილების ჩამოშორებით - შეუზღუდავი თავისუფლება. რაში მდგომარეობს იგი? არ უნდა გექონდეს შიში ღმერთებისა და ადამიანთა, არავითარი სამარცხვინო ან უზომო რამ არ უნდა ისურვოთ, სრული ძალაუფლება უნდა გექონდეს საკუთარ თავზე და საკუთარი თავის ბატონი ვიყოთ - ეს არის ფასდაუდებელი სიკეთე".[9]

ასე რომ, რადიკალურად მოაზროვნე სტოიკოსები ადამიანის აფექტთა სტრუქტურის სრულ მოსპობას ითხოვენ. გრძნობები რაკი დაავადებებს წარმოადგენენ, ფილოსოფიამ მათგან განკურნებაზე, მათ სრულ ამოძირკვაზე უნდა იზრუნოს, ხოლო დასახული მიზანია აპათიის მიღწევა, განთავისუფლება ყველანაირ გრძნობათა და ვნებათაგან. ეს იქნება აგრეთვე მდგომარეობა, რომლის დროსაც უკვე აღარავითარი შიში აღარ არსებობს. მაშასადამე, თერაპია მდგომარეობს რაციონალური გზით ლოგოსისდარი არსებობის მიღწევაში, რაც პირდაპირ ჯდება ჰესენის ზემომოყვანილ სქემაში "პლატონიზმის" განხრით.

სტოიკური მოძღვრება ადამიანის ისეთი მდგომარეობის შესახებ, როდესაც იგი იმყოფება ყველა გრძნობის, პირველ ყოვლისა, შიშის მიღმა, წინააღმდეგობათა გარეშე ვერ გადმოიცემა. რას უნდა წარმოადგენდეს ადამიანი ამ ტოტალური უგრძნობლობის უტოპიის მიხედვით? ამდაგვარი გზით

9. სენეკა, ზნეობრივი წერილები ლუცილიუსისადმი IX, 1№18 (გერმ. ენაზე).

იგი სწორედ ფანტომად, მოჩვენებად ხომ არ იქცევა? ცხოვრების სინამდვილეში ნუთუ არ მოიპოვება მომენტები, რომლებიც ღირსნი არიან, რომ ისინი განიცადონ? ეს საკითხები სტოიციზმისათვის გადაუწყვეტელი რჩება და იგი აქ პრობლემის წინაშე დგას.[10] შიშის ჩამოშორებისა და მისი აღმოცენების წყაროთა მოსპობის სურვილში ანტიკური ფილოსოფია ძალზე ენათესავება გნოზისს[11] და ადრეულ ბუდიზმს.[12] მისი ზემოქმედება ევროპულ ტრადიციებზე თვით დღევანდელობის ჩათვლით ძალზე ძლიერია.[13] მისი ზემოქმედება თვით ქრისტიანულმა თეორიამ განიცადა, სადაც იგი კარგა ხანს იყო გამეფებული. მაგალითისათვის დავასახელებთ ქრისტიან მოაზროვნესა და პოლიტიკოსს ბოეთიუსს (480-524), რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ წმ. მოწამედ აღიარა. თავის წიგნში "ნუგეშისცემა ფილოსოფიისაგან" იგი შეეცადა ანტიკური სიბრძნე შიშის დაძლევისა თავისი მდგომარეობისათვის გამოეყენებინა. ძნელბედობაში ჩავარდნილ ადამიანს ფილოსოფია ასე მიმართავს: "თუ გსურს მზერა გაუსწორო ჭეშმარიტებას და სწორი გზით ვიდოდე მიზნისაკენ: განაგდე სიხარულნი, განაძევე შიში, იმედი მოისპე, ტკივილი განიშორე. ღრუბლები ფარავს და ბორკილები ედება სულს იქ, სადაც ისინი ბატონობენ".[14]

* * *

ქრისტიანობას სულ სხვა მიდგომა აქვს შიშისადმი, როგორც მის შეფასებაში, ასევე პრაქტიკაში მისი დაძლევისას.[15] ქრისტიანული რწმენის წყაროები, როგორც ძველი, ისევე ახალი აღთქმა, ადამიანის სულ სხვა სურათს გვთავაზობენ და სულ სხვა მიზანს უსახავენ მას. ადამიანის მიმართებაში ღმერთთან, სამყაროსთან და საზოგადოებასთან შიში თამაშობს არა მხოლოდ ნეგატიურ როლს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ბიბლია განმსჭვალულია იმპერატივით. გეშინოდეს - ნუ გეშინინ! აქ შიში იპყრობს როგორც უღირსთ (იობი 18, 11; 20, 25; ფს. 2,5; იერ. 4,9), იგი ღვთისაგან იგზავნება როგორც სასჯელი (ლევ. 26, 16-17: იერ. 20,4; 46,5), და ამავე დროს, როგორც შიში ღვთისა იგი თვით ღვთის მიერ მოწიწებული წყალობაა (იერ. 32, 39-40); ერთი მხრივ, შიში არ უნდა გვქონდეს იმათ წინაშე, ვისაც ოდენ ჩვენი სხეულის მოკვლა ძალუძს (მათ. 10, 28; ლუკ. 12,4; 1 პეტრ. 3,4), და, მეორე მხრივ, შიშის ქონა ღვთისათვის სათნოა (საქმე 10, 35; ებრ. 12, 28) და სხვ. და სხვ. რასაკვირველია, ცოდვათა წინაშე შიშს განაპირობებს ღვთის შიში, ხოლო ცოდვათაგან განრიდება იმქვეყნიურ სასჯელს აგვარიდებს, ასე რომ, შიში ღვთისა ქრისტიანული სიკეთეა. ამავე

---

10. გ. ბახლი, დასახ. ნაშრ. გვ. 207-208. შდრ. აგრეთვე პოლენცი, დასახ. ნაშრ. გვ. 150-153.

11. კ. რუდოლფი, გნოზისი, გიოტინგენი 1980, 98-131 (გერმ. ენაზე).

12. მ. ელიადე, რელიგიურ იდეათა ისტორია, პარიზი 1977, II (ფრანგ. ენაზე).

13. პოლენცი, დასახ. ნაშრ. 466-473.

14. ბოეთიუსი, ნუგეშისცემა ფილოსოფიისაგან, 1, 7, 25-31 (გერმ. ენაზე), შდრ. ბოეთიუსი, ნუგეშისცემა ფილოსოფიისაგან, 1, 7, 20-30. წიგნში: "IV-IX საუკუნეების ლათინური ლიტერატურის ძეგლები", მოსკოვი, 1970 (რუს. ენაზე).

15. გ. ბახლი, დასახ. ნაშრ. გვ. 207-208.

დროს "სიყვარულში არ არის შიში, არამედ სრულქმნილი სიყვარული აძევებს შიშს; ვინაიდან შიშს თან ახლავს ტანჯვა, ხოლო მოშიში არასრულქმნილია სიყვარულში" (I იოან. 4,18). ამიტომ სრულყოფილი შიში ღვთისა გადადის მის სიყვარულში - ცნობილია წმ. ანტონი ეგვიპტელის გამოთქმა: მე უკვე აღარ მეშინია ღვთისა, მე იგი მიყვარს. რუსთაველი: მართლად იტყვის მოციქული - შიში შეიქმს სიყვარულსა.

შიშის გამორიცხვას ქრისტიანული ყოფიერებიდან კრძალავს თუნდაც ის ფაქტი, რომ ეს გამოცდილება შიშისა თავად მაცხოვარს ჰქონდა ჯვრისა და სიკვდილის წინაშე, რაც გამოიხატა მის შეყვირებაში წამების წინ მამა ღმერთისადმი. ასე რომ, ქრისტიანობაში ხსნა არ მდგომარეობს, როგორც ეს ხდება სტოიციზმში, შიშის სტრუქტურის გარღვევასა და ამ გრძნობის ძირფესვიანად ამოძირკვაში, არამედ იგი შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ ამ გრძნობის გარდაქმნაში, იმ დახმარებაში, რომლის მეშვეობითაც იგი ძლევს შიშს. სტოიციზმი და მსგავსი მოძღვრებანი ადამიანს თავისუფლად მიიჩნევდნენ მხოლოდ შიშის კაუზალობის მიღმა. მაგრამ კითხვა, რომელიც უკვე ძველ ფილოსოფიაში გაისმოდა, შემდეგნაირად ჟღერს: ნამდვილად ეშველება კი ამით ადამიანს? როგორც ჩანს, მის მისაღწევად გაღებული ხარკი ძალზე დიდია. გამოსვლა იმ შესაძლებლობიდან, რასაც ბედისწერის დარტყმა ჰქვია, ადამიანობიდან გამოსვლის ტოლფასი ხომ არ არის? იგი, ადამიანობა, ხომ ის უნარია, რომ შეიგრძნო და გრძნობათაგან აზრი შეიმეცნო, ერთი მხრივ, ჭეშმარიტებისა, სიკეთისა, სიყვარულისა და, მეორე მხრივ, მუქარისა და კატასტროფისა. სწორედ ეს უნარი გრძნობისა, რა სიკეთისა და ვაების მომტანია სამყარო, ერთი მხრივ, რა სანდოა იგი, და რა საშინელია, მეორე მხრივ, წარმოადგენს იმ კარიბჭეს, საიდანაც ადამიანს შეუძლია საკუთარ თავთან მისვლა. იგი, ადამიანი, არაადამიანად უნდა გამხდარიყო, თუკი ტოტალურად შიშისაგან თავის დახსნას ეცდებოდა. "უშიში, ვითარცა უხორცო", ღმერთი ან ქვა უნდა გამხდარიყო იგი, თუკი შიშს მოსპობდა, რადგან ეს უკანასკნელი მარად ადამიანის კუთვნილებაა. მატერიას მიჯაჭვული სულიერი ცნობიერება რაღაც საშუალოს წარმოადგენს, იგი ყველა მხრიდან ღია და დაუცველია, მას თავის თავში არ გააჩნია ჩაკეტილი, უგრძნობი ყოფიერება მატერიისა და არც სიკაშკაშე წმინდა სულისა. ცხოვრებისეული სიბრძნისათვის, რომლისთვისაც შიში მხოლოდ ავადმყოფურ მოუსვენრობას წარმოადგენს, ძნელად დასანახავია ის როლი, რომელსაც ეს გრძნობა სიცოცხლისათვის ასრულებს: იგი განსაცდელის მოახლოებისას გვაფრთხილებს და მის მოსაგერიებლად ძალთა მობილიზაციას ახდენს. რასაკვირველია, შიშის გრძნობის მიღწევათა პოზიტიური შეფასება მხოლოდ იმ სისტემებს ძალუძთ, რომლებიც სიცოცხლეს სიკეთედ მიიჩნევენ და მის განსამტკიცებლად იღვწიან. სტოიკური ფილოსოფია გულგრილია არსებობის მიმართ, ხოლო ადრეულ ბუდიზმს მხსნელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა საერთოდ სიცოცხლის უნაშთოდ ჩაქრობა. რაც შეეხება ქრისტიანობას და მის წყაროს - ბიბლიას, იქ, როგორც უკვე ითქვა, შიშის მოსპობა კი არ ხდება, არამედ მისი გარდაქმნა, გარდაქმნილი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, განწმენდილი შიში წარმოადგენს იმ ძალას, რომელსაც ეყრდნობა ადამიანის სასრულობა.

იგი მოჩქენჭს ადამიანისათვის იმ რწმენიდან, რომელიც ჰპირდება, რომ იგი თავისი სიცოცხლის ერთადერთობით და უმცირესი სასრულობით მტკიცედ დაფარული და მიღებულია. ამ მარადი მიღებისა და შეფასების საფუძველს წარმოადგენს არა სამყარო, არა საყოველთაო კანონი, არამედ ღმერთი, აღთქმისეული ღმერთი. რასა იქმს იგი ბიბლიის მიხედვით? იგი თავის ქმნილებას მატერიალურ სამყაროს კი არ აშორებს, არც ზეციურ საიდუმლოებას და არც საკუთარი სულის წარუვალი სუბსტანციის იდუმალებას აზიარებს, არამედ თავისი გამოცხადებით და სიყვარულით ეხმარება ადამიანს საკუთარი თავისა და სამყაროს გაგებაში, იმის გაგებაში, რომ გზა ღმერთისაკენ, მასთან კონტაქტის დამყარებისაკენ ადამიანს ყოველთვის ხსნილი აქვს. ამ გზას და ჩვენდა მიმართ ღვთის ამ სიყვარულს ვერანაირი ძალა, მოციქული პავლეს თქმით, "ვერც სიკვდილი, ვერც სიცოცხლე" (რომ. 8, 38) ვერ მოგვისპობს. შიშის დაძლევის ურყევი გარანტიაა თვით მაცხოვრის სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა. ასე გაგებული შიში ჩვენს ცხოვრებაში რჩება ამოცანად, რომელიც ყურადღებას აღვიძებს და ითხოვს შრომას, შემეცნებასა და სოლიდარობას.[16]

* * *

ზედმეტია იმის ხაზგასმა, რომ შიშის დაძლევის ქრისტიანული გზა არის ჰესენის სქემის "წინასწარმეტყველთა" გზა, ნებისეული, განუმეორებელი, ცოცხალი ურთიერთობა ინდივიდუუმისა ღმერთთან, მეცნიერული ტერმინოლოგიით ე.წ. "რელიგიური გამოცდილება".[17] პლატონიზმი ანუ იდეალიზმი,[18] და ქრისტიანობა მჭიდროდ უკავშირდებიან ერთურთს, როდესაც მათ უპირისპირდება მატერიალისტური ან პოზიტივისტური მსოფლმხედველობა. ორივე ეს მსოფლმხედველობა უარყოფს იდეალიზმის მტკიცებას, რომლის მიხედვითაც, სამყაროს აზრი აქვს, რომ სინამდვილე იდეებით არის გამსჭვალული, რასაც მთლიანად იზიარებს ქრისტიანობა, რაც მოცემულია ღვთის მისეული ცნებით, სამყაროს შემოქმედების იდეით.[19] მაგრამ კონფლიქტი ქრისტიანულ რელიგიასა და იდეალიზმს შორის მაშინ იწყება, როდესაც იდეალიზმი თავისი კომპეტენციის ფარგლებს გადალახავს; ჰესენის თქმით, როგორც "ზევით", ისე "ქვემოთ". იდეალიზმს, როგორც სულის ფილოსოფიას, ყოველთვის ის საშიშროება ემუქრება, რომ მან არსებობის ბუნებრივი საფუძვლები დაამციროს ან მათი სრული იგნორირება მოახდინოს. ბუნებისეულისა და ვიტალურის სფეროს, გაუსულიერებელ ძალთა სამყაროს იდეალისტურ სისტემაში ხშირად ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ კიდეც უფრო საბედისწეროა კომპეტენციის ფარგლების გადალახვა "ზევით".

---

16. გ. ბახლი, დასახ. ნაშრ. გვ. 209.

17. "რელიგიური გამოცდილების" ფართო აღწერა იხ. ჩვენს წერილში "რელიგია და ისტორიული კვლევა", ჟურნ. "რელიგია" №7, 1992 წ.

18. როგორც ჰესენი აღნიშნავს, "გერმანულ იდეალიზმში კვლავ აღსდგა პლატონიზმი", დასახ. ნაშრ. გვ. 216.

19. იქვე, დასახ. ნაშრ. გვ. 210-212.

ეს მაშინ ხდება, როდესაც იდეალიზმი იმანენტურ სფეროს გადალახავს და ტრანსცენდენტულში იჭრება, როდესაც მას სურს ბუნებრივი ძალებით ზებუნებრივი, სასრული საშუალებებით უსასრულო, სამყაროს კატეგორიებით ღვთაებრივი მოიცვას. ღვთის ის სურათი, რომელსაც იდეალიზმი ქმნის, აუცილებლად ეწინააღმდეგება რელიგიური გამოცდილებიდან და გამოცხადებიდან წარმომდგარ ღვთის სახეს. იდეალიზმისათვის იგი არის საგანი შემმეცნებელი ცნობიერებისათვის, ობიექტი მოაზროვნე სუბიექტისათვის: თუკი ადამიანი ღმერთზე მსჯელობს, მაშინ ღმერთი მის მიერ როგორღაც გააზრებული უნდა იყოს. თუკი ღმერთი გააზრებულია, მაშინ იგი ობიექტს წარმოადგენს, ხოლო თუკი იგი ობიექტია, მაშინ ღმერთი აღარ არის, რადგან ობიექტი არის სუბიექტის განკარგულებაში მყოფი, მისდამი დამორჩილებული; ხოლო ღმერთს, როგორც ღმერთს, არ ძალუძს არავის განკარგულებაში ყოფნა; იგი ადამიანისათვის ყოველთვის სუბიექტს წარმოადგენს და მისი ობიექტი ვერასდროს გახდება. იგივე აზრები შეიძლება სხვა სიტყვებით გადმოვცეთ, თუკი იდეალისტურ ღმერთს რაციონალურს ვუწოდებთ, ე.ი. აზროვნებისაგან კონსტრუირებულს. ამის საპირისპიროდ, რელიგიის ღმერთი გვეცნობა, როგორც სუპრარაციონალური. იგი დგას აზროვნების საგნების სფეროს მიღმა. იგი არის ყოფიერება, რომელიც ყოველი ადამიანური განსჯისათვის მიუწვდომელია. იგი ადამიანური რაციოსათვის, მისი ფორმებისა და ცნებებისათვის არის "სულ სხვა", აბსოლუტურად ვერ მისაწვდომი. იგი სუფევს იმ ნათელში, სადაც არავის ძალუძს შეღწევა (1 ტიმ. 6,16).

ყოველივე ზემოთქმულს უკავშირდება კიდევ შემდეგი: იდეალიზმში ღმერთი წარმოადგენს სამყაროს ახსნის რაციონალურ პრინციპს. იქ ყალიბდება ღვთის ცნება, რომლის მეშვეობითაც ყოფიერების გამოცანა უნდა იყოს ახსნილი. ღმერთი გვეცნობა, როგორც მთელი ყოფიერების მატარებელი, ყოველი სინამდვილის თავდაპირველი მეტაფიზიკური წყარო. იგი არის სამყაროს პრინციპი, სამყაროს საფუძველი. როგორც ვხედავთ, აქ ღმერთი მთლიანად სამყაროდან არის დანახული, პირველ ყოვლისა, სამყაროს სინამდვილესთან არის დაკავშირებული. მას ცალმხრივად ან სულაც საგაგებოდ განიხილავენ, როგორც სამყაროს იმანენტურობაში მყოფს. აქედან აიხსნება იდეალიზმის მიდრეკილება ღმერთის პანთეისტური გაგებისაკენ. იდეალიზმის ღმერთი - ობიექტი, ისევე როგორც აზროვნების ღმერთი, არის იმპერსონალური, რადგან აზროვნება აღწევს მხოლოდ საყოველთაოს და არა ინდივიდუალურ ყოფიერებას. მაგრამ აგრეთვე სამყაროს - ღმერთი, როგორც სამყაროს მეტაფიზიკური პრინციპი, არაპიროვნულ სიდიდეს წარმოადგენს. სწორედ ღვთის ამ არაპერსონალისტური იდეის გამო იდეალისტური აზროვნება მკვეთრად უპირისპირდება რელიგიურ-ქრისტიანულს. ამ უკანასკნელისათვის ღმერთი არსებითად სუბიექტს წარმოადგენს. ხოლო ეს კი სხვა არაფერია, თუ არა პერსონა. იგი ადამიანის წინაშე აღიმართება ყოველთვის როგორც "შენ". ამის გამო ადამიანს მისი აღქმა ძალუძს არა რაციოს მეშვეობით, არამედ განცდითა და ეგზისტენციალურად. ღმერთი ადამიანთან კონტაქტში შედის არა როგორც თეორიული, არამედ როგორც პრაქტიკული, მგრძნობელი და ნებით აღჭურვილი, როგორც არსებული არსი. მაგრამ ამით

ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის ნათქვამი. პერსონის შინაგანი არსისა და ცხოვრების შესახებ მე მხოლოდ მაშინ ვაღწევ ნამდვილ ცოდნას, თუკი იგი მე მეხსნება, ე.ი. თუკი იგი მე მეცხადება. ამიტომ განეკუთვნება პერსონალური ღმერთის არსს გამოცხადება. რაც, "ქვემოდან" დანახული, ადამიანურ გამოცდილებას წარმოადგენს, "ზევიდან" განხილული, ღვთაებრივი გამოცხადებაა. ამიტომ, განაგრძობს ჰესენი, რელიგიური ღვთისშემეცნება არის ნაწყალობები, იდეალისტური კი თვითმოპოვებულია. იქ თავად ღმერთი ეძლევა ადამიანს შესამეცნებლად, აქ კი ადამიანური გონება მიილტვის მისკენ მისი იდუმალების დასაძლევად. რელიგიის გამოცხადების ღმერთს უპირისპირდება იდეალისტური ფილოსოფიის გონების ღმერთი. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. თავისი სისტემის შექმნისას ჰეგელი ლოგიკური იდეიდან ამოვიდა, ისევე როგორც ფიხტე "მე"-საგან. ამ საწყისს, თუკი მას ბოლომდე თანამიმდევრულად გავიაზრებთ, მივყავართ რელიგიური ცნობიერებისათვის მიუღებელ ღვთის იდეამდე. თუმცა ჰეგელი სპინოზას "ობიექტივიზმის" საპირისპიროდ აბსოლუტს განსაზღვრავს როგორც სუბიექტს და, მაშასადამე, როგორც სულს; მაგრამ ამ სულსაც ასევე აკლია ის ცოცხალი და პიროვნული ნიშნები, რაც რელიგიურ-ქრისტიანული ღვთის იდეის არსს განეკუთვნება.[20] ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ჰეგელმა ახალი აღთქმის სასწაულებრივი ამბების ფილოსოფიური ინტერპრეტირება მოახდინა და რელიგია "აღამაღლა" "ფილოსოფიურ არსებობამდე", რამაც იმდროინდელ საეკლესიო წრეებში მძაფრი რეაქცია გამოიწვია,[21] და დღევანდელ კათოლიკურ ეკლესიაში დღესაც იწვევს.[22]

დასასრულ, გავიმეორებთ, რომ შიიშს დაძლევის ქრისტიანული გზა ეს არის ცოცხალი ურთიერთობა ცოცხალ ღმერთთან, რაც პირველ რიგში გულისხმობს ლოცვასა და იმ პრაქტიკას, რომელსაც ქრისტიანული ეკლესია ამკვიდრებს ორი ათასი წლის მანძილზე. სწორედ ამის უქონლობაა, ჩემი აზრით, როდესაც ცნობილი მწერალი შიშით გამსჭვალული სტრიქონებით გვამცნობს: "ბიბლიაში და სხვა წმინდა ტექსტებში ჩემთვის უმნიშვნელოვანესი და არსებითია სასწაული და მხოლოდ სასწაული და არა ინსტრუქციები მორალსა და ეთიკაზე, რომლებიც შეიძლება მხოლოდ იდუმალ გზებს წარმოადგენდნენ სასწაულის მისაღწევად" (გუსტავ მაირინკი, გოლემი).

მორწმუნე ქრისტიანს თავის გამოცდილებაში სულიერი თვალი ეხსნება ყოველდღიურობაში სასწაულის დასანახად.

ჟურნ. "რელიგია", №1-2-3, 1996 წ.

---

20. ი. ჰესენი, დასახ. ნაშრ. გვ. 214.

21. ულიოვითი, ჰეგელიდან ნიცშემდე, შტუტგარტი 1958, გვ. 352-356 (გერმ. ენაზე).

22. კარდინალი ი. ი. ზირი, გეთსიმანი, ჩიკაგო 1981 (ინგლ. ენაზე) - აქ, სხვათა შორის, გაკრიტიკებულია ჰეგელის "ისტორიზმი".

მინიშნება მარადიული ტანჯვისა და მარადიული ნეტარების შესახებ (მსე)

და იხილა ყოველად-წმიდამან ანგელოზიცა შეწუხებული ცოდვილთათვის, ტიროდა ყოველად-წმიდაი ღმრთისმშობელი–

ღმრთისმშობლის მიმოსვლა

საუკუნის ბოლოს და საკუთარი ჭარმაგობის ჟამს, მით უმეტეს, თუ კაცი მორწმუნეა, ღირს დაფიქრდეს სიკვდილის მიღმურ მარადიულობაზე, რომელსაც რწმენა წარმოგვისახავს მარადიულ ტანჯვად ან მარადიულ ნეტარებად იმ ზნეობრივ ქმედებათა დამსახურებისათვის თუ იმ ცოდვათა გამო, რომელსაც მოვიხვეჭთ ამქვეყნიურ ცხოვრებაში. რასაკვირველია, ამ თემაზე "საღი აზრით" ჩვენს წუთისოფელში შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ მინიშნებით, რომელიც არ გადმოსცემს "ღვთითდამთვრალი" გონების ვიზიონურ ხილვებს. ეს მინიშნება კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ანალოგიის გზით და მასზე დაყრდნობით.

გერმანელი ფილოსოფოსი კარლ იასპერსი თავის "ფილოსოფიის" (1948) ერთ-ერთ ქვეთავში მსჯელობს ორმაგ სიკვდილზე: პირველი, ესაა სიკვდილი, რომლის დროსაც მაინც არსებობენ, ოღონდ გარდაცვალებულს არაფერი ძალუძს - არც ქმედება, არც რაიმეს უწყება. იგი მოკვდა და მან მარადიულად უნდა იცოცხლოს. იგი არ ცოცხლობს, მაგრამ მაინც აგრძელებს არსებობას სიკვდილის-ვერ-შესაძლებლობის მარადიული ტანჯვით. სიკვდილის მეორე სახე, რადიკალური არყოფნა, იმ პირველი სიკვდილის საშინელებისათვის ხსნა და სიმშვიდეა.

რაც შეეხება რადიკალურ არყოფნას, არარასა და არაფერს, ანრი ბერგსონის აზრით: "არაფრის" იდეა - ეს რაღაც მსგავსია მრგვალი კვადრატის იდეისა, იგი ქრება ანალიზის დროს და რჩება მარტოოდენ სიტყვა, საბოლოოდ კი ეს ფსევდოიდეაა (მორალისა და რელიგიის ორი წყარო, 1932). ასე რომ, რჩება იასპერსისეული პირველი სიკვდილი, რომელიც რელიგიური წარმოდგენების "ჯოჯოხეთის" ცნებას უახლოვდება. ჯოჯოხეთში მოხვედრილ სულთა სატანჯველს, გარდა საგანგებო წამებისა, ვთქვათ, როგორც ეს ხდება დანტეს "ღვთაებრივ კომედიაში", კიდევ უფრო ის აძლიერებს, რომ ეს სატანჯველი ჯოჯოხეთურ წრეებში მარადიულია, ერთგვაროვანი და ერთფეროვანი. ერთფეროვნება! რა ანალოგია მოეძებნება ამ ტანჯვას ჩვენს ცოდვილ მიწაზე?! პირველ ყოვლისა, გახსენდება ციხე, მარტოული საკნის ერთფეროვნებით. ცოცხლად დამარხვა, ქვის კუბო, ერთი ფერი, უწყვეტი სიჩუმე. საკანში ყოფნას თან გასდევს, რასაც უნდა აკეთებდე და რასაც უნდა ფიქრობდე, გამუდმებითი წვა, გამუდმებითი ტკივილი. ყოველივე ეს გიქმნის წარმოდგენას ჯოჯოხეთურ მარადიულობაზე. ამიტომ არის

პატიმრისათვის დიდი სიხარული თვით თაგვის ხილვა საკანში. მაგრამ მსოფლიო ლიტერატურამ იცის სხვა მაგალითები ჯოჯოხეთის ანალოგიისა. პოლონური წარმოშობის ინგლისელი მწერალი ჯოზეფ კონრადი, რომელიც გემის გამოცდილი კაპიტანიც გახლდათ, ასე აღწერს "მეზღვაურთა ჯოჯოხეთს": "ჩვენთვის არ იყო არავითარი ცა, ჩვენთვის არ არსებობდა არც ვარსკვლავები, არც მზე, არც სამყარო - არაფერი, გარდა ბოროტი ღრუბლებისა და გაცოფებული ზღვისა. ჩვენ ამოვტუმბავდით წყალს რიგრიგობით და სიცოცხლეს ვინარჩუნებდით: გვეჩვენებოდა, რომ ეს გრძელდებოდა თვეობით, წლობით, მარადიულად, თითქოს მოკვდით და მეზღვაურთა ჯოჯოხეთში მოვხვდით" ("ყრმობა". 1902).

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზევარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა...

სწორედ ეს "უთვალავი ფერი" ესპობათ ჯოჯოხეთში მოხვედრილთ ერთფეროვნებით! ირონიულ-ცინიკური ხელწამოკრა პატიმრისა: რას გვაყვედრით ციხეში ჯდომას, განა "გარეთ" მყოფთათვის იგივე ციხე არ არის (იგულისხმება სოციალური, პოლიტიკური და სხვა რამ გაჭირვება - უკულმართობა)?! პასუხი: არა, გარეთ მყოფთათვის ეს "იგივე ციხე" არ არის! ციხეში პირდაპირი გაგებითაა ერთფეროვნება, რაც ჯოჯოხეთზე მიანიშნებს. ციხეში დიდხანს მყოფს ხის სიმწვანის დანახვისას ცრემლით ეცვება თვალები...

- მაგრამ აქ ძალაუნებურად გვახსენდება რასკოლნიკოვი, დოსტოევსკის ცნობილი რომანის გმირი, რომელიც ორმაგ სიკვდილზე მსჯელობს და უპირატესობას სწორედ იმ ერთფეროვან სიკვდილს ან ერთფეროვან სიცოცხლეს ანიჭებს, რომელიც თავისი ერთფეროვნებით კაცისთვის ჯოჯოხეთად იქცევა და მიუხედავად ამისა, იგი მას მაინც ებღაუჭება, ოღონდ იყო, ოღონდ იარსებოს და მტკრად და არარად ნუ იქცევა. რასკოლნიკოვი არამზადას უწოდებს თვით მას, ვინც ასეთი ჯოჯოხეთის მონატრულს არამზადად მოიხსენიებს. სამწუხაროდ, ჩვენს საუკუნეში რასკოლნიკოვს მრავალი მომხრე ემატება...

თუ ჯოჯოხეთი მარადიული წამებისა და ერთფეროვნების სატანჯველია, მაშინ როგორი მარადიულობა სუფევს სამოთხეში, რა მინიშნება შეიძლება გაკეთდეს მასზე ანალოგიის გზით, ხომ არ არის სამოთხის მარადიულობაც მოსაწყენი და სატანჯველი იმავე ერთფეროვნებით?

გავიხსენოთ ისევ დოსტოევსკი. "ძმებ კარამაზოვებში" ბერი ზოსიმა ამბობს: ჯოჯოხეთი - ეს სიყვარულის შეუძლებლობაა! მრავალი მისტიკოსის გამოცდილებით, სიყვარული თვალის ახელაა, სიყვარულის შემწეობით ჩვენ უფრო სხვაგვარად, უფრო ღრმად და მეტი სრულყოფილებით აღვიქვამთ გარე ბუნებას, ცხოველებს, ადამიანებს. სიყვარული ის უნარია, რომლის მეშვეობთი საგანსა თუ ადამიანში მრავალ შრეს აღმოვაჩენთ, სიყ-

ვარულის შემეცნების უნარით გარე სამყარო ჩვენთვის უფრო მრავალფეროვანი ხდება, იგივე ითქმის ნამდვილ შეყვარებულზეც, რომელიც სტენდალის საპირისპიროდ, როგორც ამაში გვარწმუნებენ რომანტიკოსები, მაქს შელერი, ფ. ლერში და სხვები, სიყვარულის ობიექტს ილუზორული მარგალიტებით კი არ ამკობს და ულირსს კი არ იყვარებს, ისე, რომ გამართლდეს გამოთქმა "სიყვარული ბრმაა", არამედ ჭეშმარიტი სიყვარული შეყვარებულში აღმოაჩენს იმ შინაგან და განუმეორებელ ბირთვს, რომელიც არ არის დამოკიდებული არც გარეგნობასა და არც გრძნობად მომხიბვლელობაზე. ასეთი სიყვარული "თვალხილულია" მარადიულის მიმართ, საიდანაც ანალოგიით მინიშნება ხდება უსასრულო შემეცნებაზე.

სამოთხე სიყვარულის სამეუფოა. სიყვარული, სიძულვილისაგან განსხვავებით, "თვალხილულია" და მისი შემწეობით ხდება უსასრულო შემეცნება მრავალფეროვნებისა. მაინც რომელ ანალოგიაზე დაყრდნობით შეიძლება მივანიშნოთ სამოთხისეული მრავალფეროვნება და მარადიული ცვლილება თვითიერ დასასრულისა? ამის საილუსტრაციოდ ერთ ფილოსოფოსს მაგალითად მოჰყავს ოთახში დადგმული თაიგული. იგი ყოველდღე იცვლება, ყოველდღე მშვენიერდება. რასაკვირველია, რეალური თაიგული საბოლოოდ ჭკნება და ისპობა, მაგრამ ასე არ არის უფლის სამეფოში, იქ - მარადიული გაფურჩქვნაა.

მშვენიერების იდუმალება
(ვუძღვნი პოეტ ემზარ კვიტაიშვილს)

სიტურფე ირმისა დამამტკიცებელია ტყის მშვენიერებისა

ვაჟა

ყოველი მშვენიერების მიღმა იდუმალ ძალას გრძნობს ფაქიზი სული. ყოველი მშვენიერება, იქნება ეს ბუნებაში თუ ხელოვნებაში, სათავეს მიღმურიდან იღებს და მასშია დაფუძნებული. ბუნებაში ჩვენს აღფრთოვანებას იწვევს არა ყოველი, არამედ განსაკუთრებული ლანდშაფტი. ეს კი ერთი ფილოსოფოსის თქმით, მიუთითებს იმაზე, რომ "ბუნებაში არსებობს მშვენიერების ობიექტური ფესვები, რამდენიც არ უნდა დაემატოს მას სუბიექტური აზრი და სუბიექტური ხედვა".[1] მეორე მხრივ, მშვენიერების მოთხოვნით, ხელოვანი ძალმოსილია ბუნება ჩაასწოროს, განავრცოს, აღავსოს. ამ მხრივ ძალზე საგულისხმოა გოეთეს ერთი საუბარი ეკერმანთან (18 აპრილი 1827 წ.), როდესაც პოეტმა ეკერმანს რუბენსის ერთი გრავიურის გარჩევა სთხოვა. გაირკვა, რომ რუბენსი იყენებდა არაბუნებრივ ორმაგი სინათლის ეფექტს, ანუ, საგნებს სინათლე ეცემოდა ორი საპირისპირო კუთხიდან. "ორმაგი სინათლე", - აღნიშნა გოეთემ - "ეს, რასაკვირველია, ბუნებაზე ძალდატანებაა, და თქვენ სრული უფლება გაქვთ ამტკიცოთ, რომ იგი ბუნების საწინააღმდეგოა. მაგრამ მხატვარი თუკი წავიდა ბუნების წინააღმდეგ, მაშინ მე გეტყვით: იგი ამაღლდა მასზე... მხატვარი ქვეყანას უვლენს მთლიანობას. მაგრამ ეს მთლიანობა ბუნების მიერ არ არის მისთვის დამზადებული, იგი ნაყოფია მისი საკუთარი სულისა, ან, თუ გნებავთ, ღვთის გამანაყოფიერებელი სუნთქვისა".

ეს უკანასკნელი, მშვენიერების მეტაფიზიკური მხარე, ანუ, გოეთეს გამოთქმით, "ღვთის გამანაყოფიერებელი სუნთქვა", სრულიად იგნორირებულია მეოცე საუკუნის ისეთ მოაზროვნეებთან, როგორებიც არიან პოსტულატური ათეიზმის წარმომადგენელნი - ნიკოლაი ჰარტმანი და თეოდორ ვ. ადორნო. პირველი მათგანი, ფილოსოფოსი ნ. ჰარტმანი, თავის "ესთეტიკაში" თითქოს ძალზე უახლოვდება მეტაფიზიკურ მხარეს. თავად განსაჯეთ - "მშვენიერების არსი", - წერს ჰარტმანი - "ძევს არა მის განუმეორებლობაში, როგორც განსაკუთრებულ ესთეტიკურ ღირებულებაში, არამედ ცალკეული საგნის თავისებურ კანონზომიერებაში. ეს განსაკუთრებული კანონზომიერება პრინციპულად არ ექვემდებარება ნებისმიერ ფილოსოფიურ ანალიზს. მას შემეცნება ვერ ხსნის. თავად მის არსშია ჩადებული ის, რომ იგი დაფარულად რჩება და შეიგრძნობა, როგორც იძულებით იქ მყოფი, მაგრამ რომლის საგნობრივად გაგება შეუძლებელია. მას ვერ აღიქვამს თავად მხატვარი - შემოქმედი. იგი ქმნის მასთან შესაბამისობაში, მაგრამ ვერ ხსნის მას და ამიტომ მასზე არაფერს გამოთქვამს. მას არ ძალუძს მასზე რაიმეს თქმა, რადგან არ გააჩნია მასზე საგნობრივი

1. Hartmann. Ästherik. Berlin 1953.

ცოდნა. კიდევ უფრ.ი ნაკლები უწყის მის შესახებ მისმა მჭვრეტელმა მაყურებელმა... მშვენიერების კანონების ნამდვილი ცოდნა არ არსებობს. როგორც ჩანს, მათ არსში არის ჩადებული ის, რათა ისინი ცნობიერებისათვის დაფარულნი დარჩნენ და შეადგენდნენ მხოლოდ საიდუმლოს საყვებით დაფრული უკანა პლანისას". როგორც ვთქვით, ნ. ჰარტმანი პოსტულატურული ათეიზმის წარმომადგენელია, განსხვავებით, ვთქვათ, მებრძოლი ან რევოლუციური ათეიზმისაგან (მარქსი, ნიცშე, სარტრი). მას ღვთის არსებობის დაშვება შეუძლებლად მიაჩნია, რადგან ასეთი დაშვება "არამეცნიერულია". სამაგიეროდ, როგორც თანამედროვე ფილოსოფიის ისტორიკოსები აღნიშნავენ, ჰარტმანის სიკვდილის მერე მისი ფილოსოფიის ზეგავლენამ საყვებით იკლო და მას მხოლოდ მის ყოფილ მოწაფეთა წრეში თუ ახსენებენ.[2]

არ ღირს ამ მხრივ განხილვა არც თეოდორ ვიზენგრუნდ-ადორნოს "ესთეტიკური თეორიისა", რადგან მისთვის უცნობია "ტრანსცენდენტური პოზიტიურ-აბსოლუტი" და კარლ პოპერის გამოთქმას თუ ვიხმართ, ადორნოსთანა მოაზროვნეებთან ახსნა-განმარტების დაწყება ნიშნავს "მათთან გაშიშვლებული ხმლით ჭაობში ჩახტომას, რომ მათთან ერთად ჩაიძირო".[3]

ვისზე ჩერდება ამ მხრივ ჩვენი არჩევანი? იყო რაღაც საბედისწერო იმაში, როდესაც 1974 წელს პირველად გავეცანი ჰანს ზედლმაირის ("მსოფლიო სახელის მქონე ხელოვნების ისტორიკოსი" - ვახტანგ ბერიძე) ნაშრომებს და ვთარგმნე მისი წერილი, რომელიც საქართველოს ხუროთმოძღვრებას ეხებოდა.[4]

ცნობისათვის: იგი ავტორია ფრიად გახმაურებული წიგნისა "ცენტრის დაკარგვა" ("Verlust der Mitte"), რომელსაც ინგლისელი ისტორიკოსი ტიტუს ბურკჰარდტი შემდეგნაირად ახასიათებს: "თავის დიდებულ ნაშრომში "ცენტრის დაკარგვა" ჰანს ზედლმაირმა გვიჩვენა, თუ ქრისტიანული ხელოვნების დაცემა თავის საბოლოო სტადიებში როგორ გვეელინება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ხატის დაცემად: ადამიანის მემკვიდრე ხდება, რომელიც შუა საუკუნეების ხელოვნების მიერ განმარტებული იყო როგორც ხატი და მსგავსება ღვთისა, დამოუკიდებელი ადამიანის ხატი - რომელიც ქება-დიდებას ასხამს საკუთარ თავს - რენესანსის ხელოვნებაში. ავტონომიის ეს ილუზია თავიდანვე გულისხმობს "ცენტრის დაკარგვას", რადგან ადამიანი ჭეშმარიტად უკვე აღარ არის მთლიანი, თუკი იგი მიმართული არ არის ღმერთზე; ამის შემდგომ ადამიანის ხატი ნაწილებად იშლება; თავდაპირველად, რაც მის ღირსებას ეხება, იგი განიდევნება ბუნების სხვა ასპექტებით, ხოლო შემდეგ თანდათანობით ისპობა; მისი სისტემატური უარყოფა და დამახინჯება თანამედროვე ხელოვნების მიზანს შეადგენს".[5]

---

2. E. Coreth. P. Ehlen, G. Haeffner, F. Ricken - Philosophie des XX Jahrhunderts, Stuttgart 1993, s. 98.

3. Ibid., s. 119-120.

4. იხ. ჰანს ზედლმაირი, აღმოსავლური რომანული სტილი (1. ქართული ეკლესიები მე-5-6 საუკუნეებისა და რომანული სტილი; 2. ქართული ეკლესიები მე-9 და მე-10 საუკუნეებისა და "გოთური" პროპორციები); ჟურნ. "მნათობი" №12, 1974.

5. Титус Буркхардт, Сакральное искусство Востока и Запада, пер. с англ., М. 1999, стр. 191.

ჰ. ზედლმაირის რუსი მთარგმნელი, ს. ვანეიანი კი ამბობს: "ამაღლება" ხელოვნებისა, როგორც ალტერნატივა ადამიანის "გადაგდებულობისადმი" - დამახასიათებელი მსჯელობაა ზედლმაირის პოლემიკისა ჰაიდეგერთან".[6]

მაინც რაში ხედავს ჰ. ზედლმაირი ხელოვანის მთავარ დამსახურებას წიგნში,[7] რომელიც ჩვენს თემას ეხმაურება? იგი წერს: "...სულიერობის წვდომა მის გრძნობაღში, ე.ი. არეში, სადაც სულიერობა იგრძნობა, ხო ო გრძნობადი - გასულიერდება". ამ თეორიას, - ამბობს ზედლმაირი, ჰყავდა თავისი მომხრეები, ისეთები, როგორებიც იყვნენ გოეთე და შტიფტერი, დელაკრუა და ბოდლერი.

ზედლმაირის აზრით, ხელოვანი სრულყოფილებას რომ მიუახლოვდეს, რომ მიუახლოვდეს აბსოლუტს, მას, გარდა დიდი ტალანტისა, სჭირდება ზეშთაგონება. "რათა მხოლოდ აბსოლუტს რომ შეეხოს, მხატვარი მას კვლავ და კვლავ უნდად მიეახლოს. მაგრამ თვით უდიდესი ნიჭის მიუხედავად, ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ ზეშთაგონების წყალობით. ამის შესახებ უწყის ყველა ნამდვილმა მხატვარმა, მაშინ, როდესაც მოდერნიზმის ესქტრემისტებს სურდათ ამის მიღწევა "ავტომატურად" - გამოთვლით და შეთხზვით. ხელოვნების დიდი ნაწარმოებები, ამგვარად დანახულნი, უფრო მეტად ენათესაებიან ერთურთს, ვიდრე თვით საგნები ერთი სტილისა. გასულმა ეპოქამ, ჩაძირულმა დროებითობაში, სწორედ ეს მომენტი სავსებით და მთლიანად გაუშვა ხელიდან, მაშინ როდესაც მხატვრები კვლავ და კვლავ აღმოაჩენდნენ მას და ყოველთვის პოულობდნენ მისთვის განმარტებას. გარდა სივრცისა და დროისა, არსებობს ჭეშმარიტ მხატვართა სულიერი ურთიერთობა, რაც რაღაცით გვაგონებს წმინდანთა ურთიერთობას... მაგრამ რელატივიზმი აუცილებელია გადაილახოს არა მხოლოდ ხელოვნების მხრიდან, არამედ სულის მხრიდანაც. ამის წყალობით, დეეიზი "ხელოვნების ისტორია, როგორც სულის ისტორია" აღიქვება აზრით, რომელიც წამყვანია უფრო დიდი სიმაღლისა და უფრო მეტი სიღრმისაკენ, ვიდრე ყველაზე უმაღლესი აზრთა შორის, აქამდე აღმოჩენილი. მაგრამ იგი მისაწვდომია მარტოდენ მისთვის, ვისაც სწამს აბსოლუტური ჭეშმარიტება - ჭეშმარიტება გამოცხადებისა. რადგან მხოლოდ ასეთმა ადამიანმა უწყის განსხვავება ჭეშმარიტსა და ყალბ სულს შორის, სულის, რომელიც სიკვდილის მომგვრელია და მაცოცხლებელ სულს შორის"...

ზედლმაირის შეხედულებით "დღეს გვესმის, რომ ხელოვნების ქმნილებები არა მარტო პროდუქტია რაღაც წარსული შემთხვევისა და თავის თავში მყოფი "მარადიული" აწმყო. მას მოაქვს, თავის თავში - განსვენებისადმი ყოველგვარი დანაკლისის გარეშე, მომავლის კონტურები. ხელოვნების დიდ ქმნილებებს ხშირად გააჩნიათ წინასწარმეტყველური ფუნქცია... ხელოვნების ქმნილებანი არ არიან "აქ", ისინი არ იმყოფებიან აწმყოში. რათა იყვნენ აქ, ისინი ჯერ უნდა იყვნენ წარდგენილნი, გაღვიძებულნი და აღმსდგარნი. ეს

---

6. Х. Зедльмайр, Искусство и Истина, пер. с нем., М. 1999, стр. 343.

7. Hans Sedlmayr, Kunst und Wahrheit (Zur Theorie und Methode der Kunstgeschichte), Hamburg, 1958.

არის ის, რაც განსჯას, ნივთიერებაზე მიმართულს არ ესმის... ძალთა შორის, რომელთაც "მოქმედებაში მოჰყავთ" ხელოვნების ქმნილება, არიან ისეთებიც, რომელთაც შემდგომ ისტორიულად თვალს ვეღარ ვადევნებთ. ე.ი. ისეთნი, რომელნიც მოქმედებდნენ მხოლოდ ხელოვნების ამ ქმნილების განხორციელებისას... რამდენადაც ხელოვნების ქმნილება უკვე დაშორდა თავის შემქმნელს, იგი უკვე იმყოფება ისტორიაში და ისტორიისთვის, რათა უნარი შესწევდეს ჭეშმარიტი ქმედებისა, მან უნდა მოიპოვოს "ჭეშმარიტი აწმყო", უნდა კვლავ აღსდგეს სულში... ხელოვნების ქმნილება აღწევს საკუთარ ექსისტენციას იმდენად, რამდენადაც იგი, როგორც თავის თავში დასრულებული სამყარო, თავისუფლდება ისტორიული დროისაგან".

საინტერესოა, რომ მსგავს აზრებს ანვითარებდა, თითქმის იმავდროულად, გერმანელი თეოლოგი და ფილოსოფოსი რომანო გუარდინი.[8] გუარდინის მიაჩნია, რომ "ხელოვნება წინასწარ იძლევა რაღაცის მოხაზულობას, რაც ჯერ კიდევ აქ არ არის. მას არ ძალუძს იმის თქმა, თუ როგორ უნდა მოვიდეს იგი; მიუხედავად ამისა, იგი იძლევა იდუმალებით აღსავსე სანუგეშო დაპირებას, რომ იგი მოვა. ხელოვნების ყოველი ქმნილების მიღმა თითქოს იხსნება იგი, რაღაცა ამოდის. არც ის ვიცით, თუ რა არის ეს და არც ის, თუ სად არის იგი, მაგრამ სულის სიღრმეში შევიგრძნობთ აღთქმას. თავის ნამდვილ აზრს ქმნილება მხოლოდ ღვთისაგან იძენს... ეს, ნამდვილი მომავალი, ღვთისაგან უნდა მივიღოთ: როგორც "ახალი ზეცა და ახალი მიწა", რომელშიც საგანთა არსი ცხადდება, როგორც "ახალი ადამიანი", რომელიც შექმნილია ქრისტეს ხატის მიხედვით. ეს არის ახალი ყოფიერება, სადაც ყველაფერი გახსნილია; სადაც საგნები ადამიანის გულის სივრცეში იმყოფებიან და ადამიანი თავის არსს საგნებში შთაბერავს. ამ ახლის შესახებ მეტყველებს ხელოვნება და ხშირად არც კი უწყის, თუ რაზე მეტყველებს. ყოველივე ამისაგან იგი იძენს რელიგიურ ხასიათს. რასაც აქ ვგულისხმობთ, მას არა ესაქმება რა ცალკეული ქმნილების უშუალო რელიგიურ შინაარსთან... აქ საუბარია სულ სხვა რამეზე: იმ რელიგიურ ხასიათზე რომელიც ძევს ხელოვნების ქმნილების სტრუქტურაში, როგორც ასეთი; მის მიერ მომავლის მინიშნებაზე; იმ უბრალო "მომავალზე", რომლის დასაბუთება თავად სამყაროსაგან შეუძლებელი ხდება. ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნების ქმნილება თავისი არსის მიხედვით "ესქატოლოგიურია" და წარმართავს სამყაროს მისი მიღმური მომავლისაკენ. ხელოვნების ქმნილებასთან ნამდვილი დამოკიდებულება ამგვარადაა რელიგიურში ჩართული".

რელიგიური კულტის საგნებთან დაკავშირებით (ხატი, სკულპტურა, ფრესკა და ა.შ.) იგივეს იმეორებს ზედლმაირის მიმდევარი ისტორიკოსი ჰანს ბელტინგი.[9] იგი წერს, რომ კულტის არეში საქმე ეხება გახსენებათა

---

8. Romano Guardini, Über das Wesen des Kunstwerks (1947).

9. Hans Belting. Bild und Kult (Eine Geschichte des Bildes vor dem Zeitalter der Kunst), München, 1991.

შინაარსს. "აწმყო დრო" - ამბობს ბელტინგი - "იმყოფება გაცილებით მალალი რანგის რეალობათა შორის: ისტორიაში ღვთის გამოცხადების წარსულსა და მომავალს შორის. დროის მივლენლობა ამ ორ პოლუსს შორის კვლევის ობიექტად ცნობიერებაში. გასხვრებას ამიტომ გააჩნდა რეტროსპექტული, და, რა უკანასკნელადაც უნდა ჟღერდეს, ასევე პერსპექტიული ხასიათი. მის საგნად გვევლინება არა მხოლოდ ის, რაც მოხდა, არამედ აგრეთვე ისიც, რაც იყო აღთქმული, დროის ასეთი გაცნობიერება რელიგიის მიერ ჩვენთვის არ არსებობს".

მაგრამ დავუბრუნდეთ ჰანს ზედელმაირს. აღსანიშნავია, რომ იგი ფართოდ იკვლევს და ეცნობა ფრანც ფონ ბაადერს (1765-1841), ღრმა მოაზროვნეს, თეოლოგსა და ფილოსოფოსს, რომელიც ელტვოდა კათოლიციზმის, პროტესტანტობისა და მართლმადიდებლობის გაერთიანებას და რომლის მიმოწერამაც მნიშვნელოვნად განაპირობა (იდეოლოგიურად) "წმინდა კავშირის" ჩამოყალიბება.

ჰ. ზედელმაირს მოჰყავს ბაადერის ტექსტი: "...რელიგიურ ხელოვნებას აშკარად უპირისპირდება არა უბრალოდ ფრივოლური პოეზია და მხატვრობა, არამედ ჭეშმარიტად ინფერნალური, ან დემონური". ზედელმაირი განმარტავს: "ამგვარი ჭეშმარიტად ინფერნალური ხელოვნება, რომლის არსებობასაც აშკარავებს აქ ბაადერი, მთელი სიცხადით ემთხვევა ნაწილობრივ იმ ხელოვნებას, რომელიც ჩვენ ალვწერეთ ჰეგელის სიტყვებით". აქ ზედელმაირი გულისხმობს ჰეგელის "ესთეტიკის" პირველი ტომიდან ქვეთავი "ირონიის" ციტირებას. "ეს ხელოვნება" - ამბობს ზედელმაირი ბაადერის სიტყვებით - "ეგოისტურია ან ქედმაღლური, რომელიც არეკლავს მხოლოდ საკუთარ თავს, როდესაც მხატვარი, დაუტევებს რა ღმერთსაც და ბუნებასაც, ილტვის, რათა ორივეს ბატონი გახდეს"... ამის შემდგომ ზედელმაირი კითხულობს: "არსებობს თუ არა ირონიულ-ნიჰილისტური გამოსახულების გვერდით საკუთრივ ეშმაკეული ხელოვნება და, მაშასადამე, ეშმაკეული გამოსახულებები? მკაცრად თუ ვიმსჯელებთ, ეშმაკეული სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით უნდა გვეწოდებინა ისეთი საზიარი ხელოვნებისათვის, რომელიც სურათში ამტკიცებს ონტოლოგიურად არაჭეშმარიტ (არაადეკვატურ) გამოსახულებებს ღვთისას, ანგელოზებისას, ადამიანებისას, სამყაროსას. ეს ნიშნავს, რომ ამგვარ ხელოვნებას დარითული აქვს ისეთი მხატვრული თვისებები, რომლებიც მნახველს აიძულებენ, მიიღოს არაჭეშმარიტი გამოსახულება, შეუშვას იგი თავის თავში (თვით სიტყვასიტყვით ჩართოს იგი თავის შემადგენლობაში) და მისცეს მას თავისი "assent") (თანხმობა), ამგვარ დეფინიციას შეეძლო შესაბამისობაში ყოფილიყო სიტყვა diabolos (ეშმაკეული) ორმაგ აზრთან. რადგან ყოფიერებასთან მიმართებაში ამგვარი გამოსახულება ობიექტურად წარმოადგენს ყოფიერების წესის დამახინჯებას, სხვა სიტყვებით, იგი არის სიცრუე, ანალოგიურად იმისა, რომ diabolos (ის, რომელსაც ყველაფერი მოჰყავს უწესრიგობაში) არის "სიცრუის მამა". მაყურებელთან მიმართებაში (ასევე გამოსახულების შემქმნელთან მიმართებაში, რომელიც იქცა ეშმაკეულობის ინსტრუმენტად), ეს გამოსახულება სუბიექტურია, არის სა-

დური - ანალოგიურად იმისა, რომ diabolos არის "კაცის მკელელი დასაბამითგან". ამგვარი დეფინიცია შესაძლოა, ერთი მხრივ, ყოფილიყო ძალზე ვიწრო, და მეორე მხრივ - ძალზე ფართო, რადგან ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეშმაკეული სულ სხვადასხვაგვარ გარსში ყველგან მოქმედებს. გარდა ამისა, არ შეიძლება ძალზე მკვეთრად დავაშოროთ ეშმაკეული გამოსახულება ირონიულს. ამ განსაზღვრებას ჩვენ ვლებულობთ მარტოდენ როგორც "ევრისტიკულ დეფინიციას", რომელსაც უნარი შესწევს იქცეს ამოსავალ წერტილად. ის, რომ მსგავსი "ჰეკათური" გამოსახულებები არსებობენ... ალარ არის საკამათო უკვე მას შემდეგ, რაც გამოჩნდა მხატვრული მიმდინარეობა, რომელიც ყოველგვარი ირონიის გარეშე თავის თავს უწოდებს "სიურრეალიზმს"... და ისევ ბაადერის ციტირება: "თანამედროვე უმსგავსოება ბოროტების დოქტრინის მიმართებით, რომელიც სავსებით იგნორირებას უკეთებს სიღრმისეულ პრობლემას, ესე იგი ბოროტების სულიერ არსს, ამ უკანასკნელისთვის შეიძლება ძალზე დროული აღმოჩნდეს, რადგან წყვდიადის სულისათვის ისე არაფერია სასურველი, როგორც ის, რომ ცოდნა მის შესახებ ან ბნელითაა მოსილი, ან ამ "ცოდნას" სისულელე მართავს". რომ მოვიპოვოთ ეს ჭეშმარიტება, აგრძელებს ზედლმაირი, სასარგებლოა, "ვაიძულოთ ბოროტება გამოვიდეს ფარული მდგომარეობიდან, დაშლილობიდან, რათა შესაძლებელი გახდეს თავმოყრა და დემონსტრირება მისი დაუფარავის ხაზისა, რომ შესაძლებელი გახდეს მისი ღიად დაჭერა" (ბაადერი). სწორედ ეს მოხდა თანამედროვე ისტორიაში, დაასკვნის ჰანს ზედლმაირი. იგი განაგრძობს: "ეშმაკეული გამოსახულება რაღაც სხვა არის საზიზღარ გამოსახულებასთან შედარებით. თუკი (ეშმაკის გამოსახულების მაგალითზე) საზიზღარი გამოსახულება იქნება ისეთი, რომელიც ცუდად გადმოსცემს ეშმაკის უხამსობას, ეშმაკეული იქნება ისეთი, რომელიც "ეშმაკის საზიზღრობას გადმოსცემს, როგორც რაღაც მშვენიერებას". ან თვით ასეც: "რომელსაც სურს გადმოსცეს ეშმაკის სილამაზე" - ე.ი. მიაწერს მას სილამაზეს (არა უბრალოდ ცალკეულ ნიშნებს ეშმაკეული სილამაზისას), იტყუება, ამტკიცებს ეშმაკის სილამაზეს, მაცდურად ანიჭებს რა მას ჭეშმარიტი სილამაზის ბრწყინვალებას.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა დიდი დანიელი მწერლის, ჰანს ქრისტიან ანდერსენის გამონათქვამები რომანში "იმპროვიზატორი". მისთვის არათუ "ეშმაკეული ხელოვნება", არამედ "მშვენიერების გრძნობის შეურაცხმყოფელია თვით ოსტატურად შექმნილი სურათის ის სიუჟეტი, რომელიც უპირისპირდება ხელოვნების "სულიერ - ამაღლებულობის" გაგებას (მაგ., ჯერარდო დელ ნოტის "ლოტი და მისი ქალიშვილები", კორრეჯოს "დანაია"). ანდერსენის აზრით, "სულიერი სიწმინდე პირველ პლანზე უნდა იდგეს, როგორც მხატვრობაში, ასევე პოეზიაში." რაფაელი "უმწიკვლოების აპოსტოლია" და ამიტომაც შეძლო მან "სიქსტის მადონას" შექმნა.

აგრეთვე ცნობილია, რომ ფრანც ლისტმა უარი განაცხადა "მეფისტო

---

10. Romano Guardini, Kultbild und Andachtsbild, (1937).

ვალსის“ შესრულებაზე, მას შემდეგ, რაც იგი ფრანცისკანული ბერული ორდენის წევრი გახდა.

ჰანს ზედლმაირის დასკვნის თანახმად, შეიძლება დემონიზმზე საუბარი არა მხოლოდ ეთიკურ, არამედ როგორც ესთეტიკურ ფაქტზე. ამიტომ, მისი აზრით, მხატვრულ კრიტიკას ევალება განასხვავოს ხელოვნებაში ეშმაკეული ანგელოზურისაგან... აქ აღარ გავაგრძელებ ჰ. ზედლმაირის ციტირებას, უმჯობესია, მკითხველმა თავად მოიძიოს ამ ღრმა მოაზროვნის კვლევა სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობისა ზემოხსენებული მიზანდასახულობით. მაგრამ ერთი რამ კი დიდად შემაშფოთებელია. არასდროს ქართულ სინამდვილეს, ჩვენს ხელოვნებას, ისე არ მოძალებია ეშმაკეული ნაკადები, როგორც უახლოეს წარსულში და დღევანდელ დღეს. ფროიდისტული ტერმინებით კეკლუცობა, ეკზიბიციონიზმი მდარე და გარყვნილი შინაგანი მხარისა, პოეზიის უხამსობამდე დაყვანა და ფრივოლური ტაეპებით ყოყოჩობა, პირდაპირი თავდასხმები ჩვენს წმ. მოწამე დედოფალ ქეთევანზე და წმ. თამარზე “სექსუალური გარჩევებით“, სატანური მკრეხელობა ჩვენი ჰაგიოგრაფიული ტექსტების გამოყენებისა ეროტიკულ-გარყვნილი მიზნებისათვის და სხვა. ყოველივე ეს ითხოვს პასუხის გაცემას და ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის მობილიზებას.

ეს “ესე“ ალბათ სრულყოფილი არ იქნება, თუ არ შევეხებით ქრისტიანულ ხელოვნებას, კერძოდ, მის წარმოჩენას რომანო გუარდინის მიერ, რისთვისაც ერთ მის ადრეულ წერილს გამოვიყენებთ.[10]

რომანო გუარდინი განასხვავებს საკულტო დანიშნულების ხელოვნების ნიმუშებს - Kultbild - (ხატებს, მოზაიკებს, ვიტრაჟებს, სკულპტურებს, ფრესკებს...) რელიგიური შინაარსის მქონე მხატვრული ნაწარმოებებისაგან - Andachtsbild - როგორიცაა მაგ., მიქელანჯელოს ქრისტე, ტიციანის მადონა, რაფაელის და დიურერის ქმნილებანი და მათი მსგავსნი.

საკულტო დანიშნულების მქონე სურათი (Kultbild) აღმოცენდება არა ადამიანური განცდისაგან, არამედ ღვთის ობიექტური მყოფობისა და მბრძანებლობისაგან. ამაში მე არ ვგულისხმობ, ამბობს გუარდინი, ფაქტობრივ, შეგნებულად მოფიქრებულ ხელოვანის ქმედებას, არამედ ამ პროცესის აზრთა აზრს: ღმერთი არის. სიტყვა “ყოფიერება“ ერთნაირი გაგებით არ იხმარება მისი და ქმნილებასთან მიმართებით. სამყარო მისი ქმნილებაა. მასში მბრძანებლობს ღმერთი საკუთარი ნება-სურვილით; წარმართავს საგანთა მოძრაობებს; წარმართავს ადამიანთა ისტორიას. ეს ღვთაებრივი მბრძანებლობა ხორციელდება მისი მადლის ქმნილებაში. საბოლოოდ ეს გვირგვინდება ქრისტეს განკაცებით. ქრისტე აფუძნებს ადამიანისათვის მხსნელ ეკლესიას და ისტორიის მსვლელობაში მიუძღვის მას. ამ სინამდვილიდან და ღვთის ამ მხსნელი მბრძანებლობიდან აღმოცენდება საკულტო სურათი, იგი მთლიანად ღვთის განკარგულებაშია, რათა მან, თუკი მოისურვებს, მისი მეშვეობით შეძლოს მეტყველება.

რაც შეეხება რელიგიური შინაარსის მქონე მხატვრულ ქმნილებას (Andachtsbild), იგი აღმოცენდება მორწმუნე ინდივიდუუმის, ხელოვანის ან

შემკვეთის შინაგანი სამყაროდან და ამის შემდეგ, ეს ნაწარმოები, ისევე ინდივიდუუმის კმაყოფილებას ემსახურება, რაც უფრო ფართო გაგების ცნებასთან, რადგან ეს მხატვრული ქმნილებები აღმოცენდებიან მორწმუნე საზოგადოების შინაგანი ცხოვრებიდან, ხალისიდან, დროიდან, მისი მსჯელელობისა და მოძრაობათაგან, იმ გამოცდილებიდან, რომელიც ადამიანს მორწმუნედ ხდის და რწმენით აცოცხლებს. აგრეთვე ესეც გულისხმობს ღმერთსა და მის მბრძანებლობას, მაგრამ როგორც შინაარსს ადამიანური ღვთისმოსაობისას. მაშასადამე, იმ დროს, როდესაც საკულტო სურათი ტრანსცენდენტურისაგან მოვლენილად ჩანს, რელიგიური შინაარსის მქონე მხატვრული ქმნილება ამოდის იმანენტურიდან, ადამიანის შინაგანი სამყაროდან. ჩვენ მიჩვეული ვართ, ამბობს გუარდინი, ადამიანის შინაგანი მხარე, მისი "სულიერება" რელიგიურთან გავაიგივოთ. სანამ ასე მოვიქცევით, ჭეშმარიტ საკულტო სურათთან არაფერი გვესაქმება, რადგან მას არ გააჩნია არავითარი "შინაგანობა". უფრო ზუსტად: მას არ გააჩნია არავითარი ადამიანური, ფსიქოლოგიური. თუკი მაინც ამ შინაგან მხარეზე ვისაუბრებთ, მაშინ უნდა გავბედოთ და ვთქვათ, რომ მასში იგრძნობა ღვთაებრივი, სფერო განწყენებულობისა, სფერო "ზეცისა" - სწორედ ასე მოძღვრავდნენ ხატების ძველი ოსტატები. ამასთანავე დაკავშირებული ის, რომ საკულტო სურათს არ გააჩნია "ფსიქოლოგია" ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მას აქვს სინამდვილე, არსებობა, ძალა. აქ არაფერია გასაანალიზებელი და "გასაგები", არამედ მისგან მეტყველებს მბრძანებელი და თუ ადამიანს იგი სწორად ესმის, მაშინ ადამიანი დუმდება, უმზერს, ლოცულობს.

საკულტო და რელიგიური სურათი, დასძენს გუარდინი, ასე მკვეთრად გაყოფილი, როგორც აქ არის ისინი წარმოდგენილნი, რასაკვირველია, არ არსებობენ. სინამდვილეში არ მოიპოვება ასეთი წმინდა ტიპები. აზრი საკულტო სურათისა არის ის, აგრძელებს გუარდინი, რომ ღმერთი თანდამსწრები გახდეს. ეს "თანდასწრება" უფრო ახლოს რომ განისაზღვროს, ძალზე რთულია. მორწმუნე, ბუნებრივია, სურათზე მითითებისას არ იტყვის: "ეს ქრისტეა". თუკი ის ჭეშმარიტად საკულტო სურათია და მას უნარი შესწევს, რომ იგი სწორად დაინახოს, არც მაშინ იტყვის უბრალოდ: "იგი ქრისტეს წარმოადგენს". რასაც ის ფიქრობს, არის მესამე, სხვა. ახალი დროის ხედვა ამგვარი გამოთქმების მიმართ იმწამსვე იწყებს საუბარს რელიგიურის "გასაგნებაზე", მაგიაზე, თეურგიაზე და წინ წამოსწევს "სულიერ" შეხედულებას. სინამდვილეში, ამ უკანასკნელმა ამით უფრო მაღალი საფეხური კი არ მოიპოვა, არამედ ერთი ორგანო დაკარგა - ორგანო სწორედ ამ განსაკუთრებულის მიმართ. მას შეიძლება ვუწოდოთ ორგანო მისტერიისათვის, ან ლიტურგიკისათვის, ან, უფრო ზოგადად, ორგანო სიმბოლოს აღქმისათვის. თუ რის შესახებაა საუბარი, არის ცალკე, სხვისგან არ წარმოებული ფორმა წარმოსახვისა. წმინდა სურათი აღიქმება განსაკუთრებული აქტის საშუალებით: შეცნობა ღვთაებრივი მყოფობისა სურათში, ან, სულ მცირე, ასეთი მყოფობის შესაძლებლობისა; მისი მოლოდინი, მისი წინათგრძნობა. მას პასუხობს განსაკუთრებული დამოკიდებულე-

ბა: მოწიწება, ძრწოლა, თაყვანისცემა, შიში და იმავე დროს მისკენ ლტოლვის დიდი სურვილი.

რაც შეეხება რელიგიური შინაარსის მქონე სურათს, მას სურს არა იმდენად თავად წმიდა სინამდვილის წარმოჩენა, არამედ ამ სინამდვილის განცდის ასახვა. მასში დიდ ადგილს იმკვიდრებს თავად ეს გამოცდილება, ისე, რომ ილტვის, გადაწონოს თავად საგანი ამ გამოცდილებისა. ამის შედეგად ღვთისმოსავი ადამიანი ამ სურათის წინაშე, რა გენიალურიც უნდა იყოს იგი, გრძნობს, რომ იმყოფება ადამიანურ სფეროში, ვინც იქ მეტყველებს, ამ სურათში არის ადამიანი, მორწმუნე, ღვთის მიერ აღტაცებული, მასზე მინდობილი, მაგრამ მაინც ადამიანი... ჭეშმარიტი საკულტო სურათის წინაშე კი არ კითხულობენ: რატომ გრძნობს ხელოვანი ამას ასე; რომელი დროის განწყობა და როგორი ტემპერამენტი მეტყველებს სურათიდან? შთაბეჭდილება არის ზედროული სახის, რაღაც აბსოლუტური და მარადიული გვევლინება მისგან. არ ისმის კითხვა: ვინ გააკეთა; როგორ დაიწყო მან იგი; რას მიაღწია მან? ადამიანური ქმნილება უკან იხევს, ბატონობს წმინდა თანდასწრება. რელიგიური შინაარსის მქონე სურათის წინაშე კი გრძნობენ გარკვეული ადამიანის პიროვნებას. რაც შეგძრავს და გთრგუნავს, არის ძალა სურათში გამოხატული განცდისა და ქმნილების სიდიადისა; ასე დგას სრულ თანხმობაში ადამიანი ადამიანის წინაშე. აქ ფსიქოლოგია და ისტორია თავის ადგილზეა, ასევე ესთეტიკა, გაგება და მცოდნეობა, რადგან, აქ ცნობიერებაში ვლინდება ქმნილება, როგორც ასეთი. ჭეშმარიტი საკულტო სურათის მიმართ ფაქიზად მგრძნობელი ადვილად არ გამოიყენებს "ხელოვნების ქმნილების" ცნებას. ადამიანი, ვინც საკულტო სურათს ქმნის, არ წარმოადგენს "ხელოვანს" ჩვენი გაგებით, იგი არ "ქმნის", თუკი სიტყვას ისე მივიღებთ, როგორც ჩვეულებისამებრ მას ვხმარობთ, არამედ - იგი მსახურებს. მას ამ სურათს უჩვენებენ, იგი ღებულობს დავალებასა და დარიგებას და აკეთებს სურათს, როგორიც უნდა იყოს იგი, რათა წმინდა თანდასწრება შესაძლებელი გახდეს. რელიგიური შინაარსის სურათში კი ადამიანს გააჩნია საკუთარი სხვა ინიციატივა, მისი პიროვნული გამომგონებლური და ფორმის მიმნიჭებელი ძალა სულ სხვაგვარად მონაწილეობს. მას იმ ადგილის მომზადება კი არ სურს, სადაც თანდასწრება განხორციელდება, არამედ იმის ჩვენება, რასაც მისი ფანტაზია აფორმებს; გამოხატვა იმისა, რასაც მისი გული გრძნობს - სწორედ "ხელოვნების ნაწარმოების შექმნა". ამას შეესაბამება მნახველის დამოკიდებულება: იგი აღფრთოვანებულია სურათით, მას გებულობს, აფასებს.

საკულტო სურათი შეიცავს რაღაც უცილობელს. იგი კავშირშია დოგმასთან, საკრამენტთან, ეკლესიის ობიექტურ სინამდვილესთან. საკულტო სურათში დოგმა გრძელდება - ობიექტური, არა "განცდისაგან", არამედ წმინდა მოძღვრების განმარტებისა და გაშლისაგან მომდინარე ჭეშმარიტება. მას მორწმუნე უახლოვდება, როგორც წმინდა ძალას, რომელიც, როგორც ეს მიაჩნია ახალი დროის სუბიექტივიზმს, "მორწმუნესა და ღმერთს შორის" კი არ ჩამდგარა, არამედ თვით წარმოადგენს ღვთის ძლიერებას. იგი არ აუქმებს

ადამიანის პიროვნებას, რადგან ეს ძალა მიმართავს სწორედ პიროვნებას. საკულტო სურათი არის წმიდა, ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით. არა მხოლოდ ეთიკური გაგებით, არამედ - რელიგიური. და რელიგიური არა პიროვნული ღვთისმოსაობის აზრით, არამედ ობიექტური, ნუმინოზური უდიდებულესობის გაგებით. მასში მნახველი შეიგრძნობს tremendum-ს, მიუკარებს, დიდებულ-საშინელს. მას დაჰყავს ადამიანის ცნობიერებამდე ის, რომ იგი, ადამიანი, სიტყვის მკაცრი გაგებით - ქმნილებაა. იგი აკლებს ზღვარს, მისგან ისმის შეძახილი: "წარიხადენ ხამლნი ფერხთაგან შენთა", რადგან იგი წმიდაა, იგი განაწმინდანებს მას, ვინც მასთან ახლოს ახდა უკუაგდებს მას.

რელიგიური შინაარსის სურათი კი დაფუძნებულია მსგავსებისა და გადასვლის დამოკიდებულებებზე. იგი გადმოისვრის ხიდებს. მასში ღვთაება ეშვება, ხოლო ადამიანური აღმაფრენას განიცდის. მის წინაშე ინტიმურობა შესაძლებელია - ერთად ყოფნა. ადამიანის შინაგანი მხარე გრძელდება სურათში და შინაგან მხარეს ძალუძს სურათის მიღება, მორგება, ისე, რომ იგი საკუთარი ყოფიერების ნაწილი გახდეს.

საკულტო სურათის კუთვნილი ადგილი არის ტაძარი, განკერძოებული და ჩაკეტილი. მასთან შედიან, მასთან ახლოს ახდიან შორი მხრიდან. მომლოცველობენ იმ ადგილზე, სადაც დგას სიწმინდე და უკანვე ბრუნდებიან, შეძრულნი და შეწყალებულნი. გუარდინი აქ პირველად ახსენებს ხატს, რომელსაც მისი გაჩენის ლეგენდაც უნდა უკავშირდებოდეს, რის მიხედვითაც იგი ამ ადგილას სხვადასხვაგვარი სასწაულებრივი გზით აღმოჩნდა. იგი ამ ადგილზე უნდა მოსულიყო, იგი ამ ადგილისათვის იყო განკუთვნილი, ან, მან თავად ირჩია ეს, იდუმალი გზით. ამ ადგილზე მბრძანებლობს იგი და ამ ადგილზე უნდა მოინახულონ.

მორწმუნე ქართველს გუარდინის ეს სიტყვები სულაც არ აკვირვებს, რადგან მთელი საქართველო ადგილის ხატ-სალოცავებითაა მოფენილი. როგორც ვხედავთ, ხატის დასვენების ადგილს და მის იქ სუფევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ მორწმუნისათვის მიუღებელია ისეთი რელატივიზმი, რომელიც ასე მსჯელობს: სადაც გინდა გადაასვენე ან წაიღე სასწაულმოქმედი ხატი, ღმერთი ყველგანაა... ამ თემაზე არცთუ დიდი ხნის წინ ჩვენში ატყდა მძაფრი პოლემიკა, ხომ არ უნდა დაუბრუნდნენ მუზეუმიდან ძველი ხატები თავიანთ კუთვნილ ადგილებს ან დასაშვებია თუ არა მათი ტრანსპორტირება ევროპასა და ამერიკაში? აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე (არ ვგულისხმობ პრობლემას ხატის დაცულობის მხრივ - კრიმინალურს თუ მეტეოროლოგიურს), შეინარჩუნა თუ არა ხატმა, ან, დაკარგა თუ არა მან თავისი სასწაულქმედების უნარი და რომ ასეთი რამ ხდება, გუარდინი ამაში დარწმუნებულია. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

---

11. E. von Manstein. Verlorene Siege, Bonn, 1955.

12. ხატებთან ურთიერთობის გარკვეული სასწაულები მე აღვწერე ჩემს ავტობიოგრაფიულ რომანში "თბილისი".

გუარდინი აღნიშნავს, რაც ჩვენმა მკითხველმაც კარგად უწყის, რომ ხატის დასვენება შეიძლება სახლშიც. და თუ იგი სწორად შეიგრძნობა, მაშინ იგი თავის გარშემო ქმნის საკრალურ ანკლავს. ჭეშმარიტი საკულტო სურათი სულიწმიდისაგან წარმოსდგება. რასაკვირველია, იგი, როგორც ქმნილება, ხელოვანის ძალითაა შექმნილი, მაგრამ თავად ხელოვანი ინსპირაციას ემორჩილება (გამოსვლათა 35,31-34). ჭეშმარიტი რელიგიური შინაარსის სურათიც წმიდასთან შეხებიდან მომდინარეობს. არსებობს ფრიდრიხ შლეგელის ჩანაწერები, სადაც აღწერილია, თუ რა ვეებერთელა შთაბეჭდილებას ახდენდა რაფაელის" სიქსტის მადონა" პროტესტანტებზე, რის გამოც მრავალმა მათგანმა, მათ შორის ფრ. შლეგელმაც კათოლიკობა მიიღო. მართალია, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დამკვიდრდა დეკადენტურ-ირონიული, გნებავთ "ეშმაკეული" (ჰ. ზედლმაირის მიხედვით) მიდგომა ამ მხრივ. მაგ., თეოფილ გოტიეს ერთი მოთხრობის მთავარი გმირი დგას რუბენსის "ჯვარცმის" წინაშე და ამქვეყნიური სიყვარულით შესტრფის მაცხოვრის ცხედართან დაჩოქილ, ულამაზეს მომტირალ მარია მაგდალინელს.

რაც შეეხება ხატის თაყვანისცემას, აქაც ერთ საინტერესო მომენტს გამოვყოფდი გერმანელი პროტესტანტების (!) მიერ ამის აღსრულებისას, ოღონდ XX საუკუნეში. საუბარია ორ კოლორიტულ ფიგურაზე, ფაშისტური გერმანიის ორ მხედართმთავარზე. აი, რას წერს თავის მოგონებებში გენერალ-ფელდმარშალი ერიხ ფონ მანშტეინი.[11] პოლონეთის ოკუპაციის დროს, "ჩენსტოხოვოს გავლისას, გენერალ-პოლკოვნიკმა ფონ რუნშტედმა და მე მოვინახულეთ ეკლესია, რომელშიც ასვენია სახელგანთქმული "შავი მადონა", როგორც ჩანს, ყველაზე მეტად თაყვანსაცემი პოლონეთში. კაშკაშა სინათლე უამრავი სანთლების, მათი ფაქიზი თაფლოვანი არომატი, მდიდრული, ოქროთი გაწყობილი საკურთხეველი, ხოლო მის წინაშე დაჩოქილი, გულმოდგინედ მლოცველი ხალხი. დროდადრო ნახევრად სიბნელიდან გაისმოდა მისტიკური ყვირილი მლოცველისა, დახმარების შემთხვევ! აქ ხალხი ლოცულობდა გამარჯვებაზე, დედები შვილებზე, ისევე, როგორც ამას აკეთებდა ჩვენი ხალხიც და ყველა ჩვენგანი!"

ნამდვილად შეისმინა ჩენსტოხოვოს "შავმა მადონამ" გენერლების ლოცვა - ისინი უვნებლად დაბრუნდნენ ომიდან და რამდენიმე წლის პატიმრობის შემდეგ, თავისუფლება მოიპოვეს. 1974 წელს მეც მერგო ბედად "შავი მადონას" წინაშე ვმდგარიყავი და იგივე განმეცადა.[12]

დავუბრუნდეთ კვლავ რომანო გუარდინის. მას მიაჩნია, რომ საკულტო სურათი შეიძლება გადაგვარდეს, რის გამოც იგი ხდება დაცარიელებული, გახევებული, ცივი. იგი კარგავს მიმართებას ჭეშმარიტ მყოფობაზე. იგი იქცევა გამომშრალ სქემად, ალეგორიად, ან იგი ხდება ბოროტი გზით გაცოცხლებული. იგი დაცურდება მაგიაში. სურათი ხდება კერპი. გუარდინი აღწერს ინდოეთის რომელიღაც ტაძარში ამოტივტივებულ ღვთისმშობლის ხატს, რომელსაც როგორც ქალღმერთს, სცემდნენ თაყვანს. ჰ. ანდერსენის "იმპროვიზატორში" არის ერთი ადგილი, სადაც აღწერილია

იტალიაში ვულკანის ამოფრქვევა. ცეცხლოვან ლავას რომ არ გაენადგურებინა ბაღი, იქ ხეზე დაკიდეს ღვთისმშობლის ხატი, მაგრამ ლავა მას არ ინდობდა. კაპუცინმა ხელები ზეცისკენ აღაპყრო: "მადონას ხატი დაიწვება! იხსენით იგი და ის დაგიფარავთ ყველას ცეცხლისა და ალისაგან!" ერთმა ქალმა ამისათვის თავი გადადო, მაგრამ ოფიცერმა შეაჩერა: "მადონა არ საჭიროებს შენს დახმარებას! მას სურს, რომ ცუდად შესრულებული მისი გამოსახულება, შებღალული ცოდვილის ხელებით, ცეცხლში დაიწვას!" ნ. ლესკოვი, თავის შესანიშნავ მოთხრობაში "აღბეჭდილი ანგელოზი" აღწერს შემთხვევებს, როდესაც XIX ს-ის შუა ხანებში, მოსკოვში, ამ "მესამე რომში", იყიდებოდა ხატები, რომელთა პირველი შრის, ანუ წმინდანთა გამოსახულების აფხეკის მერე, გამოჩნდებოდა ეშმაკის სურათი. სხვათა შორის, ჩვენთანაც, თბილისში, არცთუ დიდი ხნის წინ, მახსოვს სასულიერო პირთა მიერ ხალხის გაფრთხილება, რომ ყველგან ნუ ყიდულობენ ხატებს, რადგან იგივე ხდებოდა, რაც ლესკოვის მოთხრობაში.

დაბოლოს, ჩვენი წერილის სათაურს დანტეს "ღვთაებრივი კომედიით" დავუბრუნდები: მშვენიერების იდუმალებაში ორი საფეხური იკვეთება, "განსაწმენდელში" დანტე ხვდება მომღერალ კასელას სულს, რომელსაც იგი ამქვეყნად იცნობდა, გახარებულნი, სამჯერ გადაეხვევიან ერთმანეთს და სამჯერვე დანტეს ხელები საკუთარ მკერდს მოხვდება, რადგან კასელას სულიერი სხეული ტრანსცენდენტური ფიზიკის კანონზომიერების მიხედვით, სხეულგამტარია. შემდეგ დანტე სთხოვს, რომ იმღეროს კასელამ და იგიც იწყებს დანტეს სასიყვარულო კანცონას "Amor, che nella mente mi regiona". ესთეტიკური კმაყოფილება ამ მშვენიერი შესრულებისა იმდენად დიდია, რომ საშიშროება იქმნება, სულების ეთიკურ ნებელობას ზიანი მიადგეს, რასაც განსაწმენდელის მთაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ საქმეში ერევა კატონი, ეთიკური რიგორიზმის წარმომადგენელი, რომელიც სულებს გაფანტავს.

კასელას ეს სიმღერა მშვენიერების დაბალი საფეხურია. უმაღლეს მშვენიერებაზე დანტე საუბრობს "სამოთხის" 31-ე სიმღერაში, როდესაც იგი ღვთისმშობლის მშვენიერებას ეხება და რომელსაც ვერ აღწერს, რადგან იგი არა მხოლოდ ენით გადმოუცემელია, არამედ აღემატება ადამიანური აღქმის ყოველგვარ უნარს, თვით დანტეს უნარსაც, რომელიც სამოთხის ჭვრეტისათვის ყველაზე ამაღლებულია.

გაზ. "კალმასობა" №2 (84) 2005 წელი

გოცარტის "დონ ჟუანი" ჯიორგი ბერძენიშვილის "ან-ან"-ში*

(გარდაცვალებიდან 150 წლისთავის გამო)

წინასიტყვაობა

გერმანელი ფილოსოფოსი კარლ ლიოვითი გვამცნობს: კირკეგორის თხზულებანი დანიურ გამოცემაში მოიცავენ 30 ტომზე მეტს. ისინი შექმნილია თხუთმეტი წლის მანძილზე ადამიანისაგან, რომლის უზარმაზარი ნიჭი და სულიერი ენება რაღაც ძრწოლის მომგვრელს შეიცავს".[1]

მაშინ, როდესაც ჰეგელი და მარქსი აყალიბებდნენ სისტემებს, კირკეგორი მათ საპირისპიროდ გაიაზრებდა ცალკეულ ადამიანს, ერთადერთს, მის ექსისტენციას. "კირკეგორის პროტესტანტულმა ქრისტიანობამ აქცია იგი ცალკეულ, ქრისტიანულ ღმერთში შეგნებულად არსებულ ინდივიდუუმად, მაშინ, როდესაც ჰეგელთან ცალკეული ადამიანი ინსტრუმენტია დიალექტიკურ პროცესში განვითარებული გონებისა".[2] მას მერე, რაც უკუგდებულ იქნა ჰეგელის სისტემა და ასევე რეალურმა სოციალიზმმა კრახი განიცადა, კირკეგორის მიერ ცალკეული ადამიანის ექსისტენციალურმა ანალიზმა უჩვეულო აქტუალობა შეიძინა. კირკეგორის მომხიბვლელობა თავად მისივე აზროვნების მოძრაობაშია.

ის, რასაც კირკეგორი ერთ-ერთ თავის პირველ ნაწარმოებში ამკვიდრებს,[3] შეიძლება ითქვას, ძალაშია მთელი მისი შემოქმედების მიმართ: იგი მიმართულია ცალკეული ადამიანისადმი. აქ მხოლოდ ერთადერთობა არ იგულისხმება, არამედ გამოთქმულია ის, რასაც კირკეგორისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია: რომ ექსისტენცია და ამით ადამიანის ჭეშმარიტება მხოლოდ და მხოლოდ მის ერთადერთობაში ვლინდება. ფაქტობრივობა მასისა, მრავალისგან შემდგარი გროვა დეგრადირებას უკეთებს ცალკეულს, ხდის მას არა ანგარიშგასაწევ სიდიდედ, აქცევს მას მომენტად, ჯამის რაღაც ნამსხვრევად, რომელიც ართმევს მას ყოველგვარ თავისთავადობას. თავის "დღიურებში" კირკეგორი ასეთ ჩანაწერს აკეთებს: "ამბობენ: "ხმა ხალხისა - ხმა ღვთისა". ნუთუ ეს ძალაშია მაშინაც, როდესაც ებრაელები ყვიროდნენ: ჯვარს აცვ ეგე?" კირკეგორის განსაკუთრებულ ზიზღს იმსახურებენ ისინი, რომლებიც "პროფესიად იხდიან მასის მწყერვალზე მოქცევას". მისი აზრით, თუკი ვინმე ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტება არის საგანი საყოველთაო კენჭისყრისა, მას უნდა

---

* დაიბეჭდა გაზ. "24 საათში" 2005 წლის მარტს.

1. Karl Löwith. Jener Einzelne: Kierkegaard, In: Materialen zur Philosophie Kierkegards, Frankfurt M. 1979, s. 539.

2. C. Schmitt, Politische Romantik, Berlin 1968, s. 97, 115.

3. Vier erbaulichen Reden, 1843 (Gesammelte Werke, Dusseldorf - Koln 1950 ff).

ახსოვდეს, რომ "ხალხის მასა, როგორც ინსტანცია, ეთიკურად და რელიგიურად არაჭეშმარიტს წარმოადგენს". სხვანაირი ფორმულირებით: რწმენისა და მორალის საკითხები არ შეიძლება კენჭისყრით გადაწყდეს, რასაკვირველია, ყოველივე ამის მიღმა პოლიტიკური კონსერვატიზმი იკვეთება. ხალხის მმართველობის პრინციპის კრიტიკით კირკეგორი მონარქიის დამცველად გვევლინება.[4] "ნუთუ ტირანია ეს არის, როდესაც ერთს სურს მბრძანებლობა?" - კითხულობს კირკეგორი და აგრძელებს: "ნამდვილი ტირანია მაშინაა, როდესაც ყველას სურს მბრძანებლობა და გარდა ამისა, ყველას ავალდებულებენ მმართველობაში მონაწილეობის მიღებას..."

რწმენა, რომ მასა - არაჭეშმარიტია, განსაზღვრავს კირკეგორის სკეპტიციზმს საერთოდ პოლიტიკის მიმართ. ჭეშმარიტება და პოლიტიკა ურთიერთს გამორიცხავენ. ჭეშმარიტების ძიება საქმეა "ინტელექტისა, სულისა და რელიგიისა", ანუ ცალკეული ადამიანის, ერთადერთისა. კირკეგორის სკეპტიციზმს პოლიტიკისადმი საკმაოდ ეხმიანება ახლახან გარდაცვლილი ამერიკელი დიპლომატის ჯორჯ კენანის სიტყვები: "მსოფლიომ რომ უწყოდეს, თუ რა მცირე გონება წარმართავს მას!" (არადა, კენანს დაეჯერება, მან ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ იწინასწარმეტყველა სსრკ-ს დაშლა).

კირკეგორის აზრით, როდესაც ამ სფეროებში პოლიტიკა და პრესა ერევა, მაშინ ჭეშმარიტება სიცრუედ უნდა გადაიქცეს. კირკეგორის კრიტიკა პრესისადმი, პირველ ყოვლისა, მიმართულია იმ "ანონიმის" წინააღმდეგ, რომელსაც "პრესის მეშვეობით (აგრეთვე ინტელექტუალის, ეთიკურის და რელიგიურის მიმართ) ყველაფრის თქმა შეუძლია, რაც კი მოეხასიათება, მაშინ, როდესაც საკუთარი პიროვნების გამჟღავნების შემთხვევაში მას ოდნავი გაბედულება არ ეყოფა მცირეოდენის თქმისაც."[5] კირკეგორს დღევანდელ საქართველოში რომ ეცხოვრა, გაოცდებოდა, თუ რა გაბედულებით აწერენ ხელს ჟურნალისტები და, გნებავთ, "ავტორები" თავიანთ ცილისმწამებლურ წერილებს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ აქ სამართალი მოიკოჭლებს და, რაც მთავარია, ხშირად ასეთი წერილების "შემოქმედები" იმდენად არარაობას წარმოადგენენ, რომ გინდაც ხელი მოაწერონ და გინდაც - არა, ისინი მაინც "ანონიმებად" რჩებიან, რადგან მათი გვარ-სახელი მკითხველს არაფერს ეუბნება. საინტერესოა, რომ კირკეგორის კრიტიკის მთავარი სამიზნე ჰეგელი ასეთივე მიმართებაშია პრესასთან. ჰეგელის აზრით, ყველაზე საშინელი დანაშაული პრესისა არის ცილისწამება. მართალია, ამბობს იგი, ბოროტმოქმედებას პრესის საშუალებით ძნელია დავუდგინოთ განსაზღვრება, ვიდრე - გარეგან ძალმომრეობას, ამიტომაც კანონების შემუშავება პრესის მიმართ უფრო ძნელია.[6] (მაგრამ არა შეუძლებელი! ვ.რ.).

დავუბრუნდეთ კირკეგორს. იგი წერს: "თუკი მასა ბოროტია, ესაა ქაოსი, რაც გვემუქრება: ხსნა მხოლოდ ერთშია: გავხდეთ ცალკეული და მხსნელი

---

4. Nachschrift, II. s. 334 f.
5. Schriften uber sich selbst, s. 103.
6. К. Фишер, Гегель, т. I. стр. 562.

აზრი: ის ცალკეული."[7] კ. ლისმანის აზრით, კირკეგორის თხზულებები შეიძლება ამ წინადადების ექსპლიკაციად მივიჩნიოთ. საკითხი, თუ როგორ არის შესაძლებელი სუბიექტურობა, საკითხი, თუ როგორ მიიღწევა იმ ცალკეულად გახდომა, წითელი ხაზივით გასდევს არა მხოლოდ დანიელის შემოქმედებას, არამედ უფრო აქტუალური ხდება ისეთ დროს, როდესაც წინ წასული კომუნიკაციის ტექნოლოგიები, ისევე როგორც უკვე ვადაგასულად მიჩნეული იდეოლოგიები, საერთო მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ: იმ ცალკეულს.

კირკეგორის შემოქმედებაში თანდათანობით ადგილს იმკვიდრებს დანიური სახელმწიფო ეკლესიის ლუთერული ორთოდოქსიის კრიტიკა. მანამ კი, როგორც აღვნიშნეთ, იგი უსწორდება ჰეგელის ფილოსოფიას (არც შელინგი ახდენს მასზე ზეგავლენას და მისი ლექციების მოსმენის მერე იგი გულაცრუებული ბრუნდება გერმანიიდან). ჰეგელის შეცდომა, კირკეგორის მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ იგი აზროვნებას აიგივებდა არსებობასთან. ყოფიერების წვდომა ინტელექტუალურად შეუძლებელია. "თუკი ჰეგელი", - წერს კირკეგორი - "თავისი ლოგიკის შესავალში იტყოდა, რომ ეს მხოლოდ აზრობრივი ექსპერიმენტია, მაშინ იგი ნამდვილად იქნებოდა უდიდესი მოაზროვნე მოაზროვნეთა შორის. ასე კი იგი მხოლოდ კომიკურია". კირკეგორის ბიოგრაფი პეტერ როდე ამბობს, რომ დანიელი ფილოსოფოსი არ ეთანხმებოდა ჰეგელს იმაში, რომ თითქოს ყველა წინააღმდეგობა უნდა გაითქვიფოს უფრო მაღალ ფილოსოფიურ სინთეზში, რადგან ეს აზრი სიცოცხლეს მის ჩვეულ დაძაბულობას ართმევს, ხოლო ქრისტიანულ წარმოდგენას ყოფიერებაზე, როგორც ბრძოლას სიკეთისა ბოროტებასთან - ყოველგვარ აზრს. ასე რომ, ჰეგელის კრიტიკა მომდინარეობდა არა მარტო "მარცხნიდან" (მარქსი ცდილობს "თავზე მდგომი ჰეგელი ფეხზე დააყენოს"), არამედ იმ ბანაკიდანაც, რომლის დასკვნას ვილჰელმ ვინდელბანდის ცნობილ "ფილოსოფიის ისტორიაში" ვკითხულობთ, რომელიც მიუღებლად მიიჩნევდა "თავის თავისადმი კლავ დაბრუნებული იდეის" განმარტებას ღვთის პიროვნებად, და მეორე მხრივ, ასევე მიუღებელი იყო მარადიული ყოფიერების და ყველა ფორმის ერთმანეთში დიალექტიკური გადასვლის სისტემაში სასრულ პიროვნებას რაიმე პრეტენზია განეცხადებინა "სუბსტანციურობაზე" და უკვდავებაზე რელიგიური გაგებით. ხოლო მიღმური ცხოვრების უარყოფა ფაქტიურად თვით ღვთის უარყოფას ნიშნავს.[8] ამიტომ მიიჩნევდა იგივე ვინდელბანდი, რომ "ჰეგელის "აბსოლუტური სული" სინამდვილეში ადამიანის სულს წარმოადგენს..."

მაგრამ დავუბრუნდეთ კირკეგორს და ვიკითხოთ, ნუთუ მას, "ცალკეულის" ექსისტენციის გენიალურ გამაზრებელს,არ ჰყოლია წინამორბედი აზროვნების ისტორიაში? აქ ძალაუნებურად გვახსენდება პასკალი, მაგრამ შეიძლება უფრო ადრეული მაგალითის დასახელებაც. ცნობილი ისტო-

7. Schriften uber sich seldst, s. 64.

8. А. Кожев, Введение в чтение Гегеля, С. П. 2003, стр. 768.

რიკოსი არონ გურევიჩი, თავისი "შუა საუკუნების კულტურის ლექსიკონის" (მოსკოვი, 2003 წ.) წინასიტყვაობაში წერს: "თანამედროვე ისტორიული მეცნიერების წინაშე დასმულია კითხვა: შეიძლება თუ არა შუა საუკუნეების ადამიანის კვალიფიცირება როგორც პიროვნებისა? ეს პრობლემა ბოლო საუკუნენახევრის განმავლობაში არაერთგზის წამოიჭრა, მაგრამ ისეთი გადაწყვეტილება ვერ ჰპოვა, რომელიც დააკმაყოფილებდა სხვადასხვა მიმართულების მჭონე ისტორიკოსებს. XIX ს. 60-იანი წლებიდან დიდხანს გაჭეფებული იყო თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, "სამყაროსა და ადამიანის" აღმოჩენა მოხდა ევროპაში, კერძოდ, მხოლოდ აღორძინების ეპოქაში, არა უადრეს XVI საუკუნისა. ი. ბურკხარდტის აზრით, რენესანსის წინა ეპოქა ხასიათდებოდა ინდივიდუალიზმის არქონით და ინდივიდის ღრმა ჩართვით კოლექტივში, გვარში, წოდებაში, პროფესიულ ჯგუფში, ჩართვით, რომელიც იყო არა მხოლოდ სოციალური, არამედ - ფსიქოლოგიურიც". და აქ ა. გურევიჩი წერს იმას, რაც პასუხად შეიძლება ჩაითვალოს ჩემს მიერ დასმულ კითხვაზეც (კირკეგორის წინამორბედის თაობაზე): "ადამიანის პიროვნების ისტორია შუა საუკუნეებში იწყება, მიუხედავად ტრადიციული თვალსაზრისისა, არა ნულიდან, არამედ, პირიქით, შთამბეჭდავი და ფსიქოლოგიური სიღრმით გამორჩეული ავგუსტინეს "აღსარებით".

შესაძლოა, "ინდივიდუალიზმის" ნიშნით საუკუნეების სიღრმეში უფრო ღრმად გადავინაცვლოთ და ბიბლიურ წინასწარმეტყველებს შევეხოთ. ფილოსოფოს იოანეს ჰესენის წიგნში ("პლატონიზმი და პროფეტიზმი", მიუნხენი 1955) შესანიშნავი ანალიზია ცნებებისა "ესენცია" (არსი) და "ექსისტენცია" (არსებული), რომელთაგან პირველს "პლატონიზმი", თუ შეიძლება ასე ითქვას, "ემსახურება" და იკვლევს, ხოლო არსებულის პრობლემები წინასწარმეტყველების ("პროფეტიზმი") სამოქმედო სფეროა. ამ უკანასკნელთა შესახებ ი. ჰესენი წერს: ყველა არსებული არის ინდივიდუალური. არსებობს მხოლოდ განუმეორებელი. საყოველთაობა, როგორც ასეთი, არ არსებობს; იგი არსებობს ერთეულზე ან ერთეულთან. მაგრამ ეს ერთეული რეალურია თავისი არსებობით. მასში ძევს პრინციპი ინდივიდუალობისა. ამიტომ წინასწარმეტყველები ერთდროულად არიან რეალისტებიც და ირაციონალისტებიც.

ამ ზოგადი შესავლის მერე ორიოდე სიტყვით ფილოსოფოსის ბიოგრაფიის შესახებ. მთელი მისი ცხოვრება, თუ არ ჩავთვლით გერმანიაში რამდენჯერმე მგზავრობას, მან დანიის დედაქალაქში გაატარა. მამამისი შეძლებული კაცი გახლდათ, ხოლო სიორენი მისი ბოლო, საყვარელი შვილი იყო. მამა-შვილის ურთიერთობა ფილოსოფოსისათვის მეტად შთამბეჭდავი იყო - ერთი მხრივ, მას მამა ძალზე უყვარდა, მეორე მხრივ, კი მის გამო ნიადაგ სასჯელს ელოდა ღვთისაგან, რადგან მამამისს ბავშვობაში, როდესაც იგი უბრალო მწყემსი იყო, გაჭირვებისაგან სასოწარკვეთილს, ღმერთი დაუწყეველია. სწორედ ამის გამო ახალგაზრდა კირკეგორი ურთიერთობას წყვეტს თავის მომხიბვლელ საცოლესთან, რათა მისი ოჯახური წყევლა

მასზეც არ გადასულიყო. იყო კიდევ ერთი მომენტი, რის გამოც მან გაწყვიტა ურთიერთობა საცოლესთან. ეს გახლდათ უკვე მისი პიროვნული ცოდვა საროსკიპოში ყოფნისა, რის მერეც მას მეძავის "ხითხითი" ჩაესმოდა და ეს ფაქტიც ამძიმებდა ქორწინებაზე გადაწყვეტილების მიღებას. თუმცა, კირკეგორის საროსკიპოში ყოფნას, მისი ბიოგრაფის, ჰ. როდესაგან განსხვავებით, კატეგორიულად უარყოფს ჰ. გერდესი, კირკეგორის "დღიურების" მთარგმნელი. ასეა თუ ისე, ს. კირკეგორმა თავისი ხანმოკლე ცხოვრება მარტოობაში ("ცალკეული") დაასრულა და გარდაიცვალა 1855 წლის 11 ნოემბერს ორმოცდასამი წლისა.

"ან-ან"[9]

როგორც მწერალი, თუ არ ჩავთვლით მის დისერტაციას და საყმაწვილო თხზულებებს, ს. კირკეგორი ასპარეზზე 1843 წელს გამოვიდა, როდესაც გამოიცა მისი წიგნი "ან-ან", რომელმაც გამოცემისთანავე მძაფრი რეაქციები გამოიწვია. რომანო გუარდინი შემდეგნაირად ახასიათებს ამ ნაწარმოებს: "ღრმა ფილოსოფიური და თეოლოგიური აზროვნება, კრიტიკა და განსჯა, პოეტური გადმოცემა, ფსიქოლოგიური ანალიზი, ცოცხალი რელიგიური მიმართვა, სატირა და თავდასხმა და მარად განახლებული "მეს" წარმოჩენა - ყოველივე ეს ერთიან ნაქარგში".

"ან-ან"-ის ავტორის ვინაობა ტექსტში რიგი ფსევდონიმებითაა გასაიდუმლოებული. ვითონ ვინმე "ვიქტორ ერემიტას", გამომცემელს, ხელთ შემთხვევით ჩაუვარდება მანუსკრიპტი ახალგაზრდა ესთეტის, რომელიც A-თი იწოდება, ანუ იოანესი, ზედმეტსახელად მაცდუნებლისა და რომელსაც შემდეგ უპირისპირდება ხელნაწერები სასამართლო მრჩეველის, ვილჰელმისა, სხვაგვარად B-სი. A-ს ფრივოლურ ესთეტიზმს B სერიოზულ ეთიკურ-ზნეობრივ პრინციპებს უპირისპირებს. თვით გამომცემლისათვის ამ "ან-ან"-ში საკითხის საბოლოო გადაწყვეტა არ არსებობს - არჩევანი "ესთეტიკასა" და "ეთიკას" შორის არ კეთდება და ასე დასმული კითხვა პასუხგაუცემელია.

A-ს "ესთეტიკურ მსოფლმხედველობას" მრავალი გვერდი ეთმობა. მაგრამ ცენტრალური თემაა აქ მოცარტის "დონ ჟუანის" მისამართით გამოთქმული მოსაზრებები და განმარტებანი. დონ ჟუანი, გენიალური მაცდუნებელი, თავის მუსიკალურ ფორმაში წარმოადგენს ისეთ ცხოვრებისეულ სახეს, რომელიც ემორჩილება ეროტიკული უშუალობისა და ტკბობის პრინციპს. მოცარტის ოპერის ფიგურებში დონ ჟუანი აღწევს ნდომის მესამე, უმაღლეს სტადიას. შედარებით ქერუბინოსთან, ოპერა "ფიგაროს ქორწინებიდან", რომელსაც ახასიათებს მეოცნებე, გაურკვეველი, საკუთრივ არავითარ ობიექტზე მიმართული ნდომა და შედარებით პაპაგენოსთან, ოპერა "ჯადოსნური ფლეიტადან", რომ-

---

9. გამოყენებულია გერმანული გამოცემა Sören Kierkegaard, Entweder-Oder, Teil I ind II, München 1996.

ლის ნდომა რაღაც "რეგრესიული" და "მოუსვეხარია", ნდომა დონ ჟუანისა არის "უბრალოდ ჭეშმარიტი, გამარჯვებული, ტრიუმფალური, მოუგერიებელი და დემონური". დონ ჟუანი ახორციელებს ვნებიანობას, როგორც პრინციპს, იგი არის "ხორცის ინკარნაცია (ხორცშესხმა) ან აღტაცება ხორცისა თავად საკუთარი ხორციეული სულიდან". ეს კი ნიშნავს, რომ მისი "სიყვარული არ არის სულიერი, არამედ - ხორციეული, ხოლო ხორციეული სიყვარული, მისი ცნების მიხედვით, არ არის ერთგული, არამედ ორგულია, მას უყვარს არა ერთი, არამედ ყველა, რაც ნიშნავს, რომ იგი ყველას აცდუნებს. იგი, სახელდობრ, მხოლოდ წამიერად არის აქ, მაგრამ წამიერება, ცნებისეულად გააზრებული, წარმოადგენს წამების ჯამს და ამით ვლებულობთ მაცდუნებელს". "წამიერება", კირკეგორისათვის სხვადასხვა კონტექსტში ცენტრალური კატეგორიაა, გვევლინება აქ, როგორც დროის უარმყოფელი განზომილება ვნებიანობისა, რომელიც ზნეობას არ ემორჩილება, რადგან იგი დროს უბრალოდ აჩერებს. ამით ყოველგვარი წინაპირობა ნებისმიერი მორალური კრიტიკისა მოშსპარია, ისევე როგორც შესაძლებლობისა, რომ მას ამის მერე დაეუფლება გრძნობა დანაშაულის ჩადენისა, რომელიც ითხოვს მონანიებას. და ეს ყოველივე იმიტომ, რომ თუკი მხოლოდ მომენტი არსებობს, "წამიერება", მაშინ ყოველგვარი "ამის წინ" და "შემდგომ" აღარ იარსებებს და, აქედან გამომდინარე, არ იარსებებს აღარავითარი პასუხისმგებლობაც. მაცდუნებელი ძალა დონ ჟუანისა სწორედ წამიერების ზემძლავრობაში ძევს - და ეს არის იდუმალება ვნებიანობის ძალისა საერთოდ: მან არ უწყის არავითარი "წინ" და "შემდეგ" და ამით არავითარი მორიდება, მაგრამ არც არავითარი მისგან გამომდინარე შედეგები. მუსიკა, საკუთარი კანონების მიხედვით "ანკლავს" წარმოადგენს დროში და ამით თვითვე გვევლინება გაჩერებული დროის ვარიანტად. მუსიკალურ ანკლავზე წარმოდგენას (რაც კირკეგორის წინაგანჭვრეტის უნარზე მეტყველებს) ბერგსონის ნაშრომი შეგვიქმნის ("ნარკვევი ცნობიერების უშუალო მონაცემების შესახებ"). როდესაც ვისმენთ მელოდიას, ცალკეულ ბგერებს იზოლირებულად არ აღვიქვამთ - ჩვენი განცდა მომდევნო ბგერისა დამოკიდებულია წინაბგერების განცდაზე. ამიტომ ხდება მელოდიის მთლიანი აღქმა და ამიტომ წარმოადგენს იგი არა მრავალ, არამედ - ერთ განცდას. აქ მრავალი ნაწილი, სივრცისაგან განსხვავებით, ურთიერთს განმსჭვალავს და აწმყო წარსულსაც შეიცავს. აქ დრო კი არ "ვითარდება", კი არ იწელება, არამედ მრგვალდება, იკვრება, იქცევა წერტილად, ანუ "ჩერდება". რასაკვირველია, ეს ხდება ფსიქეში, ცნობიერებაში, მაგრამ ასე "შეჩერებული" დრო უკვე ვერ გადაწვდება ვერც პასუხისმგებლობის შეგნებას მომხდარ აქტამდე და ვერც მონანიებას მის შემდგომ. ასე გაგებული მუსიკა უკვე აუცილებლობით იქცევა ვნებიანობის გამოხატულების ფორმად: "სულიერი სიყვარული წარმოადგენს დროში მდგრადობას, ხორციელი - დროში განქარვებას, მაგრამ მედიუმი, რომელიც ამას გამოხატავს, არის სწორედ მუსიკა".

კირკეგორისათვის მოცარტის "დონ ჟუანი" არის თვისებრივად განსხვავებული ყველა სხვა ოპერებისაგან. მას ვერ შეედრება თავად მოცარტის

სხვა ნაწარმოებები. ეს ოპერაა, რომელიც მის შემქმნელს უკვდავს ხდის. რაც შეეხება მუსიკას, რომელიც გამოხატულებაა "გრძნობად-ეროტიკული გენიალობისა თავის უშუალობაში", ასეთი მუსიკა - "დემონურია" (აქ ძალაუნებურად გვახსენდება მოცარტის შეფასება ოლივიე მესიანის მიერ: "შესაძლოა, მოცარტის ყველაზე შესაფერის განსაზღვრებად სიტყვა "ანგელოზური" ჩაითვალოს. დიახ - ანგელოზური და სწორედ ამიტომ გასაგებად ძალზე რთული. გარეგნული მომხიბვლელობის მიღმა იმალება უღრმესი საიდუმლო, როგორც ნათქვამია რილკესთან, "ყოველი ანგელოზი შემზარავია"). "მუსიკას თავისი აბსოლუტური საგანი ეროტიკულ გრძნობად გენიალობაში გააჩნია", ამბობს კირკეგორი და თან იმასაც დასძენს, რომ "რასაკვირველია ამით ის არაა ნათქვამი, რომ მუსიკას სხვა რამის გამოხატულება არ ძალუძს" და იგი იხსენებს ბიბლიურ საულს, რომლის ბოროტი აზრები და გუნებგანწყობა დავითმა მუსიკით განდევნა. მაგრამ კირკეგორს მიაჩნია, რომ ეს, ისევე, როგორც გიჟების მკურნალობა მუსიკით, დიდ ილუზიას წარმოადგენს. საულის შემთხვევაში მუსიკა ამას იქმს მხოლოდ, რადგან იგი ცნობიერებას ბურანში ხვევს. "ინდივიდუუმს წამიერ თრობაში შეუძლია თავი ბედნიერად იგრძნოს, მაგრამ სინამდვილეში უფრო უბედური ხდება". რაც შეეხება გიჟების მკურნალობას მუსიკით, "თუკი სიგიჟეს მენტალური საფუძველი აქვს, ამის მიზეზია ცნობიერების ერთგვარი გამკვრივება. ეს გამკვრივება უნდა გადაილახოს, მაგრამ თუკი იგი უნდა ნამდვილად გადაილახოს, სწორედ საპირისპირო გზა უნდა ავირჩიოთ და არა ის, რომელიც მუსიკასთან მიგვიყვანს... მუსიკით მკურნალობა პაციენტს უფრო მეტად აგიჟებს, თუნდაც მოჩვენებითად იგი ჯანმრთელი ჩანდეს".

აქაც, ოლივიე მესიანის შემდეგ, ძალაუნებურად გვახსენდება ლევ ტოლსტოის შესანიშნავი მოთხრობა "კროიცერის სონატა". ეჭვიანობის გამო ცოლის მკვლელი, პოზდნიშევი, დარწმუნებულია, რომ ცოლს ღალატისაკენ უბიძგა... ბეთჰოვენის "კროიცერის სონატამ"! განსაკუთრებით მისმა პირველმა ნაწილმა, "პრესტომ". "საშინელი რამ არის ეს სონატა. განსაკუთრებით ეს ნაწილი" - ამბობს იგი. მოთხრობის გმირი მსჯელობს: "მას, მუსიკას, უცებ, უშუალოდ გადავყავარ იმ სულიერ მდგომარეობაში, რომელშიაც იმყოფებოდა ის, ვინც მუსიკას წერდა. მე ვერწყმი მას სულიერად და ერთი მდგომარეობიდან გადავდივარ მეორეში, მაგრამ რატომ ვშვები ამას, არ ვიცი. რადგან მან, ვინც დაწერა თუნდაც კროიცერის სონატა, ბეთჰოვენმა, ხომ იცოდა, რატომ იმყოფებოდა ამგვარ მდგომარეობაში - ამ მდგომარეობამ მიიყვანა იგი ცნობილ ქმედებამდე და ამიტომ ამ მდგომარეობას მისთვის გააჩნდა აზრი, ჩემთვის კი - არავითარი. და ამიტომაც მუსიკა მხოლოდ აღიზიანებს..." პოზდნიშევი ამბობს, რომ საბრძოლო მუსიკა მას ესმის - ჯარშის დროს ჯარისკაცები მიდიან, ესმის საცეკვაო მუსიკაც, ესმის საეკლესიო გალობაც - ყველას თავისი დანიშნულება აქვს. მაგრამ "მხოლოდ გაღიზიანება, ხოლო ის, რა უნდა გააკეთო ამ გაღიზიანებით - არ ჩანს". ეს მუსიკა "საშინელი საშუალებაა" და გააჩნია, თუ "ვის ხელში აღმოჩნდება იგი". განა შეიძლება კროიცერის სონატის, მისი "პრესტოს" შესრულება

სასტუმრო დარბაზში "დეკოლტირებულ ქალბატონებს შორის?" იგი დარწმუნებულია, რომ ცოლსა და საყვარელს შორის არსებობს "მუსიკის კავშირი, ყველაზე დახვეწილი გრძნობათა ავხორცობა".

აქ მოგვიხდება მცირეოდენ შოპენჰაუერსაც შევეხოთ, რომელსაც, პ. როდეს ცნობით, კირკეგორი გატაცებით კითხულობდა. შოპენჰაუერი თავის ცნობილ ქმნილებაში "სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა" მუსიკის არსად სამყაროს ნებას მიიჩნევს, "რადგან მუსიკა, როგორც უკვე ითქვა, იმით განსხვავდება სხვა დანარჩენ ხელოვნებათაგან, რომ იგი ანაბეჭდი კი არ არის მოვლენისა, ან, უფრო სწორად, ადეკვატური - ნების ობიექტურობისა, არამედ უშუალო ანაბეჭდია თავად ნებისა და ამგვარად ყოველი ფიზიკურისათვის სამყაროში გვიჩვენებს მეტაფიზიკურს, ყველა მოვლენათათვის - საგანს თავის თავში. ამიტომ სამყაროს შეიძლება ვუწოდოთ, როგორც ხორცშესხმული მუსიკა, ასევე - ხორცშესხმული ნება". შემდეგ: "რამდენადაც მუსიკა, ყველა სხვა ხელოვნებათა საპირისპიროდ, გამოხატავს არა იდეებს, ან საფეხურებს ნების ობიექტივაციაში, არამედ უშუალოდ თავად ნებას, სწორედ ამით აიხსნება, რომ იგი ზემოქმედებს ნებაზე, ე.ი. მსმენელის გრძნობებზე, ვნებებზე და აფექტებზე". შოპენჰაუერი თავის წინამორბედებს ანტიკურ ფილოსოფიაში პოულობს: "ამიტომაც ყოველთვის ამბობდნენ, რომ მუსიკა - გრძნობათა და ვნებათა ენაა, როგორც სიტყვები - გონების ენა. უკვე პლატონი განსაზღვრავს მას, როგორც "მელოდიათა მოძრაობას, რომელნიც ბაძავენ სულის მღელვარებათ", ხოლო არისტოტელე ამბობს: "რატომ არის, რომ მუსიკალური რიტმები და მელოდიები, რომლებიც უბრალო ბგერებს წარმოადგენენ, მიუხედავად ამისა, ასე ემსგავსებიან სულიერ მდგომარეობათ?"

აქ იმასაც დავძენ, რომ შოპენჰაუერი პროგრამულ მუსიკას არარად მიიჩნევს აბსოლუტურ მუსიკასთან შედარებით. მისი აზრით, მუსიკას სრულიადაც არ სჭირდება სანახაობითი მხარე, თეატრი - იქნება ეს ოპერა, თუ მუსიკალური დრამა. თავად მუსიკა, როგორც სამყაროს ნება, მსმენელში აღძრავს მშვენიერებას, ხილვებს, რაც გადალახავს მოვლენათა სფეროს. საინტერესოა, რომ ვაგნერი, დიდი თაყვანისმცემელი შოპენჰაუერისა, თავის მხრივ, არაფრად აგდებს წმინდა, აბსოლუტურ მუსიკას, თვლის რა მას არასერიოზულ ხელოვნებად, "ბგერითი ფორმების თამაშად". მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბეთჰოვენისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში, შოპენჰაუერის კვალდაკვალ, იგი მუსიკას, ისევე როგორც ყველა ბგერას - იქნება ეს ოკეანის გუგუნი თუ ვეფხვის ღრიალი, - თვლის იმ მედიუმად, რომელიც გვაკავშირებს სამყაროს შინაგან არსთან.

კირკეგორი საუბრობს შუა საუკუნეებში გავრცელებული ლეგენდის - ვენერას მთის (მღვიმის) შესახებ. "ამ სამეფოში არაფრად ითვლება ენა და მეტყველება, არც გონიერება აზროვნებისა... აქ გაისმის მხოლოდ ელემენტარული ხმა ვნებისა, აგზორცული თამაშისა, ველური ხმაური თრობისა, იქ ტკბებიან მხოლოდ მარადიულ ვნებაში". ამ სტიქიის, ამ ძალის გამოხატვა, კირკეგორის მტკიცე რწმენით, სიტყვას არ ძალუძს, მიუწვდომელია იგი

აზროვნებისთვისაც, ერთადერთი, რომელიც ამაზე წარმოდგენას შეგვიქმნის, ეს არის მუსიკა. "აქ ვუსმენთ დონ ჟუანს არა როგორც ცალკეულ ინდივიდუუმს, არა მის მეტყველებას, არამედ - ხმას, ხმას ენებისას..." მისგან განსხვავებით, "ფაუსტი არის იდეა, მაგრამ იდეა, რომელიც არსებითად ინდივიდუუმს წარმოადგენს. სულიერ-დემონური ინდივიდუუმში, კონცენტრირებულად რომ გავიაზროთ, შინაგანი თანამიმდევრობაა თავად აზროვნებისა, მაგრამ, ამის საპირისპიროდ, შეუძლებელია ენების ერთ ინდივიდუუმში გააზრება". დონ ჟუანი არ არის "ჩვეულებრივი" მაცდუნებელი და მატყუარა, რომლებიც სიტყვის მეშვეობით აცდუნებენ ქალს. ამიტომ არის, რომ ფაუსტი მხოლოდ ერთ ქალწულს აცდუნებს, დონ ჟუანი კი - ათასებს. "მაგრამ რა ძალაა ეს, რითაც აცდუნებს? ესაა ნდომა, ენერგია ენებიანი ნდომისა. მას სურს ყველა ქალში მთელი ქალურობა და მასში ძევს გამაიდეალებელი ძალა ენებისა, რომელიც თავის მსხვერპლს ერთდროულად მშვენიერს ხდის და იპყრობს... ხანშიშესულს იგი ახალგაზრდად გარდაქმნის, ხოლო ბავშვებს - მომწიფებულად. ყოველი ქალი მისი ნადავლია". შემდეგ: საკმარისია დონ ჟუანმა სიტყვა გამოიყენოს საცდუნებლად, რომ იგი წყვეტს "მუსიკალურად" ყოფნას. რაზედაც აქ არის საუბარი, ესაა "დონ ჟუანის აბსოლუტური მუსიკალობა. მისი ნდომა ხორციელია, იგი აცდუნებს ენებიანობის დემონური ძალით..." ასევე: "ენებიანობა - წამიერია. ენებიანობა ელტვის წამიერ დაკმაყოფილებას, და რაც უფრო დახვეწილია იგი, მით უფრო ძალუძს მას ტკბობის წამიერების გადაქცევა მცირე მარადიულობაში". ასეთია დროის "შეჩერების" დემონური ძალა, ასეთია "ვენერას მღვიძე", რომელიც ამით ებრძვის ქრისტიანობას. წამიერების მარადიულობის საპირისპიროდ, ქრისტიანობა სხვაგვარად იაზრებს დროს. ანტიკურობის მიერ დროის ციკლური წარმოდგენის სანაცვლოდ, ქრისტიანობა საუბრობს დროის სწორხაზოვან მდინარებაზე, რომელიც თავის აღსასრულს ჰპოვებს ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს. ავიღოთ, მაგალითად, საკულტო საგანი და მოვუსმინოთ ცნობილ გერმანელ ხელოვნებათმცოდნეს ჰანს ბელტინგს. მას მიაჩნია, რომ კულტის არეში საქმე ეხება გახსენებათა შინაარსს. "აწმყო დრო", - ამბობს იგი - "იმყოფება გაციცლებით მაღალი რანგის რეალობათა შორის: ისტორიაში ღვთის გამოცხადების წარსულსა და მომავალს შორის. დროის მსვლელობა ამ ორ პოლუსს შორის ყოველთვის იმყოფებოდა ცნობიერებაში. გახსენებას ამიტომ გააჩნდა რეტროსპექტიული, და, რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ასევე პერსპექტიული ხასიათი. მის საგნად გეევლინება არა მხოლოდ ის, რაც მოხდა, არამედ აგრეთვე ისიც, რაც იყო ალთქმული. დროის ასეთი გაცნობიერება რელიგიის მიღმა ჩვენთვის არ არსებობს".

საინტერესოა, თუ ასეთ ავხორცობასა და წამიერებაზე გადაჯაჭვულ დემონს, დონ ჟუანს, რა ძალა სძლევს? აქ კირკეგორის პასუხი ცალსახაა: "არავითარ ძალას პიესაში, არავითარ ძალას სამყაროში დონ ჟუანის ძლევა არ შეუძლიათ, ეს ძალუძს მხოლოდ სულს, მხოლოდ აჩრდილს. თუკი ამას სწორედ გავიგებთ, იგი დონ ჟუანის აღქმას გაგვიადვილებს. სული, აჩრდილი

არის რეპროდუქცია, ეს არის საიდუმლო, რომელიც კვლავდაბრუნების ფაქტში ძევს; დონ ჟუანს ძალუძს ყოველისა და ყველაფრისადმი წინააღმდეგობა სიცოცხლის რეპროდუქციის გამოკლებით; ეს ხდება იმიტომ, რომ დონ ჟუანში უშუალოდ ხორციელდება ვნებისეული სიცოცხლე, რომლის უარყოფასაც სული წარმოადგენს".

ბარემ აქვე დავძენ, აჩრდილის, ანუ საიქიოდან კვლავდაბრუნებული კომანდორის სახის მუსიკალური გადაწყვეტა მოცარტის მიერ ზედმიწევნითია. აი, რას წერს ამაზე შოპენჰაუერი თავის ცნობილ ნაწარმოებში: "მსგავსი მელოდიური ბანი... ემსგავსება მარმარილოს ლოდს, რომელსაც ძალდატანებით მიანიჭეს ადამიანის ფორმა; სწორედ ამიტომ ასე გასაოცრად შეესაბამება იგი ქვის სტუმარს დონ ჟუანში".

ამრიგად, როგორც "დონ ჟუანის" ანალიზი გვიჩვენებს, ცენტრალური პრობლემატიკა ესთეტიკური ექსისტენციისა მდგომარეობს სუბიექტივიზმის, უშუალობისა და დროის ურთიერთმიმართებაში. სხვა ადგილას A-მ მათ, რომელთაც არ ძალუძთ დროის კლანჭებიდან გათავისუფლება, რომელნიც ცხოვრობენ წარსულში მეხსიერების შემწეობით ან მომავალში იმედის ძალით, "უბედურები" უწოდა. "უბედური არის ის, ვისაც ამა თუ იმ გზით თავისი იდეალი, თავისი ცხოვრების შინაარსი, სისავსე თავისი ცნობიერებისა, თავისი ნამდვილი არსი საკუთარი თავის მიღმა გააჩნია. უბედური ყოველთვის დაცილებულია საკუთარ თავს... დაცილება კი აშკარად შესაძლებელია ან წარსულში, ან მომავალში". ეს დაკვირვება მრავლისმეტყველია: ფსიქოლოგიურად და ექსისტენციალურად. ნამდვილი სუბიექტივიზმისათვის არ არსებობს არც წარსული და არც მომავალი, რადგან წარსულის სიმძიმე და იმედი მომავლისა, ან შიში მომავლის წინაშე, ისეთ პარალიზებულ განწყობას იწვევს, რაც დამახასიათებელია "უბედური ცნობიერებისათვის". აქ A, როგორც ვხედავთ, კვალდაკვალ მიჰყვება ჰეგელს ("უბედური ცნობიერება" არის ცნობიერება საკუთარ თავზე, როგორც გაორებულ და წინააღმდეგობრივ არსებაზე. მაგალითად, გოეთეს ფაუსტი: "ჩემს მკერდში ორი სულია, ერთი ზეცისკენ მიხმობს, მეორე კი მიწისკენ და ამქვეყნიურ სიამეთაკენ მიბიძგებს..." ჰეგელის ბიოგრაფი კუნო ფიშერი წერს, რომ მის თანამედროვეებს ისე მოჰქონდათ თავი ამ ცნობიერებით, რომ იგი სიტყვა "უბედურს" აღარ იმსახურებდა... ამიტომ მართალია ჰეგელი, რომ მხოლოდ მკვეთრი დაპირისპირება, გამოუვალი სიტუაცია მათ შორის - გადაულახავი დუალიზმი - ჰქმნის ცნობიერების უბედურებას).

"ესთეტიკური" ამ ასპექტებში გვევლინება, როგორც ცდა, რათა დრო გააუქმოს. მისი მიზანია თავიდან აიცილოს წარსულის სიმძიმე, მაგრამ ასევე მომავლის იმედი და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ამით ინდივიდუუმი, რასაკვირველია, თავისუფლდება ყოველგვარი ზნეობისაგან, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მისი წინაპირობა გახლავთ დრო.

მეორე ნაწილი "ან-ან"-ისა, რომელსაც მოკლედ შევეხებით, შედგება ვილჰელმის, B-ს წერილებიდან, რომელიც "ესთეტიკურ ექსისტენციას" ეთიკური კუთხიდან აკრიტიკებს. "რა არის ადამიანში ესთეტიკური და რა

არის ეთიკური? ამაზე მსურს ვუპასუხო: ესთეტიკური ადამიანშია ის, რითაც იგი უშუალოდ არის ის, რაც არის; ეთიკური კი გახლავთ ის, რითაც იგი ხდება ის, როგორიც ის ხდება".

(შდრ.: ა. კოჟევის "ჰეგელის შესავალში": წარმართული მორალი: გახდი ის, რაც შენ ხარ (როგორც იდეა=იდეალს). ქრისტიანული მორალი: გახდი ის, როგორიც შენ (კიდევ) არ გამხდარხარ, "მოქცევის" მორალი).

ვილჰელმისათვის ეთიკური არის ის, რასაც ადამიანის ცხოვრებაში მოაქვს მოძრაობა, დინამიკა, განვითარება, ამასთანავე - დანაშაული და პასუხისმგებლობა. ესთეტიკური ადამიანი ნებისმიერ წამიერებას ექვემდებარება. ამით იგი მისი უშუალო სუბიექტივიზმის ამარა რჩება, რაც ნიშნავს, რომ იგი მარტოდმარტოა. ეთიკური ადამიანი კი, ამის საპირისპიროდ, ცდილობს თავის ცხოვრებას საზოგადოებაში გაუკეთოს სტრუქტურირება, მას სოციალური ვალდებულებებით აზრი და წონა შესძინოს: "ვინც ესთეტიკურად ცხოვრობს, იგი შემთხვევითი ადამიანია, მას სჯერა - სრულყოფილი ადამიანი იმით იქნება, რომ იგი ერთადერთი ადამიანია; ვინც ეთიკურად ცხოვრობს, იღვწის იმისათვის, რომ საყოველთაო ადამიანი გახდეს". მაშინ, როდესაც ადამიანს სული, მაშასადამე, გონება, გააჩნია და ამით უნარი, რომ თავისი თავი და სამყარო აღიქვას, როგორც საყოველთაო, ესთეტიკურ ადამიანთან ასე არ ხდება. ეს უკანასკნელი გონებრივ ვალდებულებებს არ ცნობს და საკუთარ თავთან კონფლიქტში აღმოჩნდება. ამ კონფლიქტს - უშუალო სუბიექტურ ვნებიანობასა და ამ ვნებიანობის მიღმურ, ტრანსცენდენტირებულ სულის პრეტენზიებს შორის ვილჰელმი, იგივე B, სევდას უწოდებს. "რას წარმოადგენს ამგვარად სევდა? ეს არის სულის ისტერია. ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც უშუალობა მწიფდება, და სულს უფრო მაღალი ფორმის მოპოვება სურს". ესთეტიკური ადამიანი, B-ს მიხედვით, სულის ამ მოძრაობას არ ემორჩილება და ამიტომ სასოწარკვეთილებით ამთავრებს. გადამწყვეტი მიზეზი ამისა გახლავთ ის, რომ იგი რაღაცას ეფუძნება, "რომელსაც როგორც ყოფნა, ასევე არყოფნა ძალუძს". ეთიკური ადამიანი კი ეფუძნება არა ესთეტიკურ მონახაზებს, არამედ ცხოვრების ფაქტობრიობას.

საბოლოოდ, ს. კირკეგორის შემოქმედების მკვლევრის კ. ლისმანის აზრით, ესაა კრიტიკა, რომელიც ხელოვნების მიმართ მუდამ გაისმოდა და გაისმის: რომ ესთეტიკური მორალურად და პოლიტიკურად ინდიფერენტულია და ეს ინდიფერენტიზმი ბოროტებას ამკვიდრებს. ბოროტება და ესთეტიკური ძალზე ახლო ურთიერთმიმართებაში არიან: "ბოროტება შესაძლოა არასოდეს ისე მაცდუნებლად არ ზემოქმედებს, როდესაც იგი ესთეტიკური პირობების გათვალისწინებით გვევლინება; საჭიროა დიდი ზნეობრივი სერიოზულობა, რათა ბოროტების გაგება არასოდეს ვისურვოთ ესთეტიკური კატეგორიებით". იშვიათად მე-19 საუკუნეში ნიცშემდე, ამბობს იგივე კ. ლისმანი, ასე მკაფიოდ არ გამოთქმულა კრიტიკა ესთეტიკისა და ამასთანავე ხელოვნებისა მათი ამორალური ხასიათის გამო. ჩვენი მხრივ დავამატებდით, რომ ხელოვნებაში ბოროტების შეჭრის საშიშროებაზე

საუბრობდა ჯერ კიდევ ფრანც ბაადერი, ხოლო მეოცე საუკუნეში ამ აზრება-მა განვითარება ჰპოვეს ჰანს ზედლმაირთან, რომანო გუარდინისთან და სხვებთან.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დავას A-სა და B-ს შორის, ანუ "ან-ან"-ში გაშლილ დიალექტიკას ესთეტიკურსა და ეთიკურს შორის, რაიმე იძულებით გადაწყვეტილებამდე არ მივყავართ. ამიტომ კირკეგორი მიიჩნევს, რომ ეთიკურიც, როგორც პრინციპი და ცხოვრების ფორმა, კრიტიკას უნდა დაექვემდებაროს. რა არის ის, ან არსებობს თუ არა ისეთი მიზანი, რომლის გამოც სუბიექტს ეთიკურის გაუქმება ძალუძს? კირკეგორი ამაზე დადებითად პასუხობს და მაგალითად მოჰყავს ბიბლიური აბრაამის ქმედება, როდესაც ეს უკანასკნელი მზად იყო ღმერთის მოთხოვნის თანახმად საკუთარი ძის მსხვერპლშეწირვისათვის. ამგვარად, აქ ეთიკური ექვემდებარება უზენაესს, რელიგიურ მიზანს, რომლისთვისაც საჭიროა "ნახტომი" რწმენის "პარადოქსში", "რადგან რწმენა იწყება სწორედ იქ, სადაც აზროვნება წყვეტს თავის ქმედებას". მაგრამ ეს თემა უკვე გაშლილია კირკეგორის მომდევნო წიგნში, რომელსაც "შიში და ძრწოლა" ეწოდება.

მოკლე მიმოხილვა შეხედულებებისა მუსიკის არსზე

თანამედროვე ფილოსოფოსი გუნტერ შოლტცი მუსიკისადმი მიძღვნილ სტატიაში (1984 წ.) გვაუწყებს: ხანგრძლივი ტრადიციის მიხედვით, მიჩნეული იყო, რომ მუსიკის საფუძველი ღმერთშია და მსოფლიო ჰარმონიაში (ეს უკანასკნელი აღმნიშვნელია პითაგორელთა რწმენისა: ციური სფეროები მოძრაობისას თავისებურ ჰანგს გამოსცემენ). მაგრამ უკვე ე.წ. "განმანათლებლობის" ეპოქაში შეხედულება შეიცვალა და მუსიკას განიხილავდნენ ადამიანის შინაგანი "მეს", სუბიექტურობის გამომხატველად. ეს სუბიექტურობა კი რომანტიზმის დამკვიდრებისას გრძნობას აღიარებდა იმად, სადაც შესაძლებელია ღმერთზე წარმოდგენის შექმნა ან, სულაც, სადაც ღმერთი სუფევდა. ასე და ამგვარად, "განათლებული გონების" წინაშე რელიგიამ გრძნობაში პოვა თავშესაფარი. ამიტომ ენიჭებოდა მუსიკას, თვით XX საუკუნის მიჯნამდე, ამაღლებული და იმავდროულად პრობლემური მდგომარეობა: მუსიკა იქცა გამომხატველად კვაზირელიგიური გრძნობისა, თავად აბსოლუტის გამოცხადების გამომვლენისა. ესთეტიკური ჩაღრმავება მუსიკაში იქცევა რელიგიად, რადგან მუსიკა თავად ლოცვაა, როგორც ამას აღიარებს ჰერდერი თავის "ცეცილიასა" და "კალიგონეში". ვაკენროდერისა და ტიკის შეხედულებით, მუსიკა არის "რწმენის სამეუფო", "რწმენის უკანასკნელი იდუმალება, მისტიკა, სავსებით გამოცხადებული რელიგია". ჟან პაულის თქმით კი, იგი, მუსიკა, გვაუწყებს იმას, რომ სულს აქვს ზეციური ნავსაყუდელი. მუსიკისადმი ასეთი დამოკიდებულება თავისთავად წარმართავს მზერას ისტორიულ წარსულში საკრალური ვოკალური პოლიფონიისაკენ და, როგორც იმავე შოლტცისგან ვგებულობთ, ი. რეიჰარდტი წერდა ამას ჯერ კიდევ 1793 წელს: "საეკლესიო მუსიკა წარმოადგენს ბგერითი ხელოვნების უმაღლეს მიზანს". ამ აზრს იზიარებს ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი შლაიერმახერი თავის თხზულებაში "რელიგიის შესახებ", როდესაც ამტკიცებს, რომ მხოლოდ რელიგიის ნიადაგზე აღმოაცენა მუსიკამ თავისი უდიდესი ქმნილებანი. ასევე თავისუფალი ინსტრუმენტული მუსიკა, მისი ახალი ფორმით, სიმფონიით, რომანტიზმისათვის ატარებს ღვთაებრივი გამოცხადების ხასიათს: "უცოდველი", წმინდა ბგერები მათი განუსაზღვრელი გამომხატველობითი შინაარსით არაამქვეყნიურნი არიან, ისინი სხვა სამყაროს ანარეკლს წარმოადგენენ, რომლის მიმართაც აღძრავენ სევდიან ლტოლვას. ლუდვიგ ტიკის სიტყვებით თუ ვიტყვით, მუსიკა არის ყოვლად შეუცნობელი, სასწაულებრივი იშვიათობა, უიდუმალესი გამოცანა. ამიტომ მუსიკის ენა, როგორც ამას გვაუწყებს ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი თავის "კრაისლერიანაში", წარმოადგენს ენას, რომელზედაც ზეციური სულნი მეტყველებენ, იდუმალებით აღსავსეს, ბგერებით გამოთქმულ "ბუნების სანსკრიტს". მაგრამ რელიგიურმა და მეტაფიზიკურმა გამონათქვამებმა არ უნდა დაგვაბნიოს სავსებით ახალი სიტუაციის თვალსაზრისით: მუსიკაში რელიგიური რწმენის ან გონების მიერ ცნებისეულად აღქმული აბსოლუტი კი არ შეიცნობა კვლავ, არამედ ეს აბსოლუტი, ამ ახალი თვალსაზრისით, შესაძლებელი ხდება მხოლოდ მუსიკის მეშვეობით,

მხოლოდ მუსიკაში განვიცადოთ. ამგვარად, მუსიკა ცდილობს თავის თავზე აიღოს რელიგიისა და მეტაფიზიკის ფუნქციები. ამიტომ იყო რომანტიზმში ცდები, რომ კლავე მიბრუნებოდნენ პითაგორიზმის მოძღვრებას, მაგრამ ამავე დროს მუსიკას უკვე აღარ გააჩნდა მეტაფიზიკური ბაზისი მათემატიკურ-სპეკულატური გონების შემწეობით მოპოვებული, და ამიტომაც ცდილობდნენ მის გასხივოსნებას პოეტური წარმოსახვის მეშვეობით. თვით შელინგი თავის "ხელოვნების ფილოსოფიაში" ნეოპითაგორიზმს შემოფარგლავს იმით, რომ მუსიკას უწოდებს აღქმულ რიტმსა და ხილული უნივერსუმის ჰარმონიას ყოველგვარი მათემატიკური დასაბუთების გარეშე. ამგვარად, აღარავითარი მათემატიკური ხიდი აღარ არსებობდა მუსიკასა და კოსმოსს შორის. ეს გასაგებიცაა, რადგან რომანტიზმისათვის, ვაკენროდერის სიტყვებით თუ ვიტყვით, ნამდვილი პარადოქსია, რომ მუსიკას, ამ "ბრწყინვალე სულთა მოვლინებებს", საფუძვლად ედოს რაღაც ღატაკი ქსოვილი რიცხვთა პროპორციებისა.

მუსიკის არსის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შოპენჰაუერს. განუდგა რა აბსოლუტს, შოპენჰაუერი, ზოგადად, ხელოვნების განსაზღვრებისას მის მეტაფიზიკურ განზომილებებს არ უარყოფს. თავის მთავარ თხზულებაში "სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა" იგი ამტკიცებს, რომ ხელოვნება, ისევე როგორც ფილოსოფია, "ყოფიერების პრობლემის გადაწყვეტად იღვწის". მაგრამ,მისი მტკიცებით, ხელოვნების მწვერვალია მუსიკა. მაშინ როდესაც სხვა ხელოვნებანი მხოლოდ "ჩრდილებზე მეტყველებენ, მუსიკა თავად არსზე საუბრობს". შოპენჰაუერის აზრით, მუსიკა "მოვლენის ანარეკლი კი არ არის", არამედ იგი თავად მეტაფიზიკურს წარმოადგენს. მუსიკა ერთადერთია, რომელიც არის "სიცოცხლის კვინტესენცია" და სამყაროს "თავის თავში", მის აბსოლუტურ საფუძველს უშუალოდ ასახავს.

ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ შილერის, ძმები შლეგელების, ფ. ფონ ჰუმბოლდტის, ჟან პაულის, შლაიერმახერის და ჰეგელის მიერ ხდება მუსიკის, როგორც ქრისტიანული თანამედროვე ხელოვნების, ბერძნულ-ანტიკურ პლასტიკურ ხელოვნებასთან დაპირისპირება. ჰეგელი თავის "ესთეტიკაში" ამბობს, რომ მუსიკა ხელოვნების სისტემაში წარმოადგენს საკუთრივ რომანტიკულ ხელოვნებას და, როგორც წმინდა ინსტრუმენტული მუსიკა, გვევლინება "თავისუფლების უმაღლეს მწერვალად", რადგან იგი, თავისუფალი ყოველგვარი მატერიალურისაგან," აბსტრაქტულ სულიერებას, აბსტრაქტულ თვითმოსმენას" გამოხატავს. მაგრამ სუბიექტივიზმის ამ თავისუფლებაში, რომელიც მოწყვეტილია ყოველგვარ სუბსტანციურ შინაარსს, არსებობს საშიშროება, რომ იგი გახდეს ცარიელი და უმნიშვნელო. ამიტომ მუსიკას ჰეგელი პოეზიას უქვემდებარებს.

აზრს, რომ მუსიკა ქრისტიანულ ხელოვნებას წარმოადგენს, ყველა როდი იზიარებს. კირკეგორი თავის "ან-ან"-ში ჰეგელის თეზას პირუკუ ატრიალებს და ამტკიცებს, რომ მუსიკაში წარმოჩენილია ადამიანის არა სუბიექტური სულიერება, არამედ ქრისტიანობას ჩამოშორებული და დემონურად ქცეული გრძნობად-ეროტიკული. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ტოლსტოის მოთხრობა "კრეიცერის სონატა". პროგრამული მუსიკა ტოლსტოისათვის მისაღებია, მაგრამ აი, წმინდა ინსტრუმენტული, აბსოლუტური მუსიკის სმენა კი

ტოლსტოის ალაგზნებს ისე, რომ მოთხრობის გმირები ამ სონატის შესრულების შემდეგ უზნეობაში იჩეხებიან, რაც, თავის მხრივ საწინდარი ხდება ოჯახური ტრაგედიისა. აქ ისევ შოპენჰაუერი უნდა გავიხსენოთ, რომლისთვისაც მუსიკა არის ანარეკლი ალოგიკური სამყაროს ნებისა, რომელიც შობს და სპობს, მაგრამ ანარეკლი, რომელსაც ძალუძს ჩვენი ხსნა ამ ბნელი ფუძისაგან. რიხარდ ვაგნერი ეთანხმება შოპენჰაუერს. მუსიკოსში მოქმედებს არა ინდივიდუალური, არამედ აბსოლუტურად საყოველთაო ნება, რომელიც მუსიკის მეშვეობით სამყაროს უშინაგანესს ავლენს. თავის "ბეთჰოვენში" ვაგნერი წერს, რომ მუსიკა ააშკარავებს "ფარულ მუსიკასაც" ("ლატენტურ მუსიკას") ცხოვრების ყველა მიმართულებაში და გამოხატულებაში, ხოლო "რელიგია და ხელოვნებაში" იგი ამბობს, რომ საეკლესიო ქრისტიანობის დასასრულის შემდეგ მუსიკა რჩება იმ თავშესაფრად, სადაც უნდა ინახებოდეს ბირთვი ქრისტიანული რელიგიისა, მუსიკა უნდა იქცეს ახალ რელიგიად: იგი არის "მხსნელი ხელოვნება", არა ლამაზი, მაგრამ ამაღლებული ხელოვნება, რომელიც აღძრავს "ცნობიერების ზღვარდაუდებელ უმაღლეს ექსტაზს". არა წმინდა ინსტრუმენტული მუსიკა, "აბსოლუტური მუსიკა", როგორც თავდაპირველად მიაჩნდა ვაგნერს, არამედ ხელოვნების საერთო ქმნილება ღებულობს ამ მაღალ ფუნქციას - ერთიანობა ბგერისა, სიტყვისა და ჟესტისა, რომელიც ფაქტობრივად ანტიკური ტრაგედიის განახლებაა. ვაგნერის ანტიკურობისაკენ ეს მიბრუნება რადიკალიზებას განიცდის ნიცშეს მიერ: მუსიკა არის არა ქრისტიანულ-რომანტიკული სუბიექტივიზმის ხელოვნება, არამედ წარმართული-ანტიკური თრობის, ბუნების ზეიმის ხელოვნება. ვაგნერისაგან განდგომის შემდეგ ნიცშე აცხადებს: ჭეშმარიტად ორიგინალური მუსიკა მხოლოდ "გედის სიმღერაა" სასიკვდილოდ განწირული კულტურისა, იგი ნარჩენია დიონისური აფექტის გამოხატულებისა, ხოლო ვაგნერის მუსიკა განაზება და გაქალაჩუნებაა, თანამედროვე მუსიკა კი საერთოდ დეკადანსია. შემდგომი შეხედულებები, რომლებიც მუსიკაში ხედავენ მითოსის, რელიგიის და საერთოდ კულტურის განვითარების დასასრულს, აშკარად ნიცშეს კვალს მიჰყვებიან, მაგ., თომას მანი.

გვსურს ხაზი გავუსვათ მუსიკის არსზე XIX საუკუნის კიდევ ერთ საინტერესო შეხედულებას. ეს შეხედულება მუსიკას განიხილავს, როგორც შინაარსისაგან დაცლილ მარტოოდენ ფორმებს და ამ ფორმების "თამაშს". როგორც გ. შოლტცი გვაუწყებს, 1854 წელს გერმანიაში გამოცემულ წიგნში "მუსიკალურ-მშვენიერის შესახებ" ე. ჰანსლიკი წერს: "მუსიკის შინაარსსა და საგანს წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ ჟღერად-მოძრავი ფორმები". ეს მოგვაგონებს ნეოპლატონიზმის ტრადიციას, რადგან აქ ფორმა იქცევა შინაგან ფორმად, გააზრებული როგორც "შიგნიდან მაფორმირებელი სული", კომპოზიცია, როგორც "თავისუფალი შემოქმედება სულისა იმ მასალით, რომელიც დაცლილია ცნებისეული შინაარსისაგან და იმავე სულის მაგვარია". ეს ისევ გვაგონებს ჰეგელს და, პირველ ყოვლისა, შლაიერმახერს, რომელთაც "შინაგანი ფორმით" გეერდი აუარეს ფორმა-შინაარსის დუალიზმს და ფორმა გაიგეს, როგორც კონკრეტიზებული შინაარსი, გეშტალტი, როგორც სულიერების წარმონაქმნი. ჰანსლიკი ამ გაგებით უარყოფს არა მუსიკალურ შინაარსს, არამედ შინაარსს, რომელიც მუსიკის გარეშეა და მას არ განეკუთვნება: "მუსიკა არის

თამაში, მაგრამ არა ცელქობა-თამაშობანა... ბგერების პროპორციულად ლამაზ სხეულში აზრები და გრძნობები მიმოიქცევა, როგორც სისხლი ძარღვებში". ეს კონცეფცია, ამბობს შოლტცი, გაუგებრობის გამო, ხშირად ფორმალიზმად მონათლეს, რადგან იგი საკმაოდ ბუნდოვანი იყო.

ორიოდე სიტყვა XX საუკუნის შეხედულებებზე. ა. შიონბერგის აზრით, მუსიკა მთლიანად არის სიმბოლო, სურათი სულიერად აღსაქმელი აზრისა (1941). იგორ სტრავინსკი კი საკმაოდ პროვოკაციულად ამტკიცებს, რომ მუსიკას არაფრის გამოხატვა ძალუძს, იგი სტრუქტურირებას უკეთებს მხოლოდ და მხოლოდ დროს (1975). შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ პოლარულ აზრს შორის მერყეობს მუსიკის მკვლევართა შეხედულებები, რომელთა გარჩევის პრეტენზია ამ პატარა წერილს არ გააჩნია. რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს პოზიციას, ძალაუნებურად მახსენდება ამასთან დაკავშირებით ი.ს. ბახის ერთი წერილი ალბერტ შვაიცერის იმავე სახელწოდების გახმაურებული წიგნიდან. აქ ბახი, მსჯელობს რა გენერალბასზე და დარიგებებს აწვდის რა თავის მოწაფეებს, აღნიშნავს, რომ თუ მუსიკა ღვთის სადიდებლად და სულის დასამშვიდებლად არ იქმნება, მაშინ იგი არ წარმოადგენს საკუთრივ მუსიკას, არამედ ეშმაკეულ მონოტონურ მოთქმას ან კივილს. უცილობელი ჭეშმარიტებაა! ი. ჰოიზინგა, XX საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი და მოაზროვნე, თავის "შუა საუკუნეების შემოდგომაში" შემდეგს გვაუწყებს: "XV საუკუნის ბოლოს გამოჩნდნენ ლანდსკნეხტები თავიანთი უზარმაზარი დაფდაფებით. ჩვენა, რომელიც გადმოღებული იყო აღმოსავლეთიდან. დაფდაფები მათი წმინდა მაჰაბნოტიზებელი ზეგავლენით, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ მუსიკალობას, აღმნიშვნელნი არიან მკვეთრი გადასვლისა რაინდობის ეპოქიდან ჩვენი დროის მილიტარისტულ სულისკვეთებაზე: ეს ერთ-ერთი ელემენტია ბრძოლის მექანიზაციის პროცესისა". რაღაც მსგავსი შეიძლება ითქვას თანამედროვე "მექანიზებულ" მუსიკაზე, რომელმაც თავისი "რაინდული ეპოქა" დაკარგა, ის ეპოქა, რომელიც რომანტიკოსს ათქმევინებდა, რომ ჭეშმარიტი მუსიკა მიგვანიშნებს ჩვენი სულის ზეციურ ნავსაყუდელზე.

* * *

ამ პატარა წერილს ჩვენი ოპერის დიდ კოლექტივს ვუძღვნი. ოპერაში პირველად დედამ წამიყვანა, 5 წლის თუ ვიქნებოდი. გადიოდა "ტრავიატა", მალე მეორედაც წამიყვანა და... რაღაც შეიცვალა და ისევ "ტრავიატა" დადგეს. მალე მესამედ წავედით მე, დედა და ბებია. ჰოი, საოცრებავ, რაღაც ჩაიშალა, რაღაც გადაიტანეს და ისევ "ტრავიატას" ვუსმენდით პირველ რიგში. ბოლო აქტში, როდესაც მერი ნაკაშიძემ წაიმღერა "იტაკ, ია უმირაუ", დედამ და ბებიამ ჩუმად წაიტირეს, ხოლო მე, მათმა შემხედვარემ, ღრიალი ამოვუშვი, ამ დროს, დედა იხსენებს, ორკესტრიდან წამოდგა ვიოლონჩელისტი ბიჭიკო ბარნაბიშვილი და მომღიმარი სახით გვამცნო: მერი ნაკაშიძე ცოცხალია, ცოცხალიაო...

ამის მერე გავიდა ნახევარი საუკუნე და არ მეგონა, თუ "საძულველ" "ტრავიატაზე" კიდევ ცრემლს დაველვრიდი, მაგრამ ეს მაინც მოხდა, როდესაც ვისილე ძეფირელის უკვდავი ფილმი-ოპერა "ტრავიატა".

19 დეკემბერი, წმ. ნიკოლოზის დღე.
2001 წ

კრიტიკული ხასიათის წერილები

ორი საქართველო*

I. მცირე შესავალი

საქართველოს ისტორიის ზოგიერთი კრიზისული მომენტის გარჩევისას ისე ძალუმად შემოგვანათებს ორი სახე მისი წარსულიდან, რომ ზარდაცემული გაოგნებული ფიქრობ: რაღად უნდა ამას კვლევა და გარჩევა, ეს ხომ ისედაც ცხადია და თითქმის ორ ფერად იყოფა პიროვნებები და მოვლენები - თეთრად და შავად, ანუ არსებობს ორი საქართველო - თეთრი და შავი, ზეციური და მიწისა, სამოთხისა და ჯოჯოხეთისა... მაგრამ არა, თურმე საჭიროა მათი ისევ გამიჯვნა, რადგან აწმყოსაც ხომ ამა ქვეყნის თავადი აბუნდოვანებს, კაცს ტვინს ურევს და ქვესკნელში ჩეხავს და აბა წარსულს როგორღა გაარკვევს ეს უბედური? ორი საქართველო... აქ ისევ ნეტარ ავგუსტინეს უნდა მივმართო და მის დიდ შრომას "ღვთის ქალაქის შესახებ", სადაც ორი სამეფო ერთმანეთს ებრძვის - სამეფო მიმართული ამქვეყნიურზე, სამეფო ღვთის მტრებისა (civitas terrena ან diaboli) და სამეფო ღვთისა (civita dei).

ავგუსტინე ასხვავებს ორ სიყვარულს - სიყვარული უმაღლესი სიკეთისადმი (caritas) და სიყვარული ამქვეყნისადმი, რაც ნიშნავს ნდომას, რომელიც სიკეთეს საწუთროში ეძებს. იგი ამ უკანასკნელს cupiditas უწოდებს. Caritas-ი და cupiditas-ი ერთმანეთთან ისეთ დამოკიდებულებაში არიან, როგორც სიკეთე და ბოროტება. კარიტასი არის ერთადერთი სწორი სიყვარული, კუპიდიტასი - ყალბი და გაუკუღმართებული. უნარი ნდომისა ორივე შემთხვევაში თანაბარ დონეზეა. ბუნებრივ ადამიანთან იგი ამქვეყნიურზეა მიმართული, მგრძნობელობითზე და წარმავალზე. მოქცევა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ლტოლვა გარდაიქმნება და ზეციურზე და მარადიულზე წარიმართება. ადამიანი გარდაიქმნება იმით, რომ მასში იღვიძებს ღვთის სიყვარული, რომელიც მძლავრობს სიყვარულზე ამქვეყნისადმი. სიყვარულში (amor) ავგუსტინე გულისხმობს პირველ ყოვლისა ნდომას, რომელიც ემთხვევა ადამიანის შინაგან ნებელობას. იგი შესაძლოა მიმართული იყოს ან ზევით, ესე იგი ღმერთზე და მარადიულზე (ascendi); ან ქვევით (descendit) - ქმნილებაზე და წარმავალზე. პირველი არის კარიტასი, უკანასკნელი - კუპიდიტასი. საქმე თითქოს ისე გამოიყურება, რომ ავგუსტინე მომხრეა ადამიანმა სავსებით გაწყვიტოს ყოველგვარი ურთიერთობა ამქვეყნიერთან და მთლიანად მარადიულზე წარიმართოს. მაგრამ ეს ასე არაა: მხოლოდ მაშინ, როდესაც საწუთრო ადამიანის გულში პირველ ადგილს იკავებს, მხოლოდ მაშინ ხდება იგი უკუსაგდები.

ყოველივე ეს ისტორიაში, კერძოდ, ჩვენს წარსულში, ცოცხლად აისახება, როდესაც დგება კრიზისული მომენტი ანუ განსაცდელის ჟამი, რასაც გვამცნობს მერვე საუკუნიდან იოანე საბანის ძე წმიდა ჰაბოს ქების შესხმაში:

---

* დაიბეჭდა გაზ. "24 საათში" 2005 წლის თებერვალს. ამჟამად იბეჭდება შემოკლებით.

"შენ გამო - წმიდაო მოწამეო, სიყვარული იგი ქრისტესი ჩუენდამი და სარწმუნოებაი ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა, რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდომილსა ქრისტესგან, ნათესავსა საწუთროისა ამის მოყვარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულის-თქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტესგან და დამვიწყებელნი საუკუნოისა ცხორებისანი".

ბედნიერი იყო იოანე საბანის ძე, რადგან, პირადად იცნობდა წმ. აბოს და მით განძლიერდა. შედარებისათვის, მე-13 ს-ში ნეტარმა რაიმონდ ლულუსმა, დიდმა მისიონერმა და კათოლიკური ეკლესიის "Doctor illuminatus"-მა დიდი მარცხი განიცადა, როდესაც მისმა აღზრდილმა ყრმა სარკინოზმა, ნაცვლად იმისა, რომ უარეყო ისლამი, თავის აღმზრდელს ლოცვის დროს ზურგში ხანჯალი ჩასცა. რაიმონდი გადარჩა, ცხადია, აღსაზრდელი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა, მაგრამ ამ ფაქტმა მასში დიდი ეჭვები აღძრა: შესაძლებელია თუ არა მუსლიმთა ქრისტიანად მოქცევა სახარებისეული სათნოებით, და ისევ ძველი გზით სიარული სჯობს ანუ თავდაპირველად საჭიროა მათი მიწების დაპყრობა და შემდეგ კი მათი მიყვანა ქრისტესთან?[1]

მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღება მსურს მივაქციო იოანე საბანის ძეს შემდეგ სიტყვებს: "..ნათესავსა საწუთროისა ამის მოყვარესა... რომელთაგან ვისწავენეთ საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულის-თქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძებითა მათითა.." ამას იოანე საბანის ძე ისლამის მიმდევრებზე ამბობს. ამრიგად გამოდის, რომ ისლამის მიმდევარნი ლამის ეპიკურისტები და ჰედონისტები ყოფილან, "საწუთროს მოყვარულნი", "გულის-თქუმასა" აყოლილნი და მისი მონანი. ამაზე დროს ჩვენ ვიცით, თუ რა თავგანწირვით იბრძოდნენ მაჰმადიანები მათი წარმოდგენით "საღვთო ომში" და რა თავდაუზოგავად იბრძვიან დღესაც "ურწმუნოთა" წინააღმდეგ ე.წ. "შაჰიდები" (დასავლური შეფასებით "ტერორისტები"), რომელნიც თუალდაუხამხამებლად თავს იფეთქებენ და ათას ნაწილად იკუწებიან, ოღონდ მტერს როგორმე ავნონ. სადაა აქ "საწუთროს სიყვარული"?! მართალია, ყველა რელიგიას თავისი "ისტორია" აქვს, მაგრამ ბირთვი რელიგიისა, ის შინაგანი, ირაციონალური, ენთუზიაზმისა და ექსტაზის მომგვრელი უცვლელი რჩება, როგორც ადამიანის ძირითადი გრძნობები, იქნება ეს სიყვარული თუ სიძულვილი. მაშასადამე, სტყუის ჩვენი ჰაგიოგრაფი მუსლიმთა შეფასებისას? საქმეც ის გახლავთ, რომ არა, არ სტყუის და ის ზემოწარმოჩენილი წინააღმდეგობა, ის შეუთავსებლობა "საწუთროს სიყვარულსა" და მის მყის უარყოფას შორის თავად ისლამშია დაბუდებული, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ.

ახლა კი მსურს აღვნიშნო შემდეგი. გერმანელი ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი თავის ძირითად ნაშრომში[2] ერთგან საუბრობს იმაზე, რომ როდესაც მონოფიზიტები და ნესტორიანები ორთოდოქსებს გამოეყვნენ, ახალ

1. Regine Pernoud, Les Croises, Paris 1959.
2. ო.შპენგლერი, "ევროპის დაშობა", გერმანულ ენაზე, ტ. II, მიუნხენი 1930 წ., გვ. 212.

ეკლესიებთან ერთად ახალი ნაციებიც წარმოიქმნაო. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ხდება ერთი რელიგიის წიაღში, ხოლო რაღა მოხდებოდა მაშინ, როდესაც საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ რელიგიას განსხვავებული რელიგია განდევნიდა - ეს ხომ ეროვნული სულის გარდაქმნას და მის გადაგვარებას გამოიწვევდა?! აი, სწორედ ასეთ კრიზისულ მომენტებს ჰქმნიდა ისლამის მომძლავრება საქართველოში, როდესაც ერი ან უნდა გადაგვარებულიყო, ან ფიზიკურად მოსპობილიყო. შესაძლოა იგივე გვეთქვა ისლამის წინადროინდელ, ცეცხლთაყვანისმცემელ სპარსეთთან მებრძოლ საქართველოს ხანაზე, მაგრამ ის ეპოქა შთაინთქა წარსულის მღვრიე ტალღებში, ხოლო ისლამი მე-8 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, დიახ, დღევანდელობამდე, ცხადია, მეტ-ნაკლები სიმძაფრით, ისტორიის გარკვეულ მომენტებში დიდ საფრთხეს უქმნიდა და უქმნის ჩვენს ერს (და არა მარტო ჩვენს ერს). კარგად გავიგოთ: აქ საუბარი არ არის ისლამის, როგორც რელიგიის, ავკარგიანობაზე, არამედ იმაზე, რომ იგი ისტორიის მანძილზე დასაყრდენად და ბურჯად გვეელინებოდა "შავი საქართველოსათვის". ამ რელიგიის გამოყენებით, პირველცოდვისა და პიროვნული ცოდვის გადახლართვა ხდებოდა თაობიდან თაობამდის.

წინასწარ აქვე უნდა განვაცხადო, რომ ეს ნეგატიური ტონი ისლამის მიმართ არ ეხება დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს ისლამურ ან ისლამის ამღიარებელ სახელმწიფოებთან, ასეთი ურთიერთობები დღეს, პირიქით, ჩვენი ქვეყნის ინტერესებშია. მაგრამ რაღაც "კავკასიური სახლის" შექმნა მაჰმადიანურ კავკასიურ ერებთან ერთად, რომელიც საერთო სულისკვეთების მატარებელი იქნება, ეს, ჩემი აზრით, არა მარტო ნონსენსია, არამედ უღრმესი შეცდომაც, რაც ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, ვინც კი ისლამის ბუნებას ოდნავ მაინც იცნობს.

ამავე დროს ნურც ნურვინ ჩამთვლის რუსეთის ორიენტაციის მომხრედ, როგორც "ერთმორწმუნისა", რადგან მიმაჩნია, რომ ფაქტობრივად რუსი ერის მხოლოდ მცირე შრე იყო და არის ჭეშმარიტად გაქრისტიანებული და ფაქტობრივად ეს უზარმაზარი სახელმწიფო წარმართულია და საერთაშორისო ურთიერთობებში იგი საუკუნეების მანძილზე ხელმძღვანელობს მხოლოდ ეგოიზმით და ე.წ. "Realpolitik"-ით.[3] არც დღევანდელი დასავლეთის ქრის-

---

3. ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში კახეთის მეფე ალექსანდრე დიდ დახმარებას ელოდა "ერთმორწმუნე" რუსეთისაგან, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო, სამაგიეროდ რუსეთმა მას ყოველწლიური ხარკი შეაწერა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967). "შაამე რომმა" გამოამეღავნა დამახასიათებელი თვისება რუსული კულტურისა XVI-XVII საუკუნეებისა - მისი შეურიგებელი ნაციონალიზმი". (Д.Оболенский, Византийское содружество наций, Москва, 1998, стр. 392). მე ვიტყოდი XIX და XX საუკუნეც ასეთივე იყო "რუსული კულტურისათვის". შემდეგ როგორც განვითარდა მოვლენები მომდევნო საუკუნეებში, საკმაოდ ცნობილია თვით უახლესი "აფხაზეთის ომის" ჩათვლით, როდესაც მუსლიმთა, რუსთა და სომეხთა ძმობა ერთად ებრძოდნენ საქართველოს. რუსეთის წარმართობაზე ნათლად მეტყველებს კიდევ ე.წ. "სნოხარესტვო", ეი. როდესაც მამა ცხოვრობს შვილის ცოლთან, რაზედაც ჩოდა ჯერ კიდევ ივ. ტურგენევი თავისი რომანის გმირის ბაზაროვის პირით და დმთავრებული მაქსიმ გორკის ურთიერთობით თავისივე რძალთან... არც ისაა შემთხვევითი, რასაც მოსთქვამდა ვ. როზანოვი, რომ რუსეთმა რევოლუციის დროს, მისმა გლეხობამ, როგორც აბანოში ჯუჯუ ისე ჩამოიცილა ქრისტიანობა...

ტიანობის იმედი მაქვს, რომელიც თავად დიდ კრიზისში იმყოფება და იგივე ისლამი ფეხს იკიდებს ევროპის ერებში. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს და მის პოლიტიკას საქართველოში, ამაზე შემდეგ შევჩერდები.

მაგრამ თავი და თავი ისაა, რომ ისლამურმა გარემოცვამ მიიყვანა საქართველო პოლიტიკურ კრახამდე, რომლის შედეგებს დღესაც ვიმკით.

ისლამის მოკლე დახასიათება მიმანიშნებელი აქცენტებით

რასაკვირველია, ეს "აქცენტები" დასმული არის იმ კუთხით, თუ რამდენად სახიფათო ხდება ეს რელიგია არა მუსლიმთა მიმართ. ცხადია, იოანე საბანის ძეს, თავად სასულიერო პირს, "საწუთროის მოყვარეობად" მოეჩვენებოდა მაჰმადიანთა მრავალცოლიანობა[4] და ის გარემოება, რაზედაც საუბრობს ისლამის ამერიკელი სპეციალისტი ფრედერიკ მ. დენი: "ადამიანის არსებაში არაფერი არ არის, რაც თავდაპირველად, ე.ი. ფუნდამენტალურად და გამოუსწორებლად - ბოროტება იქნებოდა. ისლამში არასოდეს - ყოველ შემთხვევაში მისი სუნიტური უმრავლესობის თეოლოგიაში - არ განვითარებულა მოძღვრება ხსნაზე, რომელიც საჭიროს გახდიდა მოსანანიებელ ან მონაცვლე მსხვერპლს, რომელიც იქნებოდა "გამოსასყიდი" ან მონანიება თვითნებური და ცოდვილი კაცობრიობისათვის, რომელიც მას შეარიგებდა ღმერთთან ღვთისავე უსაზღვრო მოწყალებით, როგორც ეს ხდება ქრისტიანულ მოძღვრებაში ხსნის შესახებ". მათი რწმენით, რადგან ადამიანი ბუნებით კეთილია, ყურანის შემწეობით, ისინი ისევ დაუბრუნდებიან ამ სიკეთეს.[5]

ამას ემატება დოგმატი ღვთაებრივ წინარეგანჩინებაზე, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ისლამურ ფატალიზმსა და რელიგიურ ფანატიზმს. რუდოლფ ოტტოს მიხედვით, ღვთაებრივი (ნუმინოზური) ხასიათდება, როგორც ზემძლავრი, ამაღლებული და რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია,

---

4. ჰეგელი თავის "ისტორიის ფილოსოფიაში" (მოსკოვი 1935, გვ. 339) გვაუწყებს: "თავად აღმოსავლეთი, მას მერე, რაც ენთუზიაზმმა თანდათანობით ჩაიარა, მიეცა გარყვნილებას: გაბატონდა საშინელი ვნებები და რადგან უკვე მაჰმადიანური მოძღვრების თავდაპირველ ფორმულირებაში საუბარია სორციელ სიამოვნებაზე და იგი გამოცხადებულია, როგორც საწუქარი სამოთხეში, სწორედ მან დაიკავა ფანატიზმის ადგილი". მაგრამ საინტერესოა ამ ფრაზის დასასრული: "ამჟამინდელ დროში, გადარჩეს რა ისლამი აზიასა და აფრიკაში და თმენენ რა მას ქრისტიანული სახელმწიფოების მეტროპოლიის შედეგად მხოლოდ ევროპის ერთერთ კუთხეში, ისლამმა უკვე დიდი ხანია, რაც დატოვა მსოფლიო-ისტორიული არენა და კვლავ დაუბრუნდა აღმოსავლურ სიშვიდესა და უძრაობას". რა იცოდა ამ დროს ჰეგელმა, რომ მისი უფროსი თანამედროვე ახლ-ალ ვაჰაბი (1696-1787) მორჩილ არაბეთში უკვე აღიძებდა ისლამს პურიტანული რეფორმებით და რომლის შედეგებს 21-ე საუკუნეში მოიმკიდა ცივილიზებული მსოფლიო.

5. Фредерик М. Денн - Ислам и мусульманская община (1994). В книге: Религиозные традиции мира. т. 2. М. 1996.

როგორც "სრულიად სხვა" - იდუმალებით აღსავსე მიუწვდომელი. ასეთი ნუმენის წინაშე ნებისმიერი არსება არარაობას წარმოადგენს, რომელიც საკუთარი არჩევანი განახორციელოს და რომელსაც განაგებს ყოვლისგანმსაზღვრელი ღვთაებრივი - ნუმენი. ასეთი პრედესტინაცია (Prädestination) ანუ წინარეგანჩინება, ამბობს რ. ოტტო, რომელიც სათავეს იღებს ნუმენის ზემძლავრობისაგან, სულაც არ ნიშნავს ადამიანში "არათავისუფალი ნების" არსებობას. "ისურვე როგორადაც გინდა, თავისუფლად მოახდინე შენი არჩევანი, მაგრამ ყველაფერი ისე ახდება, როგორადაც უნდა ახდეს და როგორც განსაზღვრულია". ეს "მაგრამ", თავისუფალ ნებასთან ეს დაპირისპირება, საქმის ჭეშმარიტ ვითარებას ასახავს - დაასკვნის ოტტო.თავის თავისუფალ ნებასთან ერთად, თავისუფალ არჩევანთან და ქმედებასთან ერთად, ადამიანი მაინც არარაობას წარმოადგენს მარადიული ძალის წინაშე, რომელიც მიუხედავად ადამიანური ნების თავისუფლებისა, მაინც თავის გადაწყვეტილებას აღასრულებს. საკითხის ამ მხარეს ძალზე ზედმიწევნით აღწერენ ისლამური მოთხრობები, სადაც, ერთი მხრივ, აღწერილია ადამიანის თავისუფალი ქმედება და ცდა, ხოლო, მეორე მხრივ, ალაჰის ნების განუხრელი შესრულება, ერთი მხრივ, ქმნილის მოწადინება, მისი თავისუფალი ნების გამოვლენა და, მეორეს მხრივ,ამის საპირისპიროდ, მაინც შემოქმედის ჩანაფიქრის დაგვირგვინება. ასე მოგვითხრობს ყურანის კომენტატორი ბეიდჰავი (რ. ოტტოს მიხედვით): "როდესაც ასრაელმა, სიკვდილის ანგელოზმა, სოლომონთან ჩაიარა, მიაპყრო მან მზერა ერთ-ერთ მის თანამოსაუბრეს. ამ უკანასკნელმა იკითხა. ვინ არის ეს? - სიკვდილის ანგელოზი, უპასუხა სოლომონმა. როგორც ჩანს, ჩაილაპარაკა სოლომონის სტუმარმა, მან თვალი დამადგა. გთხოვ, მიმართა სოლომონს, უბრძანე ქარებს, რათა წარმიტაცონ აქედან და ინდოეთში დამსვან. სოლომონმა შეუსრულა თხოვნა. და მაშინ თქვა ანგელოზმა: მას რომ ამდენხანს დავაცქერდი, ეს გამოწვეული იყო გაკვირვებით, რადგან ნაბრძანები მქონდა მისი სულის ინდოეთიდან მოგვრა, მაშინ, როდესაც იგი შენთან იყო, ქანაანში". სწორედ ეს არის წინარეგანჩინება, ამბობს ოტტო, როგორ თავისუფლადაც არ უნდა დაეგეგმოს ადამიანმა თავისი ცხოვრება,ალაჰი მაინც თავის გადაწყვეტილებას ასრულებს. მესნევის სტროფია:

გაჭირვებაში ვარდება ზოგიერთი გაჭირვებისგან გარიდებული,
წინ ეჩეხება ურჩხულს, გველისაგან გამოქცეული.

არც ერთი სხვა რელიგია ისე არ იხრება პრედესტინირებულობისაკენ, როგორც ისლამი. რ. ოტტოს აზრით, ისლამისათვის სწორედ ამის ნაკლებობაა დამახასიათებელი, რითაც აღსავსეა იუდაიზმი ან ქრისტიანობა - რაციონალური, საგანგებოდ ეთიკური მხარე ღვთის იდეისა. ცხადია, აქ იმაზე არ არის საუბარი, რომ ნუმინოზური მხარე ამ რელიგიებს აკლიათ. მაგრამ ნუმინოზურ-ირაციონალური ალაჰში აბსოლუტურად სწორის ყველაფერს. ის, რაც ქრისტიანობაში ნუმინოზურს ერთგვარად "არბილებს" - მისი რაციონალური, ამ შემთხვევაში ზნეობრივი მხარე, განაგრძობს ოტტო, ალაჰში ასე არ ხდება.. ამით აიხსნება, ამტკიცებს გერმანელი მკვლევარი, რასაც ამ

რელიგიის "ფანატიკურ" ნაკადს უწოდებენ: ძლიერ ამაღელვებელი, "თავდასადები" გრძნობა ნუმენისა, რაციონალური მომენტების უქონლობის გამო, გარეშე ყოველგვარი შერბილებისა - სწორედ ეს არის არსი ნამდვილი "ფანატიზმისა", თუ კი ამ სიტყვას დღევანდელი, სეკულარიზებული "გაცვეთილი" გაგებით კი არ ვიხმართ, არამედ მისი თავდაპირველი მნიშვნელობით, რომელიც ვნებითაღსავსე ნუმინოზურ "ენთუზიაზმს" გულისხმობს.[6]

წინარეგანჩინების შეგნებიდან ამოსული ფატალიზმი ისლამის ისტორიაში მრავალგზის დასტურდება. მაგალითად:

" - განა ძალგიძს შეაჩერო ანგელოზი, როცა შენი სულის წასაღებად მოვა?

- რასაკვირველია, არა, - მიუგო მიურიდმა.

- მაშ წინ წადი და დაწექი, - უთხრა ჰამზად-ბეგმა, - რაც გვიწერია, იმას ვერ გავექცევით. თუ ალაჰმა სასიკვდილოდ ხვალინდელი დღე დამინიშნა, წინ ვერაფერი დაუდგება.[7]

აქვე უნდა აღინიშნოს ყურანის მომნუსხველი ზემოქმედების ძალა. იგივე ფრედერიკ დენი გვამცნობს: "თვით ყურანისეული არაბული ენის ჟღერადობას, მისი მართებული გამოთქმისას, მსმენელები აჰყავს სულიერი გამოცდილების სიმაღლეებზე და ტკბობამდე. ეს ფენომენი აღინიშნება თვით იმ მუსლიმებთანაც, რომელთაც არ უწყიან ან თითქმის ვერ გებულობენ არაბულად..."

მართალი მოგახსენოთ, თვით მეც მომგვარა სიამოვნება ყურანის სმენამ არაბულ ენაზე, როდესაც მისთვის ტრაგიკულ ჟამს სადამ-ჰუსეინი კითხულობდა მას რადიოთი.

"განსაკუთრებულ დამსახურებად ითვლება მთელი ყურანის გაზეპირება", - განაგრძობს ფ.დენი - "ადამიანი, რომელიც ამას მიაღწევს,ღებულობს საპატიო წოდებას გამოცხადების "სარანგისა".

აქ ძალაუნებურად მახსენდება პროქართულად განწყობილი ირრეალიგიური მესხი, აწ უკვე გარდაცვლილი ხალილ უმაროვი (გოზალიშვილი). მამამისს თურმე ყურანი ასე დაუზეპირებია: გაუკეთებია საბრჩობელას მარყუჟი, თავი შიგ გაუყვია და ისე ზეპირობდა ყურანს. კითხვისას თუ ჩამოეძინებოდა, მარყუჟი მას ახრჩობდა.

"ყურანის კითხვის დროს", - ამბობს ფ. დენი - "დგება მომენტი... როდესაც ადამიანი შეიგრძნობს ზებუნებრივი, ზოგჯერ საშიში ძალის თანდასწრებას. მკითხველი უეცრად გრძნობს, რომ ის კი არ კითხულობს ყურანს, არამედ ყურანი "კითხულობს" მას!"

როგორ არ გაიხსენოთ აქ გოეთე, რომელმაც გენიალური პოეტური ინტუიციით ყურანს უწოდა "წიგნი მომხიბვლელი და ერთდროულად საშინელი!" ცხადია, "საშიში ძალის" განცდა არ არის ქრისტიანულ ლოცვაში, მითუმეტეს, სახარების კითხვისას. თუ რაიმე გვეუფლება ასეთი ლოცვის

---

6. R. Otto, Das Heilige, Munchen 1947.
7. ალექსანდრე დიუმა, კაკახია, თბ., 1964, გვ. 49.

დროს, ესაა ნეტარება, თუნდაც ერთდროულად შეიგრძნობდეთ ზებუნებრივის თანდასწრებას. სხვათა შორის, ერთმა გულწრფელმა ანთროპოსოფმა კითხვაზე, გრძნობ თუ არა ნეტარებას ლოცვის ჟამს-შეთქი, მიპასუხა: ანთროპოსოფიული მედიტაციის დროს ოთახში ისმის კაკუნი, ჭახანი, და ნეტარება რა არის - არ ვიცი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისლამს. ფ. დენი ხაზგასმულად გვაუწყებს შემდეგს: "ისლამური ცნობიერება ძალზე თვალსაჩინოდ წარმოაჩინა ერთმა მალაიზიელმა სტუდენტმა - მუსლიმმა... როდესაც მას სთხოვეს გამოეთქვა თავისი აზრი... ჯიჰადის შესახებ, რაც გულისხმობს ღვთისაკენ სწრაფვას და ზოგჯერ წმიდა ომს, მან განაცხადა, რომ ჭეშმარიტი ისლამი ესაა ჯიჰადი ყველგან და ყველაფერში. როგორც "მცირე" ჯიჰადი - ომი და ბრძოლა გარეშე სამყაროში, ასევე "დიდი" ჯიჰადი - გამუდმებითი დაძაბვა - წინააღდგომა შინაგანი, სულიერი გახლეჩისადმი. აი, სწორედ ისინი წარმოადგენენ ისლამის არსებით ელემენტებს". ფ. დენის სიტყვებით, ჯიჰადს ასეთ დიდ მნიშვნელობას მთელი მუსლიმანური სამყარო ანიჭებს. საგულისხმოა, რომ ქრისტიანობა ვერ ვრცელდება ისლამურ ქვეყნებში, მაშინ როდესაც ისლამი - პირიქით! განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც სეკულარიზაცია და ათეიზმია ფეხმოკიდებული. ამიტომ არის, რომ გახმაურებული წიგნის ავტორი, ს. ჰანტინგტონი, ისლამს მტრულ ძალად აღიქვამს და ცივილიზაციათა ბრძოლას გვიწინასწარმეტყველებს (ჰანტინგტონის ნაშრომი (1993), შემდგომში წიგნი, 2001 წლის 11 სექტემბრამდე გამოვიდა - Samuel P. Huntigton, The Clash of Civilizations, New York 1996). რაც შეეხება გერმანელ ავტორს, ჰ. მიულერს, იგი უკვე ნიუ იორკის კატასტროფის შემდეგ აქვეყნებს თავის წერილს,[8] სადაც ალ ქაიდას დანაშაული გამოკვეთილია. ეს რადიკალური ისლამური ორგანიზაცია თავისი რწმენის საფუძვლების ლოგიკური განვითარებით წარმოადგენს პოლიტიკურ თეოლოგიას, რომელიც სეკულარიზებულ სახელმწიფოს უარყოფს და ებრძვის მას, რადგან ასეთი სახელმწიფო საკანონმდებლო კომპეტენციაზე აცხადებს პრეტენზიას. ეს კი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის, რომელმაც "ზეციდან" კაცობრიობას ყურანი მოუვლინა და ისლამის ათასწლოვანი ტრადიციის მიხედვით საზოგადოება მხოლოდ მის კანონებს უნდა ეყრდნობოდეს. ასევე არ არსებობს დაცილება პოლიტიკურსა და კერძო სფეროს შორის. თვით პრინციპი ნაციონალური სახელმწიფოსი უარყოფილია, რადგან მხოლოდ "უმმას", როგორც მთლიანობას, მაშასადამე, საყოველთაო მუსლიმთა (მორწმუნეთა) ერთიანობას ძალუძს ღვთაებრივი კანონისაგან სანქციონირებით პოლიტიკური შენაერთების დაფუძნება. ამავე დროს ნუ დაგვავიწყდება მუსლიმ ემიგრანტთა თავხედური ქცევები დასავლეთში, რის შესახებაც ამაზრზენ ცნობებს გვაწვდის იტალიელი ჟურნალისტი ქალი ორიანა ფალაჩი თავის წიგნში "ძრისხანება და სიამაყე". რას არ წაიკითხავ აქ: იტალიის მშვენიერ ქალაქებს და მის

---

8. Harald Müller, Kampf der Kulturen-Religion als strukturfaktor einer weltpolitischen konfliktformation? [Politische Virteljahresschrift-Sonderheft 33/2002].

ძეგლებს შეგნებულად როგორ აბინძურებენ ემიგრანტები; ან როგორ ხდება ქალთა სასქესო ორგანოების დამახინჯება, რომ მუსლიმმა ქალმა ორგაზმი ვერ იგრძნოს; ან ავღანეთში მოჭრილი ქრისტიანთა თავებით როგორ თამაშობენ "ბუსკაჩის" - ავღანური პოლოს ნაირგვარობას (მკითხველო, აფხაზეთში ქართველთა მოჭრილ თავებს ხომ არ გაიხსენებდი, ბურთის ნაცვლად რომ აგორავებდნენ?!).

სწორედ ამიტომ არის საჭირო, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, არა შეუთავსებელთა შეთავსება და რაღაც საეჭვო "კავკასიური სახლის" ანუ "კავკასიური სახელმწიფოსადმი" ლტოლვა, არამედ ნაციონალურ ისლამურ სახელმწიფოებთან ნორმალური სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დამყარება.

ახლა ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორ მტერთან ჰქონდათ საქმე ჩვენს წინაპრებს. არ დამავიწყდება გათურქებულ მესხთან, ადაბაშევთან საუბარი დაახლოებით ამ ოცდაათი წლის წინ. როდესაც მას შევუძახე და მის "ქართველობას" მივმართე, მან მხოლოდ ნაღვლიანად ამიხსნა, თუ ხე როგორ ხმება, როდესაც მას ნაწილ-ნაწილ რტოებსა და კვირტებს აასხეპენ (აგრეთვე სულიერ პლანში). თქვენს წინაშე ასეთი "გამხმარი ხე" ანუ სრულიად სხვა მცენარე დგასო. სწორედ ამით აიხსნება აფხაზეთის ომში თურქი თუ ირანელი ქართველების სრული ინდიფერენტიზმი ("აბა, მუსლიმი მუსლიმს ხომ არ ესვრიო?!")[9]

საინტერესო ცნობას გვაწვდის ვიქტორ ნოზაძე: "მოგახსენებთ ერთ შესამჩნევ ამბავსაც: უკანასკნელი ომის დროს შემთხვევით ქართველ ტყვეთა

---

9. მაგრამ აჭარა და აჭარლები? - იკითხავს ჩვენი მკითხველი. პასუხი მოსალოდნელი უნდა იყოს: ვინც ქრისტიანობას დაუბრუნდება, უფრო მეტად იქნება ქართველი. ზოგმა ათეიზმის გზით დასთმო ისლამი, მაგრამ მისი ქართველობა გამყარდება ქრისტიანობის მიღებით, როგორც იტყვიან per aspera ad astra! შემდგომი შეკითხვა: განა ათეისტი ქართველები არ არსებობენ, ან მათ პატრიოტობა აკლიათ? ამ კითხვაზე და ასეთ ქართველებში ფაშიზმის აღმოცენების საშიშროებაზე (იხილე, როგორც სხვა ერებში) მოგვიანებით გავცემ პასუხს. ისე, თუ გავიზიარებთ კარლ რანერის მოძღვრებას "ანონიმური ქრისტიანის" შესახებ, შეიძლება ათეისტი პატრიოტის არსებობა, რომელიც მაინცდამაინც ფაშისტი არ უნდა გახდეს. "ანონიმური ქრისტიანები" (ეს ძალაშია ყველა ადამიანის მიმართ, რომელნიც თავიანთ თავს გამოკვეთილად არ უწოდებენ ქრისტიანებს), რადგან ისინი, უწყიან მათ ამის შესახებ, თუ არ უწყიან, განათებულნი არიან მადლის შუქით, რომელსაც ღმერთი ყოველ ადამიანს ანიჭებს— ჩვენ, ქრისტიანები, ხშირ შემთხვევებში, ბრმები გამოვდივართ, როდესაც ყოფიერების ისტორიაში, რელიგიაში საერთოდ ან ფილოსოფიაში ამ დიფარულ ქრისტიანობას ვერ ვამჩნევთ". მაგრამ კარლ რანერი მთლად ორიგინალური არ არის, რადგან ჯერ კიდევ II საუკუნეში იუსტინე ფილოსოფოსი (წამებული) აცხადებდა მოძღვრებას Logos Spermatikus-ის შესახებ, ე.ი. ქრისტეშობამდელი ლოგოსის შესახებ, რომელიც ჩანასახისებრ იყო გაბნეული კაცთა მოდგმაში მანამ, სანამ მაცხოვარი მოევლინებოდა ამ ქვეყანას. სწორედ ამით აიხსნებოდა, იუსტინეს აზრით, ძველ ფილოსოფოსთა სწორი მსჯელობა. ისევ მუსულმანურ ქართველობას თუ დავუბრუნდებით, სამწუხარო ფაქტია, რომელსაც ვერ გაექცევით: 1918 წელს თურქებმა გასწიეს პროპაგანდა, რათა ისინი მოეწყვიტათ საქართველოსთვის. "ამ მიზნით მათ აამხედრეს ახალციხეახალქალაქის მუსულმანობა. არბევდნენ და სძარცვავდნენ ქრისტიან მოსახლეობას" (იხ. ალმანელიშვილი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან ფრანცისკო, 1984).

ვინაობის ცნობარი ვნახე. იმ ადგილზე, სადაც შეკითხვა იყო, თუ რა რელიგიის არის შეკითხვის შემავსებელი, ხშირად იყო ნათქვამი:რელიგია - ქართველი. ამის გამო ზოგს ეცინებოდა, ხოლო მე ეს ამბავი არ გამკვირვებია, მასზე არც გამიცინია, ვინაიდან ჩემთვის აშკარა იყო, რომ ამ ქართველთათვის რელიგია იყო ქრისტიანული და ქართული, - ქართველ ხალხში ჩვეულებით გამაგრებული და მკვიდრად განმტკიცებული:- ქართველობა ამავე დროს ქრისტიანობასაც ნიშნავდა!.."

ცოდვის ტრიალი საქართველოს ისტორიაში

იშვიათია ერი, რომელსაც ამდენი გვირგვინოსანი წამებული ჰყავს სარწმუნოებისათვის, როგორც საქართველოს; იშვიათია ერი, რომლის წიაღშიც მამულისა და მეფისათვის ამდენი თავდადებული იშვა- იქნება ეს თევდორე ხუცესი თუ ცოტნე დადიანი, იოთამ ზედგინისძე თუ დავით ეჯიბი. მაგრამ იმასაც ვერ უარვჰყოფთ, რომ პიროვნული ცოდვისა და პირველცოდვის ურთიერთჩახლართვით თაობიდან თაობას საზარელი, მოღალატური თესლი გადაეცემა და ჰყვავის. 2004 წლის 8 აგვისტოს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისადმი მოთხოვნით, რომ ეს ქვეყანა ნუ ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში. წერილს ხელს აწერენ პოეტები, მწერლები, მეცნიერები, კომპოზიტორები, ისტორიკოსები, სპორტსმენები, ერთი სიტყვით, მრავალრიცხოვანი ხელმოწერებია ფრიად პატივცემული პიროვნებებისა. ჩვენი ყურადღება ამ წერილში განსაკუთრებით შემდეგმა ადგილმა მიიპყრო:

"ჩვენი სამომავლო ურთიერთობა ახლა იწყება და ხალხის ეს ფსიქოლოგიური თავისებურება თუ მისი გამძაფრებული თავმოყვარეობა გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს, თუნდაც უნებლიე ანალოგია რუსულ-ქართულ ურთიერთობათა იმ არასასიამოვნო და შეურაცხმყოფელ პრაქტიკასთან, როდესაც ქართველები მოსკოვში გარბოდნენ სიმართლის საძიებლად და ტყუილითა და მართლით ცდილობდნენ თავიანთი მიზნების მიღწევას. სხვათა შორის, ასევე გარბოდნენ (თუმცა უფრო შორი გზა იყო) ქართველები` კონსტანტინეპოლში, მონღოლთა ურდოში, ირანის შაჰისა თუ თურქეთის სულთნის კარზე.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ეროვნული თავმოყვარეობისათვის შეურაცხმყოფელია იმ დამწყები პოლიტიკოსებისა და ვერშემდგარი პატრიოტების მუდმივი სირბილი რუსეთის, ევროპისა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფინანსური თუ პოლიტიკური მხარდაჭერისათვის, რომელთაც ჯერ საკუთარი ხალხისათვის არ გაუკეთებიათ რაიმე მნიშვნელოვანი".

თვენახევრის შემდეგ, გასული წლის 25 სექტემბერს, იმავე გაზეთში გამოქვეყნდა ოთხი ცნობილი ისტორიკოსის წერილი სათაურით: "რაც გვაქვს, იმას მაინც ნუ წავართმევთ ჩვენს დიდ წინაპრებს".

„მიმდინარე წლის 28 აგვისტოს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა საქართველოს სახელმწიფოს მინისტრის პირველი მოადგილის,

სახელმწიფო კანცელარიის უფროსის ბატონ პეტრე მამრაძის ინტერვიუ "თარიღი, საიდანაც ახალი საქართველო იწყება". პატივცემული პეტრე იხსენებს კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებულ პერიპეტიებს მაშინდელ (1995 წლის) პარლამენტში და აღნიშნავს, რომ უხოელი ექსპერტები მასთან საუბარში თითქმის ერთსულოვნად აცხადებდნენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ერი არ არის, ერად ვერ ჩამოყალიბდა, დამოუკიდებლად ცხოვრების უნარი დაკარგული აქვს რუსეთის 200-წლოვანი ბატონობის შედეგად და რომ არც მომავალი არ გააჩნიათ ამ მხრივ. ამერიკელ მეცნიერ უილიამ ოდონს ეს თვალსაზრისი დაუბეჭდავს კიდეც. ამ მეცნიერის მტკიცებით, საქართველო არის ქვეყანა, სადაც რეგიონული თუ პოლიტიკური ლიდერები მუდამ მზად არიან მიეყიდონ რუსეთის სპეცსამსახურებს ერთადერთი მიზნით, ანგარიში გაუსწორონ ერთმანეთს.

ჩვენ არ ვიცით, რა ინფორმაცია ჰქონდათ ამ უცხოელ მეცნიერებს რუსეთის სპეცსამსახურებთან ქართველი პოლიტიკური ლიდერების ურთიერთობის შესახებ, მაგრამ აღნიშნული მსჯელობა მოწმობს, რომ მათ მეტად ბუნდოვანი და თანაც არასწორი წარმოდგენა ჰქონიათ საქართველოს დღევანდელობასა და, განსაკუთრებით, მის წარსულზე. აქ საჭირო იყო სულ უბრალო განმარტება ან იმის აღნიშვნა მაინც, რომ ქართული სახელმწიფო და ქართველი ერი დღეს კი არ ყალიბდება, არამედ მისი ისტორია საუკუნეებს ითვლის და ქართველი ერი მსოფლიოს უძველესი ერების რიცხვს განეკუთვნება. ამის მაგივრად ბატონი პეტრე კიდევ უფრო აღრმავებს ამ შეცდომას და მათ განუმარტავს, რომ ეს ქართველების ცუდი თვისებაა და რომ ეს თვისება რუსეთის 200-წლოვანი ბატონობის გამო კი არ გაჩენილა, არამედ ჩვენს მეფეებს და მთავრებს ხშირად სპარსეთიდან და თურქეთიდან თვითონ მოჰყავდათ ჯარი, რათა მეტოქე დაემარცხებინათ. პ. მამრაძე ასკვნის: ასეთ ვითარებაში ძალზე დრამატულად და ერთობ ტრაგიკულად წყდებოდა საკითხი - შედგებოდა თუ არა საქართველო სახელმწიფოდ. როგორც ჩანს, საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების აქტი, ოდონის რწმენით, ვერ შედგა (?!) და ეს პროცესი, დღესაც არ არის დასრულებული.

ამ პასაჟით კიდევ უფრო მუქდება ქართველი ხალხის "ცუდი თვისება", რომელიც მას თითქოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში ჰქონდა.

მაგრამ ეს ქართველი ხალხის "თვისება" კი არ იყო მხოლოდ, არამედ ყველა ხალხის ისტორიაში, ვისაც ფეოდალური დაქუცმაცებულობის ეტაპი გაუვლია, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა - უცხო ძალის გამოყენება თავისი პარტიკულარისტული თუ სხვა ფეოდალურ-ეგოისტური მიზნების მისაღწევად. აქ შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა იმავე ცივილიზებული ევროპის ისტორიიდან.

ისეთ ცივილიზებულ ქვეყანაში, როგორიც იტალია იყო XI-XII საუკუნეებში, ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში, იტალიელ ფეოდალთა მნიშვნელოვანი ჯგუფი იტალიაში შემოჭრილი გერმანელი იმპერატორის ფრიდრიხ ბარბაროსას მხარეზე იბრძოდა თავისი ქვეყნის წინააღმდეგ. XIV-

XV სს.მილანის ჰერცოგი ლოდოვიკო მორო და რომის პაპი ალექსანდრე VI აღფრთოვანებული შეხვდნენ იტალიაში შემოჭრილ საფრანგეთის მეფე შარლ VIII-ს, რომლის გამოყენება სურდათ ქვეყნის შიგნით თავიანთი მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად, ასწლიანი ომის დროს (XVს.). გავლენიანი ფრანგი ფეოდალების ჯგუფი (ბურგინიონები) საფრანგეთში შემოჭრილი ინგლისის მეფის ჰენრიხ V-ის მხარეს იბრძოდნენ, ასევე ინგლისში, ვარდების ომის დროს (XV ს.) ტახტისთვის მებრძოლი ლანკასტერები და იორკები, დამარცხების შემთხვევაში, დახმარებისთვის უცხოურ ძალებს - საფრანგეთის მეფესა და ბურგუნდიის ჰერცოგს მიმართავდნენ. 1400 წელს ინგლისის მეფის წინააღმდეგ აჯანყებული უელსელი მთავრები ფრანგებს თხოვდნენ დახმარებას. მოსკოვის მთავარი ივანე კალიტა (XIV ს.) მონღოლებს იყენებდა თავისი პოლიტიკური მეტოქეების წინააღმდეგ. ახალ პერიოდშიც, გავიხსენოთ, რომ ბურბონებმა ინგლისელების და სხვა უცხოელი მონარქების დახმარებით აღიდგინეს ხელისუფლება საფრანგეთში. გავიხსენოთ, რომ თვით 1871 წ. ადოლფ ტიერი ამბოხებულ პარიზს საფრანგეთის დაუძინებელი მტრის ბისმარკის იუნკრებით გაუსწორდა და ა.შ.

ისე რომ, უცხო ძალის მოწვევა "ღონე უძლურებისა თვისისა" მარტო ქართველების ცუდი თვისება კი არ იყო, არამედ ეს ჩვეულებრივი ამბავია ყველა ხალხის ისტორიაში. ჩვენთვის იმით იყო ეს დამძიმებული, რომ დამპყრობლები ყოველმხრივ აღვიებდნენ ამ შინაურ ჭიშპს და აქეზებდნენ ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა ეგოისტურ და მოღალატურ საქმიანობას. ეს ხომ ჩვენი ისტორიის ანაბანაა!"

გაზეთებიდან ამ ვრცელი ციტატების მოყვანის შემდეგ ისევ ზემოთ ნახსენები ფრაზა უნდა გავიმეორო: სამწუხაროდ, პირველი წერილის შემთხვევაში და საბედნიეროდ, მეორე წერილის შემთხვევაშიც ავტორები სიმართლეს წერენ. რაც შეეხება პირველ წერილს, სადაც ქართველთა სიგლახე და ორგულობაა აღწერილი - ეს ისტორიულად დადასტურებული ფაქტია. მაგრამ ამის თაობაზე მარტო შარშან როდი დაიწერა. ქართველთა ბუნების განმჭვრეტი დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი იუწყება: "ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი". ესე იგი ისტორიკოსი კიდევ უფრო "ძველ მატიანეს" ეყრდნობა "აწ ხილულ საქმეთა" გარდა.

რაც შეეხება მეორე, ოთხი ისტორიკოსის წერილს, შეუძლებელია მასაც არ დაეთანხმო. მაგრამ... აქ არის ერთი "მაგრამ". კერძოდ: მე ვიქნებოდი გაცილებით ფრთხილი, როდესაც ამერიკელი ამბობს, რომ "საქართველო არის ქვეყანა, სადაც რეგიონული თუ პოლიტიკური ლიდერები მუდამ მზად არიან მიეყიდონ რუსეთის სპეცსამსახურებს ერთადერთი მიზნით, ანგარიში გაუსწორონ ერთმანეთს". ჩვენი ავტორები ამის შესახებ ბრძანებენ - არ გაგვაჩნია ამის თაობაზე ინფორმაციაო. არადა, რამდენიმე მაგალითი სულ ახლო წარსულიდან, როგორც იტყვიან, ზედაპირზე ძევს...

მეორე პრეტენზია, რაც ამ წერილის მიმართ გვაქვს, მდგომარეობს არადამაკმაყოფილებელი ისტორიული მაგალითების მოყვანაში. ისე გამოდის, რომ ჩვენი ისტორიკოსები დანტე ალიგიერზე მეტი პატრიოტები არიან იტალიისა. იმ პერიოდის იტალია წარმოადგენდა მუდმივი ბრძოლის არენას ქალაქებს შორის, პარტიებს შორის და დანტე, ისევე როგორც სხვა პატრიოტები, ესწრაფოდა იმპერიის მშვიდობას გერმანიის იმპერატორის თაოსნობით. გავიხსენოთ, თუ როგორ შესთხოვდა იგი გერმანიის იმპერატორს რომის აღებას - რომი მოსთქვამს: "მე დამტოვა ჩემმა იმპერატორმა" (Purgatorio, VI, 112; იხ. აგრეთვე დანტეს "მონარქია", ასევე მისი წერილი გერმანიის იმპერატორ ჰაინრიხ VII-სადმი). არც ბოლო მაგალითია სწორი, ჩვენი ისტორიკოსების მიერ მოყვანილი, რომელიც შეეხება 1871 წლის პარიზის კომუნას. ნუ დაგვავიწყდება, რომ მაშინ პარიზში თავი მოიყარა ინტერნაციონალის მთელმა ეშმაკეულობამ (დოსტოევსკის მიხედვით - "ბესი"). ცნობილი ჟ. დე მესტრი ასე აფასებდა საფრანგეთის დიდ რევოლუციას: რომ არ მომხდარიყო საფრანგეთის გილიოტინიზაცია, უნდა ყოფილიყო ინკვიზიცია. ცხადია, პარიზის კომუნის შემთხვევაში, იმდროინდელი პატრიოტები უკვე აღარ დაუშვებდნენ სატანისტური ძალების აღზევებას. მაგრამ მთავარი სათქმელი ისაა, რომ არცერთი მაგალითი "უცხო ძალის" მოწვევისა, რომელიც ჩვენ ავტორებს მოჰყავთ, არ გამოიწვევდა ეროვნულ გადაგვარებას, რადგან არ მოხდებოდა უცხო რელიგიის მიერ ქრისტიანობის განდევნა, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში ხდებოდა. ფაქტია, რომ სამხრეთ საქართველოს ქართველმა მოსახლეობამ ასეთი კატასტროფა განიცადა (ასევე დაემართა გამუსლიმებულ სომხებსაც, რომლებმაც ქართველებისაგან განსხვავებით თავიანთი "სომხობაც" დაივიწყეს). მაგრამ მარტო სამხრეთით არ ხდებოდა ეს უბედურება - "სპარსულ-თურქული ენები ქართველ ფეოდალების სამეჯლისოდ სასაუბრო ენებად იქცნენ, მმართველობაში ფეხი მოიკიდეს სპარსულ-ყიზილბაშურმა ინსტიტუტებმა.[10] ევროპაში საქართველოს ამ მხრივ ბალკანეთი თუ შეედრებოდა. თუ მაგალითების მოხმობა იყო საჭირო, ჩვენი ისტორიკოსების მისამართით ვამბობ, მე სხვა მაგალითებს მოვიყვანდი ევროპულ სახელმწიფოთა ისტორიიდან, რომელნიც "უკადრებელს კადრულობდნენ" ისლამურ ძალებთან კავშირის დამყარების მხრივ პოლიტიკური სარგებელის გამო. მათ ფონზე საქართველო უკეთ მოსჩანს, როგორც აღმოსავლეთში დარჩენილი ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო (სამეფო-სამთავროები), რომელიც მარტოდ-მარტო უმკლავდებოდა მტერს.

ცნობილია, რომ დანტემ ჯოჯოხეთში მოათავსა მუჰამედი, როგორც ერეტიკოსი, რომელმაც ქრისტიანობას ისლამი დაუპირისპირა. მისი დასჯა მდგომარეობს იმაში, რომ იგი გახლეჩილია თავიდან ფეხებამდის. ასევე დასჯილია ალი, ერეტიკოსი თვით ისლამის წიაღში, რომელიც ისჯება იმით, რომ მას თავი აქვს გაპობილი ნიკაპის ჩათვლით. დანტესაგან განსხვავებით

10. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973.

პეტრარკა წერს პაპ ურბანს: "ოსმალები უბრალოდ მტრებია, მაგრამ სქიზმატიკოსი - ბერძნები უარესნი არიან, ვიდრე მტრები".

ლორდ კინროსის წიგნში[11] ვკითხულობთ, რომ საფრანგეთის მეფე ფრანცისკო I იმპერატორ კარლოს V-ეს წინააღმდეგ ფარულად შეეკრა თურქებს ("მკრეხელური კავშირი შროშანისა და ნახევარმთვარისა"). იგი ცდილობდა ქრისტიანული სამყაროსაგან ამ კავშირის დამალვას, მაგრამ ისტორია ისე წარიმართა, რომ ეს კავშირი საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის გარკვეული წყვეტილებით თითქმის სამი საუკუნე გაგრძელდა. 1553 წელს სულთანმა სულეიმანმა ფრანციკს I-ს ასი ათასი ოქროს მონეტა გაუგზავნა კარლოს V-ს წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ იმპერატორს მაშინ ინგლისელებიც და პროტესტანტი გერმანელი მთავრებიც ებრძოდნენ. ორი წლის მერე ფრანცისკმა სულთანს მილიონი ოქროს დუკატი მოსთხოვა და ვენეციის ელჩს განუცხადა, რომ ოსმანური იმპერიის სახით იგი ხედავს ევროპელთათვის ერთადერთ დამხმარე ძალას კარლოს V-ს წინააღმდეგ (ამას ამბობს კათოლიკე მეფე კათოლიკე იმპერატორის წინააღმდეგ). ამდენად, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ოსმანური იმპერია იქცა "რეფორმაციის მოკავშირედ". ის, რაც ისლამს საერთო ჰქონდა რეფორმაციასთან, იყო ხატების უარყოფა, თორემ ცნობილია ლუთერის განცხადება: "ცხადზე უცხადესია, რომ ყურანი სატანის მიერაა დაწერილი, რომელიც ამგვარად ერთობა, აბუჩად იგდებს რა ღმერთსაც და ადამიანებსაც". კიდევ უფრო პარადოქსულია ინგლისის დედოფლის, ელისაბედის წერილი სულთან მურადისადმი (1580), სადაც იგი, ებრძვის რა ესპანეთს, მურადს ასე ახასიათებს: "დაუმარცხებელი და ყველაზე უფრო ძლევამოსილი დამცველი ჭეშმარიტი რწმენისა კერპთაყვანისმცემელთაგან" და ასეთ "კერპთაყვანისმცემლად" იგი ესპანეთის კათოლიკე მეფეს მიიჩნევს. ისტორია კიდევ უფრო სავალალო მაგალითებს გვაწვდის. როდესაც 1683 წელს ოსმალეთის არმია ყარა მუსტაფას (შავი მუსტაფას) სარდლობით ქრისტიანულ ევროპას შეესია, "ოსეკში დიდ ვეზირს შეუერთდა ტეკელის უნგრული ჯარები", რომელთაც ქრისტიანულ დროშაზე ლათინურად ეწერათ "ღვთისა და ქვეყნისათვის", ხოლო თავად "კრუცეშის" ანუ "ჯვრის ადამიანების" სახელწოდებას ატარებდნენ. ამ დროს მუსლიმანები ეკლესიებს წვავდნენ, ხშირად იმ საბაბით, რომ "ღმით მათი სამრეკლოთა ხმები ძილს უფრთხობდნენ ანგელოზებს მეჩეთებში". არც ბიზანტიის იმპერატორ იოანე VI კანტაკუზენს (1341-1354) არ დაუხევია უკან, რომ ოსმალები მოეწვია და ევროპაში შეეჭრილიყო თავისი მტრების დასარბევად. მაგრამ ძვირად დაუჯდა მას ეს - თურქებმა მოკავშირეობა დაივიწყეს და ბიზანტიის თანდათანობითი დაპყრობა განახორციელეს.

ევროპაში რეფორმაციის შემდეგ სხვა ვითარება სუფევდა."დაიმსხვრა ერთიანობის კონცეფცია, ევროპის აღმოცენებულ სახელმწიფოებს სჭირდებოდათ რაღაც პრინციპი, რომელიც გაამართლებდა მათ ერესს და დაარეგ-

11. Lord Kinross, The Rise and Fall of the Turkish Empire, New York 1977.

ულირებდა ურთიერთობას მათ შორის. ეს მათ ჰპოვეს raison d'etat-ისა (სახელმწიფოებრივი ინტერესებისა) და ძალთა თანაფარდობის პრინციპში. ერთი მეორეზე იყო დამოკიდებული. სახელმწიფოებრივი ინტერესების პრინციპი გულისხმობდა, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა ამართლებს ყოველგვარი საშუალებების გამოყენებას ნაციონალური ინტერესების უზრუნველსაყოფად, იგი ცვლიდა შუა საუკუნეებრივ წარმოდგენას მორალის უნივერსალურობის შესახებ... სწორედ რიშელიემ აღიარა raison d'etat-ის პრინციპი და განახორციელებდა ამ კონცეფციას პრაქტიკაში თავისი ქვეყნის სასარგებლოდ... რიშელიეს მეტოქეს, იმპერატორ ფერდინანდ II-ს ნამდვილად განაგონიც არ ექნებოდა raison d'etat-ის პრინციპზე და რომც გაეგო, იგი მას უარყოფდა, როგორც მკრეხელურს... შემდგომში ფრანგული ტერმინის raison d'etat-ის სანაცვლოდ შემოვიდა გერმანული ტერმინი Realpolitik, რომელიც საქმის არსს არ ცვლიდა".[12]

ყოველივე ზემოთქმულით ის აზრი იკვეთება და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ საქართველოს პირობებში ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო რომ ჩაეგდოთ, იგი უფრო დიდ კატასტროფას განიცდიდა და სრულიად გადაგვარდებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდების სფეროა და მახსენდება მორწმუნე ფრანგი პატრიოტი-მწერლის შარლ პეგის მისტერია-დრამა "ჟანა დ არკი", სადაც იგი ამტკიცებს, რომ ქრისტეს მოწაფეებისაგან (ე.ი. მოციქულებისაგან) განსხვავებით, მაცხოვარს ბოლომდე უერთგულებდნენ წმ. ფრანცისკო, ფრანგები და თვით ინგლისელები. დიახ, ვარაუდი ვარაუდია, მაგრამ ჩვენ ჩვენი წარსულის რეალობას ვერ შევცვლით. ევროპულ სახელმწიფოთაგან განსხვავებით ისლამური მოზღვავება ჩვენთვის საცთურად და საბედისწეროდ იქცა. ასე რომ, ზემოხსენებული ოთხი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ისტორიული მაგალითების მოხმობისას, წინ რელიგიურ ფაქტორს წამოვწევდი, რადგან იგი წყვეტდა საქართველოს ყოფნა-არყოფნას.

მაგრამ გახრწნა აუხსნელი წერტილიდან იწყება. აკად. ნ. ბერძენიშვილი ზემოთ დასახელებულ ტომში წერს: "რა მივიღეთ: რუის-ურბნისის კრების განაჩენი წესები მალე დაავიწყდათ, ეკლესიაში ისევ საერო სული შეიჭრა, დიდგვარიანობა ისევ დაეუფლა საყდრებს... რუსთაველის შემდეგ სიბრძნე ეკლესია-მონასტრებში აღარაა. სიბრძნე ფეოდალების სასახლეშია... მონასტრების გამძარცველი დიდგვარიანები... შეიქმნა დიდი ნაპრალი... ქართული კულტურის თანმიმდევრული განვითარება შეწყდა..."

რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში მყოფ საქართველოს ისლამური აგრესია (უკვე მერამდენედ!) წელში გატეხდა. ოსმალო-სპარსეთის გარდა საქართველო ლეკთა თარეშის მსხვერპლად იქცა. "მრავალი შემოსევა განუცდია საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე", - წერს იგივე ნ. ბერძენიშვილი - "მაგრამ არც ერთი შემოსევა ლეკიანობას არ ჰგავდა". თვით გმირმა ერეკლე II-მ თავისი სიცოცხლის ბოლომდე ვერ აღკვეთა ეს ბოროტება. 1851 წელს დავით გარეჯში ლეკებმა ქართველი ბერები

---

12. Г.Киссинджер. Дипломатия, М. 1997, стр. 47, 49, 89.

ამოწყვიტეს, რომელნიც ჩვენმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა (იხ. "ქართველ წმინდანთა ცხოვრება", თბილისი 2000). აგერ ვაჟა-ფშაველა იხსენებს: "მთელი კახეთი, ვიდრე შამილს დაიჭერდნენ გუნიბში, ლეკების სანავარდო მოედანი იყო. რა წამსაც კი კავკასიონის ქედზე თოვლი შეთხელდებოდა, გზა გაიხსნებოდა, იმ წამსვე კახეთის ტყე და ველები ამწუანდებოდა, ლეკების ბრბოები დაიწყებდნენ თარეშობას". ("ჩვენი დალაჩრება", ტ. X, თბ. 1964). თვით ჩემი ბავშვობის წლები მახსოვს, სოფ. ენისელში (დაახლოებით 1947 წელია) გატარებული, თუ მოხეტიალე ლეკებს ბავშვები როგორ გამოეკიდებოდნენ ხოლმე ქვებით ხელში... ისევ ნიკ. ბერძენიშვილი: "შაჰის შეთანხმება დაღესტნელ ლეკებთან, რომ მათ მთებში შეხიზნული კახელები ეჟლიტათ..." (ტ. VI, 1973, გვ. 232). მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მომდევნო, მე-18 საუკუნეში კახეთის რიგმა სოფლებმა გალეკება დაიწყეს. აკად. ნ. ბერძენიშვილი ამას სოციალურ ფაქტორს უკავშირებს ("მებატონეთა წინააღმდეგ ამხედრება"), და არაფერს ამბობს ისლამურ, რელიგიურ აგრესიაზე. თუმცა, შემდგომ თავად ბრძანებს (გვ. 318): "ჩქარა ახლო მდებარე კახური სოფლები ლეკებმა კი აღარ იძმეს, არამედ დაიმორჩილეს და დაბეგრეს. ამრიგად, "უბატონო თემები" თანდათან მებატონე თემებად იქცნენ".

უარესი ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც "ტყვის სყიდვა" ანუ კაცის უცხოეთში გაყიდვა მძვინვარებდა. ეს შავბნელი საქმიანობა განსაკუთრებით XVI ს-დან ძლიერდება. "არც ერთ ომს", განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი - "არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც ამ "მშვიდობიანმა" ტყვეთა სყიდვამ მიაყენა მას. გამარჯვებული ოსმალეთი ლიხთიმერეთის სამეფო ხელისუფლებას მორჩილების უმთავრეს პირობად ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას უყენებდა... ტყვის გამყიდველები ჩვეულებრივ თავადები იყვნენ. მაგრამ ამ ველურ საქმეს ჩქარა სხვებმაც მიჰყვეს ხელი. მთავრები, ეპისკოპოსები, აზნაურები და მოყაზახე გლეხებიც კი ტყვის სყიდვაში გაერივნენ. XVII ს-ში საერთოდ და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში ტყვის სყიდვამ დასავლეთ საქართველოში კატასტროფული ხასიათი მიიღო. ამ საუკუნეში დასავლეთ საქართველოდან ოსმალეთში ყოველწლიურად იყიდებოდა მთელი მოსახლეობის ჯანსაღი ნამატი".

ამ დროს "თავიანთ მოძმეებთან ფეოდალურ ბრძოლაში დამარცხებული ესა თუ ის მთავარი სტამბოლისაკენ გარბოდა და დამპყრობელის შემწეობით აღიდგენდა "სამართალს" - ამის დამწერი პეტრე მამრაძე არ გეგონოთ, ეს ისევ აკად. ნ. ბერძენიშვილია, რომელიც განაგრძობს: "არბევდნენ ერთი მეორის ციხე-ქალაქებს, სოფლებს და ურთიერთის წინააღმდეგ დახმარებას ირანსა და ოსმალეთში ეძებდნენ". შემდეგ ამავე ავტორს მოჰყავს მემატიანეს სიტყვები, რომელიც ახასიათებს XVIII ს-ის პირველ ნახევარში ქართველთა ვითარებას: "განრყვნილნი, ფიცისმტეხელნი, ტყვის-მსყიდველნი, მზდომნი, მკრეხელნი, უკეთურნი არათუ წარჩინებულნი, განა მდაბიურნიცა მოქმედნი ამის ყოველთა". კაცმა რომ თქვას, რაც XVIII ს-ში ვყოფილვართ, IX საუკუნეშიც იგივენი ვიყავით. ცნობილი პეტერსი "კონსტანტინეს ცხოვრებაზე"

გვაუწყებს: "არაბთა ის შემოსევა, რომლის მსხვერპლიც შეიქნა კონსტანტინე, არ იყო გამოწვეული მხოლოდ სარწმუნოებრივი მოტივებით, როგორც ჰაგიოგრაფს აქვს წარმოდგენილი, ვინაიდან, როგორც სომხურ-ქართულ-არაბულ-სირიული და სხვა წყაროებიდან ვტყობილობთ, ქრისტიანი ქართველები ერთმანეთს ებრძვიან და მაჰმადიან არაბებს ეხმარებიან: ერთი ნაწილი მათი (ბაგრატ კუროპალატი) ეხმარება ბუღა თურქს, მეორე ნაწილი კი - (აფხაზები, კახელები, გარდაბნელნი და წანარნი) საჰაკ ამირას (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956).

გასაკვირი არ არის, რომ იმ დროს ევროპაში საქართველოს შესახებ მისი გმირული ბრძოლისა და მარტიროლოგთა გარდა საკმაოდ ცუდი ხმებიც ვრცელდებოდა. საკმარისია ითქვას, რომ იოჰან გოტფრიდ ჰერდერი თავის "იდეებში კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიის შესახებ" (1784-1791) საქართველოზე შემდეგს გვაუწყებს: "სავალალოა ქრისტიანული საქართველოს ბედი. მასში არის ეკლესიები და მონასტრები, არიან პატრიარქები, ეპისკოპოსები და ბერები; ქალები - ლამაზები, მამაკაცები - გულადნი; და მაინც მშობლები ჰყიდიან შვილებს, ქმრები - ცოლებს, თავადები - ყმებს, მორწმუნენი - მღვდლებს. უცნაური ქრისტიანობა სუფევს ამ მხნე, უნდო, მტაცებელ ადამიანთა შორის". ამ სიტყვების მთარგმნელი შ. რევიშვილი ("ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირებზე", თბ. 1987) შემდეგ განაგრძობს: "ტყვეებით ვაჭრობის თაობაზე ჯერ კიდევ წინა საუკუნეში ლაპარაკობენ იტალიელი მისიონერები: დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, იოზეფ მარია ძამპი და არქანჯელო ლამბერტი; აგრეთვე ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი და გერმანელი მწერალი ებერჰად ვერნერ ჰაპელი". პატრიოტული მოსაზრებიდან ამოსული შ. რევიშვილი ამტკიცებს: "მისიონერები საგანგებოდ აზვიადებდნენ ამ ტრაგედიას, რათა შემდეგ კიდევ უფრო მეტად გაემუქებინათ და გაეზვიადებინათ საკუთარი მცდელობა და დამსახურება ამ უკეთურებათა ამოძირკვის სულის მარგებელ საქმეში".[13] ალბათ "აზვიადებდნენ" მისიონერები ამას, მაგრამ იმ საეჭვო დამთხვევაზე რაღას ვიტყვით, რასაც ჩვენივე მემატიანე

---

13. რომელ "გაზვიადებაზეა" საუბარი, როდესაც არსებობს დონ კრისტოფორო დე კასტელის ჩანაწერები იმ საზარელი ფაქტებისა მის ალბომში (თბ. 1977) №154, 330, 331 სურათებს ახლავთ ასეთი მინაწერები: "ჰყიდიან ბავშვთან ერთად, წყეულო სატანა!"; "ამ ზღვისპირა ქალაქში ყოველწლიურად საჯარო ვაჭრობა იმართება ყველა ჯურისა და ასაკის ბავშვთა, კაცთა და ქალთა გასაყიდად. აქედან გადიან კონსტანტინოპოლისაკენ ქრისტიანების მიერ თურქებზე გაყიდული ბავშვებით დატვირთული სავსე გემები, მათი ბავშვების სულები ხომ სამუდამოდ დაკარგულია! აქ შვილი მამასა და დედას ჰყიდის, რაც ფაქტია: მამები და დედები თავიანთ შვილებს ჰყიდიან, რადგან ფულს უფრო აფასებენ, ვიდრე საკუთარ სისხლს"; "ბავშვების ბაზარი ქობულეთის მოედანზე, გურიის პროვინციაში. მატუტა ჩენსერია საკუთარ დედას ჰყიდის. ჩვენებმა მას ჰკითხეს: ასეთ დიდ ცოდვას რატომ სჩადიხართ? მან გვიპასუხა: ეს ცოდვა კი არ არის, პირიქით, დიდი შემბრალებლობაო. პირველ ყოვლისა, რადგან დედაჩემი მიდის თურქების ქვეყანაში, ამით თავის მდგომარეობას იუმჯობესებს. აქ რომ ყოფილიყო, თავისი ლაპარაკით ამიშლიდა საქონელს, ოჯახსა და შვილებს, ახლა კი ჩემი ცოლი დამშვიდდება და დაწყნარდებაო".

გვამცნობს?! ან რა გარანტია და პერსპექტივა ექნებოდათ მისიონერებს, რომ ეს "ამოძირკვა" მართლაც მოხდებოდა?! თუმცა იყვნენ სხვებიც, მაგალითად, ბერნარდო მილანელი (XVII ს.): "ქართველები გონიერნი კაცთმოყვარენი არიან" (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 683) ან პეტრო დელა ვალე: "ქართველი ხალხი არაა ბარბაროსი, როგორც ამას ზოგიერთი ჩვენი ავტორი მოგვითხრობს..." (მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი 1995, გვ. 171). მაგრამ ჩვენივე დავით გურამიშვილი განა არ გვამცნობს, რომ

შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანერთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!

"კავკასიური სახლის" მოყვარულებს კიდევ ერთ სტროფს გავახსენებ დავით გურამიშვილიდან:

თურქი,სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თითო ქიშტი!

როგორ გგონია მკითხველო, რა ნიშნით გაერთიანდნენ ეს ერები საქართველოს წინააღმდეგ? პასუხი ნათელია: რელიგიური ნიშნით, ისლამით![14]

ახლა მოვუსმინოთ ამ სტროფის გაგრძელებას:
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდგა ძმასა ყისტი;
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

აი, ეს ამღერეული სისხლი, პირველცოდვისა და პიროვნული ცოდვის არეული თესლი გადმოვიდა ჩვენში, რამაც მეოცე საუკუნის ბოლოს ამდენი ვაება დააწია დამოუკიდებელ საქართველოს. მე მეჩვენება, რომ თუნდაც დღევანდელ საქართველოზე, ჩვენს საზოგადოებაზე ზედგამოჭრილია ვლადიმერ სოლოვიოვის სიტყვები: "მუსლიმანებს, ამგვარად, ჩვენს წინაშე აქვთ ის უპირატესობა, რომ მათი ცხოვრება ეთანხმება მათ რწმენას, რომ ისინი ცხოვრობენ თავიანთი რელიგიის კანონის მიხედვით, ასე რომ, თუმცა მათი რწმენა არაჭეშმარიტია, მაგრამ მათი ცხოვრება ყალბი არაა, რადგან მისი კანონი ერთია და თავის თავთან შეთანხმებული, მათ არა აქვთ ცხოვრების სხვა წესი, გარდა იმისა, რასაც იძლევა მათი რელიგია. მაშინ როდესაც ჩვენ, რწმენის მიხედვით, ქრისტიანულ კანონს ვაღიარებთ, ჩვენს ნამდვილ ცხოვრებას ვაწყობთ სულ სხვა კანონის მიხედვით, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ წინაქრისტიანულ დროთაგან. გვწამს რა სულიერი ადამიანისა, ე.ი. ღვთაებასთან შინაგანად შეერთებულისა, ჩვენ ვცხოვრობთ ბუნებრივი, ე.ი. ღვთაებისათვის უცხო ადამიანის კანონის მიხედვით, და როცა ღვთისმსოვავი მეშატიანე, აღწერს მუსლიმანურ თავდასხმას და მის წარმატებას განმარტავს როგორც სასჯელს თვით ქრისტიანთა ცოდვების გამო, მაშინ ამ გულუბრყვი-

---

14. "კავკასიური სახლის" დიასახლისმა 1992 წელს ჩემთან საუბარში ახსენა, რომ გერმანიაში ყოფნისას ერთ-ერთ გაზეთში საქართველოს სახელით ჩრდილო კავკასიელებს ბოდიში მოეუსადეო. რაღას გავაწყობდი, სისულელე უკვე ჩადენილი იყო...

ლო ალიარებას უფრო ღრმა აზრი აქვს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით მოჩანს" - (ვლ. სოლოვიოვი, თხზ. ტ. IV (1883-1887), გვ. 40, 43 (რუს. ენაზე).

სანამ შემდგომ საკითხს შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია ჩვენს ისტორიოგრაფიაში ზოგი ყალბი თვალსაზრისის უარყოფა, მით უმეტეს, რომ ამის მაგალითს თვით ჩვენი დიდი ისტორიკოსები იძლევიან. მაგალითად: "ძნელია იმის დაჯერება, წმინდა ანდრიას მოციქულობის შესახებ თქმულება უეცრად გავრცელებულიყო საქართველოში IX საუკუნეში, როგორც ბატონი ჯავახიშვილი აღნიშნავს. ეს იმის ალიარებას ნიშნავს, რომ ხსენებული ბერები დიდი მატყუარები იყვნენ, ხოლო ქართველები ძალიან გულუბრყვილონი. არ გაგვაჩნია საბაბი ვიფიქროთ, ან ერთნი, ან მეორენი იმსახურებდნენ ამგვარ საყვედურს". (მიხეილ თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი 1995, გვ. 164-165). შემდეგ: "პროფ. კორ. კეკელიძეს პეტრე ქართველის ამ ცხოვრების ღირსების დამცირება სწადიან. მის ავტორს განზრახ გაზვიადებას აბრალებს... ამნაირად რომ იმსჯელოს ისტორიკოსმა და მოქმედ პირთა მარტო წმინდანად დასახვის გამო წყაროები ტენდენციურად და ყალბად გამოაცხადოს, მაშინ თითქმის არც ერთი წმინდანის ცხოვრება საისტორიო ძეგლად აღარ შეგვრჩება" (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი 1960, გვ. 217).

ცხადია, ამდაგვარი მაგალითების გაზრდა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ საკმარისია. თუკი უწინ გამოჩენილ ისტორიკოსთა კრიტიკა შეიძლებოდა, დღეს ერთ მეორეხარისხოვან ბროშურაზე ყველა სდუმს. არადა არ დარჩა ყვითელზე უყვითლესი გაზეთი, რომ იგი არნახული ხოტბა-შესხმით არ გამოექვეყნებინოს, არ დარჩა თითქმის არცერთი დიასახლისი ან შინაბერა, რომ ეს წიგნაკი მასზე ასახული ფოტოთი გულ-მკერდით არ ეტარებინოს. საუბარია ზ. გამსახურდიას "საქართველოს სულიერ მისიაზე". ეს წიგნაკი, როგორც ავტორის გამაღმერთებლები გვაუწყებენ წინასიტყვაობაში, შეკრებილი ყოფილა თურმე მისი ლექციებიდან და დარიგების სახით კითხვა-პასუხებისაგან შედგება. ბოლო თავი ეკუთვნის მამამისის, კონსტანტინე გამსახურდიას ქებათა-ქებას. თავიდანვე ვიტყვი: არ შემხვედრია ასეთი ცრუ-მეცნიერული, ზედაპირული და პოპულისტური თემებით (მიამიტთა მისაზიდად) გატენილი "თაიგული". შეკითხვათა სპექტრი ძალზე ფართოა, რაც შემკითხველთა გონებრივ დონეზე მეტყველებს, მაგალითად, დაწყებული: "რას იტყვით აფხაზურ-ქართული ენების კავშირზე?" და გათავებული "რა არის ანთროპოსოფია?, ესე იგი სპეციალური ლიტერატურის გადაფურცლა არავის არ სურს და ყველაფერს თავიანთ კერპს ეკითხებიან, რაც შეიძლება მხოლოდ აქ მოხდეს, ღრმა პროვინციაში.

მოგეხსენებათ, სისულელის უარყოფას უფრო მეტი დრო სჭირდება, მეტი ქაღალდი, მელანი და ენერგია, ვიდრე მცდარი მეცნიერული პოზიციის გამოაშკარავებას. ამიტომ შეუძლებლად მიმაჩნია ზ. გამსახურდიას "ოპუსის" გვერდი-გვერდ განხილვა და რამდენიმე მთავარი საკითხით შემოვიფარგლები. შეკითხვაზე, რა არის ანთროპოსოფია? იგი პასუხობს: "ანთროპოსოფია არის სულიერი

მეცნიერება თანამედროვე ევროპაში, მეცნიერება სულის შესახებ, რომელიც გაერცელებულია დასავლეთის ქვეყნებში. ეს მოძრაობა არსებობს საქართველოშიც და ჰყავს მრავალი მიმდევარი. ეს არის ქრისტიანული მოძრაობა, როგორც მოგახსენეთ, ეს არის მიქაელური ქრისტიანობა, მაგრამ, ამავე დროს, უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგს ეშლება, ზოგი ურევს ანთროპოსოფიას რელიგიაში- ანთროპოსოფია არ არის რელიგია. ეს არის შემეცნებითი მიმდინარეობა და არა აღმსარებლობა. ამიტომ შეცდომით ამბობენ, ან მართლმადიდებელი იყავი, ან ანთროპოსოფიო. ასე არ დგას საკითხი. ეს იგივეა, რომ თქვა: ან მართლმადიდებელი იყავი, ან ჰეგელიანელი. აქ საქმე იმაში გახლავთ, რომ ანთროპოსოფიას რელიგიური აღმსარებლური პრეტენზიები არა აქვს. ეს არის შემეცნებითი გზა. მართალია, რელიგიური თემიც არსებობს დასავლეთში, რომელიც მასზე არის აღმოცენებული, მაგრამ თავისთავად ანთროპოსოფიის ფუძემდებელი - რუდოლფ შტაინერი არ იყო ახალი რელიგიის ან კონფესიის ფუძემდებელი. ის არის ქრისტეს, ქრისტიანობის მიმდევარი და ქრისტიანობის ახალი შემეცნებითი ფორმის შემქმნელი".

როდესაც ზ.გ. ამბობს, რომ ანთროპოსოფია მხოლოდ შემეცნებითი გზაა და შეცდომაა, როდესაც მოგვიწოდებენ ან მართლმადიდებელი იყავი, ან ანთროპოსოფიო, რაც იგივეს ნიშნავსო - ან მართლმადიდებელი, ან ჰეგელიანელიო, ეს მსჯელობა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, მას აღებული აქვს იმ ხანს ჩვენში მეტად პოპულარული ა. ლოსევის "აღორძინების ესთეტიკიდან", რომლიდან რამდენიმე გვერდი საქართველოს ეთმობა. აი რას ამბობს ლოსევი: "და ყოველთვის ახალი რელიგია, იყენებდა რა ნეოპლატონიზმს, უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, უკუაგდებდა მის წარმართულ მხარეს და კერძოდ ანტიკურ მითოლოგიას, და სარგებლობდა მხოლოდ ნეოპლატონიზმის დახვეწილი ფილოსოფიური მეთოდებით. ხომ იყვნენ კანტიანელები მორწმუნენი და ურწმუნონი; იყვნენ ჰეგელიანელები საკვებით არა რელიგიურნი, მაგრამ ასევე რელიგიურნი - როგორც კათოლიკენი და პროტესტანტები, ასევე მართლმადიდებელნი".

როგორც ვხედავთ, ლოსევი საუბრობს ნეოპლატონიზმზე და მისი დახვეწილი ფილოსოფიური მეთოდების გამოყენებაზე - ასე შეიძლება ჰეგელის დიალექტიკის გამოყენებაც! მაგრამ მართლმადიდებელმა რა უნდა გამოიყენოს ანთროპოსოფიიდან? რომ "განღმრთობა" შეიძლება საკუთარი ძალებით და არა მადლის მეშვეობით? (იხ. შტაინერის "როგორ მივაღწიოთ უმაღლეს სამყაროთა შემეცნებას"). რაც შეეხება ამ "შემეცნებით გზას", ამაზე მოსწრებულად ამბობს XX საუკუნის გამოჩენილი თეოლოგი და ფილოსოფოსი ჰანს ურს ფონ ბალთაზარი ("თეოლოგიკა" I), რომელიც უპირისპირდება "ანთროპოცენტრული შემეცნების თეორიას", რომ იგი მას აგონებს ბიბლიურ სამოთხეში შეპარული გველის სისინს, რომელიც კაცს აცდუნებს "როგორც ღმერთად-გახდომის-სურვილით" ანუ ავტონომიური შემეცნების ფორმით.

მაგრამ განვიხილოთ ყველაფერი თანმიმდევრულად. ზოგადად თუ ვიტყვით ანთროპოსოფიაზე, იგი წარმოადგენს "ცოდნას საშუალო ფენისათვის გარკვეული ელფერით", როგორც მასზე ამბობს ფილოსოფოსი ე. ბლოხი.

ხოლო იან ბადევინი, რომელიც საგანგებო გამოკვლევას უძღვნის ანთროპოსოფიას,[15] მას მიიჩნევს "ბიურგერულ საპროტესტო მოძრაობად". მეოცე საუკუნის გერმანია კათოლიკური და განსაკუთრებით პროტესტანტული ეკლესიების გარკვეული სტაგნაციის პირობებში ხელსაყრელი არენა იყო "სულიერ მოთხოვნილებათა" გამო აღმოცენებული სექტებისათვის. ყველაზე უფრო სერიოზულ მოძრაობას მათ შორის "ანთროპოსოფია" წარმოადგენდა, რომელიც მისი დამაარსებლის რ. შტაინერის (+1925) განსაკუთრებული "ხილვების" მეოხებით ხელოვანთა წრეში პოპულარობით სარგებლობდა (აგერ ახლახან სერგეი ავერინცევი თავის გამოკვლევაში ვიაჩესლავ ივანოვზე დანანებით საუბრობდა ა. ბელის "შტაინერიზმზე"). როგორი იყო ეს ხილვები? მაგალითად, ადამიანის განვითარებაზე: ადამიანის განვითარება ჩვენს პლანეტაზე, "დედამიწაზე", კი არ იწყება, არამედ მის წინა ფორმა სატურნზე. მაშინ ადამიანთა წინაპრები იყვნენ ბლაგვი ცნობიერების მქონე არსებები. ადრეული განვითარების ციკლებიდან მათთან ერთად არსებობდნენ - "პირები მზის ცნობიერებით, სხვანი კი - ხატოვანი (ანუ მთვარისა) ცნობიერებით და ზოგიერთნი ისეთი ცნობიერებითაც, რომელიც თანამედროვე ადამიანის ცნობიერების მსგავსია" ("აკაშა-ქრონიკა") და ასე და ასე შემდეგ.

შტაინერი ფლობს "მეხუთე სახარებასაც": "ანთროპოსოფია, ანუ სულის მეცნიერება მხოლოდ ხელდასხმულთა წყაროებს ეყრდნობა - არც იოანეს სახარება და არც სხვა სახარებებია მათი შემეცნების წყარო... რაც დღეს შეიძლება ისტორიული დოკუმენტების გარეშე გამოკვლეულ იქნას, ეს არის წყარო ანთროპოსოფიული შემეცნებისათვის" ("ლუკას სახარება"). მაინც რას ხედავს შტაინერი "მეხუთე სახარებაში? იმას, რომ სინამდვილეში დაიბადა ორი იესო. ერთის დაბადებისა და წარმოშობის შესახებ საუბრობს მათე, ხოლო მეორეზე - ლუკა. მათეს იესო ზარათუსტრას ინკარნაციაა, ლუკას იესო კი - ბუდასი, როცა იოანე იორდანეში იესოს ნათლავს, მასში ქრისტე-არსება ჩადის. ჯვარზე სიკვდილისას, სხვა ადგილას მოცემული გადმოცემების მიხედვით - სიკვდილამდეც კი, ქრისტე-არსება, მაშასადამე, კვლავ ეთიშება იესო-სხეულს.

მსგავსი მაგალითების მოყვანას უკვე აზრი ეკარგება. როგორც იან ბადევინი ამბობს: "დღევანდლამდე არ არსებობს შტაინერის მოძღვრების კრიტიკული განხილვა, დღევანდლამდე შტაინერის სიტყვა სავალდებულოდ ითვლება. თუ იგი გაუგებარი რჩება, ამ სიტყვის კრიტიკული განხილვა კი არ ხდება, არამედ მისი მიმდევარი გაუგებრობის მიზეზს საკუთარ თავში ხედავს. არა შტაინერის სიტყვაა მცდარი, არამედ "თავად ვერ ხარ ისეთი", რომ იგი გაიგო. ეს "არგუმენტი" ანთროპოსოფებთან ხშირად გვხვდება". იან ბადევინი შემდეგ განაგრძობს: "შტაინერის მომხრენი უკრიტიკოდ იღებენ იმას, რაც შტაინერმა თქვა ან დაწერა. "სულიერი დოკუმენტების" წაკითხვა მის გარდა არავის ძალუძს, "აკაშა-

---

15. Jan Badewien, Antroposophie (Eine kritische Darstellung), Konstanz 1988. ამ წიგნის თარგმანს ჟურნალ "რელიგიის" მთელი ნომერი დაუთმეთ (№6-7-8, 1994), რომელიც თარგმნა ნინო ქიმერიძემ.

ქრონიკას“ მის გარდა ვერავინ გაშიფრავს, მისეული “კვლევის შედეგებს“, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ჭვრეტას უნდა ეფუძნებოდეს, ვერავინ გადაამოწმებს“. მაშ არის თუ არა ეს ბრმა რწმენა მისი მიმდევრების მხრიდან? რა შუაშია აქ “ჰეგელიანობა“? რაც მთავარია, ასეთი “მეთოდი“, ე.ი. საკუთარი ხილვებიდან არარსებული კოშკების აგება შტაინერმა თავის მოწაფეებსაც უანდერძა. რადგან ანთროპოსოფიული ტექსტები გაგების მხრივ ძალზე ადვილია და მარტივ საქმეს ყველა ეტანება, შტაინერის მოწაფენი დროს არ კარგავენ და გამოდის და გამოდის ანთროპოსოფთა ბროშურები სხვადასხვა საკითხებზე, ხშირად ფანტასტიკური ხილვებითა და დასკვნებით. მაგალითად, ასე გადმოსცემს ალბერტ შტეფენი ახალ ამოცანას, რომელიც შტაინერმა სულიერ სამყაროში სიკვდილის შემდეგ თავის თავზე აიღო: “შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორ მოღვაწეობს შტაინერის არსება სულიერ სასუფეველში იმ სულთა შორის, რომელთაც იცნობდა და აფასებდა დედამიწაზე ყოფნისას. ვხედავთ, თუ როგორ ასწავლის მათ სიკვდილის შემდეგ იმას, რისი სწავლაც სიცოცხლეში ვერ შეძლეს, რადგან ისინი ბნელი ეპოქის შვილები იყვნენ. რუდოლფ შტაინერი სულიერ ძაფებს აბამს მათთან კიდევ უფრო ღრმა სულიერ სფეროში; იქ მათ უფრო ღრმად შეუძლიათ მისი მოძღვრების მიღება. ის სულები, რომლებიც თავად ჩვენთვის ასე ახლობელნი იყვნენ, შეგვიძლია მის სიახლოვეს წარმოვიდგინოთ: იბსენი, სტრინდბერგი, ნიცშე, ჰოლდერლინი, შილერი, გოეთე... ისინი ყველანი რუდოლფ შტაინერთან მოღვაწეობდნენ“ (გოეთეანუმი, 1926). სადაც კი შტაინერის “მეთოდს“ იყენებენ მეცნიერებაში, უნდა ვიცოდეთ, რომ იქ ყველაფერი საეჭვოა.[16]

---

16. ახლახან წიგნის კარადის დალაგების დროს იქიდან გადმოვარდა პრიალა გაზეთის, “ახალი ეპოქის“ (30 მარტი - 2 აპრილი, 2001 წ.) ნაგლეჯი, რომელზედაც ფერადი ფოტო იყო ნაცნობი სახისა, “ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის“ და “ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორისა“, როგორც ამას გაზეთი იტყობინებოდა. ეს გახლდათ ნოდარ ნათაძე ინტერვიუ ეხებოდა ზ. გამსახურდიას “სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასებას“. ამ მხრივ “მეცნიერებათა დოქტორმა“ მოკლე შეფასება გააკეთა ზ.გ-სი, როგორც რუსთველოლოგისა“ (ხოლო ცნობილია, რომ ზ.გ. “შტაინერული“ მეთოდებით შიერავდა “ვეფხისტყაოსანს“, რაზედაც თავის დროზე დიდი პროტესტი გამოთქვა ვიქტორ ნოზაძემ თავის წერილში). ჩვენი “მეცნიერებათა დოქტორი“ კი გვამცნობს - ზ.გ.-ამ “ვეფხისტყაოსნის“ ეზოტერიკული მხარის გაშიფრა დაწყო და “თანაც საკმაოდ წარმატებულადო“. ლიტერატურის ინსტიტუტში “მაქსიმუმ ხუთ კაცი თუ შეძლებდა მისი მოხსენების გაგებას. ამიტომაც არ მიკვირს, რომ ეზოტერიკული კვლევის არსს იქ ვერ ჩასწვდნენ“. სულაც ამის მთქმელი რატომ არ იქცა იმ ერთადერთად, მომიტევეთ, ან მეორედ ზ.გ.-ს შემდეგ, რომელიც “ეზოტერიკული კვლევის არსს“ ჩაწვდა, რადგან მათთვის თავიდანვე მზესავით ნათელი იყო, ვთქვათ, შტაინერის “აკაშა-ქრონიკიდან“ ასეთი გამოთქმები: “მთვარე-ცხოველადმამიანს ჯერ კიდევ არა აქვს მყარი ძვლები. მისი ჩონჩხი ჯერ კიდევ ხრტილისებრია. ამის შესაბამისად, მისი მძრაობის უნარიც სულ სხვანაირია. მისი წინასწარ სიარულის მსგავსი კი არ არის, არამედ უფრო სტუნვისებური ან მოფარფატეც კია“ ან. “ქრისტე და სულიერი სამყარონი“: “ქრისტეს შესვლით დედამიწის აურაში ებრაული გეოლოგია თითქოს ქრისტეთი გაჯერდა“- ძალებში, რომელიც ღმერთმა იაჰვემ გამოუთავისუფლა “შევიდა ქრისტე და თავად ეს ძალები სულ სხვა რამედ გარდაქმნა“.

ყველაზე კომიკური ის გახლავთ, რომ ჩვენი “მეცნიერებათა დოქტორი“ ჩამოყალიბებული ათეისტია და ახლა უცებ ნეოგნოსტიკური სექტის მიმდევრად მოგვევლინა. მან რომ იცოდეს თუ რა უბედურებები დაწერა მასზე ზ.გ.-ამ თავის “ავტობიოგრაფიაში“, მას მყის გაუკრებოდა და ხალისი მასთან “ეზოტერიკული ძმობისა“.

რა არის ბოლოს და ბოლოს ანთროპოსოფია? ზ. გამსახურდიასაგან განსხვავებით მასზე დიდი ავტორიტეტები შემდეგ პასუხს იძლევიან. ნიკოლაი ბერდიაევი: "შტაინერის ქრისტოლოგია არის თავისებური მოდერნიზებული აღდგენა ძველი ერესებისა: ერთი მხრივ, მანიქეველობისა, მეორე მხრივ, ნესტორიანელობისა, რომლისთვისაც ორი ბუნება ქრისტეში განცალკევებული რჩებოდა. შტაინერი უარყოფს ქრისტეს ღმერთადამიანობის საიდუმლოს, მის მთლიან სახეს. ქრისტე არ არის პიროვნება, არამედ იმპულსი, კოსმოსური აგენტია".

ოსკარ ზიმელი (კარლ რანერის რედაქტორობით გამოცემული კათოლიკური ენციკლოპედია, ფრაიბურგი 1986): "ანთროპოსოფია წარმოადგენს ნეოგნოსტიკურ ერესს, პანთეიზმის პრიმიტიულ სახეობას".

მართლმადიდებლური ენციკლოპედია (ტ. II, მოსკოვი 2001) ანთროპოსოფიას ასევე პანთეისტურ მოძღვრებად მიიჩნევს, ხოლო მის ქრისტოლოგიას "წარმართულს" უწოდებს. შტაინერის მიმდევრის, ემილ ბოკის ბიბლიის განმარტებას ანთროპოსოფიული მეთოდით მართლმადიდებლური ენციკლოპედია ახასიათებს, როგორც "ოკულტურ ფანტაზიას, ანტიისტორიზმს და წმ. წერილისათვის მისთვის აბსოლუტურად უცხო იდეების თავზე მოხვევას".

ანთროპოსოფიაზე შეკითხვის მერე ზ. გამსახურდიას გრაალის წარმოშობის შესახებ ეკითხებიან, რაზედაც იგი თვალდაუხამხამებლად პასუხობს: "გრაალის ეტიმოლოგია, გრაალი, მეგობრებო, მომდინარეობს ძველპროვანსული და ალბათ, ძირით კაპადოკიური ტერმინიდან "გრაცალ" და, საერთოდ, გრაალის მიმდინარეობა ქართველური ტომების შექმნილია აგრეთვე". ხომ კარგი გადასვლაა, მკითხველო? ეს "ალბათ" და მერე დასკვნა: "გრაალის მიმდინარეობა ქართველური ტომების შექმნილია აგრეთვე". მეტი რაღა უნდათ ჩვენს ურა-პატრიოტებს?! ამ დროს ლეგენდა გრაალზე იდუმალებით მოცულია და მისი წარმომავლობის ასე ჰაი-ჰარად დადგენა - ყოვლად მიუღებელი. ისტორიკოსი დინცელბახერი[17] გვაუწყებს, რომ ადრეული შუა საუკუნეებიდან, განსაკუთრებით კაროლინგების ეპოქიდან, ჩვენამდე მოაღწია ცნობებმა მაცხოვრის სისხლის რელიკვიის თაყვანისცემის შესახებ. მაგრამ მხოლოდ განვითარებულ შუა საუკუნეებში ეს კულტი განიცდის თავის გაფურჩქვნას. მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში მესის დროს პრაქტიკაში დამკვიდრდა ჰოსტიის ელევაცია, სხვა სიტყვებით, ქრისტეს სხეულს გამოფენდნენ მორწმუნეთა სანახავად. ასე რეაგირებდა კათოლიკური ეკლესია კატარების მოძღვრებაზე, რომელთა მიხედვითაც პური და ღვინო წმიდა ზიარებისა ეშმაკის ქმნილებაა ან უბრალო პროდუქტებია მიწისა. სწორედ ამ დროს რელიკვიის სახით გვევლინება გრაალი. 1182 წელს ნაწილი ამ ჭურჭლისა სავარაუდოდ ინახებოდა ვაინგარტენში, 1215 წელს - ხოფენში. თუმცა, დასძენს დინცელბახერი, გრაალის დემონსტრირება ხდებოდა სხვა ადგილებშიც.

---

17. **Петер Динцелбахер (Зальцбург), Основные тенденции религиозного развития Германии в эпоху высокого средневековья - В: Другие средние века, М - СПБ 2000.**

ზ.გ.-ს "ოპუსის" განხილვა ძალზე რომ არ გამიგრძელდეს, მას პუნქტებად ჩამოვაყალიბებ.

I. არასწორი გაგება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დებულებისა ერების (ნაციის) წარმოშობის შესახებ. წიგნის მე-8 გვერდზე აღნიშნულია, რომ თითქოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს და მათ მიმდევარ მეცნიერებს ასე წარმოუდგენიათ ქართველი ერი: XIX საუკუნეში კაპიტალიზმის დამკვიდრების შემდეგ ქართველები ერად იქცნენ, "მანამდე იგი არც ერი ყოფილა და არც არსებობდა". მარქსიზმის მიხედვით, ერის (ნაციის) ჩამოყალიბება თანდათან, ეტაპობრივად ხდება: ტომები, მონათესავე (ან ახლომცხოვრები) ტომების კავშირები, ხალხი (народ, народность) - ყალიბდება, როცა ის ქმნის სახელმწიფოს, ხოლო ეს პროცესი მთავრდება ერის, ნაციის ჩამოყალიბებით მყარი ეკონომიკური ერთიანობის დამყარებით, რაც მხოლოდ კაპიტალიზმის დროს ხდება (ფ. ენგელსი - ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა). შეიძლება ვინმე ამ სქემას არ დაეთანხმოს, მაგრამ ვისაც ეკამათები იმის დებულება ხომ უნდა გესმოდეს. მით უფრო აბსურდია ქართველი მეცნიერებისათვის იმის დაბრალება, რომ ისინი თითქოს ეთანხმებოდნენ იმას, რომ XIX ს-მდე არ არსებობდა ქართული ეთნოსი, საერთოდ არაფერი არსებობდა. მაშ რა, ისეთი საბჭოთა (ფორმალურად მარქსისტი) მეცნიერები, როგორიც იყვნენ ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, გ. მელიქიშვილი და მისი მომდევნო თაობა შეისწავლიდა "არაფერს"?! არ არსებული ხალხის ისტორიას?!

II. აბსოლუტური აღრევა და გაუგებრობაა იქ, სადაც ზ.გ. მსჯელობს ე.წ. მედიტერანული (ხმელთაშუაზღვისპირულ) რასაზე და მის შემადგენლობაში პროქართული და პროკავკასიური ელემენტების არსებობაზე. მას არ ესმის,ჯერ ერთი, ის უბრალო ფაქტი, რომ მედიტერანული ჯგუფი ხალხებისა რასა კი არ არის, არამედ ევროპეიდული რასის განშტოება, რომელიც თავის მხრივ იყოფა ხალხთა ჯგუფებად, რომელთაც შემდგომ შეიძლება არც ენობრივი, არც კულტურული მსგავსება-ნათესაობა აღარ შერჩეთ, ზოგი იყოფა, ქუცმაცდება, შორდება ერთმანეთს, ზოგი პირიქით ერთიანდება, ერწყმება ერთურთს და ახალ ფენომენს ჰქმნის. ეს საყოველთაოდ ცნობილი პროცესია. მედიტერანულ (ხმელთაშუაზღვისპირულ) ჯგუფს ეკუთვნიან ხალხები, რომელთაც არაფერი საერთო ისტორიულ ეპოქაში აღარა აქვთ, არც ენობრივი, არც კულტურული თვალსაზრისით, მაგალითად ეგვიპტელები, კოპტები, ბერძნები, მცირეაზიული ტომები და ა.შ. და რა, ყველა ამათი წინაპარი ქართველური ტომები იყვნენ? (იხ. მ. აბდუშელიშვილი, "ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია", თბ. 1979; მისივე, Антропология древнего и современного населения Грузии, Тбилиси 1964. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, თბ., 1988).

III. ზ.გ-ს არ ესმის ნ. მარის რა თეორია იყო უარყოფილი სტალინის ინიციატივით. ეს იყო ე.წ. "სტადიალური განვითარების" თეორია. ამ თეორიით მსოფლიოს ხალხები განსხვავდებოდნენ არა ანთროპოლოგიური, ენობრივი, კულტურული განვითარებით, არამედ ერთი საწყისიდან მომდინარე

სხვადასხვა ხალხების სხვადასხვა "სტადიაზე" დგომით. ეს თეორია, სანამ საბჭოთა კავშირში იქნებოდა დაგმობილი და უარყოფილი (სხვათაშორის ქართველი მეცნიერების ა. ჩიქობავას, ა. შანიძის და სხვათა აქტიურობით), არავის მიერ არ იყო გაზიარებული

IV. ჰუმბოლდტის, შესაბამისად, მარის შეხედულება ბასკებისა და ქართველების (იბერების) ნათესაობის, მით უფრო მათი ქართული წარმომავლობის შესახებ, დღეს არსებითად არავის მიერ გაზიარებული არ არის. ადრეც ეს იყო მხოლოდ ჰიპოთეზა, ერთ-ერთი შესაძლებელი, მაგრამ ძალზე საეჭვო ვარიანტი. მით უფრო, მათთან ერთად ამ ასპექტში ივ. ჯავახიშვილის ხსენება სრული უმეცრებაა. ივ. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში "ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა" (იხ. "თხზულებები", ტ. X, 1992, გვ. 90) ედავება რა გერმანელ მეცნიერს კარსტს (Grundzüge einer vergleichenden Grammatik der Jbero-Kaukasischen Sprachen, ისე აკრიტიკებს გერმანელი მეცნიერის შეხედულებას ესპანეთისა და კავკასიის იბერთა ენების ნათესაობის შესახებ, რომ შეუძლებელია მივიჩნიოთ იგი ამ შეხედულების მომხრედ (იბერებისა და ბასკების ნათესაობის ძალიან დიდი დაუსაბუთებლობის შესახებ იხ. ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, 2002, გვ. 228).

V. გვ. 10. ხელაღებით ამტკიცებს რა პელაზგების პროტოიბერულ წარმომავლობას, განშტოებას, ზ.გ. იმოწმებს რისმაგ გორდეზიანს. არაფერი მაგდაგვარი რ. გორდეზიანს არა აქვს. იგი ლაპარაკობს მხოლოდ ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ქართველური ტომების გარკვეულ ინფილტრაციაზე წინაბერძნულ სამყაროში და ენობრივ კონტაქტებზე (რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, 1985).

VI. გვ. 20. "გეორგოს" სახელწოდების შესახებ. ზ. გ. წერს: "ჯერ კიდევ ძველი ბერძნები "გეორგოსებს" უწოდებდნენ ქართველებს"... შევამოწმე ჰეროდოტესთან (V ს. ძვ.წ.), აპოლონიოს როდოსელთან (ძვ.წ. III ს.), თუკიდიდე (ძვ.წ. IV ს.), ელინისტური ხანის (III-I სს.) ავტორებთან არატიოსთან, ლიკოფრონთან, კალიმაქესთან, თეოკრიტესთან, სტრაბონთან (ძვ.წ. I - ახ.წ. I), მემნონთან (I-II სს.), ლუკიანესთან, ალკიფრონთან (II-III სს.), აგრეთვე ბიზანტიური ხანის ავტორებთან (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. I-VII). არსად, აბსოლუტურად არსად ეთნონიმი "გეორგოს" დაფიქსირებული არაა.

VII. გვ. 36-39. შეკითხვაზე - რით მტკიცდება რომ პელაზგები და შუმერები იყვნენ პრაინდოევროპელები? ზ.გ. პასუხობს, რომ ჰეროდოტესთან და სხვა ბერძენ ისტორიკოსებთან ნათქვამია, რომ ისინი (ე.ი. პელაზგები) იბერები იყვნენ. ჰეროდოტესთან პელაზგები 16-ჯერ არიან ნახსენები (I, 57, 58, 146; II, 50, 51, 52; IV, 145; 26; VI, 136, 137, 138, 139, 140; VII, 94, 95, VIII, 44) და არსად იბერთა ხსენებაც კი არაა. იბერებს ჰეროდოტე ახსენებს სულ სხვაგან, როცა ესპანეთზე ლაპარაკობს და VII, 165 - ბაზს უსვამს, რომ ისინი აფრიკიდან გადმოსახლდნენ. ასევეა თუკიდიდესთან: იგი აღნიშნავს, რომ პელაზგები არიან ელინების წინ ელადაში (ე.ი.

საბერძნეთში) მოსახლე ტომი (1, 3, 2; IV, 109, 4), ხოლო იბერები არიან პირენეებში (ესპანეთში) მცხოვრები ტომი (VI, 2,2; 90, 3). ვერ ვნახე ვერც ერთი ბერძენი მწერალი, რომელიც პელაზგებს იბერებთან აიგივებდეს.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზ.გ-ს წიგნაკი შეიცავს რაღაც არაჯანსაღ, ურა-პატრიოტულ მტკიცებებს და მასში მეცნიერული არაფერი არაა. რაც შეეხება მის ბოლო თავს, მამამისის ქებას, მას აღარ შევეხები...

მაგრამ შეიძლება ზ. გამსახურდიაზე თხრობა ისე დაამთავრო, რომ მისი პოლიტიკური "გმირობები" არ ახსენო?! მით უმეტეს ახლა, როდესაც ჰა და ჰა, მას "ეროვნულ გმირად" გამოაცხადებენ?! მაგრამ ვფიქრობ აქედან არა გამოვა რა, რადგან პროკურატურაში სულ რომ მოსპო მასალები, რაც ა. ბალუაშვილმა აფხაზეთის ომის დროს მასზე შეკრიბა, მაინც რჩება ხალხში გასული საკმაო ლიტერატურა[18] და რაც მთავარია, ხალხის მეხსიერება.

აქ ზ. გამსახურდიაზე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ვერ გამოძებნა რა ოპოზიციასთან დიალოგის ენა, მან იმოქმედა "შავი საქართველოს" ფეოდალის ტრადიციების მიხედვით და ქვეყანაში სამოქალაქო ომი გააჩაღა. შემდეგ, ამავე "ღირსეული ტრადიციებით" მან თავი შეაფარა დუდაევს, მუსლიმურ ჩეჩნეთს, რომელიც არც მალავდა საქართველოსადმი მტრულ დამოკიდებულებას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი (დუდაევი) აფხაზეთს, საქართველოს კუთვნილებად არ მიიჩნევდა.[19] იმხანად აფხაზეთში რუსეთს თავისი გეგმები ჰქონდა და დუდაევს თავისი - "მთიანი რესპუბლიკის" შექმნა დედაქალაქი სოხუმით. ასეთ პირობებში ზ. გამსახურდია წერილობით და რადიოთი მოუწოდებდა ყველას "ხუნტის" საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად და როცა სოხუმი დაეცა, მან დაქირავებული აფხაზ-ჩეჩნები ავტობუსებით დასავლეთ საქართველოში გადმოიყვანა საბრძოლველად, ე.ი. სწორედ ისინი, ვინც ქართველ მამაკაცებს თავს ჭრიდა და ქალებს აუპატიურებდა.

---

18. დაწყებული რევაზ ბეჟაშვილის სტატიიდან, რომელიც აფხაზეთის ომის უშუალო მონაწილეა (ჟურნ. "შხედარი" №1-2, 1993 წ. - "ლალატის ქრონიკა") და დამთავრებული კრებულით "სიმართლე ზ. გამსახურდიას შესახებ", თბ. 1999 წ. ასევე პირველ ხანს ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული ზ.გ-ს მიმოწერა გამომძიებლებთან, შემდეგ მისი გაპრეზიდენტებისა და გაქცევის შერე "კოლხურ კოშკში" მიყრილი "სუკ"-ის არქივებიდან ამოზიდული "საქმეების" ფოტოები, შემდეგ სულ ახლახან გაზ. "ჯორჯიან თაიმსში" გამოქვეყნებული "კგბ"-ის მაღალჩინოსანი გამომძიებლის ინტერვიუ, რომელიც ბრალს დებდა ზვიადისდროინდელ "სუკ"-ის მინისტრს, რომ მან "კგბ"-ს არქივიდან გამსახურდიებს "მიართვა" ზვიადის საქმის ხუთი ტომი (რომელიც ალბათ მოსპეს ზ.გ-ს არასასურველი "ჩვენებების" გამო.). ის, რომ გამსახურდიებმა თან წაიღეს "კგბ"-ს არქივის ნაწილი კიდევ იმითაც დასტურდება, რომ მოსკოვს თავშეფარებულმა ზ.გ-ს ცოლმა იქ ზ-ს წიგნი გამოუშვა რუსულ ენაზე, რომელსაც სუკიდან გადმოტანილი, მათთვის სასურველი, სხვათა მამხილებელი დოკუმენტებიც ზედ ერთვის.

19. დუდაევი რა სახსენებელია, როდესაც კარგად გვახსოვს (ჩვენმა ტელევიზიამ აჩვენა) აფხაზების დასახმარებლად გამგზავრებული პანკისელი, "ქართველი" ჭისტები, თუ როგორ ჩამობარბანა ჩვენმა მილიციამ მატარებლიდან. ასევე გვახსოვს ხიზრი ალდამოვის სატელევიზიო გამოსვლა, რომელიც გვაფრთხილებდა, რომ პანკისის ხეობაში ჩვენი ჯარი არ შეგვეყენა - აფხაზეთში ტანკების შეყვანამ რა მოგიტანათო?!

ახლა ვრცელდება ხმები, რომ აი, ზ.გ.-ს რუსეთის ჯარები ებრძოდნენო. გულისხმობენ ბალტინის მეზღვაურების დესანტს ფოთში. კარგად დავიხსომოთ: ჯერ სანამ ბალტინი შემოვიდოდა, მანამ ზ.გ.-ია ჩრდილო კავკასიელებით და თავისი მომხრეებით უკვე ქუთაისს მიადგა. როგორ გგონიათ, გაბოროტებული ნაპრეზიდენტალი იმ მხეცებთან ერთად სისხლის ღვარს არ დააყენებდა დედაქალაქში?! ასე რომ, ბალტინის მეზღვაურები, როგორც ეს ჩვენს ისტორიაში ხშირად მომხდარა, "ნაკლები ბოროტება" იყო.[20] ზოგიერთი უნამუსო იმასაც კი ირწმუნებდა, რომ თბილისიდანაც "რუსმა მედესანტეებმა" განდევნეს გამსახურდიაო. მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა, რასაც თვითმხილველის პოზიციიდან ვადასტურებ.[21]

ხომ დამნაშავეა შევარდნაძე (საბჭოთა პერიოდს აღარ ვგულისხმობ)? ტელევიზიით ნანახი სამი მილიონის გადახდის მერე აკ. ჩხაიძის იდიოტური ღიმილი ნათელ პასუხს იძლევა ამ შეკითხვაზე - დიახ, დამნაშავეა! მაგრამ ვერავითარი მილიონები, შევარდნაძის ნათესავების მიერ უკანონოდ მითვისებული, ვერ გადაწონის გამსახურდიას ღალატს, რომელმაც საქართველოში სისხლის გუბეები დააყენა. შევარდნაძე დამნაშავეა თუნდაც იმიტომ, რომ ნაცვლად იმისა, პრესითა და ტელევიზიით ხალხისათვის (განსაკუთრებით სამეგრელოში) ეჩვენებინა გამსახურდიას ნამდვილი სახე, სიბერეში შანტაჟისტთა ნებას დაჰყვა და კვლავ იწყო გამსახურდიას პოლიტიკური რეანიმაცია. მაგრამ ერთიც უნდა ვიკითხოთ: 1998 წელს შევარდნაძე ხომ იყო არჩეული, "კანონიერი" პრეზიდენტი? მაშ იმ წელს მასზე თავდასხმა რომ განხორციელდა და პრეზიდენტის დაცვიდან ორი ოქროსაკით ბიჭი, ორი ქართველი ვაჟკაცი რომ მოგვიკლეს, რაღა ნამუსით ვათავისუფლებდით ტერორისტებს? მაშინ ძალზე ლოგიკური იქნებოდა მოსკოვიდან იგორ გიორგაძის ზარზეიმით დაბრუნება, იმ ტერორისტისა, რომლის სამიზნე იგივე შევარდნაძე იყო.

არის კიდევ ერთი ავტორი, რომელიც ანთროპოსოფიულ ბროშურაზე დაყრდნობით ფანტაზიორობს ჩვენს ისტორიაზე. მისი წერილი უდიდესი

---

20. სულ ახლახან, 2006 წლის 9 მაისს, "იმედის" სატელევიზიო არხზე გია ყარყარაშვილმა განაცხადა: სულაც არ გვჭირდებოდა ბალტინის შემოსვლა ფოთში - ეს ქალაქი ალებული გვქონდა, ხოლო ზუგდიდის ნახევარიც ჩვენს ხელთ იყო და მასაც სწრაფად ავიღებდითო. ბალტინმა, პირიქით, ფოთში "შხელრიონელები" და სამთავრობო ჯარის მეთაურები დააპატიმრაო.

21. სხვა რომ არა იყოს, ასეთი ფაქტი გამაცნო იმხანად ელდარ შენგელაიამ: ყოველდღე დავდიოდი მაშინ კიტოვანთან და პარლამენტის შენობას რომ ველარ იღებდა, თურქეთში გაქცევა გადაწყვიტაო. ძლივს გადავათქმევინე და მერე ჯაბამ გვიშველაო. თუ ე. შენგელაია დღეს ამას იკადრებს და ამ ფაქტს უარყოფს, მაშინ გავახსენებ, თუ რმ საუბარს კიდევ ვინ ესწრებოდა. ისე კი წარმოუდგენელი ცინიზმია სამორიგეების ამ "დიდი" დამცველის, ე. შენგელაიას მხრიდან ის ქმედება, როდესაც მან პარლამენტში, შევარდნაძის დროს, თითქმის რქებით გაიტანა "შერიგების" სახით ზ. გამსახურდიას ფაქტობრივი გამართლება, რის მერეც მისი სახელი დარჩა თბილისის ქუჩას, კაცია, რომელმაც საქართველო საკუთარი ხელისუფლების შესანარჩუნებლად სისხლის მორევად აქცია.

ტირაჟით (ასორმოცდაათიათასი - 150.000) რომ არ გამოსულიყო, შეიძლება არც კი შემემჩნია იგი. საუბარია აკ. ბაქრაძის წერილ "დავიწყებულ იდეაზე", რომელიც შესავალად წინ უძღვის "ქართული მწერლობის" მე-5 ტომს (თბ., 1988).[22] როგორც ჩანს, ცხონებულ აკ. ბაქრაძეს იმპონირებდა ანთროპოსოფიური ოპუსის ავტორის როგორც ეროვნება, ასევე მისი გვარ-სახელი. "გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერსტი" ამბობს იგი და ხაზს უსვამს ამას. მაგრამ მთავარია, რას ამბობს ეს სკერსტი თავის - "გრალის ტაძრები კავკასიაში". თაურქრისტიანობა სომხეთსა და საქართველოში". აკ. ბაქრაძის თქმით, სკერსტი "ამტკიცებს გრალის ტაძრების არსებობას ამიერკავკასიაში". რით ამტკიცებს? "ანთროპოსოფიის მოშველიებით", სვეტიცხოვლის ტაძრის აშენების ლეგენდის ანალიზით. რა გამოჩნდა ანალიზის შედეგად? პასუხი: "როდესაც გოლგოთაზე მაცხოვრის ჭრილობებიდან სისხლი მოწვეთავდა, მოხდა ქრისტეს მისტიკური დაკავშირება დედამიწასთან". შემდეგ "იესო ნაზარეველის ეთერული სხეულის, ასტრალური სხეულის და მე-ს ხატი" მრავალ წმინდანში დამკვიდრდა, მათ შორის წმ. ნინოშიც, ხოლო "სვეტიცხოვლის ტაძარიც გრალის ტაძარია, რაკი იგი, წმ. ნინოს მითითებით, იმ ადგილას არის აშენებული, სადაც ქრისტეს კვართი დაიმარხა". მაგრამ რა შუაშია აქ "ეთერული, ასტრალური" და ა.შ. სხეულები? განა წმ. ნინო ისე ვერ მიუთითებდა ტაძრის ასაშენებელ ადგილს? მაგრამ არა, ეს "სხეულები" თურმე იმისთვისაა საჭირო, რომ აკ. ბაქრაძემ თქვას: "თუ ჩვენ ამ შეხედულებას გავიზიარებდით, მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ წმ. გრალის პოეტებია რუსთაველი..." და აკ. ბაქრაძე გულუხვია ჩამონათვალში და სია შალვა დადიანამდე აჰყავს. ესე იგი ეს "სხეულები" ჩვენს პოეტებში "გადმოვიდა"? თუმცა გრალის თემა ქრისტიანულია, მაგრამ სკერსტი თურმე "კავშირს ეძებს ოქროს საწმისსა და გრალს შორის". აქ აკ. ბაქრაძე უხერხულობას გრძნობს და მისი ჩვეული სიცქვიტით შესძახებს: "შეიძლება გაკვირვებულმა მკითხველმა წამოიძახოს - საიდან სადაო, როგორ, რატომ?" დაბოლოს, თურმე ყველა კითხვაზე პასუხის გამცემია, როგორც მოსალოდნელი იყო, რუდოლფ შტაინერი, რომლის მიღმა უკვე არანაირი ჭეშმარიტება აღარ სუფევს. აი, რას გვაუწყებს იგი აკ. ბაქრაძის გადმოცემით: "ოქროს საწმისი უზენაესის და ამაღლებულის სიმბოლოა. ადამიანი (ე.ი. იაზონი) ისწრაფვის უზენაესისაკენ (ე.ი. ოქროს საწმისისაკენ). უზენაესისა და ამაღლებულის წვდომა კი ადამიანს შეუძლია მხოლოდ სიბრძნით, გონიერებით. იაზონმა ოქროს საწმისი მედეას დახმარებით მოიპოვა. მაშასადამე, მედეა სიბრძნეა, გონია, ლოგოსია. მაგრამ უზენაესთან ზიარება უმსხვერპლოდ არ შეიძლება, მიზანს სიბრძნის, გონიერების ნაწილი უნდა შეეწიროს. ეს მსხვერპლია მედეას ძმა აფსირტე (ე.ი. ლოგოსის ნაწილი).

---

22. ვინმემ რომ არ თქვიროს მხოლოდ გარდაცვლილ აკ. ბაქრაძეს "შეებედე" კრიტიკა და ცოცხალს ვერაო, მათ საყურადღებოდ ვიტყვი, რომ ჯერ კიდევ 1992 წელს ჟურნალ "რელიგიაში" (№7) იგი მკაცრად გავაკრიტიკე იმის გამო, რომ მან ქეთევან დედოფლის წამების აქტში სავსებით გამორიცხა წმიდა დედოფლის რელიგიური ენთუზიაზმი და მასში მხოლოდ "პატრიოტიზმი" დაინახა. სამასუხოდ აკ. ბაქრაძეს კრინტი არ დაუძრავს.

თუ გავიზიარებთ მედეას ამგვარ გააზრებას, მაშინ სრულიად ბუნებრივია ქალის კულტი ჩვენში".

მართლაც საიდან სადაო და აი თურმე რატომ არსებულა ჩვენში ქალის კულტი! მაგრამ კმარა, სანამ აფსირტეს ბედს გავიზიარებ, ამ ხლართის გახსნა მომავლის მკითხველისათვის მიმინდვია.[23]

არის კიდევ რიგი უსწორობანი აკ. ბაქრაძის წერილში. მას სამართლიანად მიაჩნია, რომ "ისტორიანი და აზმანის" ავტორს განუმეორებელი მკრეხელობა ჩაუდენია, როდესაც თამარ-მეფე გამოუცხადებია ქრისტიანული სამების მეოთხე წევრად, ხოლო როდესაც თამარ მეფემ შვა ძე, დედოფალი გაუთანაბრებია ღმერთის მშობელთან, ხოლო ძე მისი ლაშა-გიორგი - ქრისტესთან. მაგრამ ამის საფუძველზე აკ. ბაქრაძე აკეთებს დასკვნას, რომ "თამარის სამების მეოთხე წევრად გამოცხადება და ჩვილი ლაშა-გიორგის იესო ქრისტესთან მისწორება ნაწილია ქართული მესიანისტური იდეისა".

ეს დასკვნა მცდარია და აი რატომ. მონარქის ასეთი გაღმერთება იმ დროს მარტო საქართველოში როდი ხდებოდა. მაგალითად, ნიკეის ბიზანტიურ იმპერიაში, როდესაც იმპერატორ თეოდორე II ლასკარისს შეეძინა ძე იოანე, მას ასე შეასხეს ხოტბა:

"ქრისტე არის მეფე და მეფის ძე; შენი ხვედრიც ასეთივეა.

როგორც ერთ დროს ქრისტეს მოგვნი, ასე გეძებდით ჩვენ შენ..."

მიწიერი მეფის ზეციურთან გატოლება, ეს ჩვეულებრივი რამ არის ბიზანტიელ პოეტებთან - ამბობს ს. ავერინცევი და ამ ამბავს ჩვეულებრივ "სერვილიზმად" მიიჩნევს.[24]

უფრო მკაფიო მაგალითებს ამ მხრივ გვაწვდის იოჰან ჰოიზინგა თავის "შუა საუკუნეების შემოდგომაში".[25] იგი წერს: "თაყვანს სცემდა რა ამქვეყნიურ დიდებულებას, შუა საუკუნეების ადამიანი თავისი გრძნობების გამოსახატავად სარგებლობდა საეკლესიო წესის ენით... აქ არ იყო არავითარი მკრეხელობა". შემდეგ (გვ. 154-160) ჰოიზინგა ჩამოთვლის მაგალითებს ამქვეყნიური მთავრების შედარებისას "ქრისტესთან", "ღვთის კრავთან", "მამა ღმერთთან", "სამებასთან". სხვა ადგილას (გვ. 190-კომენტ. გვ. 404) იგი წერს თუ "მკრეხელურად" როგორ ადარებდნენ ლუდოვიკო XI-ს იესოს, ხოლო იმპერატორს, იმპერატორის ძესა და შვილიშვილს - წმ. სამებას (იმპერატორი ფრიდრიხ III, მისი ძე - რომის მეფე და მომავალი იმპერატორი - მაქსიმილიანი, შვილიშვილი ფილიპე - ესპანეთის მომავალი მეფე ფილიპე I ლამაზი).

---

23. ცხონებულს, თუ მართლა საინტერესო პრობლემის გადაწყვეტა სურდა, იგი წინ ედო მას კარგა ხნის განმილზე. ეგულისხმობ ჰანს ზედლმაირის წერილს (ხოლო თავად ამ ავტორს აკად. ვახტ. ბერიძე ასე ახასიათებს: "შოფლიო სახელის მქონე ხელოვნების ისტორიკოსი"), რომელშიაც იგი განიხილავს პრობლემას მე-5-6 საუკუნეების ქართული ეკლესიების ასლების ესპანეთში აღმოცენებას, ოღონდ ხუთი საუკუნით გვიან. წერილი ვთარგმნე და გამოვაქვეყნე ჟურნ. "მნათობში", №12, 1972 წ.

24. История Византия, т. 3, М. 1967 - "Литература" - С. Аверинцев.

25. Й. Хейзинга. Осень средневековья, М. 1995.

ასე რომ, ეს არ გახლდათ "მესიანისტური იდეა", არამედ, უარეს შემთხვევაში შუა საუკუნეებრივი სერვილიზმის გამოხატულება. აქედან გამომდინარე მცდარია აკ. ბაქრაძის შემდეგი ფრაზაც: "ჟამთააღმწერელი უარჰყოფს ქართულ მესიანისტურ იდეას. შემოაქვს ახალი - ცოდვისა და გამოსყიდვის იდეა. მისი აზრით, ქართველობა იმიტომ დამარცხდა, რომ მათ ქრისტიანული სათნოება უარჰყვეს, გადიდგულდნენ და გაყოყოჩდნენ. ერთიანად მიეცნენ ცოდვას. ღმერთმაც სასჯელად მონღოლთა ბატონობა მოუვლინა".

მაგრამ ასეთი მსჯელობა ზოგადად ქრისტიანული საისტორიო მწერლობისათვის არის დამახასიათებელი. ავიღოთ, მაგალითად, ისტორიული წყარო "ესპანეთის დაპყრობა მავრების მიერ ლათინური გადმოცემების მიხედვით (123 წ.)."[26] აქ მავრების გამარჯვება ზუსტად იგივე მიზეზებითაა დასაბუთებული, როგორც ამას ჩვენი "ჟამთააღმწერელი" ამბობს მონღოლების მიმართ. რაო, აქაც "მესიანისტური იდეის უარყოფაა"?

მესამე ავტორი, რომლის წიგნი "ერი და ეროვნული კულტურა" (თბ. 1988) ერთობ მიუღებელ აზრებს შეიცავს, ნოდარ ნათაძე გახლავთ. მაგრამ ამის საფუძველი, ვფიქრობ, მის უფრო ადრე გამოცემულ ნაშრომში ("მითი და სინამდვილე", თბ. 1978) არის საძიებელი, რომლის ანოტაციაშივე არის ნათქვამი, რომ აქ წარმოჩნდება "მეცნიერულ-ათეისტური აზრის დამოკიდებულება რელიგიისადმი". და რის შედეგადაც უარყოფილია სულის უკვდავების იდეა, ხოლო მაცხოვარი, რომელსაც, თურმე, "არ ჰქონდა განათლება მისი თანამედროვე მსოფლიო კულტურის სფეროში", ცხადდება, უკეთეს შემთხვევაში, დიდ "ჰიპნოზიტორ-ტელეპათად". ასეთი ათეიზმი კი ხშირად ხდება განმაპირობებელი იმ ნაცისტურ-რასისტული აზრებისა, რითაც ერთობ დახუნძლულია ნ. ნათაძის "ერი და ეროვნული კულტურა". განაცხადი ლიტონ სიტყვად რომ არ დარჩეს, მივმართოთ თავად წიგნს და მოვახდინოთ მისგან ციტირება.

დასახელებული ნაშრომის 94-ე გვერდზე ნათაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს "ერის თვითცნობიერების განსაზღვრაში მისი ბუნებითი ერთობის (რაც მისი, როგორც ჯგუფის, პრინციპულ ჩაკეტილობას მოასწავებს), სახელდობრ სისხლით ერთობის (ხაზგასმა ნ. ნათაძესი, ვ.რ.) ცნობიერებას". ნათაძის აზრით (გვ. 96), ამ "სისხლის ერთობამ" და, რაც მთავარია, "ამ სისხლის ხარისხმა განსაზღვრა, არსებითად, ჩვენ წინაპართა ისტორიაც, რომელსაც ვიცნობთ. მაგრამ აქვე რომ ვკითხოთ ჩვენს თვითდაჯერებულ ავტორს: განა აბო ტფილელის მოწამებრივმა აღსასრულმაც არ განსაზღვრა "ჩვენ წინაპართა ისტორია", იმ წმინდა აბოსი, რომელიც სისხლით არაბი იყო?! განა ჩვენი ისტორია სხვაგვარი არ იქნებოდა, და, საერთოდ, მეობა-დაკარგულები არ ვიქნებოდით, რომ არ ყოფილიყვნენ წმ. ნინო კაპადოკიელი, ათასამეტი ასურელი მამა, ან წმ. ევსტათე მცხეთელი, რომელიც სისხლით სპარსელი იყო, და წმ. შუშანიკი - სისხლით სომეხი?! ან ვინ იყო ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე, თუ არა მირიანი, "ძე სპარსთა მეფის ქასრე

---

26. История Средних Веков в ея писателях и исследованиях новейших ученых. М. Стасюлевича. т. I, СПБ 1902, стр. 374-378.

არდაშირისა, სასანიანისა", რომელიც გახლდათ "მამის მამა" გმირი ვახტანგ გორგასლისა?! ან ქართლის პირველი ქრისტიანი დედოფალი ნანა, მეუღლე მირიანისა, რომელიც იყო "ოლიღოტოსის ასული, საბერძნეთიდან?"! მაგრამ ბ-ნი ნათაძე ამას არ დაგიდევთ, მას მიაჩნია, რომ "ინდივიდი ან ეროვნული ცნობიერების პოზიციაზე დგას, ან მასზე დაბლა დგას, რადგანაც მასზე უფრო მაღლა დგომა არ არსებობს", ან, მისი აზრით, არსებობს "ერისაგან განდგომა (მისდამი, ასე ვთქვათ, ზურგის შექცევა) რელიგიური (ხაზგასმა ნ. ნათაძის, ვ.რ.) მოტივით: ჩემი "ჩვენ" ისინი არიან, ვისაც, ჩემის აზრით, ჭეშმარიტი სარწმუნოება გვაქვს. ჩემი ეთიკური მოვალეობის ორიენტირია ის, რასაც ჩემი სარწმუნოება მამცნებს, და არა ჩემი ერის ინტერესები". ამგვარად, ავტორი ხელოვნურად ხლეჩს პატრიოტობასა და რწმენას და მათ ერთმანეთს უპირისპირებს. ეს გასაგებიცაა ისეთი ათეისტისაგან, როგორიც ბ-ნი ნათაძეა. მაგრამ ამით უგულებელყოფილია ცოცხალი ისტორია და, განსაკუთრებით, ჩვენი წარსული. განა მორწმუნენი და, განსაკუთრებით, რწმენისათვის წამებულნი იმავდროულად საუკეთესო მამულიშვილნიც არ იყვნენ - მღვდელი თევდორე თავდადებულიდან დაწყებული და ჩვენი გვირგვინოსანი წამებულებით დამთავრებულნი?! ავიღოთ სულ სხვა, ისლამური სამყარო და ჩეჩენთა ტრაგიკული ბრძოლა თავიანთი სამშობლოსათვის. განა რელიგიური ენთუზიაზმით არ არის განპირობებული მათი თავგანწირვა, რამაც ამას წინ ("ნეზავისიმაია გაზეტა"-ში 07.09.2004) პუბლიცისტ რადზიხოვსკის დააწერინა მათი მისამართით, რომ ჩვენ გვებრძვის "მტერი, ჩვენგან განსხვავებით - მოუსყიდველი, მტერი, ჩვენგან განსხვავებით - იდეური, მტერი, ჩვენგან განსხვავებით - ფანატიკური იდეით გაერთიანებული". რასაკვირველია, ჩვენი, ქრისტიანობის თვალთახედვიდან დანახული ისლამი დიდი მწვალებლობაა, დიდი ერესია, მაგრამ იგი მაინც რელიგიას წარმოადგენს. ბ-ნი ნათაძე ვერ დამისახელებს ქრისტიანობის ისტორიიდან ვერც ერთ მაგალითს, როდესაც ჭეშმარიტი მორწმუნე "რელიგიის გამო" თავისი ერის ინტერესებს ღალატობს ან "ზურგს აქცევს" (მისეული გამოთქმით). სულ სხვა რამ არის, როდესაც გვიანდელ საუკუნეებში რელიგიის უსინდისო გამოყენება ხდებოდა ურწმუნოთა მიერ პოლიტიკური მიზნებისათვის, ან სექტანტების მიერ თავის არიდება ჯარში მსახურებიდან. ნ. ნათაძის თქმით, "სისხლთა აღრევას ვუშვებთ, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ის ტენდენცია გვაქვს, რომ იგი, როგორც უდავო და აუცილებელი, დავუშვათ მხოლოდ ისტორიამდე, ისტორიის დაწყების შემდეგ კი - მხოლოდ როგორც შემთხვევითი". ამ დროს ნათაძე დარწმუნებულია, რომ ადამიანი მაიმუნიდან წარმოიშვა - "ადამიანი, თუნდაც გაქრეს, მაიმუნად აღარ გადაიქცევა".

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მსჯელობებს საკმაოდ პროვინციული ელფერი დაჰკრავს, მათ კარგა ხნით დაიგვიანეს. გადავშალოთ ნათაძისათვის ნაცნობი ავტორის, ჰანს კონის წიგნი.[27] აქ ვკითხულობთ, რომ "არტურ დე გობინომ (1816-1882 წწ.) პირველმა დაამუშავა სისტემა

27. Hans Kohn, Nationalism: Jts Meaning and History, (Part II), 1955.

ბიოლოგიური ნაციონალიზმისა თავის "ნარკვევებში ადამიანურ რასათა უთანასწორობის შესახებ" (1853-1855 წწ). გობინოს თანახმად, რასათა განმსაზღვრელ პრინციპად გვევლინება "სისხლი" და ისინი უთანასწორონი არიან თავიანთი შემოქმედებითი უნარებით". შემდეგ, "ნაციონალისტთა იდეების თანახმად, რომელნიც ხაზს უსვამდნენ "სისხლისა" და წინაპართა როლს, ნაციონალიზმი წარმოადგენს დეტერმინიზმს; პიროვნება არ არის თავისუფალი - იგი აუცილებლობით განსაზღვრულია "ნიადაგითა და გარდაცვლილებით", როგორც ამას განმარტავდა ბარესი,[28] "სისხლითა და ნიადაგით" - ჰიტლერის მიხედვით". ამგვარად, ნ. ნათაძის ზემომოყვანილი აზრები მთლიანად ჯდება კარლ რანერის კლასიფიკაციის Jmanenz-ის იდეოლოგიაში, რომელიც "აბსოლუტურობას უკეთებს ჩვენი ცდისეული სამყაროს ცალკეულ სფეროებს და მათ სტრუქტურებს აქცევს სინამდვილის საერთო კანონად. ეს ჯგუფი მოიცავს უდიდეს ნაწილს იმისა, რასაც ჩვენ, ჩვეულებისამებრ, იდეოლოგიად მოვიხსენიებთ: ნაციონალიზმი, "სისხლი და მიწა", რასისტული იდეოლოგია, ამერიკანიზმი, ტექნიციზმი, სოციოლოგიზმი და, ბუნებრივია, ის მატერიალიზმი, რომლისთვისაც ღმერთი, სული, თავისუფლება, პერსონა მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი, ფუჭი სიტყვებია". მაგრამ ჩვენს პროვინციელ ფაშისტებს (ასეთსავე ფაშისტებს აფხაზეთში, ცხინვალში და თვით რუსეთში)[29] ვერ შეუგნიათ, რომ, ფრენსის ფუკუიამას[30] სიტყვებით თუ ვიტყვით, "როგორც მოქმედი იდეოლოგია, ფაშიზმი განადგურდა მეორე მსოფლიო ომით. რასაკვირველია, ეს დამარცხება საკმაოდ მატერიალური იყო, მაგრამ მან დამარცხება იწვნია იდეურ სფეროშიც. როგორც იდეა, ფაშიზმი დაიმსხვრა არა საკუთარი თავის მიმართ გამოწვეული საყოველთაო მორალური ზიზღის შედეგად, რადგან მრავალნი მზად იყვნენ თავად იდეის მისაღებად, სანამ ისე ჩანდა, რომ მას გარანტირებული აქვს მომავალი. იდეა დაღუპა იმან, რომ მან წარმატება ვერ მოიტანა".

არის სხვა ცდომილებანიც ნ. ნათაძის წიგნში, მაგალითად, მას კანტზე დაყრდნობით მიაჩნია, რომ "ზოგადი კანონისადმი მორჩილებაც კი, კატეგორიული იმპერატივი, ჩემი გონითი მოთხოვნილებაა". ამ დროს, ათეისტს, რომელიც "კატეგორიულ იმპერატივს" უხმობს ქრისტიანული ეთიკის წინაალმდეგ, უნდა ახსოვდეს, რომ კანტი, უარყოფდა რა "ღვთაებრივ გამოცხადებას", ღვთის სიტყვად ჩვენში სწორედ ეს მორალური იმპერატივი მიაჩნია.[31] გარდა ამისა, თუკი კანტს მივყვებით, უნდა ვაღიაროთ ადამიანში "რადიკალური ბოროტების" არსებობა და სხვა. საერთოდ, ათეისტი რაც უფრო წრფელია, მით უფრო მიესადაგება მას ცნობილი ფილოსოფოსისა და თეოლოგის, ჰანს კიუნგის სიტყვები: "საშიშროება საბოლოო უსა-

28. მორის ბარესი (1852-1923), ფრანგი ნაციონალისტი. ვარ.
29. მათ ფაშიზმზე კიდევ შევჩერდებით.
30. Francic Fukuyama, The End of History? "The National Jnterest" 1989].
31. G. Söhngen, Kant, LThK, Bd. 5, Freiburg 1986.

ფუძვლობისა, ყოველგვარი საყრდენის გამოცლისა, ყოველგვარი მიზნის გაუმართლებლობა... მაგრამ ეს ყოველივე იმ შემთხვევაში, თუკი ათეიზმის სერიოზულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და არა ინტელექტუალურ პოზიორობასთან, სნობისტურ კოკეტურობასთან ან უაზრო ზედაპირულობასთან".[32]

ცალკე თემაა ნ. ნათაძის დამოკიდებულება ზ. გამსახურდიასადმი. ის უბედური, სანამ პრეზიდენტი იყო, ნათაძემ ხან რა დაუწერა მას სამხილად და ხან რა! ის კი არადა, როდესაც გამსახურდია გროზნოში გადაბარგდა, ნ. ნათაძე, უკვე ემოციების გარეშე, ასეთნაირ შეფასებას აძლევს მის მოღვაწეობას თავის ინტერვიუში (გაზ. "თბილისი", 6 მარტი 1992 წ.): "შიდა ქართლი დღესაც კრიტიკულ ვითარებაშია. ყოფილი ხელისუფლების ყველაზე დიდი დანაშაული საქართველოს წინაშე ის არის, რომ ეს მხარე უპატრონოდ დააგდო, ქართული სოფლები რუსის ჯარისა და ბანდების ამარა დატოვა. გამსახურდიას რეჟიმმა იქ დააკანონა საკავშირო ჯარების მოქმედება... რასაც საქართველოში გამსახურდია ამკვიდრებდა, ეს იყო უსაზიზღრესი ფსიქოპათიური, ისტერიული სისტემა... გამსახურდიას ეკონომიკური პოლიტიკა ჯანსაღი არ იყო. იგი თავისი ბუნებით სოციალისტური და, ცოტა არ იყოს, მანიაკალური იყო".

ვინც ამას წაიკითხავს და შემდეგ იტყვის, რომ გამსახურდიას რეჟიმის დამხობა არ უნდა მომხდარიყო, დაე, ეს მის სინდისზე იყოს! მაგრამ დახეთ, წლების მერე, როდესაც ე. შევარდნაძე შეიძულა და მას "რუსეთის აგენტი" უძახა, ნ. ნათაძეს პირდაპირ "სიყვარულის ბუშტი გაუსკდა" გამსახურდიას მისამართით. გნებავთ ასჯერ იყოს შევარდნაძე "რუსეთის აგენტი", განა ამით გამსახურდია "თეთრდება"?! მაგრამ სასაცილო ის არის, რომ არც გამსახურდია დარჩა "ვალში" ნათაძის მიმართ. მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოცემულ თავის "ავტობიოგრაფიაში" (1996 წ.), რომელიც მას გროზნოში შეუთხზავს 1993 წელს, იგი 111-ე გვერდზე გვამცნობს, რომ "სახალხო ფრონტი" და, ცხადია, მისი ლიდერი, "კომუნისტების მეხუთე კოლონაა". 120-ე გვერდზე იგი გვაუწყებს, რომ 1991 წლის 4 ოქტომბერს თბილისში, პარლამენტის შენობასა და სხვა სასიცოცხლო ობიექტებზე თავდასხმაში სხვა ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა "Народный Фронт" под предводительством Н. Натадзе"; გვ. 139-ზე პრეზიდენტყოფილი პირდაპირ ასახელებს ნ. ნათაძეს თ. სიგუასთან, თ. კიტოვანთან, გ. ხოშტარიასთან, აკ. ასათიანთან, ვ. ადამიასთან, თ. პაატაშვილთან ერთად, რომ მათ გააჩნდათ "Тесный контакт с Шеварднадзе в Москве и принимали прямое участие в заговоре против грузинских властей..."

აქ, ბ-ნი ნ. ნათაძე ძალაუნებურად აღმოჩნდა "მატყუარას" - ევბულიდე მილეთელის პარადოქსის "მსხვერპლი": თუკი იგი იტყვის, რომ ზ. გამსახურდია "მართალი კაცი" იყო, მაშინ, ზ. გამსახურდიას შეფასებით ნ. ნათაძე "არამართალია", ხოლო არამართალი მატყუარა ტყუის, რომ ზ. გამსახურდია

32. Hans Küng, Christ sein, München 2000.

"მართალია" და ა.შ. და ა.შ.

ცხადია, ყველაფერზე ასე ვერ ვიტყვით ნ. ნათაძის მისამართით. ორიენ ხელის აწევით ვეთანხმები მას, რომ გალის რაიონში საჭიროა პარტიზანთა გააქტიურება, რადგან სხვა მცველი ადგილობრივ მოსახლეობას იქ არ გააჩნია. ასევე, ცხინვალის რაიონში, სტრატეგიული სიმაღლეების დათმობის თაობაზე... მაგრამ ცოტა კომიკურია ნ. ნათაძის მტკიცება, რომ აი, ჟვანია რუსეთის აგენტია და რატომ ითმენს ამას სააკაშვილი?! ან: ჟვანია აგენტია და ასევეა კიდევ "უფრო ზევით, ზევით..."

არსებობს კიდევ ერთი ავტორი, რომლის აზრები ასევე მიუღებელია და მავნე. მე იგი განვებ ნათაძის მერე მოვიტოვე, რომ მას ეჭვი არ შეეტანა ჩემს "ნაცისტობასა" და "რასისტობაში". საუბარია ბ-ნ ოთარ სეფიაშვილზე, ჩვენში ცნობილ კინომცოდნეზე. დიახ, ბ-ნი სეფიაშვილი თურმე კარგა ხანია, რაც აშშ-ში ცხოვრობს და იქ გამომავალ ქართულენოვან ებრაულ გაზეთში გამოუქვეყნებია მელ გიბსონის ფილმის "ქრისტეს ვნებანის" გარჩევა, უფრო სწორად, ლანძღვა-გინება, რაც, ცხადია, მისი სრული უფლებაა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ რეჟისორის ლანძღვასთან ერთად იქ უხვადაა ანტიქრისტიანული გამოხდომები და კიდევ მეტი უბედურებაა, რომ, ისარგებლეს რა იმით, რომ საქართველო ყრუ პროვინციაა და პასუხის გამცემი არავინ ეყოლებოდათ, ეს მოზრდილი წერილი წელს "ლიტერატურულ საქართველოში" (16-22 ივლისი 2004 წ.) ვიხილეთ გამოქვეყნებული. სამწუხაროა, რომ ამ წერილს ძალზე თბილ შესავალს უკეთებს ჩვენი შესანიშნავი მთარგმნელი და პოეტი ჯემალ აჯიაშვილი.

ახლა თავად წერილის შესახებ. პირველ ყოვლისა, იმას აღვნიშნავ, რომ მე არ შევეხები ხსენებული ფილმის მხატვრულ ღირებულებას. უფრო მეტიც, ვაღიარებ, რომ ამ მხრივ იგი არ მომწონს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ "ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ". ბ-ნი სეფიაშვილი პირდაპირ გვახლის, რომ არსებობს "ცნობილი მეცნიერული ნაშრომები, რომლებიც პირუთვნელ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებენ ევანგელიკურ ცილისმწამებლური ვერსიის მითიურობას, მის არარეალურობას. და უნებურად ენაზე მადგება ერთი სწავლულის ირონიული სიტყვები: ბევრ ისტორიკოსს საერთოდ არ სჯერა ქრისტეს არსებობა, მაგრამ თითოეული მათგანი დარწმუნებულია, რომ იესო ჯვარს აცვეს ებრაელებმა".

ბ-ნი სეფიაშვილის გასაგონად ვიტყვი, რომ არსებობს იუდაიზმის საწინააღმდეგო, ან სულაც იუდოფობური ზღვა ლიტერატურა, მაგრამ როგორ უნდა წავხდე, რომ მათი გამოყენება ვიკადრო.[33] დავუჯერო როზანოვს, რომ ყველა ებრაელში ზის: распни, распни Его? უბრალოდ,

---

32. Hans Kung, Christ sein, Munchen 2000.

33. არათუ ეს, არამედ მკაცრად ვამხილე იუდოფობური გამოხტომები პრესაში და ხაზი გავუსვი, რომ არ არსებობს მსოფლიო მასონური ან "ციდმასონური" ხელისუფლება. "იხ. "ლიტ. საქართველო", 16-22 ივნისი, 2000 წ.

ზემომოტანილი ციტატის საპასუხოდ მას დავუსახელებ თეოლოგიური ლექსიკონის ცხრა მოზრდილ ტომს მარტოოდენ ახალი აღთქმისათვის, რომელიც გერმანიაში გამოიცემოდა თითქმის ორმოცი წლის მანძილზე და რომლის სრული ინგლისური თარგმანიც არსებობს.[34]

რაღაც ყრუ და ირაციონალური მიზანი ამოძრავებს ბ-ნ სეფიაშვილს, როდესაც იგი გვამცნობს, თუ "ებრაელთა საპროტესტო პიკეტების" შედეგად გიბსონმა როგორ ამოჭრა ფილმიდან სიტყვები: "ეს სისხლი ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იქნება", მაგრამ ახლა სეფიაშვილი იმაზე სწუხს - დარჩა თუ არ დარჩა ეს სიტყვები მისთვის გაუგებარ ენაში: "თუმცაღა, ჯერ კიდევ საკითხავია, ისმის თუ არა ეს სიტყვები ფილმის არამეულ ტექსტში?!" მაგრამ ეგ რაღად აინტერესებსო, იკითხავს მკითხველი და მართალიც იქნება. განა რამდენი სპეციალისტი არსებობს არამეულის მცოდნე? მილიონობით მაყურებელში, ვინც კი ეს ფილმი ნახა, განა რამდენმა უწყოდა ეს ენა? მაშასადამე, ბ-ნი სეფიაშვილს ის მცირერიცხოვანი არამეულის მცოდნენიც აწუხებს, რომ არამეულად არ ჩაესმათ მათ "ეს სისხლი ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იქნება". მართლაც, მართლაც რაღაც აუხსნელი წადილია ბ-ნი სეფიაშვილისა... ან ის რად ღირს, რომ თურმე იოანეს სახარება "ყველაზე ანტიებრაულია", რადგან იქ "ხალხი" დაკონკრეტებულია "იუდეველებად". მაგრამ, ბ-ნო ოთარ, თავად ევანგელისტები, მათ შორის იოანეც, ხომ ებრაელები იყვნენ ეროვნებით, ისე როგორც ყველა პირველი მიმდევარი ქრისტესი!.. ამით აბსურდამდე დადის სახარების "ანტისემიტიზმი".

ო. სეფიაშვილი არ ერიდება ყველა ქრისტიანისათვის შეურაცხმყოფელი სკორსეზეს ფილმის ქებას, ფილმისას, სადაც ნაჩვენებია ქრისტეს "ამქვეყნიური ცდუნება" - "ზმანება მარიამ მაგდალინელთან სამომავლო ცხოვრებისა, თუ თავად ჯვარცმას გადაურჩებოდა..." იგი ამ ფილმზე აცხადებს, რომ ფილმი "აკადემიურად გადმოსცემს სახარების ეპიზოდებს და, თავისი სულისკვეთებით, ტრადიციულად და კანონიკურადაც კი გამოიყურება". მაგრამ მალე თავდასხმა ხდება თავად "ეკლესიის მსახურებაზე": "მათ, პედოფილობაში უკვე არაერთგზის მხილებულთ, ამ ყოვლად საეჭვო ფილმზე ბილეთების მასობრივად გაყიდვით უნდათ, რომ დაიბრუნონ თავიანთი დაკარგული რეპუტაცია და მრევლი?!" ამ საზიზღრობის ყველა "ეკლესიის მსახურზე" გავრცელება, ვფიქრობ, უსინდისობაა. განა "სინაგოგის მსახური" ამ მხრივ ყველა უნაკლოა?! ჩემი აზრით, ბ-ნი სეფიაშვილი დეტერმინირებულია თავისი ქვეყნის ისტორიით. ცნობილია, უკვე მეორე საუკუნეში, "ერეტიკოსთა და ნაზარეველთა" დაწყევლა რაბინისტული ყოველდღიური ლოცვის მთავარ ლოცვაში ("Schmone, Esre") შევიდა.[35]

რაც შეეხება ბ-ნ ჯ. აჯიაშვილს, მას, როგორც ნიჭიერ პოეტს, შევახსენებდი გერმანულენოვანი დიდი ებრაელი მწერლის, უდიდესი პესიმიზმის

---

34. Theologisches Wörterbuch zum Neuen Testament, hrsg. von G. Kittel und G. Friedrich. Stuttgart 1933-1969.

35. Hans Küng, Christ sein, München 2000, s. 160.

გამომელენის, ფრანც კაფკას გამონათქვამს ქრისტეზე. "და ქრისტე? - კაფკამ თავი დაბარა - "ეს არის ნათლით აღსავსე უფსკრული. თვალები უნდა დახუჭო, რომ არ გადაიჩეხო."[36] არც ცნობილი თეოლოგის, კარლ ბართის სიტყვების მოყვანა იქნებოდა ურიგო: "მას, ვისაც სურს ახალი აღთქმის უწყების გაგება, უნდა მიიღოს იგი როგორც საკუთარი თავისადმი მიმართული და თვით, როგორც მისი განმმარტებელი, უნდა იქცეს მის მატარებლად... ამიტომაც, სახარებების გაგება შესაძლოა მხოლოდ მაშინ, თუკი ამ უწყებათა ცხოვრებაში მონაწილეობ. თავად მათი გაგება - ეს უკვე რწმენაა; თავად მათი განმარტება - უკვე ქადაგებაა... რა გულმოდგინებითაც არ უნდა შევისწავლოთ ახალი აღთქმა როგორც ისტორიული ან ფილოლოგიური ძეგლი, მისი გაგება წარმოადგენს ექსისტენციალურ აქტს. ეს არის ერთადერთი ფორმა, რომელშიაც შეიძლება განხორციელდეს ჭეშმარიტი გაგება ახალ აღთქმისეული ტექსტისა".[37]

რა განსაცდელი ელის საქართველოს

საბჭოთა იმპერიის დაშლამ და კომუნისტური იდეების კრახმა აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში და, განსაკუთრებით, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში იდეოლოგიური ვაკუუმი გამოიწვია. ის ქვეყნები, რომელთაც ევროპული პოლიტიკური ტრადიციები არ გააჩნდათ, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჯერ კიდევ 1989 წელს ფრენსის ფუკუიამა წერდა: "ქვეყანა, რომელსაც ყველაზე მეტი პოტენციალი გააჩნია ფაშიზმისა, საბჭოთა კავშირი გახლავთ. სლავიანოფილური ავტორები, რომლებიც წერენ ისეთი საბჭოთა ჟურნალებისთვის, როგორიც არიან "ნაშ სოვრემენნიკ" ან "მოლოდაია გვარდია", თავიანთ აზრებს გამოთქვამენ იმ ენაზე, რომელიც ევროპას არ სმენია უკვე მრავალი წელია და, რაც ყველაზე სამწუხაროა, იგი ყველაზე მახლობელია ნაციონალური უმრავლესობისათვის სსრკ-ში". ისე ყველაფერი კარგი აგისრულდეთ, როგორც ფუკუიამამ სწორედ იწინასწარმეტყველა. სულ ახლახან ბეჟზინსკიმ პუტინი მუსოლინის შეადარა, ხოლო ჰენრი კისინჯერმა თავის წიგნში "სჭირდება თუ არა ამერიკას საგარეო პოლიტიკა?", რომელიც ნიუიორკში გამოიცა 2001 წელს, ცნობილ ტერაქტამდე, პუტინი დაახასიათა როგორც ჩეკისტი და ნაციონალისტი, რომელიც რუსული ტრადიციის თანახმად მეზობელ სახელმწიფოებზე ზეგავლენას ახორციელებს. საგანგებოდ აღნიშნავს იგი "ულმობელ ზეწოლას საქართველოზე", როგორც ეკონომიკურს, ასევე სამხედრო-პოლიტიკურს, რაც გამოიხატება "ანტისამთავრობო ჯგუფებისადმი მხარდაჭერით".

---

36. G. Janouch, Gespräche mit Kafka. Aufzeichnungen und Erinnerungen. Frankfurt - Hamburg 1961, s. 111.

37. K. Barth. Rudolf Bultmann: Ein Versuch ihn zu verstehen. Christus und Adam nach Rom. 5. Zwei Theologische Studien. Zürich 1952.

როგორც ვხედავთ, ვეებერთელა განსაცდელი ელოდება საქართველოს რუსეთის ფაშიზაციის გაღრმავებით. დარწმუნებული ვარ, პუტინი ხელს მოაწერდა (და არა მარტო პუტინი!) თავისი ქვეყნის "საკეთილდღეოდ" მუსოლინის მიერ ფაშიზმის განსაზღვრებას, როგორც "ორგანიზებულ, კონცენტრირებულ, ავტორიტარულ დემოკრატიას ნაციონალურ საფუძველზე".[38]

მაგრამ არა მარტო ასეთი ზესახელმწიფო ეფლობა თანდათანობით დამღუპველ ჭაობში, არამედ თვით მცირე ქვეყნები და თვით ჯუჯა წარმონაქმნები, რომლის ერთ-ერთ მაგალითად ე.წ. "სამხრეთ ოსეთს" დავასახელებთ. "ნეზავისიმაია გაზეტას" დამატებაში - "რელიგიები" (06.16.2004) გამოქვეყნდა საქართველოსადმი არცთუ მეგობრულად განწყობილი ავტორის სტატია, რომელიც "ნაციონალისტური იდეოლოგიის" საშიშროებას ეხება "სამხრეთ ოსეთში". იგი წერს: "კარგად არის ცნობილი, რომ ოსთა - როგორც ჩრდილოელთა, ასევე სამხრეთელთა ქრისტიანიზაციის ხარისხი დიდი არ არის". შემდეგ: "არ გააჩნია რა სიღრმისეული ფესვები, მართლმადიდებლობა დროთა განმავლობაში რესპუბლიკაში შეიძლება დაქანდეს არა მხოლოდ აშკარა ფუნდამენტალისტურ პოზიციებზე, არამედ იქცეს ერთ-ერთ საფუძვლად ახალი - ნაციონალისტური იდეოლოგიის ფორმირებისათვის, რომელიც სახიფათოდ ახლოსაა ფაშიზმთან."

აი, სწორედ ასეთ ნაგაზებს გვისევს რუსეთი აფხაზეთისა და "სამხრეთელი" ოსების სახით. სწორედ ამას ადასტურებს იმავე "ნეზავისიმაიაში" (011.15.2004) რუსი პოლიტოლოგი ვ. ბონდარევი, რომელიც წერს: "მოსკოვის პოზიცია, რომელიც მხარს უჭერს სეპარატრიზმს საქართველოში, ყოველთვის გახლდათ ფუნდამენტალურად ანტიქართული".

ყოველივე ზემოხსენებული საქართველოსათვის წარმოადგენს მუქარას გარედან, ანუ, ეს არის უცხო ძალთა მიერ მოვლინებული განსაცდელი. რაც შეეხება განსაცდელს "შიგნიდან", მას შემდეგ, რაც საქართველომ კურსი აიღო კომუნისტური იდეოლოგიის დაძლევისაკენ, შემაშფოთებელ აჩრდილად დასდევს მას საშიშროება ფაშიზმისა. ისევე, როგორც თავის დროზე ზ. გამსახურდიას რეჟიმს ვუწოდე "პროვინციული ფაშიზმი", ასევე საგანგაშო ნიშნების მატარებელია ე.წ. "ნაციონალური მოძრაობა". რაც შეეხება შევარდნაძის რეჟიმს, თავისი უპრინციპო, კორუფციული და ხრწნადი ხასიათის გამო, იგი გახდა განმაპირობებელი სწორედ ასეთი "ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმის დამკვიდრებისა. ფაშიზმის ერთ-ერთი განმარტება, რომელსაც იძლევა გერმანელი ავტორი ერნსტ ნოლტე, რომელიც აღიარებული მკვლევარია მისი იდეოლოგიისა და ისტორიისა, ასეთი გახლავთ:

---

38. მუსოლინის ეს ციტატა აღებული მაქვს თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსის ერნსტ ნოლტეს წიგნიდან "ფაშიზმი თავის ეპოქაში". რაც შეეხება ფაშიზმის ფართო განსაზღვრებებს მუსოლინის, ჰიტლერის, როზენბერგის თხზულებათა ციტატებიდან მოყოლებული უმბერტო ეკოს ჩათვლით და ასევე ნაცის განსაზღვრებებს რენანის, ჰობსბაუმისა და სხვათა მიერ, იხ. ჩემი წერილები "ლიტ. საქართველო" 7-13 ივლისი; 14-20 ივლისი 2000 წ. ასევე ჟურნ. "რელიგია" (№7-9, 2001 წ.): "ქრისტიანობა და საქართველო საუკუნის გადმოსახედიდან". იხ. ასევე ჩემი წიგნი "პროზა-რელიგია. კრიტიკა"; თბილისი 2001 წ.

"ფაშიზმი წარმოადგენს ანტიმარქსიზმს, რომელიც ისწრაფვის გაანადგუროს მოწინააღმდეგე რადიკალურად განსხვავებული და მაინც მსგავსი იდეოლოგიის გამომუშავების მეშვეობით და თითქმის იგივეობრივი, მაგრამ დამახასიათებლად სახეცვლილი მეთოდების გზით, რომელნიც ყოველთვის მოქმედებენ ნაციონალური თვითგამორკვევისა და ავტონომიის ჩაკეტილ ჩარჩოებში".

როდესაც ვსაუბრობდით საქართველოსთვის ისლამის საშიშროებაზე, უნდა გვახსოვდეს, საყოველთაო განსაცდელის მხრივ იგი ძალზე ემსგავსება ფაშიზმს. ცნობილი შარლ მორასი, ფრანგი ნაციონალისტი, გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმს "ჩრდილოეთის ისლამს" უწოდებდა. ხოლო ჰიტლერი თავად ოცნებობდა გერმანიისათვის ისეთი "იდეოლოგიის" მოპოვებას, როგორიც ისლამია. ამავე დროს, ძალზე დამახასიათებელია, რადგან საქართველოს მეზობლებიც პროფაშისტური ტენდენციების მატარებელნი არიან, რომ "საზღვრების საკითხის მოგვარების დროს არანაირად არ ვლინდებოდა ინტერნაციონალური ფაშისტური სოლიდარობა. ეს მეგობრები იმავდროულად წარმომადგენელნი იყვნენ მტრული ნაციონალიზმისა და ამის გამო ურთიერთ მიმართ უბოროტეს მტრებად გეველინებოდნენ."[39]

მაგრამ რა დროს გადადის ნაციონალიზმი ფაშიზმში? ეს მით უფრო საგულისხმო შეკითხვაა, ვინაიდან როგორც ერნსტ ნოლტე გვამცნობს,[40] "მარქსიზმისაგან განსხვავებით, ფაშიზმი არ განვითარდა უშუალო კავშირში ფილოსოფიურ აზროვნებასთან; იგი თავის საწყისებში გაგებულ იქნა, როგორც სავსებით არათეორიული პოლიტიკური დაჯგუფება გარკვეული ემპირიული მიზნის მისაღწევად (მაგალითად, იტალიაში სოციალისტური რევოლუციის მცდელობის ჩასახშობად). თავდაპირველად ასეთივე იყო მუსოლინის შეხედულებაც, რომელმაც მთავარ პრინციპად ქმედების უპირატესობა მიიჩნია".

"ვარდების რევოლუციის" დასაწყისში ტელევიზორის მაყურებელს ალბათ კარგად დაამახსოვრდა გადმოცემა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიანი დარბაზიდან, როდესაც მიკროფონთან მდგარმა ელდარ შენგელაიამ მრისხანე სახით რიხიანად განაცხადა: ვინც წინ დაგვიდგება, გადავუვლით და გავსრესთო... ასეთი ძალმომრეობითი მუქარა აშკარად ფაშისტურია, ხოლო თავად ამის ხილვამ რობერტ მუზილის ერთი პატარა მოთხრობა გამახსენა, რომლის გმირი, პატარა კაცუნა, დამცირებული და ორიენტაციადაკარგული ობივატელი ინდივიდუალური სუსტი "მე"-ს საკომპენსაციოდ ცდილობს ძლიერ "ჩვენთან" იდენტიფიცირებას. ამ კაცუნას, მოთხრობის მიხედვით, ერთი სიამოვნება დარჩა: იგი თავს აფარებს ავტობუსს და იმისი ხილვით ტკბება, თუ ხალხი მას (სინამდვილეში ავტობუსს) როგორ ერიდება და გზას უთმობს.

---

39. Ernst Nolte. Der Faschismus in seiner Epoche, München 1963.
40. Historisches Wörterbuch der Philosophie. Bd. 2. Stuttgart 1071 - "Faschismus".

ასეთი "ავტობუსი" დღეს "თავისუფლების ინსტიტუტია", რომლის თავკაცმა ლ. რამიშვილმა ინგა გრიგოლიასთან საუბრის დროს, თვალების ცეცებით, ასეთი რამ განაცხადა: "ზვიად გამსახურდიას თავის დროზე კომუნისტები რომ დაეპატიმრებინა, მას ასე არ დაამხობდნენ".

აქ ორი რამ იკვეთება. პირველი: ლ. რამიშვილს ჰგონია, რომ გამსახურდია კომუნისტებმა დაამხეს და არა დემოკრატიულმა ძალებმა, რომელთაც ვერ იგუეს ავტორიტარიზმი. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ მარტო კიტოვანი თავისი ორასი გვარდიელით ამას ვერ იზამდა. ასე რომ, კომუნისტებმა კი არ დაამხეს, არამედ ხელისუფლებაში მოიყვანეს ზ. გამსახურდია. მეორე: თვით ეს სურვილი კომუნისტების დაპატიმრებისა რაღაც დისონანსშია "თავისუფლების ინსტიტუტის" იდეალებთან და აშკარად პროვინციული სუნი ასდის. ამავე დროს იზრდება საშიშროება ე.წ. "ქრისტიანული ნაციონალიზმისა".

ჯერ კიდევ ელიოტი ავრცელებდა მოწოდებას, რომ "ქრისტიანობა კი არ უნდა იქნეს ნაციონალიზმის დონემდე დაყვანილი", არამედ, პირიქით - "ნაციონალიზმი უნდა ავამაღლოთ ქრისტიანობის დონეზე". შემდეგ იგი აგრძელებს: "მანკი ნაციონალისტური ქრისტიანობისა წარსულში შერბილებული იყო ნაციონალური თვითშეგნების სისუსტით და ძლიერი ქრისტიანული ტრადიციით... დღეს არავის ძალუძს, დაიცვას ნაციონალური ეკლესიის იდეა, თუ არ შეუფარდებს მას მსოფლიო ეკლესიის იდეას და არ ემახსოვრება, რომ ჭეშმარიტება ერთია და რელიგიას არა აქვს საზღვარი".

მაგრამ ტრაგიკომიკური ის სიტუაცია გახლავთ, რომ მიუხედავად ფაშიზმის ამ საშიშროებისა, დაწყებული გამსახურდიას რეჟიმიდან მოყოლებული და საკაშვილით დამთავრებული, ჩვენს პარლამენტში ამყად დააბიჯებენ არა მხოლოდ "ყოფილი" კომუნისტები, არამედ "ყოფილი" ჩეკისტებიც და "კგბ"-ს აქტიური ინფორმატორები. ამის თაობაზე გარკვეული "ჭიდაობის" მერე მანც მოვახერხე წერილის დაბეჭდვა "საქართველოს რესპუბლიკაში" (იხ. 2001 წლის ივნისის ნომრები, სადაც გაგრძელებებით იბეჭდებოდა ჩემი წერილები).

ახლა კიდევ ერთი "ხიფათის" შესახებ, რომელსაც ჯორჯ სოროსი ჰქვია. მისი ფონდი, რამდენადაც ვიცი, ქველმოქმედებას ეწევა და მეცნიერებასაც ეხმარება, მაგრამ ინტერნეტს თუ მივმართავთ, იქ აღმოვაჩენთ, რომ კონსერვატორი კომენტატორი არმსტრონგ უილიამსი, რომელიც ამერიკაში ქრისტიანულ ფასეულობებთან მიმართებით დიდ ავტორიტეტად ითვლება, მიიჩნევს, რომ სოროსს სურს ყველა იმ ფასეულობის დანგრევა, რომელზეც შეერთებული შტატებია დაფუძნებული. უილიამსი სოროსს "მორალურ ბანკროტს" უწოდებს და მოუწოდებს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტს, გამოიძიოს სოროსის მიერ გაწეული ფინანსური შეწირულობები.

"მას ეზიზღება ღმერთი და მისი ბიბლიური პრინციპები. მას სძულს ყოველივე, რაც სიკეთესთანაა დაკავშირებული... იგი მიესალმება ერთი სქე-

---

32. Hans Kung, Christ sein, Munchen 2000.

33. არათუ ეს, არამედ მკაცრად ვამხილე თუდოფობური გამონტომები პრესაში და ხაზი გავუსვი, რომ არ არსებობს მსოფლიო მასონური ან "ციონისტური" ხელისუფლება. "იხ. "ლიტ. საქართველო", 16-22 თვისა, 2000 წ.

სის წარმომადგენლებს შორის ქორწინებას ჩვენს ქვეყანაში. იგი თავს ესხმის ეკლესიას და ყველა იმ ინსტიტუტს, რომლებიც მოწოდებულია შეგვინარჩუნოს და შეგვახსენოს მორალის სტანდარტები და მორალის პრინციპები" - ამბობს უილიამსი.

სხვა კონსერვატორებიც მკვეთრ განცხადებებს აკეთებენ. ლუი პ. შელდონი, "ტრადიციულ ფასეულობათა კოალიციის" ხელმძღვანელი, ამბობს, რომ სოროსისთანა ხალხს ამერიკელები არ უნდა ენდონ.

"არავინ იცის, რა დემონები მართავენ სოროსს, რომელიც ანტისაოჯახო პროგრამებზე მუშაობს", - ამბობს რობერტ ჰ. ნაითი, "ამერიკის კონსერვატორ ქალთა", "კულტურისა და ოჯახის ინსტიტუტის" დირექტორი - "იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას სურს მთელი მსოფლიოს თავდაყირა დაყენება და მორალის ამორალურობით შეცვლა".

ამას უნდა დავუმატოთ, რომ სოროსი გააფთრებით იბრძოდა ბუშის (უმცროსის) წინააღმდეგ, რომ იგი პრეზიდენტი არ გამხდარიყო. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ბუშის სახით ამერიკამ ხმა მისცა, როგორც გაზეთები გვამცნობდნენ, "კონსერვატიზმს და რელიგიურ ღირებულებებს".

ყოველ შემთხვევაში, თუკი სოროსს თავად ამერიკაში ასეთ უნდობლობას უცხადებენ ქრისტიანები, ჩვენ მით უფრო დიდი სიფხიზლე გვმართებს, რომ ჯანდაბასა და ჯოჯოხეთში არ გადაგვჩეხოს "დანაელთა ძღვენმა".

ბოლოთქმა

გასული საუკუნის ოციანი წლების ბოლოს ცნობილმა პალეონტოლოგმა და ბუნების ფილოსოფოსმა ედგარ დაკემ თავისი წიგნის "ბუნება და სული" წინასიტყვაობაში ასეთი რამ დაწერა: "რაც რომანტიზმის აზრთა წყობას ჩვენი მომავალი და ამჟამინდელი სულიერი წყობისაგან განასხვავებს, არის ის, რომ რომანტიკოსისათვის ბუნება წარმოადგენდა დიდ ჰარმონიას და მასთან ურთიერთობა მასში ესთეტიკურ კმაყოფილებას იწვევდა. ჩვენ ბუნების სახით კლავ საშინელი და დემონური გვეცხადება: კმაყოფილება გაქრა და უკვე საკუთარი ადამიანური სიდიადითაც აღარ ვართ აღფრთოვანებულნი, რადგან საკუთარ ადამიანურ ბუნებას კლავ და კლავ კატასტროფისაკენ მივყავართ. და რადგანაც ჩვენ სხვანი ვართ, ბუნებაშიც ვხედავთ უკვე არა დამამშვიდებელ ჰარმონიას, არამედ მის უფსკრულებს, რომლის წინაშეც შიშითა და ძრწოლვით ვდგავართ".

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს ათონის მთის ბერულ სენაკში ასე ხედავდა ამ პრობლემას სათნო ბერი, პაისი მთაწმინდელი: "მცირე სიკეთე დიდ ბოროტებაში იძირება და ხელისუფლება ბოროტებას უპყრია... ღმერთი ამჟამინდელ სამყაროს ორივე ხელით იფარავს - მაშინ როცა წარსულ დროებში - მხოლოდ ერთით".

ღმერთმა ინებოს, რომ კაცობრიობასთან ერთად საქართველოც გადარჩენილიყოს.

უნებლიე შეცდომა თუ - შეგნებული გაყალბება?

ეს კითხვა გამოიწვია ი. ჩხარტიშვილის წერილმა - "გაზეთ "დროების" პუბლიცისტთა ანტირელიგიური შეხედულებები" (იხ. კრებული - რელიგიისა და ათეიზმის ისტორიიდან საქართველოში, თბილისი 1988. რედაქტორი - გ. ჩხაიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; რეცენზენტები: ლ. ბურჯანაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; თ. მენაბდიშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი).

როდესაც "ანტირელიგიურ შეხედულებებზე ვსაუბრობთ", ჩვენ თვითონ ნათლად უნდა გვესმოდეს, რა არის რელიგია. ამის ნათელსაყოფად, რამდენადაც ერთი საგაზეთო წერილი აიტანს, თავს ნებას მივცემთ ძალზე მოკლედ განვმარტოთ რელიგიის არსი: რელიგიის არსის განსაზღვრებათაგან ჩვენი მიზნისთვის, პირველ ყოვლისა, უმჯობესია ამოვიდეთ თვით ლათინური სიტყვა religio-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან. ეს არსებითი სახელი ჯერ კიდევ ციცერონმა დაუკავშირა ზმნა religere-ს, რაც ნიშნავს - "რაიმეს კვლავ და კვლავ ზედმიწევნით დაცვა, შესრულება". იგი უპირისპირდება სიტყვა negligere-ს, რომელიც შემდეგი მნიშვნელობისაა: უგულებელყოფა, აბუჩად აგდება, დაუდევრობა.

ამგვარად, ამ შეხედულებით, სიტყვა religere განმარტავს რელიგიის არსს, როგორც გარკვეული წესების დაცვას, მათს გამუდმებით და ზედმიწევნით შესრულებას, კერძოდ, ლოცვასა და მსხვერპლშეწირვას ღვთაებათა გულის მოსაგებად.

მაგრამ უკვე ადრეულმა ქრისტიანმა, ეკლესიის მამა ლაკტანციუსმა, რელიგია განმარტა სიტყვიდან religare რაც ნიშნავს მიბმას, შეკვრას, დაკავშირებას. "რელიგია, - თქვა მან - არის ღმერთთან დაკავშირება ღვთისმოსაობის ჯაჭვით". აქ უკვე ცნაურდება ადამიანის შინაგანი სამყაროს მიმართება აბსოლუტისადმი. ამგვარად, ციცერონის ზემოხსენებულ განსაზღვრებასთან ერთად ლაკტანციუსის ეს განსაზღვრება რელიგიას ანიჭებს ორმაგ ხასიათს - ობიექტურსა და სუბიექტურს.

იმანუელ კანტი რელიგიას მიიჩნევს "ჩვენს ვალდებულებათა გრძნობად იმდენად, რამდენადაც ისინი ეფუძნებიან ღვთაებრივ მცნებებს!"

შლაიერმახერი რელიგიას მთლიანად გრძნობაზე აფუძნებს - "რელიგია არის აბსოლუტური გრძნობა ჩვენი უნივერსუმზე დამოკიდებულებისა".

ჰეგელისათვის რელიგია არის აბსოლუტური სულის თვითცნობიერება ანუ ღვთაებრივი სულის ცოდნა თავისი თავის შესახებ სასრული ადამიანის სულის მეშვეობით.

ათეისტი ლუდვიგ ფოიერბახი რელიგიას მიიჩნევს იმ "ლტოლვად", რომელიც ვლინდება ლოცვის, მსხვერპლშეწირვისა და რწმენის მეშვეობით.

თანამედროვე რელიგიის მკვლევარებს იგი მიაჩნიათ "განცდით შეხედვად წმინდასთან და პასუხის მიმცემ მოქმედებად წმინდასაგან განსაზღვრული ადამიანისა" (გ. მენშინგი). "რელიგია არ არის ფილოსოფია, არც

მსოფლმხედველობა, არც თეოლოგია, არამედ იგი არის წმინდასთან ურთიერთობა" (ფრიდრიხ ჰაილერი).

ზემოხსენებული განსაზღვრებები რელიგიისა საიდუმლოს არ წარმოადგენს. ისინი შეიძლება ვპოვოთ ყველა სოლიდურ ენციკლოპედიასა თუ ცნობარში. კიდევ უფრო ხელმისაწვდომია 1988 წელს მოსკოვში გამოცემული "ფილოსოფიის ენციკლოპედიური ლექსიკონი", სადაც რელიგიაზე შემდეგს ვკითხულობთ: "რელიგია (ლათ. religio-დან ღვთისმოსაობა, წმიდათაწმიდა, კულტის საგანი) მსოფლმხედველობა და მსოფლშეგრძნება, აგრეთვე შესაბამისი ქცევა და სპეციფიკ. მოქმედება (კულტი), რომლებიც ეფუძნებიან ღმერთთა (ერთის ან რამდენიმეს) არსებობის რწმენას, "წმინდას", ე.ი. ზებუნებრივის ამა თუ იმ სახესხვაობას".

ახლა ვიკითხოთ: არის თუ არა რელიგია და მისი წეს-ჩვეულება, "როდესაც ურდო ხალხი, რომელიც ჭირისუფლის სახლში თავს იყრის, თვრება, უზომოდ ქეიფობს, ჩხუბობს და ხშირად ნაღვინევი, ლეკურ-ხანჯლით დაერევა ერთმანეთს. ნამდვილი მწუხარება ქეიფითა და ღვინის სმით არ გამოცხადდება". გაზეთ "დროების" რედაქტორის სერგეი მესხის ეს გამოთქმა ზემოხსენებული წერილის ავტორს ი. ჩხარტიშვილს "ანტირელიგიურ შეხედულებად" მიაჩნია. მართალია, უკვე ძველი რომაელები ლაპარაკობდნენ "ფიცის რელიგიაზე" (religio juris jurandi), ხოლო ფრანგები ლაპარაკობენ სამშობლოს, ოჯახისა და ღირსების რელიგიაზე (la religion de la patrie, de la familee, de le honneur), მაგრამ "ნაღვინევი, ლეკურ-ხანჯლით ერთმანეთზე დარევის" რელიგია კი ჯერ არა გვსმენია. მით უმეტეს, ცხონებული სერგეი მესხი ზემოთ მოყვანილ წინადადებას ასე იწყებს: "არა გვგონია, რომ ან ღვთისა (ხაზგასმა ჩვენია, - ვ.რ.) ან კაცისათვის სასიამოვნო იყოს, როდესაც...", ე.ი. ს. მესხი ზემონახსენებ უმსგავსობათა მიმართ ღვთის ნებასაც არ ივიწყებს, რაც "ანტირელიგიურ შეხედულებად" ვერა და ვერ ჩაითვლება.

სიტყვა რომ აღარ გავაგრძელოთ, ი. ჩხარტიშვილის წერილი სავსეა ქართველ პუბლიცისტთა მსგავსი გამონათქვამებით, რომლებიც წერილის ავტორს "ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებთან" ბრძოლად მიაჩნია.

ამავე დროს, მკითხველისათვის თავგზის აბნევაა, რომ ასეთი სათაურის შემდეგ - "გაზეთ "დროების" პუბლიცისტთა ანტირელიგიური შეხედულებები" - ი. ჩხარტიშვილი ჩამოთვლის იმათ, ვინც გაზეთში "აქტიურად თანამშრომლობდნენ": ი. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, ი. გოგებაშვილს და სხვებს, და ამ დროს ავიწყდება ან არ იცის, რომ ჩვენი სიტყვის კორიფეები ღრმად იყვნენ გამსჭვალულნი ქრისტიანული რელიგიით. გარდა ამისა, ავტორი, როგორც ჩანს, არ ერიდება არც შეგნებულ გაყალბებას. ჩვენ დავინტერესდით მის მიერ მოყვანილი რამდენიმე ციტატით გაზეთ "დროებიდან" და შევამოწმეთ ისინი. კერძოდ, ი. ჩხარტიშვილი გვამცნობს, რომ მამია გურიელმა გაილაშქრა მიცვალებულებზე "ძველებური ტირილის" წინააღმდეგ და ეს ფაქტი "ანტირელიგიურ შეხედულებად" მიაჩნია. მას მოჰყავს ციტატა მამია გურიელის წერილიდან: "ეს არის პირველი მაგალითი გურიაში ძველებური ტირილის თავის განებებისა, რის მოსპობისაც ბევრი მსურველია,

განსაკუთრებით ახალი თაობა, რომელსაც მხოლოდ სიმართლით ეკუთვნის განაგებდეს მსოფლიო საქმეებს. ღმერთმა ინებოს ამ ჩინებულ მაგალითს თავად იასე გურიელისა სხვებმაც მიბაძონ".

მაგრამ ი. ჩხარტიშვილმა მკითხველს დაუმალა, სინამდვილეში რა არ მოსწონს მამია გურიელს "ძველებურ ტირილში" და რისი მომხრეა იგი. ამისათვის მოვიყვანოთ უფრო ფართო ამონაწერი მამია გურიელის წერილიდან, რომელიც წინ უსწრებს ზემოთ მოყვანილ ციტატას. ტირილი მე არ ვიცი, - ამბობს მამია გურიელი, და ამიტომ - "ვწყევლიდი ევროპელებს, რატომ ერთი სისტემა არ გამოიგონეს ამაზედაც, რომ შემესწავლა და მეც ჩვენებივით, ტურების მსგავსად დამეჭყავლა ყოველს კუბოზედ... მაგრამ სასიამოვნოდ ჩემდა, მე ვჰპოვე ჩემი ნათესავი კაცისას სულ სხვანაირი წესიერება. აქ იყო ევროპიული გამოსვენება მიცვალებულის გვამის და არა ჩვეულებრივი თმის წეწვა და ღრიალი... 19 აგვისტოს, თორმეტ საათზე შუადღისა, ოზურგეთის ქალაქის ეკლესიიდამ გამოიტანეს კუბო, რომელსაც წინ მიუძღოდნენ ორი ეპისკოპოსი (იმერეთის და გურიის) თავიანთის კრებულებით". აი, წინ ეს უძღვის ი. ჩხარტიშვილის მიერ მოყვანილ ციტატას და, როგორც ვხედავთ, არავითარ - "ანტირელიგიურ შეხედულებაზე" აქ არ შეიძლება ლაპარაკი. უბრალოდ, მამია გურიელს არ მოსწონს "ტურებივით დაჭყავლება კუბოზე" და მომხრეა მიცვალებულის "ევროპიულად" გამოსვენებისა ეკლესიიდან - წყნარად, თავშეკავებული გლოვით, რაც ხაზგასმულად ქრისტიანულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ჭირისუფალს სწამს საიქიო ცხოვრებისა და გარდაცვალებულის სულთან კვლავ შეხვედრისა.

სხვა ადგილას ი. ჩხარტიშვილს ერთი რელიგიის პოზიციიდან ბრძოლა მეორის წინააღმდეგ, ზოგადად რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლად მიაჩნია. იგი წერს: "სკოლების გახსნის აუცილებლობას შეეხება "დროებაში" "თავისუფალი სვანის" ფსევდონიმით დაბეჭდილი ბესარიონ ნიჟარაძის წერილი "ხმა სვანეთიდან", რომლის ავტორიც ხალხში ცოდნის შეტანას და სკოლების გახსნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიური წეს-ჩვეულებების დაძლევის საქმეში".

ამის შემდეგ მას მოჰყავს ციტატა დასახელებული წერილიდან: "ეს უბედურება არ მოისპობა სვანეთში იმ დრომდე, ვიდრე ადგილობრივი სკოლები არ გაიხსნება, რომლებშიც სვანეთის ბავშვებს შეეძლებათ მცირეოდენი განათლების მიღება მაინც". მაგრამ ი. ჩხარტიშვილს არ მოჰყავს ის ნაწილი ბ. ნიჟარაძის წერილიდან, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის ზემოთ მოყვანილ ციტატას. აი ისიც: "უბედურება ის არის, რომ ყოველ წელიწადს მსხვერპლების და ზვარაკების გადასახადი კისრად აწევს ხალხს და ბევრჯერ ცუდი წელიწადიც არ შორდება". მაშასადამე, ბ. ნიჟარაძე ებრძვის არა ზოგადად რელიგიას, არამედ წარმართულ რელიგიას, რაც გამოიხატება ბუნების სტიქიების გაღმერთებასა და მათდამი მსხვერპლშეწირვაში, ეს კი აშკარად ეწინააღმდეგება ქრისტიანობას. ი. ჩხარტიშვილი ოდნავ მაინც რომ დაინტერესებულიყო ბ. ნიჟარაძის ბიოგრაფიით (იხ. ბესარიონ ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები II, თბ. 1964; გვ. 207), იგი იქ

ამოიკითხავდა, რომ ბესარიონ ნიჟარაძე მღვდელი გახლდათ და ასეთად დაასრულა მან ამქვეყნიური ცხოვრება.

ი. ჩხარტიშვილისათვის ასევე უცნობია ალბათ, რომ გასულ საუკუნეში, სწორედ იმ დროს, როდესაც გაზეთი "დროება" გამოდიოდა, მაგალითად, ქართველ მწერალთა და მოღვაწეთაგან დიდად დაფასებული და დიდად განათლებული გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, რომელიც გაზეთ "დროებაში" ასევე "აქტიურად თანამშრომლობდა", დიდ ბრძოლას უცხადებდა ხალხში გავრცელებულ ყოველგვარ ცრურწმენასა და წარმართობას, რაც, ცხადია, მის "ანტირელიგიურ" მოღვაწეობაზე სულაც არ მიანიშნებს. აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ მის ბიოგრაფიაში (იხ. მღ. მელიტონ სპ. კელენჯერიძე, გაბრიელი - ეპისკოპოსი იმერეთისა, ტ. I ჭუთაისი, 1913, გვ. 114): "ცრუმორწმუნეობაც ისე ფეხმოდგმული იყო ხალხში, რომ მედგარ ბრძოლას ითხოვდა. გაბრიელიც თავგამოდებით შეებრძოლა ამ საშინელ სენს. მთლად გავსილია მისი ქადაგებანი ამ საგანზე საუბრით და მოძღვრობით. სოფ. კორბოულში გლეხებს 1865 წელს ვიღაც დედაკაცი დაედაღათ, კუდიანიაო და მიტომ. დადაღვის იარაღად ადგილობრივ მღვდელს ეკლესიის გასაღები ეთხოვებინა და გახურებული გასაღებით დაედაღათ, უფრო გადენის კუდიანსო! შეიტყო ეს ახალმა მღვდელმთავარმა და რა გუნებაზე დადგებოდა, ცხადია და ადვილი წარმოსადგენია. ამ მღვდლის აღარაფერი სწამდა ამის შემდეგ.

ლეჩხუმში მგზავრობის დროს გაიგო, რომ ხალხში აბრეშუმის ჭიის ეშინოდათ და აბრეშუმი არ მოჰყავდათ. ჭია რომ შემოვიყვანოთ, სეტყვა და მეხი ამოგვაგდებსო. ქადაგებით შეარყია გაბრიელმა ეს ცრუმორწმუნეობა, მაგრამ სრულიად დასაძლევად ასეთი ზომა იხმარა: მოაყვანინა აბრეშუმის ჭია და საქმით დაუმტკიცა ხალხს, რომ მისი შიში უადგილოა, რადგან ჭიის მოყვანას არც სეტყვა მოჰყვა და არც მეწყერი.

სოფ. ჩხერეთუბანში ეკლესიის კურთხევაზე "თაროს ანგელოზებზე" და "ბატონებზე" იქადაგა. ხალხს უთხრა ეშმაკებს ლოცვილობთ და ღმერთს არაო. წამოდგა ერთი აზნაური და მოახსენა: "ბატონო, ეს ანგელოზები და ბატონები მართალია, მე თვითონ გამოვცადეო, ავადმყოფს რომ შევულოცე, მოვარჩინეო". გაბრიელმა თავხედი და უვიცი აზნაური კარში გააგდებინა".

გაზეთ "დროებაში" შეიძლება წავაწყდეთ ზოგიერთი გადაგვარებული მღვდლის კრიტიკასა და გაკირდვასაც, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს "ანტირელიგიურ" ბრძოლას, ისევე, როგორც უღირსი და უპატიოსნო ექიმის "პატიმრობაში აყვანა" არ წარმოადგენს მედიცინის წინააღმდეგ ბრძოლას.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ი. ჩხარტიშვილი ვერც მეცნიერულ აპარატს ფლობს, კერძოდ, სქოლიოში წყაროები არევ-დარევით და ყალბადაა მითითებული. მაგალითად: ბ. ნიჟარაძის წერილზე მითითებულია - გაზ. "დროება", 1874 წ., №21. უნდა იყოს: 1884 წ. №204206; ა. მოჩხუბარიძის (ა. ყაზბეგი) წერილზე მითითებულია - 1880 წ. №74, რაც საერთოდ ვერ მოვიძიეთ და სხვა.

გაზ. "თბილისი", 10 თებერვალი, 1989 წ.

ჩრდილოვანი მხარე სოლჟენიცინისა

ვინ არ იცნობს დღეს სახელგანთქმულ მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს ალექსანდრე სოლჟენიცინს? ან მის შეუპოვრობას ტოტალიტარული რეჟიმის წინაშე, რისთვისაც ციხე-ბანაკები არ დაჰკლებია და, ბოლოს, სამშობლოდანაც კი გააძევეს. სხვა რუსი მწერლებისაგან განსხვავებით, რომლებიც სიამოვნებით ლანძღავენ მხოლოდ სტალინსა და სტალინიზმს, სოლჟენიცინს უკან არ დაუხევია ლენინისა და ლენინიზმის მხილებისაგან. მარტო ის რად ღირს, რომ თავისი "არქიპელაგ გულაგის" პირველ ტომში იგი არ მოერიდა ლენინის ხულიგნური წერილის გამოქვეყნებას მაქსიმ გორკისადმი, როდესაც ამ უკანასკნელმა შეჰბედა ბელადს და სთხოვა, რომ "არ შეიძლება ინტელიგენციის განადგურება, ინტელიგენცია ტვინია ხალხისა", რაზედაც ლენინმა უპასუხა: "ინტელიგენცია ხალხის ტვინი კი არ არის, არამედ Говно!" (მომიტევოს მკითხველმა, ამ ბოლო სიტყვას ქართულად არ ვთარგმნი).

დიახ, ყველა ეს თვისება თავისუფლებისავის მებრძოლისა სოლჟენიცინს გააჩნია და, აგრეთვე, ისიც, რასაც სხვა რუსი მწერლები ვერა და ვერ ამოღერლავენ - მიენიჭოს "საბჭოეთში" შემავალ რესპუბლიკებს თავისუფლება! ასეთ მოთხოვნას პირდაპირ აყენებს ა. სოლჟენიცინი თავისი "არქიპელაგის" მესამე ტომში და დასძენს, რომ ჩვენ, რუსები, არათუ რესპუბლიკებს, არამედ ყირიმის პლაჟებსაც უნდა შეველიოთო!

დიახ, ყოველივე ამას ამბობს ა. სოლჟენიცინი, მაგრამ მას თან დასდევს მაინც ჩრდილოვანი მხარე, რომელიც მას ორსახოვნად წარმოაჩენს. პირველ ყოვლისა, ესაა იმავე "არქიპელაგ გულაგში" გატარებული აზრი, რომ რუსი ერი, სხვა ერებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით ნატანჯია ლენინ-სტალინური სისტემისაგან. რა უნდა ითქვას ამაზე? რაოდენობრივად თუ გავაანალიზებთ კომუნისტურ ტერორს "საბჭოეთში" შემავალ ერებზე, ცხადია, აქ ყველაზე დიდი (ბევრი) დანაკლისი რუსეთმა განიცადა, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვანმა ერმა, მაგრამ საკმარისია იგივე პროცენტულად დავიანგარიშოთ, რომ რუსეთი, სხვა ერებთან შედარებით, საკმაოდ უკან გადაიწევს.

ან ავიღოთ ის დაუოკებელი ზიზღი, რომელსაც ჩვენს ავტორში სტალინის ფიგურა იწვევს, რაც მიზეზი ხდება მისი ხშირი არაობიექტური გამოხდომებისა ქართველების წინააღმდეგ. "არქიპელაგის" პირველ ტომში არასიმპათიური სახე რუმინელი ჯაშუშისა მას, რატომღაც, ქართველისას აგონებს, ასევე, მხოლოდ ორი პატიმრის საეჭვო მონათხრობს ეყრდნობა მისი განცხადება იმის შესახებ, რომ ციმბირში პოლიტპატიმრებს ხვრეტდნენ მხოლოდ ქართველებისაგან შემდგარი ასეულები.

მაგრამ, რაც "არქიპელაგის" მესამე ტომში დაიწერა, შორს სცილდება ჩვეულებრივ შოვინიზმს, იქ უფრო პირველყოფილ ველური ნომადების სუნთქვა იგრძნობა. სოლჟენიცინი წერს, რომ ხრუშჩოვის დროს მოუხდა პროკურატურის დიდი თანამდებობის პირებთან შეხვედრა, რათა როგორმე

შეემსუბუქებინა ჩვეულებრივი პატიმრების ყოფა "ლაგერებში". მიპასუხესო - განაგრძობს სოლჟენიცინი, რატომ ესარჩლებით მაგათ, განა არ იცით, რომ ბევრი მათგანი მათ სანახავად ჩასულ დედებთან და დებთან ცხოვრობსო?!

პროკურორების ამ ზიზღს ასე "გაფანტავს" სოლჟენიცინი სქოლიოში: მაგრამ "პატივცემულმა პროკურორებმა" რა უწყიან, რას ნიშნავს ქალის უნახობა 8-10 წლის მანძილზე?!"

მართალი გითხრათ, როდესაც ეს წავიკითხე, ჯერ თვალებს არ დავუჯერე, იმდენად მკრეხელურად მომეჩვენა. მერე გამახსენდა ჩვენი, ქართველი პატიმრების მონათხრობი რუსეთის შორეულ ბანაკებში სისხლის სამართლის დამნაშავეებზე, სადაც ასეთი რამ ხშირი ყოფილა. პირადად შევხვედრივარ ციხეში ერთ ქართველ პატიმარს, რომელსაც ასეთ ბანაკში ყოფნისას პატიმრობის ვადა გაუგრძელეს იმის გამო, რომ იგი ფიზიკურად გაუსწორდა ზედამხედველს, როდესაც ამ უკანასკნელმა თვალის ჩაპაჭუნებით შეუშვა იგი მასთან სანახავად ჩასულ დედასთან. გამახსენდა კიდევ რუსეთის არცთუ ძალზე შორეული წარსული, როდესაც რუსი ეპისკოპოსი მრევლს მოუწოდებდა, რომ არ შეიძლება დებთან და დედებთან "ცხოვრებაო" (იხ. Василевский (Небуква). Романовы, Петроград, 1923). დიახ, ყოველივე ეს გახსენდება კაცს და მაინც გიკვირს, რომ მწერალი, ჰუმანისტი და ქრისტიანი ამ კუთხით იცავს პატიმრებს.

კიდევ ერთი გვიანდელი განაცხადი სოლჟენიცინისა: ეკამათება რა პროფ. თაკერს, რომელმაც სტალინის მხეცობები დაუკავშირა ივანე მრისხანეს გამოცდილებას, სოლჟენიცინი ამას უარყოფს და სხვა მაგალითებთან ერთად ასახელებს "საქართველოს ფეოდალურ წარსულს", რომლითაც შეიძლება ხელმძღვანელობდაო სტალინი თავისი ტირანული ზრახვების განხორციელებისას (А.Солженицын, Иметь мужество видеть. Собр. соч. 9. Париж, 1981). ხშირად მოიპოვება სოლჟენიცინთან ისეთი გამოთქმები, რითაც იგი მცირე ერებს სდებს ბრალს რუსეთის მიმართ დანაშაულში. ჩვენი თანამემამულის, ცნობილი დისიდენტის ვალერი ჭალიძისა არ იყოს, სოლჟენიცინის მიხედვით... "ყველაფერი კარგი - რუსულია, ყველაფერი ცუდი - საბჭოთა... ვინ შექმნა "არქიპელაგი გულაგი?" საბჭოელებმა. ვინ დაწერა "ძმები კარამაზოვები", "ომი და მშვიდობა". "სამი და"? რუსებმა. მაგრამ ვინ დაიპყრო ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, აღმოსავლეთი? საბჭოელებმა." (В. Чалидзе. "Континент" 23. стр. 172-173).

ასეთი გახლავთ სრული, წინააღმდეგობებით აღსავსე სურათი ალექსანდრე სოლჟენიცინისა.

გაზ. "თბილისი", 17 აგვისტო, 1990 წ.

P.S. 1999 წლის ნოემბრის სატელევიზიო გამოსვლაში სოლჟენიცინმა ჩეჩნეთის მისამართით ილაპარაკა, როგორც ნამდვილმა იმპერიალისტმა. როგორც იტყვიან, იგი დარჩა იმად, რაც იყო.

დღეს ასეა, ხვალ - ვინ იცის...[1]

გულახდილად უნდა გითხრათ, პირველად სახელი და გვარი - ვიქტორ რცხილაძე - ბევრმა ჩვენთაგანმა გაიგო ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან ერთად. ბევრს ახსოვს, როგორ გადაუვლიდა თბილისს (და არა მარტო თბილისს) ჩურჩული - მგონი მორიგი "ოქროს საწმისი" გამოსულაო, მახსოვს მალულად ჩანთიდან ჩანთაში ჩაცურებული "საქართველოს მოამბის" გაცრეცილი ფურცლები... ერთი სიტყვით, ვიქტორ რცხილაძემ სამი ათეული წლის წინ გააცნო საზოგადოებას თავი, როგორც "გამოუსწორებელმა" დისიდენტმა, ანტისაბჭოთა არალეგალური პრესის ერთ-ერთმა გამომცემელმა და "საშიში" პუბლიკაციების ავტორმა.

- ბატონო ვიქტორ, ჩვენი საუბარი ცოტა შორიდან მინდა დავიწყო: რა როლი ითამაშა 70-იანი წლების არალეგალურმა გამოცემებმა "ოქროს საწმისმა" და "საქართველოს მოამბემ" არა მარტო თქვენს ცხოვრებაში, არამედ ქართველი ხალხის შემეცნებაში, და კიდევ, თუ უტაქტობაში არ ჩამომართმევთ, რას ფიქრობთ დღეს თქვენს მაშინდელ მეგობრებზე?

- 1975-76 წლებში ქსეროკოპიის წესით არალეგალურად გამოცემულმა ჟურნალებმა დიდი როლი ითამაშეს ქართველი ხალხის შემეცნებაში, არა იმდენად თავისი შინაარსით ან არაერთგვაროვანი ხარისხით, რამდენადაც იმ წლებში მათი გამოცემის ფაქტით. ეს იყო გაუგონარი რამ იმდროინდელი რეჟიმისათვის, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან, საქართველოში, თუ არ ვცდები, ასეთი რამ არ მომხდარა დღიდან "გასაბჭოებისა".

რაც შეეხება იმას, რას ვფიქრობ ჩემს "მაშინდელ მეგობრებზე", უნდა მოგახსენოთ, რომ ვფიქრობ იმასვე, რასაც დღეს ქართველი ხალხის უმეტესი, მოაზროვნე ნაწილი ფიქრობს, ოღონდ განსხვავება ის არის, რომ ეს აზრი მე მქონდა ამ 12-14 წლის წინ, მაგრამ მაშინ ჩემს აზრს არავინ მეკითხებოდა.

- ბატონო ვიქტორ, ალბათ, დამეთანხმებით, უზარმაზარი მასშტაბის მქონე პოლიტიკური პროცესები ჩვენში ისეთი სისწრაფით განვითარდა, სხვაგან ამას წლები არ ეყოფოდა. ყველაფერი საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნებით დაიწყო. თქვენ მაშინ კონგრესის წევრი იყავით და ამდენად, მონაწილეობა მასში არ მიგიღიათ. რა დასამალია, რომ კონგრესმა ვერ შეძლო ხალხის სიმპათიის მოპოვება, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკრებულოში ქართული ელიტარული საზოგადოების უდიდესი ნაწილი იყო გაერთიანებული. თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?

- ვერ დაგეთანხმებით, რომ კონგრესში "გაერთიანებული იყო ქართული ელიტარული საზოგადოების უდიდესი ნაწილი". სწორედ ასეთი საზოგადოების ნაკლებობამ განაპირობა კონგრესის სისუსტე. რამდენი არ ვეცადე

---

1. ეს ინტერვიუ დაიბეჭდა 1992 წლის 2 ივლისს გაზეთში "ძლევაი". ინტერვიუს წინ უძღოდა გაზეთის კორესპონდენტის ნინო ბენაშვილის შესავალი.

მიმეზიდა კონგრესთან თანამშრომლობისათვის ჩვენი ინტელექტუალები, არაფერი გამოვიდა. ეს ნაწილობრივ აიხსნება თვით კონგრესში გამეფებული სულისკვეთებით. იქ ტონს იძლეოდნენ ახალგაზრდა პოლიტიკოსები, რომელთა აუტორიტეტი ძირითადად განისაზღვრებოდა იმით, ვის რამდენი კაცი ჰყავდა თავის დაჯგუფებაში. რასაკვირველია, პოლიტიკისათვის ამას მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, ეფიქრობ, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ინტელექტსა და... ზრდილობას. ბავშვობიდანვე ასე ვიცით: ასაკით უმცროსი პირველი ესალმება ასაკით უფროსს, მით უმეტეს, თუ სხვაობა მთელი თაობით განიზომება. მე ვიცი ფაქტი, როდესაც კონგრესი დატოვა ერთმა პროფესორმა მისდამი უტიფარი მოქცევის გამო, მაგრამ, ასეა თუ ისე, ეს კონგრესი მაინც სჯობდა იმჟამინდელ პარლამენტს და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბევრმა ახალგაზრდა პოლიტიკოსმა ნამდვილი სამოქალაქო გმირობა გამოიჩინა აწ უკვე დამხობილი რეჟიმის დროს.

მცირე შეგონება

უმძიმესი წუთები უდგას დღეს საქართველოს - იგი ომში ჩაითრიეს. აფხაზეთი საქართველოა.

წლების მანძილზე იქ ქართველ მოსახლეობას ჩაგრავდნენ მარტოოდენ ქართველობის გამო, ამიტომ ჩვენი ომი სამართლიანია. ეს სამამულო ომია. მიუხედავად ამისა, ძნელად ასატანი, მოსისინე და მოღალატური ხმები გაისმის ამ ომის წინააღმდეგ. არათუ ღალატი, არამედ თვით პაციფიზმიც, რომელიც კეთილშობილური მოტივებით ხელმძღვანელობს, ძირშივე ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რადგან პაციფისტები იღვწიან მიწიერი, ამქვეყნიური სამოთხის დასამკვიდრებლად, რაც ქრისტიანისთვის გამორიცხულია. ქრისტეს მეორედ მოსვლამდე ამქვეყნად ბოროტება იქნება. მაგრამ ბოროტებისადმი გემართებს წინააღმდეგობის გაწევა, როგორც სულიერი თვალსაზრისით, ასევე მახვილით. უნდა დავიცვათ ღვთით ბოძებული მამული ჩვენი მოშურნეთაგან.

ახლა ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ რას გვირჩევს ცნობილი მწერალი ანდრე მორუა თავის წიგნში "რატომ დამარცხდა საფრანგეთი", რომელიც მეორე მსოფლიო ომის ამბებს ეხება. ვფიქრობ, ეს რჩევა საბედისწერო მნიშვნელობისაა დღევანდელი საქართველოსათვის. აი ისიც:

"ვიყოთ ძლიერნი. თუ ერი მზად არ არის თავისუფლებისთვის თავის გასაწირად, იგი მას დაკარგავს.

ვიმოქმედოთ სწრაფად. ათი ათასი თვითმფრინავი დროულად გამოშვებული უკეთესია, ვიდრე ორმოცდაათი ათასი ბრძოლის შემდეგ.

ვუხელმძღვანელოთ საზოგადოებრივ აზრს. ხელმძღვანელი არის გზის მაჩვენებელი და მას არ წარმართავენ.

შევინარჩუნოთ ქვეყნის ერთიანობა. პოლიტიკური პარტიები ერთი ხომალდის მგზავრები არიან. ხომალდს თუ ჩაძირავენ, ყველა დაიღუპება.

მოვთხოვოთ ხელმძღვანელებს, რომ პატიოსანი ცხოვრებით იცხოვრონ. მანკი, რა სახისაც უნდა იყოს, მტრისთვის ხელსაყრელი იქნება.

ურყევად გვწამდეს იდეები და ცხოვრების ის წესი, რომლისთვისაც ვიბრძვით. სწორედ რწმენა ქმნის არმიებს და თვით იარაღსაც. თავისუფლება მეტ თავდადებას იმსახურებს, ვიდრე ტირანია".

ჭეშმარიტად, ძვირფასი სიტყვებია! დაე, ასე განიმსჭვალოს საქართველოს ყველა პატრიოტი.

ავტორის თხოვნით, ყველა მისი პუბლიკაციის ჰონორარი თავდაცვის სამინისტროს ფონდში გადაირიცხება.

გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 15 სექტემბერი, 1992 წ.

აუცილებელი განმარტება

რადგან ჩემი ძმაი იყო, ბოლოს მაინც მე დავმარხე.

ზანანბეგურა

"ახალი საქართველოს" წინა ნომერში თეიმურაზ ჭანტურიშვილთან პოლემიკაში ჩაბმულმა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ, რომელსაც ჩემს პატივისცემას ვუდასტურებ, როგორც ენერგიულ მკვლევარსა და მეცნიერს, ფრიად არასახარბიელო კონტექსტში მოიხსენია ჩემი სახელი, რასაც მისი ახალგაზრდობით ეხსნი (იგი ორმოცი წლისაც არ ყოფილა) და აგრეთვე იმით, რომ მან არ უწყის ნამდვილი ფაქტები ჩვენი იმდროინდელი "ჰელსინკის ჯგუფის" შესახებ, რაშიც ჩემს თავსაც ვადანაშაულებ, რადგან ამ ოცი წლის მანძილზე მდუმარება არ დამირღვევია, ეხელმძღვანელობდი რა პრინციპით - "არა განსაჯო"... არა, ზვიად გამსახურდიას რეჟიმი ზოგადად დამიგმია. იყო ეს ჩემი გამოსვლა პრესით თუ ჩემი მონაწილეობით ოპოზიციურ მიტინგებში და აგრეთვე იმ ფაქტით, რომ დღიდან "ეროვნული კონგრესის" დაარსებისა გახლდით მისი წევრი მის თვითლიკვიდაციამდე და ზოგიერთიეით არ მიმიტოვებია იგი პრეზიდენტყოფილის შიშით. დიახ, საჯაროდ მის რეჟიმს ვგმობდი, მაგრამ საჯაროდ მას პიროვნულად არ შევხებივარ, რაც, შეიძლება გამოწვეული იყო აგრეთვე ყალბი თბილისური ტრადიციით - "მაინც ერთად იყავით, შეშვი..." ვდუმდი აგრეთვე მერაბ კოსტავას ხათრით, რომლის თხოვნასაც ვუფრთხილდებოდი მთელი ამ ხნის მანძილზე და რომელთან საუბარი, სხვათა შორის, ზუსტად აღწერა თეიმურაზ ჭანტურიშვილმა. ორიოდ სიტყვა თეიმურაზ ჭანტურიშვილზე. მე ვთვლი, რომ მასა და როსტომ ჩხეიძეს შორის გამართული პოლემიკა დასანანი ფაქტია თავისი სიმძაფრის გამო, რომელიც ხშირად აკადემიურ ჩარჩოებს სცილდება და ცხადია, ამ პოლემიკაში ჩაბმას არ ვაპირებ. მაგრამ ბატონმა როსტომმა ნამდვილად უნდა გაუგოს თეიმურაზ ჭანტურიშვილს, რომელიც, გარდა იმისა, რომ ყოფილი პოლიტპატიმარია, იგი ავტომატით ხელში იდგა სოხუმის დამცველთა რიგებში და საკუთარი თვალით იხილა იქ დატრიალებული სისხლისღვრა და ღალატი. ამიტომ, როდესაც თეიმურაზ ჭანტურიშვილს პასუხი მოვთხოვე რ. ჩხეიძისადმი მიმართულ კრიტიკულ წერილში გამოთქმული ზოგიერთი "მაგარი" სიტყვის გამო, მან გამახსენა, რომ რ. ჩხეიძე თავის მხრივ ზ. გამსახურდიასადმი მიძღვნილ საქებარ წერილში მის მოწინააღმდეგეებს მოიხსენიებს "ცრუ პიროვნებებად", "ცრუ ჟურნალისტებად" და "იუდებად". ერთი კი მინდა იცოდეს ყველამ. თეიმურაზ ჭანტურიშვილი ერთადერთი ქართველი პოლიტპატიმარია, რომელსაც მოუწია მორდვეთისა და პერმის პოლიტპატიმართა ბანაკებში ყოფნა 1969-1975 წლებში და ერთადერთია, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელიც წარმოაჩენდა იქ ქართულ ღირსებას. მისი პიროვნებით იმ დროს ჩვენ აქ ვამაყობდით, ჩვენ, ქართველი "ადამიანის უფლებათა დამცველები",

როდესაც ხელთ გვივარდებოდა ნიუ-იორკში გამოცემული "მიმდინარე ამბების ქრონიკები" რუსულ ენაზე და საიდანაც ვიგებდით მის კაცურ ქცევაზე იქ გადახალებაში. სხვათა შორის, ბატონ როსტომს, თუ ჩემი ერიდება, რომ პირადად გავაცნო იმდროინდელი "ქრონიკები", კურჩევ მიმართოს ედპ-ს, რადგან თავის დროზე, ცხონებული გია ჭანტურია როდესაც შინ მეწვია, ვაჩუქე ერთი ასეთი "ქრონიკა", რომელიც, მან ედპ-ს არქივში დადო. დაბოლოს, იმას ვიტყვი, რომ თ. ჭანტურიშვილის წერილებში გადმოცემული ფაქტობრივი მხარე სრულ ჭეშმარიტებას შეესატყვისება.

დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ უშუალოდ ზ. გამსახურდიას საჯაროდ არ შეხებიარ და მასზე დუმილს ვამჯობინებდი, რაც მან თავისი გაპრეზიდენტების ჟამს ასეთივე დუმილით გადაიხადა, მაგრამ ეს დუმილი ცოტა სხვაგვარი იყო. ვგულისხმობ იმას, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში მის დამჭაშებს ჩემი ხსენება აკრძალული ჰქონდათ და მხოლოდ ზვიად-მერაბს გაიახსოვდნენ, ხოლო ამის პარალელურად ჩემზე საზიზღარი დეზინფორმაცია ვრცელდებოდა. მაგრამ, და ეს ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, არც ზ. გამსახურდია შემხებია საჯაროდ უარყოფითად, რადგან კარგად ესმოდა, რომ თუ არ მოკლავდნენ, აუცილებლად პასუხს გავცემდი. მას კი ამ პასუხის ეშინოდა და არაფრად აწყობდა. გამოდა ხანი და ხელთ მოვარდება მოსკოვში 1996 წელს გამოცემული ზ. გამსახურდიას "ავტობიოგრაფია" რუსულ ენაზე, სადაც მე საქართველოში მოღვაწე სხვა ცნობილ პირებთან ერთად "მოთხრილი" ვარ (უნდა ითქვას, რომ თ. ჭანტურიშვილმა მხოლოდ ნაწილი დაასხელა ზ. გამსახურდიას წყენში ნახსენები პირებისა - იქ გაცილებით მეტია!) ამავე დროს, თუ ზ. გამსახურდიას ქვრივი წინასიტყვაობას ვკნდობით, ზ. გამსახურდიას ეს "ავტობიოგრაფია" 1993 წელს შეუქმნია, ჩრნეთში ყოფნის დროს. ასე რომ, პუშკინივით შემიძლია შევყვირო: Я слышу вновь друзей предательский привет!

რა უნდა ითქვას ამ "ავტობიოგრაფიაზე"? თუკი რამ გამეგება, უმეტესი ნაწილი ტყუილია, ხოლო ჩემზე სულ გაუფრენია საწყალს და ბარონ მიუნჰაუზენის ბიოგრაფია დაუხატავს, როგორც ჩამიყვანეს ალმა-ატაში, გადასახლების ნაცვლად იქ როგორ ესეირნობდი და სხვადასხვა. მაგრამ იქვე იკითხება ზ. გამსახურდიას ნამდვილი გაღიზიანების მიზეზი ჩემს წინააღმდეგ: მას ვერ მოუნელებია, რომ საქართველოდან მისი გაქცევის შემდგომ მე "სახელმწიფო საბჭოში" მიმიწვიეს, თვითონ კი დამცირებული სხვისი ხელის შემყურე დარჩა. ჰოდა, უსაქმოდ დარჩენილმა, ხელში კალამი აიღო და იწყო და იწყო ანგარიშსწორებები— სხვათა შორის, ამ თავის "მოგონებებში" იგი მოურიდებელია თვით მერაბ კოსტავას მიმართ, როდესაც ამტკიცებს, რომ გამსახურდიების ოჯახში ახალგაზრდა მერაბს დამატებით კვებავდნენ (подкармливали). თუნდაც მართალი ყოფილიყო, ქართველი კაცისაგან ეს რა დასაწერია? ეს რომ მერაბს წაკითხა, განმეორებებოდა იგივე სცენა, რაც ზვიადის მიერ მერაბის დეიდაშვილის "სუკ-ის აგენტად" გამოცხადებას მოჰყვა მისი დედის გინებით, ცხადია, დეიდაშვილის დაუსწრებლად, მაგრამ მერაბმა დედის გინება ვერ აიტანა, ერთი კარგი სილა გაწნა მას და მოჩხუბრები ძლივს გავაშველე.

დიახ. ზ. გამსახურდიას წიგნში ანგარიშსწორებებია და ნეტავ იგი ამ კალმის მოსმით დაკმაყოფილებულიყო და საქართველოს არ მოვლენოდა თავისი ჩრდილო კავკასიელებით კვლავ სისხლის საღვრელად. ახლა ისმის კითხვა: დღეს მაინც მაქვს თუ არა უფლება ცილისწამებათაგან თავი დავიცვა და პირველად, ოცი წლის მერე, ვახსენო ზ. გამსახურდიას სახელი და განვმარტო მისი ნამდვილი როლი იმდროინდელ ვითარებაში? ღმერთმა ხომ იცის, რომ ამ წერილის დაწერასაც არ ვაპირებდი, მაგრამ ბატონმა როსტომ ჩხეიძემ, ნებსით თუ უნებლიეთ, მოახდინა ამისი პროვოცირება, რაც ძალზე დასანანია, რადგან რაც უნდა იყოს, წერა მიხდება კარგა ხნის მტრადქცეულ, მაგრამ მაინც ყოფილ გარდაცვლილ მეგობარზე...

ბატონი როსტომ ჩხეიძე ბრძანებს: "ზვიად გამსახურდიას "ავტობიოგრაფიის" მეორე ნაწილში, სადაც დოკუმენტებია თავმოყრილი, დაბეჭდილია ვიქტორ რცხილაძის დაკითხვის ოქმიც, რომელიც სინანულის განცდას აღვიძრავს..." შემდგომ ბ-ნი ჩხეიძე ამ "დანაშაულს" მიმსუბუქებს და განაგრძობს: "ასეთ ჩვენებებს ყოველთვის მღელვარებითა და თანაგრძნობით ვკითხულობ და ვერიდები ვინმეს განსჯასა და დამუნათებას, რადგან ვინც იქ არ მოვხვედრილვართ და ჩვენს ტყავზე არ გადაგვიტანია ის თუნდ ფსიქოლოგიური ზეწოლა, მაინცდამაინც თავს ნუ გამოვიდებთ". შემდეგ ისევ მკაცრი და კატეგორიული ხდება ჩემ მიმართ ბატონი როსტომი: "მაგრამ ვინც თავისი ადგილი არ იცის და ნამეტანს ეპოტინება, იძულებული ხდები ის ოფიციალური ფურცელი წინ დაუდო... ჯერ მაინც მირჩევნია თავი შევიკავო. თუ ნამეტანი არ ითამამებენ (ეს მე და თ. ჭანტურიშვილი, ვ.რ.), ჩემი ხელით ის დოკუმენტი ჟურნალისტურ მიმოქცევაში არ დატრიალდება".

ბ-ნ რ. ჩხეიძის მიმართ მიუხედავად ჩემი პატივისცემისა, უნდა ვალიარო, რომ ზემომოყვანილი წინადადება აშკარა შანტაჟს წარმოადგენს და ჩემს დასაშინებლად არის გამიზნული. არადა, ბატონ როსტომს, სანამ ამას დაწერდა, სჯობდა გაეკითხა და გაეგო, რომ არც ისე ადვილად დასაშინებელი კაცი გახლავართ...

ამიტომ, "ახალი საქართველოს" რედაქტორისაგან მოვითხოვე იმ დოკუმენტის გაზეთში დაბეჭდვა სრულად და იმ ენაზე (რუსულზე), რომელზედაც დგებოდა მაშინ დაკითხვის ოქმები, რაზედაც ბატონი ნოდარ გრიგალაშვილი დიდსულოვნად დამთანხმდა.

მაგრამ სანამ ამ დოკუმენტს წარმოვაჩენ, რამდენიმე სიტყვა მინდა წავუმძღვარო, რათა მკითხველი უკეთ გაერკვეს საქმის ვითარებაში.

1976 წელს ორჯერ მომიწია საავადმყოფოში წოლა, სადაც სტენოკარდიული შეტევების გამო მიმიყვანეს. სხვათა შორის, ამას ზ. გამსახურდიას წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტური ნაწილიც ადასტურებს, სადაც სამსახურში ჩემი უფროსი, კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. იაკაშვილი ამბობს, რომ ვ. რცხილაძე სამსახურში არ დადიოდა, რადგან იგი საავადმყოფოში "ინფარქტით" იწვაო. ყოველივე ამის გამო ჩვენს ჯგუფში გადაწყდა, რომ მე ციხეში არ უნდა მოვხვედრილიყავი. ეს რამდენჯერმე ითქვა, როგორც მერაბ კოსტავას ბინაზე, ასევე ამავე ჯგუფის წევრ ბეგო

ბეჟუაშვილის ბინაზეც. ამიტომ იყო, რომ აშკარად საცხო სტატიას, გენ. შ. მაღლაკელიძის "მარტორილოგს", რომელიც ზვიადის დაჟინებით დავწერე, ხელი აღარ მოვაწერე.

მეორე გარემოება, რაც მკითხველმა მინდა გაითვალისწინოს ქვემორე წარმოდგენილი დოკუმენტის კითხვისას, გახლავთ ის, რომ ჩვენი ჯგუფის წევრების გასაოცრად, ზ. გამსახურდიამ მწერალთა კავშირში უარყო რედაქტორობა მის მიერვე გამოცემული ჟურნალებისა და გაემიჯნა მას. ამას რა მოჰყვა და მერაბ კოსტავა ამის გამო როგორ ეჩხუბა ზვიადს, ზუსტად აქვს აღწერილი თ. ჭანტურიშვილს და აღარ გავიმეორებ (იხ. "საქართველოს რესპუბლიკა", 24-27 მარტი, 1998 წ. - "რამდენიმე ფაქტი ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან"). ასე, რომ, რასაც "ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფისა" და შემდეგ "ჰელსინკის ჯგუფის" წევრობა გვავალდებულებდა, რომ ხელისუფლება ღიად და საჯაროდ გვეკრიტიკებინა, ზვიადის წყალობით ნახევრად გასაიდუმლოებულ ჯგუფად იქცა. ახლა კი გავეცნოთ დოკუმენტს:

ПРОТОКОЛ ДОПРОСА СВИДЕТЕЛЯ

г. Тбилиси

17 июня 1977 года

Допрос начат в 10 час. 50 мин.

Допрос окончен в 14 час. 30 мин.

Старший следователь по ОВД следственного отдела КГБ при СМ ГССР майор ***Цинцадзе***, с соблюдением требований ст. 154 и 158 УПК ГССР допросил в качестве свидетеля:

Рцхиладзе Виктора Георгиевича, 1941 года рождения, уроженца г. Тбилиси, гражданина СССР, Б/п, с высшим образованием, временно неработающего,проживающего в г. Тбилиси по Дидубийской ул., 14, личность которого установлена.

Свидетелю Рцхиладзе В.Г. разъяснены обязанности, перечисленные в ст. 64 УПК ГССР, и он предупрежден об ответственности по ст. 198 УК ГССР отказ или уклонение от дачи показаний и по ст. 197 УК ГССР за дачу заведомо ложных показаний.

Вопрос: 16 июня с.г., во время допроса Вы показали, что приведенные Гамсахурдиа Звиадом в его статье "Положение памятников культуры в Грузии" Факты на 90% соответствуют действительности. На чем основано это ваше мнение?

Ответ: Сейчас для меня возбуждается весьма принципиальный вопрос. Как свидетель, готов помочь следствию по выявлению какого-либо преступления, или в выявлении таких фактов, которые вредны государству. Все мои ранние

показания были выражением этого, что вы не можете отрицать. Только мне и сейчас не ясно, по какому обвинению мучаются в вашей тюрьме З. Гамсахурдиа и М. Костава. Что касается вышеприведенного вопроса, я готов дать ответ на это отделу культуры ЦК Грузии или соответствующему отделу совета Министров Грузии, которые в этом отношении более компетентны, чем КГБ.

Мое мнение опирается на мой личный опыт, когда я работал в системе охраны памятников до 10 марта с. г. А в настоящее время являюсь членом ревизионной комисии Общества охраны памятников культуры. Примечательно, что этой комиссии под председательством Робакидзе Ал., из всей республики входят только одиннадцать человек, в том числе и я. Список названных членов опубликован в журнале "Друг памятников" в 1975 году. Хотя бы из этого становится ясно, по какой мелкой и невежественной причине освободили нас со службы, якобы я был "бездельником". Что касается правильности статьи З. Гамсахурдиа, на это добавлю,что сам З.Гамсахурдиа работал в этой системе больше года, так что его заставляет говорить личный опыт.

Вопрос: Когда вы начали работать в Министерстве культуры? На каких должностях Вы работали там?

Ответ: Как сейчас вспоминаю, в системе Министерства культуры начал работать с 1970 года, в частности, младшим научным содтрудником, в Научно-реставрационной мастерской. Потом в 1972 году меня выдвинули: назначили заведуюшим информационного сектора методсовета в самом Министерстве культуры. После этого за хорошую и плодотворную работу выдвинули и назначили начальником инспекции по охране памятников культуры и заместителем председателя методического совета.

Вопрос: По чьей инициативе была создана инспекция охраны памятников в Министерстве культуры Грузинской ССР?

Ответ: Вначале этого требовал З. Гамсахурдиа, как заместитель председателя методического совета, потом его поддержали Первый Заместитель Министра Н. Гурабанидзе и сам министр.

Вопрос: Использованы ли Гамсахурдиа Звиадом какие-нибудь переданные вами материалы при написании статьи "Положение памятников грузинской культуры"?

Ответ: Хорошо не помню. А так он использовал материалы, собранные инспекцией.

Вопрос: При помощи кого ознокомился Гамсахурдиа Звиад с материалами, изученными инспекцией?

Ответ: Моей.

Вопрос: После того, как указанная статья была написана, дал ли Гамсахурдиа З. ее вам прочесть?

Ответ: Не помню.

Вопрос: На предыдущем допросе вы показали, что первый номер журнала "Сакартвелос моамбе" Вы обнаружили в своем почтовом ящике и потом прочли его. Имели ли вы беседу с Гамсахурдиа Звиадом в отношении этого журнала и его обнаружения в почтовом ящике?

Ответ: Не помню.

Вопрос: В этом журнале опубликовано письмо относительно процесса Цирекидзе. Присутсвовали ли вы на этом процессе?

Ответ: Да, несколько раз.

Вопрос: Присутствовал ли на этом процессе Гамсахурдиа Звиад?

Ответ: Да.

Вопрос: Записывали вы или нет во время шествия процесса относительно него что-нибудь.

Ответ: Нет.

Вопрос: Гамсахурдиа записывал?

Ответ: Он сидел в другом месте, так что я не видел.

Вопрос: На скольких заседаниях суда вы лично присутствовали?

Ответ: Не помню.

Вопрос: Присутсвовали ли вы во время вынесения приговора по этому делу?

Ответ: Не помню.

Вопрос: В первом номере журнала "Сакартвелос моамбе" напечатаны статьи "Простая арифметика", автор Лабадзе Караман и "Пожары и диверсии в Грузии в 1976 году", автор Твалтвадзе Гедеон. Кто такие Лабадзе и Твалтвадзе?

Ответ: Представления не имею.

Вопрос: Вам для ознакомления предъявляется второй номер "Сакартвелос моамбе". Какого вы мнения относительно опубликованных в нем статей?

Ответ: №2, как его заглавный лист гласит, в основном посвящается проблеме репатриации месхов. Этой проблеме в журнале отведено приблизительно 80%, что я одобряю. Для меня странна и неприемлема опубликованная тут прокламация, которая, как впоследствии вычитал на страницах нашей прессы, была так называемой организации "НТС". Я об этой организации имею довольно смутное представление и ясно, что ничего общего с ней не имею. Поэтому очень удивился, что их прокламация попала в грузинский журнал. Что касается пресловутого некролога Маглакелидзе, то здесь,по моему мнению, все же это написано о советском юристе, и к тому же в этом некрологе выдвинуты такие качества и заслуги Маглакелидзе, как спасение советских пленных, что по его заслуге не была разбомблено Закавказье, что он никогда не служил в СС и гестапо и др. Что касается статьи З.Гамсахурдиа о

случившемся ограблении церкви, здесь он, насколько я знаю, опирался на материалы помощника прокурора Кировского р-на Коридзе, и это, ясно, было правильно. Другие малые статьи не вспоминаются, и не могу их проанализировать.

Вопрос: Принадлежат ли Вам все примечания, приложенные к Вашей статье "Трагедия Месхов"?

Ответ: Да.

Вопрос: Знали ли Вы лично Маглакелидзе Шалву? Когда, через кого и при каких обстоятельствах познакомились с ним? Какие личные отношения имели с ним?

Ответ: С Маглакелидзе Шалвой встречался несколько раз. Он жил по соседству со мной и ходил вдоль сада "Муштаид". Кто меня с ним познакомил, не помню.только, проходя по улице, мы несколко раз беседовали. У меня с ним были вежливые, дистанционные отношения за этот краткий промежуток времени (так как познакомился с ним в конце его жизни).

Вопрос: Бывали ли у него на квартире? Имели ли с ним беседу? На какую тему?

Ответ: Не бывал. Были только на похоронах.

Вопрос: Гамсахурдиа Звиад был знаком с Маглакелидзе Шалвой?

Ответ: Да.

Вопрос: Вы первым познакомились с Маглакелидзе Шалвой или Гамсахурдиа Звиад?

Ответ: Не помню.

Вопрос: Встречались ли вместе вы и Гамсахурдиа Звиад с Маглакелидзе Шалвой?

Ответ: Не помню.

Вопрос: Выше Вы отметили, что в "пресловутом некрологе" Шалвы Маглакелидзе на передний план выдвинуты такие его качества, как спасение советских пленных, спасение Грузии от бомбардировки, что он не работал в СС и гестапо. Это ваше показание не соответствует мартирологу Шалвы Маглакелидзе в этом журнале, в котором написано, что он был военным советником в немецком штабе, встречался с Герингом и Канарисом, и когда в 1941 году Германия напала на Россию, как в этом мартирологе написано, со своим сыном Гайозом сражался на передней линии фронта. В мартирологе записаны и другие "заслуги" Маглакелидзе. Еще раз прочтите и выскажите свое мнение о нем.

Ответ: Мой ответ короткий: фашизм - преступление перед человечеством, и все кто его поддерживали. тоже преступники.

Вопрос: Насколько правильно хвалить того человека, который поддерживал фашизм?

Ответ: На это я уже ответил.

Вопрос: Кто является автором мартиролога?

Ответ: Не имею представления.

Вопрос: Читали ли Вы статью Костава Мераба "Книга Андрея Сахарова "О стране и мире" до ее напечатания в этом журнале?

Ответ: Нет.

Вопрос: Какого вы мнения относительно помещенного в журнале обозрения иностранной прессы и преследовании и отравлении Гамсахурдиа Звиада?

Ответ: Иностранная пресса здесь почти ничего не говорит. Она опирается на признание самого З.Гамсахурдиа, Я верю, что З. Гамсахурдиа не врет...

Вопрос: Что вы можете показать в отношении отравления Гамсахурдиа Звиада?

Ответ: Относительно этого я дал показания следователю прокуратуры Калининского р-на Джоглидзе и здесь ничего нового не добавлю.

Вопрос: Видели ли Вы газету "Санди Таймс", в которой было опубликовано письмо Питера Редсуея и Вильма Шеукресса о пытках заключенных в тюрьмах Грузии о об отравлении Гамсахурдиа Звиада?

Ответ: Нет.

Вопрос: И фотокопию этого письма не видели?

Ответ: Нет.

Вопрос: Читали ли Вы статью Гамсахурдиа Звиада о происшедшем в церкви ограблении до того, пока Вы не увидели ее в "Сакартвелос моамбе" [2?

Ответ: Не помню.

Вопрос: Откуда вы знаете, что указанная статья принадлежит Гамсахурдиа З.?

Ответ: По его подписи.

Вопрос: Когда организовалось "Инициативная группа защиты Прав Человека в Грузии"? Какую связь Вы имели с этой группой, и кто входит в нее?

Ответ: "Органицазия" – высоко звучит! Просто, как я уже написал начальнику следственного отдела подполковнику Мирианашвили, мы несколько человек: Ир. Кенчошвили, М. Костава, З.Гамсахурдиа, Б. Бежуашвили, выступили за утверждение в жизнь советских законов, за соблюдение их бездушными и индиферентными чиновниками. Так как советские законы характеризуются человечностью, гуманизмом, "гуман", "гомо" означают "человек", поэтому мы и приняли это наименование.

Вопрос: Кто составлял документы от имени этой группы? Знакомились ли Вы со всеми документами, в конце которых напечатана и Ваша фамилия?

Ответ: В разное время, каждый из нас. Что же касается ознакомления с

теми из них, где есть моя подпись, то я должен был знакомиться с ними, но если какие-либо документы от моего имени с подделанной подписью - это, ясно, не знаю.

Вопрос: Когда печатался или писался какой-либо документ, был ли он предметом обслуждения до его напечатания?

Ответ: В некоторых случаях - да, в некоторых - нет.

Вопрос: В каких случаях документ был предметом обслуждения и в каких - нет?

Ответ: Не помню.

Вопрос: На чьей квартире происходило составление документов и их обсуждение?

Ответ: Почти у всех, то есть в квартире кажодого из нас.

Вопрос: Относительно каких явлений и случаев составлялись указанные документы?

Ответ: Например: спасение комплекса монастыря Давида Гареджи, возвращение месхов на Родину и др.

Вопрос: Был ли написан какой-нибудь документ в отношении Вас в связи с освобождением Вас со службы?

Ответ: Да.

Вопрос: Что было написано в этом документе, кто был его автором и кто подписал этот документ? Куда впоследствии он был направлен?

Ответ: Точно не помню, что было написано, Знаю только, что это был протест, направленный в ЦК Компартии Грузии в связи с несправедливым снятием меня с работы. Кто вначале составил этот документ, не помню, но подписывал его М.Костава, З.Гамсахурдиа и Т. Джанелидзе.

Вопрос: Что желаете добавить к своим показаниям?

Ответ: Ничего.

Протокол допроса прочел. На поставленные вопросы ответы написаны лично мною. Исправлений в отношении протокола не имею.

В. Рцхиладзе

ДОПРОСИЛ: Следователь следственного
отдела КГБ при СМ Грузинской ССР **Майор Цинцадзе.**

როგორც ვნახეთ, ამ წარმოდგენილ დოკუმენტში არაფერია ისეთი, რომ კაცს მისი შერცხვეს. ობიექტური მკითხველი აქედან იმ დასკვნას გააკეთებს, რომ მე ძიებას კვალს ვუბნევ (ღღონდ არ ვიცი, რამდენად კარგად გამომივიდა ეს) და ფაქტიურად ყველაფერზე "არ ვიცი" და "არ

მახსოვს“ გავიძახი, გარდა იმ ფაქტებისა, რაც მაშინ საყოველთაოდ ცნობილი იყო. ბატონი როსტომისა არ ვიცი, მაგრამ ერთმა ნაცნობმა, როშელსაც ეს წიგნი ხელთ ჩავარდნია, შინ დამირეკა და: “შენ გენაცვალე, შენგან სხვა პასუხებს არ ველოდიო!“ მაგრამ ამ სიტუაციის მთელი კომიკურობა ის გახლავთ, როდესაც ამ ჩვენებას ვაძლევდი გამომძიებელს, მაშინ დაჭერილი არა ვყოფილვარ და არც ციხეში ვმჯდარვარ. ასე რომ, მთელი ის პასაჟი ბატონი როსტომის ტექსტში, სადაც მე მიბრალებს და გაიძახის, “ვინც იქ არ მოუხვედრილვართ“ და ა.შ., ყველაფერი ეს წყალში ჩაეყარა და აღმოჩნდა მსგავს სიტუაციაში, როდესაც მან, ბ-ნმა რ. ჩხეიძემ, დაწერა გამოკვლევა “1942 წლის შეთქმულებაზე“ და სინამდვილეში ეს “შეთქმულები“ 1941 წელს უკვე ციხეში ყოფილან, როგორც სტალინის დროინდელი პოლიტპატიმარი, იმ ამბების მონაწილე, მწერალი კოტა ბუაჩიძე იუწყებოდა ამის შესახებ (იხ. გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა“, 23 აგვისტო, 1998 წ.).

დიახ, ციხეში არმყოფს, გარედან მისულს, მე არ გამჭირვებია ასეთი ჩვენების მიცემა, მაგრამ იყო ხალხი, ვინც გამომძიებლის დანახვაზეც კი ფრთხებოდა და საშინელ ჩვენებებს იძლეოდა, რაშიც ბატონი როსტომი თავად დარწმუნდება, თუკი ყურადღებით წაიკითხავს იმ წიგნში გამოქვეყნებულ სხვა დოკუმენტებს. აი, თუნდაც იმათ ჩვენებებს, ზვიადისტურ ორგანიზაციებში დღეს რომ მოკალათებულან.

მაგრამ, გამოვა, კაცმა ანი თუ თქვა, ბანიც უნდა მოაყოლოსო და დღეს მე მკითხველს ვაუწყებ იმას, რაც არასდროს მითქვამს და ყოველ შემთხვევაში, არ დამიწერია.

ზემოთქმულიდან ჩვენებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მეც დამაპატიმრეს, მანამ არ დამიჭირეს, სანამ ორი პატიმრიდან ერთ-ერთი არ გატყდა - ზვიადი. იქამდე ჩემს დაჭერას აზრი არ ჰქონდა - არც ზვიადი და არც მერაბი არ ტყდებოდა, მეც ყველაფერზე უარს ვაცხადებდი და ამიტომ ძიებას რაღაც ხელჩასაჭიდი სჭირდებოდა, ე.წ. “ბაცეკა“. დაპატიმრების მეორე დღესვე გამომძიებლის კაბინეტში წინ დამიდეს ინაურის სახელზე დაწერილი ზვიადის თხოვნა-განცხადება ქართულ ენაზე, სადაც იგი გენერალს მიღებას სთხოვდა, ირწმუნებოდა, რომ ციხეში ყოფნამ მას “თვალები აუხილა“ და სხვანაირად დაანახა “სოციალისტური სამშობლო“, რომ გენერალმა უკვე უწყის, რომ არც მას, ეი. ზვიადს და არც მერაბს, ის “მარტიროლოგი“ შალვა მაღლაკელიძეზე არ დაუწერიათ და სთხოვდა მოწმეებთან დაპირისპირებას აერიდებინათ. გამომძიებლებმა იქვე მითხრეს, თუ გსურს, გამსახურდიას ახლავე დაგიპირისპირებთ და ყველაფერს დაგიდასტურებს, რაც წერიაო. მე ცივი უარი განვაცხადე, რადგან ზვიადის სტილსა და ხელწერას მოხარშულს ვცნობდი და ზედმეტად ჩავთვალე უკვე გატეხილი კაცის ნახვა.

ბატონი როსტომის გასაგონად ვიტყვი: დღეს ჩვენი უშუალო გამომძიებელი ბიბერტ ხაზალია ცოცხალი აღარ არის, აღარაა ცოცხალი არც

გამოძიების უფროსი ალექსანდრე მირიანაშვილი. ამავე დროს, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო გაზეთები, კერძოდ "ლიტერატურული საქართველო" თავის დროზე იუწყებოდა საკუთარი გამოძიების შედეგად დადგენილ ფაქტს, რომ გამსახურდიებმა მოსპეს, გაანიავეს, გააყალბეს და დაიტაცეს ყოფილი "სუკ"-ის არქივები, ის კი არადა, როგორც ერთი ზვიადისტი ქალბატონი გვამცნობდა გაზეთ "ასავალ-დასავალიდან", გამსახურდიას ქვრივმა გროზნოდან მოსკოვშიც კი ამოყო თავი "სუკ"-ის გარკვეული მასალებით. საკითხავია, რატომ ხდებოდა ყველაფერი ეს? ნუთუ ბატონი როსტომი დარწმუნებულია, რომ "არავითარი მამტკიცებელი საბუთი ზვიადის "დამსმენობისა" იქ არ იყო?

ამ არეულობის ჟამს, კაცმა ნამუსზე რომ აიღოს ხელი, ძალზე ადვილია ყველაფერი ზვიადს გადააბრალო და თქვა - მან პირდაპირ დაასახელა ჩემი ავტორობა შ. მაღლაკელიძის "მარტიროლოგისაო". მაგრამ რაც არ ყოფილა - არ ყოფილა. თუმცა კაცი რომ იტყვის - არც მე და არც მერაბს ეს არ დაგვიწერიაო, უკვე დიდი გამოთვლა აღარ იყო საჭირო, სამი "მწერლიდან" იგი რომელს ეკუთვნოდა. ამას თურმე ქურდულ ჟარგონზე "ტექნიკურ ბოზობას" უწოდებენ. ნაცვლად იმისა, რომ მას, როგორც ჟურნალის რედაქტორს, ყველა ხელმოუწერელი სტატია თავის თავზე აეღო - მან პირიქით, თვით ავტორზე მიანიშნა.

ჩემს "საქმეში" ზვიადის ის განცხადება აღარ ჩაუკრავთ, სამაგიეროდ, საქმის გაცნობისას, მაშინდელ კანონებთან სრულ შესაბამისობაში, ჩემი "საქმიდან" ამოვიწერე ზვიადის რამდენიმე ჩვენება, რომელიც, სამწუხაროდ, ნამდვილ დასმენას წარმოადგენს. რასაკვირველია, მე არ მჯერა, რომ ზვიადი ასეთ ჩვენებას ხალისით აძლევდა. მე გაკვირვებით ვუსმენ ხოლმე ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ახლა ციხეში, საკანში ტელევიზორს უდგამენ პატიმარს და ა.შ., რაც ჩვენს დროს წარმოუდგენელი იყო. სწორედ მძიმე პირობებმა გატეხეს კაცი. გთავაზობთ ერთ მცირე დოკუმენტს, სადაც კარგად ჩანს, ჩემთან ერთად სხვაც როგორ დაასმინა ზ. გამსახურდიამ.

ПРОТОКОЛ ДОПРОСА

г. Тбилиси

10 апреля 1978 года

Допрос начат в 15 час. 00 мин.

Допрос окончен в 17 час. 00 мин.

Заместитель начальника следственного отдела КГБ при СМ Грузинской ССР капитан ***Хазалия*** с соблюдением требований ст. ст. 154, 158 УПК ГССР допросил в качестве свидетеля.

Гамсахурдиа Звиада Константиновича (другие анкетные данные в деле имеются).

Свидетелю Гамсахурдиа разъяснены объязанности, перечисленные в ст. 64 УПК Грузинской ССР и он предупрежден от ответственности по ст. 198 УК

Грузинской ССР за отказ или уклонение от дачи показаний и по ст. 197 УК Грузинской ССР за дачу заведомо ложных показаний.

Подпись *Гамсахурдиа*

На предложение рассказать все ему известное об обстоятельствах, в связи с которыми он вызван на допрос, свидетель Гамсахурдиа З.К. показал:

На предыдущем допросе я пояснил, что в первых числах апреля 1977 года, в ожидании возможного обыска на моей квартире, я решил спрятать антисоветскую литературу. Все эти материалы я уложил в портфель светло-коричневого цвета. Кроме того, я взял все имеющиеся у меня переплетенные экземпляры, а их было не менее 10 экземпляров, журнала "Сакартвелос моамбе" |2, размноженные способом малой офсетной печати, связал их и так как в портфель они не поместились, я положил на заднее сидение машины Газ-69. Поздно вечером я приехал на квартиру Рцхиладзе. Предупредил его о возможном обыске и предолжил отобрать и спрятать литературу антисоветского содержания, что он и сделал. Рцхиладзе все материалы уложил в два чемодана и в месте с Шавдиа Александром сели в мою машину. Рцхиладзе Виктору я сказал, чтобы он экземпляры журнала "Сакартвелос моамбе" |2, которые лежат на заднем сидении, положил бы в свой чемодан, т.к. в моей сумке не было места, что Рцхиладзе и сделал. В дальнейшем куда дел Рцхиладзе экземпляры журнала мне неизвестно. Знаю, что свои два чемодана с литературой и сумку мою мы передали на хранение Шавдиа Александру. Желаю отметить, что после того, как 1 апреля на заседании президиума обслуждался вопрос о моей деятельности, несовместимой для члена Союза писателей и особенно критиковали меня за помещение в журнале "Сакартвелос моамбе" |2 прокламации НТС, содержащей призывы к борьбе с Советским строем, и мартиролог о Шалвы Маглакелидзе, где возвеличивается фашистский генерал, я имел разговор с Рцхиладзе о том, что следует принять меры, попросить лиц, среди которых мы распространили журналы, чтобы они, страницы, где помещены прокламации НТС и мартиролог о Маглакелидзе, вырвали или заклеили. Лично я никого не успел предупредить в связи с арестом. Рцхиладзе предупредил ли кого-либо мне неизвестно, но после моих слов распространенные им журналы должны были быть без прокламации НТС и мартиролога о Маглакелидзе.

Протокол допроса мною прочитан, записано с моих слов, добавлений не имею.

З. Гамсахурдиа

ДОПРОСИЛ: Заместитель Начальника следственного отдела КГБ при СМ Грузинской ССР **капитан Хазалиа.**

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი გაოცება მიპყრობდა ციხეში, როდესაც გამომძიებლები ახალ-ახალ ფაქტებს დამილაგებდნენ ხოლმე ჩვენი ნამოქმედარისას. კერძოდ, ვგულისხმობ ჩემს მიერ გაცემულ ჟურნალებს პატივსაცემ პიროვნებებზე. ისე გამოდიოდა, რომ ყველა მათგანმა უკანვე ჩააბარა ისინი სუკ-ში. გვიან მივხვდი, რაშიც იყო საქმე: რაკი ჟურნალების აწყობის ფული ზ. გამსახურდიამ გადაიხადა, მე_თუ ისინი ვინმესთვის მიმიცია, მას მოვახსენებდი ხოლმე - ამასა და ამას მივეცი-მეთქი. ახლა, როცა ის გატეხეს, თავისი "წრფელი აღიარებისა და მონანიების" დასადასტურებლად ჩემს ხარჯზე გაინავარდა: დაასახელა ჩემს მიერ გაცემული ჟურნალები, თავის გაცემულებზე კი დადუმდა. ის კი არადა, მბეჭდავის, შესანიშნავი პიროვნების ცოდვაც მე მომეწერა, რადგან ზვიადისა და მერაბის დაპატიმრების შემდეგ მას ვაბეჭდვინებდი მათ დასაცავ "საბჭოთა პრესის კრიტიკას" ე. ინათაშვილის ფსევდონიმით, რომელსაც წარმატებით ვავრცელებდი, ხოლო რაკი ერთხელ ახსენა ზვიადმა მისი გვარი, მბეჭდავიც მე დამიპირისპირეს, რადგან ბოლოს ჩემს ნაწერებს ბეჭდავდა იგი. საბედნიეროდ, არც ერთი მათგანი, მბეჭდავის ჩათვლით, "სუკ"-ს არ დაუკავებია და მხოლოდ დაკითხვას დასჯერდნენ.

როგორც აღვნიშნე, ეს ყველაფერი მხოლოდ გვიან დალაგდა ჩემს ცნობიერებაში, მაშინ კი საშინელ დეპრესიაში ვიყავი, რაც ჩემი "მონანიებით" დამთავრდა. ერთში მართალია ბატონი როსტომი, როდესაც ჩემზე ბრძანებს: "სრულებითაც არ სახავს თავს გმირად". მე თუ მკითხავთ, თუ გმირობაზეა საქმე, გმირად სხვამ უნდა დაგსახოს და არა ისე, ზ. გამსახურდიამ რომ დააყენერა ყველას თავისი "მონანიება": ეს "ტაქტიკური სელა" იყო და საქართველოს სჭირდებოდაო.

ახლა საკითხავია, რა გუნებაზე გავიდოდი "მოწმედ" ზ. გამსახურდიას სასამართლოზე? და ბატონი როსტომი მამტყუნებს, რომ მას იქ შევუტიე, უფრო სწორად, სიმართლე ვთქვი? ის რატომ ავიწყდება ბატონ როსტომს, რომ სასამართლოს იმავე დარბაზში ზვიადის გვერდით მერაბიც იჯდა და მისი ადვოკატის კითხვაზე, მერაბზე რაღას ვიტყოდი, იგი ქებით ცაში ავიყვანე, სწორედ "მოუნანიებელი" კაცი? ბატონი როსტომი დარწმუნებულია, რომ ზვიადისაგან განსხვავებით, ჩემი "მონანიება" "ტაქტიკური სელა არ ყოფილა" და "მართლა ჩამოვცილდი იატაკქვეშა მოძრაობას", მაგრამ "კგბ" სხვაგვარად ფიქრობდა. ერთი გადახედოს ბატონმა როსტომმა გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" (22 სექტ., 1998 წ.) იმ ნომერს, სადაც ჩემი ყოფილი თანამშრომელი, ბატონი დიმიტრი რუსია (როგორც მითხრეს, თურმე ბატონ როსტომსაც უქია იგი გაზეთში), აღწერს 1983 წლის ამბებს, როგორ დაიბარა იგი სუკ-ში მაღალჩინოსანმა ჩეკისტმა და ჩემზე აგენტურული ცნობების მოპოვება დაავალა.. ან იმას რატომ ივიწყებთ, რომ "ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" მერე დაარსდა ქართველ ქრისტიანთა კავშირი წმ. დავით აღმაშენებლისა, რომელსაც ჰქონდა თავისი ბეჭდვითი სიტყვა "ძელი ჭეშმარიტი" და რომლის პირველი ნომერი მე და მერაბმა გამოვუშვით სარედაქციო წერილებით, ხოლო სარედაქციო კოლეგიაში გახლდ-

ნენ ბატონები; ავთანდილ იმნაძე,სოსო სურგულაძე,ნუგზარ ცხოვრებაშვილი/ / ბატონ როსტომს ვერ წარმოუდგენია, რომ ზ. გამსახურდიას გარეშე შესაძლებელი იქნებოდა რუს დისიდენტებთან და უცხოელებთან კავშირის დამყარება. სულაც არ ვამცირებ ზ. გამსახურდიას მაშინდელ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ამ დროს მთელი უცხოელები მოსკოვში იყვნენ თავმოყრილნი. მათთან და, მით უმეტეს, რუს დისიდენტებთან კავშირის დასამყარებლად საჭირო იყო იქ ჩასვლა, რაც ზვიადს, თავისი ფულის წყალობით დაუბრკოლებლივ შეეძლო. მახსოვს, ერთხელ ჩავედი მოსკოვში, როდესაც ჩემი მეგობარი ანდრეი ამალრიკი სამუდამოდ ტოვებდა საბჭოეთს და იქ ყველას შევხვდი - ანდრეი სახაროვიდან დაწყებული უცხოელი კორესპონდენტებით დამთავრებული, ანდა, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაფურცლონ პარიზული ჟურნალი "გუშაგი" (№19, მაისი, 1989 წ.) და იქ წაიკითხონ: "პირველი ცნობა ცხრა აპრილის ეროვნული ტრაგედიის შესახებ" "გუშაგმა" მიიღო იმ დღესვე 21 საათზე, ტელეფონით, ბ-ნ ვიქტორ რცხილაძისაგან, რომლის სტენოგრაფიულ ჩანაწერსაც აქ გთავაზობთ" და ა.შ. ასე რომ, მე სულაც არ მიმაჩნია, რომ ჩამოვცილდი ეროვნულ მოძრაობას, ოღონდ ეს მოძრაობა უნდა იყოს გონივრული და ზნეობრივი.

ასეთი გახლავთ ჩემი იძულებითი და ამავე დროს აუცილებელი განმარტება, რომლის განსჯა ობიექტურ მკითხველს არ გაუჭირდება.

გაზეთი "ახალი საქართველო",
26 ნოემბერი - 2 დეკემბერი, 1998 წ.

მცირე გახსენება

გაზეთ "ახალი საქართველოს" ფურცლებზე გამოქვეყნდა რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებიც ამ ოცი წლის წინანდელ ამბებს შეეხება და სადაც, "მთავარი როლის შემსრულებელი" მე გახლავართ, მაგრამ, ნებსით თუ უნებლიეთ, პუბლიკაციათა ავტორები მე არ მასახელებენ. რასაკვირველია, ამით დიდი ტრაგედია არ მომხდარა, მაგრამ მომავლის მკითხველი, რომელიც დაინტერესდება ჩვენი "ეროვნული მოძრაობის" ისტორიით, ღირსია უწყოდეს საქმის ნამდვილი ვითარება.

პირველი ასეთი პუბლიკაცია გახლდათ ბ-ნ ვახტანგ ძაბირაძისა, რომელიც იმეორებს მწერალ ნოდარ წულეისკირის შეცდომას და ზ. გამსახურდიას მიაწერს იმ ფრაზას, რომლითაც თავის დროზე დავახასიათე ის მედროვე მწერლები, რომლებიც უმალ "ბუზის გაფრენას" აღწერდნენ, ვიდრე საქართველოს რეალურ ყოფას. ეს ფრაზა და მის ირგვლივ მსჯელობა დაბეჭდილია 1975 წლის არალეგალურ ჟურნალ "ოქროს საწმისში" (№1), გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ ჩემს წერილში.

მეორე პუბლიკაცია კი ახლახან გამოქვეყნდა ამავე გაზეთის ფურცლებზე და მისი ავტორია ზ. გამსახურდიას უფროსი ვაჟი კონსტანტინე. ივი მერაბ კოსტავას "იხსენებს" და აღწერს 1978 წელს სუკ-ის ციხეში მომხდარ ამბებს, როგორც თვითონ გვარწმუნებს, მერაბ კოსტავას "მონაყოლს". რა მოხდა მაშინ? აღდგომის ღამეს მერაბმა თავისი საკნიდან რამდენჯერმე დაიძახა: "ქრისტე აღსდგა!" და მანამ არ შეწყვიტა, სანამ, პუბლიკაციის ავტორის სიტყვებით, "ვინმე პატიმარმა" საპასუხოდ არ შესძახა: "ჭეშმარიტად!" რასაკვირველია, მერაბ კოსტავამ შესანიშნავად უწყოდა, ვინ იყო ის "ვინმე პატიმარი" და, როგორც ჩანს, ჩვენი პუბლიკაციის ავტორისათვის თავის დროზე მისი ვინაობა რატომღაც არ გაუმხელია.

როგორც მკითხველი უკვე ადვილად მიხვდა, ის "ვინმე პატიმარი" მე გახლდით. საქმე კი შემდეგნაირად იყო. 1978 წლის აპრილში, სუკ-ის საპატიმროში ე.წ. "ოტბოის" შემდეგ, გვიან ღამით, ძილში ჩამესმა მერაბის ხმა: "ქრისტე აღსდგა!" დაფეთებული წამოვიჭერი, ორმაგი გისოსებით შებურულ სარკმელს ვეცი და გავძახე - "ჭეშმარიტად"! ამ ჩვენს ყვირილს ციხის ეზოდან ზედამხედველთა დედის გინება მოჰყვა. მალე ჩემს საკანშიც შემოცვივდნენ ზედამხედველები და ფიზიკურად მომაშორეს სარკმელს.

მეორე დილას ციხის უფროსის, პოლკოვნიკ ტარიელ დილიბაზაშვილის (დღესაც ცოცხალია) კაბინეტში შემიყვანეს. იქ იყო ზედამხედველი თენგიზი (დღესაც ცოცხალია) და სხვა ზედამხედველები. ციხის უფროსი დამემუქრა: აგერ ახლა 1 მაისი მოდის და თუ პირობას მომცემ, რომ ღამით არ იყვირებთ, მაშინ კარცერში აღარ ჩაგსვამთო!

გუნებაში გამეცინა და, რასაკვირველია, დავთანხმდი. ასეთი იყო იმ აღდგომის ღამის ისტორია ციხეში. დამავიწყდა მეთქვა: ამ ამბის შემსწრე

იყო კიდევ იმჟამად ჩემთან ერთად საკანში მყოფი პატიმარი ანზორ ტატუნაშვილი (დღეს ცოცხალია თუ არა - არ ვიცი). დასასრულ ერთსაც ვიტყვი: მ. კოსტავას "ქრისტე აღსდგას" "ჭეშმარიტად" მხოლოდ მე ეუპასუხე - სხვა ამის დამძახებელი იქ, სამწუხაროდ, არავინ იყო.

გაზ. "ახალი საქართველო", 3-9 ივნისი, 1999 წ.

ვინ არის ნამდვილი პლაგიატორი?

"დააყენეთ საფლავშიო" - ხშირად გვსმენია პრეზიდენტყოფილზე ზვიადისტების შეძახილები, მაგრამ, ღმერთი, რჯული, კაციშვილი მას ალარ ახსენებდა, რომ თვითონ ისინი არ აწუხებდნენ საფლავში და მისი სახელის გამოყენებით პატიოსან მოქალაქეებს არ ლანძღავდნენ. ზ. გამსახურდია რომ პოლიტიკური "გენიოსი" იყო, დღეს ამის მხოლოდ ზვიადისტებს სჯერათ. მაგრამ იგი რომ დიდად ერუდირებული და განსწავლული პიროვნება იყო, ეს ფართოდ გავრცელებული მოსაზრებაა. არავითარი სურვილი და ხალისი ამ ბლეფის გაფანტვისა დღემდე არ გამჩენია - რაში მეხება ეს მე, მომავალი ყველას თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს-მეთქი, მაგრამ ბოლო ჟამს ძველი კიდობნიდან ამოღებულ იქნა ზ. გამსახურდიას ლიტერატურული "შედევრი", კრიტიკა ერთი პოეტისა, რომლის ამღერებული ლექსები ბევრგან მსმენია. საუბარია ჯანსუღ ჩარკვიანზე და ზვიად გამსახურდიას წერილზე, რომელიც მიზნად ისახავდა მისი პოეზიის გაცამტვერებას. მართალი მოვახსენოთ, ეტყობა, იმხანად ზვიადის ეს წერილი წაკითხული არა მქონდა, იმდენად ახალი იყო იგი ჩემთვის, როდესაც გაზეთი მომიტანეს, სადაც ის გამოქვეყნდა. მარტო ეს წერილი საკმარისია, მისი განსწავლულობის გამოსაააშკარავებლად. რას ედავება ზ. გამსახურდია ჯ. ჩარკვიანს? არც მეტს და არც ნაკლებს, იგი მას ლიტერატურულ ქურდობაში სდებს ბრალს. სადღაც წამიკითხავს, რომ ვინმე ჟურავლიოვს სიტყვა-სიტყვით გადმოუწერია ანა ახმატოვას ერთი ლექსი და თავისად გაუსაღებია. ეს ნამდვილი ქურდობაა (ამ წერილის ბოლოს მკითხველს ერთ ქართველ "ჟურავლიოვს" გავაცნობთ). მაგრამ აქვს ჯ. ჩარკვიანს ამდაგვარი დანაშაული ჩადენილი? არავითარ შემთხვევაში! ზ. გამსახურდია მას ბრალად უყენებს, ხალხურ პოეზიას სიტყვა-სიტყვით იმეორებ და საკუთარ ლექსებად ასაღებო". მაგრამ ეს კურიოზია. ჯერ ერთი, ჯ. ჩარკვიანს არც ერთი ასეთი ლექსი მთლიანად არ მოჰყავს და ქვეშ თავის გვარს არ აწერს - საუბარია მხოლო მცირედ ვარიირებულ ციტატებზე ისეთი ხალხური ლექსებისა, რომლებიც ქართველს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი (ყოველ შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს!) დაწყებული მიხა ხელაშვილის გახალხურებული ლექსიდან და "ბინდისფერია სოფელით" დამთავრებული. ან კი შეიძლება აკაკის "სულიკოს" მოპარვა? "საყვარლის საფლავს ვეძებდი, კარგო, ვერ ვნახე. მგონი, დაკარგულიყო" - წერს ჯ. ჩარკვიანი და ზ. გამსახურდია ამას ქურდობად მიიჩნევს. სინამდვილეში ეს ალუზიაა, თუ გნებავთ რემინისცენცია და არა "ქურდობა". ზ. გამსახურდიას რომ სცოდნოდა გოეთეს აზრი ამ საკითხზე, შეიძლება ეს არც კი დაეწერა. გერმანელი ლიტერატურათმცოდნე ი. ვერნერი წერს (1986 წ.), რომ გოეთე პირდაპირ ავალდებულებდა მწერალს გამოეყენებინა ყოველივე, რაც კი წარსულის ან თანამედროვე მწერლებს შეექმნათ. "რატომ უნდა ერიდებოდეს მას", - წერს გოეთე - "ყვავილი მოწყვიტოს იქ, სადაც კი ჰპოვებს? მხოლოდ სხვათა საგანძურის მითვისებით აღმოცენდება ხოლმე დიდებული რამ". ჰაინეს სიტყვებია: "ხელოვნებაში არ

არსებობს მერვე მ(ე)ნება, პოეტს შეუძლია ყველაფერი აიღოს, თუკი თავის ქმნილებისთვის მასალას ჰპოვებს". მაგრამ იქნებ ეს წარსულის, გარდასული ეპოქის პოეტთა ნააზრევია მხოლოდ? რა ვუყოთ, თუ ისინი პოეზიის მეტ-რად ითვლებიან, განა ზ. გამსახურდია ნაკლები "გენიოსია" და თანაც ამ საუკუნის შვილი? ამ უკანასკნელი "გენიოსის" ნააზრევს, სხვა გამოსავალი არა ძაქვს, მსურს დავუპირისპირო ღრმააზროვანი რობინ ჯორჯ კოლინგვუ-დი (1889-1943), ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და ხელოვნების თეორეტიკოსი. თავის "ხელოვნების პრინციპებში" (1939 წ.) იგი ილაშ-ქრებს ე.წ. "ესთეტიკური ინდივიდუალიზმის" წინააღმდეგ. მაგრამ სჯობს ვრცელი ამონაწერი მოვიტანო მისი ნაშრომიდან: "ინდივიდუალიზმი დაჟი-ნებით ამტკიცებს", - წერს კოლინგვუდი - "რომ ჭეშმარიტი ხელოვანის ნაძუშევარი სრულიად "ორიგინალურია", რომ იგი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მის ნამუშევარს, სხვა რომელიმე ხელოვანთა მონაწილეობის გარეშე. გამოხატული ემოციები უნდა იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთარნი, ეს ეხება აგრეთვე მათი გამოხატვის ხერხებს. ადამიანები, წინას-წარ შექმნილი ასეთი ყალბი აზრით, პირდაპირ შოკში ვარდებიან, როდესაც იგებენ, რომ შექსპირის პიესები, განსაკუთრებით "ჰამლეტი", წარმოადგენენ მხოლოდ სხვა ავტორთა პიესების გადამუშავებას, ნაწყვეტებს ჰოლინ-შედიდან, პლუტარქეს "პარალელური ბიოგრაფიებიდან" და ციტატებს Gesta Romanorum-იდან. მათ ანცვიფრებთ ის გარემოება, რომ ჰენდელი თავის ქმნილებებში მთელ ტექსტებს იწერდა არნედან, რომ "სკერცო" ბეთჰოვენის დო მინორ სიმფონიისა იწყება მოცარტის სოლ მინორ სიმფონიის "ფი-ნალით", რომელიც სხვა ტონალობაშია გადატანილი, რომ ტიორნერს ჩვევად ჰქონდა თავისი კომპოზიციების სესხება კლოდ ლორენისაგან. შექსპირს, ჰენ-დელს, ბეთჰოვენს ან ტიორნერს რომ გაეგოთ, რომ ეს პრაქტიკა ვიღაცას შოკში აგდებს, ამას ძალზე გასაკვირად ჩათვლიდნენ. ყველა ხელოვანი თავისი სტილით სხვათა ნიმუშებს მისდევდა, იყენებდნენ უკვე გამოყენებულ სიუჟეტებს და ამუშავებდნენ მათ ისე, როგორადაც ისინი იყვნენ უკვე დამუშავებულნი. ამდაგვარად შექმნილი ხელოვნების ნაწარმოები შედეგია თანამშრომლობისა. ნაწილობრივ იგი ეკუთვნის მას, ვის სახელ-საც ატარებს, ნაწილობრივ კი იმას, ვისგანაც იგი ნასესხებია. მას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ, მაგალითად, შექსპირის ნაშრომებს, ამ აზრით მომდინარეობს არა მხოლოდ და არა მარტო უილიამ შექსპირის ინდივიდუალური გონებიდან, არამედ, ნაწილობრივ, აგრეთვე კიდიდან, ნაწილობრივ მარლოდან და ა.შ. თუკი ღიად და წინასწარ აკვიატებული აზრების გარეშე შევხედავთ ხელოვნების ისტორიას (ან თუნდაც მის მცირე ნაწილს, რომელიც ჩვენთვის ცნობილია), დავინახავთ, რომ თანამშრომლობა ხელოვანთა შორის ძველისძველი წესია. განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს ისეთი ფორმა თანამშრომლობისა, რომლის დროსაც ერთი ხელოვანი თავის ნაწარმოებს აფუძნებს მეორე ხელოვანის ნაშრომზე ან (თუკი გსურთ გამოიყენოთ შეურაცხმყოფელი სიტყვები) იპარავს სხვის ნაყოფთ, რათა ჩართოს ისინი თავის ნაწარმოებში. ახალი კოდექსი მხატვრული მორალისა, რომელიც

ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში, პლაგიატს მიიჩნევს დანაშაულად. აქ ნუ ვილაპარაკებთ, რა ხარისხითა და როგორ მიზეზისა თუ შედეგის სახით, ეს ახალი მორალი დაკავშირებულია მხატვრულ უშინაარსობასთან და უფერულ საუკუნესთან (თუმცა, ვფიქრობ, უცებ უნდა გახდეს აშკარა, რომ ადამიანი, რომელიც აღშფოთდება იმით, რომ იდეებს ჰპარავენ, არ უნდა იყოს იდეებით მდიდარი, ამავე დროს, იგი დაინტერესებულია არა იმდენად საკუთარი იდეების ღირსებით, რამდენადაც მხოლოდ საკუთარი რეაუტაციით); მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ ამ ბუფონადას პირადი საკუთრების გარშემო წერტილი უნდა დაესვას. დაე, მწერლებმა, ბუსიკოსებმა, მხატვრებმა ორივე ხელით წაიღონ ყველაფერი, რისი გამოყენებაც შეუძლიათ, წაიღონ ყველაფერი, სადაც კი რამეს ჰპოვებენ. თუკი ვინმეს ხელს არ აძლევს, რომ მას ძვირფას იდეებს ჰპარავენ, გამოსავალი ძალზე იოლია. მას შეუძლია შეინახოს თავისი იდეები, ისინი არასოდეს გამოაქვეყნოს და პუბლიკას, ალბათ, ყველა საფუძველი ექნება, რომ მადლიერი დარჩეს. თუკი ხელოვანს არაფრის თქმა არ შეუძლია, გარდა იმისა, რაც თავად მან მოიფიქრა, არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ იგი იდეებით ძალზე ღარიბია. თუკი მას შეეძლებოდა აღება ყველაფრისა, რაც მას სურს, სებისმიერ ადგილას, სადაც შესაძლებელია მისი პოვნა. როგორც ეს შეეძლო ევრიპიდეს, დანტეს, მიქელანჯელოს, შექსპირსა და ბახს, მაშინ მისი მარანი სავსე იქნებოდა და სასმელი მისი ღირსი გახდებოდა. დაე, ყოველმა ადამიანმა საუკეთესო იდეები თავისი მეგობრისა და შეეცადოს მათ დახვეწას. თუკი A-ს მიაჩნია თავი უკეთეს პოეტად, ვიდრე B-ს, დაე, შეწყვიტოს მან მინიშნება ამის შესახებ თავის წერილებში - დაე, გადაწეროს მან ხელახლა B-ს ლექსები და გამოაქვეყნოს საკუთარი გაუმჯობესებული ვერსია".

მომიტევოს მკითხველმა ასეთი ვრცელი ციტირება ინგლისელი ავტორისა. მაგრამ ჩვენს "ზვიადიზმით" დაავადებულ საზოგადოებაში, ვფიქრობ, ურიგო არ უნდა იყოს ცოცხალი აზრების დამკვიდრება. გაცილებით უფრო ადრე, მსგავსი აზრები განავითარა ვაჟა-ფშაველამ თავის შესანიშნავ წერილში "კრიტიკა ბ. ი.პ. ვართაგავასი", რომლის ციტირებასაც მოვერიდებით, ვგულისხმობთ რა, რომ ფართო მკითხველისათვის იგი ცნობილია.

მორიგი "დანაშაული" ჯ. ჩარკვიანისა ზ. გამსახურდიას აზრით, თურმე შემდეგი სტრიქონებია:

"სულყველა ღმერთს და ყველა მონასტერს
შენს მაღალ სულზე ვალოცვინებდი".

"ვის უნახავს, ვის გაუგია ოდესმე", - შერისხა პოეტი ზ. გამსახურდიამ - "რომ ღმერთი ლოცულობდეს, განა მისდამი არ ლოცულობენ?"

აქ ზ. გამსახურდია ელემენტარულ უცოდინარობას ამჟღავნებს რელიგიათმცოდნეობაში. პოეტი თავის სტრიქონებში მრავალ ღმერთს მიმართავს, რაც უტყუარი ნიშანია პოლითეიზმისა. თუ ამ ფაქტს ზ. გამსახურდია, როგორც მორწმუნე ქრისტიანი აფასებს, მაშინ მას უნდა სცოდნოდა, რომ მრავალღმერთიანობა ქრისტიანისათვის იგივეა, რაც ულმერთობა (იხ. პავლე, ეფესელთა მიმართ, 2,12) და მაშინ მისი საყვედური ძალას კარგავს, როგორც

უაზრობა. ხოლო ზ ჯბოხსენებული სტრიქონები შეიძლება განხილულ იქნას ე.წ. პოეტური თავისუფლების გამოვლინებად. გარდა ამისა, მსოფლიოში არის რივი რელიგიები, სადაც არ არსებობს პიროვნული ღმერთი ანუ ეს რელიგიები ათეისტურნი არიან და ბუნებრივია, იქ არ არის ღვთისადმი, როგორც ობიექტურად არსებულისადმი, თაყვანისცემა (მაგ. ჯაინიზმი, ბუდიზმი და სხვ.). ხოლო მითიური პოლითეიზმის შემთხვევაში, მოვლენათა ე.წ. ნუმინოზური საწყისები ანუ ღმერთები, ძაგიის მეშვეობით შეიძლება არათუ ალოცო, არამედ მთლიანად დაიმორჩილო. ეს უკანასკნელი გარემოება კარგად აქვს აღწერილი გერმანელ ფილოსოფოს კურტ ჰიუბნერს თავის წიგნში "მითის ჭეშმარიტება" (1985 წ.), ქვეთავში: "ექსკურსი მაგიისა და მითის განსხვავებისათვის". ამრიგად, ყველაფერი დამოკიდებულია პოეტის მსოფლმხედველობაზე. მის პოზიციასა და მიდგომაზე.

ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ პოეტი ჯ. ჩარკვიანი "არაქრისტიანია". რასაც მისივე ლექსების უმეტესი ნაწილი უარყოფს, არამედ ის, რომ ზემოხსენებული სტრიქონები ერთგვარი, პოეტისათვის მინიჭებული თავისუფლების გამოვლინებაა, დაახლოებით ისე, როგორც ცხონებული შოთა ჩანტლაძე ღიღინებდა ხოლმე ასეთ ლექსს: "ყველა ღმერთი შემიყვარდა, სიყვარულის ღმერთის გარდა", რაშიც არამც და არამც ქრისტე არ იგულისხმებოდა. მაგრამ იქნებ შევეშვათ "საწყალ" ჯანსულ ჩარკვიანს და ამ მხრივ სხვა პოეტი განვიხილოთ? ჩინებულ მაგალითად გამოდგება მეოცე საუკუნის დიდი პოეტი რაინერ მარია რილკე და მისი ლექსთა კრებული "ჟამნი", რომლის მთავარი თემა - ღმერთია, მაგრამ როგორი ღმერთია ეს? რილკეს შემოაქვს ცნება "ღმერთის ქმნადობისა" და პირდაპირ წერს, რომ "ჩვენ ვაშენებთ მას მთრთოლვარე ხელებით". სხვა ადგილას იგი ღმერთს ასე მიმართავს: ვითარცა ბავშვის, მე შენი აკვნის, ძალმიძს დარწევა" და სხვ. ცხადია, ზ. გამსახურდიას მრისხანე მაკრატელს იგი ვერ გადაურჩებოდა. მაგრამ, ვიმეორებ, პოეტისა და ნებისმიერი ადამიანის ღმერთთან დამოკიდებულებაში მთავარი განმსაზღვრელია მათი მსოფლმხედველობა.

ახლა დაპირებული "ქართველი ჟურავლიოვის" შესახებ. იგი - ზვიად გამსახურდია გახლავთ. თავის დროზე მე პროზაულად ვთარგმნე რილკეს "ჟამნი". ცხადია, არა დასაბეჭდად, არამედ ჩემთვის. იგი წავაკითხე რამდენიმე მეგობარს (ამ ფაქტის შესახებ თეიმურაზ ჭანტურაშვილმაც დაწერა), მათ შორის - ზვიადს. ცოტა ხნის შემდგომ, 1973 წელს, ზ. გამსახურდიამ თავისი ლექსთა კრებული გამოსცა, და ერთი ეგზემპლარი, დიდი წარწერით, მისახსოვრა. აქ აღმოვაჩინე ე.წ. ლექსი "სამება" რომელიც რილკეს სამი ლექსისაგან იყო კომბინირებული. "ეგრეთ წოდებულს" იმიტომ ვუწოდებ ამ ლექსს, რომ ზვიადს ჩემი პროზაული თარგმანები პირდაპირ გადაეტანა თავის წიგნში და ცხადია, "ლექსისადმი" წარდგენილ მოთხოვნილებას იგი არ აკმაყოფილებდა. სხვათა შორის, იგივე შეიძლება ითქვას მის უმეტეს ლექსებზე. როდესაც მივანიშნე ამ გარემოებაზე, მან თეატრალურად შუბლში იტკიცა ხელი და თავის წიგნუკას რამდენიმე ეგზემპლარს ჩააკრა "განმარტება", რომ "ლექსის დასაწყისი ეხმაურება რილკეს ცნობილ ლექსს:

"მრავალი ანგელოსი გეძებს სინათლეში" და ა.შ. მაგრამ ეს არ იყო მართალი, ვიმეორებ, რადგან იგი რილკეს სამი ლექსისაგან იყო კომბინირებული. ამ ვრცელი ლექსების აქ დემონსტრირებას მოვერიდები, მაგრამ მზად ვარ ზვიადისტთა დანაშნულ ნებისმიერ სასამართლოზე წარვადგინო ზემოთქმულის დამადასტურებელი მასალა. პირდაპირ ტრაგიკომიკური იყო მაშინდელი სიტუაცია და დარწმუნებული ვარ, მის დანარჩენ ლექსებს რომ ჩაუჯდეს ინგლისურენოვანი კომისია, იქ მრავალ იმდაგვარ "მარგალიტებს" აღმოაჩენს. პირადად მე ასეთი "ლიტერატურული კრიმინალისტიკის" ჟინი არც მაშინ და არც ახლა არა მქონია.

ჰაინრიხ ჰაინე ერთგან ამბობს: "ჩემი დიდი ტკივილისაგან მე შეკეთებული პატარა სიმღერები".

ზ. გამსახურდიას "ლექსებზე" ამას ვერ იტყვი.

გაზ. "ლიტერატურული საქართველო",
29 სექტემბერი - 5 ოქტომბერი, 2000 წ.

ჯეშმარიტების დასადგენად

უთუოდ მისასალმებელია ქუთაისის გამომცემლობის მიერ ცნობილი ისტორიკოსის, ეგნატე გაბლიანის ძის, მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული ემიგრაციაში მყოფი, ბატონი გივი გაბლიანის "ჩემი მოგონებანის" გამოცემა (გამომცემელი პროფ. მიხეილ რეხვიაშვილი, რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე), რომლის დამამთავრებელი მეორე ტომი, ინგლისურიდან ნათარგმნი, ახლახან მიიღო ჩვენმა მკითხველმა. თქმა არ უნდა - გერმანული დროშის ქვეშ მებრძოლი მამაცი კაპიტნის (ეს სამხედრო წოდება მას ომის დასასრულს მიუღია), გივი გაბლიანის მემუარები დიდ ინტერესს აღძრავს მკითხველში, თუნდაც იმიტომ, რომ იგი თვითმხილველია და, ასე ვთქვათ, საკუთარ ტყავზე აქვს გამოცდილი იმ ომის მთელი საშინელება და ტრაგედია. ავტორის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ჩინებული მეხსიერების წყალობით, არადა "მოგონებანი" მას დაუსრულებია 1995 წელს, ბევრი ქართველი მებრძოლისა თუ დაღუპულის გვარი შემოგვინახა, ასახა ომის მრავალი პერიპეტია თუ დეტალი და კიდევ ერთხელ დაგვანახვა ჩვენი ბედუკულმართი წარსული, როდესაც ქართული სისხლი იღვრებოდა ფრონტის ორივე მხარეს, მტაცებელ იმპერიათა დროშის ქვეშ. მაგრამ ამ წიგნის ღირსებებზე ამჯერად არ მსურს საუბარი, მასში თავად მკითხველი დარწმუნდება, როდესაც "მოგონებებს" წაიკითხავს. ამ წერილის დაწერის მიზანი უფრო სხვა რამ არის. გულისტკივილით მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ წიგნში ჩემი ღრმა რწმენით, უსამართლოდ არის საკმაოდ ბნელ ფერებში დახატული ორი ღირსეული პიროვნება, რომელთა მიმართ, პირადად მე, განსაკუთრებული მოწიწების გრძნობა გამაჩნია. პირველი, უდავოდ, ეს გახლავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), მეორე - შალვა მაღლაკელიძეა, ახალციხისა და ტფილისის გენერალ-გუბერნატორი 1918-21 წლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანული არმიის პოლკოვნიკი, ქართული ლეგიონების "პატრონი" (შვიდი ლეგიონიდან ერთ-ერთს მისი სახელი მიენიჭა), ხოლო 1944 წლიდან გერმანული არმიის გენერალი. ამ უკანასკნელის ტრაგიკული ბედი, სხვა ფაქტობრივ მასალებთან ერთად აღწერილია ჩემს მიერ შედგენილ ექვსასგვერდიან წიგნში "ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში", (თბილისი, გამომცემლობა "განათლება", 1994 წ.). აქვეა აღსანიშნავი, რომ დღეს ეს წიგნი დიდ "მოდაშია" ყვითელი პრესისათვის: იქიდან მთელ ტექსტებს იწერენ, აქვეყნებენ მასში მოთავსებულ ფოტოებს და ყველაფერი ეს ხდება პირველწყაროს მოხსენიების გარეშე.

დავიწყოთ გენერალ მაღლაკელიძით, რადგან მისი ისტორიის გაშუქებით ნათელი ეფინება აგრეთვე მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის გაშავების მცდელობასაც.

ჯერ კიდევ 1992 წელს, როდესაც შ. მაღლაკელიძე უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, საქართველოს ეწვია ემიგრანტი, ექიმი დავით ჩხა-

ტარაშვილი, რომელმაც "ლიტერატურულ საქართველოში" (30 ოქტომბერი, 1992 წ.) შ. მაღლაკელიძის დამცირება სცადა: "ბატონი მაღლაკელიძე გერმანელი გენერალი არასოდეს ყოფილა. იგი მეფის დროს "პროპორშჩიკი" იყო, სოლო გერმანულ ჯარში 195-ე ქართულ ბატალიონში იყო მრჩევლად უფროს ლეიტენანტ ბიირთან". ექიმ ჩხატარაშვილის არ გამოხდომას მე დასაბუთებული პასუხი გავეცი ამავე გაზეთში (6 ნოემბერი, 1992 წ.), სადაც დამოუკიდებელი წყაროების მიხედვით წარმოვაჩინე, რომ იგი, შ. მაღლაკელიძე, გაცილებით დიდ როლს ასრულებდა ისტორიაში, ვიდრე ეს ექიმ ჩხატარაშვილს სურდა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ ნ. ჟორდანია თავის "მოგონებებში", აღწერს რა თბილისის დატოვებას 1921 წელს, აღნიშნავს, რომ ქალაქის მოსახლეობისადმი მიმართვა - პროკლამაციების გავრცელება დაავალა გუბერნატორს და არა უბრალოდ "პროპორშჩიკს". ანდა გავიხსენოთ თუნდაც პოლონეთის არმიის დივიზიის გენერლის, ალექსანდრე ზაქარიაძის "მოგონება", როდესაც იგი 1939 წელს ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს. იგი წერს: "მხოლოდ ორი კვირის შემდეგ ჩამომიყვანეს ტყვეთა ბანაკიდან. მაგრამ, საბედნიეროდ, ბ-ნ შალვა მაღლაკელიძის ინიციატივით ამ საკითხში ჩაერია გერმანული სარდლობა. მე მიმცეს საველე სასამართლოში, რომელმაც გამამართლა" (იხ. ჟურნ. "მხედარი", №1-4, 1994 წ.). როგორც ვხედავთ, აქაც ბ-ნი შალვას როლი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე "უფროს ლეიტენანტ ბიირის მრჩევლისა".

გაცილებით დიდ სამხედრო წოდებას არგუნებს ბ-ნი გივი გაბლიანი შალვა მაღლაკელიძეს, როდესაც მას "პოლკოვნიკად" მოიხსენიებს, მხოლოდ ეჭვი ეპარება მის "გენერლობაში" (იხ. გ. გაბლიანი, ტ. II, გვ. 248). მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იგი "სასაცილოს" უწოდებს ქართველ ემიგრანტებში გავრცელებულ აზრს, რომ შ. მაღლაკელიძე საბჭოთა დაზვერვამ მოიტაცა. "როგორც ჩანსო" - ამბობს გ. გაბლიანი - "იგი მისულა გოგი (გიორგი) ვეფხვაძესთან და დაუპირებია მისი საბჭოელებისაკენ (სიტყვათა ასეთი დამახინჯება არცთუ იშვიათად გეხვდება ტექსტში, ვ.რ.) გადაბირება". ამის მერე, ამას რომ ვერ მიაღწიაო, განაგრძობს თავის ვარაუდებს გ. გაბლიანი, მან სწრაფად დატოვა გერმანია და "საბჭოეთის მიწას" მიაშურაო.

საკვირველია, თუ გადაბირება უნდოდა "საბჭოელებისაკენ", რაღა გოგი ვეფხვაძეს მიმართა ცხონებულმა შ. მაღლაკელიძემ და არა საკუთარ ძეს, გაიოზს, რომელიც ბრწყინვალე ოფიცერი გახლდათ გერმანიის არმიისა, ხოლო გაიოზის ძე, ანუ შვილიშვილი შალვასი, შემდეგ სამხედრო მფრინავი იყო ამერიკის ჯარში. მან ვიეტნამის ომში თავი გამოიჩინა და სამხედრო ჯილდოები აქვს მიღებული?!

აქ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია გერმანიიდან ჩამოტანილი გაიოზ მაღლაკელიძის (გარდაიცვალა 1989 წლის 29 მაისს) არქივი, რომელზედაც მუშაობის დროს არაერთგზის წავაწყდი თავად ბატონ გაიოზის საჯარო განცხადებებს, რომელთა მიზანი

იყო, დაედასტურებინა 1954 წლის აგვისტოს დას. ბერლინიდან, საბჭოთა აგენტების მიერ მამამისის, შალვას გატაცების ფაქტი, ხოლო ვინც ამას უარყოფდა ან ამის შესახებ ჭორებს ავრცელებდა, სახელდებით იწვევდა მათ ღირსების სასამართლოზე და დუელში. უნდა მოგახსენოთ, იმდროინდელი პრესით თუ ვიმსჯელებთ, გაიოზის ამ განცხადებას ყველა გაუჩუმდა და ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში ამის თაობაზე კრინტი აღარავის დაუძრავს. აქვე დავუმატებ, რომ ამავე არქივში დაცულ გერმანულენოვან დოკუმენტებში შ. მაღლაკელიძე მოიხსენიება, როგორც გერმანიის არმიის გადამდგარი გენერალი (General a.D). ის, რომ შ. მაღლაკელიძე ნამდვილად იყო გერმანული არმიის გენერალი, რასაც აღნიშნავდნენ ქართველი ემიგრანტები (იხ. მაგალითად, ფილოსოფიის დოქტორის, ილია კუჭუხიძის "მოგონებები", მიუნხენი, 1985 წ.), კიდევ ისიც ადასტურებს, რომ ბედის ირონიის წყალობით, ამ სიტყვების ავტორმა 1976 წელს დაწერე და არალეგალურ ჟურნალში ("საქართველოს მოამბე", №2, 1976 წ.) გამოვაქვეყნე ნეკროლოგი შ. მაღლაკელიძეზე. ეს "ნეკროლოგი" შემდეგ ჩემი დაპატიმრების მთავარ ბრალდებად იქცა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ამ ნეკროლოგში მე "ქება-დიდებას ვასხამდი ფაშისტ გენერალ შ. მაღლაკელიძეს!" მკითხველი დამეთანხმება, რომ "კგბ"-ს არავითარ შემთხვევაში უფრო ნაკლები არ უნდა სცოდნოდა შ. მაღლაკელიძეზე, ვიდრე დ. ჩხატარაშვილსა თუ გ. გაბლიანს.

ახლა ხაზგასასმელია ის გარემოება, როგორ ხდებოდა შ. მაღლაკელიძის "მოგონებანის" ჩაწერა. განსხვავებით გ. გაბლიანის "მოგონებებისაგან", რომელიც ინგლისურ ენაზე დაუწერია ავტორს, ხოლო მისი პირველი ტომის თარგმანი დააფინანსა ამერიკელმა ბიზნესმენმა გივი ზალდასტანიშვილმა, მეორისა კი - თავად გ. გაბლიანის შვილებმა, შ. მაღლაკელიძის "მოგონებანის" ჩაწერა ხდებოდა ფარულად, 1975 წლის აგვისტოში, თბილისში, როდესაც აქ კიდევ მძვინვარებდა რუსული იმპერიის კომუნისტური რეჟიმი. ამიტომ ამ ჩანაწერების გამოქვეყნება შეუძლებელი იყო, თვით დიდი სურვილიც რომ გვქონოდა ამისა. მაშინ ამაზე არც კი გვიფიქრია, უბრალოდ, ეს "მოგონებანი" უნდა დარჩენოდა შთამომავლობას. 81 წლის შ. მაღლაკელიძისათვის ეს იყო რაღაც აღსარების მსგავსი და ამ ჩაწერის მერე მას დიდხანს აღარ უცოცხლია, იგი მომდევნო წელს გარდაიცვალა. გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად კი სიკვდილის წინ ცდილობენ სიმართლე თქვან. ჩემთვის, ჩამწერისათვის, გენერლის მონაყოლის ჭეშმარიტისეულ ხასიათზე ისიც მეტყველებდა, რომ მისი მონათხრობი უწყვეტ ლოგიკურ ჯაჭვს წარმოადგენდა, ხოლო თავისი მასშტაბურობით ნამდვილად აღემატებოდა უბრალო "ლეიტენანტისა" თუ "კაპიტნის" მონათხრობს.

ყოველივე ზემოთქმულმა უკვე ჩვენს დროს ბრწყინვალე დადასტურება ჰპოვა, როდესაც ხელმისაწვდომი გახდა ქართველ ემიგრანტთა მემუარული ლიტერატურა და განსაკუთრებით ის გარემოება, როდესაც ხელთ ჩამივარდა მეორე მსოფლიო ომის დროს ბერლინში გამომავალი ქართულენოვანი გაზეთი "საქართველო", რომელიც ქართველ მხედართათვის იყო გან-

კუთვნილი და თითქმის ომის დასასრულამდე გამოდიოდა. ჩემს მიერ გამოცემულ ზემოხსენებულ ექვსასგვერდიან წიგნში გაზეთების თითქმის მთელი ეს კომპლექტია შესული.

რა შევიტყვეთ ამ ხნის მანძილზე, დღიდან მისი "მოგონებანის" ჩაწერისა, შალვა მაღლაკელიძეზე? პირველ ყოვლისა ის, რომ, გენერლის მონათხრობი ზუსტად გადმოსცემს ისტორიის ფაქტობრივ მხარეს და თუკი მასში რაიმე უზუსტობა ან სულაც შეცდომაა გაპარული, ეს მის ხანდაზმულობას, მეხსიერების გაგებით, უნდა მიეწეროს და კიდევ იმ გარემოებას, რომ ვიმეორებ, ეს ჩაწერა ხდებოდა ფარულად, არალეგალურად და ხელთ არ გაგვაჩნდა რაიმე ლიტერატურა, რომელზე გადამოწმებითაც შეიძლებოდა გენერლის ზეპირი მონათხრობის ჩასწორება. ამგვარად, შ. მაღლაკელიძე "გასაბჭოებულ" საქართველოდან ემიგრაციაში წასვლის შემდგომ მოგვევლინა რიგი პატრიოტული ორგანიზაციების თავმჯდომარედ ან თანათავმჯდომარედ, როგორებიც იყვნენ "ორნატი", "თეთრი გიორგი", "ქართლოსი" და სხვა. ამ დროს მისი კრიტიკოს-მაგინებელნი, მომიტევოს ბ-მა გ. გაბლიანმა, ჯერ კიდევ ყმაწვილები იყვნენ ან სულაც ბავშვები. ომის დროს ჩვენ უკვე ვიცით მისი როლი, მაგრამ მაინც მცირე ამონაწერს მოვიტან იმდროინდელი გაზეთიდან ("საქართველო", "ქართული ლეგიონის" ყოველკვირეული გაზეთი, 6 ივნისი, 1943 წელი, №22-23): "ამ უკანასკნელ დროშაზე მეწამულ ფონზე, ამოქარგული იყო ბ-ნი შალვას ინიციალები შ.მ. და ეს ენიჭებოდა ამ ლეგიონს განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურების გამო მისი საბრძოლო მეთაურის, პოლკოვნიკ შალვა მაღლაკელიძის პატივსაცემად".

ამის მერე, როდესაც ბრძოლებში გარდატეხა მოხდა რუსეთის სასარგებლოდ, გერმანიის სარდლობამ ქართული ლეგიონები დასავლეთ ევროპაში გადაისროლა, რითაც ფრიად აღშფოთდა შ. მაღლაკელიძე, რადგან, მისი განცხადებით, ჩვენ ფიცს ვაძლევდით, რომ ვიბრძოლებდით რუსეთის წინააღმდეგ ქართული მიწის გასათავისუფლებლად და არა ინგლის-ამერიკის ჯარების წინაღმდეგო. განაწყენებული შ. მაღლაკელიძე ლეგიონებს ჩამოაშორეს და 1944 წელს "საკომპენსაციოდ" გენერლობა უბოძეს (ამ ამბის ფართო და დეტალური განხილვა იხ. ჩემ მიერ ზემოხსენებულ წიგნში).

დიახ, ასეთი იყო იმ დროს შ. მაღლაკელიძის პოზიცია, განსხვავებით ბ-ნი გ. გაბლიანის პოზიციისაგან. იმავე გაზ. "საქართველოთი" თუ ვიმსჯელებთ, ომის ბოლოს ძალზე შესამჩნევი ხდება ამ უკანასკნელის ფიგურა გაზეთის ფურცლებზე, რაც მე, სრული ობიექტურობის დაცვით, როგორც ისტორიკოსმა, უკლებლივ შევიტანე ზემოხსენებულ კრებულში. აქ ფოტოც კი ქვეყნდება ბ-ნ გივი გაბლიანისა, რომელსაც, ობერლეიტენანტს, I კლასის მამაცობის ორდენით აჯილდოვებენ. მაგრამ საყურადღებო აქ თავად გ. გაბლიანის მოწოდებებია ქართველ მეომართა მიმართ და ეს კეთდება, ვიმეორებ, ომის მიწურულს, გ. გაბლიანი მოუწოდებს ქართველ ჯარისკაცებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლონ... ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებს! როგორც ჩანს, ბატონ გივის დაავიწყდა გაზეთ "საქართველოს"

არსებობა, სადაც დოკუმენტური სიცხადითაა ასახული მისი პოლიტიკური მრწამსი იმ დროს, თორემ ცოტა უხერხულობას მაინც იგრძნობდა იმის გამო, რომ რამდენიმე თვეში მან ეს მოწოდებები "დაივიწყა", გერმანიას ზურგი აქცია და "საძულველ" ამერიკის შეერთებულ შტატებს შეაფარა თავი ოჯახთან ერთად. ამისი ჩამდენი, თითქოს შ. მაღლაკელიძეს აღარ უნდა ედავებოდეს, თორემ რა გამოდის? (სრული კომპლექტი გაზეთ "საქართველოსი", სადაც მკითხველი უფრო ფართოდ იხილავს გ. გაბლიანის იქ დაბეჭდილ სიტყვებს ომის მიწურულს, ინახება ბ-ნ გურამ შარაძესთან, რომელმაც თავის დროზე მათხოვა იგი წიგნში შესატანად).

რაც შეეხება შ. მაღლაკელიძეს, იგი გერმანიაში 1954 წლის 26 იანვარს აარსებს ორგანიზაციას, სახელწოდებით "ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში", რომელსაც დიდად კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა (დაწვრილებით იხ. ზემოხსენებულ წიგნში 588 გვერდიდან). მაგრამ იმავე წლის აგვისტოში, როგორც ვთქვით, მას რუსეთის აგენტურა იტაცებს დასავლეთ ბერლინიდან და საბოლოოდ საქართველოში ჩამოჰყავთ. ჩეკისტების მიერ განხორციელებული ასეთი მოტაცების არა ერთი და ორი ფაქტი უკვე არსებობდა რუსი თეთრგვარდიელი გენერლებისა და სხვათა (უკრაინელების, სერბების და ა.შ.) მიმართ, ხოლო მიზანი შ. მაღლაკელიძის მოტაცებისა უფრო პროპაგანდისტული ხასიათისა უნდა ყოფილიყო და გენერალს რაღაც სატყუარას როლი უნდა ეთამაშა, რომ აი, შეხედეთ, ასეთ ხალხს ჩვენ ხელს არ ვახლებთ და სხვებსაც შეუძლიათ ჩამოსვლაო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ გენერალს თავისი მოტაცების ამბავი არ დაუმალავს და პირიქით, სხვებსაც აფრთხილებდა. უფრო დაწვრილებით ამის თაობაზე მკითხველს ისევ ზემოხსენებულ წიგნზე მივუთითებ, სადაც იგი აგრეთვე ქართველი ლეგიონერების ძალზე დადებით მოგონებებს იხილავს გენერალზე.

ახლა დადგა დრო, რომ ვიკითხოთ, განსაკუთრებით ბატონები დავით ჩხატარაშვილი და გივი გაბლიანი რატომ არიან ასე დაინტერესებულნი შალვა მაღლაკელიძის "მხილებითა" და ძაგებით. მართალია, თავად ბ-ნი შალვა აღნიშნავდა მის გაუცხოებასა და არამეგობრულ დამოკიდებულებას ემიგრანტთა გარკვეულ წრეებთან, რასაც იმით ხსნიდა, რომ ამ ემიგრანტებს, მეტწილად სოციალ-დემოკრატებს, ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა უნდოდათ და რადგან გერმანულ სამხედრო უწყებაში საკმაოდ მაღალი პოსტები მეკავა, მოითხოვდნენ, რომ მათთვის პატაკები და ახსნა-განმარტებები ჩამებარებინაო, რასაც მე არავითარ შემთხვევაში არ ვაკეთებდი და არც უნდა გამეკეთებინაო. მაგრამ რაც შეეხება ბ-ნ დ. ჩხატარაშვილსა და ბ-ნ გ. გაბლიანს, აქ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. საკმარისია ითქვას, რომ ორივე ეს ბატონი ქვისლები არიან. თავის დროზე მათ ქართველი ემიგრანტის გრიშა ალშიბაიას ქალიშვილები მოუყვანიათ ცოლად (რამდენადაც ვიცი, ბ-ნი დავით ჩხატარაშვილი დღეს ცოცხალი აღარ უნდა იყოს). ამ ჩვენთვის უკვე ცნობილ ქვისლებს ჰყავდათ კიდევ ერთი ცოლისძმა, ბატონი მიხეილ გრიგოლის ძე ალშიბაია. რათა მკითხველი კარგად

გაერკვეს სიტუაციაში, ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ ბ-ნი შალვა მაღლაკელიძე ადრეც და განსაკუთრებით გერმანელთა მიერ პოლონეთის ოკუპაციის დროს, დიდად მეგობრობდა ვარშავაში მცხოვრებ მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძესთან. გრიშა ალშიბაია კი იმ დროს ვარშავაში ცხოვრობდა. და აი, 1992 წელს თბილისში ჩამოსულმა დავით ჩხატარაშვილმა ჟურნალ "განთიადში" წაიკითხა უკვე კარგა ხნის წინ გარდაცვლილი შალვა მაღლაკელიძის "მოგონებანი" (იგი ქვეყნდებოდა ჟურნალის რამდენიმე ნომერში, გაგრძელებებით). ცხადია, მას კარგ გუნებაზე არ დააყენებდა მაღლაკელიძის ეს ნაამბობი: "გრიშა ალშიბაია ამ თავისი გერმანულის ცოდნით დაუახლოვდა გერმანელებს და მალე გახდა მათი გესტაპოს "ფერტრაუესმანი" - სანდო პირი - პოლონეთის ტერიტორიაზე. ამავე დროს იგი უწინაც უპირისპირდებოდა ქართული საზოგადოების თავმჯდომარეებს პოლონეთში - ყურულაშვილს, კოტე იმნაძეს, ე.ი. მას თავმჯდომარეობა უნდოდა - მაშინ მას უფრო დააფასებდნენ პოლონელები და მერე გერმანელები. ამ მიზნით, ალბათ, იგი გრიგოლ ფერაძესაც გადაემტერა, რადგან ფერაძეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და შესაძლო იყო აერჩიათ იგი საზოგადოების თავმჯდომარედ. რაც შეეხება მიშა ალშიბაიას, ისიც გესტაპოსთან თანამშრომლობდა. ომის მერე მიშა ალშიბაია ამერიკელებს მიემხრო და გაყიდა ყველა ის, ვინც "გესტაპოში" იყო - ასეთი იყო ემიგრაციის აზრი, ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ ის ფაქტი, რომ ალშიბაიების მთელი ოჯახი სიძეებიანად ამერიკაში წავიდა, რაღაცაზე მეტყველებს".

ამას დ. ჩხატარაშვილმა "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე, როგორც უკვე ვთქვით, ტყუილითა და ცილისწამებით უპასუხა და როგორც ქვემოთ კიდევ დავრწმუნდებით, სამწუხაროდ, არც ბ-ნი გ. გაბლიანი დაშორებია დიდად ამ მხრივ თავის ქვისლს.

სანამ ამ მორიგ ცილისწამებათა გამომზეურებაზე გადავიდოდეთ, მკითხველს მსურს შევახსენო გრიგოლ ფერაძის პიროვნება. როგორც აღვნიშნე, საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. წელს ჩვენმა ეკლესიამ გამოსცა წიგნი - "ქართველ წმინდანთა ცხოვრება", რომელიც, როგორც გარეკანზე ვკითხულობთ, "ეძღვნება ქრისტეს შობიდან 2000 და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავს". რასაკვირველია, წიგნი დაიბეჭდა უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით. თქმა არ უნდა, რომ მასში შესული ჩვენი წმინდანთა ცხოვრება მაქსიმალურად შეჯერებულია ისტორიულ პირველწყაროებთან და სხვა სასულიერო მნიშვნელობის ტექსტებთან. სწორედ ნოემბერში აღინიშნება, ამ წიგნის მიხედვით, ოსვენციმის ბანაკში აღსრულებული, (1942 წ.) წმინდა მღვდელმოწამე არქიმანდრიტის - გრიგოლის ხსენება. რას ვიგებთ წიგნში გამოქვეყნებული წმინდანის ცხოვრებიდან? იგი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ გაიგზავნა გერმანიაში, სადაც შემდგომში ღვთისმეტყველებას ეუფლებოდა. ისეთი წარმატებული გამოდგა წმ. მამის განსწავლა, რომ უკვე 1927 წელს ბონის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე დაინიშნა.

1931 წლიდან ბერად აღიკვეცა და მღვდელ-მონაზვნის ხარისხიც მიიღო. "მთელ თავის სახსრებს" - ნათქვამია მის "ცხოვრებაში" - "იგი ახმარდა სირია-პალესტინაში, საბერძნეთში, ბულგარეთში, ავსტრიაში, რუმინეთში, იტალიასა და ინგლისში ქართული საეკლესიო ხელნაწერებისა და ქართული ეკლესიის ისტორიისათვის ცნობების მოძიებას". შემდეგ: "ქართულმა საზოგადოებამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არაფერი იცოდა მისი ნაშრომებისა და მოღვაწეობის შესახებ, არ იცოდა, რომ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გატანილი საქართველოს ეკლესიის განძეულობა, როდესაც მას შენახვის ვადა გაუვიდა, ფაშისტების კონფისკაციას გრიგოლ ფერაძის წყალობით გადაურჩა. მან, როგორც ექსპერტმა, სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, დასკვნაში აღნიშნა, რომ იგი არავითარ მატერიალურ ფასეულობას არ წარმოადგენს და მხოლოდ ეროვნული ღირებულება ჰქონდა; ქართულმა საზოგადოებამ არც ის იცოდა, რომ მისი დაარსებულია წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია პარიზში და სამრევლო ჟურნალი "ჯვარი ვაზისა". 1942 წლის მაისში გრიგოლ ფერაძე ვარშავაში გესტაპომ დააპატიმრა. მის ბინაზე ჩატარდა ჩხრეკა, რის შედეგადაც გაქრა ის ძვირფასი ძველი ხელნაწერები, რომლებზეც იგი მუშაობდა, ასევე ძვირფასი საეკლესიო ნივთები, რომელთაც იგი თავისი მოგზაურობის დროს საქართველოში დასაბრუნებლად იძენდა. დაპატიმრების უშუალო მიზეზი გახდა ის, რომ მამა გრიგოლი ეხმარებოდა და იფარავდა ფაშისტებისაგან დევნილ ებრაელებს თუ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. გრიგოლ ფერაძე ჩასვეს პავიაკის ციხეში (ვარშავაში). იმავე წლის ნოემბრის დამდეგს გააგზავნეს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. ოფიციალური გერმანული ცნობების თანახმად, გრიგოლ ფერაძე აღესრულა 1942 წლის 6 დეკემბერს, 16 საათსა და 45 წუთზე. როგორც ირკვევა, არქიმანდრიტმა თავს იდო სხვისი დანაშაული, რის გამოც გაზის კამერაში მოაკვდინეს". (იხ. აგრეთვე გოჩა ჯაფარიძის "შესავალი წერილი" წიგნში: "გრიგოლ ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრის შესახებ", თბ. 1995 წ.).

"ქართველ წმინდანთა ცხოვრების" ამ მონაცემებს წინ უძღოდა გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" (17-24 იანვარი, 1997 წ.) ბატონ ამბროსი გრიშიკაშვილის პუბლიკაცია, რომელმაც პოლონური ჟურნალიდან თარგმნა პოლონელი მღვდლის, ჰენრიკ პაპროცკის გამოკვლევა გრიგოლ ფერაძის საქმის შესახებ, რომელიც მან ჩაატარა "საქართველოს ემიგრაციული მთავრობის დოკუმენტების ფოტოასლების" განხილვის შედეგად. ცხადია, ამ ვრცელ განხილვას აქ ვერ გადმოვიტანთ, მაგრამ ჩვენდა, ქართველების სამარცხვინოდ, პოლონელი მღვდელი დაასკვნის, რომ გრ. ფერაძე გახდა მსხვერპლი "პოლიტიკური ინტრიგებისა და პარტიული ანგარიშსწორებისა". ჯერ იყო და გრ. ფერაძეს (სხვათა შორის, შ. მაღლაკელიძესთან ერთად) ცილი დასწამეს, რომ მან გერმანელებს დააპატიმრებინა სამი ანტიგერმანულად განწყობილი ოფიცერი. ამაზე პოლონელი მღვდელი განცვიფრებული კითხულობს: "თუ მღვდელი ფერაძე ოკუპაციის დროს გერმა-

ნელებთან თანამშრომლობდა, მაშინ როგორ მოხდა, რომ იმავე გერმანელებმა დააპატიმრეს იგი 1942 წლის 5 მაისს და იმავე წლის ბოლოს (6 დეკემბერს) ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში სასიკვდილოდ გაიმეტეს?" მაგრამ ყველაზე მართალ ვერსიად პოლონელს მიაჩნია გერმანულ ენაზე დაწერილი ერთადერთი დოკუმენტი პოლკოვნიკ კანდელაკისა, რომელიც მან წარუდგინა გრიგოლ ალშიბაიას და სადაც გრ. ფერაძე დახასიათებულია როგორც "ფულზე დახარბებული კაცი", რომელსაც კავშირი ჰქონია პოლონეთის კონტრდაზვერვასთან. "ეს დოკუმენტი" - ამბობს პოლონელი მღვდელი - "რომელიც ნამდვილად გერმანელთათვის გამზადდა, სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო".

ჯერ კიდევ ჩემთან საუბრის დროს გენ. შ. მალლაკელიძემ გრ. ფერაძის დაპატიმრების შესახებ თქვა, რომ საწყალს ჩხრეკის დროს ერთადერთი ხუთდოლარიანი უპოვეს და ეს "დიდ სამხილად" იქნა მიჩნეული. ხოლო კანდელაკის "დონოსში" გრ. ალშიბაიასადმი, გრ. ფერაძეს ბრალი ედება, რომ პოლონური კონტრდაზვერვის წყალობით მან "გარკვეული თანხა მოიპოვა". რაც "საშუალებას აძლევდა ხშირად წასულიყო საზღვარგარეთ". ამაზე პოლონელი მღვდელი დასძენს: "დახასიათების ავტორმა ვერ გაითვალისწინა, რომ უნივერსიტეტის ხელფასი, მარტოხელა პროფესორს საშუალებას მისცემდა, ხანდახან ემოგზაურა საზღვარგარეთ". პოლონელის თქმით, გრ. ფერაძის განადგურებას აშშ-ში მცხოვრები გიორგი ნაკაშიძე მთლიანად ქართველების "დამსახურებად" მიიჩნევს, ვიცი, ვინც ეს ჩაიდინა, მაგრამ ვერ ვიტყვიო (საინტერესოა, შეერთებულ შტატებში მცხოვრები ბერიკაცი ვინ დააფრთხო ისე, რომ სიმართლის თქმის ეშინია?!). დაბოლოს, ჰენრიკ პაპროცკი გვამცნობს შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტს. "1994 წლის ივნისში", - ამბობს იგი - "პოლონეთ-ისრაელის იანუშ კორჩაკის სახელობის მეგობრობის საზოგადოებამ ვარშავის მიტროპოლიას გაუგზავნა წერილი, სადაც ნათქვამია: გთხოვთ, თქვენს ლოცვებში მოიხსენიოთ ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორ გრიგოლ ფერაძის დიდებული სული, რომელიც ნაცისტებმა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოკლეს ებრაული ოჯახების შეფარებისა და დახმარების აღმოჩენისათვის".

ჩვენგან, ქართველებისაგან განსხვავებით, ებრაელებს, თუნდაც მათი "მოსადის" წყალობით, არ ერევათ მტერი და მოყვარე და არც ის, რის გამო იქნა კაცი დასჯილი.

ახლა ვნახოთ, გრ. ფერაძის შესახებ რას ღაღადებს გ. გაბლიანის "მოგონებანის" II ტომი. ბ-ნი გაბლიანის თქმით, გრიგოლ და მიხეილ ალშიბაიების წინაპრებს ვინმე დემეტრამ მიუნხენში რუსულ ენაზე გაავრცელა გვარის მოუწერლად მათზე ცილისწამებანი, ალშიბაიებმა მას უჩივლეს და სასამართლოზე დამტკიცდა ამ დემეტრას "ბრალეულობა" და "საბჭოთა აგენტობა". ბ-ნი გაბლიანი ბრძანებს: "სასამართლოს სხდომის მასალათა და სხვა დოკუმენტების ასლები, რომლებიც ქვემოთ არის მოყვანილი, თავისთავად ნათელს ჰფენს საქმეს. რუდოლფ აშენაუერი ყველაფერს აშკარავებს პროცესის დაწყებიდან დამთავრებამდე და ამიტომ პირველად მისი სიტყვის

წაკითხვაა საჭირო. (რ. აშენაურის მიერ ზოგი დეპოზიტი და დოკუმენტი აქ არ არის მოცემული, მაგრამ ისინი დაცულია ჩემს არქივებში)".

მართალი მოგახსენოთ, ეს რომ წავიკითხე, დიდი გულისყურით დავიწყე შესწავლა ხსენებული დოკუმენტებისა, მაგრამ ნაცვლად დაპირებული სიცხადისა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, იგი კიდევ უფრო გაბუნდოვანდა. არ ვიცი, ბატონ გივის თავის არქივებში კიდევ რა დოკუმენტები მოეპოვება, მაგრამ ის ორად ორი დოკუმენტი საკითხს ნამდვილად ვერ ჰფენს ნათელს. თავად განსაჯეთ, 1951 წლის 12 დეკემბერს მიუნხენის სასამართლოს პროკურორი (?) აშენაური შემდეგნაირად მიმართავს: "ვაცნობებ სასამართლოს, რომ მე წარმოვადგენ დოქტორ გრეგორ და მიხეილ ფონ ალშიბაიას". ამის მერე იწყება მეტნაკლებად წარმატებული მტკიცება იმისა, რომ ეს ვიღაც დემეტრა ძველთაგანვე იყო საბჭოთა აგენტი. შემდეგ, მოწმეებზე დაყრდნობით, აშენაური ამტკიცებს, რომ "მიხეილ ალშიბაიას არაფერი ესაქმებოდა სახელმწიფო საიდუმლო პოლიციასთან", თუმცა, არსებობს მოწმეთა შორის წინააღმდეგობაც: "თავად ნაკაშიძეს, აგრეთვე, შეუძლია დაამტკიცოს, რომ გენერალ მაყაშვილის ბრალდება მცდარია". შემდეგ აშენაური წერს: "საინტერესოა აღინიშნოს თუ როგორ ახასიათებს ავტორი (დემეტრა? ვ.რ.) ფერაძეს, სინამდვილეში ფერაძე მუშაობდა საბჭოელებთან".

მე არ მესმის, თუკი დემეტრა საბჭოთა აგენტი იყო, რატომ გათქვამდა იგი ფერაძის "საბჭოელობას". ან ეს ფრაზა თუკი აშენაურს ეკუთვნის, სად არის ამის მტკიცებულება? დაბოლოს, სად არის თავად სასამართლოს გადაწყვეტილება?

შემდეგი დოკუმენტი, ჩემი აზრით, კიდევ უფრო კურიოზული ხასიათისაა, მას ხელს აწერს "პროფ. დოქ. გერჰარდ ფონ მენდე" და დათარიღებულია იმავე 1951 წლის 10 დეკემბრით. დოკუმენტს ზემოდან "დეკლარაცია" აწერია. ფონ მენდეს თქმით, გრიგოლ ფერაძის საქმე შემდეგნაირად "გასკდა": "საუბედუროდ, გარეუბნის ინტელიგენციამ რუსეთის საზღვარზე დაიჭირა ერთი ქალი, მას უპოვეს დაშიფრული ინფორმაცია, რომლის სათავე იყო ფერაძე".

რა არის ეს "გარეუბნის ინტელიგენცია" ან "რუსეთის საზღვარი"? - ჩემთვის აბოროტნელია. ადვილი შესაძლებელია, აქ ცუდ თარგმანთან გვქონდეს საქმე, მაგრამ ამ ტექსტის არც ინგლისური ვარიანტი და არც დედნისეული გერმანული ჩვენ არ მოგვეპოვება, რომ გავიგოთ სინამდვილეში რა იგულისხმება აქ (რაც შეეხება მთელ თარგმანს, გერმანული სინამდვილის გადმოტანისას მთარგმნელი ზოგჯერ ინგლისურ "სერ"-ს (Sir) ხმარობს, რაც სიყალბეა). ამის მერე მოდის იმისი დადასტურება, რომ ფერაძეს "უამრავი" დოლარი და გირვანქა ალმოუჩინეს და რომ იგი "საბჭოელების სამსახურში" ირყოფებოდა. მაგრამ შემდეგ ისევ უეცარი ფრაზა: "საბჭოეთისათვის მისი ჯაშუშური საქმიანობა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა". ცოტა ქვემოთ: "ქართველების მხრივ და უფრო ნაკლებად დოქტორ ალშიბაიასაგან ცოცხა როდი გაკეთდა ფერაძის წინააღმდეგ".

თქვენი რა მოგახსენოთ, მკითხველო, მაგრამ ჩემთვის ასეთი "დოკუმენტის" არსებობა ვერავითარ ჩრდილს ვერ აყენებს წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძეს.

გივი გაბლიანის "ჩემი მოგონებანის" II ტომის დასაწყისში გამომცემელი, ბ-ნი მიხეილ რეხვიაშვილი ასეთ რამეს ბრძანებს: "გივი გაბლიანის შესახებ ჩემს ბავშვობაში ლეგენდები დადიოდა. თითქოს უცხოელის პასპორტით საქართველოში ფარულად ჩამოსულა, სასტუმროში გაუთევია ღამე, შემდეგ სვანეთში დედა უნახავს, მაგრამ არ გამომცნაურებია, როგორც უცხოელი, ისე შეხვედრია და უკან გაბრუნებულა ისევ".

უნდა დავეთანხმო ბატონ მიხეილს, რომ მეც მსმენია ასეთი ლეგენდა. მაგრამ, მოდით დავფიქრდეთ, და აქ მხოლოდ ჩემს ვარაუდს გამოვთქვამ, ვიმეორებ, ვარაუდს: უკვე ათი წელია, რაც საქართველო დამოუკიდებელია. თუკი საბჭოთა რეჟიმის დროს, ასეთ სარისკო საქმეზე წავიდა ბატონი გივი, ახლა ხელს რა უშლის, მის სანატრელ და სანუკვარ სამშობლოს ერთხელ მაინც რატომ არ მოინახულებს? ხომ არ არის ეს ვინმეს წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო, როდესაც მისი ჭირისუფლის დანახვაც არ სურთ? ღმერთმა უწყის, ჩვენ კი ვერ განვსჯით...

დაბოლოს, რაკი სიტყვამ მოიტანა, ამ წერილს მინდა დავურთო ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც მკითხველისა და განსაკუთრებით, ისტორიკოსებისათვის უინტერესო არ იქნება. 1996 წლის 14 მაისს სამსახურში მეწვია ექიმი - ბატონი ლუდვიგ ფანჯავიძე. მან, როგორც ცნობილი წიგნის ავტორსა და შემდგენელს (იხ. ზემოთ, "ქართველები გერმანული დროშის ქვეშ"...) გადმომცა 1942 წლის ოქტომბერში რაჭაში ჩამოგდებული გერმანული პროკლამაცია. იგი ქართულ ენაზე ყოფილა დაბეჭდილი, როდესაც შალვა მაღლაკელიძის ლეგიონს ოსეთის ზედა ურეხი ჰქონდა დაკავებული. ბატონი ლუდვიგი მაშინ 17 წლის თუ იქნებოდა, თავად პროკლამაცია დაუწვავს, მაგრამ ტექსტი კი გადმოუწერია თავისი ხელით და თან ზედ გერმანული გერბის ადგილიც მიუთითებია. აი ისიც:

"ქართველებო!

დიდი ხანია უკვე გერმანული ჯარის რიგებში იბრძვიან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ თქვენი ძმები - ქართველი მოხალისენი!

მალე მოვლენ ისინი ქართული ეროვნული დროშებით, გამარჯვებულ გერმანულ ჯართან ერთად სამშობლოში!

ჩვენ ვიბრძვით თქვენ განსათავისუფლებლად საბჭოთა რუსეთის მონობიდან და არა კავკასიის ერების წინააღმდეგ: ჩვენ მოგვაქვს მოსპობა კოლმეურნეობაში ძალით შერეკილ გლეხთა მონობისა. თავისუფალი გლეხი თავისუფალ საკუთარ მიწაზე! - თავისუფალი მუშა სრული პატრონი თავისი შრომით მოპოვებულისა! - თავისუფალი კერძო ვაჭრობა და ხელოსნობა! - დაცული იქნება თქვენი ზნე-ჩვეულება და ადათი, სარწმუნოების თავისუფლება - დანგრეული ეკლესიის აღდგენა! - ქართული ეროვნული

სკოლა! - აყვავდება ეროვნული კულტურა - მოგეცემათ მომავალში თვით-მმართველობა ფართე საწყისებზედ.

ადოლფ ჰიტლერის ახალი ევროპა, ეს არის ქვეყანა თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის. ის ანადგურებს მხოლოდ ებრაულ-მარქსისტულ-ბოლშევიკურ რეჟიმს. მოაქვს ერებისათვის ეროვნული თავისუფლება, ათავისუფლებს გლეხებს და მუშებს ბოლშევიკური მოხობისგან.

ქართველებო! წინააღმდეგობა არ გაუწიოთ თქვენ განმათავისუფლებელთ, არ ესროლოთ თქვენ ძმებს; შეხვდით მათ ღირსეულად, პატივისცემით, თქვენებურად, ქართველურად. ვინც ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას ისიღებს, მისი ანგარიში ჯეროვნად დაფასებული იქნება.

გაუმარჯოს ადოლფ ჰიტლერს და გერმანელ ერს! გაუმარჯოს ქართველ ერს! გერმანიის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლობა".

სულაც არა მსურს ჩემი წერილი გერმანული პროკლამაციით დავასრულო.

დღეს, არა მარტო ქრისტიანული სამყარო, არამედ კეთილი ნების ყველა ადამიანი დიდ პატივს მიაგებს იმ ქრისტიანებს, რომელთაც ტოტალიტარული რეჟიმის (ფაშისტურისა თუ კომუნისტურის) მძვინვარების ჟამს, იმყოფებოდნენ რა მის მსხვერპლთა შორის, სხვისათვის განკუთვნილი სასჯელი, წამებით სიკვდილი, თავის თავზე აიღეს და სხვებს შეეწირნენ. ასეთი იყო, მაგალითად, პოლონელი მღვდელი მაქსიმილიან კოლბე (1894-1941), რომელიც 1982 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. აღმოსავლურ, მართლმადიდებლურ ეკლესიას ამ მხრივ ჰყავს თავისი ბრწყინვალე ვარსკვლავი, წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე და სწორედ მას მოვუხმობ:

"იხარებს სული შენი წმინდათა მოციქულთა თანა, გვირგვინო მოწამეთაო, მამაო გრიგოლ, სისარულსა საუკუნოსა ღირს - გვყევე ლოცვითა შენითა!"

(ის. "ქართველ წმინდანთა ცხოვრება", თბილისი 2000, გვ. 333).

* ლეკებზეო, ღვთისმშობლის ტაძრად მიმავალნი ალვა, 2000 წელს.

გაზ." ლიტერატურული საქართველო". 19-25 იანვარი, 2001 წ.

მცირე განაზრებანი ღმარძლსა და სახელმწიფოზე*

ღმარძლი

ქვეყანას შეეპარა ღამე - დაობლებული და ბნელი

ბასილ მელიქიშვილი

გავიხსენოთ გოეთეს უსაყვარლესი ტრაგედია ევრიპიდეს ტრაგედიათა შორის - "ბაკქელი ქალები".

როდესაც თებეს მეფემ, პენთეოსმა, უარი განაცხადა, ღმერთად ელიარებინა და თაყვანი ეცა დიონისესათვის, რომელიც მისივე დეიდაშვილი იყო, მან, დიონისემ, დასაჯა ქალაქი: "ღვთაებრივი" სიშმაგე მოუვლინა ქალებს, რომელთაც, ენთუზიაზმითა და ექსტაზით შეპყრობილებმა, დაუტევეს საკუთარი ოჯახები და თოთო ბავშვები, მოხუცებმა - შვილები და შვილიშვილები, გონებადაბინდულებმა გიჟური როკვით ტყეს მიაშურეს, რათა ედიდებინათ თავიანთი ღმერთი - დიონისე-ბაკქოსი. გაგიჟებული ქალთა ჯოგი გზად არაფერს ინდობდა, ფრჩხილებით კორტნიდა და ფატრავდა ცხოველებსა და თვით ხარებს, მათი სისხლით იკლავდა წყურვილს და ილებავდა ტანს, რომელსაც ლოკავდნენ წელზე ქამრად და თავზე სამკაულად დაგრაგნილი გველები. ამ ბაკქელ ქალებს, ანუ მენადებს თვით პენთეოსის დედა, დედოფალი აგაუე და მისი ქალიშვილები წინამძღოლობდნენ. შიშისაგან ზარდაცემულნი ტოვებდნენ გლეხები იმ არემარეს. თვით ტირესია, ბრმა ნათელმხილველი, და თებეს ყოფილი მეფე კადმოსი, პენთეოსის პაპა, შეიმოსნენ დიონისეს სადიდებლად ისე, როგორც ამ ღმერთს სურდა და სიამოვნებდა. მხოლოდ პენთეოსი იყო უდრეკი. იგი არათუ არ დამორჩილდა განსაკუთრებულს, იდუმალებით მოცულს, საშიშსა და ენით გამოუთქმელ დიონისურ ორგიათა ირაციონალურ ლტოლვას, არამედ, ინარჩუნებდა რა ნათელ გონებასა და განსჯის უნარს, სურდა მისი დამკვიდრება თვით ქალაქში, ამიტომ რამდენიმე ბაკქელი ქალიც კი დააპატიმრებინა მეომრებს. და აი, მაშინ თებეში გამოჩნდება ადამიანის სახით თვით დიონისე, "ოქროსკულულებიანი". სიცილით მიჰყვება იგი პენთეოსის მხლებლებს სატუსაღოსაკენ, მაგრამ მალე ციხის კედლები იმსხვრევა და განთავისუფლებული ღმერთი თვით პენთეოსს ესაუბრება. თვითონ ვერ ამჩნევს უბედური მეფე, თუ როგორ ებინდება გონება და ემღვრევა ცნობიერება საუბრის დროს, რაღაც წამებში იგი ღმერთის, თითქოს, ნამდვილ სახეს ხედავს - ჯერ ხარისთავას, შემდეგ კაცს, რომელსაც რქებში დახლართული

---

* წერილი ეძღვნება თბილისში მოთარეშე მდევრიონს, მათ "დიდ" ქალბატონს და გადეღლებულ კაცებს

გკელები ევრიგვინის მაგივრობას უწევენ. მალე დაითანხმებს დიონისე პენთეოსს, რომ ჩუმად მოინახულოს ტყეში მროკავი ბაკქელი ქალები. ამისათვის თებეს მეფე ბაკქელი ქალის სამოსით უნდა მოირთოს, რასაც იგი ასრულებს კიდეც. დამცირებული, გონებადაბინდული, ქალის სამოსში გამოწყობილი მეფე პენთეოსი მორჩილად მიჰყვება დიონისეს. აქ - ზეიმია ირაციონალურის: პენთეოსს სურდა ბედნიერება თავისთვისა და თავის ქალაქისათვის, რომ მისი მბრძანებლობა ყოფილიყო ნათელ გონებასა და მიზანშეწონილობაზე დაფუძნებული, მაგრამ რეალობა უფრო მძლავრი აღმოჩნდება, რეალობა - მღვრიე და ირაციონალური. მალე დაგლეჯენ და დაფატრავენ მარტო დარჩენილ პენთეოსს ბაკქელი ქალები და უპირველესად დედამისი, დედოფალი აგაუე, რომელსაც თავისი ძე ლომი ჰგონია და მიუხედავად შვილის მუდარისა, კისერს გადაუჭრის ბასრი ფრჩხილებით და ზე აღმართული საკუთარი შვილის სისხლიანი თავით საზეიმო როკვას განაგრძობს.

ასეთი არის არასრული შინაარსი ევრიპიდეს ტრაგედიისა, რომლის მიზანი იყო, ეჩვენებინა დიონისური ორგიების ზემძლავრობა ნებისმიერ გონებაზე. ლიდიელი ქალების ქორო, რომელიც დიონისეს ბაკქელებად გაჰყვა, ასე დაასკვნის:

ულმობელი სიკვდილი ელის ადამიანს,
რომელიც უგუნურად მკრეხელობს ღვთაებრივის მიმართ.

მაგრამ ორგიასტული რელიგია, მსგავსად სქესობრივი ცხოვრების დროს თავდავიწყებისა, მკვეთრად განსხვავდება რელიგიათა იმ წარმოდგენებისაგან, გნებავთ, იმ მისტიკური განცდებისაგან, რომლებიც მთლიანად მიღმურზე არიან მიმართულნი. იგივე ქორო ასე გვმოძღვრავს:

გონივრობა და მიწიერ მიზანთა მიღმა ლტოლვა
სიბრძნე როდია. სიცოცხლე არის მოკლე.
ვინც დღევანდელ დღეს ნეტარებაში ატარებს,
სწორედ იგია ბედნიერი.

ერთი წამით რომ შევადაროთ ყოველივე ზემოხსენებული ქრისტიანული მისტიკის გამოვლინებებს, ამ განსხვავებას უფსკრულის სიღრმე მიეცემოდა. სწორედ მიღმურიდან მომდინარე ხელთუქმნელი ნათელი ვეებერთელა სითბოსა და ნეტარებას ანიჭებს ქრისტიანს წრფელი ლოცვის დროს, რაც საწინდარი ხდება ყველასა და ყოველის უნივერსალური სიყვარულისათვის, და, პირიქით, სიყვარულია ის საფუძველი, რაც წრფელ ლოცვას შეაძლებინებს მას. ქრისტიანმა უწყის, რომ დღეც და ღამეც, სინათლეც და უკუნიც ღვთის ხელთაა, მისი ქმნილებაა, ამიტომ იგი მზადაა, ღმერთს ნებისმიერ დროს სცეს თაყვანი. დიონისე კი, ევრიპიდეს ტრაგედიის მიხედვით, მის თაყვანისაცემად უფრო ღამეს არჩევს, რადგან მისი სადიდებელი ღამით უფრო "საზეიმოდ" გაისმის.

ნიცშე, გერმანელი ადეპტი დიონისიზმისა, მის მთავარ მტრად სოკრატეს ("სოკრატიზმს") სახავდა, როგორც გონების, განსჯის, არგუმენტებისა და

კონტრარგუმენტების მეუფეს. მაგრამ გადის ხანი და დიონისეობას იგი სოკრატიზმსა და აპოლონიზმს კი არ უპირისპირებს, - არამედ ქრისტიანობას. დიონისიზმი, მისი აზრით, სიცოცხლის დამკვიდრებაა, ხოლო ქრისტიანობა - მისი უარყოფა. სინამდვილეში, ამ "სიტყვის გიგანტმა" ანტიქრისტიანმა სწორად განჭვრიტა ანტიკური ღმერთის არსი, როდესაც იგი ქრისტიანობას დაუპირისპირა. ცნობილია, რომ ქრისტიანობამ თავისი გამარჯვებისა და დამკვიდრების შემდგომ პოლითეიზმის ღმერთები დემონებად გამოაცხადა, სადაც დიონისე, ეს რქიანი ღმერთი, ეშმაკეული შაბაშების ღმერთად იქცა, ვეებერთელა თხად, რომლის სახელი სატანაა. მის მოლოდინში თმაგაწეწილი, შიშველი ქალები, სწრაფად და მსუბუქად, თითქოს, წონა არც კი გააჩნიათო, უზარმაზარ ნახტომებს აკეთებენ კივილით: "გარ! გარ! შაბაშ! შაბაშ!" (იგივე საბაე, რომელიც შეესაბამება არფიულ სიმღერათა ევოჰეე-ს). შემდეგ იმართება ამაზრზენი სცენები გარყვნილებისა და ბავშვთა გაფატვრისა. ამ გულისამრევ შეკრებებს წარმართავს ქალი-კუდიანი, რომელიც ვნებამორეული ელოდება სატანის გამოჩენას (ეს აღწერილობა აღებული მაქვს სტ. პშიბიშევსკის "სატანის სინაგოგიდან").

ვინც მანგლისისაკენ მიმავალი სოფელ პანტიანში შეჩერებულა და მისტიკური ლანდშაფტისათვის თვალი მოუვლია, მას უმალ გაახსენდება იქ დაკრძალული ბასილ მელიქიშვილი და მისი იდუმალებით აღსავსე მოთხრობა "თურმანი". შინაარსი ამ ლეგენდისა თითქოს რთული არ არის. იგი აღწერს წარმართობის დროინდელ ქართლს, სადაც თესლი გადაგვარებულა და ღვარძლი მორევია მინდვრებს, ხსნა წმინდა თესლის მოპოვებაშია, რომელსაც იკისრებს ჭაბუკი თურმანი. იგი ეწირება კიდეც ამ კეთილშობილურ მიზანს. მაგრამ ცხადია, რომ ბ. მელიქიშვილი ღვარძლში მხოლოდ მატერიალურ, გადაგვარებულ თესლს არ გულისხმობს, რომელიც მინდვრებს აპარტახებს. ღვარძლი - ხალხის სულს მოსდებია. ადამიანში ჩაბუდებულა. "იქნება ხალხსაც ამოთლილი აქვს გული წყლულეთის ხევივითა? იქნება გაგიქრათ მზე და სითბო? "- კითხულობს თურმანი - ბასილ მელიქიშვილი. მწერალმა უწყის: "ღვარძლმა თავისი გაიტანა. დაგლიჯა გაჯდა ძვალსა და რბილში. ღვარძლმა ბუდე შუქართს დაიდო და სოფელი დაიმონა". სწორედ ამ დროს იშვა ქართლში ბოროტი. "სოფელი ძრწოდა და ღრიალებდა. ღვარძლმორეულმა თვალმა გაამრავლა მთვარე. ამღვრეულმა თვალმა ასი მთვარე დააბნელა. გაასკეცდა შიში, სოფლის თვალში ასი მთვარე დაბნელდა... ვიღაც გავარდა ველად და ხალხი გაჰყვა და ხალხი ცხვრის ფარასავით აედევნა".

ვიზიონური ხილვისას დრო ქრება. არ არსებობს წარსული და აწმყო. მომავალთან ერთად ნათელმხილველის თვალწინ ერთ სურათ-ხატად გადაიშლება ყოველივე. ჭეშმარიტი შემოქმედის მისტიკური წვდომით ბ. მელიქიშვილის გამჭრიახი მზერა წარმართობიდან მოყოლებული ჩვენს დროებასაც ხედავს. განა შემთხვევითია, ერთმა თანამედროვე პოეტმა, თავისი პოეტური ინტუიციით, ჩვენი ახლო წარსულის პოლიტიკური სიმახინჯის

პერსონიფიცირება ამ ამბის, როგორც სატანური შაბაშების თხა, მისი "კიკინა" ხმით?! უკვე კარგა ხანია, რაც დედაქალაქში და მთელ საქართველოში დაძრწის ჯოგი მენადებისა და სატირებისა, რომელსაც "ქალბატონი", შაბაშების კუდიანი განაგებს. მრავალ ღვარძლს თესავს ივი საქართველოში, მრავალი ბოროტების მომტანია ერისათვის, ვნებააშლილი, სატანის ძომლოდინე. ხელისუფლება კი რასა იქმს? პენთეოსივით ცნობადაკარგული, ბაკქელი ქალის სამოსში გახვეული, ივი თავის მსჯავრს ელოდება.

ჟურნ. "რელიგია", №10, 2001

შენიშვნა გაზეთ „ლიტერატურის“ პრეტენზიაზე*

სამწუხაროდ, სხვაგვარად ვერ ვუწოდებ არქიმანდრიტ რაფაელის წერილს „ინტელიგენციის და კათოლიციზმში“, რომელიც ამა წლის (4-10 იანვარი) „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა. მაგრამ მკითხველი რომ კარგად გაერკვეს ვითარებაში, ცოტა შორიდან მოვიწყებ დაწყება. პირველ ყოვლისა, გამიკვირდა, რომ წერილს ბოლოში არა აქვს მინაწერი: თარგმანი რუსულიდან, რადგან არქიმანდრიტი ერთობით რუსია, გვარად კარელინი, და მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის მთელი ცხოვრებაა, რაც საქართველოშია იმყოფება, მისგან ნაგონები კათოლიკე პატრებისაგან განსხვავებით, ვერა და ვერ ისწავლა ქართული. დიახ, ქართულ გაზეთში იგი თავის გვარს არ აწერს, ალბათ, მკითხველმა რომ მისი შეგონებანი „მშობლიურ სიბრძნედ“ მიიღოს, მაგრამ, აი, პეტერბურგში გამოცემულ რუსულ წიგნში, უფრო სწორად კრებულში, იგი თავის გვარს ამხელებს. რადგან იქ ეს ალბათ საჭიროა, და თავის წერილში უარყოფითად მოიხსენიებს საქვეყნოდ ცნობილ დედა ტერეზას (ამაზე ქვემოთ).

ამ მცირე შესავლიდან არ მსურს მკითხველს შთაბეჭდილება შეექმნას, რომ ამ სიტყვების ავტორი რუსოფობია. პირიქით! გარდა დიდი პატივისცემისა რუსული კულტურის მიმართ, არ დავმალავ, რომ გასულ წელს სწორედ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში გახლდით ალსარებაზე და იქვე ვეზიარე კიდეც. არც იმას დავუმალავ მკითხველს, რომ დადებითი აზრი ბ-ნ კარელინზე იქ არ სუფევს. მაგრამ აი, ჩვენი ქართული მრეწველის, ასევე სასულიერო პირთა ნაწილზე მისი ზემოქმედება უდავოა.

ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს თბილისში ლენინგრადიდან ჩამოსულა სასულიერო აკადემიაში ლექციების წასაკითხად იეზუიტი პროფესორი, სპეციალისტი მართლმადიდებლური ლიტურგიკისა. მაგრამ პროფესორს ლექციების წაკითხვის შესაძლებლობა არ მისცეს აკადემიის სტუდენტებმა და მას სასწრაფოდ დაატოვებინეს ქალაქი. ყოველივე ეს ვიცი ერთი პატივცემული ლექტორისაგან და მანვე მაუწყა, რომ ამ საქმის ინსპირატორი ყოფილა ბ-ნი კარელინი. შეწუხებული ვესტუმრე იმჟამად ჩვენს პატრიარქს და კარგად მახსოვს, თუ რა მიპასუხა მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია II-მ: „სამარცხვინო რამ მოხდა, ასე არათუ ქრისტიანი, თვით მაჰმადიანიც არ უნდა გაესტუმრებინათო“. გამოვიდა ისე, რომ ლენინგრადი ცივილიზებულ ქალაქად ჩაითვალა, რადგან იქ მშვიდად ჩაუტარებია თავისი ლექციები პროფესორს მართლმადიდებლურ ლიტურგიკაზე (!) და არა რაიმე „დაწყეველილ კათოლიციზმზე“, ხოლო თბილისმა ეს „ვერ აიტანა“. სხვათა შორის ყოველივე ეს დეტალურად აღვწერე გაზ. „მამულში“ (3 თებერვალი, 1992 წ.).

მსგავსი რამ მოხდა ამ ერთი წლის წინ, რამაც ბ-ნი კარელინის კვალზე ეჭვი აღმიძრა, როდესაც საპატრიარქოს წიგნის მაღაზიას ვეწვიე. იქ წიგნით ვაჭრობენ ქართველი წვერიანი ახალგაზრდები და თავსაფრიანი ქალიშვილები, რომელთაც რუსეთიდან სასულიერო ხასიათის ლიტერატურა ჩამოაქვთ. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ იმ წიგნში აღმოვაჩინე ცნობილი შავრაზმელის, ვოსტორგოვის "აფხაზეთი". "აფხაზეთი არ არის საქართველო" - აი, რას ამტკიცებს ავტორი, ისევე როგორც დღევანდელი რუსი შავრაზმელები. ცხადია, იქვე მივმართე ახალგაზრდა წვეროსან გამყიდველს, რომელსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამ ავტორზე.

სამაგიეროდ, მან დავა დამიწყო და ამართლებდა ბ-ნ კარელინის სტატიას დედა ტერეზასთან მიმართებაში. ბოლოს, ბოლმისაგან გადაღმეჭილი სახით დამმოძღვრა: წმ. მამები უნდა იკითხოო. ვკითხულობ მეთქი, ვუპასუხე და საკმაოდ არასასიამოვნო გრძნობით დავტოვე მაღაზია.

ახლა კი გადავიდეთ ბ-ნი კარელინის ახალ ლაშქრობაზე კათოლიციზმის წინააღმდეგ და მის მიერ ქართველი ინტელიგენციისათვის ჭკუის სწავლებაზე, რასაც, ვფიქრობ, საფუძველი სულ სხვაგან უნდა ჰქონდეს. სხვა რომ არა იყოს რა, შენი რწმენა თუკი შენთვის ძვირფასია, ტყუილი არ უნდა იკადრო და მით უმეტეს ცილისწამება მოწინააღმდეგის მიმართ: სამწუხაროა, რომ ბ-ნი კარელინის გამონათქვამები "მებრძოლი ათეისტის" ბროშურას უფრო მოგვაგონებს და იმ პერიოდს, საბჭოთა რეჟიმის დროს სკოლაში რომ ჩაგვჩიჩინებდნენ ანტირელიგიურ ლოზუნგებს. თავად განსაჯეთ - კარელინი გაჰყვირის: "საზიზღარი "ინკვიზიციის ცეცხლი" და "ჯვაროსნების სისხლიანი კვალი"; ვატიკანი, ეს "კბილებჩაცვენილი ვეფხვი" და ვატიკანი, რომელიც "მსხვერპლის სისხლით იკვებება". რაღა დარჩა, მკითხველო? დედის გინება? და ამას წერს სასულიერო პირი, არქიმანდრიტი, რომელიც მოწოდებულია, რომ სიყვარული სთესოს და თვით მტერი შეიყვაროს სახარებისეულ სიბრძნეზე დაყრდნობით.

ვარ რა ერთგული წევრი ჩვენი, ქართული მართლმადიდებლური დედაეკლესიისა (სხვა გარემო ჩემთვის უბრალოდ უცხოა, რადგან ბავშვობიდან მართლმადიდებლური სულისკვეთებით აღვიზარდე), მე ვერ ვიქნები მომხრე სხვა კონფესიათა მიმართ კარელინისებური ზიზღის გადმოფრქვევისა. ქრისტიანმა სხვას მისაბაძი, სიყვარულით აღსავსე (მით უმეტეს, სასულიერო პირმა) ტონით უნდა მიმართოს და უფალზე დაყრდნობით, ჭეშმარიტებაზე დაყრდნობით, ისე უნდა მოიზიდოს იგი თავის ეკლესიაში. მახსოვს, 80-იანი წლების ბოლოს ჩემთან, როგორც საზოგადოება "წმ. დავით აღმაშენებლის სახ. ქართველ ქრისტიანთა კავშირის" თავმჯდომარესთან მოვიდნენ ქართველი პროტესტანტები - ევანგელისტები და ქართულ ენაზე მათი მრწამსის გამომხატველი ბროშურა გადმომცეს. მაგრამ, სამწუხაროდ, იქაც, სხვა ეკლესიათა და ჩვენი, მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ არასახარბიელო, აგრესიული გამონათქვამები იყო. საუბარი დამთავრდა მათი მხრიდან დიდი ბოდიშის მოხდით და შემდეგ რამდენიმე მათგანი, მათი თავკაცის თაოსნობით, რამდენჯერმე დამესწრო ლექციაზე უნივერსიტეტში (იმჟამად იქ

მიწყეული გახლდით რელიგიათმცოდნეობის კათედრაზე). მართალია, მათი მოქცევა მართლმადიდებლობაზე მე ვერ შევძელი, მაგრამ სანდო და ქრისტიანული ურთიერთობა მათთან კი აღვადგინე. მით უმეტეს, ასეთი დამოკიდებულება სასულიერო პირს ორგზის მეტად მოეთხოვება. მოეთხოვება ეს ჩვენს მართლმადიდებლებს, რომელთაც უნდა უწყოლნენ, თუ ვატიკანის მეორე კრებამ (1962-1965) რა დადგენილება მიიღო ჩვენი. აღმოსავლური ეკლესიების მიმართ. ვატიკანის კრების შემაჯამებელ სიტყვაში ჩვენ ვკითხულობთ:

30. Magnopere laetatur Sancta Synodys de fructosa et actuosa collaboratione Orientalium et Occidentalium Ecclesiarum Catholicarum... წმინდა კრება დიდად გახარებულია საყოფიერი და ქმედითი თანამშრომლობით აღმოსავლეთის და დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიათა...

ეს დადგენილება მთავრდება სახარებისეული სიტყვებით: "ძმური სიყვარულით გიყვარდეთ ერთმანეთი: ერთი-მეორეს ასწრებდეთ ურთიერთპატივისცემას" (რომაელთა მიმართ, 12-10). ყოველ შემთხვევაში სახარებისეული ეს სიბრძნე ნამდვილად უწყოდა რუსეთის სინდისმა, ფილოსოფოსმა ვლადიმირ სოლოვიოვმა, რომელმაც თავისი შესანიშნავი ფილოსოფიური "სამი საუბარი" დაასრულა იმით, რომ ანტიქრისტეს დაუპირისპირა რომის პაპი, მართლმადიდებელი პატრიარქი და პროტესტანტი პასტორი. სოლოვიოვისებურ პოზიციას ინარჩუნებს რუსეთის დღევანდელი სინდისი, აღიარებული მეცნიერი და მოაზროვნე სერგეი ავერინცევი.

ფაქტობრივად, არქიმანდრიტი რაფაელი კათოლიციზმის ზღვარდაუდებელი გინებით ათეიზმის წისქვილზე ასხამს წყალს. თანამედროვე მორწმუნეთა სამყაროს გადაყლაპვას უპირებს ათეიზმის შავი ხახა, კიდევ უფრო საშინელია რწმენისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, რაც ასე გავრცელებულია დასავლეთში. და ამ დროს სულიერი მახვილი თითქოს მათ ასალაგმად უნდა იყოს მიმართული, მაგრამ არა, არქიმანდრიტ რაფაელს მხოლოდ კათოლიციზმის "საშინელებათაგან" სურს ქართველი ინტელიგენციის ხსნა. კაცი კიდევ ბევრ რამეზე გაჩუმდებოდა, რომ არა ტყუილები და ცილისწამება, რომელთა მიზანია, ვთქვათ პირდაპირ, საქართველომ დასავლეთს ზურგი აქციოს, ხოლო თუ ვისკენ უნდა მიიქცეს იგი, ამას ბ-ნი კარელინი არ ამბობს, თუმცა პასუხი ნათელია.

მაგრამ მივყვეთ თანამიმდევრობით... პირველ ყოვლისა, ის უნდა განვაცხადო, რომ კარელინის ინსინუაციებს კათოლიციზმის წინააღმდეგ უნდა დავუპირისპირო თავად კათოლიკური წყარო, თორემ ისე გამოდის, რომ ბ-ნი კარელინი გვასწავლის კათოლიკეები ამას ასე ფიქრობენ და იმას ასე აკეთებენო, ხოლო თვით კათოლიკეებს წყალი ჩაუგუბა პირში. ამისათვის მივმართავ არა მხოლოდ ვატიკანის მეორე კრების დადგენილებებს, არამედ დიდ კათოლიკურ ენციკლოპედიასაც (ფრაიბურგი-ბაზელი-ვენა, 1986 წ.), რომლის რედაქტორია გამოჩენილი ფილოსოფოსი და თეოლოგი კარლ რანერი. ჯერ დავიწყებ კარელინის ზოგადი ბრალდებებით და მერე გადავალ ბრალდებებზე, სადაც საქართველოს ინტერესებია ჩახლართული. მაშ ასე, ბრალდება პირველი: კათოლიციზმი "ადამიანის მაიმუნისაგან წარმოშობის

ევოლუციონისტურ თეორიასაც აძლევს არსებობის უფლებას". მსგავსს არაფერს გვაუწყებს კათოლიკური ენციკლოპედია. პირიქით! იქ საუბარია ღვთის მიერ ადამიანის შექმნაზე. "ადამიანის შექმნის მოძღვრებაში მოცემულია, აგრეთვე, რომ ადამიანს არც განვითარების საფუძველზე და არც საკუთარი ან ღვთის ქმედებით არსებითად არ შეუძლია ისე განიცადოს ცვლილება, რომ იგი ამის გამო რაღაც სხვა გახდეს". შემდეგ: "ადამი ცხოველთა შორის მარტოდ მარტოა, იგი მას სახელებს არქმევს; მხოლოდ მასთან საუბრობს ღმერთი". შემდეგ: "ადამიანთა ჩართვა ცოცხალი სამყაროს განვითარებაში, როგორადაც ამას დღეს წარმოაჩენს ბუნებისმეტყველება, უმრავლეს შემთხვევებში, უარყოფილ უნდა იქნეს". როგორც იტყვიან, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს! შემდეგი ბრალდება: "ტეიარ დე შარდენის პანთეისტური თეორია, რომელიც არ ეთანხმება არათუ კათოლიციზმის სწავლებას, არამედ არც ერთ ქრისტიანულ კონფესიას, ვატიკანმა თავის არსენალში მიიღო, როგორც ელიტარული მოძღვრება ინტელექტუალთათვის, როგორც რაღაც ეზოთერიზმის მსგავსი კათოლიციზმის წიაღში". ყველაფერი ტყუილია, რაც აქ არის ნათქვამი! ენციკლოპედიაში ტეიარზე მხოლოდ მისი მოკლე ბიოგრაფიაა გადმოცემული, ხოლო ვატიკანის II კრების დადგენილებებში მასზე, ისიც კომენტარებში, მხოლოდ შემდეგია ნათქვამი: 37-ე პუნქტის (De humana navitate a peccato corrupta - ცოდვისაგან გაფუჭებული ადამიანური შემოქმედება) კომენტარებში ხაზგასმითაა მითითებული ტეიარის "სახიფათო ევოლუციონისტური ხასიათის ოპტიმიზმზე". მსგავსი განცხადებები ტეიარის მიმართ მეორდება.

შემდეგი ბრალდება პაპის "უცოდველობას" ეხება (სწორი კი იყო, რომ "უცდომელობა" ეთქვა). ამ ტერმინის უხერხულობას და იმას, რომ იგი "ცუდად არის შერჩეული და ჟღერს გამომწვევად, ამაყად" და ა.შ. კათოლიკური ენციკლოპედიაც აღიარებს. მაგრამ აქ სახელი კი არ წყვეტს ყველაფერს, არამედ თუ რა არსის მატარებელია იგი, ხოლო იგი კი აღმნიშვნელია იმისა, რომ პაპი მხოლოდ თავისი მოვალეობის შესრულების დროს (Ex cathedra), როგორც ეკლესიის თავი, შეუცდომელია. ამავე დროს მისი განცხადებები ეხება მხოლოდ რწმენისა და ზნეობის საკითხებს ("de fide vel moribus") და სრულიად გაუგებრად მეჩვენება ბ-ნი კარელინის სოფიზმი, როდესაც იგი გაჰყვირის, დღევანდელმა პაპმა რომ მოინანია თავისი წინამორბედების ცოდვები, რა ნება ჰქონდა, თუკი ისინი "შეუმცდარნი" იყვნენო? "ნუთუ პაპმა იოანე-პავლემ, ამბობს კარელინი - ალექსანდრე ბორჯიას ან კარდინალ რიშელიესაგან მიიღო უფლებამოსილება მათი შავ-ბნელი საქმეების მოსანანიებლად?" მაგრამ საქმეც ისაა, რომ პაპი უფლებამოსილია განცხადებები გააკეთოს რწმენისა და ზნეობის საკითხებზე და ამიტომ მას შეეძლო სინანულით ელაპარაკა ალექსანდრე ბორჯიას "შხამსა და ხანჯალზე", ან რიშელიეს Realpolitik-ზე. როგორც ვხედავთ, თუკი პაპი რაიმეს ინანიებს, ამაზედაც გული უსკდება ბ-ნ კარელინს.

მაგრამ კარელინი რისი კარელინია, თუკი იეზუიტების გინებას ხელიდან გაუშვებდა. "კგბ"-ის ჩვეული ტერმინოლოგიით იგი გვამცნობს: "ეს

ორდენი ვატიკანის პოლიტიკური დაზვერვის ორგანოა და ყველა ამ ტიპის სპეცსამსახურისათვის ჩვეული საშუალებებით მანიპულირებს". რასაკვირველია, კარელინი არ ინდობს ამ ორდენის დამაარსებელ იგნაციო ("ლიტ. საქართველოს" ქართულ თარგმანში - "ეგნატე") ლოიოლას, რომელიც დასავლეთის ეკლესიის მიერ წმინდანად არის მიჩნეული. კარელინს არ მოსწონს ბასკი წმინდანის "სახელგანთქმული სავარჯიშოები", რომლის დროსაც "ადამიანი ვიზუალურად წარმოიდგენდა ხოლმე სამოთხისა თუ ჯოჯოხეთის სურათებს. წარმოსახვა ენებებთან არის დაკავშირებული. - განაგრძობს კარელინი - ასე რომ, კათოლიციზმი აქაც თანამედროვეობას ეხმიანება, პირდაპირ რომ ვთქვათ, ეხმიანება თანამედროვე ადამიანის ზნეობრივ დაცემულობას". აფსუს, რა იცოდა დიდმა ასკეტმა ლოიოლამ, რომ ოთხნახევარი საუკუნის შემდეგ ბ-ნი კარელინი მას "თანამედროვე ადამიანის ზნეობრივ დაცემულობას" დაუკავშირებდა.

თუკი იეზუიტების კრიტიკაზე მიდგება საქმე, უნდა ვიცოდეთ, რომ პირველად ასეთი კრიტიკა თვითონ რომის ეკლესიის წიაღში გაისმა, მათ მძლავრად უპირისპირდებოდნენ დომინიკანელები. ცნობილია აგრეთვე პასკალის დაუნდობელი კრიტიკა იეზუიტებისა და სხვა. ასევე გვახსენდება დოსტოევსკის "ლეგენდა დიდ ინკვიზიტორზე", სადაც მან "დიდ ინკვიზიტორს" იეზუიტური ნიშნები შესძინა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ესპანელი "დიდი ინკვიზიტორის" პოსტზე არასოდეს ყოფილა იეზუიტი, ინკვიზიტორები დომინიკანელები იყვნენ (თავად ამ "ლეგენდის" კრიტიკა მსოფლიო ლიტერატურაში მრავალმხრივია და მათი განხილვა ამ წერილის ფარგლებს სცილდება). მაგრამ ასევე სამართლიანობა მოითხოვს იმის თქმას, რომ დღეს დადგენილად ითვლება: ზოგიერთი იეზუიტი მორალისტის გამონათქვამი ორდენის მტრებმა დაამახინჯეს, განაზოგადეს და მთელ ორდენზე გადაიტანეს, როგორც, მაგალითად, თეზა: მიზანი განაწმინდანებს საშუალებას. ეს დებულება დღეს იეზუიტებზე "ზღაპარ-მონაგონს" განეკუთვნება. თუ პასკალი ამ ორდენის მტრად გვევლინებოდა, სამაგიეროდ, ლაიბნიცი დიდი მეგობარი იყო იეზუიტებისა. ყოველ შემთხვევაში, საგულისხმოა შატობრიანის გამონათქვამი მათ მიმართ: "ის მცირე დანაკლისი, რომელიც ფილოსოფიას სურს ცოდვად აჰკიდოს იეზუიტებს, შეუდარებელია იმ ფასდაუდებელ დამსახურებასთან, რაც მათ გაუწიეს ადამიანთა საზოგადოებას". სიტყვა რომ აღარ გამიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვი, რომ დიდია იეზუიტების ღვაწლი მეცნიერებაში. აგრეთვე, მათ მთელი სტილი შექმნეს ხუროთმოძღვრებაში, საოპერო ხელოვნებასა თუ თეატრში და ა.შ. განსაკუთრებით დასაფასებელია მათი სამისიონერო მოღვაწეობა, იქნებოდა ეს ჩინეთში, იაპონიასა თუ სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში. ბევრმა იეზუიტმა მისიონერმა მოწამეობრივად აღასრულა თავისი სიცოცხლე.

ბ-ნი კარელინისათვის ალბათ მოულოდნელი არ იქნება, თუკი ვიტყვი, რომ პარიზში გამოცემული რუსული ჟურნალის "ქრისტიანული კულტურა" რედკოლეგიის წევრებია: იეზუიტი კარდინალი ანრი დე ლიუბაკი, დომინიკანელი ივ კონგარი და... მართლმადიდებელი სერგეი ავერინცევი! როგორც

კიდავთ, რუსები თავიანთ მკითხველს არ უკარგავენ დასავლური ეკლესიის ძიღწევებს ქრისტიანულ კულტურაში (ამას ჩვენ ქართველებს გვიკრძალავს ბ-ი კარელინი!) და არც უნდა დაუკარგონ. თუნდაც ის რად ღირს, რომ იმავე ჟურნალის ერთ-ერთ ავტორზე, იეზუიტ ეგონ ჰერდეგერზე ისევ ვგებულობთ, რომ მან იცდაათ წელზე მეტი ხანი მოანდომა ბიზანტიური ხელოვნების დაუფლებას, შემდეგ კი დაიწყო ლექციების კითხვა იკონოგრაფიაში და სახელოსნოებში საკერის სწავლება. მაგრამ იეზუიტთა ძთავარი დამსახურება მაინც ათეიზმთან წარმატებული ბრძოლა გახლავთ. აი, როგორ გვაუწყებს ამას ერთი გერმანელი ავტორი "იეზუიტების ისტორიისა" (R. Fülop-Müller, Berlin, 1932): "აქამდე, ემპირიულ მეცნიერებათა ყოველ აღმოჩენისას, იქნებოდა ეს ასტრონომიაში, ფიზიკასა თუ ქიმიაში, საქმე ყოველთვის ისე გამოიყურებოდა, რომ ამ ახალი აღმოჩენებით ძველი რწმენა თითქოს საბოლოოდ განადგურდა, რომ ამიერიდან არც ერთ ჭკუადამჯდარ კაცს თითქოს აღარ შეეძლო რწმენა ღვთის არსებობისა, სულისა ან თავისუფალი ნებისა, მაგრამ ყოველთვის საქმე კვლავ ისე წარიმართებოდა, რომ ორდენის ერთგულ წევრთაგან ვინმე საჩქაროდ მიაშურებდა ობსერვატორიას, მეორე - ლოგარითმების ცხრილზე დაიხრებოდა, მესამე - მიკროსკოპზე და მეოთხე - ქიმიის ლაბორატორიას მიმართავდა, რათა ზუსტ მეცნიერებათა საიმედო ხელსაწყოებით აღჭურვილთ, კვლავ იმის საწინააღმდეგო დაემტკიცებინათ, რისი დამტკიცების შთაბეჭდილებასაც ახდენდნენ თავდაპირველად ახალი გამოკვლევები. ღვთისმოსავი პატრები იმავე ხელსაწყოებს იყენებდნენ, რასაც ერისკაცთაგან მათი მოწინააღმდეგენი, იმავე ცხოველებზე იმავე ცდებს ატარებდნენ და საბოლოოდ იმავე ძაღლთაგან და მღილთაგან არანაკლები სიამაყით აკეთებდნენ დასკვნას, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ღმერთი არსებობს, რომ არსებობს სული, ინტელექტი და მტრის ჯიბრზე აგრეთვე ნების თავისუფლება, სამყაროს გაჩენის დღიდან უკუნითი უკუნისამდე. საერო მეცნიერების ქედმაღლურ განცხადებას - "და ამით ვსვამ წერტილს", იეზუიტები თავიანთი დაკვირვებების ბოლოს ქრისტიანულ-თავმდაბლურ, მაგრამ არანაკლებ მტკიცე და ენერგიულ "ამენ"-ს უპირისპირებდნენ".

ფაქტობრივად ამასვე ამტკიცებს ს. ავერინცევი: "არც ქრისტიანულ აღმოსავლეთს ძალუძს იოლად წასვლა დასავლური გამოცდილების გარეშე, რომელიც ორ საუკუნეზე მეტ ხანს ითელის ცოცხალი რწმენისას, მას შემდეგ, რაც მან მიიღო გამოწვევა განმანათლებლობისა, დიახ, ყოველივე იმის გარეშე, რაც აღმოჩნდა "გამომუშავებული" დასავლური რეფლექსიის მიერ მორალის ღვთისმეტყველების პრობლემებზე და მასთან დაკავშირებულ სამართლის ღვთისმეტყველებაზე. დასავლური გემოვნების გარეშე მოთმინებით განასხვავოს ნიუანსები, ინტელექტუალური პატიოსნების იმპერატივის გარეშე; დასავლურ ქრისტიანობას სამართლიანად შეუძლია ხშირად შეგვახსენოს: "ძმანო! ნუ ყრმა იქმნებით გონებითა" (1 კორ. 14-20), სოფიალოგოსი, კიევი, 2000.

ყოველივე ზემოთქმულის გაუთვალისწინებლობა კარელინისნაირ მართლმადიდებლებს დამართებს იმას, რაც თანამედროვე ისლამს ემართება.

ემიგრაციაში მყოფი სპარსელი თეოლოგიის დოქტორი ჯავად ტაბატაბაი ამტკიცებს, რომ ისლამი, როგორც რელიგია, წყვეტს თავის არსებობას და გარდაიქმნება "პოლიტიკურ ისლამად". ეს კი ხდება იმის გამო, რომ "ისლამს არ ძალუძს გასცეს პასუხები იმ ახალ კითხვებს, რასაც ცხოვრება ითხოვს. თანამედროვე მუსლიმანი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში ცხოვრობს, იძულებულია აღიქვას იგი ტრადიციული მსოფლგაგების დახმარებით. რადგან ამის გაკეთება შეუძლებელია, ამიტომ არც ერთი ის იდეა, რომლის შემწეობითაც მუსლიმანი განმარტავს და ხედავს ყოველივეს, არ აღმოცენდება ისლამური ცოდნის სისტემიდან. ყველა ეს იდეა აღებულია დასავლეთიდან".

ბ-მა კარელინმა დასავლეთის კულტის დანერგვა რომ არ დაგვაბრალოს და სიხარულით აღტაცებულმა ტაში არ შემოჰკრას, აქვე განვაცხადებ - საკუთარი ვიზიარებ სერგეი აკსაკოვის მეორე შეგონებასაც, რომლითაც იგი მიმართავს რწმენისადმი ინდიფერენტულ დასავლეთს: "ჩვენ კი ზოგჯერ საფუძველი გვაქვს შევახსენოთ ჩვენს დასავლელ ძმებს: "დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა" (იგავთა 1,7)".

მაგრამ მიეყვეთ ბ-ნი კარელინის ბრალდებებს. იგი ამბობს: "არ ყოფილა შემთხვევა, მართლმადიდებლებს დაეხოცოთ კათოლიკეები იმ მიზეზით, რომ ამ უკანასკნელთ მართლმადიდებლობის მიღება არ სურდათ". არ არის სწორი. სამწუხაროდ, მე-17 საუკუნეში, ასევე მოწამეობრივად აღესრულა მართლმადიდებელთაგან ნატანჯი, ეროვნებით პოლონელი იეზუიტი ანდრეა ბობოლა, რომელიც დასავლეთის ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მის სახელზე მთელი სამონასტრო კომპლექსია აგებული დღეს ვარშავაში (პირადად გახლდით!).

როდესაც ბ-ნი კარელინი საუბრობს ჯვაროსნებისა და ინკვიზიციის "სისხლიან კვალზე", მან არ უნდა დაივიწყოს, რომ ჯვაროსნობას ბიძგი მისცა უწყინარი პილიგრიმების, ქრისტეს საფლავის მომლოცველთა დაუნდობელმა ხოცვა-ჟლეტამ არაბი ბედუინების მხრიდან. ჯვაროსანთა უმრავლესობა თავიდან ქრისტეს საფლავის, რომელშიაც ისინი ზეციური იერუსალიმის ანარეკლს ხედავდნენ, განთავისუფლების ენთუზიაზმით იყვნენ შეპყრობილნი, როგორც ამას იმდროინდელი მემატიანენი გვამცნობენ. რაც შეეხება ინკვიზიციას, თავიდან იგი ერეტიკოსთა და სატანისტების (რაც დღევანდელ მსოფლიოში წარმოუდგენელ მაშსტაბს იძენს) ასალაგმავად შეიქმნა. მაგრამ ეს "სისხლიანი კვალი", სამწუხაროდ, მართლმადიდებლურ სამყაროში განა არ იყო? გავიხსენოთ აღმოსავლეთის ეკლესიის ისეთი მანათობელი ვარსკვლავები, როგორებიც იოანე ოქროპირი და მაქსიმე აღმსარებელია. ერთს გადასახლებაში ამოხადეს სული, ხოლო მეორეს ესეც არ აკმარეს და ტანჯვა-წამებით მოკლეს. ანდა გავიხსენოთ რუსეთის ისტორიიდან პროტოპოპი აბაკუმისა და მის მომხრეთა დაწვა. ბ-ნი კარელინი იტყვის: ეს მეფის ბრძანებით მოხდაო. მაგრამ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ისინი, "რასკოლნიკები", რუსეთის ეკლესიამ შეაჩვენა და განა ინკვიზიცია, რომელიც ფაქტობრივად "გამოძიებას" ნიშნავს, იმავეს არ აკეთებდა და

დამნაშავეს საერო ხელისუფლებას არ გაღასცემდა?! აგერ ახლახან საქართველოს ტელევიზიით გვიჩვენეს რუსი სექტანტები რომლებსაც საუკუნოვანი ბოღმა ვერ ძოუნელებიათ და იმ მეფესა და ხელისუფლებას მუშტს უქნევდნენ, რომლებმაც ისინი კავკასიაში გადმოასახლეს: ჩვენი ძოსაობა უნდოდათ, მაგრამ არ გამოუვიდათო! როგორც ჩანს, ბატონი კარელინი "სისხლიან კვალს" მარტო დასავლეთში ძიჰყვება და რუსეთისაკენ გახედვა არ სურს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კარელინის კრიტიკა დედა ტერეზასი. დედა ტერეზას მთავარი დანაშაული ყოფილა ის, რომ იგი ქვეყანამ "მიიღო" მაცხოვრისაგან განსხვავებით, რომელიც აწამეს. დედა ტერეზას ტაშს უკრავდა მთელი მსოფლიო, ყველა რჯულის ადამიანი, მას ნობელის პრემიაც მისცეს, ხოლო პრემია, მრისხანე სახით განაგრძობს ბ-ნი კარელინი, იმ დაგროვილი კაპიტალიდან არის, რომელიც მიღებულია დინამიტის წარმოებისა და გაყიდვისაგან (ამ დროს არქიმანდრიტ რაფაელს თავში არ მოსდის, რომ დინამიტი შეიძლება ადამიანის სასარგებლო მიზნისთვისაც გამოიყენო). დიახ, დედა ტერეზას კაცთმოყვარეობა მხოლოდ ჰუმანიზმით არის განპირობებული და არა იმ ქრისტიანული სულისკვეთებით, რომელიც ადამიანში ახალ ადამიანს აღმოაცენებდა იმით, რომ მას ცოდვებზე თვალს აუხელდა, მოანანიებინებდა და თუ ქრისტიანი არ იყო - გააქრისტიანებდა. დედა ტერეზა კი მხოლოდ და მხოლოდ ავადმყოფებს და დავრდომილებს პატრონობს, მათ მხოლოდ სიკვდილისაგან გადაარჩენს და უკიდურეს შემთხვევაში წერა-კითხვასაც ასწავლის, ხოლო ეს სახიფათოა, ხომ შეიძლება გადარჩენილმა შემდეგ ფოიერბახი წაიკითხოს? ამიტომ დედა ტერეზას კაცთმოყვარება სულიერი კი არ არის. იგი- მშვინიერია. ასეთია მოკლედ ბ-ნი კარელინის მსჯელობა დედა ტერეზას მიმართ (იხ. Архимандрит Рафаиил (Карелин), О матери Терезе, Покаяние и исповедь, С. Петербург. 2000).

ცხადია, დედა ტერეზამ მსოფლიო აღაფრთოვანა და შესაძლოა, მას ტაშის ცემითაც შეხვედროდნენ. მაგრამ, საკითხავია, ქვეყანამ მიიღო დედა ტერეზა, ხოლო თავად მან მიიღო კი ქვეყანა? მოკლე ცნობა მისი ბიოგრაფიიდან: "იგი დგებოდა დილის ოთხის ნახევარზე და თავისი ორდენის დებთან ერთად ეწეოდა მთელ სამუშაოს - უხვევდა ჭრილობებს, უკეთებდა ოყნას, გაჰქონდა ღამის ქოთნები. ამას სჩადიოდა იგი მთელი ცხოერების მანძილზე, ღრმა მოხუცებულობამდის, მიუხედავად ინფარქტებისა, ართრიტისა და განმეორებითი მალარიისა". იქნებ ბ-ნ კარელინს აქვს რამე საბუთი, რომელიც მეტყველებს, რომ დედა ტერეზამ "სახლში წაიღო" ნობელის პრემია და იგი გლახაკთა და უპოვართ არ დაურიგა?! და განა მისი საქციელი, ქრისტიანისა, თავად მის რწმენას არ განადიდებს მსოფლიოში?! ეჰ, ეჰ, ბატონო კარელინ, "არხიმანდრიტ რაფაიილ..."

ვშიშობ ძალზე არ გამიგრძელდეს ამ თემაზე წერა, ამიტომ არქიმანდრიტს მხოლოდ გავახსენებ სახარებისეულ იგავს კეთილ სამარიელზე (ლუკა 10, 25-37) და, ამ იგავის ალეგორიულ ახსნას თუ გამოერიცხავთ,

დაე მკითხველმა გადაწყვიტოს თუ ულირს მღვდელში ვინ იგულისხმება: კარელინი თუ აწ გარდაცვლილი დედა ტერეზა.

შემდეგი ბრალდება: "კონსტანტინოპოლს თურქები შემოეწყვნენ. დასავლეთი შორიდან შეჰყურებდა ქალაქის უკანასკნელ. სიკვდილისწინა გაბრძოლებას..." არ არის მთლად სწორი. მოვუსმინოთ, თუ რას გვაუწყებს ამის შესახებ თავის "კონსტანტინოპოლის დაცემაში" ცნობილი ინგლისელი ბიზანტინისტი რანსიმენი (S. Runciman, Camvridge, 1969): "თვით ვენეციელებსაც, რომელთაც ჰქონდათ ინფორმაციის უტყუარი წყარო და დიდი პრაქტიკული გამოცდილება, სჯეროდათ ისეევე, როგორც პაპს, რომ ქალაქის დამცველთ სავსებით შეეძლოთ გაძლება დახმარების მიღებამდე. სინამდვილეში კი ვენეციურმა გალერებმა, რომელნიც აღიჭურვნენ პაპის დახმარებით, მიაღწიეს მხოლოდ ხიოსის სანაპიროებს და იქ გაჩერდნენ ზურგის ქარის მოლოდინში იქამდის, სანამ არ მოცურდნენ პეტრასაგან თავდაღწეული გენუის ხომალდები, რათა ეუწყებინათ, რომ აჩქარებას უკვე აზრი აღარ ჰქონდა".

ამის შემდეგ ბ-ნი კარელინი "ზოგიერთ ქართველ ინტელიგენტს" დასცინის, რომელნიც ნანობენ, რომ "საქართველოს ეკლესიამ თავის დროზე არ მიიღო უნია რომის ეკლესიასთან". კარელინი მათ იმ ქალიშვილს ადარებს, "არშემდგარი პაემანის გამო რომ წუხს და ოხრავს, თან თავს იმშვიდებს, იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიანო". არ ვიცი, შეიძლება არქიმანდრიტ რაფაელს დიდი გამოცდილება აქვს დაუკმაყოფილებელი ჟინის გამო წუხილსა და ოხვრაზე დაკვირვებისა, მაგრამ რაც უნიას შეეხება, შემიძლია დავაწყნარო იგი, რომ საქართველოში ასეთი რამ დღის წესრიგში არ დგას. კარელინის ასეთი წუხილი გამოძახილია უნიატობისა უკრაინაში, მაგრამ იქ კარელინი საქმეს ვერ უშველის, ეს დიდი ხნის გადაწყვეტილი რამ არის. გადასახლებაში მყოფს უკრაინელმა პოლიტპატიმარმა სენიკმა, რომელსაც საერთო ჯამში 16 წელი ჰქონდა გატარებული ციხე-ლაგერებში, ასეთი რამ მიამბო: როდესაც II მსოფლიო ომის დროს საბჭოთა რუსეთის ჯარებმა დატოვეს ლვოვი, იქ, ცენტრალურ ქუჩაზე, სადაც ჩკ-ს შენობა იყო, რამდენიმე დღეში საზიზღარი სუნი დატრიალდა ისე, რომ გამვლელებს სული ეხუთებოდათ. მალე ჩკ-ს შენობის კედლები ჩამოანგრიეს, სადაც რუსებს ჩაუტანებიათ ნაწამები ხალხი. როგორც ჩანს, ძალზე ჩქარობდნენ ქალაქის დატოვებას. მოდი ახლა შენ და ამათ უნიატობა გადააფიქრებინე!

ბ-ნ კარელინს ჩვენს ინტელიგენციაზე ძალზე დაბალი წარმოდგენა ჰქონია, თორემ ასეთ რამეს არ დაწერდა: ქართველ ინტელიგენციასო "კათოლიციზმი ნახტომი ჰგონია აზიიდან ევროპაში. ის კი ავიწყდებათ, რომ საქართველოს თავისი კულტურა და თავისი ტრადიციები აქვს, ავიწყდებათ, რომ როცა საქართველოში ცას სწვდებოდნენ ქრისტიანული ტაძრები, პარიზში, რომელსაც მაშინ ლუტეცია ეწოდებოდა, ჯერ კიდევ წარმართული მსხვერპლშეწირვის ცეცხლი ენთო".

გალთა ტომის პარიზიების დასახლება ლუტეცია ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნიდან იხსენიება (მას იულიუს კეისარი იხსენიებს). ახ. წელთაღ-

რიცხვის III ს-დან პარიზი ეწოდა. არ ვიცი, ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, გნებავთ ახ. წელთაღრიცხვის III ს-ში, როგორ დალანდა არქიმანდრიტმა რაფაელმა საქართველოში ქრისტიანული ტაძრები და ისიც "ცას რომ წვდებოდნენ"? ეს გადამეტებული მლიქვნელობაა, თუ უმეცრების უდიდესი გამოვლინება?! მაგრამ შემდეგ აშკარად ჩანს, რომ ბ-ნი კარელინი უბრალოდ დაგვცინის: თურმე ჩვენი ინტელიგენციის რწმენით "თუ ქვეყანა განუდგება წინაპართა სარწმუნოებას, ე.ი. საკუთარ ისტორიას, რაღაც ჯადოსნური ძალის წყალობით ვაკე სორბონად გადაიქცევა, აელაბარი კი მონმარტრად".

შემდეგ, ბ-ნი კარელინი დაუფარავად ამბობს, რომ რომის პაპს ნაცვლად მისი ისტორიული სინანულისა და მობოდიშებისა, უარი რომ ეთქვა "მართლმადიდებლურ ქვეყნებში მოგზაურობაზე, რომელთა მკვიდრთა უმეტესობას მისი მიღება არ სურდა, ბევრად უფრო ზნეობრივ საქციელს ჩაიდენდა. მან კი ისევ და ისევ ძალისმიერ მეთოდებს მიმართა და გარკვეული ბერკეტებიც მოიშველია".

ბატონებო! აქ კარელინის პირით რუსეთის საგარეო საქმეთა უწყება ლაპარაკობს, რადგან ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში ერთადერთი ქვეყანა, რომელიც პაპს არ იწვევს, მართლმადიდებლური რუსეთი გახლავთ, და სწორედ იგია, რომელიც "გარკვეულ ბერკეტებს" იშველიებს, რათა პაპი არ გააკაროს ამ სახელმწიფოებს. რაც შეეხება პაპის "ძალისმიერ მეთოდებს", ამაზე კაცს მხოლოდ გაელიმება, მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ვატიკანთან, როგორც სახელმწიფოსთან, რუსეთი დიპლომატიურ ურთიერთობას არ წყვეტს, მხოლოდ აქ, ქართული გაზეთის მეშვეობით ცდილობს ის, ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს საერთაშორისო ვითარება გაუფუჭოს. ბ-ნო კარელინ! ამხანაგო კარელინ! განა თქვენთვის უცნობია, რომ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში რომის პაპს დიდი სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი?! თუ კი თქვენ ჩვენი ეკლესიის წევრი ხართ, სად არის თქვენი მორჩილება უმაღლესი იერარქისადმი?! ანდა, განა თქვენთვის უცნობია, თუ რა დიდი პატივით დაასვენა ქართველმა ერმა პატრი მიქელ თამარაშვილის ნეშტი დიდუბის პანთეონში?!

ბ-ნი კარელინი ნიშნის მოგებით მოიხსენიებს ქართველ მეფეებს, რომელთაც დახმარებისათვის რომის პაპს ან საერთოდ დასავლეთს მიმართეს და იქიდან ჯარების ნაცვლად მხოლოდ ლოცვა-კურთხევა და მისიონერთა ჩამოსვლა მიიღეს. ირონია და პარალელი აშკარაა: სამაგიეროდ, ჩუმი ყვედრებით მოგვმართავს იგი, გაიხსენეთ, ქართველებო, მოსკოვმა გასაჭირის დროს რამდენი ჯარი გამოგიგზავნათ და ხელი როგორ გამოგიწოდათო!

თქმა არ უნდა, ეს მართლაც ასე იყო, და განსაკუთრებით ამის მაძლიერნი არიან აღმოსავლეთ საქართველოში, ვინაიდან რუსის ჯარის დახმარებით აღიკვეთა ე.წ. "ლეკიანობა", ხოლო დასავლეთ საქართველოში - დედა სამშობლოს რომ დაუბრუნდა ბათომის ოლქი. მაგრამ, საკითხავია, რუსეთის იმპერია ამას საკუთარი საზღვრების გაფართოებისათვის ცდილობ-

და თუ საქართველოსა და ქართველების "სიყვარულის" გამო? მე მგონი, პასუხი ნათელია და ამას ისტორიაც ადასტურებს: ყბადაღებული "გეორგიევსკის ტრაქტატის" არად ჩაგდება და ქართული სამეფო-სამთავროების პირდაპირი ანექსია, რასაც XIX ს-ის პირველ ნახევარში ქართველთა მხრიდან რიგი აჯანყებები და შეთქმულებები მოჰყვა. როგორი საყურებელი იყო "ერთმორწმუნე ძმათაგან" უღელში შებმული ქართველი გლეხები, ე.წ. "საქართველოს სამხედრო გზაზე" რომ ამუშავებდნენ, ან კახელ კაცს ქვევრში რომ სიბინძურეს უყრიდნენ, ან იმერეთში ნაწამები და დახოცილი ქართველი ეპისკოპოსები... XIX ს-ის მეორე ნახევარში კი ქართულ ენაზე სწავლების გაუქმება, ამ ენის აკრძალვა და მისი "ძაღლის ენად" მოხსენიება. ცნობილი ფაქტია: 1886 წელს თბილისის სემინარიის სტუდენტმა ლაღიაშვილმა მოკლა ამ სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. ამის გამო საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ (ლებედევმა) მთელი ქართველი ერი დაწყევლა. ქართველთა ღირსება დაიცვა ბრწყინვალე თავადმა და იმდროინდელმა ქალაქის თავმა დიმიტრი ყიფიანმა, რომელმაც ეგზარქოსს საქართველოს დატოვება მოსთხოვა. მოხდა კი პირიქით - გადაასახლეს სწორედ დიმიტრი ყიფიანი და იგი გადასახლებაში, სტავროპოლში მოკლეს. XIX ს-ის ბოლოს რუსეთის იმპერატორის ტიტულატურაში აღარ მოიხსენიებოდა "მეფე საქართველოსი", ხოლო რუკაზე "საქართველო" გამქრალი იყო და მის ნაცვლად "ტფილისსკაია" და "კუტაისსკაია" გუბერნიები ეწერა. დავიჯერო ეს ამბები არ სმენია ბ-ნ კარელინს? მაშინ ცნობილ რუს მწერალს ვასილ როზანოვს გავახსენებ. მხოლოდ დიდმა კატაკლიზმმა, რუსეთის ბოლო რევოლუციამ შეანჯღრია ამ მწერლის მონარქისტული სული, როდესაც თავისი სიცოცხლის ბოლოს, 1918 წელს სერგიევ პოსადში განმარტოებულმა, აკანკალებული ხელით შემდეგი დაწერა: "საქართველოში თვით მართლმადიდებლური წირვის მოსმენაც ავუკრძალეთ მათ ქართულ ენაზე (მე თვითონ მოვისმინე წირვა). ო, ო, ო... მე თვითონ ვისმინე, თვითონ ვისმინე ტიფლისში" (იხ. მისი "ჩვენი დროის აპოკალიფსი").

ასევე საჭიროა, რომ ბ-ნმა კარელინმა გადაიკითხოს, თუ რას წერს რევოლუციამდელ რუსეთზე თავის წერილში "ქრისტიანული სახელმწიფოს პრობლემა" ისეთი აღიარებული რუსი ფილოსოფოსი, როგორიც ნიკ. ბერდიაევია: "სახელმწიფოებრივი ეკლესიურობის სისტემა, სახაზინო ნიმუშის სახელმწიფოებრივი მართლმადიდებლობა წარმოშობდა ფარისეველობასა და სიცრუეს, წარმოადგენდა ეკლესიის გამოყენებას კეისრული მიზნებისათვის... საკულარიზაცია, რუსული სამეფოს საერო სამეფოდ გარდაქმნა დიდი ხანია, რაც დაიწყო, უკვე ორას წელზე მეტია რაც ეს ხდებოდა, ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო რამდენიმე თვესა ან წელიწადში. რუსული მართლმადიდებლური სამეფო აგრძელებდა თავის თავზე წმიდა სამეფოს ყველა ნიშნისა და სიმბოლოს ტარებას, მაგრამ იგი იქცა აუტანელ სიცრუედ, მას უკვე აღარ შეესაბამებოდა შინაგანი რეალობა, იგი უკვე აღარ შეესაბამებოდა ხალხის რწმენას, იგი ცრუმარქვია იყო. ამიტომ ეს სამეფო განწირული იყო დასაღუპავად. ყოველი სიცრუე, ფარისეველობა, არაგულწრ-

ფელობა, ცრუმარქვიობა განწირულია დასაღუპავად". ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ქრისტიანობის როგორი გამავრცელებლები ეყოლებოდა რუსეთს კავკასიაში თუ სხვაგან. ერთი ასეთი "მისიონერი" დახატა მიხეილ ჯავახიშვილმა თავის "ლამბალო და ყაშაში" (მახსენდება ცხონებული რაფიელ (კუკური) ნიჟარაძე, ძე სვანეთის განმანათლებელი მღვდლის ბესარიონ ნიჟარაძისა. გერმანიაში განსწავლის შემდგომ საქართველოში დაბრუნდა და 20 წელი მიუსაჯეს "გერმანიის ჯაშუშობისათვის". ხრუშჩოვის დროს ჩამოვიდა იგი საქართველოში. მისი ნაამბობიდან: 1918 წელია და ტფილისში, გერმანიის მისიაში თარჯიმნად ვმუშაობ. უეცრად მოვიდა იქ რუსი ეპისკოპოსი, მე გერმანულ ფორმაში ვარ და მოაღო პირი და გვლანძღა, მაგრამ რა გვლანძღა ქართველები...). რასაკვირველია, როგორც ბატონი კარელინი ბრძანებს კათოლიკეებზე, არც რუს მართლმადიდებლებს აკლდათ თავგანწირული მორწმუნეები, რაც რევოლუციის წლებში დადასტურდა კიდეც მათი მოწამეობრივი სიკვდილით. მაგრამ სერვილიზმის ის სული, რაზედაც ზემოთ საუბრობს ბერდიაევი, სამწუხაროდ, შეინარჩუნა რუსულმა ეკლესიამ. თავად რუსულ პრესაში წამიკითხავს: ზიუგანოვი რომ არ დამარცხებულიყო არჩევნებში, რუსეთის პატრიარქი ნიკოლოზ II-ს და მის ოჯახს წამებულად არ შერაცხდაო! და ასეთი პატრიარქისაგან 1989 წლის თბილისის ტრაგედიასთან დაკავშირებით გულუბრყვილოდ ველოდი სამძიმრის დეპეშას. მართალია, სამძიმრით არც რომის პაპს შეუწუხებია თავი, მაგრამ "ერთმორწმუნე ძმისაგან" სამძიმარი, განსაკუთრებით როდესაც მისმა "მართლმადიდებელმა" ჯარისკაცებმა უიარაღო ქალები და ბავშვები დახოცეს, სამძიმარი მოსალოდნელი იყო. სამაგიეროდ, სამძიმარი ჩემთან, როგორც ქრისტიანული საზოგადოების თავმჯდომარესთან, მოვიდა სულ სხვა მხრიდან... ყირიმელი თათრებისაგან! ალბათ ამანაც იმოქმედა, რომ მომდევნო წელს, როდესაც ბაქოში სისხლიანი ტრაგედია დაატრიალეს "მართლმადიდებელმა" ჯარისკაცებმა, "წმ. დავით აღმაშენებლის სახ. ქართველ ქრისტიანთა საზოგადოებამ" ჩემი (თავმჯდომარის) და მდივნის (სოსო სურგულაძე) ხელმოწერით სამძიმრის დეპეშა გავუგზავნეთ (ძლივს, ფოსტა არ ღებულობდა) აზერბაიჯანის მწერალთა კავშირს და მათ სახალხო ფრონტს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ბ-ნ კარელინს. იგი ირონიულად კითხულობს: "ყოფილა კი საქართველოს ისტორიაში ისეთი შემთხვევა, რომ კათოლიკეებს გაჭირვების ჟამს ხელი გაემართოთ ქართველებისათვის?" ყოფილა, ყოფილა, ბ-ნო კარელინ და სიბრაზისაგან არ გაიგუდოთ: 1121 წელს, დიდგორის ბრძოლის დროს, როდესაც საქართველოს ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა, დიდად გამოიჩინა თავი ბრძოლის ველზე ორასმა ფრანგმა ჯვაროსანმა რაინდმა... არავითარი "იმპერიალისტური" ზრახვები მათ არ ამოძრავებდათ და შეპყრობილნი იყვნენ რწმენის ენთუზიაზმით. რვა საუკუნის შემდეგ, 1918 წელს, საქართველოსთვის ასევე საბედისწერო ჟამს, დიდად დაეხმარა ჩვენს სამშობლოს გერმანიის "ბავარიის დივიზია" (ბავარია, მოგეხსენებათ, კათოლიკეებით დასახლებული გერმანიის მხარეა), რასაც ვერ

ვიტყვით ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ რუსებზე, რომელნიც აფხაზეთის მხრიდან გენერალ დენიკინის სარდლობით თავს დაგვესხნენ.

აფხაზეთის ხსენებაზე ცოტა უხერხულობა ხომ არ დაგეტყოთ, ბ-ნო კარელინ? ვინ მოგვისია მუსლიმანი ჩრდილო კავკასიელნი და "მართლმადიდებელი" კაზაკები და მოხალისენი?! მთელი ქვეყანა სისხლის მორევად იქცა და ცეცხლში იყო გახვეული, რამდენი მშვიდობიანი მოსახლე დახოცეს, აწამეს, გააუპატიურეს... თქვენ კი მაშინ სდუმდით, როდესაც ჩემი ქვეყანა იმსახურებდა ჯუზეპე მაძინის სიტყვებს: "აღსდგები კი ოდესმე, იტალია? ცრემლთა ქვეყანავ!"

საქართველოში მართლმადიდებლობას არავითარი ბ-ნ კარელინის გამოსარჩლება არ სჭირდება. მით უმეტეს არ სჭირდება მისი ლანძღვა კათოლიკობას - თავისი წმინდანებით, კუშტი დანტეთი და სათნო სერვანტესით იგი უფლის წინაშე თავს იმართლებს. და ერთი რამ უნდა ახსოვდეს ქრისტიანს - როგორც საეროს, ასევე ღვთისმსახურს, რომ მთავარზე უმთავრესია სიყვარულის ქონა, რომელიც უმაღლესია თვით რწმენასა და იმედზე (პავლე მოციქული, I კორინთელთა მიმართ 13, 13).

8 იანვარი, 2002 წლისა

პასუხი "მართლმადიდებლებს"*

მართალი მოგახსენოთ, გვიან ჩამივარდა ხელთ გაზეთი "ჯორჯიან თაიმსი" (14 მარტი, 2002). მის ვეებერთელა გვერდზე წერილი შრიფტით დაბეჭდილი ჩემი წერილის ("ლიტ. საქართველო". 25 იანვარი, 2002) "კრიტიკა" რომ ვიხილე და განსაკუთრებით მის შინაარსს რომ გავეცანი, ნამდვილად შემზარა უმეცრებისა და ცილისწამების იმ დიდმა მორევმა, რაც იქ სუფევს, რომელსაც გუნებაში ავგიას თაღლა ვუწოდე და ვინაიდან არ ვიყავი გმირი ჰერაკლე, მის გაწმენდაზე ხელი ჩავიქნიე და პასუხის გაცემა არ დავაპირე. გარდა ამისა, ეს "კრიტიკა" არ იმსახურებდა პასუხის გაცემას თუნდაც იმის გამო, რომ კოლექტიური წერილების წერა, რითაც გამოირჩევა ეს "კრიტიკა" მასზე დასმული ხელმოწერებით, უკვე ავადმოსაგონარი ტოტალიტარული რეჟიმების გადმონაშთია, ხოლო თავად ჩემი კრიტიკის ობიექტი, არქიმანდრიტი რაფაელი, გვარად კარელინი, ჩუმად მიყუჟულა, ხმას არ იღებს და ეს ახალგაზრდები (?) დარაზმა, ხალხი, რომელთა გვარ-სახელი არაფერს მეუბნება და ალბათ არაფერს ეუბნება იგი არც მკითხველს. დიახ, დარაზმა ეს ხალხი კარელინმა და, მისი აზრით, ჩემთვის "მომაკვდინებელი" ციტატებით აღჭურვა. მეორე მხრივ, ასედაც ვიფიქრე: ეს სამი ავტორი, "მართლმადიდებლები", ნამდვილად დააბნევენ მკითხველს, რომელსაც ეგონება, რომ მთელი მართლმადიდებლობა გადამიდგა და, რაც უარესია, მათ გამონათქვამებს იგივე მკითხველი ჩვენი ეკლესიის გადაწყვეტილებად თუ არ მიიჩნევს, ყოველ შემთხვევაში, მისგან ნებადართული მაინც ეგონება. ამ უკანასკნელმა გარემოებამ და კიდევ იმან, რომ სამწუხაროდ, ბოლო დროს ჩვენში ყველა გაზეთს თავისი მკითხველი ჰყავს, განაპირობა ის, რომ "ჯორჯიან თაიმსის" მკითხველებმა არ უწყიან, თუ რა დავწერე "ლიტერატურულ საქართველოში", რაზეც ასე თავგამეტებულად მპასუხობენ ჩვენი "მართლმადიდებლები". ამიტომ და მხოლოდ ამ მოსაზრებების გამო გადავწყვიტე პასუხის გაცემა.

დავიწყოთ იმით, რომ სათაურში მოტანილი სიტყვა "მართლმადიდებლები" ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს. მე მართლმადიდებლად ვერ მივიჩნევ კაცს, რომელიც ტყუის და, მით უმეტეს, ცილს სწამებს მოყვასს "წამებითა ცრუითა". როდესაც ისინი მიწერენ, რომ მე "შეურაცხვყოფ და ცილს ვწამებ" არქიმანდრიტ რაფაელს და შემდეგ წერილის დასაწყისშივე აცხადებენ, რომ "ამ ცილისწამების დაწვრილებით გარჩევას ჩვენ არ შევუდგებით"-ო, ამით ისინი ვეებერთელა ტყუილს ამზეურებენ და დიდ ცოდვას სჩადიან, რადგან, რუსული ანდაზის მიხედვით, რაც კარელინმა კარგად უწყის, "კალმით ნაწერ სიტყვას ნაჯახით ვერ ამოკვეთ". დიახ, არც ერთი ციტატა, რომელიც არქიმანდრიტ რაფაელს გაუკრიტიკე, მისი არც ერთი გამონათქვამი ჩემს მიერ მოგონილი არ გახლავთ და ეს ავტორები, ანუ

---

* აღნიშნული სტატია გაზეთ "ჯორჯიან თაიმსში" არ დამიბეჭდა მისმა რედაქტორმა გ. იაკობაშვილმა. იგი დაიბეჭდა გაზ. "საქართველოს რესპუბლიკაში" 2002 წლის მარტს.

"კარელინისტები" (ქვემოთ მათ ასე მოვიხსენიებ ჩვენში გავრცელებული "ისტების" მოდის მიხედვით) ამიტომაც აცხადებენ - "მათ დაწვრილებით გარჩევას არ შეუდგებითო". ჰოდა, თქვე დალოცვილებო, "დაწვრილებით" გარჩევას ვინა გთხოვთ, ერთი ციტატა მაინც მოგეყვანათ თქვენი პატრონისა! თუნდაც ერთი ციტატის მოყვანა ნათლად გამოაჩენდა თქვენს სიცრუეს, როდესაც მიკიჟინებთ, თურმე "სასულიერო პირს, მონაზონს" დავცინი და ცილს ვწამებ. მაგრამ მოვუსმინოთ თავად ბ-ნ კარელინს, იგივე არქიმანდრიტ რაფაელს, ქართველ ინტელიგენციას რომ ადარებს ქალიშვილს, "არშემდგარი პაემანის გამო რომ წუხს და ოხრავს, თან თავს იმშვიდებს, იქნებ, ჯერ კიდევ არ არის გვიანო". დაუკმაყოფილებელი ჟინის ეს აღწერა, დამეთანხმებით, უფრო მოპასანის კალამს დამშვენდებოდა, ვიდრე "სასულიერო პირს, მონაზონს". ახლა საკითხავია, თუ რითი "დავცინი" ან, მით უფრო, რაში "ვწამებ ცილს" კარელინს, განა ეს მისი დაწერილი არ გახლავთ?!

მაგრამ განვიხილოთ ყველაფერი თანამიმდევრობით. "ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ ჩემს წერილს სათაურად აქვს "უბირებზე გათვლილი პოლიტიკური პროვოკაცია", სადაც აქცენტი კეთდება არქიმანდრიტ რაფაელის პოლიტიკურ გამოხდომებზე, რომელთა ძირითადი მიზანია საქართველო მოწყვიტონ და დაუპირისპირონ დასავლეთს (კათოლიკურს, თუ, მით უმეტეს, პროტესტანტულს, ეს უკვე სულერთია). კარელინის წერილს "ლიტერატურულ საქართველოში" მისი გვარი არ ამშვენებს, არც ისაა მითითებული, რომ მისი წერილი თარგმნილია რუსულიდან. ამას არც ჩვენი კარელინისტები ამხელენ "ჯორჯიან თაიმსში". ეს კეთდება იმ მიზნით, როგორც ამას ჩემს წინა წერილში აღვნიშნავდი, რათა ქართველმა მკითხველმა ირწმუნოს, რომ ეს "სიბრძნე" დასავლეთთან დაპირისპირებისა "მშობლიური" არქიმანდრიტ რაფაელისაგან მომდინარეობს. თუკი კარელინისტები იტყვიან - სასულიერო პირს, "არქიმანდრიტს", გვარი არ უნდა მიეწეროსო, მაშინ რატომ აწერს იგი თავის გვარს იმ წერილებს, რუსეთში რომ ქვეყნდება? (იხ. მაგ. Покаяние и Исповедь, С.Петербург, 2000).

დიახ, კარელინის წერილის მთელი პათოსი იქითკენაა მიმართული, მსგავსად რუსეთის საპატრიარქოს მცდელობისა, რომ არ დაუშვას პაპის მსვლელობა "სნგ"-ს ქვეყნებში, რაზედაც წინა წერილში მე საკმაოდ ვისაუბრე და რასაც ახლა აღარ გავიმეორებ. აღსანიშნავია, რომ რუსეთი ჩვენ გვიკრძალავს რომთან ურთიერთობას, ხოლო ვატიკანთან თავად დიპლომატიურ ურთიერთობას არ წყვეტს. თუკი კარელინი, როგორც არქიმანდრიტი, ჩვენი ეკლესიის მეთაურის მორჩილია, რატომ სჩადის იგი ასეთ გამოხდომებს, როდესაც იცის, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში რომის პაპს უმასპინძლა პრეზიდენტთან ერთად ჩვენმა კათალიკოს-პატრიარქმაც?! დიხ, კარელინის გამოხდომები პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, თორემ რა ბერ-მონაზვნის საქმეა, მაგალითად, ასეთი მსჯელობა: იეზუიტური ორდენი "პოლიტიკური დაზვერვის ორგანოა და ყველა ამ ტიპის სპეცსამსახურისათვის ჩვეული საშუალებებით მანიპუ-

ლირებს". აი, ახლა კი მივადექით მთავარ სათქმელს: კარელინმა ოლონდ კათოლიკეები და მათი მრწამსი გააშაყოს და ტყუილების დაწერას მიჰყო ხელი. ახლა მე ვეკითხები მკითხველს: ეკადრება კი მართლმადიდებელს, ცილი დასწამოს თუნდაც მოწინააღმდეგესაც?! როდესაც კარელინის ტყუილები ვამხილე უშუალოდ ვატიკანის II კრების მასალებზე დაყრდნობით, როდესაც ტყუილი აღმოჩნდა, რომ "კათოლიციზმი ადამიანის მაიმუნისაგან წარმოშობის ევოლუციონისტურ თეორიასაც აძლევს არსებობის უფლებას", როდესაც ასევე ტყუილი აღმოჩნდა, რომ "ტეიარ დე შარდენის პანთეისტური თეორია ვატიკანმა თავის არსენალში მიიღო, როგორც ელიტარული მოძღვრება", და ა.შ., ეს გულზე მოხვდათ კარელინისტებს. მაშ, რაო, მე, როგორც მართლმადიდებელს უნდა დამეფარა კარელინის ტყუილები?! აი, რას ეძახიან კარელინისტები ჩემს მიერ "კათოლიციზმის გამართლებასა" და მის "აპოლოგიას"! ამიტომ, მართლაც დემაგოგიური მიზნებით, როგორც ჩემი მისამართით კადრულობენ ამის თქმას, მათ მსჯელობა გადააქვთ ვითომც "საღვთისმეტყველო" ფრონტზე და სინამდვილეში ხმას არ იღებენ არც ერთ ჩემს მხილებაზე კარელინის მიმართ. მაგრამ დახეთ უბედურებას, კარელინისტების ეს "საღვთისმეტყველო" ფრონტიც რომ საკმაოდ უსუსურად გამოიყურება?! ეგულისხმობ იმას, რომ მათ მიერ მოტანილი ციტატები ადრეული საუკუნეების წმ. მამებისა და, მით უმეტეს, ციტატები ბიბლიიდან, ეს, სალი განსჯის შემდეგ, იმავე კათოლიკეებსაც ხომ შეეძლოთ გამოეყენებინათ მათ წინააღმდეგ?! აი, რას გვამცნობს ერთი უკიდურესად მართლმადიდებლური სულისკვეთების ნაშრომი XIV-XV საუკუნეებზე: "პირველი ათასწლეულის წმიდა მამები ძალზე მნიშვნელოვანი იყვნენ დასავლეთისათვის, რომელთაც გულმოდგინედ გამოსცემდნენ და სწავლობდნენ. ამიტომ ისინი ხელმისაწვდომნი გახდნენ აღმოსავლეთშიც". (იხ. Протопресвитер Иоанн Мейендорф, История церкви и восточно-христианская мистика, Москва, 2000, стр. 8). დიახ, ადრეული წმ. მამების ციტირება კათოლიკეების წინააღმდეგ, მით უმეტეს, ამაში ნეტარი ავგუსტინეს ჩართვა, ძალზე მერყევი ნიადაგია იმ გაგებით, რომ მათი ციტირება, ასევე ბიბლიიდან ციტირება, როგორც ვთქვი, კათოლიკეებსაც ძალუძთ. ავიღოთ, მაგალითად, ავგუსტინეს შეხედულება სახელმწიფოზე. იგი ამქვეყნიურ სახელმწიფოს განიხილავს, როგორც ეშმაკის სამეუფოს (civitas terrena ანუ diaboli), როგორც ცოდვის სამყაროს, რომელსაც იგი უპირისპირებს ღვთის სამეუფოს (civitas dei), რომლის იდენტიფიცირებას იგი საბოლოოდ ახდენს რომის ეკლესიასთან, რომელმაც ღვთის შეწევნით უნდა დაამარცხოს ეშმაკეულის საბრძანებელი. სხვა შეხედულება აქვს ამ მხრივ აღმოსავლურ ეკლესიას, რომელმაც თავის დროზე დაამკვიდრა ე.წ. ცეზაროპაპიზმი, რაც ნიშნავდა სახელმწიფოსა და ეკლესიის უმაღლესი მბრძანებლობის გაერთიანებას ერთი ხელისუფლის - იმპერატორის ხელში. ეს სისტემა ბიზანტიაში დამკვიდრდა ჯერ კიდევ თეოდოსიუს II-ის (401-450) დროს, შემდგომ კი რუსეთშიც მოიკიდა ფეხი მას შემდეგ, რაც იქ გაუქმდა პატრიარქობა და ეკლესიის მმართველად თვით მონარქი მოგვევლი-

ნა. მაგრამ რამდენად სამართლიანი იყო აღმოსავლური ეკლესიის ლოცვა-კურთხევა ამ სისტემისა ავგუსტინეს შეხედულებებთან შედარებით? როგორც ეკლესიის ცნობილი ისტორიკოსი გვამცნობს, "ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირი" ამ დროს გადაიზარდა "ცეზაროპაპიზმში, ანუ ეკლესიაზე იმპერატორის მბრძანებლობაში" (იხ. М.Э. Поснов, История Христианскоiи Церкви, Киев, 1991; Dr. Karl Bihlmeyer, Kirchengeschichte, Paderborn, 1996). თუ გავიხსენებთ, რამდენი სისხლიანი იმპერატორი ჰყოლია ბიზანტიას და ასევე რუსეთს, პაპის "უცდომელობაზე" საუბარი ბავშვის ლუღლუღად მოგვეჩვენება. მაგრამ ეს ფრაზა კარელინისტებმა ახლა არ ჩამითვალონ პაპის "უცდომელობის" დოგმატის აღიარებად, რომლის უხერხულობასაც თვითონ კათოლიკეებიც გრძნობენ და რომელზედაც წინა წერილში საკმაოდ ვისაუბრე. სამაგიეროდ, არც მსოფლიო საეკლესიო კრებები იყო "ჩრდილოვანი მხარის" გარეშე, როგორც ამას ბრძანებს ერთი მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიკოსი, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა ეკლესიის ისეთ ბურჯს, როგორიცაა გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი), ამ უკანასკნელს აღნიშნული კრებების მიზანშეწონილობის მიმართ დიდი ეჭვი აღეძვრებოდა ხოლმე იქ წარმოებული დაპირისპირებების გამო (იხ. Проф. В.В. Болотов, Лекции по истории древней церкви, М., 1994). მაგრამ, ცხადია, ვერც ერთი ასეთი "ჩრდილოვანი მხარე" ვერ გადასწონის ლათინელთა მხეცობებს IV ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, როდესაც მათ კონსტანტინოპოლი აიღეს. სამართლიანობა ითხოვს იმის თქმასაც, რომ ამ ფაქტს წინ უსწრებდა (1182 წ.) ფრანკებისა და იტალიელების ხოცვა-ჟლეტა კონსტანტინოპოლის ლათინურ უბნებში. ყოველივე ეს კი გამოწვეული იყო, როგორც ამას ისტორიკოსები აღნიშნავენ, დიდი გაუცხოებით, როდესაც დასავლური სამყარო, განსაკუთრებით მე-2 ჯვაროსნული ლაშქრობისას, შეეფეთა უკვე მისთვის სრულიად უცხო, ბერძნულ-ბიზანტიურ მოსახლეობას, რომელნიც ურთიერთმიმართ დიდ ეჭვს აღძრავდნენ, მით უმეტეს, როდესაც ჯვაროსნებმა შეიტყვეს, რომ ბიზანტიის იმპერატორი, რომელიც თავის მხრივ ვერ ენდობოდა ჯვაროსნებს, თურქებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას მათ ზურგს უკან (ეს და სხვა ფაქტები აღებული გვაქვს ძალზე პრობიზანტინისტურად და მართლმადიდებლურად განწყობილი ავტორის, ბიზანტიის იმპერიის ცნობილი მკვლევრის ს. რანსიმენისაგან, იხ. S. Runciman, The Eastern Schism, Gambridge, 1966).

ჩვენი კარელინისტები ჩამოთვლიან (მე ვიტყოდი, მაინც არასრულად) ლათინელთა მხეცობებს და ფიზიკურ ანგარიშსწორებებს მართლმადიდებელ ბერებზე, მაგრამ არა ნაკლები დანაშაულია მორწმუნეთათვის სიწმინდის ხელყოფა, მკრეხელობა. იგივე რანსიმენი გვაუწყებს ერთი ამაზრზენი ფაქტის შესახებ: კონსტანტინოპოლის აღების დროს წმ. სოფიას ტაძრის საკურთხეველზე მეძავი ფრანგი გოგონები მხიარულობდნენ. ერთ-ერთი მათგანი პატრიარქის ადგილზე დაჯდა და ფრანგი ჯარისკაცები მას დაცინვით, ვითომცდა პატრიარქს, თაყვანს სცემდნენ და თან არ ივიწყებდნენ დიდებული ვერცხლის კანკელისა და საკურთხევლის მსხვრევასა და დატაცებას.

მართალი გითხრათ, ზემომყვანილი ადგილი რომ წავიკითხე, და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ უსწორდებოდნენ ლათინელები, რანსიმენის მიხედვით, მამაკაცებს, ქალებს, ბავშვებს, მღვდლებს, ბერებსა და მონაზვნებს, ჩემი ფიქრი გადაწვდა მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის დიდ რევოლუციას, რომელიც ნამდვილ სასჯელად მოევლინა ფრანგ ერს მათი სიწმინდეების შემუსვრით, სამღვდელოების გილიოტინირებით და ა.შ. აქ მე ვხედავ განგების ხელს და მეტაფიზიკური ბოროტების არსებობას, რომელიც ცოდვის სახით შემოიჭრა ჩვენში და, ცხადია, ვერაფრით მართლდება ოპტიმისტური, რენესანსიდან მომდინარე შეხედულება ადამიანის "წინსვლაზე".

მაგრამ, საინტერესოა, როგორი პოზიცია ეკავა რომის პაპს, ინოკენტი III-ს იმ დროს? რანსიმენის თქმით, "პაპს არავინ ეთათბირებოდა". შემდეგ: "იგი იყო შეძრწუნებული იმით, რომ მეომრებმა, რომელნიც წარემართნენ წმინდა ომში ურჯულოთა წინააღმდეგ, თავიანთი მახვილი მიმართეს ქრისტიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, თუმცა ეს ხალხი არ აღიარებდა პაპის უპირატესობას". აღსანიშნავია, რომ პაპის პოზიციაზე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მადლიერებით საუბრობდა ყოვლად მართლმადიდებელი ეპისკოპოსი პორფირე უსპენსკი, რომელმაც ათონის მთა მოინახულა და მისი ისტორია დაწერა იშვიათი პირველწყაროების გამოქვეყნებით ბერძნულ ენაზე. ეს ნაშრომი კარგა მოზრდილ ტომებს შეიცავს (იხ. Восток Христианский. Афон. Доктора еллинской словесности, епископа Порфирия Успенского. Санкт-Петербург, 1892). აქ ეპისკოპოსი გვაუწყებს, რომ "პაპმა ინოკენტიმ "იხსნა ათონელთა სამასი სავანე უგუნური ლათინელთა დარბევისაგან". იგი ათონელ ბერებს ადარებს "მტრედებს, რომელთაც მტაცებელი ფრინველის კლანჭებში ჩავარდნას ისევ ადამიანის ხელში ჩავარდნა ამჯობინეს, რომელიც მათ დაიცავდა".

დიახ, დიდია ლათინელთა მიერ ჩადენილი დანაშაული ბიზანტიელი მართლმადიდებლების მიმართ, მაგრამ, როგორც ვთქვით, ისტორიის ეს ტრაგიკული ფურცლები არ დაიწერებოდა, მაცდურის მეშვეობით რომ არ აღმოცენებულიყო დიდი ეჭვი და გაუცხოება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. საქმეში ჩახედული მკითხველი აქ ადვილად შეამჩნევს, რომ სხიზმის ოფიციალურ თარიღზე - 1054 წელზე თითქმის არაფერს ვამბობ, რადგან ეს ნამდვილად არ იყო გამმიჯნავი თარიღი და, ისტორიკოსების თქმით, იგი ნამდვილად გადაილახებოდა, რომ არა მეორე ჯვაროსნული ლაშქრობიდან დაწყებული გაუცხოება. დიახ, ჩვენც გვწამს, რომ იგი გადაილახებოდა, რადგან Filioque, რწმენის სიმბოლოში დასავლური ღვთისმეტყველების ეს დამატება, ძირითადად მოხდა არიოზელი გოთების საწინააღმდეგოდ, რათა ჯეროვნად განდიდებულიყო მაცხოვარი. ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევი ეს ნაბიჯი ალბათ გაგებასაც პოვებდა შემდგომ აღმოსავლურ ღვთისმეტყველებაში და კიდეც დაიძლეოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ვარაუდია, ხოლო ისტორია უფრო ტრაგიკულად განვითარდა.

ამ მოვლენების გადმოცემის დროს არ შეიძლება არ აღვნიშნო ჩვენი ორი წინაპრის როლი იმ გარემოებებში. იგივე რანსიმენის თქმით, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა პეეტერსს (Peeters. 'Vie de S. Georges l'Hagiorite, ;Analecta Bollandina, Vol. XXXVI-XXXVII), ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე X დუკას დროს, მე-11 ს-ის სამოციანი წლების დასაწყისში, კონსტანტინოპოლს სწვევია ჩვენი გიორგი მთაწმინდელი ("წმიდა გიორგი აგიორიტ"). იმპერატორს იგი მიულია. ამ მიღებას მრავალნი ესწრებოდნენ, მათ შორის ლათინელები. საუბარი წარმართულა საკმათო ლიტურგიკული წესების შესახებ, და მთაწმინდელის დასკვნას საბოლოოდ ლათინელებში აღტაცება გამოუწვევია.

აი, როგორ მიმართა გიორგი მთაწმინდელმა კონსტანტინე დუკას: "მეუფეო, ვინაითგან ბერძენთა შორის მრავალი წვალებაი შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრკეს... ხოლო ჰრომთა, ვინაითგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებაი შემოსრულ არს მათ შორის". ამის მერე, როგორც გიორგი მცირე გვაუწყებს "მთავართა მათ ჰრომთა დიდად განიხარნეს" და მთაწმინდელს შესთავაზეს: "წარგიყვანოთო წინაშე წმიდისა პაპაისა" (იხ. გიორგი მცირე, ცხორებაი გიორგი მთაწმიდელისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ. 1967). ასევე საინტერესოა ჩვენში უკვე კარგად ცნობილი გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონი პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტრისა, სადაც ქართველებს პირდაპირ ეკრძალებათ ბერძნების მიღება, გარდა ბერძნული წერაკითხვის მცოდნე ერთი ხუცესისა, რომელიც მდივნის მოვალეობას გასწევდა. და ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ ბიზანტიელები არიან დაუნდობელნი და "ანგაჰარნი", რომელთაც მომავალში სულ შეუძლიათ წარსტაცონ ეს მონასტერი "უმანკო" ქართველებს (იხ. აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971: Дм. Оболенский, Византийское содружество наций, М. 1998).

ახლა საკითხავია, თუკი ერთმორწმუნე ქართველებზე ბიზანტიელები ასეთ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, რამდენად უფრო ცუდად შეხედავდნენ მათ ლათინელები? რასაკვირველია, მიუხედავად ამისა, ზემოთ აღწერილ მხეცობებს ლათინელთა მხრიდან არავითარი გამართლება არა აქვს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თუ "ლათინური იმპერიის" დროს როგორი იყო იმჟამინდელი რომის პაპების როლი. მაგრამ ის ძველი ცოდვები, რაც მე-13 საუკუნეში ჩაიდინეს ლათინელებმა, დღევანდელმა რომის პაპმა საჯაროდ დაგმო და მოინანია! მიუხედავად ამისა, კარელინს ამისი გაგონებაც არ სურს და პაპს მოუწოდებს, თავი დაანებოს "სნგ"-ს ქვეყნებში მოგზაურობას. ამავე დროს, იგი უბრალოდ დაგვცინის, როდესაც აცხადებს, რომ ჩვენივე ინტელიგენციის რწმენით, "თუ ქვეყანა განუდგება წინაპართა სარწმუნოებას, რაღაც ჯადოსნური ძალის წყალობით ვაკე სორბონად გადაიქცევა, ავლაბარი კი მონმარტრად". დიახ, დაგვცინის ამხანაგი კარელინი და იმასაც გვიკიჟინებს: აბა, სად და როდის დაგეხმარნენ კათოლიკეები ისტორიის მანძილზეო?! წინა წერილში მოვუყვანე მას ამის ისტორიული მაგალითები და ისიც ვუთხარი, რომ თუკი რუსეთი ჩვენ დაგვხმარებია, ეს ყოველთვის რუსული იმპერიის განდიდებისა და გაფართოების მიზნით ხდებოდა-მეთქი.

რუსი მწერალი სოლჟენიცინი, რომელიც ხშირად თავის შოვინისტურ სულისკვეთებას ვერ მალავს, ხშირად ახსენებს ხოლმე სხვა ერების დანაშაულს რუსების წინაშე, მაგ., პოლონელებისა, ლატვიელებისა და ა.შ. ცხადია, საქართველოს დანაშაული მისი გაგებით ისაა, რომ აქ იშვა სტალინი. სინამდვილეში კი, რომ არ მომხდარიყო რევოლუცია რუსეთში, ჩვენს ერს სრული ასიმილაცია და გადაგვარება ელოდა. წინა წერილში კარელინს თვით რუსი მწერალი ვასილი როზანოვი ვუხსენე, რომელიც ადასტურებდა ეკლესიებში ქართულ ენაზე წირვის აკრძალვას. ამიტომ სტალინი, რევოლუცია და ათასი უბედურება - აქაც განგების ხელს ვხედავ მე, რაც რუსეთს დაატყდა თავს, რომელიც მცირე ერების შთანთქმაზე იყო გადასული და დღესაც ღმუის დაკოდილი ურჩხულივით. შესაძლოა ახლა დაფიქრებულმა მკითხველმა მკითხოს: კი, მაგრამ, თვით საქართველოს განა დანაშაული არ მიუძღვის უფლის წინაშე? და თუ - არა, მაშინ რატომ ვისჯებით ასე სასტიკად? რასაკვირველია, მიუძღვის! ისტორიის სიღრმეში დღევანდელი გადასახედიდან ძნელი არ არის იმის დანახვა, თუ რა ამაზრზენი ფაქტია ჩვენი წარსულისა საკუთარი მოძმის მონად გაყიდვა მუსლიმანებზე და მით გამდიდრება. უფრო ახლო წარსულის და, სამწუხაროდ, აწმყოსიც, ის გამოუსწორებელი ჭირია, როდესაც გმობენ პატრიარქს და ლოცულობენ სისხლიან კრაზე, რომელმაც ჩვენი ქალებისა და ბავშვების ამაწიოკებელი ურჯულოები საკუთარი მიზნებისათვის საქართველოს შემოუსია. დიახ, ასეთი გახლავთ ის პოლიტიკური აქცენტები, რითაც კარელინი გავაკრიტიკე, მან კი, როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, ამ მხრივ "ყრუ" და "ბრმა" კარელინისტები მომისია. ესენი კი მომდგარან და იმ პაპების სიებს ადგენენ ადრინდელი საუკუნეებიდან მოყოლებული, რომელთაც კი რამე სცოდეს მართლმადიდებლური რწმენის გაგებით. ასეთი სიის შედგენა მართლმადიდებელი მღვდელმთავრებისა სხვადასხვა დანაშაულობის მიხედვით ჩვენც შეგვიძლია, მაგრამ ეს უკვე მორწმუნემ, მით უმეტეს დიდ მარხვაში, არ უნდა იკადროს და არც ჩვენ ვაპირებთ ამას, თუმცა მინიშნებას მაინც გავაკეთებთ რამდენიმე ისტორიულ მაგალითზე. ცნობილი პატრიარქები ბიზანტიისა, ფოტი და მიქ. კერულარი, იმავე რანსიმენის ცნობით, დიდად იყვნენ გატაცებული ოკულტიზმით, ხოლო ეპ. პორფირე უსპენსკის მოტანილი დოკუმენტით დამტკიცებულია, რომ 1854 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ლოცვა აღავლინა სულთანის სასარგებლოდ და მისი ლაშქრის გასამარჯვებლად მართლმადიდებელ რუსებზე.

როდესაც ლათინელთა დანაშაულებებს ვიხსენებთ, არ უნდა დავივიწყოთ, თუ რა მზეცობებს სჩადიოდნენ მართლმადიდებლურ ბიზანტიაში მთელი საუკუნის მანძილზე ხატმებრძოლეობის დროს და როგორ არ ეშორჩილებოდნენ სწორედ ამის გამო ხატმებრძოლ ბიზანტიის იმპერატორებს რომის პაპები.

ახლა კი მცირე შეპასუხება რამდენიმე "მომაკვდინებელ" შენიშვნაზე კარელინისტების მხრიდან ჩემი მისამართით. წინა წერილში ვწერდი, განმარტების სახით, რომ ინკვიზიცია თავიდან ერეტიკოსთა და სატანისტების (რაც დღევანდელ მსოლფიოში წარმოუდგენელ მაშსტაბს იძენს) ასალაგმავად შეიქმნა-მეთქი. კარელინისტებმა ხელად ინკვიზიციის "გამართლებაში"

დამდეს ბრალი და შემდეგ დააყოლეს: "კი, მაგრამ, სად წერია სახარებაში ბოროტებას კოცონზე დაწვითა და ტანჯვა-წამებით ებრძოლეთო?" ამ კითხვით კარელინისტებმა გამოავლინეს საკმაო უმეცრება ეკლესიის ისტორიის საკითხებში. როგორ გგონიათ, მათი მისამართით ვკითხულობ, საუკუნეების მანძილზე იარსებებდა ინკვიზიცია, რომ მისი დასაბუთება არ მომხდარიყო სწორედ სახარებიდან? აი, ეს ადგილი სახარებიდან, რომელიც, რასაკვირველია, ყალბად, მცდარად და დანაშაულებრივად იქნა გაგებული და რომელიც მათ დროშაზე ეწერა: "ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა" (ლუკა, 3,9).

ახლა რამდენიმე სიტყვა იმის თაობაზე, რომ ჩვენს კარელინისტებს ერთი გნიასი აქვთ ატეხილი იმის გამო, რომ აი, კათოლიკეები ლამის ჰიტლერს ეხმარებოდნენ, ხოლო იუგოსლავიაში, 1942 წელს, ისინი მართლმადიდებელი სერბების სისხლში ცურავდნენო.

ელემენტარული ცოდნაა საჭირო ახალი ისტორიისა, რომ ვიცოდეთ: თუკი გერმანიაში წინააღმდეგი იყო ვინმე ჰიტლერიზმისა, ვგულისხმობ კონფესიას, ეს სწორედ კათოლიკური ეკლესია გახლდათ. კათოლიკურ ეკლესიას ჰყავს თავისი წმინდანი და ტანჯულები ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში. რაც შეეხება იუგოსლავიას, ეს თემა, მაპატიონ კარელინისტებმა, მათთან თავად კარელინის შემოგდებული მგონია; დიახ, რაც იუგოსლავიას შეეხება, მით უმეტეს, 1942 წელს, ცნობილია, რომ იქ რელიგიურ-ნაციონალური დაპირისპირებები ურთიერთგადახლართული იყო, მათ შორის, კარელინისტებისაგან დაცული მუსლიმანების ინტერესები. ასე რომ, დღევანდელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ ძლივს დაალაგა მათი ამბები კარელინისა და რუსეთის გარეშე და ეს, როგორც იტყვიან, კარელინისტების გასარჩევი აღარ არის.

რაც შეეხება რაღაც ჟურნალში ამოკითხულ ცნობებს, რომ ვიღაც კათოლიკე პადრეები "ჰომოსექსუალიზმს ამართლებენ" და კარელინისტების მიერ ამით მთელი კათოლიციზმის გაშავების მცდელობას - ესეც უზნეო მეთოდია, რაც მართლმადიდებელმა არ უნდა იკადროს და ა.შ.

ახლა სერგეი ავერინცევის (უკვე ნიკ. ბერდიაევსა და ვლ. სოლოვიოვს აღარ ვახსენებ - დიდი ხნის წინ გარდაცვლილთ) და კარელინისტებისაგან მისი აგდებულად მოხსენიების შესახებ. დიდი მეცნიერი და მოაზროვნე ს. ავერინცევი, დიდად მოყვარე ჩვენი ეკლესიისა, დღეს რუსეთის სინდისს წარმოადგენს, რომელიც ხმამაღლა უპირისპირდება რუსულ შოვინისტურ და ნაციონალისტურ გამოხდომებს. თუ კარელინს იგი არ მოსწონს და "იდეურად" ვერ იტანს, მაშინ მან თავის ქართველ შეგირდებს კი არ უნდა აწერინოს მის წინააღმდეგ სტატიები ქართულ გაზეთში, არამედ თავად დაუწეროს მას რუსულ პრესაში (ისე, რასაც მიიღებს, კარგი საყურებელი იქნება!).

ყოველივე ზემოთქმული, რაც კი ამ წერილში (ისევე, როგორც წინა წერილში) დავწერე, დაკვირვებული მკითხველისათვის არ წარმოადგენს კათოლიციზმის ტენდენციურ "გამართლებასა" და "აპოლოგიას", უბრალოდ, ყოველი მართლმადიდებლის ვალია ჭეშმარიტების მსახურება და, რაც უმ-

თავრესია, სიყვარულის ქონა. იდეალი კი ალბათ ისაა, რასაც სტივენ რანსიმენი, ლოცვის სახით, თავისი წიგნის დასასრულს ამბობს. მაგრამ სანამ იმ ადგილის ციტირებას მოვახდენდეთ, ჯერ ერთ ტექსტს მოვიყვან ამავე წიგნიდან, რომ კარელინისტების მსგავსი მკითხველნი დარწმუნდნენ, თუ რა დიდი სიმპათიით არის განმსჭვალული ინგლისელი ავტორი მართლმადიდებლებისადმი. იგი წერს: "არ დააყოვნა ღვთის მისაგებელმა: უკვე 1101 წელს, დიდ შაბათს, სასწაული არ მოხდა და არ გადმოვიდა წმიდა ცეცხლი კუვუკლიაში, სანამ არ იქნენ მიწვეულნი ამ რიტუალში მონაწილეობის მისაღებად აღმოსავლეთის ქრისტიანები". ხოლო თავის წიგნს რანსიმენი ასე ამთავრებს: "ჩვენ ძალგვიძს მხოლოდ თავმდაბლად ვილოცოთ, რათა ქრისტეს მიმდევრებს უფრო მეტად უყვარდეთ ერთურთი".

საინტერესოა ის გარემოება, რომ დიდი განსაცდელის ჟამს, როგორც ამას იგივე რანსიმენი გვაუწყებს, კონსტანტინოპოლის აღების წინა ღამეს აია სოფიას დიდ ტაძარში იმპერატორთან ერთად ლოცულობდნენ უნიატებიც და მათი მოძულე ბიზანტიელებიც. მაგრამ ღმერთი განუდგა ბიზანტიას, იგი განწირული იყო. უკვე მეორე დღეს ზარდამცემი მუჰამედ II ქრისტიანთა სისხლში იცურავებს. აუსრულდა ოცნება მეგადუკს ლუკა ნოტარს, იმპერატორის მინისტრს, რომელსაც ეკუთვნის ფრაზა: კონსტანტინოპოლში მირჩევნია თურქული ჩალმა ვიხილო, ვიდრე კარდინალის მიტრა. სულთნისაგან ჯერ შეწყალებულს, მერე იგივე სულთანი 14 წლის ლამაზ ვაჟიშვილს გამოსთხოვს სექსუალური ჟინის მოსაკლავად. როდესაც უარს მიიღებს, მტარვალი იმ წამსვე ბრძანებას გასცემს და ნოტარს, მის ვაჟიშვილსა და სიძეს თავს წარკვეთენ და მოკვეთილი თავები სულთნის სანადიმო სუფრას "დაამშვენებენ" (Lord Kinross, The Rise and Fall of the Turkish Empire, 1977).

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ქრისტიანულ საისტორიო მწერლობაში მიჩნეული კრიტერიუმებით ერის ასეთი დასჯა შემთხვევით არ ხდება. ამის მაგალითად ჩვენი ჟამთაალმწერელიც გამოდგება, როდესაც წერს: "ამისათვის აღმოსცენდეს მიზეზნი, ცოდვათა სიმრავლითა, საქართველოს მოოხრებისანი... აჰა იქმნა მოწევნა სრულიადისა ღვთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩვენთათვის და იქმნა უკუქცევა სვე-სვიანისა ბედისა...", მაგრამ საინტერესოა, რომ ხშირად თვით დამსჯელნიც და მრისხანე ჯალათნიც საკუთარ თავს ღვთის იარაღად შეიცნობდნენ. ერთი გერმანელი მკვლევარი თემურ ლენგის შესახებ გვაუწყებს, რომ იგი, როგორც ყველა მონღოლი, რელიგიურად ინდიფერენტული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ისლამის ზეგავლენით, თავის საზარელ ქმედობებს "ღვთის ნებად" განიხილავდა (R. Stube, Die Reiche der Indogermanen in Asien und die Völker Zentralasiens. Weltgeschichte, Berlin, 1910).

ახლა ორიოდ სიტყვა თქვენს მონა-მორჩილზე და მის მართლმადიდებლობაზე. რა უნდა ველაპარაკო ხალხს, რომელთაც სახარებისეულ სიბრძნეს ვამცნობ და ზუსტად მაქვს მითითებული მოციქულის სიტყვები (პავლე მოციქული, I კორინთელთა მიმართ, 13,13), სადაც ნათლად წერია, რომ სარწმუნოებაზე და სასოებაზე (იმედზე) უმეტესია სიყვარული. ამათ აიღეს და

სახარებისეული ჩემი დამოწმება ჩემს სიტყვებს მოაშორეს, იგი ჩემს "სიბრძნედ" გაასაღეს და დოინჯშემოყრილებმა ასე მიპასუხეს: "ბატონი ვიქტორის ამ დამოძღვრას ასე ვუპასუხებთ: სახარების სწავლებით ქრისტიანული სიყვარული ვერ დამკვიდრდება იმ ადამიანებში, რომელთაც ჭეშმარიტი სარწმუნოება არ უპყრიათ". ბარაქალა თქვენ! კარელინისტები ვერ ატყობენ, რომ თავად დაუპირისპირდნენ სახარებას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მათთვის მთავარი ავტორიტეტი, "ვისაც ჭეშმარიტება უპყრია", ყველა დროში და ყველა განედზე - კარელინია!

ერთხელ რაკი გაუტიეს, მერე ველარ შეჩერდნენ კარელინისტები და იწყეს და იწყეს როყიოდ სიტყვების სროლა ჩემი მისამართით, რომ აი ეს ინტელიგენტები რატომ ფროიდს და შტაინერს არ აკრიტიკებენო, რატომ ტელე-გარყვნილების წინააღმდეგ არ გამოდიანო, ხმას რატომ არ იმაღლებენ "იელოვას მოწმეების" სამხელადო და ა.შ. და ა.შ.

მე მიკვირს: ნუთუ ეს ხალხი არც გაზეთს კითხულობს, არც ჟურნალს და მხოლოდ კარელინის ქადაგებით არის დაკავებული?! წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა სცოდნოდათ, ვინ-ვინ და, ფართო პრესაში მე გავილაშქრე ფროიდის, ანთროპოსოფიის, ტელე-გარყვნილების, ფაშიზმის, კგბ-ს, და რაც მთავარია (ამას კარელინისტები არაფრად აგდებენ), ათეიზმის წინააღმდეგ. მათ ისიც არ სცოდნიათ (ვითომ?), რომ ათი წელია გამოდის ჟურნალი "რელიგია", რომლის მთავარი რედაქტორიც გახლავართ და სადაც შემოკრებილი არიან ჩვენი ცნობილი მეცნიერები. საკუთარ თაყზე წერა თაყის ქებად რომ არ ჩამეთვალოს, თავს ნებას მივცემ მოვიყვანო ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოლოცვები ჟურნალის დაარსებიდან მე-4 და მე-10 წლისთავზე, რაც პრესაში გამოქვეყნდა.

გაზეთი "ლიტერატურული საქართველო", 22-29 დეკემბერი, 1995 წ.

"გულითადად ვულოცავთ ჟურნალ "რელიგიის" რედაქციას და მკითხველთ დაარსებიდან ოთხი წლისთავს. დიდია ჩვენი ერის სულიერი დონის ამაღლებისათვის ამ ჟურნალის მიერ გაწეული სამსახური.

დღეს, როცა ასე მძლავრობს სექტანტებისა და სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა დაწოლა, ფრიად მნიშვნელოვანია სწორი აზრისა და სწორი მიმართულების მიცემა ხალხისათვის და ჟურნალი "რელიგია" ამას აკეთებს.

ვუსურვებთ მის რედაქტორს, ბატონ ვიქტორ რცხილაძეს, გამომცემელთ და მკითხველთ სამეუფეო გზით დაუბრკოლებელ სვლას.

ილია II,
სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი"

გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 19 დეკემბერი, 2001 წ. ჟურნალ "რელიგიას" 10 წლისთავის გამო

ქურნალ "რელიგიის" რედაქტორს, თანამშრომლებსა და მკითხველთ გულითადად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს - ქურნალის დაარსებიდან 10 წლისთავს. ეს დრო სანმოკლეცაა და სანგრძლივიც ისეთი მნიშენელოვანი საქმიანობისთვის,რასაც მოსახლეობის რელიგიური განათლება ჰქვია.

პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ "რელიგია" იყო პირეელი ოფიციალური საერო ქურნალი,რომელიც ხალხს აცნობდა.იმ სამყაროს საიდუმლოს,რომელთანაც შეხება 70 წელიწადი აკრძალული ჰქონდათ,ამიგომაც დიდია მისი დამსახურება.

ღმერთმა დალოცოს ამ ქურნალის გამომცემელნი და მკითხველნი და მისცეს ძალა უფლის ერთადერთი ჭეშმარიტი გზით სელისა.

ილია II,
სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი,

16 დეკემბერი, 2001 წელი".

"სახელმწიფო სკოლაში რელიგიური განათლების პერსპექტივაზე" და არა მარტო მასზე*

საუბარია გაზეთ "24 საათში" (12 მარტი, 2005) გამოქვეყნებულ ამავე სახელწოდების წერილზე ბატონ ბექა მინდიაშვილის ავტორობით. თავიდანვე ვიტყვი, რომ ავტორი გამსჭვალულია საუკეთესო სურვილებით, რომლის კეთილშობილ პათოსს მთლიანად ვიზიარებ. მაგრამ ჩემი, მორწმუნის პოზიციიდან დანახული, ამ წერილს გააჩნია რამდენიმე ხარვეზი და ამიტომ მათ მიმართ შენიშვნებით დავკმაყოფილდები. რასაც არ აღვნიშნავ, იქ მთლიანად ვეთანხმები პატივცემულ ბექას, რამდენადაც ვხედები, ახალგაზრდა კაცს.

ბატონი ბექა ბრძანებს: "ჩვენში საბჭოური კომუნიზმის ადგილი თანდათანობით იდეოლოგიზებულმა მართლმადიდებლობამ დაიკავა... მისგან მხოლოდ აკრძალვებს და თავისუფლების შეზღუდვის დირექტივას ვისმენთ, ანუ იქცევა ისე, როგორც ოფიციალური იდეოლოგიის რეპრესიული აპარატი... მოზეიმე, ოქრო-ვერცხლით შემკული, ცრუსასწაულებით გაჯერებული, შოვინისტური და ანტიდემოკრატიული მართლმადიდებლური იდეოლოგია ხდება ჩვენს ქვეყანაში რელიგიური უმრავლესობის მსოფლმხედველობრივი ორიენტირი..." აქ, როგორც იტყვიან, მსჯელობის კეთილი მარცვლები სარეველებში იკარგება. ის, რომ ქრისტიანობა იდეოლოგია არაა, ამას საგანგებო წერილი უძღვნა მეოცე საუკუნის დიდმა ფილოსოფოსმა და თეოლოგმა კარლ რანერმა, რომლის განხილვას აქ არ შევუდგები და დაინტერესებულ მკითხველს ჟურნალ "რელიგიაზე" მივუთითებ (№4, 2004, "კარლ რანერის წერილი "იდეოლოგია და ქრისტიანობა"). ასე რომ, სადაც "იდეოლოგიზება" ხდება, იქ ქრისტიანობას არაფერი ესაქმება, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს ნათლად უნდა წარმოვაჩინოთ და დავამტკიცოთ ჩვენი მართლმადიდებლობის მისამართით. ჯერჯერობით, თუკი ეს სიმართლეს შეეფერება, ავტორის ერთი განსაზღვრება "შოვინისტური" აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, რომელიც კ. რანერის კლასიფიკაციის მიხედვით Imanenz-ის იდეოლოგიას განეკუთვნება. მაგრამ, მეორე მხრივ, ნუ დაგვავიწყდება, რომ მართლმადიდებლობა, თავისი სპირიტუალობითა და მისტიკით, სწორედ იდეოლოგიათა მსხვრევის შედეგად მკვიდრდება. თეოლოგ პ.ჰ. კოლევენბახს მიაჩნია, რომ ადამიანის არსებობის გაგება მისტიკის მხრიდან დღეს უფრო ადვილია, ვიდრე უწინ, რადგან ფაქტიურად ყველა დიდმა იდეოლოგიამ კრახი განიცადა და ადამიანი სულ უფრო მეტად აღმოჩნდა დაპირისპირებული თავად მისგან წარმოქმნილ აპორიებთან (იხ. "რელიგია", №1, 2005). ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ასეთი "შოვინისტურად", უფრო სწორედ "ნაციონალისტურად" განწყობილი მღვდლები მარტო ჩვენს ეკლესიას არ ჰყავს და რაც მთავარია, ჭეშმარიტად რელიგიურნი და მორწმუნენი

---

* გამოქვეყნდა გაზ. "24 საათში" 2005 წლის მარტს.

გარკვეულ ჯგუფს აღმართავენ მათ წინააღმდეგ. ამის თაობაზე არცთუ დიდი ხნის წინ თავად ვწერდი "24 საათში", როდესაც მოვიყვანე თეოლოგ ჰ.მ. ცულენერის სიტყვები: "დიდ ქრისტიანულ ეკლესიებში ამჟამად მათი წევრების ორი სახეობა შეინიშნება: არაპოლიტიკური ღვთისმოსავნი და არაღვთისმოსავი პოლიტიკურნი... ამ ორ მიმდინარეობას არათუ ცოტა რამ აქვთ საერთო, არამედ ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებენ და ჭეშმარიტ ქრისტიანებად არ თვლიან". და აქ ცულენერი ფრიად ნიშანდობლივ დასკვნას აკეთებს: ადამიანი "რამდენადაც მისტიკურია, იმდენადვეა პოლიტიკური!" ანუ: არსებობს "ბრძანების მორალი" - რაც უფრო ღრმად რელიგიურია პიროვნება, მით უფრო ემორჩილება უფლის ბრძანებას, რომ სიკეთისა და სამართლიანობის მხარეს იყოს. ეს, გადატანილი სოციალურ სფეროში, ითხოვს არჩევანის (კატეგორიულად) გაკეთებას და ამდენად პოლიტიკაში ჩართვას. ასეთი არჩევანი გაკეთებულია, მაგალითად, სიორენ კირკეგორის მიერ, როდესაც იგი წერდა: "მთელი ეს სულელური ლაყბობა "ნაციონალობაზე" ერთი ნაბიჯით უკან დახევაა წარმართობისაკენ. ქრისტიანული მოძღვრება სწორედ იმისაკენ ილტვის, რათა ალმოფხვრას წარმართული თაყვანისცემა ნაციონალობებისადმი". ჩვენს დროში ასეთი სერგეი ავერინცევი გახლდათ, რომელიც რუსულ საზოგადოებას მოუწოდებდა: "ახლა როგორც გრცხვენიათ თქვენი კომუნისტური წარსულისა, ასევე შეგრცხვებათ მომავალში თქვენი ნაციონალისტურობის გამოო".

რაც შეეხება "ოქრო-ვერცხლს" - ეს ეკლესიაში არსებული უძველესი ცოდვაა, "სიმონია", რომელსაც ებრძოდნენ ძველთაგანვე და საეკლესიო კრებაზე შეაჩვენებდნენ. ამიტომ მიიჩნევდა ნეტარი ავგუსტინე, რომ ხილული ეკლესიის გარდა არსებობს ზეციური, უცოდველი ეკლესია. ყოველ შემთხვევაში, ვინც სიმონიას ეწევა, მას ღვთისგანვე მოეკითხება ამის გამო. ცხადია, მისი "იდეოლოგიის" რანგში აყვანა მთლად მართებულად არ მიმაჩნია.

ბატონი ბექას ტექსტში რჩება კიდევ ორი განსაზღვრება, რითაც თურმე გამოირჩევა "ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებლური იდეოლოგია". ესენია "ცრუსასწაულები" და "ანტიდემოკრატია". რასაც ავტორი "ცრუსასწაულად" მიიჩნევს, ამაზე ცოტა ქვემოთ შევჩერდები, ახლა კი განვიხილოთ "ანტიდემოკრატია" ეკლესიასთან მიმართებით.

ეკლესია თავისი მკაცრი იერარქიული აგებულებით სწორედ რომ არ უნდა იყოს "დემოკრატიული" ჩვეული გაგებით. მაგრამ საკითხი ითხოვს უფრო სიღრმისეულ განხილვას. რასაც ჩვენი დემოკრატები ითხოვენ ეკლესიისაგან, საბოლოო ჯამში არის ის, რომ მან არ უნდა შეზღუდოს ინდივიდუუმის თავისუფლება, რათა ამ უკანასკნელმა თავისი ზნეობრივი უნარის საფუძველზე დაყრდნობით განაგოს საკუთარი თავი და, იერარქიის სრული უკუგდებით, მიუთითებდეს მას, თუ რა არის კარგი და რა - ცუდი. მაგრამ ასეთი ინდივიდუალისტური სრულყოფილების ეთიკა ამოდის იმ წინაპირობიდან, რომ ადამიანი პრინციპულად კეთილია. მაგრამ ეს ასე არაა. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ იგი ბოროტია, ბოროტია ღვთის წინაშე, ხოლო

ღმერთი კეთილია ბოროტი ადამიანის მიმართ. პირველცოდვის გამო ადამიანს სურს სამართლიანობის მიღწევა მხოლოდ საკუთარი ქმნილებებით და საქმეებით. ეს არის სწორედ ცოდვის წყევლა, რომ ადამიანს სხვარიგად არც ძალუძს. განახლებული ადამიანი არ არის ზნეობრივი გაგებით სრულყოფილი ადამიანი. ძალა ბოროტების დამთრგუნველისა მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუკი ბოროტების შეცნობის გზა არსებობს. ეს გზა კი ეკლესიაა, რომელიც ბოროტებას შეგვაცნობინებს (ეს აზრები აღებული მაქვს გერმანელი ფილოსოფოსისა და თეოლოგის, ფრიდრიხ გოგარტენის 1932 წელს გერმანიაში გამოცემული წიგნიდან - "პოლიტიკური ეთიკა". უფრო ვრცლად მის შესახებ იხ. "რელიგია", №1, 2005).

შემდეგ ბატონი ბექა გვაფრთხილებს სახელმწიფოს მიერ ეკლესიის მხარდაჭერის საშიშროებაზე და საუბრობს ბიზანტიისა და მეფის რუსეთის მაგალითებზე. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ როდესაც ამის თაობაზე წერდნენ ვლადიმირ სოლოვიოვი და ნიკოლაი ბერდიაევი, მაშინ უფრო გამძაფრებული იყო ამ მხრივ ვითარება. რასაკვირველია, დღესაც არის საშიშროება, რომ ნაციონალისტურად განწყობილმა ფარისევლებმა არ წაბილწონ ამ კუთხით ჩვენი ეკლესია. ამის თაობაზე არცთუ დიდი ხნის წინ მე თავად ვწერდი "24 საათში". მაგრამ არსებობს უფრო დიდი საშიშროება, რომელიც ამჟამად უფრო აქტუალურია. ეს გახლავთ რწმენისადმი ევროპული ინდიფერენტიზმი, პრაქტიკული ათეიზმი (ნიცშე: "უდაბნო იზრდება..."), რამაც სერგეი აევერინცევს ათქმევინა, რომ დასავლეთში მხოლოდ რწმენის ოაზისებია შემორჩენილიო.

ბატონი ბექა ძალზე მოხიბლულია, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ერთერთ დადგენილებაში რაც ჩაუწერია "მოსამართლის მადლიან მარჯვენას": "ძალაუფლებასა და რელიგიას შორის კავშირს ძალაუფლების განადგურებამდე და რელიგიის გადაგვარებამდე მივყავართ".

მაგრამ ბატონი ბექა ნებას მომცემს ამას ვუპასუხო ფრიად თავისუფალი მოაზროვნის, ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსის, გილბერტ კიიტ ჩესტერტონის სიტყვებით. იხსენებს რა ინკვიზიციის დევიზს: "მართლმსაჯულება და მოწყალება" იგი თავის "ორთოდოქსიაში" წერს: "ტორკვემადას დროს, ყოველ შემთხვევაში, არსებობდა სისტემა, რომელიც ნაწილობრივ შეარიგებდა მართლმსაჯულებას მოწყალებასთან. დღეს ისინი შეხვედრისას აღარც ესალმებიან ერთმანეთს".

შემდეგ ბ-ნი ბექა ბრძანებს: "რელიგიის ისტორიისა თუ რელიგიათმცოდნეობის გაკვეთილზე... მიუკერძოებლად უნდა ისწავლებოდეს სხვადასხვა აღმსარებლობები" და ა.შ. მაგრამ ასეთი "მიუკერძოებული" მხოლოდ ათეისტი შეიძლება იყოს და რამდენადაც ჩანს, ბ-ნი ბექა თავის თავს ასეთად არ მიიჩნევს. როგორ შეიძლება "მიუკერძოებული" იყო, ვთქვათ, ისეთი რელიგიური წარმოდგენების მიმართ, რომლებიც ითხოვდნენ ადამიანის მსხვერპლშეწირვას, ან, თუკი ვესტალი ხორციელად შესცოდებდა, მის ცოცხლად დამარხვას ან, სულაც, კანიბალიზმის ორგიებს. ანდა ავიღოთ "დიდი" რელიგიები. მივმართოთ ისევ ჩესტერტონს. იგი წერს: "აი,

უფსკრული ბუდიზმსა და ქრისტიანობას შორის: ბუდისტები და თეოსოფები მიიჩნევენ, რომ პიროვნება ადამიანისათვის უღირსი რამ არის, ქრისტიანი კი პიროვნებაში ხედავს ღვთის უმაღლეს ჩანაფიქრს. სამყაროს სული თეოსოფიისა ითხოვს სიყვარულს ადამიანისაგან, რომელიც მასშია გათქვეფილი. მაგრამ ღვთაებრივი შუაგული ქრისტიანული რწმენისა ადამიანს გატყორცნის გარეთ, რათა მან შეძლოს ღვთის სიყვარული". შემდეგ: "ბეზანტი არ გვასწავლის მახლობლის სიყვარულს - მას სურს, რომ ჩვენ თვითონ გავხდეთ ჩვენივე მახლობელნი. ასეთი არის ღრმა და მრავლისაღმთქმელი რელიგია, რომელმაც ყველა უნდა შეარიგოს ერთურთს. არცერთი თეორია არ იწვევს ჩემში ისეთ გააფთრებულ პროტესტს, როგორც ეს. მე მსურს მახლობლის სიყვარული არა იმიტომ, რომ ის - მე ვარ, არამედ სწორედ, რომ იგი - მე არა ვარ".

"მიუკერძოებული" ალბათ გაკვეთილის ჩასატარებლად ჩესტერტონს საკლასო ოთახში არ შეუშვებდა, სამაგიეროდ, ამის პატივს მიანიჭებდა ვინმე ათეისტ შახნოვიჩს.

ბატონი ბექა დიდ მინუსად უთვლის განათლების სამინისტროს, რომ მან ალტერნატიულ სახელმძღვანელოდ III-IV კლასებისათვის დაამტკიცა საბერძნეთის განათლების სამინისტროს სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით შედგენილი "ქრისტეს გზა". მადლობელი ვარ ბ-ნი ბექასი, რომ ასეთი ფაქტი გამაცნო, რის შესახებაც არა ვუწყოდი რა. მე მესმის, როდესაც ბ-ნი ბექა საუბრობს ამ წიგნის "ლიტერატურულ და ესთეტიკურ უგემოვნობაზე", მაგრამ არ მესმის, როდესაც იგი ასე აგრძელებს: "ამაზე მეტად ის არის შემაშფოთებელი, რომ სახელმძღვანელო ერთგვარი თანამედროვე გზამკვლევია, კატეხიზმოა მართლმადიდებლობაზე მოსაქცევად". როგორც ჩანს, ბ-ნ ბექას დაავიწყდა, რომ იგი მორწმუნეა, თორემ ამაზე უფრო დიდი მიზნის განხორციელებას წიგნის მეშვეობით კაცი ვერ ინატრებდა. ანდა ეს უარყოფითი დამოკიდებულება "რელიგიის გაკვეთილის დაწყებამდე ლოცვის წარმოთქმის" მიმართ და იმის მტკიცება, რომ "ლოცვა მხოლოდ ნებაყოფლობითი აქტია". ლოცვა კი არის "ნებაყოფლობითი აქტი", მაგრამ ბავშვებმა ჯერ ხომ უნდა ისწავლონ ლოცვა?! ასეთი პოზიცია ჰეგელის ერთ გამოთქმას მახსენებს, რომელიც მან იხმარა კანტის შემეცნების თეორიის მისამართით: წყალში შესვლამდე ცურვას სწავლობენ...

ანდა სკოლაში "სალოცავი ოთახისა და კუთხის", ან სულაც ეკლესიის არსებობის წინააღმდეგ გალაშქრება! ეს "გალაშქრება" უკვე სოლჟენიცინის გამოთქმას მახსენებს "არქიპელაგ გულაგიდან", რომელიც მან ირონიულად იხმარა ტოლსტოის მისამართით, რადგან ეს უკანასკნელი მოითხოვდა ციხეებში არსებული ეკლესიების გაუქმებას. სოლჟენიცინმა ასე გასძახა საიქიოში მყოფს: აღსრულდა ოცნება ტოლსტოისა და ციხეებში ყველა ეკლესია მოსპეს - ახლა პირდაპირ ჯოჯოხეთში ვართ!

ახლა უკვე აღარ მიკვირს, რომ ბ-ნი ბექა "რელიგიის ბუნების უზუსტეს განმარტებას" მარქსთან ეძებს და არა მეოცე საუკუნის გამოჩენილ რელიგიის ფილოსოფოსებთან, როგორებიცაა რ. ოტტო, რ. გუარდინი, ფრ. ჰაილერი,

ი. ვახი, მენშინგი და სხვები. ამ დროს გამოთქმა "რელიგია ოპიუმია ხალხისათვის" ბ-ნ ბექას მარქსის გამონათქვამად მიაჩნია. სინამდვილეში მარქსი წერს: "იგი არის ხალხის ოპიუმი" და არა "ოპიუმი ხალხისათვის, რომელსაც მას გაბატონებული კლასი აწვდის". ანტირელიგიური ბრძოლის გასამძაფრებლად ასე გადაასხვაფერა ლენინმა მარქსის გამოთქმა თავის წერილებში რელიგიაზე (კარლ მარქსის აღნიშნული ციტატა, ისევე როგორც მისი ანტირელიგიური ტექსტები უშუალოდ გერმანულენოვან გამოცემათა მიხედვით გაკრიტიკებული მაქვს ჟურნ. "რელიგიაში", №4,5,6 - 2004. თავი: "კარლ მარქსის მიერ რელიგიის კრიტიკა და მისი ანტიკრიტიკა". რაც შეეხება ზემოდასახელებულ რელიგიის ფილოსოფოსებს, იხ. ამავე ჟურნალში" "რუდოლფ ოტტო და "წმიდა", რომანო გუარდინი და რელიგიური გამოცდილების ფენომენი"; იხ. აგრეთვე ჩემი წერილი "რელიგია და ისტორიული კვლევა", ჟურნ. "რელიგია" №7, 1992).

ბ-ნი ბექა შემდეგ წერს: "ვინც შემთხვევით უარყოფდა გეოცენტრიზმს და სანაცვლოდ ჰელიოცენტრიზმს აღიარებდა, მაგალითად, ზოგჯერ კოცონზე იწვოდა, კურთხევით".

ბ-ნი ბექა დიდ პატივს დამდებდა, თუკი ისტორიიდან ერთ მაგალითს მაინც მომიყვანდა, თუ "ჰელიოცენტრიზმის" გამო რომელი პიროვნება ჩააგდეს კოცონში.

ახლა იმის თაობაზე, ბ-ნი ბექა არ ენდობა - "სანამ ურწმუნო თომასავით ჩემი ხორციელი თვალი არ იხილავს" და ა.შ. - იმ სასწაულებს, რომლებსაც ადასტურებს ჩვენი პატრიარქი, კერძოდ, მდინარე იორდანეს თაობაზე, მიუხედავად იმისა, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, რომ "ამ ფაქტს ათასობით მოწმე ყავს".

მე არ ვიცი, თუ ბატონი ბექას როგორი განაცხადია ეს - სკეპტიკური, ცინიკური, აგნოსტიკური თუ ყველა ერთად აღებული. თუ იგი მორწმუნეა, საკითხავია, განა სახარებისეული სასწაულები მას არ სწამს? და თუკი სწამს, მაშინ, იქ წარმოუდგენლად უფრო დიდი სასწაულები არ ხდება როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ პლანში? მივმართოთ ისევ ჩესტერტონს, რომელიც ახალი დროის ენით საუბრობს ამ საკითხებზე: "თანამედროვე ევროპაში თავისუფლად მოაზროვნე - ეს არ არის ადამიანი, რომელიც თავისებურად ფიქრობს. ეს არის ადამიანი, რომელმაც თავისებურად იფიქრა და აარჩია გარკვეული დოგმათა ნაკრები: სამყაროს მატერიალური საწყისი, სასწაულთა და პიროვნული უკვდავების შეუძლებლობა და სხვ. თითქმის ყველა ეს იდეა უცილობლად არათავისუფალია... თუნდაც თავისუფლად უარვყოფდეთ სასწაულებს, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ. ესაა უსიცოცხლო ცრურწმენა, რომლის სათავე - აზრის თავისუფლება კი არ არის, არამედ მატერიალისტური დოგმა... სასწაული - წამიერი მბრძანებლობაა სულისა მატერიაზე... თუკი ადამიანს ძალუძს სასწაულებისადმი რწმენა, იგი სწორედ ამის ძალით უფრო მეტადაა თავისუფალი, რადგან სასწაულები ნიშნავენ, პირველ ყოვლისა, სულის თავისუფლებას და მერე მის მბრძანებლობას გარემოებათა ტირანიაზე".

მადლობა ღმერთს, როგორც წარსულში, ისე აწმყოში მრავალი სასწაულია ურყევად დადასტურებული, რომელთა ჩამოთვლა ნამდვილად შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთს მაინც გამოვყოფ, რადგან ვინ იცის, ამის წამკითხველს, შეიძლება იგი დაეხმაროს. ვგულისხმობ ლოცვებს ავადმყოფის გადასარჩენად. აი რას გვამცნობს ამის თაობაზე 1994 წელს გარდაცვლილი ათონის მთის ნეტარი ბერი პაისი: "თუკი არ ვილოცებთ ავადმყოფისათვის, მაშინ ავადმყოფობა ბუნებრივად განვითარდება. ხოლო მაშინ, როდესაც მასზე ვლოცულობთ, მას ძალუძს იცვალოს თავისი ბუნებრივი სვლა. ამიტომ ყოველთვის ილოცეთ ავადმყოფისათვის". ნეტარ მთაწმინდელს ამაზე დაკვირვებისათვის საკმაო დრო გააჩნდა.

შემდეგ ბ-ნი ბექა თავს ესხმის (სამართლიანად) საქართველოში მოღვაწე არქიმანდრიტ რაფაელ კარელინს. რამდენიმე წლის წინ იგი თავად გავაკრიტიკე პრესაში რუსული შოვინისტური ზრახვებისათვის. ახლა ბ-ნი ბექა ამ არქიმანდრიტის მთელ ცდომილებებს ჩამოთვლის, მათ შორის ქრისტიანობის პოზიციიდან რენესანსის კრიტიკას. ჩემი აზრით სწორედ აქ აჭარბებს ბ-ნი ბექა. საქმე ისაა, რომ ამ მხრივ ბევრ გამოჩენილ მოაზროვნესა და მწერალს, ცხადია, უფრო ღრმად და მასშტაბურად დაუწერია ამ თემაზე. რად ღირს თუნდაც ამის თაობაზე დაწერილი ჰანს ზედლმაირის წიგნი "ცენტრის დაკარგვა" (იხ. ამაზე ჩემი წერილი "მშვენიერების იდუმალება", ჟურნ. "რელიგია" №1, 2005). ასევე ვერ დავეთანხმები ბ-ნ ბექას, რომ "ფანატიკური სწავლებაა" მოძღვრება ისეთ თემებზე, როგორიცაა "სამყაროს მოახლოებული დასასრული", "თანამედროვე სატანისტურ-ლუციფერული ხდომილებები", ან თუნდაც "ანტისექტანტური პროპაგანდა". ყოველივე ეს დღესაც ღვთისმეტყველების სერიოზული მსჯელობის საგანია.

ასევე სამადლობელო სიტყვების ღირსია ჩემგან ბ-ნი ბექა, რომლისგანაც შევიტყვე, რომ თურმე საპატრიარქოსთან არსებობს ე.წ. "კრეაციული საზოგადოება". რასაკვირველია, ბ-ნი ბექა ირონიზირებს ამ საზოგადოების მიმართ, რაც მთლად მართებულად არ მიმაჩნია, რადგან თვითონ თემა, როგორც თავად ბრძანებს "კრეაციონიზმისა და ევოლუციონიზმის სწავლების დიალექტიკა" - ყურადღებას იმსახურებს. ამის თაობაზე ბ-ნ ბექას ერთ ჩემს პატარა წიგნზე მივუთითებდი (სპირიტიზმი ქრისტიანული რწმენის სამსჯავროზე, თბ., 1992), რომლის პირველი თავი მთლიანად ეხმიანება ზემოხსენებულ საკითხს და სადაც ხაზგასმულია, რომ ფსიქიკური ბუნების აბსოლუტური თვისობრივი განსხვავება მატერიისაგან უგულებელყოფილია ევოლუციის თეორიაში. მეოცე საუკუნის ბუნებისმეტყველის სიტყვებით თუ ვიტყვით, ეს გარემოება ჯეროვნად "არ ფასდება, როდესაც ადამიანს, როგორც მთლიანობას, ბუნებისმეტყველება განვითარების საფეხურზე აყენებს" (Grison, Geheimnis der Schöpfung, München 1960, s. 166-167).

ორიოდ სიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ "აშაყირებს" ბ-ნი ბექა ბ-ნ კახა ლომაიას. ბექა მინდიაშვილი მოგვითხრობს: "განათლების მინისტრმა ჟურნალისტს საკუთარი აღმსარებლობის გამხელაზე უთხრა უარი, ხოლო ერთი წლის თავზე პატრიარქის წინაშე მუხლი მოიყარა, ჯვარ-ხატებით

ხელი დაიმშვენა და იმგვარი მემორანდუმის დადება მოახერხა, რომ მოგვიანებით უკვე სხვა ჟურნალისტმა კრეაციონიზმის სწავლების აუცილებლობაზეც კი აალაპარაკა მართლაც მოჯადოებულივით მომზირალი მინისტრი". ცოტა ქვემოთ: "ხომ არ უღალატა ბატონმა კახა ლომაიამ მასონებს და კრეაციული საზოგადოების ხელდასხმა მიიღო?" ამაზე ორგვარი შეპასუხება შეიძლება. თუ ბ-ნი კახა ლომაია მართლაც მოექცა და ქრისტე იწამა, ეს ვერაფერი სახუმარო თემაა. თუკი იგი ფარისევლობს და მორწმუნეობას მხოლოდ "თამაშობს", ეს დიდად საწყენი რამ იქნებოდა, მაგრამ ამ "თამაშსაც" შეიძლება თავის გაგრძელება მოჰყვეს. მე გავახმოვანებ ერთ ცნობილ ფაქტს (ამ შემთხვევაში კ. ლომაია არაფერ შუაშია), რომელიც საეკლესიო წრეებისათვის ცნობილია. საბჭოთა რეჟიმის დროს ძლევამოსილი "კგბ" ეკლესიის მსახურებს შორის თავის აგენტებს აგზავნიდა, რომელნიც ლოცულობდნენ, მარხულობდნენ და ა.შ. მაგრამ ეს აგენტები ერთი-ორი წლის მერე "კგბ"-სათვის აღარ ვარგოდნენ: ამ რელიგიურმა "თამაშებმა" ისინი სერიოზულად ჩაითრია და ღვთის მადლის შემწეობით მორწმუნენი გახადა! ეს უნდა ახსოვდეს ყველა ამგვარ "მოთამაშეს" და მათაც, ვინც ამაზე იცინის.

დაბოლოს, აღვნიშნავ: ეს წერილი არ დაიწერებოდა, ბ-ნი ბ. მინდიაშვილი გამოკვეთილი ათეისტი რომ ყოფილიყო. მაგრამ მე მანუგეშა მისმა წუხილმა: "მართლმადიდებლობა, როგორც პიროვნული ღმერთის ცოცხალი რწმენა, როგორც ადამიანისა და მაცხოვრის ურთიერთსიყვარულის შესაძლებლობა, დღითი დღე ხელიდან გვეცლება..."

ჭეშმარიტება მეტია თუ სამშობლო?

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 1990 წელს თბილისის ფილარმონიის დიდ დარბაზში საქვეყნოდ ცნობილ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ინტელექტუალურ წრეებში აღიარებულ ფილოსოფოსს, მერაბ მამარდაშვილს ე.წ. "სახალხო ფრონტის" ყრილობაზე დაუსტვინეს, ობსტრუქცია მოუწყვეს და ტრიბუნიდან განდევნეს. განდევნეს იმიტომ, რომ მან გაბედა და ურა-პატრიოტები, რადიკალები გააკრიტიკა და შემდეგ განაცხადა: ჭეშმარიტება მეტია, ვიდრე სამშობლო! არადა, თითქოს, ამ მარტივ სიმართლეს წინ რა უნდა დაუდგეს, რადგან ვაი იმ სამშობლოს და ვაი იმ ქვეყანას, რომელიც ჭეშმარიტებას დასცილდება ან დაუპირისპირდება. მაგრამ მთავარი "დანაშაული" მამარდაშვილისა ეს არ ყოფილა, არამედ ის, რაც არა ერთგზის უთქვამს გაბედულ ფილოსოფოსს იმჟამად: თუ ჩემი ერი ზ. გამსახურდიას აირჩევს პრეზიდენტად, მაშინ ჩემს ერს დაეუპირისპირდები! ამას, ცხადია, საკუთარი ერის სიძულვილის გამო კი არ აცხადებდა, პრაქტიკულად - პირიქით, მისი სიყვარულის გამო: გამჭრიახ ფილოსოფოსს კარგად შეეცნო გამსახურდიას ყალბი ბუნება და დარწმუნებული იყო, რომ იგი საქართველოს დიდ განსაცდელს მოუვლენდა, რაც აღსრულდა კიდეც, მაგრამ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მ. მამარდაშვილი ამას ვეღარ მოესწრო.

ამის მერე ატყდა კალმების ჭრიჭინი და მამარდაშვილზე პირდაპირი თუ ირიბი თავდასხმები ჩვენს ბედოვლათ პრესაში. რას აღარ უწოდებდნენ მას: ჩამოხეტებულს, კონდოტიერს, უსამშობლოს და ა.შ. ამ დროს, ერთი თვალის გადავლებაა საჭირო იმ გაზეთზე, რომელიც მის გარდაცვალებას ეძღვნება და საკმარისია წაიკითხო ფილოსოფოსის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიებიდან ციტატები საქართველოზე და ქართველებზე, რომ იქვე აღიარო - საქართველომ მისი სახით უდიდესი პატრიოტი დაკარგა! კაცს გული გაუხეთქეს, კაცს, რომელიც ასეთი შეგონების ავტორია: მხოლოდ სიკეთეს უნდა საგანგებოდ კეთება, დანარჩენი ყველაფერი ბოროტება გამოგვდის.

ჩვენ განვიხილავთ ერთ-ორ ასეთ ირიბულ თავდასხმას მამარდაშვილზე (გნებავთ, მის განაცხადზე), რომელთაც დიდი "ინტელექტუალობის" პრეტენზია გააჩნიათ, თუმცა კი მჩატე და ზედაპირულნი არიან. მაგრამ ჯერ ჩვენი ხედვა ჩამოვაყალიბოთ ამ საკითხზე, ხედვა ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, კერძოდ, თუ როგორ გვესმის ჭეშმარიტება და რა ურთიერთმიმართებაშია იგი სამშობლოსთან. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ჭეშმარიტების თაობაზე დღეს ფილოსოფოსთა ბანაკში ერთსულოვნება არ სუფევს. აი, როგორ წარმოაჩენს ფილოსოფოსი ბრუნო პუნტელი ამ საკითხს:

"ფილოსოფიური ტრადიციის არც ერთ სხვა ძირითად ცნებას არ ენიჭება ისეთი ცენტრალური მნიშვნელობა და ამავე დროს ისე არ ექვემდებარება იგი განუსაზღვრელობასა და მნიშვნელობათა მერყეობას, როგორც ცნება ჭეშმარიტების შესახებ. ტერმინოლოგიური და ობიექტური თვალსაზ-

რისები, რომლებიც აქ გარკვეულ როლს ასრულებენ, უმეტესწილად ამ ცნების ისტორიული წარმომავლობით არიან განპირობებულნი. დღევანდელი ფილოსოფიის ერთ ტენდენციას სურს გამოთქმას "ჭეშმარიტებას" ის განუსაზღვრელად ფართო, თავად ყოფიერებასთან კოექსტენსიური მნიშვნელობის მოცულობა შეუნარჩუნოს, რომელიც მას ადრინდელი ბერძნული აზროვნების დროს ჰქონდა, რომელსაც არისტოტელე გულისხმობს (მეტაფიზიკა, 993, ა, 30, 993 ბ, 20-30). მეორე მხრივ, დღევანდელ ცდათა უმრავლესობა ჭეშმარიტების ცნების განსაზღვრისა ემორჩილება ზუსტად საპირისპირო ტენდენციას, რომლის მიხედვითაც იგი ჭეშმარიტების ცნებას, რაც შეიძლება, ვიწრო მნიშვნელობას ანიჭებს".[1] მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს კიდევ სხვა მიდგომა ჭეშმარიტების საკითხისადმი. კერძოდ, ფილოსოფოსი დე ფრიზი ხაზს უსვამს ჭეშმარიტებას (სიმართლეს, ჭეშმარიტების ეთოსს) ზნეობრივი გაგებით, რომელიც არა მარტო სიტყვის შესაბამისობაა შინაგან რწმენასთან, არამედ - აგრეთვე, გარეშე ქმედებისა მასთან. შემდეგ, პატიოსანი შეფასება საკუთარი თავისა და, ბოლოს, გულწრფელი ნების ქონა, რათა ჭეშმარიტების შემეცნებას მიაღწიონ. იგივე დე ფრიზი ღვთაებრივ ჭეშმარიტებას მიიჩნევს მასუბსისტირებელ ჭეშმარიტებად - ყოფიერების ჭეშმარიტებად, შემეცნების ჭეშმარიტებად და სიმართლედ, რომლებიც მოქცეულნი არიან ერთსა და იმავეში, ანუ ღმერთში. ქმნილებათა მიმართ ღვთის ჭეშმარიტება არ არის შესაბამისობა შემეცნებისა მოცემულ საგანთან, არამედ შემოქმედებითი ჭეშმარიტებაა, ე.ი. ქმნილების შესაბამისობაა ღვთის იდეასთან.[2]

სამაგიეროდ, ნიცშეს გაგებით, ჭეშმარიტება არის ყოველთვის "ჩემი ჭეშმარიტება": ის, რასაც საკუთარი თავისათვის სამყაროსაგან ვქმნი; შემეცნება ყოველთვის ემსახურება თვითდამკვიდრებას - იგი "მუშაობს როგორც ძალაუფლების ხელსაწყო", ნება ჭეშმარიტებისაკენ არის "ნება ძალაუფლებისა".

თითქოს, წარმართულმა სულმა ამოხეთქა ფრიდრიხ ნიცშეში. დიონისეს მისტერიებში შურისძიებით აღვსილი ეგზალტირებული ქორო გუგუნებს:

რა არის ჭეშმარიტება?
რა არის ის უმშვენიერესი,
რასაც ღმერთები მოკვდავთ უბოძებენ?
ძლევამოსილად, საკუთარი მარჯვენით,მტრის ქედის მოდრეკა!
და რაც მშვენიერია, მას სიხარული მოაქვს!
ევრიპიდე, "ბაკქელი ქალები".

მაგრამ ქრისტეს შობის შემდეგ ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. აი, რას გვამცნობს ბიბლიის ენციკლოპედიის ბროკჰაუზის გამოცემა (პადერბორნი, 1994):

---

1. L. Bruno Puntel, Wahrheit, in: Handbuch Philosophuscher Grundbergriffe, Bd. III, München 1974.

2. Philosopisches Wörterbuch, Freiburg 1990- de Vries, Wahrheit.

"ბიბლიაში არ წარმოებს კამათი ჭეშმარიტების შესახებ, მსგავსად იმისა, როგორც ამაზე კამათობენ ფილოსოფოსები. პილატეს შეკითხვა: "რაი არს ჭეშმარიტება?" - მყის ააშკარავებს თავს, როგორც უღრმესი არაჭეშმარიტება. როგორც გაქცევა ჭეშმარიტებისაგან, რომელიც სწორედ იესოს სახით წარსდგება პროკურატორის წინაშე (იოანე 18:36-38)".

ამგვარად, ქრისტიანისათვის, მორწმუნესათვის ჭეშმარიტება იგივე ღმერთია ("მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე", იოანე 14,6; "როდესაც მოვა იგი, ჭეშმარიტების სული, წაგიძღვებათ თქვენ ყოველი ჭეშმარიტებისაკენ", იოანე 16,13). ღმერთი შემოქმედია არათუ კაცისა და ერისა, არათუ "სამშობლოსი", არამედ - მთლიანად სამყაროსი. ბუნებრივია, ქრისტიანის ხედვით ჭეშმარიტება ანუ ღმერთი მეტია სამშობლოზე.

ახლა დავსვათ კითხვა, თუ რა განაპირობებს სამშობლოს სიყვარულს თავგანწირვამდე - პატრიოტიზმს, უმაღლესი გაგებით (ნელთბილად სამშობლო ყველას უყვარს, როგორც ვაჭარს - თავისი დახლი). არის ასეთი სიყვარული მოცემული კონკრეტულად ამ ხალხში, ამ მთასა და ველში, ამ მდინარეში და ა.შ., თუ-იგი რაღაც უფრო დიდშია (ტრანსცენდენტურში) დაფუძნებული? ესე იგი ჩემს ერთგულებას სამშობლოსადმი კონკრეტულად ეს ხალხი, მთა და ტყე-ველი და ა.შ. განაპირობებს, თუ რაღაც მიღმურის ძლიერი და იდუმალი (ხშირად გაუცნობიერებელი) მოთხოვნა?[3] აზრის ნათელსაყოფად მივმართოთ ერთ მაგალითს.

როდესაც ცნობილ ნორვეგიელ მწერალ ქალს, დიდად მორწმუნე ქრისტიანს, ნობელის პრემიის ლაურეატს, სიგრიდ უნდსეტს ჰკითხეს, სჯერა თუ არა მას საერთოდ, რომ ქალს შეუძლია ერთგული იყოს ქმრისა, მან უპასუხა: "არა, არ მჯერა. მე მჯერა და გამოცდილებიდანაც ვიცი, რომ ქალს შეუძლია ერთგულად ყოფნა, თუკი იგი გარკვეულ იდეალს ეთაყვანება, რომელიც ითხოვს მისგან ამ ერთგულებას. მაგრამ ის, რომ ქალს შეეძლოს მამაკაცისადმი ერთგული დარჩეს, მხოლოდ როგორც მამაკაცისადმი, არა, მე ამისი არ მჯერა". სიგრიდ უნდსეტის აზრით, იგივე შეიძლება ითქვას მამაკაცის ერთგულებაზე. შემდეგ იგი აგრძელებს: "ასეთ ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ წმინდა ადამიანური იდეალებისა ან იდეალური ადამიანებისა სწამთ, შესაძლოა, მომავლისათვის იმის გაგება დაეხმაროთ, რომ ადამიანები არასდროს ყოფილან ერთგულნი, თუკი მათ არ ჰქონდათ ზეადამიანური მიზანი თავიანთი ერთგულებისათვის" ("ესეები ქრისტიანობაზე და გერმანულ სულზე", მიუნხენი).

ფაქტობრივად, აქ სიგრიდ უნდსეტი იმეორებს ავგუსტინეს აზრს, რომლის მიხედვითაც ადამიანის სიყვარული გემართებს არა თავად მის გამო, არამედ სხვისი (ღმერთის) მიზეზით.

---

3. როგორც მწერალი ბარბე დ'ორევილი ამბობს: "განგებამ ისურვა, რომ ადამიანს, ყველაზე ამაღლებულ მოსაზრებათა გამო, უყვარდეს მიწა, სადაც იგი დაიბადა, როგორც უყვარს დედა, თუნდაც, იგი არ იყოს ღირსი მისი სიყვარულისა". მაშინ, როდესაც ეს მოთხოვნა გაცნობიერებულია ანუ ადამიანი ნამდვილი მორწმუნეა, იქცევა თუ არა იგი ზნეობრივ შეუპურად, ხოლო ძლებედობის დამს - მხსნელ იმედად? პასუხი ყველა მორწმუნესათვის დადებითია.

მე მგონი, აქ თავისუფლად ივლება პარალელი სამშობლოს სიყვარულსა და მისადმი ერთგულებას შორის. ადამიანს, თუნდაც, არ გააჩნდეს ღმერთზე აზრი, აქ, ამ სიტუაციაში მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. აქ ის ვითარებაა, რაზედაც საუბრობს მეოცე საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი დიტრიხ ფონ ჰილდებრანდი თავის "ეთიკაში": "ზნეობრივ ღირებულებათა, ზნეობრივი ვალდებულებების, ბუნებრივი ზნეობრივი კანონის გასაგებად ცოდნა ღვთის შესახებ არ არის სავალდებულო. თუმცა, ობიექტურად ეს მონაცემები გულისხმობენ ღმერთს".

რამდენიმე ძვირფასი აზრი გამოთქმული აქვს ცნობილ ფილოსოფოსს, ევგენი ტრუბეცკოის ლიტერატორ მურეტოვთან პოლემიკის დროს ერისამშობლოს და ღვთის ურთიერთდამოკიდებულებაზე. იგი წერს: "დოსტოევსკის მოძღვრების არსი იმაზე დაიყვანება, რომ როგორც ხალხის, ასევე პიროვნების ზემოთ არსებობს უმაღლესი, სამყაროსეული ჭეშმარიტება, რის წინაშეც მორჩილება გვმართებს: დ.დ. მურეტოვის მოძღვრების არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მორჩილება გვმართებს ხალხის, როგორც ასეთის, წინაშე. დოსტოევსკი, პირველ ყოვლისა, გახლდათ ქრისტიანი; ამიტომ მის მსოფლმხედველობაში "ნაციონალურ ეროსს" ჰქონდა მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნელობა; პირიქით, ბ-ნი მურეტოვი ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ ნაციონალურ ეროსს აქვს თავისთავადი, თვითკმარი ღირებულება. განსხვავება დ.დ. მურეტოვის თვალსაზრისსა და დოსტოევსკისა და სლავიანოფილების რელიგიურ თვალსაზრისს შორის მდგომარეობს, სხვათა შორის, კიდევ იმაში, რომ იგი შესაძლებლად თვლის თავისი ნაციონალიზმის დასაბუთებას ყოველგვარი მეტაფიზიკური საწყისების გარეშე. ეს ნაციონალიზმი, რომელიც აღმერთებს ეროვნებას, კრძალავს, თავის კერპს მიმართონ რაიმე ზნეობრივი მოთხოვნებით: ბ-ნი მურეტოვის აზრით, შეიძლება ითქვას: "ჩვენ გვმართებს", მაგრამ იკრძალება თქმა: "ხალხს მართებს". სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს, რომ უმაღლესი ნორმა მხოლოდ პიროვნების ზემოთ არსებობს, მაგრამ არა ხალხის. სრულიად აშკარაა, რომ აქ დოსტოევსკის ქრისტიანობა კი არა გვაქვს, არამედ ნამდვილი წარმართობა..."

ე. ტრუბეცკოი განაგრძობს: "ჩვენ გვეუბნებიან - შეიყვარეთ, უპირველეს ყოვლისა, თქვენი ხალხი". კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ჩემს ხალხს აქვს უფრო დიდი, ვიდრე თვითონ არის, მარგალიტი, რომელიც შეადგენს მისი სიცოცხლის უმაღლეს ღირებულებას. როგორ შემიძლია მე იგი მიყვარდეს უამმარგალიტოდ? ჩემი ხალხი თავისი რელიგიური შემოქმედების უმაღლეს საფეხურებზე იცნობიერებდა თავს, როგორც მშენებლად და იმავდროულად - ცოცხალ ქვად დიდი და ხელთუქმნელი შენობისა, რომელშიც ყველა ხალხისათვის, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი არსებისათვის, გამზადებულია სავანე, არის თავისი ტრაპეზი და გვირგვინი. ნუთუ ამ უდიდესი სახალხო საქმის უარყოფით, სახალხო შემოქმედების ამ მშვენებისა და აზრისა - მე ჩემი ხალხის სიყვარულს დავამტკიცებ? ან, შესაძლოა, მითხრან, რომ მე უნდა დავუტევო ეს ნათელი რელიგიური იდეალი კერძო, საშინაო მოხმარებისათვის, ხოლო საზოგადო ცხოვრებაში ვიხელმძღვანელო სხვა

საწყისებით? ასე შეუძლიათ იმსჯელონ ცნობილი აფორიზმის Religion ist Privatsache-ს აღმსარებლებმა, რომელიც მიმოქცევაშია გერმანელ სოციალ-დემოკრატთა შორის. - მაგრამ ვაქციოთ რელიგია ყოველის "კერძო საქმედ" ნიშნავს იმას, რომ იგი უბრალოდ მოვსპოთ, რადგან საშინაო ღმერთი უკვე ღმერთი აღარ არის. ვისაც სწამს ღვთისა, მას სურს მისი განხორციელება მთელ ცხოვრებაში; მაგრამ მაშინ ჩვენი ცხოვრების იდეალია არა გაბნეული ტაძარი, არამედ - კაცობრიობა, ღმერთში თავმოყრილი. წინასწარ ეჭვრეტ გავრცელებულ შეპასუხებას, რომ ასეთი იდეალი უსასრულოდ შორს არის პოლიტიკისაგან და შეუძლებელია, ჰქონდეს მასთან რაიმე გამოყენება. ამაზე ვუპასუხებ - ზეპოლიტიკური არ არის აპოლიტიკური. რელიგიური იდეალი და ცხოვრების რელიგიური აზრი თუკი არ შეიძლება განხორციელდეს პოლიტიკის საშუალებებით, მაშინ პოლიტიკა მაინც უნდა იყოს მისდამი, ასე თუ ისე, დაქვემდებარებული. თუკი მას არ ძალუძს დედამიწაზე ღვთის სამეფოს შექმნა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანთა ცხოვრებაში მან სატანური სამეფო უნდა განახორციელოს. იგი უკიდურეს შემთხვევაში წინ უნდა აღუდგეს ამ უკანასკნელს."

ე. ტრუბეცკოის ამ მსჯელობის შემდეგ უპრიანი იქნებოდა გერმანელი ფილოსოფოსის, ფრიდრიხ გოგარტენის ციტირება, რომლის წიგნი "პოლიტიკური ეთიკა" გერმანიაში გამოიცა 1932 წელს. ამ წიგნში ფილოსოფოსი უკვე სახელმწიფოსა და ნაციონალურობის ურთიერთმიმართებაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, როდესაც სახელმწიფო ნაციონალურს ეფუძნება, მაშინ სახელმწიფო ნასესხებ უზენაესობას ღებულობს. იგულისხმება, რომ იგი ნაციონალურს უნდა ემსახუროს, რომ ნაციონალური მისი უმაღლესი მიზანია. მაგრამ ამის ატანა სახელმწიფოს არ შეუძლია ისე, რომ დიდი ზიანი არ განიცადოს. სახელმწიფოს აქვს თავისი საკუთარი, სავსებით არა სხვისაგან წარმოებული უზენაესობა და საპირისპირო შემთხვევაში იგი საერთოდ წყვეტს არსებობას. ამავე დროს, ხაზგასასმელია, რომ თავად ნაციონალურიც ფუჭდება, თუკი მას სახელმწიფოზე მაღლა დააყენებენ. აქ ხდება ცოცხალი კონკრეტულობიდან, სახელდობრ, ხალხის ღირსების დამცველი და მისი მასაზრდოებელი ადათ-წესიდან მკვდარი აბსტრაქციის შექმნა - მეტად თუ ნაკლებად - თვითნებურად გამოტანილი იდეა ხალხის განსაკუთრებულ თვისებაზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანზე დამკვიდრდა "ოპტიმისტური" შეხედულება, მას მერე, რაც ადამიანი გაიგება, როგორც აბსოლუტურად ავტონომიური და საკუთარი თავის გამგებელი არსება, ხდება სწორედ ამის გამო ბოროტის შემეცნების, ნამდვილი ეთიკური ფენომენის დაკარგვა და ადამიანის არსებობისათვის საშიში ბოროტების ძალის შესახებ უკვე აღარაფერი უწყიან. აი, მხოლოდ მას შემდეგ გახდა სახელმწიფოს ეს ნაციონალიზება შესაძლებელი. სახელმწიფოს ნაციონალისტური აღქმა მომდინარეობს იმავე თეორიიდან, რომელიც ინდივიდუუმს სახელმწიფოს მიმართ სუვერენულად აცხადებს: საფრანგეთის რევოლუციიდან. ასეთი აღქმის შედეგად დაიკარგა შესაძლებლობა სახელმწიფოს ნამდვილი დასაბუთებისა და თუ არ გვინდა ნაცვლად სახელმწიფოსი მარტოდენ საზოგადოება

შეგვრჩეს, ეს დასაბუთება სხვაგან უნდა ვეძებოთ. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ- ნაციონალისტური აღქმა ყველაზე მეტად ესადაგება სახელმწიფოს არსს. მაგრამ იმაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, რომ სახელმწიფოს ნაციონალისტური გაგებით ვუკავშირდებით ისეთ აღქმას, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოს უზენაესობას. ნაციონალური ის რომ ყოფილიყო, რომელიც სახელმწიფოს აფუძნებს და რომლის სამსახურისა და შენარჩუნებისათვის სახელმწიფო არსებობს, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა სახელმწიფოს უზენაესობა ნამდვილი გაგებით, რომელიც ბოროტების იმ დემონურ ძალას თრგუნავს და ამდენად ადამიანის არსებობას შესაძლებელს ხდის. მაშინ ადამიანს თავისი არსებობა ექნებოდა ნაციონალურიდან, როგორც თავისი უმაღლესი ღირებულებიდან. ფაქტობრივად, ასეთია ნაციონალიზმის შეხედულება. აქედან აფუძნებენ ნაციონალისტები თავიანთ უფლებას, რათა ხელთ იგდონ სახელმწიფო ძალაუფლება და გამოიყენონ თავიანთი იდეებისა და მიზნების განსახორციელებლად. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნაციონალურს, რომელიც, თურმე, სახელმწიფოს აფუძნებს და, მაშასადამე, სახელმწიფოზე მაღლა იმყოფება, უმაღლეს რელიგიურ ღირსებას მივაკუთვნებთ. ამგვარად იკავებს ნაციონალური ღმერთის ადგილს. იგი გაღმერთებულია. მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ ღმერთის ადგილს ვერავინ და ვერაფერი დაიკავებს. ყოველივე ასეთი ცდა კატასტროფის მომტანია.

ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ მცირეოდენი მაგალითია იმისა, თუ რატომ შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტება მეტია სამშობლოზე. მაგრამ მამარდაშვილზე თავდასხმები გრძელდებოდა და, ალბათ, ახლაც გრძელდება (ჩვენი ყვითელი, პროვინციული პრესის განხილვა უდიდესი ტანჯვაა და ამიტომ ამის თაობაზე ახლა არაფერი ვიცი). მაგრამ 2001 წლის 19 აპრილს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა პატარა წერილი სათაურით "მიჯაჭვული ამირანი", რომლის ავტორი გაბლდათ, როგორც მისი გვარის ქვემოთ ეწერა, "ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი". ამ დოქტორს თავისი წერილი რაღაც "უწყებრივ გაზეთშიც" დაუბეჭდავს, მაგრამ იგი ისე მოსწონებია, რომ ხელმეორედ "საქართველოს რესპუბლიკაშიც" გამოუმზეურებია. ვინაიდან ამავე გაზეთში მას საპასუხო წერილი გამოუქვეყნე, რასაც სამარისებური სიჩუმე მოჰყვა, ჩვენი მკითხველისათვის მის მხოლოდ მოკლე გარჩევას დავჯერდები. ხსენებული ავტორი მამარდაშვილის გვარს არ ასახელებს, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ შეურაცხმყოფელ გამოთქმაში "ჩიტი-პროვოკატორი" იგი სწორედ მას გულისხმობს. დოქტორი თავის წერილში ასეთ "სიბრძნეს" ახვავებს: "ჭეშმარიტებას მორალთან არა ესაქმება რა. სამშობლო მორალით ძლიერდება... სამშობლო მუდამ ერთია, როგორც მუდამ ერთია მშობელი დედა..." მე მგონი დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ ამ ტრივიალური ფრაზების მიღმა აზრთა სიმწირე დავინახოთ: რატომ "არა ესაქმება რა" ჭეშმარიტებას მორალთან? მე მგონი, ჩვენებურ დოქტორს დიდი გართულება ექნებოდა ფილოსოფოს დე ფრიზთან... პროფესორის ყველაზე "ინტელექტუ-

ალური“ ფრაზა: “ქართველი ტრანსცენდენტურ ჭეშმარიტებასთან კონტაქტის შესაძლებლობას, ანუ რელიგიას სამშობლოს კეთილდღეობის და სულიერი ამაღლების დროშად იყენებდა მუდამ. როგორც არ შეიძლება რელიგიის, ვთქვათ სამშობლოზე მოზომება, ასევე არ შეიძლება ჭეშმარიტებას ვაზომებდეთ მას“.

აქ დოქტორ-პროფესორს ლოგიკურმა აზროვნებამ უმტყუნა და სამწუხარო წინააღმდეგობაში გაეხვია: ერთი მხრივ არსებობს, თურმე, “ტრანსცენდენტურ ჭეშმარიტებასთან კონტაქტის შესაძლებლობა, ანუ რელიგია“, რომელსაც ქართველი (აბა რისი ქართველია!) მუდამ “სამშობლოს კეთილდღეობას“ ახმარდა. მეორე მხრივ არსებობს, თურმე, აქეთური ჭეშმარიტებაც, არარელიგიური, და ეს ორივე ჭეშმარიტება, თურმე, არ შეიძლება სამშობლოს “მოვაზომოთ“. მაგრამ ავტორი თუკი ერთხელ აღიარებს “ტრანსცენდენტური ჭეშმარიტების“ არსებობას, მაშინ იგი ზეჭეშმარიტება უნდა იყოს, სადაც ყველა დანარჩენი ჭეშმარიტება თავს იყრის და, გინდა თუ - არა, ასეთი ჭეშმარიტება ერთადერთია და ცხადია, რომ იგი სამშობლოზე მეტია (როგორც ზემოთ ვთქვით, ასეთი ჭეშმარიტება არათუ სამშობლოზე მეტია, არამედ სამყაროს შემოქმედია).

შემდეგ პროფესორი აღფრთოვანებულია “გენიალური მითით ამირანის შესახებ“, და მიაჩნია, რომ “მიჯაჭვული ამირანი“ ანუ იგივე “საქართველო“ ვერ განთავისუფლდება, სანამ არსებობენ მჭედლები, საქართველოს მტრები, მისი ჯაჭვის გამომჭედელნი და “ჭრელი ჩიტი - პროვოკატორი“, რომელიც ჭეშმარიტებას მაღლა აყენებს, ვიდრე - სამშობლოს. მე არ ვიცი, ბოლომდე იცნობს თუ არა ამ მითს პროფესორი, რომელიც პრომეთეს მითის მონათესავეა და რომლის ძირითადი ნიშანი ღმერთთან ბრძოლაა. აქედან გამომდინარე, თუ ამირანი “საქართველოა“, მაშინ ღმერთთან მებრძოლ საქართველოს კარგი დღე არ უწერია. თუნდაც ის ფაქტი, რომ ღმერთმა ამირანი სიამაყის გამო დასაჯა, კარგს არაფერს უქადის ამ უკანასკნელს, რადგან სიამაყე ეს ის ცოდვაა, რომელიც ადამის პირველცოდვას წინ უსწრებს და რის გამოც ერთ-ერთი უმაღლესი ანგელოზი ღმერთმა ზესთა სფეროებიდან. ქვესკნელში ჩაძირა და სახელი მისი - სატანაა!

რასაკვირველია, შეიძლება გვიპასუხონ, რომ აკაკის პოემაში “თორნიკე ერისთავი“ “ქართლის ჯარის“ სიმღერაში, “მიჯაჭვული ამირანი“ სწორედაც საქართველოა. მაგრამ თავიდან ბოლომდე ქრისტიანული სულისკვეთებით აღსავსე პოემაში, როდესაც ქართველთა ლაშქარი ზენაციონალური მიზნებისათვის იბრძვის, მხედართა ეს სიმღერა მხოლოდ პატრიოტულ მნიშვნელობას იძენს.

მაგრამ რა შედარებაა პროფესორის ამ სტატიასთან ის, რაზედაც ახლა მოგახსენებთ. თვენახევარიც არ იყო გასული პროფესორის “მიჯაჭვული ამირანის“ გამოქვეყნებიდან, რომ მას მოჰყვა ვეებერთელა სტატია (“ინტერვიუ“) ახლად დაარსებულ გაზეთში “თავისუფალი“ (№1, 2001 წელი, 20 ივნისი), რომელიც ხელთ გვიან ჩამივარდა და რომელიც დასათაურებულია ასე: “ქართული ჯაჭვის ტრაგედია“ (რა უბედურებაა ამდენი ჯაჭვი!). ამ

გაზეთის რედაქტორი ყოფილა იზოლდა ცირდავა. იგი ინტერვიუს ასეთ წანამძღვარს უკეთებს: "ახლოვდება მზებუდობის ფაზა საქართველოში, როცა მნათი ჩვენი თავისი გამოსხივების კულმინაციას აღწევს - 22 ივნისი. ჩვენი საუბრის გმირიც ზენიტზეა უკვე ესთეტიკური აზროვნების თვალსახედვით; ურთულესი ცხოვრების გზა გაუვლია, მაგრამ არსად წაბორძიკებულა და ყოველთვის ჭეშმარიტების პოზიციიდან წარმოუჩენია ქართლოსიანთა სუფევის ზიგზაგიანი შუქ-ჩრდილები..."

მართალი გითხრათ, ეს რომ წავიკითხე, ტანში ჟრუანტელმა დამიარა - იზოლდა ცირდავას რომელიმე მეფე ხომ არ წამოუყენებია საფლავიდან და მისგან ხომ არ იღებს მეთქი ინტერვიუს?

იზოლდა აგრძელებს: "ბიბლიიდან მოყოლებული კაცობრიობას ტანჯავს კანტის წამოძახილი - ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში. რა არის ის მარადიული ძალა, რიგით მოკვდავს უფლისეულ სიმაღლეებს რომ აზიარებს..." არა, არა, ნამდვილად ასეა, ნამდვილად გმირი მეფისგან იღებს ინტერვიუს - გავიფიქრე მე.

იზოლდა აგრძელებს: "სად იღებს სათავეს ღირსების ბინული, შუბლის ძარღვთან რომ გაგვიიგივებია ტრადიციული წარმოდგენებით და ვინ იქნება ასეთი დროსა და სივრცეში ჩვენი სამშობლოდან?"

პოლიხრონიონ! - შევყვირე კოწიასებურად - იგია, იგი, მეფეთ-მეფე დავით! და, თითქოს, მდუღარე გადამასხესო, თვალებს არ დავუჯერე, როდესაც იზოლდას შემდეგი ჩანაწერი წავიკითხე: "...ბატონ გოგი გაჩეჩილაძის ზღურბლთან მიახლოებისას როცა ჩამწერი ჩავრთე, მივხვდი, ზედმეტი ჩარევებით მხოლოდ და მხოლოდ გავაფუჭებდი საქმეს. გარკვეულწილად დავანაწევრებდი, გავფანტავდი მონოლოგს, მონოლოგს კაცისა, სანთელივით რომ იწვის და ანათებს სამშობლოს უკეთესი ხვალინდელობისათვის, ამიტომაც ნუ გაგვიკვირდება ჩემი მომეტებული ბაგემდუმარება - სულიდან ამოხეთქილ ნიაღვარს ხელით ვერ შეაჩერებ".

ახ, ახ, ბატონო გოგი, ეს რა გიქნია იზოლდა ცირდავასათვის?! ძვირფასო იზოლდა, ვიცი "რა ისრითაც ხარ ნაჩხვლეტი", თქვენთვის ბ-ნი გოგის ინტერვიუ-სტატიაში ხომ მთავარი ის არის, რომ "ქართველმა ელიტამ 1992-1993 წელს შემოიყვანა დამპყრობი ქვეყნის ჯარი სამშობლოში", თურმე იმიტომ, როგორც ბ-ნი გოგი ამტკიცებს, რომ იგი "აუმხედრდა ქართული სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის იდეას". მაგრამ არ დაგებადათ კითხვა? თუ იგი ელიტაა ანუ ერის "რჩეული", რატომ უნდა გასჩენოდა ასეთი პათოლოგიური მოთხოვნილება? ქალბატონო იზოლდა, ნუ აჰყვებით ტრაიბალისტურ გრძნობებს და მერწმუნეთ, ზ. გამსახურდია ქვეყანამ მოიშორა არა იმის გამო, რომ იგი მეგრელი იყო, არამედ იმიტომ, რომ ყოვლად უვარგისი მმართველი გახლდათ. ბარემ აქვე გიპასუხებთ, თუ ვინ შემოიყვანა "დამპყრობი ჯარი სამშობლოში". ყველას გვახსოვს, "მრგვალი მაგიდის" ბატონობის ჟამს, თუ როგორ გააუქმეს ჯერ "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" და შემდეგ, "უმაღლესი მთავარსარდლის", ზ. გამსახურდიას უშუალო ბრძანებით, როგორ შეიყვანეს ცხინვალის ოლქში რუსული

ჯარი, რასაც წინ უძღოდა პარლამენტში რუსი გენერლის მოწვევა პარლამენტართა ტაშის გრიალში. აი, ეს ჯარი, ქალბატონო იზოლდა, დღესაც იქ დგას და, ფაქტობრივად, ეს ტერიტორია მიტაცებულია. ჯერ კიდევ იმ დროს ნ. ნათაძემ თავის ინტერვიუში განაცხადა (გაზ. "თბილისი", 6 მარტი, 1992 წ.): "შიდა ქართლი დღესაც კრიტიკულ ვითარებაშია. ყოფილი ხელისუფლების ყველაზე დიდი დანაშაული საქართველოს წინაშე ის არის, რომ ეს მხარე უპატრონოდ დააგდო, ქართული სოფლები რუსის ჯარისა და ბანდების ამარა დატოვა. გამსახურდიას რეჟიმმა იქ დააკანონა საკავშირო ჯარების მოქმედება... რასაც საქართველოში გამსახურდია ამკვიდრებდა, ეს იყო უსაზიზღრესი ფსიქოპათიური, ისტერიული სისტემა... გამსახურდიას ეკონომიკური პოლიტიკა ჯანსაღი არ იყო. იგი თავისი ბუნებით სოციალისტური და, ცოტა არ იყოს, მანიაკალური იყო".

ახლა რაც შეეხება გ. გაჩეჩილაძის მტკიცებას, რომ "ელიტამ" შემოიყვანა "დამპყრობი ქვეყნის ჯარი სამშობლოში". მას სურს, ალბათ, იმის თქმა, რომ ეს ჯარი შევარდნაძემ შემოიყვანა და "ელიტამ" მხარი დაუჭირა. რაზეა საუბარი? ბალტინის მეზღვაურების მიერ ფოთის დაკავებაზე. მაგრამ წინ რა უძღოდა ამას? წინ ამას უძღოდა კავკასიელი "კონფედერატების" დახმარებით გამსახურდიას სამეგრელოში შემოჭრა, სწორედ იმათი დახმარებით, ვინც ქართველ მამაკაცებს თავებს აჭრიდა და ქალებს აუპატიურებდა და ეს იმ დროს, როდესაც ქართულმა ჯარმა კატასტროფა განიცადა აფხაზეთში იმავე გამსახურდიას წყალობით (იგულისხმება ქართული ჯარის სამეგრელოზე არ გატარება და მისი მხოლოდ თვითმფრინავებითა და გემით გადასხმა აფხაზეთში, შემდეგ ზურგში მახვილის ჩაცემა ათასგვარი საბოტაჟითა და პირდაპირი ღალატით და ა.შ.).[4] როგორც ცნობილია, გამსახურდიამ სამტრედიაც კი აიღო "კონფედერატების" დახმარებით და ამიტომ, და მხოლოდ ამიტომ, გამართლებული იყო ბალტინის მიერ ფოთის დაკავება. ეს ის გამონაკლისია (სასიკეთო), რაც რუსეთს იშვიათად გამოსვლია საქართველოს მიმართ. ადმირალ ბალტინის შემოსვლა იმ შემთხვევაში იქნებოდა ბოროტება, თუკი იგი დღესაც იქ იქნებოდა, ანუ იგი ფოთს თუ მიიტაცებდა, როგორც ეს გააკეთეს ცხინვალთან მიმართებაში. ერთმა ზვიადისტმა ისიც კი მითხრა: გამსახურდია "კონფედერატებთან" ერთად საქართველოს გასანთავისუფლებლად მოდიოდაო! კარგი "განთავისუფლება" იქნებოდა ეს, ჩემმა მზემ, თუკი ყოველ მეორე თუ არა, მესამე თბილისელს დაბოლმილი ზ. გამსახურდია და აფხაზები ზეზე ჩამოკიდებდნენ (ხომ დაპირდა გამსახურდია გალელებს - ჩემს მომხრეებს ხელს არ გახლებენო? ყალბი იყო ეს დაპირება და ამიტომ ზვიადისტებიც და ნეიტრალურებიც ერთად გამორბოდნენ იქიდან!).

მართალი მოგახსენოთ, ი. ცარდავას პანეგირიკი რომ გ. გაჩეჩილაძეს ეკუთვნოდა, კი უნდა მეფიქრა, რადგან გაზეთის ერთ გვერდზე მოთავსებულია

---

4. მთელი ფაქტობრივი მასალები წყაროებზე დაყრდნობით იხ. ჩემს წერილში "გამსახურდიას მოვლენა".

შავბნელი სურათი რაღაც მონსტრისა - მიჯაჭვული ამირანის, ხოლო გაზეთის მეორე გვერდზე - გოგი გაჩეჩილაძის ფოტო - განათებული სახით და მიკროფონით ხელში. ახლა ვნახოთ, თუ "თეორიულ ნაწილში" რამდენად "ბრძენია" გ. გაჩეჩილაძე. მაგრამ ჯერ გ. გაჩეჩილაძის პიროვნული დახასიათება, ანუ ის, რაც ყველამ იცის მის შესახებ. ამ დახასიათებას ნამდვილად არ დავწერდი, რომ არა ი. ცირდავას მიერ მისი შეფასება, როგორც ოლიმპოს ერთ-ერთი ღმერთისა. გ. გაჩეჩილაძე გახლდათ ზ. გამსახურდიას "მრჩეველი", რომელიც ყველა პრივილეგიით სარგებლობდა, შავი "ვოლგით" დასრიალებდა და ა.შ. გამსახურდიას ჩამოგდების მერე იგი უსამსახუროდ დარჩა (სამთავრობო სამსახურის გარეშე) და ამიტომ შეეცადა შევარდნაძესთან დაახლოებას. ამ მიზნით "საქართველოს რესპუბლიკაში" მას საქებარი წერილიც დაუწერა. არ გაჭრა ამან. მაშინ იგი კიდევ უფრო მეტად უახლოვდება დოდონა კიზირიას, ამერიკაში მოღვაწე ქალბატონს და იმავე გაზეთში აცხადებს, რომ მას გალაკტიონისა და დოდონა კიზირიას პოეზია მოსწონს (ე.ი. რაღაცნაირად გაუტოლა ისინი ერთმანეთს). ამ დროს ცნობილი ხდება, რომ დ. კიზირიას ილიას "ოთარაანთ ქვრივის" გარჩევა მოუხდენია "ფროიდისტულად". მაგ., ოთარაანთ ქვრივი გარდაცვლილი მეუღლის თოფს რომ წმენდს, ამით იგი თურმე მის Penis-ს ეალერსება და ა.შ. აი, ამ დოდონა კიზირიას მეშვეობით გ. გაჩეჩილაძე რამდენჯერმე იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. სულ ბოლოს გ. გაჩეჩილაძე ასლან აბაშიძის პარტიაში შეღწევას ცდილობს და ამით საქართველოს პარლამენტში მოხვედრას, მაგრამ ეს რომ არ გამოუვიდა, იგი საჯაროდ, ტელეეკრანიდან იწყებს ასლანის გმობას და ა.შ. ბოლოს, ასეთ კაცს, პრეზიდენტი სააკაშვილი სიცილით გადასცემს "ღირსების ორდენს".

ახლა მისი ნააზრევის შესახებ. გ. გაჩეჩილაძე თავიდანვე ახვავებს იმ ცნობილ ჭეშმარიტებებს, რაც სკოლის მოწაფემაც კარგად იცის, მაგრამ, როგორც ჩანს, იზოლდამ - არა. მაგალითად: "კოლუმბის მიერ ახალი მატერიკის აღმოჩენამ (თუმცა, მას ეგონა, რომ ინდოეთი აღმოაჩინა და არა ამერიკა) შექმნა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ახალი ფაზა". შემდეგ: "პოსტკოლუმბური ცივილიზაცია არის ცივილიზაციის ისეთი ტიპი და ისეთი დრო, როდესაც სამყაროში ყველაფერი ნაპოვნია. ახალი კონტინენტი, ახალი ქვეყანა აღარ არის აღმოსაჩენი". ახ და ახ! - ფიქრობს იზოლდა ცირდავა - რამდენი, რამდენი რამ იცის ამ კაცმა "სანთელივით რომ იწვის და ანათებს სამშობლოს". გოგი კი აგრძელებს: "საკომუნიკაციო საშუალებების გაფართოებამ გამოიწვია სამყაროს დაპატარავება. ქვეყანა, სამყარო გახდა პატარა. ხარ სახლში წამოწოლილი და იაპონიაში მიდის ფეხბურთის მატჩი და უყურებ, რა ხდება გვატემალაში, უყურებ აქ". ისევ იზოლდა: "ნუ გაგიკვირდება ჩემი მომეტებული ბაგემდუმარება - სულიდან ამოხეთქილ ნიაღვარს ხელით ვერ შეაჩერებ". ისევ გოგი: "ნიცშემ თქვა, რომ "ღმერთი მოკვდა"... ამიტომ ჩვენ არ ვიცით, რა არის ჭეშმარიტება. თუ ღმერთი მოკვდა, ე.ი. მოკვდა ჭეშმარიტება და ის, ვინც ამბობს, ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სამშობლოო, მან ჯერ უნდა გვითხრას ჩვენ,

რა არის ეს ჭეშმარიტება, რომელიც დგას სამშობლოზე მაღლა. თუ ჩვენ გვეცოდინება, რომ ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც დგას სამშობლოზე მაღლა და არის არა ისეთი ჭეშმარიტება, რომელიც გამოხატავს საგანს ლოგიკაში, არამედ საგნის ლოგიკას,,მაშინ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ეს დებულება, როგორც ჭეეშმარიტება, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ საგნის ლოგიკა, სამყაროს ობიექტური რეალობა არ გვეუბნება ჩვენ, რომ არსებობს რაღაც ისეთი ჭეშმარიტება, რომ კაცობრიობამ მის სამსხვერპლოზე მიიტანოს სამშობლო, როგორც ზვარაკი, მაშინ რა უფლება მაქვს მე, ვიყო პიონერი და ინიციატორი, ისეთი ჭეშმარიტების სამსხვერპლოზე, რომლის მნიშვნელობა ჩემთვის უცნობია, მივიტანო ზვარაკად ჩემი სამშობლო".

სანამ იზოლდა ატირდება ამის მოსმენისას და გ. გაჩეჩილაძეს "ზენიტზე მყოფ გმირად" გამოაცხადებს, დროა ჩავერიო და განვაცხადო, რომ ეს ბრახა-ბრუხი მიამიტი მკითხველის დასაბნევად და თავის მოსაწონად არის გამიზნული, ხოლო საქმე კი ძალზე მარტივია. პირველ ყოვლისა, გ. გაჩეჩილაძე იმეორებს ჩემს ნათქვამს, რომ ღმერთი არის ჭეშმარიტება (იმეორებს იმიტომ, რომ ჩემი სტატია უფრო ადრე გამოქვეყნდა, ვიდრე მისი), მაგრამ იქვე ნიშნის მოგებით და ნიცშეს ფრაზის გამოყენებით ირონიულად ამტკიცებს, რომ ღმერთი არ არსებობს და რაკი ღმერთი არ არსებობს და იგი იყო ჭეშმარიტება, მაშასადამე, ჭეშმარიტებაც მოკვდა და "ამიტომ ჩვენ არ ვიცით, რაღა არის ჭეშმარიტება". ცხადია, თუკი ჭეშმარიტება მოკვდა, იგი სამშობლოზე მაღლა მდგომი ვერ იქნება. ამრიგად, გაჩეჩილაძემ თავი ურყევ ათეისტად წარმოგვიდგინა. ახ, იზოლდა, ეს რა მრჩეველი ჰყოლია ზ. გამსახურდიას?! კი მეგონა, ექსპრეზიდენტი არაქრისტიანივით იქცევა მეთქი და აკი დადასტურდა - მრჩეველი ათეისტი ჰყოლია!

ამჟამად გაჩეჩილაძე მესამე პრეზიდენტის, სააკაშვილის მრჩევლად მოგვევლინა. ანტისააკაშვილისტებს უხარიათ: რაც გამსახურდიას დამართა თავისი რჩევებით, ამასაც კარგ დღეს არ დააყრისო. მაგრამ ახლა თავი დავანებოთ ამას, და როგორც ოფიციალურ პირს, ბ-ნ გაჩეჩილაძეს ცნობილი ფილოსოფოსისა და თეოლოგის, პაულ ტილიხის სიტყვებით უნდა მივმართოთ: სანამ რელიგია გვეხმარება კარგი მოქალაქეების, კარგი ცოლ-ქმრული წყვილებისა და ბავშვების, კარგი სახელმწიფო მოსამსახურეებისა და ჯარისკაცების ჩამოყალიბებაში - იგი მოსათმენია. როგორც კი რელიგია საკუთრივ თავისი ინტერესების დასაცავად რაიმე პრეტენზიას გამოთქვამს - მას მოისვრიან. ასე არ უნდა ხდებოდეს, ბ-ნო პრეზიდენტის მრჩეველო!

ახლა, მცირეოდენი შენიშვნები ბ-ნ გ. გაჩეჩილაძის ნააზრევზე. მისი მიხედვით რაკი ღმერთი მოკვდა, მოკვდა ჭეშმარიტებაც, ანუ, ერთადერთი, ყოვლისმპყრობელი ჭეშმარიტება. გაჩნდა მრავალი "ჭეშმარიტება", რომელთაგანაც არც ერთი არ იმსახურებს მისდამი "სამსხვერპლოზე სამშობლოს მიტანას". ლოგიკურად რომ განვავითაროთ გ. გაჩეჩილაძის აზრი - არც ერთი "ჭეშმარიტება" არ იმსახურებს თავდადებას. ამგვარად, გ. გაჩეჩილაძე ჭეშმარიტების პლურალიზმის მიმდევრად მოგვევლინა. მაგრამ გასჩენია კითხვა გაჩეჩილაძეს - რატომ უნდა იყოს მხოლოდ ჭეშმარიტებათა პლუ-

რალიზმი ჭეშმარიტება? შემდეგ, საიდან იცის მან, რომ "სამყაროს ობიექტური რეალობა არ გეუბნება" ღვთის არსებობის შესახებ?! მხოლოდ ნიცშეს ფრაზიდან? რაიმე აქვს მას წაკითხული ნიცშეს მაკრიტიკებელი ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსთა ნაშრომებიდან? ან საერთოდ თეისტური ლიტერატურიდან? ამიტომ ნება მოგვეცით, რომ მტკიცედ განვაცხადოთ - "არსებობს ღმერთი, რომელიც ასამართლებს ქვეყნიერებას" (ფსალმუნნი 57, 12).

მეორე, რისი თქმაც მსურს, გახლავთ ის, რომ "ზარათუსტრას" კითხვა მესამე გვერდზე არ უნდა შევწყვიტოთ, რომელზედაც ცნობილი არტისტულ-ათეისტური ფრაზა არის: ღმერთი მოკვდა! გ. გაჩეჩილაძეს "ასე ამბობდა ზარათუსტრა" ბოლომდე რომ წაეკითხა, ალბათ, მიხვდებოდა, რომ წიგნი უდიდესი სკეპტიციზმისა და ნიჰილიზმის ჩრდილქვეშ იმყოფება, როდესაც ნიცშე ამბობს: "არაფერი არ არის ჭეშმარიტი, ყველაფერი ნებადართულია" (ნაწილი IV, "ჩრდილი"). ნიცშე გამოსავალს ზეკაცის მოვლინებაში ხედავს, მაგრამ გ. გაჩეჩილაძე ზეკაცი არ არის (იზოლდა, მაპატიე). იმასვე ამბობს დოსტოევსკი დიმიტრი კარამაზოვის პირით: თუკი ღმერთი არ არის, მაშინ არც არაფერი არის. უფროსი თაობიდან მსმენია, თუ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში რა შედეგი მოჰყვა რევოლუციის მიერ მოტანილ შეგონებას: ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია! ღმერთი არ არის, ყველაფერი დასაშვებია, ყველაფერი ნებადართულია და ადიოდნენ ტრამვაიში დედიშობილა ქალები და მამაკაცები. თვით თბილისშიც უნახავთ მსგავსი რამ. ახლა, თუკი გ. გაჩეძილაძეს ათეისტობა უნდა ნიცშესეული ელფერისა, მაშინ უნდა იყოს თანმიმდევრულიდა ეს განახორციელოს.

არის რაღაც გაუკუღმართებული და არაჯანმრთელი ისეთ მსჯელობაში, როდესაც გ. გაჩეჩილაძე ასე გაიძახის: "რა უფლება მაქვს მე... ისეთი ჭეშმარიტების სამსხვერპლოზე, რომლის მნიშვნელობა ჩემთვის უცნობია, მივიტანო ზვარაკად ჩემი სამშობლო".

ბატონო გოგი! თქვენ ღმერთი არა ხართ (იზოლდა, ისევ მაპატიე!), რომ ცალ ხელში "სამშობლო" გეპყრათ და მისი "ზვარაკად" მიტანა შეგეძლოთ. საქმე პირიქითაა: როგორც ჩვენი ტრაგიკული ისტორია გვასწავლის (ასევე მსოფლიოსი), სარწმუნოების დაცვა უცხო დამპყრობელთაგან ჩვენ ეროვნებასაც გვინარჩუნებდა. მარტო ენის შენარჩუნება ეროვნების დაცვის გარანტი არ არის. შეხედეთ დღევანდელ თურქეთს: იქაური ქართველობა, "ჩვენებურები" სრული გადაშენების გზაზე არიან იმ თვალსაზრისით, რომ თავს თურქად გრძნობენ. დიდი მომავალი ამ გაგებით არც ფერეიდნელ ქართველობას ესახება - რაც აქამდე შეინარჩუნეს, მათი პროვინციის ერთობ მიგდებული მდგომარეობით ახსნება. ოსვალდ შპენგლერის "დასავლეთის დამხობის" მეორე ტომს თუ გადავხედავთ, იქ ავტორს მოჰყავს მსოფლიო ისტორიიდან მაგალითები იმისა, რომ თვით ქრისტიანული სარწმუნოების წიაღში, როდესაც ერი ერთი ქრისტიანული კონფესიიდან მეორე ქრისტიანულ კონფესიაში გადადიოდა, იგი ეროვნებასაც კარგავდა იმ გაგებით, რომ იგი გადასხვაფერდებოდა.

როგორც ვატყობ, გ. გაჩეჩილაძის ვეებერთელა ინტერვიუს გარჩევა ავგიას თავლის გაწმენდას ემსგავსება (იმ განსხვავებით, რომ მე ჰერაკლე არა

ვარ). საკმარისია რომელიმე აბზაცი აიღო და სერიოზულად განიხილო - ხელში რაღაც ჩაგეფშვნება, როგორც ბავშვის მიერ ნაგები სილის კოშკი. ავიღოთ კიდევ ერთი გ. გაჩეჩილაძისეული "სიბრძნე". იგი წერს: "კულტურა არის მთლიანი სისტემა და სუბკულტურა - ქვეკულტურა, ანუ, მაგალითად, ანალოგი რომ გავაკეთოთ, ადამიანის ორგანიზმი მთლიანობაში არის მთლიანი კულტურა, სადაც არის სუბკულტურები. ეს არის სისხლძარღვთა სისტემა, საჭმლის მომნელებელი ორგანოების სისტემა და ა.შ. (ბრძენი, ბრძენი, - ფიქრობს იზოლდა ცირდავა). მაშინ, როდესაც ქვეკულტურა, ქვესისტემა გამოეთიშება მთლიან სისტემას - ამირანის მითი არის გენიალური ილუსტრაცია ამ სიტუაციისა, ტრაგედიისა, რომელსაც იწვევს სისტემის შემადგენელი ნაწილის გამოთიშვა სისტემიდან. ამირანი არის თავისუფლების განმასახიერებლის სიმბოლო (მე დავამატებდი - ღმერთთან ბრძოლისაც, ვ.რ.). მასში ქართველი ხალხი, ქართული კულტურა ხედავს თავისუფლების იდეალს, მაგრამ ამ კულტურის სისტემაში არსებობს ქვეკულტურა, რომელსაც ხელს არ აძლევს თავისუფლება... ამირანში არის პირდაპირ მითითებული გარკვეულ სოციალურ ფენაზე, რომელსაც არ უნდა თავისუფლება და ეს სოციალური ფენა ამირანში არის მჭედლები. ვინ არიან ეს მჭედლები?" - პათეტიკურად კითხულობს გ. გაჩეჩილაძე და შემდეგ განაგრძობს: "სწორედ ფილოსოფიის კონტექსტში ერის ტრაგედია გახლავთ ის, რომ ერის წინაშე დასმულ კითხვებს პასუხს სცემს არა ერი მთლიანობაში, არამედ მისი ინტელექტუალური ელიტა. ასე რომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ამირანზე... ნიშანდობლივი არის ის, რომ ამირანისდროინდელ ინტელექტუალურ ელიტას არ სურს თავისუფლება და ეს... საქართველოს ისტორიის გარკვეულ პერიოდებში მეორდება ხოლმე და ამის მოწმე გავხდით ჩვენ, მაგალითად, თუნდაც 1992-93 წლებში..."

კიდევ ერთხელ ვიტყვი: თუ ერი არ ენდობა თავის "ინტელექტუალურ ელიტას", მაშინ ვის, გოგი გაჩეჩილაძეს (კიდევ ერთხელ მაპატიე, იზოლდა!) უნდა ენდოს იგი? სწორედ თავისუფლებისმოყვარეობამ უბიძგა ქართველ ხალხს და მოიშორა გამსახურდიას რეჟიმი, თორემ რა გამოდიოდა? გაუნათლებელმა, უტიფარმა და მოძალადე "მრგვალი მაგიდის" წევრებმა იქამდის მიიყვანეს საქმე, რომ პოეტ შოთა ნიშნიანიძეს აღმოხდა: ამათ მონობას, ისევ კრემლის მონობა მირჩევნიაო! ე.ი. სწორედ იმ რეჟიმმა მოგვახვია თავს შევარდნაძე და ა.შ. სხვათა შორის, ამერიკელი ავტორი Crane Brinton თავის გამოკვლევაში "რევოლუციები და მათი კანონები" (1938), რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებელ კანონად მიიჩნევს იმას, რომ ინტელექტუალები ძალზე უნდა იყვნენ დისტანცირებულნი გამეფებული სისტემისაგან. ბარემ აქვე დავძენ, რომ ისეთი ქრისტიანი, როგორიც იყო XX საუკუნის ცნობილი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი კარლ რანერი, საკუთარ დასაშვებად მიიჩნევდა რევოლუციას და თვით ტირანის მოკვლასაც (Schriften, Bd. 10, s. 568-586).

ახლა რომ დაიჯინოს გ. გაჩეჩილაძემ - არა და არა, ათეისტიც ვარ, ამირანიც მიყვარს და სამშობლოც - რას ვეტყოდით ჩვენ? კი ბატონო, დამ-

შვიდდი, იყავ; ფიზტესი არ იყოს - ვინ რა ფილოსოფიას აირჩევს, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ადამიანია იგი. 60-იან წლებში ძალზე გახმაურდა ციხეში ის ამბავი, როდესაც ერთმა ქურდმა თავი ააკუწინა "ბოზებს" მათ "ლაგერში" იმის გამო, რომ არ თქვა: სიკვდილი ქურდებს! ესეც პრინციპია - შელინგი ამბობს: როგორც არსებობს ენთუზიაზმი სიკეთისა, ასევე არსებობს ბოროტების ენთუზიაზმი! მაგრამ, ამ მხრივ, გ. გაჩეჩილაძეს შეუძლია მშვიდად იყოს - განა ყველა მთავრობის "ერთგულს" ძალუძს პრინციპებზე საუბარი?!

რასაკვირველია, ჩვენში ნაციონალიზმის აღმოცენებას, მისი უარყოფით გაგებით, თავისი მიზეზები ჰქონდა. პირველ ყოვლისა, თქვენ წარმოიდგინეთ, ამის გამომწვევი იყო ათეიზმი, როგორც რევოლუციამდელი, ასევე საქართველოს გასაბჭოების შემდეგდროინდელი. რწმენადაკარგული ხალხი იდეოლოგიურ ფაბრტომს ეძებდა, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორე ანექსიამდე სოციალისტური იდეების პოპულარობითა და ილიას მკვლელობით გამოიხატა. ანექსიის შემდეგ კი, როგორც ჩანს, აღრესორის მიერ ფენებში გაქელილი ეროვნულობის წყალობით იფეთქა ნაციონალურმა თვითშეგნებამ, რომელიც ჩუმად ღვიოდა. ხოგჯერ ალდებოდა ქიღეც საბჭოთა მძართველობის მთელი 70 წლის მანძილზე, მაგრამ ღრმერთი კვლავ დავიწყებული იყო. რამდენს გვახსოვს ბრწყინვალე ქართულის მასწავლებლები სკოლებში, რომლებიც ნაფრად აღვივებდნენ მოსწავლეთა გულებში ეროვნულ გრძნობას, მაგრამ თუ რა იყო რელიგია, ქრისტიანობა და რწმენა - მათ თავად არ გაეგებოდათ ან ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მასზე. ყოველივე ამან მომავალში ძალზე ტრაგიკული როლი შეასრულა. როდესაც დემოგოგიურმა მოწოდებებმა "ეროვნულობის" გაგებით იგივე ერილაბის კატასტროფამდე მიიყვანა.

საკითხს - ჭეშმარიტება თუ სამშობლო - პასუხი ასე გაეცემა: ქართველ წმინდანთა ცხოვრება და საქართველოს ისტორია გვიჩვენებს დიდებულ მაგალითებს, როდესაც პიროვნება აერთიანებს ამ ორ სიწყინს - სულიერს, რომელსაც მას ქრისტიანობა ქთააგონებს და საეროს. როდესაც სამშობლო ითხოვს მისგან სამსხვერპლოზე თავდადებას. მაგრამ იგივე შეიძლება იოქვას სხვა ქვეყნების მიმართაც. ავიღოთ, მაგალითად, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, დიდი გერმანელი კომპოზიტორი. როდესაც მის სამშობლოს უჭირდა, იგი წერს "სასსენდრო სიმღერას", რომელშიც ასეთი სიტყვებია: "ჩვენ დიდი გერმანელი ხალხი, ძლიერი ვართ და სამართლიანი. უჭვი გეპარებათ ამაში, ფრანგებო? ცუდად გვიცნობთ, ფრანგებო. ჩვენი მბრძანებელი კეთილია, ჩვენი მანაკობა - დიდებული." მაგრამ როდესაც იგი წერდა IX სიმფონიას, მან გუნდისათვის გამოიყენა შილერის ოდა "სიხარულისადმი", სადაც ააღერა "ყველს მოგეხვევით, მილიონებო" და, რაც მთავარია, მას თეისტური მიმართულება შესძინა. ასევე ესმის ქრისტიანული პატრიოტიზმი ფრანც კარდინალ შარლ ჟურნეს. იგი წერს ჟანა დ არკზე ("ღვთაებრივი პოლიტიკა თუ ქრისტიანული პოლიტიკა?", 1943): "რაც უნიკალურია მის შემთხვევაში, ეს ის გარემოებაა, რომ იგი წარმოგზავნილი იყო, რათა სასწაულებრივად

აღესრულებინა ორი ამოცანა: სულიერი, რომელსაც ქრისტიანობა შთააგონებს ყველა ქრისტიანს, როგორც ქრისტიანს, და საერო, რომელსაც ქრისტიანობა უწესებს მას, როგორც ადამიანს და როგორც თავის საბობლოს მოქალაქეს. როდესაც ჟანა დ' არკი აცხოველებდა რწმენასა და ღვთაებრივ გულმოწყალებას თავის გარშემო, განფანტავდა მკრეხელობასა და ბიწიერებას, იქცეოდა როგორც ქრისტიანი და ემსახურებოდა "ქრისტიანობის განვრცობას". როდესაც იგი აღიმართა, რათა სათავეში ჩასდგომოდა სამართლიან ბრძოლას, ამას აკეთებდა არა როგორც ქრისტიანი, რადგან ქრისტიანობა ომს არ აწარმოებს, არამედ გამოდიოდა, როგორც ფრანგი, როგორც ქვეშევრდომი უსამართლოდ მიტაცებული სამეფოსი, მაგრამ იბრძოდა, როგორც ქრისტიანი და წმინდანი".

დაბოლოს, ეს წერილი მინდა დავასრულო მეოცე საუკუნის გამოჩენილი ღვთისმეტყველისა და ფილოსოფოსის, ზემოხსენებული კარლ რანერის სიტყვებით: "ჭეშმარიტება სასარგებლოა; მაგრამ ვინც ჭეშმარიტების ძებნას მოისურვებდა სარგებლიანობის არჩევითობის პრინციპით, ის სწორედ იმ ჭეშმარიტებას აცდებოდა, რომელიც ყოველივეზე მეტად სასარგებლოა. სიყვარული ბედნიერების მომტანია; მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუკი იგი საკუთარ ბედნიერებას არ ეძებს. ღმერთი არის ჩვენი საბოლოო აზრი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი იძებნება საკუთრივ მის გამო და არა საკუთარი თავის გამოჩენისათვის ამ აზრის მეშვეობით".[5]

5. K. Rahner. Die unverbrauchbare Transzendenz Gottes und Sorge um die Zukunft. in: Schriften zur Theologie, Bd. XIV, Zürich 1980, s. 415-417.

მცირე შენიშვნა საეჭვო "თეოლოგზე"

წელი მიიწურა და, როგორც იქნა, ძლივს მოვიცალე ერთი სამწუხარო ფაქტის გამოსაცლენად, რომლის მთავარი გმირი ნ. ლადარია გახლავთ. ჩემი ყურადღება მიიპყრო მან მას შემდეგ, რაც გაზეთ "24 საათში" ამა წლის თებერვალს გამოქვეყნებულ ჩემს წერილებზე ყალბი და სასაცილო "არგუმენტებით" მოახდინა "თავდასხმა", რაზედაც ჯეროვანი პასუხი მიიღო თ. ჭანტურიშვილისაგან, რომელმაც ფაქტობრივად დამარხა იგი. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ლადარიასნაირნი ადვილად იწმენდენ შუბლიდან ტალახს და ჩვენმა "გმირმაც" კვლავ გააგრძელა შეგონებანი ახალგაზრდული გაზეთის ფურცლებზე საკუთარი პორტრეტის ქვეშ (ჯერ ფოტოსურათი, შემდეგ - მხატვრის მიერ შესრულებული). კვლავ გააგრძელა და კვლავ გაგრძელდა ფაქტობრივი შეცდომები, უვიცობით გამოწვეული. რომის პაპის არჩევასთან დაკავშირებით მან ბარე ორი წერილი გამოაქვეყნა, სადაც პაპს "რაცინგერით" მოიხსენიებდა. გაზეთის რედაქციას მე წარვუდგინე ახალი პაპის წიგნები ორიგინალის ენაზე, სადაც გარკვევით წერია ყოფილი კარდინალის გვარი: რატცინგერი. ცოტა უხერხულია, როდესაც "რომში განსწავლულმა თეოლოგმა" პაპის, თუნდაც წარსულში სახელგანთქმული კარდინალის გვარი არ იცის. მაგრამ ეს სასაცილო "წვრილმანია" იმასთან შედარებით, რასაც ქვემოთ იხილავთ. ხოლო ჯერ იმის შესახებ, თუ რა ავადმყოფური ამბიციებითაა შეპყრობილი ჩვენი "გმირი". რომში შევხვდი ერთ კარდინალსო, წერს ლადარია, რომელმაც მითხრა: ვინ იყო ის სათვალიანი კაცი, თბილისში მყოფ პაპს რომ მიესალმა კრწანისის რეზიდენციაში და ლათინურ სიტყვებს რომ ურევდაო თავის სიტყვაში. თურმე ნუ იტყვით და, საუბარი თამაზ გამყრელიძეზეა. სხვა რა მოგახსენოთ და, ბატონმა აკადემიკოსმა ენები ნამდვილად იცის. კრწანისის რეზიდენციაში რომის პაპი მიიღეს ყოფილმა პრეზიდენტმა და ჩვენმა პატრიარქმა. დამსწრე საზოგადოებას შორის მეც გახლდით და სიამოვნებით მოვისმინე თ. გამყრელიძის მისალმება ლათინურ ენაზე. "სიამოვნებით" შემთხვევით არ დამიწერია, რადგან ჩემს თვალწინ პაპის თანმხლებმა კარდინალებმა ყურიდან გამოიღეს სათარგმნელი "მოსასმენი" და ღიმილით შეჰყურებდნენ ჩვენს აკადემიკოსს. ძალზე გასაგებად ლაპარაკობდა. ახლა დავუჯეროთ ლადარიას? მაგრამ ქვემოთ უფრო დავრწმუნდებით, თუ ტყუილების რა დიდოსტატია იგი.

ლადარია ცინიზმით აღსავსეა. იგი წერს: "21 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულია ერთი ფოტო ცხინვალში გამართული აღლუმიდან. აქ "მარჯუენით მამისა", უკაცრავად, კოკოითისა, ვხედავთ ერთ მზისაგან (არა სინდისისაგან) შეწუხებულ მიტროპოლიტს". ეს ყოფილა რუსი მიტროპოლიტი და რაკი ცხინვალში ჩავიდა და აღლუმს დაესწრო, ცხადია, იგი არაფრით განსხვავდება რუსი იმპერიალისტი დეპუტატებისაგან. მაგრამ მკითხველს ვთხოვ ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ლადარია აქ ხმარობს ჩვენი მრწამსის, სარწმუნოების სიმბოლოს სიტყვებს კოკოითისა და რუსი მიტროპოლიტის მისამართით, ე.ი. "მარჯუენით მამისა", კოკოითისა, იმყოფება,

თურმე, ეს რუსი მიტროპოლიტი. სხვა სიტყვებით, კოკოითი "მამა ღმერთია", ხოლო ოუსი იმპერიალისტი "ქრისტე" - "და ამაღლდა ზეცად, და მჯდომაღე არს მარჯვენით მამისა". საინტერესოა, აბ სიტყვებით ლადარია ვის აშაყირებს და ვისზე მაიმუნობს, ნუთუ კოკოითზე და მის ძმებზე? არავითარ შემთხვევაში! აქ აშკარად მკრეხელობას აქვს ადგილი, რაც ჭეშმარიტი მორწმუნის ყურთასმენისათვის შემაშფოთებელია. აქედან კიდევ დასტურდება, თუ რა ყალბი მორწმუნეა ლადარია.

რატომღაც ლადარიას კრიტიკოსებს მისი ერთნაირი ხედვა გაუჩნდათ - თ. ჭანტურიშვილი: მამათმავალი ხომ არ არის ლადარია? გ. დოლიძე: ლადარია კეკლუცობს! ეტყობა ამის საპასუხოდ ლადარიამ თავის ერთ წერილში საზგასმით განაცხადა: "მე და ჩემმა მეუღლემ ვახშამზე თევზი მოვისურვეთ", მაგრამ იმავე წერილის ბოლოს მაინც გასთქვა თავისი თავი, როდესაც ალექსანდრე დუგინის ვითომც სულთაწყობა გაახმიანა: "ტრაკს მივცემ, ოღონდ ამერიკას ჩავუდგე ჯიბრში!" იფ, იფ, ეს როგორი თეოლოგი გვყოლია ლადარიას სახით!

ახლა ლადარიას "მეცნიერულ წიაღსვლებზე". 2005 წლის 23 მაისით დათარიღებულ გაზეთ "24 საათში" ლადარიამ დაწერა (მკითხველმა მომიტევოს ვრცელი ამონაწერისათვის): "1847 წელს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ იერუსალიმში მისია დააარსა და მის სათავეში ეპისკოპოსი პორფირი უსპენსკი (1804-1885) ჩადგა. თავის მემუარებში მეუფემ დაწერა, როგორ ანთებენ ბერძნი მღვდლები საღდგომო ცეცხლს ქრისტეს აღდგომის ხატის ქვეშ მარმარილოს მოძრავი კედლის მიღმა დამალული ლამპრით (Порфирий Успенский. Книга бытия моего, СПБ, 1896. Т. 3. С. 299). 1914 წელს აღმოსავლეთმცოდნე ი. კრაჩოვსკიმ შეაგროვა არაბული (ქრისტიანული) ცნობები საღდგომო ცეცხლის ხელოვნურობის შესახებ, მართლმადიდებლური ლიტურგიის უდიდესმა მცოდნემ, ა. დიმიტრიევსკიმ (1856-1929) კი აღწერა 1122 წლის ტიპიკონი, რომელშიც მოცემულია ლამპართა მომზადების წესი, საიდანაც შემდეგ საღდგომო ცეცხლის ანთების ტრადიცია წამოვიდა: 1949 წელს მისმა მოწაფემ, ნ. უსპენსკიმ (1900-1987) აღადგინა და აღწერა "ცეცხლოვანი მითის" წარმოშობის ისტორია, ანუ როგორ იქცა კერძო ლიტურგიული წესი ჯერ საიდუმლო ქმედებად, მერე კი რეგულარულ "სასწაულად", უფრო სწორად კი სათნო სიცრუედ. ეს სიცრუე რუსეთის ეკლესიამ მხოლოდ 1970 წლებიდან აიტაცა". ლადარია ამატებს: "ჩვენშიც იქიდან შემოვიდა". ლადარია აგრძელებს: "რა თქმა უნდა, იერუსალიმის ტაძარში ანთებული ცეცხლი მორწმუნეთათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს. მაგრამ როცა იერუსალიმის ეკლესია"... და ა.შ. და ა.შ. მაგრამ თავი და თავი ისაა, რომ... და აქ ლადარიას სამწუხაროდ და ჩვენდა გასამხიარულებლად ერთ საიდუმლოს უნდა ავხადოთ ფარდა. ლადარიას მთელ ამ "მეცნიერულ ტირადაში" ეკუთვნის ერთადერთი ფრაზა: "ჩვენშიც იქიდან შემოვიდა". საქმე ის გახლავთ, რომ ყველაფერი, თავისი წერტილ-მძიმეთი, სტატია გადმოწერილია გაზეთ "იზვესტიადან", რომელიც თორმეტი დღით ადრე (11 მაისი 2005) დაიბეჭდა

და რომლის ავტორია ალექსანდრე მუსინი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, სორბონა, პარიზი. სტატიის სათაური კი ასეთია: ღვთაებრივი პიროტექნია კულტურის მინისტრისაგან.

ოო, როგორ მოირგო ლადარიამ სორბონის უნივერსიტეტის დოქტორის, პახტია და რა მანჭვა-გრეხით გააგრძელა თავისი წერილი: "მე 1987 წელს მოვინათლე 27 წლის ასაკში. მაშინ შეგნებულად წარმოვთქვი "მწამს ერთი ღმერთი მამა ყოვლისამპყრობელი... და არ მინდა ვინმემ მიმტკიცოს, თითქოს საქმე ეხება ფეიერვერკების ოსტატს", და ა.შ. და ა.შ. საინტერესოა, რა ეგონა მატყუარა ლადარიას, რომელმაც მკითხველიცა და თავისი გაზეთის რედაქციაც შეცდომაში შეიყვანა, რომ გაზეთ "იზვესტიას" მის გარდა არავინ კითხულობს? მან რომ იცოდეს, ეპისკოპოს პორფირი უსპენსკისთან მუსინის მიერ მოტანილი ციტატა ასე მთავრდება: "ცეცხლი, რომელიც ინთება ფარული ლამპრით მაცხოვრის საფლავზე, მაინც წმინდა ცეცხლია, რომელიც მიიღება წმიდა ადგილიდან". ეს არის უძველესი ტრადიცია, რომელსაც ცნობილი ბიზანტინისტი რანსიმენი (Runciman) ჯერ კიდევ ჯვაროსნების ეპოქაში პოულობს. არსებობს კიდევ უფრო ძველი ცნობები ამის თაობაზე, მაგრამ ეს უკვე ცალკე საკვლევი თემაა. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს ინტერნეტ-საიტს: holyfire. org, სადაც თავმოყრილია წმიდა ცეცხლის წარმოშობის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები, თვითმხილველთა მონათხრობი, ასევე ვიდეო-ფოტო მასალა და კიდევ ბევრი სხვა საინტერესო რამ.

20 დეკემბერი, 2005 წელი

***P.S.** ჯერ კიდევ გასულ წელს მივიტანე ეს წერილი გაზეთ "24 საათის" რედაქციაში, იმ გაზეთში, სადაც ლადარია თავდაყირა გადადის. წერილი დღემდე უიმედოდ ელოდება დაბეჭდვას.*

ჟურნ. "რელიგია". №1-2-3, 2006 წელი

თეძოსრული გვანცა და ლადარიას დასახსრული

- რა შუაშიაო აქ თეძოსრული გვანცა, მისოუსტ?

- არც არაფერშიო, - წაიჩურჩულა ვარდისახარმა - ლადარიას სულ სხვა რამ აინტერესებსო ოდითგანვე...

ამ მხიარული შესავლის მერე ჩემი მეგობრის, საბჭოური რეჟიმის ყოფილი პოლიტპატიმრის, თეიმურაზ ჭანტურიშვილისა არ იყოს, მეც აღმეძვრის კითხვა, თუნდაც იმიტომ, რომ თავის დროზე "ჰელსინკის ჯგუფის" ერთ-ერთი დამაარსებელი ვარ - ნ. ლადარიას, როგორც გაზ. "24 საათის" ომბუდსმენს, ვინმე დაუცავს უსამართლობისაგან? რასაკვირველია, პედერასტებს არ ვგულისხმობ, რომელთაც იგი თავდაუზოგავად ესარჩლება. თქვენ წარმოიდგინეთ, თ. ჭანტურიშვილის წერილის მერე (იხ. ამავე წიგნში - "ცბიერი ოინბაზი მომავალ ორშაბათამდე) და აგრეთვე ჩემს მიერ ლადარიას მხილების მერე (იხ. "საეჭვო თეოლოგი"), მან კვლავ გაუტია და პირველი არხის ერთ-ერთ კომენტატორს თავს დაესხა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ჰომოსექსუალიზმი ზიზღით მოიხსენია. ლადარია აღშფოთებულია: "საზოგადოებრივი არხი არ უნდა იყოს შეუწყნარებლობის და, კერძოდ, ჰომოფობიის საქადაგებელი ადგილი..." და ა.შ. იმავე წერილში ასეთი მსჯელობაც გეხვდება: "შესაძლებელია ოდესმე ისეთ ვითარებაში აღმოჩნდე, სადაც საკუთარი უკანალის ბედი უკვე მთლად ცხადი არ იქნება..." (იხ. გაზ. "24 საათი", 21 თებერვალი, 2006).

ეტყობა, გაზ. "24 საათის" რედაქციას ვერა და ვერაფერი გადაარწმუნებს იმაში, რომ ლადარია დიდი მეცნიერი არ არის, ხოლო იმის თქმა, რომ იგი საერთოდ არ არის მეცნიერი, არამედ პლაგიატორი და აფერისტია - ეს, რედაქციისათვის, როგორც ჩანს, ღვთისგმობის ტოლფასია. მაგრამ მარტო ეს რედაქცია არ სცოდავს ამ მხრივ: მე შემხვედრია ტელეჟურნალისტიც, რომელსაც ლადარია "უჭკვიანესად" მიაჩნია. გულწრფელად ვურჩევდი მათ, კიდევ ერთხელ წაიკითხონ თ. ჭანტურიშვილის სტატია, სადაც ძალზე მკაფიოდ დასტურდება, რომ ლადარიამ არაფერი უწყის ჰეგელიდან დაწყებული დავით გურამიშვილისა და მშობლიური ისტორიის ჩათვლით. მას ვერ დაასახელებინეს ვერცერთი გამოქვეყნებული შრომის სათაური. იგი ერთ ქალბატონთან ერთად გაზეთში აქვეყნებს მხოლოდ პოპულარულ სტატიებს ევროპის ისტორიიდან, მაგრამ არსად, ერთი სქოლიოც არ მოჰყავთ პირველწყაროზე მითითებით და ა.შ. ესეც ჩვეულებრივი პლაგიატორობაა.

როგორც ჩანს, გაზეთმა "24 საათმა" ლადარიას გათეთრება გადაწყვიტა და მიუძღვნა მას გაზეთის ორი გვერდი მისი ოთხი ფოტოპორტრეტის ჩათვლით. იბეჭდება ვეებერთელა ინტერვიუ და ინტერვიუს მისგან იღებს თვით რედაქტორის მეუღლე - ქალბატონი მაია ჭალაგანიძე. რომ დააზღვიონ ლადარია მისთვის უსიამოვნო წერილების კომენტირებისაგან, იმას ათქმევინებენ, რომ იგი საერთოდ არ კითხულობს სხვა გაზეთებს, გარდა "24

საათისა". მაგრამ ეს ბტკნარი სიცრუეა. თ. ჭასტურიშვილმა დაამტკიცა, რომ ლადარია ბშვეცნიერად კითხულობს გაზ. "საქართველოს რესპუბლიკას" და იქ დაბეჭდილ გუბაზ სანიკიძის სტატიას "აკამტვერებს". სხვა უხერხულობასაც არიდებს ქ-ნი მაია ლადარიას, როდესაც ასეთ კითხვას უსვამს: "როგორი ქალები მოსწონთ ჭკიან კაცებს?" ლადარიაც ამას იფერებს და პასუხს სცემს. ოღონდ პასუხი ჩვენთვის აღარ არის საინტერესო, მთავარია, რომ ლადარიას ქალები მოსწონს და იგი "ჭკიანია". ამ ვეებერთელა ინტერვიუს გარჩევა უკვე ნამდვილად მოცლილი კაცის საქმეა, მაგრამ მის "ბრწყინვალე" დასასრულს კი გვერდი ნამდვილად არ მინდა ავუაროთ. რედაქტორის მეუღლე ლადარიას ეკითხება: - "ენა, მამული, სარწმუნოება - რა უნდა დაემატოს ამ საუკუნეში?" ლადარია პასუხობს: - ლოზუნგების მოგონება ჩემი საქმე არ არის. ეს ლოზუნგი კი ჩემთვის ისტორიული ფაქტია". ისევ ქალბატონი რედაქტორის მეუღლე: "- იდენტურობას ვერ გრძნობ?" და ისევ ლადარია: "ვერა, უკერ მე კითხვის დროს სათვალეს არ ვხმარობ, არც ყავარჯენი მჭირდება და არც ისეთი ინტელექტუალური ოჩოფეხები, როგორიც არის ლოზუნგები" (იხ. გაზ. "24 საათი", შაბათკვირა, 22-23 აპრილი, 2006).

ამას თუ მოვესწრებოდი, რომ ქართულ გაზეთში ილიას შეგონებას - "ენა, მამული, სარწმუნოება" - გააბითურებდნენ, აღარ მეგონა. და ვინ სჩადის ამას? სულით მახინჯი მაჯლაჯუნა, რომელიც, ამავე გაზეთის რედაქციაში შეეიტყვე, აფსუობს, ყოველ შემთხვევაში, მამამისი აფხაზეთში მოღვაწეობს. მეტი რაღა უნდა ეთქვა ფშუტ და ბოროტ ლადარიას? სამაგიეროდ, ჩვენს ქაჯებში მას დიდი გასავალი აქვს.

იგორა თვითმოძრავმა ჭურმა, იგორა და ჰა - მოგორდა საქაჯეთში!

პირწავარდნილი სეპარატიზმი

საუბარია ვახტანგ ხარჩილავას წერილზე: "სვანეთი – საქართველოს უკანასკნელი ბასტიონი – საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა უნდა დაინგრეს", რომელიც გამოქვეყნდა "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე (21 აპრილი, დიდი პარასკევი, 2006 წ.).

ბატონ ვახტანგ ხარჩილავას წერილებს ადრეც გავცნობივარ, რომელთაგან ზოგი მომწონებია, ზოგიც არა. მაგალითად, სავსებით მისაღებად მიმაჩნია, რომ ჩვენმა ბავშვებმა სკოლებში ისწავლონ მეგრული და სვანური ენები გამარტივებული სახით, რასაც ვ. ხარჩილავა ითხოვს, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როდესაც ვითარება ქვეყანაში დალაგდება და საქართველო თავს დააღწევს არსებულ საშინელ რყევებს. მე მესმის, რომ არ მოგწყინის ხაკაშვილის რეჟიმი, მაგრამ, როგორც იტყვიან, ნახან წყალს ბავშვიც არ უნდა გადავაყოლოთ.

ვახტანგ ხარჩილავას ზემოთ დასახელებულ წერილში მოხვედრს ციტატა, როგორც თვითონ აღნიშნავს, ერთ-ერთი სვანის ინტერვიუდან: "კალაძის საშუალებით დაკავშირებით საფლავები რომ ამოთხარეს ეკერში, მერე კი მიცვალებულთა ძვლები ისე მიუყარეს, ბოდიშიც არ მოუხდიათ, ეს ნორმალურია?!"

საკვებით ვიზიარებ კეთილშობილი სვანის აღშფოთებას, მაგრამ ვერ დავეთანხმები ვ. ხარჩილავას განცხადებას: "ამ თხუთმეტი წლის წინ იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამეგრელოც, რომელსაც "ქართულმა" შენაერთებმა ხუთგზის გადაუარეს და გადმოუარეს. ამ "სეირსაც" მშვიდად ადევნებდა თვალს დანარჩენი საქართველო.. ახლა, როგორც ჩანს, სვანების ჯერია". იქნებ სჯობდა, ბატონ ვახტანგს იქვე განემარტა, ასე რით გამოირჩევა სვანეთი საქართველოს სხვა კუთხეებისაგან, რომ ახლა თურმე მაინცდამაინც სვანეთის და სვანების "ჯერი" დამდგარა?! და რატომ არის ისევ და ისევ სვანეთი საქართველოს "უკანასკნელი ბასტიონი", რა ხდება იქ ასეთი, რაც დანარჩენ საქართველოში არ ხდება?

ორიოდე სიტყვით სამეგრელოსთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ; მიმაჩნია, რომ სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვას. ჩემი ყოფილი სამსახურის წყალობით (საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სამსახური) მე შეხება მქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სტამბების დირექტორებთან. მახსოვს, 1993 წლის დასაწყისში ჩემთან მოვიდა გალის სტამბის დირექტორი, უსათნოესი ახალგაზრდა ქალბატონი, რომელმაც შემომჩივლა: არ უნდათ, ბატონო, ეს ქართული შრიფტი, ღამით რამდენჯერმე დაანგრიეს და მოსპეს. ამ სიტყვების მერე სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადება გადმომცა. მეორე შემთხვევასაც გავიხსენებ, როდესაც ხობის სტამბის დირექტორი მეწვია, მაგრამ ეს უკვე გაცილებით გვიან მოხდა, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ. მე მას ვკითხე: მართალია, რომ სამეგრელოს ჩრდილო კავკასიელები მოედნენ იმ

ომის დროს? - როგორ არაო, მიპასუხა, ჩვენთან, ხობში იდგნენ ჩეჩნებიო! მერე შევიტყვე ჯოჰარ დუდაევის ინტერვიუდან, რომ მაშინ და უფრო ადრეც თავის სნაიპერებს აგზავნიდა სამეგრელოში, ხოლო რაც შეეხება აფხაზ-ჩეჩნების ავტობუსებით შემოყვანას დასავლეთ საქართველოში, ეს თავად ლოთი ქობალიამ აღიარა სიცილ-სიცილით ჩვენს ტელევიზიაში. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ხდებოდა ბალტინის შემოსვლამდე ფოთში (სანამ ზვიადისტებს აღშფოთება აღმოხდებათ, მინდა დავაწყნარო და მოთმინებისაკენ მოვუწოდო, ვინაიდან უკვე მალე გამოვა ჩემი ნაშრომი "გამსახურდიას მოვლინება", სადაც დოკუმენტებზე და პირველწყაროებზე მითითებითაა ეს ყველაფერი დადასტურებული). როგორც ჩანს, სამეგრელოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში გაჭრა უსინდისო პროპაგანდამ, რომ გამსახურდია პრეზიდენტის სავარძლიდან გადმოაგდეს იმის გამო, რომ იგი მეგრელი იყო და არა იმიტომ, რომ უვარგისი მმართველი გახლდათ. შემდეგ, როგორც ვიცით, ამას მოჰყვა თბილისის ბლოკადა სამეგრელოს მხრიდან (მატარებლების ძარცვა, შემდეგ ხიდების აფეთქება და ა.შ.) და რაც მთავარია, აფხაზეთში საომარ მოქმედებებში ჩართული ქართული შენაერთებისათვის ფაქტობრივი საბოტაჟის მოწყობა - აფხაზეთისაკენ მიმავალ ჩვენს ჯარისკაცებს სამეგრელოზე ხშირად არ ატარებდნენ და მათ სოხუმში თვითმფრინავით ან ფოთიდან გემით უხდებოდათ ჩასვლა. სამეგრელოში არსებული ვითარება იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი აფხაზეთში ომის წაგებისა.

ახლა პირიქით რომ დავსვათ შეკითხვა და ვახტანგ ხარჩილავასავით ვიკითხოთ: ვინ "გადაუარა" რამდენჯერმე სამტრედიასა და თბილისის ასაღებად და "გადასავლელად" ვინ მოიჩქაროდა (კაკო ელიავასაც ნუ დავიწყებთ)?! მე მესმის, რომ არაკაცებმა მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯასაც მიჰყვეს ხელი (თუმცა არა მარტო სამეგრელოში), მაგრამ ხომ აილაგმა ეს მოვლენა და ბევრი დამნაშავე გაასამართლეს კიდეც? ის, რაც მოხდა - სამოქალაქო ომს ვგულისხმობ - ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული და სამარცხვინო ფურცელია და არ ღირს ამის გაუთავებელი ჩიჩქნა და მით უმეტეს, მხოლოდ ერთი მხარის დამნაშავედ გამოცხადება და მეორის "გათეთრება".

ბატონი ხარჩილავა აცხადებს: "საქართველო შეთანხმებაზე აგებული სახელმწიფოა, სადაც ამ შეთანხმების მონაწილე ყველა სუბიექტს თანაბარი უფლებები აქვს". მე არ ვიცი, რომელ "შეთანხმებას" გულისხმობს ბატონი ვახტანგი, იქნებ 1790 წლის "ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებულ" ხელშეკრულებას, რომელსაც, ერთის მხრივ, ხელს აწერდა ერეკლე მეორე, მეორეს მხრივ კი - სოლომონ მეორე, გრიგოლ დადიანი და სიმონ გურიელი? მაგრამ ეს ხელშეკრულება იყო სამხედრო ხასიათის და საერთო მტრის წინააღმდეგ იყო მიმართული. ყოველ შემთხვევაში, ამ "შეთანხმებაზე" არ აგებულა "საქართველოს სახელმწიფო", არამედ ამ ხელშეკრულების მონაწილენი სამი წლის მერე საერთო მფარველობას სთხოვდნენ რუსეთის იმპერატორს.

ბაგრამ ბატონი ხარჩილავა "რა ისრითაცაა ნაჩხვლეტი", კარგად ჩანს შემდეგი ციტატიდან: "საბჭოთა პერიოდში მოხდა ქართული სახელმწიფოს ისტორიულად ჩამოყალიბებული იდეოლოგიური საფუძვლების ძირეული დამახინჯება - იდეას ჩაენაცვლა კონკრეტული ადმინისტრაციული სუბიექტი თბილისი, როგორც ქართული სახელმწიფოს ერთიანობის სიმბოლო, როგორც ცენტრი, რომლის დიქტატს უნდა ემორჩილებოდეს ყველა რეგიონი". ბატონ ვ. ხარჩილავას აქ ნამდვილად არ უგულისხმია თბილისში მოკალათებული ნომენკლატურის თვითნებობა (რითაც თავად თბილისელებიც ზარალდებოდნენ და ზარალდებიან) თორემ მას არ "დაავიწყდებოდა" თბილისის მეორე სახელი - დედაქალაქი, რომელიც სწორედ რომ იყო და უნდა დარჩეს კიდეც საქართველოს ერთიანობის სიმბოლო. ისტორიულად სწორედ ასე დამკვიდრდა, რომ საქართველოს დედაქალაქ თბილისში იყრიან თავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული შვილები, რომლებიც აქ ღებულობენ განათლებას და გარდაიქმნებიან ერის ინტელექტუალურ ელიტად, რის გამოც თბილისს სრული უფლება აქვს განაცხადოს პრეტენზია იმაზე, რასაც ბატონი ხარჩილავა მისი განქიქების მიზნით მას უკიჟინებს. როდესაც რამდენიმე საუკუნე თბილისში ამირა იჯდა, მაშინ პროვინციები იყო საქართველო, ხოლო დღეს საქართველოს მაჯისცემა თბილისშია, მისი დაცემა საქართველოს დაშლასა და კედომას გამოიწვევს. მართალია, ჯანსულ ჩარკვიანისა არ იყოს, ჯერჯერობით "ქაჯობამ გვაჯობა", მაგრამ სულ ასე ხომ არ იქნება, და მწამს, რომ დედაქალაქი ძველებურად გაბრწყინდება.

თუმცა, ბატონმა ვახტანგ ხარჩილავამ, სამწუხაროდ, კიდევ უფრო შორს "შეტოპა". იგი წერს: "საქართველო პატარა იმპერიააო - გვითხრეს ერთხელ და ძალიან გვეწყინა. სულ ტყუილად! საქართველოც პატარა იმპერია იყო, საბჭოთა კავშირის დიდ იმპერიულ პირამიდაში ჩადგმული პატარა იმპერია... თბილისი კვლავ რჩება ამ საბრალო და სასაცილო იმპერიის ცენტრად..." ვაი, სირცხვილო! ვ. ხარჩილავა აქ დიდი რიხით იმეორებს აკადემიკოს სახაროვის სიტყვებს, რომელსაც ამ აზრებს კარნახობდა მასზე დიდი ზეგავლენის მქონე მეუღლე, დაშნაკი ელენე ბონერი. როდესაც ბატონი ხარჩილავა გაიძახის, რომ "საბჭოთა საქართველო უნდა დაინგრეს", სწორედ ამასვე გაიძახოდნენ და გაჰყვირიან აფხაზი და ოსი სეპარატისტები - ჩვენ საბჭოთა საქართველოში ვიყავით ერთად, ხოლო მას შემდეგ, რაც "საბჭოეთი" აღარ არსებობს, საქართველოსთან აღარაფერი გვესაქმებაო. ასეთივე ტენდენცია გააჩნიათ ახალქალაქელ სომხებს და ა.შ. ამ ფონზე კი ხარჩილავა გვარწმუნებს: "საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა უნდა დაინგრეს და უნდა შეიქმნას თვისობრივად და შინაარსობრივად ახალი ქართული სახელმწიფო". და მერე ყრუ მუქარა: "სხვა პერსპექტივა საქართველოს არ აქვს..."

როდესაც ამას ვწერ, რასაკვირველია, სრულიადაც არ ვგულისხმობ იმის გამართლებას, რომ საქართველოს კუთხეებს დღევანდელმა ხელისუფლებამ წაართვა უფლება, თავად აირჩიონ ადგილობრივი ხელისუფლების წარმო-

მადგელები, საკუთარი რწმუნებულები, რომლებსაც ენდობიან. მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ვ. ხარჩილავა "საბჭოთა საქართველოს" უტევს. აქ საკმარისია, სიტყვა "საბჭოთა" ამოვიღოთ (რომელიც თავის დროზეც არაფრის მთქმელი იყო) და შეგვრჩება: "საქართველოს რესპუბლიკა უნდა დაინგრეს!"

სრული ცილისწამებაა, რასაც ბატონი ვახტანგი შემდეგ ამტკიცებს: "ქართული ენა სახელმწიფო ენაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სვანური და მეგრული ენები უგულებელვჰყოთ, აბუჩად ავიგდოთ, კანონგარეშე გამოვაცხადოთ... როგორია ქართული სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი მიდგომა ამ ორი ენისადმი? აბსოლუტურად იმპერიული!"

მე არ მესმის, რას გულისხმობს ბატონი ხარჩილავა ამ ენების "აბუჩად აგდებასა" და "კანონგარეშედ გამოცხადებაში". ღვთის წყალობით, ძველიდან დღევანდლამდე ამ ენებზე მეტყველებდნენ და მეტყველებენ, ხოლო თუ ვინმე იკვლევს მათ და ლექსიკონებს ადგენს - ეს ისევ დედაქალაქის შესაბამისი სამეცნიერო ცენტრებია. სწორედ საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტში შევიტყე ასეთი რამ: გრანტებზე დაფუძნებულ და გრანტების მწუწნავ არასამთავრობო ორგანიზაციაში ჩვენი (სამარცხვინო!) ქართველი მეცნიერის (ქალბატონის) მხრიდან ერთი ყაყანი ატეხილა, რომ ქართველები, თურმე, ხსენებულ ენებს ვავიწროებთ! და იცით, ვინ ყოფილა მათი დამფინანსებელი? ვინ და ჩვენი "მეგობარი", ავად სახსენებელი ჯორჯ ჰიუიტი! ქალბატონ ბელა წიფურიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომელიც იმ შეკრებას ესწრებოდა, რომ თურმე ამ "დაჩაგრულ" მეგრელ ქალს ჰიუიტის მიერ დაფინანსებული ქართლელი დედაკაცისათვის "ბდღვნა გაუცლია"... მაგრამ იქნებ ბიბლია უნდა ვთარგმნოთ (უკვე უთარგმნიათ!) ამ ენებზე? ეს ხომ იგივეა, რასაც მეფის ხელისუფლება სჩადიოდა საქართველოს (მაშინ არ იყო "საქართველოს რესპუბლიკა") კუთხეების ერთმანეთისაგან გასათიშად, რადგან ბიბლიის თარგმნას მიზნად ჰქონდა (და აქვს) ქართულის, როგორც ღვთისმსახურების ენის მოშლა სამეგრელოსა და სვანეთში, რასაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია უდევს საფუძვლად. ამას კი ხვდება ვ. ხარჩილავა, მაგრამ დუმს, ხოლო ამის მიხვედრა გააჩნია თუ არა "მაღალინტელექტუალ" სუბარ სოზარს, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ.

ახლა გავცდეთ საქართველოს და ვნახოთ, თუ რას ფიქრობდნენ ანალოგიურ საკითხზე აღიარებული ავტორიტეტები. ცნობილი ერნსტ რენანი მოუწოდებდა ფრანგებს, ერთიანობის ინტერესიდან გამომდინარე, უარი ეთქვათ ეთნოგრაფიულ და ეთნოლოგიურ გამოკვლევებზე. 1882 წელს წაკითხულ ლექციაში იგი ამბობდა: "ისტორიის დავიწყება ან თვით მისი დამახინჯება გვეკლინება მთავარ ფაქტორად ნაციის ფორმირებისათვის, რის გამოც ისტორიულ გამოკვლევათა პროგრესი ხშირად შეიცავს ხიფათს ნაციონალობისათვის". იმავე აზრისაა თანამედროვე ამერიკელი მკვლევარი ე. გელნერი: "ნაციონალურ ერთიანობას რომ მივაღწიოთ, საჭიროა ნიველირება და არა აქცენტირება რეგიონალური დიალექტებისა და კულტურული თავისებურებებისა. ამიტომ, ეთნოგრაფია პრინციპში არ გვეკლინება ნაციონალიზმის მსახურად". ცნობილ ინგლისელ მკვლევარს ერიკ ჯ. ჰობს-

ეწერა მოჰყავს მაზინის დ'აზელიოს გამონათქვამი იტალიის გაერთიანების შემდეგ: "ჩვენ შევქმენით იტალია. ახლა საჭიროა, შევქმნათ იტალიელები". ჰობსბაუმი ამატებს: "ე.ი. შექმნან იტალიელები ნასივარკუთხულის მცხოვრებთაგან, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სხვადასხვაგვარი კავშირებით, გარდა საერთო ენისა, რომელიც მათ არ ჰქონდათ".

მადლობა ღმერთს, საქართველოში ასე მკაცრად არ დგას ეს საკითხი. პირიქით, ისტორიული კვლევა ერთიან, ერის უძველეს ფესვებს ავლენს. ამის მეტი მოთხოვნა ღალატია ერთიანი საქართველოს წინაშე.

ვიქტორ რცხილაძე

ლიტერატურული საქართველო,
5 მაისი, 2006 წ.

ლუკაიას გაცხენება და ხარჩილავას გავრძელება

სულ არ გამკვირვებია, რომ ე. ხარჩილავამ გაზ. "ასავალ-დასავალს" მიაშურა, ნაცვლად იმისა, რომ იმავე "ლიტერატურულ საქართველოში" მშვიდად გაეცა ჩემთვის რამდენადმე დასაბუთებული პასუხი. "ასავალ-დასავალში" კი მას სასწრაფოდ ჩამოართვა ინტერვიუ ვინმე ანა ჯორდანიამ და რაკი ენას ძვალი არა აქვს, საკუთარი პორტრეტის ქვეშ, ხარჩილავამ გაინავარდა და გაინავარდა. განსაკუთრებით კომიკურად მომეჩვენა ის გარემოება, რომ გაზეთის ამ გვერდზე ხარჩილავას რამდენიმე ციტატა წინა სტატიიდან, როგორც ჰამურაბის კანონები სტელაზე ამოტვიფრული, მთელი თავისი მედიდურობითაა წარმოჩენილი [რასაკვირველია, რიგი სისულელის გამოკლებით, მაგ. როდესაც ხარჩილავა იმეორებს დაშნაკ ე. ბონერის (სახაროვის) განცხადებას, რომ საქართველო - იმპერიაა!]. რაც შეეხება ციტატებს ჩემი სტატიიდან, მას მკითხველი ვერ ამოიკითხავს სულ უბრალო მიზეზის გამო, რადგან პაპიროსისგან კიდეებმომწვარი ქაღალდის რაღაც ნაგლეჯივითაა იგი წარმოდგენილი. მაგრამ ახლა იმაზე, თუ რას "ბრძანებს" ე. ხარჩილავა. რაკი არსებითად საპასუხო არაფერი აქვს, ეს პროვოკატორი პროვოკაციას პროვოკაციაზე ახვავებს, კერძოდ, ვითომც მე ბრალს ვდებდე მთელ სამეგრელოს სამოქალაქო ომის გაჩაღებაში, მაშინ, როდესაც ნათლად ვწერ "სამეგრელოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე", რომელიც ხარჩილავასნაირმა პროვოკატორებმა აცდუნეს. "კანონიერ ხელისუფლებას იცავდნენო" -გაჰკივის ხარჩილავა. მაგრამ, თვითონ რატომ ებრძვის დღეს "კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს" და მის ხელისუფლებას? ხარჩილავას იარაღთან რა ესაქმება, თორემ თავისი კალმით, რომ ჰკითხოთ, ატომურ ბომბებს აფეთქებს! მაგრამ აქ კი გავამხელთ ხარჩილავას, თუ რა უდევს საფუძვლად მის ბრძოლას დღევანდელ ხელისუფლებასთან. არცთუ დიდი ხნის წინ წავიკითხე მისი სტატია, რომელიც მოუწოდებდა არსებულ ხელისუფლებას, რომ დღეს "ბაბუებიდან პირდაპირ შვილიშვილებზე" გადავიდა ძალაუფლებაო და ჩვენ "მამები", არ უნდა უგულვებელგვეყოთო, ე.ი. გვიზმეთ ხელისუფლებაშიო. მაგრამ სასაცილო ის არის, რომ ხარჩილავამ თავის სტატიას საკუთარი მობილური ტელეფონის ნომერიც ზედ დაურთო: ჰარიქა, დამირეკეთო! მაგრამ ამათ ვის დაურეკეს, რომ ხარჩილავასათვის დაერეკათ და გაბოროტდა კაცი: ძირს საქართველოს (საბჭოთა) რესპუბლიკაო!

შემდეგ: ვითომც "ჩემნაირები" პატრიოტის სახელის მოპოვებას იმით ცდილობენ, თუკი ხარჩილავას "სეპარატისტს დაუძახებენ". მაგრამ რას წარმოადგენს ხარჩილავა, როდიდან გამოჩნდა იგი? როდესაც მართლა "საბჭოთა საქართველო" არსებობდა, ამ არცთუ ახალგაზრდა კაცს, მაშინ ენა ჰქონდა მუცელში ჩავარდნილი და ახლა, ოცდამეერთე საუკუნეში გაგვივაჟკაცდა და ურქენს "საბჭოთა საქართველოს"?! რას მმატებს მე ხარჩი-ლავას ძაგება? სასაცილოა...

შემდეგ: სამოქალაქო ომის დროს ორი მხარე არ არსებობდა, მხოლოდ ერთი მხარე იყო, ხოლო ვინც გამსახურდიას ებრძოდა, უკლებლივ (ტოტალურად) არამზადები იყვნენო!

მკითხველო, მე დიდი თაყვანისმცემელი ვარ გმირულად დაღუპული გენერალი გენო ადამიასი, წამებით მოკლული ჟიული შარტავასი და ამჟამად ცოცხალი (ღმერთმა კარგად ამყოფოს!) ტყის ძმების თავკაცის ზურაბ სამუშიასი და მისნაირებისა, მაგრამ გული მერევა მათზე, ვინც საქართველოს ებრძოდა ზვიადის დროშით (იქნება ეს ქართველი, ჩრდილო კავკასიელი, თუ რუსი კაზაკი), ამ მართლაც არამზადებზე!

შემდეგ, როდესაც მე ვწერდი, რომ არავითარი "ჩაგვრა" მეგრული და სვანური ენებისა არ არსებობს და ამის დამადასტურებლად ამ ენების ლექსიკონები დავასახელე თბილისში გამოცემული, ხარჩილავამ ასე მიპასუხა: ლექსიკონები სხვა ენებისაც გამოდის, "მაგრამ ამით რა?"

ახლა გასაგებია, რასაც ითხოვს ხარჩილავა. გაზეთ "24 საათში" (15 მაისი, 2006) გამოქვეყნდა ხარჩილავაზე არანაკლები ქართველის და არანაკლები მეგრელის რაფიელ გელანტიას სტატია, რომელიც აღწერს იმ სავალალო მდგომარეობას, რომელიც გალის რაიონში სუფევს. კერძოდ, თურმე განახლდა გაზეთის "გალი" გამოცემა რუსულ, აფხაზურ და მეგრულ ენებზე და ამ უკანასკნელზე უთარგმნიათ გალაკტიონის, აკაკის და სულხან-საბას ნაწარმოებები. ეს გვაგონებსო 1885 წელს, ე.წ. "იანკოვსკის ცირკულარს", როდესაც აჭარაში თურქულ ენაზე, სამეგრელოში - მეგრულზე და სვანეთში - სვანურზე შემოიღეს სწავლა და ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ისევ რუსიფიკატორთა წისქვილზე ასხამდაო წყალს - ბრძნულად დასძენს რ. გელანტია. მეგრულ ენაზე გაზეთი გამოიცემა, თურმე, "აფხაზთა სიძის, ინგლისელი ჰიუიტის ფინანსური მხარდაჭერით (რა უნდა მას და ვის შეკვეთას ასრულებს იგი, ეს სხვა თემაა)." ამასაც რაფიელ გელანტია მოგვახსენებს. როგორც ვხედავთ, ხარჩილავას გასაგონად ვამბობ, იქ მეგრული ენისათვის "ოქროს ხანა" დამდგარა და იჩქაროს ხარჩილავამ - გალის რაიონში იქნებ განათლების მინისტრის პოსტს გამოჰკრას ხელი.

9 დეკემბრის სატელევიზიო გადაცემა "მზეზე", როგორც ჩვენი საზოგადოების საშვალო სახე*

საუბარია ღამისეულ გადაცემაზე, როდესაც შედგა "დუელი" "მემარჯვენე" დეპუტატ ბ-ნ გამყრელიძესა და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, ბ-ნ ჯგერენაიას შორის. თურმე ნუ იტყვით და ბ-ნ ჯგერენაიას რომელიღაც გაზეთში გამოუქვეყნებია სტატია, სადაც ქართულ სუფრას აუგად მოიხსენიებს, სადაც ქალის როლი თურმე სუფრის გაწყობით ამოიწურება და რომელიც შემდეგ ტოვებს იქაურობას და მამაკაცები ქეიფობენ (არ ვიცი, ღმერთმანი, ბ-ნი ჯგერენაია მუსულმანურ დროსტარებას ხომ არ გულისხმობს, რადგან თბილისში სუფრას ქალბატონებიც ამშვენებენ, რომელნიც მას რომანტიკულ ელფერს სძენენ). მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამ მამაკაცურ სუფრაზე თურმე ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა "მოვესიყვარულოთ ერთმანეთს", "ჩავეხუტოთ ერთმანეთს", პედერასტული მნიშვნელობისაა და საერთოდ თურმე დიდიხანია, რაც ჰომოსექსუალისტთა საზოგადოებად ვიქეცით.

ბ-ნი გამყრელიძის მხრიდან ამას ბუნებრივი რეაქცია მოჰყვა და მიწასთან ასწორებდა "ჰომოინტელექტუალს". ბ-ნი ჯგერენაია კი გაკაპასებით თავს იცავდა, გამყრელიძეს არწმუნებდა, რომ მისი, როგორც დეპუტატის საქმე "კანონებზე მუშაობაა" და არა "ინტელექტუალთა" ანუ ჩემი მოღვაწეობის გარჩევაო. მე ეს "ეპატაჟი" განგებ მოვახდინეო, რომ გამომეფხიზლებინა ის საზოგადოება, რომელმაც ზვიად გამსახურდიას 87 პროცენტით ხმა მისცა და შევარდნაძესაც ამდენიეო. გამყრელიძის სამართლიან შეპასუხებაზე, რომ რა შუაშია ეს ან სააკაშვილის "პროცენტებზე" ხმას რატომ არ იღებო, ჯგერენაიამ კვლავ გაკაპასებით უპასუხა, შენ ჩემი სამსახურიდან მოხსნა გინდა (დიახო, ეთანხმება გამყრელიძე) და ამას ვერ ელირსები - სად იყავი, როდესაც მოწინავე საზოგადოება შევარდნაძეს ამხობდაო?! შემდეგ ისევ - "ინტელექტუალთა" ცხოვრებაში ჩარევა შენი საქმე არ არის და თავისი პოზიციის გასამყარებლად ჯგერენაიამ უცხოელთაგან ცნობილი ფრანგი მწერალი, პედერასტი ანდრე ჟიდი დაასახელა. შემდეგ ჯგერენაიასგან რატომღაც დასახელდა ფრენსის ფუკუიამა (რა შუაშია?!), რაზედაც გამყრელიძემ მოსწრებულად უპასუხა, მე მას პირადად ვიცნობო და შენგან არაფერი მესწავლება - "აკადემიკოსის ოჯახში ვარ გაზრდილიო". ამ წუთამდე "გამარჯვების" სასწორი აშკარად გამყრელიძისაკენ გადმოიხარა (ჩემი და თბილისელების სასიხარულოდ), რაც კიდევ განამტკიცა ვახუშტი კოტეტიშვილის გამოსვლამ.

ორიოდე სიტყვა ამ საყვარელ ადამიანზე. საყვარელზე იმიტომ, რომ ნიჭიერი ლიტერატორია, სპარსული პოეზიის მთარგმნელია, "სახალხო

---

* დაიბეჭდა გაზ. "24 საათში" 2005 წლის თებერვალს.

მთქმელების“ გამომვლენია და დიდებული მამის, ვახტანგ კოტეტიშვილის ძე გახლავთ. როგორც მოსალოდნელი იყო, მან ჯანსაღი პოზიცია დაიკავა ამ კამათში და ჯგერენაიას მოუწოდა -“ ვისაც თავის კაცობაში ეჭვი ეპარება, მოვიდეს ჩვენთან და ნახოს მე და დათო მაღრაძე, როგორ ვქეიფობთო“. ცოტა გაუგებარი დარჩა, რატომ მაინც და მაინც დათო მაღრაძე, ვახუშტისათვის შვილის ტოლა კაცი? საერთოდ ვახუშტი კომიკური და საყვარელია თავის მინუსებშიც. მახსოვს 1993 წლის ცივი ზამთარი თბილისში. დამარცხების სიმწარე და ჩაბნელებული სახლები. სანთლის ალზე რადიოს ვუსმენ ღამით. ვახუშტი ლექსს კითხულობს - ალმოკიდებულ სახლში მამის საშველად შევარდნილი თუში გოგონაც იღუპება. ლექსი დამთავრდა. თვალზე ცრემლი მომადგა და უცებ! და უცებ, იგივე ვახუშტის ხმა: წიგნი იყიდება გამომცემლობა “მერანის“ მაღაზიაში, რუსთაველის აბა და ამ ნომერში, გთხოვთ შეიძინოთ! თვალზე ცრემლი შევიმშრალე, გავიცინე და რუსთაველის პერიფრაზირება მოვახდინე: ფულო წყეულო, რა ძალა გაქვს! მახსოვს ვახუშტი, საწყალს, ზვიადისტებმა მამის სახლი რომ გადაუწვეს, როგორ ბღაოდა: რათა ხალხო, რათა?! და მოგვიანებით, უეცრად, ზვიადისტურ გახეთში ვიხილე ვახუშტი მილიონერ ზვიადისტს ოქუაშვილს როგორ სთხოვდა: “ერთხელაც სუფრასთან დავსხდებით“ და ა.შ. მგონი იქ არაფერი გამოუვიდა და ამიტომ - გაუმარჯოს “ვარდრევოლუციას“!

მაგრამ განვაგრძოთ გამყრელიძე - ჯგერენაიას “დუელის“ აღწერა. ეკრანზე ვახუშტის მერე თავისი პოზიციის გამოსახატავად ლევან ბერძენიშვილი გამოჩნდა. ბატონ ლევანს, როგორც ყოფილ პოლიტპატიმარს, პატივს ვცემ, მაგრამ მის ამ გამოსვლას არ ვეთანხმები. მან საქმე ისე წარმოაჩინა, რომ თავისი აზრის თქმის უფლება ყველას აქვსო (ჩვენც მათ შორის!) და თავის დროზე ილიას რომ ლექსები დაუწუხეს (ვინ თხოვდა?!). კიხალაძ “ჯვარს მაცვესო“ და ჯგერენაიას ირონიულ წერილს სხვა გაგება უნდა და მისი ოპონენტები, თუ “განათლებულნი“ არიან, პლატონის “ნადიმი“, მაინც ხომ უნდა ჰქონდეთ წაკითხული?! ვისაც ჯგერენაიას მოცილება სურს, განა არ იცის, რომ ბის ადგილზე ზვიადისტებს შარაბის დასმა სურთ, აწ უკვე ყოფილი “პოლიტპატიმრისა?! (ეს ირონიით).

ამ უკანასკნელი განცხადებიდან თუ დავიწყებთ, დაღუპულა ჩვენი საქმე და ეგ არის, თუკი ასარჩევი მხოლოდ მანანისტ-ზვიადისტებსა და “პედოს“ ძაძ ძოვნებლებს შორის გვქონია, რადგან ვერავინ დამარწმუნებს, რომ ჯგერენაიას “ეპატაჟი“ სახოგადოების “გამოფხიზლებისა“ და “შეცნიერული მიზნებისათვის“ კეთდება. აქ არც ვიქტორიანული ინგლისია და არც ჯგერენაია გახლავთ ოსკარ უაილდი, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ერთი-ორი სტატია “ფსიქოანალიზური კვლევად“ ვერ ჩაითვლება. რაც შეეხება პლატონს და მის დიალოგ “ნადიმს“: არა მგონია, რომ ალექსეი ლოსევი საკლები ავტორიტეტი იყოს ამ მხრივ, ვიდრე ბ-ნი ბერძენიშვილი. მაგრამ სასამ ამაზე ვიტყოდით, ერთი უნდა ვიკითხოთ - რა შუაშია აქ პლატონის მოხმობა?! დავუშვათ, და პლატონი დიდებულად გვისაბუთებს მამაკაცთა შორის ხორციელ სიყვარულს, მამაკაცსა და ბიჭუნას შორის, რა მერე, ავყვეთ?! განა ორი

ათასი წელი არ არის, რაც ქრისტე მოვიდა?! განა ძველი და ახალი აღთქმა არ კრძალავს "სოდომისა და გომორას" გარყვნილებას, სექსუალურ დაკმაყოფილებას პირუტყვთან?! რა დიდი დალაგებული საზოგადოება გვყავს, მითუმეტეს ახალგაზრდები, რომ ჯგერენაიას "მიგნებებმა" მათ გზა-კვალი არ აურიოს?! რალა ამაში და ამით მოუნდა "თავისუფალი აზრის" გამოთქმა, იმიტომ ხომ არა, რომ სერიოზულ თემებს ვერ გასწვდა?! ახლა დაპირებული ციტირება ალეკსეი ლოსევიდან. მიაგებს რა ჯეროვანს ხსენებულ დიალოგს, სადაც მრავალთა აზრით "სულიერი ეროსი გამუდმებით ეძებს მშვენიერებას", ლოსევი ხაზს უსვამს, რომ ამას ყოველმხრივ აზრი ეკარგება, რადგან ამ დიალოგში მინიშნებაც კი არ არის მამაკაცისა და ქალის სიყვარულზე, არამედ ხორციელ სიყვარულზე მამაკაცებს შორის, მამაკაცსა და ბიჭუნას, მამაკაცსა და ყმაწვილს შორის. იგი წერს: "მსოფლიო ლიტერატურაში ვერ ვპოულობ ნაწარმოებებს უფრო მეტად საძაგელსა და საზიზარს, უფრო მეტად ბილწსა და უხამსს - ჭეშმარიტად - "ტრაგიკომედიებს", ვიდრე ეს არის პლატონისეული "ფედროსი" და "ნადიმი".[1]

მაგრამ "დუელი" ამით არ მთავრდება. ეკრანზეა ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა. ამ მშვენიერი ქალბატონის ხილვა მე ყოველთვის ირონიულ ღიმილს მგვრის, რადგან ფსიქოლოგიის ჩათვლით - ქ-ნი ნანა ყველაფერზე მსჯელობს - პოლიტიკაზე, ცეცხლოვანი მიწის ველურებზე, ისლამზე და ა.შ. სხვათა შორის, როდესაც ისლამზე მსჯელობდა, მაყურებელმა დაურეკა ტელევიზიაში და მოურიდებლად შეეკითხა: კი, მაგრამ რა გესმით თქვენ ისლამისა?! ქ-ნი ნანა ოდნავ კი შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ისევ განაგრძო ჩვენი "განათლება". ახლაც, ჯგერენაიას წერილთან დაკავშირებით, მას მიმართეს როგორც ჭეშმარიტების დასადგენ უკანასკნელ ინსტანციას. ქ-ნმა ჩაჩუამაც არ დააყოვნა, სახე ოდნავ გვერდით გადახარა და ბრძნულად განაგრძო, დაახლოებით ასე: ადამიანმა რაც გონიერი თვალით შეხედა სამყაროს (ე.ი. ქ-ნი ნანა ვარაუდობს, რომ იყო "უგონო" ანუ ევოლუციაში მაიმუნის ხანა), მიხვდა, რომ ორჯერ ორი არის ოთხი. მაგრამ მეცნიერება ადგილზე არ ჩერდება - ამის შემდეგ უნდა გავიგოთ, რომ ოთხჯერ ოთხი არის თექვსმეტი და ა.შ. ეს ყოველივე ქ-მა ჩაჩუამ ფსიქოანალიზს დაუკავშირა (მე მგონი მეხსიერება არ მღალატობს) და რა გამოვიდა?! გამოვიდა ის, რომ რაკი ჯგერენაიამ "ფსიქოანალიტიკური" სტატია დაწერა, ეს უკვე "ორჯერ ორიდან" დიდი წინსვლაა და დიდი აღმოჩენა, ოღონდ "საშიშ" დასკვნას ჩვენი ფსიქოლოგი მოერიდა და საკითხი გააბუნდოვანა.

ამის თაობაზე ის უნდა განვაცხადო, რაც ადრე განვაცხადე ერთი კინომცოდნის გადაცემებთან დაკავშირებით "რუსთავი-2"-ზე. ჩვენში, გარკვეულ წრეებში და პირველ ყოვლისა ფსიქოლოგებთან, როგორც ჩანს გამეფებულია

---

1. А.Ф. Лосев, Очерки Античного Символизма и Мифологии, М. 1993, стр. 859. საერთოდ იხ. აქ თავი - Брак, любовь и семья. აქვე წაიკითხავს მკითხველი იმის თაობაზე, რომ პლატონიზმის კრიტიკა თვით ქრისტიანულ ღვთისმსახურებაშია შესული.

ფროიდისადმი თაყვანისცემა. ეს დაგვიანებულად მიმაჩნია. თქმა არ უნდა, რომ თავდაპირველად ფროიდისტული ფსიქოანალიზი დიდ პოპულარობას იმკიდრებს დასავლეთში. თვით ზოგიერთი მნიშვნელოვანი მწერალი და მხატვარი ალიარებს მას (თუმცა, საპირისპირო მაგალითებიც შეიძლება მოიძებნოს). მაგრამ მთავარი მაინც თანამედროვეობაა. აქ, ალბათ, ერთი მაგალითი ჩვენც უნდა მოვიყვანოთ. რეჟისორ მილოშ ფორმანის გახმაურებული ფილმიდან "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"... ყველას გვახსოვს იქ წარმოჩენილი ჯოჯოხეთური ფსიქიატრული საავადმყოფო და სადისტურად მომართული ექიმი ქალი. ხაზგასასმელია, რომ ავადმყოფის იქ დანერგილი "მკურნალობა" ფროიდის ფსიქოანალიზს ეფუძნება. რას წარმოადგენს ბოლოს და ბოლოს ეს ფსიქოანალიზი? ვახდენ ფროიდის თავისუფალ ციტირებას: ცნობიერებაში ატანა იმ აზრებისა, რაც აქამდე ქვეცნობიერში იმარხებოდნენ; პაციენტის მიერ ტრავმული განცდების გახსენება, რომელთაც დაავადებამდე მიიყვანეს იგი. მიზანი და მეთოდი მკურნალობისა არის ამ დამთრგუნველი გახსენებებისა და აზრების ხმამაღლა წარმოთქმა, რითაც ეს უკანასკნელნი იმ "ენერგიისაგან განიტვირთებიან", რომელიც მათ ხელახალ დავიწყებას ხელს უწყობს, რათა არ ჩასრიალდნენ ისინი კვლავ ქვეცნობიერში და კვლავ დამთრგუნველად არ ზემოქმედებდნენ პაციენტზე. წლების განმავლობაში ფროიდმა ეს მეთოდი უფრო და უფრო დახვეწა, რაც ქრონოლოგიურად აისახა მის შრომებშიც და რომლის წარმოჩენის პრეტენზია ამ პატარა სტატიას არ გააჩნია. მაგრამ ფორმანის ფილმს კი გავიხსენებთ: ექიმს, რომელიც ამ მეთოდს სადისტური თანამიმდევრობით ახორციელებს და პაციენტებს მათთვის მტანჯველ განცდებს ხმამაღლა წარმოათქმევინებს, პაციენტები სასიკვდილოდ იმეტებენ... მაგრამ ბევრ შემთხვევაში ეს მეთოდი რომ ამართლებს? - მკითხავს ოპონენტი. ჩემი პასუხი ზოგიერთისათვის შესაძლოა მოულოდნელი იყოს: ეს მეთოდი თითქმის ორი ათასი წელია, რაც არსებობს და დანერგილია ეკლესიაში აღსარების სახით, და იქ მისულ "პაციენტს", ანუ, უბრალოდ ცოდვილს, გულს უმსუბუქებს ამ ცოდვების წრფელი მონანიება და ის ზეგარდმო მადლი, რაც უხილავად, ირაციონალურად, მასზე იღვრება მიღმური სამყაროდან. რასაკვირველია, ფროიდთან ეს ასე არ არის და ამიტომაა მისი მეთოდი სახიფათო.[2] რაც შეეხება ფროიდის "შსოფლმხედველობითი" შრომების გამოყენებას და მათ გადატანას პედაგოგიკაში, ან რელიგიის მისეულ "კრიტიკას", უნდა ითქვას, რომ იგი კატასტროფული შედეგებით ხასიათდება. ფილოსოფოსი ა. მალცევა ამასთან დაკავშირებით ამბობს: ვებერთელა "კონტრკულტურად" და ქრისტიანობისადმი დაპირისპირებად იქცა ფროიდისტული შხამი იმ აზრთა

---

2. ამიტომ ამბობს კარდინალი რატცინგერი, დღევანდელი პაპი ბენედიქტე XVI, რომ ფსიქოთერაპიას თუმცა ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, ადამიანის სულიერ სამყაროში ცდომილება რომ აღმოაჩინოს და გაწმინდოს, მაგრამ მას არ ძალუძს დანაშაულის გადალახვა. აქ იგი სცილდება თავის საზღვრებს და ამიტომაც მარცხდება იგი ასე ხშირად. დანაშაულის ჭეშმარიტი გადალახვა შეუძლია მხოლოდ საკრამენტს (ეკლესიის სიდიადეს), რომელსაც ძალმოსილება ღვთისაგან გაჩნია. - Joseph Kardinal Ratzinger, Gott und die Welt, München 2002, s, 455.

დანერგვისა, რომ ბუნებრივი, ბიოლოგიური იმპულსები თუკი ითრგუნებიან, ეს ადამიანისათვის დამღუპველია, ხოლო ასეთ "დამთრგუნველად" მორალი გვეჩვენება, რომელიც შორს უნდა მოვისროლოთ, თუკი გვინდა ლოგიკური ვიყოთ და ვიხსნათ ადამიანები. ამას მოჰყვა თითქმის ყველაფერზე ნებისდამრთველი სისტემა პერმისიული აღზრდისა.

კარლ რანერის რედაქციით გამოსული დიდი კათოლიკური თეოლოგიური ენციკლოპედია (1986 წ.) ფროიდის წიაღსვლებს რელიგიაზე მკაცრად აფასებს. იგი მიიჩნევს, რომ ფროიდმა თავისი დაკვირვებები და გამოკვლევები დაუმორჩილა XIX საუკუნის ვულგარული მატერიალიზმის ფილოსოფიას, რის შედეგადაც მათ დამახინჯებული სახე მიიღეს. ასე, რომ ფსიქოანალიზი წარმოადგენს მხოლოდ ნაწილობრივ დასაბუთებულ ფსიქოლოგიურ ცდასა და თეორიას, რომელსაც ყალბი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური წანამძღვრები აქვს (ბიოლოგიზმი, ფსიქოლოგიზმი, დეტერმინიზმი). რაც შეეხება ფროიდის "მიგნებებს" რელიგიის აღმოცენებაზე, სტატიის ავტორი, ფილოსოფოსი ა. გიორესი მათ "ფანტაზიებით აღსავსე" ჰიპოთეზებს უწოდებს, რომელთაც საფუძვლად "დოგმატური ათეიზმი" უდევს.

ასეთივე მკაცრ შეფასებებს იმსახურებს ფროიდი პროტესტანტთა მხრიდან, როდესაც ცნობილი თეოლოგი და ფილოსოფოსი პაულ ალტჰაუსი ზიგმუნდ ფროიდის მტკიცებას, რომ რელიგია არის ნევროზი და ფსიქიკური დაავადება, ასე უპირისპირდება: საკითხის თავდაყირა დაყენება, როდესაც ღვთის რწმენას ზ. ფროიდის ფსიქოანალიზი ხსნის "იდეალიზებული მამობის კომპლექსით", რადგან აქ, რაც თითქოს თავისთავად გასაგებია, "მამობის იდეალი" და ის, რაზედაც როგორც წმინდა იმანენტურზე სურთ დაიყვანონ ღვთის ცნება, თვითონ მოითხოვს ახსნას. მართლაც, როდესაც ყოველ მიწიერ მამობაზე მაღლა ჩვენ ვქმნით მამის იდეალს, ამით ვადასტურებთ რაღაც კანონს, რომელიც განმსჭვალავს ყოველ მიწიერ მამობას, უდგენს მას ნორმას და განსჯის, მაგრამ ეს ნორმა უკვე აღარაა რაღაც იმანენტური, არამედ ტრანსცენდენტის შემოსვლაა ჩვენს ცხოვრებაში.

მკითხველი რომ აღარ გადავლალო ანტიფროიდისტული ციტატებით, მივუთითებ მრავალტომეული გერმანულენოვანი "ფილოსოფიის ისტორიული ენციკლოპედის" მე-7 ტომს (ბაზელი, 1989), სადაც მოთავსებულია ფროიდიზმის კრიტიკა სხვადასხვა ფილოსოფიურ განშტოებათა მხრიდან (ნეოპოზიტივისტთა, ფენომენოლოგთა, ექსისტენციალონტოლოგისტთა, ექსისტენციალისტთა და სხვათა). მაგრამ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსის კურტ ჰიუბნერის წიგნი "მითოსის ჭეშმარიტება", 1985 წ. (არსებობს ამ წიგნის ინგლ. და რუს. თარგმანი), სადაც ფართო მსჯელობით დამტკიცებულია, რომ ფროიდის ძირითადი "მიგნება", ე.წ. "ოიდიპოსის კომპლექსი", მისი მხრიდან ამ მითის სრულ გაუგებრობაზეა აღმოცენებული.

დასასრულს იმას აღვნიშნავ და მკითხველს შევახსენებ, რომ ეს წერილი იწერება ქრისტიანული პოზიციიდან. ამიტომ ნურავინ შეეცდება დაგვიმტკიცოს "ფროიდიზმის" ან სხვა ანტიქრისტიანული "იზმის" უპირა-

ტესობა იმით, რომ ის დასავლეთში მიღებული და გავრცელებულია. კიდევ გავიმეორებ შესანიშნავი მეცნიერისა და ქრისტიანის, სერგეი ავერინცევის სიტყვებს, რომ დღეს ევროპაში მხოლოდ ქრისტიანული ოაზისებია წარმართული უდაბნოთი გარშემორტყმული. ნიცშე, თავისი ვიზიონერული ხილვით, სჭვრეტს მომავალს -" უდაბნო იზრდება: ვაი მას, ვინც თავის თავში მალავს უდაბნოს!" ამაში პირადად დავრწმუნდი, როდესაც პოლონეთში გახლდით 70-იანი წლების დასაწყისში და იქ საეკლესიო წრეებთან, თვით მონასტრებში მჭონდა საუბარი. იმასვე ვიტყვი გერმანიაზე, სადაც 2003 წელს ვიყავი და იგივე ჩივილები მესმოდა კათოლიკე ინტელექტუალებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის ეკლესია გმინავს (აქ არ იგულისხმება ლათინური ამერიკა) წარმართობისა და ხალხის ინდიფერენტული დამოკიდებულებისაგან. მაგრამ არც რუსეთის ეკლესიას ადგას კარგი დღე. მიუხედავად მისი სერვილიზმისა და სახელმწიფოს ნეოიმპერიალისტური კურსის მიმართ თავის დაკვრისა და წახალისებისა, მისი ავტორიტეტი დიდი არ გახლავთ. რად ღირს თუნდაც ის, რომ ეკლესიის დიდი თხოვნის მიუხედავად "ნტვ"-ს ტელეარხმა მაინც უჩვენა სკორსეზეს ანტიქრისტიანული ფილმი. საინტერესოა, რომ რუსული "ადამიანის უფლებათა დამცველთა" დიდი ნაწილი დღეს ანტიქრისტიანულადაა მიმართული. მაგალითად, ფართოდ გახმაურდა ის სკანდალი, როდესაც ე.წ. "სახაროვის სახლში", ე.წ. მხატვართა ანტიქრისტიანული გამოფენა დაარბიეს. ამ დროს ტელევიზორის ეკრანზე ვიხილეთ ცნობილი სამართალდამცველი გალინა ნოვოდვორსკაია, რომელიც ჰერმაფროდიტის ხმით იცავდა ამ "მხატვრობას" (მაგ., მაცხოვრის სახის უკან წითელფრად დახატული "კოკაკოლას" რეკლამა დიდი მინაწერით: "ეს არს სისხლი ჩემი...") და გაიძახოდა - სად არის ღმერთი, რატომ თავის თავს არ იცავსო?!

მაგრამ როდესაც ამას ვწერ, მკითხველს ასევე შევახსენებ, რომ მეორე უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ. ვგულისხმობ რაღაც საერთო "კავკასიური სახლის" თუ "სახელმწიფოს" შექმნას და მუსლიმანურ ეთნოსებთან გაერთიანებას. სულ სხვა რამაა ასეთ ერებთან ნორმალური სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, მაგრამ "ერთ სულ და ერთ ხორცად" ყოფნა წარმოუდგენელია, რადგან ერთ-ერთი მხარე უცილობლად განახორციელებს სულიერ ექსპანსიას. ასევე ბოდვად მეჩვენება, როდესაც დღევანდელი "კავკასიური სახლის" დიასახლისი გერმანულ პრესაში ჩრდილო კავკასიელებს "ბოდიშს" უხდის, ასევე ბნელი გონების ბოდვაა, რომ თურმე გლობალიზაციას და ყოველივე ბოროტს ამქვეყნად "საქართველო და ჩეჩნეთი" დაუპირისპირდება და მოსპობს და ა.შ.

გამსახურდიას მოვლენა

ეს მოვლენა მარტო ზ. გამსახურდიათი არ მთავრდება. მისი ლოგიკური განვითარებაა საქართველოში შეკარდნაძის ჩამოყვანა, მისი ბატონობის ხანა და შემდეგ, მის ადგილზე მოვლენილი მ. საკაშვილი. ამიტომ, ჩემი თხრობა მხოლოდ გამსახურდიათი არ ამოიწურება, არამედ გავრცელდება მომდევნო პრეზიდენტებზეც. ამაეე დროს, ჩემი ავტობიოგრაფიიდან გამომდინარე, როგორც წარსულში ზ. გამსახურდიას უახლოესი თანამებრძოლი, ვინმემ სუბიექტურობა რომ არ დამწამოს, უხვად მოვუხმობ სხვა ავტორთა და მოწმეთა გამონათქვამებს, გახსენებებს და სხვა. იმასაც დავძენ, რომ მე, როგორც ჟურნალ "რელიგიის" რედაქტორი, გარდა ისტორიულ-პოლიტიკური ექსკურსებისა, მოვლენათა ახსნას შევეცდები რელიგიურ-საღვთისმეტყველო კუთხიდანაც და შესაბამის მსჯელობათა მოხმობით.

დავიწყოთ იმით, რომ ზ. გამსახურდია, რომელსაც ასე ემარჯვებოდა სხვათა გინება, სხვებისთვის აგენტობა-ჩეკისტობის დაბრალება, სხვათა მამა-პაპების განქიქება, საკუთარი მამის წარსულის მიმართ "ბრმა" და "ყრუ" გახლდათ. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც 1976 წელს გამოვეცით არალეგალური "ოქროს საწმისი", ზ. გამსახურდიამ მოათავსა იქ მამამისის ავტობიოგრაფიული მოთხრობა სოლოვეცკის ბანაკში გატარებულ დროზე, როდესაც მწერალი იქ გადაუსახლებიათ ოციანი წლების დასაწყისში. მაგრამ უხერხულობას ერთი გარემოება იწვევდა. კონსტანტინე გამსახურდია იქ დაწვრილებით აღწერდა, თუ თოფით ხელში როგორ ნადირობდა ბანაკის შემოგარენში. როდესაც ზვიადს გავუზიარე ჩემი ეჭვი, რომ ასეთი სახით დაბეჭდვა არ ღირდა, რომ ეს მამამისს სახელს გაუტეხდა, იგი დამთანხმდა, მაგრამ მოთხრობა მაინც დაიბეჭდა ზვიადის მინაწერით, რომ იმ დროს დიდი არეულობა იყო და ასეთი რამეც ხდებოდაო. მაგრამ სოლჟენიცინის "არქიპელაგიდან" უკვე ვიცოდით, რომ ვისაც "ლაგერში", პატიმართაგან, თოფს მისცემდნენ ხელში, იგი უკვე გაყიდული ხელისუფლების მსახური იყო. ახლა სიტყვას დავუთმობ ყოფილ პოლიტპატიმარს, საბჭოთა ბანაკებში (პერმი, მორდოვა) 1969-75 წლებში "დრონატარებ" და ასევე აფხაზეთში ნაომარ თეიმურაზ ჭანტურიშვილს, რომელმაც გაარჩია მოსკოვში გამოცემული ზ. გამსახურდიას "ავტობიოგრაფია" (იხ. "საქართველოს რესპუბლიკა", 15-18 სექტემბერი, 1998 წ.). თ. ჭანტურიშვილი წერს: "კონსტანტინე გამსახურდიას, გარდა თავისი მწერლური მოღვაწეობისა, ჰქონდა სხვა ცხოვრება, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებ ცნობილი, მაგრამ მცოდნეთათვის და, მით უმეტეს, მისი მსხვერპლთათვის ფრიად და ფრიად ავადმოსაგონარი. დღეს ამაზე საუბარი გაადვილდა, რადგან ნავსი გატყდა და ქართულ პრესაში დაიწყო მსჯელობა კ. გამსახურდიას "ნკვდს" აგენტობის შესახებ.

პირველი ბომბი მაშინ გასკდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, როდესაც 90 წელს მიღწეულმა ძველმა ჩეკისტმა, გენერალმა პაველ სუდოპლატოვმა თავისი მოგონებების გამოქვეყნება დაიწყო (იხ. П. Судоплатов, Спецоперации, Москва, 1997).

თავისი პირდაპირობით და სიკვდილთან მიახლოებული ასაკის სიწრფელით, ავტორმა დაასახელა ბევრი ყოფილი საბჭოთა აგენტი და ამით გარკვეული უხერხულობა შეუქმნა დღევანდელი რუსეთის სადაზვერვო სამსახურს, რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას, პ. სუდოპლატოვი პირდაპირ ასახელებს მას, როგორც "ნკვდს" აგენტს, რომელიც ამ საქმიანობაში ბერიამ ჩაითრია. იგი დაწვრილებით აღწერს მეორე მსოფლიო ომის დროს თავის ყოფნას თბილისში და "ინტურისტის" სასტუმროში ჩეკისტ საჯაიას თანხლებით კ. გამსახურდიასთან შეხვედრას. სუდოპლატოვის თქმით, კ. გამსახურდია სპეციალიზებული იყო, როგორც "ხალხის დამბეზღებელი". მართალი მოგახსენოთ, ეს რომ სუდოპლატოვს ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის ჟამს დაეწერა, მეც და სხვებიც ვიტყოდით, ამას ბებერი ჩეკისტი ჩვენი პრეზიდენტის დისკრედიტაციის მიზნით სჩადიოდა, ცხადია, რუსეთის სპეცსამსახურების მითითებით. მაგრამ ამას სუდოპლატოვი მაშინ წერს, როდესაც ზ. გამსახურდია კარგა ხნის მკვდარია, და, როგორც თვითონ აღნიშნავს, მკითხველი რომ მიახვედროს, თუ ვისზეა საუბარი, ამბობს: ეს მამა არისო აწ. უკვე გარდაცვლილი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიასიო". შემდეგ თ. ჭანტურიშვილი აგრძელებს: "მაგრამ სამართლიანობა ითხოვს იმის თქმასაც, რომ სუდოპლატოვის განცხადება კ. გამსახურდიას "აგენტობის" შესახებ, მაინც არ არის მწერლის აგენტობის ასპროცენტიანი საბუთი, თუკი ამ ცნობას სხვა ფაქტებიც ზურგს არ უმაგრებს. უბედურება ის არის, რომ ჩვენში ლუსტრაციის კანონი არ არის შემოღებული. არც 30-იანი წლების არქივებია ხელმისაწვდომი და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც გამსახურდიებმა სუკის გარკვეული არქივი გაიტაცეს და მისი ოპერირებით, თავიანთი ჭკუით, ხალხს ამწარებენ! მაგრამ, მათთვის დიდად სამწუხაროდ, მაინც დარჩა ცნობები, რომლებიც გვაგულისხმებინებს, რომ სუდოპლატოვის ცნობა კ. გამსახურდიას შესახებ მოგონილი არ უნდა იყოს.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 1976 წელს, როდესაც ვ. რცხილაძე წერდა დიდ ნაშრომს - "დანაშაული ქართველი ერის წინაშე" და რისთვისაც მას მოუხდა ძველი პოლიტპატიმრების გამოკითხვა, ამ გამოკითხულთა რიგში აღმოჩნდა ძველი პოლიტპატიმარი, ისტორიკოსი ენუქი თოფურია. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მას "სუკის" შიდა საპატიმროში, ერთ საკანში ყოფნა მოუწია ფილოსოფოს მოსე გოგიბერიძესთან, რომელმაც, გამომძიებელთაგან ნაწამებმა, ე. თოფურიას გაანდო, რომ მას პირზე დაადგა და "ფაშისტობაში" ამხილა ორმა "პიროვნებამ და მათთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიამ. ეს ამბავი მაშინ ვ. რცხილაძემ ახლობლებს გაგვიზიარა, ცხადია, ზ. გამსახურდიას გამოკლებით. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ეს ფაქტი ისტორიას უნდა შემორჩენოდა, ოღონდ კ. გამსახურდიას გვარის ხსენების მაგიერ ითქვა, რომ მოსე გოგიბერიძეს პირზე დაადგა "საქართველოში ცნობილი პიროვნება" და ამ სახით იქნა იგი შეტანილი ვ. რცხილაძის ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნდა არალეგალურ №2 "საქართველოს მოამბეში" 1976 წელს.

შემდეგი სამწუხარო მინიშნება კ. გამსახურდიას აგენტობაზე გახლავთ იმ სტენოგრაფიული ანგარიშის არსებობა, რომელიც შეუდგენიათ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე 1937 წლის 9 ივნისს და რომელსაც თავმჯდომარეობდა დ. დემეტრაძე. ამ სხდომაზე სიტყვით გამოსული კ. გამსახურდია, პრინციპში მხარს უჭერდა ამიერკავკასიის "მოძმე ერების შესაკავშირებელ ფედერაციას" და ირწმუნებოდა, რომ ხალხის მტრებზე მას თვალი აუხილა ლ. ბერიას ცნობილმა სიტყვამ - "გავაცამტვეროთ ხალხის მტრები". მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამავე სხდომაზე კ. გამსახურდიამ რიხით აღიარა, რომ მან ბერიას დააპატიმრებინა (და დაახვრეტინა!) რომელიღაც ქარხნის "ტროცკისტი" დირექტორი (სხდომის ანგარიშის გვ. 65-66)! ეს უკვე პირდაპირ მტკიცებაა იმისა, რომ ასეთი საქმიანობა მომავალშიც აღარ უნდა ყოფილიყო უცხო კ. გამსახურდიასათვის".

ისტორიკოსის მიერ ფაქტების მოძიებას ხშირად წინ უსწრებს პოეტური ინტუიცია. სწორედ ასეთ პოეტურ ინტუიციასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვეცნობით არჩილ სულაკაურის ლექსს, რომელიც მას კონსტანტინე გამსახურდიაზე აქვს დაწერილი.

გამოსვენება

იგი დიდების მწვერვალიდან
უკვდავების ტახტზე დაბრძანდა...
და სასახლიდან გამოასვენეს:
როგორც მზრუნველი მამა ერისა...
მე გამახსენდა ეჭვიანი, ირიბი მზერაც:
მოყვასთა შორის საუბრობდა
იღიმებოდა თუ იცინოდა,
დამძიმებული ქუთუთოების სიღრმეში
გველი
დროდადრო ცივად გაიელვებდა.
მე ვერ ვამხელდი,
მე ჩემ თავსაც ვერ გავუმხილე:
სულ მეშინოდა იმ გველისა,
მთელი ცხოვრება მეშინოდა..."

ამ სიტუაციის გამომახსილია, უთუოდ, ცნობილი ლიტერატორი და მთარგმნელი, ვახტანგ ჭელიძე როდესაც იხსენებს 1946 წელს, რომ მან, ახალგაზრდა კაცმა გაბედა და კ. გამსახურდიას გამაკრიტიკებელი წერილი დაუწერა, სადაც იგი აკრიტიკებდა მწერალს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა თავისი ჭკუით, ივანე მაჩაბლის მიერ შექსპირის თარგმანებს "რევიზია" გაუწია. ვ. ჭელიძე აგრძელებს: "ჩემი წერილი მივუტანე გიორგი ჯიბლაძეს, რომელიც იმ დროს მწერალთა კავშირის მდივანიც იყო და შეთავსებით გაზეთ "კომუნისტის" რედაქტორიც (თუ რედაქტორის მოადგილე, კარგად აღარ მახსოვს). ჯიბლაძემ მოიწონა წერილი - თავადაც აღშფოთებული იყო

იმ "რევიზიით" და აღმითქვა, რომ მალე დაბეჭდავდა. გადიოდა დრო და წერილი არ იბეჭდებოდა, რამდენს შევახსენებდი, მეტყოდა, ამ დღეებში დაუბეჭდავთო. საბოლოოდ გამომიტყდა, რომ ვერ დაბეჭდავდა წერილს; შენც არ გირჩევ დაბეჭდვას, ახალგაზრდა კაცი ხარ და გაგსრესსო. ზუსტად ამ სიტყვებით მითხრა. რაღას ვიზამდი, წამოვიღე ჩემი წერილი და სახლში დავაგდე. რაღა თქმა უნდა, მერე აღარც მიებრუნებივარ, აღარსად დამიბეჭდავს".

ეს სიტყვები ვ. ჭელიძეს დაბეჭდილი აქვს "ლიტერატურულ საქართველოში" (18 სექტემბერი 1998 წ.) სათაურით "მაოხრებელი მკვდარი", რომელსაც იგი ასე იწყებს:

"სულხან-საბას თითქოს ცხადლივ დაენახოს დღევანდელი დღე, როცა თავის წიგნსა წერდა. ამჟამად ერთი არაკი მაგონდება ამ დიდებული წიგნიდან. მაოხრებელი მკვდრები, ალბათ, მის დროსაც იყვნენ, მაგრამ არა მგონია, ასეთი მაშსტაბით აეოხრებინოთ ქვეყანა...

ახლახან გავიგე: მოსკოვში გამოუციათ ავტობიოგრაფია ზვიად გამსახურდიასი. გასაკვირი არ არის განა, რომ ამ ჟანრის წიგნი - ბავშვობისა და ახალგაზრდობის ტკბილად მოსაგონარი თავგადასავლები - რომელსაც ყველა წესიერი და პატიოსანი კაცი მშობლიურ ენაზე უნდა წერდეს, ჩვენს დიდ ეროვნულ მოღვაწეს რუსულად დაუწერია, და მერე მოსკოვში გამოუციათ!.. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თავისი შეფებისა და დამქირავებლების ენაზე დაწერა და მერე სწორედ იმ დამქირავებლებმა გამოუცეს, აღარ უნდა გაგვიკვირდეს.

ერთი პირობა, ქართულადაც დაიწყეს ამ წიგნუკის თარგმნა და ბეჭდვა; გაზეთის რედაქცია ორჯერ საგანგებოდ შეახსენებდა მკითხველს: ეს უაღრესად საინტერესო ნაწარმოები ქართულად პირველად იბეჭდებაო. ნეტა რა შეხსენება უნდოდა: დამკვეთი რომ ჯერ თავის ენაზე გამოსცემდა ამ "უაღრესად საინტერესო და საჭირო ქმნილებას", ეს ხომ ისედაც იგულისხმებოდა. პირველი პუბლიკაციის უფლებას დამკვეთი და დამფინანსებელი ვის დაუთმობდა?! ველოდი, როდის გაასრულებდნენ ქართულად ბეჭდვას, მაგრამ რატომღაც შეწყვიტეს.

ეს ცილისწამებათა შხამით გაჟღენთილი წიგნუკა სხვამხრივაც საყურადღებოა..."

შემდეგ ვახტანგ ჭელიძე ისევ კონსტანტინე გამსახურდიაზე მოგვითხრობს: "ზოგმა კოშკიც კი წამოჭიმა, შუა საუკუნეების ყაიდაზე. ასეთი კოშკების აგება, რაღა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ძვირი და ძნელი იყო; საშენ მასალაზე რომ არაფერი ვთქვათ, დიდძალი მუშა-ხელი სჭირდებოდა, თანაც გამოცდილი მშენებლები და ხელოსნები; უბრალო მოკვდავი ამის ხარჯებს ვერ გაწვდებოდა.

და აქ როგორც ამბობენ "კაგებემ" გაუმართა ზოგს ხელი: "კაგებემ" მიაშველა მუქთი მუშები და გამოცდილი ხელოსნები - ტყვე გერმანელები...

კოშკის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, როგორც მაშინ ამბობდნენ, უკვე აშენებულ-დამშვენებული კოშკის პატრონმა ტყვე გერმანელები დაას-

მინა, სადაც ჯერ არს - ფაშისტურ სიმღერებს მღეროდნენ, და მათი აქ დატოვება სახიფათოა, ახალგაზრდებს გაგვირყვნიანო. სტაცეს ხელი იმ საბრალო ტყვე მშენებლებს და ციმბირში გადაკარგეს. ამას ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობდნენ, მაგრამ, ალბათ, ზვიადსაც ექნებოდა ყური მოკრული, თუმცა მაშინ პატარა იყო".

სხვათაშორის, ეს ისტორია ზუსტად ასევე მოგვიყვა ოჯახში სტუმრად მოსულმა გურამ შარაძემ. ეს გახლდათ 1988 თუ 89 წელი და ერთ ინსტიტუტში მყოფთ, მასსა და ზვიადს შორის საშინელი მტრობა სუფევდა. მერე რა მოხდა, როგორ მოხდა, და დღეს დიდი მეგობრობა აკავშირებთ ნაპრეზიდენტალის ქვრივსა და გ. შარაძეს. თქვენ წარმოიდგინეთ, რასაც სამარცხვინოდ ზ. გამსახურდია სჩადიოდა, კერძოდ, როდესაც მანეთზე ჰყიდდა და გვაყიდინებდა არალეგალურ "ოქროს საწმისებს" და "საქართველოს მოამბეებს" (რადგან ეს ყველაფერი მისი ხარჯით გამოიცემოდა!), ზუსტად ასევე ყიდიან შარაძე და მ. არჩვაძე წიგნად გამოცემულ ამ ჟურნალებს (ალბათ, მათთვის არასასურველ ავტორთა "გაწმენდის" შემდეგ). ეს ყოველივე მითხრა ცნობილმა ტელეჟურნალისტმა, რომელსაც პირადად უყიდია შარაძისაგან ისინი. მაგრამ შარაძის თემაზე კარგი სახუმარო გასჩენია თ. ჭანტურიშვილს, როდესაც ზ. გამსახურდიას "ავტობიოგრაფიაში" ამოუკითხავს, რომ 1977 წელს ლიტერატურის ინსტიტუტში ზ. გამსახურდია "დაგმო" გ. გეერდწითელმა, კ. იმედაშვილმა, ს. ცაიშვილმა და სხვებმა, მაგრამ, - წერს თ. ჭანტურიშვილი - ჩემს გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც "მგმობელთა" შორის გურამ შარაძის გვარიც ამოვიკითხე. ვთქვათ, და აუსრულდა გ. შარაძეს ოცნება, - აგრძელეს თ. ჭანტურიშვილი - და ნაპრეზიდენტალი მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს. მაშინ, იქ რომ ავა მის საფლავთან მუხლმოსაყრელად, სამგლოვიარო გვირგვინს გ. შარაძე, ალბათ, ასეთ წარწერას გაუკეთებსო: "ზ. გამსახურდიას - მისი მგმობელისაგან"...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ კონსტანტინე გამსახურდიას და ვახტანგ ჭელიძის სტატიას. ეს უკანასკნელი გვაუწყებს: "ნაპრეზიდენტალი მუდამ გრძნობდა მის მიმართ ჩემს ანტიპატიას, განსაკუთრებით იმ სამარცხვინო მონანიების შემდეგ და ისიც კარგად იცოდა, რომ მის სათაყვანებელ მამასაც იმ რანგის მწერლად არ ვთვლიდი, როგორადაც ის დღეს ოფიციალურად არის მიჩნეული. იქნებ ვცდებოდე, მაგრამ ხომ ყველას აქვს უფლება საკუთარი აზრი ჰქონდეს. ამით ხომ იმას არც რამე ემატება და არც არაფერი აკლდება... რამდენადაც ვიცი, ისიც გაგონილი ჰქონდა, ერთხელ მამამისზე საუბრის დროს საჯაროდ რომ ვთქვი: ნეტა როდის გამოჩნდება ანდერსენის საოცარი ზღაპრის პერსონაჟი პატარა ბიჭი და იყვირებს: "ხალხო, ვერა ხედავთ - მეფე შიშველია!"...

სამწუხაროდ, ასე ხდება ხოლმე, ამ დროს კი რამდენი ჭეშმარიტად დიდი ეროვნული მოღვაწე და მწერალი ისევ ჩრდილშია. შორს რომ არ წავიდეთ, აგერ ახლახან შესრულდა ჩვენი შესანიშნავი მწერლისა და ეროვნული მოღვაწის, ქართული ენის დიდი მოამაგის თედო სახოკიას 130 წელი; და ისე უფერულად ჩაიარა ამ თარიღმა, თითქოს არაფერიო".

მართალი მოგახსენოთ, კ. გამსახურდია ჩემი საყვარელი მწერალი იყო სკოლის ასაკიდან. მაგრამ მერე და მერე მოწონებული დამრჩა მხოლოდ რომანი "მთვარის მოტაცება" ზოგიერთი თავის გამოკლებით და "დავით აღმაშენებელიდან" - რამდენიმე თავი. ეს არის და ეს. რაც არ უნდა იყოს, ათასგზის მართალია ჯორჯ ორუელი, როდესაც დასცინის ხელოვნების ისეთ თაყვანისმცემელს, რომლის აზრით ხვალ რომ შექსპირი გამოგვეცხადოს და აღმოჩნდეს, რომ მისი საყვარელი გართობა თავისუფალ დროს მატარებლის ვაგონებში პატარა გოგონათა გაუპატიურებაა, ჩვენ მას თურმე არ უნდა ვუთხრათ ამდაგვარად აღარ გააგრძელოს, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ძალუძს კიდევ ერთი "მეფე ლირის" შექმნა.

საინტერესოა, რომ თვითონ მწერალი კ. გამსახურდია თავის გვარს დაწყევლილ გვარებს მიაკუთვნებს "ლანდებთან ლაციცში", ოღონდ ამის მიზეზად ძალზე რბილ და დაუჯერებელ ვერსიას გვთავაზობს. როგორც შემდგომ დავადგინე, საქმე ასე ყოფილა. არსებობს ისტორიკოს გივი ელიავას გამოკვლევა (იხ. გივი ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბილისი, 1977, გვ. 30-31), სადაც სხვა გვარების ისტორიასთან ერთად განხილულია გამსახურდიას გვარიც. იქ ნათქვამია, რომ გამსახურდიები იყვნენ ჭურდები და კაცის გამყიდველები - ყურსალები, ჭყონდიდელს დაუწყევლია ეს გვარი. მეგრული გამოთქმაა: "გამსახურდიაში ნაკვაისუ კუჩხი ოკო ვეგიობიჯუევა" (გამსახურდიას ნაკვალევზე ფეხი არ უნდა დააბიჯო).

ჩემი აზრით, ეს არ ვრცელდება ყველა გამსახურდიაზე, არამედ იმ შტოზე, რომელიც დაიწყევლა, და რაკი მწერალი ამას თავად ადასტურებს, როგორც იტყვიან, ფაქტებს ვერ გავექცევით.

ვინც ამ წიგნში მოთავსებულ თავს "ცოდვაზე" გაეცნობა, მისთვის ნათელია, რომ მოწამლული წარსული ამღვრეული ეროვნული სულის მეშვეობით, პირველცოდვასთან გადახლართული, აწმყოში მკვიდრდება, მაგრამ იგი პირველ რიგში მათთან პოულობს საერთოს, ანუ უფრო სწორად, მათი მეშვეობით ვლინდება, რომელთა გვარის წინაპარმაც სათავე დაუდო ბოროტმოქმედებას. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ჰოფმანის "სატანის ელექსირების" კომენტატორი ლევინტონი, გენიალური მწერლის გმირებს "მეძკვიდრეობით გადაეცემათ არა მხოლოდ ღვთის რისხვა და არა მხოლოდ პორტრეტული მსგავსება, არამედ გარკვეული ფსიქოლოგიური კომპლექსი, რომელიც განაპირობებს ქცევათა მსგავსებას თაობათა მთელ ჯაჭვში", იგივე კომენტატორი ყურადღებას ამახვილებს ამ მხრივ ბერი მედარდუსის საუბარზე რომის პაპთან. რომის პაპი აცხადებს: "რა იქნება, თუკი ბუნებამ თავისი კანონები, რომლებიც განეკუთვნებიან ადამიანის სხეულს, განავრცო ასევე ადამიანის სულიერ ცხოვრებაზეც, ისე, რომ აქაც მსგავსი შობს მსგავსს? როგორადაც მარცვალში ჩაბუდებული ძალა მისგან ალმოცენებული ხის ფოთლებს აუცილებლად მწვანედ შეღებავს, ასევე მიდრეკილებანი და მისწრაფებანი გადაეცემათ თაობიდან თაობებს, ისე, რომ გამორიცხული იქნება ყოველგვარი თვითნებობა? ხომ არსებობს მთელი ოჯახები მკვლელებისა

და ყაჩაღებისა! ესეც თქვენ მემკვიდრეობითი ცოდვა, მარადიული, ვერანაირი მონანიებით ვერგამოსასყიდი, ვერმოსასპობი წყევლა დამნაშავე გვარზე!" ამ დეტერმინისტული კონცეფციით გაოგნებული მედარდუსი იქვე უსვამს პაპს სამართლიან კითხვას: "მაგრამ რადგან ცოდვილის შვილმა მხოლოდ იმიტომ უნდა ჩაიდინოს ცოდვა, რომ მან მემკვიდრეობით მიიღო ცოდვილი ორგანიზმი, მაშინ აქ ცოდვაც არ არსებობს"... ამაზე პაპი პასუხობს შელინგის "მოძღვრება თავისუფალ ნებაზე"-ს სულისკვეთებით: "მარადიულმა სულმა შექმნა გოლიათი, რომელსაც ძალუძს დათრგუნოს და ლაგამი ამოსდოს ადამიანში მობობოქრე ბრმა მზეცს. ეს გოლიათი ცნობიერებაა და მის ბრძოლაში პირუტყვულ მიდრეკილებებთან მაგრდება ადამიანური სულის ნებისეული ძალა. გოლიათის გამარჯვება სიკეთეა, მზეცის გამარჯვება - ცოდვა. მიუხედავად ამისა, აქ ცნობიერება არ წარმოადგენს მხოლოდ კეთილ ძალას, არამედ მას შეუძლია ბოროტ მიზნებსაც ემსახუროს.

ვინც დააკვირდა ზვიადის ძის, კოკო გამსახურდიას ჩამობრძანებას საქართველოში, ის უთუოდ შენიშნავდა მასში არა მხოლოდ პორტრეტულ მსგავსებას მის წინაპრებთან, არა მხოლოდ იმავე ფსიქოლოგიურ კომპლექსს, არამედ სწორედ ქცევათა მსგავსებას, რაც პირველ რიგში გამოიხატა თავხედური განაცხადებით. მას შემდეგ, რაც ზ. გამსახურდიამ სისხლის გუბედ აქცია მთელი საქართველო თავისი უპრინციპო "გადავდგები - არ გადავდგებით", და რაშიც მას უდავოდ აჯობა შევარდნაძემ ზნეობრივ პლანში, კოკო გამსახურდიას ერთი სიტყვით მაინც უნდა ეთქვა, რომ მამამისი რაღაცაში მაინც ცდებოდა. ნაცვლად ამისა, პირველსავე მიტინგზე, ისტერიული კივილით და ადგილზე შეხტომით, მან მამამისი ილიას გაუთანაბრა: დიდება ილიას! დიდება ზვიადს! შემდეგ, ინგა გრიგოლიასთან გამოსვლის დროს, მან წინაპართა ჩვეულ ტყუილებს მიმართა და განაცხადა, რომ ე.წ. "სამხრეთ ოსეთი" მამამისის დროს არ დაკარგულა. ეს კი არადა, 202-ზე გამოსვლისას, მან მამამისი მოიხსენია "დიდ ზვიადად", რასაც აღფრთოვანებული უსმენდა ტრაიბალისტურ თუ ზვიადისტურ ჟინს აყოლილი ქეთი ბოხუა, რომელსაც თურმე ზვიადის გამოთქმებიც კი ახსოვს ზუგდიდში წარმოთქმული (საერთოდ, 202-ის არხი კოკო გამსახურდიას უკიდეგანო რეკლამას უკეთებს - როგორ ჩამოვიდა იგი და აეროპორტში როგორ გაჰკიოდა, როგორ ჭამს იგი, როგორ სვამს, როგორ საუბრობს კაკო ასათიანთან და როგორ უყვირის და თითს უქნევს ჩვენს პარლამენტში, უმრავლესობაში მყოფ ზვიადისტ (ვაი მათ!) დეპუტატებს. ზვიადის დროს ოპოზიცია ნახევარ წუთს იხვეწებოდა ტელეეთერში გასასვლელად - არ აძლევდნენ!). საერთოდ, რა გაუკეთებია კოკო გამსახურდიას? როდესაც საქართველოში ქარტეხილები მძვინვარებდა, იგი მშვიდად იყო შვეიცარიაში გაყუჩებული და მხოლოდ ჩვენს მთავრობას ასმენდა გერმანულენოვან პრესაში. მაგრამ რა უნდა ველაპარაკოთ კაცს, რომელზედაც თვით გ. შარაძემ დაწერა: რატომ არ ჩამოვიდა მამამისის დაკრძალვაზე ჩეჩნეთშიო! რაც შეეხება კ. ასათიანს, ერთი პერიოდი ზ. გამსახურდიას აკრიტიკებდა ვითომც ცალკეულ საკითხებში, ახლა მისთვის ნაპრეზიდენტალი ისევ "გენიოსი" გამხდარა

(შეარგოს!), მაგრამ ისმის კითხვა, თუ ასეთი "გენიოსი" იყო ზ. გამსახურდია, რატომ მიატოვა მან იგი, რატომ ჩატოვა ბუნკერში და თავად რატომ გაიქცა კურორტ ქობულეთში?! სხვათა შორის, ზ. გამსახურდიას "ავტობიოგრაფიაში", რომელიც დაიწერა 1993 წელს გროზნოში რუსულ ენაზე და გამოიცა მოსკოვში 1996 წელს, კ. ასათიანს "საპატიო" ადგილი უკავია როგორც "მოღალატეს" და როგორც ე. შევარდნაძის ერთ-ერთ ჩამომყვანს მოსკოვიდან საქართველოში. მაგრამ ეს ბოლო ფაქტი არა მჯერა, რადგან "ავტობიოგრაფია" სულ ტყუილებით არის გაჭედილი.

გამსახურდიას წინაპრებს რომ დავუბრუნდეთ, შილერის ერთი ფრაზა მახსენდება: "სწორედ ეს არის წყეველა ბოროტქმედებისა, რომ ერთხელ განსხეულებულმა, მან კვლავ და კვლავ ბოროტება უნდა შვას!"

განა ბოროტება არ არის ის ფაქტი, რასაც გვაუწყებენ ავტორები იმის თაობაზე, რომ როდესაც ნ. კაკაბაძემ ზ. გამსახურდიას შენიშნა, კ. გამსახურდია ავტორია რომანისა "ბელადი", მან გალიზიანებით უპასუხა, ეს მხატვრული ლიტერატურაა და კაკაბაძეები ნუ ურევთო (მანამდე მეთოდე კაკაბაძემ მკაცრად გააკრიტიკა კ. გამსახურდიას ერთი წერილი, რომელშიც უდიერად იყო მოხსენიებული ილია ჭავჭავაძე და დავით კლდიაშვილი). (იხ. ნოდარ კაკაბაძე, ალექსანდრე გვახარია - ღია წერილი გაზეთ "ახალ საქართველოს" მთავარ რედაქტორს ნოდარ გრიგალაშვილს. 5-10 თებერვალი, 1999 წ.).

განა ბოროტებაზე არ მეტყველებს ცნობილი მსახიობისა და პოეტი-სატირიკოსის, რუსლან მიქაბერიძის წინასწარმეტყველური ლექსი, რომელიც მან დაწერა იმ დროს, როდესაც ზ. გამსახურდია ტელეეკრანიდან ტრაბახობდა: "რჩეული ჩეჩენი ვაჟკაცები დგანან ჩვენს გვერდით".

ღმერთო არ მისცე!

ტირანს დაეწყო ეტყობა
სიშლეგის ბოლო სტადია,
მოძმეთა სისხლის დაქცევა
ჩეჩნების ხელით სწადია.
ძალაუფლების წყურვილმა
ცოდვის წუმპეში ჩაძირა,
თავდება მაგის ბოგინი
არც ეშველება აწი რა.
წყეულიმც იყოს ტახტისთვის
ვინც საქართველო გაწირა,
სოფელი ქალაქს, ტომი ტომს,
ვინც მოუსია საკლავად,
ღმერთო არ მისცე ასეთ ჯაცს
ქართული მიწა საფლავად.

ბარემ ამ პრეზიდენტს ნუ მოვაშორებთ მის "ერთგულ" კაკოს და რუსლან მიქაბერიძის კიდევ ორ ლექსს მოვუსმინოთ, გამსახურდიას პრეზიდენ-

ტობის ჟამს დაწერილს, სადაც აშკარად ჩანს აკ. ასათიანის გონებრივი "მიღწევები".

ხოხვით თუ ბრძოლით?

თავისუფლებასთან ფორთხვით
და ხოხვით უნდა მივიღეთ.

(კაკო ასათიანის გამოსვლიდან
სახოგბო მიტინგზე)

დღემდე მტერს ჩვენი ჯილაგი
მიტომ ვერ გაუსრესია,
რომ გამართული ვიბრძოლით,
როცა დამჯყრობი გვესია.
ფორთხვა მონების, ხოხვა ყი
ქვეწარმავლების წესია.

მეფე ერეკლე და კაკო ასათიანი

"1801 წლის ტრაქტატი არ იყო კანონიერი იმიტომ, რომ მეფე ერეკლე ხალხის არჩეული არ იყო" - "მონარქისტ" კაკო ასათიანის გამოსვლიდან სახოგბო მიტინგზე.

რას იფიქრებდა მოხუცი მეფე,
როცა ყედელზე ხმალი დაჯიდა,
რომ მის თბილისში ტახტის მაგივრად
დაიდგმებოდა "მრგვალი მაგიდა".
რას იფიქრებდა, "მონარქისტ" კაკოს,
თუ დასცდებოდა ნათქვამი მკვახი,
არ იყო ხალხის არჩეულიო
მირონცხებული პატარა კახი.
ვერ იფიქრებდა მეფე ბატონი
არ იყო მაშინ ყენჭის ყრის ცნება,
რომ იმ ტრაქტატზე ხელის მოწერის
კაკოსთვის უნდა ეთხოვა ნება.
გულს ნუ გაიტეხ ასპინძის გმირო,
შენთვის მრავალი ვაჟკაცი დაწვა,
ხოლო მას, ვისაც ხმა მისცა მასამ
და საქართველოს უფროსად დასვა,
სასახლის კართან დღისით და ღამით
აშარ დიაცთა დარაჯობს დაცვა.
იძინე მშვიდად, კრწანისის გმირო,
მრავალ ბრძოლაში მტერს შენატაკო,
ნუ გეშინია, არ გადაგირჩევთ,
შენ ლექსმა გლოცა, სიმღერამ გაქო.
მალე გადივლის ეს დრო სასირცხო,

დრო საცბიეროა და საეშმაკო,
გამოიღვიძებს ხალხი და იტყვის -
სად ერეკლე და სად ვიღაც ყაჯო.

ყველაფერში ვეთანხმები ძვირფას რუსლანს, გარდა იმისა, რომ "დროს საცბიეროსა და საეშმაკოს" კიდევ არ ჩაუვლია, ხოლო ხალხი ჭეშმარიტად როდისღა "გამოიღვიძებს", არც ეგ არის ჩვენთვის ცნობილი.

ამ ბოლო დროს ტელეეკრანიდან ძალზე გააქტიურდა გუბაზ სანიკიძე. აქებს და აღმერთებს ზ. გამსახურდიას. იგი მას თვით ისეთ რამეს უწონებს, რასაც თავის დროზე კ. ასათიანიც კი შეცდომად თვლიდა ("ძალზე ავჩქარდით, არ უნდა გაგვეუქმებინა სამხრეთ ოსეთის ავტონომია"). ახლა ერთი მოგონება ძალაუნებურად ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში. 1991 წელია და ოპერის წინ მიტინგს ატარებს ჯაბა იოსელიანი და სხვა ოპოზიციონერები. ამ დროს ოპერის მოპირდაპირე მხარეს პისტოლეტიდან რამდენჯერმე ისროლეს. მალე მხედრიონელებმა თავში ჩაჩქუნით ოპერის წინ ჯაბას მიჰგვარეს "გმირი მსროლელი" - იგი აღმოჩნდა ლ. სანიკიძის ვაჟი, როგორც ითქვა, "გამომძიებელი". რასაკვირველია, ხმამაღლა "ბოდიში" ახდევინეს, პისტოლეტი წაართვეს და გააპანღურეს. ოღონდ არ ვიცი, ეს თავად გუბაზი იყო, თუ მისი ძმა? ყოველ შემთხვევაში, ეს ძველ ბოლმაზე მეტყველებს, რაც ძმებ სანიკიძეებს დაუგროვდათ და გამსახურდიას გაალმერთებენ, აბა რას იზამენ. მაგრამ, სამართლიანობისათვის, სხვა რამესაც გავიხსენებ. გასული საუკუნის მიწურულს გაზ. "ლიტერატურულ საქართველოში" რიგი წერილები გამოვაქვეყნე "ზვიადიზმის" მამხილებელი. ყოველი წერილის გამოქვეყნების შემდგომ შინ ვიღაც მირეკავს, მამაკაცის ერთი და იგივე ხმა: "ბატონო ვიქტორ, შესანიშნავი ანალიზია!" მხოლოდ მესამე დარეკვაზე, როდესაც დაჟინებით ჩავეკითხე - ვინ ბრძანდებით, ბატონო?! პასუხად მივიღე: ლევან სანიკიძე!

* * *

1958 წელს მოვხვდი უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. იმ წელს სკოლებს X და XI კლასელები ერთად ამთავრებდნენ და რაკი X კლასიდან პირდაპირ ჩავირიცხე უნივერსიტეტში, საკმაოდ უმცროსი ვიყავი ჩაბარებულებს შორის - 17 წლისა. მალე გავიცანი იქ ჩემზე ორი წლით უფროსები, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები გ. დოჩანაშვილი და ვ. სიხარულიძე. ესენი იყვნენ ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას კლასელები და მალე მათივე მეშვეობით ეს ორიც გავიცანი. გაცნობას მალე დამეგობრებაც მოჰყვა. იქიდან მოყოლებული, ჩვენს რეპრესირებამდე, ეს მეგობრობა გრძელდებოდა, მართალია, გარკვეული შუქჩრდილებით. საზოგადოებისათვის, ალბათ, საინტერესო იქნება ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას ჩემეული დახასიათება, რადგან მათმა ხასიათებმა გარკვეული დამღა დაადეს გარკვეულ პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებსაც ასე დიდი გასაქანი არ მიეცემოდა, რომ ჩვენი სამშობლო, სამწუხაროდ, ღრმა პროვინცია არ ყოფილიყო.

რასაკვირველია, ზვიადი ცბიერი გახლდათ და ერთდროულად ძალზე ამაყი, რის უფლებასაც მას აძლევდა არნახული ავტორიტეტი მამისა. "რკინის ფარდის" მიღმა მყოფ საქართველოს, რომელიც ამის გამო კარგა ხნით გადაიქცა პროვინციად, უცხოელის გამოჩენა საერთოდ უკვირდა თბილისის ქუჩებში, ხოლო ბარონებისა და გრაფების სალონების (იხ. კ. გამსახურდიას "დიონისეს ღიმილი") ლომის გამოჩენა თითებზე მანიკიურითა და თავზე კარაკულის ფაფახით, ხომ პირდაპირ შოკის მომგვრელი იყო ჩვენი ბიურგერისათვის. მოგეხსენებათ, როდესაც დავუმეგობრდი გადასახლებიდან დაბრუნებულ, ჩემზე ასაკით გაცილებით უფროს რაფიელ (კუკური) ნიჟარაძეს, რომელიც გახლდათ ძე სვანეთის განმანათლებლის, მღვდლის ბესარიონ ნიჟარაძისა, კ. გამსახურდიაზე ბევრი რამ შეეიტყვე (არასახარბიელო) მისი გერმანიაში ყოფნის თაობაზე (რ. ნიჟარაძე მაშინ გერმანიაში სწავლობდა და მოღვაწეობდა, რაც საფუძვლად დაედო მის გასამართლებას, როგორც გერმანიის "შპიონისას" და ამის გამო მთელი 20 წელი გაატარა ციმბირში). დიახ, მისგან შეეიტყვე, რომ არავითარი ბარონებისა და გრაფების სალონებში კ. გამსახურდია არ იმყოფებოდა, შიშშილობდა და სხვა და სხვ. ვისაც აინტერესებს კ. გამსახურდიას თაობაზე შექმნილი მითი (ვალიარებ, ყმაწვილობის ხანაში მეც ვიყავი ამ მითით გატაცებული, ხოლო მერაბი სიცოცხლის ბოლომდე მის ტყვეობაში იმყოფებოდა), აუცილებლად უნდა წაიკითხოს ამ თემაზე ოსტატურად დაწერილი მოთხრობა არჩილ სულაკაურისა "დიდი სეფედავლე".

ასე მიდიოდა დრო ქეიფებში, ლოთობაში და ზვიადი ხშირად გვიკითხავდა სუფრაზე მის მიერ თარგმნილ ინგლისური პოეზიის ნიმუშებს, რომლებიც ღვინისაგან დაბინდულ გონებაზე კი მოშწონდა, მაგრამ შემდეგ დაწერილს ან დაბეჭდილს რომ ენახულობდი - აღარ. რაც შეეხება მის "მეცნიერულ მოღვაწეობას", იგი იმთავითვე იწვევდა ჩემში ეჭვებს (იხ. ამავე წიგნში "ორი საქართველო", სადაც ჩემს მიერ გაკრიტიკებულია მისი "საქართველოს მისია", იხ. აგრეთვე "ვინ არის პლაგიატორი?"). ასეა თუ ისე, ეს მეგობრობა ისევ გრძელდებოდა, მაგრამ მას ჩრდილს აყენებდა ხოლმე ზვიადის ტყუილები ხშირად ისეთ საკითხებზე, რომ პირდაპირ გაოცდებოდი. შემდეგ დაიწყო შტაინერით გატაცება, მაგრამ ანთროპოსოფი მე არ გავხდი, ხოლო ზვიადი და მერაბი, როგორც ვიცი, სიცოცხლის ბოლომდე მისი მიმდევრები დარჩნენ.

რაც შეეხება მერაბს, ეს იყო კეთილშობილების განსახიერება, მაგრამ მას მაინც ორი მინუსი ჰქონდა. ერთი ის იყო, რომ როდესაც დათვრებოდა, ავადმყოფურად თავს კარგავდა. მეორე - ზვიადის უდიდესი ზეგავლენის ტყვეობაში ყოფნა. სწორედ ამ მინუსებმა შემდეგ საკმაოდ ტრაგიკული განვითარება ჰპოვეს.

იმხანად ზვიადის ოჯახში დატრიალებული ამბების გადმოცემა (მის პირველ ცოლს ეგულისხმობ) ნამდვილად არ ღირს, მთავარი ის იყო, რომ მერაბი უკრიტიკოდ ეთანხმებოდა ზვიადს თითქმის ყველაფერში. შემდეგ უკვირდათ - რატომ მისცა მერაბმა ზვიადს მისი "გამათეთრებელი" ბარათი,

რომ აი, მისი მონანიება ჩემთან შეთანხმებით მოხდა და ათასი სისულელეები. ეს იმიტომ მოხდა, ანუ, ხელი ამ გამზადებულ სისულელეზე (არ ვიცი, საქართველოს გარდა კიდევ სად გაჭრიდა ეს) იმიტომ მოუწერა მერაბმა ზვიადს, რომ მასზე ერთდროულად მოქმედებდა კ. გამსახურდიას ავტორიტეტი და ზვიადის თაყვანისცემა. ამ "თაყვანისცემის" უამრავი მაგალითის გახსენება შეიძლებოდა, მაგრამ ეს არცა მსურს და არც საკადრისია. ამიტომ შემოვიფარგლები მხოლოდ საქვეყნოდ ცნობილი ფაქტებით. ეს გახლავთ მერაბის ცნობილი ლექსი ზვიადისადმი, რომელიც ბევრმა გაზეთმა დაბეჭდა. ეს ლექსი, როგორც არ უნდა მოაბრუნო და მიაბრუნო, აშკარა მკრეხელობაა:

"საქართველოში დადის მესია,

. . . . . .

მისი ტანია თვით ეკლესია".

ეს დაუწერია 1978 წლის ზაფხულს. როდესაც გადასახლების მერე მას შევხვდი, პირდაპირ ვახალე: ბიჭო, ეს რა დაგიწერია-მეთქი! ცოტა წამოწითლდა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. მაგრამ სიცოცხლის მიწურულს მერაბი უკვე სხვა კაცი ხდებოდა ზვიადის მიმართ. მე და თ. ჭანტურიშვილს გვითხრა (იხ. ამ უკანასკნელის წერილი): კონსტანტინე რომ კედებოდა, ღამით პროსტატის მილს იძრობდა და ამიტომ ღამეს მე ვუთენებდი, ზვიადს კი ეძინაო. ასეთი არის მაგისი ბუნებაო. შემდეგ ჩემთან ბუზღუნებდა: ვინ მისცა მაგას უფლება, რომ თ. ჩხეიძესთან მეგობრობას მიკრძალაესო! ამ და მსგავსი მაგალითებით დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ მერაბი მას საბოლოოდ ჩამოიცილებდა, მაგრამ აღარ დასცალდა. ეს სიტუაცია ძალზე მაგონებს ჰემინგუეის მოთხრობას "ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება". ასევე ცნობილი ფაქტია ის, რომ თავის სკანდალურ "ავტობიოგრაფიაში", პრეზიდენტყოფილი თავის პირველ მეუღლეს რამდენჯერმე "კგბ"-ს აგენტად მოიხსენიებს, ხოლო მ. არჩვაძემ გაზ. "ასავალ-დასავალს" ასევე სკანდალური ხასიათის ბარათი გადასცა კონსტანტინე გამსახურდიასი, სადაც იგი დალი ლოლუას "გაოხრებულს" უწოდებს და "ბალიშის ქვეშიდან ფული მომპარაო". ამ ჭუჭყს ნამდვილად არ ვახსენებდი, რომ იგი უკვე დაბეჭდილი არ ყოფილიყო. ბარემ აქვე ვიტყვი იმ სავალალო ფაქტის შესახებ, რასაც ზვიადის მიერ თავისი უფროსი ნახევარდის, ნათელა გამსახურდიას უარყოფა ჰქვია ქონების გამო (ესეც გახდა პრესაში გამომზეურებული). დაიჩემა: ეგ არ არის მამაჩემის შვილიო და არქივში დარბოდა შესაბამისი დოკუმენტების მოსაპოვებლად. ვუთხარი: ბიჭო, სახეზე შეხედე, ზედგამოჭრილი მამაშენია-მეთქი! ასე მიპასუხა: მამაჩემს კოკო სალაყაიაც კი ჰგავს, მაგრამ მისი შვილი არ არისო.

მართალი გითხრათ, ყოველივე ამისა და მსგავსი მაგალითების გამო საკმაოდ გავცივდი მის მიმართ და იშვიათად ვხვდებოდი. მაგრამ მერე ერთ მშვენიერ დღეს გამომეცხადა და შემომთავაზა საქართველოში "ადამიანის უფლებების საინიციატივო ჯგუფის" ჩამოყალიბება, რასაც შემდეგ არალეგალური ჟურნალების გამოშვება მოჰყვა, შემდეგ "ჰელსინკის ჯგუფის" დაარსება. ეს ყველაფერი იმ დროს კაეკაცობა იყო, რაზეც უკან ვერ დავიხევდი. განსაკუთრებით ამ ვაჟკაცობის დამტკიცება სჭირდებოდა მას.

გავიხსენებ კიდევ ერთ კურიოზულ და კომიკურ შემთხვევას. ჟურნალების გახურებულ გამოშვებას ვეწევით და ამ დროს გადაეკიდა ზვიადი მერაბის დეიდაშვილს, ომარ ციკოლიას, გინდა თუ არა "კგბ"-ს აგენტია, მაგის მეორე სახელი "ლავრენტია" (ლავრენტი ბერია!) და ახლოს აღარ გავიკაროთო. (ამ სამი-ოთხი წლის წინ შემხვდა ო. ციქოლია და შემომჩივლა - "გამთიშესო". თურმე მერაბის ეზოში ზვიადისტებს უკნიდან ჩაურტყამთ თაფში). ახლა ისევ ძველ ამბავს ვუბრუნდები და გამოვედით რესტორნიდან ეს სამი "ადამიანის უფლებების დამცველი". ზვიადმა დაუსწრებლად შეაგინა ციკოლიას დედა. მერაბმა იწყინა: ბიჭო, ნუ აგინებ, დეიდაჩემი არისო! იმან კვლავ შეაგინა და დასცხეს ერთმანეთს. გამარჯვების სასწორი მერაბისკენ გადმოიხარა და ზვიადმა ყვირილით მომაძახა - დაარტყი ამ გაოხრებულს, რასა დგეხარო! ცხადია, ეს არ გავაკეთე, მაგრამ გაშველებით კი გავაშველე. ამას შემდეგ ის მოჰყვა, რომ ზვიადმა აღარ შეიყვანა მერაბი "ჰელსინკის ჯგუფში" - ლოთობს და შეგვარცხვენსო! ვისაც ხელთ ჩავარდნია ჩვენი "საქართველოს მოამბეები", იქ "ჰელსინკის ჯგუფის" სიაში მ. კოსტავას გვარს ვერ აღმოაჩენს - იგი "ჩამოქვეითებულია" "ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფში". ეს გაუკეთა იმ კაცს, რომელიც, რომ არ არსებულიყო, ქართველებს სულ თავი მოგვეჭრებოდა ამ "მონანიებათა" კორიანტელში: შემდეგ, ყველასაგან უკითხავად, სახაროვმა და სხვებმა პირდაპირ მოიხსენიეს მ. კოსტავა "ჰელსინკის ჯგუფის წევრად".

სიტყვა რომ აღარ გამიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვი - მალე ამას ჩვენი დაპატიმრება მოჰყვა. დაპატიმრებასთან დაკავშირებულ მოვლენებს მკითხველი ჰპოვებს ჩემს წერილში, რომელსაც ამავე წიგნში ვაქვეყნებ (იხ. "აუცილებელი განმარტება") და ამიტომ მათზე აღარ გავვრცელდები. ვიტყვი მხოლოდ, რომ ზვიადის გამოსვლამ მწერალთა კავშირში და მისმა იქიდან გარიცხვამ თავდაყირა დააყენა ყველაფერი: მწერალთა მიერ ზვიადის გარიცხვა ხომ უზნეო საქციელი იყო, მაგრამ არა ნაკლებ უზნეო იყო თავად ზვიადის პოზიცია. ვგულისხმობ იმას, რომ ნებისმიერ "ჰელსინკის ჯგუფს" საბჭოეთში საქართველოს გარეთ ვალად მიაჩნდა რეჟიმი ეკრიტიკებინა ღიად და დაუფარავად, ხოლო ზვიადმა მწერალთა კავშირში უარყო რედაქტორობა იმ ჟურნალებისა, რომელთა გამო ერთი ამბავი ჰქონდა ატეხილი უცხოელ კორესპონდენტებთან, რომ აი, მე მდევნიან და მავიწროვებენ იმის გამო, რომ ამ ჟურნალებს ვუშვებო. მისმა ამ პოზიციამ, ჩვენც, ამავე ჯგუფის წევრები, ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, რადგან ნაცვლად იმისა, რომ ღიად გეეთქვა სათქმელი, ძიებასთან დავიწყეთ კუკუმალობანას თამაში და ვითომც კვალის აბნევა. მ. კოსტავა პირდაპირ ეჩხუბება ამის გამო ზვიადს და ამას ახლა აღარ გავიმეორებ, რაგან ეს კარგად აქვს აღწერილი თეიმურაზ ჭანტურიშვილს, რომელსაც მსურს ახლა სიტყვა დავუთმო. ერთსაც ვიტყვი: როდესაც ზვიადს ხან აქ და ხან მოსკოვში დაარბენინებდნენ და მონანიება-ბოდიშებს ახდევინებდნენ, მაშინ მე ციხეში ვიჯექი და ეს ამბები გვიან სხვებისაგან გავიგე.

თეიმურაზ ჭანტურიშვილი იწყებს (იხ. კრებული "სიმართლე ზ. გამსახურდიას შესახებ", თბ., 1999 წ.):

"1975 წელს, როდესაც სამშობლოში დავბრუნდი, მჭიდრო ურთიერთობა დავამყარე, საქართველოში მოქმედ "ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფთან", რომელშიც მაშინ სამად-სამი წევრი იყო გაერთიანებული: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ვიქტორ რცხილაძე. უკვე არალეგალურ ჟურნალ "ოქროს საწმისის" პირველსავე ნომერში (მაისი, 1975) ქვეყნდება ჩემი ლექსები, პოლიტპატიმართა ბანაკში შექმნილი (სხვათა შორის, მათ ასევე აწერიათ: პერმის პოლიტპატიმართა ბანაკიდან). მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, თავად ამ ჯგუფის წევრი არ გავხდი საერთო მოსაზრების გამო. ჩემი, როგორც ალიარებული ანტისაბჭოელის, პიროვნება ისედაც დაამძიმებდა მათ რთულ მოღვაწეობას იმდროინდელ საქართველოში. მაგრამ შემიძლია თამამად განვაცხადო: ამ ჯგუფის მიერ გადადგმული ყოველი პოლიტიკური ნაბიჯი ურთიერთმოთათბირებისას ხდებოდა, და რითაც შემეძლო, კონსულტაციებს ვუწევდი მათ. დაახლოებით ორი წელი, სანამ მათ დააპატიმრებდნენ, ჩემთვის საკმარისი იყო მათი ხასიათების შეცნობისათვის და როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადჰყო - არც შევმცდარვარ. სხვათა შორის მათ ზუსტ დახასიათებას ახდენს ცნობილი პოლიტპატიმარი და მწერალი ანდრეი ამალრიკი, რომელიც იმხანად ერთი-ორი თვით თბილისში იმყოფებოდა (იხ. А. Амальрик. Записки диссидента. Изд. советско-британского совместного предприятия. Москва, 1991 г. глава 27). და ეს არც არის გასაკვირი: პატიმრის მახვილ თვალს, რომლის წინაშე ათას პიროვნებას ან ვიგინდარას ჩაუვლია, თუ ბრიყვი არ არის, უნდა ჰქონდეს კაცის გარჩევის უნარი. ციხე ან ფრონტი - აი ის სარბიელი, სადაც ყველაზე სწრაფად ხდება კაცთა დახარისხება კაცობის თვალსაზრისით.

რა იყო ის თვალშისაცემი, რაც უსიამოვნოდ მომხვდა ზ. გამსახურდიას გაცნობის ჟამს ჩემი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ? ეს იყო, პირველ ყოვლისა ის გარემოება, რომ მან რიგი კოლეგები უნივერსიტეტის ინგლისური ფაკულტეტიდან სუკ-ის აგენტებად გამოაცხადა (იხ. "საქართველოს მოამბე", №2, 1976). თუგინდ, ცამდე მართალი ყოფილიყო ზ. გამსახურდია, უნივერსიტეტში სხვა აგენტებიც იყვნენ, ხოლო კოლეგების დასახელებას და ჩამოთვლას პირადი ანგარიშსწორების სუნი ასდიოდა. მართალია, იმ დროს იყვნენ ისეთებიც, როგორც იტყვიან "ქუჩიდან მოსულები", რომლებიც "მოყვრის" სახით ეტმასნებოდნენ ამ ჯგუფს და მართლაც ძლიერ ეჭვს აღძრავდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ძმები სივსივაძეები, რომლებიც მე თვალით არ მინახავს, მაგრამ ზვიადის და მერაბის საუბრიდან მახსოვს. ზვიადი მაშინ ქილიკობდა სივსივაძე უმცროსზე - ასე მეუბნებაო: "რა ვქნა ახლა, ზვიადა, დევიკავო ნაჯახი ხელში და დავარტყა ჩეკისტს?!" ყოველ შემთხვევაში, ზვიადიც და მერაბიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ძმები მათ სუკ-მა მიუჩინა.

უსიამოვნოდ მახსენდება აგრეთვე ზ. გამსახურდიას გადაკიდება ჭაბუა ამირეჯიბზე - გინდა თუ არა მის "აგენტობის" დამტკიცებას ლამობდა, როგორც ჩანს, პირადი ლიტერატურული შურის გამო.

როდესაც ზ. გამსახურდიას ჯაბა იოსელიანი დასჭირდა, იგი მას სახლშიც ეწვია. ეს იყო 1976 წელს და მეც და სხვებსაც კარგად გვახსოვს ჯ. იოსელიანის ბინიდან უკან მობრუნებული ზ. გამსახურდია. რა იყო ზ. გამსახურდიას იქ მისვლის მიზეზი? არც მეტი, არც ნაკლები - თუ რამ იცი ჭაბუა ამირეჯიბზე საეჭვო, მითხარი და გამოვაქვეყნებო. ჯაბას უარით გამოუსტუმრებია - მაგ საქმეში ვერ გამოგადგებიო. შემდეგი კონტაქტი ჯ. იოსელიანთან ზ. გამსახურდიას, ეს უკვე ჯაბას თქმით ჰქონია იმ არეულობის დროს, როდესაც ჯ. იოსელიანს ახალი ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი შეიარაღებული რაზმი. სამაჩაბლოში ყოფნისას ზ. გამსახურდიამ თურმე თითი მიაშვირა ოსთა სოფელს და "აიღეო", ჯაბასთვის უთქვამს. ჯაბას ამაზე გასცინებია და უარი უთქვამს. შემდეგ ერთმანეთს დაპირისპირებიან იმის გამო, რომ ზ. გამსახურდიას ერთგული მიმდევრები თურმე გორის რაიონში დაიჭერდნენ გაქართველებულ ოსებს და აწამებდნენ. ამას ჯაბა ეწინააღმდეგებოდა. ეს უკანასკნელი გარემოება ჯ. იოსელიანს თავად აქვს ნახსენები ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ მიმართულ სტატიაში "ქოსტაყუილა და მისი პოლიტიკა". ("მზედრიონი" №2,3; თებერვალი 1991). და იცით რა იყო ნამდვილი საფუძველი ზ. გამსახურდიას სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებისა ჯ. იოსელიანზე? ის, რომ მან ხსენებულ სტატიაში ზვიადის მეუღლე ასე მოიხსენია: "მ. არჩვაძე მდიდარი მებუფეტის ქალიშვილია"...

მაგრამ დავუბრუნდეთ ზ. გამსახურდიას "მონანიებამდელ" პერიოდს. იმას მოგახსენებდით, ცუდად რაც მაშინ მომხვდა თვალში. როგორ გგონიათ, მაშინდელი არალეგალური ჟურნალები ("ოქროს საწმისი", "საქართველოს მოამბე"), რომელიც სულ ორასი ცალი ტირაჟით გამოდიოდა (ზოგჯერ ცოტა მეტი) და სულ ექვსჯერ გამოიცა, ხალხში უნდა გაყიდულიყო თუ დაერიგებინათ? ზ. გამსახურდიას დაჟინებით, რაკი ფულს თვითონ იხდიდა, მანეთ-მანეთ იწყო მან მათი გაყიდვა, ხოლო თუ ვინმე ჩვენგანი ჟურნალს ვინმეს აჩუქებდა, ეს ფაქტი ისევ მას უნდა მოხსენებოდა, როგორც ფულის დამდებს. წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც ოცდაათათასიანი "დუბლიონკა" ეცვა და თბილისის ქუჩებში მამამისის მანქანებით დასრიალებდა, ჟურნალის მანეთად გამყიდველი!

მახსოვს აგრეთვე ზ. გამსახურდიას სიტყვები მოსკოვში გამართულ სასამართლოდან, როდესაც ეს უკანასკნელი აბეზღებს ამერიკელ კორესპონდენტს დევიდ შიპლერს და თან უარყოფს იმას, რომ თითქოს მას მოეთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან შეიარაღებული ინტერვენცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ". ზ. გამსახურდია აცხადებს: "ასეთი რამ თავში არც კი შეიძლება მომსვლოდაო" და ჟურნალისტს, რომელმაც მისი ზემოხსენებული სიტყვები გამოაქვეყნა, ცრუსა და სენსაციების მოყვარულს უწოდებს.

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, მართალია, ზ. გამსახურდიას სასამართლოზე გამოსვლა საზიზღრობაა, უცხოელების წინაშე მან თავი მოჭრა ქართველ კაცს, მაგრამ ამერიკელ კორესპონდენტს კი ნამდვილად

გადაუჭარბებია, ასეთ სისულელეს, ატომური ბომბის ხანაში ზ. გამსახურდია როგორ იტყოდაო. თქვენც არ მომიკვდეთ, სიმართლეა! 1976 წელს თბილისს ეწვია ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშე დედამისთან ერთად. მან მონახა ჩვენი "ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის" წევრები, რომლებმაც მათ მასპინძლობა გაუწიეს (ატაშეს გვარი აღარ მახსოვს), მაგრამ მას "ჯგუფის" წევრებთან ერთად შეხვდნენ, "გორდელას" მომღერლები. დიახ, ერთ-ერთ სუფრაზე, რესტორანში, მეც მათთან ერთად აღმოვჩნდი. იქ ზ. გამსახურდიამ ასეთი სადღეგრძელო წარმოსთქვა: იმ დღეს გაუმარჯოს, როდესაც აშშ-ს ტანკები საქართველოს გაათავისუფლებსო! ჩვენც, სუფრის წევრებმა, სიცილით ავწიეთ ჭიქები და გადავკარით. რომ წავიკითხე მერე ზ. გამსახურდიას ციტირება შიპლერის მიერ, თავში დამარტყა: ზვიადს ნამდვილად ექნებოდა რაღაც მსგავსი ნატორტლი ამერიკელთან! მაგრამ ასეთი ვაჟკაცობის შემდეგ ორჯერ მეტად უფრო საზიზღრობაა საკუთარი ნათქვამის უარყოფა...

მახსენდება აგრეთვე ის, რომ ადამ ბობღიაშვილის (ა. ალვანელი)* შემოქმედების გამომზეურება ვიქტორ რცხილაძის დამსახურებაა. მან თავის ყოფილ მასწავლებელთან, ქალბატონ ელისაბედ (ლიზა) ვახვახიშვილთან, რომელიც მეგობარი გახლდათ ცხონებული ა. ბობღიაშვილისა, მოიძია ამ უკანასკნელის ნაწარმოებები და დიდი დაჟინებით ხსენებულ ჟურნალში გამოაქვეყნა. რაც შეეხება მის "დაჟინებას", საქმე ისაა, რომ ზ. გამსახურდიას არ სურდა მათი გამოქვეყნება, აქაოდა ძალზე "სუსტი" ნაწარმოებებიაო. მე თვით ვესწრებოდი მათ დავას და ცხადია, ვიქტორ რცხილაძის მხარე დავიკავე.

"ვინც თავის დროზე საკავშირო ტელევიზიით უყურა და მოისმინა ზვიად გამსახურდიას გამოსვლა, მისი საჯარო "მონანიება", რასაც უცხოელი კორესპონდენტების დაბეზღება მოჰყვა და მათი ამის გამო სსრკ-დან გაძევება, ან ვისაც "ბედნიერება" ხვდა წილად სუკის ფირზე გადაღებული ზვიად გამსახურდიასათვის ეყურებინა, თუ მონანიების დროს, მომიტევოს მკითხველმა, ცხვირიდან გამოღებულ მასას როგორ აგორგოლავებს და თან ინანიებს, დიახ, ვინც ყოველივე ეს იხილა და მოისმინა, მას არც ის გაუკვირდება, რასაც ქვემოთ ვიტყვი. ეს სათქმელი მით უფრო საშურია, რომ ზვიად გამსახურდიას ზეობის ჟამს, ანუ მისი გაპრეზიდენტების დროს (ხოლო თუ რა ძალებმა მოახდინეს მისი გაპრეზიდენტება, უკვე დიდ საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. მით უმეტეს, ახლა, როცა ყოველ ნაბიჯზე ზვიადისტები ერთმანეთს ბრალს სდებენ "სუკის აგენტობაში"), მოხდა "ჰელსინკის ჯგუფის" ძიების მასალების გაყალბება და მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაქრობა (იხ. ამის თაობაზე "საქართველოს რესპუბლიკა", 27 თებერვალი, 1992, "ლიტერატურული საქართველო", 16 ივლისი, 1993, "საქართველოს რესპუბლიკა", 24 მარტი, 1994).

---

* ადამ ბობღიაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილის ასისტენტ-ტარი, მეორე მსოფლიო ომის დროს ტყეში გაეხდა მებრძოლებთან ერთად. ჩეკისტებმა ღალატით მოკლეს.

1992 წლის 27 მარტის გაზეთ "თბილისისათვის" მიცემულ ინტერვიუში განვაცხადე, რომ დაეცნობარი მერაბ კოსტავას საქართველოში დაბრუნების შემდეგ ალექსანდროვის ბაღში მასსა და ვიქტორ რცხილაძეს შორის გამართულ საუბარს. ეს იყო 1987 წლის მაისი. "თბილისში" გამოქვეყნებული ინტერვიუდან: "გამოირკვა, რომ მერაბმა ბევრი რამ არ უწყოდა ზვიადის "გმირობებზე". მისი ლექსი ზვიადზე "ძმას ქრისტესმიერს" დაწერილია 1978 წლის ზაფხულში, როდესაც მისთვის ბევრი რამ არ იყო ცნობილი. ჩვენი საუბრის მერე მერაბმა თავი დახარა და თქვა: "როდესაც კონსტანტინე უკანასკნელ დღეში იყო, ღამეს მე ვუთევდი (მწერალს პროსტატის მილი რომ არ ამოეგდო), ხოლო ზვიადს კი ეძინა. ასეთია მისი ბუნება". ასეთი მკაცრი შეფასების მიუხედავად, მერაბმა მაინც გვთხოვა, რომ ზვიადზე ხალხში აღარაფერი გვეთქვა, რადგან მისგან, უკვე "გამოსწორებულისაგან", მაინც "სასიკეთო საქმეებს" ელოდა... ძალაუნებურად მახსენდება აქ ბატონ გოგა ხაინდრავას ერთი ინტერვიუდან ის ფრაზა - რომელიც მან მერაბ კოსტავას მისამართით წარმოთქვა: "დიდი ცოდვა გაიყოლა მან, რომ ზვიადზე სიმართლე არ გვითხრა!"

შემდგომში, 1988 წლიდან, ვიქტორ რცხილაძემ და მერაბ კოსტავამ ერთად გამოუშვეს თეოლოგიურ-პოლიტიკური ხასიათის ჟურნალი "ძელი ჭეშმარიტი", მაგრამ იმ ფაქტზე, რაც ზვიად გამსახურდიას შესახებ ითქვა ალექსანდროვის ბაღში, აღარაფერი თქმულა...

1977 წელს, თუ არ ვცდები, მარტის ბოლოს, როდესაც ზ. გამსახურდია მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, ღამის 9-10 საათზე შევიკრიბეთ მე, მერაბ კოსტავა, მწერალი გივი მაღულარია და ზვიად გამსახურდია. ამ უკანასკნელის "კოლხოზნიკით" მივადექით ვიქტორ რცხილაძის სახლს. იგი გარეთ გამოვიდა და ქუჩაში დავიწყეთ "საქმის გარჩევა".

გამსახურდიას მონაყოლიდან ნათელი გახდა, რომ იგი მწერლებს კი გაურიცხავთ, მაგრამ არც თვითონ მოქცეულა ღირსეულად. შეკითხვაზე, თუ ვინ უშვებს და ვინ რედაქტორობს არალეგალურ ჟურნალებს, მას უპასუხია: არ ვიცი! არადა მთელი უცხოური და რუსული დისიდენტური პრესა აჭრელებული იყო მისი განცხადებებით, რომ მას დევნიან და ავიწროვებენ იმის გამო, რომ იგი უშვებს და რედაქტორობს აღნიშნულ ჟურნალებს. როგორც რედაქტორს, საზღვარგარეთ სახელი რომ უფრო გავარდნოდა და უფრო რომ "აემაღლებინა" ჟურნალის პოლიტიკური ჟღერადობა, მან დაიჟინა და "საქართველოს მოამბის" №2-ში მოათავსა ენტეესის ხმაურიანი პროკლამაცია, ახლა მწერლების წინაშე კი, ეს ყველაფერი უარყო.

მახსოვს, იმ ღამეს მერაბს ნერვები აეშალა და ჯიქურ შეუტია გამსახურდიას. "ბიჭო, რატომ ჩემზე არ თქვი, რომ მე ვრედაქტორობ" ზვიადმა უპასუხა: "მაგათ რატომ უნდა იცოდნენ სიმართლე. რა გამომძიებლები ეგენი მყვანან!" ამით სათავე დაედო პირველ ტყეპილს და "ტაქტიკურ უკანდახევას", რაც ძვირად დაუჯდა ამ ჯგუფს: სიმართლის დასადგენად უკვე სუკი ჩაერთო.

ახლა, რაც მთავარია. საერთო გადაწყვეტილებით, რადგან ვიქტორ რცხილაძეს იმჟამად გამწვავებული გულის შეტევები ჰქონდა და რამდენ-

ჯერმე იწვა საავადმყოფოში, იგი ციხეში არ უნდა მოხვედრილიყო. სწორედ ამით აიხსნება, რომ მაშინ ახლახან გარდაცვლილ შალვა მაღლაკელიძეს, ფაშისტური გერმანიის გენერალს, სწორედ ზვიად გამსახურდიას დაჟინებით ვიქტორ რცხილაძემ ნეკროლოგი ("მარტიროლოგი") მიუძღვნა, მაგრამ ამ, აშკარად საციხო სტატიას ხელი არ მოაწერა (ვისაც კი ხელთ ჩავარდნია 1976 წლის "საქართველოს მოამბე" №2, კარგად იცის, რომ აღნიშნული ნეკროლოგი ხელმოუწერელია). ამ სტატიის ავტორობა, ისევე, როგორც ყველა ხელმოუწერელი სტატიისა, ციხეში მოხვედრის შემთხვევაში თავის თავზე უნდა აეღო ჟურნალის რედაქტორს ზვიად გამსახურდიას, რაც მან არ გააკეთა და მის მიერ დაბეზღებულ-უცხოელ კორესპონდენტებს შემატა კიდევ ახალი მსხვერპლი - ქართველი ავტორი შალვა მაღლაკელიძის "მარტიროლოგისა", რომელიც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრებიდან რამდენიმე თვეში დააპატიმრეს. სწორედ ეს იყო ალექსანდროვის ბაღში სასაუბრო თემა, სხვა მეორეხარისხოვან დეტალებთან ერთად, რაც არ უწყოდა მერაბ კოსტავამ. აღსანიშნავია, რომ შემდგომ ერთნაირი სახელდებით "აღიარება და მონანიება" გასასამართლებელმა ზვიად გამსახურდიამ და ვიქტორ რცხილაძემ სხვადასხვანაირად "გაინაწილეს"; ზვიად გამსახურდია საქართველოსთან ახლოს არცთუ ცუდ დროს ატარებდა,* ხოლო ვიქტორ რცხილაძეს სუკის შიდა საპატიმროში გატარებული ერთი წლის მერე თავი უკრეს ყაზახეთის შორეულ ოლქში, ისე, რომ დედამისს იქ ჩასასვლელად ორი თვითმფრინავის გამოცვლა სჭირდებოდა და მერე ავტობუსით მგზავრობდა დახურულ სასაზღვრო ოლქში.

ახლა წარმოიდგინეთ, თუ ზ. გამსახურდიას გაპრეზიდენტების მერე მისთვის რა არასასურველი გასახსენებელი იქნებოდა ვიქტორ რცხილაძის პიროვნება და სწორედ ამიტომ იმ რეჟიმის დროს სრული იგნორირება მოხდა ვიქტორ რცხილაძის როლისა, ის კი არა, მაშინ ღვარიევით მოდიოდა მასზე ათასგვარი ცილისწამება და ინსინუაცია, რასაც, შესაძლოა, დღესაც იმეორებს ზოგიერთი დაბოღმილი.

ერთი რამ ჩემთვის ცხადია, - ვიქტორ რცხილაძეს არასოდეს დაუმალავს და ყოველთვის წრფელი იყო თავისი წარსულის მიმართ, განსხვავებით იმ დისიდენტებისაგან, რომელნიც მალავენ, ან ალამაზებენ თავიანთ ნამოქმედარს; თუნდაც ზვიად გამსახურდიას საჯარო განცხადებები რად ღირს: რომ არ მომენანიებინა, ქართველი ხალხი აჯანყდებოდა და ეროვნული მოძრაობა დაიღუპებოდაო! მაგრამ რად გინდა, ამ და მსგავსი განცხადებებით ეს დემაგოგი პრეზიდენტად მოგვევლინა.

ანდრეი ამალრიკი, თავის წიგნში "დისიდენტის ჩანაწერები", წერს შემდეგს: Мы (გულისხმობს თავის ცოლს, - თ. ჭ.) приехали в Грузию на

---

* საკმარისია მკითხველმა იხილოს გრიშა ონიანის ინტერვიუ გაზ. "ასავალ-დასავალში" (1998 წლის 17-23 აგვისტო), სადაც ამოიკითხავს, თუ ინაურის თანხმობით როგორ მიართვეს ზ. გამსახურდიას ავტომანქანა "კოლხოზნიკი", რითაც იგი გროზნოშიც კი ჩასულა. ქეიფებსა და ნადირობას ხომ ნულარ იკითხავთ!

четыре дня и задержались на четыре недели - музыкант Мераб Костава, поэт Звиад Гамсахурдия и историк Виктор Рцхиладзе были нашими хозяевами. Чтобы защитить меня от ареста - а после обмена КГБ я не думал ограничиться трехнедельной поездкой - Гамсахурдия фиктивно устроил меня садовником в свой дом и на три месяца временно прописал в Тбилиси. Что-то в нем отталкивало нас, несмотря на помощь, постоянные преследования наложили на него отпечаток мрачности и истерии, всюду ему мерещились провокации, агенты КГБ, что принимало характер прямо патологический - хотя провокации действительно подстраивались".

ასე ახასიათებს ზ. გამსახურდიას ანდრეი ამალრიკი, ცნობილი წიგნის ("იარსებებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდის?") ავტორი. ლაგერნიკის მახვილი ინტუიციით იგი იმასაც ჭვრეტს, რომ გამსახურდიამ და არა კოსტავამ წაიყოლა ვ. რცხილაძე ციხეში - "по всей видимости он (ზ. გამსახურდიამ, - თ.ჭ.) потащил за собой Рцхиладзе".

მე არ შევხვედრივარ და არც მსმენია ყოფილი "საბჭოელი" დისიდენტებისაგან, გარდა ნოვოდვორსკაისი, რომელიც, რასაკვირველია, შეცდომით აიგივებდა ზ. გამსახურდიას ჯოხარ დუდაევთან, ზ. გამსახურდიას არათუ ქება, არამედ თვით რბილი შეფასებაც კი. მისი ყველაზე "ზომიერი" შეფასება ამოვიკითხე წერილში, რომელიც ეძღვნება ცნობილ სამართალდამცველს გენ. გრიგორენკოს და სადაც ცნობილი დისიდენტების გამონათქვამებია წარმოდგენილი. იქ ვკითხულობთ: "Никто никого не осуждает за прошлое. Большинство правозащитников относятся снисходительно даже к тем своим единоверцам, кто раскололся в КГБ, кто отрекся. Другое дело, когда те люди, как Гамсахурдия, начинают снова заявлять о себе..Опять же - без всякого покаяния" ("იზვესტია", 1 აპრ. 1994 წ.)

რის მონანიება, რის ქრისტიანობა, მარტო იმ გახმაურებული ფაქტის გახსენება რად ღირს, როდესაც ზ. გამსახურდია ზურაბ ჭავჭავაძეზე იტყვის - "ჩაძაღლდაო"!

ვინც გონების თვალით ჩაუკვირდება ზ. გამსახურდიას მთელ მოღვაწეობას "მონანიებიდან" დაწყებული მისი ცხოვრების ბოლომდე, მისთვის გასაკვირი და საოცარი უკვე აღარაფერი არის, ყველაფერი ლოგიკურად ვითარდება და გურამ ფანჯიკიძის თქმისა არ იყოს, შაჰ-აბასს არ მოუტანია იმდენი უბედურება საქართველოსათვის, რამდენიც ავნო ამ პიროვნებამ თავის სამშობლოს. მაგრამ სანამ ზ. გამსახურდიას მოღვაწეობის ამ "დამაგვირგვინებელ" ეტაპზე გადავალთ, მინდა, ასე ვთქვათ, "დოკუმენტურად" დავამტკიცო ის სიცრუე და ბოროტება, რაც ზ. გამსახურდიას დასჭირდა თავისი ბინძური კარიერისათვის.

1. თავის დროზე გადასახლებიდან დაბრუნებულმა მ. კოსტავამ რუს დისიდენტებთან ლენინგრადში წაიკითხა მოხსენება: "საქართველოში ჰელსინკის ჯგუფის დაარსების თაობაზე", რომელიც მისი სიკვდილის მერე გაზ.

"საქართველომ" გამოაქვეყნა. ცხოვნებულმა ლენინგრადში წასაკითხი ტექსტი წინასწარ მაჩვენა. გამაკვირვა იქ მოყვანილმა გვარების სიმრავლემ - მერაბს სიაში ბევრი ამხანაგ-ნაცნობის გვარი შეეტანა, როგორც მან თქვა, რუსებზე ზეგავლენის მოსახდენად. ჩემი გვარი იქვე ამოვაშლევინე. მაგრამ ახლა სხვა რამ მინდა ვთქვა. სანამ "ჰელსინკის ჯგუფის" ქართულ სამეულს დააპატიმრებდნენ, დაპატიმრებამდე რამდენიმე თვით ადრე, მათთან კონტაქტი დაამყარეს იმხანად თბილისში მცხოვრებმა რუსმა ებრაელებმა - ძმებმა გოლდშტეინებმა. მათ ისრაელში გაღწევა სურდათ და ამიტომ ქართულ "ჰელსინკის ჯგუფს" მიმართეს და მათი წევრებიც გახდნენ. საბოლოოდ მათ თავიანთ მიზანს მიაღწიეს. და აი, როდესაც გამსახურდია გაპრეზიდენტდა, უმცროსი ძმა, ისაია გოლდშტეინი, რომელიც არასდროს ყოფილა პოლიტპატიმარი და ახლა ბიზნესმენი გამხდარა, საქართველოში ჩამოდის. ზ. გამსახურდია, როგორც ჩანს, მას პატივს სცემს. ამის საფასურად, ისაია გოლდშტეინი ზვიადის დასაცავად "ღია წერილს" წერს ცნობილ სამართალდამცველს ვალერი ჭალიძეს ("საქართველოს რესპუბლიკა", 21 ივნისი, 1991 წ.), რომელმაც თავის დროზე სოლჟენიცინი ამხილა შოვინისტურ გამოხდომებში. შემდეგ, იგივე ისაია გოლდშტეინი 5 სექტემბერს საქართველოს ტელევიზიით გამოდის და გმობს ოპოზიციის მოქმედებას 2 სექტემბერს. ახლა რაც მთავარია. მერაბ კოსტავას ზემოხსენებულ მოხსენებაში, რაც მან ლენინგრადში წაიკითხა და შემდეგ ქართულმა გაზეთმა დაბეჭდა, მერაბ კოსტავა ამბობს, რომ 1980 წელს, როდესაც იგი ზ. გამსახურდიამ ინახულა გადასახლებაში, მან გამსახურდიას "გადასცა ჩანაწერები პერმის პოლიტბანაკის პატიმართა მდგომარეობის შესახებ და ი. ორლოვის შრომა ფიზიკაში, რომელიც ზ. გამსახურდიამ თავის მხრივ გადასცა საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის წევრს ი. გოლდშტეინს მოსკოვში გასაგზავნად. ამის შემდეგ ამ მასალების ბედი გაურკვეველია". ესე იგი, მ. კოსტავამ ზ. გამსახურდიას გადასცა ისეთი მნიშვნელოვანი მასალები, რომ იგი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ლენინგრადში დისიდენტების წინაშე თავს იმართლებს, ვინაიდან ის მასალები დანიშნულების მიხედვით არ მისულა და საერთოდ გამქრალა. ხოლო უშუალოდ ვისთვისაც მიუცია ისინი მერაბს, ეს - ზ. გამსახურდიაა, რომელიც თავის მხრივ ხელს ადებს ი. გოლდშტეინს. ეს უკანასკნელი კი იმჟამად საქართველოში არ იყო. მაგრამ აი, ისაია გოლდშტეინი ჩამოვიდა საქართველოში, მერაბი აღარ არის ცოცხალი, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი, რომელსაც მ. კოსტავას მოხსენება წაუკითხავს გაზ. "საქართველოში", ბატონი გიზო სანაძე, ათავსებს წერილს გაზეთ "დრონში" (13 სექტემბერი, 1991 წ.) სათაურით: "იქნებ გვიპასუხონ", სადაც ფაქტიურად ამ ვითარების გარკვევას სთხოვს ზ. გამსახურდიასა და ი. გოლდშტეინს. მაგრამ ი. გოლდშტეინმა ქართული არ იცის და მას, როგორც ჩანს, არც გაუგია გაზ. "დრონის" არსებობა. ამიტომ, ბუნებრივია, მისგან პასუხს არც არავინ ელის, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მაშინ ამის თაობაზე პირში წყალი ჩაიგუბა არა მარტო ზ. გამსახურდიამ, არამედ მთელმა მისმა გარემოცვამ.

2. ახლა მაგალითი უფრო კომიკურ ჟანრში, მაგრამ სათავე ისევ და ისევ ზვიადის სიცრუე და სირაქლემას პოზიციაა. გაზეთმა "საქართველოს რესპუბლიკამ" (3 მაისი, 1991 წ.) გადმობეჭდა ფრანგი კორესპონდენტის წერილი ფრანგული გაზეთიდან, რომელიც ასე იწყება: "საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ უზენაეს საბჭოში არსებულ თავის ბიუროში მიმიღო". რაზე ესაუბრა ფრანგს ზვიად გამსახურდია? ერთობ არეულ სტატიაში ხაზგასმულია, რომ ზ. გამსახურდიამ "მრავალი წელი გაატარა ციხეში", რომ მან "რამდენიმე წელი გაატარა პერმის ბანაკში" - კარგი, ფრანგი მოატყუეს - მოატყუეს, მაგრამ ამ სიცრუის გადმობეჭდვა ქართულ სამთავრობო გაზეთში განა მკითხველის დაცინვა არაა?

3. შემდეგი "მარგალიტი" გახლავთ ქუთაისის გაზეთის "მოწამეთას" (4 აპრილი, 1991 წ.) ალმოჩენა. მეორე მსოფლიო ომში ტყვედნამყოფი, ვინმე გიორგი არსენიძე, აქ მთელი სერიოზულობით ამტკიცებს, რომ გერმანიაში, ქართველ ტყვეებს "1942 წლის იანვარში მხსნელად მოგვევლინა საფრანგეთიდან ემიგრანტის სახელით ჩამოსული ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, რომელმაც შეძლო სიკვდილის ბრჭყალებიდან დაეხსნა ქართველი ტყვეები". ვინც ამას წაიკითხავს, ყველა ნორმალურ კაცს ირონიულად გაელიმება, რადგან თუ ავტორს დავუჯერებთ, მაშინ კ. გამსახურდია გამოდის დოქტორ ზორგეზე მეტი, არქიშპიონი, რომელმაც ოკუპირებული საფრანგეთიდან ჩამოსულმა ფაშიზმის გულში, გერმანიაში, 1942 წლის იანვარს (!) იხსნა საბჭოთა ტყვეები. სხვა დროს, როგორც ვთქვით, კაცს გაეცინებოდა და არაფრად ჩათვლიდა "მოწამეთას" პუბლიკაციას, რომ არა ერთი გარემოება. გ. არსენიძე აგრძელებს: "ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ღვაწლისა და ჩემი თავგადასავლის შესახებ წერილით ვაცნობე ბატონ ზვიად გამსახურდიას", ხოლო ნუ იტყვით, ზ. გამსახურდიას პასუხი უნებებია, რომელსაც სრულად მოვიყვანთ: "ბატონო გიორგი! წერილის საშუალებით გავეცანი თქვენს თავგადასავალს და გითანაგრძნობთ მძიმე წარსულის გამო. მადლობას მოგახსენებთ მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის და მამაჩემის კარგად მოგონებისათვის. ნამდვილი ქართველი, ვინც არ უნდა ყოფილიყო მის ადგილზე, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გამო, ჯერჯერობით ვერ ვასრულებთ თქვენს ჩვენთან შეხვედრის სურვილს. შევეცდები ჩამოვიდე ქუთაისში და შევხვდე ამ უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქალაქის მოსახლეობას. მაშინ კი აუცილებლად გინახულებთ. ღმერთმა ჯანმრთელად გამყოფოთ. პატივისცემით, ზვიად გამსახურდია, 11.12.90 წ."

როგორც ვხედავთ, ზ. გამსახურდია არათუ უარყოფს მამამისზე ამ მონაჩმახს, რაც ბერიკაცს, გ. არსენიძეს, შესაძლოა სკლეროზის გამო დაემართა და ამის გამო პიროვნებები ერთმანეთში აერია, არამედ კიდევაც უდასტურებს ამ სისულელეს. რატომ? პასუხი ერთია: კბილებით, ფრჩხილებით, ბრჭყალებით ცდილობს იგი ხალხის გულის მოგებას და ამ დროს, სირაქლემას პოზიციიდან გამოსული, იმას ვერ ხვდება, რომ ამით ყველა დაკვირვებული მკითხველის წინაშე უხერხულ მდგომარეობაში აგდებს მამამისს, მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას.

შემდეგ თეიმურაზ ჭანტურიშვილი ეხება გამსახურდიების მიერ "კგბ"-ს არქივის დატაცებას. იგი ასახელებს გაზ. "ლიტერატურული საქართველოს" იმ ნომერს (16 ივლისი, 1993 წ.), სადაც გაზეთი ამზეურებს ნაწილს იმ დოკუმენტებისას, რაც ზ. გამსახურდიას "შეუქმნია" მისი პატიმრობის ჟამს და რაზეც ყველა ნამდვილი პოლიტპატიმარი დღეს გაწითლდებოდა, ხოლო დანარჩენი, უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და მასალების შესახებ გაზეთი გვაუწყებს: "ამ წერილზე მუშაობისას დავინტერესდით, არსებობს თუ არა ყოფილი სუკის არქივებში პრეზიდენტყოფილზე რაიმე მასალა. როგორც საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის არქივის თანამშრომლებმა განმარტეს, 1991-92 წლების დეკემბერი-იანვრის მოვლენების დროს არქივი მთლიანად დაიწვა, ხოლო მანამდე 1990 წლის შემოდგომაზე, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე ყოველდღიურად ითხოვდა და სწავლობდა სუკის არქივებში დაბინავებულ მასალებს მეუღლის შესახებ. მოგვიანებით ამ მასალების უმრავლესობა შინ წაუღია და 17 ტომი მთლიანად გაუნადგურებია!.."

გაზეთი ამას 2001 წელსაც იმეორებს (9-15 მარტი 2001 წ.), როდესაც მინისტრის აპარატის უფროსი პ. ლეჟავა იუწყება, რომ სუკ-ის არქივების ნაწილი "გაზიდული აღმოჩნდა წინა ხელისუფლების მიერ".

ამ მხრივ ამ გაზეთს არ ჩამორჩა "ჯორჯიან თაიმსი", ოღონდ 2002 წლის 13 ივნისისა. კორესპონდენტი ინტერვიუს იღებს უშიშროების მაშინდელი ერთ-ერთი მესვეურის, პოლკოვნიკ ირაკლი ცინცაძისაგან. შეკითხვაზე: "სისხლის სამართლის საქმის რამდენი ტომი იყო ბუნდოვანი?" ირკვევა, რომ 55 ტომი ყოფილა, ამათაგან პირველი 5 ტომი ზ. გამსახურდიას ეხებოდა. შემდეგ შეკითხვაზე, თუ სად არის ეს ტომები ახლა, პასუხი ასეთია: "ის საქმე უშიშროების სამინისტროს არქივში ინახება. შემდეგ მოხდა ისე, რომ, ვინც ასრულებდა უშიშროების თავმჯდომარის მოვალეობას, ამ სისხლის სამართლის საქმის ტომებს და სხვა ოპერატიულ მასალებსაც, ქალბატონ მანანას ოჯახში უზიდავდა. ფაქტია, რომ პირველი 5 ტომი უკან აღარ დაბრუნებულა." შემდეგ იგივე პოლკოვნიკი გვაუწყებს, რომ ზვიადისა და მერაბის დაპირისპირების დროს როგორ უთხრა ზვიადმა მერაბს იქ მყოფ ჩეკისტებზე, რომ "ესენი შავი კი არა, თეთრი მაგიაა", სხვა სიტყვებით, რომ ჩეკისტები სიკეთის განსახიერებას წარმოადგენდნენ.

ამავე გაზეთში იგივე კორესპონდენტი ეკითხება მაშინდელი ჩვენი გამომძიებლის, ზიბერტ ხაზალიას მეუღლეს ხაზალიასა და გამსახურდიას ურთიერთდამოკიდებულებაზე, რაზეც ქალბატონი ნანა კიკნაძე პასუხობს: "ჩემი მეუღლე ცდილობდა, ზვიადისათვის სასჯელი შეემსუბუქებინა... როცა ბატონი ზვიადი პრეზიდენტად აირჩიეს, მათ შორის პირადი შეხვედრა შედგა და ჩემს მეუღლეს შს მინისტრის პოსტი შესთავაზა".

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. აქვე მსურს ერთი პრინციპული განცხადება გავაკეთო. მკითხველისათვის ჩვენი პრესიდან უკვე ცნობილია (არაერთგზის დაიწერა ეს), რომ ზვიადი მერაბის კამერაში შეუშვეს - რამდენადაც ვიცი და მახსოვს, როგორც გასამართლების წინ, ასევე

სასამართლოს შემდეგ. ვისაც ციხისა და ძიების ამბები ოდნავ გაეგება, ეს წარმოუდგენელი და დაუშვებელი რამ არის, რომ ერთ საქმეზე დაპატიმრებულები კამერაში ერთად ამყოფონ. ამ შემთხვევაში ორიდან ერთი "კრუხია" ანუ იგი ძიების სასარგებლოდ "ამუშავებს" მეორე პატიმარს. იგივე ზ. ხაზალია ჩემი გამომძიებელიც გახლდათ და ჩემს დაკითხვებზე ასეთ "პედაგოგიურ" შეგონებას მიკეთებდა: აი, ნახავ, გამსახურდიას კოსტავასთან შეკუშვებთ და ეგ შენი კოსტავაც მოინანიებსო! ზ. ხაზალია დღეს ცოცხალი არ არის და იგი ამ სიტყვების მოწმედ ვეღარ გამოდგება, მაგრამ ცოცხალნი არიან რიგი გამომძიებელნი (ჩვენს "საქმეზე" მთელი გამომძიების ბრიგადა მუშაობდა), რომელნიც ამ ფაქტს, ანუ გამსახურდიას კოსტავასთან შეშვების მიზანს ვერაფრით ვერ უარყოფენ. რასაკვირველია, მერაბმა ზვიადის ხილვით დიდად გაიხარა, მაგრამ მერაბმა გაჯიქებაც იცოდა (გავიხსენოთ მის მიერ დეიდაშვილის ზვიადისაგან დაცვა) და ზვიადმა ვერ აცდუნა იგი. როგრც ჩანს, მაშინ მერაბის პოზიცია ასეთი იყო: ყველაფერს გაგიკეთებ, ჩემო ზვიად, შენს გასახარად, გარდა ამისა! სხვათა შორის, სუკ-ის არქივებში გამსახურდიას გაპრეზიდენტების მერე ხელს რომ ურევდნენ, რომ გაჰქონდათ, სპობდნენ და ამახინჯებდნენ დოკუმენტებს ზ. გამსახურდიას სასარგებლოდ, ეს მე უკვე ვიცოდი სანდო წყაროსაგან თვით 1991 წელს და როგორც კი შემთხვევა მომეცა, ამის შესახებ განცხადება გავაკეთე (იხ. "საქართველოს რესპუბლიკა" 14 იანვარი 1992 წლისა).

მაგრამ ისე კომიკური სიტუაციაა იმ გაგებით - რაღა დამტკიცება უნდა იმ ფაქტს, რომ გამსახურდიებმა მიითვისეს სუკ-ის არქივი, როდესაც გროზნოდან რუსმა ჩეკისტებმა მ. არჩვაძე თავისი შვილებით და სწორედ ამ სუკის არქივით ხარ-ხეიმით ჩაიყვანეს მოსკოვში, იქ წლობით აცხოვრეს და მერე გამოუცეს ქმრის "ავტობიოგრაფია" სუკ-ის არქივებიდან მოპოვებული იმ დოკუმენტების დანართით, რომლებსაც, მ. არჩვაძის ჭკუით, ზვიადის მოწინააღმდეგენი უნდა გაემწარებინა?!

ასევე ღიმილი მომგვარა 202-ის არხზე იმ გადაცემამ, როდესაც გამოდიოდნენ დეპუტატები თორთლაძე და ნერგაძე, რომლებიც ლუსტრაციის კანონზე მსჯელობდნენ და დეპუტატმა ნერგაძემ განაცხადა: ბატონმა ზვიადმა ლუსტრაციის კანონი ალბათ იმიტომ არ მიიღო, რომ სურდა ჩეკისტები თავისაკენ გადმოებირებინა და ამიტომაც ისინი არ ამხილაო. ამაზე იტყვიან, რაღა გადმობირება უნდა, თვითონაც იქით არისო...

სათქმელს ცოტა წინ გადავუსწარით და ახლა კვლავ იმ პერიოდს დავუბრუნდეთ, როდესაც ზ. გამსახურდია მონანიებული თბილისს დაუბრუნდა. იმჯერად "ნაკადულის" გამომცემლობის დირექტორს, ვახტანგ ჭელიძეს, მან "იგავების" კრებული დააბეჭდინა. ერთმა "იგავმა" განსაკუთრებით მიიპყრო ჩემი ყურადღებაო, წერს ვ. ჭელიძე და აგრძელებს: "იგი მოცულობით პატარაა და აქვე სრულად მოვიტან.

კეთილგონიერი ექიმი

ერთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სულით ავადმყოფებმა მოაწყვეს შეთქმულება, ექიმები შეიპყრეს, შეკოჭეს და დაამწყვდიეს, ხოლო შემდეგ მიმართეს მათ ასეთი წინადადებით: "თქვენ ცუდად გვეპყრობოდით. ახლა აღიარეთ თქვენი დანაშაული და მოინანიეთ, თორემ სიკვდილი არ აგცდებათ".

ერთმა კეთილგონიერმა ექიმმა მოინანია, რათა თავი დაეხსნა და მომავალში კეთილად განეგრძო თავისი პროფესია ამგვარი ავადმყოფების მკურნალობისა. უგუნურებმა კი უარი თქვეს მონანიებაზე და ამით თავი შესწირეს თავიანთ ამპარტავნებას, რითაც დიდად ავნეს ფსიქიატრიას".

(ზ. გამსახურდია. "იგავები და ზღაპრები" 1987 წელი, გვ. 34).

ვფიქრობ, იგავის მორალს და მიზანს, რისთვის დაწერა ეს ავტორმა, მკითხველი ადვილად გამოიცნობდა. განმარტება საჭირო არ უნდა იყოს. საკუთარ თავს რომ "კეთილგონიერს უწოდებს ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე, ეს ალბათ არავის გაუკვირდება; გასაკვირი იქნება ის იყოს, იმათ რაღას ერჩის, რომლებმაც "მონანიებაზე უარი თქვეს" და მწერლისაგან "უგუნურის" იარლიყო დაიმსახურეს!"

მალე მოახლოვდა ტრაგიკულობით აღსავსე 9 აპრილი. მიმაჩნია, რომ ამის შესახებ პრინციპულად მსჯელობს ჟურნალისტი თამაზ ებანოიძე (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 16 მარტი, 2000 წელი): "გასაკვირია, - ამბობს იგი - რომ წლების მანძილზე საჯაროდ (გაზეთის ფურცლებზე, რადიოთი, ტელეეკრანიდან) არავინ დაარქვა ნამდვილი სახელი ამ ლიდერების საქციელს - ელემენტარული ლაჩრობა და ტანკებთან, ხიშტებთან, ხელკეტებთან, მომწამლავ გაზებთან ამდენი უმწეო ადამიანის შეტოვება. საჯაროდ (ანუ "წიგნიერად") პირველმა (როგორც მე მგონია) ეს "გააკეთა" განსვენებულმა არჩილ სულაკაურმა, იმ ქვეყნიდან (სიკვდილის შემდეგ) "უბის წიგნაკის" საშუალებით (გამომცემლობა "ლიტერატურის მატიანე", თბილისი, 1998. ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ჩემი, როგორც მკითხველის მადლობა ვუთხრა იზა ორჯონიკიძეს ამ მრავალმხრივ საინტერესო წიგნაკის გამოცემისათვის), როცა აღნიშნული საქციელის "კვალიფიკაციაზეა" მიმდგარი საქმე, რაკი არჩილზე უკეთ მე ვერ ვიტყვი, მის სახელს (ჩემთვის დაუვიწყარს). მის ავტორიტეტს (ჩემთვის მკვიდრს) ამოვეფარები და სიტყვას მასვე მივცემ (ვრცელი ციტატისათვის მკითხველთან მობოდიშებით): "თანდათან, რაც დრო გადის, უფრო მაწუხებს ცხრა აპრილის ტრაგიკული მოვლენები. შეგვეძლო თუ არა თავიდან აგვეცილებინა ეს ტრაგედია, ეს უაზრო ხოცვა-ჟლეტა? ცხადია, შეგვეძლო, საქართველოს პატრიარქი მობრძანდა და მომიტინგეებს თხოვა, წამომყევით, ეკლესიას შევაფაროთ თავი, თორემ უბედურება დატრიალდებაო. მიტინგის მესვეურებმა უარი უთხრეს. ერთ-ერთმა ხელიდან გამოგლიჯა მიკროფონი და სმამაღლა წარმოსთქვა: "მამაო ჩვენო".

ეს საქციელი წარმოუდგენელი უტიფრობა და ზღვარგადაცილებული უზნეობა იყო.

ამის შემდეგ მოსახდენი მოხდა. ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა თავს უშველეს, პირველნი გაცვივდნენ დაოთხილნი. არადა, სწორედ მათ თქვეს უარი წაყოლაზე და მომიტინგეებიც აიყოლიეს. წესით, ისინი ბოლომდე უნდა დარჩენილიყვნენ, უკანასკნელებს უნდა დაეტოვებინათ გემბანი. ესეც დიდი უზნეობა იყო, სიმხდალე, სილაჩრე... საბრალო, საბრალო გაბრიყვებული ბავშვები.

ამით სრულებით არ ვამართლებ რუსეთის იმპერიის ხელისუფალთ, რომლებმაც დაარბიეს და დახოცეს მომიტინგეები. მათ კიდევ ერთხელ ჩაიდინეს სისხლიანი დანაშაული და კაცობრიობას კიდევ ერთხელ დაანახვეს თავიანთი ნამდვილი სახე".

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ყველაფრისათვის თავისი სახელის დარქმევა. ახლა ბევრს ლაპარაკობენ მარკირებაზე. მე რომ მკითხოთ, გამოსარჩევი ნიშანი 9 აპრილის ლაჩრებს უნდა დასდებოდათ, არადა, რა ადვილად იპატიეს ეს სიმხდალე, ვითომც არაფერი, ისე ირჯებიან ცოცხლად დარჩენილნი. ერთს თუ გაუმხელია ოდესმე ეს ცოდვა, ერთს თუ მოუნანებია ეს სიდედლე... გარდაცვლილ ლიდერებს რაც შეეხება, მშვენიერად ვიცი ლათინური გამოთქმა: მკვდრებზე ან ნურაფერს იტყვი, ან მხოლოდ კარგი თქვიო; მაგრამ ბრძნულ ნათქვამსაც აქვს ხოლმე ხარვეზი... (ახლა გამახსენდა: ერთ-ერთი ლიდერი, თურმე, საწოლის ქვევიდან გამოუთრევიათ მის ბინაში "ასაყვანად" მისულ მუშაკებს...)."

სხვათა შორის, გურამ დოჩანაშვილს აქვს მოთხრობა "ორნი აქა, იქა...", რომელიც 9 აპრილის ტრაგედიას ეძღვნება. მოთხრობაში არის ასეთი ფრაზა: "წინა ნოემბერში სულ სხვასა გრძნობდა, ცუდს არაფერს ეუბნებოდა გული, ახლა კი უნდოდა, რომ დაშლილიყვნენ, დაუჯერებდა კია ვინმე? არა, არა, არ დაუჯერებდნენ, ეგებ უცნობებს მოგზავნილადაც კი ჩაეთვალათ, იქ გველის სულიც დატრიალებდა..."

მკითხველმა რომ იცოდეს: "გველში" - ზვიად გამსახურდია იგულისხმება.

* * *

ახლა სანამ გამსახურდიას გაპრეზიდენტებაზე გადავიდოდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ იმ უგუნურების დემონსტრაცია, რასაც გამსაუხრდიას "გამართლების" აქტი ეწოდება და რაც, ვითომც ე.წ. "შერიგების" მიზნით განხორციელდა და რასაც ჯერ კიდევ შევარდნაძემ ჩაუყარა საფუძველი, ხოლო შემდეგ სააკაშვილმა წარმატებით დააგვირგვინა. საკამათო არ არის, რომ შერიგება სამოქალაქო ომის მონაწილეთა შორის აუცილებელი იყო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ზ. გამსახურდიას დანაშაულებრივი მოქმედების აშკარა ჩვენებით, მოპირისპირე მხარის დარწმუნებით, შეგონებით და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. სააკაშვილის მითითებით, შს-ს განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიების უფროსმა ჯონი ზარანდიამ სხაპასხუპით "გამოიკვლია" ეს საქმე, ზ. გამსახურდია ყველაფერში გამართლებულად სცნო, შავი თეთრად გაასაღა და კმაყოფილმა დიდი დასკვნა "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოაქვეყნა გაგრძელებებით (იხ. "საქართველოს რესპუბლიკა", ივლისი - აგვისტო 2004 წ.). ეს ისეთი სასაცილო და სამარცხვინო დოკუმენტია, რომ მისი განხილვა არც ღირს. ამის შემდეგ დაერქვა თბილისის ქუჩას ზ. გამსახურდიას სახელი და ისეთნაირებმა, როგორიც ვინმე ხარჩილავაა, ისიც კი დაბეჭდა, რომ ამ სამოქალაქო ომში ორი მხარე არც იყო, ზვიადს ვინც ეომებოდა, ერთიანად არამზადები იყვნენო. მაგრამ ვითარება შეტრიალდა და გაზ. "ჯორჯიან თაიმსი"-დან შევიტყვეთ, რომ გამსახურდიას მაქებარი და მისი გამთეთრებელი გამომძიებელი ჯ. ზარანდია სამსახურიდან გაუგდიათ, ალბათ, აფერისტობის გამო. თვითონ კი ირწმუნება - იმიტომ გამაგდეს, რომ ზ. გამსახურდიაზე "სიმართლე" დავწერეო (?!) (იხ. მისგან ფრიდონ დოჩიას აღებული ინტერვიუ, "ჯორჯიან თაიმსი", 9-1რ მარტი, 2006 წ.). ასე, რომ მთელი ეს ზარანდია-ხარჩილავა თვითონ იქცნენ არამზადებად. არადა, თითქოს წინასწარ ეჭვრეტდით მოვლენათა ასეთ განვითარებას და რა გულისტკივილით არ მიემართეთ 2001 წელს გენერალურ პროკურატურას, რომ არ დაეშვათ ზ. გამსახურდიას რეაბილიტაცია (იხ. "საქაროველოს რესპუბლიკა", 29 ივნისი 2001 წელი, სადაც ამ განცხადებას ჩემს გარდა ხელს აწერენ: ჭაბუა ამირეჯიბი, ემზარ კვიტაიშვილი, გურამ ბენაშვილი, მანანა გიგინეიშვილი, ნოდარ ლომოური, თემო გოცაძე, ჯუმბერ თითმერია, თამაზ კვაჭანტირაძე).

რადგან ჯ. ზარანდია ეჭვქვეშ არის დაყენებული და სამსახურს ჩამოცილებული, ყველანაირი უფლება გვაქვს მის "ნამოღვაწარს" ზ. გამსახურდიაზე სრული უნდობლობა გამოვუცხადოთ და გავითვალისწინოთ "ძველი" პროკურორების, ვ. რაზმაძის და ა. ბალუაშვილის კოლოსალური შრომის დასკვნები ზ. გამსახურდიაზე. მაგრამ ჯერ ისევ რ. მიქაბერიძეს უნდა მივმართო, თუ რა ლექსი უძღვნა ზ.გ-ს პრეზიდენტად არჩევას.

"87 პროცენტი"

ეს ფაქტი მატიანეში
ჩვენ სასახელოდ არ შევა,
ტრადიციულად არ მოგვდგამს
მტრის და მოყვარის გარჩევა.
და ახლაც ტვინის განძრევის
დრო რომ გვქონოდა ან ჩვევა,
ამ სიძულვილის მთესველის
არ მოხდებოდა არჩევა.

ახლა მსურს ფართოდ დავუთმო სიტყვა პროკურორ ვ. რაზმაძეს.*

"საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე დამნიშნეს საქართველოს გენერალურ პროკურორად, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დაუსწრებლად არჩეულ იქნა ბატონი მინდია უგრეხელიძე.

ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ყველას იმედი გვქონდა, რომ კანონის უზენაესობა ქვეყანაში უმთავრეს პრინციპად გადაიქცეოდა, ჩამოყალიბდებოდა დემოკრატიული ინსტიტუტები, ყველა საკითხი გადაწყდებოდა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და ყველაფერი გაკეთდებოდა სამართლებრივი სახელმწიფოს ასაშენებლად. ფაქტიურად სრულიად საწინააღმდეგო მოვლენებმა იჩინა თავი. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების აშკარა ინერტულობის, კანონის მოთხოვნათა იგნორირების შედეგად დამნაშავეთა დაუსჯელი თარეში, ადამიანთა ხელშეუხებლობის გარანტირებული უფლებების შელახვა თითქმის ცხოვრების ნორმად იქცა. უფრო მეტიც, ხელისუფლება დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად თვითონ დაადგა სამართალდარღვევების გზას. მდგომარეობას ისიც ძაბავდა, რომ ცალკეულმა პარტიებმა და გაერთიანებებმა შექმნეს შეიარაღებული ფორმირებები. ჩვენი ძალისხმევა, სასწრაფოდ აღკვეთილიყო ეს მანკიერება, ხელისუფლების მხრიდან სათანადო მხარდაჭერას ვერ პოულობდა, რადგან ზოგიერთი კანონსაწინააღმდეგო შეიარაღებული ფორმირება თვით პრეზიდენტმა შექმნა და ემსახურებოდა მას. ცხადია ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტს დაკარგული ჰქონდა მორალური უფლება მოეთხოვა მოსახლეობიდან და შეიარაღებული ფორმირებებიდან იარაღის ამოღება. შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის მიერ გატარებულ ოპერატიულ და საგამომძიებლო ღონისძიებებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში რაიმე გარდატეხა არ შეუტანია, რადგან ეს ღონისძიებები ზოგჯერ დაგვიანებით ტარდებოდა, ხოლო ზოგჯერ ქვეყნის ხელმძღვანელობა არ იჩენდა პრინციპულობას დამნაშავეთა მიმართ ან მფარველობდა მათ.

---

*ვახტანგ რაზმაძე (იხ. "სიმართლე ზ. გამსახურდიაზე", თბ. 1999): ამოკვეთილია შემოკლებით.

1991 წელს საქართველოში ძალზე გახშირდა ადამიანთა მძევლად აყვანა ფულის გამოძალვის მიზნით, ხოლო ბრძოლა მის წინააღმდეგ, ძალზე არაეფექტურად მიმდინარეობდა, ჩადენილი დანაშაულები არ იხსნებოდა, რაც ხელისუფლების მიმართ ძალზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის გავრცელებას უწყობდა ხელს, დადიოდა ხმები, რომ ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირები დაკავშირებული იყვნენ დამნაშავეებთან, ხოლო ზოგიერთი ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირი გამსახურდიას გარემოცვიდან იყო, რომლებიც დღისით ფანტანთან იდგნენ და იცავდნენ მას, ხოლო ღამით მონაწილეობას ღებულობდნენ მოქალაქეთა გატაცებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით შევხვდი პრეზიდენტს და საუბარი მქონდა მასთან, მოვახსენე ჩემი აზრი, რომ საჭირო იყო მისი მხარდაჭერა, რათა მოქალაქეთა ფულის გამოძალვის მიზნით გამტაცებელთა მიმართ გატარებულიყო მკაცრი ღონისძიებანი. კერძოდ, შევთავაზე მისი განკარგულებით შექმნილიყო სამძებრო ოპერატიული ჯგუფი უშიშროების კომიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის გამოცდილი მუშაკებისაგან, ამ ჯგუფს სათავეში ჩაუდგებოდა პროკურატურა, მზად ვიყავი პირადად ჩავდგომოდი ამ ჯგუფს სათავეში, მხოლოდ მიგვეღწია იმ პირთა მხილება, ვინც ამ მძიმე დანაშაულს ჩადიოდა და ვინც მფარველობდა მათ. ზ. გამსახურდიას ძალზე მოეწონა ეს წინადადება და განაცხადა, მხოლოდ ამ საქმეს ეშველოს რაიმე და მზად ვარ, პირადად მივიღო მონაწილეობა ამ ჯგუფის მუშაობაშიო. მითხრა, რომ მეორე დღეს, დილით, მასთან შევიკრიბებოდით სამივე უწყების ხელმძღვანელები და განვიხილავდით ერთობლივ მუშაობასთან დაკავშირებულ ყველა ორგანიზაციულ საკითხს. დავბრუნდი სამსახურში და მოვემზადე ამ შეხვედრისათვის, შევარჩიე მუშაკები, რომელთა ჩართვაც მინდოდა სამძებრო ოპერატიულ ჯგუფში. მეორე დღეს, დილით, გამსახურდია მირეკავს და მეუბნება: იცით რა, ბატონო ვახტანგ (მას სხვაგვარად ჩემთვის არასდროს არ მოუმართავს), ჩვენ რომ გუშინ მოვილაპარაკეთ, იმ საკითხზე ნუ ვიჩქარებთ, თქვენ საერთოდ ნუ ჩაერევით მაგ საქმეების გამოძიებაში. ეს იყო ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი, თუ იმ განწყობას, რაც ამ საქმეზე წინა დღით გამსახურდიამ გამოამჟღავნა, ვინმე შეაცვლევინებდა, ვერ წარმოვიდგენდი.

როცა გამსახურდიას პრეზიდენტის პოსტზე მოღვაწეობას გააანალიზებ, მის მოღვაწეობაში ვერ იპოვი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისათვის ზრუნვის კონსტრუქციულ გეგმას. ის თვლიდა, რომ მისმა ხელისუფლებამ ხალხს მოუპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ხოლო ხალხის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის ბრძოლა თითქოს სხვისი საქმე იყო. თითქმის არაფერი კეთდებოდა ქვეყნის ეკონომიკის აღდგენისა და გაძლიერებისათვის, ქვეყანაში ფაქტიურად არ მუშაობდა ფაბრიკა-ქარხნები, მოიშალა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ნორმალური მუშაობა. ყურადღება არ ექცეოდა მშენებლობას, თვითდინებაზე იყო მიშვებული სოფლის მეურნეობა, ხოლო თუ ქვეყანამ რაიმე ქონება მიიღო მემკ-

ვიდრეობით, ნიაუდებოდა უყაირათობისა და უკონტროლობის გამო, სახელმწიფო თანხები იხარჯებოდა არადანიშნულებით. ეროვნულ ეკონომიკას აურაცხელი ზარალი მიაყენა მილიონობით მანეთის არადანიშნულებით გაცემამ და გამოყენებამ, 1991 წლის ბოლო თვეებში თითქოს ხორბლის შესაძენად მილიარდი მანეთის სესხი გაიცა სხვადასხვა კოოპერატივებზე, ფაქტიურად ამ თანხის ნაწილი აუთვისებელი დარჩა, ხოლო ნაწილი არადანიშნულებით დაიხარჯა. სერიოზული დარღვევები იყო სავალუტო ოპერაციებში. საწარმო-დაწესებულებების კუთვნილი სავალუტო თანხები სისტემატურად გამოიყენებოდა პირადი მიზნებისათვის. სახელმწიფოს კუთვნილი ვალუტით შეძენილი ორი ჯავშნიანი "მერსედესი" კერძო პირებზე ირიცხებოდა იმის გამო, რომ ვერ მოასწრეს მისი გამსახურდიას ოჯახის წევრებზე გაფორმება.

ამ პერიოდში რესპუბლიკა მწვავედ განიცდიდა ნაღდი ფულის დეფიციტს, თვეობით ვერ აძლევდა მუშა-მოსამსახურეებს, პენსიონერებს და სტუდენტებს კუთვნილ თანხას და ამ დროს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების დატაცების ფაქტებს.

შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტს სპეციალური განათლება არ ჰქონდეს, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის და მათი ცხოვრების ელემენტარული პირობების შექმნისათვის ზრუნვა მისი უპირველესი მოვალეობაა, თუ ამ მოვალეობას ვერ ასრულებს, ის არ არის ღირსი იყოს ქვეყნის პრეზიდენტი.

პრეზიდენტს იმის უნარი მაინც უნდა ჰქონდეს, თუ ვერ უზრუნველყოფს ქვეყნისთვის მატერიალური დოვლათის შექმნას, იმას მაინც გაუფრთხილდეს და ყაირათიანად ხარჯოს, რაც ქვეყანამ მემკვიდრეობით მიიღო.

მახსენდება, 1991 წლის ივლისი იყო, გამსახურდიას მისაღებში ვიყავი და მისი კაბინეტიდან საკმაოდ აღელვებული გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ბატონი თენგიზ სიგუა. როცა დამინახა, ხალხის თანდასწრებით მითხრა: ბატონო ვახტანგ, გენერალური პროკურორი ხართ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, სამეურნეო სამმართველომ მიმდინარე წლის ექვს თვეში დახარჯა ორი მილიონი მანეთი, მაშინ როცა კომუნისტების მმართველობის პერიოდში იმავე სამმართველომ მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთ მილიონ მანეთამდე დახარჯა. სად იხარჯება ეს თანხა, ვერ გამიგია, ნაწილ თანხაზე წარადგინეს ანგარიშები, რომ რაღაც უცხოური ტექნიკა შეიძინეს, მაგრამ ეს ტექნიკა არსად არ ჩანს, პრეზიდენტს ვეუბნები, რომ სახელმწიფო თანხების ასე უკონტროლოდ ხარჯვა არ შეიძლება-თქო და მას ამის გაგონება არ სურს და მოითხოვს, სამეურნეო ხარჯებისათვის დამატებითი თანხების გამოყოფას. როგორ მოვიქცე, არ ვიცი, ასე მუშაობა არ შემიძლია, უნდა გადავდგე თანამდებობიდან. 1991 წლის აგვისტოში ბატონი თენგიზ სიგუა მართლაც გადადგა თანამდებობიდან და საკმაოდ ძლიერად მიიჯახუნა კარი.

1991 წლის იანვარში სსრ კავშირში ჩატარდა ფულის რეფორმა, პრეზიდიუმის წევრის ტ. გელანტიას მითითებით, რომელიც ფინანსებსა და ეკონომიკას კურირებდა თბილისის რამდენიმე ბანკს შეაწერეს ამ სიტყვის

პირდაპირი გაგებით და პრეზიდიუმში მიატანინეს 6 მილიონი მანეთი. აღნიშნული თანხა პრეზიდენტის განკარგულებით ჩაბარდა მისი დაცვის უფროსს და ყოველგვარი დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე იხარჯებოდა პრეზიდენტის ზეპირი განკარგულებით. ამ საკითხზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2 მილიონი მანეთი მოხმარდა გვარდიის შენახვას, ხოლო დანარჩენი თანხები სად დაიხარჯა ან რა მიზნებს მოხმარდა, გამოძიებით ვერ დადგინდა. ზ. გამსახურდიას მოღვაწეობის ბოლო თვეებში ბანკიდან ყოველგვარი საბუთების გაფორმების გარეშე ტომრებით, დათვლის გარეშე გამოჰქონდათ ფული, რომელსაც შემოსავალში არავინ იღებდა და უკონტროლოდ იხარჯებოდა. სახელმწიფო თანხების ასეთი წესით ხარჯვა პრეზიდენტის მიერ დადგენილი პრაქტიკა იყო.

როცა გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო, დააპატიმრეს ფინანსთა მინისტრი გ. აბსანძე, რომელიც გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარევიზიო საკონტროლო სამმართველოს უფროსად მუშაობდა. მან ძალიან კარგად იცოდა ფულადი სახსრების ხარჯვის და მისი გაფორმების წესი. ბუნკერიდან გაქცევის დროს მიღებული ჭრილობების გამო ის ციხის საავადმყოფოში იყო მოთავსებული, სადაც შევხვდი მას. ჩემს შეკითხვაზე, რატომ იხარჯებოდა უკონტროლოდ, სათანადო საბუთების გაფორმების გარეშე სახელმწიფო თანხები, თუ გამსახურდიამ არ იცოდა ამ თანხების ხარჯვისა და მისი გაფორმების წესი, თქვენ ხომ დიდი გამოცდილება გქონდათ ამ დარგში მუშაობისა და სხვას აკონტროლებდით, რატომ დაუშვით ასეთი დარღვევები-მეთქი - გ. აბსანძემ მიპასუხა: ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვიყავით და როგორც პრეზიდენტი ბრძანებდა, ისე ვიყენებდით ბანკიდან გამოტანილ თანხებსო. ეფიქრობ, ყველაფერი ნათელია და კომენტარი საჭირო არ არის.

პრეზიდენტის არაკომპეტენტურობის გამო ქვეყნის ეკონომიკა და ფინანსები კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, უცხო სახელმწიფოებთან საგარეო ურთიერთობები პრაქტიკულად შეწყდა და საერთაშორისო იზოლაციაში აღმოვჩნდით, ამ დამღუპველი კურსის კრიტიკისათვის მოწინავე ინტელიგენცია და სხვა პირები დაუყოვნებლივ ცხადდებოდნენ განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებად - სამშობლოს მოღალატეებად და უცხო ქვეყნების აგენტებად, პრეზიდენტი დაადგა მათ მიმართ დევნისა და რეპრესიების გზას. სამსახურიდან დაითხოვეს მრავალი პირი, ვინც ამხელდა მას ქვეყნის მართვის დემოკრატიული პრინციპების დარღვევაში. ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ "ზვიად გამსახურდია რესპუბლიკის კანონიერი პრეზიდენტია და დღეს მასში განივთებულია საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა". ეს იმას ნიშნავდა, რომ ვინც გამსახურდიას მოღვაწეობას აკრიტიკებდა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა, ის იყო ხალხის მტერი და საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეებს ებრძოდა, ოპოზიციის საქმიანობის გამსახურდიასეული შეფასება ხელ-ფეხს უხსნიდა მას ოპოზიციონერთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის.

ზ. გამსახურდიამ განახორციელა პრესისა და ტელევიზიის მონოპო-

ლიზაცია. თვითნებობის მრავალი ფაქტებიდან საკმარისია მოვიყვანოთ ერთი, რომ ნათელი გახდეს მკითხველისათვის, როგორ, რბილად რომ ვთქვათ, უპატიეცემულობას იჩენდა პრეზიდენტი საზოგადოებრივი აზრისადმი. ტელერადიოკომიტეტი გადააკეთეს დეპარტამენტად და მის თავმჯდომარედ პრეზიდენტმა კოლექტივს წარუდგინა მრგვალი მაგიდის წევრი თ. კვანტალიანი, რომლის მიღებაზე კოლექტივმა უარი განაცხადა მისი არაკომპეტენტურობის გამო. ზ. გამსახურდიამ კოლექტივს განუცხადა, თუ არ მიიღებდნენ კვანტალიანს, მაშინ ტელევიზიას დახურავდა. ტელედეპარტამენტის თანამშრომელთა უფლებების აშკარად შელახვამ გამოიწვია მათი საპასუხო აქცია. რის შემდეგ ტელერადიომაუწყებლობა საქართველოში ფაქტიურად აღარ არსებობდა, ასეთივე ბედი ეწია კინოსტუდია "ქართულ ფილმს", რომელიც სრულიად გამიზნულად დაშალეს პრეზიდენტის წარგზავნილებმა.

პრეზიდენტის ასეთმა მოქმედებებმა გამოიწვია პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების ბრძოლის გამწვავება, რასაც ქაოსი და პოლიტიკური დესტაბილიზაცია მოჰყვა. ეს გარემოებები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა დამნაშავეობის ზრდისთვის და ხელს უწყობდა სამართალდამცავი ორგანოების ძალთა დაქსაქსვას.

ასეთ პირობებშიც კი პროკურატურის ორგანოები ცდილობდნენ მაქსიმალურად ობიექტური პოზიცია დაეჭირათ და მიუხედავად იმისა, რომ ყველა მიტინგზე ცხადდებოდა "ხალხის მტრების" და "კრემლის აგენტების" გრძელი სიები, ჩვენ ვცდილობდით, არავის გავლენის ქვეშ არ მოვყოლოდით და უდანაშაულო ადამიანები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არ მოხვედრილიყვნენ. თუმცა, ასეთი მოთხოვნა და სურვილი ხელისუფლების მხრიდან ძალზე დიდი იყო. პრეზიდენტმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ დემოკრატიულად არჩეული მრავალპარტიული პარლამენტი ერთპარტიულად გარდაქმნილიყო. ამ მიზნით შეტანილი იქნა მთელი რიგი შესწორებები კონსტიტუციაში. ის ცდილობდა ოპოზიციაში მყოფი პარტიები ჩამოეშორებინა საპარლამენტო საქმიანობისათვის. როგორც კი ჩამოყალიბდა ფრაქცია "ქარტია-91", მაშინვე გაჩნდა დავალება დაგვეპატიმრებინა ამ ფრაქციის წევრები. გამსახურდია კატეგორიულად მოითხოვდა ნათაძის დაპატიმრებას. ყურად არ იღებდა ჩვენს მტკიცებას, რომ მისი დაპატიმრების საფუძველი არ არსებობს და გარდა ამისა, ის არის დეპუტატი და მისი დაპატიმრებისათვის საჭირო იყო უზენაესი საბჭოს დადგენილება. მისი პასუხი ასეთი იყო: ჯერ დააპატიმრეთ და უზენაესი საბჭოს თანხმობას შემდეგ მოგცემთო.

გამსახურდიას არ შესწევდა უნარი ექსტრემალურ სიტუაციაში სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა, ავლენდა სრულ დაბნეულობას და უმწეობას. მან აშკარად არასწორი პოზიცია დაიჭირა 1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვში მომხდარი მოვლენების მიმართ. იმის ნაცვლად, რომ პროტესტი განეცხადებია ამ ანტიკონსტიტუციური აქტის მიმართ, ის დაჰყვა მოსკოვიდან ამ მოვლენასთან დაკავშირებით სპეციალურად ჩამოსული სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილის გენერალ შურაველიოვის

ნებას, გააუქმა ეროვნული გვარდია და თავისი ბრძანებით დაუქვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელი იყო უზენაესი საბჭოს დადგენილება. პრეზიდენტის ამ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მოჰყვა ეროვნული გვარდიის გახლეჩვა და მისი ნაწილი ამ დღიდან იმყოფებოდა პრეზიდენტის ოპოზიციაში.

"გკჩპ"-ს ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები თურმე ჩამოყალიბებისთანავე დაუკავშირდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელს და არკვევდნენ მათ პოზიციას "გკჩპ"-ს მიმართ, როგორც რუსეთის გენერალური პროკურორის წერილიდან ჩანს, გამსახურდიასთან საუბარი ჰქონდა სსრკ თავდაცვის მინისტრს მარშალ იაზოვს, რაზე ილაპარაკეს მათ, ამის შესახებ, გამსახურდიამ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა, მაგრამ რაკი მათი მოქმედების გამო პროტესტი არ გამოხატა, ალბათ, მხარს უჭერდა მათ (იხ. დოკუმენტი).*

გვარდიის გაუქმების გადაწყვეტილებამ და მისი ნაწილის პრეზიდენტისადმი დაუმორჩილებლობამ უკიდურესად დაძაბა ვითარება. ხელისუფლება და ოპოზიცია სისტემატურად მართავდნენ ე.წ. საინფორმაციო მიტინგებს. ზვიად გამსახურდია პრაქტიკულად სხვადასხვაგვარად მოაზროვნეთა და ოპოზიციონერთა მიმართ დაადგა ფიზიკურ ანგარიშსწორების გზას. ამას აკეთებდა ყოფილი პოლიტპატიმარი, ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელი, ორგანიზაციას უკეთებდა მშვიდობიანი მომიტინგეების დაშლას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და სხვადასხვა პარტიებისა და გაერთიანებების ოფისების დარბევას.

თბილისში, კინოს სახლის წინ, 2 სექტემბერს მიმდინარე მიტინგი განსაკუთრებული დანიშნულების პოლიციის რაზმებმა იარაღის გამოყენებით დაარბიეს. იგივე განმეორდა 22 სექტემბერს და 4 ოქტომბერს.

1991 წლის 22 სექტემბერს გამსახურდიას დავალებითა და წაქეზებით პრეზიდენტის მხარდამჭერმა პირებმა დაარბიეს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და ეროვნულ დემოკრატების შტაბ-ბინები და სასტიკად სცემეს ამ პარტიების წარმომადგენლებს. ეს მოქმედება პრეზიდენტმა შეაფასა, როგორც ბარიკადების მშვიდობიანი აღება.

იმის გამო, რომ პრეზიდენტი ოპოზიციასთან დიალოგის ნაცვლად დაადგა ძალადობის გზას, ოპოზიციაში მყოფი გვარდიის ნაწილი ჩამოვიდა ქალაქში და პოზიცია დაიკავა ტელევიზიის შენობასთან. სწორედ აქ განაცხადა თ. კიტოვანმა, რომ ის ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღის გამოყენებას არ აპირებს, იარაღს გამოიყენებს მის წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება იარაღის გამოყენებით შეეცდება ჩაახშოს ოპო-

---

* მხოლოდ გვიან გახდა ცნობილი, სადამდის დაცემულა ზ. გამსახურდია. რუსული "ლიტერატურნაია გაზეტა" (11-17 აგვისტო 1999 წ.) აქვეყნებს ინტერვიუს უკვე გადაღებულ "გკჩპ"-ს ლიდერთან - ანაევთან, რომელიც აცხადებს: "После пресс-конференции начались звонки в Кремль. Многие поддерживали ГКЧП. Звонил из Грузии Гамсахурдиа, сказал, что Грузия безусловно остается в составе Союза".

ზიციის და სხვაგვარად მოაზროვნეთა მიტინგები, მანიფესტაციები და საერთოდ, მათი აქტიურობა, რომელიც ამხელს ხელისუფლების უკანონობას. ეს განცხადება მან რამდენჯერმე გაიმეორა 1991 წლის 22 დეკემბრამდე, რაც ცნობილი იყო პრეზიდენტისათვის. მკითხველს ვთხოვ, თ. კიტოვანის ეს განცხადება დაიმახსოვროს.

ძალიან კარგად ვიცი, რომ ჩემი გულახდილობა და ჭეშმარიტების თქმა საზოგადოების ერთ ნაწილში უკმაყოფილებას გამოიწვევს, მაგრამ მე მზადა ვარ მივიღო მათგან ნებისმიერი ფორმით გამოხატული შენიშვნა. მთავარია მათ გაიგონ სიმართლე. ეს სიმართლე თავის დროზე 1992 წლის დასაწყისში ხალხისათვის უნდა ეთქვა ახალ ხელისუფლებას მანამ, სანამ ჩვენი საზოგადოება საბოლოოდ გაიხლიჩებოდა, მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს გამსახურდიას პიროვნება, მისი გავლენა და ავტორიტეტი ხალხში. ყველასათვის ცნობილი იყო, ემიგრაციაში მყოფ ექს-პრეზიდენტს მხარს უჭერდა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი, მას მხარდამჭერები ჰყავდა გურიაშიც, აღარაფერს ვლაპარაკობ თბილისზე, სადაც მიტინგებიც კი იმართებოდა ექსპრეზიდენტის მხარდასაჭერად. განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ხომ მნიშვნელოვანწილად ზვიადისტური იყო. ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა მას შინაგან საქმეთა ორგანოებში. ხელისუფლებას მაშინ უნდა ეთქვა სიმართლე და მიეცა მწვავე პოლიტიკური შეფასება იმ დარღვევებისა და შეცდომებისათვის, რომელიც ექსპრეზიდენტმა დაუშვა თავის მოღვაწეობაში, როცა ჯერ კიდევ არ იცოდა ხალხმა რას მოუტანდა მათ ახალი ხელისუფლება. დღევანდელი ხელისუფლების მიერ ამჟამად გამსახურდიას შეცდომებზე ლაპარაკი, ალბათ, წამგებიანიც იქნება, რადგან ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში რაიმე რადიკალური ცვლილებები უკეთესობისაკენ არ მომხდარა.

ზ. გამსახურდიას დაპირისპირებამ ოპოზიციასთან კულმინაციას მიაღწია 1991 წლის სექტემბერში. გვარდიის ნაწილის დაუმორჩილებლობის გამოცხადებამ ის საშინლად შეაშინა და გაანერვიულა. შინაგანად გრძნობდა, რომ შეცდა და დაკარგა თავისი ერთ-ერთი ყველაზე ერთგული ადამიანი თ. კიტოვანის სახით, გარეგნულად არ უნდოდა ეს ვინმეს შეემჩნია და მოითხოვდა მის დაპატიმრებას. საერთოდ შიშის გრძნობა მას განსაკუთრებით დაეტყო პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ხოლო თავისი მოღვაწეობის ბოლო თვეებში საერთოდ არ გამოდიოდა კაბინეტიდან, ღამესაც იქ ათევდა, იმის შიშით, რომ კაბინეტი არავის დაეკავებია. ზ. გამსახურდია არ დადიოდა ორგანიზაციებში და ქვეყნის რეგიონებში, სადაც მდგომარეობა უმართავი იყო და წესრიგის დამყარება მოითხოვდა სასწრაფო ღონისძიებების გატარებას, ის ჩადიოდა მხოლოდ მთავრობის სასახლის პირველ სართულზე, ფანტანთან და მონაწილეობას ღებულობდა მიტინგის მუშაობაში. იმის შიშით, რომ ოპოზიციონერები სესიის სხდომის დარბაზში არ შეეარღნილიყვნენ, სხდომებს შენობის სარდაფში ატარებდა.

ეს იყო ჩვენთვის ყველაზე მძიმე პერიოდი, შეშინებული და განერვიულებული, ის ყოველთვის ანგარიშს ვერ უწევდა თავის მოქმედებას და მო-

ითხოვდა მისთვის არასასურველი პირების პროკურატურის მიერ გაფრთხილებას, დაპატიმრებას და სხვა გამაფრთხილებელი და დამაშინებელი ღონისძიებების გატარებას მათი აქტივობის ჩასახშობად.

თითქმის ყოველდღე ვღებულობდით სიებს იმ პირებისა, ვინც უნდა გაგვეფრთხილებინა და თუ პრეზიდენტი მოისურვებდა, შემდეგ დაგვეპატიმრებინა.

პრეზიდენტი კატეგორიულად მოითხოვდა ჩვენგან თ. კიტოვანისა და თ. სიგუას დაპატიმრებას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი გაერთიანდნენ. ჩემი პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე იყო: დაავალეთ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოადგინონ ისინი პროკურატურაში, დავკითხავთ, თუ საკმაო საფუძველი გვექნება, წარვუდგენთ ბრალდებას და შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას-მეთქი.

ავალებდა თუ არა მათ შეესრულებინათ ჩემი მოთხოვნა, არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ისინი ოპოზიციაში მყოფ გვარდიასა და მის ხელმძღვანელებს ახლოს ვერ ეკარებოდნენ მოსალოდნელი კონფლიქტისა და სხვა გართულების შიშის გამო.

ჩვენ გვქონდა თ. კიტოვანის დაკითხვის მცდელობა, ამ მიზნით 1991 წლის სექტემბერში მას გავუგზავნეთ უწყება, რომ 13 სექტემბერს გამოცხადებულიყო პროკურატურაში. უწყებაზე მან ასეთი შინაარსის წარწერა გააკეთა: "ბატონო ვახტანგ! საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ბოდიშს გიხდით, რომ ვერ ვასრულებ თქვენს თხოვნას და ვერ ვცხადდები თქვენს გამოძახებაზე.

P.S. თუ დავრთავთ პრეზიდენტი ნებას, შეგიძლიათ მინახულოთ".

ერთი სიტყვით, ქვეყანაში იქმნებოდა ისეთი ვითარება, როცა პრეზიდენტის ავტორიტეტის დაცემის გამო ადამიანებში საბოლოოდ იკარგებოდა კანონისადმი პატივისცემის გრძნობა, რომლის პატივისცემით თავად პრეზიდენტი არასდროს არ გამოირჩეოდა.

ქვეყანაში შექმნილი უმართავი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამო ყოველდღიურად იზრდებოდა და მძლავნდებოდა ხალხის და განსაკუთრებით კი ინტელიგენციის უკმაყოფილება და ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები, რომელსაც სათავეში ედგა ოპოზიციური ძალები. პრეზიდენტი გრძნობდა, რომ ყოველდღიურად სუსტდებოდა მისი გავლენა მასებზე და მთავრობის სახლის წინ უკვე მუდმივმოქმედ მიტინგზე მიმართავდა რესპუბლიკის რეგიონების მოსახლეობას ჩამოსულიყვნენ მის დასახმარებლად ქ. თბილისში და დაეცვათ პრეზიდენტი ოპოზიციური ძალების თავდასხმისაგან.

პრეზიდენტმა საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით პირველი საშუალო სკოლის წინ ავტობუსით გადაკეტა მოძრაობა რუსთაველის პროსპექტზე, საპასუხოდ ოპოზიციამ ქვა და ღორღი და სხვა სამშენებლო მასალა დაყარა რუსთაველის პროსპექტზე, თეატრალური ინსტიტუტის წინ

და გადაკეტა პროსპექტი. დედაქალაქში თითქმის პარალიზებული იყო ცხოვრება. პრეზიდენტის თხოვნითა და მოწოდებით, რაიონებიდან ჩამოსული ასობით და ათასობით ადამიანი დღედაღამ იდგა მთავრობის სასახლის წინ და რუსთაველის პროსპექტის ეს მონაკვეთი ფაქტიურად დაემსგავსა ნაგავსაყრელს.

ამ დროს გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ სესიაზე, როცა ის უკვე დარწმუნებული იყო, რომ მისი პრეზიდენტობა დასასრულს უახლოვდებოდა, გააკეთა ერთი მეტად მზაკვრული და შორსგამიზნული განცხადება, რომელიც მისი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ზვიადისტებმა ოსტატურად გამოიყენეს ქართველი ხალხის ერთმანეთთან დაპირისპირებისა და სამოქალაქო ომის დაწყებისთვის. მან განაცხადა, რომ ჩემს ოპონენტებს, ვინც პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს, არ აწყობთ საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ისინი შემოგზავნილი არიან ჩვენი მტრების მიერ და ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ჩემი გადადგომის შემთხვევაში საქართველოში მეზობელი მეზობელს დაუპირისპირდება, ქუჩა - ქუჩას, სოფელი - სოფელს, საქართველოს კუთხეები კი ერთმანეთს. ფაქტიურად, ეს გაფრთხილება კი არ იყო, ეს იყო მოწოდება და შეიძლება ითქვას, პროგრამაც, თუ როგორ უნდა ემოქმედა მის მომხრე ძალებს მისი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, რომელიც მისი ღრმა რწმენით მოახლოებული იყო. მან დიდი მუშაობა ჩაატარა იმისათვის, რომ ხალხი მოემზადებინა და დაერწმუნებინა, რომ ვინც მას ებრძვის, ვინც მისი მოწინააღმდეგეა, ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები არიან. მის მომხრეებში ასეთი აზრის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო სულ უბრალო მიზეზის გამო, რეგიონებიდან თითქოსდა პრეზიდენტის გადასარჩენად ხალხის ჩამოყვანის პრაქტიკამ, რომლებიც ოპოზიციის მისამართით გამოთქმულ გამსახურდიასეულ ბრალდებებს ისმენდნენ მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგებზე, მათ უკვე შესანიშნავად იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ გამსახურდიას ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, ხოლო მანამდე მისი თეორიებით თავგზააბნეულ ხალხს იყენებდნენ ოპოზიციის წინააღმდეგ.

მე უკვე ვწერდი, რომ 1991 წლის 19 ნოემბერს პრეზიდენტმა მოინდომა ოპოზიციონერთა დიდი ჯგუფის დაპატიმრება და ამ მიზნით მომცა დავალება 7 კაცზე დაუყოვნებლივ, ხოლო დანარჩენებზე 2-3 დღის შემდეგ გამეცა დაპატიმრების სანქცია. ვინაიდან ეს დავალება უსაფუძვლო და აშკარად კანონსაწინააღმდეგო იყო, მის შესრულებაზე უარი განვაცხადე.

ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდში მან შესანიშნავად გამიცნო და ვფიქრობ, ძალიან კარგად იცოდა, რომ მე იმ პირებზე სანქციას არ გავცემდი და უნდოდა ეს მომენტი გამოეყენებინა ჩემთან ურთიერთობის გამწვავებისათვის, როგორც ცოტა მოგვიანებით გამოირკვა და ამის შესახებ მე მითხრა ბატონმა გია ყარყარაშვილმა, ჩემი წასვლის შემდეგ მისთვის გამსახურდიას უკითხავს, რაზმაძეს მართლა უნდოდა თუ არა ჩემი დაპატიმრება, გამსახურდიასთვის უთქვამს ვიღაც ელისაშვილს, რომ მე ვაპირებდი მის დაპატიმრებას. ამ სისულელეში დარწმუნებული პრეზიდენტი მაძლევდა

განზრახ ისეთ დავალებას, რომელსაც მე არ შევასრულებდი და როცა უარი მოვახსენე, მითხრა კიდეც მაშინ, მე გამოვნახავ ისეთ კაცს, რომელიც ჩემს დავალებას შეასრულებსო, მეც ვუთხარი, დიდად დამავალებთ, თუ მაგას გააკეთებთ-მეთქი. იმდენად იყო პრეზიდენტობაზე შეყვარებული, მოღვაწეობის ბოლო პერიოდში, რომ მოჩვენებებიც კი ჰქონდა, რომ რაღაცას მოუწყობდნენ. მე დიდი სურვილიც რომ მქონოდა, პრეზიდენტის დაპატიმრება არ შემეძლო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისეთი ძალა პროკურორს საერთოდ არ გააჩნია, რომ ეს საკითხი გადაწყვიტოს. პრეზიდენტს დაცვაში ყავდა გაცილებით მეტი ხალხი, ვიდრე პროკურატურაში მუშაობდა საერთოდ და რაც მთავარია, მე მას შემდეგ, რაც კომუნისტური პარტიიდან გავედი, არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან ან დაჯგუფებასთან არავითარი კავშირი არ მქონია, მე ვემსახურებოდი საქართველოს, მის პრეზიდენტს და მისი საწინააღმდეგო ერთი ნაბიჯიც არ მაქვს გადადგმული მასთან მუშაობის პერიოდში, თუ არ ჩავთვლით ჩემს მიერ იმ პირთა დაპატიმრებაზე უარის თქმას, რომელთა თავისუფლების აღკვეთაზე ის ოცნებობდა და რომელთა დაპატიმრების საფუძველი არ არსებობდა.

იმავე 19 ნოემბერს 17 საათზე მოწვეული იყო უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, სხდომაზე იხილებოდა წინასწარი გამოძიების რეორგანიზაციის საკითხი, მე შევიტანე წინადადება, რომ გამოძიების უფლება ჩამორთმეოდა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს, შს სამინისტროს და პროკურატურას და შექმნილიყო ერთიანი საგამოძიებო კომიტეტი, როგორც ჩანს საკითხის ასე დაყენებამ გააღიზიანა შს მინისტრი დილარ ხაბულიანი და განერვიულებულმა განაცხადა, რომ წესრიგის დამყარებაში მას ხელს უშლის სასამართლო და პროკურატურის ორგანოები. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ამის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, ქვეყანაში, როგორც უკვე აღვნიშნე, დანაშაულის კატასტროფული ზრდა იყო, მოქალაქეებს მოსვენება ჰქონდათ დაკარგული დამნაშავეთა თარეშის გამო და ამ დროს მილიციის მიერ მოწყობილი პროვოკაციის შედეგად დაკავებული პირების განთავისუფლებისათვის ბრალს გვდებდნენ. სიტყვა ვთხოვე და შევეცადე რაც შეიძლება მოკლედ გამეკეთებინა მიმოხილვა ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ და ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი და დამნაშავეობის წარმოშობის ხელშემწყობი გარემოებანი დავულაგე წინ პრეზიდენტს, ჩემი გამოსვლის დროს ის რამდენჯერმე შეეცადა შევეჩერებინე, მაგრამ მე გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა, ვერაფერი გამაჩერებდა, რაც სათქმელი იყო, უნდა მეთქვა. ვთქვი კიდეც და ბოლოს განვაცხადე, რომ ასეთ პირობებში მე პროკურორად მუშაობის გაგრძელება არ შემიძლია, სურვილი არა მაქვს-მეთქი.

განცხადება ჩემი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ იმავე დღეს 19 ნოემბერს გადავეცი პრეზიდენტს. მე მას პროკურატურიდან დავურეკე, რომ მოსვლა მინდა-მეთქი და 20 საათზე თქვენთან ვიქნები-მეთქი. ის იმდენად ყოფილა შეშინებული და დარწმუნებული, რომ მე მისი დაპატიმრება მქონდა გადაწყვეტილი, რომ ჩემს მისვლამდე გამოუძახებია გვარდიის ერთ-ერთი

ხელმძღვანელი ბესო ქუთათელაძე და მისთვის უთქვამს, 20 საათზე რაზმაძე უნდა მოვიდეს ჩემთან, არ არის გამორიცხული, რომ მოინდომოს ჩემი დაპატიმრება, ამიტომ შენობაში გყავდეს საკმაო ძალები, რომ გაუგებრობა არ მოხდესო. როცა პრეზიდენტის რეზიდენციაში მივედი, შენობაში ხალხმრავლობა იყო, დერეფნებში იყვნენ გამოფენილნი გვარდიელები, გამსახურდიას დაცვის წევრები, პრეზიდენტის მისაღების წინ იდგა ბ. ქუთათელაძე და იღიმებოდა, ჩემი მისვლისთანავე, სანამ მისაღებში შევიდოდი, გამსახურდია გამოვიდა იქიდან და მითხრა, პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში ვილაპარაკოთო. იქ კიდევ რომ მიველი, ცნობილი რობიზონ მარგველანი და კიდევ რამდენიმე პირი იდგა. მე ამისთვის არავითარი მნიშვნელობა არ მიმიცია. ყველაფერი ეს აღვადგინე მას შემდეგ, რაც ბესომ მითხრა პრეზიდენტის განცდების შესახებ.

უახლოეს მომავალში, უფრო სწორად, 10 დღის შემდეგ ჩემი განთავისუფლებიდან ზ. გამსახურდიას შეხვედრა ჰქონდა სტუდენტ-ახალგაზრდობასთან და როცა კატეგორიულად დაუსვეს საკითხი, რატომ დააპატიმრა ჭანტურია და ხაინდრავა, მან უპასუხა, რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე იყო ჩემი მტერი და მან შემიყვანა შეცდომაშიო.

დარბაზში, სადაც ზ. გამსახურდიამ ცილი დამწამა, გამომაცხადა თავის მტრად და დამაბრალა ჭანტურიასა და ხაინდრავას დაპატიმრების ინიციატივა, ბევრი იყო ასეთი პირი, რომელთაც იცოდნენ რა ბრძოლა გადავიტანე ამ საკითხზე მასთან, რომ ჭანტურია და ხაინდრავა ციხეში არ დარჩენილიყვნენ, მაგრამ ვერ გავიტანე ჩემი. მიუხედავად ამისა, არცერთმა მათგანმა ხმა არ ამოიღო, ამან კიდევ უფრო ამაღელვა და მიბიძგა პასუხი გამეცა პრეზიდენტისთვის იმ შეუფერებელი საქციელის გამო, რაც მან ჩაიდინა ჩემს მიმართ. დავწერე წერილი და გადავეცი ბატონ არჩილ გოგელიას, რომლის რედაქტორობით გამოდიოდა მაშინ ოპოზიციური გაზეთი "დრონი". წერილი დავასათაურე როგორც უმადურობა, რადგან ზვიადის მოქმედება ჩემს მიმართ ნამდვილად უმადურობა იყო.

1992 წლის 3 იანვარს, როცა მე აღდგენილი ვიქენი პროკურორის თანამდებობაზე და ჩემს რამდენიმე თანამშრომელთან ერთად კაბინეტში ვიმყოფებოდი, ბუნკერში გამსახურდიამ შექმნა ტერორისტთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუყენა ჩემს მიერ ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანილი და საკავშირო პროკურატურის, თუ შეიძლება ითქვას, კლანჭებიდან დახსნილი, პატიმრობიდან განთავისუფლებული ფირცხალავა და 15-კაციანმა ტერორისტთა ჯგუფმა 15-20 წუთის განმავლობაში ავტომატური იარაღის გამოყენებით, მაშინდელი შს მინისტრის რაფაელა დახმარებით და მონაწილეობით, რომელიც დღესაც პატიმში ჰყავთ შს სამინისტროში, დაცხრილეს პროკურატურის შენობა და ჩემი კაბინეტი. მათდა სამწუხაროდ, მე გადავრჩი. გამსახურდიას ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ჩემი ფიზიკური განადგურება და ამისათვის ყველაფერს აკეთებდა. როცა ის გროზნოში იმყოფებოდა, მისი დავალებით თბილისში შეიქმნა შეიარაღებული ჯგუფი მ. გოგიჩაიშვილის, თ. კაპანაძის, თ. წიკლაურის, ზ. ბარძიმაშვილის შემადგენლობით,

რომელთაც 1992 წლის ივლისის დასაწყისში ტერორისტული აქტი უნდა განეხორციელებინათ ჩემს მიმართ, განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს იმის გამო, რომ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მშრალ ხიდთან მისვლამდე, ავტოგასამართი სადგურიდან 150 მეტრის მოშორებით, სადაც მანქანების სავალი ნაწილი ვიწროვდება და სადაც ჩასაფრებული იყვნენ ტერორისტები, გამოჩნდა მილიციის ესკორტი და ვეღარ გაბედეს განზრახვის სისრულეში მოყვანა.

ამ ბოლო დროს გახშირდა კერძო და პოლიტიკური შეფასება 1991 წლის 22 დეკემბერ-1992 წლის 6 იანვრის მოვლენებისა. ამ საკითხის დასმა სავსებით ბუნებრივია, რადგან ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეიარაღებული შეტაკებების შედეგად დაემხო ქვეყნის კანონიერი ხელისუფლება. საინტერესოა, რა შედეგს ელიან ამ მოთხოვნის ავტორები. შეიძლება დღეს XX საუკუნის ბოლოს, იპოვო ადამიანი, რომელიც გაამართლებს ძალის გამოყენებით კანონიერი ხელისუფლების დამხობას? ყველა იტყვის, რომ იარაღის გამოყენებით კანონიერი ხელისუფლების დამხობა არის დანაშაული და უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება ცალკეულ პირთა მოქმედებას. დადგეს დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი.

მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა, შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს, რამ განაპირობა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შეიარაღებული დაპირისპირებები, ვისი მიზეზით დაიწყო შეიარაღებული შეტაკება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. არიან პირები და პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მხარს უჭერდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, ამდენად მონაწილეობდნენ მასში პირადად და თავისი შეიარაღებული ფორმირებით. დღეს კი მოითხოვენ მის შესწავლას და გმობენ მას. საჭიროა მათი დღის სინათლეზე გამოყვანა და საქმიანობის შეფასება. ზოგიერთი მოლაყბე პოლიტიკოსი, ამჟამად გმობს რა 22-დეკემბერ-6 იანვრის მოვლენებს, იმ დროს თითქმის ყოველდღე თ. სიგუასთან იყო კაბინეტში და მისგან მოითხოვდა გამსახურდიასთვის შუბლში ტყვიის დახლას.

სწორი და ობიექტური პოლიტიკური შეფასების მიცემა ამ მოვლენებისადმი სასწრაფოდ გასაკეთებელია, რადგან ის დიდად წაადგება შერიგების პროცესს.

მოვლენათა შეფასების დროს აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას შეიარაღებული კონფლიქტის ერთი მეტად განსხვავებული თავისებურება. ეს არ იყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ოპოზიციის მხრიდან, ვინც საომარ მოქმედებაში მონაწილეობდა, არც ერთს არ ჰქონდა ქვეყნის პრეზიდენტობის პრეტენზია. არც მანამდე და არც ხელისუფლების დამხობის შემდეგ არც ერთ მათგანს ამის სურვილი არ გამოუთქვამს. ეს იყო ზ. გამსახურდიას მიერ კარგად დაწყებული საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაგრძელება. ეს იყო ბრძოლა დიქტატურის წინააღმდეგ საქართველოში დემოკრატიული წყობილების დამყარებისათვის. ეს იყო ბრძოლა საქართველოში ადამიანის უფლებების და თავისუფლების აღდგენისათვის.

მე არ ვამტკიცებ, რომ ქვეყანაში ყველა საკითხი ცეცხლითა და მახვილით უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება რომ ეს ცეცხლი ხელისუფლებამ თავად გამოიწვია თავისთავზე. ქვეყნის პრეზიდენტი ვალდებულია უზრუნველყოს ქვეყანაში მოქალაქეთა კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა, ის ვალდებულია იზრუნოს და იღვაწოს ხალხის კეთილდღეობისათვის. დაიცვას ქვეყნისა და ხალხის უსაფრთხოება. როცა პრეზიდენტი ცდილობს ხალხის სამართლიანი მოთხოვნა ცეცხლითა და მახვილით ჩაახშოს, მას არა აქვს მორალური უფლება იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, პრეზიდენტი რომელიც თავისი კანონსაწინააღმდეგო მოქმედების დასაცავად თავისი ქვეყნის თუნდაც ერთი მოქალაქის სიცოცხლეს გასწირავს, ის არ არის ღირსი იყოს ქვეყნის პრეზიდენტი. პრეზიდენტს თავისი ხალხი უნდა უყვარდეს და უფრთხილდებოდეს მათ სიცოცხლეს. ამის შესანიშნავი მაგალითი მოგვცა აზერბაიჯანის ყოფილმა პრეზიდენტმა ელჩიბეიმ. ისიც კანონიერი გზით არჩევნების შედეგად იყო ხელისუფლებაში მოსული. როდესაც იგრძნო, რომ მის ხელისუფლებას საფრთხე შეექმნა ოპოზიციის მხრიდან და მოსალოდნელი იყო შეიარაღებული შეტაკება, დაუყოვნებლივ გადადგა და თავის სამშობლოს ააცილა სისხლისღვრა. აზერბაიჯანში ისე მოხდა ხელისუფლების შეცვლა, რომ ერთი კაციც არ დაღუპულა, ეს ელჩიბეის, მხოლოდ მისი დიდი დამსახურებაა, ეს მოხდა იმიტომ, რომ მას უყვარდა მისი ხალხი და გაუფრთხილდა მათ სიცოცხლეს, ის იყო დიდი პატრიოტი. ზვიადისტები და არა მარტო ზვიადისტები იძახიან, რომ გამსახურდია იყო დიდი პატრიოტი, მიუხედავად ამისა, ის რაც მოხდა აზერბაიჯანში, არ მოხდა საქართველოში. მე ვთხოვ მკითხველს, არ იფიქროს, რომ მე ვერიდები ან მეშინია იმის თქმა, რომ ზ. გამსახურდია არ იყო პატრიოტი. მე მოვიყვან ფაქტებს და მაქვს სურვილი, დასკვნები მკითხველმა გააკეთოს, იყო თუ არა ზ. გამსახურდია ქვეყნის პატრიოტი.

1991 წლის 22 დეკემბერ-1992 წლის 6 იანვრის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 127 კაცი. აღარაფერს ვლაპარაკობ გამსახურდიას ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ მისი მითითებითა და ხელმძღვანელობით განხორციელებული დივერსიებისა და ტერაქტების დროს დაღუპული ადამიანების რაოდენობის შესახებ, ეს ყველაფერი ხდებოდა იმიტომ, რომ გამსახურდიას გატაცებით უყვარდა პრეზიდენტის პოსტი, ვიდრე მისი ხალხი. ხომ ცნობილია, რომ მისი გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბესო ქუთათელაძე ეხვეწებოდა და ურჩევდა მას შეეწყვიტა ოპოზიციასთან შეიარაღებული დაპირისპირება, დაეწყოთ მოლაპარაკება და თუ საჭირო გახდებოდა, ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად დაეტოვებია კიდეც პრეზიდენტის პოსტი. როცა პრეზიდენტმა მისი რჩევა არ გაიზიარა, ბ. ქუთათელაძემ უარი განაცხადა თანამოძმეთა სისხლისღვრაში მონაწილეობაზე.

ის პრეზიდენტი, ვინც თანამდებობის შესანარჩუნებლად თავისი ქვეყნის მოქალაქეებს ერთმანეთს დაუპირისპირებს და არ უფრთხილდება ყველაზე ძვირადღირებულ ადამიანის სიცოცხლეს, არა აქვს მორალური უფლება იყოს ქვეყნის პრეზიდენტი. ხელმძღვანელის ღირსება და ავკარგიანობა უნდა

შეფასდეს იმის მიხედვით, რამდენად ზრუნავს ის ხალხის კეთილდღეობისათვის, მათი ჯანმრთელობის, მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

მკითხველს ვთხოვ, ჯერჯერობით დასკვნების გაკეთებისაგან თავი შეიკავოს. პატრიოტი თქვენ იცით არის ის, ვისაც უყვარს თავისი საშობლო და პატივს სცემს თავის ხალხს. გთხოვთ დასკვნები გააკეთოთ მას შემდეგ, როცა გაეცნობით ბატონ ზვიად გამსახურდიას "მოღვაწეობას ხალხის საკეთილდღეოდ" 1993 წლის სექტემბერში ქ. ზუგდიდში ჩამობრძანების შემდეგ.

ახლა იმის შესახებ, ვისი მიზეზით დაიწყო შეიარაღებული შეტაკება 1991 წლის 22 დეკემბერს. ეს მასალები სრულყოფილად ასახულია სისხლის სამართლის საქმეში, რომლის გამოძიება დაიწყეს კონფლიქტის პირველი დღეებიდანვე. მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ 22 დეკემბერს დილით სროლა დაიწყეს ხელისუფლების გვარდიელებმა, რომლებიც გამოვიდნენ მთავრობის სასახლის კიბეებზე. დაიჭრა და დაიღუპა რამდენიმე მოქალაქე. შემთხვევის ადგილზე ათამდე შეიარაღებული პირი იყო, რომლებიც შეადგენდნენ თ. სიგუას დაცვას, ხოლო დანარჩენი ოპოზიციაში მყოფი გვარდიელები იმყოფებოდნენ თბილისის ზღვაზე. ეს გარემოება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან თუ თ. სიგუას და თ. კიტოვანს შეიარაღებული კონფლიქტის წამოწყება ჰქონდათ განზრახული, ისინი თავის შეიარაღებულ ძალებს შეტაკების ადგილიდან რამდენიმე კილომეტრით ქალაქგარეთ არ გაიყვანდნენ, გარდა ამისა, თვით კიტოვანს, როგორც ცნობილია არაერთხელ ჰქონდა განცხადებული, რომ ის ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღს არ გამოიყენებდა, თუ ხელისუფლება იარაღით არ ჩაახშობდა ოპოზიციონერთა მოთხოვნებს და იცავდა კიდეც ამ პრინციპს. ზ. გამსახურდია თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი იყო და მისთვის კუთხური გრძნობა აბსოლუტურად უცხო იყო, მას ისეთივე ურთიერთობა ჰქონდა მეგრელებთან, როგორც იმერლებთან, კახელებთან, გურულებთან, რაჭველებთან და სხვებთან. როცა დასჭირდა, მან ისე ოსტატურად გამოიყენა თავისი მეგრული წარმოშობა, რომ მთელი რეგიონის მოსახლეობა გვერდში დაიყენა, მან ხალხში შექმნა რწმენა, რომ ის პრეზიდენტობიდან ჩამოაგდეს იმიტომ კი არა, რომ უვარგისი ხელისუფალი იყო და ვერ შეძლო ქვეყნის მართვა, რომ მეთოდები, რომელსაც ის მიმართავდა, დამღუპველი იყო ქვეყნისათვის, არამედ იმიტომ, რომ მისი წარმოშობა მეგრული იყო. ეს საკმარისი გახდა ხალხისათვის გამსახურდიას ხელისუფლებიდან წასვლა არარსებული კუთხური მოტივებით აეხსნათ. იწამეს ეს, რაც სრულიად საკმარისი გახდა ახალი ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობილებისათვის. ეს დაემართებოდა საქართველოს ნებისმიერი კუთხის ხალხს. ჩვენ ხომ კუთხურობით დაავადებული ხალხი ვართ. ზ. გამსახურდიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ქართველ კაცს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი თავისი კუთხის სიყვარული. ის სამშობლოზე ნაკლებად არ უყვარს, ზედმეტად მგრძნობიარენი არიან, როცა საუბარი ჩამოვარდება მისი კუთხის ავ-კარგიანობაზე.

მე რამდენიმე ეპიზოდი მოვიტანე ზ. გამსახურდიას ანტიქართული მოღვაწეობიდან, მისი გროზნოში ჩასვლის შემდეგ რომ განხორციელდა, ისე კი მკითხველს ალბათ კარგად ახსოვს ის უბედურება, რაც ყოველდღე ხდებოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთა საგაზეთო წერილში აღწერა, უბრალოდ შეუძლებელია.

ექსპრეზიდენტი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აფხაზეთ-საქართველოს საომარ მოქმედებაში საქართველოს დასახმარებლად არ ჩაბმულიყო ლ. ქობალიას გვარდია, ხოლო სექტემბრის თვეში, როცა დარწმუნდა, რომ ამ ომში საქართველოს დამარცხება გარდაუვალი იყო, მას უნდოდა, რომ ამ დამარცხებით გამოწვეული ხალხის უკმაყოფილება გამოეყენებინა დამხობილი ხელისუფლების აღსადგენად და 24 სექტემბერს ჩამოვიდა საქართველოში. მიზანი რა ჰქონდა - შურისძიება, რევანშის ალება და სამოქალაქო ომის დაწყება თუ ყველა ერთად? დღეს ალბათ, მისი აშკარა მომხრეებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ, მისი უაღრესად დიდი შეცდომა, რითაც დაამტკიცა, რომ ის იყო უმწიფარი, ახლოშხედველი პოლიტიკოსი. მას რისი გაკეთებაც შეეძლო, იმას გროზნოდანაც აკეთებდა, ეს იყო მისწრაფება დესტაბილიზაცია შეეტანა ქვეყანაში დივერსიული და ტერორისტული აქტების ჩადენით და ქვეყანაში იმ დროს გამეფებული ძარცვა-გლეჯის კიდევ უფრო გაძლიერება. ჩანს, სურვილი გაუჩნდა თავის თვალით ენახა და სიამოვნება განეცადა იმ უბედურების გამო, რაც საქართველოს თავზე ტრიალებდა. მისი ჩამოსვლით რაც გაკეთდა დამატებით, ეს იყო ის, რომ შეძლო თავისი თანამემამულეები, აფხაზეთიდან დამარცხებული რომ გამორბოდნენ, ზუგდიდზე არ გაატარა, იძულებული გახადა პატარა ბავშვები, მოხუცები, ორსული ქალები და საერთოდ, ომისა და გაჭირვებისაგან დაუძლურებული ხალხი სვანეთის მთების გავლით შემოსულიყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ისიც ხომ ცნობილია, რომ იმ "ტრავერსის" დროს რამდენი ადამიანი დაიღუპა. მე ხომ ვწერდი, რომ გამსახურდიასთვის ხალხის კუთხური წარმოშობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამ საკითხს ის ყურადღებასაც არ აქცევდა. მისთვის ყველა ერთი იყო. მან მისი მეგრული წარმოშობა მხოლოდ მაშინ და იმისთვის გამოიყენა, რომ სამეგრელოს მოსახლეობას მისთვის მხარი დაეჭირა და მისი დახმარება დასჭირდა. ყველაფერი დაივიწყა. მან ხომ შესანიშნავად იცოდა, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველების 90 პროცენტი მეგრული წარმოშობისა იყო. არაფრად არ ჩააგდო ეს გარემოება და არ შემოუშვა, მაგრამ სამაგიეროდ, მწვანე გზა გაუხსნა გადამთიელ ურჯულოებს, რომლებმაც აფხაზებთან ერთად, რუსეთის დახმარებით აფხაზეთში დაგვამარცხა, ახლა დასავლეთ საქართველოს დაპყრობაში ეხმარებოდა "დიდ პატრიოტს" ზ. გამსახურდიას. აფერუმ, საქართველოს ექსპრეზიდენტს, რომელიც კიდევ პრეზიდენტობაზე ოცნებობდა.

მე ვფიქრობ, არ არსებობს მოქმედება, რომელსაც რაღაც გამართლება არ მოეძებნოს, მაგრამ როგორ უნდა გაამართლო ადამიანის მოქმედება, რომელიც ანადგურებს თავისი სამშობლოს ეკონომიკას დივერსიების, ტერაქტების, ყაჩაღობისა და ძარცვის გზით, რომელმაც თავისი ხალხი დააპირისპირა

ერთმანეთთან და ჩააბა სამოქალაქო ომში, რომელიც არ უფრთხილდება ადამიანის სიცოცხლეს და დახმარების ნაცვლად ხელოვნურად უქმნის პირობებს, რამაც მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე უნდა შეიწიროს. ასეთი მოქმედების გამართლება შეუძლიათ მათ, ვინც ზვიადს დიდ პატრიოტს უწოდებს.

ნუთუ ასეთი უკურნებელი სენია ეს პრეზიდენტობა, რომ მისი დაკარგვა ადამიანს სამშობლოს და თავისი ხალხის სიყვარულს აკარგვინებს.

ზვიად გამსახურდია იყო ანტიკომუნისტი, მაგრამ თავის ხალხზე შეყვარებული დიდი პატრიოტი ის არასდროს ყოფილა. მას უყვარდა საქართველო, მაგრამ უყვარდა ის საქართველო, რომლის პრეზიდენტიც თვითონ იქნებოდა, სხვა შემთხვევაში მზად იყო საქართველო მიწასთან გაესწორებინა. მის ბიოგრაფიაში ყველაზე მნიშვნელოვანი და დასაფასებელია მისი ცხოვრების ის პერიოდი, როცა ის იბრძოდა კომუნისტური წყობილების წინააღმდეგ. ამით დასრულდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პოზიტიური მხარე. ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო დიდი ანტიდემოკრატი, რომელიც ცდილობდა საკუთარი დიქტატურის დამყარებას და არაფრად აგდებდა ადამიანის უფლებათა დაცვას, ხოლო ხელისუფლებიდან გადაყენების შემდეგ იყო დიდი ანტიქართველი, რომელიც ტერორისა და შანტაჟის გზით შეეცადა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა ქართველები, დივერსიისა და მოსყიდვის გზით დაესუსტებინა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ნაწილობრივ მიაღწია კიდევაც ამას და მიაღწია იმიტომ რომ, მის პიროვნებას ხელისუფლებიდან გადაყენების შემდეგ არ მიეცა სათანადო პოლიტიკური შეფასება და ხალხს, რომელიც დაბრმავებული იყო მისი სიყვარულით, ეროვნულ გმირებზე გამსახურდიას ოსტატური თამაშის გამო თავის დროზე არ ვუთხარით იმ შეცდომების შესახებ, რაც მან დაუშვა ქვეყნის მართვის საქმეში, რომ ქვეყანა ეკონომიკურად უფსკრულისაკენ მიექანებოდა, ხოლო პოლიტიკურად იზოლირებული იყო გარე სამყაროსაგან. ეს იყო მისი პიროვნების შეუფასებლობა, რაზედაც პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ უნდა აიღოს თავის თავზე".

როდესაც ბატონი ვახტანგი საუბრობს "ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე", ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს პირველ რიგში ეხება ედ. შევარდნაძეს, რომელმაც თავისი ორჭოფული, უპრინციპო, და ფაქტიურად ბრიყვული პოლიტიკის გამო საქმე მიიყვანა იქამდის, რომ წალენჯიხიდან სააკაშვილის მიერ ჩამოყვანილმა პირველსავე ზვიადისტურმა ავტობუსმა მყის გამოაცალა მას უკვე დამპალი პრეზიდენტის სკამი. მხოლოდ ახლა ამოღერღა მან რაღაც სიმართლე (იხ. გაზ. "24 საათი", 11 თებერვალი, 2005 წ.): "აქ აღარ ვლაპარაკობ სოხუმის დაცემაზე. დამცველთა უმეტესობა ზვიადისტები იყვნენ. სანამ ბატონი ზვიადი დაბრუნდებოდა, ისინი კეთილსინდისიერად იბრძოდნენ გუმისთის გასწვრივ, აგრეთვე, საიმედოდ ჰქონდათ ჩაჯეტილი ფუნიკულიორი.

ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლისთანავე, მათ მიეცათ ბრძანება, მოხსნილიყვნენ პოსტებიდან და, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, ასეც მოიქცნენ".

კი მაგრამ, დალოცვილო, მსგავსი რამ ადრეეე გეთქვა და არა ის, რომ ზ. გამსახურდიას გამოცხადებული რეფერენდუმი "ოქროს ასოებით" შევა ისტორიაში, საქმისთვის უმჯობესი არ იყო? ვის თაფლავდა, ვის უგორებდა კამათელს - ზვიადისტებს? მაგათ დანდობა არ იციან და კარგადაც შეანჯღრიეს შევარდნაძე 1998 წლის ტერორისტული აქტით, რომლითაც დღესაც ტრაბახობენ. ან ასეთი ფაქტის მხოლოდ ახლა თქმა, გადაბრუნებულ ურემთან: "მოსკოვის თათბირზე, როცა ელცინს დახმარება ვთხოვე, ფოთში შემოსული მატარებლების გამოცილებაში, იცით რა მიპასუხა? გრაჩოვს შესთავაზა, გადმოეღო საქართველოს რუკა, რომელიც წითელი ხაზით შუაზე იყო გაყოფილი - წიფის გვირაბის იქეთ და წიფის გვირაბს აქეთ. ელცინმა შემომთავაზა: ამ წითელი ხაზის აღმოსავლეთით, ესე იგი თბილისში, შენ იყავი, ხოლო დასავლეთ საქართველოში გამსახურდია დაბანაკდესო. ამ შეხვედრის მონაწილეები გაოგნდნენ, განსაკუთრებით ალიევი იყო გაურკვეველ მდგომარეობაში, ეს რა ხდებაო, დღეს საქართველოს გაყოფთ, ხვალ აზერბაიჯანის საკითხიც დადგებაო, - დაახლოებით ასეთი იყო მისი რეაქცია".

ან იმის თქმა იმავე სტატიაში, რომ ბალტინის შემოსვლა მე კრავჩუკს ვთხოვე და უკრაინელებიც დაგვეხმარნენო - უსუსურად მიმაჩნია. ბალტინის ფლოტი - რუსული ჯარების ნაწილია და ის ვერ იმოქმედებდა რუსი მთავარსარდლის გარეშე. გინდაც ვცდებოდე და ისე ყოფილიყო, როგორც შევარდნაძე ბრძანებს, რა ვუყოთ გია ყარყარაშვილის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა წელს, 9 მაისს, ტელეარხ "იმედის" მეშვეობით: სულ არ გვჭირდებოდაო ბალტინი - ზუგდიდი ნახევრად იყო დაპყრობილი და ფოთიც. ბალტინმა იქ "მხედრიონელები" და სამთავრობო ჯარის მეთაურები დააპატიმრაო.

მაგრამ დაეუბრუნდეთ გამსახურდიას "გმირობებს". გრძელდებოდა მისთვის საძულველი ინტელექტუალების (და ასეთნი უმეტესობა იყო) დევნა-შევიწროება. მარტო ჭაბუა ამირეჯიბის გამოსვლა რად ღირს ზვიად გამსახურდიას მიერ მოწყობილ შეხვედრაზე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ყოფილი ცკ-ს სხდომათა დარბაზში, 1991 წლის 7 სექტემბერს (სტენოგრაფიული ჩანაწერი): "... მე ვთქვი, რომ მამარდაშვილთან მივიდნენ ვიღაც ნაძირლები, აუშალეს ნერვები, კაცს ჰქონდა სუსტი, ავადმყოფი გული, ვერ გაუძლო, გარდაიცვალა. მე ამას მკვლელობად ვთვლი... თქვენ მე დამარქვით პოლიტიკური ცხედარი. მე თქვენზე მეტი პოლიტიკური ცხედარი არასდროს ვყოფილვარ და არც ვიქნები! მე მუდამ ვიყავი დისიდენტი. მე მზად ვარ, ყველაფერი ავიტანო, რასაც ჩემი ჯანი ეყოფა. მე ციხეში წასვლის არ მეშინია, მე იქ ზოგივით კრუხად არ ვმჯდარვარ (გაიხსენეთ როგორ არწმუნებდა ზ. გამსახურდია მ. კოსტავას - ჩეკისტები "თეთრი მაგიააო". ვ.რ.), ის ჩემი სახლია. ბრალი იმისა, ვინც... ეგრე მჯდარა" (იხ. ჭ. ამირეჯიბი, შივას თვალით, თბილისი 1997).

ახლა მოვუსმინოთ ნიჭითა და ზნეობით გამორჩეულ მწერალ ჯემალ ქარჩხაძეს, რომელიც 1991 წლის სექტემბერში, ინტერვიუს მიცემისას აცხადებს: "აგვისტოში აშკარად გამოიკვეთა ჩვენი ოფიციალური ხელისულ-

ფების ლოიალობა პუტჩის მიმართ. არ გამოითქვა მკაფიო პროტესტი (სასაცილოა: პროტესტი კი არა და ზ. გამსახურდიას უკვე იანაევთან ჰქონია კავშირი დამყარებული! - ვ.რ.) და არ დაიგმო გადატრიალების მცდელობა. ყველა რესპუბლიკამ, ვისაც კი დემოკრატიულობის სამართლიანი პრეტენზია აქვს, პუტჩი დაგმო. მეტიც, მოლდავეთის პრეზიდენტმა სწორედ მაშინ გამოაცხადა გვარდიის შექმნა, ჩვენ კი გვარდია ფაქტიურად დავშალეთ. ჩვენს ხელისუფლებას შეეშინდა, შეწყვიტა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და გადაწყვიტა ხელისუფლების შენარჩუნება, ამის ერთადერთი გზა კი იყო ლოიალური დამოკიდებულება პუტჩის მიმართ".

1992 წლის 24 იანვარს კი იგივე მწერალი აცხადებს: "ორ სექტემბერს, როდესაც თოფი გვესროლა, საკუთარ თავს საბოლოოდ განაჩენი გამოუტანა. ამის შემდეგ იგი მხოლოდ ნომინალურად იყო პრეზიდენტი, ყველაფერი უკვე დროის საქმეღა იყო, რაც შეეხება პიროვნულ დახასიათებას... კაცი რომ სწორად დაახასიათო, ისეთ ბუნებრივ და უშუალო გარემოში უნდა გყავდეს ნანახი, როგორშიაც ახლახან უცნობი (იქნებ ნაცნობიც, მე არ ვიცი) ოპერატორის წყალობით ნემო ბურჭულაძე ვნახეთ (იგულისხმება უწმაწური გინებების ყვირილით ნემო ბურჭულაძე ბუნკერში, ქეიფის დროს, ვ.რ.). ერთი რამ კი შეიძლება მკაფიოდ და დაბეჯითებით ითქვას: ზვიად გამსახურდია ოდიოზური ფიგურა არ არის. ოდიოზური ფიგურა ვერ გაბედავდა მთელი საქართველო გაეწირა იმისათვის, რომ მამის ჩრდილიდან გამოსულიყო" (იხ. ჯემალ ქარჩხაძე, პუბლიცისტიკა, 2005 წ.).

ზ. გამსახურდიამ თავისი რეჟიმის გასამყარებლად და "მხედრიონისა" და სხვა ოპოზიციური ჯგუფების საწინააღმდეგოდ ნაცისხარ ქალებს მიმართა, ე.წ. "მედრიონს". "ეს ე.წ. ქალთა სპეცდანიშნულების ბატალიონიც, შიშის ზარს რომ სცემდა ხელისუფლების ყველა მოწინააღმდეგეს" (იხ. გრ. ჟვანია, მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები და ხელისუფლების დამხობა", თბ. 1999). გაიმართა მთავრობის სასახლის წინ პრეზიდენტის მომხრეთა მიერ მხარდასაჭერი განუწყვეტელი მიტინგები და გაშალეს კარვები (ტელეფონიანები), სადაც ეს მედრიონი სახლობდა. გადმოცემით ვიცი იქ ჩამველელთაგან, რომ საშინელი შმორის სუნი იდგა იქ განუწყვეტლივ. როგორც ბატონი რუსლანი იტყვის:

ტარიელს რომ ჩაეფხრინა
ამ ჭუჭყიან ჯარვის ქალთა,
სურნელება წააქცევდა
დაუბანელ ჯარვის ქალთა.

როგორც თამაზ წივწივაძემ გაიხსენა "ლიტერატურულ საქართველოში", მაშინ ძალზე დიდი ჯგუფი ქალებისა ცდილობდა ზვიადისაგან განაყოფიერებას, მაგრამ ტექნიკურად ვერ გამოუვიდათო... ასეთი ფსიქოლოგიის დახასიათება ძალზე ზუსტად მოგვაწოდა ანდრიან როზენმა მწერალ ე.ბ. ფიოდოროვის მაგალითზე, რომელიც, ამჯერად, ზვიადისტი კი არ იყო, არამედ ნამდვილი სტალინისტი. ანდრიან როზენი გვამცნობს: "ეს მწერალი - ადამიანი, ასე ვთქვათ, ძალზე

მომეტებული ემოციურობითა და აღგზნებადობით გამოირჩეოდა. იხილა რა დემონსტრაციის დროს მაეზოლეუმის ტრიბუნაზე თავისი კერპი სტალინი ("ცოცხალი ღმერთი"), ფიოდოროვმა განიცადა აღფრთოვანება და აღგზნება, რაც დამთავრდა თესლის გამოყოფით (როგორც, სხვათა შორის, დამთავრდა სიხარული მისი ძალლისა, დიდი ხნის უნახავი პატრონის დაბრუნების გამო)" (იხ. "ნეზავისიმაია გაზეთა", 8 ოქტომბერი, 1998 წ.). უბედურება ისაა, რომ ზ. გამსახურდიას გარდაცვალების მერეც ბევრმა ქალბატონმა, მისი სახელის ხსენებისას, ალბათ ფიოდოროვის ეს ჩვევა შეინარჩუნა. ასეთებია, მაგალითად, ლეილა ცომაია და მისი ამხანაგი, რომელთა წერილებმა ჩემი ყურადღება მიიქცია თავიანთი საშინელი ტენდენციურობით, ცილისწამებითა და გაუნათლებლობით. აქ ძალაუნებურად ისევ რუსლან მიქაბერიძეს მოვუხმობთ:

აშართა ამქარი

ეს პოლიტიკის მიზეზით
შეშლილ აშართა ამქარი,
ასე იმიტომ იქცევა,
ან მამა არ ყავთ, ან ქმარი,
ან თუ ყავთ, ნაღდად იქნება
მათივე მსგავსი ახვარი.
ზოგიც ჯერ არის უხმარი,
აცდა ვაჟკაცის ლახვარი,
ან ტირაჟიდან გასული
დაჩამიჩებულ გამხმარი,
ზოგია მხოლოდ ნასვამზე
თვალდახუჭულად სახმარი,
და ბოლოს, მათში რომელიც
მთლიანად არი წამხდარი,
ვითომდა იდეებისთვის
ნადირად როია გამხდარი,
თვალის თეთრონებს აელვებს,
ვერ იჭერს ორჯერ ცხრა ხარი,
ის ქალი იშვიათად და
თან ცუდად არი ნახმარი.

ბატონ რუსლანს ამ ლექსზე ასეთი მინაწერი აქვს: "ამ ლექსის გამო ღირსეულ ქალებთან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ქართველი ქალის გადაგვარების სურათებმა ისე შემზარა, რომ მათზე "ფოლკლორული საკმაზის" გარეშე წერა შეუძლებელი იყო. თუ რამდენიმე დედაკაცს მაინც შეზიზღდება აშაროობა და საქალეთს დაუბრუნდება, დანარჩენების ლანძღვა-გინება ჯანდაბას!"

წარმოიდგინეთ, ამ კარვის ქალებით გარშემორტყმული, ავტობუსებით ჩახერგილი, პარლამენტის შენობის წინა ტერიტორია, სადაც გამოდიოდა გაფუყული (რადგან კოსტუმის ქვეშ ჯავშანჟილეტი ეცვა) პრეზიდენტი გამსახურდია მიკროფონით ხელში. ისევ რუსლანი:

მართლა ვაი

მართლა ვაი იმ ქვეყანას,
ისეთ ჯაცს რომ ებარება,
ხალხის შიშით ვინც ჯახპებს და
ავტობუსებს ეფარება.

მაგრამ მთელი ეს სიტუაცია ტრაგიკულ-კოშმარული განცდით იპყრობს პოეტ ემზარ კვიტაიშვილს, რომელიც გოიას "კაპრიჩოს" მსგავსად მას შემდეგნაირად გამოხატავს:

ურჩხული

შემმარავია მისი აკანკალებული, თხასავით კიკინა ხმა... მესმის შავ მეგაფონზე მისი დაკვანჩხული ფრჩხილების კაკუნი. ეის უხმობს ეს ბურგმოშველებული, გულგამხმარი გველეშაპი, რა მართებს მისი ამ გატყავებულ, დაგლეჯილ, დამწვარ მიწას. შეშალა ბრბოს თავზე აწოწილმა უწმინდურმა - თმაგაწეწილი, მწივანა, სახეარეული, აღმადაღმა მოარული ქალები. თვითეულს, დამშეულ სხეულში, შმორიანი ეშმა ჩაუსახლა. იხუტებენ, გართხმულნი, ეირთხის ხატს...

დაბნეულები, ტვინდაბნელებულები ეელარც ხედებიან, სატანა მათი შვილებისა და ძმების სისხლით რომაა გასისინებული. მთლად ნუ დავბრმავდებით, გათავდეს როკვა მახინჯის, მკვლელის...

სწორედ ამ დროს მიუსევს ზ. გამსახურდია შავნაბადაზე მყოფ "მხედრიონელთა" მცირე რაზმს რუსული არმიის ნაწილებს. რუსლან მიქაბერიძე:

შავნაბადას შავი ღამე

ცოფით მობრეცილი ჰირი
სარდალს ყურთან მიუწია,
ტირანს სული უწმინდური
სატანასვით მიუცია,
ქართველ ბიჭებს,
მძინარ ბიჭებს
რუსის ჯარი მიუსია.

იმდროინდელ სიტუაციას კარგად ასახავს ნ. ნათაძის წერილიც, რომელიც გამოქვეყნდა გაზ. "საქართველოში" (5.12.91) სათაურით "სიმახინჯის რეკორდები": "მინდა წერილობით დავაფიქსირო ის, რაც ვნახე, რათა შთამომავლობას თვითმხილველის მონათხრობი ჰქონდეს წინა თაობის სირცხვილსა და სიბრმავეზე, რომლის სავალალო შედეგები, უეჭველია, ნაწილობრივ მაინც იმ ახალი თაობის ცხოვრებასაც გადასწვდება.

1991 წლის 3 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე პრეზიდენტის მხარდამჭერი ქალების ჯგუფმა სხდომაზე არ შემოუშვა დეპუტატი ვ. ადამია. დეპუტატთა მოთხოვნას, უზრუნველეყოთ დეპუტატ ადამიას შემოშვება სხდომაზე, თავმჯდომარემ ნ. ბურჭულაძემ უპასუხა, "შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ რ. გვენცაძემ ვერ შემოიყვანა,

მე როგორ შემოვიყვანოო". დეპუტატთა კორპუსი კარგად იცნობს ქალების იმ ჯგუფს, რომლებიც ლანძღვა-გინებით, წყველით, ფურთხებით, ფიზიკური შეხებით და ჭიშკარში შესასვლელის გადაკეტვით სესიებზე შესვლას და გამოსვლას უშლიან პრეზიდენტისთვის არასასურველ დეპუტატებს.

აქ აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სხდომის დარბაზი, უფრო ზუსტად კი - სარდაფში მოთავსებული ბუნკერი 3 დეკემბერს სავსე იყო პიროვნებებით, რომლებიც დეპუტატთა შორის იმყოფებოდნენ და როგორც იტყვიან "ატერორებდნენ" იმათ, ვინც თავისი ფსიქიკური წყობით "დატერორიზებადი" აღმოჩნდებოდა.

პარლამენტის ამ მასხრად აგდებამ და მისმა, როგორც მუშა ორგანოს, ამ პარალიზაციამ აიძულა დეპუტატთა დიდი ჯგუფი, მათ შორის მე, გავსულიყავით სხდომის დარბაზიდან პროტესტის ნიშნად და აღარ მიგვეღო მონაწილეობა იმ დღის სხდომაში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ პასუხისმგებელნი ვხდებოდით პარლამენტის მიერ სტუდენტებისათვის მიცემული სიტყვის დარღვევაზეც და "უკანონო ფორმირებათა" შესახებ დადგენილების მიღებაზეც - სათანადო განხილვის გარეშე.

როდესაც დეპუტატთა ჯგუფმა გასვლა დავაპირეთ მთავრობის სახლის ზედა გასასვლელიდან (რომელთანაც მანქანა ახლოს მეყენა), გზა გადაგვიკეტა სხვადასხვა ასაკის ქალების ჯგუფმა. წყევლა-კრულვით და ლანძღვა-გინებით, მათ მოითხოვეს, რომ ჩვენს სადეპუტატო უფლებამოსილებაზე უარი გვეთქვა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვემუქრნენ, რომ ყველა გასასვლელში ჩადგებოდნენ და გარეთ არ გაგვიშვებდნენ. ასეთივე ქალები, ოცი-ოცდაათი სული, თავმოყრილი იყო მთავრობის შენობის ეზოში, სადაც შესვლა საშვებით წარმოებს. მათი უწმაწური ლანძღვა-გინება და წყევლა სესიიდან გამოსული დეპუტატების მიმართ არა მარტო საქართველოს მთავრობის სახლს, არამედ ქუჩასაც არ ეკადრებოდა. ეს იყო ხულიგნობა ამ დანაშაულის ყველა ნიშნით. ერთი ინტელიგენტური შესახედაობის ქალი, შუა ხნისა, ხელებით "ცხვირს" გვიჩვენებდა და "ყურებს" გვიპარტყუნებდა. მეორე ქალი, ამავე ასაკისა, ყეფისა და ღრუტუნის იმიტაციას ეწეოდა, რამდენჯერაც ოპოზიციონერი დეპუტატის ახლოს აღმოჩნდებოდა. ყოველივე ამას მშვიდად უყურებდა მილიცია, უმაღლესი თანამდებობის პირების ჩათვლით. დეპუტატებმა მოვთხოვეთ საგუშაგოზე მდგომ მილიციელებს, შინაგან საქმეთა მინისტრს და მილიციის თბილისის სამმართველოს უფროსს, უზრუნველეყოთ ჩვენთვის ქვედა, ანუ ოფიციალური გასასვლელის გაღება, რათა ოფიციალურად გავსულიყავით ტერიტორიიდან და თუ ჩვენზე კვლავ მოხდებოდა ხულიგნური თავდასხმა, ეს ყველასთვის დასანახი ყოფილიყო. მათ ეს არ გააკეთეს, ან ვერ გააკეთეს დღის პირველი საათიდან საღამოს ექვსის ნახევრამდე. როგორც მილიციელთა საუბრიდან გავიგე, გასაღები პრეზიდენტის მდივანს ჰქონია. ამგვარად, მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ სესიიდან პროტესტის ნიშნად გამოსული დეპუტატების იძულებითი გაჩერება მთავრობის სახლის ტერიტორიაზე წინასწარ ვერაგულად ჩაფირებული ღონისძიება ყოფილა.

მე მგონი, ამ კრიტიკულ სიტუაციას დღევანდელ მსოფლიოში ადგილი

არსად არ მოეპოვება. სირცხვილია და სირცხვილის გარდა ვერაფერს მოიტანს. ყველაზე უფრო იმის მეშინია, ჩვენვე არ დავკარგოთ ჩვენი თავის პატივისცემა, რომელიც ერის გადარჩენის აუცილებელი პირობაა."

სანამ შემდგომი მოვლენების აღწერაზე გადავალთ, აქ მოკლედ ვახსენებთ თ. ჭანტურიშვილის მიერ ზ. გამსახურდიას "ავტობიოგრაფიის" გარჩევას (იგი გამოიცა მოსკოვში 1996 წელს და დაწერილი ყოფილა 1993 წელს, რედაქტორი - მ. არჩვაძე), სადაც მისხალ-მისხალ არის გამომჟღავნებული ავტორის - გამსახურდიას ყოველგვარი ნაყალბევი: დაწყებული იმით, რომ თურმე მ. კოსტავას "უხსნის" კგბ-ს ოფიცრების თანდასწრებით, თუ რაოდენ "საჭიროა" მისი მონანიება და კოსტავაც ხელს უწერს და ამხნევებს: "მიდი, მიდი" (ე.ი. რუსი მკითხველის თვალში კოსტავას უხერხულ მდგომარეობაში აგდებს, რადგან ყველაფერი ეს, გინდა თუ არა, კგბ-ს დასტურით მომხდარა), შემდეგ, პატრიარქის ილია II კგბ-ს აგენტად გამოცხადება ამ წიგნის ყოველ მეორე თუ არა მესამე გვერდზე, ეს მაშინ, როცა დაბადების დღეს მას სუფრა დაალოცვინა და გვერდიდან არ იშორებდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამსახურდია საქართველოდან გააძევეს, მის მერე გახდა პატრიარქი აგენტი და თავის მომხრე აფხაზეთის ქართველობას პატრიარქის გადახაზული სურათი დააკავებინა ერთ ხელში, მეორეში კი ჯოჰარ დუდაევის გაბადრული ფოტო. გამოაშკარავებულია ზ. გამსახურდიას მიერ თავისი თავის განდიდების ცდა 1956 წლის მოვლენებში, როდესაც იგი, უფროსკლასელი, რამდენიმე ამხანაგთან ერთად ორი თვით დაიჭირეს და კონსტანტინეს ჩარევისა და პროტესტების მერე გაანთავისუფლეს; გამოაშკარავებულია გამსახურდიას ცილისწამებანი სხვადასხვა პიროვნებების მიმართ და სხვა. სამწუხაროდ, ამ ვრცელ გარჩევას ჩვენ ადგილს ველარ დავუთმობთ და დაინტერესებულ მკითხველს მივუთითებთ: თ. ჭანტურიშვილი "მორიგი პროვოკაცია მოსკოვიდან" - პირველად დაიბეჭდა გაზ. "საქართველოს რესპუბლიკაში" (15-18 სექტემბერი, 1998 წ.), შემდეგ შევიდა კრებულში - "სიმართლე ზ. გამსახურდიას შესახებ", თბ. 1999 წ.)

ცალკე აღნიშვნის ღირსია ზ. გამსახურდია და შიდა ქართლი. აქაც მივმართავ ბ-ნ რ. მიქაბერიძეს, ოღონდ მის ინტერვიუს "ალიაში" (18 აგვისტო, 1997 წ.): "პროვოკაციული იყო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიის გაუქმება. უჯარო ქვეყანაში საწყალი მილიციელები შეიყვანეს, თან ბრძოლაში მაკაროვის 8-8 ცალი ტყვია გაატანეს და ბევრიც დაიხოცა. როგორც კი შეამჩნიეს, მათი იქ ყოფნა სასწორს ჩვენკენ ხრიდა, სასწრაფოდ უკანვე გამოიყვანეს".

კიდევ უფრო კატეგორიულია ნ. ნათაძე. როდესაც გამსახურდია გროზნოში გადაბარგდა, ნ. ნათაძე, უკვე ემოციების გარეშე, ასეთნაირ შეფასებას აძლევს მის მოღვაწეობას თავის ინტერვიუში (გაზ. "თბილისი", 6 მარტი, 1992 წ.): "შიდა ქართლი დღესაც კრიტიკულ ვითარებაშია. ყოფილი ხელისუფლების ყველაზე დიდი დანაშაული საქართველოს წინაშე ის არის, რომ ეს მხარე უპატრონოდ დააგდო, ქართული სოფლები რუსის ჯარისა და ბანდების ამარა დატოვა. გამსახურდიას რეჟიმმა იქ დააკანონა საკაშირო

ჯარების მოქმედება... რასაც საქართველოში გამსახურდია ამკვიდრებდა, ეს იყო უსაზიზღრესი ფსიქოპათიური, ისტერიული სისტემა... გამსახურდიას ეკონომიკური პოლიტიკა ჯანსაღი არ იყო. იგი თავისი ბუნებით სოციალისტური და, ცოტა არ იყოს, მანიაკალური იყო".

მაგრამ სჯობს ისევ ბ-ნ რ. მიქაბერიძეს დავუთმოთ სიტყვა, რადგან იგი თვითმხილველია და ცოცხალი მოწმეა იმ ამბებისა.

" - გამსახურდიას პიროვნება პირველად ცნობილი ტელემონანიების დროს დავინახე. ყველასთვის, ვისაც იგი გმირი ეგონა, ეს საშინელი დარტყმა იყო. როდესაც მერაბ კოსტავა ციხიდან გამოვიდა, ერთ პურობაზე ვკითხე, იყო თუ არა იქ ცემისა და წამების ფაქტები-მეთქი. გაიცინა,- არა კაცო, არაფერი მსგავსი არ ყოფილა, დამუშავება ფსიქოლოგიური მეთოდებით ხდებოდა. მაშინ მივხვდი, ვინ იყო "ტაქტიკური უკუსვლის" ავტორი. ეროვნული მოძრაობის კულუარებში ეს მუდამ ქილიკის თემა იყო. მეტიც, როცა ამის შესახებ მერაბს ეუბნებოდნენ, პასუხობდა: ამ კაცს ნუ მასწავლით, "ამის ჩაშვებული" ვარ, გატყდა, მაგრამ სიყრმის მეგობარია და იყოს მოძრაობაში, ხელს ნუ ვკრავთო. დიახ, მერაბმა ქრისტიანულად აპატია, მაგრამ გამსახურდიას უკვე ეშმაკისათვის ჰქონდა სული მიყიდული და მის პატრონებს ისე ჰყავდათ კომპრომატით დაჭერილი, რომც სდომებოდა, თავს ველარ დაიძვრენდა.

- მეორედ გამსახურდია მაშინ ვნახე, როცა "ღირსების სასამართლო" მოუწყვეს. პირზე სამი კაცი დაადგა და ცილისწამება დაუმტკიცეს. შემზარა მისმა უტიფრობამ, მივხვდი, მას არაფერი წმინდა არ გააჩნდა. ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ ე.წ. "რადიკალებს", ვკითხე, ასეთი მორალის კაცი რად გინდათ-მეთქი. ამიხსნეს, ჯერჯერობით, ბრბოს მის მიერ "კგბ"-ს მოტყუების ლეგენდა სჯერა. როცა სიმართლეს გაიგებს და მიხვდება, ვინ ვინ არის, ეს ქარიზმატული ბელადი გამოიფიტება და მას თავისთავად გადააგდებენო; ვაი, რომ ისინი მწარედ ცდებოდნენ. გამსახურდიას გაბელადებაზე "კგბ"- პრესა და ტელევიზია ოსტატურად მუშაობდა. მიზანსაც მიაღწიეს.

კორესპ.: რა გაძლევთ ამის თქმის უფლების საფუძველს?

- რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ. როდესაც გამსახურდია ოპონენტების მისამართით მორიგ ცილისწამებას გადმოანთხევდა, მას ამისთვის დაუბრკოლებლად უთმობდნენ ეთერს. ოპონენტებს კი 10 შემთხვევიდან შეიძლება ერთხელ მისცემოდათ პასუხის გაცემის საშუალება. მიზეზს რომ ვკითხულობდით, გვიპასუხებდნენ, ეროვნულ მოძრაობაში შუღლის გაღვივებას ვერიდებითო. თურმე, ამაზე ცეკასა და "კგბ"-ს ტელევიზია ძალიან დარდობდა.

1990 წლის 17 მაისს "ახალგარდა ივერიელში" გამსახურდიამ დაწერა, ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში ხელისუფლების სტრუქტურებში მოსვლა უზნეობააო. ამის შემდეგ რამდენიმე დღეში საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია გააჩაღა. ალბათ, ახალი ინსტრუქცია მიიღო.

1990 წლის 9 აპრილი ახლოვდებოდა. ოსებმა კაცი გამოგზავნეს და

სამგლოვიარო მიტინგზე მისვლის ნებართვა ითხოვეს. გაგვიხარდა და დავთანხმდით. უეცრად ვითარება შეიცვალა, ცხინვალში 9 აპრილის მემორიალი დაარბიეს და წაბილწეს. გამოძიება დავიწყეთ და მივაკვლიეთ კაცს, რომელმაც გამსახურდიას დავალებით ოსებს უთხრა: - არ ჩამოხვიდეთ, ქართველები დახოცვას გიპირებენო. როდესაც ეროვნული ფორუმის სხდომაზე ეს ყველაფერი გამსახურდიას დაუმტკიცეს, მან შეურაცხყოფილის როლი გაითამაშა და ეს ფაქტი ფორუმიდან გასვლის ერთ-ერთ საბაბად გამოიყენა. მას ეროვნული მოძრაობის გახლეჩვა ჰქონდა დავალებული.

უნივერსიტეტში კავკასიელი ხალხების შეკრება მიმდინარეობდა. გამსახურდიამ ჰელსინკის კავშირელებს ყვარელში ლეკების სოფლები დაარბევინა - ბულდოზერით სახლები დაუნგრიეს, ფეხმძიმე ქალები სცემეს. რა რეაქციას გამოიწვევდა ეს, ალბათ, გასაგებია.

და კიდევ... 1990 წლის "ლიტერატურულ საქართველოში" გამსახურდიამ წერილი გამოაქვეყნა, სადაც ამტკიცებდა - სამეგრელო განმდგარია და სეპარატიზმი მძვინვარებსო. თუმცა, იქ რამდენიმე ნაძირალა დაძრწოდა და ხალხს ტვინს უმღვრევდა. ამ წერილით მან მეგრული სეპარატიზმის ბინძური ზვირთი ააგორა და შემდეგ იგი პოლიტიკურ ბერკეტად გამოიყენა.

გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის ერთ-ერთი ლოზუნგი "ოკუპანტების" გათრევაც იყო. სათავეში მოსვლისთანავე მან ოკუპანტების ჯარს უცხო ქვეყნის ჯარი დაარქვა და პირველივე სესიაზე საქართველოში ექსტრემალურ სიტუაციებში წესრიგის დამყარების იურიდიული უფლება სსრ კავშირის შინაგან ჯარებს მიანიჭა, იმ ჯარებს, რომლებმაც 9 აპრილს ქართველები ნიჩბებით დახოცეს, მაგრამ ბრბო ისე იყო ჭკუიდან გადასული, რომ არაფრის მოსმენა აღარ სურდა!

ამის შემდეგ მეორე დიდი სახელმწიფო დანაშაული მოხდა: გამსახურდიას დავალებით აკაკი ასათიანი საიდუმლოდ შეუთანხმდა არძინბას, რომელიც "მრგვალი მაგიდის" ტაშის გრიალით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს და ქართველების 26 ხმის წინააღმდეგ 28 ხმა მისცეს. ამის შემდეგ აფსუებმა გვარდია შექმნეს, ქართველების თანამდებობებიდან გაყრა და დევნა-რეპრესიები დაიწყეს.

არ მინდა გამომრჩეს კიდევ ერთი ფაქტი. გამსახურდიამ გაზეთ "ლენინსკოე ზნამიას" ინტერვიუ მისცა, სადაც აღნიშნა: რუსეთის ჯარებთან ჩვენ მუდამ მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა და იგი მაშინ გაფუჭდა, როცა 9 აპრილს ექსტრემისტებმა საშინელება ჩაიდინესო. გაზეთის ეს ნომერი "კგბ"-ემ ყველა ჯიხურიდან და ბიბლიოთეკიდან ამოიღო, ერთი ეგზემპლარი ძლივს ვიშოვეთ. ასე უფრთხილდებოდა "კგბ" "იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი დისიდენტის" იმიჯს.

ალბათ, განსაკუთრებული ახსნა არ სჭირდება იმას, რაც გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა აფსუებთან ომის დროს ჩაიდინეს. ბევრი მძიმე დანაშაულის გახსენება შეიძლება. ყველაფერს ამას არ გავიხსენებდი, ამჟამად ზვიადიზმის გაცოცხლების აქცია რომ არ მიმდინარეობდეს. გრძელდება მოღალატეების, მედროვე ნაძირალების პატრიოტებად გამოცხადების პროცე-

სი. ხელახლა ცდილობენ ხალხს გონება დაუბნელონ. ვის სჭირდება ეს? - გარეთ მტერს, რათა სიძულვილი არ განელდეს, არ გავერთიანდეთ და ერთ მშვენიერ დღეს ისევ ერთმანეთს დავერიოთ; შინაგან მტერს, რომელიც ზვიადისტების ხმებზე ნადირობს და გაუბედურებულ-გონებადაბნელებულ ადამიანებს კარიერისთვის წირავს.

იმ კერპთაყვაენისმცემლებს რატომ არ უჩნდებათ ასეთი კითხვები: როცა "დისიდენტი" პრეზიდენტი გახდა, რატომ ჰყავდა პრემიერ-მინისტრად მურმან ომანიძე, აშკარა "კაგებეშნიკი", რომლის "გაქცევაც" მხოლოდ მისი ჩამოგდების წინ გათამაშდა; რატომ ჰყავდა სუკ-ის თავმჯდომარედ რუსეთის "კგბ"-ს რეზიდენტი ნინუა, ანდა სპიკერად "საქინფორმში" ცენზორად ნამუშევარი აკაკი ასათიანი, რომელიც მხოლოდ მაშინ განუდგა, როცა საამისო ინსტრუქცია მიიღო, რატომ უთხრა ერევანში გაქცეულმა გამსახურდიამ კორესპონდენტს, იმიტომ გამოვიქეცი, რომ ჩემი ხალხისთვის სისხლისღვრა ამეცდინაო, ამის შემდეგ რატომ დაბრუნდა სამეგრელოში და სისხლის ზღვა რატომ დააყენა?! კიდევ რა უნდა მოხდეს, რომ ამ უბედურებმა გაიგონ, გამსახურდია მოღალატე იყო და სამშობლოს იმ დროს ჩასცა მახვილი, როცა მონობიდან თავის დაღწევის ისტორიული შანსი გაგვიჩნდა.

- ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც გამსახურდიას პოლიტიკური მეთოდით ამხობდა, მაგრამ რადგანაც ეს მოსკოვის გეგმას ანგრევდა, საქმეში იარაღი ჩართეს. რაც შეეხება "სისხლის ზღვას", დემონსტრანტებს პირველად გამსახურდიას რეჟიმმა ესროლა, ზვიადისტები გვარდიელებს ზურგში ტყვიას ესროდნენ და თვითონ ზვიად გამსახურდია გროზნოდან მთელ მსოფლიოს ეუბნებოდა, ქართველები ერთ მუჭა აფხაზებს გენოციდს უწყობენო (სათავეში მოსვლამდე კი ამტკიცებდა, აფხაზი ერი არ არსებობს და ჩვენ ისინი მთებს გადაღმა უნდა გადაეყაროთო".

ახლა ისმის კითხვა: რა რეჟიმი იყო ის, რაც გამსახურდიამ თავზე მოგვახვია? დემოკრატიის სრული დათრგუნვით, პრესისა და ტელევიზიის ხელში ჩაგდებით და მათი საკუთარი მიზნებისათვის უსინდისო გამოყენებით, ინტელექტუალთა დევნით, მისი ცდით, რომ პატრიარქი და ეკლესია სრულიად მის გავლენას დამორჩილებოდა, მის საწინააღმდეგოდ გამართულ დემონსტრაციებზე ქვებით, ხალხში სახანძრო მანქანების შევარდნით და, რაც მთავარია, აალებადი ტყვიების გამოყენებით, რასაც ადგილი ჰქონდა 1991 წლის 4-5 ოქტომბერს, ეს რეჟიმი, როგორც ადრევე მითქვამს, პროვინციული ფაშიზმის სახელს იმსახურებს.

ამჯერად ფაშიზმის განსაზღვრებებს არ შევუდგები, მითუმეტეს, რომ ისინი მრავალად მაქვს გამოყენებული ჩემს სხვა წერილებში მუსოლინიდან დაწყებული ერნსტ ნოლტეს ჩათვლით (ნაწილი ამ წიგნშიც არის შესული), რათა მათი უხვი ციტირებისაგან არ წავილეკოთ. ერთს ვიტყვი მხოლოდ, ფაშიზმი თავის ნაირგვაროვნობას ამჟღავნებს იმ ქვეყნის, იმ ნაციის შესაბამისად, სადაც კი ეს შხამიანი ყვავილი ამოდის. რასაკვირველია, საქართველოში მის გაქანებას არ ჰქონდა ევროპული მასშტაბები, ხოლო მის ბელადებთან შედარებით ზ. გამსახურდია კატის კნუტივით გამოიყურებოდა.

აქაურ ფაშიზმს არ ჰქონდა ის ესთეტიკური მხარეც, რითაც ხასიათდებოდა ევროპული ფაშიზმი (სამხედრო აღლუმები, დიონისურ-წარმართული თეატრალიზებული დადგმები, ნიცშესა და ვაგნერის კულტი და მუსოლინისა და ჰიტლერის ორატორული ხელოვნება და სხვ. და სხვ.). აქ ის განსხვავებაც იყო, რომ ბევრ პოლიტიკურ პროცესს, უცხო ქვეყნის, კერძოდ, რუსეთის სპეცსამსახურები წარმართავდნენ. ამას ემატებოდა პრეზიდენტყოფილის ავადმყოფური ანგარება, რაც იმითაც გამოიხატა (როგორც მაშინ ამბობდნენ), რომ მან თბილისის ზოოლოგიური პარკიდან შეარჩევინა ეკზოტიკური ფრინველები და ცოლ-შვილის გასართობად გადაიყვანა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში.

ერთმა უბადრუკმა ჟურნალისტმა, რუსლანის გამოთქმას თუ ვიხმარ, ზვიადებილმა ისიც კი დაწერა, რომ ფაშიზმი თუ სამშობლოს სიყვარულს ნიშნავს, მაშინ მეც ფაშისტი ვარო. მაგრამ ჩვენს პროვინციელ ფაშისტებს (ასეთსავე ფაშისტებს აფხაზეთში, ცხინვალში და თვით რუსეთში) ვერ შეუგნიათ, რომ, ფრენსის ფუკუიამას სიტყვებით თუ ვიტყვით, "როგორც მოქმედი იდეოლოგია, ფაშიზმი განადგურდა მეორე მსოფლიო ომით. რასაკვირველია, ეს დამარცხება საკმაოდ მატერიალური იყო, მაგრამ მან დამარცხება იწვნია იდეურ სფეროშიც. როგორც იდეა, ფაშიზმი დაიმსხვრა არა საკუთარი თავის მიმართ გამოწვეული საყოველთაო მორალური ზიზღის შედეგად, რადგან მრავალნი მზად იყვნენ თავად იდეის მისაღებად, სანამ ისე ჩანდა, რომ მას გარანტირებული აქვს მომავალი. იდეა დაღუპა იმან, რომ მან წარმატება ვერ მოიტანა".*

ყველა მთავრობის "ერთგულმა" გოგი გაჩეჩილაძემ "პროვინციული ფაშიზმი" ხელოვნურ გამონაგონად გამოაცხადა და საქართველოზე ყალბად მორგებულად. ეს მან განაცხადა 2001 წელს გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილ საღამოზე მწერალთა კავშირში და, სხვათა შორის, სიტყვის დამთავრებისთანავე დარბაზიდან შურდულივით გავარდა. იგი ამას ასაბუთებს იმით, რომ არ შეიძლება ევროპული მოვლენა პირდაპირ საქართველოზე გადმოვიტანოთო.

არ შეიძლება დავეთანხმოთ ყველა მთავრობის "ერთგულის" მოსაზრებას. ავილოთ გამოთქმა "ევროპული მოვლენის" საქართველოზე "მორგება". საოცარია: განა საქართველო ისლამის ცენტრია აღმოსავლეთში, თუ მთვარეზე მდებარეობს? ნუთუ ჩვენს ოპონენტს არ სმენია საქართველოში ისეთი პოლიტიკური მიმართულების, როგორიც სოციალიზმია და მისი პარტიების - სოციალ-დემოკრატებისა და "ბოლშევიკების" არსებობის შესახებ? რასაკვირველია, ჩვენებური პარტიები დაბალი კულტურით გამოირჩეოდნენ, სწორედ მათი "პროვინციალიზმის" გამო და განა იმავეს არ ვამტკიცებთ ჩვენ აქაურ ნაციონალისტ-ფაშისტებზე? სხვათა შორის, დადასტურებული ფაქტია, რომ სოციალიზმისა და ნაციონალიზმის სინთეზი, თავის დაგვირგვინებას ნაციზმსა და ფაშიზმში პოულობს, ხოლო საქართველოში, ექსპრეზიდენტის რეჟიმის

---

* **Francis Fukuyama. The End of History? ["The National Interest". 1989].**

დამკვიდრებისას, განა ფაქტობრივად პრაქტიკული სოციალიზმი არ სუფევდა საბჭოური ყაიდისა? თუ ამაზე უარს ვიტყვით, მაშინ ყველაფერზე უარი უნდა ვთქვათ, რაც ევროპას გაუულია საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარების გაგებით (მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური). აი, რას ამბობს ერთი თანამედროვე მკვლევარი:

"სოციალიზმისა და ნაციონალიზმის სინთეზი, რომელიც თავის აპოგეას ფაშიზმში აღწევს, ისტორიულად და ფსიქოლოგიურად მწიფდებოდა არა მარტო იტალიასა და გერმანიაში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ყველა "ნაციონალურ აღორძინებებში" (მ. ა. კოლეროვი, წიგნში: "ნაციონალიზმი", მოსკოვი, 2000). მართალია, ზემოხსენებული მკვლევარი ამას ამბობს პერიოდზე ორ მსოფლიო ომს შორის, მაგრამ ე.წ. პოსტსაბჭოურ სივრცეზე არაერთი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება და ბუნებრივია, არც საქართველო იქნებოდა ამ მხრივ გამონაკლისი. მე მესმის, რომ სიტყვა "ფაშიზმი" ქართული ყურისათვის უცხოდ ჟღერს, განსხვავებით, ვთქვათ, სიტყვა "სოციალიზმისაგან", რომელსაც ასე მიჩვეულნი ვიყავით, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს საქმის არსი ტერმინში კი არ არის, არამედ - შინაარსში, რომელსაც იგი გამოხატავს. ამის დასაზუსტებლად შესანიშნავ მაგალითს იძლევა იტალიელი მწერლისა და მეცნიერის, რომელიც თავად შეესწრო იტალიური ფაშიზმის ბობოქრობას თავის სამშობლოში, უმბერტო ეკოს ესე "მარადიულ ფაშიზმზე" (იხ. მისი "ხუთი ესე ეთიკის თემაზე", ს-პეტერბურგი, 2000). იგი წერს: "ფაშიზმი საერთოდ ასოცირებას უნდა ახდენდეს იტალიასთან. მაგრამ გადაიკითხეთ ჰემინგუეის "ვისთვის რეკს ზარი"; რობერტ ჯორდანი თავის მტრებს ფაშისტებს უწოდებს, თუმცა ისინი ესპანელი ფალანგისტები არიან". იგი განაგრძობს: "გერმანული ნაციზმი იყო უნიკალური. ჩვენ არ შეგვიძლია ვუწოდოთ ნაციზმი ფრანკოს ჰიპერკათოლიკურ ფალანგიზმს, იმიტომ, რომ ნაციზმი გამოირჩეოდა სიღრმისეული წარმართობით, პოლითეიზმითა და ანტიქრისტიანობით, ან ეს არ იყო სრულიადაც ნაციზმი. მაგრამ აი, ტერმინ "ფაშიზმით", ამის საპირისპიროდ, მრავალნაირად შეიძლება თამაში". უმბერტო ეკო განაგრძობს: "ტერმინი "ფაშიზმი" იხმარება ყველგან, ვინაიდან, თუნდაც ჩამოვაშოროთ იტალიურ ფაშისტურ რეჟიმს ერთი ან რამდენიმე ასპექტი, იგი მაინც შეიცნობა, როგორც ფაშისტური. თუ ჩამოვაშორებთ იტალიურ ფაშიზმს იმპერიალიზმს, მივიღებთ ფრანკოს ან სალაზარს. თუ მას კოლონიალიზმს ჩამოვაშორებთ - გამოდის ბალკანური ფაშიზმი. თუ დავუმატებთ იტალიურ ფაშიზმს რადიკალურ ანტიკაპიტალიზმს (რითაც არასოდეს სცოდავდა მუსოლინი), გამოდის ეზრა პაუნდი. ჯუმატებთ რა გაგიჟებას კულტური მითოლოგიასა და გრაალის კულტზე (რაც აბსოლუტურად უცხოა იტალიური ფაშიზმისათვის), და ჩვენს წინ არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საპატივცემულო ფაშისტური გურუ-იულიუს ევოლა".

"ეს უთანხმოება რომ გადავლახოთ, - განაგრძობს უ. ეკო, - ჩემი აზრით, საჭიროა მარადიული ფაშიზმის (ურ-ფაშიზმის) ტიპურ დახასიათებათა სიის შედგენა; ამ დახასიათებათაგან საკმარისია თვით ერთის არსებობა, რომ

დაწყებულ იქნეს კონდენსირება ფაშისტური ნისლოვანებისა".

უმბერტო ეკოს ამ დახასიათებათა ვრცელი სიიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს მოვიტანთ. მაგალითად: "ეჭვიანობა ინტელექტუალური სამყაროსადმი ყოველთვის გვამცნობს ურ-ფაშიზმის ყოფნას". შემდეგ: "თანამედროვე კულტურაში მეცნიერული საზოგადოება პატივს სცემს არდათანხმებას, როგორც მეცნიერული განვითარების საფუძველს. ხოლო ურ-ფაშიზმისათვის "არდათანხმება არის ღალატი". შემდეგ: "პირველად ლოზუნგები ფაშისტოიდური ან პრე-ფაშისტური მოძრაობებისა მიმართულია სხვა ერების წინააღმდეგ". უმბერტო ეკო აგრძელებს: "მათ, ვინც საერთოდ სოციალურად დაჩაგრულია, ურ-ფაშიზმი ეუბნება, რომ ერთადერთ საწინდრად მათი პრივილეგიებისა არის ფაქტი გარკვეულ ქვეყანაში დაბადებისა. ასე გამოიწრთობა ნაციონალიზმი. ამავე დროს ერთადერთი, რასაც ერის დარაზმვა ძალუძს, - ეს არის მტრები. ამიტომ ურ-ფაშისტური ფსიქოლოგიის საფუძველში ძევს შეპყრობილობა შეთქმულების იდეით, რამდენადაც შესაძლებელია - საერთაშორისოთი. თანამონაწილენი თავს უნდა გრძნობდნენ ალყაში მოქცეულად. ყველაზე საუკეთესო ხერხი აუდიტორიის ყურადღების მოქცევისა შეთქმულებაზე - ქსენოფობიის ზამბარების გამოყენებაა. მაგრამ გამოდგება აგრეთვე შიდა შეთქმულება, რისთვისაც კარგად გამოდგებიან ებრაელები, იმიტომ, რომ ისინი თითქოს ერთდროულად შიგნითაც არიან და გარეთაც. უკანასკნელი ამერიკული მაგალითი ასეთი გაგიჟებისა შეთქმულებაზე არის პეტ რობერტსონის წიგნი "ახალი მსოფლიო წესრიგი".

მე ვთხოვ მკითხველს გაიხსენოს ზ. გამსახურდიას მიერ დამყარებული რეჟიმი და შეუდაროს იგი ამ მცირე ამონაწერს უ. ეკოს წიგნიდან. მის მომხრეებს სხვა უბედურებასთან ერთად ისიც სჭირთ, რომ ჰგონიათ, თუკი თავიანთი ბელადის რაიმე ლიბერალური გამონათქვამების ციტირებას მოახდენენ, ამით მის მიერ დამყარებული პროვინციული ფაშიზმის რეჟიმს გაათეთრებენ. მაგრამ ფაქტები ჯიუტია და მათ ვერ ამოშლი ჩვენი ახლო წარსულიდან (იხ. ამის შესახებ კრებული "სიმართლე ზ. გამსახურდიაზე", რომელიც შეადგინა ყოფილმა პოლიტპატიმარმა და აფხაზეთში მებრძოლმა თეიმურაზ ჭანტურიშვილმა და სადაც თავმოყრილია ექსპრეზიდენტზე სხვადასხვა ფაქტობრივი მასალები, თბილისი, 1999 წ.). ერთ-ერთი ასეთი ფაქტი ბოლო ჟამს გახმაურდა გაზეთ "ხანის" (№12,18-25,IV,2000) ფურცლებზე. აქ აღწერილია ამაზრზენი შემთხვევა, როდესაც ექსპრეზიდენტის ბრძანებით გერგეტის სამების ეკლესიიდან მარიამობის დღესასწაულისას გაყარეს რუსი მლოცველები თავიანთი ხატებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რუსები იყვნენ. ამ ამბების ამსახველი კორესპონდენტი, რომელმაც ექსპრეზიდენტის სხვა ჩრდილოვანი მხარეებიც წარმოგვიდგინა, გაოცებით დაასკვნის: ღმერთი და ხატი ხომ ზეეროვნული ფენომენიაო! სწორედაც ასეა, გესურს ვუპასუხოთ, მაგრამ პროვინციულ ფაშიზმს თავისი ლოგიკა აქვს.

მაგრამ როდესაც "ეროვნულმა" ხელისუფლებამ ძალაუფლება დაკარგა, აი, მაშინ გამოჩნდა მათი "ეროვნულობა"!

მაგრამ მოდით სათქმელს წინ ნუ გადავუსწრებთ. ახლა საკითხავია, და-

სამხობი იყო ეს რეჟიმი თუ - არა. "პრეზიდენტ გამსახურდიას ერთი წელი-წადიც კი ეყო ეკონომიკურად და ზნეობრივადაც საქართველო რომ მოეხრებინა და მისთვის "ოთხი-ხუთი წელი" კიდევ რომ ეცლიათ, ქვეყანას ხომ სულ ერთიანად საჰარის უდაბნოს დაამსგავსებდა" - წერდა ცნობილი მწერალი და ყოფილი პოლიტპატიმარი კიტა ბუაჩიძე ("სრ", 2 სექტემბერი 1992 წ.). სხვათა შორის, იმავე გაზეთში მწერალი მოგვითხრობს 9 აპრილის წინა დღეზე, როდესაც მ. არჩვაძე, ქმრის ჩაგონებით, ასე რაკრაკებს: სისხლია საჭირო, სისხლი, რომ მსოფლიოს ყურადღება მივიპყროთ! - კი, მაგრამ ვისი სისხლი, - შეეპასუხება კ. ბუაჩიძე - თქვენი და თქვენი ოჯახისა ხომ არა?!

ზ. გამსახურდიას რეჟიმი დასამხობი იყო. "რაც უფრო მეტ ხანს დაჰყოფს რეჟიმი ხელისუფლებაში, მით უფრო მეტ მუქარას შეიცავს იგი, რომ დემორალიზება გაუკეთოს ჯერ კიდევ არსებულ წესიერ ელემენტებს და თანდათანობით გახრწნას მთელი ხალხი. რეჟიმი უნდა ჩამოცილებულ იქნას, თუკი გსურს ააცილო უმძიმესი ზიანი მთელ ხალხს... ნაციონალ-სოციალისტური მთავრობის დამხობა ნორმალური პოლიტიკური საშუალებებით არ შეიძლება.... ხსნას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ შეიარაღებული აჯანყების მეშვეობით, ხოლო მისი განხორციელება შეიძლება მხოლოდ არმიის შემწეობით" - ეს უკვე ადმირალი კანარისია, რომელსაც ახმოვანებს მწერალი აბჟაგენი.

საქართველოს შემთხვევაში, გამსახურდიას რეჟიმთან მიმართებაში, ჩვენდა საბედნიეროდ, ასე კატასტროფულად არ განვითარებულა საქმე, როგორც ჰიტლერულ გერმანიაში. ვგულისხმობ იმას, რომ გამსახურდიამ ვერ აიყოლია მოსახლეობის ყველა ფენა, როგორ ეს ჰიტლერმა შეძლო. მის წინააღმდეგ გახშირდა დემონსტრაციები, ნამდვილი სახალხო გამოსვლები, რასაც გვარდიის ნაწილის ხალხის მხარეზე გადასვლა მოჰყვა. ამიტომ უმეცრებისა და სიბილწის ერთობლივი ნაზავია, როდესაც იმ მოვლენების "პუტჩად" მონათვლას ლამობენ. ათასგზის მართალია თამაზ კვაჭანტირაძე, როდესაც წერს:

- ხელისუფულების ყოველი ძალისმიერი დამხობა მის შეცვლას ანუ ხელისუფლების გადატრიალებას გულისხმობს... ამ აზრით ეს სიტყვა ასატანიც იქნებოდა, მაგრამ თუ ვინმემ "გადატრიალება" იხმარა ვიწრო შეთქმულთა წრის მიერ ე.წ. "სასახლის გადატრიალების" მნიშვნელობით და 1991-92 წლის მოვლენებში გამორიცხა ფართო საზოგადოებრივი ფენების აქტიური მონაწილეობა, მაშინ ამის მთქმელი, ვინც უნდა იყოს იგი, ჩემი აზრით, საფუძველშივე მცდარია: გინახავთ თქვენ სადმე გადატრიალება, რომელიც თითქმის ნახევარ წელს გრძელდებოდეს - გვარდიამ ხომ პრეზიდენტყოფილს დაუმორჩილებლობა აგვისტოს პუტჩის დღეებში გამოუცხადა! გაგიგონიათ "პუტჩი", რომელშიც სამხედროების გვერდით და მათზე უწინარეს, მეტიც ითქმის, მათზე აქტიურად პოლიტიკური პარტიები, თავად ხელისუფლების ყველა შტო - პარლამენტარები, მინისტრები, სამართალდამცავები, მასმედია - მონაწილეობდეს? ამიტომაც წამოსცდა გამსახურდიას ასეთი უცნაური და შეუსაბამო სიტყვათნაზავი: "საქართველოში დაიწყო

სამხედრო-სამოქალაქო პუტჩი!“ სამოქალაქო პუტჩი ხომ იგივე სახალხო ამბოხია! და ბოლოს, გსმენიათ სადმე გადატრიალება, რომელშიც აქტიურად იყოს ჩაბმული მთელი ინტელიგენცია, სტუდენტი ახალგაზრდობა, საზოგადოების ყოველი ფენა? თუ ასიათასიან მიტინგებსა და დემონსტრაციებს, თუ მასობრივსა და პერმანენტულ საპროტესტო აქციებს, თუ მშვიდობიანი მოსახლეობის მიერ იარაღის, ძირითადად - სანადირო თოფების, ხელში აღებას და ამბოხებული გვარდიისა და თანამგრძნობი პოლიციის გვერდით დგომასა და, ბოლოს, მათთან ერთად ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას არა, მიბრძანეთ, მაშინ რაღას უნდა ვუწოდოთ სახალხო ამბოხი?

- არც მე და, არც ჩემი თანამოაზრენი კანონიერი ხელისუფლების ძალად დამხობას არც ვიწონებთ და არც ვემხრობით, ოღონდ ერთადერთი პირობით: თვითონ ხელისუფლებამ შეგნებულად არ უნდა უგულებელყოს კონსტიტუცია, არ უნდა დაარღვიოს კანონი და ამ თავისი უკანონობით ამბოხებამდე არ უნდა მიიყვანოს მოსახლეობა.

- უკანონო ქმედებით რომ ხელისუფლებამ ხალხი აჯანყებამდე არ უნდა მიიყვანოს, ეს საერთაშორისო, საყოველთაო პრინციპი და ნორმა გახლავთ (იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, პრეამბულა, პუნქტი 3) [“ლიტ. საქართველო“ 6, VII. 2001]. იმავე აზრს იზიარებს მიხეილ ნანეიშვილი. მას მიაჩნია, რომ “1991-92 წლების მოვლენები იყო დემოკრატიული რევოლუცია. უდავოა, ის ხელისუფლება წარმოშობით კანონიერი იყო. მაგრამ მთელი თავისი პოლიტიკური პრაქტიკით აშკარად კანონსაწინააღმდეგო, დემონსტრაციული მოქმედებებით, კონსტიტუციურ უფლებათა ძალიან უხეში დარღვევებით თავისი თავი კანონგარეშე დააყენა. ვინც კანონს არღვევს, მას კანონიც აღარ იცავს“ (“სრ“, 23-24 აპრილი, 2000).

იქნებ უახლეს ისტორიაში არ მოგვეპოვება მსგავსი მაგალითები არასასურველი რეჟიმების ძალად დამხობისა? 1919 წელს, მიუნხენში ცხადდება ე.წ. “ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა“, რომელიც ერთ თვესაც ვერ ძლებს, რადგან კომუნისტების წინააღმდეგ აჯანყება როგორც მოსახლეობა, ასევე სამხედროები და სტუდენტები. სხვათა შორის, მათ დამხობაში მონაწილეობდა სტუდენტი ვერნერ ჰაიზენბერგი, მომავალი ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელიც შემდეგ სიამაყით იხსენებდა თავის მონაწილეობას იმ ბოროტების ალაგმვაში, განსხვავებით ჩვენი “კავკასიის სპეციალისტის“, მამუკა არეშიძისა, რომელიც ახლა ნიანგის ცრემლებს ღვრის - “არ ვიცოდი, იმ ამბებს სისხლი თუ მოყვებოდაო“. აგერ უახლოეს პერიოდში, 1974 წლის 25 აპრილს, პორტუგალიის არმიამ ხალხთან ერთად დაამხო იქ არსებული მოფაშისტო რეჟიმი, რასაც, მიაქციეთ ყურადღება, ევროპა მიესალმა! ახლა, ჩვენს ტელეეკრანზე, თვალს მოკრავთ ხოლმე კრუხს დამსგავსებულ ზოგიერთ მამაკაცს, რომელიც მოთქმით ამბობს, რომ იმ “გადატრიალებამ“ საქართველოს დიდად ავნოო, ხოლო “თბილისის ომის“ დროს სახლიდან ცხვირი არ გამოუყვია, არც არაფერი იცის და არც რომელიმე მხარეს მდგარა. მეორე კი ამტკიცებს, რომ აი, ჟირინოვსკი გვიკიჟინებს, თქვენს “გადატრიალებებში“ ამოიხრჩობითო, და ამის გამო გმობს ნებისმიერი

ხელისუფლების დამხობას. მაგრამ ჟირინოვსკი ქართულ სუფრასაც გმობს - "უკულტუროები ყველაფერს ერთად ახვავებენ სუფრაზეო" - ამიტომ ავკრძალოთ ჩვენი სუფრის ტრადიციები?! გარდა ამისა, რატომ ავიწყდებათ, რომ რუსეთის ტრაგიკულ ჟამს, როდესაც მაკაშოვ-რუცკოი-ხასბულატოვს და კამპანიას კვლავ სურდათ აღედგინათ ძველი რეჟიმი, "თეთრ სახლს" ელცინის ბრძანებით ტანკებმა ცეცხლი გაუხსნეს! ე.ი. ეს რომ არ მომხდარიყო, სად იქნებოდა მაშინ ჟირინოვსკი?! მაშასადამე, ქვეყნის გადასარჩენად დაშვებული ყოფილა თურმე ძალის გამოყენება! ამიტომ, ჩვენი "კეთილისმყოფელის", ჟირინოვსკის იაფფასიან "ტრიუკებზე" არ უნდა წამოეგონ ჩვენი პრიმიტიული "პოლიტიკოსები".

ახლა საკითხავია, ვინ იცავს პირდაპირ ზ. გამსახურდიას? ეს რომ მისი ყოფილი მოხელეები და ადგილდაკარგული ჩინოსნები არიან - არც არის გასაკვირი. მაგრამ მათ დაემატნენ ბობოლა კომუნისტები და ჩეკისტებიც (პრინციპში, არც ეს არის დიდად გასაკვირი). ჯერ კიდევ 2000 წელს, გაზეთ "იბერია-სპექტრიდან", თავს დამესხა ვინმე კოტე მელაშვილი, რომელმაც ლამის აშშ-ს აგენტად გამომაცხადა, ზვიადი ცაში აიყვანა და თვით ჩემს სახელში - "ვიქტორი" დანაშაულის კვალი აღმოაჩინა - "ბიქტორი" უნდა დაერქვათო! ამ ავტორის გვარის გასწვრივ დიდი ამბით ეწერა - "საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი", სინამდვილეში კი გაირკვა, რომ დამსახურებული ჩეკისტი ყოფილა. 2001 წელს (19 აგვ.) გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა" იუწყებოდა:

"გიორგაძე გამსახურდიას ამართლებს

საქართველოს ერთიანი კომპარტიის ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე თვლის, რომ 1991 წლის 19 აგვისტოს შექმნილმა საგანგებო სიტუაციის სახელმწიფო კომიტეტის (ГКЧП) წევრებმა შეცდომა დაუშვეს, როდესაც მიხეილ გორბაჩოვის და ედუარდ შევარდნაძის სრული იზოლირება არ მოახდინეს.

საბჭოთა გენერლის აზრით, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სწორად მოიქცა, როდესაც, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა ГКЧП-ს".

სულ ახლახან, გაზ. "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე (19 მაისი 2006 წ.) ასეთი რამეც დაიწერა: "იგი თავს იკავებს (საუბარია გაკრიტიკებულ ავტორზე, ვ.რ.) მოვლენის სამართლებრივი შეფასებისაგან, არ აღნიშნავს, რომ დეკემბერ-იანვრის ამბოხი იყო ანტიკონსტიტუციური აქტი, რომელმაც დაამხო ხალხისაგან არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება". მაგრამ ამის დამწერს რომ ვკითხოთ, რომელ "კონსტიტუციურ აქტში" ეტეოდა ზ. გამსახურდიას ქმედებები?! თუმცა, რაზე უნდა ვესაუბროთ კაცს, რომლის კალამსაც ასეთი "აღმოჩენა" გაუკეთებია:

"1921 წლის დამდეგს სამოქალაქო ომი საქართველოში დასასრულს მიუახლოვდა, განსაკუთრებით ხელსაყრელი საშინაო და საერთაშორისო პირობები შეიქმნა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, 11 თებერვალს ქვემო ქართლში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, რაც სწრა-

ფად გავრცელდა საქართველოს სხვა რაიონებშიც. 16 თებერვალს ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტი ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის, შ. ელიავას, ა. გეგეჭკორის და სხვ. ხელმძღვანელობით. რევკომმა გაითვალისწინა საქართველოს მენშევიკური მთავრობის კავშირი დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან და ამიტომ დახმარება სთხოვა საბჭოთა რუსეთს, პირადად ვ.ი. ლენინს. ბელადის მითითებით მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებული საქართველოს მშრომელების დასახმარებლად წითელი არმიის ნაწილები გამოიგზავნა, რამაც საგრძნობლად დააჩქარა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ჩვენს ქვეყანაში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა დაიმსხვრა და სოციალიზმის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. დაიწყო ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების სრულიად ახალი ეტაპი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სუვერენული და თანასწორუფლებიანი სახელმწიფოებრივი ერთეულის სახით შევიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში".

(იხ. ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბილისი 1980).

მსგავს "ობიექტურ" ავტორებს ქვემოთ კიდევ გავეცნობით, მაგრამ ახლა სიტყვა მინდა მივცე თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს ᲮᲘᲛᲘ ᲡᲮᲘᲠᲢᲚᲐᲫᲔᲡ, რომელიც უშუალო მოწმე გახლდათ იმისა, თუ ვინ ისროლა პირველმა 1991 წლის 21 დეკემბერს. მისი ინტერვიუ დაიბეჭდა გაზ. "საქართველოს რესპუბლიკაში" (22 .II. 1998):

"პოლიცია შეუიარაღებელი იყო, სამინისტროდან მითითება გვქონდა, არავითარ შეიარაღებულ კონფლიქტში არ ჩავრეულიყავით.

მიიწურა 21 დეკემბრის ღამე და 22 დეკემბრის დილას, დაახლოებით შვიდი საათისათვის შტაბში წივილ-კივილით შემოვარდნენ ქალები, გვიყვიროდნენ: "ეს გარეწრები თვითონ კეტავენ ავტობუსით ქუჩას, რა ხდება?"

დავინტერესდით, მაშინ როცა ოპოზიცია ორი დღე წვალობდა გადაკეტილი ქუჩების გასათავისუფლებლად, ახლა თვითონ კეტავდა? მოსწავლეთა სასახლის კუთხეში შავტანსაცმლიანი ექვსი ბიჭი იდგა, მითხრეს: პრეზიდენტს დღის 2 საათისათვის ხალხი ჰყავს დაბარებული მთავრობის სახლში, რომელსაც მოუწოდეს დანებით, ჯაყვებით, ფიწლებითა და იარაღით აღიჭურვოს, ამიტომაც "კორიდორს" ვაკეთებთ, რომ იარაღიანი არავინ შემოუშვათო. იგივე მითხრეს სასტუმრო "თბილისთან". მე მათ ვუთხარი, ასე თამამად რომ ხართ, რაიმე არ მოხდეს მეთქი. მითხრეს, "ბატიამ"* გაგვაფრთხილა, არც ერთი გასროლა არ იყოს და შანტაჟს არ წამოეგოთო. გაფრთხილება რად გინდათ, არ იცით, რომ არაფერი არ უნდა მოხდეს-მეთქი? არ მოხდებაო, მიპასუხეს. შტაბში დავბრუნდი, სადაც იყვნენ რომან გვენცაძე, ლოთი ქობალია, ჭელიძე, რაფავა, ქუთათელაძე... შტაბის სხვა წევრები.

---

* "ბატია"-ს გვარდიელები თ. კიტოვანს ეძახდნენ.

რადისტი გავაფრთხილე, ჩემს გაუკონტროლებლად არავინ გაეშვათ ეთერში. ამ საუბრისას შტაბში შემოვარდა წითელი ქურთუკითა და თაზე ბერეტით ზვიად გამსახურდიას ცოლისდა ლელე არჩვაძე ლია მაისურაძესთან ერთად, მას წივილ-კივილით მოჰყვნენ სხვა ქალებიც. მივარდნენ გენცაძესა და ქობალიას: "რას დაგდებულხართ აქ, განა ამისთვის ხართ დაყენებული, თქვე გარეწრებო, აეთრიეთ ახლავე, გინდათ, ხალხი აქ შემოვიდეს და კიბეებზე დასხდნენ, ან სასახლეში შემოუშვათ?" თქვეს, რომ დაიჭირეს ავთო რცხილაძე, ისინი ისეთი სასოწარკვეთილი ხმით გაჰკიოდნენ, იქ მყოფი ჩინოსნები სასწრაფოდ გავარდნენ გარეთ. კინოთეატრ "რუსთაველთან" კოცონი ენთო, სადაც რამდენიმე კაცი თბებოდა. მათ შორის მხოლოდ ერთი იყო ავტომატიანი. კიდევ ერთი კოცონი ენთო "ქაშუეთის" მხარეს შენობის კუთხეში. სიწყნარე იყო, მოედანზე არაფერი ხდებოდა, რომან გენცაძემ მითხრა: მობრუნდი, ჩვენი ბიჭები გამოიყვანე, თუ საჭირო იქნა, ცოცხალი კედელი გავაკეთოთო. მივბრუნდი შტაბისკენ და ის იყო კარი უნდა გამელო, ამ დროს ვხედავ: ლოთი ქობალია თავისი ხალხით ავტომატების ჩხაკუნითა და გინებით პირდაპირ კიბეებზე ეშვებიან. პირველმა ლოთიმ გამოჰკრა თუ არა სასხლეტს ხელი, არ დამინახავს, მაგრამ პირველი რომ მისმა ხალხმა დაიწყო სროლა, კარგად დავინახე: კიბეებზე ჩამოსვლისთანავე ატეხეს სროლა, რატომ, - არ ვიცი. მათ უკან შინაგანი ჯარები მოჰყვებოდა. იქით მხრიდან საპასუხო სროლა გაისმა. დაიწყო ქაოსი.

თავდაცვის მაშინდელ მინისტრს ვთხოვე, მეგაფონით ეთქვა ხალხისათვის, შეეწყვიტათ სროლა, მაგრამ ხალხი იმდენად იყო ექსტაზში შესული, სროლა ვერ შეწყვიტეს. როცა კიტოვანის ხალხს რაციით ვთხოვე, შეეწყვიტათ სროლა, შემაგინეს: ჩვენ შევწყვიტეთ, თქვენ რატომღა ისვრითო? უზენაესი საბჭოს შენობის მეორე და მესამე სართულიდან მართლაც ისროდნენ. ავედი მეორე სართულზე და ვთხოვე, თავდაცვის მინისტრის ბრძანებაა შეწყვიტეთ სროლა, უნდა მოვილაპარაკოთ-მეთქი. შეწყვიტეს, მაგრამ მესამე სართულიდან კვლავ ისროდნენ. პრეზიდენტის მისაღებში ფანჯარაზე იდგა ტყვიამფრქვევი და იქიდან ისროდნენ. თავდაცვის მინისტრმა ახლა მესამე სართულის გაფრთხილება მთხოვა. ავედი, ვუთხარი შეეწყვიტათ. ერთ-ერთი შევიდა პრეზიდენტთან და ცოტა ხნის შემდეგ მართლაც შეწყდა სროლა. ექვსი დაცვის წევრის თანხლებით გამოვიდა პრეზიდენტი, მოვახსენე, რომ თავდაცვის მინისტრის გადმოცემით, კიტოვანი მოლაპარაკებაზე თანახმა იყო. "შეეშინდა კიტოვანს და მოლაპარაკებაზე მოდის ეს გარეწარიო", - თქვა პრეზიდენტმა და ნელა ჩამოვიდა ქვემოთ. მეც გამოვყევი. ამ დროს შევიტყვე რომან გენცაძის დაჭრის ამბავი.

უზენაესი საბჭოს შენობაში გვიანობამდე დავრჩი, "ბეტეერები" რომ შემოვიდნენ ეზოში, მაშინაც იქ ვიყავი. ბუნკერშიც ჩავედი. ვნახე, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა იქ მოსულიყო. იყო ცხარე კამათი და ბჭობა შემდგომი მოქმედების თაობაზე.

როდესაც ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, 50 ქართველიც რომ დარჩეს საქართველოში მაშინაც პრეზიდენტი ვიქნებიო, მივხვდი, ჩემი იქ ყოფნა

სისულელე იყო და იქაურობა მივატოვე. წამოვედი. 23 დეკემბრიდან მე მათთან კონტაქტი აღარ მქონია.

- ბატონო ჯიმი, იყო თუ არა სროლის დაწყებამდე დაპირისპირებულ მხარეთა მოლაპარაკების მცდელობა?

- სასტუმრო "თბილისთან" მიკროავტობუსით მდგარ თენგიზ სიგუასთან მე და რცხილაძე მივედით, ბატონმა თენგიზმა კატეგორიული ულტიმატუმი წამოაყენა, მე და პრეზიდენტი ხალხის წინაშე შევხვდეთ ერთმანეთს და მიტინგზე ვილაპარაკოთო. მიტინგი მეორე დღეს 2 საათისათვის იყო დანიშნული. რცხილაძემ უთხრა, მიტინგი კი იქნება, მაგრამ პრეზიდენტი უარს ამბობს შენთან შეხვედრაზეო. სიგუამ პასუხის მოსმენა პრეზიდენტისაგან მოითხოვა, მაგრამ... ეს იყო 21 დეკემბერს. მეორე დღეს კი გამთენიისას შეიარაღებული შეტაკება მოხდა".

როგორც ცნობილია, ორ კვირაში გამსახურდიამ და მისმა გარემოცვამ გაქცევით უშველეს თავს. ამას ***არჩილ სულაკაურმა*** ლექსი უძღვნა.

სიღოდა

ზ.გ.

ხანმოკლე იყო შენი სიღოდა,
ბრმათა და ყრუთა დღესასწაული.
მამულს ტკივილი, როგორც იყო და
არა იყო რა, ისე გაუვლის.
ქუჩებში სროლის ხმებიც მიწყდება,
ვნებაც - სისხლივით დაღვრილი უხვად,
მაგრამ არასდროს დამავიწყდება
ტაძრის ჯედლებში სატანის სუნთქვა.

პოეტმა ***ვახტანგ ჯავახაძემ*** უფრო კომიკურ პლანში გადაწყვიტა ზ. გამსახურდიას გაქცევა:

იყო მალალი დენდი -
ქალების პრეზიდენტი.
მაგრამ აფეთქდა დენთი,
დაჯარგა დივიდენდი
და გახდა რეზიდენტი.
მას შემდეგ ჯარვის ქალებს
გულები უჯანჯალებს
და მისტირიან დღესაც
ტელეფონიან ჯარვებს.

მალე გამსახურდიამ გროზნოში ამოყო თავი, მაგრამ ჯოხარ დუდაევის ჩეჩნეთი საქართველოსადმი მტრულად იყო განწყობილი, თუნდაც იმიტომ, რომ დუდაევი აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ მიიჩნევდა. საკმარისია მკითხველი გაეცნოს დუდაევის ადრეულ ინტერვიუს, რომელიც მან მისცა

"ნეზავისიმაია გაზეტა"-ს კორესპონდენტს (იხ. Особая папка НГ, |6, 13 октября 2000, из Архива НГ), რომ მყის დარწმუნდეს, რომ უკვე ე.წ. "აფხაზეთის ომამდე", 1992 წელს, დას. საქართველოს რეგიონებში ჩეჩენი სნაიპერები იმყოფებოდნენ. ანტიქართული ისტერია ისეთი ძლიერი იყო, რომ მახსოვს, აფხაზეთის ომის დროს ჩვენმა ტელევიზიამ გადმოსცა კადრები, თუ მატარებლიდან როგორ ჩამოაბრძანეს რამდენიმე "ქართველი" ქისტი, რომლებიც აფხაზების დასახმარებლად მიდიოდნენ და დაკავებისას ხმამაღლა ადასტურებდნენ თავიანთ მიზანს მუქარასთან ერთად. ჩეჩნებს ზღვაზე გასასვლელი სურდათ, "დიდი იჩქერია". ეს გარკვეული უმადურობა იყო "ქართველი" ქისტების მხრიდან, რადგან ქართველმა მეცნიერებმა 1944 წელს ისინი "ქართველებად" გამოაცხადეს და ამით გადასახლებას გადაარჩინეს. კარგად გვახსოვს ასევე მთიელ ხალხთა კონფედერაციის ყრილობა ქ. გროზნოში, როდესაც ტელეეკრანზე ვიხილეთ ჯოჰარ დუდაევი და მას ადევნებული ჩვენი ექსპრეზიდენტიც. იქვე გაისმოდა მოწოდებები ქართველებისა და საქართველოს წინააღმდეგ.

სავსეა გამსახურდიას "მოწოდებები" როგორც ჩრდილო კავკასიელებისადმი, ასევე "მსოფლიო ხალხებისადმი", რომ "საქართველოს ხუნტა გენოციდს უწყობს მცირერიცხოვან აფხაზ ხალხს" (იხ. "სიმართლე ზვიად გამსახურდიას შესახებ", თბილისი 1999 წ.), ხოლო სოხუმის დაცემის მერე ამ გადამთიელთა რაზმებით დასავლეთ საქართველოში შემოჭრა-განა რითი არ არის ეს კლასიკური სამშობლოს ღალატი?!

აფხაზეთის ომზე ჩვენ შეგვეძლო რიგი წიგნებისა დაგვესახელებინა, მაგ., ჯაბა იოსელიანი "სამი განზომილება", თბილისი 1993 წ.; მიხა გეგეშიძე, "დაკარგული ქვეყნის მეომრები", თბ. 1999 წ. და სხვები, სადაც აშკარად ჩანს ზ. გამსახურდიას მოღალატური ბუნება, მაგრამ ავტორები კარგა მაგრად სცხებენ ედუარდ შევარდნაძესაც. ამ წიგნებს აღარ განვიხილავთ, რადგან ეს უსაზომოდ გაზრდიდა ისედაც გაგრძელებულ თხრობას. ამიტომ მე დავკმაყოფილდები საქართველოს გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილის ანზორ ბალუაშვილის ინტერვიუთი, რომელიც დაიბეჭდა გაზ. "საქართველოს რესპუბლიკაში" (26-28 სექტემბერი, 1998 წ.):

„გამოძიების მასალებით უცილობლად არის დადგენილი, რომ აფხაზეთში ექვსი ათასი ადამიანი დახვრიტეს, ჩამოახრჩვეს და დაწვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ, ათიათასობით დაასახიჩრეს და ხეიბარი გახადეს, სიკვდილის რეალური მუქარით მშობლიური კერიდან აყარეს და განდევნეს ასიათასობით მშვიდობიანი მოსახლე - ქართველები და სხვა ეროვნებისა, მათ შორის, აფხაზებიც.

საქართველოს უძველეს და განუყოფელ ტერიტორიაზე - აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის მაშსტაბი და განხორციელების მეთოდები იმასაც უტყუარად ადასტურებს, რომ ქართველთა გენოციდს სეპარატისტები წლების განმავლობაში გულმოდგინედ ამზადებდნენ.

ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ ადამიანურობის წინააღმდეგ უმძიმეს დანაშაულებათა ჩადენაში განსაკუთრებულია ჩვენი თანამოძმეების "დამსახ-

ურება".

ნურავინ მიწყენს, თუ მხოლოდ გამოძიების ხელთ არსებული, ყოველმხრივ ასრობირებული მტკიცებებით ვისაუბრებ, და, შესაძლოა, ამით უსიამოვნებას მივაყენებ ზოგიერთ პირს, ზოგიერთის ხსოვნას. მაგრამ სამართლის ზეობა მოითხოვს ვთქვათ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, სხვა არაფერი, სიმართლის გარდა.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის გაღვივებაში, სამწუხაროდ, ლომის წილი ყოფილი ხელისუფლების, ექსპრეზიდენტისა და მისი უახლოესი გარემოცვის სინდისზეა. ამაზე "საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს კიდევ ერთხელ ვესაუბრე როდესაც, გამოქვეყნდა დოკუმენტური მასალები ფაქტობრივ გარემოებათა ასახვით.

- ჩვენს მკითხველს გაზეთის წინა ნომრები რომ არ ვაფურცლინოთ, იქნებ, გაიმეოროთ მთავარი დასკვნა მაინც?

- კი, ბატონო... 1992 წლის აგვისტოსთვის შექმნილი უმძიმესი კრიმინოგენული სიტუაციის განსამუხტავად, ქვეყნის ტერიტორიის ერთ ნაწილში ბანდფორმირებების თარეშის აღსაკვეთად საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდული (მცირე) კონტიგენტის გადაადგილება, რაც მაშინ განხორციელდა, ადეკვატური და კანონიერი ქმედებაა.

თქვენი გაზეთის მეშვეობით საქართველოს მოსახლეობას გულახდილად ისიც ვუთხარი, თუ ვინ და რა შეცდომა დაუშვა, რა არამართლზომიერი ქმედება ჩაიდინა ამ ოპერაციის განხორციელების დროს, რამაც საბაბი მისცა აგრესორ-სეპარატისტებს განეხორციელებინათ თავიანთი კაცთმოძულე ზრახვები, უწინარეს ყოვლისა კი ოსტატურად გამოეყენებინათ შეცდომები, რომლებიც იმჟამინდელმა სამხედრო ხელმძღვანელობამ დაუშვა და ცეცხლი გაეხსნათ ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის.

- ეს ჩვენმა მკითხველებმა იციან. მაგრამ, დამეთანხმებით, რომ საზოგადოებრიობაში დროის გასვლის პარალელურად, ჩნდება ახალი და ახალი ინტერპრეტაცია ცნობილი და მიუკერძოებლად დადგენილი ფაქტებისა. ამ შემთხვევაშიც ახალი ვერსიების წამოყენებისა და არგუმენტაციის მოწმენი ვართ.

- მეტსაც ვიტყვი, ღიმილის მომგვრელია, რომ, არც თუ იშვიათად ერთი და იგივე პიროვნება ერთსა და იმავე საკითხზე კარდინალურად განსხვავებულ შეფასებებს და დასკვნებს გვთავაზობს. ეს ან ელემენტარული გულმავიწყობაა, რაც ნაკლებად დასაჯერებელია, ან პოლიტიკური სპეკულაცია.

ობიექტურობას რომ არ ვუღალატოთ, მივუბრუნდეთ ფაქტებს, რომლებიც, მოგესსენებათ, თავიანთ თავზე თავადვე ღაღადებენ.

გამოძიებით მოპოვებული მრავალრიცხოვანი მტკიცებულობებით რომ არ გადავღალოთ მკითხველები, გუდაუთის პრესა გადავფურცლოთ.

აი, მაგალითად, გაზეთი "რესპუბლიკა აბხაზია" (1993 წლის 26 აგვისტო), გაზეთი "ბზიფი" (იმავე წლის 20 ოქტომბერი) დაუფარავად წერენ ვინ დაესხა თავს აფხაზეთში კრიმინალური თარეშის აღსაკვეთად შემოსული ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების ნაწილებს, რომლებსაც სრული უფლე-

ბა ჰქონდათ (და აქვთ) საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი გადაადგილებისა.

უკანასკნელ პერიოდში გამოჩენილ პუბლიკაციებში სწორედ ამ სიმართლის უარყოფას და, პარალელურად, ყორნების გათეთრებას ცდილობენ, ურცხვად ამტკიცებენ, რომ ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ძალები თითქოს თავგანწირვით იბრძოდნენ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და მისი საზღვრების ხელშეუხებლობისათვის. ამასთანავე, უტიფრად ამტკიცებენ, რომ ამ დროს განვითარებული მოვლენები თითქოს განპირობებული იყო "ფაქტობრივი ხელისუფლების" (1992 წლის ოქტომბერში კანონიერად არჩეული ხელისუფლების) კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით.

სიცრუეა და ბლეფია ყველაფერი ეს. ამის დასამტკიცებლად შორს რომ არ წავიდეთ, ვინმეს საბაბი რომ არ მივცეთ, დაგვაბრალონ მიკერძოება, მათ მიერვე შექმნილი დოკუმენტები გამოვაქვეყნოთ, დამარცხების შემდგომი პერიოდის ფაქტები გავაანალიზოთ და მკითხველს მივანდოთ დასკვნების გაკეთება. ზოგი ფაქტი და დოკუმენტი ცნობილიც კი არის ფართო საზოგადოებრიობისათვის, თუნდაც ჩვენი პუბლიკაციებით.

აი, მაგალითად, ექსპრეზიდენტის 1992 წლის 17 აპრილით დათარიღებული მიმართვა აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისადმი.

- ვაზი გავუსვათ, რომ ამ ფაქტს "ადგილი აქვს" შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე ოთხი თვით ადრე.

- დიახ, და ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა, როგორ უნდა განვითარებულიყო მოვლენები და ვის რა როლი დაეკისრებოდა ამ დროს.

გამოქვეყნებული ამ ხელნაწერის (მიმართვის) ხელახალი პუბლიკაცია ახლა არ ღირს, დაინტერესებული ადვილად მონახავს "საქართველოს რესპუბლიკაში".

მაგრამ დავაფიქსიროთ, რომ ასეთი მიმართვა იყო. ეს ფაქტია.

ახლა სხვა ფაქტები.

1992 წლის 1 ოქტომბერს ზ. გამსახურდია საქართველოს მოსახლეობას მიმართავს: "მე მოვუწოდებ აფხაზეთის ქართველ მოსახლეობას გააძევოს ხუნტის დამსჯელი ბანდები"... (გაზეთი "აღდგომა").

1992 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომელიც ზ. გამსახურდიამ გაუგზავნა "აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ვლადისლავ არძინბას, აფხაზეთის პარლამენტს". ეს წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა "აღდგომამ" იმავე წლის 8 ნ ოემბერს:

"ფაშისტური ხუნტის დამსჯელი ექსპედიცია აფხაზეთში მიზნად ისახავს არა მარტო ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობას, არამედ აფხაზთა და ქართველთა შორის ეთნიკური ომის გაღვივებას.

ფაშისტი ულმერთოები და სისხლის სამართლის დამნაშავეები ანადგურებენ, ძარცვავენ არა მხოლოდ აფხაზ, სომხურ, ბერძნულ, რუსულ მოსახლეობას, არამედ ქართულ მოსახლეობას... თუ კი აფხაზი მეომრები არ იმოქმედებენ პრინციპით - თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ... შეიქმ-

ნება ქართული მოსახლეობის ხუნტის დამსჯელი ჯარების მხარეზე გადასვლის საფრთხე. აფხაზეთის ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს...“

- ე.ი. ქართველი ქართველის მხარეს არ დადგესო!

- დიახ. ასეა. მარტივია ეს კაცთმოძულე ლოგიკა. მშვიდობის დამყარება კი არა, ხელისუფლებაში დასაბრუნებლად საკუთარი თანამოძმეების დასახოცავად მოწოდებაა ეს. ბევრი ვიცით მსგავსი მაგალითი ცივილიზებული მსოფლიოს ისტორიაში?

მაგრამ გავაგრძელოთ მაგალითების ჩამოთვლა.

იგივე “აღდგომის“ 1992 წლის 2 ნოემბრის ნომერი, ვახტანგ (ლოთი) ქობალიას განცხადება: “ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ ომში (ლაპარაკია აფხაზეთის ომზე. - რედ.) არ ჩავებმებით“.

“აღდგომა“ 1993 წლის 9 მარტი: “საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულის, თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ვახტანგ (ლოთი) ქობალიას ბრძანება:

გადაიკეტოს სამეგრელოს რეგიონის ყველა შესასვლელი. რეგიონში არ იქნეს შემოშვებული არც ერთი სახის შეიარაღებული ფორმირება. სრულ მზადყოფნაში იქნეს მოყვანილი სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა“.

ეს ის დროა, როდესაც აფხაზეთის ფრონტზე გაცხარებული ომია, ჩვენს სამხედრო ნაწილებს შევსება, რეზერვის მიწოდება სჭირდება, ქობალია კი კრძალავს ნებისმიერი სამხედრო შენაერთის გატარებას სამეგრელოს ტერიტორიაზე, კეტავს არმიის მთავარ მაცოცხლებელ არტერიას.

- დიახ, ასეა.

იგივე გაზეთი, 1993 წლის 26 აპრილს აქვეყნებს ე.წ. სრულიად საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის საგანგებო დადგენილებას.

“კომიტეტი სრული შემადგენლობით - ზაურ ქობალია, ვალერი გაბეღია, მერაბ ჩუბუა, ზურაბ გუჩუა, ანზორ გვარამია, ზურაბ კვარაცხელია - ადგენს: “კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად მებრძოლი არც ერთი შეიარაღებული ნაწილი არ იქნეს შეყვანილი კონფლიქტის ზონაში“.

1993 წლის 7 სექტემბერს, აფხაზი სეპარატისტების მიერ საომარი მოქმედების განახლებამდე 9 დღით ადრე “აღდგომაში“ ქვეყნდება ცნობა, რომ “საქართველოში აღდგა კანონიერი ხელისუფლება, მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის ხელმძღვანელობით...“

და აქვე: “კვლავ მოგიწოდებთ დაუმორჩილებლობისაკენ, რათა ეროვნული მოძრაობის მობილიზაციით, წინააღმდეგობის ყოველგვარი ფორმების გააქტიურებით მივაღწიოთ ხუნტის უკანონო ხელისუფლების გაუქმებას“.

მიაქციეთ ყურადღება, როგორ ზემოქმედებენ საზოგადოებრივ აზრზე სეპარატისტთა ახალი შემოტევის წინ, როგორი არეულობით და ხალხის როგორი დემორალიზაციით ცდილობენ პანიკური განწყობილების გავრცელებას.

ამავე გაზეთში (7 სექტემბერი) ზვიად გამსახურდია სიხარულით აუწყებს ხალხს, რომ “საქართველოში დაიწყო კანონიერი ხელისუფლების აღდგენის პროცესი, კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებულმა ძალებმა პოლკოვნიკ ლოთი ქობალიას ხელმძღვანელობით განაიარაღეს ხუნტის შეიარა-

ღებული ფორმირებები სენაკსა და ხობში".

- შევახსენოთ ჩვენს მკითხველებს, რომ სოხუმის დაცემამდე ზუსტად ოცი დღე რჩებოდა, "პოლკოვნიკი ქობალია" კი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დაუფარავად სცილდა სისხლისაგან.

16 სექტემბერს სოხუმზე მუხანათური თავდასხმა და საომარ მოქმედებათა განახლება, აურაცხელი მსხვერპლი ყველას ახსოვს.

და ამ ფონზე როგორ ჟღერს თვითმარქვია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1993 წლის 17 სექტემბერს ქ. ზუგდიდში მიღებული დადგენილების შემდეგი პუნქტი (პუნქტი მეორე):

"არ იქნეს დაშვებული კანონიერების მოქმედების საზღვრების შემცირება გამომდინარე 1993 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობიდან ადგილობრივი ტაქტიკური გარემოებების გათვალისწინებით".

აფხაზმა სეპარატისტებმა ცალკე მოახდინეს საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის ოკუპირება, ამათ - ცალკე. "აღდგენილი კანონიერების ტერიტორიას" საზღვრები დაუდგინეს.

ვის ახსოვდა საქართველოს ტერიტორიის მთლიანობა!..

ექსპრეზიდენტი ქართველი ერისადმი მიმართვაში 1993 წლის 20 სექტემბერს, მაშინ, როდესაც ერის უძვირფასესი გენოფონდი- ახალგაზრდობა ბრძოლაში თავს სწირავდა, წერს (იხილეთ "აღდგომა", 20 საექტემბერი): "მოგიწოდებთ, გააძლიეროთ საპროტესტო მოძრაობა, გაფიცვები, მიტინგი თუ ყოველგვარი საპროტესტო აქციები ხუნტის წინაღმდეგ.

მე მოვუწოდებ ხუნტის შეიარაღებულ ძალებს, გადმოვიდნენ ჩვენს მხარეზე, შევიდნენ კანონიერ სტრუქტურებში. მათ გარანტირებული ექნებათ ხელშეუხებლობა სათანადო პირობების დაცვით". 23 სექტემბერს კი სოხუმის დაცემამდე ოთხი დღით ადრე საქართველოს მოსახლეობას მოძღვრავს:

"აუცილებელია როგორც არასდროს, დაუმორჩილებლობა გადაიზარდოს საერთო-სახალხო დაუმორჩილებლობაში, - თბილისში, ქუთაისში, რუსთავში და სხვაგანაც...

უნდა იცოდეთ, რომ კანონიერმა გვარდიამ ბ-ნ ვახტანგ ქობალიას სარდლობით და გურამ ლაკიას, ოთარ უბილავას, ჯამბულ ბოკუჩავას, რომეო კუჭუხიძის, ბადრი ზარანდიას, აკაკი ელიავას და სხვათა თანადგომით უსისხლოდ გაანთავისუფლა სამეგრელოს რეგიონი ხუნტის ბანდებისაგან. ქართველო ვაჟკაცებო, თქვენც შემოუერთდით კანონიერ გვარდიას"...

ასეა სიტყვასიტყვით.

- და ეს არის მოწოდება წინა ხაზის გაშიშვლებისაკენ, დეზერტირობისაკენ, კაპიტულაციისაკენ...

- დიახ, სწორედ ასეა, და ამ მაგალითიდანაც კარგად ჩანს, თუ ვინ სად და რისთვის იბრძოდა.

ეს გახლავთ მხოლოდ მცირე ნაწილი პრესაში გამოქვეყნებული მასალების.

ამასთან ერთად, არის სხვა წყაროებით მოპოვებული მტკიცებულებანი, რომლებიც ჩვენს მიერ უკვე განსაიდუმლოებულია.

1993 წლის 17 სექტემბერს, 11 საათსა და 59 წუთზე 5030 კჰც სიხშირეზე შედგა საუბარი "ოდიშსა" (ზუგდიდი) და "კვადრატს" (გროზნოს) შორის.

შეგახსენებთ, საომარი მოქმედება აფხაზეთში წინა დღის განახლებულია.

საუბრობენ ექსპრეზიდენტი და ექსპრემიერი (სტილი აქ და შემდეგ ყველგან დაცულია).

"ოდიში" (გუგუშვილი):

- ბესო ვარ.

- ***"კვადრატი"*** (გამსახურდია): - ბესო, თუ შეგიძლია ლაპარაკი, ილაპარაკე.

გუგუშვილი: - მდგომარეობა აღმოსავლეთში (ლაპარაკია სამტრედიის აღმოსავლეთით ქუთაისისკენ ტერიტორიაზე, "დასავლეთი" აფხაზეთია. - რედ.) იგივეა, რაც იყო. გუშინ საღამოთი მოადგა იქ ყარყარაშვილის ერთი რაზმი და ლოთს სთხოვა - გაგვატარე აფხაზეთისკენო... მაგრამ იმ ყარყარაშვილის რაზმსაც არ ატარებენ. ჩვენების პატარა ნაწილი გაეშურნენ სოხუმისაკენ. ესენი არიან სოხუმელები ძირითადად...

გამსახურდია: - სოხუმში არაფერი სერიოზული ბრძოლები არ მიმდინარეობს და გატყვილებენ თქვენ.

გუგუშვილი: - ჩვენ ავუხსენით შტაბსაც და ოფიცრებსაც, რომ სინამდვილეში ყველაფერი კეთდება იმისათვის, შეიტყუონ ჩვენები შიგ და მერე მახეში მოახვდინონ და გაანადგურონ. ეს ოფიცრებმა იციან, მაგრამ იქ გავიდნენ ისინი, ვისაც ოჯახის წევრები სოხუმში ჰყავთ და რომ შედარებით წყნარ რაიონში გადაიყვანონ...

გამსახურდია: - გავიდნენ უკვე სოხუმში?

გუგუშვილი: - ნაწილი გასულია, ნაწილი საწვავს ელოდება...

გამსახურდია: - რატომ მიდიან?

გუგუშვილი: - ჩვენ ავუხსენით, რომ იქ დიდი ძალები არ არის. აღმოსავლეთში საკმარისია ძალები, რომ ის პოზიციები დაიკავონ, მაგრამ თუ ისინი სხვა ხერხებს მიმართავენ, სხვა ხერხები იქნება ნახმარი.

გამსახურდია: - ფოთში რა ამბავია?

გუგუშვილი: - სტაბილურობაა შედარებით...

გამსახურდია: - ლტოლვილები სად არიან?

გამსახურდია გუგუშვილისაგან მიიღებს პასუხს, რომ ლტოლვილები აღმოსავლეთისკენ გაუშვეს... და ამის შემდეგ დიალოგში (მიაქციეთ ყურადღება) ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა. უწინარეს ყოვლისა, გამსახურდია კატეგორიულად მოსთხოვს გუგუშვილს, რომ აფხაზეთისკენ არავინ გაატარონ. გუგუშვილი მიიღებს ამ დავალებას და ქობალიას გადავცემო, დაპირდება.

შემდეგ ("დიდი ტყუილის" პოლიტიკის მეთოდი):

"გუგუშვილი: - ჩვენ თქვენი მითითების შესაბამისად გადავეცით ცნობა, რომ თქვენი მითითებით გარკვეული ნაწილი ჩვენი გვარდიის წავიდა აფხაზეთში დასახმარებლად(?!)

გამსახურდია: - იქ სერიოზული არაფერია, ამიტომ აღარავინ აღარ წავიდეს.

გუგუშვილი: - გასაგებია. ჩვენც სწორედ ესეთი განცხადება გავაკეთეთ, რომ ყველა და ყველაფერი იქ არის შეკარდნაძის ერთ-ერთი, კიდევ ერთი ფარსი, მეტი არაფერი (?!).

გამსახურდია: - წყაროებით ცნობილია, რომ სულ ასი კაცია, ხიდთან დგანან აფხაზები და არც იბრძვიან და არც არაფერი. არაფერი არ ხდება იქ"...

თავის პრემიერ-მინისტრსაც ატყუებს. არ ვიცი, მოტყუებული, თუ - სხვა რა გზა აქვს, გუგუშვილი იმეორებს, რომ "ეს არის პროვოკაცია იმისთვის, რომ შეიტყუონ ჩვენი ხალხი და განაიარაღონ, ან დაღუპონ". შემდეგ დაჭრილებზე აწვდის ინფორმაციას გროზნოს:

" - აღმოსავლეთში დაჭრილები არიან და დაღუპულები...

გამსახურდია: - რამდენია დაჭრილი?

გუგუშვილი: - არ ვიცი რამდენია. დიდი რაოდენობა არ არის იმიტომ, რომ იქ რომ ესვრიან, ახლომახლო ვარდება. სადაც პოზიციები აქვთ, ჯერ-ჯერობით ვერ არტყავენ იქ.

გამსახურდია: - ამათ რატომ არ უპასუხეს?

გუგუშვილი: - ესენი პასუხობენ, ახლა დაიწყო პასუხი. მანამდე ელოდებოდნენ, ვითომ ყარყარაშვილის ძალები წამოვიდნენ. ეხლა ყარყარაშვილი იხვეწება გამიშვითო, სხვებიც არიან ჩამოსული თბილისიდან.

გამსახურდია: გასცენ საკადრისი პასუხი. ახლა აღარ მოერიდონ მაგათ.

გუგუშვილი: - კი ბატონო".

ასე გადაწყვეტენ ეს სტრატეგოსები ესროლონ საკუთარ მოძმეთ, გზა გადაუკეტონ აფხაზეთში საომრად მიმავალ ჩვენს სამხედრო ნაწილებს.

- საქართველო განწირული იყო...

- სამწუხაროდ.

მაგრამ განვაგრძოთ განსაიდუმლოებული მასალების გამოქვეყნება.

18 სექტემბერს, 11 საათსა და 48 წუთზე 4230 კპც სიხშირეზე "კვადრატი" კვლავ უკავშირდება "ოდიშს".

"გამსახურდია: - სად არის ლოთი?

გუგუშვილი: - ლოთი არის სენაკში.

გამსახურდია: - აფხაზეთში ხომ არ აპირებს წასვლას?

გუგუშვილი: - აფხაზეთში გარკვეული ნაწილები წავლენ, როგორც ადრე იყვნენ მოლაპარაკებულები.

გამსახურდია: - თვითონ თუ მიდის ლოთი?

გუგუშვილი: - თვითონ პირადად წავა თუ არა, არ ვიცი. დღეს გავიგებთ.

გამსახურდია: - უთხარი არავითარ შემთხვევაში არ წავიდეს... არ გაუშვან იქით ჩვენი მებრძოლები".

მიაქციეთ ყურადღება ამ "პატრიოტულ" მოწოდებას! აფხაზეთის დაკარგვა კი არა, გამსახურდიას სულ სხვა რაიმე აინტერესებს. გუგუშვილს ჩააცივდება - ზუსტად მითხარი ვანი აიღეს თუ არაო. 18 სექტემბერია, სოხუმის ბედი ბეწვზე ჰკიდია.

და ამის შემდეგ - ბევრის მიმანიშნებელი ფრაგმენტი დიალოგის!.

გუგუშვილი: - ეხლა მე დავუკავშირდები მოსკოვს და დაწვრილებით

მოსკოვთან ვილაპარაკებთ.

გამსახურდია: - სოხუმი აღებულია? (SIC!)

გუგუშვილი: - როგორც ვიცით, მაინცა და მაინც დიდი ცვლილებები არ არის.

გამსახურდია: - მოსკოვი ჩვენ ვერ გვიკავშირდება.

გუგუშვილი: - მაშინ რადიოზე გამოვალ საათნახევარში.

გამსახურდია: - ეხლავე გადაეცი ლოთის, რომ არ მოიცვალოს ფეხი იქიდან.

გუგუშვილი: - გადავცემ.

იმავე დღეს - 19 საათსა და 44 წუთზე იმავე სიხშირეზე მეორე საუბარი შედგა "ოდიშსა" და "გროზნოს" შორის. ზუგდიდიდან ზაურ ქობალია ლაპარაკობს.

"ქობალია: - აფხაზეთში როგორც კი გამწვავდა მდგომარეობა, აქ ცოტა პატარა ის შემოვიდა... იცით თქვენ, იქიდან ვინ იყო და როგორ იყო. მდგომარეობამ ცოტა შეაფერხა ჩვენი საერთო მდგომარეობა. შემდეგ იქნა გადაწყვეტილი გარკვეული ნაწილი გაიგზავნოს აფხაზეთში და მიიღონ მონაწილეობა. ამას აქვს გარკვეული პოლიტიკური (მნიშვნელობა), ყველაფრის თქმა არ შეიძლება, და შემდეგ შეიძლება სხვა ხელით (?) აგიხსნათ ეს ამბავი.

გამსახურდია: - ლოთი სად არის?

ქობალია: - სენაკშია, აგროვებს თავის ძალებს და სხვადასხვა საშუალებით გადაჰყავს.

გამსახურდია: - თვითონ არავითარ შემთხვევაში არ წავიდეს.

ქობალია: - თვითონ არ მიდის...

გამსახურდია: - არავითარ შემთხვევაში თვითონ არ წავიდეს... რატომ განაცხადა ტელევიზიით რომ აფხაზეთში მივდივარო?

ქობალია: - ისე გართულდა მდგომარეობა, რომ სხვანაირად შეუძლებლად მიიჩნია ფაქტიურად".

ასეთი მასალა ბევრია, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ ზოგიერთს ვაქვეყნებთ. იმასაც გეტყვით, რომ ეს რადიოკავშირი საკმაოდ მყარი, სისტემატური იყო, ყოველ დღე და დღეში რამდენჯერმეც ხორციელდებოდა, გროზნო ხან "არწივი" იყო, ხან - "ომეგა", უმეტესად - უსახო "კვადრატი", სიხშირეები 4230 და 4260 კილოჰერცი. ეს - დოკუმენტურობისათვის.

მორიგი სეანსი - 1993 წლის 30 სექტემბერი, 18 საათი და ოცი წუთი. 27-ში სოხუმი დაეცა, 28-ში გულრიფში დავტოვეთ, 29-30-ში ოჩამჩირე, გალი...

ისინი კი, აი, რაზე საუბრობენ, ისევ "კვადრატი" და ისევ "ოდიში":

"კვადრატი": - ბადრი, მითხარი, ერთი, რა ხდება იქით? ოჩამჩირეში როგორ არის ამბავი?

"ოდიში": - ოჩამჩირეში, მე მგონი, შემოვიდნენ, ოჩამჩირე დატოვებულია.

"კვადრატი": - მანანას დაელაპარაკე".

დიალოგის მეორე ნაწილი მანანა არჩვაძესა და ზუგდიდს შორის მიმდინარეობს:

“ - ბადრი, გამარჯობა, სად დატოვეთ პოზიციები, სად, იმერეთში?

- ვერ გავიგე.

- პოზიციები სად დატოვეთ, იმერეთში?

- არა, ოჩამჩირეში.

- ტელევიზორი რასაც გადმოსცემს, იმას რას მიმეორებ? ჩვენ ვუყურებთ ტელევიზორს.. კარგი რა ამბები არის?

- საქართველოს ტელევიზია დეზინფორმაციას ავრცელებს, ვითომდა პრეზიდენტის ჩამოსვლით პანიკა მოხდა მეომრებში და დაიშალა მეომრები. პრეზიდენტს აბრალებენ ოჩამჩირეს და სხვების დატოვებას.

- ძალიან კარგია, რომ მაგას ამბობენ, ესე იგი, რა მშიშარა მეომრები ჰყოლია ხუნტას, რომ ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლით გაიქცნენ კურდღლებივით. რა სჯობია მაგას!

- ჰო, ეს კი, მაგრამ ხალხში ძალიან ცუდ რეაქციას ღებულობს, ქალბატონო, ლტოლვილებში...

- იცი, რას გეტყვი? დურაკი ყოველთვის დურაკად რჩება, და ამიტომ, რამდენი დურაკი გამოჩნდება, თქვენ იმას ყურს ნუ უგდებთ.

- გასაგებია.

- თქვენ თქვენი საქმე გააკეთეთ“.

და ახლა თქვენ მოწმენი გახდებით, თუ როგორ იბადება ბოროტი ჭორი. მანანა არჩვაძე ზუგდიდს დირექტივას აძლევს:

“ - უთხარით ყველას, რომ შევარდნაძემ (!) დახვრიტა 30 კაცი სოხუმში - ჟიული შარტავა, კაკუბავა და სხვები.

- კაკუბავაც?

- დახვრიტა. აუფეთქებიათ შენობა, სადაც ეგენი იყვნენ. რაღაცაზე კონფლიქტი მოუვიდათ... და ამან დაახვრეტია სულ ყველა, 30 კაცი, მათ შორის, კაკუბავაც, და გვარებს მოგვაწვდიან.

- გასაგებია, გასაგები. აქ ძალიან ბევრი ლტოლვილებია შემოსული. გატენილია მთელი ზუგდიდი ლტოლვილებით, ქუთაისისკენ, მე მგონი, არ ატარებენ, და რა ვიცი.

- გაუშვით თბილისში“.

ლტოლვილების დარდი ვისა აქვს, სხვა ომისათვის შლიან ფრთებს.

მე გადმოგეცით ისეთი უცილობელი სამხილები, რომლებსაც დოკუმენტური მტკიცება აქვს. ეს მონაცემები დაზუსტებულია ასობით მოწმისა და დაზარალებულისაგან. საერთო აზრი, გამოძიებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენებით, ერთია: ასეთ ვითარებაში ყოვლად შეუძლებელი იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უზრუნველყოფა.

პანიკა, დაბნეულობა და არეულობა შეიტანეს საზოგადოებაში, კიდევ უფრო გაუღვივეს სეპარატისტ ლიდერებს და მათ მიმდევრებს ბიოლოგიური სიძულვილი ქართველებისადმი.

ბევრ დოკუმენტში, რომლებიც გამოძიებას გააჩნია, არის პირდაპირი და კატეგორიული მითითება და მოთხოვნა - წაართვან იარაღი ფრონტზე

მიმავალ, თუ იქიდან დაბრუნებულ ჯარის ნაწილებს.

- დაგვრჩა კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი აფხაზეთის ტრაგედიის გამომწვევი მიზეზებისა, - სამხედრო ასპექტი.

- დაგვრჩა, მაგრამ არ დაგვავიწყდა. წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დოკუმენტური რევიზია, რომელიც მოიცავდა 1992-93 წლების პერიოდს. იარაღის, ზურგის სამსახურის რესურსების მიღება-განაწილების, ჩვენი შენაერთების დაკომპლექტების რეალური ვითარების სურათის აღსადგენად, ჩვენი შეიარაღებული ძალების მეთაურების ქმედებათა სწორი და სამართლებრივი შეფასებისათვის.

არავინ იფიქროს, რომ მე აქცენტი გადამაქვს ყოფილ ხელისუფლებაზე. არა, მე ვამბობ, რომ აფხაზეთის კონფლიქტში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო მისი - ყოფილი ხელისუფლების მოქმედება, ნეგატიური როლი საომარი კონფლიქტის დაწყებისთვისაც (1992 წლის აგვისტოს მოვლენები) და შემდგომ - 1993 წლის სექტემბრის მოვლენების განვითარებაშიც.

ამასთან, არ შემიძლია არ გავიხსენო აი, რა.

სეპარატისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა, აწ გარდაცვლილმა იური ვორონოვმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 1992 წლის საგაზაფხულო სესიაზე, მაშინ, როდესაც ექსპრეზიდენტის მხარდამჭერებისაგან სრულიად პარალიზებული იყო საქართველოს რკინიგზა, საავტომობილო მაგისტრალები, როდესაც ამის გამო სერიოზული საფრთხე შეექმნა აზერბაიჯანსაც, სომხეთსაც და სავსებით რეალური იყო ადეკვატური რეაქცია არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების მხრიდანაც, აი ამ დროს ვორონოვმა განაცხადა:

"ჩვენ აქ რატომღაც ძალიან მშვიდად ვსაუბრობთ საგაფიცვო კომიტეტზე. სოხუმში კეტავენ სასიცოცხლო არტერიებს, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებს. ჩვენ კვლავ შევხვდებით ამ საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელობას, მაგრამ არ გვავიწყდება მათთან ამასწინანდელი შეხვედრა პრეზიდიუმის სხდომაზე. მაშინ დაგვიხატეს მათ "წარმტაცი" სურათი გამარჯვების პერსპექტივისა, როცა უკვე შიმშილით ამოხოცავენ თბილისის მოსახლეობას, მათ შორის, უმწეო ბავშვებს და ქალებს, და მათ ამის გაკეთება სურთ აფხაზეთის სახელით. აფხაზეთის ხელით. ჩვენ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ მომავალი შეხვედრისას რაზე ვეთათბიროთ საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელებს".

ამ დროს სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ აფხაზი სეპარატისტებიც კი დროებით განზე გაუდგნენ "ეროვნულ მოძრაობას".

- მაშ, როგორ აგხსნათ ის გარემოება, რომ ყოფილმა ხელისუფალმა და მისმა წრემ თავისი ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ სწორედ აგრესორ სეპარატისტებთან, მათ ხელშემწყობებთან და დამხმარეებთან შეკრეს ალიანსი, სამეგრელოში შემოიყვანეს ჩრდილოეთკავკასიელი და სხვა ქვეყნების "ბოევიკები", დაარბევინეს ქალაქები, აწიოკებინეს მოსახლეობა?

- უწინარეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ დროის ფაქტორი.

- ეს ხდება 1992 წლის გაზაფხულზე.

მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის აფხაზი სეპარატისტებისა და მათი წამქეზებლების, დამხმარეების მყარი წრე. ჯერ კიდევ არ არიან მზად ალიანსის ჩამოსაყალიბებლად, თუმცა - აქეთკენ მიდიან. ალბათ მიაქციეთ ყურადღება, რომ ვორონოვი კავშირის გაწყვეტის საკითხს არ აყენებს - სიფხიზლისაკენ მოუწოდებს, მაგრამ აღარ შეხვდეთო არ ამბობს.

გარიგება დროებითი იყო. ჩვენს მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, რა მასშტაბი მიიღო 1992 წლის გაზაფხულიდან აგვისტომდე საქართველოს რკინიგზაზე, სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონებში სატრანსპორტო მაგისტრალებზე ტვირთების გატაცებით გამოწვეულმა ზარალმა.

ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედმა ბანდიტურმა ჯგუფებმა დატაცებების სიხშირითა და გატაცებულის ღირებულებით გადააჭარბეს კიდეც მათს წინამორბედებს მეზობელ რაიონებში. გახსოვთ, რა მძაფრი რეაქცია მოჰყვა ასეთ ყაჩაღობას სომხეთის მხრიდან, როდესაც ამ ქვეყნისათვის გამიზნული ტვირთების უზარმაზარმა რაოდენობამ (მილიარდობით მანეთზე იყო ლაპარაკი), ვერ ჩააღწია ადრესატამდე, ყელში წაუჭირეს, და რეაქციაც ადეკვატური იყო. ამიერკავკასიის ქვეყნების დიდი უკმაყოფილების მუქარამ შეაშინა სეპარატისტები, გარიგება არჩიეს დროებით.

მომენტი იყო ასეთი.

- შეიძლება ითქვას, რომ დროებით გარიგებულ მხარეთა ბუნება იმდენად იდენტური იყო, მათი მიზნები იმდენად ემთხვეოდა ერთმანეთს, რომ ალიანსი სეპარატისტებთან, რომელიც გამსახურდიამ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენა, ლოგიკურად გამომდინარეობდა ამ ურთიერთობის განვითარებიდან?

- დიახ, ლოგიკური იყო, რამაც სავსებით ჰპოვა დადასტურება ცალკე გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმეების სასამართლოში განხილვის პროცესში...

დავუბრუნდეთ მკითხველებისათვის შეთავაზებულ ფაქტებით ანალიზის მეთოდს და კონკრეტიკაზე გადავიდეთ.

ხაზგასმით ვთქვათ, რომ გამოძიების მასალებით და ცალკეული საქმეების სასამართლო განხილვით, ექსპრეზიდენტისა და მისი მომხრეების დანაშაულებრივი ალიანსი აფხაზ სეპარატისტებთან სამართლებრივად დადასტურებული ფაქტია.

გამსახურდია და მისი მომხრეები ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დასაცავად წარმოებული ომის დროს აფხაზ სეპარატისტებს შეუთანხმდნენ, რომ გაწეული დახმარებისათვის სეპარატისტები ცოცხალი ძალით, სამხედრო ტექნიკითა და საბრძოლო მასალებით აქტიურად დახმარებოდნენ საქართველოს ხელისუფლების დამხობასა და ძალაუფლების ხელში ასაღებად გამიზნულ სათარ მოქმედებებში, სამოქალაქო ომის გაჩაღებაში.

მდიდარი და მრავალმხრივი ფაქტობრივი მასალის ანალიზით სავსებით დადასტურებულია, რომ ექსპრეზიდენტმა და მისმა აქტივისტებმა ოჩამჩირი-

დან ჩამოიყვანეს აფხაზი, ჩეჩენი და სხვა ეროვნების მკვლელები, ჩამოიტანეს სამხედრო ტექნიკა და საბრძოლო მასალები.

კერძოდ 1993 წლის 25 ოქტომბერს, ზუგდიდის საექსკურსიო ბიუროსა და ავტოკოლონა №2683-ის მძღოლები - ზურაბ ბერდებელია, მურმან ფაჟავა და სხვები მათზე განპიროვნებული სამგზავრო და სატვირთო ავტომანქანებით, სიკვდილის მუქარით წაიყვანეს ოჩამჩირეში, საიდანაც სეპარატისტების უკანონო შეიარაღებულ ფორმირებების მეთაურ მ. ქიშმარიასთან ერთად ზუგდიდში ჩამოიყვანეს ავტომატური იარაღით, ყუმბარმტყორცნებით და მძიმე სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი 150-მდე აფხაზი, ჩეჩენი და სხვა ეროვნების "ბოევიკი", რომლებიც განთავსეს ზუგდიდის ქალაქის საავადმყოფოში და სოფელ კახათის ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში.

იგივე მძღოლები, იმავე ავტომანქანებით მოკვლის მუქარით იძულებით წაიყვანეს ოჩამჩირეში. 3 ნოემბერს დილით ოჩამჩირის შტაბთან ამ ავტომანქანებში ჩასხეს ასამდე აფხაზი, ჩეჩენი და სხვა ეროვნების შეიარაღებული მკვლელი, ჩატვირთეს საბრძოლო მასალები, დაბრუნდნენ ზუგდიდში და შეუერთდნენ ბანდფორმირებებს.

თითოეულ "ბოევიკს" ყოველდღიურად უხდიდნენ 100 ამერიკულ დოლარს, ამასთან, მათ ნება დართეს დაერბიათ საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობა, აეწიოკებინათ, გაეძარცვათ, დატაცებული ქონება მიეთვისებინათ და დაუბრკოლებლად გაეტანათ სეპარატისტთა მიერ ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის გავლით.

დანაშაულებრივი გარიგების შესაბამისად, დაქირავებულმა "ბოევიკებმა" მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ თავდასხმებში ხობზე, სენაკზე, სამტრედიაზე 1993 წლის 25 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე. რა უბედურებაც დატრიალდა მაშინ იქ, ყველასათვის ცნობილია."

გამოხდა ხანი და მრავლისმეტყველი იყო ასლან მასხადოვის გამოსვლა 2004 წლის 20 აგვისტოს, რომელიც ჩვენმა ტელეკომპანია "მზემ" 24 აგვისტოს გადმოსცა. მე ამას ისტორიულ გამოსვლას ვუწოდებდი. მასხადოვმა დაგმო ჩეჩენთა მიმხრობა აფხაზებისადმი და ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა. მან სიტყვა-სიტყვით განაცხადა, რომ ჩეჩნები მოატყუეს და ეს შედიოდა რუსეთის ინტერესებში.

ახლა ორიოდ სიტყვა ზ. გამსახურდიას ტრაგიკულ აღსასრულზე. თენგიზ სიგუას მიაჩნია, რომ ისეთი კაცი, როგორიც პრეზიდენტყოფილი იყო, თავს არ მოიკლავდაო. იგულისხმება მისი საკუთარი თავის სიყვარული და ამქვეყნად დამკვიდრების სურვილი. მე კი ვთვლი, განსაკუთრებით ტელეარხ "იმედზე" ბ. გუგუშვილის ინტერვიუს შემდეგ, რომ ეს სავსებით შესაძლებელი იყო. ბ. გუგუშვილმა განაცხადა, ცხადია, ზ. გამსახურდიას ქებათა-ქების მერე, რომ ჩვენ გვეშინოდა "მხედრიონელებს" ხელში არ ჩავვარდნოდით, ისინი გაგვაუპატიურებდნენო. ზოგი ამის მერე ისევ ისე დადის, - თავი მოიწონა ბ. გუგუშვილმა - ჩვენ კი ამას ვერ შევურიგდებოდითო. ახლა წარმოიდგინეთ, სასოწარკვეთილებასა და ისტერიაში ჩავარდნილ ზ. გამსახურდიას თავისუფლად შეეძლო ამის განხორციელება.

როდესაც ამ მხილების წერას ვიწყებდი, სადღაც ეჭვმა გამკრა - ღირს კი დაღუპული კაცის ესოდენი გამოაშკარავება? მაგრამ მერე გამახსენდა ჩვენი დავით გურამიშვილი.

მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!
ჭეშმარიტად ცოდვა უძღვის კაცსა კაცის განმკითხავსა,
მაგრამ ავზედ ავი ითქმის, კარგს არავინ გაჰკიცხავსა!

გარდა ამისა, რამდენი ახალგაზრდის, რამდენი მოქალაქის სისხლი აწევს მას კისერზე და რამდენი გაუბედურებული ოჯახი დატოვა მან ამქვეყნად, საკუთარ კარიერასა და დიდებას რომ ანაცვალა!

ჯერ კიდევ 2002 წლის 14 დეკემბრის "საქართველოს რესპუბლიკაში" ვწერდი: ეფიქრობ, პოლიტიკოსისა და ისტორიკოსის გარდა, გამსახურდიას ფენომენის მიმართ თეოლოგსაც ექნება თავისი სათქმელი და როგორც ჟურნალ "რელიგიის" რედაქტორი, შევეცდები მოკლედ გადმოვცე ჩემი მოსაზრება (ვრცლად ამ საკითხების ირგვლივ დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობ მეოცე საუკუნის დიდი გერმანელი ფილოსოფოსის დიტრიხ ფონ ჰილდებრანდის "ეთიკას", ასევე დიდი ფილოსოფოსის ვლადიმირ სოლოვიოვის "სამ საუბარს" ლიტველი თეოლოგის ა. მაცეინას შესანიშნავი კომენტარებით). ქრისტიანული მსოფლგაგების მიხედვით ისტორიის მსვლელობისას ქრისტეს ძალას, მის მიმდევრებს და ა.შ. უპირისპირდება მისი მოწინააღმდეგე - ანტიქრისტე. ამ უკანასკნელსაც ჰყავს თავისი მიმდევრები - gesta diaboli per homines (ეშმაკის საქმენი ადამიანთა მეშვეობით). ისტორიაში მრავალი ყოფილა "ეშმაკის საქმეთა აღმსრულებელი, რომელთა შეცნობა მათ მიერ მოტანილ ნაყოფთაგან ხდება ("ხე - ბოროტი ან კეთილი ნაყოფით"). დიდ, მრავალრიცხოვან ერებს სათავეში თუკი ანტიქრისტეს მოვლინებულები მოექცეოდნენ, მაშინ უდიდესი მასშტაბებით ხორციელდებოდა ხილული ბოროტება - მილიონობით ადამიანის მსხვერპლშეწირვა, სისხლი, ტანჯვა და ვაება. უხილავ ბოროტებაში კი ანტიქრისტე სულიერ პლანში ეუფლება კულტურას, ფილოსოფიას, ხელოვნებას და ა.შ. როგორც ა. მაცეინა ამბობს, - "სოლოვიოვის ანტიქრისტე სულაც არ არის ათეისტი". ანტიქრისტეს გონება უკარნახებდა, თუ რა უნდა ერწმუნა: სიკეთე, ღმერთი, მესია. მას "ისინი კი სწამდა, მაგრამ უყვარდა მხოლოდ თავი თავისი". ხოლო "ყოველი ანტიქრისტე ამოიზრდება საკუთარი თავის სიყვარულიდან, ეგოცენტრიზმიდან და ასეთი სიყვარული თავისი თავისა არის გზა სატანისა ისტორიაში". ანტიქრისტეს წარმომადგენელთა "გონებას ძალუძთ ღვთისა და ადამიანის რწმენა, მათ შეუძლიათ ღვთის წინაშე ძრწოლა და ადამიანთა დახმარება, მაგრამ საკუთარი თავის სიყვარული ღვთისაგან ისე განიზიდავს მათ, რომ ამსხვრევს მათში სახებას ღვთისას... საკუთარი თავის სიყვარული - ანტიქრისტეს ნიშანია, გზა და საშუალებაა მისი ქმედობისა ისტორიაში".

ანტიქრისტეს მიმდევართა სულიერი ნიშნების დახასიათებისას შეიძლება საუბარი მათ დაუოკებელ წყურვილზე მოყვასზე გაბატონებისა, სიამაყითა და ეგოიზმით შეპყრობილთ მათ გარკვეულ რისკზე წასვლაც კი ძალუძთ, მაგრამ,

ამჯერად ვფიქრობ, საკმარისია, პორტრეტი ისედაც გამოიკვეთა.

ახლა სიტყვა რამდენიმე "შეუგნებელზე". 2002 წლის 6 ნოემბრის გაზ. "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ბ-ნ ნოდარ ლომოურის წერილი სათურით - "ნუ შევიყვანთ შეცდომაში ჩვენს მომავალ თაობას". საუბარია საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოზე IX-XI კლასებისა, რომელთა ავტორებია მერაბ ვაჩნაძე და ვახტანგ გურული. რედაქტორი - დიმიტრი შველიძე. ეს იმდენად ყალბი და ზვიადისტური კუთხიდან დაწერილი "სახელმძღვანელოა", რომ იმხანად, 76 წლის პროფესორის აღშფოთება გამოიწვია: "რატომ გვაყენებენ შეურაცხყოფას სახელმძღვანელოს ავტორები?! რუსეთის აგენტებადაც გვნათლავენ. მერაბ და ვახტანგ, ანგარიშს უწევთ იმას, რომ პუტჩისტებად და რუსეთის აგენტებად თქვენი მასწავლებლებიც გამოდიან?!"

რაკი "ბრწყინვალე სამეულის" ერთ-ერთმა წევრმა, დ. შველიძემ შარშან და წელსაც (იხ. მისი წერილები გაზ. "24 საათში" - 26 მაისი, 2005 წ.; 30 აპრილი, 2006 წ.) იგივე სისულელეები დაახვავა, ღირსნი არიან მთელი სიმკაცრით გაეცეთ მათ პასუხი. მაგრამ ჯერ კარგად უნდა გავიაზროთ, თუ რა პიროვნებებისაგან შედგება ეს სამეული. მერაბ ვაჩნაძემ ჯერ კიდევ 1991 წელს განმადიდებელი წერილი უძღვნა "საქართველოს რესპუბლიკაში" იცით ვის? მკითხველებს ნამდვილად ეგონებათ - ზვიად გამსახურდიასო! არა და არა, ვერ გამოიცანით ბატონებო! მ. ვაჩნაძის რჩეული გახლდათ ერთერთი ვეზირი - მურმან ომანიძე (ხოლო ეს ომანიძე თუ რას წარმოადგენს, იხ. ზვით რუსლან მიქაბერიძის ინტერვიუში). მ. ვაჩნაძე "სახელოვანი" გამგრძელებელია უნივერსიტეტში ხასანას ტრადიციებისა, ხოლო ვინც უნივერსიტეტის ცხოვრებას იცნობს, იცის რაზეა აქ საუბარი. ყოველ შემთხვევაში, მისი რაიმე შრომა, რაიმე გამოკვლევა, რომელიც ყურადღებას იმსახურებდეს, მე არ მსმენია და არ გამიგია.

მეორე ავტორი - ვახტანგ გურულია. ეს გახლავთ პრიმიტიული აზროვნებით გამორჩეული პიროვნება: "მართალ გაზეთში" (№14, აპრილი, 2001 წ.) იგი წერდა:

"ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ. ჩვენი გადაგვარების გეგმა რუსეთს, ამერიკას, თურქეთს - ერთნაირი აქვს. რადგან ეროვნული სახელმწიფო დიდ სახელმწიფოებს ხელს არ აძლევთ, ყელში აქვთ გაჩხერილი. მაინც როგორი სახელმწიფო უნდათ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს? ისეთი, როგორიც ჰოლანდიაა, მათთვის საშიში ალარ არის. საშიშნი ვართ ჩვენ, სომხეთი, ტაჯიკეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რომლებიც ხელს უშლიან ეროვნული სახელმწიფოების მოსპობას. ჩვენთვის ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსპობა ჩვენს დაღუპვას ნიშნავს. ამერიკას ეს საფრთხე არ ემუქრება. რატომ გახდა ზვიად გამსახურდია მიუღებელი რუსეთისთვისაც და ამერიკისთვისაც? იმიტომ, რომ უმართავი პიროვნება იყო. რადგან ის იყო ეროვნული მოღვაწე და როდის იფეთქებდა, სად და როდის გადაუდგებოდა წინ ამერიკისა და რუსეთის გეგმებს, არავინ იცოდა. ამიტომაც გაერთიანდნენ მის წინააღმდეგ. იბადება კითხვა - თუ მთელი საზოგადოება ეროვნული სულისკვეთებით გაერთიანდა,

მასაც იგივე ემუქრება? - ეს საფრთხე, რა თქმა უნდა, მთელ საზოგადოებას ემუქრება და უკვე დაემუქრა კიდეც. სიდუხჭირეში ჩავარდნილი ქართველი ადვილი სამართავია. სექტების მომრავლებაც ამისგანაა გამოწვეული. სექტები მომრავლდნენ აფრიკაში, სადაც შიმშილი და სიდუხჭირე სუფევდა".

მართალი გითხრათ, გურულის ამ მიგნებებმა თავის დროზე ღიმილი მომგვარა. ვთქვათ, დავეთანხმეთ მას, მაგრამ იქვე, ბუნებრივად, აღიძვრის კითხვა: ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ ასეთი "შიმშილი და სიდუხჭირე" არ სუფევს, რით აიხსნება იქ სექტების სიმრავლე?

ახლა მივუბრუნდეთ ხსენებული ციტატის დასაწყისს და იმას, რომ ზ. გამსახურდია არ ეპუებოდა რუსეთ-ამერიკას! ჯერ ერთი, ეს ტყუილია და უკვე ვიცით, თუ როგორ ცეკვავდა ზ. გამსახურდია რუსეთის დუდუკზე, ხოლო რაც შეეხება პრინციპულად იმ მოსაზრებას, რომ საქართველო, თუ საჭიროება მოითხოვს, ორივე მხარეს ერთდროულად უნდა დაუპირისპირდეს - ეს პოლიტიკური სიბრიყვეა! მახსოვს, ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში გვასწავლიდნენ ბისმარკის გამოთქმას, რომ ძლევამოსილი გერმანია არ უნდა დაუპირისპირდეს ერთდროულად რუსეთსა და დასავლეთსო. ეტყობა, ისტორია ცუდად უსწავლია სკოლაში გურულს. და მით უმეტეს, დიპლომატიის ისტორია (ჰენრი კისინჯერი: "საგარეო პოლიტიკა აუცილებლობით ყოველთვის მოითხოვს არჩევანის გაკეთებას"). რაც შეეხება იმას, რომ დიდი სახელმწიფოებისათვის ჩვენ, სომხეთი, ტაჯიკეთი და ა.შ. "საშიშნი" ვართ და "ყელში ვყავართ გაჩხერილნი", ამ ფარულ ინფორმაციას გურულს, ალბათ, დიმიტრი შველიძე აწვდის. ოო, რაკი ამ უკანასკნელს შევეხეთ, პირდაპირ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ მისი, როგორც ისტორიკოსის "გამჭრიახობა" და "კეთილსინდისიერება". ჯერ "გამჭრიახობაზე". როგორც სახელმძღვანელოში, ისე დ. შველიძის სტატიაში (" 24 საათი", 26 მაისი, 2005 წ.) საუბარია იმაზე, რომ "საქართველოში ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თავკაცობით შეიქმნა და ენერგიული ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობა წამოიწყო ჰელსინკის ჯგუფმა. მიუხედავად დიდი პატრიოტული ღვაწლისა, ჰელსინკის კავშირი..." და ა.შ.

ამის დამწერი აბსოლუტურად ვერ ერკვევა საკითხში. საქმე ისაა, რომ მერაბ კოსტავა ვერაფრით ვერ იქნებოდა აღნიშნული "ჰელსინკის კავშირის" წევრი, რადგან ეს "კავშირი", როდესაც იგი ზ. გამსახურდიას ფანტაზიამ შექმნა, მერაბი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო. საქმე ისაა, რომ 1975 წელს ჰელსინკში 35 ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მა და სსრკ-მა ხელი მოაწერა კონფერენციის საბოლოო აქტს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ, რითაც ივალდებულეს დოკუმენტში ჩამოთვლილი ადამიანის უფლებების დაცვა. აი, ეს დოკუმენტი გახდა საბაბი აღმოსავლეთ ევროპაში და ასევე სსრკ-ში (ბალტიისპირეთი, უკრაინა, სომხეთი, საქართველო) "ადამიანის უფლებათა დამცველი ჰელსინკის ჯგუფების" ჩამოყალიბებისა. საქართველოში 1974 წლიდან უკვე არსებობდა "ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი", რომელშიც სამი კაცი შევდიოდით: გამსახურდია, კოსტავა და მე. ამის შემდეგ ეს ჯგუფი "ჰელსინკის ჯგუფად"

გადაკეთდა (და არა "კავშირად"!), სადაც კიდევ ოთხი პიროვნება შევიყვანეთ (იხ. სიები არალეგალურ "საქართველოს მოამბეში", №2, 1976). რაც შეეხება "ჰელსინკის კავშირს" - ეს უკვე ზ. გამსახურდიას პარტიაა მისი გაბატონების პერიოდიდან.

ახლა ისმის კითხვა: ისტორიკოსმა, რომელიც რაიმე საკითხზე მსჯელობს, ჯერ ხომ უნდა შეისწავლოს ეს საკითხი?! მაშ რისი ისტორიკოსია ის საერთოდ?!

ახლა შველიძის "კეთილსინდისიერებაზე". როდესაც გამსახურდია გაპრეზიდენტდა, მორჩილ და დამონებულ "მრგვალი მაგიდის" წევრებს აეკრძალათ ჩემი ხსენება, რითაც მოგვიანებით ისარგებლა ერთმა ჩემმა აფერისტმა მოგვარემ (ავთო რცხილაძემ, "მედოლემ") და თავის თავს ჩემად ასაღებდა (ეს არ მჯეროდა, სანამ თელავის რაიონული გაზეთი არ წამაკითხეს). ახლა, ამ "კეთილსინდისიერ" ისტორიკოსს, დ. შველიძეს, ვინღა აუკრძალა ჩემი ხსენება? ცხადია, ჩემი ხსენება - არ ხსენება დიდი ტრაგედია არ არის, მაგრამ ისტორიკოსმა ხომ მაინც თავი უნდა შეიწუხოს და მოძებნოს იმდროინდელი პრესა (მაგ., 1977 წლის მარტის "ახალგაზრად კომუნისტი", სადაც, საბჭოური სიბრიყვით და "დანაშაულის სიმძიმის" გამო მე ზ. გამსახურდიას მერე მასახელებენ? ამიტომ სულ აღარ მიკვირს, რომ იგივე დ. შველიძემ "პუტჩისტებს" სულ ბუქი გვადინა (იხ. "24 საათი", 20 აპრილი, 2006 წ.).

მაგრამ დავუბრუნდეთ ამ ვაი-სახელმძღვანელოებს. აქ ზ. გამსახურდიას დაღუპვა შეფასებულია, როგორც: "ეს იყო საქართველოს უახლესი ისტორიის დიდი ტრაგედია". მე რომ მკითხოთ, ნებისმიერი ადამიანის დაღუპვა "დიდი ტრაგედიაა", მაგრამ ასეთ შეფასებას ავტორთა მხრიდან არ იმსახურებს არც სოხუმის დაცემა, არც აფხაზეთში გმირულად ჩაწოლილი ჩვენი მეომრები, არც გმირულად დაღუპული გენერალი გენო ადამია და ჟიული შარტავა, არც სამასი ათასი ლტოლვილი, არა! საქართველოს უახლეს ისტორიის ერთადერთი დიდი ტრაგედია მხოლოდ ზ. გამსახურდიას დაღუპვა ყოფილა "დაუდგენელ ვითარებაში".

აზრი აქვს ამ "სახელმძღვანელოების" შემდეგ გარჩევას? ვფიქრობ, რომ არა! დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენი ახალგაზრდა თაობა ამით შეცდომაში არის შეყვანილი. ამ ვაი-ავტორებმა თავიანთი მასწავლებლის, ნ. ლომოურის რისხვა კი დაიმსახურეს, სამაგიეროდ, მოწონება დაიმსახურეს ისეთი "მაღალინტელექტუალური" პიროვნებისაგან, როგორიც ნემო ბურჭულაძეა. ეს მან გააკეთა 202-ის ტელეარხზე, ამა წლის 7 აპრილს, ხარება დღეს და თან ტრაბახობდა: 1998 წელს შევარდნაძის წინააღმდეგ "სამხედრო ოპერაცია" ჩავატარეთო! როგორც ცნობილია, ამ "ოპერაციას" ორი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა და ყორჩაღ, ქეთი ბოხუა და 202-ის არხო, რომ ხარება დღეს ამის რეკლამას ეწეოდით (ამათ კიდევ უნდათ რომ დავუჯეროთ - "ტოტალიტარიზმის" წინააღმდეგ ვიბრძვითო. ალბათ, მალე იმ ტერორისტებსაც გვიჩვენებენ, ხილიანის ქუჩაზე ქალები და ბავშვები ნაკუწებად რომ აქციეს!).

* * *

როგორც ამ წერილის დასაწყისში ვთქვი, ჩემი სათქმელი არ ამოიწურება მხოლოდ ზ. გამსახურდიათი, არამედ მომდევნო ორ პრეზიდენტსაც შეეხება. განა ზ. გამსახურდიას ნაცვლად თავის დროზე წესიერი და პატრიოტი კაცი რომ აგვერჩია პრეზიდენტად, ე. შევარდნაძის ჩამოყვანა საჭირო გახდებოდა?! ან კი ეს უკანასკნელი რომ არ ყოფილიყო - საკაშვილი გაპრეზიდენტდებოდა?! ამიტომ მივიჩნევ ყველა ამათ "გამსახურდიას მოვლენად" და როგორც ჩანს, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი.

შევარდნაძეზე კრიტიკა და აუგი უკვე იმდენი ითქვა, რომ მათი განმეორება აღარ ღირს. ეს ხელისუფლება მას ყველაფერზე ედავება, გარდა ერთისა და მთავარისა. კერძოდ: როგორ "მოატყუეს" შევარდნაძე სოხუმის დაცემის წინ და, საერთოდ, ბევრი ბურუსით მოცული რამ არის აფხაზეთის ომთან დაკავშირებით.

რაც შეეხება საკაშვილს, აქ დიდ რხევებთანა გვაქვს საქმე. ერთი მხრივ უდავოდ დიდი წარმატება, რასაც აჭარის, ასე ვთქვათ, უსისხლოდ შემომტკიცება ჰქვია (უსამართლობა იქნებოდა, აქ არ გვეხსენებინა "რესპუბლიკური პარტიის" როლი ამ საქმეში) და, მეორე მხრივ, უდიდესი ჩავარდნა ცხინვალის რეგიონში, რომელიც დამთავრდა მსხვერპლით ჩვენი მხრიდან და ქართველი სამხედროების (ჭაბუკების) დაჩოქებით ცხინვალის ცენტრში.

შემდეგ, რაზედაც მთელი ეს წერილი მეტყველებს, ზვიადისტებთან შერიგების პროცესის ისე წარმართვა, რომ მთავარი დამნაშავე, ზ. გამსახურდია, გამართლებულია, ნაცვლად იმისა, რომ სიმართლე თქმულიყო მასზე და ამ სიმართლის საფუძველზე მომხდარიყო შერიგება. პოლიტიკა ის ხელოვნებაა, რომ ეს უნდა მომხდარიყო ისე, რომ არ გაგემართლებინა ის, რაც არ არის გასამართლებელი. აი, გენერალისიმუსმა ფრანცისკო ფრანკომ ბრძანება გასცა, რათა შეექმნათ მემორიალური კომპლექსი ე.წ. "დაცემულთა ველი", სადაც გადაასვენებს სამოქალაქო ომში დალუპული, როგორც "გამარჯვებულ", ასევე "დამარცხებულთა" ცხედრები, რაც სიმბოლო უნდა გამხდარიყო "ორი ესპანეთის" შერიგებისა. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ფრანკოს არასოდეს უთქვამს, რომ ამის გამო დოლორეს იბარური ან ხოსე დიასი მართალი იყო!

აქ კი რა ხდება? 2005 წლის 2 ივლისს ტელეარხმა "მზემ" გვიჩვენა "შავნაბადას ბატალიონის" იმდროინდელი მეთაურის განცხადება (დაბნეული, უხერხული ღიმილით): "საბოლოოდ სოხუმი დაეცა, როგორა ვთქვა ღღევანდელი გადასახედიდან, არ ვიცი... გამსახურდიას მომხრეებმა ტყვია დაგვიშინეს..." ე.ი. კაცი სიმართლეს ბოდიშის მოხდით ამბობს!

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ოპოზიციის ძირითადი ბრალდებები ხელისუფლების მიმართ - სამართლიანია და აქ მათ უბრალოდ იმიტომ არ ჩამოვთვლი და არ გავიმეორებ, რადგან ისინი ფართოდ არის ცნობილი სხვადასხვა გაზეთებისა და ტელევიზიების მეშვეობით. მეორე მხრივ, ოპოზიციასაც ეთქმის საყვედური, როდესაც მათ კოკო გამსახურდია გვერდში

ამოიყენეს და რიგ საერთო განცხადებებს აკეთებენ. ამ ოპერეტულ გმირს, კოკო გამსახურდიას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ერთი განცხადებაც რომ გაეკეთებინა იმის შესახებ, რომ მამამისი რამეში მაინც ცდებოდა, კიდევ გასაგები იქნებოდა მასთან თანამშრომლობა, მაგრამ ახლა?! საინტერესოა, მას, როგორც "ოპოზიციონერს", მამამისის რეჟიმის დროს ნახევარ წუთს თუ მაინც მისცემდნენ საეთერო დროს?!

სხვათა შორის, კოკო გამსახურდიას გამოჩენას პოეტმა ემზარ კვიტაიშვილმა ორი სტროფი მიუძღვნა.

მანიაებმა აგვიალეს

როყვა, ჯირითი უჯიათების
თავს ვინუგეშებთ რითი?
ერთ ქვეყანაში, ჩემს მტერს, ერთბაშად -
ჯოჯო და ჯოჯოითი!

მამამ რა ხეირი დაგვაყარა, რომ შვილმა აგვაშენოს
(შებრუნებული ვარიანტი)

რისთვის ვიხილეთ ნათელი მზისა?
ღირსნი ვართ, დაგვაჩოქონ...
ბრალი იმ ქვეყნის, ერთად ყავს ვისაც -
ჯოჯოითი და ჯოჯო!

დღეს ჩვენი საზოგადოება სამართლიანად აღშფოთებულია სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამო. მაგრამ ცოტა ვინმეს თუ ახსენდება მეორე სანდრო, შესანიშნავი ჭაბუკი სანდრო შიშმელაშვილი, რომელიც გამსახურდიას ბუნკერში, თერამეტი წლის ახალგაზრდა, ოპოზიციონერი, ფეხში დაჭრილი შეათრიეს და ისე მიაგდეს, რომ ბიჭი სისხლისაგან დაიცალა ამ ვამპირების ხელში. ნემო ბურჭულაძე ალბათ დაიტრაბახებს - ეს სამხედრო ოპერაცია იყო!

ერთი სამდურავიც უნდა ვთქვა ხელისუფლების მიმართ. საუბარია ქაქუცა ჩოლოყაშვილის საქართველოში გადმოსვენებაზე. ეს თემა ჩემთვის მახლობელი და ძვირფასია, რადგან იგი ჩემს "საქმეში" ერთ-ერთ ბრალდებად ფიგურირებს: Возвеличивал бандита Чолокашвили! მერე გ. შარაძეს 1988 წელს გამოვართვი მისი ჩამოტანილი ა. სულხანიშვილის "მოგონებები" და მისგან უკითხავად ქსეროკოპიის მეშვეობით გავავრცელე და სხვა. ახლა, ცხონებულის გადმოსვენების საკითხი რომ დადგა, აქაურ დელეგაციაში შეიყვანეს ირ. კენჭოშვილი. ეს კი, ჩემი ღრმა რწმენით, ქ. ჩოლოყაშვილის ხსოვნის შეურაცხყოფა იყო. აი, რას წერს მასზე ყოფილი პოლიტპატიმარი და აფხაზეთში ნაომარი თ. ჭანტურიშვილი, როდესაც აანალიზებს ზ. გამსახურდიას "ავტობიოგრაფიაზე" დართულ "კგბ"-ს ძიების მასალებს:

"დაკითვის ოქმში, რომელიც დათარიღებულია 1977 წლის 17 ივნისით, ირ. კენჭოშვილი ხელს აღებს ნ. ყიასაშვილს, რომ მას თან დაჰქონდა

აკრძალული ლიტერატურა. მე მესმის, რომ კაცი დაკითხვის დროს აწამონ, ან სუკის შიდა ციხეში ყოფნამ იგი ფსიქოლოგიურად გატეხოს და მას მერე ჩაიდინოს ასეთი რამ. მაგრამ როდესაც "კამერაში" ერთი წუთიც არ მჯდარხარ და ხალისით აძლევ ასეთ ჩვენებას, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია. ასევე გაუგებარია, თუ რატომ გადაურჩა ირ. კენჭოშვილი დაპატიმრებას, როდესაც მისი, თუ არ ვცდები, ძმისშვილი გივი დიმიტრის ძე კენჭოშვილი (დაკითხვის ოქმი დათარიღებულია 1977 წლის 5 სექტემბრით) იმ დროის გაგებით საშინელ ჩვენებას აძლევს ბიძამისზე. მაგრამ სულ გაუგებარია, თუ ასეთი კაცია ირ. კენჭოშვილი, შემდეგ რატომ დანიშნა პრეზიდენტმა გამსახურდიამ "საქინფორმის" დირექტორად (ვითომ მართლა ასე გაუგებარია ყველაფერი ეს?)" (იხ. კრებული "სიმართლე ზ. გამსახურდიას შესახებ", თბილისი, 1999, გვ. 117). მე ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ ჩემს დაჭერამდე ზ. გამსახურდიას, მისივე თხოვნით, გადავეცი ირ. კენჭოშვილისთვის გენ. შ. მაღლაკელიძის (იხ. "ქართველები გერმანული დროშის ქვეშ", თბილისი 1994 წ.) მოგონებათა ჩანაწერები მაგნიტოფონის ფირზე, ვითომც მას ეს ქაღალდზე უნდა გადმოეტანა. როდესაც გადასახლებიდან დავბრუნდი, ეს ფირი ველარ მივიღე - "სადაც ჯერ არს" იქ ვაუქრიათ...

მაგრამ ვერც პარიზი დაიტრაბახებს დიდად, თუ ვინ აცილებდა ქ. ჩოლოყაშვილის ნეშტს. სამწუხაროდ, ეს რა გამოტვინებული ძმა ჰყოლია სალომე ზურაბიშვილს, რომელიც იქ გაჰკიოდა: ქაქუცას გვერდით ზ. გამსახურდია უნდა დავასვენოთო "მთაწმინდაზე"! იმავეს გაიძახოდა პარიზელი ჭკუანაკრძობი მღვდელი. კაცმა რომ თქვას, რა მაგის საქმეა პოლიტიკა და ვინ სად უნდა დაასვენონ?!

ახლა კი მთავარ და დიდ სამდურავზე ხელისუფლების მიმართ, რომელიც ქვეყნისათვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

ცხონებული პაპაჩემი დედის მხრიდან, ვიქტორ გოგუა, ოფიცერი იყო მეფის დროისა და მერე დამოუკიდებელ საქართველოსაც პირნათლად ემსახურა. მისგან მსმენია: თუ გინდა ჯარისკაცს უყვარდე და ბოლომდე გამოგყვეს, სანგარში იმავე კერძს უნდა ჭამდე, რასაც ჯარისკაცი და მისი გაჭირვება გაიზიაროო (ეტყობა, სამხედრო კარიერისათვის მამზადებდა პაპაჩემი). ეს მაგალითი შემთხვევით არ მომიყვანია. დღევანდელი ხელისუფლება ფუფუნებაში ცხოვრობს (პარლამენტარები, მინისტრები, მათი მოადგილეები და კიდევ მოადგილეების და ა.შ.). ტელეეკრანიდან მოვისმინე: ექვსასი ათასი დოლარი უჯდება პარლამენტს ყოველწლიურად მარტო ახალი "ფირმა" მანქანების შეძენა. ყველაფერს ამას იმით ასაბუთებენ, რომ თუ ასეთი მაღალი ანაზღაურება არ ექნება მოხელეს, მაშინ იგი იქურდებსო. ეს ერთ ბოროტ ანეკდოტს მაგონებს: ცოლი ეუბნება ქმარს - კვირაში შენგან ამდენს და ამდენს თუ არ მივიღებ, მაშინ ვიბოზებო! ამგვარად, ფუფუნებაში მცხოვრები ჩვენი მოხელეები პოტენციურ ბოზებად არიან გამოცხადებულნი და რაიმე კრიზისის დროს ხალხი ამათ წაყვება?! ჩემ თავზე ვიტყვი: კი, ბატონო, ნებისმიერი პარლამენტარი, მინისტრი, მოადგილე და ა.შ. ჩემზე განათლებულიც

არის, ჭკვიანიც დ. საქმის მკეთებელიც, მაგრამ ადამიანს არსებობა ხომ უნდა? რას მეყოფა ჩემი "პოლიტპატიმრის" პენსია 50 ლარი, როდესაც მეუღლე უმუშევარია და დედა - ღრმადმოხუცებული (33 ლარი პენსია!)? ჯერჯერობით გერმანიაში წაკითხული ლექციებიდან აღებულ ფულს ვიზოგავ და რომ გათავდება - რა გზას დავადგე?! მაგრამ ახლა ვიკითხოთ, რამდენია ჩემზე ღირსეული? ყველა, ვინც აფხაზეთში და შიდა ქართლში თავი დადო, ყველა - ვინც იქ იბრძოდა და დაიჭრა და დასახიჩრდა, ყველა - ვინც შეგნებულად უშვერდა იქ ტყვიას შუბლს და ღვთის წყალობით შინ მშვიდობით დაგვიბრუნდა. ყველა ამათ ჩემზე მეტი პენსია არა აქვთ. ნუ გავწირავთ მათ. იტყვიან: ჩვენი დიდი ხელფასები ამათ რომ დავურიგოთ, მაინც არ ეყოფათო. არ არის მთლად ასე. კარგი ბატონო, გქონდეთ ჩვენზე ათჯერ მეტი ანაზღაურება, მაგრამ - ასჯერ მეტი?!

ღმერთო, ნუ გაწირავ საქართველოს!

ძვირფასი სახლები

გურამ რჩეულიშვილი*

ალავერდობა

ოდითგანვე ეძალება წარმართობა საქართველოს. ტიტანი პრომეთეოსამირანით დაიწყეელა ჩვენი მთები. გოროზობა აიზიდა ნებაში. ოქროს კულულებიანი დიონისე, დემონად ქმნილი, გასრიალდა ქართლის ვენახებში და დაიღვარა ღვინო გადამჩეხი ვნებით. და ახა, ვიხილეთ "ათორმეტთა მოციქულთაგანი ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთსა და ეგრისს", მაგრამ იმძლავრა არიმანმა და "კუალადვე მოაქციენა" ერნი. მაშინ აღენთო ლოცვად წმ. ნინო და დაილეწა კერპები: არმაზ, გაცი და გა-მოლოხ, ატტისი და ასტარტა. კვლავ მოიქნია კუდი წყეულმა და საუკუნესა მეექვსეს შეელად მოეშურა ათცამეტი ასურელი მამა "ვინაითგან, ვითარ ხედავთ, მერმეცა ახალნერგ არს ქუეყანა ესე და მოქნე არს მორწყუათა სწავლათა მიერ და განპოხებასა სარწმუნოებისა ძირთასა ქადაგებისა მიერ და მოძღურებისა". და იწყეს ქართლის ბორცვებიდან ბოროტის ამოძირკვა და ლანდთა განდევნა. აიშოლტა უხსენებლი ცივი თვალებით და განცდად მოზღვავდა საუკუნე მეშვიდე. ჩაძირულ საუკუნედან სულს ეხმიანება იოვანე საბანისძის ზართა გოდება: "რომელნი ესე ვართ ყურესა ამის ქვეყანისასა სასტიკებისაგან და სიერარგისა მანქანებითა მით საცთურისათა ზედა მდგომელთა ამათ ჩუენთა მფლობელთა ამის ჟამისათა ზაკულებითა მოძღურებისათა თავით თვსით ჰსჯულის დებითა ქრისტესაგან მრავალნი შეაცთუნნეს და გარდასდრიცნეს გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებისა ქრისტეს სახარების შეაცთუნნეს. რომელნი ხუთას წლისა ჟამთა და უწინარესთა ჰსჯულდებულ ყოფილ წმიდითა მადლითა ნათლისღებისათა, მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნეს. რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუეილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით და სხუანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განილეეიან და ირყეეიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა". შემდგომ, ერთიანი საქართველოს ქრისტიანი მეფეები შეებრძოლნენ კერპსა და ლოდს. აღაპყრო ხელნი არსენ ბერმა და უგალობა დავითს: "უფროსად ბრწყინვალეო, თვალო ყოვლისა სოფლისა მყოფთა

---

* წინამდებარე წერილი 1967 წელსაა შექმნილი. იგი გამოუქვეყნებელ არალეგალურ ჟურნალ "ოქროს საწმისში" (№1, 1975 წ.). "მნათწერი" კი გაკეთებულია 1975 წელსვე, ამავე ჟურნალისთვის. ვისაც ის ეპოქა ახსოვს, დამეთანხმება, თუ რას ნიშნავდა იმ დროს კომკავშირის გამოცხადება "ერისათვის უცხო, პარაზიტულ დაჯგუფებად", რომელსაც გ. რჩეულიშვილის "სახელის დაკერება სურს თავის ბინძურ დროშაზე". ასეთი ავი დაჯგუფებანი დღესაც მრავლადაა ჩვენს დროში. ვფიქრობ, გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება დღესაც ძალუმად ეხმიანება მათ.

ერთგვამოვნებისაო, რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყარო ხილულისა სოფლისა შორის". ხოლო თავად დავით იგალობდა სინანულად: "უფალო, ღმერთო ჩემო, ვისირცხვი და მეკდიმების აღებად პირისა ჩემისა შენდამი, რამეთუ უსჯულოებანი ჩემნი გამრავლდნენ თავთა ზედა ჩემთა და ცოდვანი ჩემნი აღორძინდა, ვიდრე ცადმდე".

ისევ იჩინა ბოროტმა თავი. გარდავიდა ოქროს ხანა და "აღმოსცენდეს ბოროტნი" და "მოიწია სამართალი სასჯელი ცოდვათა ჩუენთათვის", აიწელა და შემოეხვია სიონს უზარმაზარი გველი - "იკადრა და ხელყო სიონსა გუმბათის შემუსვრად და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად". გახშირად ღვარძლი. "საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდობით და უბედობით" - გვეუბნება არჩილი. მაშინ აღავლინა ვედრება დავით გურამიშვილმა. კვლავ დაიბღავლა ღამეულ შაბაშებში ვეებერთელა თხისთავიანმა და განავრცო დასი კუდიანთა ქართლის ველებში. აკივლდა მთაში შაოსანი დიაცი, შეკრთა ზართა ხმა: "დედა ქალწული, შვენიერი შროშანი" და გადმოგორდა გველთა ხვეული საუკუნე მეცხრამეტეს. იბერის, პეტრიწის, იყალთოელის, ხანძთელისა და მთაწმინდელთა ქვეყანაში, საგოგმანები წიგნის "დედაენის" ავტორი, იაკობ გოგებაშვილი ჰგოდებდა: "ხალხი ქრისტიანობას ივიწყებს და ძველებურის წარმართობისაკენ იქცევა. სახელით, გარეგნობით. იგი ეხლაც ქრისტიანთა კრებას წარმოადგენს; მაგრამ საქმით, შინაარსით წარმართთა ხროვას მოგაგონებთ". გამკვიდრდა სვანთა და "ფშაველების ამაოდმორწმუნეობანი" (ვაჟა). შემზადდა დრო საზარის შობისათვის: "ღამემ გულში ჩაიმარხა ბნელი ბალღის ამბავი" (ბ. მელიქიშვილი). "ქართლმა შვა ეშმა და დადგა რყევაი ნიადაგისაი და რყევამან მიწისამან ქართლი მოიცვა" - (ბასილ მელიქიშვილი-თურმანი). და აიმართა საუკუნე XX... დიდი მოწამის სისხლი მოსთხოვა საქართველოს განგებამ. აღსრულდა: "წიწამური - წამება". ქვესკნელიდან ამობობღდა და ქუფრი ღრუბელივით გადაეფარა საქართველოს ვეებერთალა ლანდი ლანგ-თემურისა. გიორგი ჩუბინაშვილი ძუნწად მოგვითხრობს "В 1922-23 годах в связи со стихийно прокатившейся среди масс по всей Грузии антирелигиозной волной в некоторых местах, как Хони. Ахмета, Джумаети и др., погибли отдельные церковные древности"[1]

დაინგრა უფლის ტაძრები, ამოითხარა საფლავებიდან ჯვრები (თვით ტფილისის პანთეონებშიც აღარ იქნა ჯვრის ნასახი დატოვებული), სოფელში სახედარზე უკუღმა შესმულ მღვდლებს ცხვრის მაკრატლით პარსავდნენ თმებს, წვერს, აჭრიდნენ ცხვირსა და ყურებს. ჭეშმარიტად ზეიმობდა სატანა. კვლავ დაიძაბა საქართველოს გული. სისხლის მორევად იქცა ქართლი. "ქართლს თესლი სჭირდება. თესლი - წმინდა და გადაუგვარებელი" - მისტიური გზნებით ჩურჩულებს ბასილ მელიქიშვილი. მთესვარის ლოდინად იქცა ქართლი. ლოდინად იქცა საქართველოს უდიდეს ტაძართა შორის

1. Г.Н. Чубинашвили - "Грузинское чеканное искусство", Тб., 1959, стр. VII.

"თეთრი გედივით" ატყორცნილი ალავერდი.

"წინანდელმა რელიგიურმა დღესასწაულებმა დაკარგეს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა და ახლა იქცნენ ლოთების, უსაქმურების, ხანმოკლე შფოთისა და დროსტარების ადგილებად.

გაზეთებიდან"

შესაზარია იავარყოფილი ტაძრები. სულის გაწამებაა, როცა თქვენს თვალწინ იბილწება უდიდესი და უწმინდესი. "ვინ წარმოიდგენდა, რომ ქრისტიანულ საყდარში კანკელის ძირას შეიძლებოდა ოდესმე გდებულიყო თავწაჭრილი მამალი და ცხვრის თავ-ფეხი". ანდა ქალაქელი "ჯიგრები", აღდგომის დროს ეკლესიაში რომ უერთებენ სანთელ-საკმეველს პაპიროსის ბოლს; ანდა დუჟნარევი ქალები, თანამედროვე სიბილები, გრეხვით რომ გაჰკივიან: დიდ ააარს ძალა ღვთისა... ჭეშმარიტად, "მოიწია სამართალი სასჯელი ცოდვათა ჩუენთათჳს". ასეთი არის ალავერდობა დღეს. წარმართული მასა, მონღოლეთის სუნთქვა ეძალება ტაძარს. "ალავერობაზე" შესაძლოა წააწყდეთ "ინტელიგენტებს", კასტრირებულ პროფესორებს, "რომლებიც ოდნავი ღიმილითა და პატივისცემით ათვალიერებენ ყველაფერს. მათ ერთი დღით მიუტოვებიათ დამქანცველი მეცნიერული შრომა, რომ ეგზოტიკას ეზიარონ". ამ ნახევარდინტელიგენტებს ამოკვეთილი აქვთ აქ დატრიალებული ეროვნული ტრაგედიის აღქმა-განცდის უნარი. აღარავინაა გამკითხავი. "მხოლოდ აქა-იქ დაინახავთ კუთხეებში მორცხვად მიყუჟულ შავკაბიან მლოცველებს". ასეთია ალავერდობა დღეს. და "ამ ხალხში", "ამ გახელებაში", ავად ატეხილ ვნებაში, ცოდვის ტრიალში დადის სახე შემოქმედისა გაფითრებული და ღრმა თვალებით... გმირი იქცევა სურვილად, რომ "აუცილებელია მოქმედება, რაიმეს გაკეთება, რაც წამით მაინც შეცვლის რაღაცას, არტისტულ არენად აქცევს ყველაფერს და მაყურებელს დააინტერესებს ერთი ამბით, ერთი მიზნით, ამ წუთში - ერთის ბედით. სწორედ ეს შინაგანი ინსტინქტი არტისტისა - მისცეს ყველას მის გარშემო ერთი ინტერესი, მიზანი - მთლიანად იპყრობს მას". ამიტომაც ჩუმად მიეპარება იგი თუშ-ლეკთა ჯგუფს, უჩინრად გამოიყვანს მთიულურ ცხენს და გააჭენებს. "მოთოხარიკობს ცხენზე მჯდომი, თანდათან ივსება იმ შეხლის ჟინით, როდესაც ის გაჭენებული ცხენით ჩაუქროლებს ხალხს და გამოაფხიზლებს მათ მოდუნებულ ვნებებს". "თავდება მინდორში შემოჭრილი ტყის ბოლო. აქედან აღარ მოჩანს არც ალავერდი, არც ხალხი. არაბუნებრივი სიჩუმე დგას ირგვლივ. ტყის პირას პატარა, გრილი ფშანი გამოდის, იქვე უხვევს და ბუჩქების სიღრმეში იკარგება". და აქ... მე თავად ბევრი მიხეტიალია ჩვენს მთებში და შემიგრძნია უცნაური გლოვა - შეზიდული ქვებში. ეს ხომ ნალოცი ადგილებია; აქ დატრიალდა სისხლიანი დრამა ქრისტესთვის წამებულ ქართველთა; აქ ლოცულობდნენ... შუადღის გარინდება ფოთლოვან ტყეში... მიტოვებული სოფელი და ნახევრად დანგრეული ბაზილიკა... გვერდით ჩაიკლის შავოსანი დედაბერი, თვალებში - მწუხარება და ბოროტი... მძიმე ქვებით ნაშენი პატარა სამლოცველოდან ყრუდ გაისმის დამძიმებული გალობა მამაკაცთა გუნდის...კლდიდან და ხიდან სულნი იშვერენ

ხელს და ვედრებით გეუფლება სულთა უხილავი სამეფო... იქ, ფშანთან, კონტემპლაციაში გახვევებულ გმირს ეუფლება ამ უხილავი სამეფოს დიდებული სიმფონია:

"უცნაური გაშუქება იპყრობს მარტოდ დარჩენილ მხედარს... ცხენმა წყალი მოსვა და ყურებდაცქვეტილი გაჩერდა ფშანში. ოდნავი ჩქამიც კი არ ისმის. ამ სიჩუმეში ისმის მთლიანი, დიდებული სიმფონია გაურკვეველი სურვილისა - სად დაიწყო? სად დამთავრდება?! რა უნდა მოხდეს?! არაფერი არ ესმის მსმენელს, ეს არის მუსიკა, მთლიანი, ერთიანი თავისი ხმებით, ნაწილებით: მისგან თაედაცვის ერთადერთი საშუალებაა - არ გაიხსნე, არ გაუძალიანდე".

ეს გარდამტეხი მომენტია, ჩემის აზრით, მოთხრობაში. აქ მეტაფიზიკურთან მიახლება, არსის ნებასთან შეხება, მას სტიქიურად აიყვანს ინიციაციის გარკვეულ საფეხურზე, სადაც იგი განიმსჭვალება გმირულ-ძიქაელური იმპულსებით: წინააღუდგეს ბოროტის სელას და დათრუგნოს იგი; ამავე დროს მას იმორჩილებს ნება შემოქმედისა: საკუთარი "მეს" წამებით ხღოს დიდი ცოდვა იქ მყოფი ერის, მისთვის განკუთვნილი გოლგოთით გახდეს მშველელი იქ მყოფთა.

გმირული ჟინით ანთებული, მიქაელის იმპულსით გამსჭვალული მისტიური მხედარი უახლოვდება ალავერდს. წარმართთა ბრბო აილესება და ყიჟინით დაედევნება. ზევით! და უცხენოდ დარჩენილი მხედარი მიჰქრის ალავერდის გუმბათისკენ. ზევით! სად კიაფობს "შხის სხივების თვალისმომჭრელი სიკაშკაშე". ახლა კი იგრძნობს წარმართთა ბრბო, თუ ვის მხედარს დაედევნა; შეშინებული უკან იხევს და "ეჩვენება, რომ თეთრ რაშზე მჯდომი წმინდა გიორგი გამწყრალი მოსდევს უკან". გმირი გუმბათზე გადის. "გუმბათის ლავგარდანზე წონასწორობისათვის ხელებგაშლილი მიდის" იგი.

"წონასწორობისათვის ხელებგაშლილი", ჯვრის ფორმით გამოსული შემომქმედი, განაწამები, ღრმა მწუხარებით გადაჰყურებს გუმბათიდან ღრეობაში ჩაძირულ ხალხს. "ხალხმა დაინახა ეს მოჩვენება, აძგერდნენ ახალგაზრდა გულები, აღელდნენ მოხუცები. ქალები თვალს ვერ აშორებენ გუმბათს". მაგრამ ჟამი ხსნისა ჯერ არ დამდგარა მათთვის. "პირველ წუთებში ეფექტი მთლიანი იყო. მას მოეჩვენა, რომ მიაღწია იმ საწადელს, რომლის სახელიც სიტყვებით აღარც კი ახსოვდა. და იმავე წუთში სადღაც გაქრა მთელი მისი უსაზღვრო ვნებადქცეული სურვილი. ზედმეტი გრძნობისაგან დაცლილ აზროვნებას დაუბრუნდა მოულონელი სიცხადე და რაღაცა განუსაზღვრელად ახლობელი ჩაიღვარა მის გულში, სადღაც ისევ ჩაბერეს ზურნას, მაგრამ მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევიათ".

ხალხი დაიშალა. გმირი დარჩა მარტო, თავისი სიმაღლით "საშიშ ადგილას".

ღრმა ძირები აქვს ქართლის ბედშავობას, იგი ითხოვს ისტორიოსოფიულ ხილვებს. თავადი ამა ქვეყნისა ხშირად აცთუნებს მას. შესაძლოა, ღრმა წამება - ჩვეული, ერთადერთი გზაა მისთვის დიდი მიზნისაკენ. შესაძლოა, ევრაზიის მიჯნაზეა საქართველო, ამიტომაც ქმნადობის ტანჯვას ქართულ ხასიათში არსობით ცხრომა უპირისპირდება, რაიც ყინავს, ცოდვისაკენ

უბიძგებს მას, "რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში". ჩვენი სიძლიერე - ჩვენში ღრმად დამარხული სიკეთეა, სიკეთისადმი რწმენაა. ამიტომ ვარსობთ, ამიტომ ვიბრძვით. თვით ეკლესიის წამბილწველშიც, ბრბოს, რომელიც საყდარს ეტანება "გასართობად", ფარული ლტოლვაა სიკეთისადმი.

ატოკდა ქვის ხელი და აღინთო ალავერდი. მილიარდ ხმებად გაისმა მომხიბლავი სიმფონია. "სინათლეები კი სულ მატულობს და საოცარი ჰარმონიით ერევა ალაზნის მდუმარე ველს". არ გარდასწყდება იმედი ქართლის.

გათარეკა ჭინჭარაული

ამ ნოველაში ისეთ ფსიქოლოგიურ მომენტთან გვაქვს საქმე, რომელიც გარკვეულ ახსნას მოითხოვს.

მძიმე თოვლი დასდებია შატილს. გზები ჩახერგილია, მოწყდა გარეშოს სოფელი. სახლში ბორგავს ბათარეკა ჭინჭარაული. შრომასა და ბრძოლას შეჩვეული ვაჟკაცი უმოქმედობამ გატანჯა. იქვეა მისი ცამეტი წლის ქალიშვილი - მზია. "სადღაც გულის სიღრმეში განსაკუთრებით კარგად გრძნობს მზიას სხეული, რომ ის უნაკლოა... შეყვარებულია ყველაფერი მის გარშემო... უცნაურია, საიდან გამოვიდა ასეთი ქალი შატილის კოშკში; არაფრით არ შეუძლია იშრომოს, ან თესოს, ან მომკას, ან მოზილოს, ან დაგავოს. ის დადის, დადის უზომოდ შეყვარებული თავის თავზე კიბეებზე, და ისეა ამ გრძნობით გაბრუებული, რომ სიტყვებით ამ სიყვარულსაც კი ვერ არქმევს სახელს... ზის ქურქში გამოხვეული ეს უცნაური არისტოკრატი ქალი, რომელიც ბუნებამ აქ, შატილში გააჩინა, და ელის..."

ცამეტი წელი - საბედისწერო ჟამია ქალისთვის. მასში იღვიძებს ცოდვილი ევა.

ერთ დღეს საქალებოში აეხეტება მოწყენილობისაგან ბრაზმორეული ბათარეკა. უცნაურად შეაშტერდებიან ერთმანეთს მამა-შვილი, უცნაურად თბილი იყო მზიას გამოხედვა და "გული მოულბა ბათარეკას და თვალებმა ამ გრძნობის დამალვის სურვილით უფრო ავად დაიწყეს ყურება". გარეგნულად, თითქმის, სულ უმიზეზოდ აუხირდება თავის ქალიშვილს. დაბოლოს "ერთ ვნებად შეიკრა ის რაღაცის წინააღმდეგ ამხედრებული, სილის გაკვრით დაანთხია ქალიშვილს ყველაფერი და კიბეებზე დაეშვა ბუბუნით".

რა არის ეს "რაღაცა"? ბათარეკა შეამჩნევს თავის ქალიშვილს ცოდვილი ევას მაცდურ ღიმილს, ბუნების ძალუმი სტიქიის ვნების ამოხეთქვის წადილს. იგი უეცრად იგრძნობს თავის ქალიშვილში მომწიფებულ, დასრულებულ ქალს, მის ლტოლვას მამაკაცისადმი, იგრძნობს და ქვეცნობიერში პროტესტით განეწყობა, წინაღუდგება გაშმაგებით. და ეს ბუნდოვანი განწყობილება გარეგან აქტივობაში "სილის გაკვრით" გამოიხატება...

სამი რამ თუ იხსნიდა მზიას: ონისეს პოვნა, ან ეგზორცისტთან მისვლა, ან გაშმაგებული წითელი ულაყის დაურვება. მაგრამ მის წინ მხოლოდ ღვიძლი მამაა - ხევსური ბათარეკა, ამბოხებული მამისა და ვაჟკაცის სული.

შეურაცხყოფილი მზია, ეს ხევსური პატრიცია, თავს ჩამოიხრჩობს. ო, რამდენია ტიტანური ჩვენში!

ნათელა

ამ მოთხრობას მე "სიყვარულის ტრაგედიას" დავარქმევდი. გიო სოფელში ჩადის სამუშაოდ. თავად არ იცის გიომ, თუ რამხელა პოეტური სული აქვს მიმადლებული. ფაქიზი ნატურით შეიგრძნობს იგი ბუნებასა და ადამიანებს და რაღაც გაურკვეველ, სასიამოვნო ბურანში იმყოფება. მოზღვავებული გრძნობა გადმოღვრას თხოულობს და გიოს სურს ისაუბროს დიდსა და ლამაზზე. და ის გამოელაპარაკება მოხუც მწველავ ქალს. იქვე დგას ქალის შვილიშვილები, ბიჭი და გოგონა. გიო დაუწყებს პატარა ბიჭს ქებას, არ შეუძლია, რომ ვინმე არ აქოს და კარგზე არ ილაპარაკოს. უეცრად ის შეამჩნევს პატარა გოგონას, რვა წლის ნათელას. "უცებ სადღაც გაჰქრა პატარა ბიჭი, გიოს ჯერ გაუკვირდა, რომ ეს გოგო აქამდე ვერ შეემჩნია, შემდეგ ფიქრი გაეყინა, გაოგნებული იდგა, გოგონა თვალებში უყურებდა და მთელი არსებით სთხოვდა - შეემჩნია. გიო აიწურა, მამაკაცის ჯიშმა იფეთქა მის სხეულში, ყურები აეწკიპა, თვალები ცეცხლით აუთამაშდა. უცებ ჯიშიანი ცხენივით შეისუნთქა და ისეთივე თვალებით შეხედა გოგონას, როგორც ის უყურებდა გიოს".

მხატვრის ძალა იმაშია, რომ შენს სულში განაღვიძოს გარდასული ჩვენებები, ამხილოს გულის ბნელეთში მიმალული ვნებები.

პატარა ნათელასთან შეხვედრა საბედისწეროა გიოსათვის. გიო პირველად იგრძნობს კაშანს სიყვარულისას, სიყვარულისას, რომელსაც ამქვეყნიური აღსრულება არ უწერია, რომელსაც ძალუძს მხოლოდ კიდევ ერთი სიმი ჩასწყვიტოს მამაკაცის განაწამებ სულს. ესაა ჭარმაგი კაცის ტრაგედია სიყვარულში, სწორედ ის, რამაც ათქმევინა პოეტს:

"ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა ჭაღარა გულის ზმანება ავი..."

თითქოს გენიშნება მწერლის სიტყვები: "ზამთარსაც აქვს თავის ვნებები", ასე იწყებს იგი ამ მოთხრობას. მაგრამ ამ შემთხვევაში, გიოსა და ნათელას სიყვარულში, სექსუალური ლიბიდო მეორე პლანზეა და წინ გამოდის უფრო დიდი, ამაღლებული, რაც მკრთალად უახლოვდება ზესიყვარულს. პოეტურია გიოს ნატურა და ჭეშმარიტად, ნოვალისის არ იყოს, რამდენადაც პოეტურია, იმდენად ჭეშმარიტია. თითქოს გარდასულ ცხოვრებაში ერთად იყვნენ ეს სულები, ისე გაუგეს მათ ერთმანეთს.

მთელ დღეს ერთად ივლიან გიო და ნათელა. ასაკობრივი განსხვავება აღარ არსებობდა მათ შორის. ღამეს ერთად გაატარებენ ქოხში. "დილით, როცა გიოს გაელვიძა, ქოხში აღარავინ იყო. მან ღიმილით დახედა იმ ადგილს, სადაც ნათელა იწვა, მერე წამოდგა. კარებზე უფორმო ასოებით ეწერა: "სკოლაში წავედი", რაღაც დიდი, თბილი სევდა მოაწვა გიოს, ცრემლები აღრჩობდნენ ამხელა ვაჟკაცს".

ძნელია ტვირთვა მიუღწეველი სიყვარულის. ყოველი ასეთი სიყვარული ხელახალი გარდაცვალებაა ჩვენში.

ირინა

ვისაც მცირედ მაინც განუცდია ღვთის სიყვარული,
ის არ ინდომებს ქალის სიყვარულს.

ლევ ტოლსტოი

როგორადაც არ უნდა აქოს პოეტმა გაზაფხული, როგორი ჰიმნიც არ უნდა უგალობოს მას, იგი მაინც ვნებაა, ბუნების ჟინი, მიწიერი, მიძინებული ლტოლვის გამოღვიძებაა. გაზაფხული - ესაა ბუნების კონცენტრირება თავის თავზე, მატერიაში ჩაძირვა და ადამიანის სხეულიც ხომ მატერიის ნაწილია, ეს იმპულსები მასშიც იღვიძებენ ამ დროს. ამიტომ არის დიდმარხვები გაზაფხულზე და ამიტომ ეშურებიან ასკეტები მარად ყინულოვან მთებს ან უდაბნოს, რომ გაზაფხული არ იგრძნონ.

სწორედ გაზაფხულზე შეეყრება გურამი ირინკას, საეჭვო წარსულის მქონე რუსის ქალს. შეეყრება და შეიყვარებენ ერთმანეთს. აქედან იწყება გურამის ტანჯვა, ვერ ურიგდება საყვარელი ქალის წარსულს. სწორედ რომ წარსულს, რადგან აწმყოზე ზედმეტია ლაპარაკი. მისთვის უცხოა ჰედონისტური დეკადენტის ფსიქოლოგია: გამოსტაცე წამს ყოველი, დასტკბი და იცხოვრე აწმყოთი!

ვნებაგაცლილი დეგენერირებული ან დაუხვეწავი რასის კაცისთვის ეს პრობლემა არ არსებობს. იგი ზემოთქმულზე ფილისტერული ჟინით მხრებს აიჩეჩავს და დასძენს: ეგოისტური მსოფლგაგება! სინამდვილეში ფილისტერობა და ყოველგვარი შემგუებლობა (თუნდაც ქალის წარსულისადმი, ცხადია, თუ ყოვლისწამლეკ სიყვარულს გამოვრიცხავთ) და ასევე ჰედონისტური ფილოსოფია - ღრმა ეგოიზმით იკვებება. მაგრამ დავუბრუნდეთ მოთხრობის გმირს. მასში ბუნდოვნად ცნაურდება იდუმალება ქალისა: მისთვის, ქალისთვის, ფიზიკურად კარგად განცდილი ყოველი მამაკაცი მისი სულის სამეუფოშიც იმკვიდრებს თავის საბრძანებელს და შესაბამისად იმ სიღრმით, რამდენადაც მძლავრობს მამაკაცში ულაყი. მაგალითად, ავთანდილს ძალუძს ფატმანთან იცხოვროს და ამავე დროს ხელშეუხებლად ატაროს იდეალური სიყვარული თინათინისადმი, მაგრამ, საკმარისია თინათინი სხეულით თანაეყოს თუნდაც ერთ მონა-ზანგს, რომ ეს უკანასკნელი გაბატონდება მისი სულის სამეუფოში! და ამას ყოველივეს ბუნდოვნად გრძნობს ჩვენი გმირი. მე ასე მეჩვენება: იგი, გურამი, ირინას არ მოშორდებოდა, რომ შესძლებოდა მისი ფსიხეს - მეხსიერების მოსპობა; მაგრამ ეს შეუძლებელია. ამიტომაა, რომ ასეთი ქალის მთლიანი სიყვარულის ერთპიროვნული ფლობა - რასაც იდეალურად ქმარი უნდა ახორციელებდეს - შეუძლებელია. დიდი საიდუმლოა ქალწულობაში. მომიტევოს მან, თუ უადგილოდ ვიხმარ მის სიტყვებს: "კეთილად ჰსთქუ, ვითარმედ არა მივის ქმარი; რამეთუ ხუთ ქმარ გეხსნეს, და აწ, რომელი გივის, არა არს ქმარი შენი; ესე ჭეშმარიტად სთქუ" (იოანე 4, 17, 18).

ცოდვილი, დაცემული ქალის სულის სამეუფოში გაბატონებულ "ულაყთა კერპებს" ვერ განდევნის მომდევნო ულაყი, ასეთი ქალის სულის

საბრძანებელში ვერ გამეფდება მეექვსე ქმარი; ამ კერპების დამსხვრევა ძალუძს მხოლოდ სიწმინდეს, მონანიების გზით მოპოვებულს, მხოლოდ მას.

ამიტომაა, რომ რაინდული სიყვარულის იდეალად ყოველთვის სიწმინდეა ქალწულობაში განხორციელებული. ეთაყვანებოდე ქალში სიწმინდეს, ხედავდე მასში მარადი ქალწულობის იდეის ფენომენალურ გამოვლინებას - აი ჭეშმარიტი იდეალი რაინდის სიყვარულისა, რომელიც მძლავრობს ქართულ ხასიათში. სურვილი იმისა, რომ კაცის სიკვდილის მერე "ცოლო არ გათხოვდებოდე" გამსჭვალულია მეტი სიწმინდით, ვიდრე ეს პირველდანახვისთანავე ჩანს, რადგან "ჭეშმარიტი ქერივი და მარტო ქმნული ესავს უფალსა და დაღგრომილ არს ვედრებასა და ლოცვასა ღამე და დღე. ხოლო რომელ-იგი იშუებდეს, ცოცხლივ მკუდარ არს" (I ტიმოთეს მიმართ, 55, 6).

მაგრამ, ვიკითხავთ, სადღაა ყოველისწამლეკი და ყოველისმიმტევებელი სიყვარული, ის სიყვარული, სადაც "სიგიჟის თესლია ჩაღვრილი?" ტრისტანიც ხომ რაინდია და მას, სიყვარულის მონას, ხომ ძალუძს გაიზიაროს იზოლდეს სარეცელი მეფე მარკოზთან? სიყვარული ეს ხომ "ბვირფასი ქვაა, ტანჯვის ოქროთი მოვარაყებული?!"

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეროსი - იდუმალებით მოსილი შავფრთიანი დემონია, ასეთი სიყვარული - მისი საბრძანებელია. მისგან ამაღლება მხოლოდ სიკვდილს მიგვაახლებს. ხსნა ტრისტან-იზოლდეს სიყვარულისა მხოლოდ სიკვდილშია, რასაც განგება კიდეც უსრულებს მათ.

ასეთი სიყვარული არ შეხებია ჩვენ გმირს. მას უყვარს მხოლოდ იდეალი, მის სულში ღრმად რომ არის დამარხული. "ლოგიკური განაზრებანი" უცხოა მისთვის, იგი მთვარეულივით მიჰყვება ბედისწერას.

ირინა გრძნობს გურამის ტანჯვას, მაგრამ მისი გაგება არ ძალუძს. იგი არასდროს არ ყვარებია ასეთ მამაკაცს, მისთვის ორგანულად უცხოა სულის ასეთი ტანჯვა. და ირინას მხრიდან ამის არ გაგება უფრო მეტად აშფოთებს გურამს.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. გურამმა მოიშორა ირინა...

შინაარსი

ლამაზია ბურჯის ქალი

ლეკებმა ქალი მოიტაცეს.

" - ოი, ალაჰ! - უცებ ამოხდა გამზას და ვენიდან გადმოჩქეფილ სისხლს პირი აეაშველა. თინათინმა ლეკის სისხლი გადმოაპურჭყა. გამზამ ხანჯალი გაიძრო; თინათინმა ნაბადიდან გამოყო თავი და ჯავი თვალები შეანათა.

- რაღას უცდი, - თქვა აღა ბიიმ. სხვებმაც დასტური მისცეს.

- ლამაზია გურჯის ქალი! - თქვა გამზამ".

ეს მინიატურა - ლამაზი სურათია. თუმცა აქტი საშინელია, არაეთიკური, მაგრამ სურათის მთლიანობაში აღიქვამ, როგორც სილამაზეს. თვით ლეკებიც - ლამაზ მტაცებელ ცხოველს ედარებიან. ერთიცაა: ქალის (სილამაზის) შეწყალებამ შესძინა მომხიბვლელობა გამზას. რეალობაში ეს ასე არ იქნებოდა, ლეკი არ დაინდობდა ქალს. ვფიქრობ, გამზას თვალებიდან უფრო ავტორი იმზირება.

უდაბნოში შუადღეზე

ამ მინიატურაში ინგილოთა სევდა სჭვივის. არაფერი არ შეცვლილა. ისევ ის უუფლებობა. ხიფათით აღსავსე დღე, ღამე, წელიწადი. ისევ მძლავრობს ისლამი.

ო, საქართველოვ, სადა ხარ!

ფშანთან

გია ნადირობს. მოკლა ტურა. "გია იჯდა, აბოლებდა და ფიქრობდა: "რა მომივიდა, გუშინწინ შევიკერე ხალათი, მეგონა, წელიწადი მაინც გამიძლებდა. დედას როგორ ეწყინება, რამდენი იწვალა, თანაც, ზუსტად ისეთი საყელო და ჯიბეები ჰქონდა, მე რომ მიყვარს".

ტურა ეგდო და არ ინძრეოდა. ყურის ძირში სისხლი ჰქონდა შემხმარი".

ადამიანო, ვინ მოგცა ნება, რომ შემოქმედის ბოძებულ სიცოცხლეს ცხოველში სპობ!

მონადირე - ფილისტერი.

პიესა "კა და კო"

(ფიქრები გოგენის სურათთან)

ეჟენ დელაკრუა თავის დღიურებში წერს, რომ თუ მნახველი შეიგრძნობს სურათს, მაშინ იგი შეერწყმის მხატვრის სულს. თავად გოგენი ოკეანიაში არ ელტვოდა იაფ ეკზოტიკას. თავისი ფიგურების მდგრადობით, მათი სახეების სერიოზულობით იგი პირველყოფილ ერას და მის სიწმინდეს ავლენს. მასში არის შეუცნობელი, თავდავიწყება, რაც უფრო ადრეულია და ძლიერი, ვიდრე ბერძნული იდეალი სხეულის სილამაზისა. ის უფრო ეგვიპტურ ფრესკულ მხატვრობას ენათესავება. ამ პიესაში ავტორი გრძნობს გოგენს და სურს აღავლინოს ის პირველყოფილი, თავდაპირველი ენა, რომლის მაგია იგზნებოდა ისტორიის გარიჟრაჟზე. აქ ნაჩვენებია პირველყოფილი ადამიანის უშუალო კავშირი ბუნებასთან. ქვეცნობიერი, მისტიური, ქმედითი მაგია ბატონობს აქ. პიესას გასდევს მეტერლინკის განწყობილება - ერთის მხრივ ბოროტი, საზარელი და მეორე მხრივ - უმწეო სიკეთე, შეუცნობელის წინაშე უძლურება.

აღვნიშნავ კიდევ რამდენიმე მშვენიერ მოთხრობას: "მუნჯი ახმედი და სიცოცხლე", "დევების ცეკვა", "შპილკა" - ეს რუსი კვაზიმოდო (თითქოს თავად სტეპი ეჭვიანობს შპილკას სახით მთის შვილს), "კიდევ ჩრდილო კავკასიაში ყვებოდნენ" - სადაც ცდა არის რუსული ხასიათის გახსნისა, მაგრამ ფინალი არ არის დამაჯერებელი, ამ მხრივ უფრო სარწმუნოა მოთხრობა "როგორ გამოიცვალა იგორ კობლუკოვი".

1967 წელი, მარტი.

მინაწერი

მხოლოდ მეგობრების დაჟინებული თხოვნის შემდეგ ვაქვეყნებ ამ კარგა ხნის წინ დაწერილ ესსეს გურამ რჩეულიშვილზე: ცხადია, ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გამოჩნდა, ბევრი რამ შეიცვლა. სხვანაირად დაიწერებოდა ეს წერილი დღეს. ერთმა ფაქტმაც შეუწყო ხელი ამ წერილის გამოქვეყნებას. ცნობილი გახდა: ერისათვის უცხო, პარაზიტული დაჯგუფება, სწორედ ისინი, ვინც სიცოცხლეში ერთ ბწკარს არ უბეჭდავდნენ გ. რჩეულიშვილს, დღეს მას თავის მწერლად აცხადებენ, მისი სახელის დაკერება სურთ ფავიანთ ბინძურ დროშაზე. ასეთი რამ ჩვენს სინამდვილეში უცხო ხილი არ არის. გავიხსენოთ ბ. მელიქიშვილი, ნ. სამადაშვილი, შ. ჩანტლაძე და სხვანი. მხოლოდ სიკვდილმა შეუწყო ხელი მათი ნაწერების გამოქვეყნებას და ისიც მცირე ნაწილისას.

საინტერესოა, დაიწერებოდა კი ეს წერილი გ. რჩეულიშვილზე საერთოდ, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო? - ცხადია არა! მღვრიე აწმყო, ბუნდოვანი მომავალი ჩვენ ერთმანეთის მიმართ უნდობელს გვხდის, სკეპსისისა და ირონიის სიცივით გვსუსხავს. აი, ჭეშმარიტი ტრაგედია ჩვენი სინამდვილისა! მხოლოლდ სიკვდილი სრულყოფს პიროვნებას, ააშკარავებს მას, აჩენს რა მასში ღრმად დამარხულ მიზანს არსობისას. ასეთი არის სიბრძნე სიკვდილისა.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში მძაფრად სჭვივის მისი პიროვნება. მისი ზემოქმედება იმდენად ძალუმია, რომ პოეტთან ერთად გათქმევინებს: "ვაჟკაცს წერაც უნდა შეეძლოს!" ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნების ქმნილება პიროვნულია, თავისთავადი, განსაკუთრებული, არ არსებობს "საყოველთაო, აბსტრაქტული მშვენიერება". ჩვენში "აღფრთოვანებას იწვევს ხელოვანის ქმნილება თავისი განსაკუთრებული თავისთავადობით ისე, რომ ჩვენ მასში ვჭვრეტთ თვით მშვენიერების იდეას. უმაღლესი გაგებით ინდივიდუალური სწორედ ამითაა ტიპიური, საყოველთაო" - ჰერმან კაიზერლინგი. გ. რჩეულიშვილის პიროვნებას ღრმადა აქვს ფესვები გადგმული ერის სულში. ეს ის მაცოცხლებელი წყაროა, ურომლისობაც თვით უდიდეს გენიოსს გამოაშრობდა, გახდიდა მის შემოქმედებას უპიროვნოს, აბსტრაქტულს, არაფრისმეტყველს. ასეა ერის სული და შემოქმედის პიროვნება ერთმანეთში გადახლართული. ამიტომაა გ. რჩეულიშვილის ხედვა ქართული, ამიტომ იგრძნობა მის ნაწერებში მოზღვავებული განცდა ეროვნული ტრაგედიისა. აქედან გასაგებია, რომ ასეთ ლიტერატურას შეუძლია გარკვეული

გამაკანსაღებელი იმპულსები შეიტანოს საზოგადოებაში, შეაცნობინოს მის წევრებს ერთი ეროვნული სულიის ბემადგენელ ნაწილად თავი, რომელსაც დღეს ასე გააფთრებით ებრძვის ბისთვის უცხო მსოფლგაგება და მოძღვრებანი![1]

არსებობს ერის სულთან იდუმალი შეხების არე, სადაც ცნაურდება ერის პოტენციაში დამარხული მზიანი. სწრაფვა სულიერი მზისკენ, ღრმა წაძების[2] გზით სხივმფენი მისიის მოპოვება, რაც კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მჟღავნდება როგორც საქართველო-ქრისტიანობის წინაბურჯი აღმოსავლეთში. გ. რჩეულიშვილი მესახება გრაალის ერთ-ერთ მცველად.

---

1. როგორ არ ჰგავს გ. რჩეულიშვილი დღევანდელ ოფიციოზში გაბატონებულ მწერლებს, რომელთა ნაწერებს მათი ღრმახედობის გამო ერთმანეთისაგან ცერ გაარჩევ; რა შორსაა მისგან მთელი ეს ხროვა "შაფრისტ"- ფელეტონისტებისა, სულიერი პაზოსისტებისა. ამას წინ მეგობარმა მოიხსენიერო ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: მასთან მისულა ერთი ჩვენი პოპულარული მწერალი, რომელსაც წაუკითხავს მისთვის ადგილები თავისი "გაბედული" რომანიდან. კარგა ხანს კითხულობდა თურმე მწერალი. ბოლოს შეკეთხა მეგობარი - რაშია გაბედულება შენი რომანისა? მწერალმა მიუგო: განა ვერ მიხვდი, როდესაც რომანის გმირები იმყოფებიან ერთ დიდ, მაღალჭერიან ოთახში, ეს ოთახი ეკლესიას რომ ნიშნავს? (?!) ეაგლახ! განა წარმოსადგენია სულიერი კასტრირების ამ დონემდე დამეება?! და ნუ დაეკვირწყდება, რომ ეს მწერალი უკეთესია დაცემულთა შორის!

საერთოდ დღეკანდელი ქართული პროზა მე ერთ თავს მომაგონებს: ოთახში დასვენებულია მაცდალებული. მას ირგვლივ იმყოფებიან ნათესავები, ახლობლები, უცერად ოთახში ბუზი შეიჭრება. იქ მყოფთა ყურადღება მთლიანად ბუზზე კონცენტრირდება: იხილავენ მის არსებას, მის ფრენას, ანალიზებენ, მსჯელობენ მასზე. მათ დაივიწყეთ გლოვა მთავარზე და ბუზით ერთობიან.

ასეთ მწერლებს თარგმნიან დღეს ჩვენში. ასეთი მწერლებით ვაცნობთ ჩვენს კულტურას, ჩვენს სულს კატობრიობას. განა შეშთხვეთია ის გარემოება, რომ საზღვარგარეთ რამდენჯერმე გამოცა "თანამედროვე ქართულ ნოველათა კრებული" და იქ არ შეუტანიათ, მაგალითად, გ. რჩეულიშვილის "ალავერდობა"?!

2. ამა დაუკვირდით ჩვენი ენის გენიას:

წამი. წამება. წამება, რაც წამს ება, ოდი გაწამდა. ხსნა უდროობაში, მარადისობაში.

ანდრეი ამალრიკი

1990 წლის თებერვლის ნომერში ჟურნალმა "ოგონიოკმა" გამოაქვეყნა ნაწყვეტები დასავლეთში ფართოდ ცნობილი წიგნიდან: "იარსებებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?" მისი ავტორია რუსი დისიდენტი, ისტორიკოსი და მწერალი ანდრეი ამალრიკი (1938-1980), რომელმაც საბჭოეთი დატოვა 1976 წელს და დაიღუპა ესპანეთში, საავტომობილო კატასტროფის დროს. იგი გახლდათ მედგარი მებრძოლი, ადამიანის უფლებათა დამცველი, რომელიც არაერთგზის დააპატიმრეს და გაასამართლეს და ბოლოს ძლივს მოიშორეს თავიდან. გამორიცხული არ არის, რომ მისი დაღუპვა კატასტროფაში შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო. ჟურნალი "ოგონიოკი" დღეს მას "წინასწარმეტყველს" უწოდებს, აღნიშნავს რა საოცარ დამთხვევებს მისი პროგნოზებისას (ხოლო აღნიშნული წიგნი ამალრიკმა დაწერა 1969 წელს). თვით მთავარ კითხვაზე - იარსებებს თუ არა საბჭოეთი, ჟურნალი "ოგონიოკი" აღიარებს, რომ "ბელი ქვეყნის" რღვევა დაიწყო 1985 წლიდან. ამჯერად ჩვენი მიზანია ვაუწყოთ ქართველ ფართო საზოგადოებრიობას ა. ამალრიკის საქართველოში სტუმრობის შესახებ. იგი თავის მეუღლე გიუზელ მაკუდინოვასთან (ყაზანელი თათარი. პროფესიით მხატვარი) ერთად თბილისს ესტუმრა 1976 წლის გაზაფხულზე, სწორედ მათი საზღვარგარეთ გამგზავრების წინ. მათ მასპინძლობდა ჩვენი "ჰელსინკის ჯგუფი". ისინი გაჩერდნენ მერაბ კოსტავას ბინაზე. თბილისისა და ქართლის დათვალიერების შემდგომ მე გადავწყვიტე მათთვის მეჩვენებინა დასავლეთ საქართველო და ამ მიზნით გავყევი მათ იმერეთში, ქუთაისში და შემდეგ სვანეთში, სადაც კარგა ხანს დავყავით. მგზავრობის დროს ჩვენ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს და დავმეგობრდით. შემდგომ მოსკოვში ამ მგზავრობით აღფრთოვანებულმა ა. ამალრიკმა მაჩუქა თავისი წიგნი გერმანულ ენაზე სათაურით: "არანებაყოფლობითი მოგზაურობა ციმბირისაკენ", რომელსაც შემდეგი წარწერა გაუკეთა: "Дорогому Додо на память о добровольном путешествии в Сванетию".

მალე ა. ამალრიკმა მეუღლესთან ერთად საერთოდ დატოვა საბჭოეთი (1976 წლის 15 ივლისი). მოსკოვიდან გამგზავრების წინ საგანგებოდ დაბრუნდა თბილისში და მთხოვა დავსწრებოდი მის გამოსათხოვარ საღამოს, რომელიც გაიმართა ცნობილი დისიდენტის, აკადემიკოს ორლოვის ბინაზე. ცხადია, გადავფრინდი მოსკოვში და დავესწარი ამ საღამოს. ანდრეი ამალრიკმა პირადად წარმადგინა ანდრეი სახაროვის წინაშე, გამაცნო ბევრი ცნობილი დისიდენტი, უცხოელი ჟურნალისტი და ატაშე. მათი გამგზავრების შემდეგ ჩვენი კავშირები შეწყდა - ჩვენ მალე დაგვაპატიმრეს და გადაგვასახლეს, ხოლო თვით იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მალე დაიღუპა. მხოლოდ ამ ორიოდე წლის წინ, "ამერიკის ხმამ" რუსულ ენაზე საკმაოდ დაწვრილებით გადმოსცა ამალრიკის მეუღლის "მოგონებანი" საქართველოზე და კერძოდ, სვანეთში მოგზაურობის შესახებ.

ახლა ჩვენს საზოგადოებას მინდა გავაცნო ანდრეი ამალრიკის დღემდე უცნობი ერთი წერილი. საქმე ისაა, რომ თბილისში ყოფნის დროს შევთავაზე

დაეწერა წინასიტყვაობა თავისი წიგნის ("იარსებებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?") ქართული თარგმანისათვის, რაც ძალიან ესიამოვნა. რასაკვირველია, თარგმანი ჯერ არ იყო შესრულებული, მაგრამ, რადგან ამალრიკს მალე უნდა დაეტოვებინა საბჭოეთი, გადავწყვიტეთ, რომ ჯერ "წინასიტყვაობა" დაეწერა.

ამალრიკის გამგზავრების შემდეგ მართლაც ითარგმნა მისი წიგნი ქართულად - იგი ჩემი თხოვნით ჩინებული ქართულით თარგმნა ლიტერატორმა ომარ გოგიჩაიშვილმა. მაგრამ ამ წიგნის დაბეჭდვა და გავრცელება აღარ დაგვცალდა...

გთავაზობთ ამ წინასიტყვაობას, რომელსაც, ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა.

* * *

Я очень рад предложению написать предисловие к изданию моей книжки на грузинском языке. Она уже издана на иврите, арабском, японском и китайском, и мне очень приятно быть переведенным в еще одной стране древней культуры, к тому же культуры, исторически связанной с русской. Трудные условия, в которых Это издание задумано и осуществляется, делают его для меня еще более дорогим.

Со времени, когда я писал книжку, до того, как я пишу Это предисловие, прошло семь лет. Один год из них я провел в ожидании ареста, пять лет в тюрьме, лагере и ссылке и последний год под постоянной угрозой и давлением. Иногда за Эти тяжелые годы мне начинало казаться, что многие заключения книжки неверны или, по меньшей мере, поспешны. Однако, оглядываясь на прошедшие семь лет, я вижу, что в главном я уловил направление развития советской системы и верно подметил ряд ее характерных черт. Хотя система и проявила большую гибкость, чем я думал, угроза хаотического распада остается реальной - будет ли Это до 1984 года или гораздо позже, сказать, конечно, трудно.

Что ожидает при Этом Грузию?

У Грузии трагичная судьба - судьба маленького народа в окружении больших. Мы знаем, что часто судьбой такого народа была полная ассимиляция. Мы видим, однако, что Грузии в течение почти двух тысячелетий удалось сохранить свой язык, свою культуру, свой облик и само понятие "Грузия".

Если эта воля к выживанию сохранится, то Грузия сумеет выйти из неизбежного хаоса обновленной и независимой.

Сейчас во всем мире есть две четкие тенденции - к обособлению малых наций, с одной стороны, и к созданию наднациональных политико-Экономических конгломератов, с другой. Как я думаю, обе тенденции не противоречивы: быть может, военным захватам и насильственной ассимиляции идет на смену добровольное объединение независимых и сохраняющих свою национальную государственность народов. Лучший пример Этого - европейское Экономическое сообщество.

Поэтому я наде ось, что будущая Грузия сохранит или воссоздаст тесные связи с будущей Россией.

Между Россией и Грузией лежит еще одно тягостное недоразумение, рассеять которое - задача грузинской интеллигенции.

Я имею в виду, что консолидатором советской империи и ее кровавым диктатором был грузин. Сталина давно нет, но сталинизм - и как форма ностальгии, и как политическая доктрина, с прицелом на будущее - существует и будет еще существовать.

И для русских, и для грузин есть здесь две опасности. Многие русские - все равно, считают ли они, что Сталин исказил большевизм или что Сталин был его наиболее характерным выразителем - объясняют кровожадность Сталина тем, что он грузин, азиат. С их точки зрения, это снимает вину с русского народа.

Многие грузины, с другой стороны, находят утешение для своего ущемленного национального чувства в том, что если Грузией управляют из России, то Россией управлял грузин. Поэтому они склонны возвеличивать этого страшного человека, забывая, сколько зла он принес и России, и Грузии.

Я считаю трагической игрой случая, что самым известным грузином в мире стал человек, олицетворяющий не лучшие, а самые худшие черты - и не своего только народа, но, к стыду моему, и русского народа, среди которого и сейчас тоже есть сталинисты.

И как я уже сказал, именно грузинской интеллигенции, прекрасно знакомой с тем, что такое сталинизм, необходимо объяснить как своему народу, так и нам русским, что Сталин - не гордость Грузии, а ее позор, не символ Грузии, а символ того зла, который терпела Грузия в течение веков от своих угнетателей и который оседал на дне грузинской души.

Я всегда хотел посетить Грузию, и к сожалению сумел сделать это только перед самым отъездом из Советского союза на Запад. Если у меня и были предубеждения против Грузии - теперь они рассеялись.

Я навсегда сохраню память о вашей стране, красоте ее холмов, сторогости храмов и, главное, о благородстве и щедрости грузин.

Благодарю всех, кто взял на себя смелость и труд перевести и издать мою книжку.

19 апреля 1976 г.
Тбилиси.

გაზ. "სახალხო განათლება",
4 ოქტომბერი, 1990 წ.

ვინ არის ვალერი ჭალიძე?

გაზეთ "კაბადონი-ზ"-ის რედაქციამ მთხოვა მეუწყებინა მკითხველისათვის, ვინ არის დასავლეთში მოღვაწე და დასდენგურ წრეებში ფართოდ ცნობილი ვალერი ჭალიძე (ჩალიძე). შეძლებისდაგვარად გავცემ ამაზე პასუხს.

ვისაც თბილისის უნივერსიტეტში 60-იანი წლების დასაწყისში უსწავლია, აუცილებლად ეხსომება განსხვავებული გარეგნობის - წელში ძალზე მოხრილი, ძალზე გამხდარი, ლამაზი სახის, გრძელთმიანი (ასეთი იყო მაშინ ფიზიკოსთა "მოდა") ახალგაზრდა. ვალერი ჭალიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. რუსული სკოლის კურსდამთავრებული (იგი მამითაა ქართველი) ფიზიკის ფაკულტეტის რუსულ სექტორზე სწავლობდა. უნდა ითქვას, რომ ნაცნობ-ახლობლებში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, როგორც ღრმად განსწავლული და ერუდირებული პიროვნება. იმ დროს მისი ხეირიანად გაცნობა ვერ მოვახერხე. ვალერი ჭალიძე მხოლოდ ერთხელ მესტუმრა და, მაინცადამაინც მაშინ არ ვიყავი შინ. როგორც დედაჩემმა გადმომცა, თურმე ძალზე მოსწონებია ჩემი ბიბლიოთეკა და სინანული გამოუთქვამს, რომ მას გარკვეულწილად აკლდა ჰუმანიტარული განათლება.

მალე ვალერი ჭალიძე დედასთან ერთად მოსკოვში გადადის საცხოვრებლად. იქ იგი ფართოდ ებმება დისიდენტურ მოძრაობაში და ადამიანის უფლებათა ერთ-ერთი პრინციპული დამცველი ხდება. მისი მოღვაწეობა უკვე იმდენად აწუხებს ხელისუფალთ, რომ გამოუვალ პირობებს უქმნიან, იძულებულს ხდიან, დატოვოს საბჭოთა კავშირი.

70-იანი წლების დასაწყისში ვ. ჭალიძე უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებშია. მალე იგი იქ ხდება "ემიგრაციის ერთ-ერთი გამოჩენილი დისიდენტი", როგორც ამას თვით მისი პოლიტიკური მტრებიც კი აღიარებენ.

ვ. ჭალიძე ამერიკაში გამოსცემს რუსულ ენაზე ჟურნალ "ქრონიკას", რომელიც მტკიცედ იცავს ადამიანის უფლებებს საბჭოთა კავშირში და რომლის მთავარი რედაქტორიც თვითონვეა. იგი არის ამავე დროს "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლიგის" დირექტორთა საბჭოს წევრი".

როდესაც 1975 წელს საქართველოში მოღვაწე "ადამიანის უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფმა" დასავლეთში გადაგზავნა მასალები "საქართველოს ციხეებში პატიმართა წამების შესახებ", იგი არა მარტო გამომცემლობა "პოსევმა" გამოაქვეყნა ცალკე ბროშურად რუსულ ენაზე, არამედ გამოაქვეყნა ვ. ჭალიძემაც თავის "ქრონიკაში" და თან დაურთო მძაფრი მოწოდება-მიმართვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლიგისადმი, საერთაშორისო ამნისტიისადმი და იურისტების კომისიისადმი.

უნდა ითქვას, რომ ვ. ჭალიძე ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს საკითხებს. ამავე დროს იგი მძაფრად იცავს დემოკრატიულ

მოძრაობას და მედგრად ებრძვის შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. თუნდაც ის რად ღირს, რომ თავის დროზე მტკიცედ მოითხოვა, არ დაეთმოთ რადიოსადგური "თავისუფლება" ა. სოლჟენიცინის არქიშოვინისტური ბოდვებისათვის და აეკრძალათ მისთვის ყოველგვარი ვამოსვლა რადიოთი (იხ. ჭალიძე, "სოლჟენიცინის ავტორიტარული რუსული ნაციონალიზმი", "რუსეთი" №3, 1981, გვ. 13. ვ. ჭალიძის გამოცემა; ინგლისურ ენაზე).

გაზ. "კაბადონი", 6 ოქტომბერი, 1990 წ.

მცირე მოგონება შოთა ჩანტლაძეზე

23 წელმა განვლო მისი გარდაცვალებიდან. ამ ხნის მანძილზე არაერთმა მეგობარმა, მათ შორის გადასახლებიდან დაბრუნებულმა ცხონებულმა მერაბ კოსტავამაც, მითხრა: შენ, მისი ბოლო წლების ნაღდ მეგობარს, გმართებს მასზე მოგონების დაწერაო... ვერ შევძელი აქამდე და ახლა არ ვიცი, ამ საერთო უბედურებისა თუ სხვა რამ აუხსნელი მიზეზების გამო, მომეძალა მისი სახე და უეცრად ამოიკიაფდა მეხსიერებაში ჩამარხული რამდენიმე ეპიზოდი, რომლებიც მისი და მისი პოეზიის მოყვარულთათვის ალბათ უინტერესო არ იქნება.

შოთა ჩემზე 13 წლით უფროსი იყო. ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, როცა დავმეგობრდით. გაცნობა, ცხადია, უნივერსიტეტის ბაღში მოხდა. მაგრამ რა პირობებში - უკვე აღარ მახსოვს. იგი, "უნივერსიტეტის ბაღის ლომი", ბევრ სტუდენტსა და ახალგაზრდას იზიდავდა და მათთან მეგობრობდა კიდეც. მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი მეგობრობა მაინც განსაკუთრებული იყო. მისი ცხოვრების ბოლო 9 წლის (იგი გარდაიცვალა 1968 წელს) მანძილზე ჩვენ, როგორც იტყვიან, განუყრელი მეგობრები ვიყავით. ნებისმიერ ნაღდ მეგობრობაში ირაციონალური მომენტი სჭარბობს და ასევე იყო ალბათ ჩვენ შორისაც, მაგრამ ზოგიერთი რამ მასში ძალზე რელიეფურად იყო გამოხატული და ეგზოტიკური ყვავილივით გიზიდავდა და გათრობდა. ეს იყო პირველ ყოლისა, ნიცშეანური ღვთის უარყოფის ტრაგედიისა და ბოჰემური ყოფის რაღაც უცნაური ნარევი, მარად თანმდევი ირონია და სარკაზმი იმათ მიმართ, ვინც, მისი აზრით, ამას იმსახურებდა. მაგრამ ამავე დროს მასშივე კრთებოდა უცხო თვალისთვის ძნელად შესამჩნევი უნარი და სურვილი დიდი სიყვარულისა. პარადოქსების გარდა, რომლის დიდოსტატიც გახლდათ, იგი ღიმილნარევი "ბოლმით" აფრქვევდა ხოლმე პოპულარულ ნიცშეანიზმებს - "რატომ ვარ ასე გენიალური", "ძნელია ზეკაცობის ტვირთვა", "ღმერთი მოკვდა" და სხვა; მაგრამ, როდესაც დასაფლავების წინ ჩემი საყვარელი ბაბუის ცხედარს ვემთხვიე და თავი ავწიე, თვალში პირველად ცრემლებით სავსე შოთას თვალები მეცა... იყო კიდევ ერთი რამ, რითაც ის გზიბლავდა. კეთილშობილური, მეფური სიამაყე. და ეს იმ დროს, როდესაც მის ოჯახს ძალზე უჭირდა და იგი, პირდაპირ უნდა ითქვას შიმშილით იტანჯებოდა. სამწუხაროდ, ასეთი ყოფა მის სიკვდილამდე გაგრძელდა. მასწავლებლის ადგილი ვერ იშოვა, სტრიქონსაც კი არავინ უბეჭდავდა (ერთადერთი გამონაკლისის გარდა) და დამხმარე ხელი არ ჩანდა. ჩემგან, არცთუ სანაქებო ყოფაქცევის გამო უსტიპენდიოდ დარჩენილი სტუდენტისაგან, აბა რა დახმარება უნდა მიეღო?

ის კი იჯდა ბაღში, მედიდური. მახსოვს, უნივერსიტეტის სასადილოზე ერთი ლექსიც დაწერა, რომელიც ასე მთავრდებოდა: "და დამპალ კატლეტში დაეძებ მატლებს"...

ყოველივე ზემოთქმული მას ჩემს თვალში თითქოს კნუტ ჰამსუნის "შიმშილის" გმირის რომანტიკულ შარავანდედში ხვევდა. ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, და ალბათ არა მარტო მე, რომ რილკეს გამონათქვამისა არ იყოს, მასში მწიფდებოდა სიკვდილი. ცხადია, ჩემი ეს შეგრძნება მაშინ ბუნდოვანი იყო და მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან ვხედავ ამას ნათლად.

უნივერსიტეტის ბაღი იყო ჩვენი ფიესტა! მთელი დღე ბაღში "ბრძნული" საუბრები, კამათი, ოხუნჯობა და "ვარიანტების აგდება". ეს იყო დღისით. ღამით კი, ღამით მეტ მოძრაობაში ვიყავით: ქეიფი, ფათერაკები, ხეტიალი.

მხატვარ ვახტანგ რურუას მიერ შექმნილი გარეკანი შოთას ლექსების კრებულისა (1984 წ.) ზუსტად გადმოსცემს იმ ღამეების განწყობილებას. შოთა "გენიალურ მკითხველს" მეძახდა ("გენიალური პოეტი" თვითონ იყო) და აღფრთოვანებული იყო ჩემი "საგმირო საქმეებით". ერთხელ ჩხუბში მოულოდნელად ზურგიდან დამარტყეს. ამის შემსწრე შოთამ დათიკო შევარდნაძის ლექსით "მანუგეშა" გურულ მოტივზე: "ღალატი და საწამლავი, ვაი, დედა რა ყოფილა!"

ერთხელ, "ომგადახდილს", შოთა შინ მესტუმრა სანახავად, მცირე ხნის მერე კალამი მოიმარჯვა და ხუმრობით ექსპრომტი მომიძღვნა:

რესპუბლიაში ხარ გაყიდული,
გავრცელებული, როგორც ფურცელი,
დგას რესპუბლიკა, როგორც ფიტული,
რესპუბლიკისა მარად უცვლელი,

შენში ალვიძებს: ამსხვრიე-ჩახეს
და გოლიათი აღსდგება ლეწვად,
დედამიწაზე გავარდნავ მეხის,
შენ დედამიწა აქციე ზეცად,

მაგრამ დამპალი ეს საუკუნე
გადაგეკიდა მეზობლივით.
გებრძვის და გიტევს მძლავრი გუგუნით
შენ კი დამდგარხართ ვით ობელისკი,
თვალებით ზომავთ ერთი-მეორეს
და ერთმანეთთან ვერ ბედავთ მისვლას...

ახლა ერთი გეგმა უნდა გაგაცნოო, - მთელი სერიოზულობით მითხრა. მე, როგორც ვხედავ, შენ ჩხუბს თავს არ დაანებებ და რაღა ამ სისულელეებისათვის ფლანგავ ენერგიას, ბარემ კეთილი საქმისათვის იჩხუბეო და ჩანაფიქრიც გამანდო: შოთა ეწვეოდა რომელიმე რედაქტორს და სთხოვდა თავისი ნაწარმოების დაბეჭდვას. რედაქტორი, რასაკვირველია, უარს ეტყოდა და შოთაც მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმებდა მას და რედაქციას დატოვებდა. ამის მერე ქუჩაში რედაქტორს მე უნდა გავსწორებოდი. მეორე დღეს შოთა "სათანადოდ დამუშავებულ" რედაქტორს ეწვეოდა, და კვლავ

მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმებდა, ასე უნდა გაგრძელებულიყო მანამდის, სანამ რედაქტორი ყველაფერს არ მიხვდებოდა. ამის მერე რედაქციის კარი ფართოდ უნდა გაღებულიყო შოთასთვის. ცხადია, ამ გეგმის განხორციელებაში შოთას ვერ გამოვადგებოდი და მან, უარით გაბრაზებულმა, ჩემზე უნივერსიტეტის ბაღში იოხუნჯა: ეროვნება შემიცვალა, მაგრამ "ვაჟკაცად" მომიხსენია. როდესაც უთხრეს, ამას ნუ ამბობ, დოდოს ეწყინებაო, ასე უპასუხა: "არაქართველობა" კი ეწყინება, მაგრამ "ვაჟკაცი" გაუხარდება და ეს ორი სიტყვა ერთმანეთს გაანეიტრალებსო.

მალე მასწავლებლად დავიწყე მუშაობა. მუშაობას ვამბობ, თორემ კვირაში სულ ოთხი გაკვეთილი მქონდა და თვიური ხელფასი - 17 მანეთი და 50 კაპიკი. უნდა გენახათ, რა სერიოზულობით მელოდებოდა ხოლმე შოთა სკოლასთან, როდესაც ხელფასს ვიღებდი. ისე კი, ახლანდელის რა მოგახსენოთ და მაშინ იმ 17 მანეთით ოთხი ბოთლი ღვინო მოდიოდა. ერთი ღამე, შოთასთან ერთად გატარებული, განსაკუთრებით ჩამებეჭდა მეხსიერებაში. იმ დღეს რაღაც უგუნებოდ ვისხედით უნივერსიტეტის ბაღში. მხოლოდ ერთხელ გავიცინე, როდესაც ვიღაც ბეჟანმა ჩაგვიარა და შოთამ შესძახა: "ჩიჟი უყვარდაო პიჟი, გიჟ ბეჟანს, ო, ბოჟე!"

დღის ბოლოს "ვარიანტი" მაინც "ავარდა". გვიანობამდის ვსვით, მაინც არ გვეყო და ქუჩაში დავიწყეთ ხეტიალი. ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა ვერაზე ავთო ვარაზს შევეჩეხეთ. შოთამ მის დანახვაზე დაიძახა: "ჰინდუ, სპარსი თუ მეგვიპტელი გვიახლოვდებაო!" "ბიჭებო დალევა გინდათ?- გვკითხა ავთომ - აქ ერთი ქალი მეგულება, ღამე არაყს ყიდისო". გაეშურეთ სადღაც ყაზბეგის ქუჩის ზევით. წავადექით ერთ ნანგრევს. "სახლი დაუნგრევიათ!" - ისეთი სასოწარკვეთით დაიძახა ავთომ, რომ შოთაც ძალაუნებურად აჰყვა. ამ ორი კაცის მოთქმაზე ხარხარი ამიტყდა. მალე ავთო დაგვცილდა და ჩვენ ყოფილი კიროვის ბაღისაკენ დავეშვით. გაზაფხულის დიდებული ღამე იდგა. ჰაერი გაჟღენთილი იყო იასამნების სურნელით. გულს სიყვარული სწყუროდა. გული შესტრფოდა თბილისის ღამეულ ცას. ძველად, ბაღის შესასვლელთან რაღაც ულაზათო კოლონადები რომ იდგა, იქ შევჩერდით. შოთა მყის შეხტა ამ კოლონადის კიბეზე და მითხრა: "ჩუმად იყავი და რაღაცას წაგიკითხაო". მე გაჩუმებული შევყურებდი სვეტებს შორის მდგომს. შოთამ თვალები ღამეულ ცას გაუსწორა და დაიწყო: ზეპირად კითხულობდა მის მიერვე ნათარგმნ ნიცშეს "ზარათუსტრას" შესავალს. ეს იყო ჯადოსნური კითხვა. მისი ხმა ახლაც ჩამესმის.

"ოდეს ზარათუსტრას შეუსრულდა წელი ოცდაათი, დაუტევა მან სამშობლო თვისი და ტბა სამშობლოის თვისისა... აქ ის სტკებოდა თავისი სულით და თავისი სიმარტოვით წლისა ათის განმავლობაში... დაბოლოს გარდაიქმნა გული მისი და ერთ დილას შეეგება იგი ალიონს, მიიქცა პირით მზისკენ და ასე მიმართავდა მას: შენ დიდებულო მნათობთა შორის!"

აქ შოთას ისეთი ხმა გაუხდა, თვალები ისე მიაპყრო ცას, რომ იწამებდი, ღამეულ მზეს ებაასებაო.

"შენ დიდებულო მნათობთა შორის! რაში იქნებოდა ბედნიერება შენი, რომ არ გყავდეს ისინი, ვისაც უნათებ!... რომ არა გყავდე მე, ჩემი არწივი და გველი ჩემი. ჩვენ ყოველ დილას გელოდებოდით, ვიღებდით შენგან სიუხვეს შენსას და გლოცავდით ამისათვის... მე მსურს გაცემა და გაჩუქება სანამ ბრძენნი კაცთა შორის თავისი სიბრიყვით და უპოვარნი სიმდიდრითა თვისითა მოხარულნი არ იქმნებიან. ამისათვის სიღრმეში უნდა ჩავეშვა, როგორც შენ სჩადი ამას ყოველ საღამოს, ჩაექანები როს მიღმა ზღვისა და მიგაქვს სინათლე ქვესკნელში, შენ უმდიდრესო მნათობთა შორის! მე შენდა დარად უნდა ჩავესვენო... და ზარათუსტრას სურს კვლავ გახდეს ადამიანი. ასე დაიწყო ჩასვენება ზარათუსტრასი...

- ბრავო შოთა, ბრავო! - ვიღრიალე მე და აღტაცებას ვერ ვმალავდი. შოთა კიბიდან გადმოიხარა, თითი ჩემკენ გამოიშვირა და მითხრა: შენ არა მარტო გენიალური მკითხველი ხარ, არამედ - გენიალური მაყურებელიც!

ამ დროს ამ კოლონადის მომიჯნავე შენობის სარდაფის კარიდან (ეს კარი დღესაც არსებობს) ამოვიდა ჯირკივით კაცი და გვთხოვა - "დაგვაძინეთო". კარგიო, - დავპირდით, მაგრამ მერე შოთამ გადაიფიქრა, - ობივატელებს სერი უნდა ვუჩვენოთო და ოტელოს მონოლოგის დეკლამაცია დაიწყო: ოცი წელი ვემსახურე მე ვენეციას... და როს ალეპოში ოსმალო ვინმე ვენეციელსა უშვერი სიტყვებით ლანძღავდა, მე იგი ასე დააავჰკალ! აქ შოთამ ხორავასავით დასჭექა და, "განგმირული", კიბეზე დაგორდა...

ჩემს აპლოდისმენტებზე ისევ გაიღო სარდაფის კარი და ისევ ის ჯირკივით კაცი მოგვეელინა, ოღონდ ახლა მილიციელის ფორმაში გამოწყობილი. ვახ, - შეჰყვირა შოთამ გაკვირვებისაგან და მყის ფეხზე წამოხტა. მილიციელმა კვლავ "დაგვაძინეთო" - გვთხოვა და ჩვენც წამოვედით...

ბედის ირონია იყო ნამდვილად, რომ შოთა, კაცი, რომელიც ღვინოში ბრძენკაცობდა და ღვინით იალმასებდა სიტყვასა და გონებას, სასწრაფოს მთვრალ ექიმს არ ენდო, როდესაც მან ზუსტად დაუსვა დიაგნოზი: ბრმა ნაწლავის ანთება! დაგვიანებულმა ოპერაციამ შოთას ვეღარ უშველა და იგი სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა. მაგრამ სიკვდილთან ბრძოლამ მთელი კვირა გასტანა. უამრავი ნაცნობი და მეგობარი მოაწყდა საავადმყოფოს. იმდენი, რომ შოთაც გაკვირვებული იყო და მეც. არ ყოფილხართ ქართველები ასე ცუდებიო - იხუმრა მან. ხალხის ეს სიმრავლე ნამდვილი დასტური იყო შოთას სიყვარულისა, იმ საპასუხო სიყვარულისა, რასაც იგი ზოგჯერ შეუმჩნეველად, მაგრამ მაინც უხვად გასცემდა.

იუმორი არც განსაცდელის ჟამს გაქრობია. ნაოპერაციევის სანახავად მის პალატაში ფეხაკრეფით შევედით რამდენიმე კაცი. ჩაბნელებულ ოთახს ქუჩიდან შემოსული შუქი ოდნავ ანათებდა. შოთას სასთუმალთან დავიხარეთ. გვეგონა ეძინა. ის-ის იყო უკან გამობრუნებას ვაპირებდით, რომ შოთამ ცალი თვალით გაკვესა და სრულიად გარკვევით გამოსცრა კბილებში: "პოლიტბიურო ძერჟინსკის კუბოსთან!"

მისი გარდაცვალების წინა ღამეს მარტო აღმოვჩნდი პალატაში. მხოლოდ შოთას დარბაისელ, ბრგე ნათესავს შემოჰქონდა ხოლმე ჟანგბადის

ბალიში, რომელსაც იგი მთელი ღამის განმავლობაში იქვე დერეფანში ავსებდა ბალონიდან. შოთას ეძინა. უცებ თვალები გააბილა და ხარბად დაეწაფა ჟანგბადის ბალიშს, შემდეგ სიცხისაგან აკრიალებული თვალები მომაპყრო და ჩუმად მითხრა: "წეღან საიქიოში ვიყავი და თუ გადავრჩი, უსათუოდ გიამბობ, იქ რა ვნახე". მე ყელიდან მოვიხსენი ჯვარი, რომელსაც ვატარებდი და შოთას გავუწოდე. იგი უხმოდ ემთხვია ჯვარცმას. მეორე დღეს შოთა ამქვეყნად უკვე აღარ იყო.

ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა მის დაკრძალვაზე. მე და შოთას რამდენიმე ახალგაზრდა მეგობარს უძვირფასესი ადამიანის გამოსვენება ეკლესიიდან გვსურდა. ამას წინ აღუდგა და, როგორც იტყვიან, პირდაპირ თავი ქვას შეუშვირა მისი ძველი თაობის მეგობართა თავკაცმა. მათი მეგობრობა იმ 9 წლის მანძილზე, როცა შოთა და მე ასე ხშირად ვიყავით ერთად, ჩემთვის დიდად შესამჩნევი არ ყოფილა, მხოლოდ ეს კია, რომ შოთამ ერთხელ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა: ზაფხულობით თავის ბინას საყარაულოდ მე მიტოვებს და იმ დიდ ბინაში ვიგრიალებო. ერთხელ დაჟინებული თხოვნით იმ ბინაში მიმიყვანა და თავისი აღიარებული მეგობარი გამაცნო. და აი, ახლა, ეს მეგობარი წინააღმდეგი იყო შოთას ეკლესიიდან გამოსვენებისა. როდესაც ვუთხარი, შოთა სიკვდილის წინ ჯვარს ემთხვია-მეთქი, მომიგო: "ეგ იმიტომ ემთხვია, რომ მისი უკანასკნელი იმედი იყო, იქნებ ამან გადამარჩინოსო!" როდესაც შევახსენე, რწმენა სწორედ ეგ არის-მეთქი, აღარაფერი მიპასუხა.

დიდძალი ხალხი იყო შოთას დაკრძალვაზე. მრავალმა გულით დაიტირა თბილისური ბოჰემისა და სიტყვის ოსტატთა უგვირგვინო მეფე...

ერთხელ შოთა ჩანტლაძისათვის რომელიღაც ქალს საყვედურით უთქვამს: "რა დაბნეული ხარო". შოთას თავისებურად უპასუხია: "დაბნეული უნდა იყო, თუ გინდა რომ ყველგან იყოო".

შოთას მეგობრები, ნაცნობები, შოთაზე სხვათა, უფროსთა მოგონებებით ნასაზრდოები გონიერი გოგო-ბიჭები დღესაც სხედან და საუბრობენ უნივერსიტეტის ბაღში, შოთას ბაღში. იქაც და სხვაგანაც, ბევრგან, რასაც გადარჩენილი თბილისი ჰქვია, შოთა ჩანტლაძის მადლია დაბნეული.

გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 6 მარტი, 1992 წ.

მესხთა ტრაგედია

1976 წლის ზაფხულში მოვინახულე მესხები გადასახლებაში (ე.წ. "თურქი-მესხები", საქართველოდან აყრილნი და იძულებით გადასახლებულნი 1944 წელს). ყაბარდოში ჩემი მასპინძელი გახლდათ პროქართული ორიენტაციის მქონე მესხთა თაეკაცი ხალილ უმაროვი (გოზალიშვილი).

იქ, ნალჩიკიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ტყეში ჩატარდა პროქართულად განწყობილი მესხების დიდი მიტინგი, რომელსაც წარმართავდა ხალილ გოზალიშვილი და ამ სიტყვების ავტორი (ყოველივე ეს ფართოდ აღვწერე და გამოვაქვეყნე 1976 წელსვე არალეგალურ ჟურნალ "საქართველოს მოამბეში", №2).

იმ მიტინგმა მისცა დასაბამი მესხთა გარკვეული რაოდენობის ჩამოსახლებას მაშინდელ მახარაძის რაიონში. იმჟამიდანვე გრძელდებოდა ჩემი და ხალილის მეგობრობა, რომელმაც ყველა დროსა და გამოცდას გაუძლო, იქნებოდა ეს თავად ხალილის გადასახლებაში ყოფნა, თუ ჩემი პატიმრობის და გადასახლების წლები.

1993 წლის მიწურულს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაციაში მესტუმრა ხალილი რუსული ხელნაწერით და მთხოვა მისი წიგნად გამოცემა. წიგნი სათაურით "მესხთა ტრაგედია" გვაუწყებდა როგორც მათ უბედურ წარსულს, ასევე არანაკლებ სავალალო აწმყოს და თავიდან ბოლომდე ქართული სულისკვეთებით იყო დაწერილი. შემეძლო მისთვის უარი მეთქვა? ან დამეჩივლა, რომ სახელმწიფო კორპორაციას არანაირი სახსარი არ გააჩნდა მის გამოსაცემად?

დავიტოვე ხელნაწერი. კორპორაციის თანამშრომლებმა ხელფასი დაიკლეს, მაგრამ ეს წიგნი ძალზე მცირე ტირაჟით მაინც გამოვეცით, სამას გვერდამდე, მაგარ ყდაში.

სამწუხაროდ, ხალილი ვერ მოესწრო წიგნის გამოცემას. იგი გარდაიცვალა 1994 წლის მარტში, ხოლო "მესხთა ტრაგედია" იმავე წლის ბოლოს გამოვიდა. გამოვიდა, როგორც აღვნიშნე, ძალზე მცირე ტირაჟით. დავურიგე ჩემს ნაცნობ მესხებს, დავურიგე ბიბლიოთეკებს, მაგრამ ძირითადი მიზანი - მისი გავრცელება მესხთა ფართო წრეში, წიგნის ტირაჟის სიმცირის გამო, მიუღწეველი რჩება. ვის არ მივმართე დახმარებისათვის, პირველ ყოვლისა იმათ, ვინც ყველაზე მეტს ყვირის მესხთა საკითხის გამო, მაგრამ - უშედეგოდ. ბოლოს ბატონი გიზო კორძაძე ბრძანდებოდა ჩემთან და მაუწყა, რომ რაღაც კონფერენცია იმართებოდა მესხებთან დაკავშირებით და აღნიშნული წიგნი წაიღო იქ საჩვენებლად. როგორც თვითონ მითხრა, სიტყვით გამოსულა, წიგნიც უჩვენებია აუდიტორიისათვის და ტაშისცემაც ამტყდარა, მაგრამ საქმე ამ ტაშისცემას ვერ გასცდა.

ყოველივე ამას გულდამწუხრებული ვაუწყებ ფართო საზოგადოებას და ვსვამ კითხვას: მაშინ, როდესაც მეათეხარისხოვან წამოწყებებს ყოველთვის გამოუჩნდებათ ხოლმე მდიდარი სპონსორები, ნუთუ ქართული სულის აღზევების პროპაგანდა არ უნდა იმსახურებდეს იგივეს?

გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 4 ოქტომბერი, 1996 წ.

გამოთხოვება ჯანსულ კახიძესთან

მრავალ მსმენელთან ერთად მეც ძლიერ დამწყვიტა გული დიდებული დირიჟორის გარდაცვალებამ. გამოსათხოვარ დღეებში ტელევიზიის პირველ არხზე გადმოიცა ძალზე საინტერესო ინტერვიუ მაესტროსთან (1998 წლის ჩანაწერი), რომელიც გხიბლავდა თავისი გულწრფელობით. ამ ვრცელი ინტერვიუდან ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იმ ადგილმა, სადაც მაესტრო აზრს გამოთქვამდა თავის ურწმუნოებაზე, რასაც იგი თავის "ცუდ აღზრდას" აბრალებდა, და ამავე დროს ემიჯნებოდა ყოველგვარ "ეკლესიურობას". მაგრამ კორესპონდენტის შემდგომ კითხვაზე, თუ საიდან ჩნდება დიდებული ჰანგები და მელოდიები, ჯანსულ კახიძემ სევდიანი ღიმილით უპასუხა: რასაკვირველია, ღმერთისაგან! შეიძლება ითქვას, რომ ეს მოჩვენებითი ანტინომიაა, რაც დაადასტურა კიდეც მაესტროს შემდგომმა მსჯელობამ და იმის გადმოცემის ცდამ, თუ რა ნეტარებას განიცდიდა იგი სერიოზული მუსიკის შესრულების დროს, რაც მიახლოებით გვახსენებდა მისტიკოსთა მიერ აბსოლუტთან შეხლის აღწერას. მაგრამ ჩვენს მაესტროს ამ მხრივ დიდი წინამორბედი ჰყავს რიხარდ ვაგნერის სახით. გერმანელი კომპოზიტორი თავის წერილში "რელიგია და ხელოვნება" ამბობს, რომ საეკლესიო ქრისტიანობის დასასრულის შემდეგ მუსიკა რჩება იმ თავშესაფრად, სადაც უნდა ინახებოდეს ბირთვი ქრისტიანული რელიგიისა, მუსიკა უნდა იქცეს ახალ რელიგიად: იგი არის "მხსნელი ხელოვნება", რომელიც აღძრავს "ცნობიერების ზღვარდაუდებელ უმაღლეს ექსტაზს". ვაგნერისათვის მუსიკა არის "ქრისტიანული რელიგიის ჟღერადი სული". ამგვარად, ხელოვნება აქ არის რელიგიასთან გათანაბრებული, უფრო სწორად, ხელოვნება არის რელიგიური ქმედობა ადამიანისა. ამის უმაღლესი გამოხატულება იყო, როდესაც ვაგნერმა თავის "პარსიფალში" შეიტანა ქრისტიანული ლიტურგიკის ელემენტები საზეიმო წმიდა ზიარებისა.

ჯანსულ კახიძე, ვფიქრობ, კარლ რანერის გამოთქმას თუ ვიხმართ, ჭეშმარიტად "ანონიმური ქრისტიანი" იყო.

"ლიტერატურული საქართველო", 16.03.2002

გამოხმაურებები

ასეთი დრო იყო...

პატივცემულო რედაქციავ!

დიდი ინტერესით გავეცანი ახლახან თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ბატონ თეიმურაზ ჭანტურიშვილის პუბლიკაციას და მსურს მასთან დაკავშირებით მკითხველს ერთი მოგონება გავუზიარო, რომელიც ეფიქრობ, უინტერესო არ იქნება.

თავის დროზე ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში არქეოლოგიური განყოფილების გამგედ. იქვე მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდა გადასახლებიდან დაბრუნებული ვიქტორ რცხილაძე. ეს მოხდა 1983 წელს, როდესაც მაშინდელი კალინინის რაიონის უშიშროების განყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკმა ლევან შანიძემ ლაშბარა და შეპომთავაზა მიმეწოდებინა აგენტურული ცნობები ვიქტორ რცხილაძის შესახებ, თუ რას საქმიანობდა იგი და სხვადასხვა. რასაკვირველია, უარი ვუთხარი, მაგრამ მან კვლავ და კვლავ, რამდენჯერმე ისევ დამიბარა. ბოლოს იძულებული გავხდი მესხენებინა დედაჩემი, რომელიც შანიძე იყო. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ნათესავები ვყოფილვართ. ამ ნათესაური "დარღვით" ლევან შანიძე შემეშვა და შემდეგ ალარ დავუბარებივარ. ყოველივე ამის შესახებ გაცნობე ვიქტორ რცხილაძეს და ვუთხარი, რომ მას, ალბათ, მუზეუმიდან ვინმეს მიუწერდნენ, და გაფრთხილებულიყო.

აი, ასეთი გეთარება სუფევდა ჩვენს ახლო წარსულში და დღეს მეცნიერთდანდობა და სიყვარული გვმარჯებს.

დამატება რედ.
სოფ. ოძისის გიორგი და დავით ერისთაველის
სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

"საქართველოს რესპუბლიკა", 22 სექტემბერი, 1988

ნინაწერი:

სამწუხაროდ, მსგავსი რამ განმეორებულა. ერთი მხრივ გულდასწვეველია, ხოლო მეორე მხრივ დამაკმაყოფილებელია, რომ თურმე, არსენა ოძელაშვილივით, ნათლიამაც მღალატობდა.

ვიქტორ რცხილაძე

* * *

ბუნებრივია, რომ წინამდებარე პუბლიკაცია, რომელიც მწვავე ფაქტებს და ბიოგრაფიების მწვავე მომენტებს ეხება, ძალიან ბევრ გამოპასუხებას, შედავებას, დაზუსტებას, შევსებას და სხვა სახის კორექტირებას გამოიწვევს. ეს სასურველია და პუბლიკაციის მიზანს შეესაბამება, რადგან ხელს უწყობს მთლიანი სურათის სისრულეს. "საქართველოს" წინა ნომერში ვიქტორ (დოდო) რცხილაძის ბედის თხრობისას მე გამომრჩა (რადგან არ ვიცოდი) ეს ფაქტი, რომ ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას დაპატიმრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ იგიც დაპატიმრებულ იქნა, პატიმრობა მიესაჯა 2 წლით და 6 თვით, ხოლო ამ ვადის მოხდის შემდეგ გადასახლებული იყო კაზახსტან-ჩინეთის საზღვარზე კიდევ ორი წლით. ბოდიშს ვუხდი ბატონ ვ. რცხილაძეს ამ შეცდომისთვის და მადლობას მოვახსენებ ინფორმაციისათვის. აქვე ვაქვეყნებ ერთ-ერთ დოკუმენტს, რომლითაც ეს ფაქტი ჩანს.

ნოდარ ნათაძე

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო
29 იანვარი, 1998 წ.
ქ. თბილისი

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მოქ. ვიქტორ გიორგის ძე რცხილაძეს დაბ. 1941 წ. ქ. თბილისში, მასზედ, რომ ნამდვილად დაპატიმრებული ქნა 1978 წ. 25 იანვარს საქართველოს სსრ ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო განყოფილების მიერ და შემდგომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1978 წლის 6 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71-1 (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან მესუსტების ან ცალკეული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის მიზნით, გავრცელება იმავე მიზნით ცილისმწამებლური მონაჭორისა, რომელიც სახელს უტეხს საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოებრიე წყობილებას, აგრეთვე იმავე მიზნით ასეთიეე შინაარსის ლიტერატურის გავრცელება, დამზადება ან შენახვა) მუხლის საფუძველზე მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით შემდგომი გადასახლებით - 2 წლით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის მესაბამისად თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი ჩაეთვალა პირობითად სამი წლის გამოსაცდელი ვადით და დაეტოვა გასახლება 2 წლით.

გასახლებას იხდიდა ყაზახეთის სსრ ტალდი-კურგანის ოლქის კარაბელის რაიონში.

განყოფილების უფროსი
ი. მირონოვი

გამ. "საქართველო"

30 მაისი - 1 ივნისი, 1998 წ.

ცბიერი ოინბაზი "მოშავალ ორშაბათამდე"

Не выдавай тайны, баба!
В. Розанов

ახლახან ძველ მეგობარს და ჩემი წიგნის რედაქტორს, ვიქტორ რცხილაძეს ვეწვიე. მინდოდა მადლობა მეთქვა, რომ მან თავის ნაშრომში, რომელიც გაგრძელებით იბეჭდებოდა გაზეთ "24 საათში", ადგილი დაუთმო ჩემს პრობლემებს, კერძოდ, უმუშევრობას* და ისიც აუწყა მკითხველს, რომ საბჭოთა რეჟიმის პოლიტპატიმარი გახლდით და 1992 წლიდან აფხაზეთის ომის მონაწილე. სხვაგვარად არც ველოდი მისგან, თავად ყოფილი პოლიტპატიმრისგან, რომელმაც იცის ძმის გაჭირვება. ბუნებრივია, საუბარი შეეხო მის გამოქვეყნებულ ნაშრომს და ვინმე ლადარიას, რომელმაც უკადრებელი იკადრა და ნაცვლად საქმიანი კრიტიკისა, ისეთი ლანძღვის კორიანტელი დააყენა, ისეთი სიტყვებით მოიხსენია ჩემი მეგობარი, რომ ერთი დედის გინება დარჩა მისგან უთქმელი და გაზეთში არდაბეჭდილი. როდესაც ამის გამო ვიქტორს შევჩივლე, მან გულიანად გაიცინა და თქვა: ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის! მე რაც მინდოდა, მკითხველს ვაუწყე და გამგები გაიგებსო. იმ წამს კი დავეთანხმე მეგობარს, მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ გაჩუმება არ ღირს: ჩვენს სხვადასხვა სენით დაავადებულ საზოგადოებაში, სადაც ლანძღვა-გინებას დიდი ადგილი უკავია, ხომ შეიძლება ერთი ახალგაზრდა მაინც აცდუნოს ლადარიას პირბნელობამ-მეთქი და გადავწყვიტე ამ წერილის დაწერა. წერილს ვწერ კიდევ იმიტომ, რომ ლადარია მომავალში გაფრთხილდეს...

რაც შეეხება ამ წერილის ეპიგრაფად ატანილ ვ. როზანოვის ფრაზას - იგი მწერალმა ერთი ფემინიზირებული მამაკაცის მისამართით იხმარა, რომლის თხზულებებში აშკარად იკვეთებოდა ქალური საწყისი. თქვენ წარმოიდგინეთ, ლადარიას წერილის კითხვისას იგივე განცდა დამეუფლა, რომელმაც გამახსენა ვ. რცხილაძის წინააღმდეგ გამოქვეყნებული ერთი გაუნათლებელი ზვიადისტი ქალის წერილი, მაგრამ, გინების თვალსაზრისით, ის აშკარად ჩამოუვარდებოდა ლადარიას. ამ უკანასკნელის გაკაპასება აშკარად ქალურია, ისევე, როგორც ემზარ ჯგერენაიას გაკაპასება დავით გამყრელიძესთან პოლემიკის დროს, როდესაც გამყრელიძე მის ჰომოსექსუალისტური სულისკვეთებით გაჟღენთილ წერილებს ამხელდა. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ ლადარია გამოესარჩლა ე. ჯგერენაიას თავის რუბრიკაში და ისტერიულად გაჰკიოდა: ესეც გამყრელიძეს, ხომ გაანადგუ-

* მალე თავად ვ. რცხილაძე დატოვეს უმუშევრად. რედ.

რა იგი ჯგერენაიამ! მაგრამ ჯგერენაიას, ლადარიასაგან განსხვავებით, ლანძღვა-გინების მსგავსი რამ არ დასცდენია. როგორც ჩანს, ქალალდთან მარტო დარჩენილ ლადარიას დიდი გაბედულება აქვს.

ეტყობა, ლადარია ცუდად იცნობს ვ. რცხილაძეს. წარმომიდგენია, მარტოდმარტო რომ აღმოჩნდნენ პირისპირ, რა მოწყვეტით დაეცემოდა ლადარია მუხლებზე და ზლუქუნით პატიებას ითხოვდა. მაგრამ ვ. რცხილაძის კეთილშობილებისა მწამს...

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ლადარიას თავის ბილწსიტყვაობაში სანახევროდ ედება დანაშაული. "კავკასიური სახლის" გაკაპასებული დამცველი, აშკარაა, რომ მითითებებს მისი დიასახლისიდან ღებულობს. აქ რომ ქალურ მომხიბვლელობაზე იყოს საუბარი, რითაც ლადარია "აცდუნეს" - გამორიცხულია, რადგან ამ დიასახლისის ნაცვლად ელენე მშვენიერი რომც ყოფილიყო, ეს ლადარიას არ აღელვებს. აქ უფრო კორპორაციული "ღირსების" დაცვაა. თავის დროზე, როდესაც "ლიტერატურულმა საქართველომ" დაწერა დიასახლისზე, ამ უკანასკნელმა სიმწრით ხორცები დაიგლიჯა და ჩვენც შეგვებრალა, მაგრამ თუ არ მოისვენებს, ჩვენც ვუპასუხებთ. ისედაც ბევრი მოვუთმინეთ, როდესაც თავის ჟურნალ "აფრაში" მოჩეკისტო მანიაკალურ გრაფომანს ალანძღინა ჩვენი თავი, რაც კი პოლიტპატიმრები ვიყავით: ჩემი და ვიქტორის გარდა, ასევე, ვაჟა ჟღენტი, მურმან ოძელაშვილი, დავით ლომსაძე:

ახლა გადავიდეთ ლადარიას "მეცნიერულ" მხარეზე. ანუ იმაზე, თუ რა "კეთილსინდისიერებით" არჩევს იგი ვ. რცხილაძის ნაშრომს. მართალი მოგახსენოთ, ლადარიას ამ "გარჩევებს" რომ კითხულობ, მალევე ხვდები, რომ სრულ უმეცართან გაქვს საქმე. ამას ემატება დემაგოგია და პირდაპირი ტყუილები, რითაც იგი ცდილობს ვ. რცხილაძის შრომის "დაკნინებას". ამ მხრივ მას ძალიან მოკლე ჭკუა აღმოაჩნდა: ვერ განსაზღვრა, რომ მისი სიცრუე ადვილად გაქარწყლებოდა - ყველაფერი შავით თეთრზე დაბეჭდილი იმავე "24 საათში" გამოქვეყნებულ ვ. რცხილაძის ნაშრომში.

დავიწყოთ იმით, რომ ლადარია ასახელებს თბილისში რუბრიკით წ-ვნებით მოვაჭრე სპეკულანტებს, რომელთა "საქონლითაც" თურმე "დღემინირებული" რცხილაძის "პროფესიონალიზმი". სხვა სიტყვებით, შე ბიწყალოო, რუსული წიგნები რომ არ გქონოდა, რალა გეშველებოდა? მაგრამ საქმე რომ პირიქითაა და რომ ეს სწორედ ლადარიაა, რომელიც რუს სპეკულანტებში დარბის და მათ სახელებსაც კი გაკვანძავს?! ეს ლადარია. ლადარია, მართლა რა გეშველებოდა, ამ რუსულად თარგმნილ წიგნებს რომ არ ყიდულობდე და თან მათაც რომ ვერ კითხულობ პოლიტიზე - ასე შენი აჯაფსანდალი წერილები საერთო ავტორობით ერთ ქალსტრიბონად ერთად (მაშ, კაცი მეგობარი ვინ მიაშავა ლადარიას!). როგორც ალბათ ახსოვთ, ხოლმე გაზეთიდან გაზეთში, ყოველგვარი წყაროს დასახელების გარეშე, რასაც აშკარა პლაგიატის სუნი ასდის (თან მარტივი შინაარსის მქონე

წიგნებიდან), რომ არაფერი ვთქვათ რუბრიკაზე "მომავალ ორშაბათამდე", სადაც ნახევარი გვერდი ლადარიას პორტრეტს უკავია და დარჩენილ გვერდზე, ერთი-ორი ფრაზით ვისაც გინდა იმას გაუსწორდები (აბა, მეტი ადგილი ხომ არა აქვს!) - პლატონიდან დაწყებული ჩვენი პატრიარქით დამთავრებული! ადვილია ვ. რცხილაძის ღრმააზროვან ნაშრომს ორიოდ სიტყვით გაუსწორდე და "დიდი სისულელე" უწოდო მას და ასევე სოლჟენიცინის "არქიპელაგ გულაგის" სამ ტომს - "ორდინარული" და ბასტა! ლადარიამ სიტყვა თქვა და აქეთ რცხილაძეა განგმირული და იქით სოლჟენიცინი! რცხილაძეზე ქვემოთ კიდევ მექნება საუბარი, მაგრამ სოლჟენიცინზე კი ის უნდა დავბინო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში ბევრი რამ მიულებელი გამოჩნდა მისი, ბევრი რამ შოვინისტური, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ შავბნელ დროს, მახრჩობელა საბჭოთა რეჟიმის დროს, სოლჟენიცინის "გულაგი" იყო თავისუფლების პირველი მერცხალი, რომელსაც არალეგალურად ვავრცელებდით. ყოველ შემთხვევაში, ისეთ კაცუნას, როგორიც ლადარიაა, სოლჟენიცინთან არაფერი ესაქმება, ისევე როგორც ჩვენს პატრიარქთან (რომელიც, თავის ჭკუით, ვითომ "გააშაყირა" მეცნიერებათა აკადემიაში მიღების გამო). მას ასევე არაფერი ესაქმება მწერალ გურამ დოჩანაშვილთან და სხვებთან. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რატომ სჩადის ამას: აი, ვის ვლანძღავ მე, ხალხო მიყურეთ, - ამბობს ლადარაი და ამ უგვანობით სურს თავის გამოჩენა!

როგორც ვთქვით, ლადარიას ერთ-ერთი მთავარი ბრალდება ვ. რცხილაძის მიმართ არის ის, რომ იგი თურმე მხოლოდ რუსულ წიგნებს იყენებს, შესაბამისად, რუსული ენიდან თარგმნილებს. მაგრამ ეშმაკუნა ლადარია აფუჩეჩებს და მკითხველს აბნევს უკვე იმით, რომ არსად ახსენებს, თუ რცხილაძის პუბლიკაციებს ამ გაზეთში რედაქციისაგან წინ რა უძღვის. აი, ეს რედაქციის მიერ წამძღვარებული მოკლე სიტყვა: "წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ვიქტორ რცხილაძის ვრცელი ნაშრომის ნაწილს (მეორე თავს), რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ "რელიგიაში" გასულ წელს (4-5-6, 2004 წ.). რაც შეეხება ამ შრომის ბოლო, დამამთავრებელ თავებს, რომლის "ბოლოთქმა" დათარიღებულია 2004 წლის 10 დეკემბრით, ისინი დაიწერა საგანგებოდ ჩვენი გაზეთისათვის".

რა დასკვნა უნდა გამოეტანა აქედან ლადარიას, თუ ის მართლა ეშმაკი არ არის? ობიექტური მკითხველი უწინარესად ამ ჟურნალს მიმართავდა, საიდანაც გაიგებდა, რომ ვ. რცხილაძის ნაშრომი ვრცელი წიგნია, ესეების კრებული, რომელიც ქვეყნდებოდა ჟურნალში გაგრძელებებით. ლადარია რომ საქმეს აყალბებს, იქიდანაც ჩანს, რომ ჟურნალი "რელიგია", რომელიც ზუსტად 1992 წლის თებერვლიდან გამოდის და რომლის მთავარი რედაქტორიც თავად ვ. რცხილაძეა, შეუძლებელია ლადარიას არ სცოდნოდა. არ სცოდნოდა თუნდაც ის, რომ ჟურნალის რედკოლეგიაში ცნობილი მეცნიერებია, რომელთა ფეხის ფრჩხილადაც არ ღირს ლადარიას ფშუტი თავი.

რაო, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გუბაზ სანიკიძე რას წერს, ეს იცის ლადარიამ და ჟურნალ "რელიგიის" თაობაზე არაფერი გაუგია?

ვინც აღნიშნულ ჟურნალს გაეცნობა, იქიდან შეიტყობს, რომ წიგნის დაწერის წინ ვ. რცხილაძე გერმანიაში მიუწვევიათ ლექციების წასაკითხად. წიგნის სრული სახელწოდებაა: "საქართველოს ისტ რიის ზოგიერთი კრიზისული მომენტის ინტერპრეტირების ცდა ქრისტიანული მსოფლმხედველობის გათვალისწინებით". დაუკვირდით: "ქრისტიანული მსოფლმხედველობის გათვალისწინებით" - წერს იგი და ბუნებრივია, ავტორი ვერ გამოდგება ვერც სხვა რელიგიის, ვერც ბოზების და ვერც პედერასტების დამცველად, რასაც მისგან ლადარია ითხოვს პირდაპირ თუ შეფარვით. რაც მთავარია: ავტორი უმრავლეს შემთხვევაში ვერ ენდობა რუსულ თარგმანებს, რასაც იგი ხაზგასმით აცხადებს ჟურნალის მე-10 გვერდზე, და ამიტომ პირდაპირ აღნიშნავს, რომ "სადაც ხელი მიმიწვდება, უშუალოდ პირველწყაროებს გამოვიყენებ ორიგინალის ენაზე და არა რუსულ თარგმანებს"-ო. რუსი მთარგმნელის მიერ დამახინჯებული თარგმანის ნიმუშს გაწვდის იგი სულ ბოლო დროისა, მაგ., "100 писателей XX века", 1999; Брентано, О происхождении нравственного познания. С. 2000 (ლადარიას ფ. ბრენტანო ალბათ იტალიელი მომღერალი ჰგონია!) და სხვა. მე საგანგებოდ ამოვკრიბე ამ წიგნიდან ის უცხოელი ავტორები რომელთაც ავტორი ფართოდ წარმოადგენს (გესმის, ლადარია? ფართოდ და არა შენსავით ორიოდ სიტყვით - "ის მაგარია, ეს სულელია") თავის ნაშრომში და რომელნიც არასოდეს უთარგმნიათ რუსულად და რომელთა რიცხვიც ნახევარზე მეტია დასახელებულ ავტორთა შორის. მივყვები ჯერ ჟურნალის და შემდეგ გაზეთების გვერდების მიხედვით და ვასახელებ რუსულად საერთოდ ართარგმნილ ავტორებს: ჰერმან კრინგსი, იოზებ მარია ბოხენსკის "გზები ფილოსოფიური აზროვნებისკენ", ჰანს-დიტერ კლაინი, ჰანს კიუნგის სხვადასხვა დასახელების წიგნები, სტატიები თეოლოგიური ცნობარებიდან და ენციკლოპედიებიდან, კარლ რანერის თეოლოგიური ნაშრომები, რომელნიც არასოდეს ყოფილა რუსულად ნათარგმნი, ასევე იურგენ მოლტმანი, კარლ ლოვითის, პაულ ალტჰაუსის წიგნები, ლონდონში გამოცემული ე. ჯონსის "ცხოვრება და შემოქმედება ზ. ფროიდისა", ე. ვიენჰაიუტერისეული "ფროიდის კრიტიკა", ვოლფგანგ შტეგმიულერი, რ. ოტტო, ვერნერ გრიუნი, რომანო გუარდინის ასევე სრულიად უთარგმნელი შრომები, ჰ. როლფესი "ათეიზმი-თეიზმი", ჰანს ურს ფონ ბალთაზარის "თეოდრამატიკა III", ჰ.ე. ჰენგსტენბურგი, ე. დრეევერმანი, ი. ვახი, ჰარალდ მიულერი, ასევე ისეთი კლასიკოსის უთარგმნელი თხზულებები, როგორიც ფრ. ბაადერია. ახლა გაზეთის გვერდებიდან რომ ამოვკრიფოთ ე. კარმინის, ფრიდრიხ გოგარტენის, ე. დაკეს, კარდინალ რატცინგერის და იეზუიტ ავტორთა შრომები, რომლებიც რუსულად არასოდეს თარგმნილა და ვიკითხოთ, თუ ვინ ყოფილა სინამდვილეში რუსული წიგნების სპეკულანტებით "დეტერმინირებული",

ცრუპენტელა ლადარიავ?! ერთი ამბავი აქვს ატეხილი, რომ აი, რცხილაძე, ჰეგელის 1935 წელს რუსულად თარგმნილ "ისტორიის ფილოსოფიას" იყენებსო. იქნებ შენ მიაწოდო უახლესი გამოცემა, ან ყურმოკვრით მაინც გააგებინო, თუ თბილისში გერმანულ ენაზე სად მოიპოვოს მან უკეთესი გამოცემა, მაგრამ აზრზე რომ არ ხარ? ან სად ლადარია და სად ჰეგელი, რომელიც კრილოვის იგავს მაგონებს, "მაიმუნი და სათვალე". აი, ვ. რცხილაძე კი, ბოლო თავში ჰეგელის "ესთეტიკის" გერმანულ გამოცემას განიხილავს. ლადარიამ რომ იცოდეს, ვ. რცხილაძემ ჯერ კიდევ 1969 წელს უნივერსიტეტის "მიმომხილველში" გამოაქვეყნა ჰაიდეგერის "რა არის ფილოსოფია", რომლის თარგმანი რუსულად არ არსებობდა. შემდეგ გამოაქვეყნა რუსულად არასოდეს თარგმნილი წიგნები (ვიმეორებ, წიგნები და არა სტატიები, რომელთა ჩამოთვლა მართლაც შორს წაგვიყვანდა!) - ქ. ჰუონდერი "ღვთის არსებობის მტკიცებები", გ. გიერათი "გერმანელ მისტიკოსთა რჩეული ტექსტები", ა. ბრუნერი "ფილოსოფიის ძირითადი საკითხები", რომლის თარგმანში იმხანად არსებულმა "ქართულ-ევროპულმა ინსტიტუტმა" მას ილია ჭავჭავაძის სახელობის საგანგებო პრემია მიანიჭა, რაც აღინიშნა თავის დროზე "ლიტერატურულ საქართველოში".

რაკი ლადარია ერთხელ ვამხილეთ ტყუილში, ახლა ნახეთ, რა იოლად გაგრძელდება მისი მხილება.

ლადარია ცრუობს, როდესაც აცხადებს, თითქოს ვ. რცხილაძე "მელ გიბსონის ფილმს იცავს ქართველი ებრაელების კრიტიკისაგან". პირიქით, ვ. რცხილაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფილმს არ შეეხებიო, მაგრამ იმას, რომ ქრისტე არარსებულად და მითიურ პიროვნებად გამოაცხადეს, ამას, ნურას უკაცრავად და, უკუაგდებს. გულზე მოგხვედა ასეთი დასკვნა, ლადარიავ? ვინ ხარ შენ - გონდაბნელებული ათეისტი თუ ბნელი სულის მქონე ეშმაკეული?!

ლადარია ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ თითქოს ვ. რცხილაძე თავს ესხმის ზ. გამსახურდიას, აკ. ბაქრაძეს და ნ. ნათაძესო. ამ უკანასკნელზე იგი ამბობს, რომ საერთოდ არ ღირდა მისი "მტვერდადებული წიგნის" განხილვაო და ნ. ნათაძეს ჩამოწერილად მიიჩნევს, მაგრამ ბ-ნი ნათაძე დღესაც ძალზე აქტიურობს, როგორც პრესაში, ასევე ტელევიზიის მეშვეობით. რაც შეეხება რცხილაძის "თავდასხმებს", აქ ლადარიას უნდა ეთქვა, რომ არავითარ პიროვნულს დასახელებული ავტორებისას იგი არ ეხება და მხოლოდ ქრისტიანული მსოფლმხედველობის გათვალისწინებით მათ მიუღებელ აზრებს აკრიტიკებს. რაო, შევურიგდეთ ზ. გამსახურდიას ცრუ მეცნიერულ წიაღსვლებს? ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილმა, როგორც იქნა, შეიგნო, რომ ის "დიდი პოლიტიკოსი" არ ყოფილა, მაგრამ მითი მისი "დიდი მეცნიერებისა" მაინც ტრიალებს ხალხში, რაც ისევ ზვიადისტების არმიის მატებას უწყობს ხელს. როდესაც იმავე "24 საათში" ზვიადისტმა გალანძღა და ლამის ღამის ქოთანი დაამხო თავზე ლადარიას,

იგი ნაცემი ძაღლივით გაიტრუნა. არ არის მათი კრიტიკა აქტუალური?! თუ ლადარიასავით შარვალი უნდა ჩაიხადოთ ყოველი ზეიადისტის გამოჩენაზე?! თუკი ასე გული ეწვის ლადარიას ზ. გამსახურდიას "მეცნიერული მიღწევების" გამოშკარავებაზე, იქნებ ნახევარი მარცვლით რაღაც ამოებლუყუნებინა მის დასაცავად და არა ასე: "კელტებზე, პელაზგებსა და წმინდა გრაალზე ბოდვას ეხსნება მეორე სუნთქვა ბ-ნი რცხილაძის ტექსტით". ახ! რა დიდებულად "გაანადგურა" რცხილაძე! ამ დროს სიტყვა "კელტები" არსად არა აქვს რცხილაძეს ნახსენები, მაგრამ ლადარიასთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს? ხომ იფახიფუხა და მკითხველი დააბნია? მაგრამ რის "პელაზგები", რის "გრაალი", ეს ხომ ლადარიასათვის იგივეა, რაც ვირისათვის ხურმა! გამოთქმა "წრფელი ანთროპოსოფი" რას მიქვიაო, გაიძახის ლადარია და თავისი ჭკუით მათ რცხილაძეს უსევს. მაგრამ არაწრფელი ანთროპოსოფის ნიმუში ხომ არსებობს, თუ ლადარია მას ვერ ელევა? ანდა, როდესაც რცხილაძე მუსლიმან მესხს ესაუბრება, ამბობს ლადარია, თურმე, რომ "არ გაისვაროს უსჯულოსთან საუბრით", აუცილებლად დაამატებს ხოლმე "პროქართულად განწყობილს" ვესაუბრეო, მაგრამ ტყუილი აბა ლადარიასაგან გასაკვირია?! რცხილაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი თანამოსაუბრე ხალილ უმაროვი პროქართულადაა განწყობილი, ხოლო ოდაბაშევი - თურქულად. ცნობისათვის, ვ. რცხილაძემ, ამ გულანთებულმა პატრიოტმა, ჯერ კიდევ 1976 წელს მოინახულა მესხები გადასახლებაში და ეს აღწერა არალეგალურ ჟურნალ "საქართველოს მოამბის" მეორე ნომერში. გესმის ლადარიავ?! პირდაპირ საოცარია ამ "ომბუდსმენის" ბოლმა და დემაგოგია. ვ. რცხილაძემ, როგორც პატიოსანმა პიროვნებამ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ "არსებული რეჟიმის, ანუ სააკაშვილის რეჟიმის, კრიტიკის მორალური უფლება არ მექნებოდა, რომ თავის დროზე შევარდნაძის რეჟიმი არ გამეკრიტიკებინაო". თან ისიც დააყოლა, რომ არ გულისხმობდა საბჭოთა პერიოდს, რომლის დროსაც ამის გამო ციხე და გადასახლება გამოიარა. ამას წერს კაცი, რომელიც ერთ-ერთი დამაარსებელი იყო საქართველოში "ადამიანის უფლებების დამცველი საინიციატივო ჯგუფისა" (1974 წ.) და "ჰელსინკის ჯგუფისა" (1976 წ.). ეს ჯგუფი, ცხადია, ზ. გამსახურდიას ჩათვლით, კოლონიაში ყოფნის დროს მეც გამომექომაგა, რისთვისაც დღემდე მათი მადლიერი ვარ (რაც შეეხება ზ. გამსახურდიას, გული მასზე მას შემდეგ ავიყარე, როდესაც უბოდიშოდ მოსკოვის სასამართლოზე მან უცხოელები დაასმინა და განსაკუთრებით მას მერე, რაც სისხლიან გადამთიელებს შემოუძღვა საქართველოში). რაც შეეხება რცხილაძეს, მას ზუსტად ერთი წელი "სუკ"-ის დახურულ ციხეში გაატარებინეს და შემდეგ ყაზახეთში, კერბელის მიეარდნილ ოლქში გადაასახლეს. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ინტერნეტში გადაამოწმოს ეს ცნობები. დიახ, რცხილაძე თითქმის ამაზე არაფერს წერს, არავის აყვედრის (გავიხსენოთ საკრებულოს თავმჯდომარე ბეგაშვილი, რომელიც საკუთარი თავის გამოსაჩენად ამბობდა: "წაიკითხონ

ეროვნული მოძრაობის ისტორია! ან ზოგიერთი დეპუტატი: სამი ღამე პარლამენტთან წვიმაში ვიდექით!) და მხოლოდ ის ახსენა, თუ შევარდნაძის პრეზიდენტობისას როგორ ითხოვდა საბჭოთა სუკ-ის მოღვაწეობის ოფიციალურ დაგმობას (რაც დღემდე არ მომხდარა) და სხვა უმსგავსოების ალმოფხვრას (ამაზე აღარც გავცურცელდები, მკითხველს ალბათ ახსოვს). ეს ფუთლუხა ლადარია მომდგარა და რაკი რცხილაძე ამას ჩამოთვლისო, ის "ნამდვილი ნარცისიაო"!

მოკლედ შევეხოთ ვ. რცხილაძის ნაშრომში ისლამის თემას, რის გამოც ეს პროვოკატორი, ლადარია, რცხილაძეს საციხოდ იმეტებს. თურმე რცხილაძე ისლამს "საფრთხობელად" სახავს, ხოლო მისი "ტექსტი საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაა, რადგან რელიგიური შუღლისაკენ მოწოდებას წარმოადგენს. კერძოდ, ისლამის დემონიზაციას".

მე იშვიათად წამიკითხავს რელიგიის ისეთი ფაქიზი ანალიზი, როგორც ეს ხდება რცხილაძის წიგნში ისლამთან მიმართებაში. რელიგიის ფილოსოფოს რუდოლფ ოტტოზე დაყრდნობით, რცხილაძე თავალსაჩინოდ ხსნის, თუ როგორ შეიძლება ისლამის მიმდევარი იყოს, ერთი მხრივ, ამქვეყნიურ სიამეთა მოტრფიალე და მეორე მხრივ, ყოველგვარი ამქვეყნიურის გამწირველი რწმენისათვის. ამის მას საკმაო მაგალითები მოჰყავს. მაგრამ არსად მის ნაწერებში არაა ისლამის, როგორც რელიგიის შეურაცხყოფა. ნუ დაგვავიწყდება, რომ მისი წიგნის სათაურში ჟღერდება ფრაზა "ქრისტიანული რწმენის გათვალისწინებით", ხოლო ეს სხვა რელიგიებთან უკვე პოლემიკასაც გულისხმობს. რაც შეეხება "ისლამის დემონიზაციას", რადიკალურ ისლამს რაღა "დემონიზაცია" სჭირდება, როდესაც დღევანდელ მსოფლიოში ათიდან ცხრა შემთხვევაში ტერორისტები ისლამის მიმდევრები არიან?! ეს დღევანდელმა მსოფლიომ გაიგო, ხოლო წარსულში ამის თაობაზე მოთქვამს საქართველოს ისტორია და რცხილაძემაც ეს თვალნათლივ წარმოაჩინა. მაგრამ ამას არავითარი კავშირი არ გააჩნია, როგორც ამას ამტკიცებს ლადარია, "ჩეჩენ ლტოლვილთა ბედთან". ვ. რცხილაძემ ერთადერთი გულისწყრომა გამოხატა იმ პანკისელი ქისტების მისამართით, რომელნიც 1992 წელს ჩვენმა მილიციამ ჩამოსვა მატარებლიდან და რომელნიც აფხაზების დასახმარებლად მიემართებოდნენ ჩვენთან საბრძოლველად. ეს საქართველოს მიმართ მათი მხრიდან აშკარა უმადურობა იყო, რადგან 1994 წელს მათ აყრა-გადასახლებას ქართველმა მეცნიერებმა შეუშალეს ხელი იმით, რომ ისინი "ქართველებად" გამოაცხადეს. სიმართლე თუ გვინდა, ასეა. მაგრამ იგივე ვიქტორ რცხილაძე ფრიად მიესალმა ასლან მასხადოვის კაცურ გამოსვლას სატელევიზიო არხ "მზეზე", როდესაც მან დაგმო ჩეჩენთა ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ. მოკლედ, ასეა თუ ისე, მთლიანად ვეთანხმები ვიქტორ რცხილაძეს, რომ მეზობელ ხალხებთან, მათ შორის მუსულმანებთან ურთიერთობები სწორედ რომ ქართულმა სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს და არა ლადარიას ზურგს უკნიდან მომზირლებმა.

ახლა რამდენიმე მაგალითი ლადარიას ინტელექტუალური დონისა. ვ. რცხილაძე, ახასიათებს რა საქართველოს საუკუნეების მდგომარეობას გვიანდელ შუა საუკუნეებში, ბუნებრივია, როგორც კეთილსინდისიერი ისტორიკოსი, ამას განიხილავს მსოფლიო ისტორიასთან კავშირში. სხვადასხვა ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით, მათ შორის ჰ. კისინჯერის "დიპლომატიის" მოხმობითაც, ავტორი დანანებით აღნიშნავს ქრისტიანული იდეალებისადმი ღალატს რიგი ევროპული სახელმწიფოებისა და თურქეთთან სამხედრო კავშირის დადებას სხვა ქრისტიანული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასეთი, სახელმწიფოებრივ ინტერესებზე დაყრდნობილი პოლიტიკა რწმენის ფაქტორის გამოთიშვით, მაგ., კისინჯერის მიხედვით, წარმოუდგენელი იყო იმპერატორ ფერდინანდ II-სათვის, მაგრამ მისაღები რიშელიესთვის. ასეთივე დაპირისპირებებს ქმნიან საფრანგეთის მეფე ფრანცისკო I და იმპერატორი კარლოს V. აი, სწორედ აქ ახსენებს ვ. რცხილაძე ინგლისის დედოფლის წერილს სულთან მურადისადმი, სადაც დედოფალი სულთანს უწონებს "კერპთაყვანისმცემელთა" წინააღმდეგ ბრძოლას და იცით, ვინ იყვნენ ეს "კერპთაყვანისმცემელნი"? ვინა და ესპანელი კათოლიკენი. ყოველივე ამას ვ. რცხილაძე დანანებით აღნიშნავს, როგორც ქრისტიანი, მაგრამ ამაში ვერ გარკვეულა ლადარია და ოხუნჯობს - აბა, ინგლისის დედოფალი სულთანს ასეთ წერილს ხომ არ გაუგზავნიდაო: "შე ურწმუნო და ურჯულო, ჯეშმარიტ ქრისტიანთა მტარვალო"-ო!

ან ასეთი ლადარიასეული შეკითხვა, "რომელი მეცნიერული თვალსაზრისის საფუძველზე გვიმტკიცებს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია "სატანისტური" იყო?" შემდეგ: ახსენებს რა ვ. რცხილაძე დოსტოევსკის "ბესის" პარიზის კომუნასთან კავშირში, ლადარია უკვე დოსტოევსკისაც აკრიტიკებს: "ეს გამოხატავს მის დამოკიდებულებას რევოლუციონერებისადმი, მაგრამ სულაც არ ნიშნავს, თითქოს დოსტოევსკიმ ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცა, რომ მუშათა უფლებებისათვის მებრძოლი ადამიანები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით სატანის მსახურები არიან".

აქ პირველად შევხვდე ლადარიას სერიოზულად, უფრო სწორად, ისე როგორც სოფელში აკვირდებიან ურმის გზაზე ექსკრემენტებს და ამით ასკვნიან, თუ ვის ჩაუვლია აქ: ძროხას, თხას თუ ადამიანს... ლადარია, რომ იტყვიან, ეშმაკის კერძია და აი, რატომ. განა სატანისტობა ვინმესი ან რაიმე მოვლენისა მეცნიერულად მტკიცებადია? განა ცნობილი არ არის, თუ რა საფუძველს ემყარება საფრანგეთის რევოლუციის ან ბოლშევიკური მოძრაობის შეფასება, როგორც სატანისტურისა (ეკლესიების ნგრევა, ღვთისმსახურთა და არასასურველ პირთა მილიონობით ამოწყვეტა, არნახული ტერორის დამკვიდრება და სხვა)? აქ მახსენდება ფრანც ბაადერის, დიდი ფილოსოფოსის აზრები, რომელთა ციტირებას ვ. რცხილაძის ერთი შრომიდან მოვახდენთ: "თანამედროვე უმსგავსოება ბოროტების დოქტრინის მიმართებით, რომელიც სავსებით იგნორირებას უკეთებს სიღრმისეულ პრობლემას,

ესე იგი ბოროტების სულიერ არსს, ამ უკანასკნელისათვის შეიძლება ძალზე დროული აღმოჩნდეს, რადგან წყვდიადის სულისათვის ისე არაფერია სასურველი, როგორც ის, რომ ცოდნა მის შესახებ ან ბნელითაა მოსილი, ან ამ "ცოდნას" სისულელე მართავს... უნდა ვაიძულოთ ბოროტება, გამოვიდეს ფარული მდგომარეობიდან, დაშლილობიდან, რათა შესაძლებელი გახდეს მისი თავმოყრა და დემონსტრირება მისი დაუფარავი სახისა, რომ შესაძლებელი გახდეს მისი ღიად დაჭერა".

არ ვიცი, რამდენად სასიამოვნოა ლადარიას "ღიად დაჭერა", მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - ლადარიას ეშმაკის კერძობა აშკარაა. ახლა გასაგები ხდება, თუ რად არ მოსწონს ან ვერ გებულობს ლადარია რცხილაძის მოტანილ ციტატას დე მესტრიდან: "რომ არ მომხდარიყო საფრანგეთის გილიოტინიზაცია (საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, თ.ჭ.), უნდა ყოფილიყო ინკვიზიცია". სანამ ამას უჭკუო ან ეშმაკეულ (რომელიც უნდა აირჩიოს, თუ სურს, ორივე ერთად!) ლადარიას ავუხსნიდეთ, რადგან იგი პირდაპირ კითხულობს: "რას ამტკიცებს ეს გამონათქვამი?" - ჯერ ორიოდ სიტყვა იმ კორექტურული შეცდომების გამო, რომელიც სამწუხაროდ ტექსტში გაიპარა და რაზედაც ლადარიას ერთი გნიასი აქვს ატეხილი (მაგ.: "დე მესტერი" კი არა, არამედ - "დე მესტრი"! ახ, შე ფალოსფიკატორო!). გაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტორს ტექსტში მოუხდა სქოლიოების ატანა, რამაც, სამწუხაროდ, შეცდომებიც გამოიწვია, მაგრამ იგივე სქოლიოები წიგნში (ან ჟურნალში) უშეცდომოდაა შესული.

ახლა დე მესტრის ციტატის ახსნა. საფრანგეთში რომ არ დატრიალებულიყო ის დიდი ტრაგედია, რაც "თავისუფლად მოაზროვნეებმა" მოიტანეს იქ, უნდა არსებულიყო ინკვიზიცია, რომელიც იმ სარეველებისაგან გაწმენდდა საფრანგეთს და შემდეგ აღარ მოხდებოდა ეს მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ვერავითარ შედარებას ვერ უძლებს ინკვიზიციის მსხვერპლთა რაოდენობას მთელი მისი ისტორიის მანძილზე, რადგან ინკვიზიციის მსხვერპლთა რიცხვი ბარე ასგზის ჩამოუვარდებოდა რევოლუციების მსხვერპლთა რაოდენობას. ასეთი არის დე მესტრის აზრი. ინკვიზიცია ის არ არის, რასაც საბჭოთა სკოლა გვასწავლიდა, ანდა ათეისტური, გნებავთ, პროტესტანტული პროპაგანდა. თავიდან იგი მართლა იყო მოწოდებული სატანისტური ძალების დასათრგუნავად. ლადარია, ამიტომ ხომ არ გაჟრიალებს ტანში ინკვიზიციის ხსენებაზე?!

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ ლადარიას სიბრაზისაგან ცოფი ერევა, როდესაც ვ. რცხილაძე წარსულშიც და ახლაც "შავ საქართველოს" რჯულნაღალატევ ქართველებს მიაკუთვნებს. "თურმე "შავი საქართველო" ისლამის მიმართ ლოიალობა ყოფილა" - ზიზღით ამბობს ამას ლადარია და დავით გურამიშვილსაც უტევს. მისი აზრით, "დავით გურამიშვილის "ქართლის ჭირიც", გამოხატავს ქართველი პოეტის პირად და, შესაბამისად, ქართველთა გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებას იმდროინ-

დელი პოლიტიკური ვითარებისადმი, მაგრამ ვერ გამოდგება იმისთვის, რომ ჩვენ ამ დამოკიდებულების მიხედვით განვსაზღვროთ პოლიტიკა კავკასიელი ხალხების მიმართ."

ლადარია - "ომბუდსმენის" ცინიზმი იმაში მდგომარეობს, რომ "ქართლის ჭირში" აღწერილ მოვლენებს "პუეტის პირად და, შესაბამისად, ქართველთა გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებას იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებისადმი" - აცხადებს. თითქოს გურამიშვილს თავად გამოეგონოს "ყველამ წაგვკრა თითო ქიშტი" და ეს ისტორიულ ჭეშმარიტებას არ ეფუძნებოდეს, თითქოს სისხლისაგან არ იცლებოდა მაშინდელი საქართველო ისლამური გარემოცვის "წყალობით". თუმცა, მაშინდელ საქართველოშიც არსებობდნენ ლადარიები და ისინი მართლაც "სხვაგვარად" უყურებდნენ "იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას" - და ჰყიდდნენ კიდეც საკუთარ დედებს, ძმებს და შვილებს...

თუ რამდენად სანდოა "დავითიანი", როგორც ისტორიული წყარო, ამის თაობაზე ს. ცაიშვილს მოვუსმინოთ ("ქართული მწერლობა", ტ. 7, თბ., 1989): "როცა კონკრეტულ მოვლენათა ანალიზზე მიდგება საქმე, აქ ავტორი ფაქტებიდან ამოდის. დასკვნებიც ზუსტი და დამაჯერებელია. სხვათა შორის, ამავე ეპოქას რამდენიმე ისტორიული თხზულება ეძღვნება, რომლებიც ასევე თანამედროვეთა მიერაა დაწერილი. აქ პირველ რიგში ვგულისხმობ სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის მატიანეებს, იგივე ეპოქა განხილულია ვახუშტის ვრცელ ნაშრომში "აღწერა სამეფოსა საქართველოსა". მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ისტორიულ მოვლენათა სწორი კვალიფიკაციებით და განზოგადების ძალით "დავითიანი" ყველა მათგანს აღემატება. იგი ყურადღებას იპყრობს სხვა მხრითაც. ისტორიკოსმა ვარლამ დონდუამ ამასთან არაერთი მაგალითი წარმოადგინა, როცა თვით ფაქტების გადმოცემის სიზუსტეშიც გურამიშვილი მეტწილ შემთხვევაში უფრო სანდო და ობიექტურ ინფორმაციას გვაწვდის (იხ. "დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია", 1956)".

ლადარია ვ. რცხილაძეს იმაშიც ედავება, რომ რუსები ნამდვილი ქრისტიანები არიან და არა "მხოლოდ მცირე შრე არის მათი ჭეშმარიტად გაქრისტიანებული", როგორც შენ წერო. არადა, რცხილაძემ ვასილი როზანოვის სიტყვები მოიტანა, რომ რევოლუციის დროს რუსეთის გლეხობამ (მუშებზე აღარაა საუბარი!) ქრისტიანობა ისე ჩამოიცილა, როგორც აბანოში ჭუჭყიო! მერე ახსენა "სნოხაჩესტვო", რუსეთში გავრცელებული ცოდვა, როდესაც მამამთილი რძალთან ცხოვრობს და რასაც ადასტურებენ ტურგენევიდან მოყოლებული გორკის ჩათვლით (ეს უკანასკნელი საკუთარი ბიოგრაფიით). არა და არა! - გაჰკივის ლადარია - ეს ყველაფერი წარსულში იყო, ზოგიერთ რუსულ სოფელშიო.

რამდენიმე წლის წინ მოსკოვში ვესაუბრე ჩემს მეგობარს კოლონიიდან - ვლადიმერ ბუკოვსკის. 'მითხრა: თემო, აქ არაფერი შეცვლილა და აღარა-

სოდეს დაებრუნდებიო. სიტყვა შეასრულა და დღესაც დიდ ბრიტანეთშია. რუსეთი არ იცვლება, სამწუხაროდ. ან თუნდაც ის რად ღირს, რაც საწყალ ჩეჩნეთს დამართეს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. ახლა აღარ გახსენდებათ ჩეჩნები?!

კიდევ ერთი ვეებერთელა სიცრუე ლადარიასი: ვითომც ვ. რცხილაძე მხოლოდ ქართველებს მიიჩნევს იდეალურ ქრისტიანებად. არადა, მთელი წიგნი (მის პირველ ნაწილს თუ გამოვაკლებთ - ფილოსოფიურ-თეოლოგიური შინაარსისას) იმას ეძღვნება, რომ პირველცოდვისა და პიროვნულ ცოდვათა ნაზავმა მნიშვნელოვნად წაბილწა ქართული სულიერება და ეს გაფუჭებული თესლია, რომ ამღვრევს ჩვენს დღევანდელ ყოფას.

აქამდე ლადარიაზე თუ "ფუი ეშმაკის" ჩალაპარაკებით ვწერდი, 21 თებერვლით დათარიღებულ "24 საათში" მისეულ ამოკვნესაზე კი ხმამაღლა გამეცინა. აქ უკვე ლადარია ვიქტორ რცხილაძეს სასიყვარულო სახელით "დოდოთი" მოიხსენიებს და მკითხველს აცნობებს, რომ მისი წერილის კრიტიკას წყვეტს, მიუხედავად მრავალთა თხოვნისა იმის გამო, რომ ლადარია "ასავალ-დასავალის" მუშაკი არაა და თან რცხილაძის წერილი "სიტყვების ნებისმიერ მიმდინარეობას" წარმოადგენს და არა "ტექსტს".

ოხ, ტყუის, ტყუის ლადარია, მაგრამ უფრო კეკლუცად. უბრალოდ, მომდევნო კვირის ვ. რცხილაძისეული წერილები რომ გააკრიტიკო, საჭიროა ინგლისურენოვან ტექსტებში გარკვევა, უნდა ფლობდე გერმანულ ენას და ამავე დროს, ფილოსოფიური უნარიც უნდა გაგაჩნდეს, რომ დასძლიო ფრიდრიხ გოგარტენის თხზულებები, როგორც თეცხი წყალში, ისე უნდა გრძნობდე თავს თეოლოგიური ლიტერატურის განხილვისას, რაც რცხილაძემ წარმოადგინა იეზუიტ ავტორთა ტექსტებით და კარდინალ რატცინგერის ციტირებით, განსაკუთრებით წიგნის პირველ ნაწილში. მაგრამ ახლა რა ქნას ლადარიამ, მართლა რუსული წიგნებით მოვაჭრეებს ხომ არ მიმართავს - გრიშას და არტურას (მათი სახელთა ანბანის რიგის აღრევით)? ყოველივე დასახელებული რუსულად ხომ არ არის თარგმნილი და გინდაც იყოს, მათი გარჩევის ჭკუა ვინ მისცა ლადარიას?!

ლადარია თუ ვინ არის, ჩემთვის ნათელია. მაგრამ მას დავუსვამ რამდენიმე კითხვას და თუ მართალია, საზოგადოებას უპასუხოს:

1. როგორც "ომბუდსმენი", ვის დაეხმარეთ? დაასახელეთ ერთი კონკრეტული შემთხვევა; 2. დაგვისახელეთ თქვენი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი.

ახლა ერთი მეგობრული რჩევა გაზეთ "24 საათის" რედაქციას. ძვირფასო მეგობრებო! ლადარიას სახით თქვენ ფსევდო მეცნიერს ჩააბარეთ გაზეთის ერთი გვერდი, რითაც იგი ბოროტად სარგებლობს. წარმოიდგინეთ რომელიმე ღირსებით აღსავსე ავტორი, რომელიც თქვენთან დაიბეჭდება. მის წერილზე, თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულზე, შეფასების მხრივ ლადარიას ეხსნება კარტ-ბლანში, რასაც იგი არაფრით იმსახურებს - არც

ცოდნით და, რაც მთავარია, არც ზნეობით. ღირსეულ ავტორს სად ეყოფა ან დრო, ან ნერვები, რომ ლადარიას ბჟუტურს ორშაბათიდან ორშაბათამდე ეკლოდოს. იგი უბრალოდ აღარ ითანამშრომლებს თქვენს გაზეთთან. საბოლოოდ, თქვენ მხოლოდ ისეთი ავტორები შეგრჩებათ ხელთ, რომელნიც მარტოოდენ ჰონორარით იქნებიან დაინტერესებულნი, რაც, ცხადია, მათ სტატიებს სიღრმეს ვერ შესძენს. მოიცილეთ ლადარია და თუ თქვენ ვერ იპოვით, მე მოგიყვანთ მასზე გაცილებით უკეთეს კრიტიკოსს.

პატივისცემით

თეიმურაზ ჭანტურიშვილი

დაიბეჭდა გაზ. "24 საათში" 2005 წლის თებერვალს

ნოდარ ლომოური:

რას წარმოადგენს ასეთს ვახტანგ ხარჩილავა, რომ გამსახურდიას გადაგდება-განდევნის მონაწილეებს "არამზადებს" გვიწოდებს?

ამამრზენი და ყალბი ბრალდებები, ამკარა ცილისწამება

მე რამდენიმე გაზეთში, ძირითადად "ლიტერატურულ საქართველოში", რამდენჯერმე წავაწყდი ვახტანგ ხარჩილავას სტატიებს; ზოგი მეტ-ნაკლებად მომეწონა, ზოგი - არა; მათში გამოთქმული მოსაზრებები ხშირად ჩემთვის მიუღებელი იყო, მაგრამ ის, რაც ამჟამად წავიკითხე (გაზეთი "ასავალ-დასავალი", 15 მაისი), ყოველგვარ მოქალაქეობრივ წესებს სცილდება, გაჯერებულია შეურაცხყოფით ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილის მიმართ, ცილისწამებით და ამასთან - უმეცრებით.

ვ. ხარჩილავას წერილი რეაგირებაა "ლიტერატურულ საქართველოში" წინა კვირას გამოქვეყნებულ ვიქტორ რცხილაძის წერილზე. მე ამჟამად არ ვაპირებ ბსენებული პუბლიკაციის დაცვას - ვიქტორ რცხილაძეს საკმაოდ გააჩნია ინტელექტუალური ძალაც, განათლებაც, პრინციპული მოქალაქეობრივი პოტენციალიც, რომ, თუ საჭიროდ ჩათვლის, თვით გასცეს პასუხი ვ. ხარჩილავას ბრალდებებს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მე ვ. რცხილაძის წერილში ვერც "სეპარატიზმი" დავინახე და, მით უფრო, ვერც სვანების რამენაირი შეურაცხყოფა, ვფიქრობთ, არა ერთი საღად მოაზროვნე ქართველი (მათ შორის, მეგრელიც და სვანიც) მთლიანად გაიზიარებს ვ. რცხილაძის პოზიციას ამ პრობლემაზე.

მაგრამ მე მინდა სულ სხვა პრობლემას შევეხო. ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის იყო მოთხოვნა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების და შემდგომ დაწყებული სამოქალაქო ომის შეფასებისა. მე არაფერი არ მქონია ამის საწინააღმდეგო, თუმცა, აქტიური მონაწილე ვიყავი ამ მოვლენებისა. მაგრამ ის რაც დღეს წავიკითხე, ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

თურმე, ნუ იტყვი, ზემონახსენებ დაპირისპირებასა და ომში ორი მხარე არ არსებობდა: არსებობენ "არამზადები", რომელთაც ხელი საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ აღმართეს, არსებობენ "ფსევდოპოლიტიკოსები, რომლებმაც საკუთარი უაზრო ამბიციების დასაკმაყოფილებლად" დაამხეს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, რითაც "დაამხეს საკუთარი ქვეყანა", და ხელში შეგვრჩა საქართველო, სადაც ქართველ კაცს არაფერს ეკითხებიან.

მე არ ვიცი, რას წარმოდგენს ასეთს ვახტანგ ხარჩილავა, რა დამსახურება აქვს ქართველი ერის წინაშე, ან რით გამოიჩინა ნებისმიერ სფეროში თავი, როდესაც გამსახურდიას წინააღმდეგ გამოსვლის, მის გადაგდება-განდევნის მონაწილეებს "არამზადებს" გვიწოდებს და გვაბრალებს, რომ საკუთარი

"უაზრო ამბიციების დასაკმაყოფილებლად საკუთარი ქვეყანა დავამხეთ". ეს არის ქართული საზოგადოების საუკეთესო, მოწინავე ზედაფენის, ქართული ინტელიგენციის უდიდესი ნაწილის დანაშაულებრივი შეურაცხყოფა, მათი "არამზადებად" გამოცხადება, მათთვის საკუთარი ერის დამხობის დაბრალება... რა ხდება, ხალხო? ნუთუ არ არსებობს აღარც მორიდება, აღარც სამართლიანობა, აღარც ელემენტარული ზრდილობა?!

იცის კი ვახტანგ ხარჩილავამ, ვინ იყვნენ ისინი, ვინც გამსახურდიას ხელისუფლებას დაუპირისპირდა, ვინც მისი გაპრეზიდენტებიდან ძალზე მალე უარყო მისთვის არჩევნების დროს მიცემული ხმები, შექმნა "სამოქალაქო საზოგადოება დამოუკიდებელი საქართველო", რომელშიაც შევიდნენ თბილისის (შემდეგ კი მრავალი რეგიონის) მოქალაქეები, "საზოგადოება თბილისელი", გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, ან თუნდაც ის რიგითი თბილისელები და ქალაქების მცხოვრებნი, ვინც შეუერთდა ამ მოძრაობას, ვეღარ გაუძლეს იმ შესაზარ, მრავალ უკანონობაზე, ანტიეროვნულ ქმედებებზე დამყარებულ გამსახურდიას რეჟიმს და გამოვიდნენ მის წინააღმდეგ. მოითხოვეს მისი გადადგომა, და აი, ეს ყველანი, თურმე, "არამზადები" ვყოფილვართ, დავამხეთ საკუთარი ქვეყანა! სად იყო ამ დროს ვახტანგ ხარჩილავა? ამას ყველაფერს ვერ ხედავდა და ვერ გაიაზრებდა?! ვინ მისცა მას მორალურ-მოქალაქეობრივი უფლება (თავი დავანებოთ ფაქტობრივ საფუძველს) ასე ლანძღოს და შეურაცხყოს ჩვენი ერის ეს უმაღლეს ელიტა?! სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ჩვენი მოძრაობის არაერთი მონაწილე, გამოჩენილი ადამიანი ცოცხალი აღარ არის, მათ სულებს მაინც მივაგოთ პატივი.

მე არ დავიწყებ ამჟამად ამ პრობლემის უფრო ღრმად გარჩევას. თუ მომავალში საჭირო იქნება, მე კონკრეტული ფაქტებით დავამტკიცებ ჩემი ბრალდებების საფუძვლიანობას, მაგრამ ასე ხელაღებით შეიძლება საზოგადოების ლანძღვა?!

მე ადრეც ვეთანხმებოდი 1991-92 წლების მოვლენების შეფასება-განხილვას, მე მაქვს ჩემი პოზიცია: კატეგორიულად უარვყოფ ამ მოვლენების "შეიარაღებულ პუტჩად" და უკანონო ქმედებად შეფასებას; ჩემი აზრით,

ეს იყო სახალხო ამბოხება უღირსი პრეზიდენტის გადასაყენებლად.

სხვები ჩემს პოზიციას არ ეთანხმებიან, მაგრამ, განა შეიძლება რამენაირად გამართლდეს იმ ილეთების გამოყენება, რომელთაც კადრულობს ვ. ხარჩილავა.

თავის ზემომოტანილ შეფასებას ვ. ხარჩილავა წარუმძღვარებს ასევე სრულიად მიუღებელ განცხადებებს; ჯერ ერთი, ის ვიღაცას აბრალებს, თითქოს 1993 წელს დასავლეთ საქართველოში აჯანყების მოწყობაში მხოლოდ და მხოლოდ მეგრელებს ადანაშაულებს, ეს სიყალბეა! ცხადია, გამსახურდიას ყველაზე აქტიურად სამეგრელოში უჭერდნენ მხარს; ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ გამსახურდიამ საზარელი როლი შეასრულა სოხუმის დაცემისას, როდესაც გამსახურდიას გროზნოდან მიღებული განკარგულების საფუძველზე ლოთი ქობალიამ უკანასკნელ და სოხუმის მო-

სახლეობისთვის უმძიმეს დროს უარი თქვა დახმარებოდა ქართულ ძალებს და ათასობით ლტოლვილი კოდორის ხეობით აიძულა წამოსულიყვნენ. ეს ხომ დამტკიცებულია! ამას მოყვა ნაპრეზიდენტალის ჩერქეზ, ჩრდილოკავკასიელთა გაერთიანების და კაზაკური რაზმებით შემოსვლა სამეგრელოში და მცდელობა აღმოსავლეთ საქართველოსა და თბილისში ლაშქრობის ორგანიზაციისა. დღესაც თვალწინ მიდგას იმ დროს გადაღებული მეამბოხეთა რაზმები დუდაევის პორტრეტებით და მისი უწმინდესობის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ჯვარედინად გადახაზული სურათებით!

აი, რეალური რა არის, ხარჩილავავ! რა იყო ეს, კანონიერად არჩეული და შემდგომ გადაყენებული პრეზიდენტის აღდგენის მცდელობა, თუ ყაჩაღური ქმედება.

თქვენ, ეტყობა, ეს ყველაფერი არ იცით, არ გესმით და ამიტომაც ხართ გადასული ლანძღვასა და აშკარა ცილისწამებაზე!

ნოდარ ლომოური,
პროფესორი

„ასავალ-დასავალი“, 2006 წლის
22-28 მაისი №21(611)

მ ი ნ ა წ ე რ ი :

ამას მოჰყვა ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში ზვიადებილების თავდასხმა ნ. ლომოურზე - “წითელი პროფესორი არისო!“ მაგრამ ამ უტვინოების ხსოვნაც რომ არ დარჩება ამ ქვეყნად, ლომოურის წიგნები კვლავ მოემსახურება ჩვენს თაობებს.

ვიქტორ რცხილაძეს
უღოცავენ

ვიქტორ რცხილაძეს ულოცავენ

ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, "პელსინკის ჯგუფის" ერთ-ერთ დამაარსებელს, ჟურნალ "რელიგიის" მთავარ რედაქტორს, საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სამსახურის თავმჯდომარეს ვიქტორ რცხილაძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. საქართველოს საერთო-ეროვნული მწერალთა კავშირი და "ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია ულოცავენ მას ამ საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებენ.

ძმაო და ბატონო ვიქტორ!

ლამაზი და მძლე სახელი გქვია - გამარჯვება.

შენ გაიმარჯვე, როცა ქართველთა განახლებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ხელმძღვანელთაგანის როლი იკისრე.

მაშინაც, როცა თანამებრძოლმა გაგყიდა და შენ კი იმ განსაცდელიდან მიმტევებლობისა და საქმის ერთგულების რწმენით მანამდელზე მეტად გამდიდრდი.

გაიმარჯვე, როცა მრავალწლიან ორთაჭალა-გულაგის განსაცდელს სიცოცხლისა და ბრძოლის გამძაფრებული უნარით დააღწიე თავი.

გაიმარჯვე იმითაც, რომ შენი წინაპრებისა და მიდგომისმიერ ინტელექტს მართებული გეზი მიეცი.

გაიმარჯვე იმითაც, რომ ქართველ ინტელიგენტთა შორის კუთვნილი ადგილი დაიკავე.

გამარჯვებული ხარ, როგორც ბრწყინვალე პუბლიცისტი, ბელეტრისტი და მოაზროვნე შენს სათაყვანებელ საქართველოში.

გამარჯვებული ხარ, როგორც თავდადებული მამულიშვილი და სამშობლოს მომავლისთვის ხმალშემართული რაინდი.

ამას გილოცავ, ჩემო მედგარო ვაჟკაცო!

კვლავაც მკვიდრად და ურყეველად დგომას გისურვებ იქ, სადაც და როგორც შენი ერის საამაყო შვილები იდგნენ, დგანან და შენთან ერთად იდგებიან აწ და მარადის.

მაღალი ღმერთის კურთხევა და მფარველი ხელი იყოს შენი მეგზური და ხვედრი მორიგ გამარჯვებათათვის.

ამინ!

ჭაბუა ამირეჯიბი

ფილოსოფიური თეოლოგიის დოქტორი

იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელიც, ახალგაზრდობის წლებიდან, მძიმე პოლიტიკური რეპრესიების მიუხედავად, ასე ხელსავსე ხვედებოდეს დაბადებიდან სამოცი წლისთავს, როგორც ბატონი ვიქტორ რცხილაძე ხვდება. მისი ნაშრომები განსაკუთრებით მიმდინარე წელს გამოცემული სქელტანიანი წიგნი, ადასტურებს, რომ იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო პროზაიკოსი და ასევე თვალსაჩინო, პრინციპული პუბლიცისტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი გამოკვლევები ფილოსოფიური თეოლოგიის დარგში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ჩვენში რელიგიის ფილოსოფიის არა მარტო პირველხარისხოვანი მკვლევარია, არამედ აგრეთვე მისი ფაქტობრივი ფუძემდებელიც. მკითხველის განცვიფრებას იწვევს მისი ერუდიცია ამ დარგში. იგი საფუძვლიანად იცნობს რელიგიის ფილოსოფიის არა მარტო კლასიკოსების, არამედ მისი რიგითი მკვლევარების იდეებსაც. ბატონ ვიქტორს კარგად მოეხსენება, რომ ღმერთის არსებობის დასაბუთება არ შეიძლება მხოლოდ რელიგიურ რწმენაზე დავაფუძნოთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში გზა გაეხსნება ათეისტურ მსოფლმხედველობას; ეს უკანასკნელიც ხომ რწმენას წარმოადგენს - ღმერთის არარსებობის რწმენას და მეტს არაფერს! ამ მხრივ თეისტურ მსოფლმხედველობას დიდი უპირატესობა აქვს. ბუნებისმეცნიერების უახლესი მიღწევები ღმერთის არსებობას მეცნიერულად ასაბუთებს, რაც ათეიზმის შესაძლებლობას პრინციპულად გამორიცხავს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ბატონ ვიქტორ რცხილაძის ნაწერებში ხშირად, ზოგად-ფილოსოფიური მედიტაციების გვერდით, დიდი ადგილი უჭირავს თანამედროვე საბუნებისმეტყველო თეორიების ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ ანალიზს, რაც ქართულ მეცნიერებაში სრულიად ახალი საქმეა.

ბატონ ვიქტორ რცხილაძის სახელს არ ამშვენებს სამეცნიერო რელიგიები, რასაც იგი უთუოდ იმსახურებს. ალბათ, ეს მის მიერ განვლილი მძიმე ცხოვრების შედეგია. მიუხედავად ამისა, მას თამამად შეიძლება ეწოდოს ფილოსოფიური თეოლოგიის დოქტორი.

ვულოცავთ ბატონ ვიქტორს - შესანიშნავ ადამიანს, მეცნიერს, პუბლიცისტსა და მწერალს - სახელოვან იუბილეს. ასეთი ადამიანები ქართველ ერს ყოველთვის სჭირდებოდა და განსაკუთრებით სჭირდება დღეს - გლობალური კრიზისის პერიოდში.

სერგი ავალიანი

რაინდული სულიერების აპოლოგეტი

ჭეშმარიტად იგია ჯერ კიდევ ერთი ცოცხალი სული რომანტიკული საქართველოსი... სული ამაღლებული სევდითა და აღფრთოვანებით აღბეჭდილი... სადაც არ უნდა იყოს და რასაც უნდა აკეთებდეს, ანუ რითაც

უნდა იყოს გატაცებული, იგი ყოველთვის რჩება რაინდული ქართული ინსტინქტების განსახიერებად.

მისი შთამბეჭდავი და ღრმად დამაფიქრებელი სულიერი გამოვლინებანი კიდევ ერთი ნიშანსვეტია მისი სრულყოფილი პიროვნების წარმოსადგენად...

საგულისხმოა რომ მას, როგორც სიტყვის ხელოვანსა და მოაზროვნეს, ერთი ფრიად არსებითი მომენტი ახასიათებს, კერძოდ, იგი ნიშენელობებით სავსე, რაღაც ღრმა ემბლემატური მხატვრული და ინტელექტუალური კატეგორიებით წარმოაჩენს და განსჯის ხოლმე იმ ეროვნულსა და ზოგადფილოსოფიურ პრობლემატიკას, რომელთა მიმართ ჩვენს საზოგადოებას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენები გააჩნია...

მისი უვრცესი ინფორმაციებით დატვირთული ერუდიცია ანუ ცოდნის უმაღლესი მდგომარეობა, ის ჭეშმარიტი გარანტია, რომელიც მკითხველს სააზროვნო მოვლენათა წარმტაც ლაბირინთებს მიმოატარებს და ინტელექტუალურ ნეტარებას განაცდევინებს...

მიკრო თუ მაკროსამყაროს პოეტური და ფილოსოფიური ჭვრეტაა ვიქტორ რცხილაძის ფათერაკებიანი ცხოვრების აზრიცა და მიზანიც... როგორ ახერხებს იგი ამას, პასუხი მის მონუმენტურ წიგნშია განფენილი... "პროზა, რელიგია, კრიტიკა" - ასეთია სააზროვნო პარადიგმები ამ მშვენიერი წიგნის ავტორისა... ანუ ლიტერატურასა და რელიგიის ფილოსოფიაში ღრმად განდობილისა...

უჩვეულო სისადავითაა დაძლეული აქ ურთულესი ისტორიული თუ ინტელექტუალური "ნაპრალები"... იმისათვის, რომ ამგვარი შთაბეჭდილებანი შექმნა, აუცილებელია ფლობდე რწმენას საკუთარი ცოდნისა, სიმახვილეს გონებრივი წარმოსახვისა, სიწმინდესა და მოჭილობას სტილისა, დახვეწილობას ტაქტისა და ბოლოს, მაღალ ხელოვნებას ირონიისა... ამგვარი თვისებებით აღჭურვილს, რა თქმა უნდა, არ უნდა გასჭირვებოდა ამ შთამბეჭდავი წიგნი-გიგანტის შექმნა... რომელიც "გაიძულებს" იფიქრო სულიერების კოლოსალურ აზრსა და მნიშენელობაზე, პიროვნების ტრაგიკული დეკორაციებით აღბეჭდილ ცხოვრებასა და ბედზე... მარტოდშთენილი რომანტიკული სულის ქროლვასა და ვნებათაღელვაზე...

სულისა და ინტელექტის ამ წიგნში გამოკეტილი სივრცე გონებით წარმატებული პერსონალიების ყურადღებასა და მზადყოფნას ითხოვს, რათა ბოლომდე და საფუძვლიანად გაენდოს მათ, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენში დროდადრო "აფეთქებული" მაღალი სულიერი ფასეულობანი... დოდო (ვიქტორ) რცხილაძე, დღეს სიბრძნით მორჭმული სულიერების ერთი უმთავრესი პერსონაჟია... მახსოვს ამ უჩვეულო ესთეტისა და ბოჰემურ ილუზიებში მონანავე "ბავშვის" აღტყინებანი და ამაღლებული "ლოცვანი"... პოეზიის ნაზ, ხავერდოვან ფრთებს მინდობილი, იგი რაღაც არაამქვეყნიურ განცდებს ელაციცებოდა... არ იყო ძალა მის ამ ნეტარი ტრანსიდან თავდახსნისა, პროზაულ ყოფიერებასთან დაბრუნებისა... პიკანტური ისტორიების პროტაგონისტი მშვენიერებას იგონებდა და თვითონვე ანსახიერებდა იმას, რისკენაც გული ისწრაფოდა... ესეც, ეს სულისწარმტაცი ფანტასმაგორიებიც მისი

უნიკალური ბუნების თვისება იყო და მის გარეშე ძალზედ გაფერმკრთალდებოდა ამ პიროვნების ადამიანური პორტრეტი...

მე მის ცხოვრებას დავარქმევდი რომანტიკული სულის გაბმულ მისტერიას... დანთქმულსა და მოგზაურს ეროვნულ ფიქროა და განცდათა უნაპირო სივრცეებში. სამყაროს ჭეშმარიტად მაღალ "მუზებთან" ნაზიარები და ამით საოცრად ამაყი და ბედნიერი, იგი იმ სულითმეტყველ ქართველ ინტელიგენტს მაგონებს, რომლის ამ ქვეყნად არსებობა და ღვწა აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებდა თვით არსებულ დროსა და სივრცეს.

იმედით, ნატვრით, სიყვარულით მივესალმები ძვირფასი მეგობრის საიუბილეო თარიღს...

ვუსურვებ მას და ჩემთვის მშვენიერებისა და სათნოების სავანედ აღქმულ მის ოჯახს ბედნიერებასა და მრავალფეროვან სიხარულთა სიმრავლეს...

რაოდენ დიდი სიამოვნებაა დაბადების 60 წლისთავი მივულოცო იმ ადამიანს, რომელთანაც ყოველთვის მოწიწებით უნდა "შეჩერდე", დაინტერესდე და მერე... სამუდამოდ დაიმახსოვრო... ეროვნული სულისა და სხეულის ეს რომანტიკული "მიჯნური", მისთვის ნიადაგ ტანჯული და დამაშვრალი...

გურამ ბენაშვილი

სამშობლომანი

თავისი ქვეყანა ყოველ ნორმალურ ადამიანს უყვარს, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს უყვართ სამშობლო საკუთარ თავზე მეტად.

ნორმიდან ასეთი გადახრილი შეიძლება შლეგიც იყოს და ბრძენიც.

დოდო რცხილაძე - სამშობლოზე შეყვარებული-მეთქი, ვერც ვამბობ - საქართველოთი შეპყრობილი კაცია; მეტიც ითქმის - სამშობლოთი დაავადებული ანუ სამშობლომანი.

დოდო, რაც თავი მახსოვს, სულ საქართველოს ათავისუფლებს.

მახსოვს კი იგი ბავშვობიდან: ჩემმა თანაკლასელმა მერაბ მახარაძემ თავის დაბადების დღეზე კარის მეზობელი შემოიპატიჟა - ასაკით ჩვენზე ერთი წლით პატარა და ზომა-წონით ჩვენზე ორჯერ დიდი ბიჭუნა.

გოლიათი ბავშვები, ჩვეულებრივ, ბუნჩულები არიან, მიმნდობი, დამჯერე ხასიათისა.

დოდო ძნელი ბავშვი გახლდათ.

ომისდროინდელ თბილისელ ბიჭებს ძირითადად ეზო გვზრდიდა - ბურთი და "გრძელი ვირი", ლახტი და "სამაკატკა", "ბიჩოკები" და ბირჟა.

დოდო ქუჩურ ცხოვრებას აგრერიგად ვერ ეწყობოდა, თუმცა არც "დედიკოს ბიჭი" ეთქმოდა.

ისე - "დედიკოსაც" გააჩნია, იმსილამაზე დედა ჰყავდა (და - ღმერთმა დიდი დღე მისცეს - ახლაც ჰყავს!), რომ ასეთი დედიკოს ბიჭობას ვერც ითაკილებდი.

არც მისი გოლიათობა უნდა გაჰკვირვებოდა ვისმე: მამამისი, გულო რცხილაძე, საქვეყნოდ განთქმული ტანმოვარჯიშე, ფიზიკურ სრულყოფას განასახიერებდა... და, სხვათა შორის - სულიერსაც.

სიყმაწვილეშივე გავარკვიეთ, რომ ზიარი საყვარელი გვყოლია - წიგნი. უცნაური ბიჭი იყო-მეთქი: მე თუ ყველაფერს უსისტემოდ და ერთბაშად "ვნთქავდი", დოდო სკოლის მერხიდანვე შერჩევით, გამიზნულად და გემოვნებით კითხულობდა. გაიელის წლები და შოთა ჩანტლაძე, იატაკქვეშა ტალანტების შეუმცდარი ჭაშნაგირი და თავადაც იატაკქვეშა გენიოსი, დოდოს ხუმრობით "დიდი ქართველი მკითხველის" ტიტულს უბოძებს.

შენ ხუმრობა უძახე და - საქართველოს დიდი მწერლები უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე დიდი მკითხველები.

ცამეტ-თოთხმეტი წლისანები ვიქნებოდით, დოდო რომ გამენდო - საქართველო უნდა გავათავისუფლოთო.

შევითქვით.

შეთქმულება მარტო ფერმკრთალი როდია ("...როგორც ფერმკრთალი შეთქმულება აჯანყებისთვის" - გალაკტიონი), შეთქმულება მათრობელა განცდაც გახლავთ. მით უფრო - საქვეყნო საქმისათვის, თუნდაც ამ საქმეს საულვაშეშეულინღლავი ღლაპები შეეჭიდონ.

შევთანხმდით - საქართველო რომ გაგვეთავისუფლებინა, ჯერ ჩვენ თვითონ უნდა გავთავისუფლებულიყავით შიშისა და უვიცობისაგან.

შიშისაგან განთავისუფლებას, ცოტა არ იყოს, ბავშვური მეთოდით ვცდილობდით - ღამ-ღამობით ვაკისა და კუკიის სასაფლაოზე მარტოდმარტო დავიარებოდით.

მაგრამ საქართველოს გასათავისუფლებლად მარტო სიმამაცე არ იკმარებდა, ამ საქმეს არანაკლებ, თუ მეტად არა, ცოდნა სჭირდებოდა, სიბრძნესთან ზიარება... და დოდომ, ჯერ კიდევ ბავშვმა, თვითსრულყოფის ისეთი გეგმა შემომთავაზა, წუნს დღესაც რომ ვერ დასდებს კაცი: ბრძენკაცთა ანუ ფილოსოფოსთა წიგნების გარკვეული წესით შტუდირება, ერთ-ერთი უცხოური ენის, სასურველია-გერმანულის, სრულყოფილად დაუფლება, მუსიკის, განსაკუთრებით - კლასიკურის, ესთეტიკურ სამყაროსთან ზიარება და სპორტის ერთ-ერთ კონტაქტურ სახეობაში დაოსტატება.

წიგნებსა და სასაფლაოებს თანაბარი წარმატებით შევუტიეთ, დანარჩენში კი ბოლომდე ვერ მივყევი დოდოს - თავად კი გერმანულსაც სრულყოფილად დაეუფლა, მუსიკის სამყაროსაც ღრმად სწვდა და კრიშიც "მლაკვნი გაიმამაცურნა".

ეს ყველაფერი მაინც საშუალებად მიგვაჩნდა, მიზანი რუსეთისაგან საქართველოს დახსნა იყო.

კინაღამ დამავიწყდა: დავიფიცეთ, რომ საქართველოს განთავისუფლებამდე ცოლებს არ მოვიყვანდით - სამშობლოს სიყვარულში ცოლ-შვილის სიყვარულიც კი არ უნდა ჩაგვეზიარებინა.

მოკლედ, მთელი ბავშვობა და სიჭაბუკე მეგობრებზე მეტი, განდობილები ვიყავით, ერთმანეთის "ალტერ ეგო", თუმცა - არა ყოველთვის: მერე და მერე ჩვენი ურთიერთობა ზღვის მიმოქცევას დაემგვანა, ოღონდ მასავით

თანაზომიერი არ ყოფილა - მიქცევა ანუ განშორება ზოგჯერ წლობითაც გრძელდებოდა, უკანასკნელი გაუცხოება კი, 1974 წლიდან მოკიდებული, მთელ თხუთმეტ წელიწადს გაიჭიმა.

ეჭვიანობა მარტო მიჯნურთაშორისი გრძნობა არ გახლავთ. მეგობართშორისიც არის, თანაც - არანაკლებ მძაფრი.

და არის ეჭვიანობის ერთი ობიექტიც - სამშობლო.

თხუთმეტწლიანი ჩვენი უბრობის პერიოდი ვახსენე... სწორედ მაშინ, ისევ გალაკტიონს დავესესხები, "ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი ჩადგა ჩვენ შორის" ("ედგარი მესამედ").

მე ამ "მესამესთან" ისე ახლოს არ ვმეგობრობდი, რომ მისი ღალატი მეწვნია.

დოდომ იწვნია.

დოდო რცხილაძე იმ პერიოდშიც ათავისუფლებდა საქართველოს... რეალურად ათავისუფლებდა, ოღონდ სხვა ხალხთან ერთად... "მესამესთან" ერთად. ამ "მესამის" გვერდით კი მე ვერ დავდგებოდი... ეწვალობდი, მაგრამ მაშინაც ვერ გადავახტი საკუთარ თავს, როცა ისინი დააპატიმრეს.

დოდო რცხილაძეს ჯერ "სუკის" ციხე ახეხინეს, მერე შორეული ყაზახეთის უდაბნოში გადაასახლეს ოთხი წლით.

გათეთრებული დაუბრუნდა თბილისს - იმ თბილისს, რომელიც სულიერი თვალით მოიხელთა და დააფიქსირა კიდეც თავისი რომანით - "თბილისი".

დაუბრუნდა გაუტეხელი - ამის დასტურია მისი ღვწა მწერლობაში, მეცნიერებაში, პოლიტიკაში...

სამშობლომანები არ ტყდებიან.

დოდო რცხილაძე დღესაც ათავისუფლებს საქართველოს.

თამაზ კვაჭანტირაძე

ვულოცავთ

სულითა და გულით ვულოცავთ ჩვენს მეგობარს ვიქტორს (დოდოს) სამოცი წლის შესრულებას. ნეტავ, ასეთი შვილი ბევრი ჰყავდეს ჩვენს სამშობლოს: დახვეწილი, ინტელიგენტი, მოაზროვნე, მწერალი. ჩვენი მხრიდან განსაკუთრებით აღვნიშნავდით მის ვეებერთელა ერუდიციას მუსიკის სფეროში, რაც აისახა კიდევაც მის თხზულებებში. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი - მამამისი, გულო რცხილაძე, ხომ შესანიშნავი პიანისტი გახლდათ, რომლის აჟღერებულ მელოდიებს ჩვენი დოდო ბავშვობიდან უსმენდა... დაე, დიდხან იცოცხლოს ჩვენმა იუბილარმა ყველას სასიკეთოდ.

ვაჟა აზარაშვილი
მერაბ დონაძე
თენგიზ ზაალიშვილი
შოთა ჩაკვეტაძე

შენ ჩემი თავი მოგიკვდეს, სალამი დაბიგვიანე!

ბატონო ვიქტორ, მე და თქვენ სულ ახლახან გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ თქვენი დიდი კაცობა, ნაღდი მამულიშვილობა და სახელი, როგორც დიდებული შემოქმედისა, ჩემში ადრევე იმდენად იყო პატივდებული, რომ პრეფექტობის ჟამს, თქვენი სახელის მიმთვისებელ ერთ თქვენს მოგვარეს, თელავის პრეფექტად მოსავლენად მივეხმარე. მერე, გაზეთ "საქართველოში" მოთავსებულ თამაზ წივწივაძის წერილით, რომელსაც "დიმპიტაურ-დამპიტაური" ერქვა, დავრწმუნდი, რომ ვიღაც აფერისტ მედოლე-ავთო რცხილაძისთვის დამიდვია ქვემოდან "დომკრატი". (აი, ხომ ხედავთ, ეს ჩვენი წივწივაძე ჯერ კიდევ როდიდან ებრძოდა მედროვეებს, მექრთამეებს, ქურდებსა და აფერისტებს! - ხომ არის დასაფასებელი, ბატონო ვიქტორ?!) ამასთანავე, თქვენ, არამარტო მუსიკის მოყვარული, თავადაც მშვენიერი მუსიკოსი ყოფილხართ. ხოლო, ჩემთვის ესოდენ მომხიბლავი, სპორტსმენი სახელიც რომ კარგი დაგიგდიათ, ეს უკვე ერთი კაცისთვის მეტისმეტი ხომ არ არის, ბატონო ვიქტორ?..

მინდა კიდევ ერთი აღმოჩენა აღვნიშნო: სტუდენტობისას, ჩემთვის და ჩემი კურსელების კერპი ტანვარჯიშში, - უბადლო გულო რცხილაძე, თურმე მამათქვენი ყოფილა!.. ასე, რომ კიდევ ერთხელ გამართლდა ჩემს თვალში ქართული ანდაზა: კვიცი გვარზე ხტისო... აქვე, თუ ზემოთ შევაქე ჩვენი თამაზი, ახლა მინდა ვუსაყვედურო: თქვენი სამოცი წლისთავის მისასალმებელი წერილებისათვის, ერთის ნაცვლად, ორი გვერდი რომ ვერ გაიმეტა. ამისათვის მას არც ვინმე დაძრახავდა და ვერც რედაქტორის წყალობად ჩათვლიდა, რადგანაც იგი, არამარტო თქვენი დიდი ნიჭით, არამედ სამშობლოსათვის მოწამეობრივად გამოვლილი დღეებითაც დაიმსახურეთ. დაიმსახურეთ და მერე ისე, რომ არ შემრცხვება, რუსთაველის ნათქვამი გავიმეორო: "მე ვის ვაქებ? ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს ენა ბევრი!..."

ლადო მრელაშვილი

მეგობრად სანატრი კაცი

თავიდანვე მინდა ვთქვა - დიდად მსიამოვნებს, რომ ვიქტორ რცხილაძისა და ჩემი მშობლები ახალგაზრდობიდანვე მეგობრობდნენ. ვიქტორის მამა, განსვენებული გიორგი (გულო) რცხილაძე საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენი და გამორჩეული ნიჭის მუსიკოსი გახლდათ. უპირველესად, მან ჩაუნერგა შვილს მუსიკის გაუნელებელი სიყვარული (შემთხვევითი არ არის, რომ ვიქტორის მეგობრების უმრავლესობა საუკეთესო მუსიკოსები და მომღერლებია). დედა, დიდებული შესახედაობის ქალბატონი თამარ გოგუა, გამოცდილი ექიმი, ღვთის შეწევნით, ამჟამადაც მხნედ გამოიყურება.

ვიქტორ (დოდო) რცხილაძე ჭაბუკობაშივე თუნდ თავისი ახოვანებითაც იქცევდა ყურადღებას, ჩვენ ყოველთვის გულთბილად ვესალმებოდით ერთმანეთს, მაგრამ იმხანად არ დავახოლვებულვართ, თუმცა ძალიან განვიცადე, როცა მოგვიანებით იგი დააპატიმრეს. ციხეში მყოფს ერთმა ბოროტმა ადამიანმა ბინძური ჭორები გაუვრცელა, რაც შეუძლებელია ირწმუნოს ვინმემ, ვინც ვიქტორს ოდნავად მაინც იცნობს, მასთან ურთიერთობა ჰქონია.

ვიქტორ რცხილაძე ყველაზე ნათლად და გამოკვეთილად მოჩანს მის ავტობიოგრაფიულ რომანში "თბილისი" და სწორედ ამ წიგნის მერე დავშეგობრდით მე და ის. მეგობრად კი მისნაირი კაცი უნდა ინატრო. ძნელია წონასწორობა და სიმშვიდე შეინარჩუნო, როცა ერთგულების წილ მზაკვრობას, ხოლო სიყვარულის სანაცვლოდ ზიზღს იგემებ. ამ კაცის არაერთი თვისება მხიბლავს. ძმობა და სიკეთის ქმნა, მან რომ იცის ისეთი უნდა. სიმართლის პირში მთქმელია, უკეთურებას, ეშმაკის კვალზე შედგომას, ზნეობრივი პრინციპების ღალატს არავის აპატიებს, თუნდაც სიყრმიდანვე თანშეზრდილი იყოს. ბევრი ტანჯვა, სიმწარე აქვს გამოვლილი და გული უკვდება, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ასე რომ დაიხლიჩა და გადაშენების პირზეა მიმდგარი. მისნაირი პიროვნება იმედს, რწმენას იოლად არ კარგავს - ყოველნაირად ცდილობს, ამ უძნელეს პირობებში, მისი რედაქტორობით გამომავალი მშვენიერი, ესოდენ საჭირო ჟურნალი "რელიგია" როგორმე უსახსრობის გამო დახურვას გადაარჩინოს.

ამ ადამიანის მთელი ცოდნა, ნიჭი და ძალისხმევა სულიერების ასაღორძინებლად არის მიმართული. უზენაესთან მიახლების რელიგიური განცდა პალეოლითის ხანიდან დასტურდება და რანაირად შეიძლება, ეს წმინდა ლტოლვა დღეს ჩაკლან ღვთის მგმობელმა, სახედაკარგულმა არსებებმა.

ჩვენი იუბილარის წერილებსა და ესეებში ფილოსოფიის, თეოლოგიის, ლიტერატურის, ისტორიის, სოციოლოგიის, პოლიტიკის და სხვა დარგთა საფუძვლიანი ცოდნა, პრობლემებისადმი ცოცხალი, ემოციური მიდგომა ჩანს. მას მრავალთაგან გამოარჩევს ვითარების, მოვლენათა განჭვრეტის შესაშური უნარი; ბევრი რამ უთქვამს, დაუწერია და გამართლებულა. მე განსაკუთრებულად მახარებს ის, რომ ძვირფას დოდოს კლასიკური და თანამედროვე მუსიკის ღრმა წვდომის გარდა, განგებამ დაანათლა პოეზიის გამძაფრებული და ნატიფი შეგრძნება, რაც თვით ძალზე განათლებულ ადამიანთა შორისაც საკმაოდ იშვიათია. ამასთანავე იგი ჭეშმარიტი ქრისტიანია; თავის დროზე, სუფრის ყადრი და მოლხენაც თქვენგან მოწონებული იცის.

ვიქტორ რცხილაძის თავისებურ შემოქმედებასა და თვალსაჩინო ღვაწლზე შედარებით მთლიან წარმოდგენას შეგვიქმნის მისი ახლახან გამოცემული ერთტომეული "პროზა, რელიგია, კრიტიკა" (თბილისი, 2001 წელი). ამ წიგნის გულმოდგინედ წამკითხველს ავტორისადმი, ვფიქრობთ, უთუოდ პატივისცემისა და მადლიერების გრძნობა გაუჩნდება.

კარგად ვიცი, ვიქტორ რცხილაძეს მრავალი მეტად მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი აქვს, დაუღალავად იღვწის და წინ კიდევ არაერთი შემოქმედებითი

წარმატება მოელის. ვუსურვებ, თავის ბრწყინვალე, მდიდარი ტრადიციების ოჯახთან ერთად, დიდხანს იყოს გახარებული და ბედნიერი, კვლავაც თავდაუზოგავად ემსახუროს საფიცარ სამშობლოს, ასე წელგამართული, ჯანღონით სავსე მოსწრებოდეს მისსავე წარმოდგენაში წარმოსახულ ძლიერ, გამრავლებულ, განათლებულ და გამთლიანებულ საქართველოს!

ემზარ კვიტაიშვილი

"ლიტერატურული საქართველო"
19-25 ოქტომბერი, 2001 წ.

სარჩევი

რედაქტორის წინათქმა 3

ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის წერილები

ახალი დროის ცნობილ ათეისტთა
კრიტიკა თანამედროვე ღვთისმეტყველთა
და ფილოსოფოსთა მიერ 7

ბოროტება, მისი ნიღბები და
მისი გამოვლინება საქართველოში 50

რელიგიური გამოცდილების ფენომენი 186

რამდენად წარმოადგენს ქრისტიანობა იდეოლოგიას? 228

ლექციების კურსი ღვთისმეტყველების ისტორიაში 238

შიშის პრობლემის დაძლევის ცდები პლატონიზმსა
და ქრისტიანობაში 276

მინიშნება მარადიული ტანჯვისა და მარადიული
ნეტარების შესახებ 288

მშვენიერების იდუმალება 291

მოცარტის "დონჟუანი" სიორენ კირკეგორის "ან-ან"-ში 303

მოკლე მიმოხილვა შეხედულებებისა მუსიკის არსზე 315

კრიტიკული ხასიათის წერილები

ორი საქართველო 321

უნებლიე შეცდომა თუ - შეგნებული გაყალბება? 360

ჩრდილოვანი მხარე სოლჟენიცინისა 364

დღეს ასეა, ხვალ - ვინ იცის 366

მცირე შეგონება. 368

აუცილებელი განმარტება 369

მცირე გახსენება 383

ვინ არის ნამდვილი პლაგიატორი? 385
ჭეშმარიტების დასადგენად 390
მცირე განაზრებანი ღვარძლსა და სახელმწიფოზე 401
უბირებზე გათვლილი პოლიტიკური პროვოკაცია 405
პასუხი "მართლმადიდებლებს" 418
"სახელმწიფო სკოლაში რელიგიური განათლების პერსპექტივაზე" და არა მარტო მასზე 429
ჭეშმარიტება მეტია თუ სამშობლო? 436
მცირე შენიშვნა საეჭვო "თეოლოგზე" 451
თეძოსრული გვანცა და ლადარიას დასასრული 454
პირწავარდნილი სეპარატიზმი 456
ლუკაიას გაცხენება და ხარჩილავას გაგრძელება 461
9 დეკემბრის სატელევიზიო გადაცემა "შზეზე", როგორც ჩვენი საზოგადოების სავალალო სახე 463
გამსახურდიას მოვლენა 469

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘ

გურამ რჩეულიშვილი 551
ანდრეი ამარლიკი 562
ვინ არის ვალერი ჭალიძე? 565
მცირე მოგონება შოთა ჩანტლაძეზე 567
მესხთა ტრაგედია 572
გამოთხოვება ჯანსულ კახიძესთან 574

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘ

დიმიტრი რუსია - ასეთი დროც იყო... 576
ნოდარ ნათაძე - ბუნებრივია, რომ... 577
თეიმურაზ ჭანტურიშვილი - ცბიერი ოინბაზი "მომავალ ორშაბათამდე" 578
ნოდარ ლომოური 590

ვიქტორ რცხილაძეს ულოცავენ

მწერალთა კავშირისა და გაზ.
"ლიტერატურული საქართველოს" რედაქციის
მილოცვა ვიქტორ რცხილაძის დაბადებიდან 60
წლისთავის შესრულების გამო 595

ჭაბუა ამირეჯიბი - ძმაო და ბატონო ვიქტორ!. 595

სერგი ავალიანი - ფილოსოფიური თეოლოგიის დოქტორი. . . 596

გურამ ბენაშვილი - რაინდული სულიერების აპოლოგეტი . . . 596

თამაზ კვაჭანტირაძე - სამშობლომანი 598

ვაჟა აზარაშვილი, მერაბ დონაძე, თენგიზ ზაალიშვილი,
შოთა ჩაკვეტაძე - ვულოცავთ! 600

ლადო მრელაშვილი - შენ ჩემი თავი მოგიკვდეს,
სალამი დაგიგვიანე!. 601

ემზარ კვიტაიშვილი - მეგობრად სანატრი კაცი. 601

ვიქტორ რცხილაძე

ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ილნარ ბორელიმვილი
ნათელა ტალახაძე